# ჰანს-დიტრიხ გენშერი

## *მოგონებანი*

წიგნი I

თბილისი
2002

# Hans-Dietrich Genscher

## *Erinnerungen*

Ins Georgische übersetzt
von Asmat Pizchelauri-Parjiani,
Michail Beroschwili, Lewan Bregadse

Tbilisi
2002

УДК 32(430)
З289

ქართული თარგმანის გამოცემის ინიციატორი

**ბ-ნი დიდიმ სტურუა**

თარგმანი მომზადდა საქართველოს კულტურულ ურთიერთობათა ცენტრ **„კავკასიურ სახლში“**.
ითარგმნა „ზიდლერ ფერლაგის“ 1995 წლის გერმანული გამოცემიდან.
მთარგმნელები: ასმათ ფიცხელაურ-ფარეჯიანი (თავები 1-9),
მიხეილ ბეროშვილი (თავები 10-16),
ლევან ბრეგაძე (თავები 17-21).
ლ. ბრეგაძის რედაქციით.

გამოცემის დამფინანსებლები:

**შპს „იბერიატელი“,**

**MBG „საქართველოს მიკროსაფინანსო ბანკი“,**

**სს „საქართველოს ელექტროკავშირი“.**

ISBN 99928-996-2-X

Initiator der georgischen Übersetzung

Herr **Didim Sturua**

Die Übersetzung wurde im Zentrum für kulturelle Beziehungen Georgiens «**Kaukasisches Haus**» vorbereitet.

Sponsoren:

**Ltd «IBERIATEL»,**

**MBG «Microfinance Bank of Georgia»,**

**JS «GEORGIAN ELECTRICAL COMMUNICATIONS».**

# ყოფილი ფედერალური მინისტრის, კანს-დიტრიხ გენშერის, წინასიტყვაობა ქართული გამოცემისათვის

შვიდი წელი გავიდა მას შემდეგ, რაც ჩემი მოგონებები პირველად გამოქვეყნდა და აი, ეს წიგნი ახლა უკვე ქართულ ენაზე გამოიცემა. განსაკუთრებულ სიხარულს მანიჭებს ის, რომ ამ გამოცემის წყალობით „მოგონებანი" ქართულენოვანი მკითხველისთვისაც ხელმისაწვდომი გახდება.

წელს სრულდება გერმანიასა და საქართველოს შორის დიპლომატიური ურთიერთობის დამყარების ათი წლისთავი. ღირსსამახსოვრო ისტორიულ ვითარებაში გერმანია პირველი ქვეყანა გახლდათ, რომელმაც საქართველოს დამოუკიდებლობა აღიარა და მას მრავალმხრივი დახმარება აღუთქვა. მას შემდეგ ჩვენს ქვეყნებს შორის, ყველა სფეროში, ურთიერთობა კიდევ უფრო გაფართოვდა და გაღრმავდა. გადაჭარბებული არ იქნება, თუ მას მჭიდრო, ნდობით აღსავსე და გულითად ურთიერთობას დავარქმევთ.

დამოუკიდებლობის მოპოვების შემდგომ პერიოდში თვალშისაცემი გახლავთ საქართველოს ძალისხმევა დემოკრატიული და სამართლებრივ-სახელმწიფოებრივი სტრუქტურების აღმშენებლობისა თუ ადამიანისა და უმცირესობათა უფლებების დაცვის სფეროში. ის ფაქტი, რომ 1999 წლის აპრილის მიწურულს საქართველო, როგორც პირველი სამხრეთ-კავკასიური ქვეყანა, ევროსაბჭოს ორმოცდამეერთე წევრად მიიღეს, ხელს უწყობს სამართლებრივ-სახელმწიფოებრივი სტრუქტურების კიდევ უფრო განმტკიცებას და ამ ქვეყნის წინსვლას ისეთი არსებითი მიზნების განხორციელების გზაზე, როგორიცაა ადამიანისა და ეროვნულ უმცირესობათა უფლებების დაცვა და ქვეყნის დამოუკიდებლობის შენარჩუნება.

ევროკავშირი, აცნობიერებს რა საკუთარ პასუხისმგებლობას გაფართოებულ ევროპაში უფრო სტაბილური წესრიგის განსამტკიცებლად, პარტნიორობისა და თანამშრომლობის ხელშეკრულებათა საფუძველზე, რომელთა ამოქმედებაც 1999 წლის ივლისში მოხდა, სამხრეთ კავკასიასთან მიმართებით უფრო მრავლისმომცველი და გრძელვადიანი პოლიტიკური კურსის შემუშავებას ცდილობს.

აქ განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს სამხრეთ კავკასიაში ურთიერთანამშრომლობის განმტკიცება და ენერგოსექტორში, ტრანსპორტისა და კომუნიკაციის სფეროებში რეგიონალური ინფრასტრუქტურის ჩამოყალიბების ხელშეწყობა. საერთო ეკონომიკური ინტერესები ურთ-

იერთნდობაზე დამყარებულ თანამშრომლობასა და, აქედან გამომდინარე, სტაბილურობასაც განაპირობებს.

1991 წლის დეკემბერში, საბჭოთა კავშირის დაშლისა და დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, საქართველოს ამგვარი სასიკეთო და სასიხარულო განვითარების გარდა, ჩვენ, გერმანელებს, არც ის დაგვიწყებია, თუ რას უნდა ვუმადლოდეთ საქართველოს პრეზიდენტს, საბჭოთა კავშირის ყოფილ საგარეო საქმეთა მინისტრს, ედუარდ შევარდნაძეს. როგორც ახალი ევროპის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი სახელმწიფო მოღვაწეთაგანი, – იმ ევროპისა, რომელიც ისეთ ღირებულებებს ეყრდნობა, როგორიცაა: თავისუფლება, დემოკრატია და ადამიანის უფლებათა დაცვა, – ის 1992 წლიდან მკაფიოდ ევროპული ნიშნის მატარებელი ქვეყნის სათავეში იმყოფება. ედუარდ შევარდნაძე იმ ისტორიულ პიროვნებათა რიცხვს განეკუთვნება, რომელთა შორსმჭვრეტელობის, გაბედულებისა და შეუპოვრობის წყალობითაც დაიძლია გერმანიისა და ევროპის გახლეჩილობა. მადლობას და აღტაცებას, წინამდებარე მოგონებებშიც რომ მოლავნდება, ედუარდ შევარდნაძესთან ერთად – რომელთანაც დღეს მეგობრული ურთიერთობა მაკავშირებს – ყველა ქართველის მიმართ გამოვხატავ. გაერთიანებული გერმანიის ვალია პარტნიორული ურთიერთობები გააფართოოს და ამგვარად შეიტანოს თავისი წვლილი იმ საკვანძო რეგიონის სტაბილურობისა და უსაფრთხოების საქმეში, ვანკუვერიდან ვლადივოსტოკამდე გადაშლილ სივრცეს რომ მოიცავს.

*ჰანს-დიტრიხ გენშერი*
2002 წლის ივნისი

# საქართველოს პრეზიდენტის, ედუარდ შევარდნაძის, წინასიტყვაობა ჰანს-დიტრიხ გენშერის ავტობიოგრაფიული წიგნის ქართული გამოცემისათვის

უაღრესად სასიხარულო და ღირსშესანიშნავ მოვლენად მიმაჩნია თანამედროვე მსოფლიოს ერთ-ერთი უთვალსაჩინოესი მოღვაწის, ჩემი დიდი მეგობრის, ჰანს-დიტრიხ გენშერის წიგნის გამოცემა ქართულ ენაზე.

მისი სახელი მჭიდროდ უკავშირდება იმ უჭკნობ ღირებულებებსა და იდეალებს, რომელთა გამარჯვებამ დააგვირგვინა XX საუკუნე და შექმნა მტკიცე, ზნეობრივი საფუძველი კაცობრიობის შემდგომი ბედნიერი და თავისუფალი განვითარებისათვის.

გენშერის ფენომენი ეს არის დიადი მიზნისა და ამ მიზნისაკენ მიმავალი გზის პარადიგმა. ამდენად, იგი განუყოფელია საერთოსაკაცობრიო და ეროვნულ იდეალთა ურღვევობის იმ ფილოსოფიური საზრისისაგან, რომელიც წარსული საუკუნის ქარცეცხლში იშვა.

გენშერმა დაადასტურა, რომ იმთავითვე ბოროტგანზრახულია დაპირისპირება პიროვნების ინტერესებს, ერის მისწრაფებებსა და საერთოსაკაცობრიო ღირებულებებს შორის.

ჰანს-დიტრიხ გენშერის დიპლომატია უზრუნველყოფდა, ერთის მხრივ, ცნობილი მოვლენების დროს პრაღის საელჩოში თავშეფარებული ადამიანის წმინდა და ნათელი ოცნების აღსრულებას, ამავე დროს ბრანდენბურგის დიდი კარიბჭის გახსნითა და ბნელი კედლის ნგრევით (ანუ სამშობლოს გაერთიანებით) გამოწვეულ სიხარულს და საკაცობრიო შვებას — ცივი ომის დასრულებისა და ევროპის გაერთიანების გამო.

ჩემთვის განსაკუთრებით ნიშანდობლივია, რომ ჰანს-დიტრიხ გენშერის შესანიშნავი წიგნის პირველივე თავებში იგი აღწერს სწორედ პრაღის მოვლენათა პერიპეტიებს. ასეულობით გერმანელი იმედითა და რწმენით შესცქეროდა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრს, რომელსაც ურთულესი პრობლემის გადაწყვეტა უნდა მოეხერხებინა. ასეთ ვითარებას ჩვენ, ქართველები, „დანის პირზე გავლას“ ვუწოდებთ.

მე ვამაყობ, რომ იმ შემთხვევაშიც ჩვენმა მეგობრობამ და საერთო სულისკვეთებამ საშუალება მოგვცა, აღგვესრულებინა ადამიანთა სამართლიანი მოთხოვნა.

როდესაც გენშერისაგან შევიტყვე, რა ხდებოდა პრაღის საელჩოში,

თვალწინ დამიდგა ჩემი სამშობლო, ჩემი თანამემამულენი.

არ შემეძლო და არც მქონდა უფლება (როგორც დიპლომატს) გადმომეცა ყველაფერი, რასაც ვგრძნობდი. ამიტომ მოკლედ ვუპასუხე: „დაგეხმარებით". და მართლაც, გავაკეთე ყველაფერი, რაც შემეძლო.

ეს ეპიზოდი ჩემთვის ერთ-ერთი ყველაზე ნათელი მოგონებაა საგარეო საქმეთა მინისტრობის პერიოდიდან.

ჩვენ ერთობლივად შევძელით შეგვექმნა თანამშრომლობის შესანიშნავი მოდელი, რომელიც ერთგვარად ასახავდა კიდეც საერთოსაკაცობრიო იდეალთა საფუძველზე ძალისხმევის გაერთიანების საყოველთაო მისწრაფებას.

ვერავინ უარყოფს პიროვნების მნიშვნელობასა და გავლენას თუნდაც ყველაზე მასშტაბური ცვლილებების განხორციელებისას, რომელთაც, ამასთანავე, ობიექტური საფუძველი ჰქონდათ, მაგრამ შესაძლოა სხვაგვარადაც განვითარებულიყვნენ, რომ არა პიროვნული ნება და დემოკრატიულ ღირებულებათა ერთგულება.

ამ თვალსაზრისით, ჰანს-დიტრიხ გენშერის უნიკალური პიროვნული თვისებები ეპოქალურ მოთხოვნილებათა არსს პასუხობდა.

ექვსი წლის განმავლობაში, როდესაც ზესახელმწიფოს საგარეო საქმეთა მინისტრი ვიყავი, ურთიერთობა მქონდა მრავალ თვალსაჩინო პოლიტიკურ მოღვაწესთან, მაგრამ მათ შორის ჰანს-დიტრიხ გენშერი უდავოდ გამორჩეულია აზროვნების მასშტაბურობით, პარტნიორობის ნიჭითა და უნარით, პიროვნული კომუნიკაბელურობითა და ადამიანური მომხიბვლელობით.

რაც უფრო მეტი დრო გავა, რაც უფრო დაგვშორდება ის დიადი მოვლენების წყება, რამაც მსოფლიო გამოიხსნა ცივი ომის შავბნელი უფსკრულიდან, — ჰანს-დიტრიხ გენშერის სახელი სულ უფრო ამაღლდება კაცობრიობის თვალში.

„კონტინენტის ბედისწერა" კვლავაც მჭიდროდ უკავშირდება „გენშერის პოლიტიკისა და დიპლომატიის" კანონებს, ვინაიდან იგი ერთ-ერთი მათგანი იყო, ვინც ტოტალიტარიზმისა და შეურიგებლობის „საკონცენტრაციო ბანაკიდან" თავდახსნილ ადამიანთა ნაკადი „ისტორიის წყალუხვ მდინარედ აქცია".

მისი გზა, ჰალედან — ბრემენისა და ბონის გავლით — ბერლინისაკენ — ევროპის თავისუფალი და მშვიდობიანი გაერთიანების გზად იქცა.

*ედუარდ შევარდნაძე*

05.08.2002

*ვუძღვნი ჩემს მშობლებს*
*კურტ გენშერსა და ჰილდა გენშერს — თავისი გვარით კრაიმეს*

## მოგონებანი — ჩემი მოგონებანი

ეს არც ისტორიის სახელმძღვანელოა და არც მოთხრობების კრებული; ეს არც იმის მცდელობაა — წარმოადგინოს და განმარტოს გერმანიის თვრამეტწლიანი საგარეო პოლიტიკის ყველა ასპექტი. გამანძილება ჯერ არ მომხდარა. უფრო საფუძვლიანი განხილვის დრო ჯერ არ დამდგარა.

ევროპისა და გერმანიის გაერთიანების გრძელ და რთულ გზაზე საკვანძო მოვლენებთან დაკავშირებულმა ჩანაწერებმა, თითქმის დღიურის ხასიათი შეიძინა. ალბათ ასეც უნდა მომხდარიყო. იმ თვეებში პირადი შეგრძნებები და სამსახურეობრივი მოვალეობა ერთმანეთში იყო ჩახლართული ისე, რომ ერთმანეთს ხელს არ უშლიდა. მკითხველი ალბათ იგრძნობს, რომ ბევრი რამ უფრო რთული იყო, ვიდრე ეს ახლა შეიძლება მოეჩვენოს ადამიანს. ჩვენთვის მართლაც არაფერი უჩუქებიათ. იმედი მაქვს, დროის ამ მონაკვეთის გახსენებისას, ჩემს მოგონებებში სხვა ადამიანების რეაქციებისა და მოქმედ პირთა ურთიერთდამოკიდებულების ფონზე, შევძელი ადამიანური ფაქტორის გათვალსაჩინოება. თარიღებით დახუნძლული კალენდარი, გამუდმებით რომ გაიელვებს, ცხადყოფს, რომ საგარეო პოლიტიკას ადამიანები ქმნიან და რომ ის ვაკუუმში არ იქმნება.

მადლობას ვუძღვნი ყველას, ვინც ამ წიგნზე მუშაობისას დახმარება გამიწია: რჩევით, საქმით, ერთობლივი მოგონებით, ტექსტის საკონტროლო წაკითხვითა თუ კორექტურით. მადლობა ეკუთვნის, უპირველეს ყოვლისა, ყველა ძველ თანამებრძოლსა და ჩემს ადრინდელ, თუ ახლანდელ თანამშრომელს.

## შესავლის ნაცვლად

# წრე იკვრება

1989 წლის 30 სექტემბერს პრაღაში, გერმანიის საელჩოში განცდილი წუთები ჩემი ცხოვრების ყველაზე ამაღელვებელ მოგონებას წარმოადგენს. ჯერ კიდევ 1988 წლის შემოდგომაზე, ნიუიორკში, საბჭოთა საგარეო საქმეთა მინისტრ შევარდნაძესთან საუბარში გამოვთქვი ვარაუდი, რომ მომავალ ზაფხულს გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში, რეფორმების გაუტარებლობის შემთხვევაში, მოსალოდნელი იყო საპროტესტო აქციები. სოციალისტურ ქვეყნებში სახელმწიფოებრივი თუ საზოგადოებრივი სტრუქტურების უწყვეტი რღვევა აშკარა გახლდათ და ეს პროცესი არც გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკას ასცდებოდა. პირიქით: 1989 წლის დასაწყისიდან მოვლენები დრამატულად დაჩქარდა. 1989 წლის 2 მაისს უნგრეთმა ავსტრიასთან სასაზღვრო დაცვის მოხსნა დაიწყო; ამით რკინის ფარდა საკვანძო ადგილზე გაირღვა. 1989 წლის 27 ივნისს უნგრეთისა და ავსტრიის საგარეო საქმეთა მინისტრებმა, ჰორნმა და მოკმა, ის ეკლიანი მავთულხლართი გადაჭრეს, დასავლეთ ევროპას აღმოსავლეთ ევროპისგან რომ ჰყოფდა; ეს ისტორიული დღე გახლდათ, თუმცა მისი მნიშვნელობა ბევრმა ვერც გააცნობიერა. სხვა თუ არაფერი, უნგრეთი, ჩეხოსლოვაკიის მსგავსად, გდრ-ის მოქალაქეთათვის ყველაზე პოპულარული ტურისტული ქვეყანა იყო. ახლა მათ უნგრეთიდან თავისუფლად შეეძლოთ დასავლეთში გადასვლა.

რამდენიმე თვით ადრე, 1989 წლის 18 იანვარს, ვენაში, როდესაც ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირზე სიტყვით გამოვდიოდი, განვაცხადე: „ჰელსინკის დასკვნითი აქტი მხნეობას მატებს იმ ძალებს, რომლებიც სხვადასხვა ქვეყნებში ძირეულ რეფორმებს მოითხოვენ... ის, რაც უკანასკნელ დღეებში ლაიფციგსა და პრაღაში ჩაიდინეს მშვიდობიანი დემონსტრანტების წინააღმდეგ, აღარ უნდა განმეორდეს“. საერთო ევროპული სახლი „უნდა იყოს სახლი, რომლის ყველა კარ-ფანჯარა ღია იქნება, სახლი, სადაც დაცული იქნება ადამიანის უფლებები და ღირსება, სადაც ყველას შეეძლება შიშის გარეშე ცხოვრება. ეს ისტორიული ფაქტია: ვერც გაყოფა-დაშორების ათწლეულებმა, ვერც ცივი ომის

წლებმა ვერ მოახერხა ერთი ევროპის ორ ევროპად გადაკეთება და ერთი გერმანელი ერის ორ ერად გარდაქმნა. ყველაფერი, რაც ხელოვნურად არის გამიჯნული, სულ უფრო ანაქრონისტულ ხასიათს იძენს. ბერლინის კედელიც ერთ-ერთ ასეთ რელიქტს წარმოადგენს. გამოვიყენოთ ჩვენს ხელთ არსებული ყოველი შესაძლებლობა ევროპაში მდგომარეობის ძირეული გარდაქმნისათვის, მტკიცედ განვაგრძოთ ევროპის მშვიდობიანი განვითარების გზით სიარული... როცა ევროპა თავის პირვანდელ სახეს იპოვის, ევროპელებიც კვლავ მოძებნიან გზას ერთმანეთისკენ. გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა, როგორც ეს ნათქვამია გერმანიის ერთიანობისადმი მიძღვნილ წერილში, მომავალშიც იღვაწებს ევროპაში მშვიდობიანი მდგომარეობის დასამკვიდრებლად, რაც შესაძლებლობას მისცემს გერმანელ ხალხს, თავისუფალი თვითგამორკვევის გზით ხელახლა გაერთიანდეს".

1989 წლის აგვისტოში ჩვეულებისამებრ ვემზადებოდი ნიუიორკში გაერთიანებული ერების გენერალურ ასამბლეაზე გასამგზავრებლად. ეს იმ პერიოდს დაემთხვა, როცა პრაღაში, გერმანიის საელჩოში შექმნილი მდგომარეობა კიდევ უფრო გამწვავდა. აღმოსავლეთბერლინელი ადვოკატები ვოლფგანგ ფოგელი და გრეგორ გიზი  პრაღაში გაემგზავრენ, რათა გდრ-ელი ლტოლვილები უკან დაბრუნების აუცილებლობაში დაერწმუნებინათ, ისინი ჰპირდებოდნენ ამ ადამიანებს, რომ გდრ-ში მათი დაბრუნებიდან ექვსი თვის განმავლობაში მისცემდნენ საზღვარგარეთ წასვლის უფლებას.  მათი გარჯა ამაო აღმოჩნდა.

ამასობაში ლტოლვილთა ნაკადმა იმატა და მისი შეჩერება შეუძლებელი გახდა. მთელი საელჩო ფეხზე იდგა. საელჩოს ყველა თანამშრომელი მუხლჩაუხრელად შრომობდა დღე და ღამე, ოცდაოთხი საათის განმავლობაში. ჩვენმა ელჩმა ჰუბერმა, მისმა მეუღლემ და საელჩოს მთელმა პირადმა შემადგენლობამ არაადამიანური შრომა გასწია, მაგრამ ჩვეულებრივი მაშველი რგოლები აღარ კმაროდა. ცენტრიდან თუ სხვა საელჩოებიდან ჩეხოსლოვაკიის დედაქალაქში სულ უფრო მეტ თანამშრომელს ვაგზავნიდით, რომლებიც სასტუმროებში ბინავდებოდნენ. ხელისუფლების ორგანოები, მიუხედავად იმისა, რომ კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი ჯერ-

აც ფუნქციონირებდა, ამაზე თვალს ხუჭავდნენ. როგორც ჩანს, თავად ხელმძღვანელობაც გაურკვეველ მდგომარეობაში იმყოფებოდა. გდრ-ელი ლტოლვილების მდგომარეობა კი დღითიდღე მწვავდებოდა. გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სულ უფრო მეტი მოქალაქე ითხოვდა პოლიტიკურ თავშესაფარს და ლტოლვილთა ნაკადი უფრო აზვირთდა, როცა უნგრეთის მთავრობამ 11 სექტემბერს ავსტრიასთან საზღვარი გაუხსნა გდრ-ის მოქალაქეებს, რომელთაც დასავლეთში გადასვლა სურდათ.

შაბათს, 23 სექტემბერს, გაეროს გენერალურ ასამბლეაზე გავემგზავრე ნიუ-იორკში. თვითმფრინავში ჩემთან ერთად იმყოფებოდა პროფესორი კესლერი და მისი მთავარი ექიმი. მათ თან ჰქონდათ სრული კარდიოლოგიური აპარატურა ატლანტიკის თავზე შესაძლო ინფარქტის შემთხვევისათვის, რაც გამორიცხული არ იყო მას შემდეგ, რაც 1989 წლის 20 ივლისს გულის ინფარქტი გადავიტანე და ახლა საჭიროებისას შესაძლებელი იქნებოდა თვითმფრინავშივე ჩაეტარებინათ ჩემთვის აუცილებელი პროცედურები. სასტუმროშიც ექიმები უშუალოდ იმ ანფილადასთან მოათავსეს, სადაც მე და ჩემი მეუღლე დავბინავდით.

გენერალურ ასამბლეაზე 1989 წლის 27 სექტემბერს, დღის პირველ ნახევარში გამოვედი სიტყვით. ჩემი სიტყვა გერმანიის აღმოსავლეთ საზღვართან დაკავშირებულ ერთ პასაჟს შეიცავდა, რაზეც, ნიუ-იორკისკენ მიმავალი, თვითმფრინავშიც ვმუშაობდი. გდრ-სა და სხვა სოციალისტურ სახელმწიფოებში მიმდინარე პროცესების გათვალისწინებით, ამ საკითხზე პოზიციის გამოხატვა უკვე აუცილებლობად იქცა, ვინაიდან თუ რკინის ფარდის ლიკვიდაციისა და აქედან გამომდინარე, ორად გაყოფილი გერმანიის გაერთიანების საკითხიც წამოიჭრებოდა, ჩვენი პოზიცია აღმოსავლეთ საზღვართან მიმართებით ძალზე მკაფიო უნდა ყოფილიყო. ოდერ-ნაისეს ხაზის საკითხი ყველა დაინტერესებული მხარის მიერ იქნებოდა წამოჭრილი აღმოსავლეთსა თუ დასავლეთში. თუ გავჩუმდებოდით, მაშინ გდრ-ს პოლონეთის დასავლეთ საზღვრის გარანტის როლს დავუთმობდით. მაგრამ რა შედეგამდე მიგვიყვანდა ეს? გერმანიის გახლეჩის საბოლოო დაფიქსირებამდე? ამიტომ იყო აუცილებელი მკაფიო, გარანტიების შემცველი სიტყვის წარმოთქმა.

და აი, მეორე მსოფლიო ომის დაწყებიდან ორმოცდაათი

წლის შემდეგ, ერთგვარ საზეიმო ტონალობაში განვაცხადე მსოფლიო ფორუმის, გაერთიანებული ერების გენერალური ასამბლეის წინაშე: „ორმოცდაათი წლის წინ პოლონელი ხალხი ჰიტლერული გერმანიის მიერ გაჩაღებული ომის მსხვერპლი გახდა. მან უნდა იცოდეს, რომ მის უფლებას, იცხოვროს დაცულ, ურღვევ საზღვრებში, გერმანელები არასოდეს — არც ახლა და არც მომავალში — არ დააყენებენ ეჭვქვეშ ტერიტორიული პრეტენზიების გამო. ისტორიის ბორბალი უკან აღარასოდეს დატრიალდება. ჩვენ პოლონეთთან თანამშრომლობა გვსურს ევროპის უკეთესი მომავლის უზრუნველყოფის მიზნით. საზღვრების ხელშეუხებლობა ევროპაში მშვიდობიანი თანაცხოვრების საწინდარია“. ეს პასაჟი ჩემს მიერ უშუალოდ პოლონეთის საგარეო საქმეთა მინისტრ სკუბიშევსკისთვის გახლდათ გამიზნული, რომელიც, რამდენადაც ჩემთვის ცნობილი იყო, პლენარულ დარბაზში იმყოფებოდა. გამოსვლამ დიდი საერთაშორისო გამოძახილი პოვა, რაც მის აუცილებლობასა და მნიშვნელობას ადასტურებდა.

გენერალური ასამბლეის სხდომის შემდეგ, საგარეო საქმეთა მინისტრმა შევარდნაძემ სადილზე მიგვიწვია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის საბჭოთა ელჩის რეზიდენციაში. შევარდნაძეს თავიდანვე მადლობა მოვახსენე მისი ძალზე პირადული ხასიათის წერილისათვის. მან, თავის მხრივ, შეაქო ჩემი სიტყვა. ცხადია, ის მიხვდა ჩემს ნათქვამს, რადგან მე აზრი გამოვთქვი არა მხოლოდ გერმანიის აღმოსავლეთ საზღვართან დაკავშირებით, არამედ ორი გერმანიის დაახლოებისა და გაერთიანების — რაც უკვე იკვეთებოდა — ზოგადი პირობების თაობაზეც: „ვერც ერთი სახელმწიფო ვერ აარიდებს თავს დიდი ხნით განვითარების ამ პროცესს“, — იგულისხმებოდა რეფორმების გატარება, — „ვისაც რეფორმების დამარცხების იმედი აქვს, მას განვითარების შეუქცევადი პროცესი გასრესს. არც დასავლეთში უნდა გამოეპაროთ ახალი შესაძლებლობები, რომლებიც გაბედულად უნდა გამოვიყენოთ მთელი ევროპის ინტერესების დაცვითა და გათვალისწინებით. ისტორიას მის მიერ შემოთავაზებული შანსების გამეორება არ სჩვევია. მე მოვუწოდებ ევროპის სახელმწიფოებს, ხელიდან არ გაუშვან ეს ისტორიული მომენტი... გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა სწორედ ევროპის მშვიდობიან წესრიგში ხედავს მიზნის ჩარჩოს, როგორც

ეს გერმანიის ერთიანობისადმი მიძღვნილ წერილშია ფორმულირებული, კერძოდ: გფრ იღვაწებს ევროპაში იმგვარი მშვიდობიანი მდგომარეობის დასამკვიდრებლად, რაც შექმნის წანამძღვრებს იმისათვის, რომ გერმანელი ხალხი თავისუფალი თვითგამორკვევის გზით კვლავ გაერთიანდეს. ამ მიზნის მიღწევას ჩვენს მიერ დადებული ხელშეკრულებების სრული დაცვით ვაპირებთ. ეს კი ევროპის ყველა სახელმწიფოსთან ერთად უნდა განხორციელდეს და არა მათ წინააღმდეგ. არ არსებობს მიზეზი, რომ ევროპაში ჩვენი პოლიტიკის ეშინოდეთ. ეს პოლიტიკა მთელი კონტინენტის ბედისწერაშია ჩაწნული, ის ევროპის სამშვიდობო პოლიტიკაა, რაც თვითნებურ და სეპარატულ ქმედებებს სავსებით გამორიცხავს". აი, ეს იყო ის ჩარჩო, რომლის ფარგლებშიც ვაპირებდით გერმანიის ერთიანობისადმი მიძღვნილ წერილში ფორმულირებული მიზნის მიღწევას.

საუბრისას გაეროში შევარდნაძის წინა დღის გამოსვლასაც შევეხე. მან მეორე მსოფლიო ომისდროინდელ ძველ კოალიციას მიმართა და გააფრთხილა, გერმანიაში რევანშიზმის აღმოცენების საფრთხე არსებობსო, რაც ევროპაში ომის შემდგომი წესრიგის ეჭვქვეშ დაყენების მცდელობად უნდა აღქმულიყო. არავის აქვს უფლება, ნებით თუ უნებლიეთ გაამხნეოს რევანშისტული ძალებიო, — განაცხადა მან. გულის სიღრმემდე შემძრა და შემაშფოთა ამ გამოსვლის ტექსტმა, რომელიც გულდასმით წავიკითხე. სწორედ ახლა არ გვარგებდა ჩვენ ამ სახის პოლემიკა, აქედან გამომდინარე მოსალოდნელი შედეგებით. ჩემს თანამშრომლებთან თათბირის შემდეგ გადავწყვიტე ჯიქურ მემოქმედა.

სასურველი იქნება, თუ ძალზე გულახდილად ვილაპარაკებთ თქვენს გუშინდელ გამოსვლაზე-მეთქი, — ასე დავიწყე ჩვენი საუბარი და ვთქვი, რომ ამ სიტყვამ გერმანული საზოგადოების დიდი ყურადღება მიიპყრო, რადგან ამ სახის გამონათქვამებს უკვე აღარავინ ელოდა მას შემდეგ, რაც ჩვენმა ურთიერთობამ ამჟამინდელ მდგომარეობას მიაღწია. საბჭოთა საგარეო საქმეთა მინისტრმა მიპასუხა, რომ ამის მიზეზი ფედერალური კანცლერის მიერ ბრემენში, ქრისტიანულ-დემოკრატიული კავშირის ყრილობაზე წარმოთქმულ სიტყვაში იყო საძიებელი, კერძოდ კი მასში მოცემულ ზოგიერთ პასაჟში, სადაც საუბარი იყო გერმანიის ძველ საზღვრებში გაერთიანებაზე. შეგნებულად არ დამისახელებია ვინმე, რათა საქმე

კიდევ უფრო არ გამემწვავებინა, თორემ ამჟამინდელი ვითარება უფრო სერიოზულად მიმაჩნია, ვიდრე ის, 1986 წელს ფედერალური კანცლერის მიერ მიცემული ინტერვიუს შემდეგ რომ შეიქმნაო.

ბრემენში გამოსვლის ამგვარ შეფასებას არ დავეთანხმე. ხაზგასმით აღვნიშნე, რომ ამგვარი შეფასების მიზეზი არ არსებობდა და, რომ კარგად ვიცოდი, რა პოზიცია ჰქონდა ფედერალურ კანცლერს საზღვრებთან დაკავშირებით; ამ საკითხში მას ჩემგან განსხვავებული ხედვა არა აქვს, ხოლო ჩემი დილანდელი გამოსვლა, ვგონებ, საკმაოდ მკაფიო იყო-მეთქი. თამამად გავაცანი შევარდნაძეს ჩვენი პოლიტიკის არსი: ჩვენ სერიოზულად ვეკიდებით 1989 წლის ზაფხულის დამდეგს გერმანია-საბჭოთა კავშირის ერთობლივი დეკლარაციის შედეგად მიღწეულ შეთანხმებებს — უფლება არა გვაქვს ერთობლივი ნაღვაწის ნაყოფი გავანადგუროთ-მეთქი. შემდეგ შევარდნაძე დათანხმდა საზოგადოებისთვის გათვალისწინებული განცხადების ასეთ ვარიანტს: ორივე მხარე იმ აზრისაა, რომ საბჭოთა ხელმძღვანელობასა და ფედერაციულ მთავრობას შორის ურთიერთობა სრული ორმხრივი ნდობის პირობებში უნდა გაგრძელდეს.

როდესაც ეს დელიკატური საკითხი გაირკვა, ჩემს ძირითად თემას, ანუ გდრ-ში შექმნილ მდგომარეობას დავუბრუნდი. თავიდან ვუთხარი, რომ ადრინდელი შეხვედრების დროსაც მივანიშნებდი გდრ-ში რეფორმების გატარების აუცილებლობაზე, რადგან საყოველთაო უკმაყოფილებისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკიდან მოქალაქეების გაქცევის მიზეზები მხოლოდ მატერიალურ სფეროში არ იყო საძიებელი. შემდეგ საბჭოთა საგარეო საქმეთა მინისტრს პრაღის საელჩოში შექმნილი ვითარება აღვუწერე, რაც დღითი დღე სულ უფრო აუტანელი ხდებოდა. ვუთხარი, რომ ასეთივე მდგომარეობა იყო შექმნილი ვარშავაში და დაბეჯითებით ვთხოვე, დაგვხმარებოდა ამ პრობლემის მოგვარებასა და გდრ-ის მთავრობისაგან ლტოლვილთა გამგზავრებისათვის აუცილებელი ნებართვის მიღებაში.

შევარდნაძემ მიმახვედრა, რომ გდრ-ში რეფორმებს თვითონაც აუცილებლობად მიიჩნევდა და დამპირდა, გენერალურ მდივანს, გორბაჩოვს, დაუყოვნებლივ მოვახსენებ ჩვენი საუბრის შესახებო. ეტყობა, ჩემი არგუმენტები ამჯერად დამაჯერებლი ეჩვენა. ერთი

წლით ადრე, როდესაც ნიუ-იორკშივე მას ერთხელ უკვე მივანიშნე რეფორმების გაუტარებლობის შემთხვევაში გდრ-ში მოსალოდნელ გარდაუვალ მოვლენებზე, მან ჩემი შეფასება ძალიან საეჭვოდ მიიჩნია, თუმცა მაშინაც აღმითქვა, რომ გორბაჩოვს ამის თაობაზე მოახსენებდა.

1989 წლის 27 სექტემბერს, ფედერაციული რესპუბლიკის გაეროს წარმომადგენლობაში, ვახშამზე შეეხვდი გდრ-ის საგარეო საქმეთა მინისტრს — ოსკარ ფიშერს. ჩვენი შეხვედრები სასარგებლო ტრადიციად იქცა, რაც სხვადასხვა საკითხებზე, — იქნებოდა ეს ზოგადად აღმოსავლეთ-დასავლეთის ურთიერთობები, ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირი, თუ სხვა აქტუალური პრობლემები, — გდრ-თან აზრთა გაცვლა-გამოცვლის საშუალებას გვაძლევდა. ბილატერალური საკითხები, ფედერალურ მთავრობაში ჩვენი უფლებამოსილების შესაბამისად, განხილვის საგანს არ წარმოადგენდა. გდრ-ის მხარისთვის ალბათ არაფერი იქნებოდა იმაზე უფრო სასურველი, რომ საგარეო საქმეთა მინისტრებს ფედერაციულ გერმანიასა და გდრ-ს შორის ურთიერთობის საკითხები განეხილათ. ეს ხაზს გაუსვამდა გდრ-ის თეზისს, რომ ორივე გერმანული სახელმწიფო ერთმანეთისთვის საზღვარგარეთს წარმოადგენდა. ამის საპირისპიროდ მე ჰუმანიტარულ საკითხებს ვუბრუნდებოდი და როგორც გამოცდილებამ მიჩვენა, ამგვარ შემთხვევებში წამოჭრილი საკითხების გადაჭრა შესაძლებელი ხდებოდა.

ამ შეხვედრისას საგარეო საქმეთა მინისტრს, ფიშერს თავდაპირველად პირისპირ საუბარი ვთხოვე. ფედერალურ მინისტრ ზაიტერსს, რომლის კომპეტენციაშიც შედიოდა გდრ-თან ურთიერთობის საკითხები, შევუთანხმდი, რომ ფიშერთან საუბრისას მიმდინარე პროცესებს შევეხებოდი. ფიშერს ავუხსენი პრაღისა და ვარშავის საელჩოებში შექმნილი მდგომარეობა და ისიც ვუთხარი, რომ ჩეხეთის დედაქალაქში მდგომარეობა უფრო დაძაბული იყო. თხრობისას ფიშერი თანხმობის ნიშნად თავს მიკრავდა, ეტყობოდა, ამ სიტუაციის შესახებ ამომწურავ ინფორმაციას ფლობდა. შემდეგ კი ორი წინადადება შევთავაზე საელჩოებში დაბინავებულ პოლიტიკური თავშესაფრის მაძიებელთა დასავლეთისაკენ გამგზავრების საკითხის მოსაგვარებლად. *პირველი ალტერნატივა* შემდეგში მდგომარეობდა:

გდრ-ის საკონსულოს თანამშრომლებს ჩვენ ნებას დავრთავდით, რომ ჩვენს საელჩოშივე გაეფორმებინათ გდრ-ელი გერმანელების პასპორტები, მიეცათ მათთვის ემიგრაციის უფლება; შემდეგ კი ისინი ფედერალური რკინიგზის სპეციალური მატარებლებით პრაღიდან პირდაპირ გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში გაემგზავრებოდნენ. გდრ-ის სუვერენიტეტის დაცვის მოთხოვნა ამ რეგისტრაციის საშუალებით დაკმაყოფილდებოდა. *მეორე ალტერნატივა* ასეთი იყო: სპეციალური მატარებლები პრაღიდან გდრ-ის ტერიტორიის გავლით გაემგზავრებოდნენ გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში. ფორმალური საკითხები შეიძლებოდა გზაშივე მოგვარებულიყო.

გულახდილი, სერიოზული წინასწარი საუბარი შედგა. საგარეო საქმეთა მინისტრს ფიშერს ვუთხარი, რომ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკიდან ლტოლვილი გერმანელები უკან დაბრუნებაზე არავითარ შემთხვევაში არ დათანხმდებოდნენ. „აქამდე მიღებული ექვსი თვის ნაცვლად ექვსი საათი რატომ არ გვაკმაყოფილებს?“ — ვკითხე ფიშერს და ამით მეორე ალტერნატივაზე გადავუკარი სიტყვა, რომელიც ამის შემდეგ გავაცანი.

ჩემი აზრით, ფიშერი გამოსავალის მოძებნის აუცილებლობას აცნობიერებდა. საერთოდ კი, იმ დღეს, ეს ადამიანი სულ სხვა თვალით დავინახე. ჩემ წინაშე ის პიროვნება აღარ იყო, თითქმის წელიწადნახევრის წინ, ჩვენი პირველი შეხვედრისას რომ გავიცანი. ჩემდა გასაკვირად, ის პოლიტბიუროსა თუ ცენტრალური კომიტეტის განცხადებების ენით აღარ მეტყველებდა. გამოსავალს ისიც ეძებდა და დამპირდა, რომ დაბრუნებისთანავე დაელაპარაკებოდა ჰონეკერს; ტელეფონით თუ წერილობითი ფორმით ამის შეტყობინება დაუშვებელიაო. ჩემი აზრით, მისი ამგვარი ქცევის მიზეზი ბოროტი განზრახვა ან გამჭრიახობის ნაკლებობა კი არ იყო, არამედ ის, რომ ვიღაც — საინტერესოა ვინ? — ამის საწინააღმდეგოდ იმოქმედებდა. იქნებ ფიშერს ჰონეკერის დაყოლიების იმედი ჰქონდა, თუმცა სხვა ძალებს უფრთხოდა? როდესაც ვკითხე, როდის ბრუნდებოდა აღმოსავლეთ ბერლინში, მიპასუხა: „კვირის ბოლოს“. „ძალზე დაგვიანდება“, ვუთხარი, ახლავე უნდა იმოქმედოთ-მეთქი.

მეორე დილას, დაახლოებით 9 საათზე, ფიშერს დავურეკე. ისევ ვაცნობე, რაოდენ აუტანელი მდგომარეობა შეიქმნა საელჩოში. ჩემი დაჟინებული მოთხოვნის შემდეგ ბოლოს დამპირდა, რომ ორივე

ალტერნატიულ წინადადებას ბერლინს შეატყობინებდა. ისეთი შთაბეჭდილება მექმნებოდა, რომ ოსკარ ფიშერი ძალისხმევას არ იშურებდა, რათა ეს საკითხი ერთ-ერთი ალტერნატიული ვარიანტის შესატყვისად გადაჭრილიყო.

იმავე დღეს, პირადი საუბრისას, ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრ იოჰანესს ვთხოვე, პრობლემის გადაწყვეტაში დაგვხმარებოდა. რაღაც უნდა გვეღონა. იოჰანესი მხოლოდ იმით შემოიფარგლა, რომ დაგვპირდა, პრაღის მთავრობას თქვენს მოსაზრებებს გავაცნობო, თუმცაღა ისეთ შთაბეჭდილებას ტოვებდა, თითქოს ეს მოვლენები მას საერთოდ არ ანაღვლებდა, რადგან გამოგვიცხადა: ეს საკითხი ბონისა და ბერლინის გადასაწყვეტია და ჩემი ქვეყნის მთავრობა შექმნილ ვითარებაზე პასუხს არ აგებსო. „პრობლემა ეგ კი არ არის", — მივუგე მე, — „ლაპარაკია იმაზე, რომ ადამიანებს დავეხმაროთ". ვცდილობდი თავი შემეკავებინა და მშვიდი ტონი შემენარჩუნებინა, რადგან ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის მთავრობა ჩვენს მოქმედებებს, — იქნებოდა ეს ლტოლვილთა პროდუქტებით უზრუნველყოფა, სამედიცინო დახმარება, თუ საგარეო უწყების ურიცხვი თანამშრომლის პრაღაში მივლინება, — დიდსულოვნად ითმენდა. მართალია, ეს ბუნებრივი რამ არის, მაგრამ ორიოდე თვით ადრე, ეს ყველაფერი შეუძლებელი იქნებოდა. უნგრეთის მაგალითი, მეტი თუ არა, პრაღამდე მაინც ახდენდა ზემოქმედებას.

გვიან საღამოს დიდი შვიდეულის შეხვედრა იყო დაგეგმილი. აშშ-ს, კანადის, დიდი ბრიტანეთის, საფრანგეთის, იტალიის, იაპონიისა და გერმანიის წარმომადგენლები ვახშამზე იკრიბებოდნენ. როდესაც მათ შექმნილი ვითარების შესახებ ვაუწყე, ჯიმ ბეიკერი და როლან დიუმა მყისვე შემპირდნენ დახმარებას. არსებითი გარდატეხა კი აშკარად ნაშუადღევს, საბჭოთა წარმომადგენლობაში შევარდნაძესთან საუბრის შემდეგ მოხდა. მინისტრის სამდივნოს ხელმძღვანელის, ფრანკ ელბეს საშუალებით შევარდნაძეს პირისპირ შეხვედრა ვთხოვე. საბჭოთა კოლეგა დაუყოვნებლივ გამომეხმაურა: თუ გნებავთ, ახლავე მობრძანდითო. ვინაიდან ნაშუადღევს სხვა საგარეო საქმეთა მინისტრებთან შეხვედრა ჩემი სასტუმროს ანფილადაში გვქონდა დაგეგმილი, ჩვენი სატრანსპორტო საშუალებანი ჩემს განკარგულებაში აღარ იყო. ელბე იძულებული შეიქნა ნიუ-

იორკის პოლიციის საპატრულო პერსონალისთვის ეთხოვა ტრანსპორტი. მან მათ მოკლედ აუხსნა ვითარება და ჩვენ მანქანაში ჩავსხედით. საბჭოთა საელჩომდე ლურჯი შუქისა და სირენის თანხლებით მივგრიალდით, რაც ფრიად უჩვეულო მოვლენა გახლდათ და რამაც, ცხადია, ერთგვარი აჟიოტაჟიც კი გამოიწვია, თუმცა ეს ამავე დროს ალბათ მდგომარეობის სერიოზულობაზეც მიანიშნებდა. შევარდნაძე მელოდა. მან სთხოვა იუგოსლავიის საგარეო საქმეთა მინისტრს, ლონჩარს, რომელიც ის-ის იყო მოვიდა, გაგებით მოჰკიდებოდა მათი შეხვედრის დაყოვნებას. ენერგიულად განვუმარტე შევარდნაძეს შექმნილი ვითარება. მე მას შველას ვთხოვდი. ლტოლვილთათვის სასწრაფოდ უნდა მიეცათ გამგზავრების ნებართვა და ადამიანებს საელჩოს გარეთ უსაფრთხოდ დაბინავება უნდა შეძლებოდათ, რადგან მოსალოდნელი იყო, რომ ლტოლვილთა კიდევ უფრო დიდი ნაკადი მოაწყდებოდა საელჩოს. საბჭოთა საგარეო საქმეთა მინისტრმა მკითხა: „არიან თუ არა იქ ბავშვები, და თუ არიან, რამდენი?" „ბევრი". „დაგეხმარებით". მან გადაწყვიტა მიემართა გორბაჩოვისთვის, აღმოსავლეთ ბერლინისა და პრაღისთვის და გულის სიღრმემდე შეძრული ჩანდა ჩემი მონათხრობით. ფაქიზი მგრძნობელობის კაცმა ეს ყოველივე ადამიანურად აღიქვა, არანაირ იდეოლოგიურ თუ სახელმწიფოებრივ პრინციპთა ნიღაბს არ ამოჰფარებია. მას, რა თქმა უნდა, ახსოვდა, რაც ერთი წლის წინ აქ, ამავე ადგილას ვუთხარი. როცა საელჩოს ვტოვებდი, მის მარჯვენას მივწვდი, ორივე ხელით ჩავბღუჯე და მადლობა გადავუხადე.

პარასკევს, 29 სექტემბერს, დაახლოებით 17 საათზე, ის-ის იყო სასტუმროდან გასვლას ვაპირებდი, რათა ბონში გადავფრენილიყავი, რომ ტელეფონის ზარი გაისმა. საგარეო საქმეთა მინისტრის, ფიშერის თანამშრომელმა — ელჩმა ნიკლასმა — შეგვატყობინა, რომ მეორე დილით გდრ-ის მუდმივი წარმომადგენელი ახალი ინსტრუქციებით ეწვეოდა ბონის საგარეო საქმეთა უწყებას. „ბატონი ფიშერი უთვლის ბატონ გენშერს, რომ მასთან საუბარი ყოველთვის ღირს". ამის საპასუხოდ ფიშერს შევუთვალე: მუდმივი წარმომადგენელი საგარეო საქმეთა სამინისტროში კი არ უნდა გამოცხადდეს, არამედ, როგორც ეს აქამდეც მიღებული იყო, ფედერალური კანცლერის კანცელარიაში-მეთქი. გერმანულ-გერმანული ურთიერ-

თობის სწორედ ამ დრამატულ ფაზაში არ შეიძლებოდა სამთავრობო კომპეტენციის საზღვრების წაშლა, და ამის გამო, დაჟინებით მოვითხოვდი დადგენილი ნორმების, წესების კორექტულ დაცვას. საქმე ფორმალურ კომპეტენციას კი არ ეხებოდა, არამედ სტატუსის საკითხს; ვინაიდან გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკას ჩვენ უცხო სახელმწიფოდ არ განვიხილავდით, ის ერთადერთი სახელმწიფო გახლდათ, რომელთანაც ბილატერალური ურთიერთობების საკითხი ფედერალური კანცლერის კანცელარიის კომპეტენციას წარმოადგენდა. ვიდრე სასტუმროს დავტოვებდი, ფედერალურ კანცლერსა და სახელმწიფო მინისტრ ზაიტერსს ტელეფონით შევატყობინე ეს ამბავი.

ეს კვირა ევროპასა და მსოფლიოში, ცვლილებების თვალსაზრისით, მრავალმხრივი სიმბოლიკით იყო დატვირთული. მაშინ, როდესაც ჯერ კიდევ ვიბრძოდი გდრ-ის მთავრობისაგან გერმანელ ლტოლვილთა პრაღიდან გამგზავრებისთვის აუცილებელი ნებართვის მისაღებად, უნგრეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა დიულა ჰორნმა იმ მავთულხლართის ნაწილი გადმომცა, ოდესღაც უნგრეთ-ავსტრიის საზღვარზე რომ ჰყოფდა ევროპას. ერთობის ამ სიმბოლომ ჩემს ბიბლიოთეკაში დაიმკვიდრა საპატიო ადგილი, რათა ხშირად შემახსენოს ის, რაც იყო და ისიც, რომ შეუძლებელი არაფერია: არც ევროპის დაყოფა და ასევე, არც ამ დაყოფილობის მშვიდობიანი დაძლევა.

დიულა ჰორნთან საუბრისას შევიტყვე, რომ მას ევროპაში დაბრუნებასთან დაკავშირებით პრობლემები შეექმნა. შეეთავაზე ბუნდესვერის თვითმფრინავით ესარგებლა და ჩემთან ერთად ემგზავრა. ამგვარად, ნიუ-იორკიდან ბონამდე ჩემს გვერდით იჯდა იმ ქვეყნის საგარეო საქმეთა მინისტრი, რომელიც ჯერ კიდევ ითვლებოდა ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოდ. მისი თანდასწრებით დაუფარავად ვმსჯელობდით ჩვენს ხვალინდელ ჩანაფიქრსა თუ საზრუნავზე. ჩვენ მას ვენდობოდით, ის ჩვენიანი იყო. მან ადამიანურობა გამოიჩინა, გვაჩვენა, რომ უნგრეთი ახალ გზას დაადგა.

1989 წლის 30 სექტემბრის დილით ბონში დავეშვით. სახლში თავი მოვიწესრიგე და სახელმწიფო კანცელარიას მივაშურე. როდესაც აღმოსავლეთ ბერლინის მუდმივმა წარმომადგენელმა,

ნოიბაუერმა ფედერალურ მინისტრს ზაიტერსსა და მე განგვიმარტა, რომ ჩემს მიერ შეთავაზებული ორი ვარიანტის განხილვის შემდეგ არჩევანი მეორე – მაშასადამე, გდრ-ის ტერიტორიის გავლით ფედერაციულ რესპუბლიკაში გამგზავრების ვარიანტზე შეაჩერეს, მე ვუპასუხე: „მდგომარეობა კიდევ უფრო გამწვავდა. ამიტომ აუცილებელია, რომ მატარებლებს ფედერალური მთავრობის მაღალჩინოსანი მოხელეები გაჰყვნენ. გარდა ამისა, მე თვითონ გავემგზავრები პრაღაში, რადგან ყველა თვითმხილველი ერთხმად აცხადებს: სიტუაცია ისე დაიძაბა, რომ ლტოლვილებს საელჩოს დატოვების ეშინიათო. ვალდებული ვარ, დაუფარავად გითხრათ, რაც ხდება. ლტოლვილები თქვენ არ გენდობიან, მაგრამ დარწმუნებული ვარ, ადამიანებს პირადი თავდებობის წყალობით დავარწმუნებ, რომ მათ გდრ-ის ტერიტორიის გავლისას საფრთხე არ ემუქრებათ. გადამწვყეტი მნიშვნელობა ექნება ნდობის ფაქტორს, ამიტომ ბატონი ზაიტერსი და მე, მაღალი რანგის სხვა მოხელეებთან ერთად, მატარებლებს უნდა გავყვეთ“. ამის შემდეგ ნოიბაუერი ბად გოდესბერგის ბიუროში გაემგზავრა, აღმოსავლეთ ბერლინს დაუკავშირდა, კანცელარიაში დაბრუნდა და თანხმობა გამოგვიცხადა.

იმავე დღეს, ნაშუადღევს, ფედერალურ მინისტრ ზაიტერსთან ერთად პრაღაში გადავფრინდი. დიდ მნიშვნელობას ვანიჭებდი მის თანხლებას, რადგან შექმნილ ვითარებაში გარეშე თვალს უნდა დაენახა მთავრობისა და კოალიციის მხარდაჭერა. ჩვენთან ერთად იყვნენ: შიდაგერმანული ურთიერთობების ფედერალური სამინისტროს სტატსმდივანი პრისნიცი, საგარეო საქმეთა უწყებიდან მინისტერიალდირექტორი კასტრუპი, სახელმწიფო კანცელარიიდან მინისტერიალდირიგენტი დუისბერგი, საგარეო საქმეთა უწყებიდან მინისტერიალდირექტორი იანზენი და მინისტრის ბიუროს ხელმძღვანელი ფრანკ ელბე. ვიდრე ბუნდესვერის თვითმფრინავის კარი დაიხურებოდა, ტელეფონთან მიხმო უნტერ-ოფიცერმა. შემატყობინეს, რომ ვითარება კიდევ ერთხელ შეიცვალა; გდრ-ის მუდმივმა წარმომადგენელმა განმიცხადა, რომ რამდენიმე საათის წინ მიღწეული შეთანხმება დაირღვა, რადგან გდრ-ის მთავრობა წინააღმდეგი იყო, ფედერალური მინისტრები ზაიტერსი და გენშერი, მატარებლებს გაჰყოლოდნენ. ეს ინფორმაცია ცნობად მივიღე და იმაზე დავიწყე ფიქრი, როგორ შევძლებდი ამ ვითარებაში



*„ჩვენ თქვენთან მოვედით...“. პრაღის საელჩოში მომხდარი მოვლენებით თითქმის ორმოცდაათწლიანი გერმანულ-გერმანული პოლიტიკისა და პირადად ჰანს-დიტრიხ გენშერისათვის წრე იკვრება. „ეს იყო ჩემი პოლიტიკური ცხოვრების ყველაზე ამაღელვებელი წუთები“, – იტყვის ის მოგვიანებით.*

ლტოლვილების დარწმუნებას – ემგზავრათ გდრ-ის ტერიტორიის გავლით. ჩვენი თანხლება ამ საქმეს უსათუოდ გააიოლებდა. განვაცხადე, ელჩ ნოიბაუერს კიდევ ერთხელ დაველაპარაკები-მეთქი პრაღიდან. ამის შემდეგ მეორე თვითმფრინავი ვარშავაში გაფრინდა სტატსმდივან დოქტორ ზუდჰოფის თანხლებით.

პრაღისკენ მივფრინავდით და იმაზე ვფიქრობდი, რას ვეტყოდი პრაღის საელჩოში თავმოყრილ ადამიანებს. ამ წუთებში ერთი რამ იყო ჩემთვის ცხადი: ახლა მხოლოდ გდრ-ის რამდენიმე ათასი მოქალაქე კი არ ტოვებდა ჩვენს საელჩოს ფედერაციულ რესპუბლიკაში გასამგზავრებლად, არამედ ისტორიული მოვლენის მოწმენი ვხდებოდით: გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა აღსასრულის პირას იდგა. ყველაფერი, რაც იქ ხდებოდა, ეს არსებითად იყო

გდრ-ის რლვევა შიგნიდან და ქვემოდან. თვალსაწიერზე ბერლინის კედლის აღსასრულიც გამოიკვეთა. თუკი გდრ-ის მოქალაქეების უნგრეთიდან გასვლა აღმოსავლეთ ბერლინის ხელისუფალთა მრისხანე პროტესტის მიუხედავად მოხდა, პრაღის საელჩოდან – ოცი დღის შემდეგ – ადამიანები უკვე ამავე ხელისუფლების თანხმობით მიემგზავრებოდნენ. ლტოლვილთა ნაკადი ისტორიის წყალუხვ მდინარედ გადაიქცა. ახდა ის, რაზეც ჩემს გამოსვლებში ყოველთვის მივუთითებდი: ,,დაყოფა-დაშორების ათწლეულებიც კი ვერ შეძლებს ერთი ერის ორ ერად ჩამოყალიბებას". მახსენდებოდა ისიც, რომ გდრ-ის მოქალაქეების შეფარება ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპის ფედერალურ საელჩოთა მიერ, ფედერაციულ რესპუბლიკაში დაძაბულობის შენელების პოლიტიკის ხელისშემშლელ მიზეზად აღიქმებოდა. აღმოსავლეთ ბერლინის მოთხოვნას, გდრ-ის მოქალაქეთათვის ჩვენი საელჩოების კარი დაგვეხურა, ჩვენთან გაგებით მოეკიდნენ – ამ დამამცირებელი მოთხოვნის შესრულებას მე ყოველთვის ვეწინააღმდეგებოდი. ჩვენ თვითონ არ უნდა ვქცეულიყავით გამიჯვნის პოლიტიკის ხელშემწყობ ძალად, ჩვენი საელჩოების კარიბჭეებთან კიდევ ერთხელ არ უნდა აღგვემართა ადმინისტრაციული კედელი.

ნაშუადღევს პრაღის აეროპორტში საესებით ოფიციალური შეხვედრა მომიწყო ჩეხოსლოვაკიის საგარეო საქმეთა სამინისტროს სტატსმდივანმა. ეს იმას ნიშნავდა, რომ მთავრობა ჩემს ვიზიტს ოფიციალურ მნიშვნელობას ანიჭებდა. დაუყოვნებლივ გავეშურეთ ჩვენი საელჩოსკენ. საელჩოს წინ ადამიანების დიდ ჯგუფს მოეყარა თავი, დაძაბულნი ელოდნენ ჩვენს გამოჩენას. შენობაში შევაბიჯეთ და ზღურბლიდანვე დავინახეთ სამსართულიანი საწოლები: ლტოლვილთა ნაწილი იწვა, რადგან ადგილი აღარ იყო.

ელჩი ჰუმერი გამიძღვა. ხალხმა თავიდან ვერც კი აღიქვა ის ფაქტი, რომ საგარეო საქმეთა მინისტრი ჩამოვიდა. მძინარე ადამიანებს შორის მივიკვლევდით გზას და ელჩის აპარტამენტებში, ბოლო სართულზე კიბით ავედით. იქიდან კიდევ ერთხელ დავურეკე ელჩ ნოიბაუერს, რათა მოსალოდნელი შედეგები გაეთვალისწინებინა, თუკი ზაიტერსი და მე ლტოლვილებთან ერთად არ გავემგზავრებოდით. ნოიბაუერმა შემატყობინა, რომ აღმოსავლეთ ბერლინიდან ახალი მითითებები არ მიმიღიაო. მაშასადამე, ადამიანთა ნდობა სხვა გზით

უნდა მოგვეპოვებინა. დეტალების განხილვის შემდეგ ელჩს ვუთხარი: „ბატონო ჰუბერ, ალბათ დროა აივანზე გავიდეთ და ხალხს ამის შესახებ ვაცნობოთ“. გავედით. „ძვირფასო თანამემამულენო“, ჩემს ამ მიმართვაზე სიხარულის ქარიშხალი ამოვარდა, — „ჩვენ მოვედით, რათა გაუწყოთ...“ — წინადადება დამთავრებული არ მქონდა, რომ აღტაცების შეძახილები ისევ გაისმა. დღესაც, წლების შემდეგ, ამ წუთების გახსენებისას კვლავ საოცარი მღელვარება მეუფლება. შემდეგ განვაცხადე: „პირველი მატარებელი დღესვე გავა. გთხოვთ, რომ ჯერ ავადმყოფებს და ჩვილბავშვიან დედებს მისცეთ გამგზავრების საშუალება“. და მერე ვთქვი: „მინდა გითხრათ, რა მარშრუტს გაივლით. მატარებლები ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკისა და გდრ-ის საზღვარს გადაკვეთენ“.

ამ ინფორმაციამ იქ შეკრებილნი ძალზე შეაშფოთა. „გთხოვთ, მომისმინოთ!“, განვაგრძე მე, „მატარებლები შეუჩერებლად ივლიან. თქვენ მატარებლიდან გადმოსვლა არ მოგიწევთ. ვიცი, რასაც განიცდით. მეც თქვენი ტოლი ვიყავი, როცა გდრ დავტოვე, ამიტომ კარგად მესმის, რასაც ახლა გრძნობთ, რაც გაწუხებთ“. ვხედავდი, რომ მხოლოდ პიროვნულ უტყუარობას შეეძლო ადამიანებისთვის რწმენა და ნდობა ჩაენერგა: „როდესაც ჩემნაირცხოვრებაგამოვლილი, ჩემნაირი ბედისწერის ადამიანი იღებს თავის თავზე, რომ დაპირებები შესრულდება, შეგიძლიათ ენდოთ მის ნათქვამს“. კვლავ ტაში გაისმა. „ყოველ მატარებელს ჩვენი მხრიდან ორი წარმომადგენელი გააცილებს, ფედერალური კანცელარიისა და საგარეო საქმეთა უწყებების თანამშრომლები. ისინი ახლა აქ არიან“. მე წარვადგინე ეს თანამშრომლები: „ესენი არიან მინისტერიალდირექტორი დოქტორი იანზენი და საელჩოს მრჩეველი ელბე, მინისტერიალდირიგენტი დუისბერგი ფედერალური კანცელარიიდან და სტატსმდივანი პრისნიცი. ყველა მათგანი თქვენთან ერთად იმგზავრებს. შეგიძლიათ გვერწმუნოთ“. შემდეგ კი დავინტერესდი ჩემი მშობლიური ქალაქიდანაც თუ იყო ვინმე ლტოლვილთა შორის და ვიკითხე: „თქვენს შორის ჰალედან ხომ არ არის ვინმე?“ რამდენიმე ადამიანი მყისვე გამომეხმაურა, — დიახ, აქ ვართო. ეს დაუვიწყარი წუთები იყო ჩემთვისაც და საელჩოში შეკრებილი ადამიანებისთვისაც. დღემდე, თუ შემთხვევით სადმე შევხვდებით, ისევ და ისევ მახსენებენ, — მაშინ, პრაღის საელჩოში, ჩვენც იქ ვიყავითო.

პირველმა მატარებელმა 1989 წლის 30 სექტემბრის საღამოსვე დატოვა პრაღა და გეზი გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისკენ აიღო. ჩვენმა წარმომადგენლებმა, რომლებიც მატარებელს გაჰყვნენ, მეორე დილითვე დამირეკეს და მითხრეს, — ვერც წარმოიდგენთ, გზაში რა განვიცადეთო. სოლიდარობა-თანაგრძნობის გამოხატვას განუზომელი მასშტაბები შეეძინა. ყველგან, მთელი მარშრუტის მიმართულებით, გდრ-ის მოქალაქეები სოლიდარობას გამოხატავდნენ და ესალმებოდნენ მატარებელში მყოფთ. ზოგიერთს ზეწრებიც კი გამოეკიდა ფანჯარაში.

ნიუ-იორკში, საგარეო საქმეთა მინისტრ ფიშერთან საუბრის შემდეგ, ვინმეს რომ ეკითხა ორი „ვარიანტიდან" მაინც რომელს მიანიჭებს გდრ უპირატესობასო, მე პირველ ვარიანტს ავირჩევდი: გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკისკენ მიმავალ პირდაპირ გზას. როგორ ვერ გაითვალისწინა აღმოსავლეთ ბერლინის ხელისუფლებამ ის, თუ რა ფსიქოლოგიურ ზემოქმედებას მოახდენდა ათასობით ლტოლვილით სავსე მატარებელი გდრ-ის მოქალაქეებზე. ზეგავლენა კი აშკარა იყო. უნგრეთიდან ავსტრიის გავლით პირდაპირ გამგზავრებას ალბათ ასეთი სერიოზული შედეგები არ მოჰყვებოდა; მაგრამ პოლიტიკური მდინარის ნაკადი უკვე დაძრულიყო და შეუფერხებლად მიიკვლევდა გზას გდრ-ის ტერიტორიაზე. ეს ნაკადი პრაღაში იწყებოდა, ევროპის ქალაქთა შორის ყველაზე ევროპულ ქალაქში. ამ პროცესს ადამიანთა ნება, თავისუფლებისა და თვითგამორკვევისკენ ადამიანთა სწრაფვა მატებდა ძალას. რამდენ ხანს ველოდი ამ წუთებს, რამდენი დრო შევალიე ამის მიღწევას! ეს მიზანი ხომ ძალიან დიდხანს ძნელი და შორეული მომავალის საქმე ჩანდა, მოგვიანებით ის შესაძლებლობად იქცა და ბოლოს ისე უცაბედად გახდა ხელმისაწვდომი, რომ თავი სიზმარში მეგონა. როცა პრაღიდან უკან, ბონში მივფრინავდი, როგორც თავისუფალი გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრი, ჩემი ფიქრები მშობლიურ ჰალეში გატარებულ ბავშვობისა და ახალგაზრდობის წლებს დასტრიალებდა: რას არ გავიმეტებდით ჩვენ მაშინ, რომ ნაციონალ-სოციალიზმისგან გათავისუფლებისა და მეორე მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ კიდევ ერთხელ მოგვცემოდა გაერთიანებულ, დემოკრატიულ გერმანიაში ცხოვრების ხელახლა დაწყების შანსი! ახლა კი იმედი გამიჩნდა, რომ ორმოცზე მეტი წლის შემდეგ ეს ოცნება შეიძლება აღსრულებულიყო.

ნაწილი I

# ჰალედან ბრემენის გავლით ბონისკენ

## თავი I

## ბავშვობა და სიჭაბუკე 1945 წლამდე

### *ოჯახური ფესვები*

დავიბადე 1927 წლის 21 მარტს, ჰალესთან მდებარე რაიდებურგში, მამაპაპურ სოფლურ სახლში. ეს კარ-მიდამო დედაჩემის მშობლების საკუთრება გახლდათ და ოცდათხუთმეტ ჰექტარს მოიცავდა. ჩემი მშობლებიც სოფლად დაიბადნენ და გაიზარდნენ. დედაჩემი, ჰილდა, ქალიშვილობის გვარი კრაიმე, რაიდებურგელი იყო. რაიდებურგი დღეს ჰალეს ნაწილია. დედაც იმ სახლში დაიბადა, სადაც მე.

იმდროინდელ სოფელ რაიდებურგში დაახლოებით ხუთი ათასი მაცხოვრებელი იყო. აქ მრავალი მაღალი და საშუალო ჩინის მოხელე ცხოვრობდა. ამ მხარეში დაფუძნდა რაიხის საერთო საცხოვრებელი, ანუ როგორც მას ახლა ჰქვია — „მოხელეთა საცხოვრებელი". მოსახლეობის სხვა, ასევე მნიშვნელოვან ნაწილს ის სპეციალისტები წარმოადგენენ, რომლებიც ქიმიურ ინდუსტრიაში მუშაობდნენ. ამას რაიდებურგის სოფლის მეურნეობისთვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, რადგან ხელფასს კონკურენცია უნდა გაეწია ანაზღაურების იმ სტანდარტისთვის, რაც ინდუსტრიულ სფეროში იყო დადგენილი. ასე რომ, ჩვენი სოფელი თანდათან ჰალეს „ბოსტნეულით მომმარაგებელ" გარეუბნად გადაიქცა, ეს კი სავარგულების თანამედროვე მეთოდებით ინტენსიურ დამუშავებას, ხელოვნური სარწყავი სისტემების დანერგვასა და ტრაქტორების გამოყენებას აუცილებელს ხდიდა.

დედა 1901 წლის 4 ივნისს დაიბადა. 1907 წლიდან ის შიონევიცის სახალხო სკოლაში სწავლობდა; შიონევიცი რაიდებურგს მოგვიანებით შეუერთდა. გათხოვებამდე სახლსა და მეურნეობას უვლიდა, რამაც მძიმე გარჯის დაღიც დაამჩნია. საუკუნეთა მიჯნაზე

დაბადებულთა თაობას საერთოდაც იოლი ცხოვრება არ რგებია: ორი მსოფლიო ომი, იმპერიის ნგრევა, ვაიმარის რესპუბლიკა, ჰიტლერული დიქტატურა, საზოგადოებრივი, ეკონომიკური და პოლიტიკური სტრუქტურების ხელახალი რღვევა, — ერთი ადამიანის ცხოვრებისთვის ეს ძალზე ბევრი გახლდათ.

მამა, კურტ გენშერი, წარმოშობით კლეფციგიდან იყო. ეს მამული ოცდახუთ ჰექტარს მოიცავდა და რაიდებურგიდან შვიდი კილომეტრის დაშორებით, მის აღმოსავლეთით მდებარეობდა. მაშინ კლეფციგი დელიცის ოლქს ეკუთვნოდა, დღეს კი ზაალეს ოლქშია მოქცეული. მამის მხრიდან ჩემს პაპა-ბებიას ხუთი შვილი ჰყავდა: ქალიშვილი და ოთხი ვაჟი. ეს უკანასკნელნი მან საოლქო ქალაქ დელიცში გააგზავნა „პანსიონში", როგორც თვითონ ამბობდა, სადაც ისინი საშუალო რეალურ სასწავლებელში სწავლობდნენ. ორმა მათგანმა „ერთწლიანი" — საშუალო სიმწიფის — ატესტატით მიატოვა სკოლა და ისევ მეურნეობას დაუბრუნდა. ერთ-ერთმა მათგანმა — არტურმა — მოგვიანებით თვითონ ითავა მამისეული მეურნეობის მოვლა-პატრონობა. მამაჩემი და მისი უმცროსი ძმა, მაქსი კი სწავლას აგრძელებდნენ. საერთოდ, მამაჩემს მხატვრობა იზიდავდა, მაგრამ ბაბუას აზრით, ეს უშემოსავლო ხელობა იყო და უფროს ვაჟს ჩასჩიჩინებდა იურისპრუდენცია შეესწავლა. მამაჩემმაც 1919 წელს, პირველი მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ, ისევე როგორც მე — 1946 წელს, მეორე მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ — სამართალმცოდნეობის შესწავლა დაიწყო.

დაქორწინების შემდეგ ჩემი მშობლები რაიდებურგის მამულში დასახლდნენ. ეს მამული ოცდაათწლიანი ომის შემდეგ დედაჩემის ოჯახის, კრაიმეების საკუთრებას წარმოადგენდა. მხოლოდ 1933 წელს გადავედით ჰალეში, სადაც მამა იურისკონსულტად მუშაობდა ერთ სასოფლო-სამეურნეო გაერთიანებაში; როგორც კი დროს ვიხელთებდი, მაშინვე რაიდებურგში მივეშურებოდი ტრამვაითი ან კიდევ უფრო შორს, შვიდი კილომეტრით დაშორებულ კლეფციგში მცხოვრებ პაპა-ბებიასთან მივემგზავრებოდი ველოსიპედით.

მამაჩემს პირველი მსოფლიო ომის დროს ფრონტზე თირკმელები ისე დაუავადდა, რომ მკურნალობას აღარ ექვემდებარებოდა. მას 1936 წელს ჩირქოვანი ჰაიმორიტი დაემართა, რამაც სისხლის მოწამვლა გამოიწვია და სიცოცხლეც მოუსწრაფა. პენიცილინი

*უკანასკნელი შეებულება დედ-მამასთან ერთად ტიურინგიის ტყეში 1936 წელს. მამა, იმ წლებში უკვე მძიმედ დაავადებული, ნახევარი წლის შემდეგ გარდაიცვალა. ფოტოსურათი გადაღებულია ამ წიგნის ავტორის მიერ.*

მაშინ ჯერ არ არსებობდა. მამა 1937 წლის 26 იანვარს გარდაიცვალა.

მაშინ ცხრა წლის ვიყავი და მამის სიკვდილი მძიმედ გადავიტანე. მშველოდა ის, რომ დიდ ოჯახში ვიზრდებოდი. დედულეთში დედაჩემის მშობლები ცხოვრობდნენ, მათთან ერთად იყვნენ დედაჩემის – მასზე ათი წლით უმცროსი – ძმა, რომელიც ჯერ დაოჯახებული არ იყო და დაქვრივებული და, შვილებითურთ. ჩემმა მშობლებმა სწორედ დედაჩემის დას დაუთმეს სახლი, როცა ჰალეში გადავიდნენ, დეიდაჩემის ქმრის, რესტორნის მეპატრონის გარდაცვალების შემდეგ. პაპაჩემი, ოტო კრაიმე, მამის მაგივრობას მიწევდა და ჩემს მთავარ მამაკაცურ საყრდენს წარმოადგენდა. ის გულჩათხრობილი, განათლებული და დიდი პიროვნული ავტორიტეტის მქონე კაცი გახლდათ და დიდ პატივს ვცემდი. თურმე მასწავ-

ლებლობა სურდა, მაგრამ მამამისს, ესე იგი ჩემი პაპის მამას, გადაუწყვეტია: შენ უფროსი შვილი ხარ და მამულსაც შენ უნდა უპატონოო. ასე რომ, იძულებული გახდა „ერთწლიან“ ატესტატს დასჯერებოდა და სკოლა მიეტოვებინა. სავალდებულო სამხედრო სამსახური საუკუნის მიწურულს ლოტარინგიის დიდენჰოფენში მოიხადა, იქიდან კი ყოველივე ფრანგულის დიდ თაყვანისმცემლად დაბრუნდა.

ის ბევრს კითხულობდა, მათ შორის, ფრანგულ გაზეთებსა და წიგნებსაც; კარგად მახსოვს, როგორ შეიძინა გრძელტალღებიანი რადიომიმღები, რათა ფრანგულენოვანი გადაცემებისთვის ესმინა. როცა კვირა დღეს მასთან ერთად ვატარებდი, ის საფრანგეთზე მიყვებოდა. ამბობდა: ეს საოცარი ქვეყანაა და მასთან აღარასოდეს არ უნდა ვიომოთო! როცა ჰიტლერი 1940 წელს თავს დაესხა საფრანგეთს, ჩემი ფრანკოფილი პაპისთვის თითქოს სამყაროს აღსასრულის ჟამი დადგა. მტკივნეულად განიცდიდა, რომ მისი ვაჟი, ბიძაჩემი, 1945 წელს ტყვედ ჩავარდა და ნორვეგიიდან საფრანგეთში გადაიყვანეს, ხოლო როცა 1947 წელს პაპა გარდაიცვალა, ჯერაც არ იყო დაბრუნებული. პაპაჩემი კი მისი ნახვის იმედით ცოცხლობდა, ძალ-ღონეს არ იშურებდა, როგორმე შეენარჩუნებინა ვაჟისთვის თავისი მამული, რაც საბჭოთა საოკუპაციო სექტორში, 1945 წლის შემდეგ, არც ისე იოლი გახლდათ. გლეხობას მაღალი გადასახადებით აწამებდნენ: ხან „რძის ბეგარას“ ზრდიდნენ, ხანაც „ხორცის ბეგარას“; ხოლო როცა „ხორცის ბეგარის“ გასასტუმრებლად ძროხებს ერთიანად გაწყვეტდნენ, „რძის გადასახადს“ ზრდიდნენ. ასეთი ოინბაზური ხრიკებით აიძულებდნენ გლეხებს მუდმივად ვიღაცაზე ყოფილიყვნენ დამოკიდებულნი. პაპის გარდაცვალების შემდეგ მთელი სიმძიმე ტვირთად ბიძაჩემის ახალგაზრდა ცოლს დააწვა, ბიცოლაჩემს, რომელიც მხოლოდ შვიდი წლით იყო ჩემზე უფროსი.

პაპაჩემი კრაიმე, ძალზე ვიტალური და სნეულებაუკარები კაცი, ოჯახში დიდი პატივისცემით სარგებლობდა. როცა ლოგინად ჩავარდა, ყველა თავს ეხვია: დაქვრივებული ქალიშვილები, რძალი, ფრანგების ტყვეობაში მყოფი ქმრის დაბრუნებას რომ ელოდა, და უფროსი შვილიშვილები. მოსაღამოვდა და ბაბუამ მშვიდად მიიძინა.

მამაჩემის მამა, ფრანც გენშერი, უფრო ავტორიტარული კაცი

გახლდათ. მართვის სადაველები ხელთ მაგრად ეპყრა; ის იყო სახლში ბატონ-პატრონი. მის თვალში ყველაზე მეტად ფასობდა მეურნეობაში მიღწეული წარმატება. როცა სააღდგომოდ მთელი ოჯახი მის მამულში იკრიბებოდა, სადილის შემდეგ ვაჟებთან ერთად ჩამოჯდებოდა და ისინიც ანგარიშს აბარებდნენ მეურნეობის საქმეებთან დაკავშირებით: როგორი მოსავალი მიიღეს, საგირავნო დროულად გადაიხადეს თუ არა, ყაირათიანად ხარჯავდნენ ოჯახში ფულს თუ არა.

მოგვიანებით ბაბუაჩემის ხელნაწერი აღმოვაჩინე, მამაჩემისადმი მიწერილი წერილი. ეკლესია ერთი ნაკვეთის ივჯარით გაცემას აპირებდა, ბაბუაჩემს კი იმ ნაკვეთის აღება სურდა, მაგრამ უშედეგოდ. უპირატესობა მეორე გლეხს არგუნეს. ამასთან დაკავშირებით ძალზე ლოგიკური იყო, რასაც ის მამაჩემს სწერდა: „ჩემო საყვარელო შვილო, დიდად იმედგაცრუებული ვარ, რადგან ცდილობ, რომ მღვდლების წინააღმდეგ სარჩელის აღძვრა გადამაფიქრებინო. განა ამისთვის გასწავლე, დიდი მსხვერპლის ფასად, იურისპრუდენცია? შენი დამწუხრებული მამა“.

## *ჰალე და ჰალეს შემოგარენი*

მთელი ცხოვრება ვამაყობდი ჩემი მშობლიური ქალაქ ჰალეთი. თანამედროვე და ღია ინდუსტრიული მეტროპოლისით, კულტურული ცენტრითა და საუნივერსიტეტო ქალაქით. განათლებული საზოგადოება ქალაქსა და მის შემოგარენში ისევე განსაზღვრავდა ჰალეს ხასიათს, როგორც ინდუსტრიული სფეროს თავდაჯერებული, მაღალკვალიფიციური წარმომადგენლები. მოსახლეობის რიცხვი ორასოცდაორი ათასიდან სამას ათასამდე გაიზარდა. მოგვიანებით, გდრ-ის დაარსების შემდეგ, ჰალეს დასავლეთით ქალაქი-სატელიტი ჰალე-ნოიშტადტი გაშენდა, რომელიც დღეს ჰალეს ნაწილია.

ინდუსტრიული მნიშვნელობა ჰალემ ქიმიური მრეწველობით, ვაგონმშენებლობით და სპეციალური დანადგარების წარმოებით შეიძინა. თუკი ოდესღაც ატმოსფეროს აქ განმანათლებლობა განსაზღვრავდა თავისი კონტროვერსებით, ახლა, ამ განვითარებად ინდუსტრიულ ქალაქში სოციალური დაპირისპირება აშკარა გამოხატულებას პოვებდა,

ხოლო მუშათა და პროფკავშირული მოძრაობები გავლენას ახდენდნენ ქალაქის განვითარებაზე. ნაციონალ-სოციალისტური რეჟიმის თორმეტწლიანი ბატონობის პერიოდში ჰალეში — როგორც მთელ იმპერიაში — ადგილი ჰქონდა პოლიტიკურ და რასისტულ ნიადაგზე ადამიანთა დევნას და იყვნენ ისეთებიც, ვინც აქტიურად მონაწილეობდნენ 1944 წლის 20 ივლისის მოვლენების მომზადებაშიც*.

ქალაქი, სადაც მე გავიზარდე, მხოლოდ მნიშვნელოვან ინდუსტრიულ ცენტრს არ წარმოადგენდა. ქალაქის სახეს ამავე დროს ქმნიდა გიბიხენშტაინის ციხესიმაგრის** შემოქმედებითი სახელოსნოები, რომლებიც ოციანი წლების დასასრულს და ოცდაათიანი წლების დასაწყისში მჭიდროდ უკავშირდებოდნენ დესაუს ბაუჰაუსს***. გიბიხენშტაინის უკანასკნელი დირექტორი, 1933 წლამდე, დიდი მოქანდაკე, გერჰად მარკსი იყო. ჩემთვის განსაკუთრებით სასიხარულოა, რომ ოთხმოციან წლებში შესაძლებლობა მომეცა, კიოლნში, მარკსის გამოფენაზე სიტყვა წარმომეთქვა და ხაზგასმით აღმენიშნა, რომ ეს ადამიანი მხოლოდ მნიშვნელოვანი ხელოვანი კი არა, დიდი პიროვნებაც ბრძანდებოდა, რომელიც ჰალეში ნაციონალ-სოციალისტების მხრიდან დევნის მსხვერპლი გახდა. ჩემი გამოსვლისას სურვილი გამოვთქვი, რომ ოდესმე ჰალეში ჩავიდოდი და შევძლებდი პატივი მიმეგო მისთვის და გამეხსენებინა, თუ რა უსამართლოდ მოექცნენ მას.

ჰალეში ხელოვნების დიდ მოამაგედ და მეცენატად იცნობდნენ რიხარდ რობერტ რივეს, რომელიც ჯერ კიდევ კაიზერის დროს ქალაქის თავი იყო. 1906 წლის 2 აპრილიდან 1933 წლამდე ის ქალაქის სათავეში იდგა და სანიმუშოდ უთავსებდა ერთმანეთს ხელოვნების სიყვარულსა და კომუნალურ პოლიტიკას როგორც კონრად ადენაუერი — კიოლნში, ერნსტ როიტერი — მაგდებურგში, კარლ გიორდელერი — ლაიფციგში, იგი ვაიმარის რესპუბლიკის

---

* იგულისხმება ჰიტლერზე წარუმატებელი თავდასხმა. (რედ.)

** გიბიხენშტაინის ციხესიმაგრე — ქ. ჰალეს ღირსშესანიშნაობა, 968 წლიდან მაგდებურგის არქიეპისკოპოსთა რეზიდენცია. ციხესიმაგრეში მდებარეობს ხელოვნების უმაღლესი სკოლა. (რედ.)

*** ბაუჰაუსი — ქ. დესაუს ღირსშესანიშნაობა, აგებული 1925-26 წ.წ. აქ დაიდო ბინა ვაიმარიდან გაძევებულმა დიზაინის უმაღლესმა სკოლამ, ვიდრე 1932 წ. ნაციონალ-სოციალისტებმა არ დახურეს. (რედ.)

ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ბიურგერმაისტერი გახლდათ. მისი ინიციატივით მორიცბურგის ერთ-ერთ კოშკში საცხოვრებელი და სახელოსნო გამოუყვეს ლაიონელ ფაინინგერს. ამ წლებში ფაინინგერი არამარტო თავის განთქმულ ჰალეს ხედებს ხატავდა, არამედ ცენტრალური გერმანიის საეკლესიო მოტივების გამოყენებითაც ქმნიდა სურათებს. სახვითი ხელოვნების, პოლიტიკისა და ეკონომიკის ამგვარ ტრადიციულ კავშირს ჰალეში ფესვები კიდევ უფრო შორეულ წარსულში — მე-18 საუკუნეში აქვს გადგმული. „რაიჰარდის ბაღში", — რაიჰარდი ხელოვნების მეცენატი და ბანკირი იყო, — იკრიბებოდნენ გერმანული რომანტიზმის თვალსაჩინო წარმომადგენლები, მათ შორის იყო იოზეფ ფონ აიხენდორფიც.

მე-17 საუკუნეში ჰალე, ფრანკეს საქველმოქმედო ფონდების დახმარებით, პედაგოგიურ ცენტრად გადაიქცა. 1727 წელს ფონდების დამაარსებლის, აუგუსტ ჰერმან ფრანკეს გარდაცვალების შემდეგ ფონდებმა ნელ-ნელა დაკარგეს პიეტისტური ხასიათი; ისინი თანდათან მნიშვნელოვან სასკოლო ცენტრებად გარდაიქმნა და ობოლ ბავშვთა სახლთან ერთად ევროპულ სოციალურ ორგანიზაციად ჩამოყალიბდა. სხვათა შორის, ფრანკემ, რომელიც განმანათლებლობის რადიკალური მოწინააღმდეგე გახლდათ, დიდი გავლენა მოახდინა პრუსიის მეფე ფრიდრიხ ვილჰელმ პირველზე, რის შედეგადაც ფრიდრიხმა განმანათლებელი ფილოსოფოსი ქრისტიან ვოლფი 1723 წელს ჰალედან გაიწვია. ვოლფი 1694 წელს დაარსებულ უნივერსიტეტში ასწავლიდა და ფილოსოფოს ქრისტიან თომაზიუსთან ერთად ამ უნივერსიტეტს სახელიც გაუთქვა. ასე იქცა ჰალეს უნივერსიტეტი გერმანული სულიერი ცხოვრების, უპირველეს ყოვლისა კი განმანათლებლობის ცენტრად.

ჰალეში პროგრესული შეხედულებები ჰქონდათ: ჯერ კიდევ 1754 წელს აქ, პირველად გერმანიაში, ქალმა მოიპოვა მედიცინის დოქტორის ტიტული — ეს იყო დოროთეა ფონ ერქსლებენი. საერთოდ უნივერსიტეტი და სკოლები, ფრანკეს ფონდებთან და ქალაქის სკოლებთან ერთად, დიდ გავლენას ახდენდნენ ჰალეს მოქალაქეთა აზროვნებაზე, მიუხედავად იმისა, რომ ჰალეს იურიდიული სკოლა ბოლოს ლაიფციგის უნივერსიტეტის ცნობილმა სამართალმცოდნეობის ფაკულტეტმა დაჯაბნა.

ჰალელები თვისტომობით საქსები არიან, თუმცა სახელმწი-

ფოებრივ-სამართლებრივი თვალსაზრისით საქსონიის სამეფოს შემადგენლობაში არასდროს ყოფილან. ოცდაათწლიანი ომის შემდეგაც ჰალე მაგდებურგის საეპისკოპოსოს ნაწილი იყო, ვიდრე 1680 წელს — 1648 წლის ვესტფალიის ზავის შედეგად ბრანდენბურგ-პრუსიის შემადგენლობაში არ მოხვდა. 1815 წელს ჰალე პრუსიის პროვინციას, საქსონიას შეუერთდა, რომლის დედაქალაქი მაგდებურგი იყო. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ 1952 წლამდე ამ პროვინციას „საქსონია-ანჰალტის მხარე" ერქვა. ჰალე დედაქალაქი გახდა.

მე, შეიძლება ითქვას, — რამდენადაც ეს მაშინ შესაძლებელი იყო — უზრუნველი ბავშვობა მქონდა. სანამ ჰალეში გადავიდოდით, 1933 წლამდე, სოფლად ვიზრდებოდი. სახლი და ეზო, საჯინიბოები, მდელოები და მინდვრები, — აი, ეს იყო ჩემი სამყარო. ვხედავდი, როგორ იგებდა ძროხა ხბოს, როგორ ყრიდნენ ღორები გოჭებს. ჩემს ძაღლთან, რომელსაც „დიოლი" ერქვა — გერმანულ დრატჰაართან ერთად ვიყოფდი ხუხულას, ხოლო საღამოობით საჯინიბოში წითურფაფრიან ცხენთან განვიხილავდი ჩემს ყოველდღიურ საჭირბოროტო საკითხებს.

ჩემმა მშობლებმა ჰალეში, ლინდენშტრასეს 2 ნომერში დაიქირავეს ხუთოთახიანი ბინა, სადაც ნააღდგომევს გადავედით. ერთი კვირის შემდეგ რაიდებურგის სკოლიდან ჰალეში — იოანეს სახალხო სკოლაში გადავედი. სკოლაში სიამოვნებით დავდიოდი. სწავლა არ მიჭირდა, მეხალისებოდა კიდეც. ვფიქრობ, ყოველთვის ცოდნასმოწყურებული მოსწავლე ვიყავი.

ყველაზე მეტად იმ ხანებში ჩემი ველოსიპედით ვამაყობდი, რომელიც — უკვე ნახმარი — მამამ ათ რაიხსმარკად მიყიდა, რაც მაშინ დიდი ფული გახლდათ. მამაჩემზე ნათელი მოგონებები შემომრჩა: ის მზრუნველი და მოსიყვარულე კაცი იყო, რომელსაც ხელოვნება იზიდავდა. იქნებ მისგან გამომყვა ჰარმონიისა და ზომიერებისაკენ მიდრეკილება. სამწუხაროდ, ამასვე ვერ ვიტყვი მის ესთეტიკურ მონაცემზე. ის საკმაოდ კონსერვატული პრინციპების ადამიანი იყო, როგორც ოჯახის ორივე შტოს თითქმის ყველა წევრი. მამაჩემი გერმანიის ეროვნული სახალხო პარტიის წევრი გახლდათ და ნაციონალ-სოციალიზმის მიმართ კრიტიკულად იყო განწყობილი. არასდროს დამავიწყდება, რა დაჟინებით იმეორებდა: ჰიტლერი ომს ნიშნავსო.

*სავალდებულო ფოტო, გადაღებული სკოლაში მისვლის პირველ დღეს. 1933 წლის აღდგომა.*

ჩემს მიმართ მამაჩემი ძალზე ლმობიერი იყო. თუმცა ერთხელ, ეს მოხდა 1936 წლის შობის წინა დღეებში, მაშასადამე მის

გარდაცვალებამდე რამდენიმე კვირით ადრე, ციგურაობის შემდეგ მეგობარს შინ გავყევი. მშობლები შეშფოთებულან, ვაითუ ხიფათი შეემთხვაო. ხომ შეიძლებოდა ციგურებით სრიალისას ყინული ჩამტეხოდა! დაღამებიდან რამდენიმე საათის შემდეგ მამაჩემი სახლში ველარ გაჩერდა და ძებნა დამიწყო. როცა ასიოდე მეტრის მოშორებით სტვენა-სტვენით მომავალი დამინახა, არც აცია, არც აცხელა, ხელჯოხი მომცხო. ეს პირველი და უკანასკნელი შემთხვევა იყო, როცა მამამ მცემა.

1937 წლის 26 იანვრის საღამოს დედა საავადმყოფოდან დაბრუნდა. სახეზე ეტყობოდა, რაც მოხდა. მამა გარდაიცვალა. ტირილისგან ძალაგამოლეულს დიდ ოთახში ტახტზე ჩამეძინა.

მამაჩემის სიკვდილმა დედაჩემი და მე, მისი ერთადერთი შვილი, კიდევ უფრო დაგვაახლოვა. ამავე დროს კიდევ მოხდა რაღაც ისეთი, რაც მოგვიანებით შინაგან და საგარეო საქმეთა მინისტრ გენშერისთვის მნიშვნელობას შეიძენს. დედაჩემი მხოლოდ და მხოლოდ ოცდათხუთმეტი წლის გახლდათ, მამაჩემი რომ გარდაიცვალა და სულ მარტო დარჩა. ამიტომაც ურჩევდნენ ნაცნობები და ნათესავები, დამხმარე აეყვანა, რომ მთელი დრო ჩემთან მარტო არ ყოფილიყო. ასე მოხვდა ჩვენს ოჯახში მარიანე ბედნერსი, რომელიც წარმოშობით ზიბენბიურგენიდან, კრონშტადტელი გერმანული ოჯახიდან იყო. თვრამეტი წლის მარიანე ჰალეს პედაგოგიურ ინსტიტუტში სწავლობდა, ორი წლის განმავლობაში ჩვენთან ერთად ცხოვრობდა და ბევრს ყვებოდა თავის სამშობლო ზიბენბიურგენზე.

როცა 1969 წელს შინაგან საქმეთა მინისტრი გავხდი, დევნილთა სამინისტროც ჩემს კომპეტენციაში შემოვიდა და ზიბენბიურგენსა და ბანათში მცხოვრებ გერმანელთა მეურვეობაც მე დამევალა. 1971 წელს რუმინეთიდან მოწვევა მივიღე. ბუქარესტში კრონშტადტის მონახულების სურვილიც გამოვთქვი. რუმინელ კოლეგას ვთხოვე: ჰერმანშტადტში ერთი ნაცნობი მეგულება, მადლობელი ვიქნები, თუ მის მოძებნაში დამეხმარებით-მეთქი. ვიცოდი, რომ მარიანემ ხელმეორედ შეიტანა განაცხადი ოჯახითურთ ქვეყნიდან გასვლის თაობაზე, თუმცა ამაოდ.

კრონშტადტში საღამოს ჩავედით და მეორე დილას, რვის ნახევარზე, მარიანე უკვე ჩემთან იყო. როცა ჩემს ოთახში

ვსაუბრობდით, მან რაღაც მანიშნა, მე მივუხვდი, რასაც გულისხმობდა და ვთქვი: „მშვენიერი ამინდია, სუფთა ჰაერზე ხომ არ გავისეირნოთ?“ გარეთ — რაკიღა მიკროფონების აღარ გვეშინოდა — მარიანე მომიყვა იმღამინდელ ამბავს. შუაღამისას პოლიციის უფროსთან დაებარებინათ, უკითხავთ, იცნობდა თუ არა შინაგან საქმეთა მინისტრს გენშერს. ამაზე უპასუხია, რომ გენშერების ერთ ოჯახს იცნობდა ჰალეში, მაგრამ ამ სახელის მქონე შინაგან საქმეთა მინისტრს — არა. მან მართლა არ იცოდა, რომ ის ჰალელი პატარა ბიჭი მე ვიყავი. იგი სახლში გაუშვეს, თუმცა დილის სამ საათზე ხელახლა წამოუხტუნებიათ საწოლიდან, ისევ პოლიციის განყოფილებაში წაუყვანიათ და დაუფარავად განუცხადებიათ: „ახლა ბრაზოვში (კრონშტადტში) წაგიყვანენ, მაგრამ არ გეგონოთ, რომ აქედან ოჯახთან ერთად სადმე წასვლის უფლებას მოგცემენ, მხოლოდ იმიტომ, რომ შინაგან საქმეთა მინისტრ გენშერს იცნობთ“. რათა მომავალში ამგვარი ექსცესებისგან დამეცვა, ჩემს მასპინძელს, შინაგან საქმეთა მინისტრს, ვთხოვე ჩემი ნაცნობისთვის საუზმეზე დასწრების ნებართვა მიეცა. ეს მის დასაცავად მჭირდებოდა. ბოლოს, რამდენიმე თვის შემდეგ, ჩვენ მაინც შევძელით ჩვენი მეგობრისა და მისი ოჯახის ამ ქვეყნიდან გამოყვანა.

დავუბრუნდეთ 1937 წელს: ალბათ უფრო ბუნებრივი იქნებოდა ფრანკეს ფონდის უმაღლეს სკოლაში რომ მესწავლა, მით უფრო, რომ ამ სკოლასთან ახლოს ვცხოვრობდით. მაგრამ მამაჩემს, რომელმაც დელიცის საშუალო რეალური სკოლა დაამთავრა, სადაც ლათინურს არ ასწავლიდნენ, გამოცდილება კარნახობდა, მეც იგივე არ უნდა გამემეორებინა. მხოლოდ სტუდენტობის წლებში, პირველი მსოფლიო ომის შემდეგ, აანაზღაურა მან დანაკლისი და ლათინური ენის ვრცელი კურსი ჩაბარა. ამიტომ დაუბარა დედაჩემს გარდაცვალების წინ: „ბიჭი რეფორმირებულ რეალურ გიმნაზიაში შეიყვანე; იქ ლათინურს ისწავლის“. ასე რომ, დედაჩემმა განაცხადი იქ შეიტანა. საიდან უნდა სცოდნოდა მამას, რომ 1937 წლიდან, სასკოლო რეფორმის ფარგლებში, ყველა საშუალო სასწავლებელში ლათინური შეისწავლებოდა. ჩემს ახალ სკოლაში ჩვენი კლასი პირველი იყო, რომელმაც გიმნაზიის პირველი კლასიდან პირველ უცხო ენად ინგლისურის სწავლა დაიწყო; მეოთხე კლასში უკვე ლათინურიც დაგვემატა.

მას შემდეგ, რაც საშუალო სკოლაში მისაღები გამოცდა ჩავაბარე, ბაბუა გენშერმა წყვილცხენა ოთხთვალათი გამოიარა ჰალეში. გამოცდის შედეგები რომ გაიგო, მითხრა: „ჰო, ეს ხომ ისედაც ცხადი იყო“, და ორი „კანალდეკელი“* — როგორც მამაჩემი ეძახდა ხუთმარკიანებს — მაჩუქა. ეს ერთადერთი შემთხვევა გახლდათ, ბაბუა გენშერის აღიარება რომ დავიმსახურე.

სასკოლო გადასახადი ოცდახუთ მარკას შეადგენდა და დედაჩემისთვის, რომელიც ძალზე მცირე დახმარებას იღებდა პენსიის სახით, იოლი გადასახდელი არ იყო. ამის გამო, თითქმის სპორტულ გატაცებად მექცა ნახმარი სასკოლო წიგნების — თუკი ახალი სახელმძღვანელო არ იქნებოდა შემოღებული — ყიდვა და მერე, ახალი სასწავლო წლის დასაწყისში მათი გაყიდვა იმ ფასად მაინც, რა ფასადაც შევიძინე. სკოლას ჩემთვის ძირითადად გასართობ-საინფორმაციო დანიშნულება ჰქონდა. სკოლამდე შორი გზა უნდა გამევლო: მშობლების სახლიდან ას მეტრზე ტრამვაი ჩერდებოდა, რომელსაც მეტწილად სირბილით ძლივს ვეწეოდი. ძალზე მართობდა ტრამვაიზე შეხტომა. ამოჩემებული ადგილი მქონდა: მისაბმელი ვაგონის წინა ბაქანი. აქ სხვა თანაკლასელებსაც ვხვდებოდი, რომელთაც ჩემზე შორი გზა უნდა გამოევლოთ.

ჩემი საყვარელი საგნები იყო გერმანული, ისტორია, გეოგრაფია და ლათინური. ტანვარჯიშში არც ისე ძლიერი ვიყავი, მაგრამ ფიოლკერბალი** და ფეხბურთი ძალიან მიყვარდა. როგორც გიმნაზიის პირველი კლასის მოსწავლე ჰიტლერის ორმოცდამერვე დაბადების დღეს, ანუ 1937 წლის 20 აპრილს, ჩემი გამოშვების ყველა ბიჭთან ერთად გერმანიის იუნგფოლკში*** გამაწევრიანეს. იუნგფოლკელად ითვლებოდა ყველა ბიჭი ათიდან თოთხმეტი წლის ასაკამდე. შემდეგ, როგორც წესი, ჰიტლერიუგენდის წევრი ხდებოდი. ამრიგად, 1942 წლის შემოდგომაზე ჰიტლერიუგენდის მოწინავე ნაწილში მოვხვდი. წოდება, რომელიც იუნგფოლკში მომანიჭეს — „ყმაწვილთა აღიარებული ბელადი“ — მოვიხსენი. ჰიტლერიუგენდში წოდება არ მქონია. 1942-43 წლის ზამთარში ჩვენ ძირითადად მართვის მოწმობის

---

* „კანალდეკელ“-ი, სიტყვასიტყვით „კანალიზაციის ხუფი“ — ასე ეძახდნენ ჟარგონზე 5 მარკიანს. (რედ.)

** ფიოლკერბალი — ერთგვარი გუნდური თამაში ბურთით. (რედ.)

*** იუნგფოლკი — ბავშვთა ფაშისტური ორგანიზაცია. (რედ.)

*ბაზარი ჰალეში ცნობილი ხუთი კოშკით, რომელიც მხატვრების – ლიონელ ფაინინგერისა და ერნსტ ლუდვიგ კირხნერის შთაგონების წყარო იყო.*

გამოცდის ჩასაბარებლად ვემზადებოდით, მაგრამ არაფერი გამომივიდა. 1943 წლის 15 თებერვალს საზენიტო არტილერიაში გამამწესეს სამხედრო ავიაციის დამხმარე მუშად.

ათი წლის ასაკში კლასში ბიოქიმიის გაერთიანება დავაარსე. ეს იყო ერთგვარი კონსპირაციული მეთოდი მშობლების ბიბლიოთეკაში სექსუალური ლიტერატურის გამოსაკვლევად. ოთხი-ხუთი ბიჭი ვმეგობრობდით. ერთ დღესაც ერთ-ერთი მათგანი მოვიდა და ვან დე ველდეს წიგნი – „სრულყოფილი მეუღლეობა“ – მოიტანა, რომელიც

მაშინ ამ სფეროში სახელმძღვანელოდ ითვლებოდა. ამ წიგნის საფუძველზე მოგვიანებით „გამოცდილების გაზიარებაც“ შედგა. მერე „ველოსიპედისტთა კლუბი“ დავაარსეთ და ერთობლივ ექსკურსიებს ვაწყობდით, რაც იუნგფოლკის უბადრუკი მარშებისადმი ერთგვარ პროტესტს წარმოადგენდა. კვირაში ერთხელ ქალაქის შემოგარენსა და მშვენიერ ლანდშაფტებში დავქროდით. წესდებაც კი გვქონდა.

ჩვენს სკოლაში 1937 წელს ჯერ კიდევ სუფევდა თავისუფალი ატმოსფერო. მასწავლებელთა შორის კანტი-კუნტად იყვნენ ნაციონალ-სოციალიზმის მიმდევარნი, იმის მიუხედავადაც, რომ ჩვენი დირექტორი, დოქტორი ჰანფი, 1938 წელს, როგორც „სისტემის პოლიტიკოსი“ მოხსნეს და ნაადრევად გაუშვეს პენსიაზე. ახალი დირექტორი პარტიულ სამკერდე ნიშანს ატარებდა, თუმცა ვერანაირი გავლენას ვერ მოახდენდა, რადგან 1939 წელს – როგორც ოფიცერი – ომში გაიწვიეს. 1939 წლიდან სკოლას ხელმძღვანელობდა დირექტორის მოადგილე ფლორშტედტი, ფლორშტედტ-შტიბერის გრამატიკის თანაავტორი. ის სრული საშუალო სკოლის ყოფილი დირექტორის, ჰანფის ძველ გვარდიას ეკუთვნოდა.

მალე ჩვენს სკოლას სახელი გადაარქვეს და რეფორმირებული რეალური გიმნაზიის ნაცვლად ფრიდრიხ ნიცშეს სახელობის სკოლა დაარქვეს. ამასთან დაკავშირებით ერთი ეპიზოდი მახსენდება. ეს ის პერიოდი იყო, როცა 1943 წლის 15 თებერვალს ჩვენ სამხედრო ავიაციაში თანაშემწეებად გაგვამწესეს. საზენიტო არტილერიაში მაკენზენის* სახელობის სკოლის მოსწავლეებთან ერთად ვიმყოფებოდით. ჩვენი ქვედანაყოფის მეთაური, ვიცე-პოლკოვნიკი მესტალერი, პირველი მსოფლიო ომის მონაწილე, თადარიგის ოფიცერი, ჰალეში „ვრიუნების ღვინის რესტორნების“ თანამფლობელი ჩვენს პოზიციას ეწვია. მონოკლი ეკეთა, ბეწვის საყელოიანი ტყავის ლაბადა ეცვა, დიდი ძაღლი ახლდა თან და სულ სხვა დროის პერსონაჟს ჰგავდა. როცა გვკითხა, რომელი სკოლიდან ხართო, ერთმა უპასუხა, მაკენზენის სკოლიდანო. პოდპოლკოვნიკი ეუბნება: „აჰა, მაკენზენის. მე პატივი მაქვს, ყოველი წელს ფელდმარშლის დაბადების დღეს მის სუფრასთან ვიჯდე“. მაშინ ერთ-ერთმა ჩვენგანმა სიტყვა ითხოვა

---

* მაკენზენი აუგუსტ – (1849-1945) პირველი მსოფლიო ომის დროინდელი გერმანელი ფელდმარშალი. (რედ.)

და დაიძახა: „ჩვენ ფრიდრიხ ნიცშეს სკოლიდან ვართ“. ვიცე-პოლკოვნიკი ეკითხება: „ნიცშე, ნიცშე, ეს ვინღაა?“ მოსწავლე პასუხობს: „გამოჩენილი გერმანელი ფილოსოფოსი“. „აჰა, ფილოსოფოსი“, — ამბობს მესტალერი, — „აქამდე მხოლოდ ის ვიცოდი, რომ 70-71 წლების ომში ნიცშე სანიტარი იყო და საკაცით ავადმყოფები გადაჰყავდა ფრონტის წინა ხაზიდან სამოცი კილომეტრის დაშორებით“.

*თხუთმეტი წლის თანაშემწე საზენიტო არტილერიაში*

როცა მეორე მსოფლიო ომი დაიწყო, თორმეტი წლის ვიყავი, დედამ თქვა, — მადლობა უფალს, ჩემი თორმეტი წლის ბიჭს ჯარში ვერ გაიწვევენ. ვიდრე სრულწლოვანი გახდება, ალბათ, ეს ომიც დამთავრდებაო. ამიტომ თავზარი დაეცა, როცა თხუთმეტი წლის ასაკში საზენიტო არტილერიაში გამიწვიეს. ეს მას დიდი ტანჯვის ფასად დაუჯდა. 1943 წლის იანვრის ბოლოს სტალინგრადის ბრძოლა დასრულდა. 1943 წლის 15 თებერვალს მთელი რაიხის მასშტაბით ლუფტვაფეს პირველი თანაშემწენი გაიწვიეს. მათ შორის ვიყავი მეც, თხუთმეტი წლის უნტერზეკუნდანერი*, რომელსაც მრავალი თანატოლის მსგავსად, ამჯერად უშუალოდ შეეხო ომი. წინა დღეს, კვირას, დეიდაჩემს, ლიდია ჰაინემანს, დაბადების დღე ჰქონდა. მის ეზოში, რაიდებურგის მამულში, ყავაზე შევიკრიბეთ. სანამ მთელი ოჯახი ჯარში მიმავალ საცოდავ ბიჭზე წუხდა, მე ქლიავის ნამცხვრის თოთხმეტი ნაჭერი შევსანსლე. დედაჩემმა გამაფრთხილა, ამდენს ნუ ჭამო. სხვები გამოძექმაგნენ: ოავი დაანებე, ვინ იცის, კიდევ როდის ეღირსება ასეთი რამ საწყალ ბიჭსო.

1926 და 1927 წლებში დაბადებულთა, კერძოდ კი უფროსი და საშუალო სწავლების მოსწავლეთა გაწვევა საზენიტო არტილერიაში — არ გაიწვიეს მხოლოდ ისინი, ვინც საწარმოო სწავლებაში იყო ჩაბმული — სტალინგრადის ბრძოლებითა და მე-6 არმიის განადგურებით იყო გამოწვეული მე-6 არმიის ახლად შექმნას ცდილობდნენ იმ საიხედრო ნაწილების შეკოწიწებით, რაიხის ტერიტორიაზე რომ იყო დისლოცირებული. მათ რიცხვში იყვნენ მრავალ-

* უნტერზეკუნდანერი — ვიმნაზიის მეექვსე კლასის მოსწავლე. (რედ.)

რიცხოვანი .საზენიტო ბატარეების ჯარისკაცებიც, რომელნიც ზურგის დაცვიდან მოიყვანეს. ჩვენს საარტილერიო ბატარეაში სამი დანაყოფი არსებობდა: ძირითადი შემადგენლობა, რომელიც უნტერ-ოფიცრებით, ოფიცრებითა და იმ ჯარისკაცებით იყო დაკომპლექტებული, რომლებიც ქვემეხებს ემსახურებოდნენ; ჩვენ, თხუთმეტი და თექვსმეტი წლის მოსწავლეები, მეორე ჯგუფს წარმოვადგენდით. მესამე ჯგუფს რუსი მოხალისეები, ეგრეთ წოდებული „ჰივი"-ები* შეადგენდნენ, რომლებიც ნებაყოფლობით გამოცხადდნენ ტყვეთა ბანაკებიდან.

სამართლებრივი თვალსაზრისით ჩვენ ვერმახტს ვეკუთვნოდით. კვირაში სამჯერ ჯერ კიდევ გავდიოდით სასკოლო პროგრამას ხუთი საათის განმავლობაში. აღარ გვიტარდებოდა ინგლისური და ფრანგული ენის გაკვეთილები, მაგრამ ლათინურს ისევ ვსწავლობდით, ასევე გერმანულს, ისტორიასა და საბუნებისმეტყველო საგნებს. მართალია, იშვიათად, მაგრამ ჰალეს სკოლაშიც კი მივყავდით, სადაც შუადღემდე საბუნებისმეტყველო ექსპერიმენტებს ვატარებდით. ეს სასიამოვნო გადახვევა იყო. „ნორმალური" მეცადინეობა კი საზენიტო არტილერიაში, ცხადია, უცნაურად მიმდინარეობდა. იგი ზოგს სასადილოში უტარდებოდა, ზოგს – სოფლის დუქანში. მასწავლებლები ჰალედან ჩამოდიოდნენ. თუ ღამით განგაში ატყდებოდა, დილით გამოძინების უფლებას გვაძლევდნენ და მეცადინეობა ცდებოდა. ეს კი არცთუ უსიამოვნო იყო ჩვენთვის. ყოველ შემთხვევაში სკოლიდან მოწყვეტას დიდად არ განვიცდიდით: ჩვენი მასწავლებლების პედაგოგიური ძალისხმევის წარმატება შეზღუდული იყო.

რადგან ჩვენ „საბრძოლო მზადყოფნის" რეჟიმში ვიყავით, ხანდახან საფრონტო შვებულების მოწმობას გვაძლევდნენ. ჩვეულებრივი საშვებულებო მოწმობა სუფთა თეთრ ქაღალდზე იბეჭდებოდა, საფრონტო მოწმობაზე კი დიაგონალურად იყო გავლებული მწვანე ხაზი. ეს პატარ-პატარა პრივილეგიებს გვანიჭებდა. მაგალითად, თეატრში ბილეთებს უფრო იოლად ვშოულობდით, რიგში დგომა არ გვჭირდებოდა.

---

* Hiwi – შემოკლ. Hilfswilliger – მოხალისე. (რედ.)

*თხუთმეტი წლის გენშერი, საზენიტო არტილერიის დამხმარე, გადაღებულია 1943 წლის 15 თებერვლის შემდეგ. არ გამართლდა დედის იმედი, რომელმაც ომის პირველ დღეს, 1939 წლის სექტემბერში, თქვა: „ჩემს თორმეტი წლის ბიჭს ამ ომში მონაწილეობის მიღება არ მოუწევს“.*

ერთ-ერთი შვებულების დროს დედასთან ერთად ვაპირებდი თეატრში წასვლას. შვებულებისას სამოქალაქო ტანსაცმლის ტარების უფლება გვქონდა, ამიტომ მოკლე შარვალი და გრძელი წინდები მეცვა. თეატრის სალაროს წინ საველე ჟანდარმერია ყარაულობდა, „ჯაჭვზე დაბმული ქოფაკები“, შიშის ზარს რომ სცემდნენ ყველას. შემამჩნიეს და მითხრეს: მამაშენს თეატრში შესვლა თუ უნდა, თვითონ მოვიდესო. მე ვუპასუხე: საფრონტო შვებულებაში მე ვარ და არა მამაჩემი-მეთქი.

ჩვენ ჰალე-ლოინას საარტილერიო ჯგუფს ვეკუთვნოდით. მეზენიტეების ბარაკებში ვცხოვრობდით და განაწილებული ვიყავით სასროლ და გამზომ ბატარეებზე. მე რადიოლოკატორზე — რადარზე — ვმუშაობდი. ჩვენი უპირატესობა ის იყო, რომ იმ ოთახში ვისხედით, სადაც ხელსაწყოები ეწყო. მაშასადამე, ღამით, განსაკუთრებით

ზამთარში, ღია ცის ქვეშ ყოფნა არ გვიწევდა. პირველები ჩვენ ვგებულობდით, როდის სად იმყოფებოდნენ თვითმფრინავები. ძლიერი საჰაერო თავდაცვა გვქონდა, ლონინაში ხომ სინთეტიკურ ბენზინს აწარმოებდნენ, ხოლო კაუჩუკის საწარმოებში — სინთეტიკურ რეზინს. მოგვიანებით ლაიფციგის საზენიტო არტილერიაში გადაგვისროლეს, სადაც 1943 წლის 4 დეკემბერს საზარელი საჰაერო თავდასხმის მოწმე გავხდით. ათას სამას ოთხმოცდაორტონიანი ჭურვები დაუშინეს ქალაქს, ათასას ადამიანზე მეტი დაიღუპა. ქალაქის ცენტრი აღიგავა პირისაგან მიწისა, ენგელსდორფში განლაგებული ჩვენი საზენიტო ბატარეა განადგურებას გადაურჩა, მაგრამ ირგვლივ მდებარე მთელი ტერიტორია უმოწყალოდ დაიბომბა. ჩვენგან არავინ დაღუპულა.

საბრძოლო მოქმედებას მხოლოდ მაშინ კი არ ვიწყებდით, როცა სირენები აღრიალდებოდა, არამედ უფრო ადრე, განგაშის და საბრძოლო მზადყოფნის ეტაპებზე. მხოლოდ მესამე ეტაპზე იწყებოდა საჰაერო განგაში მოსახლეობისთვის, რომელსაც ძილს ვაცლიდით საჰაერო თავდასხმის მოახლოებისას. განგაში ხშირად ცხადდებოდა, რადგან ჭირდა გარკვევა, მოახლოებული თვითმფრინავები ჩვენს ტერიტორიაზე მოიტანდნენ იერიშს თუ სხვა მიზნისკენ აიღებდნენ კურსს!

შეიძლება ითქვას, რომ ჯერ ბავშვები ვიყავით, როცა საზენიტო არტილერიაში ვმსახურობდით. ერთი წლის შემდეგ, პირველად დაგვაწინაურეს. ბუზმენტი დაარიგეს. ათი კაცი უნდა გამოსულიყო მწყობრიდან — მათ შორის მეც —, შემდეგ გაგვიმხილეს, რომ მთავარ სამხედრო ავიაციის თანაშემწეებად დაგვაწინაურეს. ამის პასუხად წერილობითი თხოვნა შევიტანე: ჩვენ მთავარ სამხედრო ავიაციის თანაშემწეებად კი არ უნდა დავენიშნეთ, არამედ მთავარ თანაშემწეებად სამხედრო ავიაციაში. გარდა ამისა, უნდა გამოეყენებინათ გამოთქმა: სახელმწიფო რკინიგზის მთავარი მდივანი, და არა მთავარი სახელმწიფო რკინიგზის მდივანი. ეს განცხადება მთავარ ჰაუპტვახტმაისტერს გადავეცი, მან შეშლილად გამომაცხადა, თუმცა ჩემი წერილი მაინც მიიღო და სამხედრო საჰაერო ზონის კომენდატურას გადაუგზავნა დრეზდენში. შემდეგ მითითება მოვიდა, სამხედრო წოდება მართლაც სამხედრო ავიაციის მთავარი თანაშემწე უნდა ყოფილიყო.

1944 წლის 20 ივლისს ადოლფ ჰიტლერზე განხორციელებული თავდასხმის შესახებ პოზიციაზე ყოფნისას შევიტყვეთ რადიოდან. მე და ჩემი მეგობარი ფრიდრიხ კრეგერი ერთ საღამოს ჩემს საწოლზე ვისხედით, პატარა რადიომიმღებზე ყური გვქონდა მიჭყლეტილი, რომ რადიო-ლონდონის გადმოცემული ახალი ამბები მოგვესმინა. იმედი გვქონდა, გადატრიალება წარმატებით დაგვირგვინდებოდა. დღეს, ორმოცდაათი წლის შემდეგ, ალბათ ძნელი წარმოსადგენია, რომ ახალგაზრდები, ერთი მხრივ, „სამხედრო ავიაციის თანაშემწეებად" მსახურობდნენ და, მეორე მხრივ, იმედოვნებდნენ, რომ ნაციონალ-სოციალისტური მთავრობა დაემხობოდა. ამ გაორებულ მდგომარეობაში ვერმახტის ბევრი ჯარისკაცი იყო. ჩვენ ვთვლიდით: ეს რეჟიმი ჩვენი მთავრობა არ არის, გერმანია კი ჩვენი სამშობლოა. ასე ფიქრობდა ჯარისკაცთა არცთუ მცირე ნაწილი და ჩემი მეგობრების წრეში, საზენიტო არტილერიის სანგრებში არავინ მეგულებოდა, ვისზეც დანამდვილებით შეიძლებოდა მეთქვა, დაჯერებული ნაციონალ-სოციალისტია-მეთქი. ზოგიერთს საერთოდ არაფერი არ აინტერესებდა ან ინდიფერენტულად იყო განწყობილი, მაგრამ უმრავლესობა, — როგორც მაშინ ვამბობდით — „წინააღმდეგი" გახლდათ. დაპირებული „საბოლოო გამარჯვებისა" კი, რასაც ფართო პროპაგანდას უწევდნენ, თითქმის არავის სჯეროდა.

თავდასხმის შემდეგ სპეციალური რადიოგადაცემის მოსასმენად შეგვკრიბეს. პროპაგანდის მინისტრი გებელსი სიტყვით გამოვიდა და თქვა: „როდესაც შევიტყვე, რომ ფიურერზე თავდასხმა განახორციელეს, ისეთი შეგრძნება დამეუფლა, თითქოს ფეხქვეშ მიწა გამომეცალა". ამ დროს ერთმა ბერლინელმა უფროსმა ეფრეიტორმა წამოიძახა: აი, ამას კი მართლა დაგიჯერებო!

1944 წლის სექტემბერში სამხედრო ავიაციის თანაშემწის მოვალეობიდან გაგვათავისუფლეს. ახლა ჩვენ სამხედრო წრთობის ასამაღლებელ ბანაკში მოვხვდით, შემდეგ გასამხედროებულ სავალდებულო შრომით ბანაკში და ბოლოს ვერმახტში.

ჩვენი ბანაკი ჰარცთან ახლოს ჰელბრაში მდებარეობდა. ყოველ ჩვენგანს სამი კვირის განმავლობაში უნდა გაევლო ეგრეთ წოდებული სამხედრო წრთობა, ეს იყო მოსამზადებელი სამხედრო

სწავლების კურსი, რაც ძირითადად სამხედრო ინსტრუქტაჟის, ტაქტიკური თამაშებისა და პოლიტიკური მეცადინეობისგან შედგებოდა. გამოცდილ მეზენიტეებს თავი საბავშვო ბაღში გვეგონა. ვფიქრობდით, რომ საფუძვლიანი სამხედრო განათლება უკვე მივიღეთ.

ჰელბრაში – ამასობაში 1944 წლის შემოდგომაც დადგა – ჩვენს პოლიტიკურ შეხედულებებს უკვე აღარც ვმალავდით. სხვა სკოლებშიც ვპოულობდით თანამოაზრეებს და ომის უაზრობაზე დაუფარავად ვლაპარაკობდით. ამასთან 1944 წლის 20 ივლისს განხორციელებულმა თავდასხმამ თავისი გავლენა იქონია: დიდი მოწიწებით ვსაუბრობდით შტაუფენბერგსა და სხვებზე. ისეთი შეგრძნება გვქონდა, რომ რაღაც უნდა მოგვემოქმედა, მაგრამ რა? ერთხელ, გვიან საღამოს, როცა ინსტრუქტორები ლუდის დასალევად ბანაკიდან წავიდნენ, საკმაოდ დიდ ჯგუფად გაერთიანებულებმა ჰიტლერიუგენდის დროშა ჩამოვგლიჯეთ და თან გავიძახოდით: „ძირს პროპაგანდისტული ძონძები“.

1944 წლის ოქტომბერ-ნოემბერში შვიდი კვირით რაიხის საავალდებულო სამხედრო სამუშაოებზე გამამწესეს ერცგებირგეში, ფრაუენშტაინში. თუმცა გერმანიის უპირობო კაპიტულაციამდე ნახევარ წელიწადზე ცოტა მეტი დრო იყო დარჩენილი, სამხედრო შრომითი ვალდებულება საწვრთნელ პროგრამაში შედიოდა. საზენიტო ქვემეხის მომსახურება უკვე ვისწავლეთ, ახლა ნიჩბით უნდა გვეევარჯიშა. ყველაფერი თავიდან დაიწყო: სამხედრო წვრთნა, დაწექი-ადექი, მუცელზე ხოხვა, სარგადაყლაპულივით დგომა და, ცხადია, ყველაფერ ამას სასანგრე ნიჩბების თანხლებით ვაკეთებდით. ექსტრემული ამინდის შემთხვევაში დაჭაობებული ნიადაგის ამოშრობით ვიყავით დაკავებულნი და სადრენაჟო მილებს ვყრიდით მიწაში. ნულს ქვემოთ ტემპერატურის პირობებში ეს მართლაც არ წარმოადგენდა შაქარყინულით პირის ჩაკოკლოზინებას! ბარაკის ერთ ოთახში ათი კაცი ვცხოვრობდით, ოთახს პატარა, მრგვალი რკინის ღუმელით ვათბობდით, რომელიც ქვემეხის ლულას წააგავდა. მეწინავე რაზმში – რომელშიც სიმაღლის გამო მეც ვიყავი – ძალზე შერეული საზოგადოება იყო თავმოყრილი. ერთი ლუქსემბურგელიც გვყავდა. რაკი ლუქსემბურგი იძულებით შეუერთეს გერმანულ რაიხს, მამრობითი სქესის ყველა წარმომადგენელს აიძულებდნენ ვერმახტ-

ში სამსახურს და სამხედრო შრომითი ვალდებულებაც უნდა მოეხადათ. ერთ საღამოს ჩვენმა ლუქსემბურგელმა მითხრა: თქვენ წარმოდგენაც არა გაქვთ, როგორ მეზიზღება ეს ყველაფერი, მე ლუქსემბურგელი ვარო. მისი კარგად მესმოდა: მან რომ რაიხის შრომითი სამსახურის მიმართ თავისი უარყოფითი დამოკიდებულება ჩემთან ასე ღიად გამოხატა, ეს ნდობის გამოცხადებას ნიშნავდა, რამაც ერთგვარი სიამაყის გრძნობაც კი გამოიწვია ჩემში. ომის შემდეგ მისი მოძებნა მინდოდა, მაგრამ, სამწუხაროდ, სახელი დამავიწყდა.

მეორე ყმაწვილმა კი, რომლის მამაც ბერლინში ადვოკატად მუშაობდა, ერთხელაც, ვახშმის დროს მითხრა, რომ მამამისი ნებაყოფლობით გამოცხადდა ვერმახტში. ძალზე მკვირცხლად შევეკითხე: საბოლოო გამარჯვების გადასარჩენად-მეთქი? მან კი ჩუმად მიპასუხა: სხვა გზა არ ჰქონდა, სახალხო სასამართლოზე დამცველად უნდა გამოსულიყო. დედაჩემის აზრით კი, ამგვარ ფარსში მონაწილეობა არც ერთმა ადვოკატმა არ უნდა მიიღოს, რადგან განაჩენი წინასწარ არის გამოტანილიო. მე ვუთხარი: თუ ასეა საქმე, მაშინ დიდ პატივს ვცემ შენს მშობლებს, მე კი მეგონა მამაშენიც ერთ-ერთი მათგანი იყო-მეთქი.

როცა საღამოს ჭურჭლის დასაბრუნებლად სასადილოში მივდიოდით, ერთი ამხანაგი გამომელაპარაკა, რომელთან ერთად ყაზარმაში ვმორიგეობდი. ჯაგარა თმის გამო „სტალინი“ დავარქვით. ჩვენ კეთილგანწყობილი დამოკიდებულება გვქონდა და მან გამანდო: ძალიან მომეწონა, წეღან რაც თქვი. ყოველთვის ვფიქრობდი, რომ შენც ამის წინააღმდეგი უნდა ყოფილიყავიო. მე კი წინააღმდეგი ვარ, მაგრამ შენ-მეთქი? თქვენ არც იცით, ჩემთვის რა დიდი პატივია სტალინს რომ მეძახით. კომუნისტი ვარო. მაშინ წამომცდა — კი მაგრამ, ეგ უკეთესი ggონია-მეთქი? — შენ აზრზე არა ხარ და ეს ბუნებრივიცააო, — მიპასუხა მან. მამაჩემი ოციან წლებში საბჭოთა კავშირში სწავლობდა. საბჭოთა კავშირი მომავალს ნიშნავს. აქ მალე ყველაფერი დამთავრდება. მე მოხალისედ წამოვედი, რომ მერე რუსების მხარეზე გადავიდეო.

მას ძალზე მკაფიო წარმოდგენა ჰქონდა მომავალზე, რომელსაც ელოდა. მეც ხომ ომის მალე დამთავრებისა და ახალი დასაწყისის იმედი მასულდგმულებდა. „თუ საბჭოთა კავშირზე ცუდი აზრის ხარ, სხვაგვარად როგორ წარმოგიდგენია გერმანიის მომავალი?“ —

მკითხა „სტალინმა“. „დაახლოებით ისე, როგორც ინგლისსა და ამერიკაში“, – ვუპასუხე მე. ამ ორ სახელმწიფოში „დემოკრატიის“ დამცველებს ვხედავდი.

მრავალი წლის შემდეგ ერთ გაზეთში ამოვიკითხე გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის პოლიტბიუროს წევრობის ერთ-ერთი კანდიდატის სახელი: დოქტორი ვერნერ იაროვინსკი. ეს „სტალინი“ გახლდათ. მოგვიანებით ის პოლიტბიუროს წევრი გახდა. ერთხელ, გდრ-ის მუდმივი წარმომადგენლის საშუალებით მოკითხვა შევუთვალე, თუმცა პასუხი არ მიმიღია, მაგრამ 1988 წელს, აღმოსავლეთ ბერლინში ჩვენმა მუდმივმა წარმომადგენელმა ჰანს-ოტო ბროიტიგამმა მკითხა: იაროვინსკის თუ იცნობთ? ერთ-ერთ წვეულებაზე მის გვერდით მოვხვდი და თქვენთან მოკითხვა დამაბარა. თურმე ძველი ნაცნობები ყოფილხართო. ჩემს ბიოგრაფებთან, შვანთან და ფილმერთან საუბარში, რომლებიც მან ჩემდა გასაკვირად მიიღო, მოვლენები ზუსტად ისე აღწერა, როგორც ისინი ჩემს მეხსიერებას შემორჩა. დიდი სიამოვნებით შევხვდებოდი კიდევ ერთხელ, მაგრამ ვეღარ მოვასწარი. ის 1990 წლის გაზაფხულზე გარდაიცვალა, გარდაქმნის დაწყებიდან სულ რამდენიმე თვის შემდეგ.

ამ ამბის გახსენება ნამდვილად ღირდა. აქ ხომ ორი ახალგაზრდა კაცის ბედისწერა წარმოჩნდა, რომლებიც რთულ ვითარებაში შეხვდნენ ერთმანეთს და თითოეული მათგანი თავისი თავის ერთგული დარჩა. 1944 წელს ჩვენ ერთი აზრი გვქონდა მესამე რაიხთან დაკავშირებით. მომავალი კი სხვადასხვაგვარად წარმოგვედგინა. თითოეული ჩვენგანი მის მიერ არჩეული მიზნისკენ თავისი გზით მიდიოდა: იაროვინსკი კომუნისტურ იდეალებს ემსახურებოდა გდრ-ში, მე კი გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში, როგორც ლიბერალს, ანგლო-საქსონური ტიპის დემოკრატიული იდეალების დამკვიდრება მსურდა.

ერცგებირგეში დრო სწრაფად გავიდა. 1944 წლის 2 დეკემბერს ჰალეში დავბრუნდი, იქ კი ვერმახტში გაწვევის ბრძანება დამხვდა. სამხედრო საჰაერო ძალებში გაწვევა 15 დეკემბერს დაიწყო, სახმელეთო ჯარში კი მხოლოდ 6 იანვარს. ასე რომ, ერთ თვეზე მეტი დრო მრჩებოდა.

საჰაერო განგაში ყოველდღიურობად იქცა. ქალთა სკოლას

ცალკე თავშესაფარი გამოუყვეს, სადაც ისინი დღისით განხორციელებული საჰაერო თავდასხმისას თავს აფარებდნენ. ჩემი მეგობრები და მე ამ ბუნკერთან ახლომდებარე კაფეში დავიარებოდით, რათა განგაშისას იქ შეგვეფარებინა თავი. თავშესაფარში უკვე შემდეგ შეხვედრაზე ვთანხმდებოდით.

ომის ბოლო შობა დღეს მე და დედა მარტონი შევხვდით. ახალი წელი მეგობრებთან ერთად გავატარე. რას მოიტანდა ახალი წელი? ბოლოს და ბოლოს დასრულდებოდა თუ არა ეს ომი? რა გველოდა ომის დამთავრების შემდეგ? როგორ მოიქცეოდნენ მოკავშირეები, რა ელოდა გერმანიას? მოსვენებას არ გვაძლევდა ამაზე ფიქრი.

## *ვენკის არმიაში*

როგორც ჩემი ასაკის ყველა ბიჭმა, მეც 1943 წელს საზენიტო არტილერიაში გავიარე სამხედრო სამედიცინო შემოწმება: ვარგისია მძიმე არტილერიაში სამსახურისა და მესანგრეოებისათვის — ასეთი იყო დასკვნა (მაშინ სამოცდათვრამეტ კილოს ვიწონიდი და სიმაღლით მეტრი და ოთხმოცდაექვსი სანტიმეტრი ვიყავი). საზენიტო არტილერიაში თანაკლასელებიდან ჩემი მეგობარი გიუნთერ პრენციც იმყოფებოდა, რომელიც 1945 წელს, ომის უკანასკნელ დღეებში დაეცა ბრძოლის ველზე. თავს ვალდებულად ვთვლი, უდიდესი მადლიერება გამოვხატო მის მიმართ და მისი მშობლებისადმი. მამამისი, თადარიგის კაპიტანი, ჰალეს სამხედრო კომენდატურაში მსახურობდა. ერთ დღეს გიუნთერ პრენცი ორდღიანი შვებულებიდან დაბრუნდა. თან მოიტანა ფორმულარები, რომელთა შევსების შემდეგ შეგეძლო განაცხადი შეგეტანა და თადარიგის ოფიცრად გემსახურა. ვინც შეიარაღებულ ძალებში — ვერმახტში — მსახურობს, მას ეს-ეს-ის ჯარში ველარ გაიწვევენო, — მითხრა გიუნთერმა. ამის შემდეგ სხვებთან ერთად მეც მოვითხოვე ვერმახტში სამსახური და თანხმობა მივიღე. ამან მიხსნა, როცა ცოტა ხნის შემდეგ ეს-ეს-ის მაღალი რანგის სამხედრო კომისია ძლიერი ზეწოლით ცდილობდა ჩვენს შორის ყველაზე ტანადების, მეტრ და ოთხმოც სანტიმეტრზე მეტი სიმაღლის ჯარისკაცთა შერჩევას და მათ გამწესებას „ფიურერის კანდიდატებად“ — ასე უწოდებდნენ ეს-ეს-ის ოფიცერთა ახ-

*ჩვიდმეტი წლის მესანგრე. 1944 წ., ვიტენბერგი.*

ალთაობას. როდესაც ჩემი ცნობა წარვადგინე — „მიღებულია შეიარაღებული ჯარების თადარიგის ოფიცრობის კანდიდატად“ — და ეს-ეს-ის ჯარში გაწვევაზე უარი განვაცხადე, მხოლოდ ერთადერთი სიტყვა გავიგონე: „გაეთრიე!“ სამხედრო წესისამებრ ზურგისაკენ შევტრიალდი და შვებით დავტოვე იქაურობა.

1945 წლის 6 იანვარს, ამ დროს უკვე ჩვიდმეტი წლის ვიყავი, ვიტენბერგში მესანგრეთა ჯარში გადავედი. იქ ჯერ საფუძვლიანი სამხედრო სწავლების კურსი გავიარე, შემდეგ კი, როგორც მესანგრემ, ძალზე მკაცრი და მძიმე წვრთნა. წვრთნები წლის ძალზე არახელსაყრელ დროს დაემთხვა: იანვარ-მარტს. მკაცრი ყინვები და ნესტიანი ამინდი იდგა. რკინის პონტონებს ვეზიდებოდით, დროებითი ხიდები უნდა გაგვემართა. მესანგრე ჰანს-დიტრიხ გენშერი მარტის ბოლომდე იმყოფებოდა ვიტენბერგში.

დედაჩემი ჩემს სანახავად ყოველ მეორე კვირას ჩამოდიოდა. როცა მარტის ბოლოს ერთმანეთს დავემშვიდობეთ, ვუთხარი: „ეს ალბათ შენი ბოლო ვიზიტია. ფრონტი გვიახლოვდება. მალე ბრძოლებში ჩავებმებით და შეიძლება დიდხანს ვერ შეგატყობინო ჩემი ამბავი,

ამიტომ არ ინერვიულო, როგორც კი შევძლებ, მაშინვე ყველაფერს გაცნობებ". მოსალოდნელი მოვლენებისთვის დედაჩემის შემზადებას ვცდილობდი.

1945 წლის თებერვალში დრეზდენის დაბომბვა და საჰაერო თავდასხმები ვიტენბერგში ყოფნის დროს დაეთხვა. ჩვენს ოთახში დრეზდენელებიც იყვნენ. ქალაქის დაბომბვის შემდეგ მათ ორდღიანი საგანგებო შვებულება მისცეს; ისინი სულ სხვა ადამიანებად დაბრუნდნენ. ის, რასაც ახლობლებზე, განადგურებულ დრეზდენსა და ურიცხვ დაღუპულზე გვიყვებოდნენ, ყველას გულს გვიმძიმებდა.

როცა იმ თვეებში ელბასთან ახლოს წვრთნას გავდიოდით, ხიდს სილეზიელ ლტოლვილთა უსასრულო ნაკადი მოაწყდა. ხანდაზმული მამაკაცებით, ქალებითა და ბავშვებით დატვირთული ცხენის ურმების გრძელი ქარავანი გაურკვეველი მიმართულებით, გაურკვეველი მომავლისაკენ უმიზნოდ, მაგრამ მაინც დასავლეთისკენ მიეშურებოდა. საშინელმა ომმა და დაბომბვებმა გერმანელებს საშობლო დააკარგვინა და ლტოლვილებად აქცია ისინი. დათრგუნულნი, მდუმარენი და უზომოდ დამწუხრებულნი შევყურებდით ურმების უწყვეტ მწკრივს. რას წარმოვიდგენდი, რომ დაასლოებით იმავე დროს ჩემი მომავალი მეუღლე დედასთან და თხუთმეტი წლის ძმასთან, დაჭრილ მამასთან — ობერლეიტენანტთან — ერთად ლტოლვილთა შორის იმყოფებოდა და ქვემო სილეზიიდან, ლიგნიცთან მდებარე ნიკოლასშტადტიდან, საქსონიისკენ მიემართებოდა. მამის დაბრუნებისა და დედის გარდაცვალების შემდეგ — დედამისი ომის დამთავრების შემდეგ მალევე გარდაიცვალა — იგი 1948 წელს ბონის სიახლოვეს, ზიგბურგში გადავიდა საცხოვრებლად.

ვიტენბერგიდან დესაუ-როსლაუში გადაგვისროლეს, სადაც ვენკის არმია ბერლინზე სალაშქროდ ემზადებოდა. მეთორმეტე არმია შარნჰორსტის, გნაიზენაუსა და ულრიხ ფონ ჰუტენის დივიზიებისგან შედგებოდა. ჩვენს „საფრონტო ულუფას" წარმოადგენდა: შოკა-კოლა თუნუქის ქილებით და სიგარეტი. სიგარეტს — მაშინაც არამწეველი ვიყავი — ძეხვზე ან შოკა-კოლაზე ვცვლიდი.

ჩემი ქვედანაყოფი ჯერ მდინარე ელბას მიუყვებოდა, რათა დაეზვერა, დასავლეთიდან წამოსული ამერიკელები უკვე ელბასთან იდგნენ თუ არა. ერთ სოფელში სროლაში მოვყევით. ჩემ გვერდით

ხანდაზმული ჯარისკაცი მოდიოდა, რომელმაც დაუდევრობის გამო ფოლადის ჩაჩქანი არ დაიხურა და ტყვიამ შუბლი გაუხვრიტა. ის პირველი ჯარისკაცი გახლდათ, ჩემს თვალწინ რომ დაიღუპა.

ჩვენ ელბაზე უკან დავიხიეთ; საბჭოთა არმიამ კი ნამდვილი „ბერლინზე ლაშქრობა" წამოიწყო. მას შემდეგ, რაც საბჭოთა ჯარებმა 16 აპრილს ოდერის მხრიდან შეტევა წამოიწყეს, აღმოსავლეთის ფრონტზე მდგომარეობა საგრძნობლად გაუარესდა. 22 აპრილს საბჭოთა ჯარების მეწინავე ნაწილები ბერლინის სამხრეთით ტროიენ-ბრიცენ-ცოსენის ხაზს მიადგნენ, იმავდროულად, ბერლინის ჩრდილოეთით, ფრონაუში, უკვე გააფთრებული ბრძოლები მიმდინარეობდა. ქალაქი თითქმის ალყაში იყო მოქცეული. რადგან ჰიტლერმა რაიხის დედაქალაქში დარჩენა გადაწყვიტა და სამხრეთის მიმართულებით უკანდახევაზე უარი განაცხადა, მან გაიზიარა გენერალ-პოლკოვნიკ იოდლის წინადადება, რომ ამერიკელების მხარეს ფრონტი მოეხსნა და ამის შედეგად გამოთავისუფლებული ჯარის ნაწილები, მათ შორის მეთორმეტე არმიაც, დედაქალაქის ბლოკადის გასარღვევად გადაესროლა.

მეცხრე არმია, რომელსაც გენერალი ბუსე მეთაურობდა და ოდერის ფრანკფურტთან იყო დაბანაკებული, ამასობაში წითელმა არმიამ ალყაში მოიმწყვდია. გენერალი თავისი არმიის ნარჩენებით ბერლინის სამხრეთით, მეთორმეტე არმიისკენ გაჭრას ცდილობდა; მათ უამრავი დაჭრილი ჰყავდათ, რომლებიც გენერალს ჯარისკაცებით გარშემორტყმული მოჰყავდა, რათა დაეცვა და გადაერჩინა ისინი. ფიურერის შტაბბინიდან წამოსული ყველა ბრძანება რეალობისგან ძალზე შორს იდგა, ისევე როგორც ჰიტლერის ბრძანება ბერლინის გათავისუფლების შესახებ. ეს ბრძანება გენერალ-ფელდმარშალმა კაიტელმა გენერალ ვენკს ბეელიცთან მდებარე მეტყევის სახლში, „ალთე ჰიოლე"-ში გადასცა. ვენკი, როგორც ჩანს, დარწმუნებული იყო ბერლინის გათავისუფლების შეუძლებლობაში და ამიტომ გადაწყვიტა ფიურერის ბრძანებას არ დამორჩილებოდა. 26 აპრილს დაგეგმილ შეტევისთვის კი, რაც დაბა ბეელიცისა და იქ მდებარე ჰოსპიტლების დაბრუნებას ისახავდა მიზნად, მან მისთვის ჩაბარებული ახალგაზრდა ჯარისკაცების გულისთვის ომის უკანასკნელ დღეებშიც კი იკისრა პასუხისმგებლობა, რადგან საჭირო იყო სამარი მოქმედებების რაიონში ლაზარეთებში მყოფი დაჭრილების

და მეცხრე არმიის გადარჩენილი მეომრების დაცვა, რათა ისინი საბჭოთა ტყვეობაში არ მოხვედრილიყვნენ. ამ მხარეში ყველაზე დიდი ლაზარეთი ბელიცის სანატორიუმების კომპლექსში იყო მოწყობილი. ეს მხარე ორმოცდახუთი წლის შემდეგ ცნობილი გახდა როგორც ერიხ ჰონეკერის თავშესაფარი. მეთორმეტე არმიის ამ ბოლო სამხედრო აქციას გენერალი ვენკი ხსნის აქციას უწოდებდა.

ამ მძიმე დღეებში ჩვენმა მეთაურმა შესანიშნავი მაგალითი მოგვცა იმისა, თუ როგორი უნდა იყოს ხელმძღვანელი, რა პიროვნულ თვისებებს უნდა ფლობდეს. დღეს ამას ალბათ შინაგანი ხელმძღვანელობის ნიჭს დაარქმევდნენ: ჩვენს ბატალიონს, რომელიც ბელიცის სამხრეთით, დაახლოებით რვა კილომეტრის მანძილზე იმყოფებოდა, წრეზე დაწყობა უბრძანეს; თვითონ გენერალი ვენკი მობრძანდა და გვითხრა: „ამხანაგებო, გპირდებით, რომ ელბაზე გადაგიყვანთ, სადაც ამერიკელებს ჩავბარდებით. თქვენ არ მოხვდებით საბჭოთა არმიის ტყვეობაში, მაგრამ აქ კიდევ სამი დღე უნდა გაძლოთ. ოდერის ფრანკფურტიდან მეცხრე არმიელი ამხანაგები ცდილობენ ჩვენი მიმართულებით ალყის გამორღვევას. მათ ბევრი დაჭრილი ჰყავთ, მათთან ერთად არიან მედდები და მეკავშირე ქალები, რომლებიც ჩვენთან ერთად უნდა წამოვიდნენ. ჩვენი ვალია მათ დავეხმაროთ“.

პირველი სწორედ ჩვენი ქვედანაყოფი შეხვდა მეცხრე არმიის მეწინავე ჯგუფს. ავტომატებით შეიარაღებული, ოცდაათი ოფიცრისგან შემდგარი მოიერიშეთა ჯგუფი ფეხით მოდიოდა, არანაირი ტრანსპორტი არ გააჩნდათ, დაჭრილები საკაცეებით რუს ტყვეებს მოჰყავდათ, მათ გვერდით კი მედდები მოაბიჯებდნენ. ათასობით ჯარისკაცისგან შემდგარი უსასრულო ნაკადი მოედინებოდა. მხოლოდ ღამით შეეძლოთ გადაადგილება, რადგან დღისით საბჭოთა თვითმფრინავები უმოწყალოდ ბომბავდნენ იქაურობას. დღისით ტყეს აფარებდნენ თავს. ისინი ჩვენ შემოგვიერთდნენ და ერთდღიანი შესვენების შემდეგ ერთად დავიძარით დასავლეთის მიმართულებით.

მერე კიდევ რაღაც მოხდა, რაც ვენკის აზროვნებისა და ქცევის წესისთვის ძალიან დამახასიათებელი იყო. ეს გახლდათ 30 აპრილს ჰიტლერის სიკვდილთან დაკავშირებით გაცემული მისი ბრძანება. გასაგები რომ იყოს, რაზეა საუბარი, გაგახსენებთ, რომ 1944 წლის 20 ივლისის შემდეგ სამხედრო მისალმების ნაცვლად

ჰიტლერული მისალმება შეიარაღებულ ძალებშიც შემოიღეს. აქამდე ეს ბრძანება მხოლოდ სახელმწიფო უმაღლესების ჯარებს — ეს-ესს — ეხებოდა, ამიერიდან კი მას ვერმახტიც უნდა დამორჩილებოდა. ვენკმა კი აი რა გვიბრძანა: „მეთორმეტე არმიის ჯარისკაცებო! ფიურერი მოკვდა. დღეიდან მხედრული სალამი კვლავ ძველი წესით, მარჯვენა ხელის ქუდთან მიტანით უნდა მისცეთ. ვენკი, ჯავშანსატანკო არმიის გენერალი". რაოდენ განსხვავდებოდა ამ სიტყვების ტონი და შინაარსი გროსადმირალ დიონიცის ქედმაღლური ბრძანებისაგან. ეს იმ დიონიცზეა ლაპარაკი, ჰიტლერმა თავის მონაცვლედ რომ დაასახელა! მრავალი წლის შემდეგ, თომას დელერის მიერ გამართულ წვეულებაზე, ვენკს ჩემი აზრი გავუზიარე: „თქვენ ორიოდე წინადადებით უფრო მეტის გამოთქმა მოახერხეთ, ვიდრე მოწინავე სტატიების ყველა ავტორმა ერთად". გენერლის შტაბში ერთი ოფიცერიც იყო, რომელიც, მოგვიანებით, 1963 წლიდან 1967 წლამდე, ბუნდესტაგში თავისუფალ დემოკრატთა ფრაქციას ხელმძღვანელობდა: კნუტ ფრაიჰერ ფონ კიულმან-შტუმი.

ჩვენი ბატალიონის ჯარისკაცებს იმ დღეებში ერთადერთი მიზანი ამოძრავებდა — გადარჩენის მიზანი. ახლობლებზეც ვდარდობდით. მეთაურები უკანასკნელ სისხლის წვეთამდე ბრძოლას არ გვაიძულებდნენ, თუმცა არც აღარავინ დაემორჩილებოდათ. საბჭოთა არმიის ტყვეობაში ჩავარდნისა ძალიან გვეშინოდა. ჯარისკაცები, რომლებმაც პირველი მსოფლიო ომის დროს რუსების ტყვეობა გამოსცადეს, საშინელ ამბებს გვიყვებოდნენ. მოგვიანებით გაირკვა, რომ ჩვენი შიში საფუძველმოკლებული არ იყო. ინსტინქტურად ვგრძნობდით, რომ რუსების ტყვეობას ამერიკელების ტყვეობა გვიჯობდა.

ვენკმა წინასწარ იზრუნა ამაზე. ალტმარკის ტანგერმიუნდესკენ მივემართებოდით და ელბის აღმოსავლეთ სანაპიროს 5 მაისს, ომის დამთავრებამდე ორი დღით ადრე მივაღწიეთ. როცა ღამე ბისმარკის მშობლიურ შაონჰაუზენში, ერთ ფარდულში გავათიე, მაშინ ჯერ კიდევ არ მქონდა გაცნობიერებული ამ ადგილის სამწუხარო სიმბოლიკა. ორმოცდაათი წელი დასჭირდა იმას, რომ გერმანელებს კვლავ ერთად ეცხოვრათ ერთ სახელმწიფოში.

ელბის ხიდების ნანგრევებზე ძელებისგან სახელდახელო პატარა



*ვენკის არმიისა და მე-9 არმიის ათიათასობით გერმანელი ჯარისკაცი 1945 წლის 5-დან 7 მაისამდე ტანგერმიუნდესთან ფიცარნავით გადავიდა მდინარე ელბის მეორე ნაპირზე, მათ შორის იყო ამ წიგნის ავტორიც.*

ხიდი გაედოთ. გადასვლა დილის რვა საათიდან თვრამეტ საათამდე შეიძლებოდა. მეცხრე და მეთორმეტე არმიების ნარჩენებმაც — რამდენიმე ათეულმა ათასმა კაცმა — დროის ამ მონაკვეთში გადაკვეთეს ელბა, რასაც სამი დღე დასჭირდა. ამერიკელების მოთხოვნა იყო, რომ ხიდზე მხოლოდ ჯარისკაცებს გაევლოთ და არა სამოქალაქო პირებს, მაგრამ 1945 წლის 7 მაისს, ნაშუადღევს, როცა ელბას მივადექით, იქ თავმოყრილ ათიათასობით ჯარისკაცს შორის ქალებსაც მოვკარი თვალი. ისიც დავინახე, ჯარისკაცებმა როგორ დაახურეს მათ ჩაფხუტები და ლაბადები წამოასხეს ამერიკელი გუშაგების

თვალის ასახვევად, რომლებიც აშკარად თვალს ხუჭავდნენ ამაზე. საცალფეხო ხიდი 7 მაისს, ნაშუადღევს გადავიარე, ხოლო სულ ცოტა ხანში წითელი არმია, რომელიც ჩრდილოეთიდან, აღმოსავლეთიდან და სამხრეთიდან სულ უფრო ავიწროებდა ხიდისწინა პლაცდარმს, სწორედ ამ მხრიდან მოადგა ელბას. როცა მდინარეზე გადავდიოდი, მეორე მხარეს ამერიკელებს მოვკარი თვალი; საბჭოთა ჯარისკაცები კი ჩვენგან აღმოსავლეთით იმყოფებოდნენ ასე, ათასი-ორიათასი მეტრის მანძილზე. მეც იმ მცირერიცხოვან გერმანელ ჯარისკაცებს ვეკუთვნოდი, რომლებსაც ამ წუთებში თვითონ უნდა მიეღოთ გადაწყვეტილება: ან ამერიკელები, ან საბჭოელები – არჩევანი ძნელი გასაკეთებელი არ იყო. ამგვარ კრიტიკულ სიტუაციაში ეს უბრალო გადაწყვეტილებაზე მეტს ნიშნავდა.

ბოლოს და ბოლოს გადავედი ელბას დასავლეთ ნაპირზე და თითქოს სხვა სამყაროში ამოვყავი თავი. იქ დაახლოებით ოცდაათი სანიტარული მანქანა იდგა; გერმანელი და ამერიკელი სანიტრები, მედდები და ექიმები დაჭრილებსა და ავადმყოფებს დასტრიალებდნენ. ჯანმრთელი მეომრები კი თორმეტკაციან რიგებად დაწყობილი მიემართებოდნენ ტანგერმიუნდესკენ. გზად ორიოდე სტრიქონის დაწერა მოვახერხე, დედას ჩემს ამბავს ვატყობინებდი და ერთ ადგილობრივ მაცხოვრებელს ვთხოვე, წერილი აღნიშნულ მისამართზე გადაეგზავნა. უცებ ბრძანება შემომესმა: „ნაბიჯით... იარ! სწორება მარჯვნივ!“ პატარა მოედანზე, ღია, მსუბუქ ავტომობილში მდგარ გენერალ ვენკსა და ამერიკელ გენერალს გზად მიმავალი ოფიცრები მხედრულ სალამს აძლევდნენ. ეს კი ჯარისკაცებში მითქმა-მოთქმის საბაბი გახდა. ამბობდნენ: უახლოეს ყაზარმაში ამერიკულ უნიფორმას გადაგვაცმევენ და მერე ამერიკელებთან ერთად წითელ არმიას შევუტევთო. ასე რომ არ იყოს, გენერალი ვენკი ამერიკელ გენერალთან ერთად აღლუმს არ ჩაიბარებდაო. აღლუმს ახსენებდნენ, თუმცა ჯარისკაცების გარბენას გენერლების წინ აღლუმი ნამდვილად არ ეთქმოდა. ეს ერთ-ერთი იმ ჭორთაგანი იყო, მოლაშქრეთა ჟარგონზე „ფეხისალაგის ამბავს“ რომ ვუწოდებდით.

ბედი მწყალობდა. სამხედრო ოპერაციებში ძალიან ცოტა ხანს ვმონაწილეობდი, რაც ნამდვილად ბედის წყალობა გახლდათ ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით და არა ჩვეულებრივი მოვლენა. მიხაროდა, რომ ომი დამთავრდა და გადავრჩი. მაგრამ დედაჩემს რა

ბედი ეწია, ან წინ რა გველოდა? ცნობიერებაში ნელ-ნელა ამომიტივტივდა ის კითხვები, უკანასკნელ წლებში მე და ჩემს მეგობრებს რომ გვაღელვებდა. როგორ განვითარდებოდა მოვლენები ჰიტლერის შემდეგ? ახდებოდა ის, რასაც იაროვინსკი წინასწარმეტყველებდა ფრაუენშტაინში ჩვენი ყოფნისას, თუ ჩემი ვარაუდი გამართლდებოდა? იქნებ ორივენი ვცდებოდით და მოვლენები სულ სხვაგვარად წარიმართებოდა? ყველაფერი მოსალოდნელი იყო. რას ვგრძნობდით მაშინ, თავისუფლები ვიყავით? დიახ, ჰიტლერისა და მისი სისტემისგან, ომის, შიშისა და ძრწოლისაგან გავთავისუფლდით, მაგრამ იქნებოდა კი გათავისუფლება თავისუფლების ტოლფასი? რა ელოდა გერმანიას? ვის გაეცა პასუხი ამ კითხვებზე?

ომის საშინელებამ მთელ ჩემს ცხოვრებას დაასვა დაღი. მხედრული რომანტიკა ჩემთვის არ არსებობდა, შიში და ელდა კი ხშირად განმიცდია. ახლა – რაც ომი დამთავრდა, მხოლოდ იმაზე ვფიქრობდი, რომ ცხოვრება როგორმე გაგრძელდებოდა, რაც მთავარია, მე ხომ უვნებლად დავაღწიე თავი ომს. როცა ათასობით თანამებრძოლთან ერთად ამერიკელებისკენ მივაბიჯებდით, რათა ტყვედ ჩავბარებოდით, უკვე იმედიანად ვფიქრობდით სიცოცხლესა და მომავალზე. რეკრუტობისდროინდელ ამხანაგთან ერთად მივდიოდი. „რაზე ფიქრობ?“ – მკითხა მან. „ახლა ორი მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება მივიღე. პირველი: რაც შეიძლება სწრაფად ავითესო აქედან და შინ დავბრუნდე; მეორე: ამიერიდან მხოლოდ იმას გავაკეთებ, რისი კეთებაც მინდა და მსიამოვნებს“. დღევანდელი გადასახედიდან შემიძლია ვთქვა, რომ მე ეს ძირითადად კიდეც მოვახერხე.

ჩვენ, ვენკის არმიის გადარჩენილი მეომრები, სტენდალისკენ მივდიოდით. პირველი ღამე ერთ საველე აეროდრომზე გავატარეთ. დედაჩემმა თავისი ბოლო სტუმრობისას მამაჩემისეული ბეჭედი დამიტოვა და მითხრა – შვილო, ყოველთვის თან ატარეო. თილისმასავით უნდა მქონოდა. იქნებ მან თავისი დანიშნულება შეასრულა კიდეც. მკერდზე ჩამოკიდებულ ქისაში მედო. რადგან ამერიკელ ჯარისკაცთა შორის მრავლად იყვნენ „სამკაულისა და საათების ამკრეფნი“, რომლებიც პირწმინდად გვფცქვნიდნენ, ბეჭედი პირში ჩავიდე და ისე დავიძინე. მეორე დილით ბეჭედი ვეღარსად ვნახე, გაუჩინარდა და ვერსად ვიპოვე.

სტენდალში ჰინდენბურგის ყაზარმაში დავბინავდით, რომელსაც

ამერიკელები „ჰინდენბურგის ტყვეთა ბანაკს“ ეძახდნენ. ერთ ოთახში, სადაც ნორმალურად ათი კაცი თუ მოთავსდებოდა, ავეჯის გატანის შემდეგ, დაახლოებით ოცდაათი კაცი შეგვყარეს და ამ სივიწროვეში იატაკზე გვეძინა. პირველივე ღამეს ამერიკული პოლიცია დაგვადგა, გვიბრძანეს ტანზემოთ გაგვეხადა და ხელები მაღლა აგვეწია. იღლიები შეგვიმოწმეს. ვერ მივხვდით, რა ხდებოდა. როცა პოლიციელები წავიდნენ, სამედიცინო სამსახურის უნტეროფიცერმა განგვიმარტა: „თქვენ რა, არ იცოდით, რომ ესესელებს სისხლის ჯგუფი მკლავქვეშ ჰქონდათ აღნიშნული? ეს ლაზარეთში შევიტყვე“. ამერიკელები ესესელებს ეძებდნენ. ჩვენს ოთახში არც ერთი მათგანი არ აღმოჩნდა.

ამერიკული სამხედრო ულუფა, ჩვენ რომ გვეძლეოდა, გასანთლულ მუყაოს კოლოფებში იყო შეფუთული და მეფურ ტრაპეზად გვეჩვენებოდა: სოსისის ქილები, კარაქი, შოკოლადი, დაბინძურებული წყლის გასაფილტრი სადეზინფექციო აბები, ტუალეტის ქაღალდი, და თქვენ წარმოიდგინეთ, ყუთში პრეზერვატივებიც იდო! რვა დღის შემდეგ ამერიკელები წავიდნენ და ეს ტერიტორია ტყვეებითურთ ინგლისელებს გადასცეს. „მეფური“ საკვების ნაცვლად ამჯერად წყალ-წყალა სუფს და ცოტაოდენ პურს გვირიგებდნენ. თუმცა კორექტულად გვეპყრობოდნენ და ძალადობას ადგილი არ ჰქონია. რაკი ინგლისელები საკუთარ ჯარსაც ვერ ამარაგებდნენ საკმარისად, ამიტომ ჩვენ, ანუ ზუსტად ასი ათასი გერმანელი ჯარისკაცი, უხვმოსავლიან ალტმარკში გადაგვიყვანეს. იქ სხვადასხვა დასახლებებში გაგვანაწილეს. დიდი კოლონიალური გამოცდილების მქონე ბრიტანელებმა გერმანელი ოფიცრები კომენდანტებად დანიშნეს და ისინი აგებდნენ პასუხს საგანგებო რეჟიმის დაცვაზე, წესრიგსა და უსაფრთხოებაზე. გლეხებს ჭირნახულის აღებაში უნდა დავხმარებოდით. სოფლებში ომიდან დაბრუნებულ გლეხთა რიცხვი ძალზე მცირე იყო. უცხოელი ტყვეები, მეურნეობაში რომ მუშაობდნენ, უკვე სახლებში დაბრუნებულიყვნენ.

ასე რომ, გლეხის შვილიშვილმა ჰანს-დიტრიხ გენშერმა ფლეხტინგენში, ალტმარკულ ფერმაში ამოჰყო თავი. ოცდახუთიოდე წლის დიასახლისი, თავის ორ მცირეწლოვან შვილთან ერთად, ამაოდ ელოდა უგზო-უკვლოდ დაკარგულ ქმარს. მისი უმცროსი და, ქუჩის მოპირდაპირე მხარეს მშობლებთან ერთად ცხოვრობდა. მამა — რამდენადაც მახსოვს — რაიონულ გამგეობაში მუშაობდა,

რაც მალე ძალზე გამომადგა. ჩემი დიასახლისის დასთან ვმეგობრობდი.

დაახლოებით ხუთი კვირის შემდეგ ეს იდილია მოულოდნელად დასრულდა. 1945 წლის 30 ივნისს – უკვე პირველი ივლისი დგებოდა – შუაღამისას კარზე დააბრახუნეს: ვერმახტის ყველა წევრი მხედრული აღკაზმულობით სოფლის მოედანზე გამოცხადდესო! ამგვარი ბრძანებები უკვე გადამავიწყდა კიდეც. ერთ საათში მწყობრად მივაბიჯებდით ახლომდებარე უფრო მოზრდილი სოფლისკენ, სადაც დიდ მოედანზე დაახლოებით ათასამდე გერმანელ ჯარისკაცს მოეყარა თავი, რომელთაც ავტომატებით შეიარაღებული ინგლისელები დარაჯობდნენ. როცა ნახევარწრედ განვლაგდით, ერთმა გერმანელმა პოლკოვნიკმა ბრიტანელი პოლკოვნიკის თანხლებით სიტყვით მოგვმართა: „ამხანაგებო, მოკავშირეებმა გადაწყვიტეს საქსონია, ტიურინგია და საქსონიის ძველი პროვინცია წითელ არმიას გადასცენ. წითელი არმია ხვალ, შუადღის 12 საათზე შემოვა. ახლა სატვირთო ავტომობილებში ჩავსხდებით და დასავლეთ გერმანიაში გადავალთ. მოკავშირეებს შორის არსებობს შეთანხმება, რომ გერმანელ ჯარისკაცებს მათი სურვილის წინააღმდეგ არ გადაიყვანენ ამ ტერიტორიიდან. დარჩენის მსურველები საბჭოთა არმიას უნდა ჩაბარდნენ და წითელარმიელებს სკოლის შენობაში უნდა დაუცადონ“. შემდეგ მან გვკითხა, თქვენს შორის დარჩენის მსურველები თუ არიანო. მწყობრიდან ორი ჯარისკაცი გამოვიდა. ერთ-ერთი მე ვიყავი. მეორე დამეკითხა – შენც კომუნისტი ხარო? – არა, სამხედრო სამსახურიდან მე თვითონ დავიხსნი თავს და სახლში, დედაჩემთან წავალ-მეთქი.

### *ჰალეში დაბრუნება*

როცა ევაკუაცია დაიწყო, ჩემი ფუთა ავიღე და „ჩემს სოფელში“ დავბრუნდი. დილაუთენია მივადექი „ჩემს“ დიასახლისს, გავაღვიძე და შევატყობინე: „12 საათზე რუსები შემოვლენ, არ მინდა დედაჩემი მარტო დავტოვო, რაც შეიძლება სწრაფად უნდა დავბრუნდე ჰალეში“. ყველა შიშით ელოდა წითელი არმიის შემოსვლას.

რა ვიცოდით, რომ საოკუპაციო ზონების საზღვრები დიდი ხნით ადრე გაემიჯნათ და დაედგინათ. 1945 წლის 5 ივნისს ოთხმა სახელმწიფომ შეთანხმების რატიფიკაცია მოახდინა, რომლის

თანახმადაც დასავლელ მოკავშირეებს საბჭოთა კავშირისთვის დაპირებული ალტმარკი უნდა დაეტოვებინათ. დიასახლისის დამ მითხრა: „მამის ტიროლური კურტაკი გვაქვს, ღილებს დავაჭრით და სამოქალაქო ქურთუკად გადავაკეთებთ. სამხედრო შარვალს კი დავამოკლებთ“. მაგრამ კიდევ ერთმა პრობლემამ იჩინა თავი, მე ხომ ჯარიდან განთავისუფლების ცნობა არ მქონდა. ჩემი მეგობრის მამამ დამამშვიდა, საღამოს გამგეობიდან ახალი პირადობის მოწმობა მომიტანა, რომელშიც ეწერა: პროფესია – „მოსწავლე“. სამხედრო მოწმობა აბგაში დავმალე, ცნობა კი ხელთ მქონდა.

მთელმა დღემ ისე ჩაიარა, რომ განსაკუთრებული არაფერი მომხდარა. საღამოხანს, როცა ძროხებს ტბისკენ მივერეკებოდი, საბჭოთა ჯარისკაცებით სავსე სატვირთო მანქანამ ჩაიარა ფლენსტინგენში, წითელარმიელებმა ზედაც არ შემომხედეს, როგორც ჩანს, სხვა მიმართულებით მიემგზავრებოდნენ.

მომდევნო შაბათს სოფლელმა მეგობრებმა უახლოეს რკინიგზის სადგურამდე ცხენშებმული ურმით მიმიყვანეს. იქ ჰალეში გასამგზავრებელი ბილეთი შევიძინე. მატარებლები განრიგით მოძრაობდნენ. მაგდებურგში გადაჯდომა მიწევდა. ბაქანზე ვიდექი, როცა საბჭოთა ჯარისკაცებით გარშემორტყმული გერმანელი ტყვეები დავინახე, ლიანდაგზე რომ მიაბიჯებდნენ. ამცდა ეს განსაცდელი, მაგრამ მომავალში რა მელოდა?

გზადაგზა სილეზიელი და სუდეტელი ლტოლვილებით გადაჭედილ სადგურებსა და მატარებლებს ვხედავდი. ჰალეში 1945 წლის 7 ივლისს, შუადღისას ჩავედი. დედაჩემმა სწორედ მაშინ გამოიხედა ფანჯრიდან, როცა პერზილის ყუთით ხელში, მოკლე შარვალსა და გადაკეთებულ ქურთუკში გამოწყობილი, სახლს მივუახლოვდი. ხელი დავუქნიე. ენით აღუწერელი იყო ჩვენი შეხვედრა. დედამ მაშინვე რაიდებურგელ პაპა-ბებიას დაურეკა და შეატყობინა, ბიჭი ჩამოვიდაო. ტელეფონი ისევ ფუნქციონირებდა, ტრამვაიც ამუშავებულიყო. ერთი შეხედვით ყველაფერი ძველებურად იყო. ჰალე დაბომბვას გადაურჩა, მხოლოდ ის უბანი დაზარალდა, რკინიგზასთან ახლოს რომ მდებარეობდა. ტერიტორიების გაცვლის ფარგლებში წითელი არმიის შემოსვლა ძირითადად მოწესრიგებულად მოხდა. დედაჩემმა დაწვრილებით გამომკითხა, რაც ვიტენბერგში მარტის დამლევს, ჩვენი ბოლო შეხვედრის შემდეგ გადამხდა თავს.

საოკუპაციო ზონებად დაყოფა მაშინ დროებითი მოვლენა გვეგონა. კიდევ უფრო წარმოუდგენლად გვეჩვენებოდა გერმანიის ორ სახელმწიფოდ გახლეჩა, აღმოსავლეთ პროვინციების სრულ დაკარგვაზე რომ აღარაფერი ვთქვათ. ეს იყო პერიოდი, როცა პირველად და ძალზე მწვავედ დადგა წარსულის საკითხი. საკონცენტრაციო ბანაკები რომ არსებობდა, სადაც ადამიანებს ამწყვდევდნენ და აწამებდნენ, ყველას გვსმენოდა და თუ ვინმე მოჰყვება იმის მტკიცებას, მე არაფერი ვიცოდიო, ის ტყუის ან თავს იკატუნებს, თითქოს წარმოდგენა არ ჰქონდეს, რაზეა ლაპარაკი. თუკი მავანი და მავანი არსებული რეჟიმის ლანძღვას მოჰყვებოდა, ან „საბოლოო გამარჯვებაში" ეჭვს შეიტანდა, განა არ აფრთხილებდნენ: ჩუმად იყავი, რომ გაგიგონ შენც საკონცენტრაციო ბანაკში გიკრავენ თავსო? ერთი რამ კი უნდა ითქვას, რომ ებრაელთა ამოწყვეტის მასშტაბებზე, ადამიანთა მასობრივი განადგურების ისეთ კერებზე, როგორებიცაა ოსვენციმი და მაიდანეკი, მე, ისევე როგორც ალბათ გერმანელთა უმრავლესობამ, მხოლოდ ომის დამთავრების შემდეგ შევიტყვე. მაგრამ ებრაელებზე ნადირობა რომ იყო გაჩაღებული, ის, რომ მათ დევნიდნენ, ყველასთვის ცნობილი გახლდათ, იმდენადვე ცნობილი, რამდენადაც ნაციონალ-სოციალისტების ლოზუნგი: „ებრაელობა — აი, ჩვენი უბედურების სათავე". ყველას გვსმენოდა „შტურმერების" ყბადაღებული, ადამიანის დამამცირებელი გამოთქმა: „ჩაძაღლდი, იუდავ!" ჩვენ ყველანი მოწმე ვყოფილვართ იმისა, როგორ აიძულებდნენ ებრაელებს ყვითელი ვარსკვლავის ტარებას. განა ყველასთვის არ იყო ცნობილი ვითომდა უწყინარი სახელით — „რაიხის ბროლის ღამე" — მონათლული ებრაელთა უმოწყალო დარბევის ღამე, ებრაელებსა და მათ საკუთრებაზე ძალადობის გამოხატულებად რომ იქცა? ვის აქვს უფლება განაცხადოს: არ შემიმჩნევია, ქუჩებში თანდათან როგორ კლებულობდა იმ ადამიანთა რიცხვი, რომლებიც ებრაულ ვარსკვლავს ატარებდნენო? ადამიანები ხომ ფარულად მაინც საუბრობდნენ იმაზე, რომ ისინი აღმოსავლეთში მიჰყავდათ. ზოგი გულღრძოდ და ნიშნისმოგებით ჩურჩულებდა, ზოგი სინანულით. მცირეოდენი „მართალნი", მათ რომ ეხმარებოდნენ, თავიანთ ნამოქმედარს ვერ ამხელდნენ.

ვგრძნობდით, რომ ეს ყველაფერი უკან მოგვიბრუნდებოდა. მსოფლიო პასუხს გვაგებინებდა იმის გამო, რაც გერმანელებმა

ჩაიდინეს გერმანელთა სახელით. პასუხს მოგვთხოვდნენ იმისთვისაც, რომ გერმანიამ მთელი ევროპის კონტინენტი და მის ფარგლებს გარეთ არსებული ქვეყნებიც კი ჩაითრია ომის ქარცეცხლში. რა განაჩენს გამოგვიტანდნენ, ან როგორი იქნებოდა ჩვენი სასჯელი?

ძალზე უჩვეულოდ მეჩვენებოდა, რომ უმაღლესმა სასწავლებლებმა მალევე დაიწყეს ფუნქციონირება. სახლში რომ დავბრუნდი, იმ დღესვე ჩვენს კარზე ზარი დარეკეს. ერთი თანამებრძოლის მამა მოვიდა, რომელიც პასტორი გახლდათ. ცოლს დასიზმრებია, თითქოს მათი შვილი დაიღუპა. ჩემს ვაჟზე ხომ არაფერი გსმენიათო? შემეძლო დამეიმედებინა: თქვენი ვაჟი ცოცხალია, მაისში ტყვეთა ბანაკში შევხვდი-მეთქი. პასტორმა მთხოვა, ეს სასიხარულო ამბავი მისი ცოლისთვის პირადად შემეტყობინებინა. ერთხანს ვყოყმანობდი, მერე — ჩემდა საბედნიეროდ — დავთანხმდი. ამაში ნამდვილად ღვთის ხელი ერია. მაშინ, როცა მე და დედაჩემი ნაცვლად კლეფციგისა — სადაც წასვლას ვაპირებდით —, პასტორის სახლისკენ მივეშურებოდით, მამაჩემის მშობლიურ კლეფციგში რუსი ჯარისკაცები შესულან და თექვსმეტიდან სამოც წლამდე ასაკის ყველა მამაკაცი წაუყვანიათ, მათ შორის მამაჩემის ძმა არტური, ვისაც მემკვიდრეობით დარჩა კარ-მიდამო და ტორგაუელი ბიძია მაქსი, რომელიც ოჯახის მოსანახულებლად ყოფილა ჩასული.

მათი დაპატიმრების მიზეზი კი, როგორც გადმომცეს, შემდეგში მდგომარეობდა: ივლისის დასაწყისში, წითელი არმიის შემოსვლის შემდეგ, ერთ ღამეს მოტოციკლეტზე ამხედრებული ორი რუსი ჯარისკაცი ჩასულა კლეფციგში ქალების საძებნელად.

ამერიკელების მიერ დანიშნულ ბიურგერმაისტერს, თვითონაც გლეხკაცს, მამაკაცები შეუკრებია, მათ შორის ბიძაჩემიც და შეთანხმებულან, რომ თუ დაუპატიჟებელი სტუმრები კიდევ გამოჩნდებიან, ქალებმა ქვაბებზე ბრახუნი ატეხონ და საშველად გვიხმონო. რუსები მართლა დაბრუნებულან. კაცებს ისინი გაუყრიათ და უცემიათ კიდეც; შურისძიების მიზნით მერე მთელი ნაწილი დასდგომიათ თავს და ყველა მამაკაცი დაუპატიმრებიათ. იმ დღეს, როგორც განზრახული მქონდა, კლეფციგში რომ ჩავსულიყავი, მეც მათ შორის ვიქნებოდი.

ბიძია მაქსი ერთხანს ჰალეს საპყრობილეში ჰყავდათ გამომწყვდეული, მერე კი გამოუშვეს. იქ რა შეემთხვა დღემდე არ ვიცით.

ალბათ საშინელ განსაცდელში ჩავარდა, ხმა არ ამოუღია ამის შესახებ. მრავალი წლის შემდეგაც, როცა მისი გარდაცვალების წინ, 1986 წელს მოვინახულე ბონის მალტის კლინიკაში, მაშინ განცდილი შიში ისევ აწვალებდა, როგორც ჩანს, ჰალუცინაციებიც ჰქონდა: „შენ ხომ მინისტრი ხარ, არ დაუშვა, არ მისცე ამის უფლება! ყველანი აქ არიან, ვინც საპყრობილეში მაწამა. ღამ-ღამობით მოდიან. მერე რა, რომ თეთრი კიტელები აცვიათ, მაინც ისინი არიან". სიკვდილის პირისპირ საზარელმა მოგონებებმა კიდევ ერთხელ გააწამეს ბიძაჩემი.

ტუსაღებს რიგრიგობით ათავისუფლებდნენ, მაგრამ შვიდ მამაკაცს, მათ შორის ბიურგერმაისტერსა და ბიძაჩემ არტურს, მამულის მემკვიდრეს, როგორც პირზეხელაფარებულნი ყვებოდნენ, საშინელი ხვედრი რგებიათ. წითელარმიელებს რამდენიმე კვირის შემდეგ ისინი სოფელში დაუბრუნებიათ. სკოლის შენობაში სახელდახელო ტრიბუნალი მოუწყვიათ, სოფლის ყველა მცხოვრები, ქალებიც და ბავშვებიც, ტბასთან მიურეკავთ, „განაჩენი" რუსულ ენაზე წაუკითხავთ და სამი ტუსაღი თანასოფლელების თვალწინ დაუხვრეტიათ. მერე გვამები სატვირთო მანქანაზე დაუყრიათ, ოთხი ტუსაღი, — მათ შორის ბიძაჩემი, — თან წაუყვანიათ და წასულან, არც ერთი აღარ დაბრუნებულა და მას შემდეგ არც აღარაფერი გვსმენია მათ შესახებ.

## თავი 2

# ორიენტაციის წლები

### *საბჭოთა საოკუპაციო ზონასა და გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში*

მას შემდეგ, რაც მშობლიურ ქალაქში დავბრუნდი, სხვა ახალგაზრდების მსგავსად, მეც ერთი კითხვა მაწუხებდა: როგორი იქნებოდა პოლიტიკური აწმყო და მომავალი? კარგად მახსოვს, როგორ შემაშფოთა რაიდებურგელი ბაბუის ნათქვამმა, — ყმაწვილო, არ მოტყუვდე, ისინი გერმანიას ორმოცდაათი წლით შუაზე გაყოფენო. ბაბუაჩემი მართალი გამოდგა. მე კი ამერიკელების იმედი მქონდა. ვფიქრობდი, რომ ისინი იმგვარ დემოკრატიულ წესრიგს დაამკვიდრებდნენ გერმანიასა და ევროპაში, რომელიც დემოკრატიაზე მათ წარმოდგენას შეესატყვისებოდა. ამიტომ სულ უფრო გაუგებარი ხდებოდა ჩემთვის, რატომ დაუშვეს დასავლელმა დემოკრატებმა ის, რაც ჩეხოსლოვაკიასა და პოლონეთში მოხდა. ჰიტლერთან ომი ხომ პოლონეთის გამო დაიწყო; 1939 წლის სექტემბერში პოლონეთზე გერმანიის თავდასხმის შემდეგ დიდმა ბრიტანეთმა და საფრანგეთმა დაშოშმინების პოლიტიკას, — რამაც შესაძლებლობა მისცა ჰიტლერს ჩეხოსლოვაკია დაეპყრო, — როგორც იქნა წერტილი დაუსვეს.

საბჭოთა ჯარების მიერ ოკუპირებულ ზონაში 1945 წლის ზაფხულში პოლიტიკური ცხოვრება მას შემდეგ გამოცოცხლდა, რაც ოთხი პარტია დაარსდა: გერმანიის კომუნისტური პარტია, გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტია, ქრისტიანულ-დემოკრატიული კავშირი, ლიბერალურ-დემოკრატიული პარტია. გადავწყვიტე ბედი პოლიტიკაში მეცადა; გერმანელთა დიდი უმრავლესობის მსგავსად, მეც იმ აზრის ვიყავი, რომ, რაც მოხდა, აღარ უნდა განმეორებულიყო. საკუთარ თავს ვეკითხებოდი, რა შემეძლო გამეკეთებინა, რა პირადი წვლილის შეტანა შემეძლო ამ საქმეში. გერმანიის კომუნისტურ პარტიაზე არც მიფიქრია; გერმანიის სოციალ-დემოკრატიულ პარტიაში ხელს მიშლიდა სოციალიზმი; ქრისტიანულ-დემოკრატიული კავშირის იდეები მიზიდავდა, მით უფრო, რომ ჩემი მშობლები ევანგელისტები იყვნენ და მეც ამ სულისკვეთებით

აღმზარდეს. სუპერინტენდენტი ბრიუნეკე რაიდებურგის საალმსარებლო ეკლესიის მრევლს ეკუთვნოდა და მესამე რაიხის დროს მრავალგზის დააპატიმრეს. ქრისტიანული პასუხისმგებლობით გამსჭვალული პოლიტიკის იდეა ძალზე მხიბლავდა, მაგრამ ამ პარტიის მოწოდებაში არ მაკმაყოფილებდა „ქრისტიანული სოციალიზმის“ მოთხოვნა — ნ-ეთუ მართლა შეიძლებოდა ამათი ურთიერთშერწყმა? ერთმა მეზობელმა, რომელსაც ამასთან დაკავშირებით ჩემი მოსაზრება გავანდე, სახარებისეულ მთის ქადაგებაზე მიმანიშნა, მაგრამ ეს ჩემთვის მაინც გაუგებარი დარჩა. იმას, რაც საბჭოთა სექტორში სოციალიზმად ითვლებოდა, მთის ქადაგებასთან ბევრი არაფერი ჰქონდა საერთო. რამდენად იყო შესაძლებელი ის, რომ მთის ქადაგების იდეები ყოველდღიურ პოლიტიკურ ცხოვრებაში ქცევის ნორმად ქცეულიყო? ეჭვი, თვრამეტი წლის ასაკში რომ მღრღნიდა, ასაკთან ერთად კიდევ უფრო გამიღრმავდა.

ერთ დღეს გერმანიის ლიბერალურ-დემოკრატიული პარტიის შეკრებას დავესწარი. სიტყვით გამოდიოდა ჰალეს „ლიბერალ-დემოკრატიული გაზეთი“-ს მთავარი რედაქტორი ჰაროლდ ვ. ეშე. ამ მჭევრმეტყველმა ორატორმა შემდეგი სიტყვებით მომინადირა: „ლიბერალიზმი დამოკიდებულების ყველა სხვა ფორმასთან შედარებით ყველაზე ფართო ალტერნატივას წარმოადგენს“. მე ეს სიტყვები დამაჯერებლად მეჩვენა. და მართლაც გერმანიის ლიბერალ-დემოკრატიული პარტია ჰალეში არსებულ პარტიათაგან ყველაზე აშკარად უპირისპირდებოდა კომუნისტების მიერ ძალაუფლების ხელში ჩაგდების სურვილს. 1946 წლის 30 იანვარს გერმანიის ლიბერალურ-დემოკრატიულ პარტიაში გავწევრიანდი. დასავლეთის საოკუპაციო სექტორების პარტიულ სპექტრში გერმანიის ლიბერალ-დემოკრატიული პარტია ყველაზე პროგრესულ პარტიას წარმოადგენდა. დღევანდელი გადასახედიდან შეიძლება ითქვას, რომ ის ნაციონალ-ლიბერალური კი არა, სოციალ-ლიბერალური პარტია გახლდათ.

1945 წლის ზაფხულში მარტინ ლუთერის სახელობის უნივერსიტეტმა უკვე მიღება გამოაცხადა. 1945 წლის 11 ივლისს განცხადება შევიტანე, თუმცა ყველაფერი რაღაც არარეალურად მეჩვენებოდა. ჩემი საგამოცდო წიგნაკი 1945 წლის 11 ივლისით იყო დათარიღებული. სულ რაღაც ორადორი თვე მაშორებდა იმ დღეს, როცა უამრავ გერმანელთან ერთად ამერიკელებს ტყვედ ჩავბარდი.

ახლა კი სტუდენტი ვიყავი – ყოველ შემთხვევაში მე ასე ვფიქრობდი, შემდეგ რეგისტრაცია კიდევ ერთხელ უნდა გაგვეკეთებინა, რათა საბოლოო ნებართვა მიგვეღო. ასე რომ, 1945 წლის 11 ივლისის ნაცვლად, უნივერსიტეტში ჩარიცხვის თარიღი 1946 წლის მაისად გადაკეთდა.

1945 წლის ივლისში ლექციები ჯერ არ გვიტარდებოდა. სწავლის მსურველები უნივერსიტეტის აღდგენით სამუშაოებში ვმონაწილეობდით და დანგრეულ კორპუსებს ნანგრევებისგან ვასუფთავებდით. 1945 წლის ნოემბრის ბოლომდე მშენებლებს ვეხმარებოდი.

1945 წლის პირველ დეკემბერს კი ფრიდრიხ ნიცშეს სახელობის სკოლაში ისევ სასკოლო მერხს მივუჯექი, რომელსაც მოგვიანებით ფრიდრიხ ენგელსის სახელობის სკოლა დაარქვეს. 1925 და 1926 წლებში დაბადებული რამდენიმე მოსწავლის გარდა ძირითადად ისევ ძველი თანაკლასელები შევიკრიბეთ და ისევ ის პედაგოგები გვასწავლიდნენ, არტილერიაში ყოფნის დროს რომ გვამეცადინებდნენ. მოგვიანებით კიდევ ორი თანასკოლელი შემოგვემატა: ერთი მათგანი ძველი თანაკლასელი იყო, მეორე კი უფროსკლასელი. ორივე მამით ებრაელი გახლდათ. მათ მშობლებს პირველი მსოფლიო ომისას ოფიცრის წოდება ჰქონდათ მინიჭებული და მტერთან ბრძოლაში გამოჩენილი მამაცობისთვის რკინის ჯვრის ორდენით იყვნენ დაჯილდოვებულნი, ერთ-ერთმა მათგანმა გესტაპოს ციხიდან გათავისუფლების შემდეგ, 1938 წელს, თავი მოიკლა; იგრძნო, რა დროც დგებოდა. მეორე ბიჭის მამა, ომის დაწყებამდე ამერიკაში წავიდა. მათი ვაჟები ნიურნბერგის კანონების თანახმად ეგრეთ წოდებულ ნახევარებრაელებად ითვლებოდნენ და საზენიტო არტილერიაში ჩვენი გაწვევიდან ცოტა ხნის შემდეგ იძულებითი შრომის ბანაკში წაიყვანეს, სადაც მრავალი საშინელება გამოსცადეს. ახლა ისევ ერთად ვუსხედით სკოლის მერხს. გვქონდა კი უფლება, გვეკითხა მათთვის – რას განიცდიდნენ? ერთ-ერთ მათგანს მანამდე შორიდან ვიცნობდი. ის ჩემზე ერთი წლით უფროსი იყო და როგორც ვთქვი, ერთი კლასით წინ სწავლობდა. მალე დავმეგობრდით. ძნელი წლების შემდეგ ახალგაზრდობა ერთად გავატარეთ და ისე ლაღად, როგორც მხოლოდ ამ ასაკშია შესაძლებელი.

ხშირად ჩავძიებივარ საკუთარ თავს, რომელიმე ჩვენგანს

პირადად ხომ არ დაუშავებია რაიმე, მაგრამ არა, მაშინაც იმას ვფიქრობდი და ახლაც, რომ არაფერი შეგვიცოდავს, თუმცა კი პასუხისმგებლობა ყველას ერთნაირად გვეკისრება. ამაზეც ვფიქრობდი, როცა რიხარდ ფონ ვაიცზეკერი 1985 წლის 8 მაისს გერმანიის ბუნდესტაგის წინაშე გამოდიოდა ევროპაში მეორე მსოფლიო ომის დამთავრებიდან მეორმოცე წლისთავზე. ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთი გამოჩენილი პრეზიდენტის მიერ წარმოთქმული სიტყვა ბევრს ნიშნავს. ვაიცზეკერის გამოსვლამ ის დღე შინაგანი განთავისუფლების დღედ აქცია; მან ერთობლივ პასუხისმგებლობაზე ისაუბრა. მართებული იქნებოდა, გერმანიის ბუნდესტაგის წევრები მას შემდეგ, რაც რიხარდ ფონ ვაიცზეკერმა გამოსვლა დაასრულა, ფეხზე წამომდგარიყვნენ. სპონტანურად ადგილიდან წამოჭრას ვაპირებდი, რათა სხვებისთვის მაგალითი მიმეცა, მაგრამ წამით შევდრკი, ვაითუ ყველა არ გამომყვეს-მეთქი. დღეს კი დარწმუნებული ვარ, რომ უნდა წამოვმდგარიყავი. თუ ვინმე ასე არ მოიქცეოდა, მაშინ ამოქმედდებოდა პრინციპი: რაც უფრო ადრე გამოჩნდება, ვინ არის მოწინააღმდეგე, მით უკეთესი.

1945 წლის 8 მაისი ჩვენთვის, გერმანელებისთვისაც გათავისუფლების დღეა, დანაშაულებრივი რეჟიმისთვის კი — დამარცხებისა. ამ რეჟიმმა ევროპის ხალხები არამარტო ჩაითრია ომში, არამედ მოსპო და გაანადგურა ისინი, ხოლო საკუთარი ხალხი აიძულა ბოლომდე ეომა, რათა თავისი ბატონობის ხანა გაეხანგრძლივებინა. არც იმის დავიწყება გვმართებს, რომ ნაციონალ-სოციალიზმისგან გათავისუფლება ყველა გერმანელის თავისუფლებას არ ნიშნავდა. მრავალს ხანგრძლივი ტყვეობა ელოდა, მრავალს საშობლოს დაკარგვის, დამცირების, შეურაცხყოფისა და სიკვდილის ფასად დაუჯდა ეს ომი.

სიმწიფის ატესტატისთვის აუცილებელი ოთხთვიანი კურსის დამთავრების შემდეგ სავალდებულო თხზულება უნდა დაგვეწერა თემაზე: ნიურნბერგის პროცესის გაკვეთილი. რაც 1933 წლიდან 1945 წლამდე მოხდა, აღარ უნდა გამეორდესო. მე თვით პროცესებზეც დავწერე. ნაციონალ-სოციალისტური რეჟიმის მთავარ დამნაშავეებს დამცველებიც ჰყავდათ და სხვა სამართლებრივი საშუალებებიც გააჩნდათ. ნაკლებ დამნაშავე, ან უდანაშაულო ადამიანებს კი უბრალოდ იჭერდნენ და ისინი უგზო-უკვლოდ ქრებოდნენ. ეს აღარ უნდა განმეორდეს-მეთქი. როცა ამას ვწერდი,

ბიძია არტური მყავდა მხედველობაში. მხედველობაში მქონდა ბუხენვალდის საკონცენტრაციო ბანაკი, სადაც ახლა საბჭოთა ჯარი იდგა.

ძირითად საგნებში ორ-ორი გამოცდა უნდა ჩაგვებარებინა: წერითი და ზეპირი. ერთ ზეპირ გამოცდაზე ლამის ჩავიჭერი და აი, რატომ: დამამთავრებელი ზეპირი გამოცდის წინ შეხვედრა მქონდა დათქმული ორ ახალგაზრდა ქალბატონთან, კაფე „ცორნ"-ში, ლაიფციგის ქუჩაზე. მეცადინეობას არ ვაპირებდი, რადგან დარწმუნებული ვიყავი, რომ წერით გამოცდაში საეჭვო ნიშანს არ მივიღებდი და ზეპირი გამოცდის ჩაბარებაც აუცილებელი არ იქნებოდა. მაგრამ ჩემი ვარაუდი არ გამართლდა. მასწავლებელთა აზრით, ლათინურში ორ ნიშანს შორის ვმერყეობდი და საბოლოო შედეგი ზეპირ გამოცდას უნდა გადაეწყვიტა. სკოლაში ვერ მიპოვეს, გამოსაშვებ გამოცდაზე გამოუცხადებლობა კი ჩაჭრის ტოლფასი იყო. როცა ნაშუადღევს მოწმობის ასაღებად სკოლაში დავბრუნდი და ეს ამბავი შევიტყვე, სუნთქვა შემეკრა. კლასის დამრიგებელმა ბოლოს მაინც შეძლო ჩემდამი არცთუ კეთილგანწყობილი ლათინურის მასწავლებლის დარწმუნება და ზეპირი გამოცდის ჩაბარება აღარ დამჭირვებია.

მაშასადამე, 1946 წლის 17 აპრილს, გამოსაშვები გამოცდების საკითხი მოგვარდა და როგორც იქნა სიმწიფის ატესტატი ავიღე. უნივერსიტეტის გზა ხსნილი მქონდა. ზეიმი მოვაწყვეთ, გულდაუმძიმებლად ვლაღობდით, თითქოს რაც მოხდა, ყველაფერი ცუდი სიზმარი ყოფილიყოს, თითქოს არც ძველი აჩრდილები გვენახოს და არც ახალი ნიშან-სიმბოლოები კედლებზე.

ტყვეთა ბანაკში ვფიქრობდი, რომ იმის შემდეგ, რაც მოხდა ჩვენ სწავლის გაგრძელების უფლებას აღარ მოგვცემდნენ. ამიტომ ველოლიავებოდი ოცნებას, გემზე ბორტგამყოლად დამეწყო მუშაობა და საზღვარგარეთ წავსულიყავი. სკოლაში ნასწავლი ინგლისურის სრულყოფის მიზნით ლიბერალური გაზეთი „მანჩესტერ გარდიანი" გამოვიწერე, ეს ერთადერთი ინგლისურენოვანი გაზეთი იყო, რომლის მიღებაც ფოსტით ჯერ კიდევ შეიძლებოდა. მე და ჩემმა მეგობარმა, დიტერ შტრიხმა, მოგვიანებით უინსტონ ჩერჩილს წერილი მივწერეთ და მადლობა გადავუხადეთ 1946 წლის სექტემბერში ციურიხში წარმოთქმული სიტყვის გამო. პასუხი არ დაუბრუნებია. ერთ კანადელ

გოგონასთანაც მქონდა მიმოწერა, რომელიც ტორონტოში ცხოვრობდა.

1946 წლის ზაფხულის სემესტრში ჰალეს უნივერსიტეტის სამართალმცოდნეობისა და ეკონომიკის ფაკულტეტზე ჩავირიცხე. ნებართვის მიღებაში ერთი თანაკურსელი დამეხმარა, რომელთან ერთადაც 1945 წლის შემოდგომაზე უნივერსიტეტის აღდგენით სამუშაოებში ვმონაწილეობდი. ნებართვა კი მჭირდებოდა, რადგან გერმანიის ლიბერალ-დემოკრატიული პარტიის წევრობა უფრო ხელშემშლელ ფაქტორს წარმოადგენდა, ვიდრე ხელშემწყობს.

ჰალეს ლიბერალ-დემოკრატიული გაზეთი და უფრო კი ლიბერალ-დემოკრატიული პარტიის ეგრეთ წოდებული ცენტრალური ორგანო „დერ მორგენ", რომელიც ბერლინში გამოდიოდა, ჩემთვის ინფორმაციის ძირითად წყაროს წარმოადგენდა. ისინი თავიდან ძალზე განსხვავდებოდნენ გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის გაზეთებისაგან – „ფრაიჰაიტ" და „ნოიეს დოიჩლანდ", დასავლურ რადიოსადგურებსაც ვუსმენდი, უპირველეს ყოვლისა ამერიკული სექტორის რადიოს პოპულარულ გადაცემებს ბერლინიდან. ზოგჯერ, სრულიად შემთხვევით, დასავლურ გაზეთებსაც ვშოულობდით, ეს ძირითადად დასავლეთ ბერლინური გაზეთები – „ტელეგრაფი", „კურიერი" და „ტაგესშპიგელი" იყო. გაზეთები ხელიდან ხელში გადადიოდა ახლო მეგობრების წრეში.

1946 წლის შემოდგომაზე საბჭოთა ჯარების მიერ დაკავებულ ზონაში შემავალ მხარეებში ლანდტაგისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების არჩევნები დაინიშნა. ლიბერალურ-დემოკრატიულ პარტიასა და ქრისტიანულ-დემოკრატიულ კავშირს სოფლებში უფრო მეტად უშლიდნენ ხელს, ვიდრე დიდ ქალაქებში, თუმცა გარკვეულწილად დაბრკოლებებს ქალაქადაც უქმნიდნენ. ერთხელ ლიბერალ-დემოკრატიულმა პარტიამ შეკრება დანიშნა „ქალაქის ჩუბინთა სახლში", 20 საათზე, შეკრებას პარტიის თავმჯდომარე ვილჰელმ კიულციც ესწრებოდა. როდესაც 19 საათზე შენობასთან მივედით, დარბაზი გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის მომხრეებით გადაჭედილი დაგვხვდა, რომლებიც სახალხო პოლიციას ადრიანად შეეშვა დარბაზში. კარებთან ჩვენი პარტიის უამრავი მომხრე ირეოდა; იძულებულნი გახდნენ მათთვის გამომსვლელთა სიტყვების ტრანსლაცია მოეწყოთ. დარბაზში გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის მომხრეები სხდომის ჩაშლას

ცდილობდნენ.

ჩემს ადრეულ პოლიტიკურ გამოცდილებას მიეკუთვნება ჰალეში ახალგაზრდული ანტიფაშისტური კომიტეტის დაარსება. ამ კომიტეტის დაარსების ინიციატივა, როგორც მოგვიანებით გამოირკვა, ზემოდან იყო ინსპირირებული. დამფუძნებელი ყრილობა ერთ დიდ დარბაზში შედგა. გერმანიის ლიბერალ-დემოკრატიული პარტია — ამას დამსწრეთა სიმრავლეც ადასტურებდა — გერმანიის ერთიან სოციალისტურ პარტიაზე ბევრად ძლიერ პოლიტიკურ დაჯგუფებას წარმოადგენდა. ერთიანი სოციალისტური პარტიის ერთი წარმომადგენელი წამოდგა და განაცხადა, ანტიფაშიტურ-დემოკრატიულ ბლოკთან ერთად წინადადება შემომაქვს, ცხრა ნდობით აღჭურვილი პიროვნება ავირჩიოთ — ხუთი ერთიანი სოციალისტური პარტიიდან, ლიბერალ-დემოკრატიული პარტიიდან და ქრისტიანულ-დემოკრატიული კავშირიდან კი ორ-ორი წარმომადგენელიო. პარტიებს თავიანთი კანდიდატურები უნდა დაესახელებინათ. მე წამოვდექი და პროტესტი გამოვთქვი: აქ დემოკრატიული არჩევნები უნდა ჩატარდეს და შემადგენლობა მხოლოდ არჩევნებმა უნდა განსაზღვროს-მეთქი. ერთიანი სოციალისტური პარტიის წარმომადგენელი შემეწინააღმდეგა, — ბლოკში სხვაგვარად მოვილაპარაკეთო, — მაგრამ ჩვენ ბლოკს კი არა, ახალგაზრდულ ანტიფაშისტურ-დემოკრატიულ კომიტეტს წარმოვადგენთ-მეთქი. ამით ჩემი გავიტანე. არჩევნების შედეგად კომიტეტის თავმჯდომარედ უპარტიო პიროვნება იქნა არჩეული. კომიტეტში ლიბერალ-დემოკრატიული პარტიის ხუთი — და ქრისტიანულ-დემოკრატიული კავშირის ორი წევრი მოხვდა. ერთიანი სოციალისტური პარტიის ერთადერთი წარმომადგენელი სპორტული განყოფილების ხელმძღვანელად აირჩიეს. ჩვენ ერთმნიშვნელოვნად გავიმარჯვეთ. რეაქციამაც არ დააყოვნა.

რამდენიმე დღის შემდეგ ქალაქის მაგისტრატიდან გვაცნობეს, რომ საბჭოთა სამხედრო ადმინისტრაციამ არჩევნების შედეგები გააუქმა და ახალი არჩევნები დანიშნა. როცა ახალი ახალგაზრდული კომიტეტის დამფუძნებელი ყრილობა გაიმართა, ესე იგი არჩევნების დღეს, იმ შენობის წინ, სადაც შევიკრიბეთ, შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის ხუთი ჯავშანტრანსპორტიორი იდგა, სამი საბჭოთა ოფიცერი კი დარბაზში იმყოფებოდა. ერთ-ერთმა სამხარეო წარმომადგენელმა განაცხადა, ახლა აუცილებელია მთელი ძალები

ანტიფაშისტური ბრძოლისკენ მივმართოთ და ყურადღება სოციალისტური ბლოკის პოლიტიკაზე გავამხვილოთო.

მე კვლავ სიტყვა ვითხოვე. არჩევნები არჩევას ნიშნავს და თუ ამის უფლება აღარა გვაქვს, მაშინ ვთხოვ ლიბერალ-დემოკრატებს ჩემთან ერთად დარბაზი დატოვონ-მეთქი. ბევრი გამომყვა, მათ შორის იყვნენ ქრისტიანულ-დემოკრატიული კავშირის მომხრენიც. დარბაზიდან რომ გავდიოდი, მხარზე ვიღაცის ხელი შემეხო. საბჭოთა ოფიცერი იყო. მან მკითხა, — ამას რატომ აკეთებო? მე ვუპასუხე: ჩვენ იმედი გვქონდა, რომ ამჯერად მაინც გაიმარჯვებდა დემოკრატია და ისევ ზემოდან არ გვიკარნახებდნენ, როგორ მოვიქცეთ-მეთქი. ოფიცერმა თავი გააქნია და შებრუნდა. შვებით ამოვისუნთქე, რადგან როცა გამომელაპარაკა, ვიფიქრე, კარგი დღე არ დამადგებოდა; ეს რომ ცოტა მოგვიანებით მომხდარიყო, ალბათ ყველაფერი სხვაგვარად დამთავრდებოდა.

შიშზე ძლიერმა იმედგაცრუების გრძნობამ შემიპყრო. სულ უფრო მეტად მეპარებოდა ეჭვი, აზრი ჰქონდა თუ არა პოლიტიკურ აქტიურობას.

1946 წლის ბოლოს ჩემი პარტიულ-პოლიტიკური მოღვაწეობა ლიბერალურ-დემოკრატიულ პარტიაში დასრულდა. დასრულდა, ერთის მხრივ იმიტომ, რომ ახალგაზრდული, შეურიგებელი ბუნებიდან გამომდინარე, პარტიული ხელმძღვანელობის კურსს ძალზე შემგუებლურად ვთვლიდი და, მეორეს მხრივ იმის გამო, რომ 1946 წლის შობის წინ, ავად გავხდი. ჰაიმორის ღრუს ლორწოვანი გარსის ანთებას შუბლის ღრუს ანთება მოჰყვა, შემდეგ ფილტვების ანთება და სველი პლევრიტი დამეწყო. ჰალეშივე ელიზაბეტის კლინიკაში ვმკურნალობდი. შინაგან სნეულებათა განყოფილების მთავარი ექიმი, პროფესორი ვალტერ ჰიულზე, 20 ივლისის მოვლენების სასწაულებრივად გადარჩენილი მონაწილე და კარლ გიორდელერის მეგობარი გახლდათ. ამ ადამიანმა ძალზე დიდი როლი ითამაშა ჩემს ცხოვრებაში, ჩემი პიროვნული ჩამოყალიბების პროცესში. მისმა პირადმა და პოლიტიკურმა ბედისწერამ ძალზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე. გიორდელერისაგან განსხვავებით ჰიულზე გადარჩა.

ერთ დღეს ეს შთამბეჭდავი პიროვნება ჩემს საწოლთან ჩამოჯდა. როგორც ყველა სტუდენტს, მეც შენობით მომმართავდა:

„შენ ახლა ყველაზე მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება უნდა მიიღო. ან დანებდები სნეულებას, ან შეებრძოლები! ამ ავადმყოფობას, შენ რომ გჭირს, მთელი ცხოვრების მანძილზე ვერ მოიშორებ, თუ მოდუნდები, დაგჯაბნის. ვერც სწავლას გააგრძელებ, ვერც გამოცდებს ჩააბარებ, რადგან ფილტვის ტუბერკულოზი გაქვს. ამის გამო გოგონებთან ურთიერთობაშიც შეგექმნება პრობლემები. ყოველი წარუმატებლობა შეიძლება ავადმყოფობით გაამართლო, მაგრამ შეგიძლია სხვაგვარადაც მოიქცე! თუ მოინდომებ და მტკიცედ გადაწყვეტ, რომ ყველაფერში პირველი და საუკეთესო იყო, მაშინ ავადმყოფობასაც მოერევი, ბრძოლა უნდა გამოუცხადო მას და მაქსიმალური ნებისყოფა გამოიჩინო! ავადმყოფობის დაძლევა ორმოცდაათი პროცენტით შენს ნებაზე და შენს შინაგან ძალაზეა დამოკიდებული. თუ ამ შინაგან სიძლიერეს გამოიმუშავებ, ყველაფერი გამოგივა!“ მოკლედ რომ ვთქვა, იმ დროს, როდესაც არც ქიმიოთერაპია არსებობდა და პრაქტიკულად ქირურგიული ჩარევაც გამორიცხული იყო, ჰიულზემ სასიცოცხლო დანიშნულება-რეცეპტი გამომიწერა. ის ხშირად მნახულობდა, სასთუმალთან ჩამოჯდებოდა და დიდხანს ვკამათობდით პოლიტიკურ საკითხებზე. უპარტიო იყო. პირველ თვეებში ქრისტიანულ-დემოკრატიული კავშირის წარმომადგენელი ყოფილა ზაქსენ-ანჰალტის პროვინციულ მთავრობაში. 1945 წელსვე გადამდგარა საბჭოთა საოკუპაციო პოლიტიკისადმი უარყოფითი დამოკიდებულების გამო.

საავადმყოფოში მასთან ერთად აღვნიშნე ჩემი მეოცე დაბადების დღე. 1947 წლის მარტის ბოლოს, როგორც იქნა გამოვეწერე.

სამართალმცოდნეობისა და ეკონომიკის შესწავლა 1946 წლის ზაფხულის სემესტრში დავიწყე. საავადმყოფოში თეორიით ყოფნა 1946-47 და 1947-48 წლების ზამთრის სემესტრში ლექციებზე რეგულარული დასწრების საშუალებას არ მაძლევდა, თუმცა თანაკურსელები მეხმარებოდნენ ტესტატების — ანუ ლექციებზე დასწრება-არდასწრების — გაფორმებაში. 1948 წლის ზაფხულში ჰარცზე, ფრიდრიხსბრუნში ვიმყოფებოდი, რათა სუფთა ჰაერზე ძალები აღმედგინა. ჩემმა მეგობარმა, ფრიდრიხ ვილჰელმ კირხჰოფმა, 1948 წლის ზაფხულის სემესტრის ყველა ტესტატი გამიფორმა. საგნების ნუსხა თუ პროფესორთა გვარები ჩათვლის წიგნაკში ბეჭდური ასოებით ჩამიწერა. ასე რომ, მეხუთე სემესტრის ბოლოს მშვენიერი

*ლაიფციგი, 1949 წლის 5 ოქტომბერი, გდრ-ის დაფუძნებამდე ორი დღით ადრე: ჩაბარებულია პირველი სახელმწიფო გამოცდა იურისპრუდენციაში. სურათზე ოცდაორი წლის ჰანს-დიტრიხ გენშერი თავის თანაკურსელ ჰელმუთ შურცთან ერთად ქალაქის მთავარი სარკინიგზო სადგურის წინ.*

მოსწრება და ცოდნის დონე გამაჩნდა, რასაც სახელმძღვანელოებზე დამოუკიდებელი მუშაობით მივაღწიე. პირველი სახელმწიფო

გამოცდისთვის აუცილებელი ექვსი პრაქტიკული სემინარიდან კი მხოლოდ ერთი, ერთადერთი სემინარის ცნობა მქონდა. მეექვსე სემესტრში, მახსოვდა რა პროფესორ ჰიულზეს გაფრთხილება, სახელმწიფო გამოცდა რაც შეიძლება ადრე ჩამებარებინა, ლაიფციგის უნივერსიტეტში გადავედი. ლაიფციგის უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე მაშინ მრავალი ცნობილი პიროვნება მოღვაწეობდა: ვერნერ ვებერი, არტურ ნიკიში, ჰანს-ოტო დე ბოორი, ერვინ იაკობი. მეექვსე სემესტრში დარჩენილი ხუთი სემინარის მოწმობაც ავიღე, რაც ჩემგან ძალების მაქსიმალურ დაძაბვას მოითხოვდა. ჰალედან ლაიფციგში ყოველდღე აქეთ-იქით მატარებლით ვმგზავრობდი.

1949 წლის 16 მაისიდან 20 მაისის ჩათვლით საგამოცდო წერა იყო დანიშნული. შემდეგ საშინაო დავალება გვეძლეოდა, ხოლო ოქტომბერში ზეპირი გამოცდა უნდა ჩაგვებარებინა. 1949 წლის 5 ოქტომბერს, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის დაარსებამდე ორი დღით ადრე, პირველი სახელმწიფო გამოცდა ჩავაბარე იურისპრუდენციაში. სიმბოლური და ძალზე მნიშვნელოვანი იყო ჩემთვის, რომ გამოცდა ამ თარიღამდე ჩავაბარე. საგამოცდო კომისიას სამხარეო სასამართლოს დირექტორი ტირფელდერი თავმჯდომარეობდა. გამოცდას ესწრებოდნენ: პროფესორი დოქტორი ნიკიში, პროფესორი დოქტორი იაკობი და საქსონიის მხარის მთავრობის წევრი, დრეზდენელი დოქტორი გრაფე. სასწავლო პროგრამა ჰალესა და ლაიფციგის უნივერსიტეტებში მაშინ ჯერ კიდევ არ განსხვავდებოდა დასავლეთ გერმანული უნივერსიტეტების პროგრამისაგან.

გამოცდიდან დაახლოებით თოთხმეტი დღის შემდეგ ლაიფციგის უნივერსიტეტში გამომიძახეს. როცა გამოვცხადდი, ყველა თანაკურსელი უკვე შეკრებილიყო. „რაშია საქმე?" — ვიკითხე მე. „ბენიამინი მობრძანდა. ყველას ცალ-ცალკე ესაუბრება", იყო პასუხი.

ჰილდე ბენიამინი ახლად შექმნილი გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის იურისტი გახლდათ, რომლის სახელის გაგონება ყველას შიშის ზარს სცემდა. როცა გამიძახეს, ოთახში ქალბატონ ბენიამინის გარდა უნივერსიტეტში არსებული გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის სტუდენტური ჯგუფის ერთი წევრი და საქსონიის კულტურის სამინისტროს ერთი წარმომადგენელი იმყოფებოდა. საუბარს ქალბატონი ბენიამინი უძღვებოდა: „თქვენ ბრძანდებით ბატონი გენშერი, გერმანიის ლიბერალურ-დემოკრატიული პარტიიდან?" — „დიახ". —

„ჩვენ დავადგინეთ, რომ თქვენ აქტიურ მონაწილეობას არ ღებულობთ საზოგადოებრივ ცხოვრებაში. თქვენ არც თავისუფალი გერმანელი ახალგაზრდობის ორგანიზაციის წევრი ხართ და არც გერმანულ-საბჭოთა მეგობრობის საზოგადოებაში ხართ გაერთიანებული“. — „მე ლიბერალ-დემოკრატიული პარტიის წევრი ვარ“. — „უნივერსიტეტის გარეთ რა საქმიანობას ეწევით?“ — „პოლიტიკურ ლიტერატურას ვკითხულობ, მათ შორის მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსებს“.

ხუმრობა არ გეგონოთ. ავადმყოფობის პერიოდში დრო ბევრი მქონდა და ამ ლიტერატურას ვამუშავებდი, რომ როგორმე გამეგო, რატომ იზიდავდა სოციალიზმი უამრავ ადამიანს. „კარგი, უკანასკნელ ხანებში მაინც რა წაიკითხეთ?“ — მკითხა ბენიამინმა. მეც ჩამოვთვალე: „სკკპ (ბ) ისტორიის მოკლე კურსი“, სტალინის „ლენინიზმის საკითხები“, ლენინის „იმპერიალიზმი, როგორც კაპიტალიზმის უმაღლესი სტადია“. ამის შემდეგ მან კიდევ უამრავი შეკითხვა დამისვა იმის გამოსარკვევად, მართლა გავეცანი ამ ლიტერატურას თუ არა. ჩემმა პასუხმა, როგორც ჩანს, დააკმაყოფილა: „ძალზე საინტერესოა, თქვენ მართლა წაგიკითხავთ ეს ნაშრომები, მაგრამ მაშინ ლიბერალურ-დემოკრატიულ პარტიაში რატომ ხართ?“ მეც ავდექი და ვუპასუხე: გულახდილად რომ გითხრათ, სწორედ იმიტომ ვარ ამ პარტიაში, რომ ეს წიგნები წავიკითხე-მეთქი. ყინულივით ცივი ხმით მკითხა, რა უნდა გამოხვიდეთო. ვუპასუხე, რომ ადვოკატობას ვაპირებდი. ეს გონივრული გადაწყვეტილებაა, რადგან თქვენნაირებს ჩვენს სახელმწიფოში არაფერი ესაქმებათო, მითხრა და ოთახიდან გასვლის ნება დამრთო.

გერმანიის ლიბერალურ-დემოკრატიული პარტიის წევრობას მაშინ უფრო დემონსტრაციული ხასიათი ჰქონდა. ორმოცდახუთი წლის შემდეგ ამიტომაც გავილაშქრე ზულში, თავისუფალი დემოკრატიული პარტიის ყრილობაზე, ყოფილი გდრ-იდან შემომატებული პარტიის წევრების არადიფერენცირებული შეფასებების წინააღმდეგ და ვთქვი, რომ „ახლა ჩვენს შორის არიან მეგობრები ახალი ფედერალური მხარეებიდან, რომლებიც წარსულში არც ერთ პარტიას არ ეკუთვნოდნენ. აქ არიან მეგობრები ახალი ფედერალური მხარეებიდან, რომლებიც წარსულში გერმანიის

ლიბერალურ-დემოკრატიული პარტიის წევრები იყვნენ და ბოლოს, აქ არიან მეგობრები ახალი ფედერალური მხარეებიდან, რომლებიც ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის წევრები იყვნენ წარსულში. ყველა მათგანს ერთი რამ აერთიანებს: არც ერთი არ ყოფილა სოციალისტური პარტიის წევრი. მრავალი მათგანი კარიერისა თუ ოჯახურ პრობლემათა გამო არანაირ კომპრომისზე არ წასულა და ამ პარტიის წევრი არ გამხდარა, მიუხედავად იმისა, რომ ეს მათ ცხოვრებას გაუადვილებდა".

ჰილდე ბენიამინთან შეხვედრიდან ოთხი კვირის შემდეგ ნება დამრთეს რეფერენდარად მემუშავა. არ ვიცი, არსებობდა თუ არა ამ ორ მოვლენას შორის რაიმე კავშირი, ნებართვის მისაღებად საჭირო პოლიტიკური შემოწმება ცხრა თვე გრძელდებოდა. განცხადება ჯერ კიდევ 1949 წლის მარტში შევიტანე ჰალეს იუსტიციის სამინისტროში. რამდენადაც მახსოვს, ნებართვა მინისტრის მრჩეველს, იეშკეს უნდა გაეცა. მან მკითხა, რატომ ვჩქარობდი ნებართვის მიღებას, თქვენ ხომ იურისპრუდენციაში ჯერ პირველი სახელმწიფო გამოცდაც არ ჩაგიბარებიათო. ვუპასუხე, რომ მათი გამოძიების შედეგებს ასე დიდხანს ვერ დაველოდებოდი, რადგან მარტოხელა დედაზე უნდა მეზრუნა. ასე შემცირდა მოლოდინის ცხრა თვე „მხოლოდ" შვიდ თვემდე. ჩემი წარსული 1945 წლამდე – ყველაზე მეტად ეს პერიოდი აინტერესებდათ – ალბათ უარის საბაბს არ იძლეოდა. 1950 წლის 22 ნოემბერს, ოცდაორი წლის ასაკში, ჰალეს საუბნო სასამართლოში რეფერენდარად დამიშვეს.

## *გერმანიიდან გერმანიაში*

ჰალეს საუბნო სასამართლოს სათავეში ედგა საუბნო სასამართლოს თავმჯდომარე დოქტორი ჰაინე. ის ეროვნებით ებრაელი და კომპარტიის წევრი იყო, რის გამოც ოსვენციმის საკონცენტრაციო ბანაკში მოხვდა. პროკურორი, დოქტორი გაისლერი, – ვაიმარის რესპუბლიკის დროს კათოლიკური ცენტრის პარტიის წევრი და გლაივიცის ობერბიურგერმაისტერი 1933 წლამდე, – ასევე დაუვიწყარი პიროვნებაა ჩემთვის. ერთხელ მან მითხრა: „ადენაუერი ჩვენ, აღმოსავლეთ გერმანელებს, საერთოდ არ გვცნობს. მე ის ცენტრისტული პარტიის წევრის, პრუსიის ობერბიურგერმაისტერთა

წრეში გავიცანი". გაისლერის ნათქვამმა მეც დამაეჭვა ადენაუერში, იქნებ მას მართლა არ ანაღვლებდა გერმანიის გაერთიანების საკითხი.

ერთი რამ მაიმედებდა: აღმოსავლეთში მიღებულ კვალიფიკაციას, დამატებითი გამოცდების გარეშე, დასავლეთშიც აღიარებდნენ. ჩვენს მთავარ ორიენტირს ხომ ისევ და ისევ დასავლეთი წარმოადგენდა. ამიტომ ვცდილობდი, რომ ჩემი იურიდიული განათლების დონე ამ სფეროში ტრადიციული განათლების დონის შესატყვისი ყოფილიყო.

1950 წლის 15 ოქტომბერი ჩემი პირველი არჩევნების დღეა. გდრ-ის სახალხო პალატის არჩევნებში ვმონაწილეობდი და ამ ფარსის მიმართ ჩემი პროტესტი საარჩევნო ბიულეტენის გაუქმებით გამოვხატე.

ჰალეს საუბნო და საოლქო სასამართლოების შენობაში რეფერენდარები რეგულარულად ვიკრიბებოდით ბიბლიოთეკაში. საუზმის დროს შესვენება ცხადდებოდა, ჩვენ კი ბიბლიოთეკაში ვხვდებოდით ერთმანეთს, ბიბლიოთეკაში, რომელიც ჩვენთვის თავისუფალი, გულახდილი საუბრების ადგილად იქცა. ბიბლიოთეკის გამგე, სასამართლოს მთავარი მდივანი ჰილბერტი, ძველი ყაიდის, კლასიკური მოხელის განსახიერება გახლდათ იმ სამკლაურების ჩათვლით, რომლებსაც ატარებდა. ჩვენს პოლიტიკურ შეხედულებებს ისიც იზიარებდა და თუ ბიბლიოთეკაში საეჭვო პირი შემოვიდოდა, ჩვენი გაფრთხილების მიზნით, ის ხაზგასმით ესალმებოდა მომსვლელს და მას სახელით ძალზე ხმამაღლა მიმართავდა.

სასამართლოს რეფერენდარების პატარა სამყარო უამრავი წინააღმდეგობებით იყო აღსავსე. კომენტარების კრებულებისა და სახელმძღვანელოს დახმარებით — რომლებიც იგივე იყო, რაც დასავლეთში — განაჩენის პროექტებს ვადგენდით, როგორც სამოქალაქო, ისე სისხლის სამართლისა და დისციპლინარული სასჯელის საკითხებზე. ჰალეში დროის ამ მონაკვეთში პოლიტიკური პროცესებიც იმართებოდა, რომელთაც ჩვენ სიახლოვეს არ გვაკარებდნენ. გდრ-ის კონსტიტუციის გახმაურებული მეექვსე მუხლი, რომელიც „ბოიკოტისკენ მოწოდებას" ეხებოდა, სულ უფრო ხშირად ედებოდა საფუძვლად იმ ბრალდებებს, რომლებსაც არსებული წყობილება მისთვის მიუღებელ პირებს უყენებდა. შემზარავი ინფორმაცია ვრცელდებოდა ეგრეთ წოდებულ ვალდჰაიმის პროცესებზე. სულ უფრო მეტი ადამიანი გაურბოდა უსამართლობას, მზარდ

იდეოლოგიურ კონტროლსა და ზეწოლას და დასავლეთს აფარებდა თავს. გდრ-ის სახელმწიფოსა და იქ არსებული სისტემის უარყოფის აზრი სულ უფრო მწიფდებოდა ჩემში, რასაც დაუფარავად გამოვხატავდი.

ამასობაში გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკიდან ლტოლვილმა იურისტებმა დასავლეთ ბერლინში თავისუფალ იურისტთა საგამომძიებლო კომისია შექმნეს, რომელიც პოლიტიკურ პატიმართა საქმეებს იკვლევდა. კომისია იმ ადამიანთა კვალის მიგნებას ცდილობდა, უგზო-უკვლოდ რომ გაუჩინარდნენ. გადავწყვიტე, თავისუფალ იურისტთა კავშირთან კონტაქტი დამემყარებინა. დასავლეთ ბერლინში მაშინ თავისუფლად შეიძლებოდა გადასვლა და ერთხელაც ვესტუმრე მათ. ჩემდა გასაკვირად, ისინი მიცნობდნენ და ჩემი პოლიტიკური მრწამსისა და პოზიციის შესახებ ამომწურავ ინფორმაციას ფლობდნენ. მოგვიანებით ისევ გავემგზავრე დასავლეთ ბერლინში. ყოველი მოგზაურობა, თავისუფალ იურისტთა კავშირთან ყოველი კონტაქტი, დიდ რისკთან იყო დაკავშირებული, ჩემთვის კი განსაკუთრებულ საშიშროებას წარმოადგენდა, რადგან ტუბერკულოზით დაავადებული ხანგრძლივ პატიმრობას გდრ-ის საპყრობილეების პირობებში ვერ გავუძლებდი. 1952 წელს, მთელი ზაფხულის განმავლობაში მაფრთხილებდნენ, რომ სპეცსამსახურები ჩემს შესახებ ინფორმაციას აგროვებდნენ, რაც იმის მაუწყებელი იყო, რომ პატიმრობა მელოდა. ის, რომ პირდაპირ და დაუფარავად გამოვხატავდი ჩემს პოლიტიკურ მოსაზრებებს, გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში არსებული პირობებისა და კრიტერიუმების მიხედვით, საკმაო საფუძველს ქმნიდა ჩემს დასაპატიმრებლად, თავისუფალ იურისტთა კავშირთან ჩემი კონტაქტი რომ გამჟღავნებულიყო, ეს მდგომარეობას კიდევ უფრო დაამძიმებდა.

მატერიალური თვალსაზრისით კარგი პირობები მქონდა. სტაჟიორის ხელფასი პირველ წელს მოსამართლის ხელფასის ორმოცდაათ პროცენტს შეადგენდა, მეორე წელს — სამოც პროცენტს, ბოლო წლებში — სამოცდათხუთმეტ პროცენტს. ამას გარდა, დამატებითი შემოსავალიც მქონდა. ადვოკატ ფრიც ჰერცფელდთან ვმუშაობდი. რამდენიმე თვეში მოსამართლეებადაც დაგვნიშნეს.

სულ უფრო მეტად ვაცნობიერებდი, რომ გდრ-ში არანაირი პერსპექტივა არ მქონდა. გდრ ჩემი სახელმწიფო არ იყო. მე არც

პოლიტიკური შეხედულებების დაფარვა მსურდა და არც ფარისევლობა. ასეთ შემთხვევაში შესაბამისი დასკვნები უნდა გამომეტანა და აქტუალურ, რეალურ მიზეზთა გამო თუ უმიზეზოდ, გდრ დამეტოვებინა.

როცა ჩემ შესახებ შეკრებილი ინფორმაციიდან გამომდინარე, ზეწოლა გახშირდა – საამისო მიზეზს სშირად ვიძლეოდი –, წასვლის დრო დადგა. დაუყოვნებლივ უნდა დამეტოვებინა გდრ. 1952 წლის 20 აგვისტოს დამსვენებელივით გამოვეწყვე და ორ მეგობარს ჰალეს რკინიგზის სადგურში შეხვედრა დავუთქვი. შემოწმებისას ეჭვი რომ არ აღგვეძრა, სხვადასხვა ვაგონით ვმგზავრობდით; გარდა ამისა მე შტრალზუნდის ბილეთიც შევიძინე, მაშასადამე, ბერლინის გავლით უნდა მემგზავრა, ეს უფრო დამაჯერებლად მეჩვენებოდა. ჩემოდანიც ისე ჩავალაგე, თითქოს არდადეგებზე მივდიოდი. დედაჩემს, რომელმაც მტკივნეულად განიცადა ჩემი გადაწყვეტილება, შევუთანხმდი, რომ რამდენიმე დღის მერე, ისიც ჩამოვიდოდა დასავლეთ ბერლინში, რათა ჩემთვის თეთრეული და ტანსაცმელი ჩამოეტანა. აღმოსავლეთ ბერლინში ერთი უნივერსიტეტელი მეგობარიც ცხოვრობდა და ჰალედან ბერლინში დაბრუნების შემდეგ ის ყველაფრით მომამარაგებდა ისე, რომ ეს თვალში არავის მოხვდებოდა. 1952 წელს ჯერ კიდევ შეიძლებოდა ერთი სექტორიდან მეორეში გადასვლა.

როდესაც 1952 წლის 20 აგვისტოს ორივე თანაუნივერსიტეტელ მეგობართან ერთად დასავლეთ ბერლინში ჩავედი, შევიტყვე, რომ კურტ შუმახერი გარდაიცვალა. შუმახერი გერმანიის ერთიანობის დიდი ქომაგი გახლდათ და ამის გამო ვეთაყვანებოდი, თუმცა მისი ეკონომიკური და საზოგადოებრივ-პოლიტიკური შეხედულებები არაფრად მიმაჩნდა. ბერლინ-მარიენფელდეში სასწრაფოდ მივაკითხეთ იძულებით გადაადგილებულ პირთა განყოფილებას, იქ პოლიტიკური დევნილის სტატუსი მოგვანიჭეს. ბერლინში ხუთკვირიანი ლოდინისა და ბერლინ-ლიხტერფელდეში დედასთან და დეიდასთან ხანმოკლე შეხვედრის შემდეგ, 1952 წლის 24 სექტემბერს, ბრიტანეთის ევროპული ავიახაზების თვითმფრინავით ჰამბურგში გავემგზავრე. მეორე დღეს ბრემენისკენ გზა მატარებლით გავაგრძელეთ. მე და ერთ-ერთმა ჩემმა მეგობარმა, რომელიც ჩემსავით უცოლო იყო, მაკლერის დახმარებით პირველივე დღეს ვიქირავეთ ოროთახიანი ბინა, თუმცა მალევე გადავედით იქიდან ბრემენ-ვალეს მუშათა

გარეუბანში. იქ ერთოთახიან ბინაში მოვთავსდით, რომელსაც პატარა სამზარეულოც ჰქონდა, მაგრამ ბინის ქირას მაინც გაჭირვებით ვიხდიდით. მალე ისევ რეფერენდარებად მოვეწყვეთ ბრემენის მხარის იუსტიციის სამმართველოში. ჩემი სამსახურში მოწყობის დღე 1952 წლის 6 ოქტომბრით თარიღდება.

სარეფერენდარო გამოცდა ზუსტად სამი წლის და ერთი დღის წინ ჩავაბარე ლაიფციგის უნივერსიტეტში. ლაიფციგი და ბრემენი ორი რადიკალურად განსხვავებული სამყარო იყო და მე ერთი სამყაროდან მეორეში გადავინაცვლე. ორივე სამყაროს რეალობა გამოვცადე. ჩემი წასვლის შემდეგ დედაჩემმა ჰალეში 1952 წლის 19 სექტემბერს ჩემს სახელზე წერილი მიიღო. მატყობინებდნენ, რომ საქსონია-ანჰალტის მხარის იურიდიული სამსახურიდან მომხსნეს, ვინაიდან გდრ დავტოვე.

სიხარულით არ წავსულვარ ჰალედან. მე ხომ მხოლოდ ამ ქალაქს არ ვტოვებდი, რომელიც ესოდენ ბევრს ნიშნავდა ჩემთვის; ვტოვებდი ნათესავებისა და მეგობრების ძალზე დიდ წრეს, მაგრამ იძულებული ვიყავი გავშორებოდი მშობლიურ ქალაქს. დაპატიმრების საშიშროებაც რომ არ არსებულიყო, ადრე თუ გვიან მაინც დავტოვებდი იქაურობას, რადგან პოლიტიკურ გარემოსთან თანხმობაში ყოფნა მსურდა.

მოგვიანებით გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში ჰალეს ყოფილ მოქალაქეთა გაერთიანება შეიქმნა, რომელიც განუმეორებელი გახლდათ იმ თვალსაზრისით, რომ ერთმა დასავლეთგერმანულმა ქალაქმა — კაიზერსლაუტერნმა, რომლის სოციალ-დემოკრატი ობერბიურგერმაისტერი, დოქტორი ზომერი, ჰალედან იყო — შეფობა აიღო ჰალეზე. ჩვენ ყოველ ორ წელიწადში ერთხელ ვიკრიბებოდით ჰალელთა კავშირის თავმჯდომარის, ალბერტ დოიჩბაინის მოწვევით, რომელიც ძალზე ენერგიული კაცი გახლდათ.

ჰალეს ისტორია ალბათ ასე კარგად არ მეცოდინებოდა, იქ რომ დავრჩენილიყავი. ახლა, თუკი სადმე, ბუკინისტურ მაღაზიაში, ჰალეზე რაიმე წიგნს წავაწყდებოდი, ნაცნობი ადგილების აღმოჩენისა და ხილვის სურვილით ატანილი, მაშინვე ვყიდულობდი. ერთხელ ეს განცდა ოკეანის გაღმა, ამერიკაშიც დამეუფლა, როცა ერთხელ ფედერალურ პრეზიდენტ შეელთან ერთად სამოცდაათიანი წლების ბოლოს სახელმწიფო ვიზიტით ვესტუმრე ვაშინგტონს. თეთრ სახლში

ორი ქალბატონი მომიახლოვდა ახოვანი მამაკაცის თანხლებით, რომლებმაც ჩვენებურ დიალექტზე მომმართეს: – რა შესანიშნავია ჰალელ თანამემამულესთან შეხვედრაო. ის მსხვილი მიწათმფლობელი გახლდათ, რომელსაც 1945 წლის მიწის რეფორმის დროს საკუთრება ჩამოართვეს და ისიც იძულებული გახდა, ქვეყანა დაეტოვებინა. თავის ორ დასთან ერთად ამერიკაში ფერმას ფლობდა, სადაც პრეზიდენტ ჯერალდ ფორდის ვაჟს ცხენოსნობა უსწავლია; ამიტომ ჩვენი ვიზიტის დროს, ორივე მოიწვიეს თეთრ სახლში. ოკეანის გაღმა თანამემამულეებთან შეხვედრამ დიდი სიხარული მომანიჭა.

ბრემენში, შემდგომ წლებში ჩემს სამშობლოდ რომ იქცა, ჰალესადმი ჩემი სიყვარულის მიუხედავად, ცხოვრება არ გამძნელებია. ბრემენი, როგორც ეს ქალაქ-ჰანზას შეეფერება, სტუმართმოყვარე და გულღია ქალაქი აღმოჩნდა. იქ მე როგორც გდრ-დან ლტოლვილი ხელმოკლედ ვცხოვრობდი. იმ რეფერენდარების ხელფასი, რომლებიც დაოჯახებულნი არ იყვნენ, 182 მარკას შეადგენდა, რაც ბევრად ჩამოუვარდებოდა იმ ხელფასს, ჰალეში რომ ვიღებდით. ამიტომ იძულებული ვიყავი ხელმომჭირნედ მეცხოვრა. ყოველთვის, მაშინ თუ ახლა, იქნებოდა ეს ჰალე, ბრემენი თუ ბონი, სისხამ დილით დაახლოებით ექვს საათზე ვდგებოდი. 12 საათამდე პროფესიული მომზადების ყველა საფეხურის გავლას ვასწრებდი, დღის მეორე ნახევარში დოქტორ ფრანკესთან ვმუშაობდი, რომელიც მაშინ უკვე მძიმედ იყო დაავადებული. მას კერძო პრაქტიკა ჰქონდა და თვეში 50 მარკას მიხდიდა.

ბრემენში ყოფნის პირველ კვირებში განსაკუთრებით გამიმძაფრდა იმის შეგრძნება, რომ „სხვა სამყაროში" მოვხვდი, სამყაროში, რომელიც გადატანითი მნიშვნელობით მშობლიურ სახლს წარმოადგენდა. მალე თავისუფალ დემოკრატთა ბიუროს მივაშურე და თავისუფალი დემოკრატიული პარტიის წევრი გავხდი. რამდენიმე კვირის შემდეგ, სამხარეო ბიუროში ჩემი ხელახალი სტუმრობისას სამხარეო ბიუროს გამგე ოიგენ შადემ მითხრა: „მომისმინეთ, არმშდრონგი და რა ჰქვია იმას?... ფიცჯერალდი ჩამოდიან", – დამახინჯებულად და საშინელი აქცენტით წარმოთქვამდა ცნობილი ჯაზმენი მესაყვირისა და მომღერლის სახელებს. „სამი ბილეთი მივიღეთ კონცერტისთვის, რომელიც „გლოკეში" უნდა გაიმართოს.

ჩვენს სენატორებს ამ გამაყრუებელ კონცერტზე დასწრება არ სურთ. თქვენ ხომ არ წახვიდოდით?“ ადგილიდან წამოვხტი, სულ ცოტა ხნის წინ, ჰალეში, რა მიუწვდომელნი მეჩვენებოდნენ ლუი არმსტრონგი და ელა ფიცჯერალდი. ბილეთებს ხელი ვტაცე და მაშინვე სასამართლოს ბიბლიოთეკაში გავვარდი, რომ ჩემი ორივე ჰალელი მეგობარი კონცერტზე დამეპატიჟებინა. მეორე საღამოს პირველ რიგში, საპატიო ადგილებზე ვისხედით.

1952 წლის მიწურულს ბრემენის ფინანსთა მინისტრის ვაჟმა, რომელიც ჩვენსავით რეფერენდარად მუშაობდა, თავისი მშობლების სახლში დამპატიჟა, რათა ახალ წელს ერთად შევხვედროდით. ბრემენის პარლამენტის ვიცე-პრეზიდენტმა, ქალბატონმა ლეიმაც, დედასავით შემიფარა თავისი ფრთის ქვეშ. ალბათ სურდა ჰალელი ყმაწვილისთვის ცხოვრება ოდნავ მაინც შეემსუბუქებინა. ასეთი კეთილგანწყობა სუფევდა ბრემენის მოქალაქეთა შორის. სამხარეო სასამართლოს წევრი, ბოიტლერი, ზოგჯერ თავის კაბინეტში სასაუბროდ მიწვევდა. როგორც ჩანს, გული გავუწყალე ჰალესა და გდრ-ზე გაუთავებელი მსჯელობით, რადგან ერთ მშვენიერ დღეს გამომიცხადა: „ბატონო კოლეგა, მინდა ადამიანური რჩევა მოგცეთ. იცხოვრეთ უბრალოდ, უკან ნუ მიიხედავთ! ემიგრანტის როლში ძალიან ნუ შეიჭრებით, რადგან მუდამ მერყეე მდგომარეობაში იქნებით, ამიტომ სჯობს წინ გაიხედოთ!“. როცა იმედგაცრუების გრძნობა მიპყრობდა, რაც ჩემს ცხოვრებაში იშვიათობას არ წარმოადგენდა, ყოველთვის მისი რჩევა მახსენდებოდა.

მრავალ დასავლეთგერმანელს ნაკლებ აინტერესებდა გერმანიის გაერთიანების საკითხი, რაც გულისტკივილს იწვევდა ჩემში. ისინი საკუთარი თავითა და „ეკონომიკური სასწაულით“ იყვნენ დაკავებულნი. 1953 წლის მარტში რეფერენდარები ბონში გავემგზავრეთ. ერთ საღამოს ახლომდებარე კონიგსვინტერის საცეკვაო კლუბში შევიარეთ, სადაც ერთი მიმზიდველი სტუდენტი გოგონა გავიცანი. ის რაინის ოლქიდან იყო და ბონში სწავლობდა. ტრფიალების ალი რომ მომედო, უცებ მკითხა, რა დიალექტზე ლაპარაკობო? ჰალელი ვარ-მეთქი. — ააა, გაღმელი ხარო? თითქოს ცივი წყალი გადამასხეს, თუმცა პოლიტიკურ იმედგაცრუებას ბოლოს მაინც ვნებამ სძლია.

1953 წლის 25 თებერვალს, ერთი ჩემოდნის ამარა, დედაჩემიც ჩამოვიდა ბრემენში. დედამაც იგივე გზა გამოიარა, რომელიც მე

გამოვიარე ნახევარი წლის წინ იძულებით გადაადგილებულ პირთა ბერლინის განყოფილებაში. ძალზე მოკრძალებულად ვცხოვრობდით. ავეჯით მოწყობილი ოროთახიანი ბინა ვიქირავეთ 120 მარკად; ოსტერტორშტაინვეგის 90 ნომერში, ბრემენის მთავარი მოედნიდან ტრამვაის ორ გაჩერებაზე ვცხოვრობდით. ერთი ოთახი ასრულებდა სასადილო, სასტუმრო, სამუშაო და ჩემი საძინებელი ოთახის ფუნქციას, მეორე ოთახში კი დედა ცხოვრობდა. ჩემი სარეფერენდარო ხელფასისა და ადვოკატ ფრიც ჰერცფელდთან მუშაობით მიღებული დამატებითი შემოსავლის წყალობით ჰალეში უკეთესი პირობები გვქონდა. მატერიალური თვალსაზრისით ჰალეში კარგად ვცხოვრობდით, ასე რომ, იქიდან ეკონომიკური სიდუხჭირის გამო არ წამოვსულვარ. ცხოვრებისეულმა გამოცდილებამ დამარწმუნა, ხშირად რაოდენ უმართებულოდ აკერებენ ხოლმე ადამიანებს ეკონომიკური ლტოლვილის იარლიყს. არა პურითა ხოლო ცხოვნდების კაცი.

1953 წელს ერთი ბიძაშვილის გარდა მთელმა სანათესაომ დატოვა სამშობლო, რადგან 1952 წელს გდრ-ში საშუალო და მსხვილი მიწათმფლობელების წინააღმდეგ კამპანია გააჩაღეს. ჩემი ნათესავები დასავლეთ გერმანიის სხვადასხვა რაიონში დასახლდნენ. მხოლოდ ერთი, ყველაზე ახლობელი ოჯახი დარჩა ბრემენის რაიონში. წარმოიდგინეთ, როგორი ყურადღებითა და თანაგრძნობით ვადევნებდით თვალს 1953 წლის ივნისის სახალხო ამბოხებას აღმოსავლეთ ბერლინსა და გდრ-ში; მერჩია იმ დროს ჰალეში ან ბერლინში ვყოფილიყავი. ამ აჯანყების ჩახშობამ დიდი იმედგაცრუება გამოიწვია ჩვენში, რაც მოგვიანებით ბრაზის განცდამ შეცვალა, რადგან დასავლეთმა — მხოლოდ დასავლეთ გერმანიას არ ვგულისხმობ — საოცარი გულგრილობით დაივიწყა ყველაფერი და ჩვეულ ცხოვრებას დაუბრუნდა.

## *ბრემენიდან ბონისკენ*

ბრემენში ბოლოს და ბოლოს გავიარე ჩვიდმეტთვიანი პრაქტიკული სწავლების კურსი: 1954 წლის 26 თებერვალს ჰამბურგის, ბრემენისა და შლეზვიგ-ჰოლშტაინის მხარეების ერთობლივ საგამოცდო კომისიას მეორე იურიდიული გამოცდა ჩავაბარე. ჩემმა შეფასებამ —



*1957 წელს ჰანს-დიტრიხ გენშერი მკურნალობს შიომბერგის ფთიზიატრიულ საავადმყოფოში, შვარცვალდში. ფოტოზე აღბეჭდილია ერთი დღე სამწლინახევრიანი პერიოდისა, რომელიც ამ წიგნის ავტორმა საავადმყოფოებსა და სანატორიუმებში გაატარა 1947 წლიდან 1957 წლამდე.*

„დამაკმაყოფილებელი", იმედი გამიცრუა, თუმცა ახლა ასესორი ვიყავი, ადვოკატის წოდების მოსაპოვებლად კი ადვოკატთა კანცელარიაში შტატიანი თანამშრომლობის ერთწლიანი სტაჟი მჭირდებოდა. ეს ვადა ომის მონაწილეთათვის ექვს თვემდე შეამცირეს. ბრემენის ერთ სოლიდურ საადვოკატო კანცელარიაში დავიწყე ასესორად მუშაობა. 1954 წლის 1 სექტემბერს ადვოკატად მუშაობის ნება დამრთეს. მიხაროდა, რომ ვმუშაობდი, პროფესიული თვალსაზრისით წინ მივიწევდი და დედაც კარგად გრძნობდა თავს. ერთი სიტყვით, ცხოვრება გრძელდებოდა. 1954 წლის 7 ნოემბერს, სადილობისას, ბრინჯის სუფს გეახლებოდით, რომ უცნაური გემო ვიგრძენი. ფილტვიდან ძლიერი სისხლდენა დამეწყო. თავიდან ვერ გავიგე, რა მჭირდა, მაგრამ დედაჩემი მიხვდა, რომ პროფუზული სისხლდენა დამეწყო. შეშინებული წამოვწექი. რამდენიმე წუთის შემდეგ უკვე სასწრაფოთი მიმაქროლებდნენ წმინდა იურგენის საავადმყოფოსკენ.

ექიმებს ავუხსენი, რომ კუჭი აქ არაფერ შუაში იყო, რომ პროფუზული სისხლდენა ფილტვების ტუბერკულოზის ზერელე მკურნალობის შედეგს წარმოადგენდა. სამსახურისთვის წელიწადზე მეტი ხნით თავი უნდა დამენებებინა. ძალზე მძიმე დრო დამიდგა, ჯანმრთელობის მხრივ თუ მატერიალური თვალსაზრისით. ცალკე ოთახი რომ მომიჩინეს, ამან კი ძალიან გამახარა. ჩემი პალატა საავადმყოფოს მანსარდაზე მდებარეობდა; ოთახში საწოლი იდგა, სარკმელს რკინის გისოსები ჰქონდა, ხოლო კარი რკინისა იყო, რადგან ამ პალატაში, ჩვეულებრივად, ავადმყოფ პატიმრებს ათავსებდნენ. ეს იყო მარტოობის შვიდი ხანგრძლივი თვე, ამ პალატაში რომ გავატარე. გულს მიჩუყებდა მედდების მზრუნველობა. შემდეგ ხუთთვიანი მკურნალობის კურსი დამინიშნეს ვალდჰოფ-ელგერსჰაუზენის სანატორიუმში, ვესტერვალდში. საუზმის შემდეგ, 9 საათზე, ყოველი დღე ეგრეთ წოდებული „გაუნძრევლად წოლის" პროცედურით იწყებოდა. სუფთა ჰაერზე წოლითი რეჟიმის დროს საძილე ტომრებში შეფუთული ათი პაციენტი გვერდიგვერდ უნდა წოლილიყო ცალმხრივად ღია ტერასისებურ პავილიონებში. ნასადილევს ვისვენებდით და 15 საათიდან ისევ „ჰაერზე წოლის" დრო დგებოდა — 18 ან 19 საათამდე. წოლითი რეჟიმის ხანგრძლივობას ამინდისა და წელიწადის დროის მიხედვით განსაზღვრავდნენ. სუფთა ჰაერზე ყოფნას და მშვიდ წოლით რეჟიმს გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭებოდა, რადგან სუნთქვის გაიშვიათების წყალობით ფილტვს ნაკლები დატვირთვა აქვს და მისი ფუნქცია აღდგება და გაძლიერდება. ამის გამო წონაში მოვიმატე. ჯერ კიდევ ბრემენის საავადმყოფოშივე კარგი კვების წყალობით ვებრძოდით ავადმყოფობას, და რაკი ნაკლებად ვმოძრაობდი, ძალიან გავსუქდი. ამასთან ფინანსური პრობლემებიც მექმნებოდა. ჩემი კოლეგები ამ ხნის განმავლობაში ფინანსურადაც მეხმარებოდნენ, დედაჩემის პენსია არ გვყოფნიდა. ფინანსური თვალსაზრისით ყველაზე ცუდი დრო დაგვიდგა. დედამ თავი ვალდებულად ჩათვალა ემუშავა და რამდენიმე თვის განმავლობაში ერთ ხანშიშესულ ქალბატონს ეხმარებოდა საოჯახო საქმეებში.

1955 წლის ნოემბერში საქმე ისევ დაიძრა. მუშაობის განახლება შევძელი. პოლიტიკურ სარბიელზე აქამდე არც მეფიქრა, მაგრამ როგორც ხშირად ხდება ხოლმე, გარემოებათა და შემთხვევათა წყალობით ამაზე დაფიქრება მომიხდა. სამხარეო პრეზიდიუმში,

გერმანიის ახალგაზრდა დემოკრატთა სამხარეო ორგანიზაციის თავმჯდომარის მოადგილე ვიყავი და პროპორციული წესით ბრემენის პარლამენტში ვიყრიდი კენჭს. 1955 წლის დეკემბრის ბოლოს თავისუფალი დემოკრატიული პარტიის სამხარეო თავმჯდომარემ ბორტჩელერმა და სამხარეო საქმეთა მმართველმა შადემ მკითხეს: ბონში, თავისუფალი დემოკრატიული პარტიის ბუნდესტაგის ფრაქციაში მეცნიერ-ასისტენტად ხომ არ იმუშავებდიო. ეს ჩემთვის ძნელი გადასაწყვეტი გახლდათ. მე ხომ სასურველ პროფესიასაც დავეუფლე და ადვოკატადაც ვმუშაობდი, თუნდაც ჩვეულებრივი მოსამსახურის რანგში. მეორე მხრივ, ძალზე მომხიბლავი წინადადება იყო, რომელიც შანსს მაძლევდა მეცადა ბედი პოლიტიკაში. ბორტჩელერი და შადე ჩემს დარწმუნება-დაყოლიებას დაჟინებით ცდილობდნენ: თქვენ ეს აუცილებლად უნდა გააკეთოთო. ოცდარვა წელი ის ასაკია, როცა შეგიძლია დროსა და სივრცეში გადაადგილების უფლება მისცე თავს. გამესაუბრნენ  თავისუფალი დემოკრატიული პარტიის ფრაქციის თავმჯდომარე დოქტორი თომას დელერი, ბუნდესტაგის ფრაქციის ექსპერტი დოქტორი ვოლფგანგ შტამბერგერი და თავისუფალ დემოკრატთა უხუცესი წევრი, ბუნდესტაგის უხუცესი დეპუტატი, ქალბატონი მარი ელიზაბეტ ლიუდერსი, რის შემდეგაც მივიღე კიდეც შეთავაზება. დელერს 1953 წლის არჩევნებიდან ვიცნობდი, მაგრამ მაშინ ხანმოკლე შეხვედრა გვქონდა. მისი პიროვნებით აღფრთოვანებული ვიყავი. ბონში შეხვედრისა და საუბრის შემდეგ, როგორც ჩანს, მეც კარგი შთაბეჭდილება მოვახდინე მასზე, რადგან ჩემს კანდიდატურას მხარი დაუჭირა.

და აი, ბონში გადასასვლელად ჩემოდნის ჩალაგებას შევუდექი. 1953 წლის პირველ აპრილს, ოცდაცხრა წლის ასაკში, ბონში გადავედი და ბუნდესტაგის ძველ რეზიდენციაში, თომას დელერის სართულზე მდებარე პატარა სამუშაო ოთახში მოვეწყვე. ჩემი საქმიანობა, ძირითადად, კანონპროექტების მომზადებით, თავისუფალი დემოკრატიული პარტიის ბუნდესტაგის ფრაქციის ინტერპელაციების შედგენით და საკანონმდებლო ინიციატივების შემუშავებით შემოიფარგლებიდა. იურიდიული განათლება დიდად გამომადგა ამ საქმეში.

ბონში ჩემი პოლიტიკური საქმიანობის პირველი პერიოდი თავისუფალი დემოკრატიული პარტიისათვის მეტად რთულ ფაზას

და ქრისტიანულ-ლიბერალური სამთავრობო კოალიციის კრიზისს დაემთხვა. 1954 წლიდან თავისუფალ დემოკრატიულ პარტიას, ფრანც ბლიუხერის შემდეგ, თომას დელერი უძღვებოდა. მანამდე ის ერთი წლის განმავლობაში თავმჯდომარეობდა თავისუფალი დემოკრატიული პარტიის ფრაქციას ბუნდესტაგში. დელერი მკაცრად აკრიტიკებდა ადენაუერის საგარეო პოლიტიკას, რადგან მიაჩნდა, რომ გერმანიის გაერთიანების შანსებს ხელიდან უშვებდნენ. 1949 წელს ადენაუერმა დელერი პირველ კაბინეტში ფედერალური იუსტიციის მინისტრის თანამდებობაზე მიიწვია. ამასობაში კი ფედერალური კანცლერის მგზნებარე მომხრე, ასეთივე მგზნებარე მოწინააღმდეგედ იქცა. ფედერალური პრეზიდენტი ჰოისი დელერს სწერდა: „მე დიდი სიყვარულით და კიდევ უფრო დიდი შეშფოთებით ვფიქრობ თქვენზე, განსაკუთრებით კი გერმანიის ბედისწერაზე თქვენი ზეგავლენა მაფიქრებს". პარტიისა და ფრაქციის თავმჯდომარის თანამდებობამ დელერი კონრად ადენაუერის პოლიტიკურ და, უწინარეს ყოვლისა კი, საპარლამენტო მოწინააღმდეგედ აქცია. ამ დაპირისპირებულობამ კულმინაციას ზაარის მხარის სტატუსთან დაკავშირებით გამართული დებატებისას მიაღწია: დელერის მეთაურობით ლიბერალებმა — მიუხედავად იმისა, რომ ქრისტიანულ-დემოკრატიულ და ქრისტიანულ-სოციალურ კავშირებთან ერთად მთავრობას ქმნიდნენ, — ხმების უმრავლესობით ზაარის შეთანხმების წინააღმდეგ მისცეს ხმა, რადგან ეს შეთანხმება ზაარის მხარეს ჩამოაშორებდა გერმანიას. თომას დელერი ზაარის მოსახლეობის არჩევანმა გაამართლა, როცა 1955 წლის ოქტომბერში ზაარის მოქალაქეებმა ეს წესდება უარყვეს და 1957 წლის პირველ იანვარს ზაარის მხარე ბოლოს და ბოლოს შეუერთდა გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკას. მაშინ ამას „მცირემასშტაბიან გაერთიანებას" უწოდებდნენ.

რომ განხორციელებულიყო საარჩევნო რეფორმის გეგმა, რომელსაც ადენაუერი უჭერდა მხარს, თავისუფალი დემოკრატიული პარტია არსებობას შეწყვეტდა. ამის საპასუხოდ თავისუფალ-დემოკრატმა „იუნგთურქებმა" 1956 წლის 20 თებერვალს დიუსელდორფში გერმანიის სოციალ-დემოკრატიულ პარტიასთან და ცენტრის პარტიასთან ერთად ნორდრაინ-ვესტფალენის მხარის პრემიერ-მინისტრი კარლ არნოლდი (ქრისტიანულ-დემოკრატიული კავშირი) გადააყენეს, გამოუტანეს რა მას კონსტრუქციულ საფუძველზე

უნდობლობის ვოტუმი და ახალი მთავრობა შექმნეს. მათ სურდათ, ხელი შეეშალათ ადენაუერის ძირგამომთხრელი საარჩევნო კანონისთვის და ეს მოახერხეს კიდეც.

„იუნგთურქებს" („ახალგაზრდა თურქებს") უწოდებდნენ ნორდრაინ-ვესტფალენის მხარის თავისუფალი დემოკრატიული პარტიის ახალგაზრდა ლიდერებს, უპირველეს ყოვლისა კი ვილი ვაიერს, ვოლფგანგ დიორინგსა და ვალტერ შეელს. დიორინგი ბრძოლისუნარიანი, მგზნებარე ბუნების კაცი გახლდათ, რომელიც ახალგაზრდებში პოპულარობით სარგებლობდა. ეგრეთ წოდებული „შპიგელის სკანდალისას" მან კონრად ადენაუერის წინააღმდეგ გაილაშქრა, რადგან ადენაუერმა მის მეგობარს, რუდოლფ აუგშტაინს უსამართლო ბრალდებები წაუყენა. ვოლფგანგ დიორინგისა და კარლ-ჰერმან ფლახის ნაადრევი გარდაცვალება დიდი დანაკლისი იყო თავისუფალი დემოკრატიული პარტიისათვის.

1956 წლის გაზაფხულზე თავისუფალი დემოკრატიული პარტიის ბუნდესტაგის ფრაქცია თექვსმეტმა წევრმა დატოვა. მათ შორის იყო ოთხი ფედერალური მინისტრი. დანარჩენმა დეპუტატებმა დაშალეს ქრისტიანულ-დემოკრატიულ კავშირთან ერთობლივი ბლოკი და თავისუფალი დემოკრატიული პარტია 1961 წლამდე ოპოზიციაში იმყოფებოდა. ადენაუერის მთავრობამ ქმედითუნარიანობა შეინარჩუნა, რადგან მეორე მოწვევის პარლამენტში (1953-1957 წლები) კავშირი ორასორმოცდაოთხი ადგილიდან მანდატების აბსოლუტურ უმრავლესობას ფლობდა, თუმცა ამომრჩეველთა მხოლოდ 45,2 პროცენტი უჭერდა მხარს.

ასეთი იყო ჩემი პოლიტიკური გარემო, როდესაც პირველ აპრილს თავისუფალი დემოკრატიული პარტიის საპარლამენტო ფრაქციაში დავიწყე მუშაობა. გერმანული ლიბერალიზმი განხეთქილების წინაშე იდგა.

რენეგატების მიერ დაარსებულ თავისუფალ სახალხო პარტიას, რომლის შემადგენლობაც მდიდარ კლიენტელად მოიაზრებოდა, ბევრი ფული ჰქონდა, მაგრამ ამომრჩეველი არ ჰყავდა. 1957 წლის ბუნდესტაგის არჩევნებში ამ პარტიამ მარცხი იწვნია. იმედი მაქვს, რომ პარტია-კლიენტელად ჩამოყალიბების მარცხით დასრულებული ცდა, საბოლოოდ უკუაგდებს ქრისტიანულ-დემოკრატიული და ქრისტიანულ-სოციალური კავშირებიდან მარჯვნივ გადახვევის ყოველ-

გვარ მცდელობას. ზოგიერთმა რენეგატმა მოგვიანებით მოინანია ეს ნაბიჯი და ზოგიერთი დაბრუნდა კიდეც, მათ შორის იყო ბინათმშენებლობის ყოფილი მინისტრი ვიქტორ ემანუელ პროისკერი; ის პირდაპირი ადამიანი გახლდათ და მისმა წასვლამ სინანული მომგვარა. განდგომილთა უმრავლესობა კონსერვატულად მოაზროვნე ადამიანები იყვნენ, მაგრამ ის, რაც მოხდა კლასიკური განხეთქილების – ანუ პროგრესისტებად და ეროვნულ-ლიბერალებად გაყოფის ნიმუშად ვერ ჩაითვლებოდა, რადგან თომას დელერი ხომ მებრძოლი ეროვნულ-ლიბერალი იყო. გამიჯვნა სხვა კრიტერიუმებით მოხდა. საქმე თავისუფალი დემოკრატიული პარტიის თვითშეგნებას ეხებოდა: მოიაზრებდა ის საკუთარ თავს, როგორც დამოუკიდებელი პარტია, თუ მხოლოდ ხმათა უმრავლესობის შემგროვებელი იყო? ამ საშიშროების წინაშე ხომ თავისუფალი დემოკრატიული პარტია გამუდმებით იმყოფებოდა. 1981-1982 წლებშიც, როდესაც ის გერმანიის სოციალ-დემოკრატიულ პარტიასთან ერთად ბლოკში გაერთიანდა, უკვე არსებობდა იდენტობის დაკარგვის საფრთხე. პარტიულ სხდომებზე ხშირად მითქვამს, რომ ჩვენ, უპირველეს ყოვლისა, გერმანიის ლიბერალურ პარტიას წარმოვადგენდით და მხოლოდ ამის შემდეგ – კოალიციურ პარტიას. 1982 წელს, როდესაც დაპირისპირება უაღრესად გამწვავდა, მაშინდელმა იუსტიციის მინისტრმა, ენგელჰარდმა, ამ ვითარების ოსტატური ფორმულირება მოახდინა, დაარქვა რა „კოალიციური ლიბერალების“ სახელი ყველას, ვისთვისაც კოალიცია უფრო მნიშვნელოვანი იყო, ვიდრე ლიბერალური იდენტობა.

### *პოლიტიკური იდეალები*

თავისუფალ დემოკრატიულ პარტიაში ჩემთვის სამაგალითო ადამიანები იყვნენ თომას დელერი და რაინჰოლდ მაიერი. მათ განსაკუთრებით შესტკიოდათ გული „გერმანულ საკითხზე“. ორივე ღრმადმორწმუნე ევროპელი და დევნაში გამობრძმედილი ლიბერალი გახლდათ. მათ უამრავ განსაცდელს გაუძლეს და უკვე ეჭვი აღარ ეპარებოდათ, რომ ახალი გერმანია დასავლურ დემოკრატიათა რიცხვს მიეკუთვნებოდა. ამ ორმა პიროვნებამ დიდი როლი ითამაშა ჩემს

პოლიტიკურ განვითარებაში.

გერმანიის ერთიანობა თავისუფალი დემოკრატიული პარტიის ურყევ მოთხოვნას წარმოადგენდა. მნიშვნელოვან თანამდებობებზე ვერც ერთ სხვა პარტიაში ვერ ნახავდით იმდენ აღმოსავლელ და შუაგერმანელს, როგორც ამ პარტიაში: მენდე ზემო სილეზიელი იყო, დიორინგი — ლაიფციგელი, შოლვერი — ბრანდენბურგის მკვიდრი გახლდათ, ჰოპე — შტრალზუნდელი, ფლახი — აღმოსავლეთ პრუსიიდან ჩამოვიდა, შტარკე მენდეს თანამემამულე იყო, მიშნიკი კი — დრეზდენელი. მიშნიკსა და ჩემთან ერთად კიდევ ორი გდრ-ის ყოფილი მოქალაქე მოღვაწეობდა თავისუფალ დემოკრატიულ პარტიაში, ისინიც გერმანიის ლიბერალურ-დემოკრატიული პარტიის ყოფილი წევრები იყვნენ. მიშნიკი ფრაქციის თავმჯდომარის მოვალეობას ასრულებდა, მე კი პარტიის თავმჯდომარე გახლდით. დევნილი ლიბერალურ-დემოკრატიული პარტია არ არსებობდა, თუმცა არსებობდა გერმანიის ლიბერალურ-დემოკრატიული პარტიის ფედერალური საბჭო, რომელსაც ვოლფგანგ მიშნიკი ხელმძღვანელობდა.

მიშნიკი დასავლეთ გერმანიაში გავიცანი, მაგრამ საბჭოთა საოკუპაციო ზონასა და, მოგვიანებით, გდრ-ში მიღებულმა საერთო გამოცდილებამ მყისვე დაგვაახლოვა. საერთო გვქონდა ისიც, რომ ომის შემდეგ ორივე გერმანიის ლიბერალურ-დემოკრატიული პარტიის წევრები ვიყავით. ეს ნიშნავდა ლიბერალურ პასუხისმგებლობაზე დაფუძნებულ ახალ დასაწყისს, მოვლენების განვითარებით გამოწვეულ იმედგაცრუებას, ახალ დასაწყისს დასავლეთში და ერთიანობის უტეხ ნებას. მიშნიკის სანუკვარი ოცნება ის იყო, დრეზდენის ობერბიურგერმაისტერი გამხდარიყო. ვოლფგანგ მიშნიკის მიმართ მუდამ განსაკუთრებულ სიახლოვეს ვგრძნობდი: ცხოვრებისეული გზის ერთგვაროვნება ძალზე აახლოებს ადამიანებს. თავისუფალ დემოკრატიულ პარტიაში გერმანიის ლიბერალურ-დემოკრატიული პარტიიდან მოსულთა გავლენა ძალზე ძლიერი იყო, რაც გერმანულ საკითხთან დაკავშირებული პოლიტიკური კონცეფციების შემუშავებისას განსაკუთრებით ვლინდებოდა. ამიტომ იყო, რომ ლიბერალები დაჟინებით ცდილობდნენ გერმანული საკითხის დაჩქარებას, თანაც ისინი ამას ისე ძალდაუტანებლად აკეთებდნენ, რომ კომუნისტურ სისტემასთან სიახლოვეს ვერვინ დასწამებდა. გერმანიის სოციალ-დემოკრატიულ პარტიაში უფრო რთული მდგომარეობა იყო: ადენაუერი ოსტატურად

ახერხებდა გერმანიის ერთიან სოციალისტურ პარტიასთან იდეოლოგიური თანხვდენილობის ხატის შექმნას.

ყოველ შემთხვევაში, კოალიციის დაშლის შემდეგ, 1956 წელს, თავისუფალ დემოკრატიულ პარტიაში ადენაუერის მიმართ — ადამიანური თუ პოლიტიკური თვალსაზრისით — ძალზე დიდი დისტანცია გაჩნდა.

## *ათ წელზე მეტი ხნის შემდეგ: განკურნება შვარცვალდში*

თითქმის ცხრა თვე დავყავი ბონში, ვიდრე ხელახლა გამოვცდიდი ჩემთვის კარგად ნაცნობ შოკურ მდგომარეობას: 1956 წლის დეკემბრის ბოლოს ისე სუსტად ვიგრძენი თავი, რომ ჩემს ფტიზიატრთან, დოქტორ მისენთან წავედი. ტუბერკულოზი კვლავ გამიმწვავდა. ისევ ფტიზიატრიულ სანატორიუმში უნდა მემკურნალა, ამჯერად შვარცვალდში. კურორტ შიომბერგში, რომელიც პფორცჰაიმზე მაღლა მდებარეობს, ორი ათასი მაცხოვრებელი და ორი ათას ხუთასი ავადმყოფი იმყოფებოდა. 1956 წლის იანვრის თვიდან 1957 წლის დეკემბრამდე იქ ვცხოვრობდი. იგივე დღის რეჟიმი გვქონდა: სუფთა ჰაერზე წოლა, კარგი კვება. ცალკე ვცხოვრობდი, მშვენიერი აივნიანი ოთახი მქონდა. რამდენჯერ დამხმარებია პროფესორ ჰილზესა და მისი დარიგების გახსენება, რომ ამ ავადმყოფობის დაძლევა შესაძლებელი იყო, მაგრამ მაინც არ მასვენებდა შიში, ვაითუ შრომისუნარიანობა დავკარგო-მეთქი. ბოლოს მთავარმა ექიმმა, ტოიფელმა, დაუფარავად მითხრა, რომ ქირურგიულ ჩარევაზე უნდა გვეფიქრა. წამლები აღარ მოქმედებდა, მხოლოდ ოპერაცია თუ გააუმჯობესებდა ჩემს მდგომარეობას და იქნებ საბოლოოდ განვეკურნე კიდეც.

დაუყოვნებლივ დავთანხმდი ფილტვების ოპერაციაზე. ოპერაცია დოქტორმა ჰუცლიმ გამიკეთა შტუტგარტ-შილერჰიოეს საავადმყოფოში. ეგრეთ წოდებული პნევმოლიზი ჩამიტარდა. ბრემენში მყოფი დედაჩემისთვის ოპერაციის თარიღი არ მიცნობებია. ოპერაციის წინა დღეს რამდენიმე წერილი დავწერე, დაწვრილებით ვუყვებოდი თერაპიასთან დაკავშირებულ უმნიშვნელო წვრილმანებსა და ულამაზეს ლანდშაფტებზე. მოწყალების დამ მომდევნო დღეებში

ფოსტით გადააგზავნა ჩემი წერილები. ოპერაციამ წარმატებით ჩაიარა, თუმცა მხოლოდ მოგვიანებით შევძელი დედაჩემთან დარეკვა.

შევატყობინე, რომ ყველაფერი მშვიდობიანად დასრულდა და დედამაც შვებით ამოისუნთქა. პნევმოლიზის ოპერაციისას ქირურგიული ჩარევა იმ აპარატის დამაგრების საშუალებას იძლევა, რომლითაც ეგრეთ წოდებული პნევმოთორაქსის პროცედურას უტარებენ პაციენტს. პნევმოთორაქსისას დაავადებული ფილტვი იკუმშება, რაც მას ფუნქციონირებას უადვილებს. მიღწეული შედეგის შესანარჩუნებლად — სულ უფრო ხანგრძლივი შუალედებით — სპეციალური ნემსის საშუალებით სტერილურ ჰაერს უშვებდნენ პლევრის ღრუში, ამ პროცედურას „ჩაბერვასაც" უწოდებენ. ოთხნახევარი წლის განმავლობაში, 1961 წლამდე, პერიოდულად მიტარდებოდა ეს პროცედურა. „ჩაბერვა" უმტკივნეულო, მაგრამ მაინც უსიამოვნო პროცესია. მას შემდეგ ოცდაათ წელზე მეტი გავიდა და ფილტვის ტუბერკულოზს აღარასოდეს შევუწუხებივარ. დიახ, როდესაც ხანმოკლე სარეაბილიტაციო პერიოდის შემდეგ გამომწერეს, სიცოცხლეს უკვე სხვა თვალით ვუყურებდი. მადლიერების გრძნობა დამეუფლა. მადლიერი ვიყავი, რომ თავს კვლავ ჯანმრთელად და მხნედ ვგრძნობდი. ცხოვრების ამგვარი ხედვა მუშაობასაც მიადვილებდა და ის მძიმე ტვირთად აღარ მეჩვენებოდა. შრომა თვითრეალიზაციის შესაძლებლობა იყო. ბედნიერების საოცარი შეგრძნება მავსებდა, შეგრძნება, რომელიც დღემდე ჩემი ცხოვრების ყველაზე ძლიერი მამოძრავებელი ძალაა. მას შემდეგ ჩემთვის ყოველი დღე საჩუქარია, საჩუქარი, რომლისთვისაც მადლიერი ვარ.

1958 წლის 15 თებერვალს საღ-სალამათი დავბრუნდი ბონში, თავისუფალი დემოკრატიული პარტიის საპარლამენტო ფრაქციაში. ჩემს არყოფნაში მრავალი პოლიტიკური ცვლილება მომხდარა: 1957 წლის შემოდგომაზე, ბუნდესტაგის არჩევნებში ცუდი შედეგებიდან გამომდინარე, თავისუფალი დემოკრატიული პარტიის ფედერალური თავმჯდომარე თომას დელერი, რაინჰოლდ მაიერმა შეცვალა, ხოლო ფრაქციის თავმჯდომარის თანამდებობაზე — ერიხ მენდემ.

თომას დელერთან — ამ იმპულსურ და ამავე დროს, ფაქიზი ბუნების ადამიანთან, რომლის მადლიერიც ვარ — კვლავ მჭიდრო ურთიერთობა მქონდა. როდესაც საავადმყოფოში ვიყავი, ის ყოველთვის

მირეკავდა და ჯანმრთელობის ამბავს მეკითხებოდა. დელერი არა მარტო კარგი ორატორი და ლიბერალ-დემოკრატიული სახელმწიფოს მგზნებარე დამცველი გახლდათ, არამედ ის კიდევ უფრო მომხიბლავი პიროვნება იყო. მგრძნობიარე, თითქმის დამყოლი ბუნების ადამიანი პირადი და გულახდილი საუბრისას ზოგჯერ თავშეკავებას იჩენდა, ყოველ შემთხვევაში სიფიცხე არ სჩვეოდა. როგორც უმცროს კოლეგას, ყოველთვის კეთილგანწყობით მეპყრობოდა. როცა მოვისურვებდი, შემეძლო მასთან მისვლა. ეს კარგად იცოდა მისმა მდივანმაც, ქალბატონმა კოსტკამ.

1897 წელს ზემო ფრანკონიის ლიხტენფელსში დაბადებული დელერი ადვოკატის პროფესიას დაეუფლა. ძალზე ახალგაზრდა იყო. პირველი მსოფლიო ომი რომ გამოსცადა; იგი სიხარულით შეხვდა ვაიმარის რესპუბლიკის დაარსებას, რაც მისი სიტყვით, კატასტროფულ 1918 წელს იმის ანაზღაურების მცდელობა იყო, რაც 1848 წელს ვერ მოესწრო. ვიურცბურგში მან იურისპრუდენციის დოქტორის წოდება მოიპოვა, ხოლო 1919 წელს გაიცნო ფრიდრიხ ნაუმანის მოწაფე თეოდორ ჰოისი. 1924 წელს დელერი ერთ-ერთი დამფუძნებელთაგანი გახლდათ კავშირისა „რაიხის არწივი" და წარმოადგენდა „რკინის ფრონტის"* დამფუძნებელ წევრს. მიუნხენში გერმანიის დემოკრატიული პარტიის წევრი გახდა, ხოლო როცა ვაიმარის რესპუბლიკა უკანასკნელ დღეებს ითვლიდა და დემოკრატიული პარტიაც დაიშალა, გერმანიის სახელმწიფო პარტიაში შევიდა. მოგვიანებით, ჰიტლერის დიქტატურის წლებში, პოლიტიკას ჩამოშორდა და ოჯახთან ერთად ბამბერგში დასახლდა, სადაც ადვოკატად მუშაობდა. მას ფელდფებელის წოდება ჰქონდა, როცა ვერმახტიდან დაითხოვეს ერთადერთი მიზეზის გამო: ებრაელი ცოლი ჰყავდა. როგორც ნაციონალ-სოციალიზმის მოწინააღმდეგე, ორჯერ იყო დაპატიმრებული – 1938 და 1944 წლებში. 1946 წლიდან 1956 წლამდე ბავარიის თავისუფალი დემოკრატიული პარტიის თავმჯდომარე გახლდათ. თეოდორ ჰოისთან, მაქს ბეკერთან, ჰერმან ჰიოპკერ-აშოფთან, ჰანს რაიფთან და ჰერმან შეფერთან ერთად საპარლამენტო საბჭოში ლიბერალთა ექვსკაციანი ჯგუფის წევრი

---

* რკინის ფრონტი – ვაიმარის რესპუბლიკის სოციალისტთა საბრძოლო ორგანიზაცია. (რედ.)

*ჰანს-დიტრიხ გენშერი და მისი პოლიტიკური იდეალი თომას დელერი, თავისუფალი დემოკრატიული პარტიის ფედერალური თავმჯდომარე. აქვეა შლეზვიგ-ჰოლშტაინის იუსტიციის მინისტრი დოქტორი ბერნჰარდ ლეევერენცი (მარცხნივ).*

იყო, ის კონსტიტუციის ფუძემდებელთაგანი გახლდათ. როგორც იუსტიციის მინისტრი, აქტიურად მონაწილეობდა გერმანული მართლწესრიგის აღმშენებლობაში; ის იყო მხურვალე მხარდამჭერი სამართლებრივ-პოლიტიკური გადაწყვეტილებებისა და სამართლიანობისა და ლიბერალიზმის ფანატიკური დამცველი. ზოგჯერ, როცა უსამართლობას აწყდებოდა, რასაც პირადად მის მიმართ ან სხვების მიმართ იჩენდნენ, ის თავშეკავებას ვეღარ ახერხებდა. ცისფერი თვალები მის ხასიათს კიდევ უფრო მეტ მომხიბვლელობას ანიჭებდა.

ეს უაღრესად განათლებული ადამიანი ჩემზე დიდ შთაბეჭდილებას ახდენდა. იმ წლებში თავისუფალ დემოკრატიულ პარტიაში არავის უსაუბრია ჩემთან პოლიტიკის პრინციპულ საკითხებზე ისე ხშირად, როგორც მას. ფედერაციული რესპუბლიკის იუსტიციის მინისტრთა შორის უეჭველად ყველაზე მნიშვნელოვანი მინისტრი, კომპეტენციის ფარგლებს გარეთ პოლიტიკური დისკუსიების

ინიციატორი და წარმმართველიც კი იყო. სამართლებრივი სახელმწიფოსთვის ბრძოლაში მისი შეუპოვრობა იმაშიც გამოვლინდა, რომ მან, როგორც ნაციონალ-სოციალისტური რეჟიმის მიერ დევნილმა — მან ხომ ებრაელი ცოლი არ მიატოვა —, მაინც უარი განაცხადა მოეხსნა, გაეუქმებინა ხანდაზმულობის ვადა ნაციონალ-სოციალისტი დამნაშვეებისთვის. ის სიკვდილით დასჯის დაუძინებელი მოწინააღმდეგე გახლდათ. ამ თვალსაზრისითაც ბევრი რამ გადაიტანა. გარდა ამისა, დელერი თავისუფალი დემოკრატიული პარტიის ევროპულ პოლიტიკასაც ქმნიდა. ევროპის ეკონომიკური გაერთიანება, რომელიც 1957 წელს დაარსდა, მან უარყო, გაგვაფრთხილა რა „ეს ბიუროკრატების ევროპა" იქნებაო; თუმცა ეს პოზიცია ისტორიულად მცდარი იყო, აქ თავი იჩინა მისმა შიშმა ცენტრალისტური ბიუროკრატიის წინაშე, შიშმა, რომელიც საფუძველმოკლებული არ გახლავთ; ეს წარმოადგენდა ვალტერ ჰალშტაინისადმი მისი დაპირისპირების მიზეზსაც. მიუხედავად ამისა, ის ევროპულად აზროვნებდა.

ვალტერ შეელის გავლენით თავისუფალი დემოკრატიული პარტია ევროპის ერთიანობის პარტიად იქცა, ერთიანობისა იმ გაგებით, რა გაგებაც ამან ევროგაერთიანებაში შეიძინა. რაც არ უნდა საფუძვლიანი ყოფილიყო ბიუროკრატიასთან დაკავშირებული შიში, ევროპის ევროკავშირში გაერთიანების იდეა მაინც განხორციელდა. შეელი, რაინის მხარის, ზოლინგენის, მკვიდრი, 1958 წლიდან 1969 წლამდე ევროპარლამენტის დეპუტატი, ისევე დიდ იმედებს ამყარებდა ევროგაერთიანებაზე, როგორც გერმანია-საფრანგეთის თანამშრომლობაზე. მისგან განსხვავებით, დელერი ღრმად იყო დარწმუნებული, რომ ყველა სხვა საკითხთან შედარებით პრიორიტეტული უნდა ყოფილიყო გერმანიის გაერთიანების საკითხი. ადენაუერის პოლიტიკა კი აფერხებდა გერმანიის ერთიანობას. აქედან გამომდინარე, ადენაუერისა და დელერის ურთიერთდამოკიდებულებას ყველაზე უკეთ გამოხატავს სიტყვა — მტერ-მოყვარეობა, ამ სიტყვას პოლიტიკური დატვირთვა რომც არ გააჩნდეს. დელერს გამბედაობა ჰყოფნიდა ყოფილიყო მხურვალე არა-პოპულისტი. არასდროს აურიდებია თავი კამათისათვის. მისი ვულკანური ტემპერამენტი კი უამრავ ახალგაზრდას იზიდავდა. სიცოცხლის ბოლო წლებში, 1960 წლიდან გარდაცვალებამდე — 1967 წლამდე, ბუნდესტაგში, ვიცე-

პრეზიდენტის თანამდებობაზე ყოფნისას, ბევრს აოცებდა მისი გაწონასწორებული ქცევა.

თომას დელერსა და რაინჰოლდ მაიერს რთული ურთიერთობა ჰქონდათ. საოცარი ის გახლდათ, რომ დაპირისპირებულობის საფუძველს მათი განსხვავებულობა კი არ ქმნიდა, არამედ მსგავსება. მათ მსგავსი ცხოვრების გზა განვლეს: ორივე იურისტი იყო, ორივეს ებრაელი ცოლი ჰყავდა. ქალბატონმა დელერმა გერმანიაში გამოსცადა ყოველივე, ქალბატონი მაიერი კი ბავშვებთან ერთად შვეიცარიაში, არაზას აგარაკზე იმყოფებოდა და იქიდან ინგლისში გაიქცა. დელერიც და მაიერიც სამხედრო დანიშნულების ქარხნებში იძულებით სამუშაოებზე გაგზავნეს. ომის შემდეგ ორივე იმ პიროვნებას განასახიერებდა, ვინც ყველა მნიშვნელოვან მოვლენაში თავიდან ბოლომდე იყო ჩართული. რაინჰოლდ მაიერი დელერზე რვა წლით უფროსი გახლდათ. ის ჯერ კიდევ 1930-1933 წლებში ხელმძღვანელობდა ვიურტემბერგის მხარის ეკონომიკის სამინისტროს. 1945 წელს იგი ვიურტემბერგ-ბადენის პრემიერ-მინისტრი გახდა, მაშინ როცა დელერი 1946 წელს ბავარიის გენერალური პროკურორის თანამდებობაზე, 1947 წლიდან კი ბამბერგში უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის პოსტზე იმყოფებოდა. მართალია, თავისუფალ დემოკრატიულ პარტიაში დამკვიდრებული წესის თანახმად, თქვენობით მიმართვა აუცილებელი იყო, დელერი და მაიერი მაინც შენობით მიმართავდნენ ერთმანეთს. როცა პარტიას მაიერი ხელმძღვანელობდა, დელერმა წერილი გაუგზავნა, რომლის ასლი მხოლოდ მისი გაგზავნის შემდეგ მაჩვენა, რადგან იცოდა, რომ გადავაფიქრებინებდი: „დიდად პატივცემულო ბატონო დოქტორო მაიერ, თქვენ ჩემს წინააღმდეგ იბრძოდით ისე, როგორც არც ერთ ჩემს მოქიშპეს არ უბრძოლია. ამიტომ გთავაზობთ ერთმანეთთან ურთიერთობის „თქვენობით“ ფორმას, რაც ჩვენს დამოკიდებულებას უფრო შეეფერება. თქვენი თომას დელერი“. როდესაც რამდენიმე დღის შემდეგ ფედერალური გამგეობის სხდომა გაიმართა, ჩვენი პარტიის რეზიდენციაში, რომელიც ბონის ტალვეგზე მდებარეობდა, მაიერმა დელერს უთხრა: „თომას, შეგიძლია კიდევ ათი ასეთი წერილი მომწერო, მე მაინც შენობით დაგელაპარაკები“.

მრავალი წლის შემდეგ, როდესაც რაინჰოლდ მაიერი ადენაუერთან შესახვედრად ბონში ჩამოვიდა, ის ბუნდესტაგში მესტუმრა. მე ვკითხე: „ბატონო დოქტორო მაიერ, ძალზე დიდი

*რაინჰოლდ მაიერი.*

ხანია თომას დელერი არ გინახავთ. მასთან საუბარს ხომ არ ინებებთ? რაკიღა აქ იმყოფებით, შეგიძლიათ ამ შემთხვევით ისარგებლოთ". „დიახ, სიამოვნებით, თუ თქვენც ასე ფიქრობთ", — მიპასუხა მან. თომას დელერს დავურეკე, ის უკვე ბუნდესტაგის ვიცე-პრეზიდენტი გახლდათ და ვუთხარი: „ბატონო დოქტორო დელერ, ჩემთან კაბინეტში იმყოფება ბატონი დოქტორი მაიერი, ჩვენთან მობრძანებას ხომ არ ინებებთ?" ჩემი კაბინეტი თავისებური „ნეიტრალური მოედანი" იყო. დელერმა მოკლედ მომიჭრა: „მოვდივარ!" ამ გულითადი შეხვედრის შემყურეს ისეთი განცდა დამეუფლა, რომ მთელი ეს წლები მათ ძალიან აკლდათ ერთმანეთთან ურთიერთობა. ჩემს პატარა მაგიდასთან, უბრალო დივანზე ჩამოსხდნენ, მე კი საწერ მაგიდასთან მუშაობა გავაგრძელე. გრძნობამორეულმა მაიერმა, რაკი ნავსი გატყდა, ერთი ამოსუნთქვით ამოღერღა: „იცი რა, თომას, არც თეოდორი იყო ისეთი, როგორადაც მას ბოლო ხანებში ხატავენ". ხანგრძლივი დაძაბულობის გადალახვის მომენტში, ჰოისმა აქაც შემრიგებლური როლი ითამაშა.

მოგვიანებით არანაკლებ რთული ურთიერთობა ჩამოყალიბდა მაიერსა და შეელს შორის. იყო პერიოდი, როცა მაიერი პარტიის თავმჯდომარის პოსტზე ჩემს ყოფნას ნატრობდა, ოღონდაც კი შეელი არ ენახა ამ თანამდებობაზე. რაინჰოლდ მაიერთან ხანგრძლივი საუბრისას ეს აზრი უარვყავი. თუკი ვინმეს ეს ორი პიროვნება ერთად უნახავს — ერთის მხრივ, მრავლის მხილველი, ელეგანტური და მოქნილი ხასიათის, ამავე დროს რკინისებური ნებისყოფის რაინის მხარის მკვიდრი შეელი და, მეორეს მხრივ, ხალხის წრიდან გამოსული, მიწაზე მყარად მდგარი ვიურტემბერგელი, — მას ამ ორ ადამიანში ორი რადიკალურად განსხვავებული სამყაროს დანახვა არ გაუჭირდება. მას შემდეგ, რაც მაიერმა თავის საარჩევნო ოლქში თავის შემცვლელად ახალგაზრდა იურისტი გუნტრამ პალმი დაასახელა, მე გამომიცხადა: „ბატონო გენშერ, ფედერალურ დონეზე უნდა უხელმძღვანელოთ პარტიას, გუნტრამი კი ბადენ-ვიურტემბერგის დონეზე უხელმძღვანელებს". მოგვიანებით პალმი ქრისტიანულ-დემოკ-რატიული კავშირისა და სამხარეო მთავრობის წევრი გახდა. მისმა წასვლამ ძალიან დამწყვიტა გული.

1957 წლის ბუნდესტაგის არჩევნებში ადენაუერმა ტრიუმ-ფალური გამარჯვება მოიპოვა, ხმების 50,2 პროცენტით, კავშირმა პირველად და უკანასკნელად მიიღო ხმათა აბსოლუტური უმრავლესობა და საკოალიციო პარტნიორზე აღარ იყო დამოკიდებული. თავისუფალ დემოკრატიულ პარტიას, ფრაქციის თავმჯდომარე მენდეს მეთაურობით, რომელიც 1960 წელს პარტიის ფედერალური თავმჯდომარეც გახდა, ცხადი იყო, რომ ამიერიდან დისტანცია უნდა დაეცვა და პოლიტიკაში მონაწილეობა ოპოზიციის რიგებიდან მიეღო.

1958 წლის იანვარში, თომას დელერმა, გუსტავ ჰაინემანის მსგავსად, დაგმო კონრად ადენაუერის საგარეო პოლიტიკური კურსი. ადენაუერის პირველ კაბინეტში მათ ფედერალური მინისტრების თანამდებობა ეკავათ, თუმცა ჰაინემანმა, ჯერ კიდევ 1950 წელს, პროტესტი გამოთქვა ადენაუერის პოლიტიკასთან დაკავშირებით, რაც გერმანიის რემილიტარიზაციას გულისხმობდა და შინაგან საქმეთა მინისტრის თანამდებობიდან გადადგა, მან ქრისტიანულ-დემოკრატიული კავშირის რიგებიც დატოვა. ისიც დელერივით ღრმადმორწმუნე

პოლიტიკოსი გახლდათ, თუმცა დელერისგან განსხვავებით, უფრო მეტი რაციონალიზმითა და ცივი გონებით გამოირჩეოდა. თავის უაღრესად ემოციურ გამოსვლაში დელერმა განაცხადა: ,,მე აღარ მჯეროდა, რომ ადენაუერს გერმანიის გაერთიანების მიზანი ამოძრავებდა. ჩემმა პარტიამ დატოვა ბლოკი, რადგან აღარ გვწამდა, რომ ქრისტიანულ-დემოკრატიულ კავშირს, ქრისტიანულ-სოციალურ კავშირსა და ფედერალურ მთავრობას გერმანიის ერთიანობის სურვილი ამოძრავებდა. ეს კითხვები და ეჭვები დღემდე არ გვასვენებს. საკითხავი აი, ეს იყო და არის! ეს არის ის, რაც ჩვენ გვაშორებს. მე მისი აღარ მჯერა''.

დელერმა ფედერალურ კანცლერს ავტორიტარიზმშიც დასდო ბრალი. ეს მთავრობა ,,სახელმწიფო მდივნის'' მთავრობაა, — განაცხადა მან. ადენაუერი ხომ მართლა სახელმწიფო მდივნის, გლობკეს საშუალებით მართავდა სამინისტროებს, ხოლო სხვა უწყებებს, შესაბამის უწყებათა სახელმწიფო მდივნების საშუალებით, რომლებიც, როგორც წესი, გლობკეს ნდობით აღჭურვილი პირები იყვნენ. დამაკავშირებელ რგოლს ისევ და ისევ გლობკე ქმნიდა, რომელიც სამინისტროებზე პოლიტიკურ ზეგავლენას ამ სახით ახორციელებდა. თუმცა სახელმწიფო მდივანთა რაზმს ხელი ყველგან არ მიუწვდებოდა. მაგალითად, ლუდვიგ ერჰარდი დამოუკიდებლად წარმართავდა ეკონომიკურ პოლიტიკას, მისი სახელმწიფო მდივანი ლუდგერ ვესტრიკი მისდამი ლოიალურად იყო განწყობილი და გლობკესთან მინისტრის ინტერესებს იცავდა. ფინანსთა მინისტრი ფრიც შეფერი და იუსტიციის მინისტრი თომას დელერიც ავტონომიურად მოქმედებდნენ. ახალგაზრდებს გლობკეს საეჭვო პიროვნება — 1935 წელს ის რაიხის შინაგან საქმეთა სამინისტროში ნიურნბერგის კანონების კომენტატორად ითვლებოდა — ახალგაზრდა სამართლებრივი სახელმწიფოსთვის მძიმე ტვირთად მიგვაჩნდა.

გლობკეს ერთადერთხელ შევხვდი, როცა 1961 წელს ქრისტიანულ-დემოკრატიულ/ქრისტიანულ-სოციალურ კავშირებთან ერთად კვლავ შევადგინეთ ფედერალური მთავრობა. მაშინ ფინანსთა მინისტრ დოქტორ ჰაინც შტარკეს წინააღმდეგ თავისუფალ დემოკრატიულ პარტიაში პოლიტიკური ფრონდა არსებობდა. ზოგიერთი ამტკიცებდა, რომ ის ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო — ტუბერკულოზი ჰქონდა გადატანილი — სამსახურებრივ მოვალეობას

ვერ გაუძღვებოდა. შტარკეს ანალიზის უნარმა, მისდამი პატივისცემისა და ადამიანური სოლიდარობის გრძნობამ — ჩვენ ერთნაირი ავადმყოფობის ისტორია გვქონდა — მე მის მხარეზე დამაყენა. მან რჩევა მკითხა, როგორი რეაგირება მოეხდინა ამ პროტესტსთან დაკავშირებით.

გადავწყვიტეთ, რომ ექიმი-ექსპერტის დასკვნა აეღო. რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, ეს ერთადერთი შემთხვევა გახლდათ ფედერაციული რესპუბლიკის ისტორიაში, როდესაც ფედერალური მინისტრი იძულებული გახდა დანიშვნის წინ ექიმის დასკვნა წარედგინა. ეს დოკუმენტი გლობკეს კანცელარიაში გადავუგზავნე და საქმეც მოგვარდა.

შტარკე კანცლერისა და მთავრობის ზოგიერთი წევრისთვის არასასურველი კანდიდატურა იყო. ის იმ მცირერიცხოვან მინისტრთა ჯგუფს მიეკუთვნებოდა, რომლებიც არ დაუშვებდნენ, რომ ისინი ვინმეს ემართა. განხეთქილება, რომელიც შტარკესა და ადენაუერს შორის ბოლოს მაინც მოხდა, ეგრეთ წოდებულ „ასკერთა კონფ-ლიქტთან“ იყო დაკავშირებული. ერთ მშვენიერ დღეს, აფრიკის ერთ-ერთი სახელმწიფოს მეთაური გამოგვეცხადა და მოჰყვა წუწუნს, რომ პირველი მსოფლიო ომის დროს გერმანიის კოლონიურ ჯარში მომსახურე ჯარისკაცებს გერმანიის მხარე დაპირებულ კომპენსაციას არ უხდიდა. ადენაუერმა მას მცირეოდენი ფინანსური დახმარება აღუთქვა. დოქტორი შტარკე ამან ძალიან ააღელვა. ფინანსთა მინისტრი შიშობდა, რომ ადენაუერის ამგვარი საქციელი პრეცედენტს ქმნიდა შემდგომში მსგავსი შემთხვევებისთვის, რაც გართულებებს გამოიწვევდა. მახსოვს ჩვენი ფრაქციის გამგეობაში გამართული დისკუსია, როდესაც ერიხ მენდემ შტარკეს დასაშოშმინებლად განაცხადა: „კი მაგრამ, ბატონო მენდე, ფედერალური კანცლერის თქმით, საქმე მხოლოდ სამ-ხუთ ათას მარკას ეხება“, რაზეც შტარკემ, რომელსაც ხატოვანი მეტყველების საოცარი ნიჭი ჰქონდა, უპასუხა: „ბატონო მენდე, რომ გაიგონ გერმანულ მარკას არიგებენო — გეცოდინებათ რა ღირს ერთი გერმანული მარკა შავ ბაზარზე —, მაშინვე ასიათასობით შავი ადამიანი გამოხტება ბუჩქებიდან ყვირილით — ასკერი ვარო“. კომპეტენციის საკითხში შტარკე მართალი იყო. ადენაუერი ფედერალური მინისტრის კომპეტენციაში ერეოდა და ფინანსთა მინისტრის კონსტიტუციურ უფლებებს ითვისებდა.

ქრისტიანულ-დემოკრატიულ/ქრისტიანულ-სოციალურ კავშირებსა და თავისუფალ დემოკრატიულ პარტიას შორის კიდევ უფრო დიდი განხეთქილების მიზეზი 1961 წლიდან გერმანულ საკითხთან დაკავშირებული პოლიტიკური კურსი იყო. 1961 წლის ბუნდესტაგის არჩევნებისთვის კარლ-ჰერმან ფლახმა და მე, საპარლამენტო ოპოზიციის როლიდან გამომდინარე, შეტევითი ხასიათის საარჩევნო პროგრამა შევიმუშავეთ, რომელშიც ანგარიში გავუსწორეთ ქრისტიანულ-დემოკრატიული და ქრისტიანულ-სოციალური კავშირების უიდეობას გერმანული პოლიტიკის ნაწილში. ჩვენ ეუსაყვედურეთ მთავრობას, აღმოსავლურ და გერმანულ პოლიტიკასთან დაკავშირებულ ახალ შესაძლებლობებს ჯეროვნად არ იყენებთ-თქო, მაშინ როდესაც ნატოსა და ევროგაერთიანებაში ინტეგრაციას ბუნებრივ მოვლენად მივიჩნევდით. ჩვენი პოზიციის მართებულობა 1961 წლის აგვისტოში ბერლინის კედლის ამოშენებასთან დაკავშირებით ადენაუერის არაადეკვატურმა რეაქციამაც დაადასტურა, რაც კავშირის პარტიებს ხმების უმრავლესობის დაკარგვის ფასად დაუჯდა. ბერლინის კედლის ამოშენებიდან მხოლოდ ცხრა დღის შემდეგ ეყო კანცლერს გამბედაობა, შუაზე გახლეჩილ ქალაქში გადაფრენილიყო. არჩევნებისას ამ ორი პარტიის შედეგის 45,3 პროცენტამდე შემცირებას ზოგიერთი კომენტატორი იმით ხსნიდა, რომ ამომრჩევლებმა „სამაგიერო გადაუხადეს“ ადენაუერს მისი რეაქციისათვის ამ კრიზისულ სიტუაციაში, რომელიც ესოდენ ძლიერ აღელვებდა ხალხს.

სოციალ-დემოკრატებმა, რომელთაც ფედერალური კანცლერის პოსტზე ვილი ბრანდტის, ბერლინის იმჟამინდელი ბიურგერმაისტერის კანდიდატურა წამოაყენს, ხმების მნიშვნელოვანი რაოდენობა მიიღეს: 36,2 პროცენტი (1957 წელთან შედარებით – 31,8% – ეს ბევრად მაღალი მაჩვენებელი გახლდათ); თავისუფალმა დემოკრატიულმა პარტიამ თავის საუკეთესო შედეგს მიაღწია 12,8 პროცენტით. ამ ზღვარს ის შემდგომ აღარც გადასცილებია. თეორიულად თავისუფალ დემოკრატებს მაშინ შესაძლებლობა ჰქონდათ სოციალ-დემოკრატიულ პარტიასთან ერთად შეექმნათ მთავრობა, რადგან ერთობლივად ისინი კავშირის ფრაქციებზე მეტ მანდატს ფლობდნენ, მაგრამ თავისუფალმა დემოკრატიულმა პარტიამ ეროვნულ-ლიბერალი თავმჯდომარის, მენდეს, ხელმძღვანელობით ქრისტიანულ-დემოკრატიულ/ქრისტიანულ-

სოციალურ კავშირებთან კოალიციაში ყოფნა ამჯობინა.

ორი დღე იყო არჩევნებიდან გასული, რომ ჩვენი ორგანიზაციების ერთ-ერთი სხდომის შემდეგ მენდემ ადენაუერის გადადგომა მოითხოვა. საზოგადოებაში სწრაფად გავრცელდა აზრი, თითქოს მენდეს არჩევნებამდე წამოეყენებინოს დევიზი: „კავშირთან ერთად, მაგრამ ადენაუერის გარეშე".

კავშირის პარტიებსა და თავისუფალ დემოკრატიულ პარტიას შორის სამოკავშირეო მოლაპარაკებები ფრაქციულ დონეზე ძალზე მძიმედ მიმდინარეობდა. ორმხრივი უნდობლობის ფონზე ყოველგვარი შეთანხმება ვრცელ კოალიციურ ხელშეკრულებაში ფიქსირდებოდა. ჩვენი მხრიდან ამ პროექტზე პასუხისმგებლობა დოქტორ ვოლფგანგ ჰაუსმანს, ბადენ-ვიურტემბერგის იუსტიციის მინისტრსა და მე გვეკისრებოდა; კავშირის მხრიდან კი — ფრაქციის თავმჯდომარეს, დოქტორ ჰაინრიხ კრონესა და პარლამენტის საქმეთა მმართველს, ვილი რასნერს. ადენაუერი მშვიდად იყო. როგორც ჩანს, ფიქრობდა, რომ ფედერალურ კანცლერად არჩევის შემთხვევაში თვითონ წარმართავდა პოლიტიკას. მისი თავდაჯერებულობის საფუძველს ალბათ ის წარმოადგენდა, რომ იმედი ჰქონდა, თანდათან მართვის სადავეებს ისევ საკუთარ ხელში აიღებდა; ამიტომ საკოალიციო ხელშეკრულების დეტალებს გულდასმით არ ჩაჰკირკიტებია. ბოლოს მენდემ ხელი აიღო თავის მოთხოვნაზე — „ადენაუერის გარეშე". კავშირის პარტიათა წარმომადგენლებმა, რომლებმაც თავიდან უბიძგეს მენდეს, ეს ნაბიჯი გადაედგა, ბოლოს იგი მიატოვეს. მენდემ კი უარი განაცხადა, შესულიყო იმ კოალიციური მთავრობის შემადგენლობაში, რომლის ფედერალური კანცლერიც ადენაუერი იქნებოდა; პიროვნული თვალსაზრისით ეს ლოგიკური პოზიცია იყო, თუმცა არც პარტიამ მოუწონა ამგვარი საქციელი და არც საზოგადოებამ. პირადად მე ადენაუერისა და მენდეს ურთიერთდამოკიდებულების, განსაკუთრებით კი ადენაუერისთვის დამახასიათებელი ადამიანების გადაბირების მანერის უფრო კარგად გააზრების საშუალება 1962 წელს მომეცა. ბლოკის პარტიებს შორის მოლაპარაკება მთავრობის სხდომათა დარბაზში, შაუმბურგის სასახლეში შედგა. 1962 წლის მარტში მენდემ ფლახთან და ჩემთან ერთად ამერიკაში გამგზავრება გადაწყვიტა: თავისუფალი დემოკრატიული პარტია ამერიკაში გერმანულ-ნაციონალურ პარტიად ითვლებოდა და ამგვარი წარმოდგენა

*პირველად აშშ-ში: პარტიისა და ფრაქციის თავმჯდომარე დოქტორ ერიხ მენდესა და თავისუფალი დემოკრატიული პარტიის ფედერალურ საქმეთა მმართველ კარლ-ჰერმან ფლახთან ერთად. რაინ-მაინის აეროპორტი, ფრანკფურტი. მენდემ მაშინ თქვა: „ლახი, ასე ვთქვათ, ჩემი მარცხენა ხელი იყო, გენშერი კი – მარჯვენა“.*

უნდა გაგვექარწყლებინა. კოალიციის მოლაპარაკების შემდეგ ადენაუერი მომიახლოვდა – მაშინ ბუნდესტაგის დეპუტატიც კი არ ვიყავი – და მითხრა: „გავიგე, თქვენ ბატონ მენდეს ამერიკაში მიჰყვებით. მინდა გითხრათ, რომ მე ეს მამშვიდებს, რადგან კეთილგონიერი კაცის სახელი გაქვთ, რასაც, სამწუხაროდ, ბატონ მენდეზე ვერ ვიტყვით“. ადენაუერის მცდელობა, ვექციე ჩემი პარტიის ლიდერის ცენზორად, თავხედობად აღვიქვი, ხოლო მისი დამოკიდებულება მენდესადმი – არაკორექტულობად. თავაზიანად ვუპასუხე, ბატონმა მენდემ კარგად იცის, რასაც აკეთებს-მეთქი და დავემშვიდობე.

ერთი წლით ადრე კი კოალიციის შეხვედრაზე შეთანხმდნენ, რომ ადენაუერი ვადაზე ადრე დატოვებდა კანცლერის თანამდებობას და 1963 წელს გადადგებოდა. ამ დათმობაზე ადენაუერი იოლად არ წასულა, ალბათ იმის გამოც, რომ კანცლერის თანამდებობაზე მის

მომავალ შემცვლელს ლუდვიგ ერჰარდი ერქვა. და მაინც 1963 წლის ნოემბერში ადენაუერი შეთანხმების თანახმად გადადგა და ის სამოცდაექვსი წლის ლუდვიგ ერჰარდმა შეცვალა. მაშინ კი შევიდა მენდე მთავრობაში. ვოლფგანგ მიშნიკმა, რათა მენდესთვის გზა დაეთმო, დატოვა მინისტრის თანამდებობა და მენდემ გერმანულ საკითხთა მინისტრისა და ფედერალური კანცლერის მოადგილის პოსტი დაიკავა. მიშნიკისთვის ეს იმდენად ბუნებრივი რამ იყო, რომ ყოველგვარი ხმაურის გარეშე წავიდა თანამდებობიდან. ასეთი იყო და არის ვოლფგანგ მიშნიკი. ეს არის იმ დიდი პატივისცემის მიზეზი, რომლითაც ის სარგებლობს არამარტო თავისუფალ დემოკრატიულ პარტიაში, არამედ პარტიის გარეთაც, ფართო საზოგადოებაში.

თავისუფალი დემოკრატები მთავრობაში გერმანულ საკითხთან დაკავშირებული პოლიტიკური ინიციატივების განხორციელებას ცდილობდნენ. ამ მიზნით ერიხ მენდემ 1962 წლის 25 მაისს დიუსელდორფში გამართულ მე-13 პარტიულ ყრილობაზე გარკვეული მოსაზრებები გამოთქვა: ის მოითხოვდა სამოქალაქო სატრანზიტო მიმოსვლისა და ადამიანური კონტაქტების გაიოლებას, რაც ძალზე მნიშვნელოვანი იყო თუნდაც იმ მოტივით, რომ ქვეყნის გამთლიანების საკითხში არანაირი ახალი პერსპექტივა არ ისახებოდა. 1963 წლის გვიან შემოდგომას ჩვენ კვლავ გამოვედით დიალოგის გამართვის მოთხოვნით. დიალოგი კი აუცილებელი იყო, რადგან საქმე ეხებოდა ბერლინში საშვებით მიმოსვლასთან და გერმანიის მთელ ტერიტორიაზე გადაადგილებასთან დაკავშირებულ შეთანხმებებს. თავისუფალი დემოკრატიული პარტიის ფედერალური ფრაქციის 1964 წლის 14 იანვრის გადაწყვეტილებამ უფრო განავრცო და უფრო ფართო მნიშვნელობა მიანიჭა ამ საკითხს: ჩვენ წამოვჭერით ცენტრალური და სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებთან დიპლომატიური ურთიერთობების აღდგენის საკითხი.

მსოფლიო პოლიტიკურ არენაზე ბერლინისა და კუბის კრიზისების დაძლევის შემდეგ ცვლილებები მოხდა: ორივე ზესახელმწიფო ახლა უკვე მხარს უჭერდა დაძაბულობის შენელების პოლიტიკას. საგარეო საქმეთა მინისტრი, დოქტორი შრიოდერი, ფრთხილ ნაბიჯებს დგამდა აღმოსავლეთისაკენ; ჩვენ, ლიბერალები, ამას მივესალმებოდით. საერთო გერმანულ საკითხთა მინისტრი, ერიხ მენდე, გერმანულ საკითხთან დაკავშირებული პოლიტიკური

კურსის განხორციელებას სამოქალაქო ურთიერთობების სფეროში კონტაქტების გაიოლების გზით ცდილობდა; ამ რთულ სამუშაოს მას უფრო ურთულებდა ფედერალური კანცლერის სამსახურის უფროსი ლუდგერ ვესტრიკი. მიუხედავად ამისა, 1964, 1965 და 1966 წლებში მაინც შესაძლებელი გახდა იმ ხელშეკრულებების გაფორმება, რომლებიც საშვებით მიმოსვლას ეხებოდა, და რამაც გააიოლა დასავლეთ-აღმოსავლეთ ბერლინს შორის სამოქალაქო მიმოსვლა.

თუნდაც მხოლოდ ამის გამო მენდეს დიდად ვაფასებდი და ვაფასებ. მას პატივმოყვარეობას სწამებდნენ; ეს ერთი იმ იარლიყთაგანია, რომელიც ერთხელ თუ მოგეკერება, მერე მოუშორებელი ჩანს. სინამდვილეში, მენდე იყო და არის მოკრძალებული ადამიანი, რომელსაც კარგად ჰქონდა გაცნობიერებული თავისი მოვალეობა. მისმა წასვლამ პოლიტიკიდან სამოცდაათიან წლებში ჩემი სინანული გამოიწვია — მოგვიანებით ალბათ მისიც.

პირადად ჩემთვის ეს წელი რადიკალური ცვლილებების წელი გახლდათ: 1958 წლის მიწურულს დავქორწინდი. ჩემი მეუღლე, ლუიზე, შიომბერგის სანატორიუმში გავიცანი. მას ტუბერკულოზის მსუბუქი ფორმა ჰქონდა და სანატორიუმი რამდენიმე თვეში დატოვა. ის პფალცის მკვიდრი იყო. დაბომბვის შედეგად მისმა მშობლებმა პირმასენსში ყველაფერი დაკარგეს. ომის შემდეგ კი შვეცინგენში საცხობი ჰქონდათ. ჩვენი ქალიშვილი, მარტინა — 1961 წლის 7 აგვისტოს დაიბადა.

1962 წლის გაზაფხულზე მე ფრაქციის საქმეთა მმართველის მოვალეობასთან ერთად პარტიის ფედერალურ საქმეთა მმართველის მოვალეობის შეთავსებაც მომიხდა, რაც, ცხადია, დროებითი მოვლენა გახლდათ. მენდე და მე ფედერალური საქმეთა მმართველის ახალ კანდიდატურას ვეძებდით და ვიპოვეთ კიდეც: დოქტორი ჰანს ფრიდერიქსი.

## თავი 3

# გადაწყვეტილებები

### *საკუთარი საქმიანობის შუალედური შეჯამება*

1964 წელი ჩემთვის საკუთარი საქმიანობის შედეგების შეჯამების წელი გახლდათ. უკვე 8 წელი იყო, ბონში ვმოღვაწეობდი, ანუ იმაზე მეტ ხანს, ვიდრე ვაპირებდი. ოჯახიც შევქმენი, რაც მეტ პასუხისმგებლობას მაკისრებდა. ადრინდელთან შედარებით უფრო ხშირად ვფიქრობდი მომავალზე. ჩემი ცხოვრების მთავარი მიმართულება უნდა ამერჩია: პოლიტიკაში გადავრთულიყავი, პროფესიონალი პოლიტიკოსი გავმხდარიყავი თუ ჩემს პროფესიას – ადვოკატობას – დაებრუნებოდი, რომლისთვისაც თავი არ გამინებებია. ვილი ვაიერმა გადამწყვეტი როლი შეასრულა ამ დილემის გადაჭრაში. 1965 წლის ფედერალური არჩევნების წინ კიოლნისა და დეტმოლდის საარჩევნო ოლქები შემომთავაზეს. ვილი ვაიერმა, რომელიც ნორდრაინ-ვესტფალენის მხარეში პარტიის თავმჯდომარე იყო, შემომთავაზა ვუპერტალში პროპორციული წესით მეყარა კენჭი, თანაც სიაში საიმედო მეათე ადილზე ვიქნებოდი. „ათი ადგილი გარანტირებულია ფედერალური მხარის კანდიდატთა სიაში. შენ მეათე იქნები“, – მითხრა მან. ამგვარად ბუნდესტაგში ნორდრაინ-ვესტფალენის კანდიდატთა სიით მოვხვდი. 1969 წელს კანდიდატთა სიაში უკვე მეორე ადგილზე გადავინაცვლე, პირველი ვალტერ შეელი იყო. 1972, 1976, 1980, 1983, 1987, 1990 და 1994 წლებში ნორდრაინ-ვესტფალენში თავისუფალი დემოკრატიული პარტიის კანდიდატთა სიაში პირველ ადგილზე ვიყავი. ვილი ვაიერს ვუმადლი არამარტო ბუნდესტაგის მანდატს: მრავალი თვალსაზრისით ის ჩემი პოლიტიკური მამობილი შეიქნა.

### *ლიბერალური ოპოზიცია*

უკვე მაშინვე და შემდგომაც ბუნდესტაგის ყოველი არჩევნებისას, პატივმოყვარეობა მაიძულებდა მხოლოდ ფედერალურ შედე-

გებსა და ეუპერტალში მოპოვებულ გამარჯვებას არ დავჯერებოდი და ნორდრაინ-ვესტფალენშიც მიმეღწია წარმატებისთვის. იქ ხომ თავისუფალ დემოკრატიულ პარტიას, ფედერალურ შედეგებთან შედარებით, ძალზე დიდი ხნის განმავლობაში საშუალოზე დაბალი მაჩვენებლები ჰქონდა. მხოლოდ 1976 წლიდან გაუთანაბრდა იგი ფედერალურ შედეგებს და ზოგჯერ უსწრებდა კიდეც მას. უდიდესი წარმატება ნორდრაინ-ვესტფალენში 1994 წელს, ბუნდესტაგის ურთულესი არჩევნების დროს მოვიპოვეთ. იურგენ მიოლემანმა, პარტიის იმჟამინდელმა სამხარეო თავმჯდომარემ, დამატებითი საარჩევნო კამპანიის თავისი იდეით კიდევ ერთხელ სწორად შეაფასა ვითარება. თუ კანცლერის 1994 წლის არჩევნების შედეგს გავიხსენებთ – სავალდებულო რაოდენობაზე ერთი ხმით მეტი, – მაშინ ნორდრაინ-ვესტფალენში მიღწეულმა რეზულტატმა გარკვეულწილად კოლისა და კინკელის მთავრობას მოღვაწეობის ვადა გაუხანგრძლივა.

1965 წლის 9 ნოემბერს თავისუფალი დემოკრატიული პარტიის ფრაქციამ ახალ საპარლამენტო საქმეთა მმართველად ამირჩია. მალე კარგი კოლეგიალური ურთიერთობა დამყარდა კოლეგა რასნერთან (ქრისტიანულ-დემოკრატიული კავშირი) და კოლეგა ვინანდთან (სოციალ-დემოკრატიული პარტია). საპარლამენტო საქმეთა მმართველს – თუ მას სურს (ანუ თუ მოინდომებს) – ფრაქციაში მნიშვნელოვანი პოზიცია გააჩნია, მე კი არც მონდომება მაკლდა და ორი გარემოებაც მიწყობდა ხელს: ცხრაწლიანი მუშაობის სტაჟი ფრაქციაში, რის შედეგადაც კანონმდებლობის ყველა სფეროში, სოციალური პოლიტიკის ჩათვლით, დიდი ცოდნა და გამოცდილება შევიძინე, თუმცა ჩემი ინტერესების საგანს ჯერ კიდევ მაშინ საგარეო და გერმანულ საკითხთან დაკავშირებული პოლიტიკა წარმოადგენდა; მეორე მხრივ, ასევე მნიშვნელოვანი იყო ჩემი თანამდებობრივი პოზიციისთვის ისიც, რომ ფრაქციის თავმჯდომარე ფონ კიულმან-შტუმისთვის პოლიტიკა ძირითად პროფესიას არ წარმოადგენდა. მას ჩემი ლოიალობის იმედი ჰქონდა და მოქმედების სრული თავისუფლება მომანიჭა. ეუპერტალი ახლოს იყო, ჩვენც ისევ ბონში ვცხოვრობდით, მთელ დროსა და ენერგიას ფრაქციაში მუშაობას ვუთმობდი. პატარა აპარატი ბევრად ქმედითუნარიანი გახლდათ. ჩემს დაქვემდებარებაში იყო ხუთი კომიტეტი, სამსახურ-

ში მხოლოდ კვალიფიციურ, უმაღლესი განათლების მქონე კადრებს ვნიშნავდი. ფრაქციაში მოღვაწეობას კი არ უნდა დასჯერებოდნენ, არამედ აქ უნდა შეეძინათ გამოცდილება, რათა მომავალში, ოთხი ან რვა წლის შემდეგ, ადმინისტრაციულ თუ ეკონომიკურ ორგანოებში მუშაობა შეძლებოდათ. ადგილი არ უნდა ჰქონოდა ეგრეთ წოდებულ სოციალურ შემთხვევებს, რაც პარტიული აპარატების ფუნქციონირებას ხშირად მოუქნელს და ნაკლებად ეფექტურს ხდის.

საპარლამენტო საქმეთა მწარმოებლების თანამშრომლობას დიდი მნიშვნელობა აქვს პარლამენტის მუშაობისათვის. ეს კი, ნებისმიერი პოლიტიკური დაპირისპირებულობის მიუხედავად, სამთავრობო პარტიებსა და ოპოზიციას შორის პიროვნულ ნდობას და დიდ დემოკრატიულ, საპარლამენტო პასუხისმგებლობას მოითხოვს. ორივე თვისება ჰქონდა რასნერს (ქრისტიანულ-დემოკრატიული პარტია) და მომერსა და ვინანდსაც (სოციალ-დემოკრატიული პარტია). ოიგენ გერსტენმაიერი, რომელიც იმჟამად ფედერალური პრეზიდენტი გახლდათ, თავის მოვალეობას ძალზე სუვერენულად და მიუკერძოებლად ასრულებდა. ეს განსაკუთრებით მაშინ გამომჟღავნდა, როდესაც ქრისტიანულ-დემოკრატიული/ქრისტიანულ-სოციალური კავშირებისა და თავისუფალი დემოკრატიული პარტიის კოალიცია დაიშალა და ჩვენ 9,5 პროცენტით დიდი კოალიციის ძალაუფლების პირისპირ აღმოვჩნდით. მაშინაც, როცა ხანდახან უმრავლესობის საარჩევნო უფლების გამოყენებით გვემუქრებოდნენ, რასნერს და ვინანდს კარგად ჰქონდათ გაცნობიერებული, რომ პარლამენტში თანამშრომლობისა და პარლამენტის დემოკრატიული ქმედითუნარიანობისთვის პატარა ოპოზიციურ პარტიასაც დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. არც ჩვენს პირად ურთიერთობაში მომხდარა ცვლილებები. გერსტენმაიერი უხუცესთა საბჭოს სხდომებზე მკაცრად ადევნებდა თვალყურს იმას, რომ ოპოზიციური თავისუფალი დემოკრატიული პარტიის უფლებები არ დაერღვიათ, მას მხარს უჭერდა ვიცეპრეზიდენტი რიხარდ იეგერი (ქრისტიანულ-სოციალური კავშირი), რომელზეც თავისუფალი დემოკრატიული პარტიის მეგობარიაო, ვერ იტყოდი. ჩვენ პროცედურული საკითხების მოგვარება გვევალებოდა: ჩემი ფრაქციის დღის წესრიგის შედგენა, გამომსვლელთა კოორდინაცია, ბუნდესტაგის ინფორმირება პროცედურის საკითხებთან დაკავშირებით. ფრაქციის თავმჯდომარე ფონ კიულმან-შტუმი იშვიათად

გამოდიოდა სიტყვით, ამიტომ სულ უფრო ხშირად მიწევდა საჯარო გამოსვლები თავისუფალი დემოკრატიული პარტიის პოზიციის დასაფიქსირებლად.

ერჰარდის პოპულარობამ 1965 წლის ბუნდესტაგის არჩევნებში კავშირის პარტიებს 47,6 პროცენტით უკეთესი რეზულტატი მოაპოვებინა, ვიდრე ეს 1961 წელს მისმა წინამორბედმა ადენაუერმა მოახერხა. ჩვენი, ანუ ლიბერალების მაჩვენებელი კი წინანდელთან შედარებით უფრო დაბალი იყო — 9,5 პროცენტი.

ერჰარდის მეორე კაბინეტი უფრო სწრაფად დაიშალა, ვიდრე ველოდით. კოალიციაში თანამშრომლობის ბოლო წელი წამებად იქცა, იზრდებოდა უნდობლობა, აღარ არსებობდა პოლიტიკურ ინტერესთა თანხვედრა, საერთო ინტერესების უქონლობამ კი გაუცხოება გამოიწვია, რაც ყველაზე მეტად აღმოსავლეთ გერმანიისა და გერმანულ საკითხთან დაკავშირებით გამოიკვეთა. ამას დაემატა ქრისტიანულ-დემოკრატიულ კავშირსა და ქრისტიანულ-სოციალურ კავშირს შორის შიდაპარტიული დაპირისპირება. 1966 წლის 12 მაისს ერჰარდმა ხელოსანთა საერთაშორისო გამოფენა-ბაზრობაზე გდრ-ის მიმართ ფედერაციული რესპუბლიკის პოზიცია გამოხატა და „ტექნიკური მანიპულაციებით გერმანიის გაერთიანების" წინააღმდეგ გაილაშქრა. ცხადია, ის ერიხ მენდეს მიერ გატარებულ ზომიერ ღონისძიებებს გულისხმობდა, რომელთა განხორციელებასაც მენდე, კანცლერის აპარატის მხრიდან წინააღმდეგობის მიუხედავად, მაინც ცდილობდა.

1966 წლის ივლისში ჩემი მეუღლე და მე ერთმანეთს დავშორდით. განქორწინება ორივე მხარის თანხმობით მოხდა. დღემდე ახლობელ ადამიანებად ვთვლით ერთმანეთს. ჩემმა მეუღლემ სწავლა გააგრძელა. დედა ბრემენიდან ჩამოვიდა, რომ საოჯახო საქმეებში დამხმარებოდა და ჩვენს ქალიშვილზე ეზრუნა.

შემოდგომაზე ერჰარდის მთავრობა, მის მიერ გატარებული ფინანსური და ეკონომიკური პოლიტიკის გამო კრიზისის წინაშე აღმოჩნდა. 1966 წლის ოქტომბრის ბოლოს სამთავრობო კოალიციის დაშლის მოწმე გავხდი, როდესაც გადასახადების გაზრდასთან დაკავშირებული კამათი სკანდალში გადაიზარდა.

ერჰარდი ადამიანურად ძალიან მებრალებოდა. იგი ათასგვარ

სიტუაციაში მინახავს და ვიცოდი, რომ ადენაუერისაგან სავსებით განსხვავდებოდა. მისთვის მიუღებელი იყო სხდომების წარმართვა ზეწოლის საშუალებით. პოლიტიკური ხრიკების და ინტრიგების წინაშე კი სრულიად უმწეო გახლდათ. შთაბეჭდილება იქმნებოდა, რომ საერთოდაც ვერ ამჩნევდა, თუ რა ინტენსიურად ემზადებოდა მისი პარტია მის გადასაყენებლად. მიაჩნდათ, რომ ის ქრისტიანულ-დემოკრატიული და ქრისტიანულ-სოციალური კავშირების წარმატებას ვერ უზრუნველყოფდა ლანდტაგის და მით უფრო 1969 წლის ბუნდესტაგის არჩევნებში. ამის გამო ბუნდესტაგის არჩევნებამდე დიდი ხნით ადრე ის მწარედ გაკენწლეს ცხენ ჰალასთან დაკავშირებული ნართაულით. ეს იმ ცხენზეა საუბარი, ჰანს გიუნთერ ვინკლერს მსოფლიო ჩემპიონის ტიტული რომ მოაპოვებინა. ამბობდნენ: ჰალა – იგულისხმებოდა ერჰარდი – ერთხელაც უნდა გადავასტუნოთ ბარიერზე და მერე საძოვარზე გავუშვათო.

ერჰარდი, როგორც სოციალური საბაზრო ეკონომიკის მამამთავარი, ჩემთვის ლამის ისტორიული პიროვნება გახლდათ, წარმატებული ფედერალური კანცლერი კი ის არ ყოფილა. იგი ადამიანურ ნდობას იმსახურებდა, მაშინ როდესაც ადენაუერი უწინარეს ყოვლისა პატივისცემით სარგებლობდა. ჯერ მარტო თავისი სიგარით და საუბრის მანერით ერჰარდი გულთბილი და მომხიბლავი, წრფელი და უშუალო კაცის შთაბეჭდილებას ახდენდა. შობის წინა დღეებში, ბუნდესტაგის შენობაში არსებულ რესტორანში ის ყოველ წელს ხვდებოდა ბონის ხელოსანთა გილდიას. მათ საშობაო ზეიმზეც გამოდიოდა სიტყვით. საერთოდ, ის ყოველთვის იცავდა მცირე მეწარმეთა და არა მსხვილ მრეწველთა ინტერესებს. მისი მხრიდან გულისამაჩუყებელი ჟესტი იყო, როცა მას შემდეგ, რაც 1966 წლის 28 ოქტომბერს თავისუფალი დემოკრატიული პარტიის წარმომადგენელი მინისტრები გადადგნენ, მან მენდე მოძებნა და ორმოცდამეათე დაბადების დღე მიულოცა.

ერჰარდი თავისუფალი დემოკრატიული პარტიის გარეშე უმცირესობის მთავრობასთან ერთად რამდენიმე კვირის განმავლობაში მართავდა სახელმწიფოს. კავშირის პარტიების პოლიტიკოსები და სოციალ-დემოკრატები, ამასობაში, დიდი კოალიციის შექმნაზე თათბირობდნენ. მოკავშირე პარტიებმა კანცლერის ახალი კანდიდატურაც წამოაყენეს, როცა ერჰარდი ჯერ კიდევ ფედერალური კანცლ-

ერის თანამდებობაზე იმყოფებოდა. დიდ კოალიციას რა ხანია მხარს უჭერდა ფედერალური პრეზიდენტი ლიუბკე. ქრისტიანულ-დემოკრატიული/ქრისტიანულ-სოციალური კავშირების კანდიდატი კურტ გეორგ კიზინგერი კავშირის პარტიებისა და სოციალ-დემოკრატიული პარტიის ხმათა უმრავლესობით ახალ ფედერალურ კანცლერად აირჩიეს.

თავისუფალი დემოკრატიული პარტია, რომელიც 1956 წლიდან 1961 წლამდე სოციალ-დემოკრატიულ პარტიასთან ერთად ქმნიდა ოპოზიციურ ბლოკს, ამიერიდან ოპოზიციაში მარტოდმარტო აღმოჩნდა. ჩვენ ამისთვის მზად არ ვიყავით, ზოგიერთ უხუცესს ელდა ეცა, მაგრამ არა თომას დელერს. მან კიდევ ერთხელ გამოავლინა მებრძოლი სულისკვეთება, როცა ახალგაზრდები პარტიის განახლების შესაძლებლობებს ვეძებდით. ვალტერ შეელმა ციცი გონებით განჭვრიტა, რომ გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში პოლიტიკური ლანდშაფტის ძირეული ცვლილების პერსპექტივა ისახებოდა თავისუფალი დემოკრატიული და სოციალ-დემოკრატიული პარტიების შესაძლო ალიანსის სახით. ვაცნობიერებდი, რომ ეს გაბედული და ამასთანავე რთული პროცესი იქნებოდა. როგორც მაშინ აღვნიშნე, მთავარი იყო „მწყობრი არ დარღვეულიყო". დიდი კოალიცია რომ უმრავლესობის საარჩევნო უფლებით იმუქრებოდა, ამან თავისუფალ დემოკრატიულ პარტიაზე ზემოქმედება იქონია. დღესდღეობით გავრცელებულია აზრი, რომ თავისუფალი დემოკრატები მუდმივად იყვნენ წარმოდგენილნი ხელისუფლებაში, რაც სინამდვილეს არ შეეფერება. გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის არსებობის პირველ ოცწლეულს ეს ნამდვილად არ ეხება, რადგან ამ პერიოდში, მთელი ამ ოცი წლის განმავლობაში, ქვეყანას მართავდა ქრისტიანულ-დემოკრატიული კავშირისა და ქრისტიანულ-სოციალური კავშირის ბლოკი. თავისუფალი დემოკრატიული პარტია მხოლოდ თორმეტი წლის განმავლობაში იმყოფებოდა ხელისუფლებაში, ხოლო სოციალ-დემოკრატიული პარტია — სამი წლის განმავლობაში. თავისუფალი დემოკრატიული პარტიის არსებობა ძალზე რეალური საფრთხის წინაშე იდგა.

დიდი კოალიციის კურსს კიზინგერი და ვენერი განსაზღვრავდნენ. ისინი შემხვედრ ნაბიჯებს დგამდნენ ერთმანეთისკენ. ორივეს განსხვავებული წარსული ჰქონდა და ამიტომ ერთობლივად ცდილობდნენ

მის დაძლევას. კურტ გეორგ კიზინგერი, რომელიც 1958 წლიდან ბადენ-ვიურტემბერგის პრემიერ-მინისტრი გახლდათ და წლების განმავლობაში წარმოადგენდა კავშირის საგარეო პოლიტიკურ პოზიციას ბუნდესტაგში, თანდათან დანებდა სოციალ-დემოკრატიული პარტიის თავმჯდომარის მოადგილის მაცდურ ხრიკებს, რომელიც კარგა ხანია დიდ კოალიციას უმიზნებდა. როდესაც ქრისტიანულ-დემოკრატიულ/ქრისტიანულ-სოციალურ კავშირებსა და თავისუფალ დემოკრატიულ პარტიას შორის მომავალი მთავრობის ფორმირების საკითხი ჯერ კიდევ ზონდირების ფაზაში იყო, — მაშინ ხომ ამის თაობაზე ყველა ყველას ეთათბირებოდა, — კიზინგერმა მენდეს უთხრა: „იცით რა, ბატონო მენდე, რასაც თქვენ აღმოსავლეთთან ურთიერთობაში ახალ პოლიტიკურ კურსზე ამბობთ, ზედმეტად ილუზორული მეჩვენება. ამას ბატონი ვენერი რომ ამბობდეს, სხვა მნიშვნელობა ექნებოდა ჩემთვის, რადგან ის კომუნისტებს იცნობს, თქვენ კი ილუზიებს ხართ აყოლილი“. მე გავიფიქრე, რომ ეს მენდეს მცდარი ფსიქოლოგიური დახასიათება იყო, ამიტომ საუბარში ჩავერიე და სიტყვა მოვუჭერი: „აუცილებელი არ არის კომუნისტური პარტიის ყოფილი წევრი იყო, რომ სწორად შეაფასო, რა საშიშროებასაც ის წარმოადგენს“.

ვენერი აშკარად უფრო ხელსაყრელად თვლიდა ქრისტიანულ-დემოკრატიულ კავშირთან ალიანსით, — და არა თავისუფალ დემოკრატიულ პარტიასთან თანამშრომლობით, — დაემტკიცებინა, რომ სოციალ-დემოკრატიულ პარტიას მართვის უნარი შესწევდა. ახლა უნდა ვთქვა, რომ ის ამაში მართალი იყო. დღევანდელი გადასახედიდან ვფიქრობ, რომ 1969 წელს სოციალ-დემოკრატიული და თავისუფალი დემოკრატიული პარტიების ალიანსი რამდენიმე წლით ადრე დიდი კოალიციის შექმნამ კი არ გაართულა, არამედ გააიოლა, რაც ვენერს ნამდვილად ბრ განუზრახავს. ჯერ კიდევ 1966 წელს მზად ვიქნებოდი სოციალ-დემოკრატებთან ალიანსისთვის. კავშირის პარტიებმა, ერთი მხრივ, ამოწურეს შესაძლებლობები, მეორე მხრივ კი ხანგრძლივი ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის გამო, თავისუფალ დემოკრატიულ პარტიასთან პარტნიორული თანამშრომლობის შეგრძნება დაკარგეს. სოციალ-დემოკრატიულ პარტიასთან ალიანსი, ქრისტიანულ-დემოკრატიულ კავშირსა და ქრისტიანულ-სოციალურ კავშირს ძვირად დაუჯდა. 1966

*შინაგან საქმეთა ორი მინისტრი: ჰანს-დიტრიხ გენშერი და მისი მეგობარი და მფარველი ვილი ვაიერი.*

წლის შემოდგომაზე, ბერლინის წარმომადგენლობაში, ყველაზე გადამწყვეტ პერიოდში, არაერთხელ შევხვდი ეგონ ბარს, რათა მთავრობის ფორმირების შესაძლებლობები მომესინჯა. ბარის ნათქვამიდან ის აზრი გამოვიტანე, რომ ვილი ბრანდტი თავისუფალ დემოკრატიულ პარტიასთან ალიანსს ანიჭებდა უპირატესობას, მაგრამ თავისუფალ დემოკრატიულ პარტიასა და სოციალ-დემოკრატიულ პარტიას შორის დიდი ზღვარი არსებობდა, როგორც გაირკვა, ძალზე დიდი ზღვარიც კი.

თავისუფალ დემოკრატთა მრავალწლიანმა თანამშრომლობამ ქრისტიანულ-დემოკრატიულ/ქრისტიანულ-სოციალურ კავშირებთან, რაც ოპოზიციაში ყოფნის წლებშიც ლიბერალთა უმრავლესობის მიერ ერთადერთ შესაძლო ალიანსად აღიქმებოდა, ჩვენს შორის არსებული ხარვეზებიც გამოააშკარავა. ჩვენ რთული ამოცანების წინაშე ვიდექით. ამიტომ ახალგაზრდები დაჟინებით მოვითხოვდით საგარეო პოლიტიკაში, მეტადრე დაძაბულობის შენელების პოლიტიკაში, უფრო გაბედულ ინიციატივებს. 1967 წლის აპრილში,

თავისუფალი დემოკრატიული პარტიის ფედერალურ ყრილობაზე, ჰანოვერში, მწვავე კამათი გაიმართა ოდერ-ნაისეს საზღვრის აღიარებასთან დაკავშირებით. თიაქარის ოპერაცია ახალი გაკეთებული მქონდა და ყრილობას არ ვესწრებოდი, თუმცა კომპრომისული გადაწყვეტილების მიღებაში ჩემი წვლილის შეტანა ტელეფონის დახმარებით მაინც შევძელი. ჰანს ფრიდერიქსთან სატელეფონო კავშირი მქონდა და საქმის კურსში ვიყავი, თუმცა ჭრილობები ძალიან მაწუხებდა. ბოლოს ერთი წინადადება შევთავაზე, რომელიც ფრიდერიქსმა ყრილობას გააცნო. წინადადება მიიღეს. „საარმსარებლო წიგნში", – როგორც ამ ტექსტს შეარქვა ვილი ვაიერმა, ნათქვამი იყო, რომ „ორად გაყოფილი გერმანიის გამთლიანების შესაძლებლობა ტერიტორიული საკითხების გამო არ უნდა დაიკარგოს". მოგვიანებით ასეც მოხდა. როდესაც 1990 წლის ნოემბერში ვარშავაში მივფრინავდი, 1967 წლის ჰანოვერის ყრილობას ვიხსენებდი.

## *შტუტგარტში წარმოთქმული სიტყვა: გერმანულ საკითხთან დაკავშირებული ახალი პოლიტიკა*

1968 წლის 30 იანვარს ფრაიბურგში პარტიის ახალ თავმჯდომარედ ვალტერ შეელი აირჩიეს, მის მოადგილედ კი – მე. თავისუფალ დემოკრატიულ პარტიაზე პასუხისმგებლობა ახალმა ხელმძღვანელობამ იტვირთა, ამიერიდან პარტიას ეს ტრიო მართავდა: ვალტერ შეელი, ვოლფგანგ მიშნიკი და მე.

აღმოსავლეთთან და გერმანიასთან დაკავშირებული ახალი პოლიტიკური კურსი პარტიას პროგრესულ პროფილს ანიჭებდა, ზოგიერთი წევრისთვის, ცხადია, ძალზე პროგრესულსაც. სამართლებრივ პოლიტიკაში მთავარი შიდაპოლიტიკური დაპირისპირების საგანი საგანგებო მდგომარეობასთან დაკავშირებული კანონმდებლობა გახდა. არასაპარლამენტო ოპოზიცია სწორედ იმ წლებში შეიქმნა და საგანგებო კანონმდებლობის ფუნდამენტალისტურ მოწინააღმდეგედაც ის გვეელინებოდა. ლიბერალური პოზიცია ასეთი არ უნდა ყოფილიყო. მე მომხრე გახლდით, გერმანული საგანგებო კანონმდებლობით ორ საშიშროებას დავპირისპირებოდით. პირველი საშიშ-

როება იმაში მდგომარეობდა, რომ ხიფათის შემთხვევაში დეგიზს — „ვაჭირვება კანონებს არ ცნობს“ — შეიძლება სამართლებრივი სახელმწიფო შეეზღუდა; მეორე საშიშროება იმას გულისხმობდა, რომ მოკავშირეებს — ნებით თუ არსებული ფედერალური მთავრობის წაქეზებით — შეეძლოთ თავისი პრეტენზიებისა და პირობების წამოყენება. ჩემთვის და — ხანგრძლივი დისკუსიების შემდეგ — მთელი თავისუფალი დემოკრატიული პარტიისთვის მთავარი „ჰო თუ არა“ კი არ იყო, არამედ — „როგორ“. ბუნდესტაგში, გარკვეული თვალსაზრისით, მსარდაჭერა ვპოვეთ სოციალ-დემოკრატიულ პარტიაში, უწინარეს ყოვლისა ის უმცირესობა გვიჭერდა მხარს, რომელიც პროფკავშირთა პოზიციას იცავდა. იმ წლებში ლიბერალური იდენტობის ყველაზე მკაფიო ნიშანს სამართლებრივი და კონსტიტუციური პოლიტიკა წარმოადგენდა — და ეს მუდამ ასე უნდა ყოფილიყო.

საგარეო და გერმანული პოლიტიკის ახლებური გააზრება კონრად ადენაუერის დროს დაემთხვა. არავისთან მისაუბრია ადენაუერზე ისე დიდხანს, როგორც დელერთან, რომელსაც გულის სიღრმეში აღტაცებასაც კი ჰგვრიდა ძველი მეტოქე. და მაინც: მათ შორის არსებულ უფსკრულზე ხიდი არასდროს გადებულა. ამ გაუცხოების მიზეზი კი ბერლინის კედელთან დაკავშირებით ადენაუერის უსუსური რეაქცია გახლდათ. ამის გამო ხომ ბერლინის მდგომარეობა კიდევ უფრო გართულდა და გერმანული საკითხის დამაკმაყოფილებელი გადაჭრის პერსპექტივა გერმანიის საგარეო პოლიტიკაში საერთოდ აღარ ჩანდა.

ადენაუერის მსგავსად დარწმუნებული ვიყავი, რომ აღმოსავლეთის მიმართ ქმედითი პოლიტიკური კურსის გატარების აუცილებელ წინაპირობას ფედერაციული რესპუბლიკის დასავლეთთან კავშირი წარმოადგენდა. ადენაუერს, ჩემი აზრით, დიდად არ ანაღვლებდა ის, რომ დასავლეთთან კავშირის და გაერთიანების მიღწევა ერთდროულად ვერ ხერხდებოდა. 1961 წლის აგვისტოში ბერლინის კედელთან დაკავშირებით მისი რეაქცია ამას თვალნათლივ ადასტურებდა.

ადენაუერი პირადად 1953 წელს გავიცანი, როდესაც ის ბუნდესტაგის არჩევნებისას, ბრემენში, წინასაარჩევნო სიტყვით გამოვიდა. მან გაორებული გრძნობა დამიტოვა. ერთი მხრივ, ჩემი

გერმანული სახელმწიფო გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა იყო, ის კი — ჩემი ფედერალური კანცლერი — ეს შინაგანი ლოიალობის განცდა ჯერ კიდევ ჰალეში მქონდა და ის ფედერაციულ რესპუბლიკაში ჩემს ჩამოსვლას გარკვეულწილად წინ უსწრებდა. მეორე მხრივ, დაჟინებით ვეკითხებოდი საკუთარ თავს: ადენაუერს მართლა სურდა გერმანიის გაერთიანება თუ არა?

როცა ფედერაციულ რესპუბლიკაში გერმანიის რემილიტარიზაციასთან დაკავშირებით დისკუსია გაჩაღდა, ჰალეში, მეგობრებმაც დებატები გავმართეთ ამ საკითხზე. ერთი მხრივ, ის გარემოება, რომ ჰიტლერმა გერმანელი ახალგაზრდობაც ჩაითრია დანაშაულებრივ ომში, ხელახალი შეიარაღების ნებისმიერი ფორმის მიმართ ეჭვის გრძნობას და სინდისის ქენჯნას გვიჩენდა; მეორე მხრივ, გდრ-ში ყოველდღიურად მოწმე ვიყავით იმ საბჭოთა პოლიტიკისა, რომელიც საკუთარი პარტიისა და იდეოლოგიის ინტერესებს უმორჩილებდა ისეთ ცნებებს, როგორებიცაა: მშვიდობა, დემოკრატია, თავისუფლება, სამართალი და კანონი. ასე რომ, ფედერაციული რესპუბლიკის მხოლოდ არსებობაც კი ჩვენთვის იმედის მომცემი გახლდათ. ნუთუ მისი არსებობა საბჭოთა კავშირის კეთილ ნებაზე უნდა ყოფილიყო დამოკიდებული? განა იმ პროცესებმა, რომლებმაც 1948 წელს ბერლინის გაყოფისას იჩინა თავი, არ გამოააშკარავა, თუ რა მიმართულებით განვითარდებოდა მოვლენები? რა ხდებოდა კორეაში ან პრაღაში ორმოციანი წლების ბოლოს? ჰალეში გამართული დისკუსიებისას იმ დასკვნამდე მივედით, რომ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ხელახალი შეიარაღება სწორი გადაწყვეტილება იყო და მიხაროდა, რომ ჩემი აზრი დასავლეთ გერმანული თავისუფალი დემოკრატიული პარტიის აზრს დაემთხვა, ეს პარტია ხომ მოძმე პარტიად მიგვაჩნდა.

ამასობაში გერმანიის ბუნდესტაგის წევრი გავხდი და როგორც ფრაქციის საპარლამენტო საქმეთა მმართველს, უფრო მეტი შესაძლებლობა მქონდა გერმანულ საკითხთან დაკავშირებულ პოლიტიკაზე მემუშავა. განსაკუთრებით ხელსაყრელი შემთხვევაც მალე მომეცა.

1966 წლის გაზაფხულის დამდეგს დოქტორმა რაინჰოლდ მაიერმა დამირეკა. მან მთხოვა, 6 სექტემბერს ამერიკის საგარეო საქმეთა მინისტრის, ჯეიმს ფ. ბირნსის შტუტგარტში გამოსვლის

მეოცე წლისთავთან დაკავშირებით შტუტგარტში სიტყვით გამოვსულიყავი. ბირნსმა მაშინ შტუტგარტის სახელმწიფო თეატრში წარმოთქვა სიტყვა. შტუტგარტის თეატრი იმ მცირერიცხოვან იმპოზანტურ შენობებს მიეკუთვნება, რომლებიც დაბომბვას გადაურჩა. შემდეგ ის სამხრეთ-დასავლეთ გერმანიის ლიბერალთა ყოველწლიური შეხვედრების ადგილად იქცა, რომლებიც ყოველი წლის 6 იანვარს, ნათლისღების დღეს იმართება. ამ ღონისძიებამ სამოცდაათიანი წლების შემდეგ უფრო ზე-რეგიონალური მნიშვნელობა შეიძინა. დოქტორ რაინჰოლდ მაიერს სიამოვნებით დავთანხმდი; ადრევე შევუდექი ჩემი სიტყვის მომზადებას. ეს სიტყვა წარსულის გახსენება კი არ უნდა ყოფილიყო, არამედ მას 1946 წელს ბირნსის მიერ დაფუძნებულ შორსგამჭვრეტელ ამერიკულ პოლიტიკაზე დაყრდნობით გერმანული პოლიტიკის სამომავლო პერსპექტივები უნდა წარმოეჩინა. ეს ის დრო იყო, როცა ჩვენ, ლიბერალები — ჯერაც მმართველ კოალიციაში მყოფნი — უკმაყოფილონი ვიყავით იმით, რომ ქრისტიანულ-დემოკრატიული/ქრისტიანულ-სოციალური კავშირებისა და თავისუფალი დემოკრატიული პარტიის მიერ შედგენილი მაშინდელი მთავრობის აღმოსავლურ პოლიტიკაში არავითარ ძვრას არ ჰქონდა ადგილი.

მთავარ ამოცანას წარმოადგენდა ის, რომ გერმანიის გაერთიანების თემა კვლავ გერმანული პოლიტიკის ცენტრალურ საკითხად ქცეულიყო. აქტიური აღმოსავლური და გერმანული პოლიტიკის გატარებას უწინარეს ყოვლისა ჰალშტაინის დოქტრინა* აფერხებდა; შემაშფოთებელი გახლდათ გერმანული საკითხის ათწლიანი მორატორიუმის იდეა იმ სახით, როგორც ეს კონრად ადენაუერმა თავისი კანცლერობის დროს მოიაზრა. ფორმალური მორატორიუმის ამგვარი იდეა, ჩემი აზრით, ძალზე საშიში იყო: ადვილი შესაძლებელი გახლდათ, რომ ის საბოლოო მდგომარეობის წინაპირობად ქცეულიყო! არც ის იყო გამორიცხული, რომ ეს წინადადება მოგვიანებით კიდევ ამოტივტივდებოდა. სამწუხაროდ, ჩემი შიში გამართლდა.

---

*ჰალშტაინის დოქტრინა — ქრისტიან-დემოკრატი პოლიტიკოსის ვალტერ ჰალშტაინის მიერ 1955 წელს ფორმულირებული პრინციპი, რომლის მიხედვითაც გფრ-ს არც ერთ იმ სახელმწიფოსთან დიპლომატიური ურთიერთობა არ უნდა დაემყარებინა, რომელ სახელმწიფოსაც გდრ-სთან ჰქონდა დიპლომატიური ურთიერთობა. ეს დოქტრინა 1972 წელს გაუქმდა. (რედ.)

დარწმუნებული ვიყავი, რომ ევროპის სამომავლო წესრიგის განსაზღვრისთვის აუცილებელი იქნებოდა როგორც ამერიკის შეერთებული შტატების დახმარება, ასევე გერმანია-საფრანგეთის მჭიდრო თანამშრომლობა. ამავე დროს, ერთიანი ევროპის ფორმირების პროცესში უნდა ჩართულიყო საბჭოთა კავშირიც და ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სხვა ქვეყნებთან ურთიერთობების აღდგენაზეც გვეზრუნა. უნდა გვეღიარებინა ამ ქვეყნების თვითგამორკვევის სურვილი და მათი ინტერესებისთვის მხარი დაგვეჭირა. და ბოლოს, აუცილებელი იყო გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკასა და მის მთავრობასაც მონაწილეობა მიეღო საერთო ევროპულ პროცესში.

ჩემს სიტყვაში გერმანული საკითხის ამგვარი ფორმულირება მოვახდინე: ,,გერმანული პოლიტიკის წინაშე შემდეგი ამოცანები დგას:

1. შეიქმნას ყველა წინაპირობა იმისათვის, რომ შესაძლებელი გახდეს გერმანული საკითხის მშვიდობიანი გადაჭრა.

2. უზრუნველყოფილ იქნეს გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის – დასავლეთ ბერლინის ჩათვლით – მშვიდობა, თავისუფლება და დამოუკიდებლობა.

ეს მიზნები თანაბარმნიშვნელოვანია. შეუძლებელია ერთ-ერთი მათგანის მეორის ან სულაც რომელიმე მესამე მიზნის სასარგებლოდ ხანგრძლივი დროით უგულებელყოფა ისე, რომ ამან ზიანი არ მოიტანოს''.

ჩემი ღრმა რწმენით, მთელ ევროპაში მდგომარეობა ისე უნდა შეცვლილიყო, რომ ფართო ევროპული პოლიტიკის ფარგლებში გერმანიის გაერთიანება შესაძლებელი გამხდარიყო, რაც ჩვენი მიზნების, ჩვენი ღირებულებათა სისტემის თანმიმდევრულ დაცვას და, ამავე დროს, ევროპის მომავალი განვითარების მკაფიო კონცეფციას მოითხოვდა. ამას საერთო არაფერი ჰქონდა ძალისმიერ პოლიტიკასთან, რომელიც, პირიქით, განამყარებდა პოლიტიკურ სტატუს-კვოს და ძალზე სუსტი აღმოჩნდა როგორც კონცეფციურად, ასევე მისი პოლიტიკურად განხორციელების თვალსაზრისით. საბჭოთა კავშირი და მისი პარტნიორები უნდა დაგვერწმუნებინა, რომ ახალი პოლიტიკა მათ ინტერესებშიც შედიოდა. ამიტომ კიდევ ერთხელ შიდაგერმანულ საზღვართან მიმართებაში, რომელსაც

შიდაგერმანული სადემარკაციო ხაზი ვუწოდე, კატეგორიულად და ერთმნიშვნელოვნად დავადასტურე, რომ ჩვენ ძალის გამოუყენებლობის პოლიტიკას ვემხრობოდით. ეს არავითარ შემთხვევაში არ ნიშნავდა ჩვენი პოლიტიკური ქმედითუნარიანობის შეზღუდვას, ვინაიდან ძალისმიერ მეთოდებს გერმანული საკითხის გადაჭრის საშუალებად სერიოზულად არც არავინ განიხილავდა.

ჩემთვის მნიშვნელოვანი იყო, რომ გერმანელთა ერთმთლიანობის განცდის შენარჩუნება და ჰუმანიტარული პროგრამა-მინიმუმის განხორციელება გაერთიანებისკენ მიმავალ გზაზე პოლიტიკურ მიზნებადაც დამესახა. ორივე ამ ფაქტორს მორალურ და ჰუმანიტარულ მნიშვნელობაზე მეტად პოლიტიკური დატვირთვა ჰქონდა: „შეინარჩუნო და განამტკიცო ერის ერთმთლიანობის შეგრძნება, გააძლიერო გაერთიანების ნება-სურვილი, – ეს არის საფუძველი პერსპექტიული გერმანული პოლიტიკისა და ამასთანავე ალტერნატივა გერმანიის კვლავგამთლიანების პოლიტიკისა, რომელიც ერთ მშვენიერ დღეს ძალისმიერი პოლიტიკის განხორციელებით თუ იდეოლოგიური ზეწოლით შესაძლოა სხვა მხრიდან მოგვახვიონ თავს". გერმანული საკითხის „მიტოვება" დაუშვებელი იყო, რადგან, თუ მსოფლიო შეეგუებოდა გერმანიის გაყოფას, იქამდე მივიდოდით, რომ ეს გაყოფა, როგორც თითქოსდა მარადიული, უცვლელი ფაქტი, ჩვენს საკუთარ პოლიტიკურ, სამართლებრივ და ღირებულებრივ წარმოდგენებშიც დამკვიდრდებოდა.

მაგრამ როგორ, რა სახით უნდა ჩამოყალიბებულიყო ურთიერთობები გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკასა და მის ხელმძღვანელობასთან? პრეტენზია, იყო გერმანელი ხალხის ერთადერთი წარმომადგენელი, რომელიც მთელი გერმანიის სახელით ლაპარაკობს და მოქმედებს, უნდა გავიგოთ, როგორც პოლიტიკური *პრეტენზია*, ვიდრე შუა გერმანიის მცხოვრებთ საკუთარი პოლიტიკური ნების აშკარად გამოხატვა არ შეუძლიათ იმ დემოკრატიის ფარგლებში, რომელიც დემოკრატიაზე ჩვენეული წარმოდგენის შესატყვისი იქნებოდა-მეთქი. როგორც *პოლიტიკური* პრეტენზია, ეს გეგმა არ გამორიცხავს ცნობად მივიღოთ, რომ გერმანიის ცენტრალურ ნაწილში არსებობს ხელისუფლება, რომელიც ძალას არ იშურებს შეიტყოს, ვინ არიან ისინი, ვინც აზრს თავისუფლად გამოხატავს, და უნდა ვაღიაროთ, რომ ჩვენც ასეთებთან თანამშრომლობა მოგვი-

წევს, თუკი გერმანული საკითხის გადაჭრა გვსურს-მეთქი. „ამგვარი თანამშრომლობა აუცილებელია გერმანული საკითხის გადაწყვეტამდე და გერმანული საკითხის გადაწყვეტისას“. სხვათა შორის, ეს გახლდათ გეგმა, რომლის მართებულობაც დაამტკიცა გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკასთან დადებულმა ხელშეკრულებამ „ურთიერთობათა საფუძვლების შესახებ“, ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირმა და 1990 წელს, ოტავაში, „ორი პლუს ოთხის“ ნაცვლად „ერთი პლუს ოთხის“ მოლაპარაკებებმა.

ერთადერთ წარმომადგენლობაზე პრეტენზია, როგორც სამართლებრივი დოქტრინა, ბლოკირებას ახდენდა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის პოლიტიკისა, ყოფილიყო ყველა გერმანელის ნების გამომხატველი ერის გამთლიანების საკითხში. ამგვარი მრწამსიდან გამომდინარე, ლოგიკური გახლდათ, რაც გორბაჩოვს ოცი წლის შემდეგ მოსკოვში ვუთხარი: გერმანელთა გაერთიანებას ისტორია და *ყველა* გერმანელი გადაწყვეტს-მეთქი.

შტუტგარტის გამოსვლის ტექსტში ვამბობდი: „ხელახალი გაერთიანება მხოლოდ მაშინ მოხდება, თუ ფედერაციული რესპუბლიკა მთელ ძალისხმევას ამ მიზნისკენ მიმართავს, თუ ის ფრთხილად შეუწყობს ხელს ცვლილებებს გერმანიაში და გერმანიის ირგვლივ, ცვლილებებს, რომლებიც გერმანიის გამთლიანებას ლოგიკურ პროცესად წარმოაჩენს და არა მოსკოველი, აღმოსავლეთევროპელი თუ აღმოსავლეთბერლინელი კომუნისტების კაპიტულაციად“. მოგვიანებით ვთქვი: „ჩვენი საზოგადოებრივი წყობის გონიერებისადმი ნდობით გამსჭვალული, თვითშეგნებული საერთო გერმანული მისწრაფება ყველასათვის ცხადყოფს, რომ გერმანიის მიწაზე ფეხს ვერ მოიკიდებს, აღიარებული და დაშვებული არ იქნება რეჟიმი, რომელიც ხალხის ნებას არ შეესატყვისება“. „აღიარებული და დაშვებული არ იქნება“, — ეს იყო პოლიტიკური რწმენა და სამოქმედო მაქსიმა, რომელიც ღირებულებათა სისტემაზე საკუთარ წარმოდგენებსა და გდრ-ის ხელმძღვანელობის დემოკრატიული ლეგიტიმაციის არარსებობას ემყარებოდა. ეს გამონათქვამი დემოკრატიულ თვითდაჯერებულობასა და მომავლის ღრმა რწმენას გამოხატავდა, რომ ისეთი ძირითადი ღირებულებები, როგორიცაა თავისუფლება, დემოკრატია და ადამიანის უფლებები, ბოლოს მაინც დამკვიდრდებოდა. „ჰალშტაინის დოქტრინის“ დაძლევა — რომელიც

თვითბლოკირებას ახდენდა – გზას გაუხსნიდა რეალისტურ საგარეო და გერმანულ პოლიტიკას, რომელიც არაფერს თმობდა, მაგრამ ყველაფერს იგებდა.

რაინჰოლდ მაიერი, რომლისთვისაც გერმანიის ერთიანობის საკითხი მუდამ განსაკუთრებული ინტერესის საგანი გახლდათ, ამ სიტყვას თანხმობით შეხვდა. დამსწრე საზოგადოება, ძირითადად შტუტგარტის ბიურგერთა წარმომადგენელნი, დაახლოებით ორასიოდე ადამიანი, როგორც ჩანს, მოხიბლა ჩემმა მოსაზრებებმა. გამოსვლის დამთავრების შემდეგ ცხოველი დისკუსია გაიმართა. რაინჰოლდ მაიერმა ამ საკითხების კიდევ უფრო მძაფრი შეფასება მოახდინა. მოგვიანებით შტუტგარტის სიტყვა ოდნავ სახეცვლილი ფორმით გაზეთ „ლიბერალში" გამოქვეყნდა.

კოალიციაში ამან დაპირისპირება გამოიწვია. ქრისტიანულ-სოციალური კავშირის თავმჯდომარემ, შტრაუსმა, კოალიციის საგანგებო შეხვედრა მოითხოვა, რომელიც ქრისტიანულ-დემოკრატიულ/ქრისტიანულ-სოციალური კავშირების ფრაქციის თავმჯდომარის, დოქტორ რაინერ ბარცელის კაბინეტში შედგა. შეხვედრას თავისუფალი დემოკრატიული პარტიის თავმჯდომარე დოქტორ მენდესთან ერთად მეც ვესწრებოდი. შტრაუსმა ამ სიტყვის საჯაროდ უარყოფა მოითხოვა. დოქტორმა მენდემ მისი წინადადება არ მიიღო. ბარცელიც ვერ ხედავდა ვერანაირ მიზეზს, რომ ეს საკითხი შიდაკოალიციური განხეთქილების საბაბად გვექცია. ჯერ კიდევ შინაგან საქმეთა მინისტრის თანამდებობაზე ყოფნისას მას კარგად ჰქონდა გაცნობიერებული, თუ რაოდენ მნიშვნელოვანი იყო გერმანიის ერთიანობის განუხრელი მოთხოვნა და ამ მოთხოვნის განხორციელების მიზნით ახალი მოსაზრებებისა და იდეების განხილვა.

გაურკვეველი გახლდათ, რა იწვევდა შტრაუსის უკმაყოფილებას. გამახსენდა, რომ გერმანიის ბუნდესტაგში ადრე სწორედ მან წამოჭრა კითხვა, გერმანელებს მართლა ერთიანობის საკითხი აღელვებთ, თუ უფრო მეტად თავისუფლების საკითხი, და გერმანული საკითხის გადაჭრის საუკეთესო გზად ავსტრიული გზა ხომ არ გამოდგებოდაო. ამასთან დაკავშირებით ერთ სტატიაში ვუპასუხე, რომ გერმანიის ერთიანობაზე, როგორც ჩვენს პოლიტიკურ მიზანზე უარის თქმა, მიუღებელია-მეთქი. შტრაუსის განცხადება გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში არსებულ რეალობაზე თვალის

დახუჭვას ნიშნავს, რადგან ადამიანებს იქ თავისუფალი არჩევანის უფლება რომ ჰქონდეთ, ამ თავისუფლებას გერმანელთა გაერთიანებისთვის გამოიყენებდნენ-მეთქი. ეს ხომ ასეც მოხდა 1989 წელს, როდესაც ლოზუნგი „ჩვენ ხალხი ვართ" შეიცვალა მოწოდებით „ჩვენ ერთი ხალხი ვართ".

მე მხარს ვუჭერდი გაერთიანებამდე „გერმანიის გაყოფილი ნაწილების დროებით თანაარსებობას, რომლის დარეგულირების გზები უნდა გამოგვენახა, თუნდაც მხოლოდ ბერლინის უსაფრთხოების ინტერესებიდან გამომდინარე. ვინც გადაჭარბებული შეფასების შიშით, საერთოგერმანული სულმოკლეობის გამო ხელ-ფეხს იბორკავს და იზღუდავს მოქმედების შესაძლებლობას, ის კომუნისტების წისქვილზე ასხამს წყალს". გერმანიის გახლეჩის საბოლოო დაფიქსირების რისკი აშკარად ამ პროცესის სტაგნაციაში, სტატუს-კვოს გამყარებაში მდგომარეობდა.

დარწმუნებული ვიყავი, რომ გერმანულ საკითხთან დაკავშირებით ლიბერალებს განსაკუთრებით დიდი პასუხისმგებლობა ეკისრებოდათ: „იქ, სადაც სხვები ყოყმანობენ, ისინი ფორეიტორები უნდა იყვნენ, რადგან ილუზიებს არ არიან აყოლილნი და კომუნიზმისადმი ობიექტური დამოკიდებულება აქვთ; მათ იციან, რომ კომუნიზმს მხოლოდ ერთი, საყოველთაოდ აღიარებული ალტერნატივა გააჩნია, — ეს თავისუფლების იდეა გახლავთ, რომელიც კომუნისტურ ბანაკში მცხოვრებ ადამიანებს უფრო მეტად აღელვებს, ვიდრე ჩვენს შეძლებულ მოქალაქეებს. უსაფუძვლოდ არ უწოდებენ კომუნიზმში არსებულ პროგრესულ ტენდენციებს ლიბერალიზაციას".

ჩემი თანაპარტიელებიც ასე ფიქრობდნენ. 1966 წლის დეკემბერში ვოლფგანგ შოლვერმა, რომელიც ჯერ თავისუფალი დემოკრატიული პარტიის აღმოსავლეთ ბიუროში მოღვაწეობდა — მისი გაუქმების დღემდე — შემდეგ „ფრაიე დემოკრატიშე კორესპონდენცის" რედაქტორი გახლდათ, გერმანულ საკითხთან და საგარეო პოლიტიკასთან დაკავშირებული დოკუმენტი შეიმუშავა. შოლვერიც დაძაბულობის შენელების პოლიტიკაზე აკეთებდა აქცენტს. ის წერდა: „გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა ვალდებულნი არიან, უარი თქვან დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის გაჩაღებულ ცივ ომში შუბის წვერის ფუნქციის შესრულებაზე, რათა აღმოსავლეთ-დასავლეთს

შორის ურთიერთგაგებისა და განსხვავებული საზოგადოებრივი წყობილების სახელმწიფოთა ურთიერთთანამშრომლობის ერთგვარი მოდელი შექმნან". შოლვერი, გფრ-ის მხრიდან, გერმანელი ხალხის „ერთადერთ წარმომადგენლობაზე პრეტენზიის" გადასინჯვას და გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკასთან მოლაპარაკებების დაწყებას, ოდერ-ნაისეს ხაზის აღიარებას, ატომურ იარაღზე უარის თქმას და ცენტრალურ ევროპაში ბირთვული შეიარაღებისაგან თავისუფალი ზონის შექმნას მოითხოვდა; გარდა ამისა, ის აუცილებლად თვლიდა აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებთან დიპლომატიური ურთიერთობის დამყარებასა და ორივე გერმანული სახელმწიფოს გაწევრიანებას გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში. ასეთივე მოსაზრება გამოთქვა 1967 წლის მარტში ჟურნალ „ლიბერალში" თავისუფალი დემოკრატიული პარტიის ფედერალურმა ხაზინადარმა ჰანს-ვოლფგანგ რუბინმა: „ვისაც გერმანიის გაერთიანება სურს, მან უნდა აღიაროს ოდერი-ნაისეს საზღვარი და გაითვალისწინოს მეორე კომუნისტური სახელმწიფოს არსებობა გერმანიის მიწაზე მთელი მისი გარდუვალი შედეგებით. სიმართლე ის არის, რომ გაერთიანება არასდროს იქნება გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ფედერაციულ რესპუბლიკასთან უბრალო ანშლუსი".

1966 წელს ჩემს გამოსვლაში მოცემული საერთოევროპულ პოლიტიკასა და საერთოევროპულ უშიშროებასთან დაკავშირებული მოთხოვნა საერთოევროპული უშიშროების კონფერენციას გულისხმობდა, რაზეც იმჟამად უკვე მიმდინარეობდა დისკუსია. საბჭოთა კავშირის მიერ წამოყენებული წინადადება უშიშროების საკითხებისა და, უპირველეს ყოვლისა, ტერიტორიული სტატუს-კვოს დაცვის წინა პლანზე წამოწევას ისახავდა მიზნად. მოსკოვს სურდა, ეს კონფერენცია მხოლოდ ევროპის სახელმწიფოების დონეზე ჩაეტარებინა, რათა ამერიკის შეერთებული შტატების მონაწილეობა გამოერიცხა; ამიტომ სიცხადისათვის აუცილებელი იყო, მიმენიშნებინა ამერიკის შეერთებულ შტატებთან მჭიდრო კავშირზე, გერმანიაში ამერიკის ანგაჟემენტზე და, რომ ჩვენ ამ კონფერენციის პრინციპული მხარდაჭერის შემთხვევაშიც ამერიკის შეერთებული შტატების გარეშე მისი ჩატარების წინააღმდეგი ვიქნებოდით.

პოლიტიკურად გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა იმას, რომ კონფერენციასთან დაკავშირებულ საბჭოთა მოსაზრებებზე ჩვენი

„დიახ, მაგრამ იმ პირობით...“, – კონფერენციის პროექტზე საქმიანი დისკუსიის შესაძლებლობას ქმნიდა. პირველად მოხდა, რომ გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში და, ალბათ, მთელ დასავლეთ ევროპაში, თავის პარტიაში გარკვეული გავლენის მქონე პოლიტიკოსი ამგვარი კონფერენციის ჩატარებას პოზიტიურად აღიქვამდა. დარწმუნებული ვიყავი, რომ კონფერენცია და ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირის პროექტი – როგორც მას მოგვიანებით უწოდეს – ევროპაში ძირეულად შეცვლიდა მდგომარეობას.

ამერიკის შეერთებული შტატების როლზე გერმანიასა და ევროპაში ხაზგასმით მივუთითე შტუტგარტში გამოსვლისას, გავიხსენე რა 1946 წელს ბირნსის მიერ წარმოთქმული სიტყვა. შემდგომშიც დარწმუნებული ვიყავი, რომ აშშ-ს ყოფნა ევროპაში აუცილებლობას წარმოადგენდა, თუკი საერთოევროპული მშვიდობიანი წესრიგი – რა სახითაც ამას ერთი წლის შემდეგ, 1967 წელს, ნატოს მიერ შემუშავებული ჰარმელის მოხსენება* მოითხოვდა – თანასწორუფლებიანობის საფუძველზე უნდა შექმნილიყო. ამერიკელებმა პირველი მსოფლიო ომის შემდეგ დაუყოვნებლივ დატოვეს ევროპა და არა მხოლოდ სამხედრო თვალსაზრისით, არამედ პოლიტიკურადაც საკუთარი თავის ამარა დატოვეს ეს კონტინენტი. ევროპის დრომოჭმულმა, შაბლონურმა აზროვნებამ და ცრურწმენებმა მაშინ კიდევ ერთხელ გაიმარჯვა. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ კი ამერიკის ანგაჟემენტი არა მხოლოდ სამხედრო, არამედ – როგორც ამას ბირნსის სიტყვა და „მარშალის გეგმა“** ადასტურებდა – პოლიტიკურიც გახლდათ და ეკონომიკურიც. ამერიკის მონაწილეობა აუცილებელი იყო საერთოევროპული უშიშროებისთვის, „ხანგრძლივი და სამართლიანი საშვიდობო წესრიგისთვის“, როგორც ეს ფორმულირებული გახლდათ „ჰარმელის მოხსენებაში“. ამავე დროს ეს იყო გერმანიის გაერთიანების საქმეში მონაწილეობა, რაც ასე თვალნათლივ დადასტურდა 1989-1990 წლებში.

---

* ბელგიის საგარეო საქმეთა მინისტრის პიერ ჰარმელის მიერ 1967 წ. 13 დეკემბერს ნატოს საბჭოში წარდგენილი მოხსენება „ალიანსის სამომავლო ამოცანების შესახებ“. (რედ.)

** ევროპის ეკონომიკის აღორძინების გეგმა, შემუშავებული 1947 წელს აშშ-ის საგარეო საქმეთა მინისტრის ჯორჯ მარშალის მიერ. (რედ.)

ჯერ კიდევ 1966 წლის შემოდგომაზე, საგარეო პოლიტიკურ საკითხებთან დაკავშირებული დებატებისას გამოვთქვი აზრი „საერთოევროპულ სამშვიდობო კონფერენციაში მონაწილეობის“ აუცილებლობაზე: ილუზორულია სურვილი, ვინმეს წინააღმდეგ საერთოევროპული უშიშროების სისტემის შექმნისა. შეუძლებელია ეცადო ამ სისტემის შექმნას საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ, აშშ-ს წინააღმდეგ ან აშშ-ს გარეშე. მთელი ევროპის უშიშროების სისტემის სიმძიმის ცენტრი უახლოეს მომავალში მოსკოვსა და ვაშინგტონში იქნება“. გერმანელთა პატივმოყვარეობა კი იმ იდეების შემუშავებაში უნდა გამოიხატოს, რომლებიც აუცილებელია ამგვარი უშიშროების სისტემის შექმნისთვის-მეთქი. მოვუწოდე, თავი შეეკავებინათ გერმანიის ჩვეულებრივი შეიარაღებული ძალების გაძლიერებისა და ბირთვულ შეიარაღებაში მონაწილეობისაგან, რადგან ეს კი არ შეანელებდა, არამედ გაამძაფრებდა ჩვენი მეზობელი ქვეყნების უსაფრთხოების მოთხოვნილებას. ჩემთვის მთავარი იყო წარმომეჩინა გერმანული საკითხის მნიშვნელობა, მთელი ევროპის განვითარებისა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის შიდასახელმწიფოებრივი სტაბილურობის კუთხით: „ნურვის ეგონება, თითქოს შესაძლებელია გვერდი ავუაროთ გერმანული საკითხის გადაწყვეტას, გერმანული საკითხი არ გადაიჭრება ამ პრობლემის მიჩუმათებით, მისი დროებითი ან სამუდამო უარყოფით. მორატორიუმიც ამ საკითხის გადაწყვეტაზე სამუდამოდ ხელის აღებისთვის შემზადება ან მისი ბუნებრივი შედეგი იქნებოდა. ვისაც მართლა აშინებს გერმანიაში მემარჯვენე რადიკალიზმი — ამას ქვეყნის შიგნით თუ ქვეყნის გარეთ არსებული ძალების გასაგონადაც ვამბობ —, მან ყველაფერი უნდა იღონოს, რომ გერმანული საკითხი კვლავ მოექცეს საერთაშორისო პოლიტიკის ყურადღების ცენტრში, რათა მისი გადაჭრა შესაძლებელი გახდეს“.

შემდეგ გადავედი საკითხზე, თუ რას ნიშნავდა 1961 წელს ბერლინის კედლის აგება და როგორ მივიდა საქმე აქამდე. კედლის აღმართვას გერმანიაში საბჭოთა კავშირის ინიციატივად თვლიდნენ. როდესაც გდრ-ის მთავრობის წინააღმდეგ ბერლინში სისხლის სამართლის პროცესი გაიმართა, 1966 წელს ჩემს მიერ გამოთქმული ვარაუდი საბჭოთა კავშირის ყოფილი საგარეო საქმეთა მინისტრის, კვიცინსკის ჩვენებამაც დაადასტურა. კვიცინსკიმ დაამოწმა, რომ კედლის მშენებლობის ინიციატივა ულბრიხტს ეკუთვნოდა. ჯერ

კიდევ 1966 წელს ამასთან დაკავშირებით განვაცხადე: „კომუნისტური ზღუდე-გალავნის აგება თუ საბჭოთა საოკუპაციო ზონაში გატარებული დამსჯელი ღონისძიებები კრემლის ბრძანებით არ მომხდარა. ყოველივე ეს გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის დაჟინებული მოთხოვნის შედეგია, მოთხოვნისა, რაზეც კრემლი ბოლოს და ბოლოს დათანხმდა, მას შემდეგ, რაც აღმოსავლეთ ევროპის მთავრობათა მხარდაჭერა გაინაღდა". ამიტომ მოვითხოვდი, მოსკოვის მნიშვნელობის მიუხედავად გერმანიის აღმოსავლურ პოლიტიკას ვარშავის ხელშეკრულების ქვეყნები მხედველობიდან არ უნდა გამორჩეს-მეთქი: „გერმანულ საკითხთან დაკავშირებული კონსტრუქციული პოლიტიკა ცალმხრივად არ უნდა იყოს ორიენტირებული მოსკოვზე; მან უნდა მოიცვას ევროპის სახელმწიფოები და უფლება არა აქვს ცენტრალური გერმანია გამოტოვოს. კონსტიტუცია ხაზგასმით აღიარებს გაერთიანების პრიორიტეტს. ევროპის გაყოფის დასაძლევად გადადგმული ყოველი ნაბიჯი სხვა შუქში წარმოაჩენს სასაზღვრო საკითხებს".

მხოლოდ სამი წლის შემდეგ, 1969 წლის გაზაფხულზე, კრემლში, მოსკოვის უმაღლესი დონის შეხვედრაზე, მომეცა შესაძლებლობა განმემტკიცებინა ჩემი მოსაზრება, რომ ამერიკის შეერთებული შტატების მონაწილეობა საერთოევროპული უშიშროების კონფერენციაში — რომელმაც მოგვიანებით საფუძველი ჩაუყარა ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირს — აუცილებელი იყო. მაშინ მოსკოვში მიწვეული ვიყავით თავისუფალი დემოკრატიული პარტიის თავმჯდომარე ვალტერ შეელი, ფრაქციის თავმჯდომარე ვოლფგანგ მიშნიკი და მე — პარტიის თავმჯდომარის მოადგილე. ეტყობა, მოსკოვში ვარაუდობდნენ, რომ 1969 წლის ბუნდესტაგის არჩევნების შემდეგ თავისუფალი დემოკრატიული პარტია მონაწილეობას მიიღებდა მთავრობის შედგენაში; პარტიის ლიდერებთან კონტაქტის დამყარებას ამიტომაც ეშურებოდნენ. საუბარში პრემიერ-მინისტრი კოსიგინი ევროპის უშიშროების კონფერენციასთან დაკავშირებულ საბჭოთა ინიციატივას შეეხო. მე ვუპასუხე, უკვე ცნობილია, რომ ამგვარი კონფერენციის პროექტს პრინციპულად ვიწონებთ, მაგრამ გარკვევით უნდა ითქვას — მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ამერიკის შეერთებული შტატები მიიღებს ამ კონფერენციაში თანასწორუფლებიან მონაწილეობას-მეთქი. კოსიგინმა თქვა, ამერიკის

შეერთებული შტატები ევროპის სახელმწიფო არ არისო. ვუპასუხე – ამერიკა ჩვენი უმთავრესი მოკავშირეა და მას დიდი მნიშვნელობა აქვს მთელი ევროპისთვის. ალბათ საბჭოთა კავშირშიც ასე ფიქრობენ-მეთქი. „დიახ, მაგრამ...“-ის პოლიტიკას თავისი გაჰქონდა. მოსკოვში ჩვენი მოლაპარაკებების დროს, სხვათა შორის, მესამე ევროპული განყოფილების ხელმძღვანელს, ვალენტინ ფალინსაც შევხვდით, რომელმაც მოგვიანებით სხვადასხვა დონეზე – მათ შორის, ბონში ელჩად ყოფნის დროს – მნიშვნელოვანი როლი ითამაშა.

1966 წელს წარმოთქმული სიტყვა შეიცავდა დეკლარაციის პროექტს ძალის ორმხრივი გამოუყენებლობის შესახებ, რაც განმარტებული იყო, როგორც შეთანხმებები უშიშროებასთან დაკავშირებით; ამ გეგმის მიხედვით „გონივრულად უნდა მომზადებულიყო“ საერთოევროპული წესრიგი. ამასთან დაკავშირებით ნათქვამი იყო: „ევროპული უშიშროების რაც უფრო მეტი საკითხის ორმხრივი განმარტება ან საბოლოო გარკვევა მოხდება – საკითხებისა, რომლებიც არამარტო ფედერაციულ რესპუბლიკას ეხება, არამედ კვლავგაერთიანებულ გერმანიასაც –, მით უფრო ხელსაყრელი საწყისი პოზიცია ექნება გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკას საერთო-ევროპული უშიშროების კონფერენციაზე. ჩვენ ამგვარი კონფერენციის წინააღმდეგ არ უნდა გამოვიდეთ. ის აუცილებლად ჩატარდება“.

გერმანიის გაერთიანების საერთოევროპულ კონტექსტში ჩართვის გეგმა, ერთადერთ რეალისტურ გეგმას წარმოადგენდა. ბილატერალური ხელშეკრულებებიც დაიდო ვარშავის პაქტის მონაწილე ქვეყნებთან, უფრო მრავლისმომცველიც კი, ვიდრე 1966 წელს შეგვეძლო გვევარაუდა, და ამ ხელშეკრულებებმა გახადა სწორედ შესაძლებელი საერთოევროპული კონფერენცია, შემდგომდროინდელი ევროთათბირი: კონსტიტუცია, გერმანიის ერთიანობისადმი მიძღვნილი წერილი, ევროთათბირი და „ორი პლუს ოთხი“-ს ხელშეკრულება გერმანიის გაერთიანებისკენ მიმავალ გზაზე აღმართული ნიშანსვეტებია.

თავისუფალი დემოკრატიული პარტიის ფედერალურ ყრილობაზე 1967 წლის 5 აპრილს ჰანოვერში დამტკიცდა გერმანულ საკითხთან დაკავშირებული სამოქმედო პროგრამა. მას უნდა დაეჩქარებინა ბონსა და აღმოსავლეთ ბერლინს შორის მოლაპარაკებების პროცესი, „რომელთა საგანია გერმანული სახელმწიფოს

ორივე ნაწილის დროებითი  რეგულირებული გვერდიგვერდ არსებობა. მოლაპარაკებები ორივე მხარის მიერ ყოველგვარი პერსონალური თუ საგნობრივი პირობის გარეშე უნდა წარიმართოს". რამდენიმე თვის შემდეგ, 1967 წლის 13 ოქტომბერს, ბუნდესტაგის დებატებისას, თავისუფალი დემოკრატიული პარტიის დეპუტატმა, შეელმა, მსგავსი არგუმენტების მოშველიებით გააკრიტიკა დიდი კოალიციის პოლიტიკური შეცდომები და დაუდევრობა აღმოსავლეთთან და გერმანულ საკითხთან მიმართებაში. იქვე იმასაც მივუთითებდი, რომ ევროპის კონტინენტზე დაძაბულობის შენელების პოლიტიკაში გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკაც უნდა ჩაგვება და არა, ასე ვთქვათ, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ირგვლივ შეგვენელებინა დაძაბულობა.

რამდენიმე კვირის შემდეგ, 1968 წლის 31 იანვარს, ფრაიბურგში, ლიბერალთა ფედერალურ პარტიულ ყრილობაზე, როდესაც ვალტერ შეელი პარტიის თავმჯდომარედ აირჩიეს, მან ყოველგვარი ეჭვი გაფანტა იმასთან დაკავშირებით, რომ შიდაპარტიულ დისკუსიებში ახალ, ნაწილობრივ საპირისპირო ასპექტებს უჭერდა მხარს. ამით მან თავისუფალი დემოკრატიული პარტია გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში აღმოსავლეთთან და გერმანულ საკითხთან დაკავშირებული პოლიტიკის მამოძრავებელ ძალად აქცია.

როდესაც 1968 წლის 26 სექტემბერს ბუნდესტაგმა ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოების ჩეხოსლოვაკიაში შეჭრის საპასუხოდ მიღებულ ერთობლივ რეზოლუციაში ფედერაციული რესპუბლიკა კვლავ გერმანელი ხალხის ერთადერთ წარმომადგენლად გამოაცხადა, ეს პრეტენზია მხოლოდ თავისუფალმა დემოკრატიულმა პარტიამ უკუაგდო. არსებითად მცდარი ჰალშტაინის დოქტრინა არც ჩეხოსლოვაკიის სოციალისტურ რესპუბლიკაზე თავდასხმის შემდეგ გამხდარა მართებული; მთავარი ის გახლდათ, ევროპაში ძირეულად შეცვლილიყო მდგომარეობა, რათა გერმანიასა და მთელ ევროპაში შესაძლებელი გამხდარიყო დემოკრატია და ერთიანობა.

დაძაბულობის შენელების საერთოევროპულ პროექტში ჩართვის და ევროპულ გაერთიანებასა და დასავლურ სამხედრო ალიანსში ახალი ინტეგრაციული პროცესების შედეგად გერმანული საკითხის ევროპეიზაცია უნდა მომხდარიყო. მხოლოდ ასე თუ მოხერხდებოდა მისი გადაჭრა. ამასთან დაკავშირებით ჩვენ, ანუ რუბინს, შოლვერს,

მიშნიკს, შეელს, ფლახსა და მე, ერთი აზრი გვქონდა.

ამიტომაც 1969 წლის იანვარში თავისუფალი დემოკრატიული პარტიის მიერ შემუშავებული გენერალური ხელშეკრულების პროექტი შეიცავდა მოსაზრებებს, რომელთა განხორციელებასაც ახალ გერმანულ პოლიტიკაში ვცდილობდით: „ორ მთავრობას შორის მუდმივ რწმუნებულთა გაცვლა, ძალის გამოუყენებლობა, პოლიტიკური შეთანხმებები ეკონომიკის, ტრანსპორტის, კულტურის, მეცნიერებისა და ვაჭრობის სფეროში, ასევე კერძო ვიზიტები ერთი გერმანიიდან მეორეში". ვალტერ შეელმა ეს დოკუმენტი ძალზე ზუსტად დაახასიათა: „ჩვენი პროექტი წარმოადგენს ერთ-ერთ საფეხურს ევროპის მშვიდობიანი წესრიგის გზაზე, რომელიც შეიძლება მხოლოდ ამ ფარგლებში და ჩვენს მოკავშირეებთან მუდმივი კავშირ-ურთიერთობის შედეგად განხორციელდეს... საქმე იმას ეხება, რომ გერმანიის ორივე ნაწილმა ერთმანეთთან ურთიერთობის ახლებური ფორმა იპოვოს... ჩვენი წინადადებებით გერმანიის ორი ნაწილის ერთმანეთისგან განცალკევების საბოლოო დაფიქსირებას კი არ ვახდენთ, არამედ ახალ დასაწყისს ვეძებთ და ერთმანეთისგან გამიჯნული ნაწილების დაახლოებას ვცდილობთ".

თუ ამ ურთიერთობათა სახელშეკრულებო საფუძველზე დამყარება მოხდებოდა, მხოლოდ ამ შემთხვევაში მოვაქცევდით მეორე მხარეს შეთანხმებების მყარ ჩარჩოში. მხოლოდ მაშინ მოგვეცემოდა შესაძლებლობა აღებული ვალდებულებების შესრულება მოგვეთხოვა. ამით თავისუფალი დემოკრატიული პარტიისა და სოციალ-დემოკრატიული პარტიის საგარეოპოლიტიკური და გერმანულ საკითხთან დაკავშირებული პოზიციების აშკარა დაახლოება მოხდებოდა, რაც 1969 წლის 24 აპრილს ბუნდესტაგში გამართულმა დებატებმაც დაადასტურა, როცა საერთოგერმანულ საკითხთა მინისტრმა, ჰერბერტ ვენერმა სამომავლო გერმანულ-გერმანულ ურთიერთობებთან დაკავშირებით განაცხადა: „საკითხი ასე დგას, არის თუ არა მზად ფედერალური მთავრობა წარმოადგინოს ორივე გერმანიას შორის ხელშეკრულების პროექტი, რომლის მიზანიც ის უნდა იყოს, რომ გერმანელთა მჭიდრო კავშირი შეინარჩუნოს და ევროპის უშიშროებისა და მსოფლიოში მშვიდობის ინტერესებიდან გამომდინარე, გარდამავალ პერიოდში, ჩვენი ეროვნული საკითხის მშვიდობიანი გზით საბოლოო გადაწყვეტამდე, მოაწესრიგოს

ურთიერთობები ორივე ნაწილს შორის. ფედერალურმა მთავრობამ მზადყოფნა გამოთქვა, რაც იმის მაუწყებელია, რომ ამგვარ ხელშეკრულებას არ გამოვრიცხავთ". დამუხტული ვუსმენდი ვენერის შემდეგ განცხადებას: „ამდენად, ფედერალური მთავრობის პოზიცია არ ეწინააღმდეგება თავისუფალი დემოკრატიული პარტიის ფრაქციის პოზიციას... და მეც მწამს: დრო მოვა და ხელშეკრულებაც დაიდება".

სამი კვირა გავიდა, რაც გუსტავ ჰაინემანმა ფედერალური პრეზიდენტის თანამდებობა დაიკავა და მან ამ არჩევანს „ხელისუფლების მცირე შეცვლა" უწოდა. ეს ძალზე გაბედული, ჩემი აზრით, მეტისმეტად შორსმიმავალი განცხადება გახლდათ. ქრისტიანულ-დემოკრატიული კავშირისა და ქრისტიანულ-სოციალური კავშირის კოალიცია თავის თავს მარადიულ სამთავრობო პარტიად თვლიდა; ამიტომ ცვლილებები სასწრაფო და აუცილებელი გახლდათ. მოგვიანებით — მაშინ ის რაინლანდ-პფალცის მხარეში პრემიერ-მინისტრის თანამდებობაზე იმყოფებოდა, ჰელმუთ კოლს ვუთხარი: „თქვენ, როგორც სამთავრობო პარტნიორებს, ჩვენს მიმართ ისეთი დამოკიდებულება გქონდათ, როგორიც ვალში ჩავარდნილ პრუსიელ მემამულეს ექნებოდა მისი შაქრის ფაბრიკების უგვარდიდო მოწილადის მიმართ. მოწილე მას იმისთვის სჭირდება, რომ ფაბრიკა ამუშაოს, მაგრამ ქალიშვილის ქორწილში უაზნოს არასოდეს დაპატიჟებს". კოლს გაეღიმა და არა მხოლოდ იმიტომ, რომ ამ შედარებაში მას არ ვგულისხმობდი. ჯერ კიდევ რაინლანდ-პფალცის პრემიერ-მინისტრად ყოფნისას კარგად ჰქონდა გაცნობიერებული პატარა კოალიციური პარტნიორის მოთხოვნილებები. ის ყოველთვის ცდილობდა კორექტული ურთიერთობა დაემყარებინა თავისუფალ დემოკრატიულ პარტიასთან.

## *1968-69 წწ. — ახალი დროება კარს აკაკუნებს, ის გერმანიაში იწყება*

1969 წელს დაწყებული გარდაქმნის სიოს ქროლვა უკვე იგრძნობოდა 1968 წლის აგვისტოში. ვალტერ შეელი და მე „პრაღის გაზაფხულის" დროს პრაღაში გავემგზავრეთ. რამდენიმე თვით ადრე კი სუნთქვაშეკრულნი ვადევნებდით თვალს ჩეხოს-

ლოვაკიაში მიმდინარე პროცესებს. მართლა მზად იქნებოდა საბჭოთა კავშირი იმისთვის, რომ უნგრეთის მოვლენებიდან თორმეტი წლის შემდეგ, გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში 17 ივნისის მოვლენებიდან თხუთმეტი წლის შემდეგ მოკავშირეების კისერზე ჩამოცმული ყულფი მოეხსნა? გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკიდან წასვლის შემდეგ პირველად ვმოგზაურობდი რკინის ფარდის მიღმა. შეელი და მე ცალ-ცალკე გავემგზავრეთ. ჩემი მანქანით ავსტრიის გავლით მივდიოდი. მესაჭე ჩემი დეიდაშვილი — ოტო კრაიმე გახლდათ, რომელიც ბონში სწავლობდა და მეხმარებოდა.

გამოცოცხლებულ, ამღელვარებულ პრაღაში ჩავედით. ყველგან იმედიანი განწყობა სუფევდა, ზაფხულის დიდებულ ამინდსაც თავისი გაჰქონდა, თუმცა „პრაღის გაზაფხულის" წარმომადგენლები უკვე ძალიან ღელავდნენ: როგორ განვითარდებოდა მოვლენები? რამდენ ხანს მოითმენდა ამას საბჭოთა კავშირი? ვენცელის მოედანთან, სასტუმრო „იალტაში" დავბინავდით, სადაც ჩვენი სავაჭრო მისიის რეზიდენცია იყო მოთავსებული, რადგან მაშინ დიპლომატიური ურთიერთობები ჯერ არ გვქონდა. ცნობისწადილს ახალ ხელმძღვანელობასთან შესაძლებლობისამებრ ხშირი საუბრებით ვიკლავდით. ძალზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა საგარეო საქმეთა მინისტრ ირჟი ჰაიეკთან შეხვედრამ, რომელიც მოგვიანებით ქარტია 77-ის მამაც თანამოსაგრედ მოგვევლინა. ეს დახვეწილი ადამიანი და მეცნიერი მისთვის ჩვეული მშვიდი ტონით გულახდილად საუბრობდა იმაზე, რომ გრძნობდა საფრთხის მოახლოებას. რათა უფრო დაცული ვყოფილიყავით, საგარეო საქმეთა სამინისტროში კი არ მიმიღო, არამედ ქალაქის ძველ უბანში მდებარე რესტორნის ერთ პატარა, განცალკევებულ ოთახში, საიდანაც დამშვიდებულნი კი არა, უფრო მეტად აფორიაქებულნი დავბრუნდით.

პარლამენტის თავმჯდომარემაც მიგვიღო, რომელიც გვიყვებოდა, თუ რა ძალებს იყენებდა პარტია, რათა აღმავლობის პროცესისთვის ახალი ბიძგი მიეცა. ერთ საღამოს სადილად ძველი ქალაქის ერთ-ერთ უმშვენიერეს რესტორანში დაგვპატიჟეს, სადაც ახალგაზრდა ჟურნალისტებისა და ინტელექტუალების მთელი დასი ველოდებოდა. მაშინ ვერც ვიფიქრებდით, რომ მათ შორის იმყოფებოდა კაცი, რომელიც 1989 წელს ჩეხოსლოვაკიის ახალი დემოკრატიული სახელმწიფოს პირველი საგარეო საქმეთა მინისტრი გახდე-

ბოდა, ეს კაცი ირჟი დინსტბირი გახლდათ. მას შემდეგ, რაც მან საგარეო საქმეთა მინისტრის თანამდებობა დაიკავა, ჩვენი პირველი შეხვედრა ისევ იმ რესტორანში შედგა. ჩვენ იმ გრძელ და მძიმე გზას ვიხსენებდით, რითაც მან მას შემდეგ იარა.

როცა საგარეო საქმეთა მინისტრი გავხდი, ირჟი ჰაიეკთან კონტაქტი განვაახლე. პრაღაში ჩემი ყოველი სტუმრობისას — ურთულეს პერიოდებშიც — გერმანიის საელჩოში ვხვდებოდით ერთმანეთს. ყოველთვის თან ახლდა თავისი საოცარი მეუღლე, რომლის გარდაცვალების შემდეგ მარტო მოდიოდა ხოლმე. მისი გაცისკროვნებული თვალები, ჩუმი ხმა ყოველთვის ისეთივე ღრმა შთაბეჭდილებას ახდენდა, როგორც პირველი შეხვედრისას. სუსტი სხეულით თითქოს მთელი თავისი ხალხის ტვირთს ეზიდებოდა. გერმანიის ელჩს ვთხოვე, მასთან მუდმივი კონტაქტი ჰქონოდა. მოგვიანებით შემთხვევა მომეცა მის ვაჟს დავხმარებოდი, რათა საზღვარგარეთ გამგზავრების ნებართვა მიეღო, როდესაც ის ოსლოში სასწავლებლად აპირებდა წასვლას. მადლობის ნიშნად ახალგაზრდა კაცმა მის მიერ ხისგან გამოთლილი გოგონას პორტრეტი, ხელოვნების ნიმუში მაჩუქა, რომელსაც საპატიო ადგილი მივუჩინე ჩემ სახლში. ვაჟის ნამუშევარი იმ მამაც კაცს მახსენებს, რომელიც მთელი ცხოვრება თავისუფლებას იცავდა და დევნა-შევიწროების შიშით უკან არასოდეს დაუხევია.

ჯერ კიდევ 1989 წლის იანვარში ხნოუპეკის შემცველელ იოჰანესთან, რომელიც გონებაშეზღუდული და მშიშარა ფუნქციონერის ტიპს განასახიერებდა, ჰაიეკის გამო დაპირისპირება მომიხდა. ვილი ბრანდტს სამოცდათხუთმეტი წელი უსრულდებოდა და ამასთან დაკავშირებით ფედერალური პრეზიდენტი, რიხარდ ფონ ვაიცზეკერი, ვილა ჰამერშმიდტში წვეულებას მართავდა; ვილი ბრანდტმა მოწვეულ სტუმართა სიაში ჰაიეკის გვარიც შეიტანა. პრაღის მთავრობამ კი მას ქვეყნიდან გასვლის ნება არ დართო. ძალზე კატეგორიულად მოვითხოვდი, გამგზავრების უფლება მიეცათ მისთვის, რადგან წვეულება 1989 წლის 20 იანვარს იყო დაგეგმილი და დრო არ ითმენდა. იოჰანესი სიტყვებს არ იშურებდა, რათა უარის მიზეზი აეხსნა, თუმცა თავხედობაც ეყო ემტკიცებინა, რომ ამგვარი მიწვევა პროვოკაციაა. სიტყვა მოვუჭერი და მკვახედ ვუთხარი, თქვენ შეურაცხყოფთ ფედერალურ პრეზიდენტს, ვილი ბრანდტს და მე-

მეოქი. იოჰანესი შეეცადა შემრიგებლურ პოზიციას დაბრუნებოდა, თუმცა მხოლოდ ფორმალურად. ეს საუბარი იმ დამოკიდებულების გამოც დამამახსოვრდა, რაც მან მოგვიანებით, 1989 წლის სექტემბერში პრაღის საელჩოში თავმოყრილი გერმანელების მიმართ გამოიჩინა.

1968 წლის ვიზიტი პრაღაში კიდევ ერთხელ გახდა საბაბი სიტყვიერი შეხლა-შემოხლისა, როცა მე, როგორც საგარეო საქმეთა მინისტრმა, მიღება გავმართე პრაღის საელჩოში. მაშინ ვერავინ იფიქრებდა, რომ ოდესმე სწორედ აქედან დარეკავდა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის დასასრულის მაუწყებელი ზარი. მაგიდასთან ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის პოლიტბიუროს სამი წევრი იჯდა, მათ შორის იმყოფებოდა პრემიერ-მინისტრი სტროუგალი. საუბარი უცებ „პრაღის გაზაფხულზე" ჩამოვარდა, ეს ხომ ტაბუირებული თემა გახლდათ. საგარეო საქმეთა მინისტრმა პრემიერ-მინისტრს მიმართა: „ამხანაგო სტროუგალ, თქვენ ალბათ მოგეხსენებათ, რომ ბატონი გენშერი, ყოფილ ფედერალურ პრეზიდენტ შეელთან ერთად, ჩვენს თეთრ წიგნში კონტრრევოლუციის ორგანიზატორად არის შერაცხული". ვუპასუხე: „თუნდაც ეს ფაქტი თვალნათლივ ადასტურებს, რომ თქვენი თეორი წიგნი იმ ქაღალდის ფასადაც არ ღირს, რომელზეც ეგ წერია, რადგან შეელსა და მე კონტრრევოლუცია მართლა რომ მოგვეწყო, თქვენ დღეს აქ არ ისხდებოდით". მათი რეაქციის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, შეიძლება ითქვას, რომ მთავრობის წარმომადგენელთა ამ წრეში გარკვეული პროგრესი შეიმჩნეოდა.

თუმცა დავუბრუნდეთ 1968 წლის ვიზიტს. მოლაპარაკებებს შორის ერთსაათიანი შესვენებისას შეელი და მე — ვენცელის მოედანზე ვსეირნობდით. მან გაკვრით მითხრა, რომ მომავალი მთავრობის ფორმირებასთან დაკავშირებით ჩემთან საუბარი სურდა. იმ დროს ეს ძალზე დელიკატური და უაღრესად გაბედული აზრი გახლდათ. ჩვენს თავზე ხომ ჯერაც ეკიდა უმრავლესობის საარჩევნო კანონის დამოკლეს მახვილი, რომელიც სოციალ-დემოკრატიული პარტიისა და ქრისტიანულ-დემოკრატიული/ქრისტიანულ-სოციალური კავშირების 1966 წლის კოალიციური შეთანხმების მთავარ შემადგენელ ნაწილს წარმოადგენდა. ვალტერ შეელი კი ძალზე ბუნებრივად მესაუბრებოდა მომავალი მთავრობის შემადგენლობაზე: „ჩვენ კატეგორიულად უნდა

მოვითხოვოთ საგარეო საქმეთა სამინისტრო. სავსებით ბუნებრივია, რომ თავისუფალი დემოკრატიული პარტიის თავმჯდომარემ საგარეო საქმეთა უწყება ჩაიბაროს. თქვენ ჩემი მოადგილე ხართ პარტიის გამგეობაში. დიდი უწყების ხელმძღვანელობა უნდა იტვირთოთ. მესამე უწყებას იოზეფ ერტლი ჩაუდგება სათავეში, რათა თავისუფალი დემოკრატიული პარტიის კონსერვატორები დავარწმუნოთ, რომ ახალი კოალიციის შექმნა აუცილებელია. ჩემი აზრით, ყველაფერი იქითკენ მიდის, რომ სოციალ-დემოკრატიულ პარტიასთან კოალიციში შესვლა მოგვიწევს". ვუპასუხე, რომ „პირველ" და „მესამე" კანდიდატურას ვეთანხმებოდი, თუმცა „მეორე" შემთხვევაში ჩემს პატივმოყვარეობას ფრაქციის თავმჯდომარეობაც აკმაყოფილებს-მეთქი. ისიც ვუთხარი: ვოლფგანგ მიშნიკს, როგორც ფრაქციის ამჟამინდელ თავმჯდომარეს, პრივილეგია ენიჭება, მინისტრის თანამდებობა დაიკავოს, ამიტომ მართებული იქნება ჯერ მას ვკითხოთ, ხოლო თუ ფრაქციის თავმჯდომარედ დარჩენას ამჯობინებს, მაშინ თანახმა ვიქნები, რომელიმე სამინისტროს ვუხელმძღვანელო, თუმცა ფინანსთა სამინისტროს ვამჯობინებდი-მეთქი. შეელი დამეთანხმა. მინდა ხაზგასმით აღვნიშნო, რომ ეს საუბარი 1968 წლის ზაფხულში, პრაღაში შედგა. იმ დროისთვის ბონში მშვიდად მთავრობდა დიდი კოალიცია კიზინგერისა და ბრანდტის მეთაურობით, ხოლო ბუნდესტაგის მომავალ არჩევნებამდე კიდევ თხუთმეტი თვე იყო დარჩენილი. შეელის გამბედაობა და მიზანსწრაფულობა ძალზე შთამბეჭდავი გახლდათ.

სიმართლე გითხრათ, თავისუფალი დემოკრატიული პარტიის საპარლამენტო ფრაქციის თავმჯდომარედ ყოფნა მერჩია, რაც ძალზე ლოგიკური იქნებოდა, რადგან 1965 წლიდან, ბუნდესტაგის დეპუტატად არჩევის შემდეგ, ბუნდესტაგის საქმეთა მმართველად ვმუშაობდი. ამ ფიქრებში ვიყავი გართული, როცა ჩვენს სიახლოვეს ორი მამაკაცი დავლანდეთ, რომლებიც გვითვალთვალებდნენ. შეელს გადავულაპარაკე: „ხომ წარმოგიდგენიათ, რა მოხდება, თუ ჩვენი საუბარი მიკროფონზე ჩაიწერეს. ბოლოს იმასაც დაგვაბრალებენ, რომ ახლანდელი ფედერალური მთავრობის დამხობა პრაღაში, კომუნისტური ბანაკის ცენტრში დავგეგმეთ". შემდეგ მამაკაცებს მივუბრუნდი: „რით შემიძლია გემსახუროთ?" პასუხი დაუყოვნებლივ მივიღე: მარკებს ხელსაყრელი კურსით გადაგიცვლით კრონებზეო.

## *1969 წლის ფედერალური საპრეზიდენტო არჩევნები — კურსის განსაზღვრა*

ქრისტიანულ-დემოკრატიული კავშირის მხრიდან პრეზიდენტობის კანდიდატი გერჰარდ შრიოდერი გახლდათ. შრიოდერმა ჯერ კიდევ შინაგან და საგარეო საქმეთა მინისტრად მოღვაწეობისას მოიხვეჭა ღირსეული სახელი, თუმცა საგარეო საქმეთა სამინისტროში ყოფნისას მის მიერ გატარებული პოლიტიკა, შინაგან საქმეთა სამინისტროში მოღვაწეობის დროინდელთან შედარებით, ბევრად ახლობელი იყო ჩვენთვის. ამიტომ შეეძლო თავისუფალი დემოკრატიული პარტიის კეთილგანწყობის იმედი ჰქონოდა. მაგრამ გვქონდა კი იმის უფლება, აგვერჩია იმ პარტიის წარმომადგენელი, რომლის ფედერალური კანცლერიც უმრავლესობის საარჩევნო უფლებით ცდილობდა ჩვენს განადგურებას?

1968 წლის დეკემბრის დამდეგს გერჰარდ შრიოდერს ჰარდტჰოეზე მდებარე რეზიდენციაში ვეწვიე. საწერ მაგიდასთან იჯდა დოკუმენტებით სავსე დიდ პორტფელებში ჩაფლული. მოგვიანებით, ოცდასამი წლის განმავლობაში, მეც ასეთი პორტფელებით ვიყავი გარემოცული. საუბარი წამოვიწყე და ვუთხარი: ფედერალურ პრეზიდენტად თქვენს არჩევასთან დაკავშირებით მინდა გესაუბროთ პირადად, როგორც ჰანს-დიტრიხ გენშერი და არა როგორც პარტიის წარმოგზავნილი-მეთქი. გეცოდინებათ, რომ თავისუფალ დემოკრატებში დიდი პატივისცემით სარგებლობთ, და მეც თქვენს მიმართ განსაკუთრებული პატივისცემის გრძნობა მამოძრავებს. ეჭვი არ მეპარება, კარგი ფედერალური პრეზიდენტი იქნებით, თუმცა კორექტული რომ ვიყო, უნდა გითხრათ, რომ სხვა თანაპარტიელებთან ერთად თქვენი არჩევის წინააღმდეგ გამოვალ, რადგან ფედერალური კანცლერი კიზინგერი და ქრისტიანულ-დემოკრატიული პარტიის სხვა ლიდერები უმრავლესობის საარჩევნო უფლებით ცდილობენ პოლიტიკას ჩამოგვაშორონ. „მხოლოდ ყველაზე სულელი ხბოები ირჩევენ თავიანთ ყასაბს თვითონ“ — ეს დევიზი ჩვენ არ გამოგვადგება, ვინაიდან სოციალ-დემოკრატებთან ერთად ვაპირებთ უმრავლესობის საარჩევნო კანონის ბლოკირებას და თუ სოციალ-დემოკრატიული პარტია მისაღებ კანდიდატურას შემოგვთავაზებს, მხარს დავუჭერთ-მეთქი. შრიოდერმა თავშეკავებულად, საქმიანად

და შეპასუხების გარეშე მოისმინა ჩემი მსჯელობა. ისეთი შთაბეჭდილება შემექმნა, თითქოს სხვა საუბრებით დაიმედებულს ეგონა, რომ თავისუფალი დემოკრატიული პარტიიდან ხმათა უმრავლესობას მიიღებდა.

ამ საუბრიდან ძალზე ცოტა დრო იყო გასული, რომ ფედერალურმა კანცლერმა, კიზინგერმა, ერთ ინტერვიუში ულტიმატუმი წაუყენა სოციალ-დემოკრატიულ პარტიას: დანაპირები უნდა შეასრულოთ და უმრავლესობის საარჩევნო კანონს ხმა უნდა მისცეთო. შეელმა და მე გადავწყვიტეთ დაუფარავად და მკაფიოდ დაგვეჭირა მხარი სოციალ-დემოკრატიული პარტიის კანდიდატურისათვის. ვილი ვაიერთანაც ერთად გავემგზავრეთ. ის ჰემერის საავადმყოფოში მკურნალობდა. ჰაინემანის მხარდასაჭერად მისი დაყოლიება არ გაგვჭირვებია. მის პოზიციას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, რადგან დიდი გავლენით სარგებლობდა პარტიაში და ბონში იმედმოცემული დავბრუნდით.

უკვე შემოდგომაზე კი ამ საკითხზე და მასთან დაკავშირებულ პრობლემებზე ალექს მიოლერთან ბონში, მის ბინაში ვსაუბრობდი. ჩემზე ღრმა შთაბეჭდილება მოახდინა იმან, თუ როგორი პასუხისმგებლობის გრძნობით ლაპარაკობდა ეს მნიშვნელოვანი პიროვნება ქვეყნის მომავალზე. 1969 წლის ბუნდესტაგის არჩევნების შემდეგ თავისუფალ დემოკრატიულ პარტიასთან თანამშრომლობას ვანიჭებ უპირატესობას და განზრახული მაქვს ფედერალური პრეზიდენტის არჩევით ეს გამოვხატოო. მაგრამ ვისი არჩევით? შევთავაზე, სავარაუდო კანდიდატების სახელები ქაღალდის ფურცელზე დავწეროთ-მეთქი და როდესაც ჩანაწერები გავცვალეთ, ორივე ფურცელზე ჰაინემანის სახელი ეწერა.

ალექს მიოლერს ყოველთვის ძალიან ვაფასებდი. 1933 წლამდე იგი სოციალ-დემოკრატიული პარტიის მხრიდან ჰალეს საარჩევნო ოლქს წარმოადგენდა პრუსიის ლანდტაგში.

ჰაინემანი, თუკი სოციალ-დემოკრატები და თავისუფალი დემოკრატები ერთობლივად შესთავაზებდნენ, დარწმუნებული ვიყავი, პრეზიდენტობაზე უარს არ იტყოდა. დარწმუნებული ვიყავი იმაშიც, რომ კარგი ფედერალური პრეზიდენტი იქნებოდა, მიუხედავად იმისა, რომ მეტისმეტად მოკრძალებული კაცის შთაბეჭდილებას ტოვებდა. როგორც ჩანს, ჰაინემანს სოციალ-დემოკრატიულ პარტიაშიც ბევრი

სწყალობდა. 1966 წლის შემოდგომაზე ჰორსტ ემკემაც სწორედ მასზე ჩამომიგდო სიტყვა, და მე ვუთხარი, შესაძლოა ჩემი პარტიიდან მისმა კანდიდატურამ ხმების უმრავლესობა მიიღოს-მეთქი.

თუმცა თავისუფალ დემოკრატიულ პარტიაში გამუდმებით მესმოდა სკეპტიკური შეკითხვა: ჰაინემანის არჩევის შემთხვევაშიც ხომ შეიძლება სოციალ-დემოკრატიულმა პარტიამ მაინც დიდ კოალიციაში დარჩენა ამჯობინოსო. ახალი კურსის მომხრეები ამის საპირისპიროდ ვამტკიცებდით, რომ თავისუფალ დემოკრატთა დახმარებით ჰაინემანის არჩევა ისეთ შედეგებს გამოიწვევდა ქვეყანაში, რომ დიდი კოალიციისა და უმრავლესობის საარჩევნო უფლების მოსურნე სოციალ-დემოკრატებიც კი ველარ შეძლებდნენ ამ კანონპროექტის გატანას. ამგვარი შეფასება სწორი აღმოჩნდა. გარდა ამისა, დარწმუნებული ვიყავი, რომ ვილი ბრანდტს ფედერალური კანცლერობა სურდა და როგორც მომავალმა გვიჩვენა, მხოლოდ ქვეყნის სასიკეთოდ და საკეთილდღეოდ.

ჯერ კიდევ 1967 წლის დასაწყისში გავაანალიზე შექმნილი ვითარება თავისუფალი დემოკრატიული პარტიის ფედერალური გამგეობის წინაშე, რათა მოსალოდნელი „უმრავლესობის საარჩევნო კანონით" გამოწვეული დათრგუნული განწყობა გამექარწყლებინა; მივუთითე, თუ რა შანსები ჰქონდათ ლიბერალებს 1969 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში და, რომ 1949 წლიდან თითქმის ყველა საპრეზიდენტო არჩევნები პირველივე დღიდანვე პოლიტიკური გეზის განსაზღვრას წარმოადგენდა.

ჩემი დარწმუნებულობა ობიექტურ შეფასებებზე იყო დაფუძნებული: დიდ კოალიციაში კრიზისი ახლოვდებოდა. ფინანსთა მინისტრ შტრაუსსა და ეკონომიკის მინისტრ შილერს შორის დიდი ხნის შეთანხმებული ურთიერთობაც დაირღვა; ტყუპისცალებივით შეხმატკბილებული ურთიერთობის გამო მათ დიოსკურებსაც ეძახდნენ, ვილჰელმ ბუშმა კი „ფლიში და ფლუმი" დაარქვა. შილერი მარკის კურსის რევალვაციას უჭერდა მხარს, შტრაუსი კი — წინააღმდეგი გახლდათ. ჩემი აზრით, შილერი მართალი იყო და ჩემს პარტიას მისი პოლიტიკის მხარდაჭერისაკენ მოვუწოდებდი. თავისუფალმა დემოკრატებმა სოციალ-დემოკრატებთან ერთად ეკონომიკური პოლიტიკის უმნიშვნელოვანეს საკითხებთან დაკავშირებით ერთობლივი

პოზიციის დემონსტრირება მოახერხეს. 1968 წელს სოციალ-დემოკრატიულ პარტიასა და კავშირის პარტიებს შორის აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებთან და გერმანულ საკითხთან დაკავშირებულ პოლიტიკურ სფეროში თანამოაზრეობის შესაძლებლობებიც ამოიწურა. დიდი კოალიციის მმართველობის ბოლო წელი იმითაც გამოირჩეოდა, რომ სულ უფრო იმატა გაუცხოებამ კოალიციის პარტნიორებს შორის. სამოციანი წლების ბოლოს ქრისტიანულ-დემოკრატიული/ქრისტიანულ-სოციალური კავშირების მიერ ძალაუფლების დაკარგვა იმის კლასიკურ მაგალითს წარმოადგენს, თუ სადამდე შეიძლება მიგიყვანოს პოლიტიკაში თვითკმაყოფილების გრძნობამ.

ფედერალური პრეზიდენტის არჩევნების წინა დღეს თავისუფალი დემოკრატიული პარტიის ფრაქციასთან შეხვედრა მქონდა დაგეგმილი. დახურული სხდომა ბერლინში რადიოანძის მახლობლად გაიმართა. ხანგრძლივი თათბირის შემდეგ უმრავლესობა დავარწმუნეთ, მხარი დაეჭირა გუსტავ ჰაინემანის კანდიდატურისათვის. თავად ჰაინემანის საწინააღმდეგო მრავალ კოლეგას არაფერი ჰქონდა, მაგრამ აფიქრებდათ, რომ ის სოციალ-დემოკრატიული პარტიის წევრი იყო და ამ არჩევანს შესაძლოა სასიგნალო მნიშვნელობა ჰქონოდა. ყველა გრძნობდა, რომ ამ გადაწყვეტილების შედეგები ფედერალური პრეზიდენტის არჩევნების მნიშვნელობას ბევრად აღემატებოდა. დღევანდელი გადასახედიდან ვფიქრობ, რომ მერყევ უმრავლესობაზე უკანასკნელ მომენტში გადამწყვეტი ზეგავლენა მოახდინა უმრავლესობის საარჩევნო უფლების თავიდან აცილების სურვილმა, იმ კანონის წინაშე შიშმა, რომელიც საფრთხეს უქმნიდა თავისუფალი დემოკრატიული პარტიის არსებობას. ქრისტიანულ-დემოკრატიული/ქრისტიანულ-სოციალური კავშირების იმ წევრებმა, რომლებიც უმრავლესობის საარჩევნო კანონს ემხრობოდნენ, ხელი შეუწყვეს ახალი უმრავლესობის დაბადებას.

ფედერალური პრეზიდენტის არჩევნების დღეს, 1969 წლის 6 მარტს, შეელი და მე დილაადრიან ვესტუმრეთ გერჰარდ შრიოდერს ბერლინის სასტუმრო „კემპინსკის“ ანფილადაში. თავისუფალი დემოკრატიული პარტიის ღამეული სხდომის შედეგი შევატყობინეთ და ვუთხარით, რომ თავისუფალ დემოკრატთა ხმების უმრავლესობის იმედი აღარ ჰქონოდა. ეს თავისთავად უსიამოვნო სტუმრობა ბევრად გამიიოლა იმ ფაქტმა, რომ ჯერ კიდევ 1968 წელს გულახდი-

ლად განვუცხადე ამის შესახებ.

გერჰარდ შრიოდერთან ჩემი ურთიერთობა ამ მოვლენებს არასდროს დაუმძიმებია, თუმცა ერთი შემთხვევა არ მავიწყდება. ხუთი წლის შემდეგ, როდესაც საგარეო საქმეთა მინისტრი გავხდი და ბუნდესტაგის საგარეო საქმეთა კომისიის თავმჯდომარეს წარვუდექი, შრიოდერი მისთვის ჩვეული შეუდარებელი მანერით მომესალმა და მკითხა: „რამდენ ხანს იყავით შინაგან საქმეთა მინისტრის თანამდებობაზე?" — „ოთხნახევარ წელიწადს". — „მე რვა წელი ვიმყოფებოდი ამ პოსტზე, საგარეო საქმეთა სამინისტროს კი ხუთი წელი ვხელმძღვანელობდი; თქვენ ამდენ ხანსაც ვერ დარჩებით მანდ". და მაინც: გერჰარდ შრიოდერი ჩინებული კომისიის თავმჯდომარე იყო და, ჩემი აზრით, შინაგან საქმეთა სამინისტროში, განსაკუთრებით საგარეო საქმეთა სამინისტროსა და პარლამენტში მოღვაწეობით, დამსახურებულად მოიპოვა ომის შემდგომი პერიოდის ყველაზე თვალსაჩინო პოლიტიკოსის სახელი. გერჰარდ შრიოდერის პოლიტიკურ მემკვიდრეებს, საგარეო საქმეთა კომისიის ხელმძღვანელებს ბარცელსა და შტრეკენსაც სანიმუშოდ ჰქონდათ გაცნობიერებული თავიანთი მოვალეობა და პასუხისმგებლობა.

1969 წლის 6 მარტს ფედერალურ ყრილობაზე გუსტავ ჰაინემანი 512 ხმიდან 506 ხმით მესამე ფედერალურ პრეზიდენტად აირჩიეს. 1925 წლის 28 თებერვალს ფრიდრიხ ებერტის გარდაცვალების შემდეგ არც ერთ სოციალ-დემოკრატს აღარ დაუკავებია გერმანიის სახელმწიფო მეთაურის პოსტი. მას შემდეგ ორმოცდაოთხი წელი გავიდა.

ჰაინემანს სურდა ფედერალური პრეზიდენტი ყოფილიყო და გახდა კიდეც. სამოცდარვიანელების თაობა სახელმწიფოსთან მან შეარიგა, რაც ძალზე ბევრს ნიშნავდა და დღესაც არ კარგავს ამ მნიშვნელობას. თუმცა „ქვეყნის მამის" — თეოდორ ჰოისისაგან განსხვავებით, ჰაინემანი ნამდვილი პოპულარობით არ სარგებლობდა. მისი თავაზიანობა ძალზე მყიფე გახლდათ. საკუთარ თავთან ბრძოლა უხდებოდა, მისთვის იოლი არ იყო სხვა ადამიანებთან დაახლოება. მოგვიანებით გარკვეული მსგავსება აღმოვაჩინე ჰოისსა და მისგან საერთოდ ძალიან განსხვავებულ ჰელმუთ შმიდტს შორის, რომელიც ცდილობდა ადამიანებთან მეგობრული და კეთილგაწყო-

ბილი ურთიერთობა ჰქონოდა, მაგრამ ამას ვერ ახერხებდა.

გუსტავ ჰაინემანი მნიშვნელოვანი ფედერალური პრეზიდენტი გახლდათ, თუმცა ფედერალური რესპუბლიკის საშინაო პოლიტიკაზე უფრო ამახვილებდა ყურადღებას და მიუხედავად იმისა, რომ დიდ შეფასებას ვაძლევდი მის საერთოგერმანულ პოლიტიკას, ილუზორულად ვთვლიდი ჰაინემანის ადრეულ საგარეოპოლიტიკურ მოსაზრებებს, მით უფრო, რომ ეს მოსაზრებები გერმანიის გაერთიანებასთან არანაირ კავშირში არ იყო.

მახსენდება, როგორ ვცდილობდი მის დარწმუნებას ერთი რეფორმის აუცილებლობაში: ძალიან მაღელვებდა ის ამბავი, რომ ფედერალურ ჯვრის ორდენს, როგორც წესი, ასაკისა და რანგის შესატყვისად ანიჭებდნენ, ასე რომ, თუ ვინმე ძალიან მოინდომებდა, მიიღებდა კიდეც ამ ჯილდოს. ვინაიდან შინაგან საქმეთა მინისტრი გახლდით „ორდენის მინიჭება“ ჩემს კომპეტენციაში შემოდიოდა, ამიტომ ვკითხე, იქნებ ახალგაზრდებიც დავაჯილდოვოთ-მეთქი? შესანიშნავი ხალხი მყავს საზღვრის დაცვის დეპარტამენტში. ბევრი მათგანი ისე ანებებს სამსახურს თავს, რომ საკუთარი შესაძლებლობების სრულ გამოვლენას ვერც ასწრებს-მეთქი. ვერ დავარწმუნე. მაგრამ იმას კი მივაღწიე, რომ ცნობილი სპორტსმენები და ხელოვნების მუშაკები დაეჯილდოვებინათ. მათ შორის იყვნენ: გერდ ფრიობე და ო. ე. ჰასე, მაქს შმელინგი, ფრიც ვალტერი და უვე ზეელერი. ჩემს მიერ ჯილდოზე წარდგენილმა ერთ-ერთმა ხელოვანმა — თეო ლინგენმა ჯილდოზე უარი განაცხადა. მან ძალზე ამაღელვებელი, შემდეგი შინაარსის წერილი გამომიგზავნა: მესამე რაიხის დროს, როდესაც ყოველგვარ კულტურულ და ადამიანურ ღირებულებებს ფეხქვეშ თელავდნენ, მათ სამსახურში ჩავდექი, მაშინ, როცა სხვები განზე გადგნენ ანდა სულაც დაუპირისპირდნენ არსებულ რეჟიმს და ამიტომ ამ ჯილდოს არ ვიმსახურებო. თეო ლინგენი, როგორც მსახიობი, მანამდეც ძალიან მიყვარდა, მას შემდეგ კი ვეთაყვანები, როგორც პიროვნებას.

## *1969 წლის ბუნდესტაგის არჩევნები და ბრანდტ-შეელის ახალი მთავრობა*

არჩევნების საღამოს, 29 სექტემბერს, ბონში, ტალვეგზე მდებარე თავისუფალი დემოკრატიული პარტიის რეზიდენციაში შევიკრიბეთ. ამ გამოთქმის ჭეშმარიტი მნიშვნელობით საკითხი ამგვარად იდგა: ან ყველაფერი, ან არაფერი. ვალტერ შეელი, ვოლფგანგ მიშნიკი და მე მონუსხული მივჩერებოდით ტელეეკრანს. რკინის ნერვები უნდა გქონოდა კაცს. წინასწარი მონაცემები დამაფიქრებლად შეჩერდა 5 პროცენტზე, ბოლოს კი 5,8 პროცენტს მიაღწია. ეს ყველაზე ცუდი მაჩვენებელი გახლდათ, რაც კი ოდესმე გვქონია, თუმცა ბუნდესტაგში ვრჩებოდით და წმინდა მათემატიკური გაანგარიშებით შეგვეძლო უმრავლესობაში ვყოფილიყავით ქრისტიანულ-დემოკრატიულ/ ქრისტიანულ-სოციალურ კავშირებთან ან სოციალ-დემოკრატიულ პარტიასთან ალიანსის შედეგად. სოციალ-დემოკრატებმა 1965 წელთან შედარებით ხმათა 42,7 პროცენტი მიიღეს. ჩვენს ერთობლივ 48,5 პროცენტს უპირისპირდებოდა კავშირის პარტიების 46,1 პროცენტი. გადამწყვეტი როლი ითამაშა ვალტერ შეელმა, როდესაც მან პარტიის თავმჯდომარეთა ბოლო საარჩევნო ტელეგადაცემაში საშინაო და საგარეოპოლიტიკური თვალსაზრისით აუცილებელ პერსპექტივად დასახა სამთავრობო ცვლილება, რომელსაც თავისუფალი დემოკრატიული პარტია ესწრაფვოდა, და თავისუფალი დემოკრატებისა და სოციალ-დემოკრატებისგან დაკომპლექტებული მთავრობის შექმნა.

არჩევნების საღამოს მიშნიკმა და ჰოპემ ალექს მიოლერთან საუბარი მოითხოვეს. მე ჰელმუთ კოლთან გავემგზავრე რაინლანდ-პფალცის ბონის წარმომადგენლობაში. კოლმა იმ დროს მიმიღო, როცა ფედერალურმა კანცლერმა კიზინგერმა პრეზიდენტ ნიქსონისაგან მისალოცი დეპეშა მიიღო, კანცლერიც არჩევნებში გამარჯვებულად თვლიდა თავს. ჰელმუთ კოლმა კორექტული პარტნიორობა აღმითქვა იმ პირობით, თუ შეელი საგარეო საქმეთა სამინისტროზე უარს იტყოდა: შეუძლია ისევ განვითარების მინისტრი გახდესო. მე შევეპასუხე: „საკოალიციო მოლაპარაკების ძირითად წინაპირობად თავისუფალი დემოკრატიული პარტია შეელის საგარეო საქმეთა მინისტრად დანიშვნას მიიჩნევს. შენი პარტიის ადგილზე“, ჩვენ შენობით მივმართავდით ერთმანეთს, „სწორედ ახლა არ გავანაწყენებდი

თავისუფალ დემოკრატიულ პარტიას“. ჰელმუთ კოლმა, როგორც მომეჩვენა, გააცნობიერა ეს. დავემშვიდობე და ვალტერ შეელთან წავედი, რომლის სახლშიც უკვე ირეოდა ჟურნალისტების არმია. ჩვენ ზედა სართულზე შინამოსამსახურე ქალის ოთახში განვმარტოვდით. ჰანს-გიუნთერ ჰოპე, ვილფგანგ მიშნიკი, ვალტერ შეელი და მე საწოლსა და ტუმბოზე მოვთავსდით. მიშნიკმა და ჰოპემ მიოლერთან შეხვედრის შედეგები გაგვაცნეს, მე კი ჰელმუთ კოლთან ჩემი საუბრის შესახებ მოვყევი. ამასობაში ვილი ბრანდტს დაურეკავს ვალტერ შეელისთვის და უთქვამს: ბატონო შეელ, სამ უწყებას გთავაზობთ და არჩევანი თქვენთვის მომინდვია. მე მთავრობაში ძლიერი პარტნიორი მჭირდებაო. მისი მხრიდან ეს ჭკვიანური და კორექტული ნაბიჯი გახლდათ. წილი ნაყარი იყო.

კიზინგერი აშკარად ვერ აცნობიერებდა, რომ თავისთავად ცხადი არ იყო, ჩვენი ხმები რომ მიიღო. ჩვენში შემტევი განწყობა სუფევდა. აშკარა შეიქნა: თავისუფალი დემოკრატიული პარტიისა და სოციალ-დემოკრატიული პარტიის საგარეო და შიდაპოლიტიკური შეხედულებები ზედმიწევნით შეთავსებადი აღმოჩნდა. უმრავლესობის საარჩევნო კანონპროექტს, რომელიც ესოდენ დიდხანს გვემუქრებოდა, ბოლო მოეღო.

მოვიძიებთ რა იმ მიზეზებს, რომელთა გამოც თავისუფალი დემოკრატიული პარტია და ქრისტიანულ-დემოკრატიული/ქრისტიანულ-სოციალური კავშირები მრავალწლიანი წარმატებული თანამშრომლობის შემდეგ ასე ძალიან დაშორდნენ ერთმანეთს, უმრავლესობის საარჩევნო უფლება ერთადერთი მიზეზი არ აღმოჩნდება. ქრისტიანულ-დემოკრატიულ/ქრისტიანულ-სოციალურ კავშირებთან ერთად საგარეო პოლიტიკაში სიახლის დანერგვა შეუძლებელი გახლდათ. ამას გარდა სოციალ-დემოკრატიულ პარტიაში მოღვაწეობდნენ ისეთი პიროვნებები, როგორებიც იყვნენ ალექს მიოლერი და კარლ შილერი, რომლებთან ერთადაც შესაძლებლობა გვეძლეოდა ნიადაგი მოგვემზადებინა საგარეო და ეკონომიკურ პოლიტიკაში ძირეული გარდაქმნისათვის.

ჯერ კიდევ 1961 წელს სტრატეგიულ შეცდომად ვთვლიდი, საგარეო საქმეთა სამინისტრო ქრისტიანულ-დემოკრატიულ პარტიას რომ დავუთმეთ. მაშინაც იმ აზრის ვიყავი, რომ კოალიცია ქმედითუნარიანი იმ შემთხვევაში იქნებოდა, თუ ორივე პარტნიორი იკისრებდა პირად პასუხისმგებლობას პოლიტიკის სამ ცენტრალურ სფეროზე.

*1969 წლის 21 ოქტომბერი. ბრანდტ-შეელის პირველი სამთავრობო კაბინეტის წევრები ვილა ჰამერშმიდტის წინ. პირველ რიგში მარცხნიდან მარჯვნივ: გერჰარდ იანი, ქეთე შტრობელი, ფედერალური პრეზიდენტი გუსტავ ჰაინემანი, ფედერალური კანცლერი ვილი ბრანდტი, ვალტერ შეელი, გეორგ ლებერი. მეორე რიგში: ჰელმუთ შმიდტი, ალექს მიოლერი, ერჰარდ ეპლერი, ჰანს-დიტრიხ გენშერი, ვალტერ არენდტი. მესამე რიგში: ეგონ ფრანკე, ლაურიც ლაურიცენი, ჰორსტ ემკე, იოზეფ ერტლი.*

თუ ერთ-ერთი მხარე კანცლერის კანდიდატურას წამოაყენებდა, მეორე მხარეს უმნიშვნელოვანესი უწყება — საგარეო საქმეთა სამინისტრო — უნდა აეღო თავის თავზე; თუ რომელიმე მხარე ეკონომიკურ უწყებას ჩაუდგებოდა სათავეში, მეორე მხარე — ფინანსთა სამინისტროს უნდა გაძღოლოდა; ერთი თუ იუსტიციის სამინისტროს მართავდა, მეორე — შინაგან საქმეთა სამინისტროში უნდა ყოფილიყო წარმოდგენილი. არც ერთ მნიშვნელოვან სფეროში არ უნდა დარჩეს პარტნიორი პასუხისმგებლობის გარეშე, წინააღმდეგ შემთხვევაში,

პოლიტიკური „ქარ-ცეცხლის“ დროს შეიძლება ვერ გაუძლო ცდუნებას, შენს წილ პასუხისმგებლობას თავი აარიდო და კოალიციის შიგნით ოპოზიციონერობას მიჰყო ხელი.

მართებულად ვთვლიდი, რომ სოციალ-დემოკრატებთან კოალიციაში ყოფნისას ვითხოვდით ფინანსთა სამინისტროს, უწყებას, რომელიც პირადად მაინტერესებდა. თუმცა მალევე გავარკვიე, რომ ალექს მიოლერმა ამ სფეროსთან დაკავშირებით გამართული კოალიციური მოლაპარაკებებისას კომპენტენტურობისა და აქტიურობის დემონსტრირებით იმდენად მკაფიოდ გამოსატა ამ უწყებისადმი ინტერესი, რომ ფინანსთა სამინისტროზე უარი ვთქვი. ეკონომიკის მინისტრის კანდიდატურა უკვე დადგენილი გახლდათ; ამ უწყებას კარლ შილერი უხელმძღვანელებდა. ამიტომ ვალტერ შეელს ვუთხარი: თუ ფინანსთა სამინისტროს ისეთი გამოცდილი და კომპეტენტური ადამიანი მოისურვებს, როგორიც მიოლერია, დიდ შეცდომას დავუშვებთ, თუ უარს ვეტყვით-მეთქი. ცხადია, ეს მნიშვნელოვანი პიროვნება ფინანსთა სამინისტროს პოლიტიკური კარიერის მწვერვალად, ერთგვარ დამაგვირგვინებელ საფეხურად და, თუ მის ასაკს გავითვალისწინებთ, ბოლო შანსადაც აღიქვამდა. ასე რომ, ბრანდტის პირველ კაბინეტში ფინანსთა მინისტრის ადგილი ალექს მიოლერმა დაიკავა. მე კი შინაგან საქმეთა მინისტრი გავხდი. ამ ფაქტის გათვალისწინებით ვილი ბრანდტს შეეძლო დაენახა, რომ მისი წინადადებით — თავადვე აგვერჩია ჩვენთვის მნიშვნელოვანი უწყება — ბოროტად არ გვისარგებლია. თავისუფალ დემოკრატიულ პარტიაში დიდი აღტაცება არ გამოუწვევია შინაგან საქმეთა სამინისტროს გადმოცემას, რადგან ერთგვარი ცრურწმენა არსებობდა: ლიბერალს უფლება არ ჰქონდა შინაგან საქმეთა მინისტრი გამხდარიყო. ჩემი აზრით კი, შინაგან საქმეთა მინისტრს ლიბერალური რეფორმატორული პოლიტიკა უნდა გაეტარებინა. ამგვარი გახლდათ ლიბერალური მოწოდება.

მინისტრთა კაბინეტში ჩემი მოხვედრა ერთ პირობასთანაც იყო დაკავშირებული. ვოლფგანგ მიშნიკს, რომელიც 1967 წლიდან ბუნდესტაგის ფრაქციის თავმჯდომარე გახლდათ, გადაწყვეტილების მიღების პრივილეგია ჰქონდა; მინისტრთა კაბინეტში მხოლოდ იმ შემთხვევაში შევიდოდი, თუ ის ამაზე უარს იტყოდა. მოლაპარაკებების დროს ჰელმუთ შმიდტი ხშირად მეკითხებოდა: რას აპირებთო? — მაინც რატომ გაინტერესებთ-მეთქი? — გულახდილად გეტყვით,

სიამოვნებით დავიკავებდი თავდაცვის მინისტრის ადგილს, მაგრამ თუ მიშნიკის ნაცვლად ფრაქციის თავმჯდომარეობას იკისრებთ, სოციალ-დემოკრატიული პარტიის ფრაქციაში მეც თავმჯდომარის პოსტზე დავრჩებიო.

თავისუფალი დემოკრატიული პარტიის მმართველ ორგანოებში გამართული დისკუსიებისას ვილი ვაიერმა ითამაშა გადამწყვეტი როლი. ვაიერიც ლიბერალი გახლდათ და წარმატებით ხელმძღვანელობდა ნორდრაინ-ვესტფალენის შინაგან საქმეთა სამინისტროს, ამიტომ ფრაქციაში დაჟინებით მოითხოვდა, რომ მე ჩავდგომოდი სათავეში შინაგან საქმეთა სამინისტროს. მაშასადამე, გუსტავ ჰაინემანის, რობერტ ლეერის, გერჰარდ შრიოდერის, ჰერმან ჰიოხერლის, პაულ ლიუკესა და ერნსტ ბენდას შემდეგ მეშვიდე საგარეო საქმეთა ფედერალური მინისტრი გავხდი; ფედერაციული რესპუბლიკის არსებობის ისტორიაში ეს ადგილი პირველად დაიკავა მინისტრმა, რომელიც კავშირის პარტიებს არ მიეკუთვნებოდა.

1969 წლის 17 ოქტომბერს მეორედ დავქორწინდი: ჩემი მეუღლე ბარბარა, თავისი გვარით შმიდტი, 1945 წლის დამდეგს, ცხრა წლის ასაკში, მშობლებთან და ძმასთან ერთად სილეზიიდან საქსონიაში გადავიდა, რათა მოახლოებული წითელი არმიისთვის დაეღწია თავი. დედამისი 1945 წელს გარდაიცვალა. 1948 წელს მამამისმა შვილებთან ერთად დატოვა საბჭოთა საოკუპაციო ზონა და ზიგბურგში ნათესავებთან გაემგზავრა. მამამისმა, რომლის მამულიც სილეზიაში სამოცდათხუთმეტ ჰექტარს მოიცავდა, მოგვიანებით ზიგბურგის მახლობლად ოცდახუთი ჰექტარი მიიღო და სოფლის მეურნეობას მიჰყო ხელი. ჩემმა მეუღლემ არასრული საშუალო განათლების მიღების შემდეგ სკოლა მიატოვა და 1968 წლის ზაფხულამდე თავისუფალი დემოკრატიული პარტიის ბუნდესტაგის ფრაქციაში მუშაობდა.

## თავი 4

# შინაგან საქმეთა სამინისტროში

### *შინაგანი რეფორმები*

1969 წლის 22 ოქტომბერს პირველად დამნიშნეს ფედერალური მინისტრის თანამდებობაზე. სამინისტროს ავტომობილით სახლში მომაკითხეს და გეზი ფედერალური პრეზიდენტისკენ ავიღეთ. პრეზიდენტის მიერ დანიშვნის სიგელის გადაცემა საპატიო და მოკრძალებულ რიტუალს წარმოადგენდა. ცერემონიალს ვილი ბრანდტიც ესწრებოდა, რომელიც ბუნდესტაგმა და ფედერალურმა პრეზიდენტმა უკვე დანიშნეს ფედერალურ კანცლერად. მე და ბრანდტს ჯერ კიდევ არ გვაკავშირებდა პირადი ურთიერთობა, ძალზე დიდ მოწიწებისა და პატივისცემის გრძნობას აღმიძრავდა კანცლერის მოღვაწეობა, ბერლინის ბიურგერმაისტერად ყოფნის დროს მის მიერ გამოჩენილი სიმტკიცე და მისი ქარიზმატული პიროვნება. დანიშვნის დამადასტურებელი დოკუმენტი პირადად გადმოგვცა ადამიანმა, რომლის ფედერალურ პრეზიდენტად არჩევა ორიოდე თვის წინ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ისტორიაში ახალი ეპოქის დაწყებას მოასწავებდა.

ვილა ჰამერშმიდტი როდესაც დავტოვე, ვნახე, რომ მძღოლს მანქანაზე უკვე დაეშაგრებინა პატარა ალამი. ახალდანიშნული ფედერალური მინისტრი „თავის" სამინისტროში მიდიოდა. ალამი მალე მოვხსენით მანქანას. სამოქალაქო სახელმწიფოს ჩემეულ ლიბერალურ გაგებას — აბსოლუტისტური სახელმწიფოსგან განსხვავებით — ეს არ შეესატყვისებოდა.

ფედერალური მინისტრის ჰანს-დიტრიხ გენშერის საქმიანობა სხვა მინისტრების საქმიანობისგან განსხვავდებოდა, რადგან ჩემს დაქვემდებარებაში ორი სამინისტრო შემოვიდა: შინაგან საქმეთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა, ლტოლვილთა და ომის ინვალიდთა ფედერალური სამინისტროები; ეს უკანასკნელი, ფედერალური მთავრობის რეორგანიზაციის ფარგლებში, შინაგან საქმეთა სამინისტროს შემადგენლობაში შევიდა. თუმცა კიდევ ერთი თავისებურება არსებობდა, რაც — მადლობა უფალს — დღემდე გამონაკ-

ლისს წარმოადგენს. ჩემმა წინამორბედმა ერნსტ ბენდამ, ჩვეულებისამებრ, თანამშრომლების თანდასწრებით არ გადმომბარა სამინისტრო და საერთო შეკრებაზე კი არ გამოემშვიდობა მათ, არამედ ცირკულარის საშუალებით. როდესაც სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებას შევუდექი, ცხადია, ბატონმა ბენდამ მაინც მოისურვა ჩემთან საუბარი. საუზმეზე დავპატიჟე. მთხოვა, მის ძველ პირად თანამშრომლებს საკადრისად მოვპყრობოდი. ყოველგვარი დაპირების გარეშეც ასე მოვიქცეოდი, ეს ხომ ბუნებრივი იყო ჩემთვის. სანამ ამ თანამდებობაზე ვიმყოფებოდი, ყოველთვის ვიცავდი პრინციპს, რომ დაუშვებელია თანამშრომლების დაქვეითება ან დაწინაურება ყოფილ ხელმძღვანელთან მათი პოლიტიკური სიახლოვისა თუ დაშორების, ან სხვა პარტიული ნიშნის გამო. სხვათა შორის, ისევ ბატონი ბენდას მძღოლი, ბატონი პოოლი მემსახურებოდა, იგივე ითქმის მდივან ქალბატონებზე — რაიცერსა და გელერზე, — ასეთი რამ, როგორც ვაკვირდები, იშვიათად ხდება. ქალბატონ რაიცერს ვუთხარი: ჩემთან თანამშრომლობა თუ გეძნელებათ, შეგიძლიათ სამინისტროში სხვა სამსახური მოძებნოთ, ჩემთვის ეს პრობლემას არ წარმოადგენს-მეთქი. მან დარჩენა გადაწყვიტა. ოცდასამი წლის განმავლობაში ქალბატონი რაიცერი ჩემს მთავარ მდივნად მუშაობდა, სავსებით ვენდობოდი და გაამართლა კიდეც ჩემი ნდობა.

სამინისტროში ჩემთან ერთად მოვიდნენ მხოლოდ უფროსი სახელმწიფო მრჩეველი ბინათმშენებლობის სამინისტროდან, ერიხ შაიბლე, რომელიც მინისტრის სამდივნოს ჩაუდგა სათავეში და ჰერბერტ შმიულინგი, საასესორო გამოცდის ჩაბარების შემდეგ ერთხანს ბუნდესტაგში ჩემს ასისტენტად რომ მუშაობდა. მან პრესმდივნის მოვალეობა იტვირთა. მალე გიუნთერ ფერჰოიგენიც შემოგვიერთდა და საზოგადოებასთან მუშაობის სფერო აიღო თავის თავზე. ის ჯერ კიდევ ნორდრაინ-ვესტფალენში ახალგაზრდა დემოკრატებს შორის გამოვარჩიე მისი ენერგიულობისა და შეუპოვრობის, დიდი ინტელექტისა და უზადო, ბრწყინვალე ანალიტიკური უნარის გამო.

როდესაც სამინისტროს თანამშრომელთა შეკრებაზე პირველად გამოვცხადდი, ჩემი წინამორბედის ნაცვლად მინისტრის მოადგილემ, დოქტორმა გუმბელმა ისაუბრა. გერმანელ მოხელეთა კეთილი ტრადიციის თანახმად მან სამინისტრო ჩამაბარა და ამდენად, ამ სამინისტროს თანამშრომელთა ჭირი და ლხინიც გამიზიარა. მისი

საქციელი მით უფრო დასაფასებელია, რომ პირველი შეხვედრისთანავე ვაცნობე, სამსახურიდან წასვლა მოგიწევთ, დარწმუნებული ვარ, ერთად ვერ ვიმუშავებთ-შეთქი. ამისი მიზეზი ბატონი გუმბელის პიროვნული და პროფესიული მრწამსი გახლდათ და მის კვალიფიკაციას — რაშიც ეჭვს ვერ შეიტანდა კაცი — არ ეხებოდა. საგანგებო კანონმდებლობაზე მუშაობის პერიოდში შინაგან საქმეთა სამინისტროს ხელმძღვანელობის პოზიციამ, ყველაზე მეტად კი მისმა დამოკიდებულებამ საარჩევნო კანონში ცვლილების შეტანასთან დაკავშირებით, რაც თავისუფალი დემოკრატიული პარტიის გამორიცხვას გულისხმობდა, თავისი შედეგი გამოიღო. ბატონმა გუმბელმა მიპასუხა, ამავე მიზეზთა გამო თავად ვაპირებდი წასვლასო.

მინისტრის ყოფილ მოადგილეს, თვალსაჩინო პიროვნებას, დოქტორ შეფერს სამინისტროში დაბრუნება ვთხოვე. ის სპეციალობით მუშაობდა მნიშვნელოვან თანამდებობაზე რაინლანდ-პფალცის მხარის სამინისტროს ადმინისტრაციაში. შინაგან საქმეთა ფედერალურ სამინისტროში კი შეთავსებით მუშაობდა ორ თანამდებობაზე — მინისტრის მოადგილედ და განყოფილების უფროსად, — ვიდრე უმრავლესობის საარჩევნო კანონის მომხრე შინაგან საქმეთა მინისტრ ლიუკესთან პოზიციების პრინციპული სხვაობის გამო სამსახურიდან წავიდოდა. მინისტრის მეორე მოადგილის თანამდებობა ბერლინის სენატის თავმჯდომარემ და ბერლინის რწმუნებულმა ფედერაციაში — დოქტორმა გიუნთერ ჰარტკოპფმა დაიკავა. ბედმა ისევ შეგვახვედრა ერთმანეთს. ფედერალურმა ფინანსთა მინისტრმა დოქტორმა შტარკემ (თავისუფალი დემოკრატიული პარტია) 1961 წელს მინისტრის ბიუროში სამსახური შემომთავაზა, რაზეც ხანმოკლე ფიქრის შემდეგ უარი ვუთხარი, თუმცა ჩემს ნაცვლად ორი ახალგაზრდა მოხელის კანდიდატურა შევთავაზე: დოქტორ გიუნთერ ჰარტკოპფისა ნორდრაინ-ვესტფალენის ფინანსთა სამმართველოდან და პეტერ მაგენისა ბერლინის სენატის ადმინისტრაციიდან. შტარკემ დოქტორ ჰარტკოპფზე შეაჩერა არჩევანი და არც უნანია. რამდენიმე წლის შემდეგ ჰანს-გიუნთერ ჰოპემ დამირეკა, ბერლინის დეპუტატთა პალატის ვიცე-პრეზიდენტმა, ფინანსთა და იუსტიციის სენატორმა და მკითხა, როგორც ბერლინის რწმუნებული ბონში სენატის თავმჯდომარე ხომ არ იქნებოდითო? ხელახლა შევთავაზე დოქტორ გიუნთერ ჰარტკოპფის კანდიდატურა. ჩემი წინადადება

ისევე მართებული აღმოჩნდა, როგორც შემდგომ მისი დანიშვნა შინაგან საქმეთა ფედერალური მინისტრის მოადგილედ.

მინისტრის მოადგილის დოქტორ შეფერის დაბრუნებას სამინისტროს თანამშრომლები მქუხარე ტაშით შეეგებნენ, ისევე, როგორც დოქტორ ბროკმანის ხელახლა დანიშვნას, რომელიც შინაგან საქმეთა მინისტრმა, ბენდამ გადააყენა და, რომელიც სახელმწიფო მოხელეთა სამართლის სფეროს აღიარებული სპეციალისტი გახლდათ.

რეორგანიზებულ სამინისტროში კომპეტენციათა ძალზე ფართო სფერო დამხვდა. შინაგან საქმეთა ფედერალური მინისტრი, იმ დროს მაინც, უმნიშვნელოვანეს მინისტრთა ჯგუფში შედიოდა, ხოლო სხვა მრავალ ამოცანასთან ერთად დევნილთა სამინისტროს შემოერთებამ მისი მნიშვნელობა კიდევ უფრო გაზარდა. ამასთანავე, გარემოს დაცვის სამსახურიც უკვე მის კომპეტენციაში შედიოდა. კანცელარიის უფროსმა, ჰორსტ ემკემ, ფედერალური მთავრობის ახალი ხელმძღვანელობის დავალებით ფედერალურ კანცლერს შესთავაზა, კომპეტენციის ეს სფეროები შინაგან საქმეთა ფედერალური სამინისტროისთვის გადაეცა. ჰორსტ ემკემ და მე მხოლოდ ორ შემთხვევაში ვერ მიეღეთ თანხმობა ჩვენს მოთხოვნაზე. ბუნების და ცხოველთა დაცვის უწყება სოფლის მეურნეობის სამინისტროს დაქვემდებარებაში დარჩა, ამ უწყებას ჩემი მეგობარი იოზეფ ერტლი ხელმძღვანელობდა. ერტლი ვილი ბრანდტს ეახლა და უთხრა: ძალზე მძიმე მდგომარეობაში ჩამაყენებთ გერმანული სოფლის მეურნეობის წარმომადგენლების წინაშე, თუკი ამ ორ დარგს შინაგან საქმეთა ფედერალურ სამინისტროს გადავცემო. მე მყისვე დავთმე ჩემი პოზიცია, რადგან დაუშვებლად მიმაჩნდა, რომ სოციალ-დემოკრატ ფედერალურ კანცლერს ორ ლიბერალ მინისტრს შორის მომრიგებლის როლი ეთამაშა. ამასთან, იოზეფ ერტლთან მეგობრობა უფრო მეტს ნიშნავდა, ვიდრე კიდევ ორი მნიშვნელოვანი დარგის შემოერთება, თუმცა კარგად მესმოდა ისიც, რომ ერტლმა მე კი არა, საკუთარ თავს ავნო. სოფლის მეურნეობით დაინტერესებულ პირთა მხრიდან ერტლი უფრო მეტი ზეწოლის ქვეშ მოექცეოდა, ვიდრე შინაგან საქმეთა მინისტრი.

დევნილთა სამინისტროს გადმოცემა, როგორც თავდაპირველად შემატყობინეს, წესისამებრ, თანამშრომელთა თანდასწრებით უნდა მომხდარიყო, თუმცა მოულოდნელად მაცნობეს ბატონ ვინდე-

ლენს სურს, სამინისტრო განყოფილების ხელმძღვანელთა წრეში მინისტრის მოადგილის თანდასწრებით გადმოგაბაროთო. უყოყმანოდ დავთანხმდი. ცხადია, ესოდენ პატივცემულ ჰაინრიხ ვინდელენს კოლეგა ბენდასთან დაპირისპირება არ სურდა და კომპრომისულ გადაწყვეტილებას მიაგნო. დევნილთა სამინისტროს თანამშრომლები შინაგან საქმეთა სამინისტროში პერსონალის საერთო კრებაზე მოვიწვიე. მინისტრის მოადგილეს პეტერ-პაულ ნაამს დარჩენა ვთხოვე; საპენსიო ასაკს მიტანებულს სამსახურის ვადა საკმაოდ გავუხანგრძლივე. ის შესანიშნავი ადმინისტრაციული მუშაკი გახლდათ, რომელიც გაგებით და ადამიანური გულისხმიერებით ეკიდებოდა მილიონობით ლტოლვილის, დევნილისა და იძულებით გადაადგილებულის ბედისწერას. დიდი გამოცდილების მქონე თანამშრომელზე უარს ვერ ვიტყოდი. დოქტორმა შეფერმა და დოქტორმა ჰარტკოპფმაც მოიწონეს ჩემი გადაწყვეტილება. ნათლად მქონდა გაცნობიერებული, რომ მრავალი ახალი ამოცანის შესრულება გვევალებოდა, ორივე მათგანს ძალზე ახარებდა ის, რომ უცხო და უცნობ სფეროში არ მოუხდებოდათ მუშაობა.

შინაგან საქმეთა ფედერალურ სამინისტროში მისვლით თავისუფალი დემოკრატიული პარტიისა და სოციალ-დემოკრატიული პარტიის რეფორმატორული პოლიტიკის გატარება მსურდა. ფედერაციული რესპუბლიკა ლიბერალური სამართლებრივი სახელმწიფოა და ლიბერალმა შინაგან საქმეთა მინისტრმა ამ სახელმწიფოებრივი გაგების შესაბამისად უნდა იმოქმედოს. იგივე ითქმის მოქალაქეებისა და სახელმწიფოს ურთიერთობაზე, ასაკობრივი საარჩევნო ცენზის შემცირებასა და სახელმწიფო მოსამსახურეთა ახლებურ მიდგომაზე ლიბერალურ სამოქალაქო სახელმწიფოსადმი. რეფორმების აუცილებლობა განსაკუთრებით იგრძნობოდა „შინაგანი უშიშროების“ სფეროში. მოქალაქეთა თავისუფლების, სიცოცხლისა და საკუთრების დაცვა პოლიციის ქმედითუნარიანობის ამაღლებით უნდა გაგვეძლიერებინა და არა მხოლოდ თავისუფლების აღმკვეთი ღონისძიებებით. ამავე დროს სამომავლო ამოცანებზეც უნდა გვეფიქრა, შეგვემუშავებინა გარემოს დაცვის პოლიტიკა, ნამდვილად ღირსი ამ სახელწოდებისა, და რეგიონალური ინფრასტრუქტურის განვითარების წინდახედული პოლიტიკა. ვცდილობდი, ახალ ხარისხში ამეყვანა ურთიერთობები სახელმწიფოსა და კულტურას, სახელმწი-

ფოსა და სპორტს, სახელმწიფოსა და სხვადასხვა სახის მაშველ ორგანიზაციებს შორის.

რამდენიმე კვირა დამჭირდა, რათა გავცნობოდი შინაგან საქმეთა სამინისტროს პასუხისმგებლობისა და კომპეტენციის სფეროებს, რაც მოვალეობათა ფართო სპექტრის გამო არც ისე იოლი საქმე გახლდათ. გამოცდილმა მოადგილეებმა, შეფერმა და ჰარტკოპფმა, ფასდაუდებელი დახმარება გამიწიეს. ამასთანავე, სამინისტროში შესანიშნავი კადრები, მაღალკვალიფიციური და ქმედითუნარიანი მუშაკები გვყავდა. ყოველი მათგანი პირადად იყო დაინტერესებული, რომ შინაგან საქმეთა ფედერალურ სამინისტროს კვლავ იმგვარი მნიშვნელობა შეეძინა, როგორიც მას გერჰარდ შრიოდერისა და ჰერმან ჰიოხერლის მოღვაწეობის პერიოდში ჰქონდა.

## *საჯარო სამსახური*

გერმანელ მოხელეთა გაერთიანებასთან თავიდანვე კარგი ურთიერთობის დამყარებას ვცდილობდი. სახელმწიფო მოხელეთა კანონმდებლობა და მოხელეთა ხელფასების რეგულირება შინაგან საქმეთა სამინისტროს ამოცანებში შედიოდა; როგორც მალევე დავადგინე, ეს განსაკუთრებით რთული სფერო იყო, და საჯარო სამსახურის თანამშრომელთა და მუშათა გამოისობით ამას გაერთიანების სატარიფო პოლიტიკაც ემატებოდა. სატარიფო მოლაპარაკებები საჯარო სამსახურის პროფკავშირსა და გერმანიის მოსამსახურეთა პროფკავშირთან სატარიფო საზოგადოებაში გართიანებული ფედერალური მხარეების და კომუნალურ დამქირავებელთა კავშირების მონაწილეობით მიმდინარეობდა.

შინაგან საქმეთა მინისტრად ჩემი ხანგრძლივი მოღვაწეობის პერიოდში მხარეთა სატარიფო საზოგადოების თავმჯდომარე გახლდათ ნორდრაინ-ვესტფალენის ფინანსთა მინისტრი ვერცი (სოციალ-დემოკრატიული პარტია). კომუნალურ მეწარმეთა კავშირის სათავეში იდგა შტუტგარტის უპარტიო ობერბიურგერმაისტერი დოქტორი კლეტი, კაცი, რომელიც მეორე მსოფლიო ომის შემდეგ თავიდანვე ამ საქმეს ემსახურებოდა. ბიურგერმაისტერის მოვალეობას იგი ხალხის ინტერესთა შესატყვისად ასრულებდა. სატარიფო

მოლაპარაკებებსაც ამ ყაიდაზე აწარმოებდა. ის მარჯვედ სარგებლობდა იმით, რომ შტუტგარტში ცხოვრობდა და მოღვაწეობდა ჰაინც კლუნკერი – საჯარო სამსახურის პროფკავშირის თავმჯდომარე. მოლაპარაკების მეორე პარტნიორი გახლდათ გერმანიის მუშა-მოსამსახურეთა პროფკავშირის წარმომადგენელი, მოლაპარაკებების კოორდინატორი – ჰაინც გროტეგუტი, რომელიც დიდი ჭკუითა და გამჭრიახობით იცავდა იმ მოსამსახურეთა ინტერესებს, რომელთაც ის წარმოადგენდა. ეს პროფკავშირული ორგანიზაცია თავისი შემადგენლობებითა და პრობლემებით სხვა პარტიებს შორის თავისუფალი დემოკრატიული პარტიის მდგომარეობას მაგონებდა.

ჩემთვის გადამწყვეტი მნიშვნელობის მქონე ორივე პროფკავშირული გაერთიანების ლიდერთან – მოხელეთა კავშირის თავმჯდომარე კრაუზესა და საჯარო სამსახურის პროფკავშირის თავმჯდომარე კლუნკერთან მალე ორმხრივ პატივისცემაზე დაფუძნებული ურთიერთობა დამყარდა. მოგვიანებით ეს ურთიერთობა ახლობლურ დამოკიდებულებაში გადაიზარდა. კრაუზე და კლუნკერი ერთმანეთისგან სავსებით განსხვავებული პიროვნებები იყვნენ და საკუთარ ამოცანებზეც განსხვავებული წარმოდგენა ჰქონდათ. კრაუზე პროფესიულ მოხელეთა ინტერესების დაჯერებული დამცველი იყო. ის დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა იმას, რომ გერმანელ მოხელეთა კავშირი იმ პროფკაშირთა მართვის ობიექტად არ ქცეულიყო, რომლებიც სატარიფო მოლაპარაკებებს უძღვებოდნენ. ამ საკითხში ჩვენი აზრი ერთმანეთს ემთხვეოდა. ის შიშობდა, რომ მისი ორგანიზაციის გავლენა არ შესუსტებულიყო და წილობრივ მონაწილეობასთან დაკავშირებული მოლაპარაკებებისას, რომლებიც შესაბამისი კანონმდებლობის მოსამზადებლად უნდა ჩაგვეტარებინა, მოხელეთა ანაზღაურების გარკვეულ დამოუკიდებლობას მოითხოვდა. ეს ანაზღაურება, როგორც მან განაცხადა, მხოლოდ საგანაკვეთო ხელშეკრულების „გადაწერით" არ უნდა შემოიფარგლულიყო.

ჰაინც კლუნკერი სანიმუშო პროფკავშირული ლიდერი გახლდათ. ეს მთასავით კაცი მხოლოდ ფიზიკური გაგებით არ მიეკუთვნებოდა მძიმე წონით კატეგორიას. მისი დახმარებით უკეთ გავეცანი გერმანიის პროფკავშირულ მოძრაობას და უკეთ გავაცნობიერე მისი მნიშვნელობა დემოკრატიული და სოციალური სტაბილურობის საქმეში. მას მძიმე ამოცანა დაეკისრა: საჯარო სამსახურის პროფკავშირში

გაეწონასწორებინა უაღრესად განსხვავებული ჯგუფების ინტერესები და საჭიროების შემთხვევაში მათი გაერთმნიშვნელიანებაც მოეხდინა მანამდე, სანამ საზოგადოებრივ დამსაქმებელთა სატარიფო მოლაპარაკებებში ჩაერთვებოდა.

მე ვცდილობდი მოლაპარაკების ორივე მხარის ლიდერთან მჭიდრო მეთანამშრომლა. ვცდილობდი, ხშირად მესაუბრა კრაუზესთან და კლუნკერთან, რომელსაც შტუტგარტში სახლში ვეწვეოდი ხოლმე: ძალზე ღიად და ურთიერთნდობის ატმოსფეროში ვუზიარებდით ერთმანეთს ჩვენეულ მოსაზრებებს, რათა ორივე პარტნიორის შესაძლებლობის ზღვარი დაგვედგინა. თუმცა ტარიფებთან დაკავშირებული მოლაპარაკებები ამის გამო სიმძაფრეს კი არ კარგავდა, არამედ კლუნკერის დავისა და კამათის ფონზე მიმდინარეობდა შტუტგარტ-დეგერლოხში, მეტრამვაეთა სანატორიუმში. კლუნკერი თავისი მოადგილის, იაკობის რჩევებსა და პროფესიონალიზმს ეყრდნობოდა, ამ გავლენიანი მხცოვანი კაცის რჩევებს, რომელიც მშვიდი და საზრიანი, ურყევი პოზიციისა და კომპეტენტური მოქმედების წყალობით დამაჯერებელ ზეგავლენას ახდენდა. მოლაპარაკებები ხშირად ღამისთევით მთავრდებოდა, თუმცა ძალიან კარგად მახსენდება ის დრო, თუნდაც იქაური ნუგბარის გამო, რაც თითქმის ყოველდღე ერთნაირი გახლდათ: შვაბური გირცის სუფი და უგემრიელესი რბილი კრენდელები! დღემდე ამ კერძების მოყვარული დავრჩი.

კლუნკერი ზეპოლიტიკური პიროვნება გახლდათ. ეს 1974 წელსაც გამოვლინდა, როცა ტარიფებთან დაკავშირებით გადამწყვეტი შეხვედრა გვქონდა, რომელიც ბოლოს იმ საკითხის გამო გამწვავდა — ერთნიშნა სახელფასო განაკვეთი დაგვემტკიცებიან თუ ორნიშნა, ჩემთვის ცხადი იყო, — სახელმწიფო ბიუჯეტზე რომ აღარაფერი ვთქვათ, — როგორ ნეგატიურ ეკონომიკურ ზემოქმედებას გამოიწვევდა ორნიშნა განაკვეთების შემოღება. სანატორიუმის ტერიტორიაზე სეირნობისას კლუნკერს პირად საუბარში ვუთხარი: თუკი საჯარო სამსახურის პროფკავშირი თავისი მოთხოვნით — რადაც არ უნდა დაუჯდეს 10 პროცენტიან ზღვარს გადასცილდეს — საზოგადოებრივი დაწესებულებების ნორმალურ ფუნქციონირებას საფრთხეს შეუქმნის, პასუხისმგებლობას ვერვინ აიღებს თავის თავზე, ხოლო იმ პრობლემებიდან გამომდინარე, რომელთა წინაშეც ფედ-

*მოხელეთა კავშირის თავმჯდომარესთან, კრაუზესთან, შინაგან საქმეთა მინისტრი გენშერი მოლაპარაკებებს აწარმოებდა მოხელეთა ანაზღაურების შესახებ. ფოტო საძოცდაათიანი წლების დასაწყისშია გადაღებული ბალტიის ზღვაზე, ფედერალური სასაზღვრო დაცვის ნავზე და თვალნათლივ გვიჩვენებს: ისინი ერთმანეთს უგებდნენ.*

ერალური კანცლერი ვილი ბრანდტი იმყოფება სოციალ-დემოკრატიულ პარტიაში, საჯარო სამსახურის პროფკავშირმა კარგად უნდა გაიაზროს, თუ რას აკეთებს-მეთქი. ხელფასებთან დაკავშირებულ ადრინდელ საუბრებზე დაყრდნობით კლუნკერმა მიპასუხა: პროფკავშირი მთავრობის დუდუკზე ვერ იცეკვებსო. მირჩია: საჯაროდ ნუ ილაპარაკებთ, რომ საბოლოო ზღვარი ათ პროცენტზე ნაკლებია, წინააღმდეგ შემთხვევაში, ჩემზე ზეწოლას გააძლიერებენ, რათა ათპროცენტიანი ზღვარი აუცილებლად გადავლახოო.

დღემდე მჯერა, რომ კლუნკერმა ჩემსავით კარგად იცოდა, რაოდენ განსაკუთრებული ეკონომიკური და პოლიტიკური მნიშვნელობა ენიჭებოდა ამ საგანაკვეთო ხელშეკრულების დადებას. ეჭვი არ მეპარებოდა, რომ სერიოზულად ცდილობდა ტარიფების ზღვარი ათ პროცენტზე ქვემოთ შეენარჩუნებინა. ამის შესახებ

ვილი ბრანდტსაც მოვახსენე. სატარიფო ხელშეკრულებებს, როგორც წესი, მთავრობა არ ამზადებდა, რათა სახელშეკრულებო ზღვარი პროფკავშირებისთვისაც ცნობილი ყოფილიყო. ზღვრული შემოსავლის ოდენობას ფედერალური კანცლერი, ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრები განიხილავდნენ. ჰაინც კლუნკერთან საუბრის შემდეგ დაჟინებით ვურჩევდი ფედერალურ კანცლერს, საჯაროდ არ დაესახელებინა სატარიფო ხელშეკრულებით გათვალისწინებული რიცხვი. და თუ ფედერალური მთავრობა, განსაკუთრებით ფედერალური კანცლერი და მინისტრები საჯარო გამოსვლებისას ათპროცენტიან ზღვარს საჯარო სამსახურის პროფკავშირის პრესტიჟის საკითხად არ გადააქცევენ, შევძლებთ ათ პროცენტს ქვემოთ ხელშეკრულების დადებას-მეთქი. მთავრობის წევრების გავლენით ვილი ბრანდტმა მაინც გადაწყვიტა საჯაროდ განეცხადებინა: ფედერალური მთავრობა მიუღებლად თვლის ხელფასების ათპროცენტიან მატებასო. სრულიად ახალი ვითარება შეიქმნა.

ჩვეულებისამებრ შვეულმფრენით გავფრინდი შტუტგარტში და დაუყოვნებლივ შევხვდი ჰაინც კლუნკერს. ბრანდტის განცხადებით აღშფოთებულმა კლუნკერმა მითხრა, რომ ყველაფერი დამთავრდა და ამიერიდან ათ პროცენტზე ნაკლებ ზღვარზე ველარ შევთანხმდებითო. ვუპასუხე, რომ ვილი ბრანდტს ჩვენი მოლაპარაკებების გართულება, ან პროფკავშირის უგულებელყოფა არ ჰქონია განზრახული. ჩემზე კარგად მოგეხსენებათ, რა დამოკიდებულება აქვს მას პროფკავშირებისადმი, თქვენც ხომ სოციალ-დემოკრატი ბრძანდებით, ხოლო ათპროცენტიანი ზღვარის გადალახვა ეკონომიკური თვალსაზრისით იმდენადვე დაუშვებელია, რამდენადაც გაფიცვების მოწყობა საზოგადოებრივ დაწესებულებებში. გერმანიის პირველი სოციალ-დემოკრატი ფედერალური კანცლერი პროფკავშირებთან უთანხმოების გამო არ უნდა დამარცხდეს-მეთქი. ეჭვი არ მეპარება, რომ ჰაინც კლუნკერმა შეუძლებელი შეძლო, რათა ვილი ბრანდტის პოზიცია არ შეესუსტებინა. მსმენია საყვედური, თითქოს ვილი ბრანდტის გადადგომაში კლუნკერს მიუძღოდეს ბრალი, რასაც უსამართლობად ვთვლი. საგაფიცვო მოძრაობა მაინც დაიწყო და სატარიფო ხელშეკრულებაში საშემოსავლო ზღვარი ათ პროცენტს გადასცილდა. როგორც მოსალოდნელი იყო, კომუნალურმა სამსახურებმა გაფიცვას ვერ გაუძლეს, თუმცა გაფიცვის გაგრძელება დიდ

სირთულეებს შეუქმნიდა რკინიგზას და კავშირგაბმულობის დარგებს. ხანგრძლივ დაპირისპირებულობაზე პასუხისმგებლობის აღება კი არავის სურდა, არც ფედერალურ მთავრობას და არც ფედერალურ მხარეებს.

კადრების წარმომადგენლობის შესახებ კანონის განხილვისას სხვადასხვა ფრონტზე დაძაბული ურთიერთობა მომიხდა. შინაგან საქმეთა ფედერალურ სამინისტროში კადრების საბჭოსთან თანამშრომლობამ დამარწმუნა, რომ კადრების წარმომადგენლობის გაფართოება თანამშრომელთა ეფექტური მუშაობის და დაწესებულებაში ატმოსფეროს გაუმჯობესების ინტერესებში იყო და თანამშრომელთა მოტივაციის გაუმჯობესებასაც შეუწყობდა ხელს, თანაც კადრების წარმომადგენლობა არცთუ მორიდებულად ეპყრობოდა მინისტრს. კადრების საბჭოს თავმჯდომარე შინაგან საქმეთა სამინისტროში, ჰაფერკამპი, მაღალჩინოსანი მოხელე, ენერგიულად იცავდა თანამშრომელთა ინტერესებს.

მინისტრის მოადგილე ჰარტკოპფთან ხანგრძლივი საუბრების შემდეგ იმ დასკვნამდე მივედით, რომ კადრების წარმომადგენლობის კანონის გარდა კადრების საბჭოს თავმჯდომარესა და კადრების საბჭოსთან ღია საუბრების ფორმით უფრო მჭიდრო თანამშრომლობა იყო საჭირო. კანონპროექტის შემუშავებისას მიზნად ვისახავდით მმართველობის ორგანოებში შრომის ეფექტიანობის ამაღლებას. ცხადია, ეს კანონპროექტი ზოგიერთმა სოციალ-დემოკრატმა კოლეგამ არ მოიწონა. ისინიც პროფკავშირის წევრები იყვნენ. როგორც მინისტრებს, უფრო უარყოფითი დამოკიდებულება ჰქონდათ კადრების წარმომადგენლობის თანამონაწილეობის საკითხისადმი, ვიდრე ლიბერალ შინაგან საქმეთა მინისტრს. მოგვიანებით, როდესაც ფედერალურმა კანცლერმა, ჰელმუთ შმიდტმა მთავრობაში იხუმრა, თავისუფალი დემოკრატიული პარტიის მინისტრები პროფკავშირულად არაორგანიზებულნი არიან და სოციალ-დემოკრატი კოლეგებისგან განსხვავებით პროფკავშირებსა და მის ამოცანებში კარგად ვერ ერკვევიანო, შევეპასუხე: იოზეფ ერტლი მოხელეთა პროფკავშირის წევრია, კერძოდ, გერმანელ მოხელეთა კავშირის წევრი, მე კი პოლიციის პროფკავშირის საპატიო წევრი გახლავართ, რაც დღემდე, რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, არც ერთ სოციალ-დემოკრატ

კოლეგას არ დაუმსახურებია-მეოქი.

ხანგრძლივი და მძიმე მოლაპარაკებების შემდეგ მაინც შევძელი ფედერალურ მთავრობაში კანონპროექტის ძირითადი მუხლების გატანა. კანონპროექტი სახელმწიფო დაწესებულებებში მუშათა და მოსამსახურეთა წარმომადგენლობის მნიშვნელოვან გაფართოებას ითვალისწინებდა. შემდგომ წლებში განვითარებულმა პროცესებმა დაადასტურა, რომ ამან სახიფათო შედეგი კი არ მოიტანა, როგორც ვარაუდობდნენ, არამედ სასურველ შედეგებამდე მიგვიყვანა. ჩვენ მომავალზე ორიენტირებული კანონი შევქმენით, რომელიც ადმინისტრაციული ორგანოებისა და საჯარო სამსახურის მოხელეთა ურთიერთობის თანამედროვე გაგებას ეფუძნება და იმდენადვე ეხება სახელმწიფო მოხელეებს, რამდენადაც მუშა-მოსამსახურეებს. 1974 წლის პირველ აპრილს, ვიდრე შინაგან საქმეთა სამინისტროდან საგარეო საქმეთა სამინისტროში გადავიდოდი, სახელმწიფო სამსახურის მუშა-მოსამსახურეთა წარმომადგენლობის კანონი ძალაში შევიდა.

კადრების საბჭოსთან მჭიდრო თანამშრომლობას საგარეო საქმეთა სამინისტროში მოღვაწეობის დროსაც ვცდილობდი. თუმცა საგარეო უწყებაში შინაგან საქმეთა სამინისტროსგან სავსებით განსხვავებული მდგომარეობაა. ერთი ადგილიდან მეორეზე ხშირი გადანაცვლების — უცხოეთში მიმოსვლის — გამო, ითქმის შეუძლებელია კადრების საბჭოში პერსონალის უწყვეტი წარმომადგენლობა. ამ ფაქტს შეიძლება დადებითი მნიშვნელობაც ჰქონდეს, თუკი ახალ ადამიანებთან ერთად ახალი იდეებიც გაჩნდება. უარყოფითი მხარე კი ის გახლავთ, რომ ხელახლა გიხდება ახალ ადამიანებთან შეგუება. კადრების წარმომადგენლობის კანონი სოციალ-დემოკრატთა და თავისუფალ დემოკრატთა კოალიციის რეფორმატორული პოლიტიკის ძირითად შემადგენელ ნაწილად იქცა.

ჯერ კიდევ 1970 წელს გამართული სატარიფო მოლაპარაკებებისას მოხდა საზოგადოებრივ-პოლიტიკური კურსის განსაზღვრა. 1970 წლის 10 ივლისს მიღწეულ იქნა შეთანხმება მუშათა ყოველთვიური ხელფასის შემოღებაზე, რასაც კანონით დადგენილი საპენსიო დაზღვევის სტრუქტურის ცვლილება არ მოჰყოლია — ამ სტრუქტურაში კვლავინდებურად არსებობდა ფედერალური სადაზღვევო სამსახური მოხელეთათვის და სამხარეო სადაზღვევო სამსახური

მუშების საპენსიო უზრუნველყოფისთვის. ამიერიდან მუშები მათთვის მნიშვნელოვან სფეროში მოხელეებს გაუთანაბრდნენ. საჯარო სამსახურის განსაკუთრებულ პირობებში ეს ერთ-ერთი ხელსაყრელი ცვლილება გახლდათ სამსახურებრივი ატმოსფეროსა და თანამშრომელთა მოტივაციის გაუმჯობესების თვალსაზრისით. ანაზღაურებისა და სატარიფო პოლიტიკის რთულ თემასთან შეხებისას, საჯარო სამსახურის პრინციპული საკითხების გადაწყვეტისას შემეძლო შესაბამისი განყოფილების სანიმუშო მუშაობის იმედი მქონოდა; ამ განყოფილებას სათავეში ჩემს მიერ ხელახლა მოწვეული თეოდორ ბროკმანი ედგა. მას მოჰყვა ვალტერ შოირინგი, მოგვიანებით კი ალფრედ ბრაიერი შემოგვიერთდა, რომელიც შესანიშნავად უძღვებოდა განყოფილებას სატარიფო მოლაპარაკებების დროს. სამივეს უმაღლესი კვალიფიკაცია ჰქონდა.

მეორე კანონპროექტი, რომელიც შინაგან საქმეთა მინისტრის პოსტზე უშუალოდ ჩემი დანიშვნის შემდეგ წარვადგინეთ, აქტიური და პასიური საარჩევნო ასაკობრივი ცენზის ოცდაერთიდან თვრამეტ წლამდე შემცირებას გულისხმობდა. 1969 წლის ბუნდესტაგის არჩევნების წინ ვუპერტალელ ამომრჩევლებს დავპირდი, რომ საარჩევნო ასაკობრივი ცენზის შემცირებისთვის ვიბრძოლებდი. დანაპირების შესრულება მალევე შევძელი. ეს კანონი – როგორც ჩემს მიერ წარდგენილი ყველა კანონპროექტი – ბუნდესტაგმა ერთხმად დაამტკიცა.

1969 წლის 23 ოქტომბერს, ფედერალური მინისტრის თანამდებობაზე ჩემი დანიშვნის მეორე დღეს, საპარლამენტო სტატსმდივან ვოლფრამ დორნთან, მინისტრის მოადგილე დოქტორ შეფერთან და დოქტორ ჰარტკოპფთან პირველივე თათბირისას განვსაზღვრეთ პირველი ინიციატივები:

1. კანონპროექტი საარჩევნო ასაკობრივი ცენზის შემცირების შესახებ;

2. დამნაშავეობასთან ბრძოლის საშუალებებისა და მეთოდების მოდერნიზაცია;

3. კონსტიტუციის მეათე მუხლით გათვალისწინებული კანონის რეფორმა.

მესამე მუხლი აღმასრულებელი ხელისუფლების მხრიდან

კავშირგაბმულობის საკანონმდებლო დაწესებულებების უფრო ძლიერ სამართლებრივ-სახელმწიფოებრივ დაცვასა და კონტროლს გულისხმობდა; კანონში ამ ცვლილების შეტანას ამაოდ ვცდილობდით გერმანიის ბუნდესტაგში ოპოზიციაში ყოფნის დროს. შინაგან საქმეთა ფედერალური სამინისტროს პრაქტიკაში არსებული სამართლის ფარგლებში ორი ახალი წესი დავამკვიდრეთ:

1. კონსტიტუციის მეათე მუხლით გათვალისწინებული ღონისძიებების გატარებისთვის აუცილებელი იყო ჩემი ნებართვა;

2. მხოლოდ დაგვიანების საფრთხის პირობებში უნდა გატარებულიყო აღმკვეთი ღონისძიებები მცირე კომისიათა ზეპირი ინფორმაციის მიღებამდე.

პირველი განკარგულებით პირადი პასუხისმგებლობის აღების გზით ამგვარ გადაწყვეტილებათა მნიშვნელობის ცხადყოფა მსურდა; მეორე განკარგულება საშუალებას მაძლევდა ადმინისტრაციულ პრაქტიკაში დამენერგა ის, რის მიღწევასაც წარუმატებლად ვცდილობდით ოპოზიციაში ყოფნის დროს.

1968 წლის 15 ნოემბერს ბუნდესტაგში დავასაბუთე ასაკობრივი ცენზის შემცირების აუცილებლობა და აღვნიშნე, რომ თვრამეტი წლის ახალგაზრდებს, თუკი მათ სამხედრო სამსახურისთვის გამოსადეგად ვთვლით, პოლიტიკური გადაწყვეტილების მიღების უფლებაც უნდა ჰქონდეთ-მეთქი. ბუნდესტაგში ამ საკითხთან დაკავშირებით გამართული დებატებისას ეგრეთ წოდებული დიდი კოალიციის წარმომადგენლები დადებითად გამოეხმაურნენ ჩემს წინადადებას, თუმცა ეჭვსაც გამოთქვამდნენ და ზოგჯერ მიუღებლადაც თვლიდნენ მას. იმჟამინდელმა შინაგან საქმეთა ფედერალურმა მინისტრმა ბენდამ — პირადი მოსაზრების ფორმით — მხარი დაუჭირა ჩემს მოთხოვნას. ამ კანონპროექტის მიღება მაშინ ვერ შევძელით, თუმცა სამოცდარვიანელთა თაობაში არსებული განწყობილება მისი მიღების აუცილებლობაზე მეტყველებდა.

ბრანდტ-შეელის მთავრობამ „შინაგანი რეფორმების“ მოთხოვნით დაიწყო მოღვაწეობა. თავიდანვე ხაზგასმით ვაცხადებდი: „ახალი მთავრობა შინაგანი რეფორმების მთავრობაა. რეფორმებთან დაკავშირებული პრობლემების დაძლევის საქმეში შინაგან საქმეთა ფედერალურ სამინისტროს განსაკუთრებული როლი დაეკისრება, რაც გამოხატულებას საკანონმდებლო ინიციატივებში პოვებს“.

*საჯარო სამსახურის და ტრანსპორტის პროფკავშირის თავმჯდომარე ჰაინც კლუნკერი და შინაგან საქმეთა მინისტრი გენშერი, 1974 წელი, ვალდჰაიმი (შტუტგარტთან). ისინი ერთმანეთს ძლიან ეფასებდნენ.*

ვილი ბრანდტმა სამთავრობო განცხადებაში ახალი რეფორმის ინიციატივა წამოაყენა, რაც ფედერალური სტრუქტურის განვითარებას, ფედერალური ტერიტორიისა და მმართველობისა და საჯარო სამსახურის რეორგანიზაციას ეხებოდა.

ფედერალური მხარეების ხელახალ ფორმირებასთან დაკავშირებით თავიდანვე საფუძვლიანი ეჭვი გამიჩნდა. მრავალი შიდა თუ საგარეო პოლიტიკური პრობლემის წინაშე მდგარ ფედერალურ მთავრობას ეს უფრო მეტად ხომ არ გაურთულებდა მდგომარეობას? ვითომ გონივრული იქნებოდა ასეთი რეფორმა? ისტორიულად აღმოცენებული ქალაქი-სახელმწიფოები, ბრემენი და ჰამბურგი, ჩრდილოგერმანულ სახელმწიფოში უნდა გათქვეფილიყო, მაშინ როდესაც ქვემო საქსონია საკუთარი იდენტურობის მოპოვების გზას ადგა? იგივე ითქმის ომის შემდგომ წარმოქმნილ რაინლანდ-პფალცის მხარის შესახებაც. ამიტომ შევთავაზე ფედერალურ კანცლერს

კომისიის შექმნა. ყოფილი სტატსმდივნის, პროფესორ ვერნერ ერნსტის ხელმძღვანელობით კომისიამ 1973 წელს წარმოადგინა რეკომენდაცია: მხარეთა რაოდენობა ხუთამდე ან ექვსამდე უნდა შეგვემცირებინა.

საექსპერტო დასკვნის წარმოდგენის შემდეგ ფედერალურ კანცლერს უკვე მერამდენედ ვურჩიე მოზღვავებული პრობლემების გამო ამ საკითხის განხილვა გადავდოთ-მეთქი. ამ წინადადებამ ბრანდტს თითქოს შვება მოჰგვარა. თავისუფალი დემოკრატიული პარტიის თავმჯდომარე ვოლფგანგ მიშნიკიც დავარწმუნე საკითხისადმი ამგვარი მიდგომის სისწორეში, თუმცა ეს იოლი არ გახლდათ, რადგან ის მუდამ ემხრობოდა რეორგანიზაციის იდეას, რაც ჰესენის პერსპექტივიდან გამომდინარე გასაგები იყო. მაგრამ ვოლფგანგ მიშნიკი ლოიალური ადამიანი გახლდათ, რომლისთვისაც მთავარი კოალიციის შენარჩუნება იყო, ამიტომ ჰქონდა მისთვის დიდი მნიშვნელობა ბრანდტის თანხმობას. მივუთითებდი რა ეგრეთ წოდებული ერნსტის კომისიისა და საკონსტიტუციო რეფორმის საკვლევი კომისიის მოსალოდნელ შედეგთა შინაგან ურთიერთკავშირზე, წინადადება შევიტანე, ამ კომისიების რეკომენდაციებს დაველოდოთ-მეთქი. კომისიებმა კვლევითი დოკუმენტაცია მაშინ წარმოადგინეს, როდესაც უკვე საგარეო საქმეთა სამინისტროში ვმოღვაწეობდი.

ფედერაციული ტერიტორიის რეორგანიზაციის მოთხოვნა ძალზე მაფიქრებდა. ფედერალიზმის ქმედუნარიანობა ფედერალურ მხარეთა რაოდენობაზეც არის დამოკიდებული, მხარეთა ძალზე მცირე რაოდენობამ შესაძლოა ავნოს მას. ორმა მსოფლიო ომმა, უპირველეს ყოვლისა მესამე რაიხის კატასტროფამ, მრავალი კარგი ტრადიცია მოშალა და მათი დისკრედიტაცია მოახდინა, მათ შორის ფედერალიზმის ტრადიციისაც, რომლის გაუქმებაც სცადეს ნაციონალ-სოციალისტებმა. ორმოცდაათიანი წლების დასაწყისში გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაშიც დაშალეს ხუთი მხარე: მეკლენბურგი, ბრანდენბურგი, ზაქსენ-ანჰალტი, საქსონია და ტიურინგია და ისინი ეგრეთ წოდებული ოლქებით შეცვალეს. ამ დროს დასავლეთში — უწინარეს ყოვლისა პრუსიის დაშლის შედეგად — ახალი მხარეები წარმოიქმნა. ეს მხარეები საკუთარი იდენტურობის ძიების პროცესში იმყოფებოდნენ და ახლა ისევ კითხვის ნიშნის ქვეშ უნდა დაგვეყენებინა მათი არსებობა? ამგვარი ცვალებადი შხაპი ფედერალიზმის, როგორც იდენტურობის დამამკვიდრებელი ფაქტორის მოქმედებას ასუსტებდა.

ზედაპირული და მექანიკური გახლდათ მტკიცება: თანაბარი სიდიდის მხარეები გვჭირდებაო. გერმანიის გაერთიანების შემდეგ ახალი ფედერალური მხარეების ხელახალ ფორმირებას, ამავე მიზეზით, შეცდომად ჩავთვლიდი. სწორედ ახლა ცოცხლობს ისტორიული იდენტურობისა და უწყვეტობის განცდა. მეკლენბურგ-ფორპომერნს, ბრანდენბურგს, საქსონიას და ტიურინგიას დიდი ხნის ისტორია აქვთ და ახალ ფედერალურ მხარეთა შორის, თვით ყველაზე ახალგაზრდა ზაქსენ-ანჰალტმაც გამოიმუშავა ჯანსაღი თვითშეგნება; ხელახალი ფორმირება ზიანის მეტს არაფერს მოიტანდა.

## *გარემოს დაცვა — ლიბერალური ინიციატივა*

რაინჰოლდ მაიერთან გარემოს დაცვის საკითხებზე საუბრებს უკვალოდ არ ჩაუვლია, მათ ჩემზე დიდი გავლენა მოახდინეს. გარემოს დაცვის საკითხი მაიერმა ჯერ კიდევ 1957 წლის საარჩევნო პროგრამის ძირითად თემად აქცია. მას დასცინოდნენ, მაგრამ ფარხმალი არ დაუყრია. ერთხელ მითხრა: „ბატონო გენშერ, კარგი იქნება, თუ მომავალში ალპებს ისე გადაივლის ადამიანი, რომ განადგურებულ გარემოს არ გადააწყდება“. მაიერი ალღოთი გრძნობდა, რა შეიძლება მომხდარიყო მომავალში. შემთხვევითობას არ უნდა მივაწეროთ, რომ ვილი ბრანდტთან ერთად ის წამყვან პოლიტიკოსთაგან ერთ-ერთი პირველი გახლდათ, ვინც გააცნობიერა გარემოს დაცვის მნიშვნელობა კაცობრიობის მომავლისთვის. გავიაზრე რა ეს ყოველივე, მთელი ჩემი ყურადღება ახლად ჩამოყალიბებული განყოფილებისკენ მივმართე.

ეს განყოფილება ერთი მხრივ ჯანდაცვის სამინისტროს მიერ გადმოცემული რეფერატებისაგან შედგებოდა, მეორე მხრივ, კი იმ რეფერატებს მოიცავდა, შინაგან საქმეთა სამინისტროში ერთმანეთისგან განცალკევებულად რომ ფუნქციონირებდა. ამდენ ბუნებისმეტყველს არასოდეს უმოღვაწია წმინდა წყლის იურისტების სამინისტროში. ეს რეფერატები ერთ განყოფილებად უნდა გაეერთიანებინა ლოგიკურ გეგმას; უპირველეს ყოვლისა — დასახული ამოცანებიდან გამომდინარე — სასურველი იყო გავთავისუფლებულიყავით აქამდე არსებული განყოფილებებისთვის ჩვეული შეზღუდული აზროვნებისაგან და

პრობლემების კომპლექსური გადაწყვეტის გზები მრავალრიცხოვან პროექტზე მუშაობის პროცესში გვეძებნა. დიდი მეცნიერული და ორგანიზატორულ-ტექნიკური სამუშაო უნდა ჩაგვეტარებინა, რასაც მხოლოდ სამეცნიერო დაწესებულებებთან მჭიდრო ურთიერთთანამშრომლობით გავართმევდით თავს. მოკლედ რომ ვთქვათ: დამაჯერებელი, მომავალზე ორიენტირებული გარემოს დაცვის გეგმა უნდა შეგვემუშავებინა, გეგმა, რომელიც ახალ „განყოფილების ფილოსოფიად" უნდა გვექცია.

სწორედ ამიტომ მოვიწვიე პეტერ მენკე-გლიუკერტი, რომელსაც ლაიფციგში სწავლის პერიოდიდან ვიცნობდი და შემოქმედებით უნართა გამო დიდად ვაფასებდი. კვლევითი სამუშაოების დაგეგმვისას კავშირში მან თავი გამოიჩინა, როგორც იდეებით მდიდარმა ახალგაზრდა მუშაკმა. უკანასკნელ ხანს ის პარიზში — ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციაში სამეცნიერო რესურსების განყოფილებას ხელმძღვანელობდა. სხვათა შორის, ის იყო პასუხისმგებელი ეგრეთ წოდებული „მნიშვნელოვანი სამომავლო ამოცანების განხორციელებისათვის აუცილებელი ტექნოლოგიური დეფიციტის დაძლევასთან" დაკავშირებულ კვლევით სამუშაოზე, რაც, ერთი მხრივ, დასავლეთ ევროპასა და მეორე მხრივ, ამერიკის შეერთებულ შტატებსა და იაპონიას შორის თანამშრომლობით მიმდინარეობდა. სწორედ მას მივანდე გარემოს დაცვის პროგრამის შემუშავება გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში. დოქტორ გიუნთერ ჰარტკოპფი გარემოს დაცვის საკითხებზე იყო პასუხისმგებელი და მისთვის ჩვეული ენერგიულობითა და გამოცდილებით უძღვებოდა სამუშაოს.

გარემოს დაცვის თემა, როგორც მთელი კაცობრიობის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი საკითხი, რეფორმატორული პოლიტიკის მთავარ ელემენტს და ეკონომიკურ-საზოგადოებრივი სტრუქტურების ყოვლისმომცველი რეფორმის გზით გარემოს დაგეგმვის დიადი ამოცანის დასახვისა და დაძლევის ერთადერთ საშუალებას წარმოადგენდა. საქმე ეხებოდა ჩვენი ბუნებრივი საარსებო საფუძვლების ხანგრძლივ და მყარ უზრუნველყოფას. აქედან გამომდინარე, გარემოს დაცვის საკითხს მუდამ იმ რანგის სახელმწიფოებრივ ამოცანად ვთვლიდი, როგორიც იყო ბოლო საუკუნის სოციალური საკითხი. ის არატრადიციულ, ინოვაციურ მიდგომას და მოსახლეობის ყველა

ფენის თანამონაწილეობას მოითხოვდა. ამისათვის აუცილებელი გახლდათ რეფორმისა და დემოკრატიის ამოქმედება, კონსტიტუციური ცვლილებები და ახალი საბაზროეკონომიკური ბერკეტები. მიზნად ვისახავდით გარემოს ახალი ეთიკისა და ახალი სამართლებრივი ცნობიერების ყოველდღიურობაში დამკვიდრებას. შინაგან საქმეთა უწყების ხელთ არსებული ძალების სრული მობილიზაციით შევუდექით დასახული ამოცანის შესრულებას.

ამტკიცებენ, მწვანეებმა ყველაზე ადრე შეიცნეს გარემოს თემის მთელი ბრიზანტულობაო, მაგრამ შინაგან საქმეთა სამინისტროში ჩატარებული მასშტაბური სამუშაო და თავისუფალი დემოკრატიული პარტიის საპროგრამო დადგენილებები ამის საპირისპიროდ მეტყველებს. მწვანეთა პარტია ჯერაც ფორმირების პროცესში გახლდათ, როცა შინაგან საქმეთა ფედერალურ სამინისტროში უკვე შესრულებული გვქონდა ყველაზე მძიმე სამუშაო. ნიადაგი მომზადებული იყო, ნათესი აღმოცენებას იწყებდა და მას მოვლაღა სჭირდებოდა. შინაგან საქმეთა სამინისტროში ჩემი შემცვლელის შემცვლელის, გერჰარტ ბაუმის, მრავალი ინიციატივა, გარემოს დაცვასთან დაკავშირებული, თითქოსდა ეკონომიკურ აუცილებლობათა გამო განუხორციელებელი დარჩა. ამგვარ არგუმენტაციას ყველაზე ხშირად ფედერალური კანცლერის უწყება და ეკონომიკის სამინისტრო მიმართავდა. ამის საპასუხოდ ასეთი თეზა წამოვაყენე: ვინც გარემოს დაცვის თვალსაზრისით ყველაზე თანამედროვე ტექნოლოგიას შექმნის, მომავალში ბაზრებსაც ის დაიპყრობს-მეთქი.

თავისუფალი დემოკრატიული პარტია პირველი პოლიტიკური პარტია გახლდათ, რომელმაც 1971 წლის ფრაიბურგის პროგრამაში გარემოს დაცვა პირველხარისხოვან კონსტიტუციურ და სახელმწიფოებრივ-პოლიტიკურ ამოცანად დასახა. ამგვარად, გეზი ავიღეთ გარემოსადმი ახლებური დამოკიდებულების მქონე და სამომავლოდ გამოსადეგი ეკონომიკისა და საზოგადოებისკენ. ასეთი იყო და არის ჩემი მრწამსი: გარემოს პრობლემების გადაწყვეტა მხოლოდ სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკის ეკოლოგიურად ორიენტირებულ საბაზრო ეკონომიკად თანმიმდევრული გარდაქმნითა და ეკოლოგიური ხასიათის სტრუქტურული თუ საგადასახადო რეფორმებით შეიძლება. ლიბერალური პარტიის მომავალიც იმაზეა დამოკიდებული, შეძლებს თუ არა ის, მომავლისადმი პასუხისმ-

გებლობით გამსჭვალული ლიბერალური პოლიტიკის უმთავრეს ამოცანად აქციოს ბუნებრივი საარსებო საფუძვლების დაცვა.

ბრანდტ-შეელის მთავრობის ხელისუფლებაში ყოფნის პირველი ორი წლის განმავლობაში შინაგან საქმეთა ფედერალურ სამინისტროში შემუშავებულ იქნა გარემოს დაცვის რაციონალური და დასაბუთებულ-გათვლილი გეგმა. დღემდე ეს გეგმა ყველაზე წარმატებულად და კონსენსუსუნარიანად ითვლება. პეტერ მენკე-გლიუკერტი ენერგიულად შეუდგა ფედერალური მთავრობის გარემოს დაცვის პირველი პროგრამის შედგენას და სხვა უწყებებთან მის შეთანხმებას, ამავე დროს, ცდილობდა ყველა საზოგადოებრივი ჯგუფის, დიდი გაერთიანებების და მეცნიერული აზრის მხარდაჭერის მოპოვებას. ის დიდი სულისკვეთების, იდეებით მდიდარი ადამიანი გახლდათ, რომელიც საფუძვლიანად იცნობდა საერთაშორისო კვლევით შედეგებს და უნარი შესწევდა რეალობად ექცია დასახული მიზნები. მის მიერ უმოკლეს ვადებში შემუშავებულ პროექტს სრული წარმატება ხვდა წილად, შეიძლება ითქვას, რომ ეს პროექტი ევროპის მასშტაბით გარემოს დაცვის პოლიტიკურ ნიშანსვეტად იქცა. ის ბევრად უსწრებდა წინ საზოგადოებრივ ცნობიერებას.

1970 წლის 16 დეკემბერს ბუნდესტაგში გარემოს საკითხების პირველი განხილვა მოეწყო, რომელსაც როგორც შინაგან საქმეთა მინისტრი მე ვუძღვებოდი; მოვითხოვე, რომ კონსტიტუციაში, სხვა ძირითად უფლებებს შორის, სუფთა გარემოს უფლებაც შეგვეტანა. უფრო ზუსტად, აი, რა განვაცხადე: „ძირითადი კანონი ჯერ არ იცნობს გამოთქმას — გარემოს დაცვა. ძირითადი უფლებების კატალოგს აკლია ადამიანის უფლება ჯანსაღ გარემოზე. ადამიანის საკადრის ყოფიერებას ისიც მიეკუთვნება, რომ მან თავისუფლად სუნთქვა შეძლოს, მავნე ნივთიერებების ჩასუნთქვის არ ეშინოდეს; ადამიანს სუფთა წყლის დალევის უფლებაც უნდა ჰქონდეს. მას უფლება აქვს ჰქონდეს მშვიდი, ძრავებისა და მანქანების ხმაურისგან დაცული ძილი“. შემდეგ ყველა საზოგადოებრივ ძალას ახალი ეკოლოგიური ორიენტაციისაკენ მოვუწოდე, თუმცა 1970 წელს საზოგადოებაში ეკოლოგიური ცნობიერების გაღვიძება ჯერაც ძნელი საქმე გახლდათ. საზოგადოებას შინაგანი უშიშროების უფრო დიდი მოთხოვნილება ჰქონდა, ვიდრე დაცული გარემოსი.

ჩემთვის, როგორც შინაგან საქმეთა მინისტრისათვის, თავიდანვე

დიდი მნიშვნელობა ჰქონდა პასუხისმგებლობის გრძნობის გაღვიძებასა და გაძლიერებას მოსახლეობის ყველა ფენაში და გარემოს დაცვის საკითხებით საზოგადოების დაინტერესებას. ამისთვის აუცილებელი იყო მრავალ ახალწარმოქმნილ სამოქალაქო ინიციატივასთან თანამშრომლობა. აუცილებელი იყო კლასიკურ მომხმარებელთა და ბუნების დაცვის საზოგადოებებთან მჭიდრო თანამშრომლობა, რომლებიც არსებობის აუწყლეულებს ითვლიდნენ. 1973 წლის მარტში გარემოს საკითხთა კომიტეტში განაცხადე: „ჩვენ გარემოს იმგვარი აღქმა-გაგება უნდა ვექონდეს, რომელიც გარემოს დაცვას მხოლოდ საკუთარი უშიშროების საკითხად კი არ განიხილავს, არამედ არსებობის საფუძვლად მიიჩნევს, იმ არსებობის საფუძვლად, რომელმაც დაკარგული ხარისხი უნდა აღიდგინოს". აუცილებელი იყო მრეწველობის ეკოლოგიური პროფილიც განმესაზღვრა, ამიტომ დავამატე: „ცხოვრების ხარისხი მაქსიმალურად უნდა ამაღლდეს, ხარისხობრივად უნდა ზემოქმედებდეს და განაპირობებდეს პირად სარგებელსა და ეკონომიკურ აღმავლობას, თუმცა სახიფათო გზას დავადგებოდით, თუკი ეკონომიკური განვითარების შეზღუდვით ვეცდებით ცხოვრების უკეთესი პირობის შექმნას. დარეგულირებული ეკონომიკური განვითარების პროცესი მყარი სამუშაო ადგილების გარანტიას იძლევა, ამის გარეშე წარმოუდგენელია ცხოვრების დონის ამაღლება... ჩვენთვის აუცილებელი ინვესტიციები ხომ უნდა გამოვიმუშაოთ კიდეც. ეკონომიკის ნულოვანი განვითარება გარემოს დაცვასაც ნულამდე დაიყვანს".

1971 წლის 29 სექტემბერს ფედერალურმა მთავრობამ უაღრესად ძნელი საუწყებო შეთანხმებების შემდეგ (განსაკუთრებით რთული გამოდგა მოლაპარაკება ფედერალურ ფინანსთა მინისტრთან) დაამტკიცა ფედერალური მთავრობის გარემოს დაცვის პროგრამა ხუთი მნიშვნელოვანი მიმართულებით:

1. გარემოს გრძელვადიანი დაგეგმარების პროგრამა უნდა განხორციელდეს გარემოს თანამედროვე კანონმდებლობის, ქმედითი კონსულტაციების, გარემოს დაცვის სფეროში არსებული ყველა უწყების მობილიზაცია-კონცენტრაციის, სტრუქტურისა და რეგიონალური ინფრასტრუქტურის სფეროში გატარებული ყველა ღონისძიებაში გარემოს დაცვის საკითხის ინტეგრაციის საფუძველზე.

2. უნდა ამოქმედდეს საერთალდამრღვევის პრინციპი.

3. უნდა შეიქმნას გარემოს დაცვის ნორმების შესატყვისი ტექნიკა. ადმინისტრაციულ გადაწყვეტილებებში ეკოლოგიური კრიტერიუმების გათვალისწინების საფუძველზე.

4. მოსახლეობაში უნდა გაძლიერდეს გარემოს დაცვის ცნობიერება.

5. აუცილებელია აქტიური საერთაშორისო თანამშრომლობა.

გარემოს დაცვის პროგრამის პროექტი შეთანხმდა სხვადასხვა პუნქტების მიხედვით, აუცილებელი ღონისძიებების, პასუხისმგებლობების, მოქმედების საშუალებების, ფინანსებისა და ვადების, ფედერალური და საერთაშორისო კონტექსტის გათვალისწინებით. 1972-75 წლების ფედერალური ბიუჯეტისთვის ეს პროგრამა დამატებითი ხარჯის სახით 3,6 მილიარდ გერმანულ მარკას ნიშნავდა. უწყებათა შორის უკანასკნელ მომენტამდე მიმდინარეობდა დავა გარემოს დაცვის ფედერალური სამსახურის, როგორც მთავარი სამეცნიერო ორგანოს დაარსების საკითხზე, რომელსაც უნდა გაეერთიანებინა გარემოს დაცვის ცალკეულ სფეროებში იმ ხანად არსებული სამსახურები, როგორიც გახლდათ: ჯანდაცვის ფედერალური სამინისტროს დაქვემდებარებაში მყოფი წყლის, ნიადაგის, ჰაერის ჰიგიენის ფედერალური სამსახურები. მთავრობის სხდომაზე კამათი გამოიწვია ჩემმა წინადადებამ, რომ კრებულის სახით გამოგვეცა მთელი დოკუმენტაცია — მოხსენებები, რეცენზიები, რეკომენდაციები, რომლებიც გარემოს დაცვის პროგრამაზე მომუშავე ათმა საპროექტო და ხუთმა მუშაჯგუფმა დაამუშავა. ყველა უნდა გასცნობოდა ექსპერტების ვოტუმს, ძალზე დეტალურ მეცნიერულ ანალიზს და საკუთარი წარმოდგენა შეექმნა პროგრამასთან დაკავშირებულ ფედერალური მთავრობის მიერ მიღებულ დადგენილებებზე. უნდა აგვემოქმედებინა „გარემოს დაცვის გამჭვირვალობის" პრინციპი, რაც გარემოს დაცვის პროგრამის ვადებთან და ანალიზთან დაკავშირებით მოსახლეობის სრულ, მუდმივ ინფორმირებას გულისხმობდა; მისი განხორციელება კი, ინფორმაციის სრული საჯაროობის საფუძველზე და გარემოს დაცვისა და ეკონომიკის სფეროში დასაქმებულ საზოგადოებებთან მუდმივი ურთიერთობით უნდა მოგვეხდინა.

ორივე პუნქტი — გარემოს დაცვის ფედერალური სამსახურის მოწყობა და ყველა ექსპერტიზის სრული საჯაროობა, ბოლოს მაინც გავიტანე მთავრობაში. გარემოს დაცვის ფედერალური სამ-

სახურის მოწყობისა და სტატუსის საკითხზე ეკონომიკისა და ფინანსთა მინისტრების საბოლოო თანხმობა რენტაბელობის გამომთვლელი პალატის რეცენზიაზე იყო დამოკიდებული.

პეტერ მენკე-გლიუკერტს ეკონომიკის მეცნიერების და აღმასრულებელი ორგანოების ოთხასსამოცდაორ ექსპერტსა და რეცენზენტთან ჰქონდა კონსულტაციები და მათთან ერთად შეიმუშავა გარემოს დაცვის პროგრამა; მათ შორის იყვნენ დიდი გერმანული ფირმების წარმომადგენლები, მაგალითად: ფოლკსვაგენის გამგეობის თავმჯდომარე, პროფესორი ჰოლსტე – შემდგომში ინდუსტრიის მკვლევარი, სამხარეო უწყებების ხელმძღვანელები და სხვა დისციპლინების წარმომადგენელი მეცნიერები, მაგალითად: ჰაიდელბერგელი ფილოსოფოსი გეორგ პიხტი.

მაღალპროფესიულ დონეზე ჩატარებული სამუშაოს შედეგად ჩამოყალიბდა პროგრამა, რომელიც სამასზე მეტ სამოქალაქო ინიციატივას მოიცავდა. მოლაპარაკებების, განხილვების და მოსმენების პროცესში ხშირად ჩნდებოდა პრობლემები, რაც ჩემს ჩარევას აუცილებელს ხდიდა. პრობლემები, ინდუსტრიის მხრიდან ზეწოლით კი არა, უწყებრივი დაპირისპირებულობით იყო გამოწვეული. შიშსაც გამოთქვამდნენ: პროგრამის კოორდინატორი, შინაგან საქმეთა მინისტრი, საკუთარი კომპეტენციის ხელყოფას ხომ არ ახდენსო, რაც, მოგეხსენებათ, ისეთ კლასიკურ დიდ უწყებას, როგორიც შინაგან საქმეთა ფედერალური სამინისტროა, უკეთ ეხერხება, ვიდრე სხვა პატარა სპეციალურ უწყებებს.

გარემოს პროგრამა წინასწარი ზომების მიღების, ზარალის მიმყენებლისა და კოოპერაციის პრინციპებს ეფუძნებოდა და წინ გადადგმული ნაბიჯი გახლდათ, მაგრამ საქმეს მხოლოდ პროგრამა არ შველოდა. ფედერაციას მკაფიოდ განსაზღვრული პასუხისმგებლობის სფეროები ესაჭიროებოდა, რათა დაგვენერგა ძირითადი ეკოლოგიური ღირებულებები და უზრუნველგვეყო ცხოვრების პირობების მინიმალური უნიფიკაცია. ძირითად კანონში ჯერ არ არსებობდა გამოთქმები: გარემოს დაცვა, გარემოს პოლიტიკა, გარემოს დაგეგმარება, გარემოს დაცვის უზრუნველყოფა, თუმცა ბუნების დაცვას, ლანდშაფტის მოვლას, წყალრესურსების დაცვას გერმანიაში ასწლიანი სამართლებრივი ტრადიცია ჰქონდა. ამის გამო ადრიდანვე ვიბრძოდი, რომ ფედერალურ დაქვემდებარებაში და კონკურენტული სა-

კანონმდებლო კომპეტენციის ფარგლებში მოგვექცია ატმოსფეროს დაბინძურებისაგან დაცვის სამსახური, ხმაურისაგან დაცვის სამსახური, ნარჩენების სალიკვიდაციო სამსახური, ბუნებისა და ლანდშაფტის, მომხმარებელთა და ცხოველთა დაცვისა და წყალრესურსების დაბინძურებისაგან დაცვის სამსახურები.

ალბათ აქამდე არც ერთ მინისტრს არ უცდია ფედერალური მხარეებისგან ფედერალური უწვებისთვის ამდენი კომპეტენციის დელეგირება. ჯერ კიდევ 1971 წლის მარტში შევძელი კონკურენტული საკანონმდებლო კომპეტენციის ფარგლებში დამექვემდებარებინა ფლორისა და ფაუნის დაცვისა და მომხმარებელთა გაუმჯობესებული დაცვის სამსახურები. 1972 წლის აპრილ'ში ახალი ქვეუწყებების – მავნე ნივთიერებებისგან ატმოსფეროს დაცვისა და მავნე ზემოქმედებისაგან გარემოს დაცვის, ხმაურთან ბრძოლისა და ნარჩენების ლიკვიდაციის – ფედერალურ დაქვემდებარებაში გადმოცემას მივაღწიე. სამაგიეროდ, „წყლის ბრძოლა" წავაგე. ეს სფერო, ისევე როგორც ბუნების დაცვა და ლანდ'შაფტის მოვლა, ფედერალური მხარეების კომპეტენციის ფარგლებ'ში დარჩა. წყლისა და ბუნების დაცვა ფედერალურ მხარეთა წმიდათაწმიდა დომენებს წარმოადგენს და მნიშვნელობით ამ მხარეთა კულტურულ სუვერენიტეტს თუ შეედრება. სხვათა შორის ბავარიის წინააღმდეგობა ვერ გავტეხე, რადგან ფრანც იოზეფ შტრაუსი ენერგიულად, ისტორიულად დასაბუთებული და გამართლებული მოტივაციით დაუპირისპირდა წყალრესურსებზე კომპეტენციების გადანაწილების საკითხს. ჯერ კიდევ 1962 წელს ჩავარდა ფედერალურ საკონსტიტუციო სასამართლოში ფედერალური წყალსავალი გზების დაბინძურებისაგან დაცვის კანონი, რადგან სასამართლომ მხედველობაში მიიღო ბავარიის არგუმენტები. ცხადია, არ უნდა დავივიწყოთ, რომ ბავარია პირველი ფედერალური მხარე გახლავთ, რომელმაც გარემოს დაცვის კანონი კონსტიტუციურად გაამყარა და ევროპაში ყველაზე თანამედროვე წყალდაცვის სამართლებრივი სისტემა გააჩნია.

ბუნების დაცვასთან დაკავშირებით ჩემს კოლეგა იოზეფ ერტლს და მე უარი გვეთქვა მოცილე საკანონმდებლო კომპეტენციაზე იმ მოტივით, რომ ფედერაციას თავისი ზოგადი კომპეტენცია ჯერ ბოლომდე არ ამოუწურავსო. და მართლაც, რამდენი წელია ბუნებ-

ის დაცვის ფედერალური კანონის ესოდენ აუცილებელი განახლება არ ხდება. ბუნების დაცვის აღიარებულ კავშირთა მიერ სარჩელის აღძვრის კანონი ზოგიერთ ფედერალურ მხარეში შემოიღეს, მაგრამ არა მთელი ქვეყნის მასშტაბით.

ქრისტიანულ-დემოკრატიული და ქრისტიანულ-სოციალური კავშირების სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მათ ბუნდესტაგში, ძირითადად, მხარი დაუჭირეს კონსტიტუციურ ცვლილებებს და ამით პასუხისმგებლობით აღსავსე, კონსტრუქციული ოპოზიციის მაგალითი მისცეს სხვებს. ფედერალურ მხარეთა მთავრობებშიც მათ პოზიციას პასუხისმგებლობის გაცნობიერება განსაზღვრავდა.

„წყლის ბრძოლის" წაგების მიუხედავად განკარგულება გავეცი, სასწრაფოდ დაეწყოთ მუშაობა 1972 წლის დეკემბრამდე გარემოს დაცვის პროგრამით გათვალისწინებულ ჩამდინარე წყლების ჩაშვების კანონზე და შეეთანხმებინათ ეს კანონი ყველა გაერთიანებასა თუ სამრეწველო ორგანიზაციასთან, რომლებიც დაკავებულნი იყვნენ ჩამდინარე წყლებისა და წყალსატევების საკითხებით, უპირველეს ყოვლისა კი სამხარეო კომისიასთან. ვერ ვხვდებოდი, რას შევეჭიდე, როდესაც ამერიკული მოდელის დანერგვას ვცდილობდი წყალდაცვის სფეროში, ანუ მსურდა ამემოქმედებინა სამართალდარღვევის პრინციპი: ვინც აბინძურებს, ის ჯარიმას იხდის. ბევრს ლაპარაკობდნენ — გამოსვლებსა თუ პროგრამებში — გარემოს დაცვის სფეროს გააქტიურებაზე, თუმცა მრავალთათვის ის ნამდვილ ქიმერას, განუხორციელებელ ფანტაზიას წარმოადგენდა, რომელიც მავანმა და მავანმა პროფესორმა გამოიგონა. ამბობდნენ, გაზომვის და ადმინისტრაციული ხარჯები ძალზე მაღალია და — რაც ამერიკისთვის მისაღებია, გერმანიისთვის კიდევ დიდხანს გამოუსადეგარი იქნებაო. ძალზე მძაფრად აკრიტიკებდნენ ჩემს წინადადებას, რომელიც ჩამდინარე წყლებზე გადასახადის დაწესებას გულიხსმობდა. გადასახადის საწყისი ოდენობა მიყენებული ზარალის ყოველ ერთეულზე — 80 გერმანულ მარკას შეადგენდა. ეს კომუნებს გააცამტვერებს, ირღვევა თავისუფალი მეწარმეობის უფლება და ადმინისტრაციულ სასამართლოში პროცესებს ვერ გავექცევით პროპორციულობის პრინციპის ხელყოფის გამოო. საქმეს ვერ შველოდა ვერც ფედერალურ მხარეთა მინისტრებთან საუბრები, ვერც დათქმულ ვადებში ვეტეოდით და ვერც გადასახადებისა და ბეგარის შესახებ

შეთანხმებას ვაღწევდით.

მხოლოდ 1976 წლის სექტემბერში — რა ხანია შინაგან საქმეთა სამინისტროში აღარ ვმოღვაწეობდი — მიიღეს კანონი ჩამდინარე წყლების შესახებ და დაამტკიცეს საწყისი გადასახადი 12 მარკის ოდენობით. დაუყოვნებელი ინოვაცია ამრიგად არ მომხდარა, როგორც ვვარაუდობდით, ხოლო ისედაც ძალზე მცირე მაქსიმალური გადასახადი — 40 მარკა — 1986 წლიდან იქნა შემოღებული. კონტროლზე დაწესებული ხარჯების გამუდმებული ზრდისა და ცვლილების, ტექნიკურად რთული ახალი მარეგულირებელი წესებისა და სხვა მიზეზთა გამო ბიუროკრატიზმმა, როგორც გვსურდა, კი არ იკლო — იმატა. საბაზრო ეკონომიკამ ბრძოლა წააგო.

„ატმოსფერული ჰაერის დაბინძურებისაგან დაცვის დიად ქარტიაში", ანუ გარემოს მავნე ზემოქმედებისაგან დაცვის 1974 წლის 15 მარტის ფედერალურ კანონში, პირველად დაფიქსირდა პროფილაქტიკური ზომების მიღების იდეა. მასში ნათქვამი იყო: გამაფრთხილებელი ზომები უნდა იქნეს მიღებული „ატმოსფეროში მავნე გამონაბოლქვების შეზღუდვის ღონისძიებებით, რომლებიც ტექნიკის განვითარების დონეს შეესატყვისება", ამით გარემოს დაბინძურება სათავეშივე უნდა აღკვეთილიყო. გარდა ამისა, შევძელით ათეულობით სხვა — გარემოს დაცვასთან დაკავშირებული კანონის განხორციელება, მათ შორის: ნარჩენების ლიკვიდაციის, საფრენი აპარატებით გამოწვეული ხმაურის აღკვეთის, ბენზინში ტყვიის შემცველობის შემცირებისა და გარემოს სტატისტიკის კანონების მიღება.

გარემოს დაცვის საკითხების დელეგირება შინაგან საქმეთა ფედერალური სამინისტროს კომპეტენციაში სწორი გადაწყვეტილება გახლდათ: სხვა უწყებებისაგან განსხვავებით ამ დიდ და გავლენიან სამინისტროს შესწევდა ძალა, საკანონმდებლო ინიციატივები ბოლომდე მიეყვანა. ამ საქმეში ძალზე გამოგვადგა საკონსტიტუციო და ზოგადადმინისტრაციული სამართლისა და ადმინისტრაციულ-პროცესუალური სამართლის სფეროში შინაგან საქმეთა სამინისტროს მრავალწლიანი მოღვაწეობის დროს დაგროვილი დიდი გამოცდილება.

თანამედროვე გარემოს დაცვისთვის, ჩემი აზრით — ავტორიტეტს ამ შემთხვევაშიც ამერიკა წარმოადგენდა — აუცილებელი იყო ფედ-

ერალური სამეცნიერო ორგანოს შექმნა, რომლის საშუალებითაც ფედერალური მთავრობა და ფედერალური ადმინისტრაცია საჭირო ინფორმაციას მიიღებდა და მეცნიერულ მონაცემებს ოპერატიულად გაეცნობოდა. ეს რწმენა კიდევ უფრო განმიმტკიცა პეტერ მენკეგლიუკერტთან ერთად ვაშინგტონში მოგზაურობამ. გარემოს დაცვის სამეცნიერო ფედერალური უმაღლესი ორგანოს შექმნის აუცილებლობაზე ჯერ კიდევ 1970 წლის სექტემბერში ფედერალური მთავრობის მიერ მიღებული გარემოს დაცვის გადაუდებელი პროგრამა მიუთითებდა, მოითხოვდა რა ატმოსფერული ჰაერის მავნე ნივთიერებებისაგან დაცვის ფედერალური სამსახურის შექმნას. იგივე იყო გათვალისწინებული ნარჩენების ლიკვიდაციასა და წყალდაცვასთან დაკავშირებით. თუმცა სამინისტროში მალევე გადავწყვიტეთ, რომ გარემოს დაცვის სფეროში ერთმანეთისგან დამოუკიდებლად არსებული ინსტიტუტების ინტეგრირება მოგვეხდინა. ასე ჩამოყალიბდა გარემოს დაცვის ფედერალური სამსახურის შექმნის გეგმა. ფედერალური საანგარიშო პალატის პრეზიდენტმა, შეფერმა, ჩემმა ყოფილმა მოადგილემ 1972 წელს, როგორც ფედერალურმა რწმუნებულმა ადმინისტრაციული რენტაბელობის დარგში, საორგანიზაციო წინადადება შემოიტანა; მან სოლომონისებური ბრძნული რეკომენდაციით გვერდიდან ჩამოიშორა ცალ-ცალკე მოფუსფუსე უწყებები, განაცხადა რა, რომ გარემოს დაცვის სფეროში არსებული სამეცნიერო დაწესებულებების სათავეში მდგომი მთავარი ორგანოს ერთადერთი სპეციალური ზედამხედველი უნდა იყოსო შინაგან საქმეთა ფედერალური მინისტრი, ვითარცა „ყოველგვარი მმართველობის ბუნებითი დედა-მშობელი“.

შეფერის რეკომენდაციამ მწვანე შუქი აუნთო გარემოს დაცვის ფედერალურ სამსახურს. ჩემს მიერ შერჩეული პრეზიდენტის კანდიდატურა — ჰაინრიხ ფრაიჰერ ფონ ლერსნერი — ამ სამსახურისთვის და გერმანიის გარემოს დაცვის ახალი უწყებისთვის სავსებით შესაფერისი აღმოჩნდა. შინაგან საქმეთა ფედერალური სამინისტროს მუშა ჯგუფს დავალება მიეცა, შესაბამის ფედერალურ და სამხარეო უწყებასთან შეთანხმებით მოეძიებინა ხელსაყრელი პოზიციები და ინტეგრირებადი პროგრამები და ინსტიტუტები. იქამდე, სანამ საბოლოოდ გადაწყდებოდა გარემოს დაცვის ფედერალური სამსახურის შექმნასთან დაკავშირებული კანონის

*ბერლინთან დაკავშირებული გადაწყვეტილება, გარემოს დაცვასთან დაკავშირებული გადაწყვეტილება. გარემოს დაცვის ფედერალური სამსახური 1974 წლის ივლისში მუშაობას იწყებს.*

მიღების საკითხი, უამრავი მეჩეჩისთვის უნდა აგვექცია გვერდი. იურიდიული მისამართის საკითხი ყველაზე რთული გადასაწყვეტი გახლდათ. ორმოცდაერთი კომუნა ეცილებოდა ერთმანეთს, მათ შორის: ფლენსბურგი, კასელი, ბრიული და სანკტ-აუგუსტინი. ვუპერტალი, სადაც 1965 წლიდან ბუნდესტაგში ვიყრიდი კენჭს, ასევე აცხადებდა პრეტენზიას. სანამ ფედერალური მთავრობა საბოლოო გადაწყვეტილებას მიიღებდა, ეგონ ბარის წერილი მივიღე; ეგონ ბარი მე, როგორც საგანგებო საქმეთა რწმუნებულს ფედერალურ კანცლერთან, ადგილსამყოფელად ბერლინს მთავაზობდა. ბარი, რომელიც დასავლეთ ბერლინის შესახებ ოთხმხრივი ხელშეკრულების დადებისას გერმანულ მხარეს წარმოადგენდა, ამ სამსახურის ბერლინში დაფუძნებაში იმის შემოწმების შესაძლებლობას ხედავდა, რამდენად რეალური იყო აღნიშნული ხელშეკრულებით მიღწეული პროგრესი.

ადგილსამყოფელად ბერლინის არჩევით მნიშვნელოვნად გავაძლიერებდით ამ ქალაქის სიცოცხლისუნარიანობასა და სამომავლო

პერსპექტივას. ეგონ ბარის წერილი სწორედ რომ დროული გახლდათ. კარგად მქონდა გაცნობიერებული ამგვარი გადაწყვეტილების საგარეოპოლიტიკური მნიშვნელობა, ამიტომაც დავსვი ეს საკითხი კოალიციურ მოლაპარაკებებზე. ვინაიდან თავისუფალი დემოკრატიული პარტიის თავმჯდომარე და შინაგან საქმეთა ფედერალური მინისტრი გახლდით, ამ მოლაპარაკებებში რეგულარულად ვმონაწილეობდი; ჩვენს წრეში იყვნენ ფედერალური კანცლერი ბრანდტი და საგარეო საქმეთა მინისტრი ვალტერ შეელი, ფრაქციის თავმჯდომარე ვენერი (სოციალ-დემოკრატიული პარტია) და მიშნიკი (თავისუფალი დემოკრატიული პარტია), საპარლამენტო საქმეთა მწარმოებლები ვინანდი (სოციალ-დემოკრატიული პარტია) და მერტესი (თავისუფალი დემოკრატიული პარტია), აგრეთვე ჰორსტ ემკე — ფედერალური მინისტრი და კანცლერის აპარატის უფროსი. ჩემდა გასაკვირად, ამ წინადადებამ, მოსკოვთან და აღმოსავლეთ ბერლინთან მოსალოდნელი გართულებების მიუხედავად, საერთო მოწონება დაიმსახურა; ალბათ, იმის გამო, რომ მათი მხრიდან პროტესტი დამაჯერებელი არ იქნებოდა. ეს გადაწყვეტილება — რაც დასავლეთ ბერლინთან დაკავშირებით სავსებით მაკმაყოფილებდა — 1974 წლის 17 მაისიდან აწ უკვე საგარეო საქმეთა მინისტრ ჰანსდიტრიხ გენშერს უნდა დაეცვა საბჭოთა კავშირის წინაშე. დასავლეთ ბერლინის ინტერესების დაცვა, ხელშეკრულების პირობების ზედმიწევნით შესრულება და ოთხმხრივი შეთანხმების სრული ამოქმედება დაძაბულობის შენელების რეალისტური პოლიტიკის სასინჯ ქვას წარმოადგენდა ჩემთვის. ყოველივე ამის შედეგად ჩემი კავშირი ბერლინთან კიდევ უფრო განმტკიცდა.

1974 წლის 23 ივლისს როგორც იქნა ძალაში შევიდა კანონი გარემოს დაცვის ფედერალური სამსახურის შესახებ. სამწუხაროდ, პირვანდელი პროექტის ზოგიერთი პუნქტი ურიცხვ უწყებასთან შეთანხმებების მძიმე პროცედურებს შეეწირა. აქედან გამომდინარე, ევროპის ალბათ ყველაზე ძველი და საუკეთესო რენომეს მქონე გარემოს დაცვის ინსტიტუტი — წყლის, ნიადაგისა და ჰაერის ჰიგიენის ჯანდაცვის ფედერალური სამსახური, — მიუხედავად იმისა, რომ რეზიდენცია ბერლინში ჰქონდა, ახალდაარსებულ დაწესებულებაში ვერ გაერთიანდა. გარდა ამისა, ჩემდა სამწუხაროდ, გარემოს დაცვის ფედერალურ სამსახურს უარი ეთქვა სამეცნიერო-

კვლევით ბაზაზე. მის კომპეტენციაში მოექცა მხოლოდ სამეცნიერო ამოცანებისა და საკონსულტაციო-საექსპერტო დასკვნების შესრულება; მაშასადამე, სხვა სამეცნიერო ფედერალური ორგანოებისაგან განსხვავებით, როგორიცაა მაგალითად, ფიზიკურ-ტექნიკური ფედერალური უწყება, გარემოს დაცვის ფედერალურ სამსახურს საკუთარი ლაბორატორიული ბაზა არ გააჩნდა. განსხვავებით გარემოს დაცვის ამერიკული სააგენტოსგან, რომელიც უშუალოდ მონაწილეობდა გარემოს დაცვის ფედერალური სამსახურის ჩამოყალიბებაში, მისთვის არც განმკარგულებელი და მაკონტროლებელი ფუნქციები მიუნიჭებიათ. ვერც ამერიკული ნიმუშის მიხედვით ჩაფიქრებული მობილური აღმასრულებელი უწყება მივიღეთ, რომლის განკარგულებაშიც უნდა ყოფილიყო შვეულმფრენები და გარემოსათვის საშიში ნივთიერებების — როგორიცაა, დავუშვათ, მიწის შრეში ან წყალში ხანგრძლივად დალექილი მავნე ნივთიერებები — ანალიზისთვის აუცილებელი გამზომი აპარატურა. თუმცა რაოდენ მნიშვნელოვანი იქნებოდა სწორედ ასეთი დაწესებულების შექმნა — კატასტროფებისაგან დაცვის ფედერალურ ორგანიზაციასთან არსებული ატომური ტექნიკის ავარიებით გამოწვეული შედეგების სალიკვიდაციო მატარებლის მსგავსად — ახალ ფედერალურ ქვეყნებში დაზარალებული რაიონების პრობლემებზე სწრაფი რეაგირების თვალსაზრისით.

გარემოს თანამედროვე ქმედითი დაცვის სფეროში კიდევ ერთი მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება გახლდათ გარემოს დაცვის ექსპერტთა საბჭოს შექმნა, რომლის მოვალეობაშიც შედიოდა გერმანიის ტერიტორიაზე გარემოს რეგულარული ობიექტური ექსპერტიზა. გარემოს დაცვის პოლიტიკაზე პასუხისმგებელ ინსტანციებს ამ საბჭოს დასკვნები გადაწყვეტილების მიღებაში დაეხმარებოდა; ამასთან, გარემოს დაცვის საბჭოს დასკვნები ეკონომიკური განვითარებისათვის იმდენადვე მნიშვნელოვანი უნდა ყოფილიყო, რამდენადაც ექსპერტთა საბჭოს დასკვნები. ბუნდესტაგში მათი განხილვა ერთ სიბრტყეზე უნდა მომხდარიყო და მათ საზოგადოებისა და ეკონომიკის ორიენტაცია უნდა გაეიოლებინათ. ამ მიზნის მიღწევა ამის შემდეგაც ვერ მოხერხდა, მიუხედავად იმისა, რომ გარემოს დაცვის საბჭომ დიდად შეუწყო ხელი სოციალური საბაზრო ეკონომიკის ეკოლოგიური ვალდებულებების მქონე ეკონომიკად ფორმირებას. ეს

კი უპირველეს ყოვლისა გარემოს დაცვის საბჭოს თავმჯდომარის კიოლნელი ფინანსისტის, პროფესორ ჰანსმაიერის დამსახურებაა. უკვე 1971 წლის 28 დეკემბერს გამოიცა ბრძანებულება გარემოს დაცვის საკითხების ექსპერტთა საბჭოს შექმნის შესახებ.

გარემოს დაცვის სფეროში მიღებულმა გამოცდილებამ კიდევ უფრო განმიმტკიცა რწმენა, რომ უფრო დიდი სამინისტროებიდან ახალ-ახალი სფეროების გამოცალკევება და ახალი, უფრო პატარა, სამინისტროების შექმნა კომპეტენციის სფეროების დამატებით გადანაწილებას და პოლიტიკური ქმედითუნარიანობის დაქვეითებას იწვევს. პატარა სამინისტროების შექმნა ხშირად პირადი მიზანშეწონილობის შედეგია და რენტაბელობასთან საერთო არაფერი აქვს. ამის საპირისპიროდ, გარემოს დაცვის სამსახურის ისეთ დიდ უწყებაში ჩართვა, როგორიც შინაგან საქმეთა სამინისტროა, ამ სამსახურის ეფექტიანობის ამაღლებას უწყობს ხელს.

კოლის მთავრობამ ხომ მოგვიანებით კიდევ ერთი გარემოს დაცვის სამინისტრო შექმნა, რომელმაც თავდაპირველად სოფლის მეურნეობის სამინისტროს დაქვემდებარებაში არსებული ბუნების დაცვის სფეროც შემოიერთა. ჰელმუთ კოლმა ამგვარად მოახდინა მარჯვე რეაგირება საზოგადოების უარყოფით განწყობაზე, რაც გამოწვეული იყო ჩერნობილის ატომური რეაქტორის კატასტროფის მიმართ შინაგან საქმეთა მინისტრ ციმერმანის ინდიფერენტული დამოკიდებულებით.

ფრიდრიხ ციმერმანს ძვირად დაუჯდა, რომ 1982 წელს, მთავრობის ფორმირებისას, „გარემოს დაცვის პაპი" – მენკე-გლიუკერტი ამ სფეროს ჩამოაშორა; ლიბერალ, ჭეშმარიტ გარემოს დაცვის პოლიტიკოსს მის სიახლოვეს ნამდვილად არაფერი ესაქმებოდა. ციმერმანმა ისარგებლა ჩემი, როგორც თავისუფალი დემოკრატიული პარტიის თავმჯდომარისა და ,ვიცე-კანცლერის მძიმე მდგომარეობით, რათა მენკე-გლიუკერტი გადაეყენებინა და ეს იმ დროს გააკეთა, როდესაც ჩემს პარტიაში ცვლილებებისთვის – ანუ თავისუფალი დემოკრატიული პარტიისა და ქრისტიანულ-დემოკრატიული/ქრისტიანულ-სოციალური კავშირების ფედერალური მთავრობის შექმნისთვის – ვიბრძოდი და წინ თავისუფალი დემოკრატიული პარტიისათვის საარსებო მნიშვნელობის მქონე არჩევნები მელოდა. ციმერმანის წინამორბედმა, გერჰარტ რუდოლფ ბაუმმა შინაგან საქმეთა

სამინისტროს გარემოს დაცვის ჯგუფთან ისე კარგად იმუშავა, რომ მისმა შემცველელმა გარემოს დაცვის მზამზარეული სანიმუშო პროექტებით თავდაპირველად შეძლო თავი მოეწონებინა. ჩატარებულ სამუშაოსთან დაკავშირებული მრავალი მაგალითიდან ერთ-ერთს წარმოადგენს დადგენილება ხანძარსაშიში მოწყობილობების შესახებ, რომელიც ციმერმანის ამ თანამდებობაზე დანიშვნისას მთავრობაში წარსადგენად უკვე გამზადებული გახლდათ. თავისი საქმის პროფესიონალი და გარემოს დაცვის სფეროსთვის სწორედაც შესაფერისი მინისტრის მოადგილე დოქტორი ჰარტკოპფი შინაგან საქმეთა მინისტრმა ციმერმანმა ერთხანს თანამდებობაზე დატოვა.

1972 წელს, მთავრობის ახალი შემადგენლობის დამტკიცების შემდეგ, რეაქტორთა უშიშროების უზრუნველყოფის განყოფილება ჩავიბარე, სფერო, რომელმაც პასუხისმგებლობის ახალი და არსებითად უფრო დიდი განზომილების წინაშე დამაყენა. პირველად შემექმნა შთაბეჭდილება, რომ ძლიერ — იქნებ ზედმეტადაც — ვიყავი დამოკიდებული ექსპერტთა კომპეტენტურობაზე, დასკვნების დამაჯერებლობასა და ამა თუ იმ კონკრეტული პოზიციის საწინააღმდეგო თუ დამადასტურებელ არგუმენტებზე. მოსვენებას არ მაძლევდა ეს განცდა. მან ჩემს წინაშე წამოჭრა კაცობრიობის გადარჩენის საკითხთან უშუალოდ დაკავშირებული პოლიტიკური პასუხისმგებლობის კითხვა. ვცდილობდი, ახლოს გავცნობოდი, უფრო ღრმად ჩავწვდომოდი ამ სფეროს; ამ საკითხმა და შემდგომმა მოვლენებმა დაადასტურა, თუ რა ბევრი უპასუხოდ დატოვებული კითხვა არსებობს ატომური ენერგიის მოხმარების სფეროში. წელიწადნახევრის განმავლობაში ატომური რეაქტორების უშიშროების საკითხის ხანმოკლე შესწავლამ ამ სფეროს მდგომარეობაზე უაღრესად უარყოფითი წარმოდგენა შემიქმნა. სულ უფრო უკეთ ვხვდებოდი, რა დაუფიქრებლად საუბრობდნენ ადამიანები ატომური ენერგიის გამოყენებაზე და მხედველობიდან უშვებდნენ პრობლემებს, რომელთაც ხანგრძლივი, გამოუსწორებელი შედეგები ექნებოდა. სულ უფრო გადაუდებელ და აუცილებელ ამოცანად მიმაჩნდა ალტერნატიული ენერგომატარებლების საკითხზე მუშაობა, რაც დღესდღეობით საჭირო მასშტაბებით არ ხორციელდება. უფრო მეტიც: სხვადასხვა ენერგომატარებლებისთვის სახელმწიფო მხარდაჭერის სფეროში კონკურენციის ნეიტრალიტეტზე საერთოდ არ არის საუბარი.

ალტერნატიული ენერგომატარებლების საკითხს — ადრეც და ახლაც — გერივით ეპყრობიან, მაშინ როცა მომავალი ამ დარგს ეკუთვნის.

ჩემი შინაგან საქმეთა მინისტრობის დროს დაემთხვა გარემოს დაცვის საკითხებისადმი მიძღვნილი გაეროს პირველი სამთავრობათშორისო კონფერენცია. 1972 წლის 5 ივნისიდან 16 ივნისამდე სტოკჰოლმში გამართულ კონფერენციაზე მიღებულ იქნა გაეროს გარემოს დაცვის პროგრამა ახალ, საერთაშორისო სამოქმედო გეგმასთან ერთად; ამ გეგმაში გერმანული მხარის მიერ გამოთქმული მრავალი მოსაზრება და წინადადება შევიდა. იმ დროს გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა ჯერ არ იყვნენ გაეროს წევრები. მათი გაწევრიანება ერთი წლის შემდეგ მოხდა. სტოკჰოლმის თათბირზე მხოლოდ ბონი მიიწვიეს და არა აღმოსავლეთ ბერლინი, რის გამოც საბჭოთა კავშირმა და აღმოსავლეთ ბლოკის ქვეყნებმა — რუმინეთის გარდა — სოლიდარობის ნიშნად უარი თქვეს თათბირში მონაწილეობაზე. ჩინეთის სახალხო რესპუბლიკამ პირიქით, გლობალურ ამოცანად გაიაზრა გარემოს დაცვის უზრუნველყოფის საკითხი და ვატიკანის წარმომადგენელთან ერთად მხარი დაუჭირა საერთაშორისო სამართალში სამართალდამრღვევის პრინციპის განხორციელებას. ჩინეთის წყალობით — რომლის მოსახლეობაც მსოფლიო მოსახლეობის თითქმის მეოთხედს შეადგენს — 1968 წელს წამოყენებული მსოფლიო რესურსების დაცვის ამერიკულ-სკანდინავიური ინიციატივა, რომელიც თავდაპირველად წმინდა დასავლურ ხასიათს ატარებდა, მთელი გლობუსის მომცველ ნამდვილ გარემოს დაცვის მოძრაობად ჩამოყალიბდა; ამის შედეგად გაერომ განვითარებადი ქვეყნების ეკოლოგიური კატასტროფების საკითხი გარემოს დაცვის საერთაშორისო პროგრამაში ჩართო. სტოკჰოლმის კონფერენცია ჩემთვის თავისებურ პრემიერად იქცა: გაეროს ფორუმზე პირველად გამოვედი სიტყვით, რათა განმემარტა გერმანიის გარემოს დაცვის პოლიტიკური პრინციპები. იმჟამად ვერც წარმოვიდგენდი, შემდგომ რაოდენ ხშირად მომიწევდა გაეროს გენერალურ ასამბლეაზე გამოსვლა.

როგორც გამოირკვა, გარემოს დაცვის პოლიტიკური მიზნების განხორციელება საერთო ინტერესების ირგვლივ გაერთიანებული

დაჯგუფებების არსებობის ფონზე იოლი საქმე არ გახლდათ. ექსპერტთა ლეგიონებით ზურგგამაგრებული ეკონომიკური გაერთიანებები ყოველგვარი საშუალებით იბრძოდნენ, განსაკუთრებით ეწინააღმდეგებოდნენ 1971 წლის 6 აგვისტოს ამოქმედებულ კანონს, რომელიც ბენზინში ტყვიის შემცველობის შემცირებას ეხებოდა. ბენზინში ტყვიის შემცველობის შემცირება 1976 წლამდე უნდა განხორციელებულიყო ორ საფეხურად; ეს ითვალისწინებდა ერთ ლიტრ ბენზინში ტყვიის 0,15 გრამით შემცირებას. პირველ საფეხურზე დასაშვები ზღვარი 1976 წლამდე 0,4 გრამს უდრიდა.

ნავთობმრეწველობისა და მანქანათმშენებლობის ინდუსტრიული დარგი ცდილობდა გავლენა მოეხდინა კანონმდებლობაზე; დაბრკოლებებს სხვა სფეროებშიც — ეკონომიკისა და ტრანსპორტის სამინისტროებში — წავაწყდით. ეკონომიკური სფეროების წარმომადგენლები კანონით გათვალისწინებული მეორე საფეხურის ვადის გადაწევას ითხოვდნენ, პრესაში კი მრეწველთა წრეებიდან მომდინარე მზაკვრული შენიშვნები იბეჭდებოდა: 1973 წლისთვის დანიშნული არჩევნების შემდეგ ახლანდელი შინაგან საქმეთა მინისტრი თანამდებობას დაკარგავს, ქრისტიანულ-დემოკრატიულ/ქრისტიანულ-სოციალურ კავშირებთან საერთო ენის გამონახვა ხომ ასე არ გაგვიჭირდებოდაო. ამგვარი შეფასება მცდარი გახლდათ; ისინი სწორად ვერ აფასებდნენ ქრისტიანულ-დემოკრატიული/ქრისტიანულ-სოციალური კავშირების გარემოს დაცვასთან დაკავშირებულ პოლიტიკურ კურსს. თქვენ წარმოიდგინეთ, კავშირის პარტიების რისხვაც კი დავიმსახურე, როდესაც სხვა უწყებების მხრიდან წინააღმდეგობის გამო იძულებული გავხდი ვადა 1976 წლამდე გადამეწია.

გადავწყვიტე ავტოინდუსტრიისა და ნავთობმრეწველობის წარმომადგენლებთან დიალოგი გამემართა, რათა მათთვის კანონის დაცვისკენ მომეწოდებინა. შინაგან საქმეთა მინისტრს სხვა საზოგადოებრივი აპარტამენტი არ გამაჩნდა, ამიტომ სტუმრები ფედერალური სასაზღვრო დაცვის ბონი-ჰანგელარის ყაზარმაში მივიწვიე; დიდ სასადილოში გრძელი მაგიდა იდგა, რომელსაც მოწვეული ბატონები მიუსხდნენ. ფედერალური სასაზღვრო დაცვის ახალგაზრდა მოსამსახურეებმა ყავა და მინერალური წყალი მოგვართვეს. კატეგორიული ტონით განვაცხადე: არავითარი სურვილი არა მაქვს, ვინმეს ჩემს მიმართ ზეწოლის უფლება მივცე, ხოლო რამდენად

სერიოზულად ვეკიდები ამ საქმეს, პრესის საშუალებით უკვე მივანიშნე-მეთქი. ერთ-ერთ გაზეთს ინტერვიუ მივეცი და ვთქვი: „ჩვენ ბანანის რესპუბლიკა არა ვართ, სადაც სახელმწიფოს ძალა არ შესწევს დაიცვას მის მიერვე გამოცემული კანონები!“

საუბარმა შედეგი გამოიღო. ამ წარმატებით გამხნევებულმა უფრო რთულ საკითხებზე დიალოგის გამართვა ვცადე. ამგვარი დიალოგი წარმატების მიღწევის საუკეთესო საშუალებას წარმოადგენდა სხვადასხვა ძალების დემოკრატიული კანონიერი დაპირისპირების პირობებში, თუმცა ამავდროულად პოზიციის სიმტკიცესა და სიცხადეს მოითხოვდა. ფედერალური სასაზღვრო დაცვის ყაზარმაში გამართული მძაფრი, მაგრამ კორექტული საუბრისას ხანდახან ვნატრობდი, ნეტა, მსმენელთა შორის არსებული პოლიტიკური სისტემის ფსევდო-მარქსისტული კრიტიკის მომხრეები იყვნენ-მეთქი. ეკონომიკაზე დამოკიდებული და ამის გამო ძალზე დამყოლი პოლიტიკური კლასის დამახინჯებული ხატი ისევე სწრაფად გაქრებოდა, როგორც მოგებას დახარბებული ეკონომიკის ხატი, რომელიც ბუნების დაცვას არად აგდებდა.

ბენზინში ტყვიის შემცველობის კანონთან დაკავშირებული დაპირისპირებულობა ჩემთვის ეკონომიკის ზოგიერთი ლობისტის მიერ გარემოს დაცვის გაუცნობიერებლობის თვალსაჩინო გაკვეთილი გახლდათ. ბენზინში ტყვიის შემცველობის კანონით გათვალისწინებული მეორე ეტაპის დაწყების შემდეგაც არ გაჩერებულა ჩვენს ქუჩებში არც ერთი ავტომობილი. აუნაზღაურებელი ზარალი განიცადა ავტო და ნავთობინდუსტრიამ, როცა საკუთარი ექსპერტების დასკვნებზე — რომლებიც 1973-1974 წლებში ეგრეთ წოდებულ ბაიერსბრონის საუბრებში იქნა ფორმულირებული — ისევ უარი თქვა, რათა საწარმოთა რეფორმირებისათვის აუცილებელი თანხები დაეზოგათ. ინდუსტრიის ექსპერტებმა ხომ მას შემდეგ ველარ აღიდგინეს დაკარგული ნდობა. სწორედ მაშინ შერაცხეს გარემოს დაცვის ორგანიზაციებმა — ცოტა ზედმეტი მოუვიდათ — ავტომობილი ეშმაკის მანქანად, რაც დღემდე გრძელდება. უკვე დრო იყო, შეგვემუშავებინა ერთიანი სატრანსპორტო გეგმა — ამგვარ რეკომენდაციას 1971 წლის გარემოს დაცვის პროგრამაც ითვალისწინებდა, რომელიც ტრანსპორტის ყველა სახეობას გააერთიანებდა და შემოგვთავაზებდა ტრანსპორტის მართვის სისტემას, რომელიც საესებით ახალი

ტიპის ბაზრების საშუალებით ახალი სამუშაო ადგილების შექმნას შეუწყობდა ხელს.

### *ლიბერალური სამართლებრივი სახელმწიფო ძლიერი სახელმწიფოა: ფედერალური სისხლის სამართლის სამძებრო სამსახური და კონსტიტუციის დაცვის ორგანო*

შინაგან საქმეთა ფედერალურ სამინისტროს მიეკუთვნება აგრეთვე სახელმწიფო უშიშროების ფედერალური ორგანოები, ანუ: ფედერალური პოლიციის სისხლის სამართლის სამძებრო სამსახური, კონსტიტუციის დაცვისა და საზღვრის დაცვის ფედერალური სამსახურები. სამივე სფეროში იგრძნობოდა კადრებისა თუ მატერიალური ბაზის მნიშვნელოვანი დეფიციტი. სამივე სფეროში — ამ სამსახურში ჩემი მისვლის პერიოდში — სასწრაფო რეფორმები უნდა გაგვეტარებინა. წინა წლებში თითქმის არაფერი გაუკეთებიათ უშიშროებაზე პასუხისმგებელი ორგანოებისა და მათი თანამშრომლებისათვის. პოლიტიკური ძალმომრეობა და დამნაშავეობა კი მძვინვარებდა.

ფედერალური სისხლის სამართლის სამძებრო სამსახური თავს ველარ ართმევდა დაკისრებულ პასუხისმგებლობას, მიუხედავად იმისა, რომ მას სათავეში ედგა გამოცდილი, ადამიანური თუ პროფესიონალური თვალსაზრისით შთამბეჭდავი პრეზიდენტი პაულ დიკკოპფი, რომელიც პოლიციის მოხელის იმ ტიპს განასახიერებდა, სამართლებრივი სახელმწიფოს წინაშე ანგარიშვალდებულად რომ თვლის თავს. მეორე მსოფლიო ომის დროს ის შვეიცარიაში გაიქცა, რათა თავი აერიდებინა აღმოსავლეთის ფრონტზე ბრძოლებისთვის. ჩვენი ხანგრძლივი საუბრისას ერთხელ მითხრა: კოლეგებისგან ვიცოდი, რომ მაღალჩინოსან პოლიციელებს პარტიზანების წინააღმდეგ საბრძოლველად და ებრაელების გასანადგურებლად აგზავნიდნენ, მე კი არ მინდოდა ამ საქმეში ხელი გამესვარაო. ვინაიდან ომამდე მჭიდრო თანამშრომლობა აკავშირებდა შვეიცარიელ პოლიციელებთან, იმედი ჰქონდა, რომ შვეიცარიის მხარე უკან არ გამოაბრუნებდა. ასეც მოხდა. დიკკოპფს დიდ პატივს ვცემდი, თუმცა ცოტა უცნაური კაცი იყო, შორ მანძილზეც მატარებლით მგზავრობას ამჯობინებდა,

ოღონდ თვითმფრინავით არ ემგზავრა, რადგან საერთოდაც მწყრალად გასლდათ ყოველგვარ სიახლეზე. ერთი პირადული ამბავი უკარგავდა მოსვენებას: მისი დისშვილის ქმარი, ბენზინგასამართი სადგურის მეპატრონე, სამსახურში მოკლეს. თვითონ ფედერალური სისხლის სამართლის სამძებრო სამსახურის პრეზიდენტი იყო და პოლიციამ სისხლის სამართლის ეს საქმე ვერ გახსნა. ერთხელ, როდესაც მის მშობლიურ ვესტერვალდში ვინახულე, ვიგრძენი, როგორ თრგუნავდა ეს ამბავი.

1969 წლის 22 ოქტომბერს ფედერალური მინისტრი გავხდი, 1970 წლის ზაფხულში კი პაულ დიკკოპფს სამსახურში ყოფნის ვადა ეწურებოდა. რაც უფრო ახლოვდებოდა ეს დრო, მით უფრო დიდ თავსატეხს წარმოადგენდა ჩემთვის ამ მნიშვნელოვან სფეროში მისი შემცვლელის პოვნის საკითხი, რადგან პერსონალს ჯერ კარგად არ ვიცნობდი. ამიტომაც გადავწყვიტე, გადამეწია დიკკოპფის პენსიაზე გაშვების ვადა და ამით დრო მომეგო, ვიდრე შესაფერის კანდიდატურას შევარჩევდი. ახალი პრეზიდენტის უპირველესი ამოცანა უნდა ყოფილიყო კრიმინალური პოლიციის მოდერნიზაცია, მისი გარდაქმნა საერთაშორისო თანამშრომლობაზე ორიენტირებულ, დანაშაულთან ბრძოლის საერთაშორისო სტანდარტების შესატყვის ორგანოდ. აუცილებელი იყო ახალი იდეების დანერგვა და შტატების მნიშვნელოვანი გაფართოება.

ამასობაში დიკკოფმა მითხრა: ფედერალურ სისხლის სამართლის სამძებრო სამსახურში ჩემი შემცვლელი არ მეგულებაო. შესაფერის კანდიდატურას ამიტომაც ვეძებდი ფედერალური მხარეების პოლიციის სამმართველოებში; ფედერალური მხარეების შინაგან საქმეთა მინისტრებსაც ვთხოვე, მოეძებნათ და შემოეთავაზებინათ ასეთი პიროვნებები; ეს ხომ ფედერაციასა და მხარეებს შორის ნდობის გაღრმავებასაც შეუწყობდა ხელს, რადგან ფედერაცია და მხარეები ამ სფეროში განსაკუთრებით იყვნენ დამოკიდებულნი ურთიერთ-თანამშრომლობაზე. ფედერალური სისხლის სამართლის სამძებრო სამსახურის სათავეში რომელიმე მხარის წარმომადგენლის დანიშვნა თავიდან აგვაცილებდა ზედმეტ ქიშპობასა და გავლენის სფეროებზე გაუთავებელ დავას. ამ კონტექსტში სამი პიროვნების სახელი ფიგურირებდა: მიუნხენის პოლიციის უფროსი დოქტორი შრაიბერი, ნიურნბერგის პოლიციის უფროსი დოქტორი ჰეროლდი — მათ ის

უპირატესობა ჰქონდათ, რომ საკუთარ პოლიციას ხელმძღვანელობდნენ, რადგან ბავარიაში უკვე არსებობდა საქალაქო პოლიცია — და ბოლოს, შინაგან საქმეთა სამინისტროს მინისტერიალდირიგენტი, სამინისტროს პოლიციის განყოფილების უფროსი შტიუმპერი, რომელსაც ამ სფეროში მუშაობის დიდი გამოცდილება გააჩნდა. არჩევანი შრაიბერსა და ჰეროლდს შორის უნდა გამეკეთებინა. შტიუმპერი, რომელიც შინაგან საქმეთა მინისტრების თათბირზე გავიცანი, თავიდანვე ამოვარდა ამ სიიდან იმ ერთადერთი მიზეზის გამო, რომ პოლიციის მმართველობის გამოცდილება არ ჰქონდა. დოქტორ შრაიბერის შეტყობინებამ — მიუნხენში დარჩენას ვამჯობინებო, არჩევანი ამარიდა თავიდან. ჰორსტ ჰეროლდი შესაფერისი კანდიდატურა გახლდათ. ის უაღრესად ერუდირებული, ფსიქოლოგიური მეთოდის მიმდევარი კრიმინალისტი იყო, რომელიც თითქოს შეპყრობილი ჰყავდა მოდერნიზაციისა და მონაცემთა ელექტრონული დამუშავების დანერგვის იდეას. ახალი მეთოდი მან მალევე დანერგა ფედერალურ სისხლის სამართლის სამძებრო სამსახურში.

ჰეროლდი სამართლებრივ-სახელმწიფოებრივი შეგნების პიროვნება გახლდათ. მას სწამდა, რომ პოლიციას მოქალაქეთა ნდობა სჭირდება. მას სურდა ფედერალური სისხლის სამართლის სამძებრო სამსახურის ტექნიკური თუ ხარისხობრივი თვალსაზრისით უმაღლეს დონეზე განვითარება, მით უფრო, რომ დამნაშავეობასთან ბრძოლის რიგგარეშე პროგრამამ სამინისტროში მუშაობის ხარისხობრივი გაუმჯობესების წინაპირობები შექმნა. 1970 წლის 29 ოქტომბერს ეს პროგრამა, იმ სახით, რა სახითაც იყო წარმოდგენილი 1969 წლის 28 ოქტომბრის სამთავრობო განცხადებაში, ბუნდესტაგს გადაეცა. პროგრამას საპარლამენტო სტატს-მდივანი ვოლფრამ დორნი აწერდა ხელს და სამართლიანადაც. ეს მან იტვირთა შინაგან საქმეთა სამინისტროსა თუ სხვა უწყებებთან პროგრამის შეთანხმების მძიმე პროცედურა. ამასთან, მან ძირითადად მოახერხა ჩვენს მიერ ერთობლივად შემუშავებული კონცეფციის განხორციელება. ფედერალურმა კანცლერმა, ბრანდტმა გადაწყვეტილების პროექტს მთავრობაში პირადი საუბრის შემდეგ მხარი დაუჭირა. შემდეგ ბოლო ვარიანტი მთავრობის ახალგაზრდა მთავარ მრჩეველს, დოქტორ კლაუს კინკელს გადავეცი. ის საპირისპირო მოსაზრებების საფუძვლიანი არგუმენტაციით გამოირჩეოდა, რის

*ფედერალურ პრეზიდენტთან და გადამდგარ ფედერალურ შინაგან საქმეთა მინისტრ გუსტავ ჰაინემანთან ერთად სისხლისსამართლებრივი სამძებროს ფედერალურ სამსახურში. სამსახურის უფროსი ჰორსტ ჰეროლდი მათ მეგზურობას უწევს.*

გამოც კანცელარიაში პირად რეფერენტად მოვიწვიე. მოგვიანებით კანცელარიის უფროსი გახდა. მაშინ დაიწყო ჩვენი ხანგრძლივი თანამშრომლობა, რომელიც საგარეო საქმეთა სამსახურში გაგრძელდა, ბოლოს კი – 1990 წელს, კოლეგებიც გავხდით და მინისტრების დონეზე ვურთიერთობდით. 1970 წელს ვერც წარმოვიდგენდი, რომ კლაუს კინკელი 1992 წელს საგარეო საქმეთა მინისტრის თანამდებობაზე შემცვლიდა. მის ყოველ პროფესიულ ნაბიჯს, დაზვერვისა და კონტრდაზვერვის ფედერალური სამსახურის უფროსად მის დანიშვნასაც, სავსებით გამართლებულად ვთვლიდი, მით უფრო, რომ ჩვენ უკვე დიდი ხნის ადამიანური და მეგობრული ურთიერთობა გვაკავშირებდა.

კინკელმა შეთანხმებების შედეგების საფუძველზე უმოკლეს ვადებში ჩამოაყალიბა ეფექტური პროგრამა, რომელიც დაუყოვნებლივ უნდა შესრულებულიყო. მოხელეთა კვალიფიკაციის დონის ასამაღ-

ლებლად პროგრამა ითვალისწინებდა პოლიციის აღმასრულებელი ორგანოს მოსამსახურეთა საშუალო რანგის გაუქმებას ფედერალურ სისხლის სამართლის სამძებრო სამსახურში. მაშასადამე, პერსონალის შემადგენლობა მხოლოდ მაღალი და უმაღლესი კვალიფიკაციის მოხელეებით უნდა დაეკომპლექტებინათ სამხარეო კოლეგებისდა სამწუხაროდ, რომელნიც ჩემგან განსხვავებით სერიოზულად უნდა დაფიქრებულიყვნენ ამ ნაბიჯის შედეგებზე სამხარეო პოლიციებში. საბოლოოდ ჩემი მოდელი თანდათანობით დაინერგა: დამნაშავეობის პრობლემის ფონზე აუცილებლობას წარმოადგენდა მოხელეთა მაღალი პროფესიონალიზმი ფედერალურ სისხლის სამართლის სამძებრო სამსახურებსა და სამხარეო პოლიციის განყოფილებებში.

დაუყოვნებელი რეაგირების პროგრამის საშუალებით ამავე დროს პერსონალის მნიშვნელოვან გაზრდა-გაძლიერებას მივაღწიე. 1969 წელს თუ ცხრაასოცი თანამშრომელი გვყავდა, რამდენიმე წელიწადში მათმა რიცხვმა ორი ათასს გადააჭარბა. ეს ბიუროკრატიული აპარატის გაფართოებას კი არ ნიშნავდა, არამედ თანამედროვე სტანდარტების შესატყვის – ცოტა დაგვიანებულ – რეორგანიზაციას, მით უფრო, რომ საერთაშორისო დანაშაულობა თავისუფალი სამართლებრივი სახელმწიფოსგან უფრო სწრაფ და ზუსტ რეაგირებას ითხოვდა. ჩემთვის, როგორც ლიბერალისთვის, მოქალაქის თავისუფლება უმაღლეს მცნებას წარმოადგენდა. სახელმწიფოს უნდა დაეცვა ადამიანის პიროვნული თავისუფლება, სიცოცხლე და საკუთრება.

ფედერალური სისხლის სამართლის სამძებრო სამსახურის რეორგანიზაციას სრული წარმატება ხვდა წილად; თუ რაოდენ დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა დანაშაულთან ბრძოლის თანამედროვე ორგანოს ტერორიზმთან ბრძოლის საქმეში, ეს ბაადერ-მაინჰოფის დაჯგუფებასთან დაპირისპირებისას გამოჩნდა. კანონის გამკაცრება არასდროს მომითხოვია, პირიქით, მუდამ მივუთითებდი, რომ პოლიციის მოხელეების უპირველეს ამოცანას თითოეული მოქალაქის თავისუფლების უზრუნველყოფა წარმოადგენდა და რომ ისინი თავისუფალ სამართლებრივ სახელმწიფოს ემსახურებოდნენ: „პოლიცია არც ავტორიტარული სახელმწიფოს დამსჯელ რაზმს წარმოადგენს და არც იმის უფლება გვაქვს, ხალხისთვის განტევების ვაცად ვაქციოთ! სამსახურებრივი მოვალეობის აღსრულებისას მათ ზურგს უნდა

უმაგრებდნენ ის პირები, ვისაც პოლიტიკური პასუხისმგებლობა აკისრია". ამ პრინციპულმა პოზიციამ, რომელზეც გამუდმებით ვამახვილებდი ყურადღებას, ხელახლა შექმნა ნდობის ატმოსფერო, ერთი მხრივ, მოქალაქეებსა და სახელმწიფოს, მეორე მხრივ, მოხელეებსა და პოლიტიკოსებს შორის.

იმ წლებში პოლიტიკურ ძალმომრეობასთან დაპირისპირებულობამ დიდი საზოგადოებრივი პოლემიკა გამოიწვია. პოლიტიკურ ხელმძღვანელობას ყველა ღონე უნდა ეხმარა, რათა აქტიურად შებრძოლებოდა ტერორიზმს, მეორე მხრივ, მკაცრად უნდა დაეცვა სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპები. ამიტომ ვცდილობდი საზოგადოების კრიტიკულად განწყობილი ნაწილის ნდობის მოპოვებას.

ჩემთვის ამ უზომოდ მძიმე ჟამს დიდი გამოცდილება შემძინა ერთმა ფაქტმა და არ მინდა ახლა მას გვერდი ავუარო. საქმე ეხება იმ ურთიერთთანამშრომლობას, რომელიც შინაგან საქმეთა მინისტრების დონეზე გამართულ თათბირზე დამყარდა. სხდომას ერთ-ერთი ფედერალური ქვეყნის შინაგან საქმეთა მინისტრი უძღვებოდა. მინისტრები და კონკრეტული საკითხების გარშემო სამუშაო წრეებში გაერთიანებული მოხელეები გამოცდილებას უზიარებდნენ ერთმანეთს. ბჭობდნენ თანამშრომლობის ფორმებსა და მასშტაბებზე, ერთობლივი მოქმედების კოორდინაციის საკითხებზე და, ამრიგად, პრაქტიკაში ახორციელებდნენ პასუხისმგებლობით აღსავსე ფედერალიზმის პრინციპს. მოხელეთა და მინისტრების ერთობლივი მუშაობა ძალზე ეფექტური და ნაყოფიერი აღმოჩნდა. ფედერალური შინაგან საქმეთა მინისტრი რიგითი სტუმრის — და არა თავმჯდომარის ან თათბირის მონაწილის — სტატუსით ესწრებოდა თათბირს. ყოველთვის ვცდილობდი, პირადად დავსწრებოდი სამხარეო კონფერენციებს. თათბირზე სამი კლასიკური პარტიის შინაგან საქმეთა მინისტრები იყვნენ წარმოდგენილნი. თავმჯდომარე გახლდათ დიდი სტაჟის მქონე ჰამბურგის შინაგან საქმეთა საკითხების სენატორი, სოციალ-დემოკრატიული პარტიის წევრი, ჰაინც რუნაუ, რომელთანაც მას შემდეგ მჭიდრო მეგობრული ურთიერთობა მაკავშირებს. თავისუფალ დემოკრატიულ პარტიას წარმოადგენდა მნიშვნელოვანი ფიგურა, ნორდრაინ-ვესტფალენის შინაგან საქმეთა მინისტრი ვილი ვაიერი, რომელიც თავისუფალი დემოკრატიული პარტიის თავმჯდომარის მოადგილის პოსტზე მე შევცვალე, სამართლიანად მიიჩნევდა თავს

ჩემს პოლიტიკურ მამობილად, მაგრამ როდესაც ჩემი მოძღვრის როლს თამაშობდა, ეს ერთობლივ მუშაობას ძალზე ართულებდა.

ახლო ურთიერთობა მქონდა ბავარიის შინაგან საქმეთა მინისტრ ბრუნო მერკთან და ზაარის მხარის შინაგან საქმეთა მინისტრ შნურთან, რაინლანდ-პფალცის შინაგან საქმეთა მინისტრ შვარცთან, შლეზვიგ-ჰოლშტაინელ კოლეგებთან შლეგელბერგერსა და ტიცკთან, ბერლინელ სოციალ-დემოკრატ ნოიბაუერსა და ქვემო საქსონიისა და ბრემენის წარმომადგენლებთან — ლეენერსსა და ფრიოლიხთან. ამ კოლეგათაგან არც ერთს არ გაუცრუებია ჩემთვის იმედი. ყოველგვარ პარტიულ განკერძოებულობაზე მაღლა მდგარნი, ჩვენ დარწმუნებულნი ვიყავით, რომ თავისუფალი სამართლებრივი სახელმწიფოს უსაფრთხოების ინტერესებიდან გამომდინარე აუცილებელი იყო პარტიათა ურთიერთთანამშრომლობა. ამიტომ დადებითად ვაფასებდით ქრისტიანულ-დემოკრატიული/ქრისტიანულ-სოციალური კავშირების, სოციალ-დემოკრატიული და ლიბერალური პარტიის წარმომადგენლების მონაწილეობას ამ თათბირში.

პოლიტიკურ ძალმომრეობასთან დაკავშირებით უთანხმოება წარმოიშვა და როდესაც კამათმა კულიმინაციას მიაღწია, ჰაინრიხ ბიოლმა ითხოვა სიტყვა. ამის შემდეგ სოციალ-დემოკრატიული პარტიის ფრაქციის თავმჯდომარემ, ჰერბერტ ვენერმა შემომთავაზა ჰაინრიხ ბიოლს დავლაპარაკებოდი. ეს იდეა მყისვე ავიტაცე. დიალოგი ჩემთან, ბონ-ბად გოდესბერგში, ჰაიდერჰოფის სახლში შედგა. ვენერმა ჩემი მოწვევა მიიღო და ჩემი წინადადებაც — შინაგან საქმეთა მინისტრების თათბირის თავმჯდომარე ჰაინც რუნაუ მოგვეწვია — მოიწონა. ჰაინრიხ ბიოლიც უყოყმანოდ დაგვთანხმდა.

ყველა საქმე გადავდეთ და მთელი ნაშუადღევი გამოვითავისუფლეთ. კერძო სახლის მყუდრო ატმოსფეროში, ყოველგვარი გარე ფაქტორის წნეხის გარეშე ვსაუბრობდით ყველაზე პრინციპულ საკითხებზე. ჰაინრიხ ბიოლს პირისპირ პირველად შევხვდი. მანამდე იშვიათად, თანაც სულ ფართო საზოგადოებაში შევხვედრივარ. ჩვენს შორის საფუძვლიანი, შინაარსიანი საუბარი გაიმართა. ვესაუბრებოდი კაცს, რომელმაც თავისი ლიტერატურული მოღვაწეობით დიდი წვლილი შეიტანა ომის შემდგომი გერმანული დემოკრატიის განვითარების საქმეში. ჩვენი პოზიცია გავაცანით, ავუხსენით, რომ გაგებით ვეკიდებოდით ახალგაზრდების განსხვავებულ მოთხოვნებსა

და დაუთმენლობას, მაგრამ ამავე დროს მკაფიოდ გამოვხატეთ ჩვენი მრწამსი იმის თაობაზე, რომ დემოკრატიისთვის მიუღებელია პოლიტიკური მიზნების ძალმომრეობითი მეთოდებით განხორციელება. თუ სახელმწიფო გადაჭრით არ აღუდგება წინ პოლიტიკურ დამნაშავეობას, იგი ანარქიას გაუხსნის გზას და ხელს აიღებს თავის ფუნქციაზე, იყოს თავისუფლების გარანტი. სხვათა შორის ამგვარი ვითარება სხვა ექსტრემისტულ გამოხდომებსაც შეუწყობდა ხელს.

საუბრის დასაწყისშივე გაირკვა, რომ ჰაინრიხ ბიოლს და მე ძალზე განსხვავებული პოზიციები გვქონდა. ბიოლი მოითხოვდა ულრიკე მაინჰოფისა და მის თანამებრძოლთა მორალური მოტივების გათვალისწინებას; მე მათ ვიზიარებო. მე კონსტიტუციის I მუხლზე მივუთითე, რომლის მიხედვითაც ადამიანის ღირსების ხელყოფა დაუშვებელია: ეს ღირსება არ უნდა ემსხვერპლოს არავითარ შეიარაღებულ ძალას. დიდი სიფრთხილითა და სერიოზულობით წარმართულმა საუბარმა პოზიციების დაახლოებამდე მიგვიყვანა. რომ სახელმწიფოს თავისუფლების გარანტის ფუნქცია არ უნდა დაეკარგა და ადამიანის ღირსების ხელყოფაზე უარის თქმა მარტო სახელმწიფოს კი არა, არამედ ყოველი მოქალაქის მოვალეობა იყო, რომ თანამოქალაქეების წინააღმდეგ მიმართული ტერორი ადამიანის ღირსებას ბღალავს და მკვლელობის, მკვლელობის მუქარის ან სხვა სახის ძალადობის უფლება არავის აქვს, ამ არგუმენტებმა ბიოლზე ზემოქმედება იქონია. თავისი შედეგი გამოიღო იმანაც, რომ განვაცხადე, მე, როგორც ლიბერალი, ამ ექსისტენციალური საშიშროების წინაშეც ვუპირისპირდები თავისუფლების აღმკვეთი კანონის კონსერვატიული მეთოდებით გამკაცრებას. მხოლოდ არსებული კანონის ამოქმედებით გაბედულად ვუპირისპირდებით პოლიტიკურ ძალმომრეობას და ეჭვი არ გვეპარება, რომ ლიბერალებისა და სოციალ-დემოკრატების კოალიცია ფედერალური მხარეების ქრისტიან-დემოკრატ და ბუნდესტაგელ კოლეგებთან ურთიერთშეთანხმების საფუძველზე ყველაფერს იღონებს იმისათვის, რომ მოქალაქეებმა სახელმწიფოსადმი — როგორც თავისუფლების გარანტისადმი — ნდობა არ დაკარგონ. მემარცხენეთა პოლიტიკური ძალმომრეობა, ადვილი შესაძლებელია, მემარჯვენეთა პოლიტიკური ძალმომრეობის მიზეზი გახდეს-მეთქი.

*1972 წელს წითელი არმიის ფრაქციის ტერორისტული ქმედება კულმინაციას აღწევს. გამოძიებასთან დაკავშირებით მაისში, გერმანიის ბუნდესტაგის შინაგან საქმეთა კომიტეტის წინაშე მოხსენებით გამოდიან შინაგან საქმეთა ფედერალური მინისტრი და სისხლისსამართლებრივი სამეგბროს ფედერალური სამსახურის უფროსი ჰორსტ ჰეროლდი. მათ წინ, მაგიდაზე, აწყვია პოლიციის მიერ მიგნებული აუფეთქებელი ბომბები.*

ვენერი დაკვირვებით ადევნებდა თვალ-ყურს ჩვენს საუბარს. თავის დამოკიდებულებას საუბრის თემისადმი ჟესტიკულაციით, პანტომიმის ენაზე გამოხატავდა. ბიოლის პოზიციას გაგებით ეკიდებოდა, თუმცა სახელმწიფოს, როგორც თავისუფლების გარანტის უფლებას იცავდა და სიტყვაძუნწად, ფრთხილად ერთვებოდა საუბარში. ბოლოს ისეთი შეგრძნება დამეუფლა, თითქოს ამაზე რთული და მნიშვნელოვანი მოლაპარაკება არასდროს მეწარმოებინოს. ბიოლის მიერ ახალგაზრდობის სულიერ განწყობასთან დაკავშირებით გამოთქმულმა მოსაზრებამ ძალზე დამაფიქრა. მართალია, მე, როგორც შინაგან საქმეთა მინისტრი, ურყევ პოზიციას ვინარჩუნებდი, მაგრამ ბიოლის მიერ საზოგადოებრივი დაპირისპირებულობის მიზეზებისა და ჩვენი პასუხისმგებლობის გაანალიზება დამეხმარა, სიღრმისეულად

დამენახა საზოგადოებაში არსებული განწყობა და მისი შეფასების უფრო დიფერენცირებული არგუმენტაცია მომეხდინა. მტკიცედ გადავწყვიტეთ, სამართლებრივი სახელმწიფოს თვალსაზრისით ყოველნაირად უზრუნველგვეყო სამართლებრივი სახელმწიფოს, როგორც თავისუფლების გარანტის უფლება და ძალმომრეობის წინააღმდეგ შეუპოვრად გვებრძოლა. მაგრამ იმის წინააღმდეგიც ვიყავი, რომ თავისუფალი სამართლებრივი სახელმწიფო თავისუფლების შემზღუდავი კანონებით დაგვესუსტებინა.

საქმე ის გახლავთ, რომ თავისუფლებას საფრთხეს მხოლოდ მისი აშკარა მტრები როდი უქმნიან, – თავისუფლება შეიძლება იმითაც გაგუდო, თუ მის დასაცავ საშუალებებს უპასუხისმგებლოდ გამოიყენებ. ცხადია, ძირითადი კანონი მოითხოვს საკადრისი პასუხი გავცეთ ყოველ გამოწვევას, რომელიც ჩვენს თავისუფალ მართლწესრიგს დაემუქრება, მაგრამ საშუალებათა შესაბამისობის პრინციპმა იქამდე არ უნდა მიგვიყვანოს, რომ გაუმართლებელ მუქარას გაუმართლებელი საშუალებებით ვებრძოლოთ. თავისუფალი სამართლებრივი სახელმწიფო მზად უნდა იყოს ყოველგვარი მუქარის მოსაგერიებლად, მაგრამ ყველა საშუალებას არ უნდა თვლიდეს გამართლებულად. მათ, ვისაც პოლიტიკური პასუხისმგებლობა აკისრია, არ უნდა დაავიწყდეთ, რომ სამართლებრივ სახელმწიფოს მორალურ სიძლიერეს და ძალას თავისუფალი აზროვნება და მოქალაქეთა თანხმობა ანიჭებს. ამ პოსტულატს ჰერბერტ ვენერიც ეთანხმებოდა. მან და ვილი ბრანდტმა უპირობოდ დამიჭირეს მხარი უშიშროების ორგანოების ეფექტური ფორმირების საკითხში.

პოლიტიკური ტერორიზმის გამო 1972 წლიდან მუდამ თან მასლდნენ ფედერალური სისხლის სამართლის სამძებრო სამსახურისა და ფედერალური სასაზღვრო დაცვის თანამშრომლები; მართალია, ისინი გამუდმებით იცვლებოდნენ, მხგრამ ხანგრძლივმა თანაცხოვრებამ – ამ სიტყვის ჭეშმარიტი გაგებით – ადამიანურად დაგვაახლოვა. ამ ურთიერთობებმა ბევრი რამ შემძინა და არც ამის დავიწყება მმართებს.

ეფექტურად უნდა აგვემუშავებინა კონსტიტუციის დაცვის ფედერალური სამსახურიც. ამ სფეროში მუდმივად არსებობდა საკადრო პრობლემები, რაც დიდწილად განაპირობა ამ სამსახურის პირველი

ხელმძღვანელის – დოქტორ ოტო იონის დღემდე ბოლომდე აუხსნელმა გადასვლამ აღმოსავლეთ ბერლინში. ჩემი აზრით, ის მსხვერპლი უფრო იყო, ვიდრე დამნაშავე. ამასთან, ძალზე ხშირად გაისმოდა ბრალდებები იმ მოხელეთა მიმართ, ვინც მესამე რაიხის დროს ამა თუ იმ თანამდებობაზე იმყოფებოდა. კონსტიტუციის დაცვის ფედერალური სამსახური შპიონაჟისა და სოციალისტური ქვეყნების სპეცსამსახურებისთვის დეზინფორმაციის მთავარ სამიზნეს წარმოადგენდა. მიუხედავად ამისა, ამ ორგანომ, რომელსაც მესამე რაიხის მწარე გამოცდილებიდან გამომდინარე, საკუთარი აღმასრულებელი უფლებამოსილება არ გააჩნია, დიდხანს შესანიშნავად იმუშავა. ის საუკეთესო თანამშრომლებით არის დაკომპლექტებული და მრავალი მოხელე სხვა სარბიელზეც წარმატებულად მოღვაწეობს.

როდესაც მინისტრის მოვალეობის შესრულებას შევუდექი, კონსტიტუციის დაცვის სამსახურის ხელმძღვანელი გახლდათ შრიუბერსი. ერთმა შემთხვევამ ძალზე დიდი უთანხმოება გამოიწვია ჩვენს შორის. ერთ დილას პრესის საშუალებით შევიტყვე, რომ რომელიღაც კონკრეტულ აქციაში, რომელმაც საზოგადოების მღელვარება გამოიწვია, კონსტიტუციის დაცვის ფედერალური სამსახურიც მონაწილეობდა. სახელმწიფო უშიშროების განყოფილების უფროსს ვკითხე, რატომ არ გამაფრთხილეთ-მეთქი. მომახსენა, რომ სამინისტროშიც არაფერი სცოდნიათ ამ აქციის შესახებ. ამის შემდეგ კონსტიტუციის დაცვის ფედერალური სამსახურის უფროსი გამოვიძახე. ამ სამსახურის დათვალიერება ჯერ ვერ მოვასწარი. ბონში, რაინდორფერის ქუჩაზე მდებარე ძველ ყაზარმაში შევხვდით ერთმანეთს, რადგან ჩემი წინამორბედის განკარგულებით წამოწყებული სახლის მშენებლობა – სადაც ერთ მშვენიერ დღეს შინაგან საქმეთა მინისტრი უნდა დაბინავებულიყო – ჯერ არ დაესრულებინათ. შრიუბერსმა განმიმარტა: ფედერალურმა გენერალურმა პროკურორმა მთხოვა, ამ აქციის შესახებ არავისთვის შემეტყობინებინაო. მე არაორაზროვნად განვუმარტე, თქვენ გენერალური პროკურორის ხელქვეითი კი არა ხართ, არამედ შინაგან საქმეთა ფედერალურ მინისტრს ექვემდებარებით, მე ვიღებ პოლიტიკურ პასუხისმგებლობას თქვენზე და თქვენს სამსახურზე და არა ფედერალური გენერალური პროკურორი. ამ ინფორმაციის დაფარვა, თანაც ამგვარი არგუმენტით, თქვენს

გადადგომას გამოიწვევდა, მაგრამ ახალ სამსახურში ჩემი ხანმოკლე მოღვაწეობის გამო თქვენთვის ალბათ საკმარისად არ არის ცნობილი თანამდებობრივი რანგების ჩემეული გაგება. ეს პირველი და უკანასკნელი შემთხვევა უნდა იყოს. კიდევ ერთი ასეთი შემთხვევა თქვენთვის სავალალოდ დამთავრდება-მეთქი.

მოგვიანებით შრიუბერსს მაინც მოუხდა სამსახურის დატოვება. მესამე რაიხის მმართველობის დროს ის, როგორც პროკურორის მოვალეობის შემსრულებელი, უშუალოდ მონაწილეობდა ერთმნიშვნელოვნად პოლიტიკური ხასიათის და პოლიტიკურ ნიადაგზე გამართულ სისხლის სამართლის პროცესებში. ამიტომ მისი თხოვნა დავაკმაყოფილე და სამსახურიდან გავათავისუფლე.

კონსტიტუციის დაცვის ფედერალური სამსახურის კომპეტენციაში მემარცხენე და მემარჯვენე ექსტრემისტულ მოძრაობაზე მეთვალყურეობის გარდა უცხოური სპეცსამსახურების ჯაშუშურ-ძირგამომთხრელი საქმიანობის კონტროლიც შედის. ფედერაციული რესპუბლიკა გერმანიის გაყოფის შემდეგ სოციალისტური ქვეყნების სპეცსამსახურების თავდასხმის მთავარ ობიექტს, ღია კარს წარმოადგენდა. გაყოფილ გერმანიაში განუყოფელი გერმანელი ერის საერთო ისტორია, ენა და კულტურა უცხოეთის აგენტურას იდეალურ სამუშაო პირობებს უქმნიდა, რასაც კიდევ უფრო აიოლებდა ჩვენი საზოგადოების ღიაობა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკიდან გამოქცეული მილიონობით ადამიანის შემოსვლა გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში. მაკარტისებური ისტერია უნდა აგვერიდებინა. ომის შემდეგ აღმოსავლეთიდან დასავლეთში გადმოსული ადამიანებისადმი კოლექტიური უნდობლობის გამოვლინება არ უნდა დაგვეშვა. ამ ადამიანებმა ხომ კომუნიზმის საპირისპიროდ დასავლურ ღირებულებათა სისტემაზე შეაჩერეს არჩევანი. ჩემზე უკეთ კი ვინ იცოდა, თუ რას ნიშნავდა ეს.

როგორც საგარეო, ასევე შინაგანი უშიშროებისათვის მნიშვნელოვანი გახლდათ, რომ ჩვენს მიერ წამოწყებულ დაძაბულობის შენელების პოლიტიკას დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის არსებული პოლიტიკური დაპირისპირებულობის შეგნება არ მოეშალა. პროგრესს აღმოსავლეთ-დასავლეთის ურთიერთობებში არ უნდა მოედუნებინა ჩვენი სიფხიზლე და კონტრდაზვერვას უფრო ეფექტურად უნდა ემოქმედა. სავალალო მდგომარეობა იყო შექმნილი კადრების

სფეროში. ამიტომ გავეცი განკარგულება კონტრდაზვერვის სამსახურის გაფართოება-სრულყოფის თაობაზე. იმავდროულად გავაძლიერეთ ფედერალურ სისხლის სამართლის სამძებრო სამსახურთან არსებული სამშობლოს ღალატის და სახელმწიფო საიდუმლოს გამცემლობის წინააღმდეგ მებრძოლი უშიშროების ჯგუფის შემადგენლობა: თუ ეს ჯგუფი 1969 წელს ასორმოცდასამ თანამშრომელს ითვლიდა, ჩემი მოღვაწეობის დასასრულს ამ სამსახურში უკვე ორასოთხმოცდათვრამეტი ადამიანი მსახურობდა — ორმაგ რაოდენობაზე მეტი.

კონსტიტუციის დაცვის ფედერალური სამსახურის პრეზიდენტის თანამდებობაზე კანდიდატურის შერჩევა ძალზე გამიჭირდა. როდესაც შინაგან საქმეთა ფედერალურ მინისტრად მუშაობა დავიწყე, ვიცე-პრეზიდენტის პოსტზე გიუნთერ ნოლაუ იმყოფებოდა. ნოლაუ სოციალ-დემოკრატიულ პარტიასთან, უპირველეს ყოვლისა, კი ჰერბერტ ვენერთან იყო დაახლოებული, რომელსაც კონსტიტუციის დაცვის ფედერალურ ორგანოში მიმდინარე პროცესებზე ამომწურავ ინფორმაციას აწვდიდა. ჩემი წინამორბედებისთვის, ცხადია, ეს იმდენადვე სასურველი გახლდათ, რამდენადაც ჩემთვის: ამ მგრძნობიარე სფეროსთან დაკავშირებით ისეთი შეთანხმება არ უნდა შექმნილიყო, თითქოს რაღაცას ვმალავდით. ვენერი ისედაც შეპყრობილი იყო იდეით, რომ საიდუმლო სამსახურებს დემოკრატიის პირობებშიც საკუთარი პოლიტიკა უნდა გაეტარებინა. ამ საქმეში მხოლოდ გამჭვირვალობა თუ გვიშველიდა. შრიუბერსი ქრისტიანულ-დემოკრატიული კავშირის წევრი გახლდათ, ამიტომ ჩემმა წინამორბედმა გონივრული გადაწყვეტილება მიიღო და ნოლაუ, როგორც ვენერის ნდობით აღჭურვილი პირი, ვიცე-პრეზიდენტად დანიშნა.

გარკვეული დროის შემდეგ ნოლაუ შინაგან საქმეთა ფედერალურ სამინისტროში მოვიწვიე და საზოგადოებრივი უშიშროების განყოფილების უფროსად დავნიშნე. ვინაიდან ნოლაუ იქ საზოგადოებრივი უშიშროების სხვა სფეროებითაც იყო დაკავებული, მიზანშეწონილად ჩავთვალეთ შრიუბერსის ადგილზე დაგვენიშნა. ნოლაუს მოსწონდა თვალსაჩინო ადამიანის როლის თამაში და ალბათ იყო კიდეც თვალსაჩინო პიროვნება, რაც მოგვიანებით გიიომის სკანდალმა დაადასტურა. სოციალ-დემოკრატიულ პარტიაში ძალზე წინააღმდეგობრივი აზრი არსებობდა მის შესახებ; ასე იყო თუ ისე, ვოლფრამ

დორნს და მე გვეჩვენებოდა, რომ კანცელარიის უფროსს ჰორსტ ემკეს დიდად არ გახარებია ნოლაუს დანიშვნა დაზვერვისა და კონტრდაზვერვის ფედერალური სამსახურის ვიცე-პრეზიდენტად, კონსტიტუციის დაცვის ფედერალური უწყების პრეზიდენტად მისი დანიშვნა ალბათ უფრო გაახარებდა.

## *1972 წლის მიუნხენის ოლიმპიური თამაშების დრამატული მოვლენები – მძევლების აყვანა*

ფედერალურ მთავრობაში ჩემი მოღვაწეობის განმავლობაში მიღებულ ყველაზე შემზარავ გამოცდილებას წარმოდგენს 1972 წელს მიუნხენში ისრაელი სპორტსმენების მკვლელობა. მას შემდეგ, რაც შინაგან საქმეთა ფედერალურ მინისტრად დავიწყე მუშაობა, ავტომატურად გავხდი ოლიმპიური თამაშების საორგანიზაციო კომიტეტის ვიცე-პრეზიდენტი. ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი ვილი დაუმე გახლდათ თავმჯდომარე კომიტეტისა, რომელშიც სამი იურიდიული პირი იყო გაერთიანებული: მასპინძელი ქალაქი – მიუნხენი, ბავარიის მხარე და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა. მიუნხენის წარმომადგენელი გახლდათ დოქტორი ფოგელი, ბავარიისა – მინისტრი დოქტორი ჰუბერი, მე კი, როგორც შინაგან საქმეთა და, აქედან გამომდინარე, სპორტის ფედერალური მინისტრი ფედერაციულ რესპუბლიკას წარმოვადგენდი. საორგანიზაციო კომიტეტში, რომლის პრესმდივანი – მოგვიანებით ფედერალური მთავრობის სპიკერი და ფედერალური მინისტრი – კლაინი გახლდათ, შესანიშნავად ვთანამშრომლობდით; სამართლებრივ სუბიექტებს შორის არანაირ დაპირისპირებას არ ჰქონია ადგილი. სამხარეო და ფედერალური სამინისტროებისა და ქალაქ მიუნხენის წარმომადგენლები ძალიან კარგად, ნდობის ატმოსფეროში თანამშრომლობდნენ. ვილი დაუმესა და ვიცე-პრეზიდენტს შორისაც ჰარმონიული ურთიერთობა სუფევდა. გასაოცარი კომპეტენტურობითა და საქმის დიდი ცოდნით განიხილავდა დოქტორი ფოგელი ყველა იმ საკითხსა და დეტალს, რომელთა გაანალიზება საერთო ამოცანის შესასრულებლად აუცილებელი იყო. იოხენ ფოგელისთვის არასდროს შემიმჩნევია მენტორული დამოკიდებულება, რის შესახებაც პრესაში ასე ხშირად

წერდნენ. საქმეში ჩახედულობითა და განსწავლულობით კი ნამდვილად მაოცებდა და თუ ეს ვინმეს მენტორულ მანერად ეჩვენებოდა, მაშასადამე, თვითონ არ იყო მზად, რომ იოხენ ფოგელისთვის დამახასიათებელი სიმძაფრით ჩაღრმავებოდა ამა თუ იმ პრობლემას. ყოველ შემთხვევაში – მაშინ თუ მოგვიანებით მთავრობის კაბინეტსა და ბუნდესტაგში – დოქტორი ფოგელის სახით უაღრესად ერუდირებული, კორექტული კოლეგა და თანამოსაუბრე გავიცანი. დოქტორი ჰუბერიც ფაქტების განსაცვიფრებელ ცოდნას ამჟღავნებდა.

ოლიმპიური თამაშების უსაფრთხოების გეგმის შეფასებისას უნდა იცოდე, რომ გერმანიის კონსტიტუციის თანახმად ფედერალურ მხარეთა პოლიცია სუვერენული და ფედერალური პოლიციისაგან დამოუკიდებელია. ბავარიის რესპუბლიკაში იმჟამინდელი სამართლებრივი სტატუსის მიხედვით რესპუბლიკის დედაქალაქში საქალაქო პოლიციაც არსებობდა, რომლის სათავეში – როგორც უკვე აღვნიშნე – პოლიციის პრეზიდენტი დოქტორი მანფრედ შრაიბერი იდგა. შრაიბერი სამართლიანად ითვლებოდა ერთ-ერთ ყველაზე გამოცდილ და წინდახედულ გერმანელ პოლიციის მოხელედ. თუნდაც მხოლოდ ამის გამო მივიჩნიეთ შრაიბერი – რომელთანაც ხანგრძლივი ურთიერთობის შედეგად დღემდე პირადი მეგობრობა მაკავშირებს – შესაფერის კანდიდატურად, ვისაც ოლიმპიური თამაშების უსაფრთხოების უზრუნველყოფას მივანდობდით. ამრიგად, 1970 წლის 1 მაისს შეიქმნა საორგანიზაციო კომიტეტის რწმუნებულისა და ბავარიის დედაქალაქ მიუნხენის დამოუკიდებელი პოლიციის პრეზიდენტის უნია. გარდა ამისა, ბავარიის რესპუბლიკის მთავრობამ სპეციალური დაცვის სამსახურიც შექმნა, რომლის ხელმძღვანელობაც სამინისტროს მრჩეველს, დოქტორ მარტინს დაეკისრა. მასვე დაევალა ბავარიის რესპუბლიკაში ოლიმპიური თამაშების მომზადებისა და ჩატარების პროცესში მონაწილე ყველა სახელმწიფო თუ ადგილობრივი შინაგანი უწყების კონსულტირების, ინფორმირებისა და მხარდაჭერის საქმე. ოლიმპიადის ჩატარებისთვის აუცილებელი უსაფრთხოების გეგმის შემუშავება მანფრედ შრაიბერს დაევალა; ეროვნული და საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტების წარმომადგენელთა თანახმად ოლიმპიადა განსაკუთრებით ლაღ და გულღია ატმოსფეროში უნდა ჩატარებულიყო. შრეიბერის მიერ კომიტეტში წარმოდგენილი გეგმა ძირითადად მოვიწონეთ და მივიღეთ.

ფედერალური მთავრობისა და ბავარიის მიერ ერთობლივად წარმოდგენილი დოკუმენტაცია, — რომელმაც მოგვიანებით ასეთი სახელწოდება მიიღო: „ისრაელის ოლიმპიურ გუნდზე განხორციელებული თავდასხმა“ — ცხადყოფს: მიუხედავად დავალებისა, რომ ძალზე ლაღი, უშფოთველი ოლიმპიადა ჩაგვეტარებინა, მაინც მივმართავდით უსაფრთხოების განსაკუთრებულ ზომებს. ფედერაციული რესპუბლიკის პოლიციის სამმართველოებიდან გამოწვეული ორი ათასი მოხელე საზოგადოებრივი წესრიგის დამცველების ფორმაში გამოვაწყვეთ და მომსახურე პერსონალის ადგილებზე გავანაწილეთ, მიუნხენსა და ზემო ბავარიის ადმინისტრაციულ ოლქში არსებული პოლიციის შენაერთების გარდა, ფედერალური და სამხარეო პოლიციის ორგანოებიდან დამატებითი ძალები გამოვიძახეთ: სასაზღვრო დაცვის ორი სამხედრო ნაწილი, პოლიციის ექვსი სპეცრაზმი და ერთი სადესანტო ჯგუფი; ზუსტად რომ ვთქვათ, მობილიზებულ იქნა: ფედერალური სასაზღვრო დაცვის ოცი და ბავარიის პოლიციის ოთხი შვეულმფრენი, 4905 ჯარისკაცი, 1618 პოლიციელი და 973 კრიმინალისტი, მათ შორის, ფედერალური სისხლის სამართლის სამძებრო სამსახურის 37 მოხელე, ტექნიკური პერსონალიდან 123 მოსამსახურე, მათ შორის მძღოლები და პოლიციის 24 თარჯიმანი.

ებრაელ სპორტსმენებზე ან ისრაელის ოლიმპიური გუნდის განთავსების ადგილზე მოსალოდნელ თავდასხმასთან დაკავშირებით არანაირი ინფორმაცია არ არსებობდა. ყოველ შემთხვევაში, ამის შესახებ არავის უცნობებია საორგანიზაციო კომიტეტისთვის. 1972 წლის 9 აგვისტოს ისრაელის მთავრობამ სახელმწიფო უშიშროების ატაშე მიავლინა მიუნხენის პოლიციის უფროსთან, რომელმაც ზედმიწევნით შეისწავლა ისრაელიდან ჩამოსული საპატიო სტუმრებისა და ოლიმპიური გუნდის უშიშროების, დაცვისა და უზრუნველყოფის საკითხები. მას დაწვრილებითი ინფორმაცია მიაწოდეს ოლიმპიური დაბის სტრუქტურისა და ორგანიზაციის შესახებ, განუმარტეს საორგანიზაციო კომიტეტის საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სამსახურის უპირველესი კომპეტენცია. ისრაელის მხარემაც დაადასტურა, რომ არანაირი წინასწარი მონაცემები არ არსებობდა მოსალოდნელ სამართალდარღვევებსა თუ თავდასხმაზე; ისრაელის მთავრობას არც უკმაყოფილება ან შენიშვნები გამოუთქვამს ჩვენს მიერ მიღებულ უსაფრთხოების ზომებთან და გეგმასთან დაკავშირებით.

ოლიმპიადა მართლაც ლაღი და ამაღლებული განწყობით დაიწყო. ჩვენი ქვეყანა სტუმართმოყვარე მასპინძლის სახით წარსდგა მსოფლიოს წინაშე. ეს ოლიმპიადა მკვეთრად განსხვავდებოდა 1936 წელს ნაციონალ-სოციალისტურ გერმანიაში ჩატარებული ოლიმპიადისაგან, თუმცა უზრუნველი განწყობა ერთბაშად დაგვირღვიეს. 1972 წლის 2 სექტემბერს, დილის 6 საათზე ტელეფონმა დარეკა: ოლიმპიურ სოფელში, კონოლის ქუჩის 31 ნომერში მცხოვრებ ებრაელ სპორტსმენებზე თავდასხმა მოხდა და მძევლებიც აიყვანესო.

ოლიმპიადის დროს მეუღლესთან ერთად ვცხოვრობდი სასტუმრო „კონტიში". საწოლიდან წამოვიჭერი, მძღოლი და უშიშროების თანამშრომელი გავაღვიძე, ჩავიცვი და 7 საათზე ოლიმპიურ სოფელში ვიყავი. პოლიციის ოპერატიული ჯგუფი უკვე დაეკომპლექტებინათ. მალე ბავარიის შინაგან საქმეთა მინისტრი დოქტორი ბრუნო მერკი, საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი ბრანდიჯი და .საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარე ვილი დაუმე მოვიდნენ. მალევე შემოგვიერთდა დოქტორი ფოგელი. პოლიციამ ოპერატიული შტაბი ჩამოაყალიბა, რომლის ამოცანებიც დაწვრილებითი დოკუმენტაციის სახით არის წარმოდგენილი ფედერაციის, ბავარიის მხარისა და ქალაქ მიუნხენის ერთობლივ ანგარიშში. ჩვენის მხრივ მაშინვე შევქმენით პოლიტიკური კრიზისის გადაჭრის პირველი საგანგებო შტაბი, რომლის შემადგენლობაში შევიდნენ ბავარიის შინაგან საქმეთა მინისტრი, ქალაქ მიუნხენის წარმომადგენელი, შინაგან საქმეთა ფედერალური მინისტრი და ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი. ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტს, დაუმეს, მუდმივი კონტაქტი ჰქონდა საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტთან, პოლიციის უფროსი დოქტორი შრაიბერიც ამ შტაბის წევრი გახლდათ.

მაშინვე ფედერალურ კანცლერ ვილი ბრანდტსა და საგარეო საქმეთა მინისტრ ვალტერ შეელს დავუკავშირდი ტელეფონით. ბრანდტმა დაუყოვნებლივ — 11 საათისა და .30 წუთისთვის — დანიშნა მთავრობის საგანგებო სხდომა. გარდა ამისა, მან სრული უფლებამოსილება მომანიჭა, რათა ბავარიის მთავრობასთან შეთანხმებულად მემოქმედა და გადამჭრელი ზომები მიმეღო მძევალთა გადასარჩენად. ფედერალური მთავრობა, თავის მხრივ, უმაღლეს დონეზე დიპლომატიური ურთიერთობების ამოქმედების გზით

ცდილობდა მძევლების გათავისუფლებას. დახმარებისთვის არაბული სახელმწიფოების მთავრობებსაც მიმართეს და ისინიც ჩაერთვნენ ამ პროცესში.

მიუნხენის ოპერატიულ შტაბში გამართული საუბრები პასუხისმგებლობის გაცნობიერებითა და ძალზე სერიოზულ ატმოსფეროში მიმდინარეობდა. დღემდე დიდი მოწიწების გრძნობით ვფიქრობ ამაზე. არც მაშინ, არც მძევლების გასათავისუფლებლად ჩატარებული ოპერაციის მარცხით დასრულების შემდეგ უცდია რომელიმე მონაწილე ორგანიზაციას გაქცეოდა თავის წილ პასუხისმგებლობას. თავიდანვე ცხადი გახლდათ ჩემთვის, რომ მე, როგორც შინაგან საქმეთა ფედერალურ მინისტრს, ყველაზე დიდი პასუხისმგებლობა მეკისრებოდა პოლიტიკური კრიზისის მარეგულირებელი შტაბის მუშაობაზე, მიუხედავად იმისა, რომ შინაგან საქმეთა ფედერალურ ორგანოს ამ შემთხვევაში არანაირი პოლიციური უფლებამოსილება არ გააჩნდა და მიუნხენისა და ბავარიის შინაგან საქმეთა ორგანოებისთვის მხოლოდ მხარდაჭერის აღმოჩენის უფლება ჰქონდა. დიპლომატიური საქმიანობის კოორდინაცია საგარეო საქმეთა უწყების სტატს-მდივან ფონ ბრაუნს დაევალა. ფედერალური კანცლერი ბრანდტი და ვალტერ შეელი აქტიურად ჩაებნენ მძევლების გათავისუფლებისთვის წამოწყებულ ყველა ღონისძიებაში: ვილი ბრანდტმა საგანგებო მოლაპარაკება გამართა არაბული ქვეყნების ლიდერებთან.

ჩვენ უნდა დაგვედგინა ამ თავდასხმისას რამდენი ებრაელი სპორტსმენი გადარჩა და რამდენი დაიღუპა. ერთ-ერთი სპორტსმენი, რომლისთვისაც სასწრაფო სამედიცინო დახმარება გამოიძახეს, ექიმებს ცოცხალი აღარ დაუხვდათ. მჭიდრო კონტაქტი გვქონდა ისრაელის ელჩთან, რომელიც ბუნდესვერის თვითმფრინავით შუადღისას ჩამოიყვანეს მიუნხენში. ნაბიჯს არ ვდგამდით ისე, რომ საქმის კურსში არ ჩაგვეყენებინა და მისთვის რჩევა არ გვეკითხა, მით უფრო, რომ ისრაელს ამგვარ საკითხებში დიდი გამოცდილება გააჩნდა. გარდა ამისა, იმის შეტყობასაც ვცდილობდით მისგან, თუ რა რეაგირებას მოახდენდა ისრაელის მთავრობა ტერორისტების მოთხოვნაზე, ანუ ისრაელის სატუსაღოებიდან 200 პალესტინელის გათავისუფლების თაობაზე. ელჩის განკარგულებაში იყო ოთახი და ტელეფონი, რათა მუდმივი კონტაქტი ჰქონოდა თავის მთავრობასთან.

ისრაელის მთავრობა მიუღებლად თვლიდა ტერორისტების მოთხოვნას, გაეთავისუფლებინა ყველა პატიმარი — ან თუნდაც ნაწილი ტუსაღებისა. შუადღისას ელჩმა შეგვატყობინა, რომ მიუნხენში უშიშროების საკითხთა ექსპერტი ჩამოდიოდა ისრაელიდან. ლაპარაკი იყო უშიშროების საკითხებში მაღალი რანგის სპეციალისტზე, რომელიც თანმხლებ პირთან ერთად მოემგზავრებოდა. ისინი 19 საათზე ჩამოვიდნენ მიუნხენში. მასთან ინტენსიური კონსულტაციები გვქონდა. შეკითხვაზე: ისრაელის მხარე საკუთარი ძალებით ხომ არ ეცდება მძევლების გათავისუფლებას-მეთქი, — უარით მიპასუხა. მას არანაირი პრეტენზია არ გამოუთქვამს პოლიციასთან შექმნილი კონფლიქტის დარეგულირების შტაბისა და მის მიერ გატარებული ღონისძიებების მიმართ.

ძალზე ოპერატიულად მოვამზადეთ დარბაზები საპოლიციო და პოლიტიკური ღონისძიებებისთვის, ასევე აპარტამენტები ოლიმპიურ თამაშებში მონაწილე არაბული ქვეყნების წარმომადგენლებისთვის. პოლიტიკური კრიზისის დარეგულირების შტაბი ინტენსიურად მუშაობდა. ისრაელის წარმომადგენლებთან ერთად ვცდილობდით დრო მოგვეგო, ისინი ჩვენი პოლიციის ექსპერტების შეფასებას იზიარებდნენ: სასურველი შედეგის მიუღწევლობის შემთხვევაში ტერორისტები ულტიმატუმის ვადის გასვლისთანავე დახვრეტდნენ მძევლებს. პერმანენტული კონტაქტის საშუალებით ტერორისტები დავარწმუნეთ ვადა გადაეწიათ. დროის გადაწევა რამდენიმეჯერ შევძელით. მოლაპარაკებებს თავიდანვე პოლიციის უფროსი, შრაიბერი წარმართავდა. ამრიგად, ულტიმატუმის თავდაპირველი ვადა — 9 საათი 12 საათით შეიცვალა, შემდეგ 13 საათამდე გაგრძელდა, ვადის შემდგომ გაგრძელებაზე პალესტინელებმა უარი გვითხრეს და ეჭვი გამოთქვეს: თქვენ ცრუ დაპირებებს გვაძლევთ და დროს წელავთ, რომ თავს დაგვესხათო. დილაადრიან პოლიციის უფროსს წერილობითი ულტიმატუმი უკან გამოართვეს და განაცხადეს: ამიერიდან მხოლოდ სიტყვიერ მოთხოვნებს წამოვაყენებთ: სასწრაფოდ გათავისუფლდეს ისრაელში დატყვევებული ორასი არაბი ეროვნების პოლიტიკური პატიმარიო და მათი სახელები ჩამოთვალეს. მათი გათავისუფლების შესახებ არაბული პაროლის მცოდნე პირმა შეგვატყობინოს. შემდეგ ყოველგვარი დაბრკოლების გარეშე უნდა გაგვატაროთ მძევლებთან ერთად, რომლებსაც მოგვიანებით გავათავისუფლებთო. პოლიციის

უფროსმა ბოლოს იმედი დაკარგა, რომ ტერორისტები ულტიმატუმის გასვლის დროს გააგრძელებდნენ, ის კი არა, შიშობდა, ორი მძევალი 13 საათამდე არ დაეხვრიტათ.

ამ ღონისძიებების პარალელურად ფედერალური მთავრობა აქტიურ დიპლომატიურ მოლაპარკებებს აწარმოებდა, ხოლო პოლიცია აუცილებლობის შემთხვევაში მძევლების ძალისმიერი მეთოდით გათავისუფლებისათვის ემზადებოდა. შინაგან საქმეთა მინისტრმა მერკმა და მე გადავწყვიტეთ პირადად დავლაპარაკებოდით ტერორისტების მეთაურსს. ამით მხოლოდ იმას მივაღწიეთ, რომ ვადა კიდევ ერთხელ გაგვიგრძელეს – 13 საათიდან 15 საათამდე, შემდეგ 17 საათამდე, მერე 19 საათამდე და ბოლოს 21 საათამდე. ვუთხარით, რომ ისრაელის მთავრობასთან კონტაქტი გვქონდა, რაც სიმართლეს შეეფერებოდა. გერმანიის მთავრობა გამოსავალს ეძებს, თანაც ისრაელის მხარემ თქვენს მიერ ჩამოთვლილ პირთა მონაცემები უნდა გადაამოწმოს-მეთქი.

იმედი გვქონდა, ამასობაში გამოსავალს ვიპოვიდით. ტერორისტების ხელმძღვანელი, რომელსაც დოქტორ მერკთან ერთად ველაპარაკებოდი, თეთრ კოსტიუმში იყო გამოწყობილი, რასაც მრავალი ფოტოც ადასტურებს. პიჯაკის ზედა, მარცხენა და მარჯვენა ჯიბეებში ხელყუმბარები ეწყო, ასაფეთქებელი ზონრები ქვემოთ კონწიალობდა. ასაფეთქებლად გამზადებული ერთი ყუმბარა ხელში ეჭირა. სახეზე შეუპოვრობა და ამავე დროს სიმშვიდე ეწერა.

ვარწმუნებდი, დაპატიმრებულთა ინტერესებიდან გამომდინარე, არ შეიძლება უდანაშაულო ადამიანები დაიღუპონ-მეთქი. ვცდილობდი ზემოქმედება მომეხდინა მის სინდისსა და პირადი პასუხისმგებლობის გრძნობაზე. ვცდილობდი დამერწმუნებინა, განზრახვაზე ხელი აეღო და მუქარა სისრულეში არ მოეყვანა. უარის ნიშნად თავი გააქნია: ამგვარ საუბრებს ვერ დავყვებიო. სიტყვასიტყვით კი აი რა მითხრა: „მე ჯარისკაცი ვარ“ და მხოლოდ ბრძანებას ვემორჩილები. მე ბრძანება უნდა შევასრულო და შევასრულებ კიდეც“. მაინც რას ფიქრობდა ან რას გრძნობდა? ნეტა თუ იცოდა, რას ნიშნავდა ჩვენთვის, გერმანელებისთვის, კვლავაც აქ, გერმანიაში, ებრაელების სიცოცხლეს საფრთხე რომ დაემუქრა? ებრაელთა დახოცვა გერმანიაში – 1972 წელს! ეს ფიქრი სულს მიხუთავდა. რაც დრო გადიოდა, მით უფრო მეეჭვებოდა, რომ შეგონებით ან სხვა

არგუმენტით მის დარწმუნებას შევძლებდი და განზრახვაზე ხელს ავაღებინებდი.

ჩვენთვის, ანუ დოქტორ მერკის, დოქტორ შრაიბერისა და ჩემთვის, ამ საუბრებიდან ნათელი გახდა, რომ პოლიციამ სწორი დასკვნა გამოიტანა: მართალია, ულტიმატუმის ვადის გადაწევას ვახერხებდით, მაგრამ ის ისევ ძალაში იყო და მუქარაც სერიოზული გახლდათ. ისიც კი არ ვიცოდით, რამდენი ებრაელი მძევალი დარჩა ცოცხალი, თუკი საერთოდ გადარჩა ვინმე. ერთ-ერთი საუბრისას ამის შესახებ ტერორისტების ხელმძღვანელსაც ვკითხე.

იმ საუბრის შემდეგ, ნაშუადღევს, მან ერთ-ერთი გაკოჭილი მძევალი სარკმელთან მოიყვანა, თუმცა აუკრძალა მას ეპასუხა კითხვაზე, თუ რამდენი სპორტსმენი გადარჩა. მხოლოდ იმის თქმის უფლება მისცა, რომ ყველა მძევალი, ვინც იმ ღამეს გადარჩა, ცოცხალია. დაახლოებით 17 საათისთვის ის კიდევ ერთხელ მოუახლოვდა სარკმელს, ამჯერად სხვა სპორტსმენთან ერთად, რომელმაც გვითხრა: იმედი მაქვს ისრაელის მთავრობა ტერორისტების მოთხოვნას დააკმაყოფილებს, ჩვენ კი მზად ვართ მათთან ერთად კაიროში გავფრინდეთო.

დაახლოებით ამავე დროს ტერორისტებმა პირველად მოითხოვეს თავისუფალი გასასვლელი. ამას მოაყოლეს მუქარა: კაიროში ჩასულებს დილის 8 საათზე ორასი არაბი პატიმარი ადგილზე თუ არ დაგვხვდება, მძევლებს იქვე დავხვრეტთო. მივხვდი, რომ შექმნილ ვითარებაში მძევლების ტერორისტებთან ერთად გაშვება არ შეიძლებოდა. ამ პირობაზე თუ დავთანხმდებოდით, უარს ვიტყოდით ჩვენი, როგორც ოლიმპიადის მასპინძელი ქვეყნის მიერ ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებაზე. ამ მოსაზრებას გამონაკლისის გარეშე ყველა იზიარებდა. საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი თვლიდა: ტერორისტების გაშვების შემთხვევაში გერმანია უარს იტყვის პასუხისმგებლობაზეო. ისრაელის მთავრობამ ელჩის მეშვეობით იკითხა, მართებული იქნებოდა თუ არა მძევლების კაიროში გადაყვანასთან დაკავშირებით მოლაპარაკებების გამართვა და თუ ეს მიზანშეწონილად მიგაჩნიათ, ხომ არ დაუდგენია ფედერალურ მთავრობას, ეგვიპტის მბარე მძევლებს ეგვიპტიდან ისრაელში გამგზავრების უფლებას მისცემს თუ არაო. ისიც აინტერესებდათ, მძევლების გადასაყვანად თუ იქნებოდა გამოყენებული გერმანული

*1972 წლის 5 სექტემბერი: მცდელობა ებრაელი მძევლების გადასარჩენად. შინაგან საქმეთა ფედერალური მინისტრი გენშერი, ბავარიის შინაგან საქმეთა მინისტრი მერკი (მარცხნივ, განაპირას, დაფარულია) და მიუნხენის პოლიციის უფროსი დოქტორი მანფრედ შრაიბერი (მარცხნივ) ტერორისტების მეთაურს ესაუბრებიან.*

თვითმფრინავი და გააცილებდა თუ არა მას მაღალი რანგის გერმანელი პიროვნება. იმავდროულად დადასტურდა, რომ პალესტინელი პატიმრების გათავისუფლების მოთხოვნაზე უარი ითქვა. სტატსმდივანმა ფონ ბრაუნმა ფედერალურ კანცლერს ისრაელის მთავრო-

ბის შეკითხვების თაობაზე მოახსენა. ამის გამო გერმანიის მთავრობამ ისრაელის მთავრობასთან კონტაქტის განახლება სცადა.

რა შედეგით დასრულდებოდა ეს ყველაფერი, ნუთუ გერმანიის მიწაზე ამჯერად მძევლად აყვანილი ებრაელების სისხლი კვლავ უნდა დაღვრილიყო? განსაკუთრებულ პასუხისმგებლობას ვგრძნობდი. ტერორისტების ხელში ჩავარდნილ, დაზაფრულ და მაინც იმედიან ადამიანებზე ფიქრმა მთელი სიმძაფრით შემახსენა ჩვენი ისტორიის უმძიმესი დანაშაული. 1945 წლის შემდეგ ოცდაშვიდი წელი გავიდა და გერმანიაში ებრაელებს კვლავ სიკვდილი ემუქრებოდა. რამდენჯერ გვიკითხავს ჩვენი თავისთვის, როგორ განვითარდა გერმანიაში მოვლენები, რომელთაც ნიურნბერგის კანონები, 1938 წლის 9 ნოემბრის ტერორის ღამე, ებრაული ვარსკვლავი, ვანზეეს კონფერენცია და ოსვენციმი მოჰყვა შედეგად! 1972 წლის 2 სექტემბრის შემდეგ ამას კიდევ უფრო მძაფრად განვიცდი. ახალგაზრდა ვიყავი, როცა ოსვენციმში ადამიანებს ჟლეტდნენ, თუმცა მასობრივი განადგურების ამ ბანაკის შესახებ არაფერი ვიცოდით. ებრაელი მძევლების გადასარჩენად სიცოცხლეს გავწირავდი. მოვიფიქრე, როგორ მოვქცეულიყავი.

ულტიმატუმის ვადის გაგრძელებასთან დაკავშირებული ერთ-ერთი მოლაპარაკებისას — დრო 17 საათზე იწურებოდა — ტერორისტებს მძევლების სანაცვლოდ საკუთარი პერსონა შევთავაზე. ამ გადაწყვეტილების შესახებ არავისთვის მიცნობებია. მანამდე სახლში დავრეკე. ჩემი მეუღლე ჩემთან ერთად იმყოფებოდა მიუნხენში და სასტუმროში მელოდა. დედამ მიპასუხა. ამ მოვლენებს ძალზე აეფორიაქებინა. ვამშვიდებდი, ყველაფერი კარგად იქნება, ყველაფერს ვიღონებთ, რომ ეს საკითხი მშვიდობიანად მოვაგვაროთ-მეთქი, შემდეგ ვკითხე: ჩემი გოგონა — რომელიც თერთმეტი წლის იყო — სად არის-მეთქი. ბაღში თამაშობსო. ვთხოვე, მოეყვანა, მინდოდა ერთხელ კიდევ დავლაპარაკებოდი, ერთხელაც გამეგონა მისი ხმა, სანამ იმ ნაბიჯს გადავდგამდი, რომლის შედეგსაც წინასწარ ვერ გამოიცნობ, თუმცა ამ გადაწყვეტილებას ვერავინ და ვერაფერი გადამაფიქრებინებდა. საკუთარ თავს ვერ ვაპატიებდი, მაქსიმალურად რომ არ გამომეყენებინა ყველა შესაძლებლობა. აღარც მახსოვს იმ დღეს რამდენჯერ ვილოცე. მარტინას ვკითხე: ახლა რას აკეთებ-მეთქი და იმედი გამოვთქვი, რომ მალე კვლავ ბონში დავბრუნდებოდი.

სატელეფონო საუბრის შემდეგ ტერორისტების მეთაურთან შესახვედრად წავედი. ვუხსნიდი, რომ გერმანია ოლიმპიადის მასპინძელი ქვეყანაა და, რომ მას ებრაელი ხალხის მიმართ განსაკუთრებული პასუხისმგებლობა ეკისრება. ამიტომ, გთხოვთ, მძევლად მე დამტოვოთ და ისინი გაათავისუფლოთ. სანამ ისრაელის მთავრობა თქვენს მოთხოვნას არ შეასრულებს, თქვენი მძევალი მე ვიქნებიმეთქი. მიპასუხა: ამ გადაწყვეტილებას ვერ მივიღებ, საამისო უფლებამოსილება არ გამაჩნია. მე ებრაელი მძევლები მჭირდება და არა გერმანელებიო.

ყველა მცდელობა, დამეყოლიებინა იგი, უშედეგოდ დამთავრდა. ვაფრთხილებდი: შენი ხალხის გერმანიისადმი დამოკიდებულებაც უნდა გაითვალისწინო-მეთქი. არც ამან გაჭრა. ბოლოს ერთხელაც ვცადე ბედი: თუ გადაწყვეტილების მიღების უფლება არა გაქვს, მაშინ შენს უფროსებს დაუკავშირდი-მეთქი. ეს წინადადებაც უარყო. შემდეგ ებრაელი მძევლების მდგომარეობით დავინტერესდი: ან მითხარი რამდენი გადარჩა, ან სახლში შესვლის უფლება მომეცი-მეთქი. თავიდან ამაზეც უარი მითხრა, ბოლოს, როგორც იქნა, დავითანხმე.

სახლში ერთად შევედით და ზედა სართულზე კიბით ავედით. დერეფანში ავტომატებით შეიარაღებული პალესტინელები იდგნენ. დერეფნის ბოლოს ერთი კარი გამოაღეს. პატარა ოთახში, სადაც კედლის ორივე მხარეს თითო-თითო საწოლი იდგა, მძევლები ისხდნენ. მათ შორის ზეწარგადაფარებულ ცხედარს მოვკარი თვალი. გავეცანი: გერმანიის შინაგან საქმეთა მინისტრი ვარ-მეთქი და ვუთხარი, რომ არაბული ქვეყნების მთავრობებთან მოლაპარაკებებს ვაწარმოებდით და ისრაელის მთავრობასთან ერთად ამ პრობლემის გადაჭრას ვცდილობდით. ყველაფერს ვიღონებთ, რომ მალე გაგათავისუფლოთ-მეთქი. მძევლებმა მთხოვეს, ჩვენს მთავრობას გადაეცით, რომ იმედი გვაქვს არაბ ტუსაღებს გაათავისუფლებენო.

საწოლზე ჩამომსხდარი ადამიანების ხატი, რომლებიც იმედის თვალით მიყურებდნენ, არასდროს მომასვენებს. ისინი დიდი იმედით, მაგრამ სიტუაციის სერიოზულობის შეგნებით საუბრობდნენ. ეტყობოდათ, რომ სიმშვიდის შენარჩუნებას ცდილობდნენ. ჩვენს საუბარს ავტომატებით შეიარაღებული ორი ტერორისტი ადევნებდა თვალ-ყურს.

იმ ოთახის ფანჯრებზე, სადაც ცხრა ცოცხლად დარჩენილი

ებრაელი მძევალი იმყოფებოდა, ფარდები ჩამოეფარებინათ; თითქმის ბნელოდა. სპორტსმენებისთვის ხელ-ფეხი ისე შეეკრათ, რომ მათ მხოლოდ ხელების ამოძრავება შეეძლოთ. მძევლებმა მათი სია გადმომცეს და კიდევ ერთხელ მთხოვეს, გადამეცა მათი მთავრობისათვის, ტერორისტების მოთხოვნა დაეკმაყოფილებინათ. მაშინ ჩვენც თანახმა ვიქნებით პალესტინელებთან ერთად კაიროში გავფრინდეთო. ამის შესახებ დაუყოვნებლივ შევატყობინე ისრაელის ელჩს.

რამდენიმე წუთის შემდეგ პალესტინელებმა მანიშნეს აუდიენცია დამთავრებულიაო. კიბეზე დავეშვი, ერთხელ კიდევ შევახსენე ტერორისტების წინამძღოლს, იქნებ მძევლად მე დამიტოვო-მეთქი, მაგრამ ამაოდ, უარით გამომისტუმრა: სამაგისო ლეგიტიმაცია არ გამაჩნია და არც მჭირდებაო.

შინაგან საქმეთა მინისტრი მერკი და მე 19 საათის შემდეგ კიდევ ერთხელ წავედით ტერორისტების მეთაურთან. ვუთხარით, რომ ამასობაში ისრაელის მთავრობის რწმუნებული ჩამოვიდა, რომელსაც მასთან ტელეფონით დაკავშირება სურდა, მაგრამ მან უარი თქვა: ისრაელის მხრიდან ეს კიდევ ერთი ხრიკია, რომ საქმე გააჭიანუროსო. სათქმელი აღარაფერი მაქვს, გერმანელებმა და ისრაელის წარმომადგენლებმა უნდა შეიგნოთ, რომ მე და ჩემი ამხანაგები გაფრენის დროს ველარ გადავდებთ, ახლა უკვე ფიზიკურ მიზეზთა გამოც და თუ რამდენიმე წუთში აქაურობის დატოვებას ვერ შევძლებთ, მუქარას ავასრულებთ და თავდაპირველად ორ მძევალს დავხვრეტთო. გარდა ამისა, მან გვთხოვა ისრაელის მთავრობისთვის გადაგვეცა: ჩვენი ულტიმატუმი ძალაშია. თუ კაიროში ჩვენს მიერ დასახელებული არაბები ტუსაღები არ დაგვხვდებიან, ხვალ დილითვე ყველა მძევალს დავხვრეტთო.

ფედერალურმა კანცლერმა ბრანდტმა არაბული სახელმწიფოებისა და მთავრობის მეთაურებს შემდეგი მოწოდებით მიმართა: „ფედერალური მთავრობა გულის სიღრმემდე შეაძრწუნა ცნობამ, რომ ოლიმპიური მშვიდობა დივერსიულმა აქტმა დაარღვია, რომელსაც ადამიანთა სიცოცხლე ემსხვერპლა. მძევლების სიცოცხლე კვლავ საფრთხეშია. ამ მძიმე წუთებში მოგიწოდებთ, თქვენს ხელთ არსებული ყველა საშუალება გამოიყენოთ, რათა ბოროტმოქმედთა ტყვეობიდან უვნებლად დავიხსნათ ადამიანები. მთელი მსოფლიო ელის, რომ თქვენ თქვენს ზეგავლენას გამოიყენებთ“. მას შემდეგ, რაც

სტატს-მდივანმა ფონ ბრაუნმა ფედერალურ კანცლერს მოახსენა, როგორი პოზიცია დაიკავა ისრაელის მთავრობამ ტერორისტების მძევლებითურთ გამგზავრებასთან მიმართებით, ვილი ბრანდტმა ეგვიპტის პრეზიდენტთან დაკავშირება სცადა, თუმცა უშედეგოდ. 20 საათსა და 40 წუთზე ეგვიპტის პრემიერ-მინისტრთან სატელეფონო საუბარი მაინც შედგა. ბრანდტმა უთხრა: „კაიროს მთავრობის ინტერესებშიც შედის, რომ გერმანულმა თვითმფრინავმა, მას შემდეგ, რაც ტერორისტები ბორტს დატოვებენ, მძევლებთან ერთად შეუფერხებლად გააგრძელოს გზა ისრაელისკენ". პრემიერ-მინისტრმა ბრანდტის წინადადება უკუაგდო: ეგვიპტეს არ სურს ამ საქმეში ჩაერიოსო. ამის შემდეგ – უკვე 21 საათი სრულდებოდა – ფედერალურმა კანცლერმა დამირეკა. თავდაპირველად პოლიტიკური კრიზისის დარეგულირების შტაბში მიმდინარე კონსულტაციების თაობაზე მოვახსენე, რის შედეგადაც დავასკვენით, რომ კრიზისის დიპლომატიური გზით მოგვარების მცდელობა წარუმატებლად დამთავრდა. ულტიმატუმის დრო 21 საათზე იწურებოდა, მძევალთა გადარჩენის ერთადერთ იმედს ძალისმიერი მეთოდიღა წარმოადგენდა.

21 საათის შემდეგ ვადის გადაწევის არანაირი შესაძლებლობა აღარ მოგვეცა. ტერორისტების ხელმძღვანელმა შემოგვითვალა: მე და ჩემს ხალხს რა ხანია თვალი არ მოგვიხუჭავს და ვშიშობ ფიზიკურად და ფსიქოლოგიურად ისე არ დავძაბუნდეთ, რომ გერმანული პოლიციის მსხვერპლნი გავხდეთო. იძულებული ვარ უარი გითხრათ ულტიმატუმის ვადის გაგრძელებაზე იმის მიუხედავად, რომ პოლიციის მხრიდან თავდაუსხმელობის გარანტიას გვაძლევთ".

ამ საუბრებისას ისეთი შთაბეჭდილება შემექმნა, თითქოს მხოლოდ ტერორისტების ხელმძღვანელი წყვეტდა ყველაფერს. კრიზისის დარეგულირების მიუნხენის შტაბის სხვა წევრებიც მზად იყვნენ მძევლების ნაცვლად ჩაბარებოდნენ ტერორისტებს. დოქტორი ბრუნო მერკი, დოქტორი ჰანს-იოხენ ფოგელი, დოქტორი მანფრედ შრაიბერი და მე ამ საერთო ბედისწერულმა გამოცდამ მას შემდეგ ძალზე დაგვაკავშირა.

ტერორისტებს აეროდრომამდე ავტობუსით გამგზავრების ნება დართეს. აეროდრომიდან შვეულმფრენით გაფრინდებოდნენ ფიურსტენფელდბრუკში, ამიტომ მეც იქითკენ ავიღე გეზი. შვეულმფრენში ვიჯექი, კარი ის-ის იყო უნდა დაეხურათ, რომ ქრისტიანულ-

სოციალური კავშირის თავმჯდომარეს, ფრანც იოზეფ შტრაუსს მოკარი თვალი, ვკითხე: ჩემთან ერთად ფიურსტენფელდბრუკში ხომ არ წამოხვალთ-მეთქი? მაშინვე დამთანხმდა და შვეულმფრენში ჩავდა. პოლიციის მოქმედებას კოშკურიდან ვადევნებდით თვალს. ოპერაციის მსვლელობა კრიზისის დარეგულირების შტაბზე იყო დამოკიდებული. ჩვენ მასში არ ვმონაწილეობდით. ფრანც იოზეფ შტრაუსთან საუბარში მკაფიოდ გამოიკვეთა, რომ ყველა მონაწილე აცნობიერებდა პოლიციის აქციის ფარგლებში მიღებული გადაწყვეტილების მნიშვნელობას. საერთო პასუხისმგებლობის განცდა ყოველგვარ პოლიტიკურ და პირად დაპირისპირებულობაზე მაღლა იდგა. მხოლოდ რამდენიმე წლის შემდეგ დაგვეუფლა ასეთივე პასუხისმგებლობისა და იმავდროულად უმწეობის შეგრძნება, როდესაც კრიზისის დარეგულირების შტაბი მოლაპარაკებას აწარმოებდა დამქირავებელთა კავშირის თავმჯდომარის ჰანს-მარტინ შლაიერის გამტაცებლებთან. ასეთივე ერთობის განცდა დაგვეუფლა პეტერ ლორენცის გატაცებისას და სასაზღვრო დაცვის სპეცდანაყოფის მიერ მოგადიშუში ჩატარებული ოპერაციისას, რაც მის გათავისუფლებას ისახავდა მიზნად.

ფიურსტენფელდბრუკში ოპერაციის მომზადებასა და განხორციელებაზე კრიზისის დარეგულირების შტაბი აგებდა პასუხს. ამის შესაბამისად, მოგვიანებით, ფედერალური მთავრობისა და ბავარიის რესპუბლიკის მთავრობების ერთობლივი სამნაწილიანი დოკუმენტაციის მესამე ნაწილში, რომელიც მიუნხენსა და ფიურსტენფელდბრუკში პოლიციის მიერ განხორციელებულ ოპერაციას ეხებოდა, პასუხისმგებლობას მხოლოდ ბავარიის რესპუბლიკის მთავრობა იღებდა თავის თავზე.

ოპერაციის ჩატარების ადგილიც პოლიციამ შეარჩია მას შემდეგ, რაც სავსებით გამოირიცხა ოპერაციის ჩატარების შესაძლებლობა იმ შენობაში, სადაც ებრაელი სპორტსმენები იმყოფებოდნენ; ასევე გამოირიცხა ავტობუსებისკენ ან აეროდრომისკენ მიმავალ გზაზე შეტევის განხორციელების შესაძლებლობაც. მაშინაც ასე ვფიქრობდი და დღესაც, რომ ბავარიისა და მიუნხენის პოლიციის ორგანოებმა არსებული ცოდნისა და გამოცდილების ფარგლებში ყველა შესაძლებლობა მაქსიმალურად გამოიყენეს. დოქტორმა შრაიბერმა, რომელიც უშიშროებაზე აგებდა პასუხს და მიუნხენის პოლიცი-

ის უფროსი გახლდათ, საუკეთესო ვარიანტი შეარჩია.

პოლიციის მიერ წამოწყებული შტურმისას ტერორისტებმა იარაღი მხოლოდ გერმანელი პოლიციელების წინააღმდეგ კი არ მიმართეს, არამედ მძევლების წინააღმდეგაც, რასაც მრავალი ადამიანი ემსხვერპლა. წარუმატებლად დამთავრებული ოპერაციის შემდეგ ოლიმპიურ სოფელში დავბრუნდით. იქ სადღესასწაულო განწყობა სუფევდა, რადგან მთავრობის სპიკერს, აალერსს მცდარად გაგებული ინფორმაცია გაევრცელებინა — მძევალთა გამოხსნის ოპერაცია წარმატებით დასრულდაო. მით უფრო მძიმედ იმოქმედა ადამიანებზე იმ ამბავმა, რომ ოპერაცია მარცხით დასრულდა. შინაგან საქმეთა მინისტრმა მერკმა, პოლიციის უფროსმა შრაიბერმა და მე გადავწყვიტეთ საერთაშორისო პრესკონფერენცია ჩაგვეტარებინა და მოკლედ მოგვეთხრო, როგორ განვითარდა მოვლენები. გარდა ამისა წავიკითხეთ ფედერალური მთავრობის ვრცელი ანგარიში.

სასტუმროში გამთენიისას დავბრუნდი. მეუღლე უსიტყვოდ შემეგება. თვალებში შეკითხვით აღსავსე მზერა ედგა, მაგრამ არაფერი უკითხავს. ყურს მიგდებდა, როდესაც ჯერ გაუბედავად ავლაპარაკდი, მერე კი ერთბაშად ამოხეთქა მთელმა სასოწარკვეთამ, იმედგაცრუებამ, ტკივილმა და მწუხარებამ, რასაც იმ წუთში განვიცდიდი. ბონში მთავრობის სხდომაზე წასვლა გადავწყვიტე. ცოტა ხნით დავესწარი სხდომას და ძალზე ლაკონიური მოხსენებით გამოვედი. ჰელმუთ შმიდტმა პირველმა ითხოვა სიტყვა, შემდეგ კი გეორგ ლებერი გამოვიდა. ჩემს მიმართ მადლიერება და პატივისცემა გამოხატეს. ჩემი მისამართით სწორედ იმ მომენტში გამოთქმულმა მხარდაჭერის სიტყვებმა ძალზე ამაღელვა და არასდროს დამავიწყდება. ამ ადამიანებმა დიდი ხნის შემდეგ — 1980-1982 წლებში — დიდი როლი ითამაშეს ჩემს ცხოვრებაში. ჩემი მერყეობა, ჩემი ყოყმანი მთავრობის შეცვლის საკითხთან დაკავშირებით, რის გამოც თანაპარტიელთა საყვედურებიც დავიმსახურე, იმით აიხსნება, რომ 1972 წელს ჰელმუთ შმიდტის ჩემდამი დამოკიდებულება არ მავიწყდებოდა, დიდ პატივს ვცემდი მას, როგორც პიროვნებას და ადამიანს, თუმცა, სამწუხაროდ, ერთმანეთთან უფრო ახლო ურთიერთობის დამყარება ვერასოდეს შევძელით.

მთავრობის სხდომის შემდეგ უკანვე გავფრინდი მიუნხენში. შევიკრიბენით, რომ მოცემული ფაქტების გაანალიზების საფუძ-

ველზე ანგარიში მოგვემზადებინა, რომელიც შემდეგ ფედერალური მთავრობის, ბავარიის მთავრობისა და ქალაქ მიუნხენის სახელით გამოქვეყნდა. ამ ანგარიშში საფუძვლიანად იყო გაანალიზებული მოვლენები და ფაქტები, მონაწილე მხარეები გულახდილად აღწერდნენ განვითარებულ პროცესებს, რაც ცხადყოფდა, რომ მათ შესაძლებლობის ფარგლებში ყველაფერი იღონეს და პატიოსნად, სინდისის კარნახით მოქმედებდნენ.

ძნელი იყო წინასწარ განგვეჭვრიტა, რა რეაქცია ექნებოდა საერთაშორისო საზოგადოებას მძევლების აყვანისა და მოვლენების სამწუხარო დასრულების ფაქტთან დაკავშირებით. უცხოური პრესის მასალებზე დაყრდნობით საკმარისი მიზეზი მქონდა მეფიქრა, რომ ფედერალური რესპუბლიკის პრესტიჟი შეიძლება ძალზე შელახულიყო. ჩემი შეშფოთება მეუღლესაც გავანდე, რომელსაც ჩემსავით აღელვებდა ეს ამბავი. ვუთხარი, რომ ოლიმპიური თამაშების გაგრძელებასთან დაკავშირებული გადაწყვეტილების მიღებისა და ფედერალური პრეზიდენტის, ფედერალური კანცლერისა და საგარეო საქმეთა მინისტრის ჩამოსვლის შემდეგ ფედერალურ კანცლერთან შეხვედრას ვაპირებდი: ფედერალურ კანცლერს ვთხოვ გადამაყენოს, რადგან ვფიქრობ, რომ ეს ფედერალური რესპუბლიკის მდგომარეობას შეამსუბუქებს-მეთქი. ასე რომ, ვილი ბრანდტს აღნიშნული ანგარიშის შესახებ ვესაუბრე და ბოლოს ვუთხარი: „ბატონო ფედერალური კანცლერო, წინასწარ ვერვინ გაითვალისწინებს, თუ როგორ შეაფასებს საერთაშორისო საზოგადოება ამ მოვლენებს, ამის გამო ჩემს გადადგომას გთავაზობთ". ბრანდტმა ჯიქურ შემომხედა და კატეგორიული უარი მითხრა: „გადადგომასთან დაკავშირებით თქვენს წინადადებას ვერ მივიღებ. სასაყვედურო არაფერი გაქვთ, ვერაფერს გისაყვედურებენ, რადგან რაც შეგეძლოთ, ყველაფერი გააკეთეთ". აღარაფერს ვამბობ იმაზე, რომ ფედერალურ მხარეთა პოლიციის პასუხისმგებლობის წინაშე უკან იხევს ფედერალური პოლიციის პასუხისმგებლობაო.

ვთხოვე, მხედველობაში მიეღო ჩემი წინადადება და დაუყოვნებლივ წამოეჭრა ეს საკითხი, თუ უახლოეს ხანებში ამის აუცილებლობა შეიქმნებოდა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკისა და თვით ფედერალური მთავრობის ინტერესებიდან გამომდინარე პოლიტიკურად გამართლებული იქნებოდა ამ ნაბიჯის გადა-

გმა. ჩემი წინადადება ძალაში რჩება და შეგიძლიათ ნებისმიერ დროს მიიღოთ-მეთქი გადაწყვეტილება. ბრანდტმა ამაზეც უარი მითხრა, თუმცა დამპირდა, ჩემს მოსაზრებას ხელახლა ავწონ-დავწონი და შედეგს გაცნობებ, თუ საჭიროდ ჩავთვლიო. მას შემდეგ ამ საკითხს აღარ დავბრუნებივართ. ვალტერ შეელმა კიდევ უფრო განუმტკიცა მას თავისი თვალსაზრისი.

ამასობაში, ქვეყნის შიგნით თუ საზღვარგარეთ, ჩამოყალიბდა აზრი, რომ ამ საკითხის მშვიდობიანი მოგვარებისთვის ჩვენ ყველაფერი ვიღონეთ. დიდი როლი ითამაშა იმ ფაქტმა, რომ გამტაცებლებს საკუთარი თავი შევთავაზე მძევლად, პირადად ვინახულე მძევლები და აშკარად საფრთხეში ჩავიგდე თავი. მთელი მსოფლიოდან მოსული უამრავი კორესპონდენცია ადასტურებდა, რომ ადამიანებისთვის პირად მაგალითს უფრო დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, ვიდრე სამართლებრივი კომპეტენციის საკითხებსა და პოლიციის ორგანოების გადაწყვეტილებებს. გერმანიის წითელი ჯვრის პრეზიდენტს ოქროს ორდენით ჩემი დაჯილდოებაც კი განუზრახავს, თუმცა დავარწმუნე: ეს ასეც უნდა ყოფილიყო, ვალდებული ვიყავი ასე მოვქცეულიყავი, ხოლო ღირსების ორდენი ფედერალური სასაზღვრო დაცვის პილოტებმა დაიმსახურეს, რომლებიც ამ ოპერაციისას დაშავდნენ-მეთქი.

## *ფიურსტენფელდბრუკის მოვლენათა შედეგი: სასაზღვრო დაცვის ჯგუფის შექმნა*

ბონში დაბრუნებისთანავე, თანამშრომლებთან თათბირისას, როდესაც ტრაგედიის მიზეზებს ვაანალიზებდით, იმ დასკვნამდე მივედი, რომ ძალმომრეობითი დაპირისპირებულობის ახალ სტადიაში ვიმყოფებოდით – ამჯერად უკვე გერმანიის მიწაზე. პოლიციის უფრო ქმედითი რეაგირების ახალი ფორმები უნდა გვეძებნა. ამიტომ მივმართე ფედერალურ მთავრობას წინადადებით ფედერალურ სასაზღვრო დაცვასთან არსებული ანტიტერორისტული ქვედანაყოფის შექმნის თაობაზე. მიუხედავად იმისა, რომ ფედერაციას ამ საკითხებზე პირველადი კომპეტენცია არ გააჩნდა, ასეთი ქვედანაყოფი ოპტიმალურად აღჭურვილი, მომზადებული და მაქსიმალურად

მობილური უნდა ყოფილიყო, რომელიც ფედერალურ მხარეებსა და – აუცილებლობის შემთხვევაში და ადგილობრივი ორგანოების თანხმობით – უცხოეთში ოპერატიულ ღონისძიებებს ჩაატარებდა, თუკი გერმანიის მოქალაქეებს რაიმე საფრთხე დაემუქრებოდა. ასე შეიქმნა სასაზღვრო დაცვის ჯგუფი 9, რომელიც ფედერალურ სასაზღვრო დაცვის სამსახურში სპეცდანიშნულების ქვედანაყოფს წარმოადგენდა. ამ ქვედანაყოფმა უპირველეს ყოვლისა მოგადიშუში განხორციელებული ოპერაციისას – და სხვა მრავალი აქციით – გაამართლა თავისი დანიშნულება.

ამ ქვედანაყოფის შემადგენლობის შერჩევა ფედერალური სასაზღვრო დაცვის კავშირგაბმულობის ოფიცერს, მაშინ ჯერ კიდევ ჰაუპტმანს, ულრიხ ვეგენერს მივანდე. ჩვენ უკვე სამწლიანი თანამშრომლობა გვაკავშირებდა და ვიცნობდი მას როგორც შეუპოვარ, საზრიან, გაბედულ და, ამავე დროს, საიმედო ადამიანს. თავდაპირველად სამოგზაუროდ გავუშვი, რათა საზღვარგარეთის ქვეყნებში ანალოგიური დანიშნულების ნაწილები დაეთვალიერებინა. მასვე დავავალე ანტიტერორისტული ქვედანაყოფის ოპტიმალური მომზადების, აღჭურვისა და შეიარაღების გეგმის მომზადება. ფედერალურმა მთავრობამ, გერმანიის ბუნდესტაგის კომპეტენტურმა ორგანოებმა, მიუნხენის გამოცდილების გათვალისწინებით, ფედერალური სასაზღვრო ჯგუფის (9) შექმნისათვის აუცილებელი სახსრები – ექვს მილიონ მარკაზე მეტი – გამოგვიყო. დაცვის ჯგუფმა მრავალი გამობრძმედილი მუშაკი მოამზადა, რომლებიც დღესაც ფედერალურ სასაზღვრო დაცვაში ან ფედერალური მხარეების პოლიციაში, ან კერძო დაწესებულებების დაცვის სამსახურში მოღვაწეობენ. დღესდღეობით ფედერალურ მხარეებშიც არსებობს ანალოგიური სპეცდანიშნულების ნაწილები.

მიუნხენის მოვლენების შემდეგ შესამჩნევად გამწვავდა მდგომარეობა სახელმწიფო უშიშროების სფეროში. ძალზე სერიოზულად დადგა ჩემი და ჩემი ოჯახის უსაფრთხოების საკითხი. ვინაიდან ჩვენი სახლის დაცვა შეუძლებელი გახლდათ, გვირჩიეს, დროებით ფედერალური სასაზღვრო დაცვის თავშესაფარ ჰანგელარში გადავსულიყავით. ასეც მოხდა. ჩემი ბედი მეუღლეს და დედასაც უნდა გაეზიარებინათ. ხშირად მიფიქრია იმაზე, რომ ჩვენს ახლობლებს ჩვენი მძიმე ხვედრის გაზიარება უხდებათ.

## *ფედერალური სასაზღვრო დაცვის ახალი ამოცანები*

მოვალეობის შესრულებას როცა შეუდექი, სასაზღვრო დაცვის ფედერალური სამსახური ყოფნა-არყოფნის ზღურბლზე იდგა. შინაგანი უშიშროების ერთიან სისტემაში მისი ჩართვის საკითხი ჯერაც გაურკვეველი გახლდათ, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის საზღვარზე მისი გამოყენება კი ბევრს გადაჭარბებულად ეჩვენებოდა. შინაგანი უშიშროების ინტერესებიდან გამომდინარე, სასაზღვრო დაცვის სამსახურის მნიშვნელობის დაკნინება ძალზე მცდარი და სახიფათო იქნებოდა. ფედერალური სასაზღვრო დაცვის სამსახურის დაშლა არ უნდა დაგვეშვა, პირიქით, ახალი, უფრო ფართო ამოცანები უნდა დაგვესახა მის წინაშე. შინაგან საქმეთა ფედერალური მინისტრის თანამდებობაზე დანიშვნიდან რამდენიმე დღეში სწორედ ამიტომ გავეცი ბრძანებულება და როგორც ახალმა ხელმძღვანელმა ფედერალური სასაზღვრო დაცვის წევრებს მოვუწოდე: „აღასრულეთ თქვენი მოვალეობა მიუკერძოებლად და მხედრული შემართებით!" ფედერალური სასაზღვრო დაცვის ნაწილებს სახელმწიფო საზღვრების დაცვის გარდა შინაგანი უშიშროების უზრუნველყოფაც ევალებოდა. მის ამოცანებში შედიოდა ფედერალური პრეზიდენტის კანცელარიისა და ფედერალური კანცლერის კანცელარიის დაცვა ბონში. გარდა ამისა, 1968 წელს, საგანგებო კონსტიტუციის მიღების შემდეგ, კონსტიტუციურ-სამართლებრივი საფუძველიც შეიქმნა იმისთვის, რომ ეს ნაწილები გამოგვეყენებინა იმ შემთხვევაში: „თუ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ან რომელიმე ფედერალური მხარის თავისუფალ-დემოკრატიულ წყობას საფრთხე დაემუქრება, ასევე ბუნებრივი კატასტროფებისა და უბედური შემთხვევებისას". მიუხედავად ამისა, ფედერალური სასაზღვრო დაცვის სამსახური გაურკვეველ მდგომარეობაში იმყოფებოდა, ანუ პოლიციასა და შეიარაღებულ ძალებს შორის მერყეობდა. პოლიციის პროფკავშირის თავმჯდომარის, კულმანის, მსგავსად მავანი და მავანი ფედერალურ სასაზღვრო დაცვას პარამილიტარულ ფორმირებად თვლიდა და მის დაშლას მოითხოვდა; ზოგიერთ ფედერალურ მხარეში ეჭვსაც გამოთქვამდნენ: ფედერაციას — ანუ შინაგან საქმეთა მინისტრს — სასაზღვრო დაცვის სამსახურის ფედერალურ პოლიციად გარდაქმნა სურს, რათა მხარეთა პოლიციის

სუვერენიტეტი სელყოსო. ამ დაპირისპირებულობისას მტკიცედ გავილაშქრე ფედერალური სასაზღვრო დაცვის დაშლის წინააღმდეგ. პირიქით, შტატები გავზარდე და პირველი, რაც მოვიმოქმედე ის გახლდათ, რომ ფედერალური სასაზღვრო დაცვის კავშირგაბმულობის ოფიცერი მოვიწვიე შინაგან საქმეთა ფედერალური მინისტრის ბიუროში. ფედერალური სასაზღვრო დაცვის გენერალიტეტი ჯერ სკეპტიკურად შეხვდა ამ დანიშვნას, მაგრამ მალევე მიხვდნენ, რომ მინისტრი ამ ჟესტით მათდამი განსაკუთრებულ მხარდაჭერას გამოხატავდა. ანალოგიურ შემთხვევას მანამდე ადგილი არ ჰქონია. მაშასადამე, ულრიხ ვეგენერი ჩემი კავშირგაბმულობის პირველი ოფიცერი გახდა.

1972 წლის ივნისში ბუნდესტაგმა, როგორც ყოველთვის, დოკუმენტაციის წარდგენის შემდეგ ერთხმად დაამტკიცა კანონი, რომლის თანახმადაც ფედერალურ სასაზღვრო დაცვას საზღვრის დაცვასთან ერთად ფედერალური პოლიციის რეზერვის ფუნქციაც დაეკისრა; მაშასადამე, ეს გახლდათ სწრაფი რეაგირების ქვედანაყოფი, რომლის გამოძახება ნებისმიერ დროს ნებისმიერ ფედერალურ მხარეს შეეძლო. ამ კანონთან დაკავშირებული დოკუმენტები და ფუძემდებლური კონცეფცია ჩემი დანიშვნიდან სულ მოკლე ხანში წარმომიდგინა მინისტერიალდირექტორმა, მოგვიანებით სტატს-მდივანმა ზიგფრიდ ფრიოლიხმა. ფრიოლიხი შინაგან საქმეთა სამინისტროს კლასიკური მოხელის განსახიერება გახლდათ, რომელმაც სრულყოფილად იცოდა კონსტიტუცია და კანონმდებლობა და დიდი ადმინისტრაციული გამოცდილება გააჩნდა. წარმოშობით ბავარიელს, იმ დროიდან ვიცნობდი, როცა ყოფილ შინაგან საქმეთა მინისტრ ჰერმან ჰიოხერლთან თანამშრომლობდა. ჰიოხერლს, ბუნდესტაგის ყველაზე პოპულარულ დეპუტატს, როგორც პიროვნებას და პროფესიონალს, ძალიან ვაფასებდი. იმ მცირერიცხოვან კოლეგათა შორის, რომელთაც შენობით მივმართავდი, ჰიოხერლიც იყო. ფრიოლიხმა დამარწმუნა. სინამდვილეში ის ღია კარზე აკაკუნებდა, რადგან რა ხანია გაცნობიერებული მქონდა, რომ შინაგანი უშიშროების მზარდ მოთხოვნებს და დატვირთვას ყველაზე მეტად ჰატარა და საშუალო ფედერალური მხარეები ვერ გაუძლებდნენ, პოლიციის მცირერიცხოვანი რაზმები ამ რთულ ამოცანას თავს ვერ გაართმევდნენ. ჰაინც რუნაუ (სოციალ-დემოკრატიული პარტია), ჰამბურ-

*ფიურსტენფელდბრუკის აეროდრომზე განვითარებულ დრამატულ მოვლენებს სასაზღვრო დაცვის ჯგუფ 9-ს შექმნა მოჰყვა შედეგად. ჯგუფი 9 შინაგან საქმეთა ფედერალურმა მინისტრმა გენშერმა 1973 წლის 21 სექტემბერს წარადგინა პრესის წინაშე. მოხსენებით გამოვიდა სასაზღვრო დაცვის სპეცდანიშნულების რაზმის მეთაური ულრიხ ვეგენერი (ფოტოსურათის ცენტრში). აქვეა ფედერალური შინაგან საქმეთა სამინისტროს სტატს-მდივანი, მოგვიანებით შინაგან საქმეთა ფედერალური მინისტრი, გერჰარდ ბაუმი (მარჯვნიდან მეორე).*

გის შინაგან საქმეთა სენატორი და ფედერალური ქვეყნების შინაგან საქმეთა მინისტრების თათბირის თავმჯდომარე, ენერგიულად უჭერდა მხარს ჩემს წინადადებას. მხარეთა უფლებებს კი ყველაზე აქტიურად იცავდა ჩემი უფროსი მეგობარი, კეთილისმყოფელი და პარტიული თანამოაზრე ვილი ვაიერი, რომელიც ნორდრაინ-ვესტფალენის შინაგან საქმეთა მინისტრი გახლდათ; მის განკარგულებაში პოლიციის ძლიერი მორიგე ჯგუფი იყო. ვილი ვაიერს კრიჭაში ედგა ფედერალური სასაზღვრო დაცვის მოწინააღმდეგე კულმანი. თუმცა საბოლოოდ ყველა მოგებული დარჩა: ფედერაცია თუ ფედერალური მხარეები, კოალიცია თუ ოპოზიცია. ჩემი გეგმების განსახორციელებლად ყველა მჭირდებოდა. იმისათვის, რომ ფედერ-

ალურ სასაზღვრო დაცვას ახალი ამოცანები დაესახა მიზნად და ამა თუ იმ ფედერალურ მხარეში, ამ მხარის მოთხოვნის საფუძველზე, ოპერატიული ღონისძიებები ჩაეტარებინა, აუცილებელი იყო კონსტიტუციური ცვლილებების გატარება და ბუნდესტაგისა და ბუნდესრატის დეპუტატების ხმათა ორი მესამედი.

ფედერალურ სასაზღვრო დაცვას შესანიშნავი კადრები ჰყავდა: სათანადო მოტივაციის, მომზადებისა და განათლების მქონე ოფიცრები და უმცროსი მეთაურები. ფედერალური სასაზღვრო დაცვის სათავეში იდგა ინსპექტორი, გენერალ-მაიორი ფონ პლატენი. მისი ანტიფაშისტური პოზიციის გამო, როგორც ვერმახტის ოფიცერს, დიდი განსაცდელი დაატყდა თავს. ის დაუქვეითებიათ და ერთ დამსჯელ ბატალიონში გაუმწესებიათ. ფედერალურ სასაზღვრო დაცვაში მიღებით მისი რეაბილიტაცია მოხდა.

ფედერალური სასაზღვრო დაცვის რეფორმირებას ვერნერ კულმანთან, პოლიციის პროფკავშირის თავმჯდომარესთან, ხანგრძლივი დაპირისპირება მოჰყვა. პოლიციის პროფკავშირში ძირითადად ჩრდილო და დასავლეთ გერმანიის მხარეთა პოლიციის შემადგენლობა იყო გაერთიანებული; სამხრეთში ამის საპირისპიროდ უფრო გავლენიან ორგანიზაციად ითვლებოდა „საზოგადოებრივი სატარიფო კავშირი". ფედერალურ სასაზღვრო დაცვაში „ფედერალური სასაზღვრო დაცვის კავშირი" ყველაზე წევრმრავალ პროფკავშირს წარმოადგენდა. კულმანს ეს ეკლად ესობოდა თვალში. ფედერალური სასაზღვრო დაცვა მან პარამილიტარულ ორგანიზაციად მოიხსენია. მისი კრიტიკა ჩემს წინააღმდეგ იყო მომართული, რადგან სასაზღვრო დაცვას ახალი ამოცანები დავუსახე, ახლებური თვითშეგნება და, უპირველეს ყოვლისა, საკუთარი ძალების რწმენა მივანიჭე. კულმანი ვერ ეგუებოდა აზრს, რომ ფედერალური სასაზღვრო დაცვა ამიერიდან კარგად მოტივირებულ, სრულყოფილად მომზადებულ და თანამედროვე სტანდარტების მიხედვით აღჭურვილ ფედერალური პოლიციის ნაწილს წარმოადგენდა.

ესკალაცია იმ ფაქტმა გამოიწვია, რომ კულმანმა ფედერალური სასაზღვრო დაცვის მფრინავთა რაზმის კომანდორის, პოლკოვნიკ კნორის, საწინააღმდეგო კამპანია წამოიწყო. მან ბრალი დასდო კნორს: სამხარეო პოლიციის მუშაკებს, რომლებიც შვეულმფრენის პილოტებად მოსამზადებელ კურსებს გადიოდნენ, ფიზ-

იკური შეურაცხყოფა მიაყენაო. სინამდვილეში ფედერალური სასაზღვრო დაცვის მფრინავები შესანიშნავ პირობებში იმყოფებოდნენ. მათ განკარგულებაში იყო შვეულმფრენების დიდი რაოდენობა; გარდა ამისა, მფრინავთა ქვედანაყოფები ბალტიის ზღვის სანაპიროზე, გდრ-ის საზღვართან და მიუნხენის მახლობლად იყვნენ დაბანაკებულნი. ყოველი მათგანი — გამონაკლისის გარეშე — უმაღლესი დონის მომზადებას გადიოდა. პილოტების მოტივაციისა თუ მზადყოფნის მაღალი დონე კომანდორის, პოლკოვნიკ კნორის, დამსახურება გახლდათ. ის, როგორც ქვედანაყოფის მეთაური, ძალზე მომთხოვნ ადამიანად და მწვრთნელად ითვლებოდა, თუმცა თავდაუზოგავად ზრუნავდა მის ხელქვეითებზე.

კულმანი კნორის საწინააღმდეგო ბრალდებებს მოწმეთა ცრუ ჩვენებაზე აგებდა, რომელიც თითქოს მაგნიტოფონზე ჩაიწერა. ეს ჩანაწერები მან პრესას წარუდგინა: მოწმეთა ხმები ტექნიკური ხარვეზებით იყო ჩაწერილი, კულმანი კი ამტკიცებდა: ეს მოწმეთა უსაფრთხოების მიზნით გავაკეთეო. პოლკოვნიკმა კნორმა, რომელიც სასწრაფოდ გამოვიძახე, ყველა ცილისწამება უარყო. მე ვენდე მას და როგორც მოგვიანებით გაირკვა, სწორადაც მოვიქეცი.

დაუშვებლად მიმაჩნდა, რომ სამინისტრო და პირადად მე, მიკერძოებულობაში დავედანაშაულებინეთ, ამიტომ სასწრაფოდ უნდა გაგვერკვია, თუ რამდენად საფუძვლიანი იყო ეს ბრალდებები. ამ მიზნით იუსტიციის ფედერალური სამინისტროს ყოფილ სტატს-მდივანს, მაასენს, დავავალე გადაემოწმებინა კულმანის ბრალდებები, რასაც შედეგად კნორის სრული რეაბილიტაცია მოჰყვა. ამ ადამიანის ეკლიანი გზა ამითაც არ დასრულებულა. ბონის პროკურატურამ სისხლის სამართლის საქმე აღძრა მის წინააღმდეგ. საქმე სასამართლოს გადაეცა წარმოებაში, თუმცა მოწმეთა დაკითხვის შემდეგ პროკურატურამ ბრალდებები უსაფუძვლოდ ცნო და გამამართლებელი განაჩენი გამოიტანა. მაასენის ანგარიშისა და პროკურატურის განაჩენის შემდეგ, როგორც მოსალოდნელი იყო, კნორი სასამართლომაც უდანაშაულოდ ცნო. სასამართლოს მიერ გამოტანილმა გამამართლებელმა განაჩენმა განსაკუთრებული კმაყოფილების გრძნობა მომგვარა, რადგან არ დავყევი საზოგადოებისა და პარლამენტის ზეწოლას და კნორი დავიცავი.

კულმანთან დაპირისპირებას პოლიციის პროფკავშირთან ჩემი

კეთილი დამოკიდებულება არ გაუფუჭებია. ერთხელ, როდესაც პოლიციის პროფკავშირს ვეწვიე ბონში, ბეთჰოვენის დარბაზში გამართულ კონგრესზე დასასწრებად, ზარ-ზეიმით მიმიღეს. პოლიციის თანამშრომლები დიდი ხანია მიხვდნენ, რომ უშიშროების ფედერალურ ორგანოებში გაწეული მუშაობა სამხარეო პოლიციის ორგანოებსაც ძალიან წაადგებოდა. პოლიციის პროფკავშირის ფედერალური სისხლის სამართლის სამძებრო სამსახურის საოლქო ჯგუფმა პროფკავშირის საპატიო წევრად ამირჩია. ცერემონიაზე ვერნერ კულმანიც იყო დაპატიჟებული, მაგრამ არ მობრძანდა. დღეს, როდესაც პოლიციის პროფკავშირი გერმანიის პროფესიული კავშირის წევრია, შემიძლია თამამად განვაცხადო, რომ მე გერმანიის ერთიანი პროფკავშირის საპატიო წევრი გახლავართ.

ახალი კადრების ინტენსიური მოზიდვითა და რიგითი სამსახურის გაუქმებით ფედერალურ სასაზღვრო დაცვაში სამსახური ბევრად მიმზიდველი გახდა; ამასთან, მკაფიოდ გაიზარდა შტატები. ამრიგად, შესაძლებელი გახდა შინაგან უშიშროებაში არსებული დიდი ხარვეზის ამოვსება. ფედერალური სასაზღვრო დაცვა თანამედროვე პოლიციის შენაერთად ჩამოყალიბდა, რომელიც მომზადების დონით, თანამედროვე აღჭურვილობითა და მაღალი მოტივაციით გამოირჩეოდა. მეამაყება ისიც, რომ ფედერალურმა სასაზღვრო დაცვამ ჩემი მოღვაწეობისას საყოველთაო აღიარება და მკვიდრი ადგილი მოიპოვა შინაგან უშიშროებაში. ეს მით უფრო მახარებს, რომ ფედერალური სასაზღვრო დაცვის სამსახურთან და ულრიხ ვეგენერთან დაუვიწყარი მოვლენები მაკავშირებს.

### *სერიოზული „ჩავარდნა“*

1971 წელს ბალტიის ზღვაზე სატრანსპორტო გემის გამოცდას ვესწრებოდი. ყველაფერი წუთი წუთზე იყო გათვლილი, თუმცა შუა გზაზე გემის ტექნიკური ხარვეზის გამო უკან დაბრუნება ძალზე გაჭიანურდა. ამიტომ ფედერალური სასაზღვრო დაცვის საპატრულო კატარღა გამოვაძახებინე, რომლითაც ავტოსატრანსპორტო გემიდან ნაპირზე უნდა გავსულიყავი. იქ კი შვეულმფრენი მელოდებოდა, რადგან უცხოეთის პრესის წარმომადგენლებთან სა-

*ბანაობა ბალტიის ზღვაში. ფედერალური შინაგან საქმეთა მინისტრი გენშერი ფედერალური სასაზღვრო დაცვის გემის ტრაპიდან წყალში ჩავარდნის შემდეგ.*

ღამოს დაგეგმილი შეხვედრის გამო დროულად ვაპირებდი ბონში დაბრუნებას. კატარღა მალე მოვიდა. სატრანსპორტო გემს მოუახლოვდა, საიდანაც ტრაპი ჩაუშვეს. ტრაპზე ჯერ ჩემი კავშირგაბმულობის ოფიცერი ულრიხ ვეგენერი ჩავიდა. მეტრნახევარი აშორებდა ნავს, როცა ისკუპა და გემის ფერდთან მოყენებულ კატარღაზე დაეშვა. კატარღის ზედა გემბანი ათი მეტრით დაბალი იყო, ვიდრე ცარიელი და ამის გამო წყლის ზედაპირზე მეტისმეტად ამოწეული სატრანსპორტო გემისა. გემის მოაჯირზე გადავძვერი და ბორტზე ჩავცოცდი. ალბათ ძლიერი წყალქვეშა დინების გამო გემი და ნავი იმდენად დაშორდა ერთმანეთს, რომ გადახტომა ვერ მოვასწარი და ტრაპზე კი არ ვიდექი, — ვეკიდე. თანაც მაშველი ჟილეტის გარეშე, რაც უეჭველად მიუტევებელი შეცდომა გახლდათ. წყალგაუმტარი შავი ქსოვილის ჩვეულებრივი სამოქალაქო ტანსაცმელი მეცვა და პირველად და უკანასკნელად მეხურა „პრინც ჰაინრიხის კეპი“. ვინაიდან ბორტის კედელი ქვემოთკენ ვიწროვდება, ფეხები ტრაპზე რომ შემოვდგი, გემის კედლისკენ წამივიდა, ასე რომ, მთელი სხეუ-

ლის სიმძიმე ხელებს დააწვა. ცხოვრებაში ბევრი რამ გადამხდენია თავს, მაგრამ გემის კედელთან ჩაშვებულ ტრაპზე ჩაცოცება არასდროს მიცდია. მოდრეიფე გემისა და კატარღის დაახლოება ვერ მოახერხეს. უცებ ხელში ჭვალი ვიგრძენი, თაკი ველარ შევიკავე და დაახლოებით ორი მეტრის სიმაღლიდან – სადაც წყლის ზედაპირზე ვქანაობდი – წყალში გადავვარდი, რომლის ტემპერატურა მინუს ცხრა გრადუსი იქნებოდა.

ორივე ტრანსპორტი მაშინვე გააჩერეს, რათა ძრავების მიერ დატრიალებულ მორევებს არ ჩავეთრიე. ამის გამო გემები კიდევ უფრო დაშორდნენ ერთმანეთს. ჩემს სიახლოვეს ტალღებზე ადიჩადიოდა ჩემი „პრინც ჰაინრიხის კეპი". აქედან გამომდინარე დავასკვენი, რომ ძალიან სწრაფად არ მივიწევდი წინ. ფედერალური სასაზღვრო დაცვის საპატრულო კატარღა ნელ-ნელა მომიახლოვდა და დაახლოებით ხუთი მეტრის დაშორებით გაჩერდა. ერთ-ერთმა მოხელემ, სახელად ზეემ, თოკზე დამაგრებული მაშველი რგოლი გადმომიგდო, რომელზეც მარცხენა ხელით დავეკიდე.

შემდეგ ნავთან მიმაცურეს. ამასობაში მავთულის ბადეც ჩამოუშვეს, რომელიც ნახევარი მეტრის სიღრმეზე გაიშალა წყალში, ბადის ზემოდან მე მივცურავდი, ვიდრე ამ ბადითვე ამწევდნენ და გემბანზე ამიყვანდნენ წურწურით წყალმდინარს. როგორც კი ვერტიკალურად დადგომა მოვახერხე, გემის მეთაურმა დაუყოვნებლივ მიპატაკა: „ბატონო შინაგან საქმეთა ფედერალურო მინისტრო გენშერ, უფროსი ლეიტენანტი მარქსი, ფედერალური სასაზღვრო დაცვის საპატრულო კატარღის – „ეშვეგეს" – მეთაური გიპატაკებთ: განსაკუთრებულ შემთხვევებს ადგილი არ ჰქონია". ეს ძალზე კორექტული პატაკი გახლდათ, რადგან წყალში ჩემი ჩავარდნის განსაკუთრებულ შემთხვევაზე საკმაოზე მეტ ინფორმაციას ვფლობდი. მყისვე წინასწარ მომზადებული ცხელი აბაზანა მივიღე, რამდენიმე ჭიქა შნაპსიც გადავკარი. სპორტულ კოსტიუმში გამოწყობილი შვეულმფრენით გავემგზავრე ჰანგელარისკენ, სადაც უკვე მელოდა ჩემი მეუღლის მიერ სასწრაფოდ გამზადებული ჩემოდანი, რათა ტანსაცმლის გამოცვლა მომესწრო.

## *ფედერალურ სასაზღვრო დაცვაში: გადაწყვეტილებები ადამიანურობის სასარგებლოდ*

ერთი შემთხვევაც არ მავიწყდება, თუმცა სულ სხვა მიზეზის გამო. ფედერალური სასაზღვრო დაცვის სამ ახალგაზრდა მოხელეს, რომლებიც ბავარია-ტიურინგიის საზღვართან იყვნენ დაბანაკებულნი, ზამთრის ერთ ცივ ღამეს ყვირილი შემოესმა. ვიღაც დახმარებას ითხოვდა. გაარკვიეს, რომ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მოქალაქე ითხოვდა შველას, რომელსაც გაქცევა უცდია და ნაღმზე დაუბიჯებია. ფეხი დაფლეთოდა და საზღვარს გაღმა უმწეოდ იწვა გაყინულ მიწაზე. მთავარი ვახმისტრი, უფროსი ვახმისტრი და ვახმისტრი საპატრულო მანქანით შემოვლაზე ყოფილან. ჰაერში მაშხალა უსროლიათ, რომ დაშავებულის მდგომარეობა გაერკვიათ და გდრ-ის მესაზღვრეები გამოეძახებინათ, რადგან დაშავებული სისხლისგან იცლებოდა და შეიძლება მომკვდარიყო, მაგრამ მესაზღვრეები არ გამოჩენილან.

ამ რთულ მონაკვეთზე დაშავებულის დასახმარებლად მავთულხლართების ბარიერის გადალახვა ძალზე რთული საქმე გახლდათ. რაზმის მეთაურმა გადაწყვიტა რამდენიმე მეტრის მოშორებით, გდრ-ის ტერიტორიაზე აღმართული ღობე დამზრალი მიწიდან ჯალამბრით აეწია. ფედერალურ სასაზღვრო დაცვას ძალზე მკაფიო ინსტრუქცია ჰქონდა: არავითარ შემთხვევაში არ დაერღვია საზღვარი, მაგრამ მორალურ-ზნეობრივი პასუხისმგებლობიდან გამომდინარე, თავი ვალდებულად ჩათვალეს გადაერჩინათ ადამიანი, რომელიც სისხლისგან იცლებოდა. ახალგაზრდებს პატრონტაში და იარაღი მოუხსნიათ და შეუიარაღებელნი გადასულან საზღვარზე, ღობე აუწევიათ, თბილი პლედი შეუცურებიათ ღობის ქვეშ, დაჭრილი პლედში გაუხვევიათ და უკან, ღობის ქვეშ გადმოუცურებიათ დასავლეთ გერმანიის მხარეს. ლტოლვილი საავადმყოფოში მოათავსეს. ახალგაზრდებმა ის აშკარა სიკვდილს გამოსტაცეს ხელიდან. ექიმებმა ფეხიც კი შეუნარჩუნეს.

სამივე ჩემთან გამოვიძახე. ორი მათგანი ოცი წლისა იყო, მესამეს ჯერ ოციც არ შესრულებოდა. საპატრულო რაზმის მეთაურმა ამ ინციდენტთან დაკავშირებით ახსნა-განმარტება მომცა. „რას იზამდით, გდრ-ის მესაზღვრეები რომ გამოჩენილიყვნენ და მათ

ტერიტორიაზე დაეტყვეებინეთ?" ვკითხე მე. „ჩვენ იარაღი ჩვენს მხარეს დავტოვეთ, უიარაღონი გადავედით, მაგრამ ამ პატარას — და მან ყველაზე უმცროსზე მიმითითა — მაინც დავუტოვე ავტომატი და გავაფრთხილე: თუ თავს ვინმე დაგვესხა, დამცავი ცეცხლი გახსენი-მეთქი", მიპასუხა. სამი ახალგაზრდა მესაზღვრის მიერ გამოჩენილმა წინდახედულობამ ჩემზე შთაბეჭდილება მოახდინა. მათ წინდახედულობაზე მეტყველებდა ისიც, რომ თავდაპირველად გდრ-ის პატრულის გაფრთხილება სცადეს და მხოლოდ ამის შემდეგ გადალახეს საზღვარი მკაცრი ინსტრუქციის მიუხედავად, რადგან საქმე ადამიანის სიკვდილ-სიცოცხლეს ეხებოდა. ყოყმანი არ დაუწყიათ და უმოქმედობა ინსტრუქციის ბიუროკრატიული შესრულებით არ გაუმართლებიათ.

ფეხზე წამოვდექი. ისინიც მაშინვე წამოიმართნენ მინისტრის კაბინეტის სავარძლებიდან. „მომწონს თქვენი სანიმუშო და ადამიანური მოქცევა სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას. გაწინაურებთ და თითო საფეხურით მაღალ სამხედრო წოდებას განიჭებთ". თუმცა დაპირება უფრო იოლი აღმოჩნდა, ვიდრე დანაპირების შესრულება. დაწინაურებამდე ერთ-ერთ მათგანს უნტეროფიცრის მოსამზადებელი კურსი უნდა გაევლო. სამინისტროში, დაწინაურებასთან დაკავშირებული ბრძანების ტექსტის მომზადებისას, შემახსენეს: მისი დაწინაურება იმაზეა დამოკიდებული, მოსამზადებელ კურსს როგორ გაივლისო. ცხადია, მხედველობაში მივიღე ეს გარემოება, თუმცა ფედერალური სასაზღვრო დაცვის წარმომადგენელს განვუცხადე: დარწმუნებული ვარ, გამოცდას აუცილებლად ჩააბარებს. თუ ვერ ჩააბარა, ვერ წარმომიდგენია, რომ ეს მისი მიზეზით მოხდეს-მეთქი. მიმიხვდნენ.

ერთი შემთხვევაც მახსენდება, რომელიც „კაიზერ ვილჰელმის არხს" უკავშირდება. ერთხელ იქ ღუზა ჩაუშვა გდრ-ის სავაჭრო გემმა. მთავარმა ინჟინერმა გემი დატოვა და შლეზვიგ-ჰოლშტაინის პოლიციის მოხელეს მიაკითხა. პოლიციელმა, თავის მხრივ, ფედერალური სასაზღვრო დაცვის საშუალო რანგის მოხელე გამოიძახა. ინჟინერმა აუხსნა, რომ გემზე მისი მეუღლე და სკოლამდელი ასაკის შვილი იმყოფებოდნენ. ისინი კაიუტაში არიან ჩაკეტილი და მზად არიან გემი დატოვონ, გთხოვთ, ქალს და ბავშვს გემიდან

ჩამოსვლაში დაეხმაროთ, რადგან ოჯახთან ერთად გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში დარჩენა გადავწყვიტეო.

ფედერალური სასაზღვრო დაცვის მოხელე გემზე ავიდა, სადაც უკვე ეკიპაჟი სახიფათოდ იყო შემართული. ფედერალური სასაზღვრო დაცვის წარმომადგენელმა კაპიტანთან კაიუტაში პირისპირ საუბარი ითხოვა. მან კაპიტანს აცნობა: კონსტიტუციის თანახმად, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მოქალაქეები გერმანიის მოქალაქეებად ითვლებიან და ფედერაციულ რესპუბლიკაში დარჩენის უფლება აქვთ. აქედან გამომდინარე, დარწმუნებული ვარ, წინააღმდეგობას არ გამიწევთ, როცა ქალს და ბავშვს ნაპირზე გადავიყვანო. გემი, რომელიც კაიზერ-ვილჰელმის არხის განაპირას იდგა, ნაპირთან ხის პატარა ხიდით იყო დაკავშირებული. კაპიტანმა მიუგო: ამგვარი ნებართვის გაცემის უფლებამოსილება არ გამაჩნია და ვერ დავუშვებ, რომ მათ გემი დატოვონო. ფედერალური სასაზღვრო დაცვის მოხელემ უპასუხა: გთხოვთ, ნუ მაიძულებთ იარაღი გამოვიყენო. ახლა კაიუტაში ჩაგკეტავთ, ქალს და ბავშვს ნაპირზე გადავიყვან, დავბრუნდები და კარს ისევ გაგიღებთო.

ფედერალური სასაზღვრო დაცვის წარმომადგენელი ასეც მოიქცა. შემდეგ მეექვსე კაიუტიდან, რომელიც მთავარი ინჟინრის მიერ გადაცემული გასაღებით გააღო, ქალი და ბავშვი გამოიყვანა, გემბანზე შეკრებილ ეკიპაჟს ცხვირწინ ჩაუარეს და ხმელეთზე გადავიდნენ. შემდეგ გემზე დაბრუნდა და კაპიტანს კაიუტის კარი გაუღო. სცენა, რომელიც გემზე გათამაშდა, საფუძველს მაძლევდა, მოგვიანებით მეთქვა: „კაიზერ ვილჰელმი მართალი იყო, როცა თვითმარქვია კიოპენიკელ კაპიტანზე* განაცხადა: «ამაში გერმანელებს ბადალი არ მოეძებებათო»“.

კაპიტანმა სარეგისტრაციო ჟურნალში კორექტული ჩანაწერი გააკეთა და ზედმიწევნით ასახა ეს ინციდენტი. ფედერალური სასაზღვრო დაცვის წარმომადგენელს კი სთხოვა ხელმოწერით დაედასტურებინა ამ ცნობების უტყუარობა, რათა უკან დაბრუნებისას რესპუბლიკიდან მოქალაქეების გაქცევის თანამონაწილეობაში არ დაედანაშაულებინათ. ფედერალური სასაზღვრო დაცვის მოხ-

---

* იგულისხმება კაპიტნის ფორმაში გადაცმული მეწაღე, რომელმაც 1906 წელს ბერლინის კიოპენიკის რაიონში ბიურგერმაისტერი დაატუსაღა. (რედ.)

ელემ ამ ჩვენებას ხელი მოაწერა და გემი დატოვა. ასე მოგვარდა სამართლებრივი დავა ამ ორ კაცს შორის, დავა, რომელიც იმ უფლებამოსილებას ეხებოდა, რაც კაიზერ ვილჰელმის არხში შემოსულ ნებისმიერ გემზე გააჩნია ფედერალურ სასაზღვრო დაცვას. სამართლებრივი თვალსაზრისით ამ მოხელემ ძალზე კორექტულად იმოქმედა. ადამიანური პოზიციიდან გამომდინარე კი მისი საქციელი გამართლებული გახლდათ. ამიტომ ისიც ბონში გამოვიძახე. ადამიანური, მკაფიო და წინდასვლული პოზიცია სამართლიანად იმსახურებდა წახალისებას. სანიმუშო საქციელისთვის მადლობა გამოვუცხადე.

პოლიტიკოსთა მხრიდან პოლიციის და კონსტიტუციის დაცვის სამსახურის თანამშრომელთათვის მხარდაჭერას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს თუნდაც საზოგადოების მიერ მათი აღიარების თვალსაზრისით. ამასთან დაკავშირებით 1972 წლის 28 აპრილს გერმანიის ბუნდესტაგის წინაშე განვაცხადე: „რწმენა სახელმწიფოსადმი, რწმენა შინაგანი უშიშროებისადმი, გულისხმობს რწმენას იმ ადამიანებისადმი, ვინც ყოველდღიურად აღასრულებს უმძიმეს სამსახურს, რათა უზრუნველყოს თავისუფლება ჩვენს სახელმწიფოში. მე ვგულისხმობ როგორც სამხარეო, ასევე ფედერალური პოლიციის მუშაკებს. მათ უნდა იცოდნენ, რომ მძიმე ამოცანის შესრულებისას მთელი მოსახლეობის ნდობით სარგებლობენ“.

აქედან გამომდინარე, ძალზე მაფიქრებდა ეგრეთ წოდებული მდუმარე უმრავლესობის ინდიფერენტულობა და გულგრილობა. იმავე დღეს ბუნდესტაგის სხდომაზე ისევ ამ საკითხთან დაკავშირებით აღვნიშნე: „საარჩევნო ბიულეტენების დემოკრატია რწმენაზე დამყარებულ დემოკრატიად უნდა გარდაიქმნას. თავისუფალ აზროვნებაზე დამყარებული დემოკრატიული საზოგადოებრივი წყობილების რადიკალური მოწინააღმდეგენი ქმედითუნარიანობითა და რწმენის სიმტკიცით გარკვეულწილად ჯობნიან ამ წყობილების მომხრეებს, ანუ — თუ უფრო მკაცრად და მკაფიოდ ვიტყვით — ამ წყობილების მომხმარებლებს. მთავარ საშიშროებას, სინამდვილეში, ის ინერტული უმრავლესობა წარმოადგენს, რომელიც თავისუფალი წესრიგის ყველა სიკეთით სარგებლობს, მაგრამ ამ წესრიგის საჯაროდ დაცვას სხვებს ანდობს. დემოკრატიის პარაზიტებიც არსებობენ. ამას კი საერთო ძალებით უნდა შევებრძოლოთ“.

ეს იყო პერიოდი, როდესაც სახელმწიფო აპარატში მოკალათებულ კონსტიტუციის მტრებთან დაკავშირებით დებატები დაიწყო. ლაპარაკია დოკუმენტზე – „ბრძანებულება რადიკალების შესახებ“.

გადაწყვეტილების მიღებას შინაგან საქმეთა მინისტრების სანგრძლივი ინტენსიური კონსულტაციები უძღოდა წინ, რაც მხარეთა მინისტრების სულ უფრო მზარდი შიშით იყო განპირობებული: ისინი ფიქრობდნენ, რომ შესაძლებელი იყო სახელმწიფო მმართველობაში – ადმინისტრაციულ ორგანოებში – ექსტრემისტულ ძალებს შეეღწიათ. კონსტიტუცია და კანონი კი მოითხოვდა, რომ სახელმწიფო მოხელეებს თავისუფალი სამართლებრივი სახელმწიფო დაეცვათ. მიუხედავად იმისა, რომ დასავლეთის მთავრობები აღმოსავლეთის კომუნისტურ სახელმწიფოებთან თანამშრომლობის სურვილს გამოთქვამდნენ, ეს არ გამორიცხავდა ჩვენს დაპირისპირებულობას, განსხვავებას ჩვენს ღირებულებათა სისტემებს შორის, ამიტომ ჩვენი სისტემის მხარდაჭერა, მისი დაცვა ყოველი ხელისუფლებისა თუ სახელმწიფო მოხელის უპირველეს ამოცანას წარმოადგენდა. შინაგან საქმეთა მინისტრების შეკრებაზე ერთსულოვნება სუფევდა: ჩვენ კანონით გათვალისწინებული, კანონში დაფიქსირებული პრინციპის დაცვა გვსურდა. ფედერალური მხარეების წარმომადგენელ კოლეგებს ამ პრინციპის განხორციელება ადგილობრივი თვითმმართველობის სფეროში რთულ საქმედ ესახებოდათ, მაგრამ თვლიდნენ, რომ აუცილებელი იყო ზოგიერთი პრინციპის დაფიქსირება „ბრძანებულებაში რადიკალების შესახებ“. ზოგიერთი კოლეგა ფედერალური მხარეებიდან, უპირველეს ყოვლისა, სოციალ-დემოკრატიული პარტიის წარმომადგენლები, ფედერაციისა და მხარეთა მიერ ერთობლივად შემუშავებულ მარეგულირებელ აქტს, მით უმეტეს თუ ის მთავრობის მეთაურის გადაწყვეტილებით იყო მიღებული, საზოგადოებრივი და შიდაპარტიული კრიტიკისაგან დამცავ ფაქტორად მიიჩნევდა.

კონსტიტუციისადმი ერთგულების მცნების თანმიმდევრულად გატარება გადაუდებელ ამოცანად მიმაჩნდა. ის რაც 1933 წლამდე სახელმწიფო აპარატის ზოგიერთ ნაწილში მემარჯვენეებმა ჩაიდინეს, ამჯერად მემარცხენეებს არ უნდა გაემეორებინათ. ამიტომ ჰაინც რუნაუსთან ერთად ერთობლივ, შეთანხმებულ მოქმედებას დავუჭირე მხარი; ვითვალისწინებდი რა თანამშრომლების რჩევას,




*ფედერალური სასაზღვრო დაცვის სამსახურის თანამშრომლებთან ორი გერმანიის საზღვარზე: „სასაზღვრო დაცვის მინისტრი“ შინაგან საქმეთა ფედერალური მინისტრი გენშერი ქვემო საქსონიის შინაგან საქმეთა მინისტრ რიოტგერ გროსთან ერთად.*

მაფიქრებდა იმ პრინციპების წამოყენებაც, რომლებიც შეიძლება ძალზე განზოგადებული შეფასებების მიზეზი გამხდარიყო; სამართლებრივი სახელმწიფოს თვალსაზრისით ეს პრობლემატური გახლდათ და შეიძლება საქმისთვის ევნო. ცხადია, ჩემთვის ბევრად იოლი იყო კონსტიტუციის თანმიმდევრული ამოქმედება ფედერაციის ფარგლებში, რადგან ფედერაციაში კონსტიტუციურ-სამართლებრივად უნაკლო მართვის უზრუნველყოფა კადრებზე პასუხისმგებელი ორგანოების შემცირებითაც შეიძლებოდა. ფედერალური ქვეყნების წარმომადგენლებიც ამგვარადვე განიხილავდნენ ადმინისტრაციული ორგანოების საკითხს, თუმცა, მათი აზრით, პრობლემები შეიქმნებოდა მუნიციპალურ ორგანოებში. ამიტომ ბრძანებულების იმგვარ

ფორმულირებას უჭერდნენ მხარს, რა სახითაც ის მოგვიანებით ჩამოყალიბდა. ფედერალური მხარეების ზოგიერთი მინისტრი – კავშირის პარტიების წარმომადგენელი იქნებოდა თუ სოციალ-დემოკრატი – ჩემს ეჭვს იზიარებდა, მაგრამ 1972 წლის 27 იანვარს ყველამ ერთხმად მიიღო ეს დადგენილება იმ სახით, რა სახითაც ის მოგვიანებით დამტკიცდა. ფედერაციისა თუ ფედერალურ მხარეთა მთავრობის მეთაურებმაც იგივე შედეგი მიიღეს. ამის თაობაზე 1972 წლის 27 და 28 იანვარს ფედერალურ კანცლერ ბრანდტს ვესაუბრე.

მოსალოდნელ დებატებს სამართლებრივ-სახელმწიფოებრივ მნიშვნელობას ვანიჭებდი. ჩვენს თავისუფალ სამართლებრივ სახელმწიფოში კონსტიტუციური უფლებების დარღვევის შემთხვევაში „სასამართლოსათვის მიმართვის გარანტია" იმის საფუძველს ქმნიდა, რომ ყოველგვარი ადმინისტრაციული გადაწყვეტილების გადასინჯვა შესაძლებელი ყოფილიყო; ეს საქმეს მიიოლებდა არა მხოლოდ იმიტომ, რომ თვითნებობა გამორიცხული გახლდათ, არამედ სასამართლო წარმოება ადმინისტრაციულ პრაქტიკაზე „უწყვეტი" ზემოქმედების იმედს გვაძლევდა. ჩვენ უარვყავით უფრო მარტივი, მაგრამ სამართლებრივი სახელმწიფოსთვის მიუღებელი გზა: რაიმე საბაბით ადმინისტრაციული ორგანოებიდან ჩამოგვეშორებინა ის ხალხი, რომელთა კონსტიტუციისადმი ერთგულებაში ეჭვი გვეპარებოდა. სხვა სახელმწიფოებში ამგვარი გამოცდილება არსებობდა – დემოკრატიულ სახელმწიფოებშიც. თუმცა იმ სხვა სახელმწიფოებში გამეფებულ საზოგადოებრივ აზრს ეს ხელს არ უშლიდა, კრიტიკულად შეეფასებინა ჩვენი პრაქტიკა, რომელიც სამართლებრივად – და კონსტიტუციურ-სამართლებრივად – შემოწმებას ექვემდებარებოდა.

საჯარო განხილვას ორი დადებითი შედეგი მოჰყვა: ერთის მხრივ, შემცირდა მცდარი გადაწყვეტილებების რიცხვი, მიუხედავად იმისა, რომ გამონაკლისიც არსებობდა, თუმცა ამგვარი შემთხვევების გამოსწორება სასამართლოს გზით იყო შესაძლებელი. ეს კი პოზიტიური მოვლენა გახლდათ როგორც სამართლებრივი სახელმწიფოს თვალსაზრისით, ასევე კონსტიტუციური ცნობიერების თვალსაზრისითაც. მეორეს მხრივ, საზოგადოებაში მიმდინარე დისკუსიამ უფრო გააძლიერა შეგნება იმისა, რომ დაუშვებელია სამართლებრივი სახელმწიფო იმ ადამიანებმა მართონ, ვინც ხელყოფს

მას. შეიძლება ითქვას, რომ ომის შემდგომმა გერმანულმა დემოკრატიამ ამ დებატებისას მძიმე გამოცდა ჩააბარა; ჩააბარა ის პასუხისმგებლობის შეგნებითა და დემოკრატიული მგრძნობელობით. მაკარტიზმი ჩვენთან არ არსებულა; კომუნისტური პარტიის გაუქმების მოთხოვნაც ჩემთვის ყოველთვის მიუღებელი და მცდარი იყო. საქმე სულიერ დაპირისპირებულობაში მდგომარეობდა და არა ადმინისტრაციულ ბრძოლაში. პარტიებისა თუ ორგანიზაციების აკრძალვა მუდამ ფრთხილ გააზრებას მოითხოვს. თავისუფალ დემოკრატიულ წესრიგში წინ უნდა წამოვწიოთ მიზეზთა თავიდან აცილების პრინციპი. სხვათა შორის, გამოცდილება გვიჩვენებს, რომ რაც უფრო სახიფათოა ესა თუ ის დაჯგუფება, მით უფრო მოხერხებულად უსხლტება ორგანიზაციულ აკრძალვებს.

## *1972 წლის შედეგების შეჯამება*

1972 წლის ბოლოს შინაგან საქმეთა მინისტრს შინაგანი უშიშროების სფეროში არცთუ ურიგო შედეგები ჰქონდა. ბაადერ-მაინჰოფის დაჯგუფების ბირთვი ჩვენს ხელში იყო. ფედერალური სისხლის სამართლის სამძებრო სამსახური თანამედროვე და ქმედითუნარიან ორგანოდ გარდაიქმნა; ინფორმაციის გაცვლის, კრიმინალისტური ტექნიკის საკითხებისა თუ კრიმინალისტური კვლევის და შესაბამისი მომზადების სფეროშიც მნიშვნელოვან წარმატებებს მივაღწიეთ. ფედერალური სასაზღვრო დაცვის ამოცანები მნიშვნელოვნად გავაფართოვეთ. მას ახლებური მოტივაცია, უკეთესი აღჭურვილობა, მომზადება და ანაზღაურება ჰქონდა. თავის მხრივ, კონსტიტუციის დაცვის სამსახურის კადრებიც შეიქმნა. ყველა ეს საკითხი ფედერალური ქვეყნების შინაგან საქმეთა მინისტრების საბჭოსთან შეთანხმებით წყდებოდა. თავიდანვე დიდ მნიშვნელობას ვანიჭებდი ფედერაციასა და ფედერალურ მხარეებს შორის ოპტიმალურ შეთანხმებას.

პოლიტიკურ ტერორიზმს მხოლოდ პოლიცია არ უნდა დაპირისპირებოდა. სამოცდარვიანელების თაობა მშობლებს რომ აუმხედრდა, ამის მიზეზი ის გახლდათ, რომ მშობლები დამაკმაყოფილებელ პასუხს ვერ იძლეოდნენ კითხვაზე, როგორ იქცეოდნენ მესამე რაიხში.

მე მათი მესმოდა. ამ განწყობას კიდევ უფრო ამძაფრებდა ფედერაციული რესპუბლიკის საზოგადოების უკიდურესი მატერიალიზმი, რაც ახალგაზრდობის პროტესტს იწვევდა. ჩემთვის ესეც გასაგები გახლდათ. რა ხანია ვვარაუდობდი, რომ ჩვენი საზოგადოებისთვის დამახასიათებელი თვითკმაყოფილებისა და გადამეტებული თვითდაჯერებულობის განცდა ერთ მშვენიერ დღეს სავალალო შედეგს მოიტანდა. ამით იყო ნაკარნახევი ჩემი სტატია, რომელიც ჯერ კიდევ თავისუფალი დემოკრატიული პარტიის ახალგაზრდა წევრმა ორმოცდაათიან წლებში დავწერე. ამ სტატიაში ვამბობდი: ჩვენს დემოკრატიას საფრთხეს ხომ არ უქმნის ის ფაქტი, რომ კეთილდღეობას დემოკრატიასთან აიგივებენ. რა მოხდება ერთ მშვენიერ დღეს, თუ უმუშევრობა უფრო დიდ მასშტაბებს მიიღებს-მეთქი. აუცილებელი იყო, რომ ჩვენს საზოგადოებას დაუყოვნებლივ მიემართა ყურადღება კონსტიტუციის ძირითადი ფასეულობებისთვის და ერთადერთ კრიტერიუმად მატერიალური კეთილდღეობა არ დაესახა, რაც, ცხადია, ასევე მნიშვნელოვანია. ძირითადი კანონის I მუხლი — „ადამიანის ღირსება და პატივი ხელშეუვალია" — ახალი გერმანული დემოკრატიის ფუნდამენტს წარმოადგენდა. სამოცდარვიანელთა თაობის პროტესტი არც მოულოდნელი ყოფილა ჩემთვის და არც გაუგებარი.

მიუხედავად იმისა, რომ კარგად მესმოდა მათი, თავიდანვე ვამტკიცებდი, რომ: არ არსებობს განსხვავება ძალადობის ნებისმიერ გამოვლინებებს შორის, იქნება ეს ძალადობა ნივთების თუ ადამიანების მიმართ, ხოლო ძალადობის ერთი ფორმა ძალადობის სხვა ფორმას წარმოშობს, ახალი ძალადობის წინა საფეხურს წარმოადგენს. ძალადობის ყოველგვარი გამოვლინება დემოკრატიული საზოგადოებისთვის მიუღებელი უნდა იყოს-მეთქი. 1966-1969 წლებში, დიდი კოალიციის პერიოდში, აქტიურად ვმონაწილეობდი საგანგებო კანონმდებლობასთან დაკავშირებულ დისკუსიაში. თავისუფალი დემოკრატიული პარტია საჭიროდ თვლიდა საგანგებო მდგომარეობასთან დაკავშირებული კანონის მიღებას რომელიც მკაფიოდ განსაზღვრავდა, თუ რა წინასწარი ზომები უნდა ყოფილიყო მიღებული. მაგრამ ჩვენ ლიბერალური სახელმწიფოს ძირითად სფეროებში ყოველგვარი ჩარევის წინააღმდეგ გამოვდიოდით. ჩემი არგუმენტაცია ორი მიმართულებით ვითარდებოდა: თუ საგანგებო კანონ-

მდებლობას უარვყოფდით, მაშინ საფრთხის შემთხვევაში ძველი პრინციპის ამოქმედებას შევუწყობდით ხელს — „გაჭირვებამ კანონი არ იცის". ლიბერალისთვის კი მიუღებელია, რომ სახელმწიფომ — თუნდაც საფრთხის შემთხვევაში — კონსტიტუცია დაარღვიოს. ამიტომ საფრთხისას სახელმწიფოს მზად უნდა ჰქონდეს კონსტიტუციით დაშვებული სათანადო მექანიზმები. თუმცა სახელმწიფო მხოლოდ იმ მექანიზმებს უნდა ფლობდეს, რაც მისთვის აუცილებელია, ვინაიდან დაუშვებელია დაირღვეს ძირითადი შინაარსი იმ კანონისა, რომელიც სწორედ სახელმწიფომ უნდა დაიცვას. თავისუფალი დემოკრატიული პარტიის მცირერიცხოვანმა ოპოზიციამ დიდი კოალიციის დროს საგანგებო კანონმდებლობასთან დაკავშირებულ დებატებზე მრავალი საკანონმდებლო ინიციატივით ძალზე მნიშვნელოვანი ზეგავლენა მოახდინა. ვოლფრამ დორნის კრიტიკული შენიშვნები მიმდინარე დისკუსიას ძალზე მწვავე ელფერს აძლევდა. თომას დელერი და კარლ მიორშიც გამოვიდნენ სიტყვით. პლენარულ დებატებში მეც აქტიურად ვმონაწილეობდი. წერილობითი ინიციატივების ფორმულირებას ადვოკატი ქალბატონი ლიანე ფრანცკიბეკმანი ახდენდა, რომელიც ბუნდესტაგის თავისუფალი დემოკრატიული პარტიის ფრაქციის სამუშაო ჯგუფს ხელმძღვანელობდა და ამ სამუშაოს შესანიშნავად გაართვა თავი.

1972 წლის ზაფხულში შინაგან საქმეთა სამინისტრო კინაღამ მივატოვე. იმ წლის 2 ივლისს კარლ შილერმა გადადგომის თხოვნით მიმართა ვილი ბრანდტს. კაბინეტში არსებულმა დაპირისპირებებმა ის, როგორც ჩანს, დაღალა. 1972 წლის 18 მაისის სამთავრობო სხდომაზე მან ბიუჯეტთან დაკავშირებული მოსაზრებების გატანა გაჭირვებით მოახერხა. საშუალოვადიანი ფინანსების დაგეგმვის საკითხი კი კვლავ ღიად რჩებოდა. საქმიან საკითხებს მიღმა შილერმა, როგორც ჩანს, საკუთარ პარტიაში თავისი იზოლირებული მდგომარეობა კარგად გააცნობიერა. მხოლოდ სოციალ-დემოკრატებით დაკომპლექტებულ მთავრობაში ის ჯერ კიდევ მაისში დამარცხდებოდა. კოალიციურ მთავრობაში კი შეეძლო თავისუფალი დემოკრატიული პარტიის წევრი მინისტრების მხარდაჭერის იმედი ჰქონოდა. ვალტერ შეელს და მე კარგად გვესმოდა, თუ რა მნიშვნელობა ჰქონდა შილერს ფედერალური მთავრობის ეკონომიკური, საფინანსო და სავალუტო პოლიტიკისათვის. 1972 წელს ალექს

მიოლერის გადადგომამ მთავრობის ავტორიტეტი შელახა. კაბინეტის კიდევ ერთი წევრის, ისეთი სუპერმინისტრის გადადგომა, როგორიც კარლ შილერი გახლდათ, მთავრობის რეპუტაციას კიდევ უფრო შებღალავდა. შილერის კომპეტენციაში ორი — ეკონომიკისა და ფინანსთა — სამინისტრო შედიოდა. თუმცა შილერმა თვითონ შეუწყო ხელი საკუთარ იზოლაციას სოციალ-დემოკრატიულ პარტიაში. შილერი ძალზე ინტელიგენტური, მაღალკვალიფიციური და კომპეტენტური კაცი გახლდათ, თუმცა მასთან თანამშრომლობა ყველას უჭირდა. თავის ინტელექტუალურ უპირატესობას ის ხაზგასმით და ზოგჯერ ხალისითაც აგრძნობინებდა კოლეგებს.

ჩემს მიმართ ის ყოველთვის ძალზე კოლეგიალური გახლდათ. პიროვნულად ვაფასებდი და არ მავიწყდებოდა, დიდი კოალიციის პერიოდში ჩემთან კონტაქტი რომ ჰქონდა და თავისუფალ დემოკრატიულ პარტიასთან ერთობლივი კოალიციის შექმნაზე შეგნებულად მუშაობდა. ლიბერალების კრიტიკისაგან შინაურობაში „კალასის არგუმენტის“ მოშველიებით ვიცავდი: ის ვარსკვლავია, როგორც კალასი, მთელი თავისი ღირსებებითა და ნაკლით-მეთქი. ჩვენმა პირადმა ურთიერთობამ ასე გაუძლო დრო-ჟამის დინებას და თანამდებობის დატოვების შემდეგაც დროდადრო ვხვდებოდით ერთმანეთს. ჰამბურგში, მის სახლშიც არაერთხელ ვყოფილვარ. ჩვენი აზრი იმ ღონისძიებებთან დაკავშირებით, რომელთა გატარებაც აუცილებელი იყო ახალ ფედერალურ მხარეებში ინდუსტრიული საფუძვლების განსამტკიცებლად, ერთმანეთს ემთხვეოდა. შილერის მსგავსად ფასების განსაზღვრისათვის დამატებით ღირებულებაზე დაწესებული გადასახადების პრეფერენციას მეც მოვითხოვდი. თუმცა, განსხვავებული შეხედულება გვქონდა ევროპის ეკონომიკურ და სავალუტო კავშირთან მიმართებით, რომელსაც შილერი ძალზე კრიტიკულად აფასებდა.

1972 წლის 29 და 30 ივნისს, მთავრობის ორდღიანი სხდომისას, შილერმა, როგორც ჩანს, თავი შევიწროებულად იგრძნო, როდესაც ფედერალური ბანკის პრეზიდენტმა კარლ კლაზენმა ერთი წინადადება შემოიტანა განსახილველად, რომელიც კაბინეტის წევრებმა მოიწონეს. კარლ შილერი თვითონ განაპირდა, თითქოს თვითონ მიიმწყვდია თავი კუთხეში და საბოლოოდ გაირიყა. აშკარა იყო, რომ მას ხმათა უმრავლესობით ჩააგდებდნენ. ვურჩიე, კენჭისყრაზე

თავი შეეკავებინა, რადგან, ჩემი ვარაუდით, მხოლოდ გადადგომის შანსი რჩებოდა, რაც სოციალ-დემოკრატთა უმრავლესობას ძალიანაც ახარებდა.

კვირას, პირველ ივლისს, ჰამბურგის სასტუმრო „ატლანტიკ-ში" თავისუფალი დემოკრატიული პარტიის მთავარი კომიტეტის შეკრებას ვესწრებოდი; შემთხვევით ვისარგებლე და კარლ შილერს დავურეკე, რათა მხარდაჭერა გამომეხატა და გამემხნევებინა. მინდოდა თავისუფალი დემოკრატიული პარტიის გადაწყვეტილებაც შემეტყობინებინა, რაც კაბინეტში მისი დარჩენის სასარგებლოდ მეტყველებდა. სამწუხაროდ, უკვე გვიან იყო.

ამიერიდან ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრების ვაკანსიები კოალიციაში ხელახლა უნდა გადაენაწილებინათ. ვალტერ შეელის აზრით, დადგა დრო ხელახლა წამოგვეყენებინა მოთხოვნა თავისუფალი დემოკრატიული პარტიის ეკონომიკურ სფეროში მონაწილეობის შესახებ. შეელმა მითხრა: ის, რასაც 1969 წელს ალექს მიოლერის შემთხვევაში, ვერ მივაღწიეთ, ახლა შესაძლებლად მეჩვენებაო. ეს კი იმას ნიშნავდა, რომ შინაგან საქმეთა სამინისტრო უნდა დამეტოვებინა და ორი გამოთავისუფლებული სამინისტროდან ერთ-ერთს ჩავდგომოდი სათავეში. 1969 წელს ფინანსთა სამინისტროთი ვიყავი დაინტერესებული, ვალტერ შეელი კი ამჯერად ეკონომიკის სამინისტროს ანიჭებდა უპირატესობას, თუმცა მკაფიო წარმოდგენა ჰქონდა იმ სირთულეებზე, ალექს მიოლერისა და კარლ შილერის წინაშე რომ წამოიჭრა, როდესაც მათ სერიოზული ფინანსური პოლიტიკის გატარება მოინდომეს. ანალოგიური პრობლემებით ჩემი — ანუ თავისუფალი დემოკრატიული პარტიის — დამძიმება არ სურდა. პირადად მე, ისევ და ისევ, ფინანსთა სამინისტროსკენ მიმიწევდა გული, რადგან ეს უწყება ჩემთვის მხოლოდ საბიუჯეტო ორგანიზაცია არ გახლდათ, ის საგადასახადო სამინისტროსაც წარმოადგენდა, ხოლო საგადასახადო პოლიტიკას — რაც საბაზრო ეკონომიკურ სისტემაში, საზოგადოებრივი წესრიგის თვალსაზრისით, გლობალური მართვა-რეგულირების საიმედო მექანიზმს წარმოადგენს — დიდ ეკონომიკურ და საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მნიშვნელობას ვანიჭებდი. გამოცდილებამ დამარწმუნა, რომ ფინანსთა სამინისტროს უპირველეს ყოვლისა საბიუჯეტო ორგანიზაციად განიხ-

ილავდნენ და მისი საზოგადოებრივ-პოლიტიკური-პოლიტიკური ფორმირების შესაძლებლობებს ვერ აცნობიერებდნენ. არადა, ეს შესაძლებლობები სწორედ საგადასახადო პოლიტიკაშია საძიებელი. ამით აიხსნება ეკოლოგიური საგადასახადო რეფორმის არარსებობა. თუ ეკონომიკის სამინისტრო ჩემს დაქვემდებარებაში გადმოვა, აუცილებლად მოვითხოვ, რომ ამავე სამინისტროს კომპეტენციაში იყოს ფულადი სახსრებისა და კრედიტების განყოფილება-მეოქი, – ვაცნობე ვალტერ შეელს. აქედან გამომდინარე, ეკონომიკის სამინისტროში ჩემი გადასვლის საკითხი უარყოფითად გადაწყდა.

ფედერალურმა კანცლერმა ბრანდტმა ვალტერ შეელთან და ჩემთან მოლაპარაკება ჰელმუთ შმიდტს მიანდო. რა სახით უნდა გადანაწილებულიყო ეკონომიკისა და ფინანსთა კომპეტენციის სფეროები, ვინ დაიკავებდა შინაგან საქმეთა მინისტრის პოსტს ჩემს შემდეგ? საუბარი საგარეო საქმეთა უწყებაში, ვალტერ შეელის კაბინეტში შედგა; კაბინეტში, რომელიც მოგვიანებით თვრამეტი წლის განმავლობაში ჩემს კაბინეტს წარმოადგენდა. ჰელმუთ შმიდტმა შეგვატყობინა: გადავწყვიტე ფინანსთა სამინისტროს მე ვუხელმძღვანელოო. უნდა დავთანხმებულიყავით, რადგან ეს სამინისტრო სოციალ-დემოკრატიული პარტიის „სამკვიდროს" წარმოადგენდა. შემდეგ მან დასძინა: ჩემი აზრით, სავალუტო პოლიტიკა ფინანსთა სამინისტრომ უნდა განსაზღვროსო. ამასთან დაკავშირებით ვუპასუხე: ფულადი სახსრების და საკრედიტო განყოფილების გარეშე, ანუ სავალუტო პოლიტიკის კომპეტენციის გარეშე, ეკონომიკის სამინისტრო ესოდენ მნიშვნელოვანი შინაგან საქმეთა სამინისტროს ეკვივალენტი ვერ იქნება, თანაც ეკონომიკის მინისტრის შესაძლებლობები ამ განყოფილებების გარეშე ძალზე შეზღუდულია-მეთქი. ხანგრძლივი დისკუსია გაიმართა და მრავალ, არგუმენტის მოშველიება დაგვჭირდა. ბოლოს კომპეტენციები ისევ ისე განაწილდა, როგორც მანამდე იყო.

ჩვენი მოლოდინი, რომ 1972 წლის არჩევნების შემდეგ იმის წინაპირობა შეიქმნებოდა, თავისუფალი დემოკრატიული პარტია მეოთხე სამინისტროშიც ყოფილიყო წარმოდგენილი, გამართლდა, რადგან ჩვენ 5,8 პროცენტიდან 8,4 პროცენტზე გადავინაცვლეთ, ანუ დამატებით ეკონომიკის სამინისტრო მივიღეთ, რომლის სათავეშიც ჰანს ფრიდერიქსი იდგა; მეოთხე სამინისტრო მივიღეთ, მაგრამ „ფულისა

და კრედიტების“ გარეშე, რაც დღემდე გამოუსწორებელ ხარვეზად რჩება და ეკონომიკის მინისტრის შესაძლებლობებს ძალზე ზღუდავს. შინაგან საქმეთა სამინისტროში დარჩენა მაინც მახარებდა, რადგან ეს უწყება ჩემთვის უკვე ძალზე მნიშვნელოვანი გახლდათ.

შინაგან საქმეთა ფედერალურ სამინისტროს განსაკუთრებული პასუხისმგებლობა ეკისრებოდა სამოქალაქო თავდაცვისა და ფართომასშტაბიანი კატასტროფებისაგან დაცვის საკითხში. მჭიდროდ ვთანამშრომლობდით ტექნიკური დახმარების ორგანიზაციასთან, თავდაცვის ფედერალურ საზოგადოებასთან, სახანძრო სამსახურებთან, სამოქალაქო სამაშველო ორგანიზაციებთან, როგორებიცაა: გერმანიის წითელი ჯვრის ორგანიზაცია, მუშათა დახმარების ორგანიზაცია, იოანიტებისა და მალტის ორდენები. ამ სფეროში დიდი მოქალაქეობრივი აქტივობა არსებობდა და ჩვენ თანადგომა უნდა აღმოგვეჩინა, მაგრამ ფედერალურ შინაგან საქმეთა სამინისტროს ძალზე შეზღუდული ფინანსური შესაძლებლობები ჰქონდა და მიუხედავად თავდაცვითი დანიშნულების ობიექტებზე გამოყოფილი მნიშვნელოვანი სახსრებისა – სამინისტროს ფინანსური შესაძლებლობების ფონზე – თავდაცვითი თავშესაფრების მომარაგების თვალსაზრისით ეს სახსრები, არც მეტი, არც ნაკლები, ზღვაში წვეთი გახლდათ. საპარლამენტო სტატს-მდივანმა, ვოლფრამ დორნმა, რომელმაც სწორად გააცნობიერა სამოქალაქო სამაშველო ორგანიზაციების მნიშვნელობა, შემოგვთავაზა, რომ სახსრები – თავდაცვითი ნაგებობის მშენებლობის ხარჯზე – ამ ორგანიზაციებში დაგვებანდებინა, რაზეც ჩემი თანხმობა მიიღო. სამაშველო ორგანიზაციებისადმი მინისტრის ახლებურმა დამოკიდებულებამ არამარტო გააუმჯობესა სამუშაო პირობები, არამედ მუშაკთა მოტივაციის გაძლიერებასაც შეუწყო ხელი. მაშველთა დაჟინებული მოთხოვნით ტექნიკური დახმარების ორგანიზაციაში სამუშაო ტანსაცმლის გარდა სპეციალური ფორმაც შემოვიღეთ, რომელიც მაშველებს საზოგადოებრივი ღონისძიებების დროს უნდა ეტარებინათ. საჭირო სახსრები ნაწილობრივ ფედერალურმა ხაზინამ გაიღო, ნაწილობრივ კი მაშველთა შემოწირულობებით მივიღეთ; ტანსაცმლის ესკიზის მომზადება მოდელიორ ოსტერგაარდს დავავალე. სამოქალაქო საზოგადოების დაცვის ფედერალურ სამსახურში რამდენიმე მოდელის პრეზენტაცია გაიმ-

ართა. ის მოდელი შევარჩიეთ, რომელმაც მაშველთა მოწონება და უმაღლესი შეფასება დაიმსახურა.

ვოლფრამ დორნთან ერთად, რომელიც სამოქალაქო თავდაცვის სფეროში დიდ გამოცდილებას ფლობდა, ეგრეთ წოდებული სამოქალაქო თავდაცვის ახალი კონცეფცია შევიმუშავეთ. ეს სფერო ძირითადად თავდაცვაზე იყო ორიენტირებული და თავშესაფრების მშენებლობისთვისაც კი არ ღებულობდა საკმარის დაფინანსებას. უნდა ითქვას, რომ კარგი დაფინანსება მას არც არასდროს ჰქონია. მთავარი აქცენტი ჰუმანიტარულ დახმარებაზე უნდა გადამეტანა, რათა დახმარებისთვის მზად ვყოფილიყავით, როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის ფარგლებს გარეთ. უბედური შემთხვევების, ავარიების და ბუნებრივი კატასტროფების დროს მაქსიმალური დახმარების გაწევის შესაძლებლობა უნდა გვქონოდა, რასაც მხოლოდ არსებული სამაშველო ორგანიზაციების შესაბამისი უზრუნველყოფითა და მხარდაჭერით მოვახერხებდით. მაშველთა დღეების დაწესებით ხელს შევუწყობდით მაშველებს შორს გამოცდილების გაზიარებას და ამ ორგანიზაციების საზოგადოებრივ აღიარებას.

ამასთან დაკავშირებით გამოითქვა აზრი, რომელიც ფედერალურმა მხარეებმაც გაიზიარეს: მძიმე ავარიებისა და სხვა უბედური შემთხვევებისას შვეულმფრენები გამოგვეყენებინა. 1970 წლის 17 სექტემბერს ვოლფრამ დორნმა ჩემთან მოთათბირების შემდეგ ასეთი პუნქტების შეთანხმება დამავალა: პირველი ის გახლდათ, რომ გაგვეუმჯობესებინა ფედერაციის თანამშრომლობა ფედერალურ მხარეებთან, რათა ფედერალური სამაშველო პოტენციალის ამოქმედებით დავხმარებოდით ფედერალური ქვეყნების სამაშველო ორგანიზაციებს სასწრაფო დახმარების სფეროში და კატასტროფების დროს; მეორე: შინაგან საქმეთა სამინისტროს ხელმძღვანელობით დაგვეარსებინა ერთობლივი საჰაერო სასწრაფო სამედიცინო დახმარების სამსახური. ბოლოს, 1973 წელს, საბიუჯეტო კომისიის თანხმობის შემდეგ, საორგანიზაციო პროგრამის მომზადება დაიწყო; პროგრამის, რომელიც 1989 წლამდე განახორციელეს ჩემმა შემცვლელებმა ვერნერ მაიჰოფერმა და გერჰარტ რუდოლფ ბაუმმა. ამ სამსახურის განკარგულებაში იმჟამად სასწრაფო დახმარების თვრამეტ პუნქტზე მეტი და ოცდაშვიდი შვეულმფრენი იყო. მაშასადამე, გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში შეიქმნა სრულყო-

ფილი საჰაერო სასწრაფო დახმარების სამსახური, რომელმაც გერმანიის გაერთიანების შემდეგ ახალ ფედერალურ მხარეებშიც განავრცო მოქმედების არეალი. შეიძლება ითქვას, რომ ერთის მხრივ ფედერაციისა და მხარეთა შეთანხმებული მოქმედება, მეორეს მხრივ სამაშველო ორგანიზაციების თანამშრომლობა, კოოპერაციული ფედერალიზმისა და დემოკრატიული საზოგადოების დიდი პასუხისმგებლობის შესანიშნავ მაგალითს წარმოადგენს. ამიტომ დავუჭირეთ მხარი „საგანგებო ვითარების საჰაერო სამსახურის" ფართომასშტაბიანი მანევრების ჩატარებას და ამ მიზნით ფედერალური სასაზღვრო დაცვის შვეულმფრენებიც გამოვიყენეთ. ფედერალური სასაზღვრო დაცვის პირველი სამაშველო შვეულმფრენი იოანიტების სასწრაფო დახმარების ორგანიზაციასა და უმაღლეს სამედიცინო სასწავლებელთან ერთად გამოვცადეთ.

## *ფედერაციული რესპუბლიკის კულტურული პოლიტიკა*

შინაგან საქმეთა ფედერალური მინისტრის კომპეტენციის სფეროს მიეკუთვნებოდა კულტურული პოლიტიკის საკითხებიც, იმდენად, რამდენადაც ფედერაცია უფლებამოსილი იყო ამ სფეროში ეღვაწა: ფედერაცია მთელ რიგ კულტურულ დაწესებულებებსა და ეროვნული მნიშვნელობის ღონისძიებებს აფინანსებდა. თუ აქამდე არსებობდა კულტურის სფეროში მხოლოდ ცალკეული რეფერატები, ამიერიდან ახალი განყოფილება ჩამოვაყალიბე. მოგვიანებით, როდესაც ჩემმა შემცვლელმა ეს განყოფილება ორად გაყო, სპორტის განყოფილების ხელმძღვანელობა ჩემი კანცელარიის ყოფილმა უფროსმა ერიხ შაიბლემ იტვირთა. ამ ამოცანას ის კომპეტენტურად ასრულებდა და სპორტული საზოგადოებების მხრიდან დიდი აღიარებაც დაიმსახურა.

მიუნხენის ოლიმპიურ თამაშებამდე ცოტა დრო რჩებოდა. პარლამენტში სპორტის სფეროსთვის აუცილებელი დახმარება უნდა გვეძებნა. შინაგან საქმეთა მინისტრ გენშერს ძალიან გაუმართლა, რომ ბიუჯეტის საკითხებში მისი ორი რეფერენტი – რუდი ვალთერი (სოციალ-დემოკრატიული პარტია) და ერიხ რიდლი (ქრისტიანულ-სოციალური კავშირი), ამ მნიშვნელოვანი უწყების მოთხოვნებს –

უპირველეს ყოვლისა შინაგანი უსაფრთხოების, მაგრამ ასევე სპორტისა და კულტურის საკითხებს – დიდ ყურადღებას უთმობდნენ.

ფედერალური ხელისუფლების მიერ კულტურის ხელშეწყობა ომის შემდგომ პირველ ათწლეულებში ძირითადად დაზიანებული მუზეუმებისა და არქიტექტურული ძეგლების, მნიშვნელოვანი კულტურული დაწესებულებების აღდგენით შემოიფარგლებოდა; ამასთანავე ახალი დაწესებულებებიც იქმნებოდა, როგორიცაა, მაგალითად, კობლენცის ფედერალური არქივი და ფრანკფურტის გერმანული ბიბლიოთეკა. რომში „ვილა მასიმოს" გახსნა და კინოხელოვნების აღორძინებაც კვლავ შესაძლებელი გახდა; ეს ინიციატივა იმ წლებში ფედერაციამ გამოიჩინა. მიუხედავად ამისა, ფედერაციის მიერ კულტურის მხარდაჭერა თავდაპირველად შემთხვევით ხასიათს ატარებდა, რაც ომის შემდგომი პერიოდით იყო გამოწვეული.

თუმცა აშკარა გახლდათ, რომ გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში კულტურას უფრო მეტი დახმარება ესაჭიროებოდა. თანამდებობის დაკავების შემდეგ მალევე მივხვდი, რაოდენ აუცილებელი იყო კონსტიტუციის ფარგლებში კულტურული პოლიტიკის შემუშავება; პოლიტიკისა, რომელიც კულტურის განვითარებისათვის აუცილებელ ღონისძიებებს ლოგიკური კონცეფციის საშუალებით არსობრივად გააერთიანებდა და ამავე დროს საგარეო მიმართულებაზეც გაამახვილებდა ყურადღებას; მეცნიერების სფეროსთან მიმართებით ეს ხომ უკვე კეთდებოდა. ამ მიმართულებით სვლის მანიშნებელი იქნებოდა ფედერაციისა და ფედერალურ მხარეთა ხელოვნებისა და კულტურის აღორძინების საერთოგერმანული ეროვნული ფონდის შექმნა.

ფედერალურმა კანცლერმა ვილი ბრანდტმა 1973 წლის 18 იანვრის სამთავრობო განცხადებაში ეს გეგმა დადებითად შეაფასა. 1972 წლის ბუნდესტაგის არჩევნებში გამარჯვების შემდეგ, განმარტავდა რა ბრანდტ-შეელის მეორე მოწვევის ფედერალური მთავრობის პროგრამას, მან განაცხადა: „ჩემი აზრით, მრავალ ოცნებას ასრულება უწერია, თუკი ერთ მშვენიერ დღეს ხელოვნების სფეროში გაწეული სახელმწიფო და კერძო ძალისხმევა გერმანიის ეროვნულ ფონდში პოვებს გამოხატულებას. ამის ნიმუშს წარმოადგენს „პრუსიის კულტურული მემკვიდრეობის ფონდი", რომელშიც ფედერაციასთან ერთად ფედერალური მხარეებიც მონაწილეობენ; ეროვნულ ფონდში მშობლიურ კერას დაიმკვიდრებს აღმოსავლეთგერმანული კულტურის

ცოცხალი მემკვიდრეობაც“. ამგვარ ფორმულირებას სხვადასხვა უწყებებთან ინტენსიური კონსულტაციები უძღოდა წინ, შინაგან საქმეთა სამინისტროში შემუშავებულ და საზოგადოებაში ფართო განხილვის საგნად ქცეულ გერმანიის ეროვნული ფონდის დაარსების იდეას თავიდანვე ენერგიულად ვუჭერდი მხარს.

ჩაფიქრებული გვქონდა კულტურული ტრადიციებისა და თანამედროვე ხელოვნების აღორძინებისთვის აუცილებელი, ფინანსურად უზრუნველყოფილი დაწესებულების შექმნა, რომელიც კერძო კაპიტალდაბანდებების აქტივირებასაც მოახდენდა. ხელოვნების მუშაკთა და მათი გაერთიანებების ამ პროცესში ჩართვაც იყო გათვალისწინებული, ანუ მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები მათი მონაწილეობით უნდა მიგვეღო, რაც ხელოვნებისა და კულტურის თავისუფალი განვითარების ჩემეულ გაგებას სავსებით შეესატყვისებოდა. ეს ფონდი კულტურასა და პოლიტიკას შორის აუცილებელი დიალოგის ავტონომიური ფორუმიც უნდა ყოფილიყო. ფონდთან დაკავშირებული იდეების სრულყოფის პროცესში უპირველეს ყოვლისა კულტურის განყოფილების გვიანდელი ხელმძღვანელი ზიგჰარდტ ფონ კიოკრიცი მონაწილეობდა, რომელიც 1990 წლის 3 ოქტომბრის შემდეგ ფედერაციის მიერ ახალ ფედერალურ მხარეებში კულტურის აღორძინების საქმეში უდიდეს როლს თამაშობდა.

ამგვარი ფონდის დაარსების გონივრულობასა და აუცილებლობაში კიდევ უფრო დამარწმუნა „პრუსიის კულტურული მემკვიდრეობის ფონდის“ საბჭოში მიღებულმა გამოცდილებამ. აღნიშნულ ფონდში ფედერაციას წარმოვადგენდი და მისი თავმჯდომარე გახლდით. ბერლინის ფონდი კოოპერაციული ფედერალიზმის ნიმუში გახლდათ. ფედერალურ კონსტიტუციურ სასამართლოში დავის შემდეგ ამ ფონდში გაერთიანდა და თავმოყრილ იქნა მოკავშირეთა მიერ დაშლილი პრუსიული სახელმწიფოს და — თავდაპირველი ყოყმანის შემდეგ — ყველა ფედერალური მხარის კულტურული საგანძური. მრავალი მხარე ხომ თავის ტერიტორიად თვლიდა გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკასა და დასავლეთ ბერლინის სივრცეში მოქცეულ პრუსიის ყოფილ ტერიტორიებს. კულტურული საგანძურის შეძენა ხაზგასმით გამოხატავდა ფონდის მრწამსს, რომ ის მხოლოდ პრუსიის კულტურული მემკვიდრეობის გამგებლად არ განიხილავდა თავს. ახალი ექსპონატების შეძენა და ბერლინში ახალი სამუზეუმო

ნაგებობების მშენებლობა მომავალზე ორიენტირებული კულტურული პასუხისმგებლობის გამოხატულება გასლდათ.

დიდ მნიშვნელობას ვანიჭებდით, რომ „პრუსიელთა ფონდი" — როგორც მას შემოკლებით მოიხსენიებდნენ — სამთავრობო განცხადებაში ფედერაციასა და მხარეთა შორის თანამშრომლობის მაგალითად მოეყვანათ. შინაგან საქმეთა მინისტრის ხელწერა იმ მოთხოვნაშიც იგრძნობოდა, რომლის თანახმადაც გერმანიის ეროვნულ ფონდს აღმოსავლეთ გერმანიის კულტურული მემკვიდრეობა ცოცხალი სახით უნდა შეენარჩუნებინა და მისი მოვლა-პატრონობის საკადრისი პირობები შეექმნა. დასახული მიზნებიდან გამომდინარე, ძალზე დასანანია, რომ ფონდის დაარსება ვერ მოხერხდა.

ვილი ბრანდტი დაინტერესებული გახლდათ ამ წამოწყებით; მით უფრო, რომ ის კარგად იცნობდა ბერლინის პრუსიულ ფონდს. გერმანული ეროვნული ფონდის შექმნის იდეას გონივრულად ეთვლიდი კიდევ ერთ მოსაზრების გამოც. თანამდებობაზე ჩემი დანიშვნიდან ძალზე მოკლე ხანში ბაიროითში რიხარდ ვაგნერის ფონდის დაარსებასთან დაკავშირებით მომიწია მუშაობა. ინიციატივა თავად ვაგნერების ოჯახისგან მოდიოდა. ფონდთან დაკავშირებულ მოლაპარაკებებში შინაგან საქმეთა სამინისტრო, ბავარიის მხარე, ქალაქი ბაიროითი და ვაგნერების ოჯახი მონაწილეობდა. უპირველეს ყოვლისა ფესტივალის მომავალზე ვზრუნავდით. ვაგნერის მემკვიდრეობის მოვლას და დაცვას მხოლოდ ასე უზრუნველვყოფდით. ეს იმას ნიშნავდა, რომ არსებული ვალდებულებები, ანუ კომპენსაციის გადახდა ვაგნერების ოჯახის მიერ მემკვიდრეობით მიღებულ ფასეულობებზე ჩვენ უნდა გვეკისრა; ჩვენ უნდა აგვეღო ფესტივალის მომავლის სათანადო უზრუნველყოფის ვალდებულებაც; ფონდის დაარსებაში განსაკუთრებით აქტიურად მონაწილეობდა ბაიროითის ობერბიურგერმაისტერი ვილდი (სოციალ-დემოკრატიული პარტია). მას კარგად ჰქონდა გაცნობიერებული, რაოდენ დიდი ისტორიული და კულტურული მნიშვნელობა ენიჭებოდა ფესტივალსა და ფონდს მისი ქალაქისათვის; ბაიროითში ის სამართლიანად სარგებლობდა აღიარებით. მისი შემცვლელის, ობერბიურგერმაისტერ მრონცის (სოციალ-დემოკრატიული პარტია) სახით ფესტივალს ქმედითუნარიანი მეცენატი და მფარველი გამოუჩნდა.

მრავალი პრობლემის გამო გაჭიანურებული პროექტის საკითხი

თანამდებობაზე დანიშვნის შემდეგ ხელახლა წამოვჭერი. ეკონომიკური სასწაულის ქვეყანას, გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკას, კულტურული მემკვიდრეობით მდიდარ სახელმწიფოს, შესაბამისი პასუხისმგებლობა უნდა ეტვირთა. ოჯახთან მიმართებაში ვოლფგანგ ვაგნერს მნიშვნელოვანი და რთული ამოცანის შესრულება დაეკისრა. ცხადია, ფონდის წესდებაში უნდა გაგვეთვალისწინებინა ოჯახის სურვილი — შეენარჩუნებინა კავშირი დიდი წინაპრის შემოქმედებასთან. კომპენსაცია, რომლის მოცულობა მავანს და მავანს ძალზე დიდი ეჩვენებოდა, ადეკვატური გახლდათ, რადგან რიხარდ ვაგნერის მემკვიდრეობის შენარჩუნება და დაცვა თუ ნამდვილად გვსურდა, კომპენსაციაც მაღალი უნდა ყოფილიყო, რათა ოჯახისთვის თავიდან აგვერიდებინა ცალკეული ექსპონატების გაყიდვის აუცილებლობა მაქსიმალური ამონაგების მიღების მიზნით. ვოლფგანგ ვაგნერის პიროვნება საბედნიერო გამონაკლისს წარმოადგენდა, იგი ყველა ჩვენს წამოწყებას მხარს უჭერდა. ვოლფგანგ ვაგნერი ჯერ ძმასთან, ვილანდ ვაგნერთან ერთად, ხოლო მისი გარდაცვალების შემდეგ, ანუ 1966 წლიდან, მარტო უძღვებოდა ბაიროითის ფესტივალს. ვაგნერთა ოჯახის წევრი, რომელიც შემოქმედებით და ორგანიზატორულ პასუხისმგებლობას აიღებდა ფესტივალზე მას შემდეგ, რაც მემკვიდრეობა ფონდის საკუთრება გახდებოდა, — ეს ამ ღონისძიების ტრადიციებისა და სამომავლო პერსპექტივებისათვის სწორედაც რომ იდეალური ვარიანტი გახლდათ.

ბაიროითის ფესტივალთან მრავალწლიანი ურთიერთობა მაკავშირებს. ფესტივალის ხშირი სტუმარი გახლდით და განსაკუთრებულ მოგონებად რჩება 1972 წელი. ვოლფგანგ ვაგნერმა „ტანჰოიზერის“ ინსცენირება გიოც ფრიდრიხს დაავალა, რომელიც იმჟამად ბერლინის მუსიკალურ კომედიაში ფელზენშტაინთან მუშაობდა. პრემიერაზე მოსული ზოგიერთი სტუმრისათვის, როგორც ჩანს, „შებრკოლების ლოდს“ წარმოადგენდა ის ფაქტი, რომ დადგმის ავტორი აღმოსავლეთ ბერლინელი რეჟისორი იყო. ვოლფგანგ ვაგნერი მხოლოდ შემოქმედებითი კრიტერიუმებით ხელმძღვანელობდა და ეს მართებული და მიუკერძოებელი არჩევანი საკმაოდ გავრცელებული ცივი ომის ცრურწმენებისგან დამოუკიდებლად გააკეთა. ამგვარი ცრურწმენები ხომ ხელს უშლიდა ძირითად კანონში დამკვიდრებულ კულტურისა და თავისუფლების გაგებას და ერის გამთლიანების,

ერთიანობის განცდის შენარჩუნების გზას გვიღობავდა. შუა ლოჟაში, სადაც პოლიტიკური ელიტა იმყოფებოდა, გიოც ფრიდრიხის ინსცენირებამ დიდი უკმაყოფილება გამოიწვია. ბავარიის სახელმწიფო კანცელარიის ერთი ჩინოვნიკი გასაღებზეც კი უსტვენდა. ჩემს მეუღლეს და მე არავითარი სურვილი არ გვქონდა შეურიგებლობის ამ გამოვლინების მიმართ იდენტიფიცირებულნი ვყოფილიყავით, ამიტომ მთავარი ლოჟის პირველ რიგში ფეხზე წამოვდექით და გიოც ფრიდრიხს მრავალ დამსწრესთან ერთად ტაში დავუკარით. ეს გახლდათ ჩვენი პროტესტი იმ სახის პროტესტის წინააღმდეგ, პარტერშიც რომ იგრძნობოდა.

წარმოდგენის შემდეგ, როგორც საერთოდ ხდება ხოლმე, ბავარიის მთავრობამ მიღება გამართა; მიღებას სოლიდური ვახშამი მოჰყვა. გიოც ფრიდრიხი და მე სუფრასთან გვერდიგვერდ მოგვათავსეს. მადლიერების გამოხატვით ვეცადე პუბლიკის ერთი ნაწილის რეაქციის განეიტრალებასა და მის გამხნევებას. მან კი მიპასუხა: მამაჩემი მოკითხვას გითვლითო. მამამისი გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში ერთ-ერთი უკანასკნელი ადვოკატი იყო, ვისაც კერძო პრაქტიკა ჰქონდა. ის ჩრდილოეთ ტიურინგიაში მდებარე ერთ პატარა ქალაქში, ზიომერდაში, ცხოვრობდა. მითხრა, ის თქვენ 1952 წლის დამდეგიდან გიცნობთ, როდესაც კიოლედის საუბნო სასამართლოში მუშაობდითო. მაშინაც ძალიან გაფასებდათ და ახლა გულითად მოკითხვას გითვლითო. მეც მახსოვდა ეს შესანიშნავი კაცი, რომელსაც კიოლედაში გატარებული რამდენიმე თვის განმავლობაში ხშირად ვხვდებოდი. ხშირად ვსაუბრობდით პოლიტიკურ ვითარებაზე და ჩვენი აზრები ერთმანეთს ემთხვეოდა. გიოც ფრიდრიხის ხელს მივწვდი, მადლობა გადავუხადე და მამამისისადმი ჩემი დიდი პატივისცემა გამოვხატე. საერთოგერმანული რეალობა, როგორც აღმოჩნდა, სულ სხვა იყო, ვიდრე იმ საღამოს და არა მხოლოდ იმ საღამოს დამსწრეთა უმრავლესობა აცნობიერებდა. გიოც ფრიდრიხი მოგვიანებით გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში გადმოსახლდა. ხოლო მისმა დიდმა შემოქმედებითმა მიღწევებმა იმჟამინდელი კრიტიკის აბსურდულობა დაადასტურა.

ბაიროითის მუსიკალური ფესტივალის მომავლის უზრუნველყოფასთან დაკავშირებული პრობლემები ცხადყოფდა ეროვნული ფონდის შექმნის მნიშვნელობას ხელოვნების ყველა სფეროში. იმ სახის

დაწესებულების დაარსება, რომელსაც კულტურული სახელმწიფოსთვის დამახასიათებელი მოქმედების თავისუფლება მიენიჭებოდა, აუცილებლობას წარმოადგენდა. მაგრამ ჩვენი სურვილის საპირისპიროდ, ეროვნული ფონდის დაარსების საკითხი უსაშველოდ გაჭიანურდა. ფედერალური მხარეები მრავალ ეჭვს გამოოქვამდნენ. გარდა ამისა, იმ დრამატულ წლებში, ცხადია, სხვა პრიორიტეტებიც არსებობდა და ფედერალური მთავრობაც უფრო პრიორიტეტულ საკითხებზე ამახვილებდა ყურადღებას.

შინაგან საქმეთა სამინისტროდან წასვლის შემდეგ მთელი ჩემი მოღვაწეობის ბალანსი ასე გამოიყურება: ოთხი წლისა და რვა თვის განმავლობაში მრავალი მნიშვნელოვანი ჩანაფიქრი განვახორციელე, მრავალი საქმეც წამოვიწყე. გერმანიის ეროვნული ფონდის შემთხვევაში კარგი იქნება, თუ ამ საკითხს ახალი ბიძგი მიეცემა. ჰელმუთ შმიდტმა და შინაგან საქმეთა მინისტრის თანამდებობაზე ჩემმა შემცვლელმა, ვერნერ მაიჰოფერმა, ხომ მოგვიანებით სამთავრობო განცხადებაში – 1976 წლის 16 დეკემბერს – სელახლა წამოჭრეს ეს საკითხი: „ფედერალურ მხარეებთან მოლაპარაკებისას გერმანიის ეროვნული ფონდის უახლოეს მომავალში დაარსებას დავუჭირეთ მხარი. მოლაპარაკებების გაჭიანურების შემთხვევაში ფედერაცია, მისი კომპეტენციის ფარგლებში, პირველი გადადგამს ნაბიჯს კომპრომისისკენ, რათა ბოლოს და ბოლოს შეიქმნას ეს ფონდი. ფონდის საერთო სახელმწიფოებრივი მნიშვნელობიდან გამომდინარე, ფედერალური მთავრობა თხოვნით მიმართავს ბატონ ფედერალურ პრეზიდენტს, იკისროს ფონდის თავმჯდომარეობა“. სამწუხაროდ, ამ პროექტის განხორციელებაც ვერ მოხერხდა.

და მაინც უკვალოდ არ ჩაუვლია ეროვნულ ფონდთან დაკავშირებულ დისკუსიას. ფედერაციის მიერ წინასწარ გამოყოფილი სახსრების მეშვეობით შემდგომ წლებში შესაძლებელი გახდა ხელოვნებისა და ლიტერატურული ფონდების შექმნა, გერმანიის მუსიკოსთა საბჭოს „მუსიკის აღორძინების პროგრამის“ შემუშავება, რომელიც პროფესიონალი კადრების მომზადებას გულისხმობდა. მაშასადამე, ფონდის იდეა ნაწილობრივ განხორციელდა, ხოლო ეროვნული ფონდის იდეა, რომელიც ხელოვანთა თავისუფლებას გულისხმობდა, ამ ფონდებმა რეალობად აქცია: დაფინანსებაზე სახელმწიფო არანაირად არ ზემოქმედებს.

ფედერაციის აქტიურობა ეროვნული მნიშვნელობის კულტურული საგანძურისა და ისტორიული ძეგლების — როგორიცაა ბანკირ რობერტ ფონ ჰირშის კოლექცია, ჰაინრიხ ლომის ევანგელიარიუმები — დაცვისა და შეძენის საკითხში იმით აიხსნება, რომ ეროვნულ ფონდთან დაკავშირებული საზოგადოებრივი დისკუსიისას უფრო მკაფიოდ გამოიკვეთა ფედერაციის კულტურულ-პოლიტიკური პასუხისმგებლობა. ბოლოს ფედერალურმა მხარეებმა კიდევ ერთხელ აიტაცეს ფონდის იდეა და 1987 წელს ფედერალურ მხარეთა კულტურის ფონდი დააარსეს, რომელშიც ფედერაციაც არის წარმოდგენილი. თუმცა დიადი ხილვა, რომელიც ამ თანამდებობაზე ყოფნისას მუდამ თვალწინ მედგა, სამწუხაროდ, რეალობად არ ქცეულა.

1994 წელს ჰელმუთ შმიდტმა კერძო გერმანული ეროვნული ფონდის დაარსებით, რომლისთვისაც მან თავისი პირადი ქონების მნიშვნელოვანი ნაწილი გაიღო, ხელახლა გააცოცხლა ეს იდეა; ყოველ შემთხვევაში, ეს მიზნის მოდიფიცირების ტოლფასი მაინც იყო. თუ რაოდენ მნიშვნელოვანი იქნებოდა გერმანიის ეროვნული ფონდის არსებობა, ეს თვალნათლივ გამოჩნდა გერმანიის გაერთიანების შემდეგ, როდესაც ახალ ფედერალურ მხარეებში კულტურული დაწესებულებებისა და ღონისძიებების დაფინანსების საკითხი დადგა. ახალ ფედერალურ მხარეებში არსებული სავალალო ფინანსური შესაძლებლობების ფონზე გერმანიის ეროვნული ფონდი უმშვენიერეს და მნიშვნელოვან ამოცანებს შეასრულებდა.

### *სამინისტროსა და მთავრობაში შეძენილი გამოცდილება*

გამოცდილება, რომელიც შინაგან საქმეთა სამინისტროში შევიძინე, არ განსხვავდებოდა მოგვიანებით საგარეო საქმეთა სამინისტროში მიღებული გამოცდილებისგან. მე საქმე მქონდა მაღალკვალიფიციურ კადრებთან, რომლებიც ქმედითუნარიანობითა და ენთუზიაზმით გამოირჩეოდნენ. მათ მოქმედება სურდათ. ჯანსაღ პირად ამბიციასთან ერთად ეამაყებოდათ კიდეც, რომ გავლენიან სამინისტროში მუშაობდნენ, სამინისტროში, რომელიც წარმმართველ როლს ასრულებდა. ჩემი მისვლის შემდეგ შინაგან საქმეთა სამინისტროს გაფართოებამ — უპირველეს ყოვლისა, გარემოს დაცვის

*თავისუფალი დემოკრატიული პარტიის ტრიუმვირატი: პარტიის თავმჯდომარე, ვიცე-კანცლერი და საგარეო საქმეთა მინისტრი შელი, პარტიის თავმჯდომარის მოადგილე, ფრაქციის თავმჯდომარე ვოლფგანგ მიშნიკი, პარტიის თავმჯდომარის მოადგილე, შინაგან საქმეთა მინისტრი გენშერი შაუმბურგის სასახლეში, 1974 წელი.*

სფეროში — გარკვეული თვალსაზრისით დასაბამი დაუდო ახალ აზროვნებას; აქ არსებობდა რეფორმის მოთხოვნილება, ნება და რეფორმისათვის მზადყოფნა. გადამწყვეტი მნიშვნელობა იქონია იმან, რომ ამა თუ იმ მუშაკის დაწინაურებისას მხოლოდ მისი სამსახურებრივი წარმატებებით ვხელმძღვანელობდი. არავის უნდა ჰქონოდა

იმის შიში, რომ მისი ამა თუ იმ პარტიაში ყოფნის თუ არყოფნის გამო შესაძლოა დაჩაგრულიყო. კანონით გათვალისწინებული თანამშრომლობის ფარგლებს მიღმა ურთიერთობის პრაქტიკამ თანამშრომელთა საბჭოსთან მიმართებით საკადრო გადაწყვეტილებების გამჭვირვალობა აამაღლა. ამასთანავე სტატს-მდივნების, შეფერის და ჰარტკოპფის, მოგვიანებით კი ზიგფრიდ ფრიოლიხის არჩევისას ძალიან გამიმართლა. სამივე უაღრესად კომპეტენტური, ძლიერი პიროვნება გახლდათ; თანამშრომლებს სუვერენულად, მაგრამ არა პედანტურად ეპყრობოდნენ და მინისტრთან ურთიერთობისას ღირსების გრძნობასთან ერთად ლოიალურობასაც ამჟღავნებდნენ. იგივე ითქმის ჩემს თანაფრაქციელ კოლეგა დოქტორ ვოლფგანგ რუჩკესთან დაკავშირებით, რომელიც ხანმოკლე დროით იმყოფებოდა სტატს-მდივნის თანამდებობაზე და შემდეგ ომის შედეგად დაზარალებულ მოქალაქეთა საკომპენსაციო ბანკის მმართველობის წევრი გახდა.

ბრანდტის პირველი კაბინეტის სიძლიერეს პიროვნებები განსაზღვრავდნენ: შეელი საგარეო საქმეთა მინისტრი გახლდათ, შმიდტი — თავდაცვის, ლებერი — ტრანსპორტის, შილერი — ეკონომიკის, მიოლერი — ფინანსთა და ლოისინკი მეცნიერების სფეროს განაგებდა; გარდა ამისა, არენდტი პირველ წლებში შრომის მინისტრად მუშაობდა, ხოლო საოჯახო და ახალგაზრდულ საკითხებს ქეთე შტრობელი უძღვებოდა; ამ პიროვნებებმა, მხოლოდ ასაკოვან წევრებს თუ ჩამოვთვლით, წარუშლელი კვალი დატოვეს. ჰორსტ ემკეს, კანცელარიის სამსახურის შეფს, დიდი წვლილი მიუძღვნის კოალიციის ერთობასა და წარმატებაში.

ზეპირი ანგარიშები კომპეტენტური და ლაკონიური გახლდათ. მთავრობის სხდომებზე ურთიერთსაწინააღმდეგო ინტერესებით შევდიოდით, მაგრამ დებატები იშვიათად იმართებოდა, და თუ გაიმართებოდა, ეს უფრო პარტიული დებატები იყო. ბრანდტის კაბინეტი წარმოადგენდა იმ მინისტრთა გუნდს, რომელთა შორის ძირითად საკითხებზე ერთსულოვნება სუფევდა, თუმცა ცალკეული უწყებების პოზიციიდან გამომდინარე, ისინი განსხვავებულ ინტერესებსაც იცავდნენ. ერთმანეთს, უპირველეს ყოვლისა, უპირისპირდებოდნენ შმიდტი და მისი ძველი მენტორი — შილერი; მძაფრ დისკუსიებსაც ამ ორ პიროვნებას შორის მზარდი დაძაბულობა განაპირობებდა. ვამჩნევდი, რომ ჰელმუთ შმიდტი საკუთარ

შილერზე დამოკიდებული, ხოლო ალექს მიოლერის მიმართ ძალზე დიდ პატივისცემას ამჟღავნებდა, მიოლერს ავტორიტეტად თვლიდა. კაბინეტში კარგი ურთიერთობა დამყარდა შმიდტსა და ჩემს შორის, მით უფრო, რომ ჩემი, როგორც შინაგან საქმეთა მინისტრის პოლიტიკური გეზი მის წარმოდგენებს შეესატყვისებოდა; შეესატყვისებოდა იმის გამოც, რომ ტერორიზმს აშკარად და მთელი ძალებით დავუპირისპირდი. მე კი შმიდტის თავდაცვითი პოლიტიკის ქომაგი გახლდით ისევე, როგორც მოგვიანებით გეორგ ლებერის პოლიტიკურ კურსს ვუჭერდი მხარს; ლებერი დაძაბულობის შენელების გარანტიის საფუძველს მყარ თავდაცვისუნარიანობაში ხედავდა. იმ დროიდან გვაკავშირებს ორმხრივ პატივისცემაზე დამყარებული თანამშრომლობა.

სხვა სოციალ-დემოკრატ კოლეგებისგან განსხვავებით ჰელმუთ შმიდტს კაბინეტში გამორჩეული ადგილი ეკავა. თუმცა ისიც უნდა ითქვას, „მთვარიდან ჩამოვარდნილი კაცი" მთავრობაში რომ მოსულიყო, მაშინვე მიხვდებოდა – უდავო პირველი ადგილი ბრანდტს ეკუთვნოდა. თავის პოლიტიკურ რანგს შმიდტი თავისებურად წარმოაჩენდა. ბრანდტის ავტორიტეტი კი, ადამიანური თუ მორალური თვალსაზრისით, ეჭვქვეშ არასდროს დამდგარა. ის ამ ავტორიტეტს წყნარი ტონით ამკვიდრებდა, ასევე უძღვებოდა მთავრობის სხდომებსაც.

ბრანდტი ხელსაყრელ დროს გახდა ფედერალური კანცლერი. მისი საგარეოპოლიტიკური ხედვა და დემოკრატიული მრწამსი გამაერთიანებელ ზემოქმედებას ახდენდა ახალგაზრდა თაობაზე და კარგად ერწყმოდა საგარეო პოლიტიკურ ლანდშაფტს. ჯერ კიდევ კიზინგერის კაბინეტში საგარეო საქმეთა მინისტრის თანამდებობაზე ყოფნისას მოუპოვა მან გერმანიას ავტორიტეტი მსოფლიოში, განსაკუთრებით ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპაში. კიდევ ერთი ათწლეულის შემდეგ, როდესაც ამ თანამდებობაზე მისი „შემცვლელის შემცვლელი" გავხდი, მსოფლიოს მრავალ დედაქალაქში შევიგრძენი ამ პიროვნების უჩვეულო ზეგავლენა.

თავისუფალი დემოკრატიული პარტიის მინისტრთა ერთსულოვნება, პოლიტიკური თუ ადამიანური თვალსაზრისით, სანიმუშო გახლდათ. ვმეგობრობდით და პატივს ვცემდით ერთმანეთს. განსაკუთრებულ სიამოვნებას მგვრის ვალტერ შეელთან და იოზეფ ერტლთან ერთად გატარებული წლების მოგონება.

ჰერბერტ ვენერი, სოციალ-დემოკრატიული პარტიის ფრაქციის თავმჯდომარე ბუნდესტაგში, და ვოლფგანგ მიშნიკი მთავრობის გარეთ კოალიციის უძლიერეს საყრდენ ბურჯს წარმოადგენდნენ. ის სიამოვნებით გააგრძელებდა დიდ კოალიციას, რომლის არქიტექტორებსაც მიეკუთვნებოდა, მაგრამ მას შემდეგ, რაც ვილი ბრანდტმა ჩვენს ერთობლივ მცირე კოალიციაზე შეაჩერა არჩევანი, მან უპირობოდ დაუჭირა მხარი ამ კავშირს. ვენერს, თუკი მოინდომებდა, შეეძლო პირად ურთიერთობაში ძალზე სასიამოვნო ადამიანი ყოფილიყო. დიდი კოალიციის პერიოდში ერთხელ ვალტერ შეელთან ერთად საუზმეზე დამპატიჟა. საუკეთესო ძეხვი მოგვართვეს. ვიკითხე: სადაურია-მეთქი. მან ერთი ტიურინგიელი ყასაბი მიმასწავლა, სახელად ფიშერი; ამ ძეხვს ვილიპში, ბონთან ახლოს მდებარე სოფელში ამზადებსო. ერთხელაც თავისი გერი გრეტა, მისი მომავალი მეუღლე გამომიგზავნა, რომელსაც დაბადების დღის საჩუქარი – მაისენური ფაიფურის ფიალა – გამოატანა. ჩემი ქალიშვილი მარტინაც მოხიბლა ისე, რომ თვალითაც არ ენახა. წმინდა მარტინის დღესასწაულზე, როცა ბავშვები სიმღერით დადიან კარდაკარ, ყველაზე მეტი კანფეტი ვენერის სახლიდან გაიცემოდა. მარტინა ამბობდა: „აი იქით, ერთი კაცი ცხოვრობს, ვენერი ჰქვია და ბევრ-ბევრ ტკბილეულს არიგებს“.

ერთხელაც ვენერი სტუმრად მეწვია. ფედერალური სისხლის სამართლის სამძებრო სამსახურისა და კონსტიტუციის დაცვის ფედერალური სამსახურის შექმნა-სრულყოფისათვის აუცილებელი დამატებითი სახსრების მისაღებად მისი მხარდაჭერის იმედი მქონდა. საუბარში ვალტერ ულბრიხტიც ვახსენეთ. ვენერი ძალიან გაცხარდა: „ულბრიხტი? მე მაგას მოხარშულს ვიცნობ!“ იგი მომიყვა, რაც მოსკოვის სასტუმრო „ლუქსში“ გადახდა თავს, მიამბო იმ ჩხრეკის შესახებ, რომელიც, მისი აზრით, ულბრიხტმა მოუწყო. დაწვრილებით აღმიწერა მთელი პროცესი და მითხრა, ეს საშინელება იყოო. რაკი საუბარი თვითონვე ამ მიმართულებით განავრცო, ვილჰელმ პიკზეც ვკითხე. მაგ ორს შორის პიკი უფრო სასიამოვნო პიროვნება იყოო, მიპასუხა. დარწმუნებული ვიყავი, რომ ვენერის ნდობა შეიძლებოდა. მან სტალინიზმის განსაწმენდელი გაიარა და რასაც ახლა ყვებოდა, გულწრფელად ამბობდა. საერთოდ კი წარსულის გამო თავის მართლების დაუცხრომელი მოთხოვნილება ჰქონდა. თუ საუბარი იმ პერიოდზე ჩამოვარდებოდა, ყოველთვის მონოლოგით გამოდიოდა.

ჰაინრიხ ბრელიორის ორნაწილიანმა დოკუმენტურმა ტელესპექ-ტაკლმა ჰერბერტ ვენერსა და ჩემზე წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინა. ვენერს სურდა გერმანული დემოკრატიისათვის ცხოვრებისეული გამოცდილება გაეზიარებინა და სოციალ-დემოკრატია ილუზორული მიმართულებისაგან დაეცვა. ჩემთან საუბრებში ერთიანობის იდეას ემხრობოდა და სელახალი გაერთიანების ურყევი ნებელობა გააჩნდა. მიუხედავად იმისა, რომ ვენერი ვერ თუ არ თავისუფლდებოდა ძველი ემოციური კავშირებისაგან, უსაფუძვლოდ ვთვლიდი ყოველგვარ ეჭვს იმის თაობაზე, თითქოს იგი როგორც დემოკრატი პოლიტიკოსი მეორე მხარის სასარგებლოდ მოქმედებდა ფედერაციულ რესპუბლიკაში.

ფედერალურ მინისტრად დანიშვნისა და პირველი ხარისხის ფედერალური ჯვრის ორდენით დაჯილდოების შემდეგ ვენერმა რეაბილიტირებულად იგრძნო თავი გერმანულ საზოგადოებასა და პოლიტიკაში და წარსულის თანამგზავრთან, მაგალითად, ერიხ ჰონეკერთან, თანხმობის მიღწევის სურვილი გაუჩნდა. იქნებ საკუთარ ახალგაზრდობასთან დაზავებას ცდილობდა? ნუთუ ამის გამო გდრ-ის პოლიტიკის მიმართ ლმობიერი და დამთმობი გახდა? მე ამის არ მჯერა, თუმცა ერთგვარი ნოსტალგიის კვალი ემჩნეოდა; მაგრამ მსგავსი განცდა ხომ მეც მქონდა იაროვინსკისთან მიმართებაში, რომელთან ერთადაც მთელი შვიდი კვირა გავატარე „სავალდებულო შრომით სამსახურში". მეც მაწვალებდა სურვილი, ერთხელ მაინც შევხვედროდი ყმაწვილკაცობის ამხანაგს, მაგრამ ვერ მოვახერხე, რასაც დღემდე ვნანობ.

ვენერი, ალბათ, უფრო მძაფრად განიცდიდა ამას. ის და ჰონეკერი ხომ უფრო დიდი ხნის ნაცნობები იყვნენ, თანაც ერთმანეთს კომუნისტური ერთობისა და წინააღმდეგობის მოძრაობაში შეხვდნენ. იაროვინსკისა და მე კი რადიკალურად განსხვავებული მიზნები გვქონდა; მხოლოდ იმჟამინდელი სისტემის შეფასებაში ვიყავით ერთსულოვანნი 1944 წელს.

ვენერისთვის ქვეყნის სამსახური სხვა იყო, პარტიის სამსახური – სხვა. ნუთუ პარტიაში მხოლოდ თავზე გვირგვინის დადგმის სურვილი ამოძრავებდა? არა მგონია, ეს აზრი ერთხელ მაინც სერიოზულად გაევლო გულში. კარგად მოეხსენებოდა, რომ რეაბილიტაციის მიუხედავად, წარსულის გამო ეს გზა დახშული ჰქონდა. ამიტომ ვენერს ერთგვარი ტრაგიკული იუმორის ჩვევა ჩამოუყალიბდა

პარტიული მოვალეობების მიმართ, რომელთა შესრულების უფლებაც ბედმა არ არგუნა. ადამიანური თუ პოლიტიკური თვალსაზრისით მასთან ყველაზე ახლოს იდგა კარლ ვინანდი; მათ მართლა გასაოცარი ურთიერთობა ჰქონდათ. ვენერზე ოცი წლით უმცროსი ვინანდი 1967 წლიდან 1974 წლამდე სოციალ-დემოკრატიული პარტიის გამგეობას ხელმძღვანელობდა. ვენერის მსგავსად ისიც „შავ მუშად" თვლიდა თავს. ამავე დროს, ის ერთადერთი ადამიანი გახლდათ, ვინც შმიდტი—ბრანდტი—ვენერის დაძაბულობის სამკუთხედში ყოველი მათგანის ნდობით სარგებლობდა. ერთხელ მითხრა: ჩემი ამოცანაა, ამ სამს შორის წონასწორობა შევინარჩუნოო. ამას მეც თვალნათლივ ვხედავდი. საგარეო საქმეთა მინისტრის თანამდებობაზე სწორედ ამ სამ კაცთან — ფედერალურ კანცლერ შმიდტთან, პარტიის თავმჯდომარე ბრანდტთან და ფრაქციის თავმჯდომარე ვენერთან — ერთად უნდა მეთანამშრომლა.

ჰელმუთ შმიდტი — თავდაცვის სამინისტროში მისი შემცვლელის, გეორგ ლებერის, მსგავსად — უშიშროების დასავლურ კურსთან სოლიდარობას განასახიერებდა. უსაფრთხოების თვალსაზრისით ის იყო გარანტი საგარეო, სოციალისტურ ქვეყნებთან დაკავშირებული და დაძაბულობის შენელების პოლიტიკური კურსის სათანადო დონეზე შენარჩუნებისა დასავლეთში. ვილი ბრანდტი აღმოსავლეთთან გაგების მიღწევაზე, მასთან კოოპერაციასა და შერიგებაზე ოცნების შთამბეჭდავ პერსონიფიკაციას წარმოადგენდა, ხოლო ჰერბერტ ვენერი გერმანიის გაერთიანების სფეროში პოლიტიკურ აქტივობას უჭერდა მხარს. ვენერი ძალზე ძლიერი პიროვნება გახლდათ და შთამბეჭდავი მოსაუბრე; პოლემიკას დამაჯერებლად უძღვებოდა; შეეძლო ეუხეშა, თავისი გაეტანა, შემდეგ ისევ მგზნებარე და თავაზიანი ყოფილიყო, გაეთვალა, გაეკონტროლებინა ტემპერამენტული აფეთქებანი. ერთმნიშვნელოვნად სტრატეგიული აზროვნება ახასიათებდა, თუმცა მის ამ უნარზე გაზვიადებული წარმოდგენა ჰქონდათ. როცა ეგონათ, რომ „შვიდგზის გათვალა", მას მაქსიმუმ ორჯერ ჰქონდა გათვლილი. მნიშვნელოვან საკითხებზე მასთან ჩემი ყოველი საუბარი ძალზე საინტერესო გახლდათ. შეხვედრაზე უარი არასდროს უთქვამს.

ბრანდტის ერა აღმოსავლური პოლიტიკის გამო შემორჩება ისტორიას; შემორჩება როგორც გერმანიის საგარეო პოლიტიკის სრულქმნის პერიოდი და არა როგორც ადენაუერის დასავლური

პოლიტიკის – რაც ბრანდტისთვის ბუნებრივი იყო – ალტერნატივა. 1969 წელს, როდესაც ერთობლივი მოღვაწეობა დავიწყეთ, ჭეშმარიტი აღმოსავლური პოლიტიკა არც არსებობდა. სოციალ-დემოკრატიული და თავისუფალი დემოკრატიული პარტიების კოალიციის მთავარ ამოცანას, ჩემი აზრით, სწორედ ამ სფეროს გარდაქმნა წარმოადგენდა. ზოგიერთ სოციალ-დემოკრატ კოლეგას ხანდახან აღიზიანებდა ჩემი ნათქვამი: ყველა კოალიცია კონკრეტულ ვადაზე გათვლილი, მიზნობრივი კავშირია-მეთქი. ახალ ბლოკს კი ახალი აღმოსავლური პოლიტიკა უნდა დაესახა მიზნად; ამოცანად უნდა დაესახა შინაგანი რეფორმების განხორციელება და სამართლებრივი სახელმწიფოს შერიგება სამოცდარვიანელთა თაობასთან. საბაზრო ეკონომიკასთან მიმართებაში ჩვენი პოზიცია ქრისტიანულ-დემოკრატიული პარტიის პოზიციას უახლოვდებოდა, ოღონდ პოზიციების სიახლოვე ყველაზე მეტად ქრისტიანულ-სოციალურ კავშირთან იგრძნობოდა. თუმცა ჩემს ლიბერალურ თვითშეგნებაში კოალიცია მცდარ მოვლენად არასდროს ჩამითვლია.

კავშირთან მაშინ იმავე პოლიტიკისა და იმავე თანამშრომლობის მიღწევა რომ შეგვძლებოდა, კავშირის პარტნიორობას მივანიჭებდი უპირატესობას, რათა ჩემი პარტიისთვის საქმე შემემსუბუქებინა. მრავალი კოლეგა – ყველაზე მეტად კი კეთილდღეობაზე ორიენტირებული ლიბერალები – სოციალ-დემოკრატიულ პარტიასთან ალიანსს ძნელად ეგუებოდა. ჩემთვის სხვა დანარჩენ ორ პარტიასთან არანაირი სიახლოვე არ არსებობდა და არც რომელიმე მათგანთან დაახლოებას ვანიჭებდი პრიორიტეტს. ჩემი აზრით, ნებისმიერი კოალიცია წმინდად საქმიან და პოლიტიკურ-მსოფლმხედველობრივ საფუძველს ემყარება. ყველა დროს და პრობლემას თავისი უმრავლესობა სჭირდება და იქმნება ეს უმრავლესობა. ამ აზრით არასდროს ვყოფილვარ „კოალიციის ლიბერალი"; 1982-1990 წლებში იუსტიციის მინისტრის ჰანს ენგელჰარდის ოსტატური ფორმულირება რომ მოვიშველიო, კოალიცია ლიბერალიზმზე, როგორც სულიერ წყობაზე, მნიშვნელოვანი არასდროს ყოფილა ჩემთვის. მაგრამ აღმოსავლური ხელშეკრულებები, მოსკოვისა და ვარშავის ხელშეკრულებები, ხელშეკრულება გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკასთან „ურთიერთობის საფუძვლების შესახებ" და მოგვიანებით, ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირი

— სავსებით ემთხვეოდა თავისუფალი დემოკრატიული პარტიის აზრობრივ და კონცეფციურ ხაზს. გერმანულ საკითხთან და საგარეო პოლიტიკასთან დაკავშირებით ამ ხელშეკრულებებმა უკანასკნელი დიდი დაპირისპირება გამოიწვია პარლამენტში, რაც ორმოცდაათიან წლებში დასავლურ ინტეგრაციასთან და ხელახლა შეიარაღებასთან დაკავშირებული სიტყვიერი ომის „აღმოსავლურპოლიტიკური" ანარეკლი გახლდათ. სოციალ-დემოკრატიული პარტია მაშინ ყოყმანობდა. ახლა კი კავშირის პარტიები ვერ ეგუებოდნენ ახალ აღმოსავლურ პოლიტიკას. თავისუფალი დემოკრატიული პარტია ორივე შემთხვევაში გადამწყვეტ როლს თამაშობდა.

მწვავე დაპირისპირების მიზეზი გახდა: მოსკოვის ხელშეკრულება, პოლონეთთან დადებული ხელშეკრულება, ხელშეკრულება გდრ-თან ურთიერთობის საფუძვლების შესახებ და „ჰალშტაინის დოქტრინაში" გათვალისწინებული ამოცანა. ჩემთვის თავიდანვე ცხადი იყო, რომ გერმანიის აღმოსავლეთ პროვინციები სამუდამოდ დავკარგეთ. ეს პროვინციები რომელიმე ომისშემდგომ დემოკრატიულ მთავრობას კი არ დაუთმია, ისინი ჰიტლერის დანაშაულებრივმა რეჟიმმა წააგო. ჩემი ღრმა რწმენით, თუნდაც აღმოსავლეთ პროვინციების სამუდამოდ დაკარგვის ფასად, საბჭოთა კავშირს ოდესმე ნებაყოფლობით დავატოვებინებდით გდრ-ს.

ჩემი დაჟინებული მოთხოვნით და ვალტერ შეელის თანადგომით შინაგან საქმეთა სამინისტროც ჩაერთო აღმოსავლურ ხელშეკრულებებთან დაკავშირებულ მოლაპარაკებებში. კონსტიტუციის დაცვის სამსახურის მინისტრს მსურდა დარწმუნებული ვყოფილიყავი, რომ ხელშეკრულებებში დაფიქსირებული ყველა დადგენილება პრეამბულის კონსტიტუციურ მოთხოვნას შეესატყვისებოდა. მიღებულ დადგენილებებს გერმანიის გაერთიანების შანსები კი არ უნდა შეემცირებინა, პირიქით, უნდა გაეზარდა. პასუხისმგებლობა ამასთან დაკავშირებით შინაგან საქმეთა სამინისტროს ორ საუკეთესო მოხელეს — სამინისტროს დირექტორ ფრიოლიხს და მინისტრის მრჩეველ ფონ ლიოვენიხს — დაეკისრა. ხელშეკრულებების ტექსტში კონსტიტუციური ერთგვარობის დარღვევის აღმოჩენის შემთხვევაში მათ ამის თაობაზე დაუყოვნებლივ უნდა ეცნობებინათ ჩემთვის. მე მათ ვუთხარი: ეს საკითხი იმდენად მნიშვნელოვანია, რომ სულ მცირე ეჭვიც უნდა გამოირიცხოს, ამიტომ უფრო მკაცრი კონსტიტუციურ-სამართლებრივი

მიდგომა უნდა გამოიჩინოთ-მეთქი. ამის გაკეთებას ორი მიზეზი მაიძულებდა. პირველი ის გახლდათ, რომ კონსტიტუციის დაცვის სამსახურის მინისტრობა დიდ პასუხისმგებლობას მაკისრებდა. ამ ხელშეკრულებების მნიშვნელობიდან გამომდინარე, კონსტიტუციური დარღვევების რისკი ნულზე უნდა დაგვეყვანა. ახლა წყდებოდა გფრ-ის შიდაპოლიტიკური საიმედოობისა და საგარეოპოლიტიკური წინდახედულობის საკითხიც. ფედერალურ კონსტიტუციურ სასამართლოში დამარცხების შემთხვევაში გადავდგებოდი.

1973 წლის მაისში ბავარიის მთავრობამ ფედერალურ კონსტიტუციურ სასამართლოს მოსთხოვა დაედგინა, რამდენად შეესატყვისებოდა 1972 წლის 21 დეკემბერს გფრ-სა და გდრ-ს შორის დადებულ ხელშეკრულებასთან დაკავშირებული კანონი ძირითად კანონს და თუ არ შეესატყვისებოდა, ბათილად ეცნო ის.

ასე დაიწყო სამართლებრივი ნორმების შემოწმების პროცედურა, რაც ბრანდტ-შეელის მთავრობის სახელშეკრულებო პოლიტიკაზე იურიდიულ ფრონტალურ იერიშს წარმოადგენდა. ბავარიის პრემიერ-მინისტრი ჩემგან უაღრესად პატივცემული დოქტორი ალფონს გოპელი გახლდათ. დღემდე წარმოუდგენლად მეჩვენება, რომ ეს პროცედურა გოპელის ინიციატივით წამოიწყეს. სიმართლე გითხრათ, არ მწყენია საქმე ფედერალურ საკონსტიტუციო სასამართლოს რომ გადაეცა, რადგან საბოლოოდ გადაწყდებოდა გდრ-თან ხელშეკრულების კონსტიტუციასთან შესაბამისობა. ეს ნიადაგს გამოაცლიდა ყოველგვარ ურწმუნობასა და ეჭვებს და გადაუჭრელი საკითხებით გამორჩეულ დებატებს. ამასთანავე, კარგად ვიცოდი, თუ რა დასასრული ექნებოდა ამ საქმეს. შინაგან საქმეთა სამინისტროში ყოველთვის უმკაცრესი კონსტიტუციური კრიტერიუმებით ვხელმძღვანელობდით და ძირითადი კანონის დებულებებს, განსაკუთრებით კი პრეამბულაში მოცემულ კონსტიტუციურ მოთხოვნას შეზღუდვად კი არ აღვიქვამდით, არამედ ის ჩვენი პოლიტიკური ნების კონსტიტუციურ საყრდენს წარმოადგენდა; ეს კონსტიტუციურად ამყარებდა ჩვენს სურვილს: გვეძებნა გერმანიის გაერთიანების მშვიდობიანი გზა და გვეპოვა კიდეც.

ჩვენი სახელშეკრულებო პოლიტიკის მოსალოდნელი გამართლება საბოლოოდ დაუსვამდა წერტილს მითების შეთხზვის ტენდენციას; ხელშეკრულება, გერმანულ-გერმანული ურთიერთობები, ერის მომავლისთვის აუცილებელი შიდაპოლიტიკური კონსენსუსი ხომ

ბევრად უფრო მნიშვნელოვანი გახლდათ, ვიდრე კონსტიტუციურობის შესამოწმებლად წამოწყებული ეს სამარცხვინო პროცედურა, თუნდაც ამის მოტივი „კონსტიტუციური სიფრთხილე“ ყოფილიყო.

ფედერალურმა კონსტიტუციურმა სასამართლომ გადაწყვეტილება 1973 წლის 31 ივლისს გამოიტანა. ეს გადაწყვეტილება დამაჯერებლად ადასტურებდა ხელშეკრულების შესაბამისობას კონსტიტუციასთან. მნიშვნელოვანი გახლდათ ის ფაქტი, რომ გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული, რაც კონსტიტუციურ სასამართლოში ესოდენ სერიოზული და არსებითი საკითხების გადაწყვეტისას ხშირად არ ხდებოდა. აქედან გამომდინარე, მთავრობის წარმატებაც მით უფრო დიდი იყო. კონსტიტუციური სასამართლოს გადაწყვეტილებამ 1990 წლის 3 ოქტომბერს ისტორიული გამართლებაც პოვა.

საკუთარი წარუმატებლობის ტაქტიკური შენიღბვის მიზნით პროცედურის მომხრეები ამტკიცებდნენ, ეს განაჩენი მთავრობის პოლიტიკას მოთოკავს და ამიტომ წარმატებას მივაღწიეთო. ეს არგუმენტაცია მათ მოთხოვნასაც უპირისპირდებოდა და იმ მოთხოვნის დასაბუთებასაც, რადგან ამ პროცედურის მიზანი ხომ მხოლოდ ხელშეკრულების ჩაშლა გახლდათ. ფედერალური მთავრობისათვის კი ეს გადაწყვეტილება მისი აღმოსავლური პოლიტიკის ლეგიტიმაციას ნიშნავდა; შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებს გულითადი მადლობა გადავუხადე ხელშეკრულებასთან დაკავშირებული მოლაპარაკებებისას დიდი პასუხისმგებლობითა და კომპეტენტურობით შესრულებული სამუშაოსთვის.

თუმცა სხვა მიზეზიც მქონდა. მომხრე ვიყავი, რომ აღმოსავლური პოლიტიკა გაგვეტარებინა და მტკიცედ მივყოლოდით მიზნებს, რომლებსაც ის გვისახავდა, მაგრამ არ უნდა დაგვეშვა, რომ გერმანიის გაერთიანების ნებისმიერი შანსი რაიმე სახით შეგვემცირებინა, ნებისმიერი ხელშემშლელი ფაქტორი უნდა გამოგვერიცხა. ეს ჩემთვის, კონსტიტუციური მოთხოვნისგან დამოუკიდებლად, ჩემი პოლიტიკური პოზიციის განმსაზღვრელი საკითხი იყო, პოზიციისა, რომელსაც გერმანელი ერის განუყოფლობის ურყევი რწმენაც განეკუთვნებოდა.

ამ საკითხში ჰელმუთ შმიდტისა და გეორგ ლებერის სრული მხარდაჭერის იმედი მქონდა. მათი თანადგომა მაშინაც გამომჟღავნდა, როდესაც ეგონ ბარი მოსკოვში გამართულ წინასწარ, სასინჯ

*თავისუფალი დემოკრატიული პარტიის თავმჯდომარე შეელი და მისი მოადგილე გენშერი.*

მოლაპარაკებებთან დაკავშირებული მოხსენებით გამოვიდა მთავრობაში. ერთმანეთის მიყოლებით სიტყვა ვითხოვეთ ლებერმა, შმიდტმა და მე. გეორგ ლებერმა მოუწოდა ყველას, თავი შეეკავებინათ პირველწამიერი ეიფორიისაგან. ჰელმუთ შმიდტმა გააფრთხილა დამსწრენი: ერის გაერთიანების იდეაზე უარი არასდროს არ უნდა ვთქვათო. მეც მათ შევუერთდი და განვაცხადე: უფლება არა გვაქვს გერმანიის გაერთიანების საკითხის გადაწყვეტა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პრეროგატივად ვაქციოთ-მეთქი. დაუშვებლად მიმაჩნდა, რომ გერმანიის გაერთიანების შესაძლებლობა რომელიმე ხელშეკრულებას შეეზღუდა ან საერთოდ არ გაეთვალისწინებინა. აქედან გამომდინარე, ჩვენთვის გდრ-ის მოქალაქეობის აღიარებაც მიუღებელი უნდა ყოფილიყო.

კონსტიტუციურ-სამართლებრივი მოთხოვნებისა და საზღვრების დაცვასთან დაკავშირებული პაექრობის მიზეზი მხოლოდ ხელშეკრულების ტექსტები არ გახლდათ; ამავე დროს საქმე, უპირველეს

ყოვლისა, გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკასთან ურთიერთობაში არსებულ მთელ რიგ პრაქტიკულ და სადავო საკითხებსაც ეხებოდა, ვინაიდან გერმანული სახელმწიფოს ორ ნაწილად გაყოფის ფაქტს არ ვაღიარებდით და გდრ-ს საზღვარგარეთის სახელმწიფოდ არ მივიჩნევდით. ამიტომ გდრ-ის მუდმივი წარმომადგენელი ფედერალურ მთავრობაში საგარეო საქმეთა უწყებაში კი არ იყო წარმოდგენილი, როგორც უცხოელი ელჩები, არამედ ფედერალური კანცლერის კანცელარიაში გახლდათ აკრედიტებული და მიუხედავად იმისა, რომ „ელჩი" ერქვა, ფედერაციულ რესპუბლიკაში მუდმივ წარმომადგენლად ითვლებოდა. აღმოსავლეთ ბერლინში ჩვენს წარმომადგენელს კი, პირიქით, „ელჩის" ნაცვლად „სტატს-მდივანი" ეწოდებოდა და თანამდებობრივად „მუდმივ წარმომადგენლად" ითვლებოდა. გდრ-ის გაგების თანახმად, ჩვენი წარმომადგენელი გდრ-ის საგარეო საქმეთა სამინისტროში იყო აკრედიტებული.

მას შემდეგ, რაც საგარეო საქმეთა მინისტრის თანამდებობა დავიკავე, გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში ოფიციალური ვიზიტით არ ჩავსულვარ, თუმცა საერთაშორისო კონფერენციების დროს, გაეროს სხდომებზე ნიუ-იორკში და ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირზე, ხშირად ვხვდებოდი გდრ-ის საგარეო საქმეთა მინისტრ ოსკარ ფიშერს. ერთხელ, როდესაც სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარე ჰონეკერი 1987 წელს ოფიციალურად ესტუმრა ბონს, ფიშერი, რომელიც თანმხლებ პირთა შორის იმყოფებოდა, კაბინეტში მეწვია. 1988 წელს პოსტდამის „ინტერჰოტელში" შევხვდი მას, როდესაც ამერიკული ინსტიტუტის მიერ მოწყობილ საერთაშორისო კონფერენციაზე ქალაქის მერიაში სიტყვით გამოვედი.

ერთხელ აღმოსავლურ ხელშეკრულებებთან დაკავშირებით ძალების მოსინჯვაც მოგვიხდა ერთი საკითხის გამო, კერძოდ, თუ რა შეხება ექნებოდა მოსალოდნელ გერმანულ-საბჭოთა ხელშეკრულებას ოთხმხრივ ხელშეკრულებასთან ბერლინის შესახებ. გარდა ამისა, ეგონ ბარის მიერ მოსკოვში მიღწეული შედეგების გათვალისწინებით, უნდა გადაგვეწყვიტა, ვინ გაუძღვებოდა ხელშეკრულების ტექსტთან დაკავშირებულ საბოლოო მოლაპარაკებებს. ჩემი აზრით, მოლაპარაკებებს საგარეო საქმეთა მინისტრი უნდა გაძღოლოდა. ვილი ბრანდტთან პირისპირ საუბარში გერმანიის გაერთიანების შესაძლებლობის საკითხს თანამდებობაზე ჩემი დარჩენის წინაპირობად განვიხილავდი.

მოსკოვში ვალტერ შეელის მოლაპარაკებები მრავალი მოსაზრებით წარმატებულად მიმდინარეობდა. განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა ურთიერთგაგების მიღწევას გერმანიის ერთიანობასთან დაკავშირებული წერილის თაობაზე. შეელის მიერ წარმართულმა მოლაპარაკებებმა გვიჩვენა, რამდენად უსაფუძვლო იყო ყოველი ეჭვი მისი, როგორც საგარეო საქმეთა მინისტრის კვალიფიციურობის შესახებ; გერმანიის ერთიანობასთან დაკავშირებულ წერილზე მისი ხელმოწერაა, რაც მაძლევს საფუძველს მეამაყებოდეს ჩემი მეგობარი, საგარეო საქმეთა მინისტრის თანამდებობაზე ჩემი წინამორბედი და თავისუფალი დემოკრატიული პარტიის თავმჯდომარე.

თავისუფალ დემოკრატიულ პარტიაში აღმოსავლურ პოლიტიკას წინააღმდეგობრივად აღიქვამდნენ: კოლეგების ერთი ნაწილი აღმოსავლური პოლიტიკის გამო პარტიის დატოვებასაც აპირებდა, რასაც ნაწილობრივ ვვარაუდობდით, ნაწილობრივ კი დანამდვილებით ვიცოდით. მათ შორის, ვინც პარტიის დატოვება გადაწყვიტა, ჩემთან დაახლოებული პირებიც იყვნენ: ფონ´ კიულმან-შტუმი, მენდე და ცოგლმანი. თუმცა სოციალისტურ ქვეყნებთან სახელშეკრულებო პოლიტიკა ამგვარი გადაწყვეტილების ერთადერთი მიზეზი არ გახლდათ. მათზე მნიშვნელოვან ზემოქმედებას ახდენდა გარემოცვა. ისინი ფიქრობდნენ, რომ თავისუფალ დემოკრატიულ პარტიაში, რომელიც სოციალ-დემოკრატიულ პარტიასთან ქმნიდა კოალიციას, ველარ დარჩებოდნენ და ამიტომ კავშირის პარტიებთან დაიწყეს პოლიტიკური ნავთსაყუდლის ძებნა, რაც ჩემთვის გაუგებარი გახლდათ. სწორედ ქრისტიანულ-დემოკრატიულმა და ქრისტიანულ-სოციალურმა კავშირებმა დაადასტურეს 1966-1969 წლებში სოციალ-დემოკრატიული მთავრობის ქმედითუნარიანობა.

კარგი ურთიერთობა მქონდა რაინერ ბარცელთან და ქრისტიანულ-დემოკრატიული/ქრისტიანულ-სოციალური კავშირების საქმეთა მწარმოებელ ვილი რასნერთან. 1972 წლის ერთ მშვენიერ დღეს რასნერმა ვახშმად დამპატიჟა თავის სახლში, რაც მანამდე არასდროს მომხდარა. საუბარი ამ სიტყვებით წამოიწყო: „რაინერ ბარცელს და მე გვინდა გულწრფელნი ვიყოთ და რაღაც შეგატყობინოთ, თუ თქვენ ბოროტად არ ისარგებლებთ ჩვენი გულწრფელობით. თქვენი თანაპარტიელები უახლოეს დღეებში ჩვენს რიგებში გადმოსვლას აპირებენ...“. ბარცელის და რასნერის ნდობა მხოლოდ პირობითად

წარმოადგენდა ჩემთვის პატივს, რადგან ეს ამბავი მძიმე დარტყმა გახლდათ. დანაპირები შევასრულე და რაც მითხრეს, არ გამიხმაურებია, თანაც დარწმუნებული არ ვიყავი, 1972 წლის 27 აპრილს ბარცელის მიერ გამოტანილი „კონსტრუქციული უნდობლობის ვოტუმის" შემდეგ უმრავლესობას შევინარჩუნებდით თუ არა. მაგრამ ალღოთი ვგრძნობდი: მოვახერხებთ, სხვაგვარად შეუძლებელია-მეთქი და ამიტომ იყო, რომ გადამწყვეტი კენჭისყრის წინ შინაგან საქმეთა სამინისტროში ჩემი საწერი მაგიდაც არ ამილაგებია.

ეს ძალზე მშფოთვარე დღეები გახლდათ. ერთმანეთთან მიდიმოდიოდნენ, დისკუსიებს მართავდნენ იმის თაობაზე, რასაც ყურს მოკრავდნენ. არც ერთი მხარე აღარ ენდობოდა თავის ხალხს და როგორც გამოირკვა — სამართლიანადაც. ქრისტიანულ-დემოკრატიული პარტიის დაუფარავი მომხრეების გვერდით „წყალქვეშა ნავებიც" არსებობდნენ, თანაც ორმხრივი მიმართულების. დღემდე არ ვიცი, რამდენი ასეთი „წყალქვეშა ნავი" დაცურავდა აქეთ-იქით. ჩვენთვის მხოლოდ საბოლოო რიცხვებია ცნობილი.

რაინერ ბარცელის სამწუხაროდ, „კონსტრუქციული უნდობლობის ვოტუმი" მარცხით დასრულდა. ოპოზიციას 249 ხმა სჭირდებოდა ფედერალური კანცლერის, ბრანდტის, დასამხობად, მაგრამ 247 ხმა მიიღო; სამმა თავი შეიკავა. კოალიციამ უმთავრეს გამოცდას გაუძლო. კავშირი, როგორც ეს შემდგომ თვეებში გამოვლინდა, ძალიან დაზარალდა. 1973 წლის 9 მაისს რაინერ ბარცელმა ყოველგვარ ადმინისტრაციულ საქმიანობაზე ხელი აიღო: იმედის მომცემი კარიერა მოულოდნელად დასრულდა. სახელმწიფოებრივ-პოლიტიკური თვალსაზრისით ბუნდესტაგმა სწორი გადაწყვეტილება მიიღო. ჩემთვის ესოდენ პატივსაცემი რაინერ ბარცელი — მასთან პიროვნულ სიახლოვეს დღემდე ვგრძნობ — ადამიანურად მებრალებოდა, მით უფრო, რომ ის ომის შემდგომი პერიოდის იმ პოლიტიკოსთა რიცხვს მიეკუთვნებოდა, რომლებიც მრავალი თვალსაზრისით ცრურწმენების მსხვერპლი გახდნენ.

ვილი ბრანდტს არასაიმედო უმრავლესობასთან ერთად ქვეყნის მართვა აღარ სურდა. ის უფრო ფართო საპარლამენტო უმრავლესობის შემნას და კოალიციის აღმოსავლური პოლიტიკისადმი მოსახლეობის მხარდაჭერის მოპოვებას ცდილობდა. ძირითადი კანონის სამოცდამერვე მუხლის მიხედვით მან ნდობის საკითხი დააყენა, ხოლო საკუთარმა

კოალიციამ მას შეიანხმებისამებრ უნდობლობა გამოუცხადა, რაც ნებადართული გამოყენება გახლდათ ჩვენი, ამ თვალსაზრისით ხისტი კონსტიტუციის შესაძლებლობებისა. ბოლოს და ბოლოს ფედერალურმა პრეზიდენტმა ჰაინემანმა ბუნდესტაგი დაითხოვა, ახალი არჩევნებისკენ გზა ხსნილი გახლდათ.

1972 წლის ნოემბრის ბუნდესტაგის არჩევნებში ბრანდტმა ტრიუმფალური გამარჯვება მოიპოვა: სოციალ-დემოკრატიულმა პარტიამ, ომისშემდგომ პერიოდში პირველად და დღემდე ერთადერთხელ, ამომრჩეველთა ხმების 45,8 პროცენტი მიიღო და უძლიერეს ფრაქციად იქცა. ქრისტიანულ-დემოკრატიული და ქრისტიანულ-სოციალური კავშირი 44,9 პროცენტს დასჯერდა, თავისუფალმა დემოკრატიულმა პარტიამ მაჩვენებელი გაიუმჯობესა და 8,4 პროცენტი მიიღო. ეს გახლდათ ნდობის გამოცხადება სოციალ-დემოკრატიული და თავისუფალი დემოკრატიული პარტიების კოალიციის აღმოსავლური პოლიტიკისადმი. ნახევარი წლის შემდეგ, 1973 წლის მაისში, ბუნდესტაგის ახალმა, სოციალ-დემოკრატიული და თავისუფალი დემოკრატიული პარტიების გაძლიერებულმა უმრავლესობამ მოიწონა და სანქცია მისცა ხელშეკრულებას გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკასთან ურთიერთობის საფუძვლების შესახებ. შემდგომად ამისა, 1973 წლის სექტემბერში, ორივე გერმანული სახელმწიფო თანმიმდევრულად გაწევრიანდა გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში.

### *გიიომის სკანდალი და მისი შედეგები*

ბრანდტის ფედერალურ კანცლერად მეორე ვადით არჩევის პერიოდს დაემთხვა მისი პრესტიჟის მკვეთრი დაცემა. მთავრობა თავის ნებაზე ჰყავდა მიშვებული; ძალზე დამყოლი გახლდათ. თავი მებაღედ წარმოედგინა და არა მომთვინიერებლად. საგარეო პოლიტიკასთან დაკავშირებული დაპირისპირების მოხსნისთანავე, უცებ, ავტორიტეტის დაკარგვად შეფასდა ის, რაც სინამდვილეში ხასიათის პოზიტიურ ნიშან-თვისებას წარმოადგენდა. ამ მხრივ ნიშანდობლივი გახლავთ 1972 წლის სექტემბერში „შპიგელისათვის“ მიცემული ინტერვიუ, როდესაც ბრანდტმა განაცხადა: „სხვებთან ურთიერთობის

ძირითად საკითხებში ვილი ბრანდტს ამ ასაკში ველარავინ გადაქმნის". საკვირველია: როდესაც ბრანდტს ენებდნენ და ჩამოგდების საფრთხე ემუქრებოდა, სწორედ მაშინ იჩენდა ის ძალას და შეუპოვრობას. მიუხედავად ამისა, საზოგადოებაში სულ უფრო მეტად იკიდებდა ფეხს აზრი ძალაუფლების შესუსტებისა და ავტორიტეტის დაცემის შესახებ. სოციალ-დემოკრატიულმა პარტიამ თავად შეუწყო ხელი ამ პროცესს; თუმცა ამგვარი შეფასება უმართებულო გახლდათ: ვილი ბრანდტის კანცლერობის პირველი პერიოდი ხომ მნიშვნელოვანი მოვლენებით, შიდა რეფორმებითა და სოციალისტურ ქვეყნებთან მიმართებაში პოლიტიკური ღიაობით, პირველ წლებში პოლიტიკური აღმავლობით იყო აღბეჭდილი. 1973 წელს ჰერბერტ ვენერმა ჟურნალისტებთან საუბარში ბრანდტს პოლიტიკური ფიტული და ჩამოწერილი პოლიტიკოსი უწოდა; საინტერესო ის გახლავთ, რომ მან ეს განცხადება მაინცადამაინც მოსკოვში გააკეთა.

საკუთარი პარტიის რიგებიდან ამგვარი თავდასხმები ბრანდტზე მძიმედ მოქმედებდა. ადამიანი, რომელიც ქრისტიანულ-დემოკრატიული/ქრისტიანულ-სოციალური კავშირების მხრიდან საგარეო პოლიტიკასთან დაკავშირებულ თავდასხმებს სუვერენულად იგერიებდა, სავსებით უმწეო აღმოჩნდა თანაპარტიელი პოლიტიკური მოწინააღმდეგეების წინაშე. ვილი ბრანდტი პოლიტიკურ მეგობრებს არასდროს მოპყრობია ისე, როგორც ვენერი მოექცა მას.

ვენერის მიერ მოსკოვში გაკეთებული განცხადებების შემდეგ, ვალტერ შეელს დავურეკე: „შენ ახლა ბრანდტთან უნდა წახვიდე და დაარწმუნო, რომ არჩევანის წინაშე დააყენოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის ბუნდესტაგის ფრაქცია; ან ვენერი, ან ბრანდტი, რომელიც ჯერ ისევ ფედერალურ კანცლერს წარმოადგენს. თუ ის საკუთარი პიროვნების ამგვარ დემონტაჟს შეეგუება და ვენერს თავის ადგილს არ მიუჩენს, მაშინ ავტორიტეტს კიდევ უფრო დაკარგავს. ჯერჯერობით საკმაოდ ძლიერია, თუმცა შეიძლება მალე აღარც იყოს!" მოგვიანებით ბრანდტმა თავის თავს ვერ აპატია, ვენერს ფრაქციის წინაშე რომ არ მოუწოდა, წესიერად მოქცეულიყო.

1974 წლის 15 მაისს ვალტერ შეელი მეოთხე ფედერალურ პრეზიდენტად იქნა არჩეული. ამით დასრულდა მისი მოღვაწეობა მინისტრის თანამდებობაზე; ის, რაც 1973 წლის ზაფხულში დაიწყო,

ლოგიკურად გაგრძელდა. იმ ზაფხულს შეელმა შემატყობინა, რომ შვებულების დროს მინახულებდა, ანუ ავსტრიიდან, სადაც სახლი ჰქონდა, ბერხტესგადენში ჩამოვიდოდა. ერთხელ, სეირნობისას, საიდუმლოც გამიმხილა: განზრახული მაქვს ფედერალური პრეზიდენტის არჩევნებში მივიღო მონაწილეობა და ჩემი კანდიდატურა წარვადგინოო. ამასთანავე ის ლოგიკურად თვლიდა, რომ მის შემდეგ პარტიის თავმჯდომარის ადგილი მე დამეკავებინა და დასძინა: საგარეო პოლიტიკაში დაფნის გვირგვინს ვერავინ ველარ მოიმკის, რაც რამ გასაკეთებელი იყო, ყველაფერი უკვე გაკეთდა. ამიტომ გირჩევ, შინაგან საქმეთა სამინისტროში დარჩეო.

მაგრამ ამ ამბავმა, თითქოს ყველა დაფნის გვირგვინი უკვე მომკილ იქნა, ერთი სხვა ამბავი გამახსენა, დიდი ხნის წინათ რომ მოხდა. ეს ის დრო გახლდათ, როცა მაქს პლანკი უნივერსიტეტში აბარებდა. ერთმა პროფესორმა უთხრა: ფიზიკის შესწავლა გნებავთ? მე კი არ გირჩევთ, ყმაწვილო, ამ სფეროში ყველა დიდი აღმოჩენა უკვე გაკეთდაო.

რამდენადაც ლოგიკური ჩანდა ვალტერ შეელის სწრაფვა უმაღლესი ხელისუფლებისაკენ — და მე დარწმუნებული გახლდით, რომ ის შესანიშნავი ფედერალური პრეზიდენტი იქნებოდა —, იმდენად არ შეესატყვისებოდა მისი გეგმები ჩემსას. ამიტომ ვუთხარი: ჩემს ცხოვრებას სხვაგვარად ვგეგმავ, 1976 წელს მინისტრის თანამდებობას დავტოვებ, რათა ფინანსთა კომიტეტის მართვა-გამგეობაში ვცადო ბედი და ადვოკატის პროფესია პრაქტიკულად გამოვიყენო-მეთქი. ჩემი აზრით, ჩვენ უფრო ახალგაზრდა აქტიური პოლიტიკოსები გვჭირდებოდა, რომლებიც ნებაყოფილობით ამბობდნენ უარს მინისტრის თანამდებობაზე, რათა სამინისტროში მიღებული გამოცდილებით პარლამენტი აღმასრულებელი ხელისუფლების მიმართებით გაეძლიერებინათ. ჯერ კიდევ ახალგაზრდა კაცმა ფრაქციაში მუშაობისას გამოვცადე, რა ძალა გააჩნდათ კომიტეტების მნიშვნელოვან ხელმძღვანელებს; ჰანს ველჰაუზენი, ჰერბერტ ვენერი, ერვინ შიოტლე, ვილი მაქს რადემახერი ან კურტ გეორგ კიზინგერი როდესაც სიტყვით გამოდიოდნენ, მათ სიტყვას მნიშვნელობა ჰქონდა მთელი პარლამენტისთვის. ამავე დროს, ისინი ძალზე ხშირად მთავრობის მეტოქეები იყვნენ ამ სიტყვის დადებითი აზრით.

ახლა კი ვალტერ შეელის კარგად დასაბუთებული გადაწყვე-

ტილება გეგმებს მირევდა. მე მას ვუთხარი: შინაგან საქმეთა სამინისტრო ძალზე რთული სამინისტროა, იქ ძალზე ბევრი ნაღმია დაფარული. გირჩევდით არასდროს დანიშნოთ შინაგან საქმეთა მინისტრი პარტიის თავმჯდომარედ. მაგრამ თუ პარტიას სჭირდება, რომ თავმჯდომარე ვიყო, მაშინ სასურველი იქნება, საგარეო საქმეთა მინისტრის პოსტიც დავიკავო-მეთქი. შეელი ამაზე მყისვე დამთანხმდა. პირველად ამ საუბრისას და ამ კონტექსტში გამოიკვეთა ჩემთვის საგარეო საქმეთა სამინისტრო, როგორც ჩემი პოლიტიკური მომავლის პერსპექტივა.

1974 წლის თებერვალში საუბარი მქონდა ფედერალურ კანცლერ ბრანდტთან მის სახლში, ვენუსბერგზე, იმ ვარაუდით, რომ მოგვიანებით მისი მოადგილე და საგარეო საქმეთა ფედერალური მინისტრი გავხდებოდი. ამასობაში საზოგადოებისთვის ცნობილი გახდა ვალტერ შეელის კანდიდატურა საპრეზიდენტო არჩევნებში. სოციალ-დემოკრატების მხრიდან წინააღმდეგობას ადგილი არ ჰქონია, რაც სოციალ-დემოკრატიული პარტიის კოალიციურ პარტნიორთან დამოკიდებულებას შეეფერებოდა. ისინი დაინტერესებულნი იყვნენ, რომ თავისუფალი დემოკრატიული პარტია ძლიერი ყოფილიყო. ბრანდტი ჩვენდამი ლოიალობას იჩენდა, როგორც პიროვნულად, ასევე პარტიულ-პოლიტიკური თვალსაზრისით. ბრანდტისთვის ხელსაყრელი გახლდათ თავისუფალი დემოკრატიული პარტიის წარმატება, რადგან კარგად მოეხსენებოდა, რომ წარმატებული პარტიის სახით ბევრად მშვიდი პარტნიორი ეყოლებოდა, ვიდრე პარტია, რომელმაც ხუთპროცენტიანი ზღვარი ვერ გადალახა. ბრანდტი კეთილგანწყობით შეხვდა საგარეო საქმეთა მინისტრად და ვიცე-კანცლერად ჩემი დანიშვნის იდეას. ჩვენი საუბარი პირადულ და ჰარმონიულ ატმოსფეროში მიმდინარეობდა. ჩემს ცხოვრებასა და მიზნებზე მოვუთხრობდი და შევხვდით იმის ღრმა რწმენით, რომ რამდენიმე თვეში ახალ საფუძველზე ვითანამშრომლებდით. ეს ასეც მოხდა, თუმცა სრულიად სხვაგვარად, ვიდრე ბრანდტს და მე წარმოგვედგინა.

სირთულეები მხოლოდ ხანმოკლე გარდამავალ ფაზაში წარმოიშვა, როცა ვილი ბრანდტი ჰელმუთ შმიდტმა შეცვალა. ამ უკანასკნელს ფედერალურ კანცლერად არჩევის შემდეგ კაბინეტის ჩამოყალიბებისას მოქმედების სრული თავისუფლება სურდა. კადრების

საკითხს ჯერ საბოლოოდ ვერ გადავწყვეტო — ფიქრობდა ის —, ამიტომ თავდაპირველად მთავრობის ბირთვს შევქმნიო. თუ არ ვცდები, მხოლოდ „საკვანძო სამინისტროების“ ხელმძღვანელების დანიშვნა ჰქონდა გათვალისწინებული; ვალტერ არენდტი შრომის მინისტრის პოსტზე, გეორგ ლებერი — თავდაცვის სამინისტროში, ჰანს ფრიდერიქსი — ეკონომიკის სამინისტროში. ამ შემადგენლობაში მე გათვალისწინებული არ ვყოფილვარ.

ჰელმუთ შმიდტმა თავისი მოსაზრებები ვალტერ შეელს გააცნო; ვალტერ შეელმა გაოცება ვერ დამალა: „კი, მაგრამ, ნუთუ არ იცით, თავისუფალი დემოკრატიული პარტიის ხელმძღვანელობის საკითხი როგორ გადაწყდა? პარტიაში ჩემი შემცვლელი ჰანს-დიტრიხ გენშერი იქნება. თავს უფლებას მივცემ გირჩიოთ, რომ მასთან მჭიდროდ ითანამშრომლოთ. გარდა ამისა, უაზრობად ვთვლით კაბინეტის ბირთვის შექმნას. მთავრობა ახლავე და სრული შემადგენლობით უნდა ჩამოყალიბდეს“. შმიდტი მიხვდა და ძირითადი გუნდის იდეა უკუაგდო. ასე გავხდი საგარეო საქმეთა მინისტრი და ვიცე-კანცლერი შმიდტის კაბინეტში. 1974 წლის ოქტომბრის დასაწყისში ვალტერ შეელს „პარტიის ფედერალურ ყრილობაზე გავყევი როგორც პარტიის თავმჯდომარე. აქამდე თავისუფალი დემოკრატიული პარტიის თავმჯდომარის სამი მოადგილიდან ერთ-ერთი გახლდით. ამ გადაწყვეტილებას ვალტერ შეელთან ერთად ორი სხვა მოადგილე — ვოლფგანგ მიშნიკი და ჰილდეგარდ ჰამ-ბრიუხერიც ეთანხმებოდნენ.

საგარეო საქმეთა სამინისტროში გადასვლამდე მოხდა ის, რასაც მოგვიანებით გიიომის საქმე უწოდეს. ჩემთვის ეს ამბავი 1973 წელს დაიწყო. 1973 წლის 28 მაისს, ორშაბათ დღეს, შემატყობინეს, რომ კონსტიტუციის დაცვის ფედერალური სამსახურის პრეზიდენტს ჩემთან საუბარი სურდა. ფედერალური სისხლის სამართლის სამძებრო სამსახურის პრეზიდენტ დოქტორ ჰეროლდისთ-ვის, ისევე როგორც დოქტორ ნოლაუსთვის მნიშვნელოვანი გახლდათ ერთგვარი „ინფორმაციის უშუალოდ უმაღლეს ინსტანციაში გადაცემის წესი“. არც ერთ მათგანს არასდროს ბოროტად არ უსარგებლია ამ უფლებით, ამიტომ ყოველთვის დაუყოვნებლივ ვხვდებოდი მათ მაშინაც, როცა ჩემი კალენდარი შევსებული გახლდათ და თავისუფა-

ლი დრო არ მქონდა. შინაგანი უშიშროების საკითხების გადადება დაუშვებლად მიმაჩნდა.

ამჯერადაც ასე მოხდა. დოქტორი ნოლაუ 29 მაისს მინისტრის ბიუროს უფროსის, დოქტორ კლაუს კინკელის თანდასწრებით მივიღე. დოქტორი ნოლაუ ერთ უსიამოვნო შემთხვევასთან დაკავშირებით მოვიდა ჩემთან: ფედერალური კანცლერის, ვილი ბრანდტის, ერთ-ერთი თანამშრომელი, გიუნთერ გიიომი საეჭვო საქმიანობაშია შემჩნეული; სავსებით შესაძლებელია ის გდრ-ის სასარგებლოდ ჯაშუშურ საქმიანობას ეწეოდეს. ერთი მხრივ, თქვენთვის ცნობილი ტექნიკური პროცედურიდან გამომდინარე, არსებობს ეჭვი გიიომთან დაკავშირებით, თუმცა მეორე მხრივ ფედერაციულ რესპუბლიკაში გადმოსვლამდე ბოლო ხუთი თვის განმავლობაში მის წინააღმდეგ არავითარი სამხილი არ მოგვეპოვებაო. ტექნიკური პროცედურა, ცხადია, ყოველთვის სარწმუნო ვერ იქნებოდა, მით უფრო, რომ სწორედ იმ ხანებში ფედერალური მთავრობის ერთი მაღალჩინოსანი მოხელის მაგალითიც გვქონდა, მოხელის, რომელიც სრულიად უსამართლოდ შეიქნა ამ პროცედურის მსხვერპლი.

ამ საუბრის დროს ჯერ კიდევ არ ვიცოდი, რომ დოქტორი ნოლაუ უფრო მნიშვნელოვან და საფუძვლიან საბუთებსაც ფლობდა. მათ შორის დაზვერვისა და კონტრდაზვერვის ფედერალური სამსახურის ცნობას, თავისუფალ იურისტთა საგამოძიებო კომიტეტის მინიშნებას და ინფორმაციას იმ პრობლემებთან დაკავშირებით, რომლებიც გიიომის სამსახურში აყვანისას წარმოიქმნა.

ფედერალური კანცლერის თანამშრომელი, გვარად გიიომი, აქამდე თვალში არ მომხვედრია. მანამდე რომ შევხვედროდი, ამ უჩვეულო გვარის გამო ალბათ დამამახსოვრდებოდა. ნოლაუმ განმიმარტა: გიიომი პარტიული საქმიანობის საკითხებს განაგებდაო. თავისუფალი დემოკრატიული პარტიის წარმომადგენელ შინაგან საქმეთა მინისტრს, გასაგებია, რომ მასთან სამსახურებრივი შეხება ვერ ექნებოდა. ასე რომ, გასაკვირი არ გახლდათ, რომ არ ვიცნობდი.

ნოლაუმ მითხრა: ამგვარი ეჭვის არსებობის შესახებ მხოლოდ გუშინ შევიტყვე და ინფორმაციის კონფიდენციალურობის დაცვას გთხოვთ. ამ ეტაპზე საქმის კურსში მინდა ჩაგაყენოთ, ვინაიდან თქვენი ადრინდელი განკარგულების თანახმად, ვალდებული ვარ განსაკუთრებული პოლიტიკური მნიშვნელობის საკითხებზე დაუყოვნებ-

ლივ მოგახსენოთო. ნოლაუს დავავალე ჩემთან უწყვეტი კონტაქტის შენარჩუნება და ამ შემთხვევის ძალზე ოპერატიული გამოძიება. ამის საპირისპიროდ, მის თხოვნაზე, არავისთვის შემეტყობინებინა ეს ამბავი, ვუპასუხე: თქვენს თხოვნას ვერ დავაკმაყოფილებ, რადგან ფედერალურ კანცლერს უფლება აქვს ინფორმაცია დაუყოვნებლივ მიიღოს-მეთქი. თავიდან ის ჯიუტად იცავდა თავის პოზიციას, თუმცა ბოლოს და ბოლოს მიხვდა, რომ მართალი ვიყავი. დაბეჯითებით გთხოვთ, გადასცეთ ფედერალურ კანცლერს, გიიომის მიმართ ჯერჯერობით ნურაფერს მოიმოქმედებს. მან ეჭვი არ უნდა აიღოსო. ნოლაუს მიერ შეტყობინებული ამბები მეხივით დამეცა ამ სიტყვის ჭეშმარიტი გაგებით, შემაძრწუნა არა დანაშაულში ეჭვმიტანილის საქმიანობასთან დაკავშირებულმა მძიმე ფაქტებმა, არამედ ფედერალურ კანცლერთან მისმა სიახლოვემ. გარდა ამისა, ვილი ბრანდტს უნდა სცოდნოდა, რომ გიიომზე დაწესებული კონტროლი მასაც შეეხებოდა, ანუ მასაც უთვალთვალებდნენ.

ფედერალურ კანცლერთან საუბრის შესაძლებლობა იმავე დღეს მომეცა, ჩვენი საუბარი ჰამბურგის სასახლეში, მის კაბინეტში შედგა. ბრანდტმა ჩემი თხოვნის გათვალისწინებით ამიხსნა, თუ რა ფუნქცია ეკისრებოდა გიიომს; მისი ნათქვამი ნოლაუს მონაცემებს ემთხვეოდა. შემდეგ ვუთხარი: გიიომს უთვალთვალებენ, რაც თქვენი სამსახურებრივი მდგომარეობის გამო თქვენც შეგეხებათ-მეთქი. ამის საწინააღმდეგო არაფერი მაქვსო, მიპასუხა მან, რაც მე ნამდვილად არ გამკვირვებია. ბოლოს ვაცნობე, რომ ნოლაუ ინფორმაციის გავრცელების წინააღმდეგია-მეთქი, ვილი ბრანდტმა მადლობა გადამიხადა უშუალოდ მისი ინფორმირებისათვის და იმისთვისაც, რომ ყველაფერი მოვახსენე, რაც ჩემთვის ცნობილი გახლდათ. შემდეგ თქვა: გიიომი უკვე გაფრთხილებულია, რომ ფედერალურ კანცლერს ნორვეგიაში უნდა გაჰყვეს მისი შვებულების პერიოდში. ეს წინადადება ძალაში რჩება თუ შევცვალოო? ჩემის აზრით, ყველაფერი ჩვეულებრივად უნდა წარიმართოს და მოთხოვნა — არანაირი ცვლილებები, ამ საკითხსაც ეხება, თუმცა ჯერ ნოლაუს დაველაპარაკები და ჩემს აზრს მერე მოგახსენებთ, გადამწყვეტი სიტყვა კი კონტრდაზვერვის პასუხისმგებელმა ორგანოებმა უნდა თქვან-მეთქი.

აქ ერთი პრინციპული პოზიცია გამოვლიდა. ოპერატიულ საქმიანობაზე პასუხისმგებლობა სახელმწიფო უშიშროების კომპეტენ-

ტურ ორგანოებს უნდა ეკისრათ. მცდელობა იმისა, რომ ოპერაციები ეგრეთ წოდებულ შეფის საქმეზე ფედერალურ მთავრობაში წარმართულიყო, როგორც წესი, საქმეს კი არ რგებდა, — ენებდა. ამგვარი დამოკიდებულება გადაწყვეტილებების მიღების პროცესში პრობლემისგან დაშორებას იწვევდა და აჭიანურებდა გადაწყვეტილების მიღებას. საქმე, ასე ვთქვათ, იჭედებოდა, როგორც საცობი ბოთლის ყელში. გარდა ამისა კომპეტენტური ორგანოები მეტ პროფესიონალიზმს ამჟღავნებდნენ.

ნოლაუ, რომელსაც მეორე დღეს — 30 მაისს — ვესაუბრე, გარკვევით დათანხმდა გიიომის ნორვეგიაში გამგზავრებას, ფედერალურმა კანცლერმა კანცლერის აპარატის უფროსს, სტატს-მდივან გრაბერტს და მის თანამშრომელს, კანცლერის ბიუროს ხელმძღვანელს, დოქტორ ვილკეს მიაწოდა ინფორმაცია. შემდგომი კვირებისა და თვეების განმავლობაში დოქტორ ნოლაუსთან და დოქტორ კინკელთან გამუდმებით ვამოწმებდი, ფლობდნენ თუ არა ისინი ახალ ინფორმაციას, ჰქონდათ თუ არა ახალი ხელმოსაკიდი მონაცემები, რომელთა საფუძველზეც შევძლებდით საქმე გენერალური პროკურორისთვის გადაგვეცა. ეს გახლდათ პერიოდი, როდესაც კლაუს კინკელი უბრალოდ ჩემი თანამშრომელი კი არ იყო, არამედ საუკეთესო მრჩეველი და სანდო პიროვნებაც.

1974 წლის დასაწყისში — ამასობაში ნოლაუსთან პირველი საუბრიდან შვიდ თვეზე მეტი გავიდა — ჩემი მოთმინების ფიალა აივსო. ამ უაღრესად აქტუალური საკითხის კიდევ უფრო დიდი დროით გაწელვა-გადადება დაუშვებლად მიმაჩნდა. აქედან გამომდინარე ნოლაუს ვუბრძანე, საბოლოო დასკვნა წარმოედგინა: ამის შემდეგ გადავწყვეტთ საქმე გენერალურ პროკურატურას გადავცეთ თუ არა-მეთქი. ვინაიდან ნოლაუს მონაცემებით ახალი ხელმოსაჭიდი მასალა არ არსებობდა, დავიწყე ფიქრი იმაზე, თუ რას მოიტანდა ეს ამბავი, როგორ შეფასდებოდა და რა მნიშვნელობა მიენიჭებოდა მას, თუკი ეჭვი არ დადასტურდებოდა. მაშინ ხომ უშიშროების ორგანოები და მეც მათთან ერთად არასაკმარისი სამხილით გავილაშქრებდით ფედერალურ კანცლერთან დაახლოებული თანამშრომლის წინააღმდეგ.

ნოლაუზე ჩემმა ზემოქმედებამ შედეგი გამოიღო. 1974 წლის პირველ მარტს მან ჯერ მე, შემდეგ, ჩემი თანდასწრებით, ფედერალურ

კანცლერს აცნობა, რომ ფედერალური პროკურატურის ჩარევა ამ საქმეში შესაძლებელიაო. ამასობაში საქმის ვითარებასთან დაკავშირებით ხშირად ვესაუბრებოდი სტატს-მდივან გრაბერტს. გრაბერტი, როგორც მე, საქმის სწრაფ გარკვევას მოითხოვდა.

მას შემდეგ, რაც საბოლოო ანგარიში ფედერალურ გენერალურ პროკურორს წარედგინა, გიიომი მაშინვე არ დაუკავებიათ, ანუ წინასწარ პატიმრობაში მისი აყვანა არ მომხდარა. გიიომი 1974 წლის 24 აპრილს — თითქმის რვა კვირის შემდეგ — დააკავეს. ამის შესახებ წინა დღეს მაცნობეს. ერთადერთი იმედი რჩებოდა, რომ არსებული მასალა სამხილად გამოდგებოდა, წინააღმდეგ შემთხვევაში, უნდა გვევარაუდა, რომ ამ ამბავს აღნიშნული სამსახურის მიერ ფედერალური კანცლერის წინააღმდეგ წამოწყებული ინტრიგის კვალიფიკაცია მიეცემოდა. იმჟამად ვერც წარმოვიდგენდი, რომ — როგორც მოგვიანებით შემატყობინეს — გიიომი თვითონვე გასცემდა თავს. დასკვნით ოქმში მოყვანილი სიტყვები, დაკავებისას რომ წარმოთქვა — მე ეროვნული სახალხო არმიის ოფიცერი გახლავართო — იყო დანაშაულის აღიარება, რაც მის საქმეს დამამძიმებელი სამხილის სახით აკლდა. გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის აგენტები სულიერ-მორალური თვალსაზრისით ძლიერ ფსიქოლოგიურ მომზადებას გადიოდნენ, კერძოდ, ღირსების საქმედ განიხილებოდა ოფიცრის ჩინის მინიჭება, მათი „მშვიდობის მზვერავებად“ მოხსენიება, ორდენებით წახალისება და ა. შ. მაგრამ ამ შემთხვევაში ამან ორგანიზატორების მიერ გაუთვალისწინებელი შედეგი გამოიღო.

ამის შესახებ დაუყოვნებლივ ვაცნობე ოპოზიციას, უფრო ზუსტად ფრაქციის თავმჯდომარეს პროფესორ კარლ კარსტენსს. სოციალ-დემოკრატიული პარტია მუდმივად საქმის კურსში იყო ჰერბერტ ვენერის მეშვეობით, რომელსაც, თავის მხრივ, ნოლაუ აწვდიდა ინფორმაციას.

მთავრობის სხდომა 24 აპრილს, დილით გაიმართა. ვილი ბრანდტი სხდომას არ ესწრებოდა, ის ალჟირსა და შემდეგ ეგვიპტეში მოგზაურობის შემდეგ უკან ბრუნდებოდა. კიოლნ-ვაანის სამხედრო აეროდრომზე, სადაც სამთავრობო თვითმფრინავების მიღება-გამგზავრება ხდება, ფედერალური კანცლერის სამსახურის უფროს, სტატს-მდივან გრაბერტთან ერთად გავემგზავრე. ფედერალურმა კანცლერმა დაახლოებით 13 საათზე დატოვა თვითმფრინავი.

გრაბერტმა და მე გიიომის დაკავების შესახებ მოვახსენეთ. ნოლაუს ანგარიშის შემდეგ საქმე განსახილველად ფედერალურ პროკურატურას რომ გადაეცა, ამ ამბავს არ გაუკვირვებია. მისთვის ურთულეს ვითარებაში სიმშვიდეს ინარჩუნებდა, რაც ხშირად შემიმჩნევია და აღტაცებული ვიყავი მისი თავშეკავების უნარით. ვერასდროს შეატყობდი, რა აღელვებდა და რა — არა.

დაკავების შესახებ ინფორმაციის გავრცელებით საქმეს მსვლელობა მიეცა. საერთოდ უნდა ითქვას, რომ კოალიციამ გაუძლო ცთუნებას ურთიერთგადაბრალების გზით პასუხისმგებლობისათვის თავი აერიდებინა, რასაც ნოლაუზე ვერ ვიტყვით. ის, რაც მან ჩემთვის გადმოცემული ინფორმაციის მასშტაბზე მოგვიანებით განაცხადა, სიცრუე გახლდათ; ხოლო პასუხისმგებლობას რომ გაურბოდა იმასთან დაკავშირებით, რომ ნორვეგიაში მოგზაურობისას გიიომზე მეთვალყურეობა არ იყო დაწესებული, — ეს ძალზე გაუგებარი გახლდათ. ამგვარმა საქციელმა მის შესახებ არსებული მრავალი მოსაზრება დაადასტურა.

1974 წლის პირველ მაისს ფედერალური სისხლის სამართლის სამძებრო სამსახურის პრეზიდენტმა, დოქტორმა ჰეროლდმა დამირეკა. მან შემატყობინა, რომ კურიერის ხელით უაღრესად მნიშვნელოვანი წერილი გამომიგზავნა. წერილის შინაარსმა შემაშფოთა. ჰეროლდი ფედერალურ სისხლის სამართლის სამძებრო სამსახურთან არსებული უშიშროების ჯგუფის ზოგიერთი წევრის დაკითხვის შედეგებს მაცნობდა. ამ ჯგუფს ფედერალური კანცლერის პირადი ცხოვრების შესწავლა ჰქონდა დავალებული. მათ უნდა მოეკვლიათ ინფორმაცია იმის შესახებ, ფლობდა თუ არა გიიომი კანცლერის მაკომპრომეტირებელ ფაქტებს, რადგან ის ყველაზე ხშირად იმყოფებოდა ფედერალურ კანცლერთან ერთად, როდესაც ბრანდტი შვებულებაში მიდიოდა. განსაკუთრებით შემაშფოთა ჰეროლდის ცნობამ: ნოლაუს ამის შესახებ უკვე ვაცნობეო.

წერილიანად ვალტერ შეელთან გავეშურე, რომელმაც ვენუსბერგზე მდებარე სახლში შლაიხშტრასეს ექვს ნომერში მიმიღო. მანაც ჩემსავით სერიოზულად აღიქვა ეს გარემოება და მოიწონა ჩემი განზრახვა, ეს წერილი საიმედო კურიერის ხელით ვილი ბრანდტისთვის გადამეცა; ვილი ბრანდტი იმჟამად სწორედ ჰამბურგში იმყოფებოდა. სატელეფონო საუბრისას ფედერალურ კანცლერს

ვუთხარი: გთხოვთ მიიღოთ ჩემი ახლო თანამშრომელი, ბიუროს ხელმძღვანელი დოქტორი კლაუს კინკელი, მან მნიშვნელოვანი დოკუმენტი უნდა გადმოგცეთ-მეთქი. ვილი ბრანდტმა თანხმობა განაცხადა და კლაუს კინკელი გზას გაუდგა.

ვალტერ შეელს და მე კარგად გვესმოდა, რომ ეს ჩანაწერები — ბოროტი მიზნით გამოყენების შემთხვევაში — საზოგადოებაზე დიდ ზემოქმედებას მოახდენდა. რაიმე შედეგები ამას არ უნდა მოჰყოლოდა, ამის საბაბს ვერ ვხედავდით. ყოველი შემთხვევისათვის, ყველაფერი უნდა გვეღონა, რომ ამგვარი რამ თავიდან აგვეცილებინა. ასე ფიქრობდნენ თავისუფალი დემოკრატიული პარტიის ხელმძღვანელებიც, უწინარეს ყოვლისა, ვოლფგანგ მიშნიკი, რომელიც ჩვენსავით გაიაზრებდა ამ საკითხს.

მე, როგორც შინაგან საქმეთა მინისტრს, ერთი კითხვა არ მასვენებდა: რა იყო მიზეზი ვილი ბრანდტის დაცვის წევრების დაკითხვისა? ჩვენებები და დაკითხვის მთელი მასალა ფედერალურ პროკურატურას ჰქონდა. დაცვის წევრების ჩვენებებით უნდა ემხილებინათ? ამ ორგანოების — ფედერალური სისხლის სამართლის სამძებრო სამსახურისა და ფედერალური პროკურატურის — სათავეში ორი კაცი იდგა, რომელთაც პიროვნულად თუ პროფესიონალური თვალსაზრისით განსაკუთრებით ვაფასებდი: დოქტორი ჰორსტ ჰეროლდი და ზიგფრიდ ბუბაკი, რომელიც ფედერალური გენერალური პროკურორის თანამდებობაზე ყოფნისას მოკლეს. ისინი მიკერძოებულ მოკვლევით საქმიანობას არამარტო არ აწარმოებდნენ, არამედ თავად წარმოადგენდნენ იმის გარანტს, რომ ამგვარი რამ არ მოხდებოდა. თუმცა ეს არაფერს ცვლიდა იმასთან დაკავშირებით, რომ ჩემი ღრმა რწმენით ეს დაკითხვები შეუსაბამო იყო და ძიებისთვის აუცილებელი არ გახლდათ. რა იყო ამ დაკითხვების ნამდვილი მიზეზი, ამის შეტყობა ვერ მოვასწარი, რადგან საგარეო საქმეთა სამინისტროში გადავედი. ჯერჯერობით კი ყველაფერი თავისი გზით მიდიოდა.

ცხადია, იმ დღეებში ერთი კითხვაც უნდა ამეწონ-დამეწონა — თანაც არაერთგზის — გადავმდგარიყავი თუ არა: გადადგომის საწინააღმდეგოდ მეტყველებდა ის პრობლემები, რომლებიც ამ შემთხვევაში თავისუფალი დემოკრატიული პარტიისა და მთავრობის წინაშე დადგებოდა. ჩემთვის ცხადი გახდა, რომ წინ რთული პერიოდი

მელოდა, თუმცა როგორც ვფიქრობდი, უფლება არ მქონდა ჩემი გადადგომით კიდევ უფრო დამემძიმებინა მდგომარეობა. მიუხედავად ამისა, პარტიული და კოალიციური მთავრობის ინტერესები გადამწყვეტი არ უნდა ყოფილიყო და ვერც იქნებოდა. მთავარი ჩემთვის მხოლოდ ერთი რამ უნდა ყოფილიყო: ჩემს სამსახურებრივ მოვალეობებს თავი გავართვი თუ სხვათა — უწინარესად კი ნოლაუს — შეცდომებზე პასუხი უნდა მეგო. ამ კითხვაზე დადებითი პასუხის საბაბს ვერ ვხედავდი. გამუდმებით მოვითხოვდი დაესრულებინათ კონტრდაზვერვის მასალებზე მუშაობა, ხოლო საქმის ოპერატიულ დამუშავებაში ჩარევის უფლება არ მქონდა. სხვათა შორის, საქმის ნაადრევი დახურვაც სამხილის საკითხს გაართულებდა. ვითარება ხომ იოლი არ გახლდათ და ერთადერთ სამხილს მხოლოდ გიიომის განცხადება წარმოადგენდა: „მე ეროვნული სახალხო არმიის ოფიცერი ვარ". მე რომ ნაადრევად მომეთხოვა, საქმე ფედერალურ პროკურატურას გადავცეთ-მეთქი, მაშინ შეეძლოთ ბრალდება წამოეყენებინათ: საქმეში ჩაერია და დამნაშავის მხილებაში ექსპერტებს ხელი შეუშალაო.

ბოლოს მხოლოდ ერთადერთი საკითხი უნდა გარკვეულიყო: ამელო თუ არა პასუხისმგებლობა კონსტიტუციის დაცვის ფედერალური სამსახურის პრეზიდენტად ნოლაუს დანიშვნის გამო. ნოლაუ უკვე ვიცე-პრეზიდენტი გახლდათ, როდესაც მას შევხვდი; მაშასადამე, მაღალი თანამდებობა ეკავა და მისი დაწინაურების საწინააღმდეგო მიზეზები ობიექტურად არ არსებობდა. ახლა გასარკვევი მხოლოდ ის მქონდა, ნოლაუ ხასიათობრივად სწორად შევაფასე თუ არა. თუმცა ყველა ეს კითხვა და მოსაზრება მხოლოდ გიიომის მხილების შემდეგ წარმოიშვა, როდესაც ნოლაუ ყველანაირად ცდილობდა პასუხისმგებლობას გაქცეოდა.

ვილი ბრანდტის გადადგომის მიზეზს ვერ ვხედავდი. მაწუხებდა ის, რომ ნოლაუმ გამოძიებასთან დაკავშირებული ინფორმაცია ჰერბერტ ვენერს გადასცა. რას მოიმოქმედებდა ვენერი და როგორ გამოიყენებდა მის ხელთ არსებულ მასალას: რა ხანია ცნობილი გახლდათ, რომ ვენერი ვილი ბრანდტს, როგორც კანცლერს, სულ უფრო კრიტიკულად აფასებდა. თავისუფალ დემოკრატიულ პარტიაში ერთი კაციც არ მეგულებოდა, ვინც ვილი ბრანდტის გადადგომას მოითხოვდა, პირიქით: ვალტერ შეელმა, ვოლფგანგ მიშნიკმა და მე, სოციალ-დემოკრატიულ

პარტიას ვაცნობეთ, რომ ფედერალურ კანცლერ ვილი ბრანდტთან თანამშრომლობის გაგრძელება გვსურდა. იმავე პოზიციას ვიცავდით ბად მიუნსტერაიფელში სოციალ-დემოკრატიული პარტიის ლიდერთა შეკრების შემდეგაც. 6 მაისს, ორშაბათს, ამის შესახებ ფედერალურ კანცლერსა და სოციალ-დემოკრატიული პარტიის ხელმძღვანელობასაც მოვახსენეთ. ვალტერ შეელმა ჩვენი თვალსაზრისი ამის თაობაზე ბრანდტის წინაშე მაშინ გამოთქვა, როდესაც ბრანდტმა მას გადადგომის შესახებ თავისი განცხადება აჩვენა.

ბად მიუნსტერაიფელში რაც მოხდა, ამის შესახებ ბევრი რამ ითქვა და დაიწერა, უფრო ბევრი ვარაუდი და ეჭვიც გამოითქვა. ამასთან დაკავშირებით ვერაფერს მოგახსენებთ. საკითხის ნათელყოფა მხოლოდ უშუალო მონაწილეებს შეუძლიათ. ვილი ბრანდტის გადადგომა აღვიქვი როგორც მძიმე დარტყმა ჩვენი ქვეყნისათვის და პირადად ჩემთვის; მე ის ძალიან მენანებოდა. იმ დღეებში ვგრძნობდი, რა ახლობელი იყო ჩემთვის ეს გულჩათხრობილი და თავშეკავებული კაცი.

მოგვიანებით, როდესაც საგარეო საქმეთა მინისტრი გავხდი და თერთმეტი წლის განმავლობაში ვხელმძღვანელობდი თავისუფალ დემოკრატიულ პარტიას, ვილი ბრანდტთან ურთიერთობა ხშირად მიწევდა; ჩვენ ჩვეულებრივი საკოალიციო თათბირების დროს ვხვდებოდით, ხშირად პირისპირ ვსაუბრობდით და ჩვენი ურთიერთობა 1982 წლის შემდგომაც გრძელდებოდა. 1976 წელს გამოქვეყნდა მისი წიგნი „შეხვედრები და გააზრებანი – 1960-1975 წლები", რომელიც მიძღვნა ამ წარწერით: „ფედერალურ მინისტრს, ჰანს-დიტრიხ გენშერს, ჩვენი კეთილი ურთიერთთანამშრომლობის წლების სახსოვრად, ვილი ბრანდტი". მას შემდეგ, რაც ის გადადგა, გიიომის პროცესზე არასოდეს გვისაუბრია.

დღეს, როდესაც წარსულს თვალს გადავავლებ, იმ დასკვნამდე მივდივარ, რომ ვილი ბრანდტის გადადგომის ნამდვილი მიზეზი დღემდე უცნობია და გიიომის საქმის მიღმა უფრო მეტი რამ იმალება. ჰერბერტ ვენერის გამოსვლა მოსკოვში ბრანდტის გამოწვევა იყო, რადგან ვენერმა ჯერ კიდევ მაშინ წამოჭრა ხელისუფლების საკითხი. ამას მაშინვე ვგრძნობდი. გიიომის საქმე ბრანდტის გადაყენებისათვის შესანიშნავი საბაბი გახლდათ – თუმცა მიზეზს ნამდვილად არ წარმოადგენდა.

საგარეო საქმეთა სამინისტროში მუშაობის დაწყება სხვაგვარად წარმომედგინა და სხვაგვარადვე მსურდა, ისევე, როგორც შინაგან საქმეთა სამინისტროდან წასვლაც. ვალტერ შეელს 1974 წელს შეეძლო კმაყოფილი წასულიყო სამსახურიდან. საგარეო საქმეთა მინისტრის პოსტზე მისი ყოფნა გერმანიის საგარეო პოლიტიკის ისტორიულ ეტაპს დაემთხვა; ფედერალური კანცლერის აპარატთან შექმნილი თავდაპირველი პრობლემების შემდეგ მან ამ თანამდებობაზე სრული თვითრეალიზაცია შეძლო. ვალტერ შეელი ვილი ბრანდტის მიერ აღიარებული პარტნიორი და მთავრობის გავლენიანი წევრი გახლდათ; მისი ურთიერთობა ვილი ბრანდტთან კოალიციასთან ურთიერთთანამშრომლობას აიოლებდა. შეელი, როგორც პარტიის თავმჯდომარე, დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა. ის ნათლად მოაზროვნე, მიზანსწრაფული და ქმედითუნარიანი კაცი გახლდათ. სწორი არ არის ის ხატი, რომლის შექმნასაც მის შესახებ მოწინააღმდეგენი ცდილობდნენ. პირადად ჩემთვის შეელი მხოლოდ კარგი კოლეგა კი არ იყო, არამედ მეგობარი, რომელთანაც დრომ კიდევ უფრო დამაახლოვა.

შინაგან საქმეთა სამინისტროს რამდენად შევეთვისე, ეს წასვლის შემდეგ ვიგრძენი. 1976 წლის 16 მაისს, როდესაც სამინისტრო დავტოვე, მასთან დამშვიდობება ძალიან გამიჭირდა. უამრავი და ძალზე დიფერენცირებული ამოცანები, რომლებიც ჩვენს წინაშე იდგა, გავითავისე. იგივე შეიძლება ითქვას მაღალკვალიფიციურ მუშაკებზე, ქალბატონებსა და ბატონებზე, რომლებიც სამინისტროში თუ ამ სამინისტროს დაქვემდებარებაში მყოფ ორგანოებში მუშაობდნენ. მადლიერებისა და პატივისცემის გრძნობა მქონდა მათ მიმართ ჩემთან თანამშრომლობისათვის, რაც ყოველთვის იოლი არ გახლდათ. მრავალი ჩანაფიქრი განვახორციელეთ ერთობლივად, მრავალ საქმესაც საძირკველი ჩავუყარეთ.

განსაკუთრებით მიმძიმდა ჰერბერტ შმიულინგთან გამოთხოვება, ის ხომ მთელი ამ ხნის განმავლობაში ჩემი პრესმდივანი გახლდათ და არამარტო პრესმდივანი, ის ჩემი უახლოესი მრჩეველი და მეგობარი გახდა. ის შინაგან საქმეთა სამინისტროში დავტოვე, რადგან საგარეო უწყებაში ამ სფეროში გათვითცნობიერებული მუშაკი მჭირდებოდა პრესმდივნად.

18 მაისს ფედერალური სასაზღვრო დაცვის ბაზაზე, ჰანგე-

ლარში, გამოსამშვიდობებელი აღლუმი მოეწყო. სერენადისთვის „დიდი მთავრის კავალერისტული მარში“ მოვითხოვე. თანამდებობაზე მყოფ მინისტრსა და ყოფილ მინისტრს შორის განსხვავება მაშინ ვიგრძენი, როდესაც მეუღლესთან და დედასთან ერთად ჰანგელარში ჩავედი: მეთაური ადრე პატაკს აბარებდა მინისტრს, ახლა კი უბრალოდ მომმართა: კეთილი იყოს თქვენი ჩამობრძანებაო.

გამოსამშვიდობებელ აღლუმს წვიმიანი ამინდი დაემთხვა და როდესაც ფედერალური სასაზღვრო დაცვის ბაზას ვტოვებდი, განწყობაც ღრუბლიანი ამინდის შესაფერისი მქონდა. ჩემი ცხოვრების მნიშვნელოვანი მონაკვეთი დასრულდა, წინ ახალი გზა იყო გასავლელი და ვერც წარმოვიდგენდი თუ ამ გზით თვრამეტი წლის განმავლობაში ვივლიდი.

ნაწილი II

# საგარეო საქმეთა სამინისტროში

## თავი 5

## ძნელი დასაწყისი

### *უწყვეტობა და ჩავარდნები*

ახალ სამინისტროში მოღვაწეობის დაწყება მხოლოდ დიად ამოცანებზე მუშაობას არ ნიშნავს, ეს ისეთ ყოფით საკითხებსაც უკავშირდება, როგორიცაა, მაგალითად, ერთი ადგილიდან მეორეზე გადასვლა. ამიერიდან ვენუსბერგზე უნდა მეცხოვრა, კიფერნვეგზე, სადაც საგარეო საქმეთა სამინისტროს რეზიდენცია მდებარეობს. ფედერაციამ ამ მიზნით ეს სახლი მაშინ შეიძინა, როდესაც სახლის პატრონი კურტ შუმახერი გარდაიცვალა 1952 წელს. 1955 წელს ამ სახლში ბინა დაიდო საგარეო საქმეთა უწყების პირველმა შეფმა ჰაინრიხ ფონ ბრენტანომ, შემდეგ გერჰარდ შრიოდერმა, ბოლოს ვილი ბრანდტმა. ვალტერ შეელი, როდესაც ის საგარეო საქმეთა მინისტრი გახდა, საცხოვრებლად რეზიდენციაში არ გადასულა, რადგან ისედაც მის სიახლოვეს ცხოვრობდა. იქ ცხოვრება არც მე მინდოდა, რადგან საგარეო საქმეთა სამინისტროდან წასვლის შემდეგ იძულებული ვიქნებოდი ისევ დამეტოვებინა. ასე რომ, რეზიდენცია საგარეო საქმეთა სამინისტროს სასტუმროდ გადავაკეთებინე, რათა უცხოელ კოლეგებს ბონში ვიზიტისას იქ ცხოვრება შეძლებოდათ. გარდა ამისა, ამ სახლში ვაწარმოებდი სტუმრებთან მოლაპარაკებებს და თანამშრომლებთან გაფართოებულ თათბირებს ვატარებდი, რათა თავი აგვერიდებინა იმ ალიაქოთისთვის, საგარეო საქმეთა სამინისტროში რომ სუფევს.

როცა საგარეო საქმეთა მინისტრი გავხდი, საგარეო უწყებაში წესად ჰქონდათ უცხოეთის დელეგაციების მიღება ბისმარკის ოთახში, სადაც კონფერენციები გრძელ მაგიდასთან იმართებოდა. მაგიდის ერთ მხარეს ჩვენ ვისხედით, მოპირდაპირე მხარეს — სხვები. კონფრონტაციული განლაგება ძალიან მიშლიდა ხელს. რთულ

პრობლემებზე და თემებზე საუბარი ხომ ბევრად იოლია, როდესაც ადამიანები გვერდიგვერდ სავარძლებში სხედან. ამგვარი განლაგებისას მოლაპარაკების ატმოსფეროც იცვლება. ამ დროს პირისპირ კი არ სხედან, არამედ – ერთად. ეს წესი მალე შევცვალე, ანუ თათბირებს ჩემს სამუშაო ოთახში ვმართავდი.

ჩემი უფლებამოსილების დაწყება საგარეო უწყებაში შიდაპოლიტიკური თვალსაზრისით მოვლენებით მდიდარ პერიოდს დაემთხვა: 1974 წლის 13 მაისს, ნაშუადღევს, ფედერალური პრეზიდიუმი და ბუნდესტაგის ფრაქცია შეიკრიბა, რათა ფედერალური კრების მიერ ფედერალური პრეზიდენტის არჩევნები მოემზადებინათ. თუ 1969 წელს გუსტავ ჰაინემანი ჯერ კიდევ ბერლინში იქნა არჩეული, ფედერალური კრება ამჯერად, 1974 წელს, ბონში, ბეთჰოვენის დარბაზში იქნა მოწვეული, რაც ბერლინის შესახებ ოთხი სახელმწიფოს შეთანხმებას შეესატყვისებოდა. ამ მუხლთან დაკავშირებით დასავლეთი დათმობაზე უნდა წასულიყო, თუმცა ღირდა: ამით უზრუნველყოფილ იქნა სამართლებრივი გარანტია და ამის შედეგად განმტკიცდა დასავლეთ ბერლინის სიცოცხლისუნარიანობა, რაც, უპირველეს ყოვლისა, დასავლეთ ბერლინში მიმოსვლის და ბერლინთან კავშირის გაუმჯობესებაში და გზების უსაფრთხოებაში გამოიხატებოდა.

14 მაისი მთლიანად კონსულტაციებს დაეთმო: გაიმართა მთავრობის სხდომა, თავისუფალი დემოკრატიული პარტიის, თდპ ფედერალური გამგეობისა და ფედერალური კრების თდპ ფრაქციის სხდომა, შემდეგ კი კოალიციური პარტიების თათბირი. მეორე დილას ბეთჰოვენის დარბაზის გვერდით მდებარე ოთახში კიდევ ერთხელ შეიკრიბა თავისუფალი დემოკრატიული პარტიის ფედერალური გამგეობა და ფედერალური კრების თდპ ფრაქცია. ჩემი წინადადებით თდპ-ს საპატიო თავმჯდომარედ ვალტერ შეელი ავირჩიეთ. ზოგიერთი კოლეგის სავსებით დაუსაბუთებელი ეჭვის გაბათილება შევძელი, რადგან, ჩემის აზრით, ეს პატივი დამსახურებულად უნდა რგებოდა წილად იმ კაცს, ვინც თდპ-ს თავმჯდომარეობა 1968 წელს უმძიმეს ვითარებაში იტვირთა. ძლიერი მმართველობითა და მკაფიოდ განსაზღვრული პოზიციით მან თავისუფალი დემოკრატები კვლავ ანგარიშგასაწევ და მნიშვნელოვან ძალად აქცია ქვეყანაში როგორც

1969 წელს ფედერალური პრეზიდენტის არჩევნებისას, ასევე თავისუფალი დემოკრატებითა და სოციალ-დემოკრატებით დაკომპლექტებული ფედერალური მთავრობის ფორმირებისას იმავე წელს. აქვე უნდა ვახსენოთ ფრაიბურგის პროგრამის თანახმად პარტიის პროგრამული განახლება, ამ პროგრამის შემუშავება და დამტკიცება მისი მოღვაწეობის პერიოდს ემთხვევა. საგარეო საქმეთა მინისტრის პოსტზე ვალტერ შეელმა ხანმოკლე რთული დასაწყისის შემდეგ მხოლოდ პრესტიჟი და ავტორიტეტი კი არ მოიპოვა, არამედ საზოგადოების მიერ ვილი ბრანდტის ტოლ-სწორ პარტნიორადაც აღიქმებოდა და საკუთარი სამართლიანადაც.

გყავდეს ისეთი საპატიო თავმჯდომარე, როგორიც ვალტერ შეელი გახლდათ, ეს თავისუფალი დემოკრატიული პარტიისათვის დიდი მონაპოვარი იყო. ეს გადაწყვეტილება მანამდე უნდა მიგვეღო, ვიდრე შეელი საპრეზიდენტო არჩევნებში მიიღებდა მონაწილეობას. 1974 წლის 15 მაისს, ოთხშაბათს, 1033 ხმიდან 530 ხმით ვალტერ შეელი ფედერალურ პრეზიდენტად აირჩიეს. მისმა მეტოქემ რიხარდ ფონ ვაიცზეკერმა 498 ხმა მიიღო, ხუთმა დელეგატმა თავი შეიკავა. გამართლდა ჩემი მოლოდინი იმასთან დაკავშირებით, რომ ვალტერ შეელი დამაჯერებელი ფედერალური პრეზიდენტი იქნებოდა; ეს ძალიან მალე და ძალზე შთამბეჭდავადაც დადასტურდა.

მეორე დღეს გერმანიის ბუნდესტაგმა ფედერალურ კანცლერად ჰელმუთ შმიდტი აირჩია. მან იმავე დღეს დადო ფიცი და ახალი ფედერალური მინისტრების დანიშვნაც იმავე დღეს მოხდა. 1974 წლის 16 მაისს, ასე და ამგვარად, შევუდექი ჩემი, როგორც საგარეო საქმეთა ფედერალური მინისტრის უფლებამოსილების შესრულებას. ფედერალურმა გამგეობამ და ფრაქციამ მანამდე თანხმობა მომცა, რომ შინაგან საქმეთა ფედერალური მინისტრის კანდიდატურა დამესახელებინა; მე დოქტორი ვერნერ მაიჰოფერი წარვადგინე, რომელიც თავისუფალ დემოკრატიულ პარტიაში ერთ-ერთ რეფორმატორად ითვლებოდა. მაიჰოფერის წარდგენით — რომელიც ცნობილი გახლდათ როგორც სამართლის ფილოსოფოსი და სისხლის სამართლის სპეციალისტი — მივანიშნებდით, რომ ლიბერალური მთავრობის პასუხისმგებლობისათვის შინაგანი ლიბერალიზმი მომავალშიც ნიშანდობლივი იქნებოდა. დოქტორმა ჰანს ფრიდერიქსმა ამ მთავრობაშიც შეინარჩუნა ეკონომიკის ფედერალური მინისტრის

თანამდებობა; იოზეფ ერტლიც — კების, სოფლისა და სატყეო მეურნეობის ფედერალური მინისტრიც — ამავე უწყებაში დარჩა.

ვერნერ მაიჰოფერის მიმართ მოწიწების განცდა მქონდა; პატივისცემას და პიროვნულ სიმპათიას იწვევდა ჩემში კაცი, რომელსაც დიდი მეცნიერული მიღწევები ჰქონდა და ყველა პოლიტიკურ საკითხთან დაკავშირებით პრინციპული ლიბერალური პოზიცია ეკავა; იოზეფ ერტლთან და ჰანს ფრიდერიქსთან კი მეგობრობა მაკავშირებდა, სამივე ერთ თაობას ვეკუთვნოდით, ამ სიტყვის ჭეშმარიტი აზრით: ერთ-ერთი მათგანი ჩემზე ორი წლით უფროსი, მეორე კი — რამდენიმე წლით უმცროსი გახლდათ. ოთხი კოლეგა-მინისტრისაგან შედგენილი ეს გუნდი დამაჯერებლად იცავდა ლიბერალურ პოლიტიკას ფედერალურ მთავრობაში. კომპეტენტურობა, პირადი ავტორიტეტი, მკაფიოდ გამოხატული ლიბერალური პოზიცია, პოლიტიკური შეხედულებების მტკიცე დაცვა, — ეს გახლდათ ის, რაც სოციალ-დემოკრატიულ პარტიასთან პარტნიორულ თანამშრომლობას ურთულეს ვითარებაშიც გვიიოლებდა. საგარეო საქმეთა სამინისტროში ჩემს თანაფრაქციელ კოლეგას კარლ მიორშსაც შევხვდი, რომელსაც სახელმწიფო მინისტრის პოსტი ეკავა; მე მას სამსახურში დარჩენა ვთხოვე; სოციალ-დემოკრატიულმა პარტიამ სხვა სახელმწიფო მინისტრის პოსტზე ჰანს იურგენ ვიშნევსკი დაასახელა. მე არ ვცნობდი „ჯვარედინ დარეგულირებებს", ამიტომ თუკი სახელმწიფო მინისტრის პოსტი სოციალ-დემოკრატიული პარტიის წარმომადგენელს უნდა დაეკავებინა, მაშინ გამოცდილ, უაღრესად ერუდირებულ და პირადად ჩემთვის ახლობელ ვიშნევსკიზე უკეთეს კანდიდატურას ვერც ვინატრებდი.

ფედერალური კანცლერი ჰელმუთ შმიდტი თავისუფალი დემოკრატიული პარტიის წარმომადგენელ მინისტრებთან ყოველთვის კორექტულ და პატიოსან ურთიერთობას ცდილობდა; მისი სტატს-მდივანი მანფრედ შიულერი, ფედერალური კანცლერის აპარატის უფროსი, შეძლებისდაგვარად ცდილობდა, რომ უწყებებს შეუფერ-ხებლად, გართულებების გარეშე ეთანამშრომლათ. შიულერს, მიუხე-დავად იმისა, რომ ძალზე მკვეთრი სოციალ-დემოკრატიული პოზიცია ჰქონდა, პირადი პოლიტიკური ამბიციები არ აწუხებდა; კლასიკური პრუსიული გაგებით ის სანიმუშო მაგალითი გახლდათ სახელმწიფო მოხელისა, რომელიც დიდი შეგნებითა და პასუხისმგებლობით

ასრულებს მოვალეობას. მთავრობის ამ საკვანძო პოზიციაზე ის მხოლოდ სახელმწიფოს ემსახურებოდა და არა საკუთარ პარტიას.

1976 წელს, ბუნდესტაგის არჩევნების დროს, ჩვენს საარჩევნო პლაკატზე თავისუფალი დემოკრატიული პარტიის ოთხი მინისტრის ფოტოპორტრეტი იყო გამოსახული. ლოზუნგი მკაფიოც იყო და ზუსტიც: „ოთხეული — ახლა საქმე მათზეა". ლოზუნგი ათვალსაჩინოებდა თვითშეგნებას, ინდივიდუალობას, ერთობასა და პიროვნული თვისებებით განსაზღვრულ ლიბერალურ პოზიციას. 1976 წელს, როგორც ყოველი საარჩევნო კამპანიისას ხდება ხოლმე, უამრავი კეთილისმსურველი გამოჩნდა, რჩევებს რომ გვაძლევდა. ზოგიერთი თანაპარტიელი იმასაც მეკითხებოდა, პარტიის თავმჯდომარე და ვიცე-კანცლერი მართლა თანახმა ხარ, რომ პლაკატზე სხვებთან ერთად, თანაც სხვების თანაბრად იყო გამოსახულიო! ამგვარი მოსაზრება გარკვეულწილად გაუგებარი გახლდათ ჩემთვის. მთავარი ხომ ის იყო, რომ საუკეთესო საარჩევნო შედეგი მიგველო, ხოლო ეს სამი კოლეგა — თავისთავად და თავისებურად — საკმაო საფუძველს იძლეოდა საიმისოდ, რომ ამომრჩეველს თავისუფალი დემოკრატიული პარტიისთვის მიეცა ხმა. შეცდომა იქნებოდა მათ ფონზე მხოლოდ პარტიის თავმჯდომარეზე აქცენტის გაკეთება და პლაკატზე მისი გამორჩეული სახით აღბეჭდვა; ობივატელური დამოკიდებულება აქ სავსებით უადგილო გახლდათ. ამიტომაც უკუვაგდებდი ამგვარ მინიშნებებს.

1974 წლის 17 მაისს, როდესაც საგარეო საქმეთა ფედერალური მინისტრის პოსტი დავიკავე, გერმანიის საგარეო პოლიტიკას ევროპის გაერთიანებისკენ მნიშვნელოვანი ნაბიჯები უკვე გადადგმული ჰქონდა. გაბედულმა სახელშეკრულებო პოლიტიკამ, მოსკოვის, ვარშავის, პრაღისა თუ აღმოსავლეთ ბერლინის ხელშეკრულებებმა მნიშვნელოვნად გააფართოვა ფედერაციული რესპუბლიკის საგარეოპოლიტიკური ქმედითუნარიანობა არა მხოლოდ ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებთან მიმართებაში, არამედ, საერთოდ, საერთაშორისო თვალსაზრისითაც. გარდა ამისა, გერმანულმა სახელშეკრულებო პოლიტიკამ 1971 წლის ოთხმხრივი ხელშეკრულების წინაპირობებიც შექმნა, ნიადაგი მოამზადა ხელშეკრულებისათვის, რომელსაც ბერლინის მდგომარეობა უნდა გაეუმჯობესებინა და გააუმჯობესა კიდეც.

სამოციანი წლების ბოლომდე აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის ურთიერთობისთვის ნიშანდობლივი გახლდათ კონფრონტაცია, საბჭოთა გავლენის ზონაში ვითარების გამკაცრება და რეპრესიების გაძლიერება. ჯერ კიდევ 1968 წელს, ერთი წლით ადრე, ვიდრე მართვის სათავეში სოციალ-დემოკრატიული და თავისუფალი დემოკრატიული პარტიებისგან ჩამოყალიბებული მთავრობა მოვიდოდა, საბჭოთა კავშირი ვარშავის პაქტის მონაწილე სახელმწიფოში, ჩეხოსლოვაკიის სოციალისტურ რესპუბლიკაში შეიჭრა და ძალადობრივი სამხედრო ჩარევის დასაძრახი ადრეული შემთხვევები შეგვახსენა: 1953 წლის 17 ივნისის სახალხო ამბოხის ჩახშობა გდრ-ში, 1956 წლის ლაშქრობა უნგრეთში და აი ახლა, 1968 წელს, ინტერვენცია ჩეხოსლოვაკიაში.

გერმანიის საგარეოპოლიტიკურმა სახელშეკრულებო პოლიტიკამ არა მხოლოდ მოსკოვთან, არამედ ცენტრალური და სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის სახელმწიფოებთან ურთიერთობის პერსპექტივები დასახა; ბონს ხომ ამ ქვეყნებთან — რუმინეთის გამოკლებით — დიპლომატიური ურთიერთობებიც კი არ ჰქონდა დამყარებული. ევროპის ეს ნაწილი ფედერაციულმა რესპუბლიკამ პოლიტიკური თვალსაზრისით მნიშვნელოვანწილად დაუთმო გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკას, მიუხედავად იმისა, რომ ეკონომიკური კონტაქტები მაშინ კარგად იყო განვითარებული.

გარდა ამისა, ფედერაციული რესპუბლიკა და იმავდროულად გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში გაწევრიანდნენ. მაშასადამე, ბონს ამ ფორუმზე თავისი პოლიტიკური შეხედულებებისა და მიზნების აქტიური დაცვის შესაძლებლობა ეძლეოდა. აღიარა რა გაეროს გენერალურ ასამბლეაზე პალესტინელი ხალხის თვითგამორკვევის უფლება, რომელსაც ჯერ კიდევ 1974 წელს დაუჭირა მხარი, გაეროს ახალმა წევრმა, გერმანიის ფედერაციულმა რესპუბლიკამ, მნიშვნელოვანი საგარეოპოლიტიკური აქცენტი გააკეთა, რაც ბოლოს და ბოლოს სხვა დასავლურმა სახელმწიფოებმაც გაიზიარეს. გაეროში გერმანიის წევრობამ ცხადყო, რომ იდეებით მდიდარ, პროგრესულ პოლიტიკას კონსტრუქციული ქმედების უნარი შესწევს; გავიხსენოთ თუნდაც ნამიბიასთან დაკავშირებული 435-ე რეზოლუცია და საკონტაქტო ჯგუფის მიერ ჩატარებული სამუშაო, ღვაწლი ჯგუფისა, რომელიც ამერიკის

შეერთებული შტატების, ინგლისის, საფრანგეთის, ფედერაციული რესპუბლიკისა და კანადის წარმომადგენლებისგან შედგებოდა. ამას ემატება გაეროს გენერალურ ასამბლეაზე გერმანიის მიერ წამოყენებული ურიცხვი ინიციატივა, რაც ადამიანის უფლებების განმტკიცებასთან იყო დაკავშირებული.

გაეროს გენერალური ასამბლეის პრეზიდენტად რიუდიგერ ფონ ვეხმარის არჩევამ საერთაშორისო აღიარება მოუტანა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის პოლიტიკას და ჩვენი პირველი მუდმივი წარმომადგენლის მოღვაწეობასა და პიროვნებასაც. ფონ ვეხმარის წყალობით ჩვენი ქვეყანა მალე ანგარიშგასაწევ წევრად იქცა, თავად ფონ ვეხმარი კი მოვალეობის დიდი შეგნებისა და მიზანსწრაფულობის გამო კოლეგების დიდი აღიარებითა და გავლენითაც სარგებლობდა. ფონ ვეხმარის შემდეგ ბონის მუდმივი წარმომადგენლები გამონაკლისის გარეშე საგარეო უწყების უმაღლესი კატეგორიის მოხელეები იყვნენ: გიუნთერ ვან ველი, ჰანს ვერნერ ლაუტენშლაგერი, ალექსანდერ გრაფ იორკ ფონ ვარტენბურგი, ჰანს-ოტყო ბროიტიგამი და დეტლევ გრაფ რანცაუ.

გაეროში თავის შესაძლებლობებს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკაც იყენებდა, თუმცა, ცხადია, მოსკოვის მიერ მიცემული დირექტივებით მოქმედებდა და ბლოკის ინტერესებს იცავდა. გდრ-ის მუდმივი წარმომადგენელი, წარმოშობით კიოლნელი პეტერ ფლორინი საბჭოთა კავშირში გაიზარდა. ამ მაღალკვალიფიციური წარმომადგენლის პრესტიჟი და გავლენა გაეროში ძალზე დაეხმარა გდრ-ს. მან გაეროს გენერალური ასამბლეის პრეზიდენტად ყოფნისას თავისი ავტორიტეტი ძალზე ობიექტურად გამოიყენა. ვინაიდან იგი 1946-48 წლებში გდრ-ის ერთიანი სოციალისტური პარტიის გაზეთის მთავარი რედაქტორი გახლდათ ჰალეში (ამ გაზეთს სტუდენტებმა მისი სახელწოდების — „თავისუფლება“ — გამო „წინააღმდეგობა თავის თავში“ ვუწოდეთ), როგორც კი ხელსაყრელი შემთხვევა მომეცემოდა საგარეო საქმეთა მინისტრ ფიშერს ჩვენი ყოველწლიური შეხვედრების დროს ვეუბნებოდი, საკუთარ დელეგაციაშიც ჰალელებით ხარ გარშემორტყმული-მეთქი.

გერმანიის სახელშეკრულებო პოლიტიკამ დასაბამი მისცა ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის პროცესის დაწყებას.

საგარეო საქმეთა მინისტრების პირველ კონფერენციაზე, როდესაც 1973 წელს ჰელსინკიში ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირთან დაკავშირებულ დოკუმენტებზე კონსულტაციები დაიწყო, ფედერაციულ რესპუბლიკას ჩემი წინამორბედი ვალტერ შეელი წარმოადგენდა. ჩემი უფლებამოსილების დაწყებისას, ჩვენის აზრით, კიდევ ორი საკითხი გახლდათ სასწრაფოდ მოსაგვარებელი ევროთათბირის ფარგლებში; პირველი გახლდათ საზღვრების მშვიდობიანი ცვლილების საკითხი, რათა გერმანიისა და ევროპის გაერთიანების შესაძლებლობა შეგვენარჩუნებინა და მეორე: საბჭოთა ტერიტორიების შეძლებისდაგვარად ჩართვა ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირის დასკვნითი აქტებით გათვალისწინებულ „ნდობის განმტკიცების ღონისძიებებში“.

პასუხისმგებლობით აღსავსე თავდაცვითი პოლიტიკური კურსის საშუალებით სოციალ-დემოკრატიული და თავისუფალი დემოკრატიული პარტიების კოალიციამ თავიდანვე დააფიქსირა, რომ გაბედული აღმოსავლური პოლიტიკის გატარება მხოლოდ უსაფრთხო, გარანტირებული თავისუფლების საფუძველზე შეიძლებოდა, ამიტომ თავდაცვითი ხარჯები გაიზარდა. თავდაცვის მინისტრები ჰელმუთ შმიდტი და გეორგ ლებერი ამ პოლიტიკის ერთგვარ გარანტებს წარმოადგენდნენ. ვილი ბრანდტი და ვალტერ შეელიც განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდნენ ევროპის გაერთიანების განმტკიცებასა და განვითარებას.

გერმანიის გაერთიანების მიღწევის გზაზე მთავარ იარაღად იქცა გერმანიის ერთიანობისადმი მიძღვნილი წერილი, რომელიც ჩემი წინამორბედის, ვალტერ შეელის მიერ იქნა ხელმოწერილი. გერმანიის საგარეო პოლიტიკის ძირითად მიზანს ის ასე განსაზღვრავდა: „მთელი ძალისხმევა ევროპაში მშვიდობის დამკვიდრებისაკენ უნდა მივმართოთ, რაც საშუალებას მისცემს გერმანელ ხალხს თავისუფალი თვითგამორკვევის საშუალებით გადაწყვიტოს გაერთიანების საკითხი“; იმავდროულად შეელმა გერმანიის მთლიანობის აღდგენის გეგმა დასახა. სხვათა შორის, ამ სტრატეგიულ დოკუმენტზე შინაგან საქმეთა ფედერალური სამინისტროს კონსტიტუციის დაცვის განყოფილებაც მუშაობდა და გადამწყვეტი როლიც შეასრულა. ეს დოკუმენტი გერმანიის გაერთიანებისათვის თავისუფალი დემოკრატიული პარტიის ათწლიანი მცდელობის შთამბეჭდავ სიმბოლოს განა-

სახიერებდა. ამ პოლიტიკას უკავშირდება ისეთი სახელები, როგორიც გახლავთ: კარლ-გეორგ პფლაიდერერი, რაინჰოლდ მაიერი, თომას დელერი, მაქს ბეკერი, ვოლფგანგ მიშნიკი, ჰანს-გიუნთერ ჰოპე, იოზეფ უნგეჰოიერი, ვოლფგანგ შოლვერი, კარლ-ჰერმან ფლახი, ჰანს-ვოლფგანგ რუბინი და ერიხ მენდე.

მაშასადამე, ბრანდტ-შეელის მთავრობის მიერ მიღწეული საბოლოო შედეგები შმიდტ-გენშერის მთავრობისთვის მშვენიერ საწყის კაპიტალს წარმოადგენდა; აქვე უნდა დავძინოთ, რომ საგარეო საქმეთა მინისტრის ვილი ბრანდტისა და მისი იმჟამინდელი სტატს-მდივნის კლაუს შიუტცის წყალობითა და ღვაწლით დიდი კოალიციის დროს შესაძლებელი გახდა ეგრეთ წოდებული „ჰარმელის მოხსენების“ შედგენა. ამ მოხსენების საფუძველზე 1967 წელს „დასავლურმა კავშირმა“ ევროპის დაყოფილობის დაძლევის პოლიტიკური გეგმა შეიმუშავა, რაც — შესაძლებლობის ფარგლებში — მყარ თავდაცვითუნარიანობასა და სოციალისტური ბლოკის ქვეყნებთან ნდობაზე დაფუძნებულ თანამშრომლობას ეყრდნობოდა. ალიანსმა უმაღლეს მიზნად აღიარა მუდმივი და სამართლიანი მშვიდობიანი წესრიგი მთელს ევროპაში; ეს გახლდათ მიზანდასახულობა, რაც მოგვიანებით კვლავ და კვლავ უნდა შეგვეხსენებინა ადამიანებისთვის როგორც გერმანიაში, ასევე მოკავშირეთა წრეშიც. ჰარმელის ანგარიშის თანახმად ევროპის გათიშულობის დაძლევის აუცილებელ წინაპირობას გერმანიის გათიშულობის დაძლევა წარმოადგენდა. მაშასადამე, ალიანსის პოლიტიკური გეგმა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკისათვის გერმანიისა და ევროპის გაერთიანების ჩარჩოპირობებს ქმნიდა.

შმიდტ-გენშერის ახალმა მთავრობამ მტკიცედ გადაწყვიტა თანმიმდევრულად მიჰყოლოდა ევროპის გაერთიანებისაკენ მიმავალ გზას; ამასთანავე ვაცნობიერებდით, რომ აღმოსავლეთთან ურთიერთობაში ყოველდღიური მძიმე გარჯა მოგვიწევდა, რათა ხელშეკრულებები სიცოცხლისუნარიანი და მოქმედი ყოფილიყო. მალევე გამოაშკარავდა, რომ ბერლინის ხელშეკრულების ზუსტი დაცვა და სრული სახით ამოქმედება განსაკუთრებულ სირთულეებს შეგვიქმნიდა. ჰელსინკის დასკვნით აქტთან დაკავშირებული მოლაპარაკებებიც საბოლოო შედეგამდე უნდა მიგვეყვანა. დასკვნით აქტს, რომელიც დასავლურ

*ბრანდტ-შველის მთავრობის ადგილი შმიდტ-გენშერის მთავრობამ დაიკავა. ყოველთვის სერიოზული ვერ იქნები.*

ღირებულებათა სისტემას ეყრდნობოდა, ნიადაგი უნდა მოემზადებინა იდეებით მდიდარი და პერსპექტიული პოლიტიკისათვის, რომლის მიზანიც დაყოფილი ევროპის გამთლიანება უნდა ყოფილიყო. დიდი პრობლემები არსებობდა პოლონეთთან ურთიერთობაშიც; ერთ-ერთი ამ პრობლემათაგანი გახლდათ პოლონეთში დარჩენილ გერმანელთა საკითხი, რომელთაც ფედერაციულ რესპუბლიკაში საცხოვრებლად გადმოსვლა სურდათ. აუცილებელი იყო მესამე სამყაროში აქტიური გერმანული პოლიტიკის გატარება, რაც ჰალშტაინის დოქტრინის დაძლევის შემდეგ შესაძლებელი გახდა. ბოლოს და ბოლოს, ფედერაციული რესპუბლიკის გავლენას გდრ-ის ცნობა-არცნობის საკითხი დიდი ხნით ვეღარ შეაფერხებდა.

შმიდტ-გენშერის მთავრობა თავის პოლიტიკურ კურსს წინამორბედი მთავრობის ტრადიციის გაგრძელებად მოიაზრებდა; ჩვენ ვუპირისპირდებოდით ყოველგვარ ფარულ მინიშნებას იმის თაობაზე, რომ, ასე ვთქვათ, „საკუთარი პროფილი“ შეგვეძინა

დემონსტრაციული უკან დახევის მანევრების, დისტანციის დაცვისა თუ ახალი აქცენტების ხელოვნური ძიების გზით, რადგან ამგვარი მიდგომა მეტწილად მერყეობისა და სისუსტის ნიშანია და სხვა არაფერი. მტკიცედ მწამდა, რომ გეგმაზომიერი და გრძელვადიანი, თანმიმდევრულად წარმართული პოლიტიკა მალე თავისთავად შეიძენდა საკუთარ პროფილს და ამას წინამორბედი მთავრობის საზიანოდ კი არა, არამედ მისი პოლიტიკის გაგრძელებითა და მის მიერ შექმნილი წინაპირობების გამოყენებით მოახერხებდა.

შმიდტ-გენშერის ახალი ფედერალური მთავრობა უფლებამოსილების დაწყებისთანავე საპარლამენტო დებატებზე წარდგა. სამშაბათს, 1974 წლის 17 მაისს, ჰელმუთ შმიდტმა პარლამენტს სამთავრობო განცხადება გადასცა. 20-21 მაისს ამ განცხადებას უკვე განიხილავდა ბუნდესტაგი. 21-22 მაისს ამას მოჰყვა ფედერალური ბიუჯეტის მეორე და მესამე განხილვა. რამდენიმე დღეში ახალმა მთავრობამ მხოლოდ განაცხადი კი არ გააკეთა თავისი პოლიტიკური კურსის შესახებ, არამედ ფედერალური ბიუჯეტის დამტკიცების შედეგად საბრძოლო ნათლობაც მიიღო ფედერალური კანცლერის არჩევნების შემდეგ, როდესაც ჰელმუთ შმიდტმა 267 ხმა მოიპოვა, რაც აშკარად აღემატებოდა აუცილებელ 249 ხმას.

საძთავრობო განცხადებაში ახალმა კანცლერმა მადლობა გადაუხადა ვილი ბრანდტს და ვალტერ შეელს სახელმწიფოებრივი ღვაწლისათვის და ხაზგასმით გამოხატა ახალი ფედერალური მთავრობის ნება-სურვილი წინამორბედთა მიერ აღებული კურსის გაგრძელებისა. თუმცა მან ახლებური აქცენტირებაც მოახდინა, გააამახვილა რა ყურადღება მსოფლიო ეკონომიკურ საკითხზე.

თითქმის იმავდროულად საფრანგეთში ჟორჟ პომპიდუს მემკვიდრე და რესპუბლიკის პრეზიდენტი გახდა დამოუკიდებელ რესპუბლიკელთა კანდიდატი ვალერი ჟისკარ დ'ესტენი. ფრანგული პოლიტიკა ამრიგად მინიმუმ შვიდი წლით განისაზღვრა. ეს არჩევნები მან სულ მცირე უპირატესობით მოიგო. 1974 წლის 19 მაისს ჟისკარმა არჩევნების მეორე ტურში ხმათა 50,81 პროცენტი მიიღო, ფრანსუა მიტერანმა – 49,19 პროცენტი.

ეს შედეგი ჩემთვის მისასალმებელი გახლდათ, რადგან ჟისკარს ვიცნობდი როგორც პროევროპულად განწყობილ პოლიტიკოსს, რაც გაერთიანების გზაზე მდგარი ევროპისათვის მნიშვნელოვანი გახლდათ.

პარტიულ-პოლიტიკური თვალსაზრისითაც ის უფრო ახლოს იდგა თავისუფალ დემოკრატიულ პარტიასთან, ვიდრე ფრანსუა მიტერანი, რომლის შესახებაც იმჟამად თითქმის არანაირი წარმოდგენა არ მქონდა. გერმანულ-ფრანგული თანამშრომლობის პერსპექტივებიდან გამომდინარე და მზარდი მსოფლიო ეკონომიკური პრობლემების გამო მისასალმებელი იყო ჟისკარის არჩევა, მით უფრო, რომ ვიცოდი, ჟისკარსა და შმიდტს ფინანსთა მინისტრობის დროიდან პოლიტიკურის გარდა პირადული ურთიერთობაც აკავშირებდათ.

ჩემთვის, როგორც საგარეო საქმეთა სამსახურის ხელმძღვანელისათვის, ყველაზე მნიშვნელოვანი ის გახლდათ, რომ ახალმა ფრანგმა პრეზიდენტმა საგარეო საქმეთა მინისტრის თანამდებობაზე გამოცდილი დიპლომატი და აღმოსავლეთ-დასავლეთისა თუ გერმანული საკითხის შესანიშნავი მცოდნე მიიწვია; ეს გახლდათ საფრანგეთის ელჩი ბონში, ჟან სოვანარგი, რომელიც აქტიურად მონაწილეობდა ბერლინთან დაკავშირებულ ოთხმხრივი ხელშეკრულების თაობაზე გამართულ მოლაპარაკებებში. მე მას კარგად ვიცნობდი და ვაფასებდი. გერმანული და დასავლეთ ბერლინის საკითხებისა თუ დასავლურ-აღმოსალური ურთიერთობების შესანიშნავი ცოდნა კარგ საფუძველს უქმნიდა ჩვენს მომავალ თანამშრომლობას.

საფრანგეთის ექვს საგარეო საქმეთა მინისტრთაგან, რომლებთანაც საგარეო საქმეთა მინისტრის პოსტზე ჩემი თვრამეტწლიანი მოღვაწეობისას ურთიერთობა მქონია, ჟან სოვანარგი პირველი გახლდათ. ყველას შესანიშნავად ესმოდა გერმანულ-ფრანგული თანამშრომლობის მნიშვნელობა და ყოველი მათგანი ძალზე შთამბეჭდავ პიროვნებას წარმოადგენდა. ყველაზე მეტად მათ შორის ჟან ფრანსუა-პონსე გამოირჩეოდა, რომელიც მამამისის ხანგრძლივი დიპლომატიური მოღვაწეობის დროიდან კარგად იცნობდა გერმანიას და შესანიშნავად ფლობდა გერმანულ ენას. პოლიტიკური გამჭრიახობა, ანალიტიკური ნიჭი, დიალოგის წარმართვის მანერა, რაც ლოგიკურობითა და ელეგანტურობით გამოირჩეოდა, — აი ყოველივე ის, რამაც მისი სახით უბადლო თანამოსაუბრე და პირადი მეგობარი შემძინა. 1989 წლის 19 ოქტომბერს მაინის ფრანკფურტში აღმოსავლეთ-დასავლეთის უსაფრთხოების შემსწავლელი ინსტიტუტის (IEWSS) ყრილობაზე შეხვედრისას, ის მკაფიოდ გამოხატავდა დადებით დამოკიდებულებას გერმანიის შესაძლო გაერთიანებასთან დაკავშირებით.

ფრანსუა მიტერანის არჩევის შემდეგ საგარეო საქმეთა მინისტრი გახდა კლოდ შეისონი, კაცი, რომელიც თხემით ტერფამდე პოლიტიკოსი გახლდათ და აქტიურად იღვწოდა ჩრდილოეთ-სამხრეთის დაახლოებისა და თანამშრომლობისათვის. გერმანია მან ჯერ კიდევ ომის შემდგომ პირველ წლებში გაიცნო, როდესაც ახალგაზრდა ოფიცერი გახლდათ. მრავალი წელია მასთან მყარი, ორმხრივ პატივისცემასა და ნდობაზე დამყარებული მეგობრობა მაკავშირებს.

კლოდ შეისონი როლან დიუმამ შეცვალა, კლასიკური ფრანგი ადვოკატის განსახიერებას რომ წარმოადგენდა; ეს უაღრესად განათლებული და კვალიფიციური პიროვნება პირადი თუ პოლიტიკური თვალსაზრისით ფრანსუა მიტერანის ნდობით აღჭურვილი ადამიანი გახლდათ. ჩვენს შორის საქმიანი ურთიერთგაგება, პირადი სიახლოვე და ბოლოს, შეიძლება ითქვას, განუმეორებელი მეგობრული ურთიერთობა დამყარდა. წარსულსა თუ მომავალზე ესოდენ ხანგრძლივად და გულღიად არც ერთ სხვა კოლეგასთან არ მისაუბრია. კვირაში რამდენჯერმე ვურეკავდით ერთმანეთს. ჩვენი პოლიტიკური კონტაქტები არც მაშინ შეწყვეტილა, როდესაც მთავრობაში პირველი თანაარსებობის – co-habitation – შემდეგ საფრანგეთის მთავრობიდან წავიდა; ადამიანური კონტაქტები ხომ არადა არ გაგვიწყვეტია. გერმანიის საოკუპაციო ხელისუფლების მიერ მძევლად აყვანილი, შემდეგ კი დახვრეტილი ფრანგის ვაჟთან საუბრებმა ფართო წარმოდგენა შემიქმნა ჩვენს ფრანგ მეზობელსა და გერმანულ-ფრანგულ თანამშრომლობაზე.

თუმცა ეს ყველაფერი მოგვიანებით მოხდა. 1974 წლის 17 მაისს, როდესაც საგარეო საქმეთა უწყების ხელმძღვანელობა ვიტვირთე, მუსიკალური თანხლება გამამხნევებელი არ გახლდათ. ნაკლად მითვლიდნენ საგარეოპოლიტიკური გამოცდილების არქონასა და უცხო ენების არასაკმარის ცოდნას. ვერას მშველოდა ვერც ის მაღალი დადებითი საზოგადოებრივი აზრი, შინაგან საქმეთა სამინისტროში მოღვაწეობისას, ურთულეს პერიოდში რომ შეიქმნა ჩემს შესახებ. თუმცა, მაშინ ამას ჩემზე ძალიან არ უმოქმედია, რადგან ანალოგიური დისკუსიები და კრიტიკა შინაგან საქმეთა მინისტრად დანიშვნის დროსაც გამოვცადე, როდესაც ერთი საკვირველი ნაკლი გამოჩხრიკეს: შეიძლება თუ არა ლიბერალი შინაგან საქმეთა მინისტრი გახდესო! ამჯერად, 1974 წელს, ენების უცოდინრობას

მსაყვედურობდნენ, რაზეც ვუპასუხე: საგარეო საქმეთა სამინისტროში თარჯიმნად მუშაობას კი არ ვაპირებ-მეთქი. სხვათა შორის, რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, დასავლელ საგარეო საქმეთა მინისტრებს შორის, მგონი, არც არავინ საუბრობს რუსულად, არაბულად, ჩინურად ან იაპონურად, მიუხედავად იმისა, რომ ამ სახელმწიფოთა მნიშვნელობა საერთაშორისო პოლიტიკაში უეჭველად დიდი გახლავთ-მეთქი.

„უცხო ენების კამპანია“ მალევე ჩაცხრა; სხვათა შორის, მისი წამომწყები ჩვენი რიგებიდან გახლდათ, რადგან თვითონ იყო დაინტერესებული საგარეო საქმეთა მინისტრის თანამდებობით. მანამდე მან ხელნაწერი წერილიც გააშანშალა, რომელშიც ქება-დიდებით მავსებდა როგორც შინაგან საქმეთა მინისტრს, თუმცა იქვე საკუთარი მაღალკვალიფიციურობით ტრაბახობდა და საგარეო საქმეთა მინისტრის პოსტისთვის ზედგამოჭრილ პიროვნებად სახავდა თავის თავს. მის კარნახს ყური არ ვათხოვე და მანაც — როგორც ერთმა მეგობარმა ჟურნალისტმა შემატყობინა — ხსენებული კამპანია გააჩაღა.

ენერგიულად და გატაცებით შევუდექი ახალი მოვალეობა-ამოცანების შესრულებას; ეს ამოცანები ხომ არც ისე უცხო გახლდათ ჩემთვის: დასავლელ პოლიტიკოსთაგან ერთ-ერთი პირველთაგანი გახლდით, ვინც მოიწონა და წინასწარი თანხმობა გამოთქვა საბჭოთა ინიციატივასთან დაკავშირებით, კონფერენციის ჩატარებას რომ გულისხმობდა, რომელსაც იმჟამად ჯერ კიდევ „საერთო ევროპული უშიშროების კონფერენცია“ ეწოდებოდა. ამჟამად კი, როდესაც ჟენევაში ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირთან დაკავშირებით მიმდინარე მოლაპარაკებები ფინალურ ფაზაში შევიდა, ჩემთვის კიდევ უფრო საინტერესო იყო გერმანულ საგარეო პოლიტიკაზე პასუხისმგებლობის აღება.

თავდაპირველად მაინც სხვა სპეციფიკურ სფეროებზე უნდა გადავრთულიყავი, რომლებიც მოგვიანებით კიდევ უფრო მეტ ყურადღებას მოითხოვდა ჩემგან: ევროპული გაერთიანება — 1974 წლის პირველ ნახევარში მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეობა ჩვენ გვეკისრებოდა — და ახლოაღმოსავლური პოლიტიკა. საგარეო საქმეთა უწყებაშიც იგივე გამოვცადე, რაც 1969 წელს შინაგან საქმეთა სამინისტროში. ამ სამინისტროშიც შესანიშნავი მუშაკები მოღვაწეობდნენ, რომლებიც მზად იყვნენ იდეები მიეწოდებინათ ახალი

მინისტრისათვის. შთამბეჭდავი გახლდათ მათი კომპეტენტურობა და მზადყოფნა ქმედებისათვის, რაც სამუშაო დროს არად დაგიდევდა და მხოლოდ და მხოლოდ მრავალფეროვანი ამოცანების შესრულებაზე იყო ორიენტირებული. საელჩოებიდან უახლესი ინფორმაცია მოედინებოდა, თავად სამინისტროში დამუშავებული ზღვა მასალა, დოკუმენტაცია, საფუძვლიან გაცნობას და შესწავლას მოითხოვდა, რაც მეტისმეტად ეწინააღმდეგებოდა ჩემს მიდრეკილებებს.

ჩემზე დიდ შთაბეჭდილებას ახდენდა თანამშრომელ ქალბატონთა თუ ბატონთა ცოდნის დონე, პიროვნული ენთუზიაზმი და მათი ოჯახის წევრების (უწინარეს ყოვლისა ძნელ რეგიონებში მოღვაწენი მყავს მხედველობაში) მზადყოფნა თავგანწირვისთვის. ამბობენ: მსახურებისათვის მზადყოფნა, სურვილი იმისა, რომ ემსახურო არა მინისტრს, არა კონკრეტულ მთავრობას თუ პარტიას, არამედ ქვეყანას და მის მოქალაქეებს, კონსტიტუციას და მის ღირებულებებს, – ეს დრომოჭმული შეხედულებაა. მე კი სხვა აზრის ვარ, მით უფრო, რომ ამ უწყებაში მიღებულმა გამოცდილებამ ამის საპირისპიროში დამარწმუნა. საგარეო საქმეთა უწყებაში მსახურების ეს ფორმა ყოველდღიურ პრაქტიკას წარმოადგენს და თანაც ყველა დონეზე, ეგრეთ წოდებული „პატარა ადამიანებიდან" დაწყებული – რომელნიც ხშირად დიდ პიროვნებებად გვევლინებიან – სტატს-მდივნებით დამთავრებული.

### *მსახიობი გუმბათქვეშ – ჰენრი კისინჯერი*

პირველი მნიშვნელოვანი შეხვედრა საზღვარგარეთელ კოლეგათაგან ჰენრი კისინჯერთან მქონდა. ბად რაიხენჰალში, სასტუმრო აქსელმანშტაინში არაფორმალური შეხვედრა გვქონდა დაგეგმილი. ექვსიოდე კილომეტრიო დაშორებული ზალცბურგიდან ამერიკელი სტუმარი მანქანით ჩამოვიდა; უამრავმა ხალხმა მოიყარა თავი და გულითადი შეხვედრა მოუწყო მას. ფეხით მოსიარულეთა ვიწრო ზონაში მისი მანქანა გზას ძლივს მიიკვლევდა. კისინჯერი ზალცბურგში გამართული საერთაშორისო პრესკონფერენციიდან მოდიოდა; მან პრესკონფერენციაზე პასუხი გასცა იმ საყვედურებს, უოტერგეიტის სკანდალთან დაკავშირებით რომ წაუყენეს. ჯერ პირისპირ ვისაუბრეთ.

კისინჯერი აღშფოთებას და აღელვებას ვერ ფარავდა ამ მოვლენების გამო და დაწვრილებით მიხსნიდა იმ მოტივებს, რომელთა გამოც იძულებული გახდა პრესკონფერენცია გაემართა. ჩანდა, რომ ამ საყვედურებმა მასზე ადამიანურად ძალზე იმოქმედა. მათ იგი სავსებით უმართებულოდ თვლიდა, და მართლაც მათი უსაფუძვლობა შემდგომმა მოვლენებმაც დაადასტურა. პრესკონფერენციის ჩატარება იმიტომ გადავწყვიტე, რომ ჩემი სამსახურის მნიშვნელობასა და ჩემი, როგორც საგარეო საქმეთა მინისტრის ქმედითუნარიანობასთან დაკავშირებული მითქმა-მოთქმა საბოლოოდ გამექარწყლებინაო. მისი თქმით, შეუძლებელია საგარეო პოლიტიკაზე იმუშაო, როცა მარტო პრეზიდენ-ტის რეპუტაციას კი არ ხელყოფენ, არამედ შენც იძულებული ხარ, ყოველი მხრიდან შეტევები მოიგერიოო.

ჩემი აზრით, კისინჯერს ამ რთულ გარდამავალ პერიოდში, 1974 წლის აგვისტოში, პრეზიდენტ ფორდის უფლებამოსილების დაწყებამდე უკვე მიუძღოდა ისტორიული დამსახურება: ის საბჭოთა კავშირის გასაგონად აცხადებდა, ნურვის ექნება იმის იმედი, რომ ამერიკული პოლიტიკის სისუსტის პერიოდს თავის სასარგებლოდ გამოიყენებსო. მაგრამ კისინჯერის მნიშვნელობა ბევრად სცილდებოდა საგარეო პოლიტიკის სფეროს. როცა მე მაშინ ამას განვმარტავდი, ცირკის მაგალითი მოვიშველიე, რომლის გუმბათქვეშ, ძალიან მაღლა, კისინჯერი გაბედულად ასრულებს ოსტატურ ილეთებს. პუბლიკა მონუსხული მისჩერებია განუმეორებელ ხელოვანს გუმბათქვეშ და ველარც ამჩნევს, როგორ ერთიანად შეუბოჭავს პრეზიდენტი ქვემოთ, არენაზე, პოლიტიკური თვითგადარჩენისათვის ბრძოლას.

დაახლოებით ორი საათის შემდეგ, როდესაც ერთმანეთი გავიცანით და პრინციპული მოსაზრებები გავუზიარეთ ერთიმეორეს, ჩვენს დელეგაციებს შევუერთდით ბად რაიხენჰალში. ამ შემთხვევაში ჩემთვის, როგორც ევროგაერთიანების საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭოს თავმჯდომარისთვის, მნიშვნელოვანი გახლდათ ის, რომ კისინჯერი და მისი სახით შეერთებული შტატები ევრო-არაბული დიალოგის მართებულობასა და სარგებლიანობაში დამერწმუნებინა, რის შესახებაც ევროგაერთიანებამ გადაწყვეტილება მიიღო. ჩვენ მაშინ მიზნად დავისახეთ ფართომასშტაბიანი ინსტიტუციონალიზებული დიალოგების საშუალებით არაბულ ქვეყნებთან ევროგაერთიანების ურთიერთობების განვითარება ამ რეგიონის სტაბილურობის

ხელშესაწყობად. მულტინაციონალური დიალოგის ინიციატივა ევროგაერთიანების ერთ-ერთ პირველ საგარეოპოლიტიკურ ნაბიჯს წარმოადგენდა. გვინდოდა, ეს ინიციატივა შეერთებულ შტატებთან შეგვეთანხმებინა, რათა არ დაგვეშვა ევროპულ-ამერიკული ურთიერთობების დაძაბვა; ახლო აღმოსავლეთი ხომ — ჩვენ ეს კარგად მოგვეხსენებოდა — ამერიკის შეერთებული შტატებისათვის განსაკუთრებული ინტერესის სფეროს წარმოადგენდა.

კისინჯერს ევროგაერთიანების ფარგლებში მჭიდრო საგარეოპოლიტიკური თანამშრომლობის საწინააღმდეგო არსებითად არაფერი ჰქონდა. გარკვეულ დისკომფორტს მაინც უქმნიდა ის აზრი, რომ ევროგაერთიანება ახლო აღმოსავლეთისკენ შებრუნდებოდა. მან გარკვევით განაცხადა: აშშ ახლო აღმოსავლეთს თავის დომენად განიხილავსო. მოლაპარაკება დიდხანს გაგრძელდა. საუბარი მეგობრულ ატმოსფეროში მიმდინარეობდა, თუმცა აზრის მკვეთრ გამოხატვასაც არ ვერიდებოდით. ბოლოს და ბოლოს კისინჯერს ყველა ეჭვი გაეფანტა. შემექმნა შთაბეჭდილება, რომ მან ამით ანგარიში გაუწია ერთ კოლეგას, რომლის პრესტიჟის საკითხი, ევროგაერთიანების საგარეო საქმეთა მინისტრების წრეში, ამერიკის საგარეო საქმეთა მინისტრთან პირველ მოლაპარაკებაზე წყდებოდა.

ჩემთვის ეს საუბარი ადამიანურად სასიხარულო გახლდათ. შესანიშნავად გავიგე და დავაფასე, რომ კისინჯერი, საერთაშორისო პოლიტიკისა და მედიის ვარსკვლავი, ერთხელაც არ აჰყოლია ცდუნებას და საკუთარი თუ თავისი ქვეყნის საერთაშორისო ავტორიტეტი ჩემთან არ გამოუყენებია; ის მესაუბრებოდა როგორც თანასწორი თანასწორს და არასდროს გამოუმჟღავნებია მენტორული ან ქედმაღლური დამოკიდებულება. პირიქით: ისეთი შთაბეჭდილება შემექმნა, რომ თავიდანვე კეთილადამიანური, ნდობით აღსავსე ურთიერთობის დამყარებას ცდილობდა. როგორც ჩანს, ჩემთან მჭიდრო თანამშრომლობით ალიანსში გერმანულ-ამერიკული კოოპერაციისა და შეთანხმებული მოქმედებების განმტკიცება სურდა. ჩემი თანამშრომლების აზრიც ამერიკელ კოლეგებთან ურთიერთობის თაობაზე ანალოგიური გახლდათ. ჩემი ყურადღება უწინარეს ყოვლისა მიიპყრო ჰელმუთ ზონენფელდტმა, წარმოშობით ალტმარკელმა, რომელიც მშობლებთან ერთად ამერიკაში გადასახლდა, რათა ნაციონალ-სოციალისტური დევნისთვის თავი გაერიდებინა. ყურადღებით ვუსმენდი,

როდესაც ამის შესახებ მიყვებოდა, რადგან ალტმარკს ხომ ჩემს მეორე სამშობლოდ ვთვლიდი. ომის შემდეგ ის ზაქსენ-ანჰალტის მხარის შემადგენლობაში შევიდა.

კისინჯერი და ზონენფელდტი ის პიროვნებები გახლდნენ, რომელთაც საკმაო საფუძველი ჰქონდათ მწარედ მოეგონებინათ გერმანია, მაგრამ გერმანიისადმი სწორედ ისინი იჩენდნენ განსაკუთრებულ ყურადღებას და ამ ქვეყნის პრობლემებსა და ინტერესებს გაგებით ეკიდებოდნენ. ისინი ამერიკის შეერთებულ შტატებში იმ ადამიანთა რიცხვში იყვნენ, რომლებიც ევროპაში მიმდინარე პროცესებში ჩაუსედავ ხალხში ანალოგიური დამოკიდებულების გაღვივებას ცდილობდნენ. მოლაპარაკებებისას ხშირად მივუთითებდი იმ ფაქტზე, რომ ახალ დემოკრატიულ გერმანიას ომის შემდგომ ამერიკაში ემიგრანტები და ის ამერიკელები უწევდნენ აგიტაციას, გერმანიაში ჯარისკაცებად რომ მსახურობდნენ ან საოკუპაციო ორგანოებში საპასუხისმგებლო თანამდებობაზე რომ მუშაობდნენ და ყოველთვის ვახსენებდი ისეთ პიროვნებებს, როგორებიც იყვნენ ლუციუს დ. კლეი და ჯონ მაკლოი.

კისინჯერი ალბათ იმის გამოც დამთანხმდა იოლად ჩემს წინადადებებზე, რომ ევრო-არაბულ დიალოგს უდღეურ ბავშვად თვლიდა და ამერიკელთა თანხმობა პრინციპში დიდ ზიანს არ მოიტანდა. ამ გადმოსახედიდან შეგვიძლია ვთქვათ, რომ ორივე მხარე თავ-თავის შეფასებაში მართალი გახლდათ. დიალოგის დაწყებამ ევროპულ-არაბულ ურთიერთობებში ახალ ერას, ნდობაზე დაფუძნებულ ახალ ურთიერთობას ჩაუყარა საძირკველი. მოლაპარაკებებს მოსალოდნელი შედეგები არ მოჰყოლია, მინისტრების დონეზე გამართულ შეხვედრებზეც პრობლემებმა იჩინა თავი, რადგან არაბული ლიგა – რომლის პოზიციაც გასაგები იყო – შეხვედრების უცილობელ წინაპირობად თვლიდა პალესტინის განმათავისუფლებელი ორგანიზაციის წარმომადგენლის მონაწილეობას მოლაპარაკებებში. მაგრამ ევროპულ-არაბულ ურთიერთობებში ძვრა შეინიშნებოდა, რამაც საბოლოოდ ახლო აღმოსავლეთთან დაკავშირებულ აქტიურ ევროპულ პოლიტიკამდე მიგვიყვანა.

ახლო აღმოსავლეთი და ევროთათბირი ხომ იმ პირველ არეალს, ფრონტს წარმოადგენდა, სადაც ევროგაერთიანება გაერთიანებული ძალებით მოქმედებდა, რაც მოგვიანებით ვენეციის ახლოაღმოსავლურმა

დეკლარაციამაც ცხადყო, რომელმაც ახლო აღმოსავლეთის საკითხის სამომავლო დარეგულირების პრინციპთა დეფინიცია მოახდინა. ისრაელ'ში ის თავიდან წინააღმდეგობას წააწყდა და შეერთებულ შტატებშიც კრიტიკულად შეფასდა. არაბულ სახელმწიფოებს კი დაანახა, რომ დასავლურ სახელმწიფოთა ერთობაში არსებობდა მთავრობები, რომლებიც, ერთის მხრივ, აღიარებდნენ ისრაელის არსებობის უფლებას და ეჭვქვეშ არ აყენებდნენ ამ საკითხს, მეორეს მხრივ, კი გაგებით ეკიდებოდნენ არაბული ქვეყნების ინტერესებს. სხვათა შორის, ვენეციის დეკლარაცია ჩემი ფრანგი კოლეგის ფრანსუა-პონსესა და ჩემი ერთობლივი შრომის ნაყოფია.

გერმანული ახლოაღმოსავლური პოლიტიკაც ახალ აქცენტებს სვამდა: რიუდიგერ ფონ ვეხმარმა, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მუდმივმა წარმომადგენელმა გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში, ჯერ კიდევ 1974 წელს განაცხადა გენერალურ ასამბლეაზე, რომ ფედერაციული რესპუბლიკა მზად არის ცნოს პალესტინელი ხალხის თვითგამორკვევის უფლება. ამგვარად, გერმანია პირველი ქვეყანა გახლდათ, რომელიც პალესტინელი ხალხის საკითხს მხოლოდ ლტოლვილების საკითხის დონეზე კი აღარ განიხილავდა, არამედ ის ეროვნული თვითგამორკვევის რანგში აპყავდა. გერმანია-ისრაელის ურთიერთობებიდან გამომდინარე, დამამძიმებელ ისტორიულ გარემოებათა გამო ამგვარი ნაბიჯის გადადგმა იოლი არ გახლდათ; მიუხედავად იმისა, რომ დარწმუნებული ვიყავი ობიექტურად სწორად ვმოქმედებდი, მაინც დიდი საგარეოპოლიტიკური გამბედაობა იყო აუცილებელი; ამიტომ საკმაო ძალისხმევა დამჭირდა ისრაელისთვის იმის განსამარტებლად, რომ პალესტინის საკითხისადმი ამგვარი აუცილებელი და სწორი მიდგომა ისრაელისადმი ჩვენს დამოკიდებულებაში არაფერს ცვლიდა. ეს არც ამ ქვეყნის არსებობის უფლებას აყენებდა ეჭვქვეშ. მე ვარწმუნებდი ისრაელის საგარეო საქმეთა მინისტრს იიგალ ალონს — რომლის სახითაც შთამბეჭდავი, მე ვიტყოდი, იდეალური პარტნიორი ვიპოვე —, რომ ჩვენ ჩვენს ისტორიულ პასუხისმგებლობას ვაცნობიერებდით. სამწუხაროდ, კიბომ მას ნაადრევად მოუსწრაფა სიცოცხლე. ალონი ისრაელის იმ უდიდეს პიროვნებებს მიეკუთვნებოდა, რომლებიც მრავალი ტაბუთი შებოჭილი ისრაელის პოლიტიკის საზღვრებს სცილდებოდნენ და ახლო აღმოსავლეთის საკითხის ხანგრძლივი ვადით მშვიდობიან გადაჭრაზე ფიქრობდნენ.

*იიგალ ალონი, ისრაელის საგარეო საქმეთა მინისტრი, მებრძოლი და რეალისტი პოლიტიკოსი, სამოცდაათიანი წლების მოლაპარაკებებში ჰანს-დიტრიხ გენშერის უცვლელი პარტნიორი. იგი გერმანელი კოლეგის პატივისცემითა და სიმპათიით სარგებლობდა.*

ალონის მემკვიდრე მოშე დაიანთანაც დადებითი ურთიერთობა დამყარდა. დაიანი, რომელიც ფოტოებზე ენერგიული და შემტევი ხასიათის კაცის შთაბეჭდილებას ტოვებდა, სინამდვილეშიც ასეთი იყო, თუმცა პირისპირ შეხვედრისას სიფრთხილეს იჩენდა; პოლიტიკური დიალოგის დროს ისეთი გახსნილი და პირდაპირი არ გახლდათ, როგორიც ალონი; შეიძლება ეს იმის გამო ხდებოდა, რომ მას საშინაო პოლიტიკაში იმგვარი მხარდაჭერა არ ჰქონდა, როგორიც ალონს, რომელსაც კიბუცის მოძრაობის სახით, დიდი დასაყრდენი ჰქონდა მუშათა პარტიის მნიშვნელოვან განშტოებაში. დაიანს კი, ამის საპირისპიროდ, სხვა პარტიაში გადასვლის შემდეგ საკმარისი ძალაუფლება არ გააჩნდა.

ჩემი საქმიანი ურთიერთობა მოშე დაიანის შემცვლელ საგარეო საქმეთა მინისტრ შიმონ პერესთან ხაზგასმით კონსტრუქციული და მეგობრული იყო, თანაც პიროვნულ სიახლოვეს ვგრძნობდი მასთან

და ძალიან ვაფასებდი. შთამბეჭდავი ადამიანი გახლდათ იცხაკ რაბინიც, რომელიც მაშინ გავიცანი, როდესაც პრემიერ-მინისტრისა და თავდაცვის მინისტრის თანამდებობაზე იმყოფებოდა.

მენახემ ბეგინთან ხშირად მკვეთრი, მაგრამ კორექტული საუბრები მქონდა. ბეგინი თავიდან თავისი პოზიციის დასაბუთებას ახდენდა, შემდეგ კი დიდი ყურადღებით უსმენდა ჩემს მოსაზრებებს. ჩვენი დისპუტების დროს ხაზგასმით აღვნიშნავდი, რომ ისრაელის მომავალი მხოლოდ ნდობის ატმოსფეროშია შესაძლებელი-მეთქი. ნდობა და დაძაბულობის შენელება შეიძლებოდა ყოფილიყო ხანგრძლივი გარანტია ამ ქვეყნის უშიშროებისათვის. გერმანიის, უპირველეს ყოვლისა კი, დასავლეთ ბერლინის მაგალითიც მოვიყვანე: ამგვარი დასაწყისი — როგორიცაა კოოპერაცია და ნდობის განმტკიცების ღონისძიებები — ისრაელისთვისაც სწორი გზა ხომ არ იქნება, რათა არაბ მეზობლებთან ინტერესთა შეთანხმებას და ზოგიერთ საკითხში თანხმობასაც მიაღწიოს-მეთქი. მრავალი ჩემი კოლეგა საგარეო საქმეთა მინისტრს, შემდგომში პრემიერ-მინისტრს, იცხაკ შამირს აღმიწერდა როგორც მკაცრ და რთულ პიროვნებას. ჩემთვის კი ის იყო კაცი, რომელიც საპასუხო არგუმენტებს უსმენდა, კაცი, რომელსაც მოსმენა შეეძლო. მას მკაფიო პოზიცია ჰქონდა, რაც ღირსებაა და არა ნაკლი იმიტომ, რომ გულწრფელად ეწადა ურთიერთგაგებისა და თანხმობის მიღწევა.

იგივე ითქმის საგარეო საქმეთა მინისტრ მოშე არენსზე, რომელსაც ჯიუტი ხასიათის კაცად ახასიათებდნენ. ახლანდელი სახელმწიფო პრეზიდენტი ვაიცმანი გავიცანი როგორც დამოუკიდებლად და არატრადიციულად მოქმედი პიროვნება.

გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა უწყებაში ყველაზე ძნელად გადასაწყვეტი საკადრო საკითხი ისრაელში ჩვენი ელჩის კანდიდატურის შერჩევა იყო. გერმანიის პირველი ელჩი ისრაელში პაულსი გახლდათ, კაცი, რომელსაც მეორე მსოფლიო ომის დროს ოფიცრის ჩინი ჰქონდა და ცალი ხელიც დაკარგა ამ ომში. ამ უაღრესად რთული და დელიკატური ამოცანის შესრულებას ის დიდი ოსტატობითა და პასუხისმგებლობით შეუდგა.

ვიდრე საგარეო საქმეთა მინისტრი გახლდით, ყოველთვის ვცდილობდი ამ პოსტზე ოპტიმალური კანდიდატურის შერჩევას. ისრაელში ვაგზავნიდი თანამშრომლებს, რომლებსაც პრესტიჟულ

ადგილზე ელჩობის ვადა ამოეწურათ, „B-9" ჯგუფის ელჩები იყვნენ და უმაღლესი ანაზღაურების მქონეთა კატეგორიას ეკუთვნოდნენ. ეს იმ დროს, როცა ისრაელი ანაზღაურების თვალსაზრისით მეორე კატეგორიის ქვეყნად ითვლებოდა („B-6"). ჩვენი თანამშრომლები თანახმანი იყვნენ ამ ერთგვარ დაქვეითებაზე, რათა ისრაელში მუშაობის საშუალება მისცემოდათ. აქაც ვლინდებოდა გერმანელი დიპლომატთა მოვალეობის გრძნობა, დიპლომატებისა, რომელნიც სამსახურს ღირსების საქმედ მიიჩნევდნენ. ჩვენმა ელჩებმა, როგორიც გახლდათ პუტკამერი, პერ ფიშერი, კლაუს შიუტცი, ნილს ჰანზენი, ვილჰელმ ჰაასი და ოტო ფონ დერ გაბლენცი, ყველამ თავისებურად წვლილი შეიტანა ისრაელსა და გერმანიას შორის ნდობის განმტკიცების საქმეში. ისრაელის საზოგადოებას, ადამიანებს გერმანიისადმი ნდობა არ უნდა განელებოდათ.

ევროგაერთიანების ახლოაღმოსავლურმა პოლიტიკამ შემდგომ წლებში ხმელთაშუა ზღვის პოლიტიკამდე მიგვიყვანა, რაც უპირველეს ყოვლისა ხმელთაშუა ზღვის მიმდებარე სახელმწიფოებთან ეკონომიკურ თანამშრომლობას გულისხმობდა: მაღრიბის – არაბული სამყაროს დასავლეთ ნაწილში მდებარე – სახელმწიფოებთან ხელშეკრულებებს მაშრიყის – არაბული სამყაროს აღმოსავლეთ ნაწილში მდებარე – სახელმწიფოებთან და ისრაელთან ხელშეკრულებების დადება მოჰყვა. ევროგაერთიანებაში ზოგიერთი პარტნიორი ქვეყანა ეჭვს გამოთქვამდა ისრაელთან „ხმელთაშუა ზღვის ხელშეკრულების" გაფორმების თაობაზე. აქედან გამომდინარე, მთელი ძალით ვცდილობდი ისრაელთან ხელშეკრულების რატიფიკაციას მაშრიყის ხელშეკრულებების თანადროულად, იმდენად მნიშვნელოვანი მეჩვენებოდა ის ზომიერი ახლოაღმოსავლური პოლიტიკისათვის. ამ ხელშეკრულებიდან ისრაელის გამორიცხვა არა მხოლოდ მისი დისკრიმინაციისა და ამ ხალხის მიმართ ჩვენს ისტორიულ პასუხისმგებლობაზე უარის თქმის ტოლფასი იქნებოდა, არამედ ამას შეეძლო აღმოსავლეთში ისედაც არამყარი ვითარების დესტაბილიზაცია გამოეწვია. ამ ხელშეკრულების ყველაზე აქტიური მოწინააღმდეგე იტალია გახლდათ. ამის გამო საგანგებოდ გავემგზავრე რომში, რათა იტალიის მთავრობა ხელშეკრულების აუცილებლობაში დამერწმუნებინა.

თუმცა დავუბრუნდეთ ჰენრი კისინჯერთან ჩემს პირველ მოლაპარაკებას. ბად რაიხენჰალში ჩემთვის ყველაზე მნიშვნელოვანი

გახლდათ, დამერწმუნებინა აშშ, რომ ევროპელთა ახლოაღმოსავლური დიპლომატია ამერიკის ინტერესებს არ ეწინააღმდეგებოდა, პირიქით: ვაშინგტონთან შეთანხმებულ, ერთობლივ მოქმედებას ესწრაფოდა. ახლო აღმოსავლეთის მიმართ ევროგაერთიანების პოლიტიკური თავშეკავება ზიანს აყენებდა გაერთიანების ინტერესებს. ეს კი არც აშშ-ის ინტერესებში შედიოდა. მაშინდელ წევრ სახელმწიფოთა უმრავლესობას — ცხრა სახელმწიფო იყო გაერთიანებული: საფრანგეთი, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა, დიდი ბრიტანეთი, იტალია, ჰოლანდია, ბელგია, ლუქსემბურგი, ირლანდია და დანია — ამ რეგიონის ქვეყნებთან ისედაც ისტორიულად განპირობებული პოლიტიკური და ეკონომიკური ურთიერთობები ჰქონდა, თუმცა ეს ურთიერთობები განსხვავებული ფესვებიდან იყო აღმოცენებული. ამას ემატებოდა გერმანია-ისრაელის ურთიერთობის განსაკუთრებული ხასიათი. ამ ფონზე აუცილებელი გახლდათ არაბული ლიგის ქვეყნებთან თანაბარ დონეზე ერთობლივი დიალოგი.

როგორც ევროგაერთიანების თავმჯდომარემ, ვისარგებლე კისინჯერთან შეხვედრით, რათა ატლანტიკური ურთიერთობების დეკლარაცია მომემზადებინა; ეს დეკლარაცია 1974 წლის 19 ივნისს ოტავაში ნატოს წევრ სახელმწიფოთა საგარეო საქმეთა მინისტრების დონეზე შეხვედრისას უნდა მიგვეღო და 26 ივნისს ბრიუსელში მთავრობის მეთაურთა მიერ უნდა ყოფილიყო ხელმოწერილი. ამ დეკლარაციის მიზანი გახლდათ ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების, როგორც დასავლეთის უშიშროების საფუძვლის განმტკიცება და ამგვარად, სხვა საგარეოპოლიტიკური მცდელობებისთვის, — როგორიცაა დაძაბულობის შენელება და განიარაღება, — წინაპირობების შექმნა და გამყარება. ამის მიღწევა, უპირველეს ყოვლისა, ამერიკის შეერთებული შტატებისა და დასავლეთ ევროპის კოორდინირებული მოქმედებით შეიძლებოდა. დოკუმენტი თოთხმეტ მუხლს მოიცავდა და ხაზგასმით გამოხატავდა, რომ საერთო მიზნების განხორციელებისათვის აუცილებელი იყო „მჭიდრო კონსულტაციების, თანამშრომლობისა და ორმხრივი ნდობის შენარჩუნება“.

ბად რაიხენჰალში ჩვენ ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირის სამომავლო პოლიტიკური გეგმებიც განვიხილეთ. განსაკუთრებით მაღელვებდა ნდობის ღონისძიებების საკითხი, რადგან, ჩემი ღრმა რწმენით, ძალისმიერი მუქარისა და ძალის გამოუყენებლობის

მუხლს მხოლოდ მაშინ ექნებოდა აზრი ევროთათბირის ფარგლებში, თუ იმავდროულად დაეუშვებდით საზღვრების მშვიდობიანი და ურთიერთშეთანხმებული გადასინჯვის შესაძლებლობას. გარდა ამისა, ჩემში გარკვეულ ეჭვს ბადებდა შეიარაღებული ძალების ორმხრივი, თანაბარი შემცირების საკითხი და მასთან დაკავშირებული მოლაპარაკებები; დაუშვებლად მიმაჩნდა ფედერაციული რესპუბლიკის იზოლირება ანდა მისი განსაკუთრებულ პირობებში ჩაყენება, კერძოდ ის, რომ ფაქტობრივად მხოლოდ ბუნდესვერის შემცირება მოგვეხდინა. კამათი გამოიწვია იმ საკითხმა, შეიარაღებული ძალების განსაზღვრისას ბლოკებისთვის საერთო ზედა ზღვარი უნდა დაგვედგინა, თუ ეგრეთ წოდებული ეროვნული ზედა ზღვარი (national ceilings). ეს ბოლო ვარიანტი არსებითად ბუნდესვერისთვის, როგორც ბლოკის ყველაზე ძლიერი კონვენციური სამხედრო ძალისათვის, განსაკუთრებული როლის თავს მოხვევა იქნებოდა. ეს კი არც ფედერალური მთავრობის და არც ნატოს ინტერესებში არ შედიოდა.

ამიტომ მკაფიოდ განვუმარტე კისინჯერს, რომ სკეპტიკურად ვიყავი განწყობილი ევროპაში შეიარაღებული ძალების ორმხრივი პროპორციული შემცირების გეგმისადმი, რადგან ლაპარაკი იყო მხოლოდ უძლიერესი კონვენციური არმიის არსებით შემცირებაზე, მაშინ როდესაც სხვა მონაწილე მხარეებს შეეძლოთ თავი აერიდებინათ ჩვეულებრივი შეიარაღებული ძალების შემცირებასთან დაკავშირებული ფორმალური ვალდებულებებისათვის, რასაც ისინი სახელშეკრულებო სივრციდან თავისი შეიარაღებული ძალების ნაწილობრივი გაყვანა-გადაადგილებითაც მოახერხებდნენ. უპირველეს ყოვლისა ეს საბჭოთა კავშირის შეიარაღებულ ძალებს ეხებოდა. საერთო ზედა ზღვრის ვალდებულების აღების შემთხვევაშიც მხოლოდ ბუნდესვერი დაზარალდებოდა, რადგან მისთვის შეუძლებელი გახლდათ შესამცირებელი საჯარისო ნაწილების გაყვანა აღნიშნული ხელშეკრულების ზონიდან. ამგვარი ვალდებულების აღების შემთხვევაში სრულიად წარმოუდგენელი იქნებოდა, რომ ჩვენ საჯარისო ნაწილების სტაციონირებას რომელიმე მოკავშირე ქვეყნის ტერიტორიაზე შევძლებდით.

საგარეო საქმეთა მინისტრსა და თავდაცვის მინისტრს გეორგ ლებერს ამ საკითხზე ერთი აზრი აქვთ-მეთქი, ვუმტკიცებდი კისინჯერს. თუმცა თანხმობა არ ვრცელდებოდა სოციალ-დემოკრატიულ პარტიაზე და ინგლისის ლეიბორისტული პარტიის ყველა ნაწილზე. რამდენიმე

წლის შემდეგ, უმაღლესი დონის შეხვედრაზე ჩეკერსში ეს უთანხმოება კიდევ ერთხელ ვიგრძენი, როდესაც საგარეო საქმეთა მინისტრმა დევიდ ოუენმა პირისპირ საუბრისას საყვედურებით ამავსო: ევროპაში შეიარაღებული ძალების ორმხრივი თანაბარი შემცირების შესახებ ვენაში მიმდინარე მოლაპარაკებებს საერთო ზედა ზღვრის დაჟინებული მოთხოვნით ართულებთო. ჩემი არგუმენტების საპასუხოდ მითხრა: ბონის სამთავრობო კოალიციაში სხვაგვარი მოსაზრებებიც არსებობსო. ამაზე ლაკონიურად ვუპასუხე: ვიდრე გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრი ვარ, იმ ფაქტს უნდა შეეგუოთ, რომ ეროვნულ ზედა ზღვართან დაკავშირებით შეთანხმებას ვერ მივაღწევთ-მეთქი.

ახლოაღმოსავლური პოლიტიკის შემდგომი განვითარებისას, უპირველეს ყოვლისა, კოოპერაციულ ხელშეკრულებებთან დაკავშირებით — რომელთა გაფორმებასაც ევროგაერთიანებას ჯერ ასეანთან (სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ქვეყნების ასოციაციასთან) და სხვა რეგიონალურ დაჯგუფებებთან ვურჩევდი — მოწოდებით გამოვდიოდი, რომ სპარსეთის ყურის თანამშრომლობის საბჭოს წევრ ქვეყნებთანაც დაგვედო შესაბამისი ხელშეკრულება. ეს თანამშრომლობა სტაბილიზაციას უფრო მეტად შეუწყობდა ხელს. როცა რეგიონალურ სახელმწიფოთა დაჯგუფებებთან ერთად კოოპერაციული ხელშეკრულებების გეგმაზე ვმუშაობდი, ერთი მოსაზრებით ვხელმძღვანელობდი: შეუძლებელი იყო გლობალური სტაბილიზაციის მიღწევა ერთ ღამეში და თანაც ყველგან, მაშასადამე, რეგიონალური სტაბილურობის შეძლებისდაგვარად მსოფლიო მასშტაბით განვრცობა უნდა გვეცადა; ამის მიღწევას კი სხვადასხვა სახელმწიფოთა დაჯგუფებებს შორის თანამშრომლობის განვითარებით და ხელშეწყობით შევძლებდით. ამ მხრივ ძალზე მამხნევებდა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდებაში გათვალისწინებული შესაძლებლობა იმისა, რომ სახელმწიფოებს უფლება ჰქონდათ რეგიონალურ ორგანიზაციებში, ეგრეთ წოდებულ „გარიგებებში“ გაერთიანებულიყვნენ. იდეა, რომელიც ამის მიღმა იმალებოდა, ძალზე აზრიანი გახლდათ: რეგიონალურ ორგანიზაციებს შეეძლოთ გაეროს მიერ მათი აღიარება მოეთხოვათ; მათი აღიარების შემთხვევაში მსოფლიო ორგანიზაცია უფლებამოსილი ხდებოდა ამ გეოგრაფიულ სივრცეში კონფლიქტში ჩარევის პრივილეგია რეგიონალური „გარიგებებისთვის“ გადაეცა. მაგრამ 1989 წელს,

დიადი გარდაქმნის წინარე პერიოდი ჯერ კიდევ არ ქმნიდა შესაფერის წინაპირობებს იმისათვის, რომ ევროგაერთიანებას, ასეანს*, სპარსეთის ყურის სახელმწიფოთა თანამშრომლობის საბჭოს და ცენტრალური ამერიკის ქვეყნების გაერთიანებას, როგორც რეგიონალურ ორგანიზაციებს, აღიარება მოეპოვებინათ გაეროს წესდების შესაბამისად. გაეროს ქმედითუნარიანობისათვის საერთოდ, უპირველეს ყოვლისა, უშიშროების საბჭოსთვის და წესდების შესაბამისი რეგიონალური გარიგებებისათვის მნიშვნელოვანი გახლდათ ის, რომ მსოფლიოს გამოიშველ-გამმიჯნველი ნაპრალი — აღმოსავლეთ-დასავლეთის კონფლიქტი — აუცილებლად დაძლეულიყო.

ჰენრი კისინჯერთან მალე უამრავი შეხვების წერტილი გამიჩნდა. მინისტრების დონეზე ნატოს საბჭოს პირველივე შეხვედრამ, რომელიც 17-19 ივნისს ოტავაში გაიმართა, ჩვენ უფრო მეტად დაგვაახლოვა. ორივეს ძალიან გვიტაცებდა ფეხბურთი, კისინჯერი ხშირად კითხულობდა გერმანული ფეხბურთის ამბავს და ამიტომ 1974 წლის 3 ივლისს დორტმუნდის მსოფლიო ჩემპიონატზე დავპატიჟე. ჩვენ ჯერ დიუსელდორფში დანიშნულ მოლაპარაკებებზე შევხვდით ერთმანეთს, მერე კი ერთად დავესწარით თამაშს. დედაჩემის ერთმა ნაცნობმა ქალბატონმა — ჰუზემაიერმა — რომელიც წარმოშობით ზიოსტიდან გახლდათ, ამერიკის საგარეო საქმეთა მინისტრს ამის გამო პულოვერი მოუქსოვა, რომელიც სტადიონზე გადავეცი მას. ეს მომენტი პრესამ ისევე ფართოდ გააშუქა, როგორც მატჩზე ჩვენი დასწრების ამბავი. ჰენრისთვის კი ადამიანურად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა გერმანელი ქალის ამ ჟესტს: მარტო სახელმწიფო მოღვაწეთა მიერ ხელის ჩამორთმევა როდი კმარა.

1974 წლის პირველი იანვრიდან ევროგაერთიანების საბჭოს თავმჯდომარე გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის წარმომადგენელი გახლდათ. თავმჯდომარე ყოველ ნახევარ წელიწადში ერთხელ იცვლებოდა და მე მხოლოდ მცირე ხნით ვიმყოფებოდი ამ თანამდებობაზე: 1974 წლის 17 მაისიდან 30 ივნისამდე.

---

* ასეანი — სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის სახელმწიფოთა ასოციაცია (ASEAN). (რედ.)



*გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრსა და მის ყოფილ ამერიკელ კოლეგას პოლიტიკის გარდა პირადი მეგობრობაც აკავშირებდათ. სურათზე ჰენრი კისინჯერი და ჰანს-დიტრიხ გენშერი ლიზა ჰუზემაიერის მიერ მოქსოვილი პულოვერებით ხელში ვესტფალიის სტადიონზე დორტმუნდში.*

და მაინც: ის, რომ თუნდაც ბოლო რამდენიმე კვირის განმავლობაში შესაძლებლობა მომეცა საბჭოს თავმჯდომარის „ფეხსაცმელი მომეზომებინა", კარგის მომასწავებელი, სიმბოლურიც კი მეჩვენებოდა. ევროპის გაერთიანება ჩემი თაობის ამოცანად მესახებოდა, იმ თაობის ამოცანად, რომელმაც ცნობიერად გამოსცადა, იწვნია და გადაიტანა მეორე მსოფლიო ომი. გერმანია ევროპული დემოკრატიების ერთობის წევრად გვეხილა – მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ხომ ამ იმედით ვსულდგმულობდით, ამას ვნატრობდით! თუ მეხსიერება არ მღალატობს, ეს სურვილი ჯერ კიდევ იმ წლებში გვქონდა, როდესაც საჰაერო ავიაციის თანაშემწეებად და სავალდებულო სამუშაოებზე ვმსახურობდით და განდობილთა ვიწრო წრეში უკვე ვსაუბრობდით იმ დროზე, „ამის შემდეგ" რომ დადგებოდა.

1974 წლის 17-19 ივნისს ოტავაში გამართულ ნატოს საგარეო საქმეთა მინისტრების საგაზაფხულო სესიაზე როგორც ყოველთვის

ოთხი ქვეყნის – აშშ-ის, დიდი ბრიტანეთის, საფრანგეთისა და ფედერაციული რესპუბლიკის – საგარეო საქმეთა მინისტრები შეიკრიბნენ. შეკრება ბერლინისა და საერთოდ გერმანიის თემას ეძღვნებოდა. ამ წრეში ჩემი პირველი მონაწილეობის შემდეგ დავფიქრდი იმაზე, რომ გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრთან სამი დასავლელი კოლეგის შეხვედრა უფრო ფართო აზრით გამოგვეყენებინა. პირველივე შემთხვევით უნდა მესარგებლა და ჩემი თვალსაზრისი კოლეგებისთვის გამეზიარებინა. ჯერ კი, 18 ივნისის საღამოს კანადის პრემიერ-მინისტრმა პიერ ტრიუდომ ვახშამზე მიგვიწვია. დაუვიწყარი იყო შთაბეჭდილება, როცა ტრიუდო თავის ახალგაზრდა, თეთრ სამოსში გამოწყობილ მეუღლესთან ერთად შემოვიდა დარბაზში. ტრიუდოს ქორწილი საერთაშორისო მნიშვნელობის მოვლენა გახლდათ და ნატოს შეხვედრას გარკვეულწილად საზოგადოებრივი ელფერიც შესძინა. ვახშმის შემდეგ საგარეო საქმეთა მინისტრები უფრო თავისუფალ ატმოსფეროში შევიკრიბეთ აივანზე; ნატოს გენერალური მდივანი იოსეფ ლუნსი თავშესაქცევ ანეგდოტებს გვიყვებოდა; მას ანეგდოტების ამოუწურავი რეპერტუარი ჰქონდა და ბევრი მათგანი თავად მასზე იყო შეთხზული.

1974 წლის 6 ივლისს, ამჯერად მისბახში, ხელახლა შევხვდი საგარეო საქმეთა მინისტრ კისინჯერს, რომელიც ჩემი მოწვევით ჩამოვიდა. განსაკუთრებულ მნიშვნელობას ვანიჭებდი მის ინფორმაციას მოსკოვში გამართული ევროთათბირის დასკვნით აქტთან დაკავშირებული მოლაპარაკებების შესახებ. აქ გამოხატულება პოვა ბად რაიხენჰალში ჩვენი პირველი შეხვედრის რეზულტატმა, როდესაც მივუთითე თუ რაოდენ მნიშვნელოვანი იყო საზღვრების მშვიდობიანი შეცვლის (peaceful change) ჩართვა ჰელსინკის დასკვნით აქტში. კისინჯერი მიყვებოდა: გრომიკოს თავიდანვე ვაცნობე, რომ საზღვრების მშვიდობიანი შეცვლის ჩართვა გვსურდა საზღვრების ურღვევობასთან დაკავშირებულ პრინციპშიო. გრომიკომ ეს მიუღებლად ცნო, თუმცა მზადყოფნა გამოთქვა, რომ სუვერენული თანასწორობის შესახებ პირველ პრინციპში მითითება შესულიყო. კისინჯერს უთქვამს: ამ შემთხვევაში წინასწარ რეგისტრირებული ფორმულირება ჟენევაში უნდა გადაისინჯოსო. გრომიკოს უკითხავს, სავარაუდო ფორმულირებას ხომ არ შემოგვთავაზებთო და კისინჯერს ჩვენს მიერ შემუშავებული ტექსტი გადაუცია საბჭოთა საგარეო საქმეთა მინისტრისთვის: „In

accordance with international law the participating states consider that their frontiers can be changed through peaceful means and by agreement" („მონაწილე სახელმწიფოები საერთაშორისო კანონის შესაბამისად მიიჩნევენ, რომ მათი საზღვრები შეიძლება შეიცვალოს მშვიდობიანი გზით და შეთანხმებით". ინგლ.) გრომიკო დათანხმებია კისინჯერს, — ამ ვარიანტს გადავამოწმებო, თუმცა შემდგომ საუბრებში ამ მუხლს აღარ დაბრუნებია. ტექსტის გადაცემისას კისინჯერს ხაზგასმით უთქვამს: ეს ჯერჯერობით მხოლოდ ამერიკული მხარის წინადადებაა და უფრო ზუსტი ტექსტი დასავლელ პარტნიორებთან, უპირველეს ყოვლისა კი გერმანელებთან ერთად უნდა განვიხილოო.

ეს გახლდათ მოლაპარაკებების ოსტატურად წარმართვის კლასიკური შემთხვევა. ვარაუდობდა რა, რომ საბჭოთა კოლეგები ამ კომპრომისული წინადადებიდან ხელახალ კომპრომისს გამოიყვანდნენ, კისინჯერმა განაცხადა, პროექტის ავტორი მხოლოდ ამერიკული მხარეა — რაც არსებითად სწორი იყო — და იგი უპირველეს ყოვლისა გერმანულ მხარესთან შეთანხმებას საჭიროებსო. მაშასადამე, თუ გრომიკო შესწორებას მოითხოვდა, ნებისმიერ დროს შეგვეძლო გერმანიის სახელით დამატებითი მოთხოვნები წაგვეყენებინა, რათა ცვლილებებთან დაკავშირებული პრეტენზიები დაგვებალანსებინა.

კისინჯერმა მკითხა, რა დამოკიდებულება გაქვთ ამ ფორმულირებასთან დაკავშირებითო. მე ის დიდ მიღწევად შევაფასე, თუმცა ვისურვებდით, რომ „მშვიდობიანი შეცვლის" (peaceful change) პრინციპის შემოტანასთან ერთად პირველ ფორმულაში დამატებით ჩაგვეწერა: „Nothing in the present declaration shall effect that right" („ამჟამინდელ დეკლარაციაში არაფერმა არ უნდა მოახდინოს გავლენა ამ უფლებაზე". ინგლ.). კისინჯერის აზრით, იმჟამად ამ დამატების შეტანა ძალზე გაგვიძნელდებოდა. ვუპასუხე: დამატებაზე უარს ვიტყვით, თუ მეათე ფორმულაში მკაფიოდ იქნება გაცხადებული, რომ ყველა პრინციპი ეკვივალენტურია და ყოველი ცალკეული პრინციპის ინტერპრეტირება მხოლოდ სხვა პრინციპის კონტექსტში მოხდება-მეთქი. ამ საკითხში კისინჯერმა მხარდაჭერა აღმითქვა. მის შეკითხვაზე, ვინ გამართავს მოლაპარაკებას საბჭოეთთან ამასთან დაკავშირებითო, ვუპასუხე: ჩემის აზრით, გონივრული იქნება, თუ ამ კონტაქტს ამერიკული მხარე გააგრძელებს-მეთქი. ამის შემდეგ

მან მზადყოფნა გამოთქვა, რომ მომავალ ოთხშაბათს ამ საკითხებზე დობრინინს დაელაპარაკებოდა.

ჩემთვის მნიშვნელოვანი გახლდათ, რომ ამერიკის შეერთებული შტატებიც ითავისებდა ამ მოთხოვნას. ბუნებრივია, გრომიკო თავდაპირველად იმედოვნებდა, რომ გერმანია ამ საკითხში მარტო დარჩებოდა. გერმანელებისადმი ვაშინგტონის მხარდაჭერა ან უფრო მეტიც: ამერიკული წინადადება, რომელსაც გერმანელები გაიზიარებდნენ, ცხადია, უფრო მალე იქნებოდა მიღებული.

შემდეგ საფრანგეთის მოთხოვნასთან დაკავშირებითაც ვისაუბრეთ; საფრანგეთი მეათე ფორმულაში იმის დაფიქსირებას ითხოვდა, რომ სახელმწიფოთაშორისი ურთიერთდამოკიდებულების პრინციპთა დეკლარაცია არ უნდა შეხებოდა არსებულ უფლებებს, ხელშეკრულებებსა და შეთანხმებებს, რომლებიც მონაწილე სახელმწიფოებთან გაფორმდა ან გულისხმობდა მათ. ჩვენი აზრით, აქ საერთო მისწრაფებაში იყო საქმე. ჩვენც ხომ დაინტერესებულნი ვიყავით ამით, რადგან ისინი დასავლეთ ბერლინთან დაკავშირებულ ჩვენთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან უფლებებსაც მოიცავდა.

ჩვენ დასკვნითი აქტის სხვა საკითხებსაც დავუთმეთ დრო, განსაკუთრებით კი ნდობის განმტკიცების ღონისძიებების გავრცელების არეალის საკითხს. საგარეო საქმეთა უწყებაში რომ დავიწყე მუშაობა, ამ უწყების პოლიტიკურმა დირექტორმა გიუნთერ ვან ველმა — დღევანდელი გადმოსახედიდან შეიძლება ვთქვა, რომ ის ჩემთვის ყველაზე მნიშვნელოვან მრჩეველს წარმოადგენდა საგარეოპოლიტიკურ საკითხებში — ორ საკვანძო პრობლემაზე მიმანიშნა, რომლებიც იმ ვითარების გამო, რაც მე იქ დამხვდა, ჩვენი თვალსაზრისის შესაბამისად უნდა შეცვლილიყო: ერთი გახლდათ არსებული საზღვრების მშვიდობიანი შეცვლის საკითხი და მეორე — გავრცელდებოდა თუ არა ნდობის განმტკიცების ღონისძიებების მოქმედების არეალი საბჭოთა ტერიტორიაზე. კისინჯერი დამეთანხმა, მიუღებელი იქნება, თუ ნდობის განმტკიცების ღონისძიებები ყველა ევროპულ სახელმწიფოზე გავრცელდება, ხოლო საბჭოთა კავშირი მასზე უარს იტყვისო. აუცილებელი არ არის საბჭოთა კავშირის მთელი ევროპული ნაწილი ჩაერთოს ამ პროცესში, თუმცა პრინციპულ მოსაზრებათა გამო რაღაც მონაკვეთის ჩართვა აუცილებელიაო. კისინჯერმა შემოგვთავაზა, ხუთასკილომეტრიანი ზონა მოგვეთხოვა, რათა ბოლოს სამას

კილომეტრზე მაინც შევთანხმებულიყავით. ვფიქრობდით, რომ გადამწყვეტი უნდა ყოფილიყო პრინციპი: საბჭოთა ტერიტორია ნდობის განმტკიცების ღონისძიებებისთვის ტაბუირებულ ზონად არ უნდა დარჩენილიყო, და ამგვარად აქაც შეეძლებდით შეთანხმების მიღწევას. სამწუხაროდ, ამას ევროთათბირის ყველა სფეროს მიმართ ვერ ვიტყვით. ნდობის განმტკიცების ღონისძიებები კი, განიარაღებას რომ ემეზობლებოდნენ, ამერიკელებმა — რომლებიც კისინჯერის მოღვაწეობის პერიოდში განსაკუთრებულად იყვნენ სამხედრო წონასწორობაზე კონცენტრირებულნი — მართებულად აღიარეს. გადამწყვეტ მნიშვნელობას ვანიჭებდით ნდობის განმტკიცების ღონისძიებებში საბჭოთა ტერიტორიის სულ მცირე ერთი საკონტროლო მონაკვეთის ჩართვის მოთხოვნას და ამით არსებული ტაბუს დარღვევას. ამის საშუალებით მთელი საბჭოეთის ჩართვის პერსპექტივა ნდობის განმტკიცების ღონისძიებებში შესაძლებლობის სახით მაინც იარსებებდა, მით უფრო, რომ ახალწამოწყებული პროცესის შეუქცევადობაში დარწმუნებულნი ვიყავით.

აქვე განვიხილეთ ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირის ეგრეთ წოდებული მესამე ფაზის, ანუ დასკვნითი კონფერენციის მნიშვნელოვანი საკითხი. ეს კონფერენცია სახელმწიფო და მთავრობის მეთაურთა დონეზე უნდა დასრულებულიყო, და ჩემი აზრით — რასაც კისინჯერი სრული გაგებით მოეკიდა —, მეორე ფაზის გასრულების შემთხვევაში ლოგიკური იქნებოდა, თუ მესამე ფაზაც უმაღლეს დონეზე ჩატარდებოდა. მთელი რიგი ქვეყნებისა ისედაც ასე მოიქცეოდა; უარს თუ იტყოდა, დასავლეთი უხერხულ სიტუაციაში ჩავარდებოდა. სხვათა შორის, შეუძლებელია მეორე ფაზაზე მიღწეულს დაეთანხმო და იქვე განაცხადო: იმდენად უბადრუკი რეზულტატი მივიღეთ, რომ უმაღლეს დონეზე ამის დამტკიცება არ ღირსო. კისინჯერი დაინტერესდა, შესაძლებელი იქნებოდა თუ არა მეორე ფაზის, ანუ დასკვნითი დოკუმენტის განხილვის შეწყვეტა. ცხადია, ეს რიტორიკული შეკითხვა გახლდათ, რადგან ის მეთანხმებოდა, რომ ამგვარი პოზიცია კიდევ უფრო დაამძიმებდა საერთაშორისო მდგომარეობას, უფრო მეტიც: გააუფასურებდა მიღწეულ შედეგებს, რაც მეტისმეტი იქნებოდა. ამიტომ შევთანხმდით, რომ უმაღლეს დონეზე დასკვნითი თათბირის ჩატარებას დაეთანხმებოდით — რაშიც საბჭოთა კავშირი მნიშვნელოვანწილად იყო დაინტერესებული — და

ჩვენი თანხმობა შემდგომი დათმობების — კონცესიების — მოთხოვნასთან დაგვეკავშირებინა.

მისბახში ჩვენი შეხვედრისას კისინჯერმა ისარგებლა ხანგრძლივი გასეირნებით, რათა განემარტა ჩემთვის მისი საგარეოპოლიტიკური ფილოსოფია, საბჭოთა კავშირის მისეული ხედვა და ის, თუ რა დასკვნები გამოჰქონდა აქედან ამერიკულ საგარეო პოლიტიკას. მისი აზრით, გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა საბჭოთა მთავრობასთან უშუალო დიალოგს. საბჭოთა ელჩს ვაშინგტონში, დობრინინს, ამის გამო პრივილეგირებული მდგომარეობა მივანიჭე, რადგან დობრინინს უშუალო, პირდაპირი კავშირი აქვს ბრეჟნევთანაც და გრომიკოსთანაც. ასე რომ, მისი საშუალებით საბჭოთა ხელმძღვანელობასთან პირდაპირ შემიძლია აზრთა გაცვლა-გამოცვლა ვაწარმოოო, — მითხრა მან.

საერთოდ, შეიძლება ითქვას, რომ მისბახის შეხვედრა სამმაგი თვალსაზრისით გახლდათ წარმატებული: ადამიანური ურთიერთობის თვალსაზრისით, კისინჯერსა და ჩემს შორის რომ დამყარდა; ჩვენს მიერ შექმნილი სამუშაო ატმოსფეროს თვალსაზრისით, და ბოლოს ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირის თვალსაზრისით, რაც ესოდენ მნიშვნელოვანი გახლდათ გერმანიის საგარეო პოლიტიკისათვის. ჩვენ სამ მნიშვნელოვან საკითხზე მივაღწიეთ შეთანხმებას: საზღვრების მშვიდობიანი შეცვლის საკითხზე, საბჭოთა ტერიტორიის გარკვეული ნაწილის ნდობის განმტკიცების ღონისძიებებში ჩართვის საკითხზე, და შევიმუშავეთ ერთობლივი აზრი იმის თაობაზე, რომ მეორე ფაზის შედეგიანი დასრულების — ანუ დასკვნით აქტზე შეთანხმების მიღწევის — შემდეგ სახელმწიფო და მთავრობის მეთაურთა დონეზე თათბირის ჩატარება დასავლეთის ინტერესებში შედიოდა.

ჩემთვისაც ეს გახლდათ მთავარი, რადგან ევროთათბირს — თუკი ის შედგებოდა — გერმანიის სამოქმედო ახალ საგარეოპოლიტიკურ ასპარეზად განვიხილავდი. ის საშუალებას გვაძლევდა გვეთამაშა აქტიური, დიახ, გავლენიანი როლი დასავლეთ-აღმოსავლეთის ურთიერთობაში ისე, რომ შეზღუდულნი არ ვიქნებოდით ოთხმხრივი ხელშეკრულებით დადგენილი სამართლებრივი ნორმებით. ჩვენი ინტერესების დაცვასაც შევძლებდით საერთო დასავლურ პოლიტიკაში, ევროგაერთიანებასა და ნატოში; ახალი იდეების, ფართო კონტაქტებისა

და აღმოსავლური ხელშეკრულებების მულტილატერალურ ფარგლებში გამოყენების საშუალებით თანდათან განვავითარებდით ვარშავის პაქტის წევრ ქვეყნებთან ურთიერთობებსაც. გარდა ამისა, დასკვნითი აქტი ხელსაყრელ პირობებს ქმნიდა გერმანულ-გერმანული ურთიერთობის გაუმჯობესებისათვის.

კისინჯერთან საუბრის გაგრძელების შემთხვევა მალევე მომეცა. ივლისში შეერთებულ შტატებში გავემგზავრე, რათა ამერიკის საგარეო საქმეთა მინისტრს ამჯერად ვაშინგტონში შევხვედროდი. ნიქსონის ადმინისტრაცია ბოლო დღეებს ითვლიდა, ხოლო ვაშინგტონში პოლიტიკურ ატმოსფეროს უოტერგეიტის სკანდალი განსაზღვრავდა.

ამერიკაში მომხდარი უდიდესი შიდაპოლიტიკური ძვრების პირობებში კისინჯერის ღონიერი საგარეოპოლიტიკური აქტივობით მოხიბლულმა გადაეწყვიტე ჩემი მოღვაწეობის პერიოდში განსაკუთრებული ყურადღება დამეთმო საგარეოპოლიტიკური ქმედითუნარიანობის საკითხისათვის. საგარეო და უშიშროების პოლიტიკა საშინაო ან პარტიული პოლიტიკის მოახლედ არ უნდა მექცია; ეს გახლდათ გადაწყვეტილება, რომელსაც მრავალი გამოცდისთვის უნდა გაეძლო; ასეთი გამოცდები გახლდათ: ნატოს ორმაგი გადაწყვეტილების ხორცშესხმა, გერმანიის გაერთიანების ურყევი, თანმიმდევრული პოლიტიკური კურსის გატარება, ორმაგი ნულოვანი გადაწყვეტილების განხორციელება — ანუ გამალებული შეირაღების შეწყვეტა, რაც საშუალო რადიუსის ბირთვული შეიარაღების დაბალანსებას ითვალისწინებს — და ლანსის ტიპის რაკეტების მოდერნიზაციის უარყოფა 1989 წელს, — ანუ დროის იმ მონაკვეთში, როდესაც სოციალისტურ სისტემაში აშკარა წინააღმდეგობებმა იჩინა თავი —, და იმ ისტორიული შანსის შეცნობისათვის ბრძოლა, რომელსაც გორბაჩოვი და მისი პოლიტიკა გვთავაზობდა.

## *პრეზიდენტი, რომელიც ასპარეზს ტოვებს და ახალი მოითხოვნები*

ამერიკის შეერთებულ შტატებში ვიზიტი პრეზიდენტ ნიქსონთან შეხვედრასაც ითვალისწინებდა; ნიქსონი დასავლეთ სანაპიროზე სან კლემენტეს აგარაკზე იმყოფებოდა. მაშინ ჯერ არ ვიცოდი, რომ ნიქსონის ბოლო უცხოელი სტუმარი ვიყავი, ისევე როგორც ჩემი წინამორბედი ვალტერ შეელი იყო უკანასკნელი საზღვარგარეთელი სტუმარი, რომლის საუბარი ნიქსონთან თეთრ სახლში მაგნიტოფირზე იქნა ჩაწერილი. შეელთან საუბრის შემდეგ ნიქსონი შვეულმფრენით პირდაპირ უოლტერ რიდის კლინიკაში გაემგზავრა და ჯერ კიდევ იქ იმყოფებოდა, როდესაც ეგრეთ წოდებული უოტერგეიტის სკანდალი დაიწყო.

კისინჯერმა შემომთავაზა: ვაშინგტონიდან ჩემი თვითმფრინავით გავემგზავროთ სან კლემენტეში, თუმცა იცოდე, შუაგულ დასავლეთში შევჩერდებით, რადგან იქ ერთი სენატორის განმეორებითი არჩევნებია დაგეგმილი, სენატში მისი ხმა ჩემთვის ძალზე მნიშვნელოვანია და იმედი მაქვს, ჩემი სტუმრობით მხარდაჭერას აღმოვუჩენო. გარდა ამისა, შეგვიძლია შემთხვევით ვისარგებლოთ და ამერიკის საკონტინენტთაშორისო რაკეტების პოზიციებიც მოვინახულოთო. კისინჯერმა სარაკეტო ბუნკერები და ის განყოფილებები დამათვალიერებინა, სადაც მომსახურე პერსონალი იყო განთავსებული. დეტალურად მიხსნიდნენ რაკეტის ავტომატური ან უნებართვო გაშვების შესაფერხებლად რა ტექნიკური საშუალებები იყო გათვალისწინებული იმ შემთხვევისთვის, თუკი მომსახურე პერსონალი ვერ მოახერხებდა თავისი მოვალეობის შესრულებას. უცხო პირს ამ სახის დანადგარები პირველად აჩვენეს. ბოლოს დასავლეთ სანაპიროსაც მივაღწიეთ; ღამე სან კლემენტეს ერთ-ერთ სასტუმროში გავათიეთ, რომელსაც ღია აუზიც ჰქონდა, ჰოდა, მეც ამომწურავად ვისარგებლე ამ შემთხვევით.

მეორე დილით, ერთ მშვენიერ ნაკვეთში გასეირნებისას, რომელიც ნიქსონის სახლსა და იქიდან ცოტა დაცილებულ ბიუროებს შორის მდებარეობდა, ომისდროინდელ და ომის შემდგომ ამერიკულ პოლიტიკაზე ვისაუბრეთ. კისინჯერს ვუთხარი: ჩემთვის დღემდე გაუგებარია, ამერიკის შეერთებულმა შტატებმა რატომ დაუთმო საბჭოთა კავშირს

ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპა; მესმის, რომ საბჭოთა კავშირმა, რომელმაც ჰიტლერულ გერმანიასთან ბრძოლის მთელი სიმძიმე იტვირთა, გერმანიაში საოკუპაციო ზონა მიიღო, მაგრამ ჩეხოსლოვაკია და პოლონეთი, ქვეყნები, რომლებიც ჰიტლერის პირველი მსხვერპლი გახდნენ, საბჭოთა გავლენის სფეროში რატომ დატოვეს-მეთქი. კისინჯერის აზრით, გადამწყვეტი მოლაპარაკებებისას დასნეულებული რუზველტი იმ მრჩეველთა ზეგავლენას განიცდიდა, რომლებიც პრომოსკოვურად იყვნენ განწყობილნი.

გასეირნების შემდეგ ჩვენს თანამშრომლებს შევხვდით იმ კომპლექსის ტერასაზე, რომელიც მხოლოდ იმ მიზნით ააშენეს, რომ პრეზიდენტს საზაფხულო რეზიდენცია ჰქონოდა, სადაც შვებულების დროსაც შეძლებდა სამსახურებრივი საქმეების მოგვარებას. მოულოდნელად ვაშინგტონიდან დამირეკეს: ფედერაციული რესპუბლიკიდან დასავლეთ ბერლინისკენ მიმავალ გზატკეცილზე ყველა შუქნიშანზე წითელი ენთო. ახლა რაღა უნდა მომხდარიყო? ამის მიზეზი, ცხადია, იმ გადაწყვეტილებაში უნდა გვეძებნა, რომლის თანახმადაც გარემოს დაცვის ფედერალური სამსახური ბერლინში დაფუძნდებოდა. მოწმე გავხდი კისინჯერის აშკარა და კატეგორიული გამოსვლისა ბერლინში ჩვენი საერთო ინტერესების დასაცავად, რისთვისაც მან ამერიკის შეერთებული შტატების ზეგავლენა გამოიყენა. ჰელმუთ ზონენფელდს მოლაპარაკებების შეწყვეტა უბრძანა; გდრ-ის დელეგაციასთან დიპლომატიური ურთიერთობების დამყარების თაობაზე მოლაპარაკებები ვაშინგტონში მიმდინარეობდა; გდრ-ის მხარეს განუცხადეს: გზის გახსნამდე მოლაპარაკებები არ განახლდებაო. თავისი თანამშრომლის ჰარტმანის საშუალებით მან საბჭოთა ელჩს, დობრინინს, შეატყობინა: დამაკავშირებელი ავტოსტრადის ჩაკეტვას ვაშინგტონი შეერთებული შტატებისა და საბჭოთა კავშირის ურთიერთობის საქმედ განიხილავსო. კისინჯერი გადაწყვეტილებებს იღებდა და განკარგულებებს გასცემდა მაშინ, როდესაც მზით გასხივოსნებულ აივანზე ერთად ვისხედით. გზის დაკეტვის შესახებ ინფორმაციის მიღებამდე გრილ სასმელს შევექცეოდით, პიჯაკები გავიძრეთ და უფრო პირად ამბებზე ვსაუბრობდით, ვიდრე პოლიტიკურ პრობლემებზე.

ნიქსონთან საუბარი ამის შემდეგ შედგა. პრეზიდენტი მშვიდად და აუღელვებლად უძღვებოდა საუბარს, რამაც ჩემზე დიდი

შთაბეჭდილება მოახდინა. ძნელი წარმოსადგენი არ გახლდათ, რა განწყობა ექნებოდა იმ წუთებში. მისი პრეზიდენტად ყოფნა-არყოფნის საკითხი იდგა, ძნელი სათქმელი იყო, როგორ დამთავრდებოდა იმპიჩმენტის, მის წინააღმდეგ აღძრული საპარლამენტო ბრალდების, განხილვის პროცესი. საგარეო საქმეთა მინისტრის, კისინჯერის გარდა, მოლაპარაკებებში მონაწილეობდნენ: ელჩი ჰილენბრანდი, ჩვენი ელჩი ფონ შტადენი და მინისტერიალდირექტორი ვალ ველი. ნიქსონი კონცენტრირებული და შესანიშნავად მომზადებული გახლდათ — რითაც მყისვე იცნობ საგარეო პოლიტიკურ საკითხთა პროფესიონალს — და ასევე წარმართავდა მოლაპარაკებებს, რომელთა მსვლელობისას ის აშკარად განიტვირთებოდა კიდეც. ხშირად ხაზგასმით აღნიშნავდა: ჩვენ იდენტური შეხედულებები გვაქვს ისეთ საკითხებთან დაკავშირებით, როგორიცაა ევროპა-აშშ-ის ურთიერთობა, ნატო, ეკონომიკური თუ სავალუტო პოლიტიკა, ხმელთაშუა ზღვის ვითარება, დაძაბულობის შენელების პოლიტიკა, ევროთათბირი თუ — ცხადია — ბერლინის საკითხიო. საუბარი იმ საჭირბოროტო პრობლემებზე წამოვიწყე, რომლებთან დაკავშირებითაც პრეზიდენტმა ბრიუსელში ფედერალურ კანცლერთან საუბრისას წუხილი გამოხატა, კერძოდ, იმ სიტუაციასთან დაკავშირებით, ხმელთაშუა ზღვის მომიჯნავე ქვეყნებში რომ შეიქმნა. სამწუხაროდ, თქვენი შეშფოთება გამართლდა, როგორც უახლესი დროის მოვლენებმა გვიჩვენეს-მეთქი. პორტუგალია სერიოზული პრობლემების წინაშე დგას, ხოლო — ადრე თუ გვიან — ფრანკოს ან ტიტოს გადადგომის შემთხვევაში, რა მოხდება ესპანეთსა და იუგოსლავიაში, ამის განჭვრეტა შეუძლებელია, არავინ იცის ეს ქვეყნები ამის შემდეგ რა გზას დაადგებიან-მეთქი. ხმელთაშუა ზღვის სიტუაციიდან გამომდინარე, ალიანსს შეგნებული უნდა ჰქონოდა, რომ აუცილებელი იყო კონფლიქტების, კრიზისების პროგნოზირებისა თუ დაძლევის პოლიტიკური საშუალებების სრულყოფა-გაუმჯობესება. ამ კონტექსტში ურთიერთთანამშრომლობის მაგალითიც მოვიშველიე, კარგი თანამშრომლობის მაგალითი, რომელიც კვიპროსის კრიზისის დროს არსებობდა ევროგაერთიანების წევრ სახელმწიფოებსა — რომელთა რიცხვი მაშინ ჯერ კიდევ ცხრა გახლდათ — და აშშ-ს შორის. ალიანსის ამოცანები,— განვაგრძობდი მე,— სამ განზომილებას მოიცავს: კრიზისების პროგნოზირებასა და დაძლევას, დესტაბილიზაციის გამომწვევი, ხელშემწყობი ეკონომიკური

პრობლემების გათვალისწინებას და თავდაცვას-მეთქი. პრეზიდენტი მიესალმებოდა ფედერაციულ რესპუბლიკასა და აშშ-ს შორის არსებულ ერთსულოვნებას ეკონომიკური პოლიტიკის საკითხებში. მან თქვა, ფედერალურმა კანცლერმა შმიდტმა 1974 წლის 26 ივნისს ბრიუსელში გამართულ ნატოს შეკრებაზე, სწორედ ამ კუთხით, ჩემზე ძალზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა; ბოლოს და ბოლოს ჩვენ ყველანი ერთნაირად ვხედავდით ინფლაციასთან ბრძოლის უზარმაზარ მნიშვნელობასო.

ნატოს დებატებისას, სხვა მრავალ გამომსვლელთაგან განსხვავებით, რომლებიც ალიანსის წმინდად თავდაცვითი პოლიტიკის საკითხებზე საუბრობდნენ, ჰელმუთ შმიდტის არგუმენტაცია მართლაცდა დამავჯერებელი გახლდათ: პოლიტიკურ სტაბილურობას სწორედ ეკონომიკური და სოციალური სტაბილურობა განაპირობებსო, — განაცხადა მან.

პრეზიდენტმა და მე იტალიასა და ევროგაერთიანების სხვა სახელმწიფოებში ევროკომუნიზმთან დამოკიდებულების საკითხებზეც ვისაუბრეთ. ნიქსონი აღტაცებული ჩანდა იტალიის პრემიერ-მინისტრის გამბედაობით. შემდეგ პორტუგალიის დემოკრატიზაციის გაურკვევლობაზე ვილაპარაკეთ და მის მეზობელ ესპანეთში შექმნილი ვითარების საკითხს დავუბრუნდით. რაც შეეხება ესპანეთს,— განვმარტე მე,— კომუნისტური პარტია, ჩვენი შეფასებით, იქ ყველაზე უკეთ ორგანიზებულ შიდაპოლიტიკურ ფაქტორს წარმოადგენს. დასავლეთმა ახლავე უნდა სცადოს დიალოგის დაწყება ფრანკოს პოტენციურ შემცვლელებთან დემოკრატიულ ბანაკში, რათა ესპანეთს დემოკრატიის გზა გაუკვალოს, რაც ამავე დროს ამ ქვეყნის ალიანსთან დაახლოების ხელშეწყობაც იქნება-მეთქი.

იუგოსლავიამ, — განვაგრძე მე, — მომავალშიც უნდა შეინარჩუნოს დამოუკიდებლობა; დასავლეთმა მკაფიოდ უნდა აუხსნას საბჭოთა კავშირს, რომ ამ ქვეყანაზე ზეწოლის პოლიტიკა შეუთავსებელია დაძაბულობის შენელების პოლიტიკასთან-მეთქი. პრეზიდენტი დამეთანხმა: უფრო მეტი რამ უნდა გაკეთდეს, რათა ესპანეთი დასავლურ დემოკრატიათა ოჯახში გაერთიანდეს, მაგრამ ჩრდილოატლანტიკური კავშირის პარტნიორ ქვეყნებსა და თავად ამერიკის შეერთებულ შტატებშიც ცნობილი შიდაპოლიტიკური სირთულეები არსებობსო. მადრიდის მთავრობის მოსალოდნელი შეცვლის გამო

ხელახლა უნდა ვეცადოთ ამ ქვეყნის ევროპასთან დაახლოებასო.

ბოლოს ამერიკის სენატის წევრებთან დაძაბულობის შენელების საკითხებთან დაკავშირებით გამართულ დიალოგზე ვესაუბრე ნიქსონს: ჩვენ სხვა ალტერნატივას ვერ ვხედავთ, ამიტომ საქმე იმაში კი არ არის, დეტანტი, როგორც ასეთი, მივიღოთ თუ არ მივიღოთ, არამედ იმაში, თუ რა სახის დაძაბულობის შენელების პოლიტიკა უნდა გავატაროთ: მოჩვენებითი თუ რეალისტური. ამ პოლიტიკის წარმატება მხოლოდ თავდაცვის გაძლიერებაზე იქნება დამოკიდებული, რადგან მანამდე, სანამ საბჭოთა კავშირი სამხედრო უპირატესობისაკენ ისწრაფვის, დაძაბულობის შენელების პოლიტიკამ უსაფრთხოების ილუზია არ უნდა შეგვიქმნას. უსაფრთხოების უზრუნველყოფა მხოლოდ ჩრდილოატლანტიკურ კავშირს შეუძლია-მეთქი. დაძაბულობის შენელების პოლიტიკური ამოცანა კონფლიქტების მოწესრიგებაში, თავიდან არიდებაში, ვითარების პოზიტიურ შეცვლაში უნდა მდგომარეობდეს და მის კონსტრუქციულ პოლიტიკურ დანიშნულებასაც სწორედ ეს წარმოადგენს-მეთქი.

ევროთათბირის საკითხზე შემდგომ პრეზიდენტმაც გაამახვილა ყურადღება: ჩემთვის სავსებით გასაგებია თქვენი მოთხოვნა საზღვრების მშვიდობიანი შეცვლის შესაძლებლობის დაფიქსირებასთან დაკავშირებით. საბჭოეთთან მთელი ძალით ვიცავდით ამ საკითხს, რაც ოღლი არ გახლდათო. მე ვუმტკიცებდი: ევროთათბირთან ურთიერთობაში მნიშვნელოვან წარმატებას მივაღწიეთ და თუ შედეგი გაამართლებს, თათბირის უმაღლეს დონეზე ჩატარებას უნდა ვეცადოთ-მეთქი. ახლაც შეგვიძლია ეს სავარაუდო ფორმულირება ელემენტის სახით ჩავრთოთ მოლაპარაკებებში. სხვათა შორის, საზღვრების მშვიდობიანი შეცვლა არა მხოლოდ გერმანელთა, არამედ მთელი ევროპის ინტერესებში შედის, ვინაიდან გერმანიის გაყოფა ხომ ევროპის გაყოფის გამოხატულებაა და ერთი მეორის გარეშე ვერ დაიძლევა-მეთქი.

ნიქსონი დამეთანხმა: საზღვრების მშვიდობიან შეცვლას სწორედ გაყოფილი ევროპისთვისა აქვს დიდი მნიშვნელობა. საბჭოთა კავშირი უბრალოდ ვეღარ შეძლებს ევროპის შუაგულში საზღვრის გავლებას და იმის დაკანონებას, რომ საზღვრის გაღმა თუ გამოღმა მხარეს აღარაფერი შეიცვლება. მხოლოდ ერთი კითხვა მებადება, როგორ მივაღწიოთ ამ ფორმულირების (peaceful change) გატანა-განხორციელებასო. ნათელია, რომ აღმოსავლეთ ევროპის — სოციალისტური

ბლოკის — ქვეყნები დამოუკიდებლობისაკენ ილტვიან, ამიტომ უფლება არა გვაქვს რკინის ფარდის სამარადჟამო რატიფიცირება მოვახდინოთ, რისი სურვილიც საბჭოთა კავშირს აშკარად ამოძრავებსო. ამიტომ კისინჯერმა, მე და სხვა დასავლელმა კოლეგებმა, მთელი ჩვენი ძალისხმევა და უნარი იქითკენ უნდა მივმართოთ, რომ საზღვრების მშვიდობიანი შეცვლის მიღწევისათვის აუცილებელი გეგმა შევიმუშაოთო.

ამის შემდეგ პრეზიდენტმა მთხოვა ჩემი ევროპელი კოლეგებისთვის, რვა საგარეო საქმეთა მინისტრისთვის, შემეტყობინებინა: მთავარია ერთსულოვნება დასავლეთ ევროპასა და აშშ-ს შორის. განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ევროპის დიდ სახელმწიფოთა ურთიერთშეთანხმებულ მოქმედებას, რაც აუცილებელია კონტინენტის სამხრეთ ნაწილში დესტაბილიზაციის საფრთხის თავიდან აცილებისთვისო. ეს საფრთხე კი დაუყოვნებლივ გაჩნდება, თუ დასავლეთ ევროპასა და შეერთებულ შტატებს შორის უთანხმობა წარმოიშვება. ამიტომ ბოლო კვირას ჩატარებულ მჭიდრო კონსულტაციებს უაღრესად პოზიტიურ პროცესად ვთვლი. ეკონომიკური, სავალუტო თუ პოლიტიკური საკითხების გამო ჩვენს შორის განხეთქილება არავითარ შემთხვევაში არ უნდა დაუშვათო. ასევე დაუშვებელია სეპარატული მოქმედება. საფრანგეთის ახალი პრეზიდენტი — იგულისხმებოდა ჟისკარ დ'ესტენი — ეკონომიკურ და საგარეო პოლიტიკურ საკითხებში შესანიშნავად გარკვეული კაცია, მას დიდი გეგმები აქვს, ოღონდ ანგარიში უნდა გაუწიოს კრიტიკულ შეფასებებს, მის მიმართ შიდაპოლიტიკურ საკითხებთან დაკავშირებით რომ გამოთქვამენ, თუმცა ზედმეტად ნუ დავაჩქარებთ, მთავრობის გასაძლიერებლად მას ჯერ დრო სჭირდებაო. საფრანგეთი ჟისკარის ხელმძღვანელობით, დარწმუნებული ვარ, ევროპაში კონსტრუქციულ როლს ითამაშებს; თანაც, გერმანულ-ფრანგულ ურთიერთობას საკვანძო მნიშვნელობა ენიჭებაო. ნიქსონის სიტყვები პოლიტიკურ ანდერძს ჰგავდა, იმ პრეზიდენტის ანდერძს, რომელმაც იცის, რომ უფლებამოსილების ვადა ამოეწურა, და აკი მართალიც აღმოჩნდა.

მალევე გაირკვა, თუ რა მნიშვნელობა ჰქონდა ჩვენს ბრძოლას დემოკრატიის განმტკიცებისათვის პორტუგალიაში. კისინჯერის ბონში სტუმრობით ვისარგებლე, რომ ვაშინგტონისთვის ახალი მთავრობის

*საფრანგეთის პრეზიდენტი ვალერი ჟისკარ დ'ესტენი, ვალტერ შელი და ჰანს-დიტრიხ გენშერი.*

მოთხოვნები გამეცნო. ამავე დღეებში ჩვენთან სტუმრად იმყოფებოდა რევოლუციური პორტუგალიის საგარეო საქმეთა მინისტრი, მაიორი ანტუნეში. ის იმ ახალგაზრდა ოფიცერთაგანი გახლდათ, ვინც სამხედროთა მიერ ახლად შექმნილი მთავრობის შემადგენლობაში შევიდა. ითვლებოდა, რომ ანტუნეში კომუნისტებს თანაუგრძნობდა. პირისპირ ხანგრძლივი საუბრისას, როდესაც პორტუგალიის საელჩოს ბაღში – რომელიც რაინზე გადიოდა და საიდანაც ზიბენგებირგეს მშვენიერი ხედი მოჩანდა – ბოლთას ვცემდით, ანტუნეშმა ამიხსნა: ახალგაზრდა ოფიცრებს – თვითონ აფრიკაში დისლოცირებულ ნაწილში იმყოფებოდა – სალაზარის დიქტატურის დროს ერთადერთ შესაძლებლობად სოციალისტური ალტერნატივა გვესახებოდაო. თქვენ არ იფიქროთ, რომ ჩვენ საბჭოთა ზეგავლენას განვიცდით; მართალია, გამოცდილება არ გაგვაჩნია, მაგრამ პლურალისტურ დემოკრატიას ვესწრაფვითო. ეს მამაკაცი გულწრფელი ადამიანის შთაბეჭდილებას ტოვებდა. გიმნიხში მყოფ კისინჯერს დავურეკე და ვურჩიე: ანტუნეშთან შეხვედრის შესაძლებლობა გამოიყენე-მეთქი. კისინჯერი თავიდან

ყოყმანობდა, თუმცა ჩემს დაჟინებულ მოთხოვნას მაინც დაჰყვა და ანტუნეში შუაღამისას მიიღო გიმნიხის სასახლეში. მათ შორის მოლაპარაკებამ რამდენიმე საათს გასტანა. მეორე დღეს ამერიკელმა კოლეგამ დამიდასტურა: მეც დადებითი აზრი შემექმნა ანტუნეშზეო. კისინჯერის უტყუარი, შეუმცდარი შეფასების უნარი აქაც გამოვლინდა.

ეს საუბარი ძალზე მნიშვნელოვანი გახლდათ იმის გამოც, რომ მაშინ ვაშინგტონში ზოგ-ზოგიერთი უკვე იმაზე ფიქრობდა, კომუნისტების მიერ ძალაუფლების ხელში ჩაგდების შემთხვევაში, ჩრდილოეთიდან პორტუგალიაში გადაესხა ნატოს ჯარები, რათა ხელისუფლების არასასურველი შეცვლისთვის ხელი შეეშალა; ამგვარ ქმედებას ავანტიურულადაც ვთვლიდი და არარეალისტურადაც. ჩემი აზრით, უმჯობესი იქნებოდა პარტიებსა თუ პროფკავშირებში დემოკრატიული ძალების გაძლიერებისთვის შეგვეწყო ხელი.

მოლაპარაკებების დროს ხაზგასმით ვუმეორებდი ამერიკელ პარტნიორებს: გერმანიაში არსებული პარტიები ამ საკითხში ერთსულოვანნი არიან-მეთქი. ჩვენ ყველანაირად ვცდილობთ გავაძლიეროთ პორტუგალიის დემოკრატიული პარტიები და პროფკავშირი, მით უფრო, რომ პორტუგალია დემოკრატიული ტრადიციების ქვეყანაა. ამიტომ ეჭვი არ გვეპარება, რომ დემოკრატიული წყობილება დამყარდება, თუკი დასავლეთის დემოკრატიული ქვეყნები ახლა სწორად იმოქმედებენ-მეთქი. ევროგაერთიანებამ, როგორც კი პორტუგალია გარდამავალ პერიოდს გადალახავს, ამ ქვეყანას თავის რიგებში გაერთიანება უნდა შესთავაზოს. იგივე ეხება ესპანეთსაც. როგორც კი ფრანკო მოკვდება, ესპანეთის ნატოში გაწევრიანებაზე უნდა ვიზრუნოთ-მეთქი.

მას შემდეგ, რაც პრეზიდენტის პოსტი დატოვა, ნიქსონი პირველად კაიროში პრეზიდენტ სადათის დაკრძალვაზე ენახე 1981 წლის ოქტომბერში. ნიქსონი ორ ყოფილ პრეზიდენტთან — ფორდთან და კარტერთან — ერთად ჩამოვიდა, რათა ეგვიპტის სახელმწიფო მეთაურისათვის უკანასკნელი პატივი მიეგო. როცა ერთმანეთს შევხვდით, ნიქსონმა გაიხსენა ჩვენი მოლაპარაკება სან კლემენტეში. როგორც ჩანს, მასაც ჩემსავით დაამახსოვრდა კეთილგანწყობილი მთავრობის წარმომადგენელთან ბოლო საუბარი.

რიჩარდ ნიქსონი, რომელსაც მანამდე კიდევ ორჯერ შევხვდი აშშ-ში, უკანასკნელად 1994 წლის 18 მარტს ენახე ბონში, მის

გარდაცვალებამდე რამდენიმე კვირით ადრე. ნიქსონი მოსკოვის ვიზიტის შემდეგ პირდაპირ ბონში ჩამოვიდა. ამერიკის ელჩმა ბონში, ჰოლბრუკმა, თავის რეზიდენციაში სადილად დაგვპატიჟა. ოთხმოცდაერთი წლის ნიქსონმა ხელახლა განმაცვიფრა ნათელი გონებით, მკაფიო მეხსიერებით, როდესაც მოსკოვში მოგზაურობის შთაბეჭდილებებს გვიზიარებდა და იმ შედეგებზე მოგვითხრობდა, რაც ამ ვიზიტს უნდა მოეტანა ამერიკული და საერთოდ დასავლური პოლიტიკისათვის. სადილის დასრულების შემდეგ მასთან პირისპირ საუბრის შესაძლებლობა მომეცა. ის ერთმნიშვნელოვნად მოითხოვდა რუსეთის რაც შეიძლება ფართო თანამონაწილეობას საერთაშორისო ურთიერთთანამშრომლობის პროცესში, მის ჩართვას „დიდი შვიდეულის" უმაღლესი დონის შეხვედრებში, რომლის მერვე წევრადაც ეს ქვეყანა უნდა მიიღონო. ნიქსონი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა გერმანულ პოლიტიკას დასავლეთ-აღმოსავლეთის ურთიერთობების ფორმირების პროცესში.

უეჭველია: რიჩარდ ნიქსონი, როგორც საგარეო პოლიტიკოსი, ამერიკის უმნიშვნელოვანესი პრეზიდენტი გახლდათ. ის დაჯილდოებული იყო რეალიზმის გრძნობით, მკაფიო მიზანდასახულობით და პასუხისმგებლობის დიდი შეგნებით; საბჭოთა კავშირთან და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკასთან მიმართებაში მან ხანგრძლივი დროით განსაზღვრა საერთაშორისო პოლიტიკის სტრატეგიული კურსი. ჩემთვის ძალზე შთამბეჭდავი გახლდათ ისიც, თუ როგორ პიროვნულ ლოიალობას იჩენდა ჰენრი კისინჯერი ნიქსონის დამარცხების შემდეგაც ყოფილი პრეზიდენტისა და მასთან ერთად შემუშავებული პოლიტიკის მიმართ.

საგარეო საქმეთა მინისტრად ჩემი მოღვაწეობის პირველივე თვეებში, საოცრად მალე, კისინჯერთან ნდობით აღსავსე დამოკიდებულება დავამყარე, დამოკიდებულება, რომელიც მოგვიანებით მეგობრობაში გადაიზარდა. მას შემდეგ ყოველთვის ვეძებდით ხელსაყრელ შემთხვევას, რომ ერთმანეთს შევხვედროდით. ნიუიორკში, გაერთიანებული ერების ასამბლეაზე ყოველი გამგზავრებისას ვცდილობდი, მასთან დალაპარაკება მომეხერხებინა; კისინჯერიც, როცა არ უნდა ჩამოსულიყო გერმანიაში, ხან საგარეო საქმეთა სამინისტროში მეწვეოდა, ხანაც შინ. ნდობას და მეგობრობას —

თუკი ნდობისა და მეგობრობის გაგებას კეთილსინდისიერად ეკიდები – სახელმწიფო სამსახური ხელს არ უშლის. ყოველთვის ვერიდებოდი ასალ კოლეგასთან პირველივე შეხვედრის შემდეგ მისთვის „ჩემი მეგობარი" მეწოდებინა, ან – როგორც ეს ინგლისურენოვან სამყაროშია მიღებული – მასთან განსაკუთრებული სიახლოვე უბრალოდ სახელით მიმართვის ფორმით გამომეხატა. ძველმოდურ წესს ვიცავდი, ანუ მეგობრობის ცნებას ისევე ფრთხილად ვეპყრობოდი საგარეო მინისტრის პოსტზე ყოფნისას, როგორც პირად ცხოვრებაში.

საგარეო საქმეთა მინისტრის თანამდებობაზე ყოფნის დროიდან განსაკუთრებით დამამახსოვრდა კისინჯერთან ერთ-ერთი ბოლო შეხვედრა, რომელიც 1992 წლის 7 იანვარს შედგა. პეტერსბერგზე მდებარე ფედერალური მთავრობის სასტუმროში თათბირს ვესწრებოდი. თათბირი დავტოვე და მისაღებში შემთხვევით ჯიმ ქელეგანს, ბრიტანეთის ყოფილ საგარეო საქმეთა მინისტრსა და პრემიერ-მინისტრს შევეჩეხე. საუბრისას მკითხა: იქნებ საღამოს ისევ შევხვდეთ, მოსაბეზრებელ მიღებაზე დასწრება არ მინდაო. ამასობაში ჰენრი კისინჯერიც შემოგვიერთდა. გადავწყვიტეთ, ის საღამო ერთად გაგვეტარებინა. სპეციალურ ღვინის რესტორან „მატერნუსში", რიასთან დავპატიჟე. რია და მისი რესტორანი ჩემი უცხოელი სტუმრების უმრავლესობისთვის – ვინც კი ოდესმე ბონს სწვევია – უკვე კარგადაა ცნობილი. რია, მისი სტილისა და პიროვნების საკადრისი ტაქტით ეპყრობა თავისი სახლის ყველა სტუმარს. აქ სტუმართა შორის ერთ-ერთი ჩვეულებრივი სტუმარივით გღებულობენ. რესტორან „მატერნუსში" კლიენტების მიზიდვის მიზნით მაღალი რანგის სტუმრებით საზოგადოების ყურადღების მიპყრობა რიასათვის მიუღებელი გახლავთ. რია დიდი ხანია წარმოადგენს დაწესებულებას არა მხოლოდ ბონელთათვის.

იმ საღამოს იმ მაგიდასთან ვისხედით, შესასვლელი კარიდან მარცხნივ კუთხეში რომ დგას. იქიდან მთელ რესტორანს ხედავ კაცი, თავად კი შეუმჩნეველი ხარ. ჰენრიმ და ჯიმმა შემთხვევით ისარგებლეს და როგორც „პენსიონერებმა" ჯერ კიდევ აქტიურ ძველ კოლეგას ლიმონივით გამოსწურეს ინფორმაცია და მისეული შეფასებები. ჩემთან საუბარი ამოწურულად რომ მიიჩნიეს, ახლა უკვე მე გადავინაცვლე მსმენელის როლში. ორივე იმაზე ალაპარაკდა, თუ როგორ აპირებდნენ თავისი ცხოვრების წარმართვას „მას შემდეგ,

რაც...“; მომითხრობდნენ, როგორ წერდნენ მემუარებს, როგორ კითხულობდნენ საჯარო ლექციებს. მათმა საუბარმა ძალიან გამართო, რადგან ორიოდე დღის წინ ფედერალურ კანცლერთან გახლდით და ვაცნობე: 1992 წლის მაისში საგარეო საქმეთა მინისტრის თანამდებობიდან გადადგომას ვაპირებ-მეთქი. კოლეგებთან ერთად „მატერნუსში“ ყოფნისას სამსახურიდან წასვლის გადაწყვეტილება რა ხანია მიღებული მქონდა. ისინი კი ისე მექცეოდნენ, თითქოს ეს საკითხი ჩემთვის ჯერ აქტუალური არ იყო. სიამოვნებით გავუმხელდი, რომ მათმა მონათხრობმა უაღრესად სასარგებლო იმპულსები მომცა, რადგან მეც უკვე ვფიქრობდი იმაზე, როგორ ამეწყო ჩემი ცხოვრება „მას შემდეგ, რაც...“. რაკიღა კანცლერს დავპირდი, რომ, ფედერალური მთავრობის საგარეოპოლიტიკური ქმედითუნარიანობის ინტერესებიდან გამომდინარე, ჩემს გადაწყვეტილებას არ გავახმაურებდი, ამიტომ იძულებული გახლდით ძველი მეგობრებისთვის ჩემი განზრახვა დამემალა.

თუმცა დავუბრუნდეთ 1974 წელს. უკვე რამდენიმე თვე იყო გასული, რაც გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრის ამოცანებს ჩავუღრმავდი; მოსვენებას არ მაძლევდა კითხვა, რა უნდა გვეღონა, რომ დასავლურ ალიანსს გერმანიის აზრისთვის მოესმინა და ანგარიში გაეწია? დასავლეთ-აღმოსავლეთის ურთიერთობა აღმოსავლური ხელშეკრულებების ხელმოწერის შემდეგ და ევროთათბირის პროცესი ამ შესაძლებლობას მოგვანიჭებდა. ჯერ კი – დასავლური პოლიტიკის ურთიერთშეთანხმებულობის ინტერესებიდან გამომდინარე მოთმინებით უნდა დაგვეცადა, ვიდრე ჩრდილოატლანტიკურ კავშირსა და ევროგაერთიანებაში საერთო აზრი ჩამოყალიბდებოდა, რათა ამის შემდეგ ერთობლივად წარმატებით გვემოქმედა აღმოსავლეთ-დასავლეთის ურთიერთობების გასაუმჯობესებლად. ეს მოსაზრებები ერთ საკითხს შეესატყვისებოდა, რომელიც დაახლოებით ამ პერიოდში წამოჭრა ჰენრი კისინჯერმა: შეიძლება თუ არა, შეიქმნას ვიწრო წრე, სადაც დასავლეთ-აღმოსავლეთის ურთიერთობის უაღრესად ფაქიზ საკითხებზე სავსებით ღიად, დაუფარავად ვილაპარაკებთო? ეს მოსაზრება აშშ-ში არსებული შეშფოთებით გახლდათ განპირობებული, რაც იუგოსლავიაში საბჭოთა კავშირის შესაძლო ინტერვენციამ გამოიწვია. მოგვიანებით ეს შეშფოთება ახალმა საზრუნავმა

— იტალიის მთავრობაში კომუნისტების მოსვლის წინაშე შიშმა შეცვალა.

ევროკომუნიზმს ამერიკის შეერთებული შტატები უფრო საშიშ მოვლენად თვლიდა, ვიდრე ევროპელები. ეს შეფასება არსებითად იმ განსხვავებაზე მეტყველებდა, რაც მოგვიანებითაც გამოვლინდა ევროთათბირის შედეგებისა და ბოლოს გორბაჩოვის პოლიტიკის თავდაპირველი შეფასებისას. მართალია, იტალიელი კომუნისტების მთავრობაში მონაწილეობას მეც არასასურველად ვთვლიდი, მაგრამ პარტნიორ და მოკავშირე იტალიისთვის ჭკუის დარიგებაც არ ივარგებდა. ამას აკეთებდა დემოკრატიული სპექტრის პარტიები — „მარცხენა ცენტრის" ჩათვლით — პარტნიორული თანამშრომლობის შედეგად გაგვეძლიერებინა. ეს, სხვათა შორის, გახლდათ ნამდვილი მიზეზი იმისა, თუ რატომ ვემხრობოდი იტალიის თანამონაწილეობას მსოფლიო ეკონომიკურ საკითხებზე უმაღლესი დონის შეხვედრებში; ასე შეიქმნა თავდაპირველი „ხუთეულიდან" — აშშ, იაპონია, საფრანგეთი, ინგლისი და გერმანია — „დიდი შვიდეული" იტალიისა და კანადის ჩართვის შემდეგ.

უადგილოდ ვთვლიდი იმ უნდობლობას, დასავლეთის პოლიტიკურ წრეებში რომ სუფევდა იტალიის მიმართ. მაშინაც კი, როდესაც დასავლური სახელმწიფოების ზოგიერთ დედაქალაქში წინასწარმეტყველებდნენ, იტალიას სოციალისტური ბანაკის ჭაობში ჩაითრევენო, — იტალია ერთგულად ასრულებდა თავის ვალდებულებებს ევროგაერთიანებასა და ნატოში. უფრო მეტიც: მთელი ჩემი თვრამეტწლიანი საგარეოპოლიტიკური პრაქტიკის განმავლობაში რომი დასავლური ერთობების საიმედო და კონსტრუქციული პარტნიორი გახლდათ, ხოლო მისი ეკონომიკური პოტენციალი უფრო მაღალი იყო, ვიდრე ამას ზოგიერთი სახელმწიფო ან კანცელარია წარმოადგენდა. აღმოსავლური პოლიტიკის სფეროში იტალიას ფხიზელი და გამჭრიახი საგარეოპოლიტიკური კურსი ჰქონდა აღებული. გარდა ამისა, იტალიის დემოკრატიულ პარტიებში შესანიშნავი პიროვნებები მოღვაწეობდნენ, რომლებიც იმავდროულად ევროგაერთიანებასა და დასავლურ კავშირში იტალიის საიმედო პოლიტიკის გარანტებს წარმოადგენდნენ. უპირველეს ყოვლისა — მხოლოდ ზოგიერთი გამორჩეული ადამიანი რომ დავასახელო — ეს ეხება ჩემს კოლეგებს ქრისტიან-დემოკრატიული პარტიიდან ჯულიო ანდრეოტის და ემილიო

კოლომბოს. ასევე ჩემს მეგობარსა და ლიბერალ თანამგზავრს სპადოლინის, მაგრამ ასევე ბენიტო კრაქსის, რომელთანაც ახლო პირადი ურთიერთობა არასდროს მქონია.

ალდო მორო, რომელთანაც ერთხანს ვთანამშრომლობდი როგორც საგარეო საქმეთა მინისტრი, ევროგაერთიანების საგარეო საქმეთა მინისტრებს შორის ყველაზე მეტად პიროვნული თავშეკავებულობით გამოირჩეოდა. ის ჩემზე ინტროვერტული ადამიანის შთაბეჭდილებას ტოვებდა. ძალზე შთამბეჭდავი გახლდათ მისი მკაფიო პოლიტიკური პოზიცია და ღირსეული თავდაჭერა, თუმცა ზოგჯერ ისეთი შთაბეჭდილება მრჩებოდა, თითქოს თავის პასუხისმგებლობას მძიმე ჯვარიკით აღიქვამდა: დიახ, თავის მოვალეობას ტანჯვით ასრულებდა. ეს შთაბეჭდილება ამოტივტივდა ჩემს მეხსიერებაში, როდესაც ის გაიტაცეს და მხეცურად მოკლეს. ისეთი შეგრძნება დამეუფლა, თითქოს მისი ტრაგიკული ბედისწერა ადრევე აღიბეჭდა მის სახეზე, ჟესტებსა თუ გამომეტყველებაში. კოლეგა რუმორთან ერთადაც მომიწია მუშაობამ, რიდესაც შინაგან და საგარეო საქმეთა მინისტრი გახლდით. იტალიის ქრისტიანულ-დემოკრატიულ პარტიაში ის ერთ-ერთი იმ პიროვნებათაგანი გახლდათ, რომლებიც იტალიის მთავრობაში მნიშვნელოვან სამთავრობო პოზიციებზე ერთმანეთს ცვლიდნენ ძლაუფლების წრეში, რომელიც მაშინ ლამის უსასრულო ჩანდა.

კონსერვატორ „უმოძრაოთა" და „დინამიურთა" განმასხვავებელ, გამმიჯნავ ხაზს წარმოადგენდა ეგრეთ წოდებული ევროკომუნიზმის განსხვავებული შეფასებები. რას ნიშნავდა ევროკომუნიზმი, იყო თუ არა ის დემოკრატიის დასავლურ გაგებასთან, ადამიანის უფლებებთან და თავისუფალ არჩევნებთან კომუნისტური პარტიების შეგუება? რა საბოლოო შედეგი უნდა მოჰყოლოდა პროლეტარიატის დიქტატურის დამყარების მიზნობრივ ამოცანას? იქნებ ევროკომუნიზმი მართლა სხვა არაფერი იყო, გარდა საპარლამენტო დემოკრატიული კანონების გამოყენებით ძალაუფლების ხელში ჩაგდების განსაკუთრებით მარჯვე და მზაკვრული ფორმისა? ბუნებრივია, არც იმას გამოვრიცხავდით, რომ ევროკომუნისტებს შორის შეიძლება „ტროას ცხენებიც" ყოფილიყვნენ, რომლებმაც თავისი მიზნების განხორციელება, ანუ პროლეტარიატის დიქტატურის დამყარება, „მათი გაგებით" უკეთესი დროისთვის გადადეს. ჩემი დაკვირვებით კი საქმის არსი სულ სხვა გახლდათ: ევროკომუნიზმის სახით გარკვეული სიმპტომი ვლინდებოდა

მსოფლიო „კომუნისტურ ეკლესიაში“ არსებული განხეთქილებისა, ვინაიდან კომუნიზმი, საერთოდ, სწორედ მარქსიზმ-ლენინიზმის მოძღვრების მთლიანობასა და სკკპ-ს ხელმძღვანელობით კომუნისტურ პარტიათა ერთიანობას ეყრდნობოდა. აქედან გამომდინარე, ევროკომუნიზმის მნიშვნელობა პრინციპულად სცილდებოდა კომუნისტური პარტიებისა თუ ტიტოს განცალკევებულ, გამიჯნულ მიმართულებას. ამის მიხედვით თუ ვიმსჯელებდით, მას გარკვეული ზემოქმედება უნდა მოეხდინა საბჭოთა ძალაუფლების სფეროში არსებულ კომუნისტურ პარტიებზეც. 1968 წელს ჩსსრ-ში თითქოს ცა გაიხსნა. არსებობდა თუ არა ანალოგიური მოსაზრებები ვარშავის პაქტის ქვეყნების კომუნისტურ პარტიებში? რა შეფასება უნდა მიგვეცა უნგრეთში მიმდინარე პროცესებისათვის, ან რეალურად რა მდგომარეობა იყო სკკპ-ში? 1979 წელს ავღანეთზე საბჭოთა კავშირის თავასხმასთან დაკავშირებით, ევროკომუნისტური პარტიების რეაქციამ ჩემი მოსაზრებების სისწორე დაადასტურა; იგივე დაადასტურა პოლონეთის მოვლენებზე მათმა საპასუხო რეაქციამ. ორთოდოქსული კომუნიზმი ვერ ეგუებოდა ისეთ სახესხვაობებს, როგორიც ევროკომუნიზმი გახლდათ, ხოლო თუ მიიღებდა და შეეგუებოდა მას, მაშინ ერთიანი ველარ იქნებოდა და სკკპ-ს მმართველ როლზე უარის თქმა მოუწევდა. კომუნისტური „მსოფლიო ეკლესიის“ ერთიანობა იმავე კანონს ემორჩილება, რომელსაც თავისუფლების იდეა, ოღონდ შებრუნებული მნიშვნელობითა და ნიშნით: ისინი ვერანაირ შეზღუდვას ვერ ეგუებიან.

ფაქიზი თემების სათანადოდ განხილვისათვის ჰენრი კისინჯერს შევთავაზე, ესარგებლა ოთხი საგარეო საქმეთა მინისტრის მოლაპარაკებებით, რომელებიც თავდაპირველად გერმანიისა და ბერლინის მთლიანობის თემას უნდა მიძღვნოდა. ამგვარად, შესაძლებლობა გვეძლეოდა დასავლური პოლიტიკის სხვა პრინციპულ საკითხებზეც გვესაუბრა ვიწრო წრეში. აი, ასე შეიძინა ახალი სტრუქტურა იმ მოლაპარაკებებმა, რომლებიც ნატოს მინისტრთა საბჭოს სესიების წინ იმართებოდა ხოლმე. თავდაპირველად მუშა ჯგუფმა ჩვეულებისამებრ ანგარიში წარმოადგინა, რომელიც ბერლინისა და გერმანიის საკითხს ეძღვნებოდა; ამას მოჰყვა გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრის მოხსენება გერმანულ-გერმანული ურთიერთობების შესახებ. აზრთა გაცვლა-გამოცვლის შემდეგ მიღებულ იქნა ბერლინთან და

გერმანიასთან დაკავშირებული მოკლე დეკლარაცია, რომელიც ნატოს სხვა მინისტრების მიერ უცვლელი სახით იქნა შეტანილი ნატოს კომუნიკეში.

შემდეგ კისინჯერმა და მე წინადადება წამოვაყენეთ, სხდომის მეორე ნაწილი სხვა საკითხებისთვის დაგვეთმო და ამის შედეგად ასეთი პროცედურა ჩამოყალიბდა: სხდომების შუალედში, დაახლოებით 19 საათზე, მონაცვლეობით ვიკრიბებოდით ოთხი ქვეყნიდან ერთ-ერთის რეზიდენციაში. თავდაპირველად გერმანია-ბერლინის საკითხები განვიხილეთ. ამასთან დაკავშირებული დებატები წესისამებრ კომუნიკეს პროექტის დამტკიცებით დასრულდა. ბოლოს ვიწრო წრე – მინისტრები პლუს ორი თანამშრომელი – სუფრასთან შეიკრიბა, რათა ალიანსისა და დასავლეთ-აღმოსავლეთს შორის ურთიერთობის მიერ დამზადებულ „მურაბაზე" უფრო შინაურულად გვეთათბირა.

საგარეო საქმეთა მინისტრების ამ სახის შეხვედრებმა ოთხ სახელმწიფოს ურთიერთშეთანხმებული პოლიტიკური სტრატეგიის შემუშავების შესაძლებლობა მისცა. ამასთანავე კონფიდენციალობა ყოველთვის დაცული გახლდათ. ამის გამო იმედგაცრუება არასდროს განმიცდია. გამართული კონსულტაციები არსობრივად და შედეგობ-რივად სასარგებლო გახლდათ ალიანსისთვის. ეს კი ძალზე ბევრს ნიშნავდა ცივი ომის ხანაში აღმოსავლეთ-დასავლეთს შორის დაძაბულობის პირობებში და იმ გარდამავალ პერიოდშიც, როდესაც ყოფილ ბლოკებს შორის ახალი ურთიერთობები ყალიბდებოდა. და მაინც: ეს პროცედურა ალიანსის კოჰერენტულობისათვის უპრობლემო არ ყოფილა, რადგან, ცხადია, ეს ოთხეული პრივილეგირებულ ჯგუფს წარმოადგენდა. როგორ ეთავსებოდა ეს ჩვენს მდგომარეობას ნატოსა და ევროგაერთიანებაში? ჩვენი კოლეგები, ბუნებრივია, ხვდებოდნენ, რომ ამ შეხვედრების დროს ბერლინისა და მთლიანი გერმანიის პრობლემებისადმი მიძღვნილი ოფიციალურად ცნობილი საკითხების გარდა სხვა საკითხებსაც განიხილავდნენ. ჩვენი კონფიდენციალურობა მათ ამასთან შეგუებას უადვილებდა. სხვაგვარად იქნებოდა საქმე საზოგადოებაში ამ თემებით სპეკულირება რომ დაწყებულიყო, რადგან ეს ყველა სხვა მთავრობის დეზავუირებას გამოიწვევდა. ერთმა კოლეგამ, რომელთანაც მეგობრობა მაკავშირებდა, პირისპირ საუბარში ღიად, დაუფარავად განმიცხადა: „ვიდრე თქვენ ამის შესახებ არ საუბრობთ, კიდევ არა უშავს, მაგრამ როგორც კი

ეს ამბავი გახმაურდება, ჩვენი ღირსების გრძნობა მაშინვე გვაიძულებს, კრიტიკული დამოკიდებულება გამოვხატოთ".

ეს შეხვედრები განსაკუთრებით მნიშვნელოვანი გახლდათ ჩვენთვის, გერმანელებისათვის. ფედერაციულმა რესპუბლიკამ დიდი წვლილი შეიტანა საერთო დასავლური უშიშროების საქმეში: ბუნდესვერით, საყოველთაო სამხედრო ვალდებულების შემოღებით (რაც აშშ-სა და ბრიტანეთში არ იყო) და მთელი თავისი ტერიტორიით, სადაც მოკავშირე სახელმწიფოთა შეიარაღებული ძალები იყო დისლოცირებული; რა თქმა უნდა, ეს ჩვენი უსაფრთხოების ინტერესებში შედიოდა, მაგრამ იმ სახელმწიფოთა უშიშროებასაც ემსახურებოდა, რომელთა ბაზებიც აქ იყო განლაგებული.

გაყოფილმა გერმანიამ, ამ შემთხვევაში გერმანიის ფედერაციულმა რესპუბლიკამ, სამოცდაათიან წლებში დასავლური პოლიტიკის განსაზღვრისა და განხორციელების პროცესში გავლენიანი, ანგარიშგასაწევი მდგომარეობა მოიპოვა ევროთათბირში აქტიურობით, „დასავლეთის ოთხი სახელმწიფოს" მოლაპარაკებათა ახალი სტრუქტურის წყალობით, გაეროში გაწევრიანებითა და ბოლოს მსოფლიო ეკონომიკურ სამიტში მონაწილეობით. ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირი მნიშვნელოვანწილად საკუთარი ძალისხმევის შედეგი გახლდათ; „დასავლეთის ოთხი სახელმწიფოს" სტრუქტურა გერმანულ-ამერიკული, ხოლო მსოფლიო ეკონომიკური სამიტი გერმანულ-ფრანგული ინიციატივიდან იღებდა დასაბამს. ამ ფონზე ასატანი ხდებოდა ის, რომ გაეროს უშიშროების საბჭოს მუდმივ წევრი არ ვიყავით. ეს სერიოზულ პრობლემებს არ გვიქმნიდა.

## *პირველი საუბრები მოსკოვთან*

ხელისუფლებაში ჩემს მოსვლას უცხოეთი თავიდან თავშეკავებულად შეხვდა. მხოლოდ რკინის ფარდის აღმოსავლეთით მდებარე სახელმწიფოებიდან, უპირველეს ყოვლისა, მოსკოვიდან მირტყამდა სახეში ძლიერი პირქარი. მოგვიანებით მცირე სოციალისტური ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრებისგან შევიტყვე, მოსკოვმა ახალი საგარეო საქმეთა მინისტრის ძალზე ცუდი დახასიათება მოგვაწოდაო: „ემიგრანტი" გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკიდან,

ოთხწელიწადნახევარს შინაგან საქმეთა მინისტრი, — აი, ეს გახლდათ უმთავრესი უარყოფითი ნიშნები. შემდგომში იმავე წრიდან ორი კოლეგა გამომიტყდა: ეჭვის თვალით ვუყურებდით თქვენთან პირველ შეხვედრასო.

პირველი ვიზიტიორი გახლდათ საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ანდრეი გრომიკო. 1974 წლის 15 სექტემბერს გრომიკოსთან დაგეგმილი შეხვედრისთვის — საერთოდ ეს ჩემი პირველი შეხვედრა იყო მასთან — საგულდაგულოდ ვემზადებოდი. გრომიკო ფენომენალური, საარაკო მეხსიერებით იყო ცნობილი, რაც გადაჭარბებული ნამდვილად არ გახლდათ. 1981 წლის ნოემბერში, გერმანიაში ბრეჟნევის ბოლო ვიზიტის დროს, ჰელმუთ შმიდტმა ის, გრომიკო და მე თავის სახლში, ჰამბურგში მიგვიწვია. სადილის დროს ბრეჟნევი ისევ წუწუნს მოჰყვა იმის თაობაზე, თითქოს ჩვენ ბერლინის სტატუსის ხელყოფას ვახდენდით. მან გვისაყვედურა: ბილატერალურ ურთიერთობებს ბერლინის უფლებების გაფართოების მცდელობით ძალიან ამძიმებთო. მე შევეპასუხე: ,,სამწუხაროდ, უნდა გითხრათ, რომ მისამართი შეგეშალათ. ჩემდა სამწუხაროდ, ჩემმა პარტიამ, ისევე როგორც სოციალ-დემოკრატიულმა პარტიამ, რომელსაც თავად ბატონი ფედერალური კანცლერი მიეკუთვნება, ადენაუერის ქრისტიანულ-დემოკრატიული კავშირისა და შტრაუსის ქრისტიანულ-სოციალური კავშირის მსგავსად წინასწარ იგრძნო, რომ შეშფოთდებოდით და მხარი არ დაუჭირა ბერლინის დედაქალაქად დატოვებას, მაშინ როდესაც კომუნისტური პარტია გერმანიისა ამის მომხრე გახლდათ. სხვათა შორის, ეს ერთადერთი შემთხვევა იყო, როდესაც ჩემი აზრი გერმანიის კომპარტიის აზრს სავსებით დაემთხვა. კომუნისტურმა პარტიამ პირველი მოწვევის ბუნდესტაგში განაცხადი შეიტანა იმის თაობაზე, რომ ფედერალური ორგანოები ბერლინში დაფუძნებულიყვნენ; სხვა პარტიებმა ეს უარყვეს''. ბრეჟნევი ჩემს სიტყვებს არ ენდო და ეჭვით გადახედა გრომიკოს. ,,ეს სიმართლეა, ამხანაგო ბრეჟნევ. ბატონი გენშერი მართალს ამბობს, თუმცა ეს დასავლეთ გერმანიის რემილიტარიზაციამდე მოხდა'', — დაადასტურა მან. ასეთი იყო კლასიკური გრომიკოსეული პასუხები.

ამ ვიზიტისას გრომიკო და მისი მეუღლე ,,ვინტერშაიდტერ მიულეში'' დავპატიჟე; ეს რესტორანი რაინის მეორე მხარეს მდებარეობდა. გემრიელ კერძებს გეახლებოდით, როცა ჩვენს შორის

უცებ მეგობრული დისპუტი გაიმართა. გრომიკომ მისაყვედურა: ახლა ხელახლა გამომიცხადეთ, რომ ნატოს მშვიდობა სურს. თუ ეს სიმართლეს შეეფერება, მაშინ სერიოზულად უნდა გკითხოთ, ისეთ მშვიდობისმოყვარე ქვეყანას, როგორიც საბჭოთა კავშირია, თავის რიგებში რატომღა არ ღებულობს? სსრკ ჯერ კიდევ ეიზენჰაუერის დროიდან მზად იყო ნატოს შეერთებოდა და მასთან ეთანამშრომლა, მაგრამ დასავლეთმა ეს არ დაუშვა, რაც ადასტურებს, რომ იქ აგრესიული ზრახვები ამოძრავებთო. ამგვარი „მტკიცებულობის" წარმოდგენის შემდეგ ვუპასუხე: თქვენზე უკეთ არავის მოეხსენება, რომ ნატო მძლავრი შეიარაღების მქონე კავშირს წარმოადგენს. ეს ჩვენი უშიშროებისთვის გვჭირდება. ხოლო რაკი საბჭოთა კავშირს, როგორც თქვენვე გამუდმებით გვარწმუნებთ, ასე კარგი შეიარაღება არ აქვს, ნატოს სტანდარტებს ვერ აკმაყოფილებს და იქ მისი ადგილი არ არის-ძეთქი. პასუხად გრომიკომ გაიცინა, რაც იმის დასტური იყო, რომ მე ვალში არ დავრჩენილვარ.

ჩემი საერთო შთაბეჭდილება ასეთი იყო: არც გრომიკოს და არც ბრეჟნევს ანტიგერმანული გრძნობები არ ამოძრავებდა. გერმანიისა და ბერლინის საკითხისადმი კრემლის მბრძანებელთა ამ თაობის უძრაობას ძლიერის, უფრო სწორად, გამარჯვებულის უფლების მათეული გაგება განაპირობებდა. საბჭოთა პოლიტიკოსების ძველი თაობის ეს იდეოლოგიური ორთოდოქსები ახალი გერმანიისადმი — რა სახითაც ის ფედერაციულ რესპუბლიკაში აღმოცენდა — პატივისცემის გრძნობით იყვნენ გამსჭვალულნი. გრომიკო, როგორც ჩანს, უფრო ამერიკის შეერთებულ შტატებზე იყო ფიქსირებული. მისთვის ყველაზე მთავარი ის გახლდათ, რომ სხვა ზესახელმწიფოს თანასწორად ელიარებინათ. მნიშვნელოვან როლს აქ უთუოდ ისიც თამაშობდა, რომ მეორე მსოფლიო ომის პერიოდში ის ვაშინგტონში ელჩად მუშაობდა. გრომიკო რეალისტურად აფასებდა ამერიკის შეერთებული შტატების უსაზღვრო პოტენციალს, რომელიც აშშ-ის გამოწვევის შემთხვევაში ამოქმედდებოდა. ელჩად მუშაობის დროს თავად გახდა მოწმე იმისა, რომ ამერიკას ეკონომიკური სირთულეები არ შექმნია წყნარი ოკეანის აუზსა თუ მოგვიანებით ევროპაში წარმოებული ომებისა და საბჭოთა კავშირისთვის დახმარების გაწევის მიუხედავად. მისგან განსხვავებით ბრეჟნევი ემოციურად უფრო გერმანიით დაინტერესებული მეჩვენებოდა.

თუმცა როგორც არ უნდა ყოფილიყო განაწილებული პრიორიტეტები, ერთი რამ აშკარა გახლდათ: კრემლის ბელადები მოლაპარაკებებში მნიშვნელოვან პარტნიორებად თვლიდნენ თავის მეტოქეებს ფედერაციული რესპუბლიკიდან: ფედერალურ კანცლერსა და საგარეო საქმეთა მინისტრს. გაყოფილი ქვეყნის საერთაშორისო ზეგავლენა ერთმნიშვნელოვნად ჩვენს სასარგებლოდ მეტყველებდა, ეს კი არც ბედის ირონია გახლდათ და არც ციდან ჩამოვარდნილი დაუმსახურებელი საჩუქარი. ეს იმ მკაფიოდ განსაზღვრული, გარკვეული პოლიტიკის შედეგი იყო, ფედერაციული რესპუბლიკა დაარსების დღიდან რომ ატარებდა. ყურადღება, რასაც მოსკოვი ჩვენდამი იჩენდა, გამოწვეული გახლდათ იმ აღიარებით, რითაც დასავლურ ერთობაში – ნატოსა და ევროგაერთიანებაში – ვსარგებლობდით და აგრეთვე ჩვენი ეკონომიკური სიმძლავრითა და პოლიტიკური სტაბილურობით. იმისათვის, რომ გერმანიის ინტერესები გაეთვალიწინებინათ, ამ ყურადღების გამოყენება კიდევ უფრო მეტ ძალისხმევას ითხოვდა ჩვენგან. კერძოდ, აუცილებელი იყო აღმოსავლეთთან დაკავშირებული მკაფიოდ განსაზღვრული, კონსტრუქციული, მშვიდობაზე ორიენტირებული პოლიტიკა, რომელსაც სეპარატულად კი არ განვახორციელებდით, არამედ საერთო დასავლურ სტრატეგიასთან შევათანხმებდით, რომლისთვისაც გამუდმებით და ხელახლა უნდა გვებრძოლა. რას ნიშნავდა ეს, 1986-1989 წლებში მთელი სიმწვავით გამოვცადე. ამ კონტექსტში ერთხელაც გავიხსენოთ საკვანძო პუნქტები: ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირი, რეაგირება გორბაჩოვზე, ორმაგი ნულოვანი გადაწყვეტილება და კამათი საშუალო და მცირე რადიუსის რაკეტების მოდერნიზაციის ირგვლივ.

დიდი ტრავმა მომაყენა დასავლეთის დაბნეულობამ და უმწეობამ, რაც მან გამოიჩინა 1953 წლის 17 ივნისის სახალხო ამბოხების ჩახშობის დროს, უნგრეთში 1956 წლის აჯანყების ჩახშობისას, 1961 წლის 13 აგვისტოს ბერლინის კედლის აღმართვასთან დაკავშირებით და ვარშავის პაქტის მონაწილე ქვეყნების ჩეხოსლოვაკიაში შეჭრის წინაშე. ამის გამეორება დაუშვებელი გახლდათ! აქედან გამომდინარე, აუცილებელი იყო პოლიტიკა, რომელიც მშვიდობიანი გარდაქმნის შესაძლებლობას დაუშვებდა. ის, რომ გერმანიის საგარეო პოლიტიკამ კონცეფციური თვალსაზრისით

წარმმართველი როლი იკისრა, მის მნიშვნელობას მოსკოვშიც აძლიერებდა. ევროპის გარდაქმნა მოსკოვის წინააღმდეგ კი არა, მოსკოვთან ერთად უნდა მომხდარიყო.

1974 წლის 28-31 ოქტომბერს ფედერალური კანცლერი შმიდტი და მე საბჭოთა კავშირს ვეწვიეთ. ვიზიტის წინ საჯაროდ ერთხელ კიდევ განვაცხადე: ბერლინი დაძაბულობის შენელების გზაზე სასინჯი ქვა იქნება-მეთქი. ამ თემის განხილვა მთავრობის ორივე მეთაურმა მოსკოვში მალევე მოგვანდო გრომიკოს და მე. საბჭოთა მხარე ჩვენს დაშოშმინებას ცდილობდა: ბერლინი ჩვენთვის სამყაროს ცენტრს არ წარმოადგენსო. მოსკოვის თვალთახედვით ეს გასაგები იყო, ჩვენთვის კი ამ ქალაქის სტატუსს და იქ შექმნილ მდგომარეობას არსებითი მნიშვნელობა ენიჭებოდა.

ჩვენი ვიზიტის მომენტში, შეიძლება ითქვას, რომ ბილატერალური ურთიერთობები უაღრესად დაძაბული გახლდათ. 1974 წლის ივლისში გარემოს დაცვის ფედერალური სამსახურის დასავლეთ ბერლინში დაფუძნებამ, გდრ-ის ტერიტორიაზე — საბჭოთა კავშირის დასტურით — დასავლეთ ბერლინთან სატრანზიტო კავშირი შეაფერხა. მოსკოვში გამგზავრებამდე სამიოდე დღით ადრე, ანუ მხოლოდ 25 ოქტომბერს, დასწია გერმანიის დემოკრატიულმა რესპუბლიკამ ვალუტის მინიმალური გაცვლითი კურსი დასავლელი ტურისტებისთვის, ხოლო გაორმაგებული კურსის ნაწილობრივი გაუქმება 1973 წლის ნოემბრიდან მოახდინა. ჩვენს მიერ ეს აღქმულ იქნა, როგორც კონკრეტული ჟესტი ჩვენი ვიზიტის წინ: საბჭოთა მთავრობა ოთხმხრივ ხელშეკრულებასთან შეუსაბამოდ მიიჩნევდა ფედერალური უწყებების მოწყობას დასავლეთ ბერლინში. ბერლინის თემა ადრეც და ახლაც დელიკატურ საკითხს წარმოადგენდა. დასავლეთ ბერლინის საკითხის სათანადოდ მოუგვარებლობის გამო კვლავაც არ იყო ხელმოწერილი უკვე გამზადებული ხელშეკრულებები, რომელთა ხელმოწერაც 1978 წლის მაისში, გერმანია-საბჭოთა კავშირის უმაღლეს დონეზე გამართული მოლაპარაკებების დროსაც ვერ მოხერხდა. ჩემი ღრმა რწმენით, ოთხმხრივი ხელშეკრულების ზედმიწევნით დაცვის ფორმულა დინამიკურად უნდა გაგვეგო; ყველა სხვა პოზიცია ბერლინსა და ფედერაციას შორის საკომუნიკაციო არხების დაშრობამდე და კავშირების შეწყვეტამდე მიგვიყვანდა. არც მეტი, არც ნაკლები — საქმე ბერლინის ყოფნა-არყოფნას

ეხებოდა. ეს გახლდათ მიზეზი იმისა, რომ მოსკოვში ჩვენი ვიზიტის დროს ერთადერთ სამთავრობო შეთანხმებას მივაღწიეთ „ეკონომიკური თანამშრომლობის შემდგომი განვითარების შესახებ", რომელიც, ჩვენი სურვილის შესაბამისად, ბერლინთან დაკავშირებულ საგანგებო პირობასაც შეიცავდა.

ბრეჟნევი დიდი პროექტებით მოიხიბლა და იმედოვნებდა, რომ რუსეთის საბადოების აღმოჩენასა და ნედლეულის უზარმაზარი რეზერვების დამუშავებაში დავეხმარებოდით. საკუთრივ ობიექტურად უნდა ითქვას, რომ ორმხრივი ეკონომიკური ინტერესები გერმანულ-საბჭოთა ურთიერთობის სტაბილურ ფუნდამენტად იქცა. თუმცა გერმანულ-საბჭოთა ეკონომიკურ ურთიერთობებს არასდროს მიულწევია იმ მასშტაბებისთვის, რომ მასზე დამოკიდებულნი ვყოფილიყავით. ავსტრიასთან და შვეიცარიასთან ჩვენი საგარეო სავაჭრო ურთიერთობა მოცულობით ბევრად აღემატებოდა მას. მაშასადამე, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა – სავაჭრო-პოლიტიკური თუ სხვა ნიშნის მიხედვით – არასდროს მდგარა ზეწოლის საშიშროების წინაშე. საკუთარი ეკონომიკური ინტერესების წინაშე ქედს არასოდეს მოვიდრეკდით. ისე კი გერმანიის ეკონომიკურ წრეებთან სრულ გაგებაზე დაფუძნებული პარტნიორობა გვაკავშირებდა. გერმანული ეკონომიკის აღმოსავლეთ კომიტეტის თავმჯდომარე ოტო ვოლფ ფონ ამერონგენი პოლიტიკის პრიმატს ყოველთვის აღიარებდა. ის ხშირად მეკითხებოდა აზრს, როდესაც საბჭოთა კავშირის წარმომადგენლებთან შეხვედრა იყო მოსალოდნელი. დიდი პიროვნული ავტორიტეტი და გამოცდილება გერმანიის საგარეო პოლიტიკის გასართულებლად კი არ გამოუყენებია, პირიქით, მხარს უჭერდა და განამტკიცებდა მას.

საერთოდ კი მოსკოვში 1974 წლის ოქტომბრის ვიზიტი წარმატებული გახლდათ: ჩვენ დაინტერესებულნი ვიყავით უფრო ახლოს გაგვეცნო საბჭოთა ხელმძღვანელობა, რათა უკეთ ჩავწვდომოდით მის პოლიტიკურ აზროვნებას. ამავე დროს, საბჭოთა პარტნიორებისათვის შმიდტ-გენშერის მთავრობის საგარეო პოლიტიკის განმარტებაც გვსურდა. მოსკოველ ხელისუფალთ უნდა სცოდნოდათ, რომ ბრანდტ-შეელის მთავრობის აღმოსავლურ პოლიტიკურ კურსს ვაგრძელებდით და მისი სრულყოფა გვქონდა განზრახული. გარდა ამისა, მკაფიოდ განვაცხადეთ, რომ ჩვენი თვალსაზრისით ბერლინის

საკითხი გამოავლენდა, თუ რამდენად სერიოზულ ხასიათს ატარებდა დაძაბულობის შენელების პოლიტიკა, და ისიც ვთქვით, რომ ჩვენს დაძაბულობის შენელების პოლიტიკას ჩვენივე უსაფრთხოების შესუსტება არ უნდა მოჰყოლოდა.

დამაგვირგვინებელ პრესკონფერენციაზე მოსკოვში 1974 წლის 30 ოქტომბერს ჰელმუთ შმიდტმა განაცხადა, რომ წელიწადში ერთხელ, ორივე ქვეყნის საგარეო საქმეთა მინისტრების დონეზე რეგულარული კონსულტაციები ჩატარდებოდა. მე აღვნიშნე: „ორივე მხარემ მოლაპარაკებების მსვლელობაში ხელშეკრულებით გათვალისწინებული ურთიერთობების გაუმჯობესების მტკიცე სურვილი გამოთქვა. ამასთან, ისინი უერთდებიან პეტერსბერგის დეკლარაციას, რამდენადაც ის დასავლეთ ბერლინის ამ სახელშეკრულებო თანამშრომლობაში ჩართვას ეხება და რომელიც კომუნიკეში კიდევ ერთხელ ხაზგასმით დაფიქსირდა. ჩანს, რომ უკანასკნელ თვეებში ჩვენს ურთიერთობაში შექმნილი უძრაობის პერიოდის დაძლევა ამჯერად შესაძლებელია“. გერმანულ-საბჭოთა ურთიერთობებში კვლავ ზომიერი წინსვლა იგრძნობოდა.

## თავი 6

# აღმოსავლეთი — ეს უფრო მეტია, ვიდრე მოსკოვი

*მძიმე დაახლოების სადგურები:*
*პრაღა, სოფია, ბუდაპეშტი და ბუქარესტი*

1974 წლის 10 ივლისს, თანამდებობაზე ჩემი დანიშვნიდან დაახლოებით ორი თვის შემდეგ, ბუნდესტაგმა ჩსსრ-სთან ხელშეკრულების რატიფიცირება მოახდინა. ეს ხელშეკრულება აღმოსავლელ მეზობლებთან ჩვენი ურთიერთობის მოწესრიგებასთან დაკავშირებული ხელშეკრულებების ჯაჭვის ნაწილი გახლდათ, რომელიც მოსკოვის ხელშეკრულებით დაიწყო და ვარშავის ხელშეკრულებითა და დასავლეთ ბერლინთან დაკავშირებული შეთანხმებით გაგრძელდა. ბუნდესრატმა, რომლის უმრავლესობასაც ქრისტიან-დემოკრატიული და ქრისტიანულ-სოციალური კავშირების წარმომადგენლები შეადგენდნენ, თავდაპირველად არ მიიღო ეს ხელშეკრულება და მისი რატიფიკაციის პროცედურა ნამდვილ წინაღობებიან რბოლად აქცია. 1974 წლის 21 ივნისის სხდომაზე, რომლის დასასრულს ბუნდესრატი იძულებული გახდა შემთანხმებელი კომისია მოეხმო, განვაცხადე:

„ხელშეკრულება გერმანელებისა და ჩეხების ისტორიულ ურთიერთობას მთლიანობაში ვერ ასახავდა. ისტორიას რაც შეეხება, ის იმით უნდა შემოფარგლულიყო, რომ მწარე წარსულიდან შემორჩენილი განხეთქილების მიზეზი გზიდან ჩამოეშორებინა, მიზეზი, რომელიც ათწლეულების განმავლობაში წინ ეღობებოდა სამომავლო თანამშრომლობის დაწყებას.

მიუნხენის გარიგების მიმართ ეს შეთანხმება ზომიერ ფორმულირებას შეიცავს, რაც ორივე მხარის ინტერესებს აკმაყოფილებს და ამ ხელშეკრულებას მომავალში მათ ბილატერალურ ურთიერთობებში სადავოს არ ხდის.

ხელშეკრულება სუდეტის ოლქში მცხოვრებ გერმანელთა მათი მშობლიური ადგილიდან განდევნის ლეგიტიმაციას არ ახდენს და მათ მდგომარეობას არავითარ შემთხვევაში არ ვნებს, პირიქით, ის სრულად იცავს მათ უფლებებს და სამართლიან ინტერესებს.

ბერლინი (დასავლეთი) ხელშეკრულების ოპერატიულ სტატიებში და ასევე ამ ხელშეკრულებასთან დაკავშირებულ მიმოწერაში ჰუმანიტარული საკითხების მოწესრიგების თაობაზე – დამაკმაყოფილებელი, არსებული სამართლებრივი მდგომარეობის შესატყვისი სახით არის ჩართული".

ხელშეკრულება ჩეხოსლოვაკიის სოციალისტურ რესპუბლიკასთან ჩვენი ურთიერთდამოკიდებულებისთვის უკეთეს პირობებს ქმნიდა. ამავე დროს საბჭოთა კავშირთან ურთიერთობას კვლავ მთავარი მნიშვნელობა ენიჭებოდა, ხოლო გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკასთან ურთიერთობა განსაკუთრებული ხასიათისა იყო, ვინაიდან ის გერმანულ-გერმანულ ურთიერთობად განიხილებოდა და არა საგარეო ურთიერთობად. ვარშავის ხელშეკრულების სახით იმ ჩარჩოში, რომელიც ჩვენთვის როგორც გერმანულ ნაწილ-სახელმწიფოსთვის იყო დადგენილი, პოლონეთთან ორმხრივი ურთიერთობის გზაც მოიძებნა. პოლონეთისა და ჩსსრ-ის შემთხვევაში მესამე რაიხის დანაშაულებრივი მოქმედებების გამო ამ ურთიერთობებს განსაკუთრებული მორალური და ისტორიული განზომილება ჰქონდა. ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკა ჰიტლერის ექსპანსიონისტური პოლიტიკის პირველი მსხვერპლი გახლდათ. პოლონეთზე თავდასხმამ კი მეორე მსოფლიო ომი გამოიწვია. ორივე სახელმწიფო დააკუცმაცეს; მათ განიხილავდნენ როგორც გერმანიის „პროტექტორატსა" და „დიდ პროვინციებს" და ამ ქვეყნების ტერიტორიის მნიშვნელოვანი ნაწილი ევროპულ კოლონიებად აქციეს. ნაციონალ-სოციალისტებმა პოლონელ ხალხს კატორღელთა როლი არგუნეს, სურდათ მისი ინტელექტი მოეშთოთ. უნგრეთთან, რუმინეთთან და ბულგარეთთან ურთიერთობაში ეს დამამძიმებელი გარემოება ამავე დოზით არ მოქმედებდა – ევროპაში გარდაქმნაზე ორიენტირებული საგარეო პოლიტიკა, ბუნებრივია, ვარშავის პაქტის მონაწილე ამ ქვეყნებთან კონტაქტებსა და ურთიერთობების განვითარებასაც ითვალისწინებდა.

პრაღაში ჩემი ვიზიტების დროს დიდ მნიშვნელობას ვანიჭებდი პრაღის არქიეპისკოპოს კარდინალ ტომაშეკთან სტუმრობას. დაჟინებით ვითხოვდი, რომ შეხვედრებზე მასმედიაც დაეშვათ, რადგან ჩეხოსლოვაკიის საზღვრისპირა რაიონებში გერმანული და ავსტრიული

ტელეგადაცემების მიღება შეეძლოთ. კათოლიკური ეკლესია ჩსსრ-ში ბევრად უფრო მძიმე მდგომარეობაში იმყოფებოდა, ვიდრე პოლონეთში და უცხოელ ვიზიტიორთა მიერ კათოლიკური ეკლესიის უმაღლესი წარმომადგენლის მიმართ საჯაროდ გამოხატული პატივისცემა შეიძლება სასარგებლო ყოფილიყო. კარდინალ ტომაშეკთან პირველი სტუმრობისას, როდესაც პრესის წარმომად-გენლები წავიდნენ და მარტო დავრჩით, მე მას ვკითხე: შეგვიძლია აქ გულახდილად ვისაუბროთ-მეთქი? დაუფიქრებლად მიპასუხა: „რა თქმა უნდა, ბატონო მინისტრო" – თუმცა როცა მპასუხობდა, უარის ნიშნად თავი გადააქნია. უკანა გზაზე, მანქანაში, ჩვენს ელჩს ვუთხარი, მიკროფონების არსებობას ვარაუდობს, ტელეკამერების არსებობას კი არა-მეთქი.

ჩემთვის ასევე მნიშვნელოვანი გახლდათ ქარტია 77-ის წარმომადგენლებთან საუბრის შესაძლებლობა. ამ მიზეზით გერმანიის საელჩოში მოლაპარაკებაზე მოვიწვიე დუბჩეკის მთავრობის საგარეო საქმეთა მინისტრი ჰაიეკი, რომელიც 1968 წელს ვალტერ შეელთან ერთად პრაღაში ყოფნისას გავიცანი. გარდა ამისა, გერმანელ ელჩებს პრაღაში დავალებული ჰქონდათ ჰაიეკთან და ქარტია 77-ის სხვა რეპრეზენტანტებთან კონტაქტი.

ჩეხოსლოვაკიის საგარეო საქმეთა მინისტრი ხნოუპეკი მშვენიერად მეტყველებდა გერმანულად, ის ხომ პრესბურგში იზრდებოდა. გამობრძმედილ ადამიანად მოჰქონდა თავი და ალბათ იყო კიდეც. მასთან საუბრებს იმისთვის ვიყენებდი, რომ მისთვის ჩვენი აღმოსავლური პოლიტიკის პრინციპები ამეხსნა, რათა მცდარი წარმოდგენა არ შექმნოდა გერმანული პოლიტიკის შესახებ. მოგვიანებით ვუთხარი: „ნატოს ორმაგი გადაწყვეტილება მოსალოდ-ნელია და მას სისრულეშიც მოვიყვანთ". ან დაჟინებით ვუხსნიდი: თვითგამორკვევის უფლება გერმანელებისათვის ცარიელი რიტორიკა არ გახლავთ-მეთქი. ასევე გასაგებად და მკაფიოდ ვაგრძნობინებდი, რომ გორბაჩოვის პოლიტიკას სერიოზულად აღვიქვამდით და დასავლეთის სათანადო რეაგირებაზეც ვიზრუნებდით; ეჭვი ნუ შეგე-პარებათ, რომ ახალ ხელმძღვანელობასთან აღმოსავლეთ-დასავლეთის ურთიერთობების ძირეული გაუმჯობესებისათვის თანამშრომლობა გვსურს-მეთქი. ჩვენი აღმოსავლური პოლიტიკის პროგნოზირებადო-ბაშიც, ჩემი ვარაუდით, პრაღას ეჭვი არ უნდა შეპარვოდა. პრეზიდენტ

ჰუსაკთან და პრემიერ-მინისტრ სტროუგალთან საფუძვლიანი მოლაპარაკებები მქონდა, რომელთა თემები ძირითადად ერთი და იგივე იყო: ჰელსინკის დასკვნითი აქტის სულისკვეთებიდან გამომდინარე გარდაქმნისა და ადამიანთაშორისი კონტაქტების გაიოლებისათვის ბრძოლა, შეიარაღების კონტროლისა და განიარაღების შესახებ დისკუსია, საუბარი ნდობის შემდგომი განმტკიცების ხელშემწყობ ღონისძიებებსა და გზებზე და ყველა სფეროში ურთიერთთანამშრომლობის საკითხებზე.

არსებული კონფრონტაციის ხანაში ჩვენს უშუალო აღმოსავლელ მეზობლებთან ყოველი დიალოგის მიზანი დაძაბულობის შენელება, შეიარაღების კონტროლი და განიარაღება გახლდათ. ბუნებრივია, ამ დროს – როგორც ეს დიპლომატიურ ურთიერთობებშია მიღებული – მთავრობებს მივმართავდით, მაგრამ მთელი ჩვენი ძალისხმევა, უპირველეს ყოვლისა, ჩვენი მეზობელი ხალხებისკენ იყო მიმართული. მათ უნდა სცოდნოდათ, რომ ჩვენთვის ევროპა რკინის ფარდასთან არ მთავრდებოდა; მათ არ უნდა შექმნოდათ შთაბეჭდილება, თითქოს საგარეოპოლიტიკური თვალსაზრისით ჩვენგან აღმოსავლეთით მდებარე ქვეყნები გდრ-ს დავუთმეთ.

გერმანულ აღმოსავლურ პოლიტიკას, რომელიც ევროპაში ვითარების ძირეულ შეცვლაზე იყო ორიენტირებული, საბჭოთა კავშირის გარდა, ვარშავის პაქტის სხვა ქვეყნებთანაც უნდა დაეწყო დიალოგი.

დასავლელ კოლეგათა წრეში გამუდმებით მოვითხოვდი, რომ მოლაპარაკებებით, ვიზიტებითა თუ სხვა სახის კონტაქტებით ამ ქვეყნების საგარეოპოლიტიკური ურთიერთობების დივერსიფიკაციისთვის შეგვეწყო ხელი. ცხადია, ეს მხოლოდ იმ ვიწრო საზღვრებში იყო შესაძლებელი, რომელსაც მოსკოვი მოითხოვდა, როგორც „ბლოკის დისციპლინას", თუმცა თავისუფალი მოქმედების არეალიც არსებობდა; ეს სულ უფრო და უფრო აშკარა ხდებოდა – ხშირად მხოლოდ არაოფიციალურად, თუმცა უთუოდ საგრძნობლად – ისეთ მულტილატერალურ საკითხებში, როგორიც გახლდათ ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირი და ნდობისა და უშიშროების განმტკიცების ღონისძიებები, იგივე ევროპის განიარაღების თათბირი. ვარშავის ხელშეკრულების სახელმწიფოები, როგორც ახლა გამორკვა, მონოლითურ ბლოკს აღარ ქმნიდნენ და ჩვენ უფლება არ გვქონდა

უმოქმედობისა და პასიურობის წყალობით მათთვის კვლავ აქეთკენ გვებიძგებინა. არც საბჭოთა ხელისუფლების არეალში მცხოვრებ ხალხებზე ჩვენი აქტივობების ზემოქმედების შედეგები უნდა გამოგვრჩენოდა მხედველობიდან. მათთვის ნიშანი უნდა მიგვეცა და გვეცნობებინა: ჩვენ არ გვავიწყდება რკინის ფარდის მიღმა არსებული ევროპა! ყოველთვის ვუპირისპირდებოდი ამ გამოთქმის — „აღმოსავლეთ ევროპა" — დაუფიქრებელ გამოყენებას: ცივი ომის შედეგად ცნებები — დასავლეთი და აღმოსავლეთი — იდეოლოგიური მნიშვნელობით ძალზე დატვირთეს და პოლონეთი და ჩეხოსლოვაკია აღმოსავლეთ ევროპად აქციეს, ამიტომ გამუდმებით მიხდებოდა იმის მტკიცება: პოლონეთი ცენტრალური ევროპის სახელმწიფოა, პოლონეთის აღმოსავლეთ საზღვართან აღმოსავლეთ ევროპა იწყება და არა დასავლეთ აზია-მეთქი.

ცენტრალურ და სამხრეთ-აღმოსვლეთ ევროპის მთავრობებთან მოლაპარაკებები საბჭოთა გავლენის სფეროში მყოფ ქვეყნებში მოსალოდნელი პროცესების პროგნოზირების საშუალებს გვთავაზობდა. ასე მოხდა 1983 წლის 1-2 თებერვალს, როდესაც პრაღაში ვიზიტისას გერმანიის საელჩოში მიღება გვქონდა. მაშინ ვერვინ იფიქრებდა, თუ რა მნიშვნელობას შეიძენდა ამ საელჩოს შენობა ექვსიოდე წლის შემდეგ, ანუ 1989 წელს. მიღების დროს პრემიერ-მინისტრმა სტროუგალმა და საგარეო საქმეთა მინისტრმა ხნოუპეკმა ჩემთან პირისპირ საუბარი მოისურვეს. სტროუგალმა შემატყობინა, როგორ მიიღეს პოლონეთში საომარი მდგომარეობის გამოცხადების უფლებასთან დაკავშირებული გადაწყვეტილება. ვარშავის ხელშეკრულების ფარგლებში სხდომა გაიმართა, რომელსაც გენერალური მდივნები და პრემიერ-მინისტრებიც ესწრებოდნენ და მეც იქ ვიყავიო. საქმე პოლონეთში სამხედრო ინტერვენციას ეხებოდა და პირველად მოხდა, რომ საბჭოთა დელეგაციის წევრებმა განსხვავებული აზრი გამოთქვესო. სუსლოვი და უსტინოვი პოლონეთში დაუყოვნებლივ შეჭრას მოითხოვდნენ, მაშინ როდესაც ბრეჟნევი და გრომიკო აშკარად თავშეკავებულ პოზიციას გამოხატავდნენო. სტროუგალმა დასძინა: „სწორედ თქვენი და ჩვენი მეზობლები — გდრ-ის დელეგაციას გულისხმობდა — მოითხოვდნენ კატეგორიულად სამხედრო ჩარევას. ამის წინააღმდეგ პირველმა გაილაშქრა ბულგარელმა ჟივკოვმა. ალბათ ფიქრობთ, რომ შემდეგი უნგრეთის პრემიერ-მინისტრი —

კადარი იქნებოდა, მაგრამ ასე არ მოხდა. შემდეგი ჩვენ ვიყავით. პრეზიდენტმა ჰუსაკმა პირველმა გაიზიარა ჟივკოვის პოზიცია. კადარი მხოლოდ ამის შემდეგ შეუერთდა მათ. ჩვენი საერთო მეზობლები — ისევ გდრ-ის მთავრობის წევრებს გულისხმობდა — ინტერვენციას ემხრობოდნენო. სხვათა შორის, რუმინეთი ამ სხდომას არ დასწრებია. ბოლოს ბრეჟნევს უთქვამს: „მოკავშირეების უმრავლესობა ინტერვენციის წინააღმდეგია, ამიტომ სამხედრო ჩარევა შეუძლებელია. იმედი გვაქვს, რომ პოლონელი ამხანაგები თავის პრობლემებს თავადვე მოაგვარებენ". სტროუგალის მონათხრობის სისწორე მოგვიანებით სოფიაში პრეზიდენტ ჟივკოვთან საუბარმაც დაადასტურა, როდესაც პრაღაში სტროუგალთან საუბარზე მინიშნების გარეშე ვკითხე: ვარშავის პაქტის ქვეყნებმა პოლონეთის მიმართ რა პოზიცია დაიკავეს-მეთქი? ჟივკოვმა მიპასუხა: მე სამხედრო ჩარევის წინააღმდეგ გამოვედი და ჩეხებმაც მხარი ამიბესო. ჟივკოვმა ისიც მითხრა: არც ვიცოდი, ვის რა რეაქცია ექნებოდა, რადგან წინასწარ მოლაპარაკებულნი არ ვყოფილვართო. ეს საუბარიც ადასტურებს, თუ რაოდენ დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ცალკეულ სახელმწიფოებთან და მათ წარმომადგენლებთან დიალოგს; დიალოგს იმ შესაძლებლობების ფარგლებში, რაც სახელმწიფოთა შორის არსებული იდეოლოგიური და პოლიტიკური კონფრონტაციის პირობებში გვეძლეოდა.

პოლონეთისა და ჩეხოსლოვაკიისაგან განსხვავებით გერმანიის ურთიერთობა ბულგარეთთან სავსებით განსხვავებული ხასიათის გახლდათ. ჩვენი ურთიერთდამოკიდებულება ბევრად თავისუფალი იყო დამამძიმებელი ისტორიული გარემოებებისაგან. კომუნისტური ბულგარეთის მთავრობა გერმანიასთან თანამშრომლობას ცდილობდა, თუმცა მეჩვენებოდა, რომ გდრ-თან შედარებით უპირატესობას ფედერაციულ რესპუბლიკასთან ურთიერთობას ანიჭებდა. კეთილმეზობლური ურთიერთობებისადმი განსაკუთრებულ ინტერესს იჩენდა ჟივკოვი და საგარეო საქმეთა მინისტრი მლადენოვიც, რომელმაც მოგვიანებით შეცვალა ჟივკოვი გენერალური მდივნისა და ქვეყნის პრეზიდენტის პოსტზე.

ჟივკოვი გავიცანი, როგორც თავდაჯერებული და საკუთარ ძალაუფლებაში დარწმუნებული კაცი, რომელიც თავისი ქვეყნის მოდერნიზაციას გლეხური ეშმაკობით ახერხებდა, რასაც იგი საკმაო

დოზით ფლობდა. ერთხელ ჟივკოვმა ბულგარეთში ჩემს პირველ ვიზიტთან დაკავშირებით ჩემს პატივსაცემად სადილი გამართა თავის რეზიდენციაში. დაახლოებით ოცდაათი სტუმარი იყო მოწვეული, მათ შორის ნახევარი — ბულგარელები, ნახევარი — გერმანელები. სუფრა სადღეგრძელოთი დაიწყო და ბულგარელებისა და გერმანელების ძველი მეგობრული ურთიერთობები გაიხსენა: ბულგარელებს არცთუ უსაფუძვლოდ უწოდებენ ბალკანელ პრუსიელებსო. მერე პირადად მე მომმართა და ორ მსოფლიო ომსა და იმდროინდელ მოკავშირეთა ურთიერთმიმართებებზე მინიშნებით მითხრა: ,,ბატონო მინისტრო, ჩვენ ორჯერ ერთსა და იმავე მხარეს ვიდექით. ორჯერვე ძალზე ცუდად დამთავრდა ეს ამბავი. ახლა სხვადასხვა მხარეს ვდგავართ. ისტორია გვიჩვენებს, სწორ მხარეს ვინ დგას". დამოუკიდებლობის დემონსტრირება მისთვის ჩვეული მანერა გახლდათ.

ჩვენი მოლაპარაკებებისას ის განსაკუთრებული ხაზგასმით ახდენდა იმ ფაქტის კონსტატაციას, რომ ბულგარეთში საბჭოთა შეიარაღებული ძალების ბაზები არ არსებობდა და რომ მისმა ქვეყანამ კომუნისტური ხელისუფლების ხელმძღვანელობით დიდი აღმავლობა განიცადა. ერთ რამეში მართალი გახლდათ: მეორე მსოფლიო ომამდე ბულგარეთი ვარშავის ხელშეკრულების ქვეყნებს შორის ყველაზე ჩამორჩენილი ქვეყანა იყო, ბოლო ათწლეულებში კი აღმავლობა განიცადა. იმჟამინდელი ბულგარეთის მთავრობა ქვეყნის კულტურულ იდენტობასა და დამოუკიდებლობას დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა. ჟივკოვის ქალიშვილი დიდი ხნის განმავლობაში კულტურის მინისტრი გახლდათ და ბულგარელი ხალხის ტრადიციების დაცვას დიდ ყურადღებას აქცევდა. მისი უდროო გარდაცვალება მამამისისთვის ძალზე მძიმე დანაკლისი გახლდათ.

რეფორმების აუცილებლობა ყველაზე მეტად მლადენოვს ჰქონდა გაცნობიერებული, ყოველ შემთხვევაში მე ასეთი შთაბეჭდილება შემექმნა. ჟივკოვთან ერთ საუბარს გავიხსენებ, მლადენოვის თანდასწრებით რომ შედგა. პრეზიდენტმა ასეთი აზრი გამოთქვა: ახალგაზრდები — და მლადენოვს გადახედა — უკანასკნელ ხანებში ცდილობენ ყველაფერი სხვაგვარად გააკეთონ, მაგრამ სადავეები ჯერ კიდევ მაგრად მიჭირავსო. მიუხედავად ამისა, მლადენოვი ურყევი სოციალისტი გახლდათ და არც ფარავდა ამას. ერთხელ, როცა ოფიციალური ვახშმის შემდეგ ჩვენი მეგობრების დითჰელმ

და ჰილტრაუდ დოლების ხელგაშლილ და მშვენიერ ოჯახში ვიყავით დაპატიჟებულნი, მან უცებ განაცხადა: თუ სოციალიზმი გაიმარჯვებს, აქ, დარწმუნებული ვარ, სანატორიუმი გაიხსნებაო. რას ნიშნავდა ეს, მაინც რას გულისხმობდა: მუქარა იყო თუ ეჭვი, რომ სოციალიზმს დიდი დღე არ ეწერა?

პირად საუბარში ჟივკოვის მსგავსად მლადენოვიც დაუფარავად აცხადებდა, რომ კარგად ესმოდა ჩვენი სურვილი ერის გამთლიანებასა და ორი გერმანული სახელმწიფოს გაერთიანებასთან დაკავშირებით. ამგვარი აზრი რეალისტური შეფასების შედეგი უნდა ყოფილიყო, რადგან არც ერთი არ ტოვებდა ჩემზე იმ კაცის შთაბეჭდილებას, რომელიც მხოლოდ თავაზიანობის გამო გეუბნება ამას.

ღირსშესანიშნავი იყო ჩემი პირველივე შეხვედრა ბულგარეთის წარმომადგენელთან 1971 წელს, როდესაც მიუნხენის ოლიმპიური სტადიონის აშენებას ვზეიმობდით. მაშინ ჯერ კიდევ შინაგან საქმეთა ფედერალური მინისტრი გახლდით. სიტყვით გამოვიდა საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის ვიცე-პრეზიდენტი, ბულგარელი გენერალი სტოიჩევი. ოციან-ოცდაათიან წლებში ის თავად მონაწილეობდა ოლიმპიადაში და ევროპის მრავალგზის ჩემპიონი გახლდათ ცხენოსნობაში. ვენის ოფიცერთა აკადემია ჰქონდა დამთავრებული და გერმანულად ძალიან კარგად ლაპარაკობდა. ყველა, ვინც მაშინ სიტყვით გამოვიდა, – ბავარიის მთავრობის სახელით საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის ვიცე-პრეზიდენტი, ფინანსთა მინისტრი ჰუბერი, მიუნხენის ობერბიურგერმაისტერი ფოგელი და ფედერალური მთავრობის სახელით მე – 1936 წლის ოლიმპიურ თამაშებზე ყოველგვარ მინიშნებას მოერიდა. გენერალმა სტოიჩევმა პირიქით, ძალზე პირდაპირ და უშუალოდ განაცხადა: საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტში მხარი დავუჭირე ოლიმპიადის მიუნხენში ჩატარებას, რადგან 1936 წელს ბერლინის ოლიმპიადას ვესწრებოდიო. შემდეგ კი პათეტიკურად წარმოთქვა: „თუკი ვინმეს ოლიმპიური თამაშების მოწყობა შეუძლია, ეს, უპირველეს ყოვლისა, გერმანელები არიან. ამაში ჯერ კიდევ 1936 წელს დავრწმუნდი“.

შემდეგ მას ხშირად ვხვდებოდით სოფიაში, ყოველთვის ვიწვევდი, როცა იქ საზეიმო მიღებას ვმართავდი. ის ბულგარეთის პარლამენტის უხუცესი დეპუტატი და დიდი პიროვნული შარმის მქონე ცარისტული დროის გენერალი გახლდათ. ერთხელ ჟივკოვს

ვკითხე: გენერალი როგორ ბრძანდება-მეთქი. ოთხმოცი წლის გენერალზე, აი, რა მიპასუხა: გენერალი კარგად არის. ისევ ცხენით დაჯირითობს და ქალებსაც ისევ ეარშიყებაო.

სტოიჩევის ბედისწერა ბულგარეთის მიერ ამ ასწლეულში განვლილი გზის თვალსაჩინო მაგალითს წარმოადგენს. ცარიზმის დროს გენერალი ნაადრევად გაუშვეს რეზერვში; მეფის სიკვდილის შემდეგ, როდესაც წითელი არმია ბულგარეთის საზღვარს მიადგა, მთავარსარდლად დანიშნეს. ამ კრიტიკულ სიტუაციაში მან ერთადერთი სწორი გამოსავალი იპოვა და გადაწყვეტილება მიიღო: წითელ არმიას არ შევებრძოლებითო! ბულგარეთი საომარ მოქმედებებს გადაურჩა. მართალია, მეორე მსოფლიო ომში დასავლურ სახელმწიფოთა წინააღმდეგ გერმანიის მხარე დაიჭირა, მაგრამ საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ბრძოლაზე უარი თქვა. ამის მიზეზი რუსებისა და ბულგარელების განსაკუთრებულ სიახლოვეში უნდა ვეძებოთ; მათ ურთიერთობას ხომ ფესვები შორეულ წარსულში აქვს გადგმული. კომუნიზმის ხანაში რუსი მეფის ერთადერთი ძეგლიც სოფიაში იდგა, ალექსანდრე მეორის საპატივსაცემოდ აღმართული ძეგლი; ძეგლი იმ მეფისა, რომელმაც XIX საუკუნეში ბოლო მოუღო თურქთა საუკუნოვან ბატონობას ბულგარეთში.

უნგრეთთან ჩვენი ურთიერთობისთვის თავიდანვე დამახასიათებელი გახლდათ ურთიერთგაგებისა და თანამშრომლობის სურვილი. 1953 წლის ივნისში, გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში სახალხო ამბოხის ჩახშობის მწარე გამოცდილებიდან გამომდინარე, სამი წლის შემდეგ უნგრეთის ამბოხმა ავსტრიელებთან ერთად ყველაზე მეტად გერმანელთა აღელვება და შეშფოთება გამოიწვია, რამაც შემდგომ პერიოდშიც ამ ქვეყნის მიმართ დიდი თანგრძნობა დაბადა.

პირველი უნგრელი საგარეო საქმეთა მინისტრი, რომელთანაც შეხება მქონდა — მისი სახელი იყო პუია — ჯერ კიდევ ძალზე პასიურობდა. დიალოგი არსებითად მხოლოდ მაშინ გაგრძელდა, როცა დიულა ჰორნმა დაიკავა სახელმწიფო მდივნისა და მოგვიანებით, საგარეო საქმეთა მინისტრის პოსტი. ის გახლდათ იმ საგარეო პოლიტიკის არქიტექტორი, რომელიც ფართო ასპარეზს ქმნიდა ამ ქვეყანაში საგარეო, სავაჭრო და ეკონომიკური პოლიტიკისათვის. ის

მოქმედებდა როგორც რეფორმისტი: გაბედულად, წინდახედულად და მარჯვედ. უნგრეთის საელჩოში, ბონში, იშტვან ჰორვატის სახით ჰორნს მისი პოლიტიკის შესანიშნავი ინტერპრეტატორი ჰყავდა, კაცი, რომელსაც გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის პოლიტიკურ და ეკონომიკურ წრეებთან მჭიდრო და მრავალმხრივი კავშირები ჰქონდა.

გენერალური მდივანი კადარი, რომელიც ადრე სტალინიზმის მიმდევარი გახლდათ, 1956 წელს სახალხო ამბოხების ჩახშობის პერიოდში მოვიდა ხელისუფლების სათავეში. მასთან ხანგრძლივი საუბრებისას მეჩვენებოდა, რომ ამ პასუხისმგებლობის ტარება ძალიან უმძიმდა იმრე ნადისა და იმ უნგრელთა სიკვდილის გამო, რომლებიც 1956 წელს თავისი ქვეყნის დამოუკიდებლობისა და დემოკრატიის დასაცავად გამოვიდნენ. მოგვიანებით კადარმა თავის ქვეყანაში ნელ-ნელა შექმნა შიდაპოლიტიკური „პატარ-პატარა თავისუფლებების" ხანა, რასაც ეკონომიკურ სფეროში „გულაშის კომუნიზმსაც" უწოდებდნენ. კადართან საუბრები ძალზე გულღიად და პასუხისმგებლობის დიდი შეგნებით მიმდინარეობდა. ჩემი აზრით, საგარეოპოლიტიკური თვალსაზრისით ის მოსკოვის კურსს მიჰყვებოდა, რათა საშინაო პოლიტიკაში უფრო თავისუფლად ემოქმედა. მნიშვნელობა აღარა აქვს, რა როლი ითამაშა მან 1956 წლის აჯანყებაში; მას შემდეგ ხომ კადარმა უფრო ფართოდ გახსნა თავისი ქვეყანა, შეარბილა რეპრესიული პოლიტიკა და რეფორმები დაიწყო. კადარის პოლიტიკა ჩაუშესკუს მიერ რუმინეთში გატარებული პოლიტიკური პროგრამის კონტრასტს წარმოადგენდა.

ჩაუშესკუ საგარეო პოლიტიკისა და უშიშროების საკითხებში მოსკოვის პოლიტიკური კურსიდან გადახვევის უფლებას აძლევდა თავს. მისი საშინაო პოლიტიკა კი სულ უფრო რეპრესიული და მართლაც სტალინისტური გახლდათ. მოსკოვში ეს ფაზა მალენკოვის, ხრუშჩოვისა და ბრეჟნევის დროს გადალახეს. მმართველ წრეებში მლიქვნელობა საბჭოთა კავშირშიც კი არ აღზევებულა ისე, როგორც რუმინეთში. ჩაუშესკუს ოჯახის ირგვლივ პიროვნების კულტმა კომიკურობის აპოგეას მიაღწია, თუმცა ამის მიუხედავად მას ძალმომრეობითა და ანგარიშგაუწევლად ამკვიდრებდნენ. ხანდახან, როცა დასავლელი პარტნიორები ჩაუშესკუს „საგარეოპოლიტიკურ დამოუკიდებლობაზე" მელაპარაკებოდნენ, ვუპასუხებდი: ნებისმიერი გამვლელი

ბუქარესტის ქუჩაში ამ „საგარეოპოლიტიკურ დამოუკიდებლობას“ სიხარულით გაცვლის უნგრეთის საგარეო პოლიტიკაზე, ერთხელ მაინც თუ გაუსინჯავს გემოს კადარის „კომუნისტურ გულაშს“ და უფრო დიდ შინაგან ლიბერალიზმს-მეთქი.

ზიბენბიურგელი და ბანატელი გერმანელების ბედი მაიძულებდა რუმინეთის მთავრობასთან პერმანენტული დიალოგის შენარჩუნებაზე მეფიქრა. ამიტომ ხშირად ჩავდიოდი რუმინეთში, სადაც გამუდმებით ვხვდებოდი ჩაუშესკუსა და საგარეო საქმეთა მინისტრებს, რომლებიც სწრაფად ცვლიდნენ ერთმანეთს. ზოგჯერ საგარეო საქმეთა ამა თუ იმ მინისტრთან პირისპირ გულღია საუბარსაც ვახერხებდით; უპირველეს ყოვლისა ეს სტეფან ანდრეის ეხება, რომელიც ინგლისურად საუბრობდა და ამიტომ თარჯიმანიც არ გვჭირდებოდა. რუმინეთთან ჩვენი ურთიერთობა უპირველეს ყოვლისა ზიბენბიურგელი საქსებისა და ბანატელი შვაბების გერმანიაში გადმოსვლის საკითხს უკავშირდებოდა. ამიტომ ვცდილობდით, რომ ჩაუშესკუ, რომელიც რუმინეთიდან გერმანელთა გამოსვლაში ფულსაც გვახდევინებდა, „კარგ გუნებაზე“ გვყოლოდა.

### *გერმანია და პოლონეთი: ძნელი მეზობლობა*

სამოცდაათიან წლებში, აღმოსავლური ხელშეკრულებების დადების შემდეგ, აღმოსავლური პოლიტიკა საერთოდ ძალზე მძიმე სამუშაოს წარმოადგენდა. მძიმედ მივიწევდით წინ, განსაკუთრებით პოლონეთთან ურთიერთობაში.

თანამდებობაზე ჩემი მისვლის დღიდან არსებული ურთიერთობების რეალისტურ გაანალიზებას ვცდილობდი. იმ დასკვნამდე მივედი, რომ გერმანულ-პოლონურმა ურთიერთობამ, 1970 წლის პოლონეთ-ფედერაციულ რესპუბლიკას შორის ორმხრივი ურთიერთობების ნორმალიზაციის შესახებ დადებული ხელშეკრულების შემდეგ სასურველი მიმართულება არ მიიღო. მართალია, ორივე მხარე ურთიერთდამოკიდებულების გაუმჯობესებაზე საუბრობდა, მაგრამ ნორმალიზაციასთან დაკავშირებით მათ სავსებით განსხვავებული წარმოდგენები ჰქონდათ. ურთიერთობის ნორმალიზაცია პოლონეთისთვის ფედერაციული რესპუბლიკის მიერ გაწეულ სწრაფ ეკონომიკურ

დახმარებას ნიშნავდა, ჩვენთვის კი — ადამიანების, ინფორმაციისა და აზრის თავისუფლებას, ასევე პოლონეთში მცხოვრებ გერმანული წარმოშობის პირთა საკითხის დამაკმაყოფილებელ გადაჭრას: ვარშავაში ხელშეკრულების ხელმოწერის შემდეგ დაახლოებით ასი ათასიდან სამას ათასამდე გერმანელმა შეიტანა განცხადება ქვეყნიდან გამოსვლის შესახებ. ფედერაციულ გერმანიასა და პოლონეთის სახალხო რესპუბლიკას შორის პოლიტიკურ ატმოსფეროს ძალზე ძაბავდა მათი განსხვავებული პოზიცია განსახლებისა და ოჯახების ხელახლა გაერთიანების საკითხში, აგრეთვე პოლონეთის მთავრობის მცდელობა, გამოეყენებინა ადამიანთა ბედი პოლიტიკური ზეწოლის საშუალებად.

1974 წლის პირველ ნოემბერს ბონში ჩამოვიდა საგარეო ვაჭრობის მინისტრი და მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ოლშევსკი. პირველ ნოემბერს მის პატივსაცემად სადილიც გავმართე; მართალია, შეიძლებოდა გერმანია-პოლონეთს შორის საქონელბრუნვის დინამიკურ ზრდაზე მელაპარაკა, მაგრამ ყველასათვის აშკარა იყო, რომ სასურველი პოლიტიკური ნორმალიზაციის პროცესი სტაგნაციას განიცდიდა. 1975 წლის დასაწყისში პოლონეთისათვის კრედიტის გამოყოფის საკითხი — რასაც მაშინდელი ფედერალური მთავრობა ჯერ კიდევ 1973 წლის ოქტომბერში დაპირდა პოლონეთს — ჯერ კიდევ არ იყო გადაწყვეტილი, გაურკვეველი გახლდათ სესხის ოდენობა და გაცემის პირობები. ედვარდ გირეკს კი თავისი ამბიციური ეკონომიკური პროგრამისათვის სასწრაფოდ ესაჭიროებოდა ეს კრედიტი. ჩვენ იმედგაცრუებულნი გახლდით პოლონეთის დამოკიდებულებით გერმანელთა მიმართ, რომელთაც ფედერაციულ რესპუბლიკაში გადმოსვლა სურდათ; თანაც ორმხრივი ურთიერთობის ნორმალიზაციის ხელშეკრულებასთან დაკავშირებული მოლაპარაკებების დროს პოლონური მხარე დაგვპირდა, რომ დასახლების პრობლემისადმი მეტ მოქნილობას გამოიჩენდა, მაგრამ ამის საპირისპიროდ იქცეოდა: თუ 1971 წელს პოლონეთიდან გფრ-ში 25 243 ადამიანი გადავიდა საცხოვრებლად, 1974 წელს მხოლოდ 7 827 ადამიანს დართეს ნება.

1969 წლის ზაფხულში ვალტერ შეელთან და ვოლფგანგ მიშნიკთან ერთად მოსკოვიდან უკან ვბრუნდებოდი ბონში; ჩვენი თვითმფრინავი დროებით ვარშავაში დაეშვა და პირველად ჩემს ცხოვრებაში ფეხი დავადგი პოლონეთის მიწას, და ეს მაშინ, როცა

გამუდმებით ვმუშაობდი ჩვენს უშუალო აღმოსავლელ მეზობლებთან — პოლონეთსა და ჩეხოსლოვაკიასთან — ურთიერთობის საკითხებზე. მამაჩემისგან ხშირად მსმენია, ჰიტლერი ომს მოგვიტანსო; ამ სიტყვების სიმართლე ჰიტლერის პოლონეთზე თავდასხმამ დაადასტურა, როცა მამაჩემის გარდაცვალებიდან ორი წელიც არ იყო გასული. 1945 წელს, ომის ბოლო დღეებში, როცა იანვარ-თებერვალსა და მარტში მესანგრედ მამზადებდნენ ვიტენბერგში — ჩვენი თვალით ვიხილეთ აღმოსავლეთიდან წამოსულ გერმანელ დევნილთა უსასრულო ქარავანი, რომელიც — როგორც მაშინ ამბობდნენ — რაიხის ცენტრისაკენ მიიწევდა. გულისტკივილით შევყურებდით ადამიანებს, რომელთაც უკანასკნელი ავლა-დიდება ფურგონებზე დაეტვირთათ. ძირითადად ხანდაზმული მამაკაცები, ქალები და ბავშვები იყვნენ მათ შორის; სილეზიიდან მოდიოდნენ ცივ ზამთარში, რადგან მოახლოებულ საბჭოთა არმიას გაურბოდნენ.

ახლა ამ საშინელმა სახმელეთო ომმა გერმანიამდეც მოაღწია; საჰაერო ომი ხომ რა ხანია ყოველდღიურობად იქცა გერმანიაში. სულ უფრო მეტი გერმანელი ხდებოდა იმის მოწმე, თუ რას ნიშნავდა ომის ქარცეცხლი საკუთარ ქვეყანაში. პოლონეთმა კი ომის პირველი დღიდანვე გამოსცადა ეს. გერმანული ნაწილები პოლონეთის დასავლეთ ტერიტორიაზე შეიჭრნენ, ამას ესესელთა დამსჯელი ღონისძიებებიც მოჰყვა, რის შედეგადაც სუვერენული რესპუბლიკა დიდ პროვინციად იქცა. შემდეგ ამ ქვეყნის ინტელიგენციის განადგურებას მიჰყვეს ხელი და ევროპელ ებრაელთა გენოციდი დაიწყო. 1941 წლის 22 ივნისის შემდეგ გერმანელთა მიერ გაჩაღებული ომის ხანძარი აღმოსავლეთ პოლონეთსაც მოედო, პოლონეთის აღმოსავლეთ ტერიტორიას, რომელიც 1939 წელს ჰიტლერისა და სტალინის სატანური პაქტის წყალობით საბჭოთა კავშირს ერგო. ევროპელ ებრაელთა გამოკლებით, მეორე მსოფლიო ომის დროს, არც ერთ სხვა ხალხს არ გამოუცდია ესოდენ ხანგრძლივი და გაუსაძლისი ტანჯვა, როგორც პოლონელებმა გამოსცადეს. არც ერთ ქვეყანას — მიუხედავად იმისა, რომ ისინიც მთლიანად დაიპყრეს — არ გამოუყვანია ამდენი ჯარისკაცი, როგორც პოლონეთს; პოლონელები ყველა ფრონტზე იბრძოდნენ მოკავშირეებთან ერთად თუ მტრის ზურგში. ომის მიწურულს და მეორე მსოფლიო ომის შემდგომ ჩემთვის ყველაზე აუხსნელი და გაუგებარი დასავლელ

მოკავშირეთა გადაწყვეტილება გახლდათ, რის შედეგადაც პოლონეთი გამარჯვებულ სახელმწიფოთა რიგებიდან გაიყვანეს, პოლონელი ხალხის დაუკითხავად მისი ქვეყნის საზღვარი დასავლეთით გადასწიეს და ბოლოს სტალინს ჩააბარეს, დაუშვეს, რომ ეს ქვეყანა საბჭოთა გავლენის სფეროში მოქცეულიყო.

მეორე მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ, რაც უფრო მეტად ვეხებოდი პოლიტიკას და საგარეო პოლიტიკას, მით უფრო ვრწმუნდებოდი, რომ აღმოსავლეთში საზღვრების შეცვლა შეუძლებელი იქნებოდა. ჩვენ, გერმანელები, ოდერ-ნაისეს ხაზის გასწვრივ დადგენილ საზღვარს უნდა შევგუებოდით. იქნებოდა კი ეს გერმანელთა ხელახლა გაერთიანებისთვის გაღებული საზღაური? უეჭველად, მაგრამ საკითხი ასე იდგა: უფრო მეტის მიღწევა ხომ არ შეიძლებოდა ამით? ევროპაში მშვიდობას შეუწყობდა ხელს, თუ გერმანია ლტოლვილთა უკან დაბრუნებას მოითხოვდა? დევნილებმა თავიანთ ქარტიაში ადრევე აღიარეს გერმანელთა პასუხისმგებლობა მშვიდობის საკითხში და ახალ უსამართლობაზე უარი თქვეს. ოდერ-ნაისეს საზღვრის აღიარება დიდი მორალურ-ისტორიული მნიშვნელობის საკითხი გახლდათ. საქმე იმაში მდგომარეობდა, პასუხი გაგვეცა კითხვაზე: შესაძლებელი იყო თუ არა უსამართლობისა და ახალი უსამართლობის სატანური ჩაკეტილი წრის საბოლოო და სამუდამო გარღვევა. განა გერმანიის პასუხისმგებლობა სწორედ იმაში არ გამოიხატებოდა, რომ ეს ისტორიული ნაბიჯი გადაედგა? პოლონეთი ხომ ჰიტლერის მიერ გაჩაღებული მეორე მსოფლიო ომის პირველი და ყველაზე მეტად დაზარალებული მსხვერპლი გახლდათ.

1967 წელს ჰანოვერში თავისუფალი დემოკრატიული პარტიის ფედერალურ ყრილობაზე გაცხარებული კამათი გაჩაღდა ოდერ-ნაისეს საზღვართან დაკავშირებით. უშუალოდ ყრილობის წინ პრობლემები შემექმნა — სასწრაფოდ უნდა გამეკეთებინა ორმხრივი თიაქრის ოპერაცია, ამიტომ პარტიულ ყრილობას ვერ დავესწარი. საავადმყოფოდან გამოწერის შემდეგ, მოვლენებს შინიდან ვადევნებდი თვალს. უბრალო შემთხვევითობის ბრალია, რომ თირკმლებთან დაკავშირებული პრობლემების გამო ვალტერ შეელიც ვერ დაესწრო შეკრებას. მაშასადამე, ამ მნიშვნელოვან თავყრილობას, რომელსაც პარტიის საგარეოპოლიტიკური კურსი უნდა განესაზღვრა, თავისუფალი დემოკრატიული პარტიის სწორედ ის ორი წევრი არ ესწრებოდა,

რომლებიც მოგვიანებით მათი საგარეო საქმეთა უწყებაში მოღვაწეობის პერიოდში გადამწყვეტ როლს ითამაშებდნენ გერმანულ-პოლონურ ურთიერთობებში.

მართალია, ყრილობას ფიზიკურად არ ვესწრებოდი, მაგრამ მოვლენებში ჩართული გახლდით და გადამწყვეტ მონაწილეობასაც ვიღებდი. პარტიას ოდერ-ნაისეს საზღვრის საკითხისადმი მისი დამოკიდებულების გამო განხეთქილების საშიშროება ემუქრებოდა. შექმნილი ვითარების გამო ჰანს ფრიდერიქსმა — იმჟამინდელმა ფედერალურ საქმეთა მმართველმა და გვიანდელმა ფედერალურმა ეკონომიკის მინისტრმა — დამირეკა სახლში. შიშობდა: ყრილობა და მასთან ერთად პარტიაც „ფეთქდებაო". მკითხა: ხომ არ შეგიძლიათ ისეთი წინადადება შემოგვთავაზოთ, რომლის საშუალებითაც პარტია შეთანხმებას მიაღწევსო? მე დეტალურად გამოვკითხე დისკუსიის ამბავი. შემდეგ ჯერაც მტკივნეული ჭრილობების მიუხედავად საწერ მაგიდას მივუჯექი და შევეცადე მეპოვა ფორმულა, რომელსაც ჰანს ფრიდერიქსი პარტიულ ყრილობას პლენარული სხდომის დროს გააცნობდა. მე შევძელი განცხადების ელემენტების ფორმულირება, რომელიც მოგვიანებით — ვილი ვაიერის სიტყვები რომ მოვიშველიო — „საასარებო სიტყვად" იქცა: „თავისუფალი დემოკრატიული პარტიის ფედერალური ყრილობა თვლის, რომ ორად გაყოფილი გერმანიის შესაძლო გამთლიანება ტერიტორიული საკითხების გამო ეჭვქვეშ არ უნდა დადგეს".

გერმანულ-პოლონური ურთიერთობის ფორმირებისთვის აუცილებელი რეალისტური კონცეფციის შემუშავების გზაზე ამით მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადაიდგა; მნიშვნელოვანი გახლდათ ეს აგრეთვე გერმანიის აღმოსავლური პოლიტიკისა და საერთოდ გერმანიის ერთიანობის პოლიტიკის თვალსაზრისითაც. დადგენილებაში თითქმის სიტყვასიტყვით შევიდა ის ფორმულირებები, რომლებიც შტუტგარტში ჩემი გამოსვლის ტექსტშია მოყვანილი: „გერმანული დაძაბულობის შენელების პოლიტიკა ყველას უნდა ეხებოდეს: ევროპულ სახელმწიფოებსაც და გერმანიის მეორე ნაწილსაც. გერმანულ ურთიერთგაგების პოლიტიკას გდრ არ უნდა გამორჩეს. გერმანულ მიწაზე არსებულ რეჟიმს, რომელიც ხალხის ნებას არ შეესატყვისება, ვერ ვაღიარებთ. ეს პრინციპი ხელს არ გვიშლის ცნობად მივიღოთ ის, რომ ტერიტორიაზე, რომელზეც ჩვენი კონსტიტუცია არ ვრცელდება, გერმანელები

ძალადობრივი ხელისუფლების ზემოქმედებას განიცდიან და რომ ფედერალური მთავრობა გერმანელ ხალხზე მზრუნველობის მოვალეობიდან გამომდინარე უფლებამოსილია მოსთხოვოს ყველა ხელისუფალს, შეუმსუბუქონ ადამიანებს ქვეყნის ორად გახლეჩის მძიმე შედეგები". ამგვარად გამოიკვეთა გერმანულ საკითხთან დაკავშირებული რეალისტური პოლიტიკის გზა, რომელიც ადამიანების ინტერესებს იცავდა ისე, რომ გერმანიის დაყოფას არ აღიარებდა.

## *ახალი სახელშეკრულებო შეთანხმებები ვარშავასთან 1975-76 წლებში*

დაძაბულობის შენელების ატმოსფერო უკვე იგრძნობოდა 1975 წლის ზაფხულში, ევროთათბირის უმაღლეს დონეზე შეხვედრისას ჰელსინკიში და დადებითადაც ზემოქმედებდა; როდესაც პოლონეთის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ედვარდ გირეკი, პოლონეთის პრემიერ-მინისტრი პიოტრ იაროშევიჩი და საგარეო საქმეთა მინისტრი სტეფან ოლშოვსკი ფედერალურ კანცლერ შმიდტსა და მე შეგვხვდნენ, საკითხების გადაჭრის ნება-სურვილი ორივე მხარემ გამოხატა.

თავდაპირველად აუცილებელი შეიქნა ინტენსიური მოსამზადებელი მოლაპარაკების ჩატარება ბონში. ფედერალური კანცლერი ჰელმუთ შმიდტი და ფინანსთა მინისტრი ჰანს აპელი ახალი ფინანსური ვალდებულებების აღებას ერიდებოდნენ. მინისტრთა სხდომაზე, ახალი მთავრობის მოსვლიდან პირველივე თვეებში რომ გაიმართა, გერმანულ-პოლონური ურთიერთობის ისტორიულ და მორალურ განზომილებაზე და უამრავი გერმანელის პოლონეთიდან გფრ-ში გადმოსვლის სურვილზე მივუთითე; მსურველი კი ასიათასობით იყო.

ჰერბერტ ვენერისა და ვოლფგანგ მიშნიკის პოზიცია ჩემთვის ცნობილი იყო, ისინი გერმანულ-პოლონური ურთიერთობების განახლებას უჭერდნენ მხარს. ჰელმუთ შმიდტი, ჰანს აპელი და მე მინისტრთა შეხვედრისას, რომელიც ფედერალური კანცლერის ძველ სამუშაო ოთახში გაიმართა შაუმბურგის სასახლეში, საბოლოოდ შევთანხმდით, რომ ხელახლა დავუბრუნდებოდით ამ საკითხს. მოსაწესრიგებელი იყო მთელი რიგი პრობლემებისა: პოლონური

მხარე შეღავათიან კრედიტს ითხოვდა, მოსაგვარებელი იყო საპენსიო დაზღვევის საკითხი — კერძოდ, ომის დროს იძულებით სამუშაოებზე მყოფ პოლონელთათვის კომპენსაციის გაცემის საკითხი — და სამართლებრივ ურთიერთობაში დასახლებული პუნქტების სახელწოდებებთან დაკავშირებული უთანხმოება. რომელი სახელწოდებები უნდა გამოგვეყენებინა: 1945 წლამდე არსებული გერმანული დასახელებები თუ ახლანდელი პოლონური? ამას ემატებოდა პოლონეთში დარჩენილ გერმანელთა მძიმე მდგომარეობაც. მათ ხომ ყველანაირად უშლიდნენ ხელს გერმანული იდენტობის შენარჩუნებაში. ისინი კათოლიკურ სარწმუნოებას აღიარებდნენ, თუმცა იმის საშუალებაც არ ჰქონდათ, რომ ეკლესიის დახმარებისა და თანაგრძნობის იმედი ჰქონოდათ. ასიათასობით გერმანელს, როგორც მოგახსენეთ, პოლონეთის დატოვების სურვილი ამოძრავებდა; გერმანელთა განდევნის პოლიტიკა პოლონეთში ამჯერად ადამიანთა ამ ქვეყანაში დატყვევების პოლიტიკამ შეცვალა. ვინც გასაჭირში ჩავარდნილი ადამიანების სატკივარს და გერმანულ-პოლონური სამომავლო ურთიერთობის მნიშვნელობას აცნობიერებდა, მას უფლება არ ჰქონდა, შეგუებოდა ამ მდგომარეობას, აქ არც მკაცრი სიტყვები შველოდა საქმეს და არც საზღვრის საკითხის გადასინჯვა-კონტროლის მოთხოვნა. პოლონელ გერმანელთა დახმარების ერთადერთი გზა ორმხრივი ურთიერთობების თანდათანობითი გაუმჯობესებისათვის გულწრფელი გარჯა გახლდათ. პოლონეთის მთავრობასთან ჰელმუთ შმიდტისა და ჩემი შეხვედრის დროს ჰელსინკიში, პოლონეთის საელჩოში, სამუშაო სადილზე სწორედ ამასთან დაკავშირებით ვსაუბრობდით. ურთიერთნდობა უნდა განგვემტკიცებინა. პოლონელები ერთსულოვანნი იყვნენ ერთ საკითხში: მათ დაცულ, უდავო საზღვრებში ცხოვრება სურდათ.

რამდენადმე დრამატული მოლაპარაკებების შემდეგ, რამაც შვიდ საათზე მეტ ხანს, მეორე დილამდე, გასტანა, ბოლოს ერთობლივ დეკლარაციაზე შევთანხმდით. შეთანხმება პენსიების, კრედიტების საკითხებსა და ომის გამო დაქსაქსული ოჯახების გამთლიანებას ეხებოდა. რაც შეეხება პოლონეთის მხარის პრეტენზიას საპენსიო კომპენსაციასთან დაკავშირებით, შევთანხმდით, რომ 1976 წლიდან 1,3 მილიარდი გერმანული მარკის სრული გადახდა სამ თანაბარ ნაწილად მოხდებოდა. გარდა ამისა ჩვენ ერთი მილიარდი გერმანული მარკის კრედიტზეც დავთანხმდით; ეს გახლდათ შეღავათიანი სესხი

ორნახევარი პროცენტის გადასახადითა და ოცდახუთწლიანი ვადით, ამასთან ინკლუზივის სახით კიდევ ხუთი წელი დაემატა გადასახადის გარეშე. მაშასადამე, უპირატესი ხელშეწყობის პირობები შევქმენით; ამ კრედიტის გაცემასაც სამ ეტაპად დავიწყებდით 1976 წლიდან. პოლონეთის მხარემ თავის მხრივ ვალდებულება აიღო, რომ ოთხი წლის განმავლობაში 120000–125000 გერმანელს ფედერაციულ რესპუბლიკაში გამგზავრების უფლებას მისცემდა. ეგრეთ წოდებული „უფლების დატოვების საგანგებო პირობა" უნდა ყოფილიყო გარანტია იმისა, რომ ოთხწლიანი ვადის გასვლის შემდეგაც შესაძლებელი იქნებოდა განცხადების შეტანა და ქვეყნიდან გასვლაზე ნებართვის მიღება.

ჰელსინკის შეხვედრამ ნაყოფი გამოიღო. ჰელმუთ შმიდტს ხანგრძლივი ღამეული საუბარი ჰქონდა ედვარდ გირეკთან, რამაც ამ ორ ადამიანს ურთიერთნდობა განუმტკიცა. შმიდტს გირეკისადმი თავისი პატივისცემა არც მაშინ დაუფარავს, როდესაც ის შერისხეს; ამგვარი პოზიცია ყოველთვის მოწიწების განცდას აღმიძრავდა. მოლაპარაკებების მთელი სიმძიმე იმ ღამეს ოლშოვსკისა და მე დაგვაწვა, თანაც ჩემი პარტნიორი იოლი თანამოსაუბრე არ გახლდათ. პოლონეთის რეზიდენციის ტერიტორიაზე ერთ ბუნგალოში განვმარტოვდით და ჩვენს თანამშრომლებთან ერთად სასტუმრო ოთახში მოვეწყვეთ. ნავაჭრით გაძეძგილი პარკების ალყაში მოვხვდით. ქალბატონ ოლშოვსკის ევროთათბირი საყიდლებისათვის გამოეყენებინა; თუ ნავაჭრის რაოდენობის მიხედვით ვიმსჯელებთ, ალბათ მთელ სამეგობროსა და სანათესაოზე იზრუნა. როგორც ჩანს, ამან ოლშოვსკის გულისწყრომა გამოიწვია, მაგრამ როცა სასტუმრო ოთახში შევედით, უკვე გვიან იყო.

შეთანხმებებმა ოპოზიციის მძლავრი თავდასხმა გამოიწვია. ქრისტიანულ-სოციალური კავშირის თავმჯდომარე ფრანც იოზეფ შტრაუსი ალაპარაკდა „გაუთვალისწინებელ თანხებზე, რომელსაც კომუნისტები ითხოვდნენ". თითქმის ათი წლის შემდეგ მან საკუთარი შეიცვალა აზრი, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის საკრედიტო სურვილებთან დაკავშირებითაც კი. ამ შემთხვევაში ის მართალი გახლდათ.

1975 წლის 9 ოქტომბერს ვარშავაში ჩემი, როგორც საგარეო საქმეთა მინისტრის, პირველი ოფიციალური ვიზიტი შედგა. ამ

ვიზიტის დროს ჩემს კოლეგა ოლშოვსკის და მე ხელი უნდა მოგვეწერა ფედერაციულ რესპუბლიკასა და პოლონეთის სახალხო რესპუბლიკას შორის შეთანხმებისთვის, რომელიც საპენსიო პრეტენზიების სრულ დაკმაყოფილებას შეეხებოდა; უნდა გაგვეფორმებინა ხელშეკრულება კრედიტების შესახებ, ეკონომიკური, ინდუსტრიული თუ ტექნიკური ურთიერთთანამშრომლობის განვითარების გრძელვადიანი პროგრამის შესახებ და პოლონეთში მცხოვრებ გერმანელთა გფრში გადასვლის გაიოლებასთან დაკავშირებით.

1975 წლის 7 ნოემბერს ხელშეკრულებების პირველ წაკითხვასთან დაკავშირებით სიტყვით გამოვედი ბუნდესრატში და ამომწურავად განვმარტე ფედერალური მთავრობის არგუმენტები: პენსიებთან დაკავშირებულ ხელშეკრულებას პენსიებისა და უბედური შემთხვევების დაზღვევის სფეროში უნდა მოეწესრიგებინა ურთიერთობები; ამგვარი შეთანხმება პირველი არ გახლდათ, რადგან მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ფედერაციულმა რესპუბლიკამ ანალოგიური ხელშეკრულებები გააფორმა ავსტრიასთან, ლუქსემბურგთან, ნიდერლანდებთან და იუგოსლავიასთან, რაც შემოერთების პრინციპის შესაბამისად ხორციელდებოდა. გერმანულ-პოლონური ხელშეკრულებაც ამ სახით იყო ჩაფიქრებული: დაზღვევის უფლების მქონე პირებს კომპენსაცია მათი საცხოვრებელი ქვეყნის სადაზღვეო ორგანიზაციებისგან უნდა მიიღოთ ამ ქვეყანაში მოქმედი სამართლებრივი ნორმების შესაბამისად. შესრულებული შრომის მოცულობისა და ხარისხის მიხედვით ანაზღაურების პრინციპი ამ ხელშეკრულების თანახმად ვერ განხორციელდებოდა, რადგან პოლონეთში არსებული დაქვითვებისა და სავალუტო კურსის ცვალებადობის პირობებში — რომ აღარაფერი ვთქვათ მრავალრიცხოვანი გადასახადით სადაზღვეო ორგანიზაციების დაბეგვრაზე — გერმანიის მიერ გადასახდელი კომპენსაცია დიდად ვერ დაეხმარებოდა დაზღვევის უფლების მქონე პირებს. გარდა ამისა, მრავალ მიზეზთა გამო ამ საკითხის სავსებით სამართლიანი ინდივიდუალური მოწესრიგებაც პრაქტიკულად შეუძლებელი გახლდათ. პოლონეთისათვის განსაზღვრული თანხის საერთო მოცულობა უფლებამოსილ პრეტენდენტთა სავარაუდო რაოდენობაზე, მათ ასაკობრივ სტრუქტურასა და დაზღვევის სავარაუდო ხანგრძლივობაზე იყო გათვლილი.

საკრედიტო შეთანხმებას ეკონომიკური თანამშრომლობისათვის,

ამ შემთხვევაში ინდუსტრიული კოოპერაციისთვის, უნდა შეეწყო ხელი. საფრანგეთმა, იტალიამ, ბელგიამ, კანადამ და ამერიკის შეერთებულმა შტატებმა ექსპორტის ხელშეწყობის მიზნით საკმაოდ დიდი კრედიტები გამოუყვეს პოლონეთს. ჩვენს მიერ პოლონეთისთვის გათვალისწინებული კრედიტის ოდენობა მილიარდ გერმანულ მარკას შეადგენდა და ჩამოთვლილი ქვეყნების საკრედიტო პირობებისაგან განსხვავებით საგრძნობლად შელავათიანი და გრძელვადიანი გახლდათ. თუმცა ზემოხსენებულ კრედიტორ ქვეყნებს ჩვენგან განსხვავებით ფინანსური დახმარება პოლიტიკურ და ჰუმანიტარულ მოთხოვნებთან არ დაუკავშირებიათ: ჩვენ ვითხოვდით, რომ პოლონეთიდან გამოსვლის მსურველ გერმანელთათვის გამგზავრების უფლება მიეცათ. ისტორიას ვერც აქ გაექეცით.

ჩვენ განსაკუთრებით შელავათიანი კრედიტის გაცემის გადაწყვეტილება მივიღეთ, რათა გაძლიერებული ეკონომიკური თანამშრომლობის წყალობით გერმანულ-პოლონური ურთიერთობები ხანგრძლივი დროით გაგვეუმჯობესებინა და, უპირველეს ყოვლისა, პოლონეთიდან გამოსვლის მსურველ გერმანელთა რიცხვი გაგვეზარდა. გრძელვადიანი და შელავათიანი სესხების გაცემა საერთაშორისო პრაქტიკაშიც იყო დამკვიდრებული, თუმცა ეჭვი არ გვეპარებოდა, რომ ამ სახსრების მნიშვნელოვანი ნაწილი გერმანული ეკონომიკის შეკვეთებს უნდა მოხმარებოდა და მოხმარდებოდა.

და ბოლოს: ფედერალური მთავრობისათვის უმნიშვნელოვანეს დოკუმენტს წარმოადგენდა „პროტოკოლი გადასახლების შესახებ". პოლონეთის მთავრობამ ჰელსინკიში ვალდებულება აიღო შემდგომი ოთხი წლის განმავლობაში ქვეყნიდან გამგზავრების ნება დაერთო პოლონეთში მცხოვრებ გერმანელთა დიდი ნაწილისთვის, რაც ჩვენთვის ესოდენ მნიშვნელოვანი გახლდათ. პირადად მე გერმანიის იმ ნაწილში გავიზარდე, სადაც მოგვიანებით გდრ შეიქმნა; 1952 წელს გადავწყვიტე ჩემი სამშობლოს იმ მეორე ნაწილში გადავსახლებულიყავი, სადაც თავისუფლება და დემოკრატია მეგულებოდა, ამიტომ თავს ვალდებულად ვთვლიდი გერმანელთა წინაშე, რომელთა სამშობლოც მეორე მსოფლიო ომის შემდეგ გერმანიას მოწყდა. ვალდებული ვიყავი კარი გამეღო მათთვის, ვისაც ფედერაციულ რესპუბლიკაში ცხოვრება სურდა.

მოხსენების ბოლოს ფედერალურ მხარეთა წარმომადგენლებს

მივმართე: „ომმა და განდევნამ, სამშობლოს დაკარგვამ დაღი დაასვა მილიონობით თანამემამულის ბედისწერას. ადრე თუ გვიან მათ მაინც მოიპოვეს აქ, ფედერაციულ რესპუბლიკაში, ახალი ცხოვრების დაწყების შესაძლებლობა. რასაც ერთობლივ აღმშენებლობის პროცესში მივაღწიეთ, უფლებას არ გვაძლევს დავივიწყოთ პოლონეთის სახალხო რესპუბლიკაში მცხოვრები უამრავი გერმანელი, რომელნიც, რომ შეეძლოთ, უკვე ჩვენთან იქნებოდნენ... „გადასახლების პროტოკოლი", ეს არის არსებითი ნაბიჯი, რომელიც 120 000–125 000 გერმანელის დიდი ხნის სანუკვარი ოცნების ასრულების წუთს აახლოებს".

ფართო ხელშეკრულების ნაკლოვანი მხარეები — რაც ჩემთვისაც ძალზე დასანანი გახლდათ — არასდროს დამიფარავს. ყოველგვარი შელამაზების გარეშე განვაცხადე: „ფედერალური მთავრობა ამჯობინებდა ამ პროტოკოლით დადგენილ ვადებში ყველა მსურველის მოთხოვნა დაეკმაყოფილებინა, მაგრამ ეს დოკუმენტი იმის გამოხატულებას წარმოადგენს, რაც მხოლოდ დღეს არის შესაძლებელი, ამჟამად მეტის მიღწევა შეუძლებელი გახლავთ. ფედერალურმა მთავრობამ ეს გადაწყვეტილება მიიღო, რათა მაქსიმალისტური მოთხოვნის — ყველაფერი ან არაფერი — გამო ისიც არ დაეკარგა, რაც დღეს არის ხელმისაწვდომი". ახლა სწორედ ამ არჩევანის წინაშე დგანან გერმანიის ბუნდესტაგის დეპუტატები და გერმანიის ფედერალური მხარეების მთავრობები-მეთქი.

პოლიტიკურად დაინტერესებული საზოგადოება ცხოველ მონაწილეობას იღებდა 1975-76 წლებში გერმანულ-პოლონური ურთიერთობების ირგვლივ გამართულ დებატებში. გერმანიის ევანგელიკური ეკლესიის სინოდმა 1975 წლის ნოემბრის დასაწყისში „პოლიტიკური პასუხისმგებლობის მატარებელ პირებს" მოუწოდა, შეთანხმებების წინააღმდეგ გამოთქმული კრიტიკული შენიშვნები გაეთვალისწინებინა, მაგრამ შერიგების პროცესი არ ჩაეშალა. ანალოგიური აზრი გამოხატა გერმანელ კათოლიკეთა ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმმა. ბენსბერგერის წრეც მიესალმებოდა ხელშეკრულებებს.

1976 წლის 19 თებერვალს გერმანულ-პოლონურ შეთანხმებებთან დაკავშირებულ დასკვნით თათბირზე გერმანიის ბუნდესტაგში გამოსვლისას ერთხელ კიდევ მოვუწოდე ოპოზიციას: „ვისაც ურთიერთგაგების

მიღწევა სურს, მზად უნდა იყოს, გააკეთოს ის, რაც დღეს არის შესაძლებელი და ნიადაგი მოამზადოს იმისთვის, რისი გაკეთებაც მომავალში აუცილებელი იქნება. ხომ არ გვგონია, რომ კომპრომისზე მხოლოდ გერმანული მხარე მიდის თავის მოთხოვნებთან მიმართებაში... ვინც სერიოზულად ეწინააღმდეგება მორალურ განზომილებას, ისტორიულ ფონს, ის ენერგიულად ვერ მიუახლოვდება საკითხს, რომელიც დღეს უნდა გადაწყდეს. ამ დებატებისას უადგილო მგონია მკვეთრი გამოთქმები და არ დაგიმალავთ, ბოლო კვირებში არსებული დაპირისპირებისას ისეთი განცდა დამეუფლა, რომ აქ გამომსვლელ ორატორთაგან ყველა ვერ აცნობიერებდა, რომ მის სიტყვას პოლონეთშიც უსმენდნენ. ვფიქრობ, განმარტოებისას ყოველი ჩვენგანი საკუთარ თავს უნდა დაეკითხოს: რაღა ფასი ექნება ჩვენს თანხმობას ამ ხელშეკრულებაზე, თუკი მასთან დაკავშირებული დისკუსიის ფორმა და მანერა ახალ ჭრილობებს მიაყენებს ადამიანებს პოლონეთში".

შეთანხმებები რომ შერიგების ტოლფასი არ არის, ამასაც ხაზგასმით აღვნიშნავდი. შერიგება ხელშეკრულებით არ ხდება — ის ადამიანებს შორის უნდა აღმოცენდეს. ხელშეკრულებები კონკრეტულ პოლიტიკურ ქმედებებს, მომავლის კონკრეტულ ფორმირებას არეგულირებს: „ჩვენ იმის წანამძღვრები უნდა შევქმნათ, რომ ჩვენი ურთიერთობები სულ უფრო გაუმჯობესდეს და გამოსწორდეს, რაც იმას ნიშნავს, რომ ურთიერთთანამშრომლობის ახალი შესაძლებლობები შევქმნათ და დაბრკოლებები გადავლახოთ".

დეპუტატებს გულწრფელად განვუცხადე: „ფედერალურმა კანცლერმა და მე იმ ღამეს ჰელსინკიში კეთილსინდისიერად გადავამოწმეთ რამდენად შესაძლებელი და დასაშვები გახლდათ ჩვენი თანხმობა; დღეს თქვენს წინაშე ჩვენს მრწამსს ვადასტურებ: იმ ღამეს მიღწეულ იქნა ის, რაც დღეს არის შესაძლებელი და ღიად დატოვებული საკითხების სამომავლო გადაჭრის გზა კი არ ჩავხერგეთ, არამედ იოლსავალი გავხადეთ. „უფრო მეტის გაკეთება", რაც ყველას გვსურს, შესაძლებელია. მერწმუნეთ, ფედერალურ კანცლერს და მე ეჭვი არ გვეპარება, რომ ჩვენს პოლონელ პარტნიორს — ისევე, როგორც ჩვენ — სერიოზულად სურს შეასრულოს შეთანხმებებით გათვალისწინებული თავისი წილი ვალდებულებები. ეს ეხება ეგრეთ წოდებული „უფლების შენარჩუნების საგანგებო პირობის" შესრულების

სერიოზულ სურვილსაც. ამიტომ უკანასკნელ წუთამდე ვიბრძოლებთ იმისათვის, რომ საკანონმდებლო ორგანოების თანხმობა მივიღოთ".

ფედერალური კანცლერი შმიდტი და მე, ვაძლევდით რა რეკომენდაციას, მიეღოთ ეს ხელშეკრულებები, ძირითადად ორი მოსაზრებით ვხელმძღვანელობდით: ერთის მხრივ მარცხი განიცადა 1970 წლამდე არსებულმა პოლიტიკამ — ყველაფერი ან არაფერი, რადგან იმჟამად ადამიანების ინტერესების შესატყვისი შესაძლებლობა არ გამოიყენა. ეს ადამიანები ხომ წლობით ელოდნენ გერმანიაში გადმოსახლების შესაძლებლობას და ყოველი მათგანის პირადი ბედისწერის საკითხი წყდებოდა. მეორეს მხრივ, ვიცოდით, რომ სამომავლო ამოცანების გადაჭრას მხოლოდ იმ შემთხვევაში შევძლებდით, თუ ხელშეკრულების რატიფიკაციით ხელს შევუწყობდით ურთიერთობების გაუმჯობესებას.

სხვა სურვილების აღსრულება და სხვა შეღავათების მიღწევა ურთიერთობების გამკაცრების პირობებში კი არა, არამედ მხოლოდ ორმხრივი ურთიერთგაგების ატმოსფეროში იქნებოდა შესაძლებელი, თვით პოლონეთში დარჩენილი გერმანელებისთვისაც. ეს ხომ პოლონელ ხალხსაც დაეხმარებოდა, თუ ჰელსინკის დასკვნით აქტში მიღწეულ შეთანხმებებს აქაც ავამოქმედებდით. ვის რას არგებდა, პოლონეთის მთავრობას ფედერაციული რესპუბლიკა კვლავ მტრის ხატად რომ დაესახა და ქვეყნის შიგნით რეპრესიული პოლიტიკის გასამართლებლად გამოეყენებინა? ამგვარი ატმოსფეროს დამკვიდრებას ხელშეკრულების უარყოფით კი არ შევუშლიდით ხელს, არამედ მისი მიღებით. შეთანხმებების მიუღებლობა მძიმე დარტყმა იქნებოდა არა მხოლოდ გერმანულ-პოლონური ურთიერთობისათვის, არამედ — მათი საგარეოპოლიტიკური მნიშვნელობიდან გამომდინარე — დასავლეთთან ჩვენს ურთიერთობაზეც მძიმედ იმოქმედებდა. ამ მიზეზთა გამო ბოლოს ვთქვი: „ასე თავგამოდებით არც ერთი სხვა გადაწყვეტილებისთვის არ მიბრძოლია. ამიტომ შემიძლია სუფთა სინდისით გამოვიდე თქვენს წინაშე და ფედერალური მთავრობის სახელით გთხოვოთ: დაეთანხმეთ ამ ხელშეკრულებას".

სახელობითი კენჭისყრის შედეგად პოლონეთთან ხელშეკრულებას ხმა მისცა ბუნდესტაგის 276-მა დეპუტატმა, მათ შორის ქრისტიანულ-დემოკრატიული კავშირის ცამეტმა დეპუტატმა და

ქრისტიანულ-სოციალური კავშირის ერთმა წარმომადგენელმა. წინააღმდეგი იყო 191 დეპუტატი. ქრისტიანულ-დემოკრატიული და ქრისტიანულ-სოციალური კავშირის წარმომადგენლები ერთის პირობით დათანხმდებოდნენ ხელშეკრულებას: თუ ყველა გერმანელის გამოსვლა პოლონეთიდან ოთხი-ექვსი წლის განმავლობაში მოხდებოდა საერთაშორისო სამართლის ნორმების შესაბამისად ჯერ კიდევ შესათანხმებელი ობიექტური პროცედურის წყალობით.

რატიფიკაციას ჩაშლის საფრთხე ემუქრებოდა. ბოლოს და ბოლოს ბონსა და ვარშავას შორის ურთიერთობაში გადამწყვეტ ცვლილებას მივაღწიე. რატიფიკაციასთან დაკავშირებული საპარლამენტო დებატები განსაკუთრებით გაამწვავა ოქმში შეტანილმა ერთმა წინადადებამ: „განაცხადის შემოტანაზე შეზღუდული ვადების დაწესება იმ პირთა მიმართ, რომლებიც ინფორმაციაში ჩამოთვლილ კრიტერიუმებს აკმაყოფილებენ გათვალისწინებული არ არის". ქრისტიანულ-დემოკრატიული/ქრისტიანულ-სოციალური კავშირებით წარმოდგენილი მხარეები უარყოფით აზრს გამოთქვამდნენ: გამგზავრების ნებართვის გარანტიას ეს არ იძლევაო. ამის გამო ოლშოვსკიმ 9 მარტს ხაზგასმით აღნიშნა: „გარდა ამისა, მოსალოდნელი არ არის არანაირი შეზღუდვა იმ პირთა მიერ განაცხადის შეტანის და ამ განაცხადის უმოკლეს ვადებში განხილვის საკითხში, რომლებიც ინფორმაციაში ჩამოთვლილ კრიტერიუმებს აკმაყოფილებენ".

სადავო საკითხის მოწესრიგება ამგვარი ფორმულირებით ვცადე: „ფედერალური მთავრობა დიდ მნიშვნელობას ანიჭებს პირობას, რომ ოთხი წლის განმავლობაში გამგზავრების ნებართვას მიიღებს 120 000–125 000 პირი ინფორმაციის საფუძველზე და ამ ინფორმაციაში დასახელებული კრიტერიუმებისა და პროცედურების შესაბამისად და რომ ვადების დამატებითი შეზღუდვა განაცხადების განხილვის და შეძლებისდაგვარად სწრაფი დამუშავების საკითხში მოსალოდნელი არ არის იმ პირთა მიმართ, რომლებიც ინფორმაციაში ჩამოთვლილ კრიტერიუმებს აკმაყოფილებენ, რაც ნიშნავს, რომ ვადის გასვლის შემთხვევაშიც აღნიშნულ პირთათვის გამგზავრების ნებართვის გაცემა შესაძლებელია". ხელახალი კონტაქტისას პოლონეთმა ბოლოს, 11 მარტს, მზადყოფნა გამოთქვა, მიეღო ჩემი ვარიანტი. პოლონეთმა ჩვენი ბოლო მოთხოვნა შეასრულა: სიტყვა „შესაძლებელია" უნდა ამოგვეღო. ბუნდესრატის საბოლოო თანხმობის

მოპოვებაში ორ ადამიანს მიუძღვის წვლილი: ზაარის მხარის პრემიერ-მინისტრ ფრანც-იოზეფ რიოდერს და ქვემო საქსონიის პრემიერ-მინისტრ ერნსტ ალბრეხტს.

რიოდერი ჯერ კიდევ 1975 წლის ბოლოს მეწვია ფედერალურ რეზიდენციაში, პრეზიდენტის ფლიგელში მდებარე პატარა ოთახში. პირისპირ საუბრისას მან მითხრა: მე სასაზღვრო მხარის პრემიერ-მინისტრი ვარ და თქვენი ხელშეკრულებების მნიშვნელობა კარგად მესმის. შეგიძლიათ ზაარის მხარის მხარდაჭერის იმედი გქონდეთ, მაგრამ აუცილებელია, რომ ქრისტიანულ-დემოკრატიული კავშირის წარმომადგენელმა რომელიმე მხარემაც მხარი დაგიჭიროთო. — ვის გულისხმობთ-მეთქი? — ალბრეხტსო.

ერნსტ ალბრეხტს დავუკავშირდი. მას კარგად ესმოდა სავიზო რეჟიმის საგანგებო პირობის მნიშვნელობა. 1976 წლის 11 მარტს, ბუნდესრატში კენჭისყრის წინა დღეს, ალბრეხტი ბონში იმყოფებოდა და მუდმივი კონტაქტი გვქონდა. ჩემს ოთახში მოწყობილი სპეციალური სატელეფონო ხაზის მეორე ბოლოს, ვარშავაში, საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ჩირეკი მელოდებოდა. სავიზო რეჟიმთან დაკავშირებულ საპროტოკოლო ცვლილებებს მასთან გერმანულ ენაზე განვიხილავდი. ბოლოს პოლონეთის მხარე დათმობაზე წავიდა და სიტყვა „შესაძლებელია“ ამოღებულ იქნა.

ჩირეკმა მითხრა: დათმობაზე წავალთ, თუ გარანტიას მომცემთ, რომ ამის შემდეგ მაინც მოხდება რატიფიკაციაო, რაზეც ვუპასუხე: ოცდაათ წუთში ჩემს თანხმობას მიიღებთ-მეთქი. მკითხა, მისი დაცვის გარანტი ვინ იქნებაო. ჩემი პასუხი იყო: „მე ვიქნები — თუ ბუნდესრატი რატიფიცირებას არ მოახდენს, გადავდგები“

საგარეო საქმეთა მინისტრად მთელი ჩემი მოღვაწეობის მანძილზე არასდროს გადამითქვამს სიტყვა, რადგან ვთვლი, რომ საგარეო საქმეთა მინისტრი, რომელიც — ფორმალურ თუ არაფორმალურ, წერილობით თუ ზეპირსიტყვიერ, დელეგაციებისთვის თუ პიროვნებებისთვის მიცემულ — დაპირებებს ვერ ასრულებს, დაუყოვნებლივ უნდა გადადგეს. ასეთ შემთხვევაში, კოლეგების მხრიდან მისდამი პიროვნული პატივისცემის მიუხედავად, ის წონას დაკარგავს; დაკარგავს გავლენას, რაც აუცილებელია მისი ქვეყნის ინტერესების დასაცავად.

ჩირეკთან სატელეფონო საუბრის შემდეგ, სასწრაფოდ ქვემო საქსონიის სამხარეო წარმომადგენლობაში გავემგზავრე და ერნსტ

ალბრეხტს საქმის ვითარების შესახებ მოვახსენე. საუბარი ამ სიტყვებით დავამთავრე: „დადგა დრო, როდესაც ან ჰო უნდა თქვათ, ან არა“. მიღებულ ფორმულირებას ის ეთანხმებოდა. თქვენ იცით, რომ დანაპირებს შევასრულებ და გადავდგები, თუ ხვალ დილით ამ საკითხის გატანას ვერ მოახერხებთ-მეთქი. სიტყვას არ გადავუხვევო, — მიპასუხა ალბრეხტმა. თუ ხელშეკრულების რატიფიკაცია არ მოხდება, ქვემო საქსონიის პრემიერ-მინისტრის თანამდებობიდან გადავდგებიო. ეს ჭეშმარიტი სახელმწიფო მოღვაწის პოზიცია გახლდათ. ეს გამოცდილება ჩვენ დღემდე გვაკავშირებს.

ფრანც-იოზეფ რიოდერისა და ერნსტ ალბრეხტის დამსახურებაა, ბუნდესრატმა კონსტრუქციული, ეროვნული ინტერესების შესაბამისი პოზიცია რომ დაიკავა. ის პროცესი, რომელიც მთავრობასა და ოპოზიციას შორის ძალების მოსინჯვით დაიწყო, მთავრობისა და ოპოზიციის რაციონალური თანამშრომლობის გაკვეთილად იქცა. ამის წინაპირობა ის გახლავთ, რომ მთავრობას და ოპოზიციას ერთი მიზანი უნდა ამოძრავებდეს, ან შეიძლება ისინი საერთო მიზანმა გააერთიანოს. მთავრობა მზად უნდა იყოს, რომ ოპოზიციის არგუმენტები პრესტიჟის მცდარი გაგების გარეშე გაიზიაროს და გამოიყენოს. მერე უკვე გვიანია იმაზე მსჯელობა, ტექსტის შეცვლა არსობრივად უფრო ბევრს მოგვიტანდა, თუ უცვლელი ტექსტითაც ვიზების იმავე რაოდენობაზე შევთანხმდებოდით. ახლა ამას მნიშვნელობაც აღარა აქვს. ჭეშმარიტად ისტორიული მნიშვნელობის გახლდათ ის ფაქტი, რომ პრემიერ-მინისტრების რიოდერისა და ალბრეხტის წყალობით ქრისტიანულ-დემოკრატიული და ქრისტიანულ-სოციალური კავშირებით წარმოდგენილმა ფედერალურმა მხარეებმა პოლონეთთან ჩვენს მომავალ ურთიერთობასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებისადმი პოზიცია შეარბილეს. კავშირის პარტიების მხარდაჭერა ამ საკითხში ძალზე მნიშვნელოვანი გახლდათ, მით უფრო, რომ რიოდერს და ალბრეხტს ზურგს უთუოდ უმაგრებდა ჰელმუთ კოლი. ყოველივე ამის მნიშვნელობა მას მერე გამოვლინდა, რაც ჰელმუთ კოლი ფედერალურ კანცლერად იქნა არჩეული.

სხვათა შორის, პოლონეთის მთავრობა მიღებულ შეთანხმებებს — როგორც მომდევნო წლებმა გვიჩვენა — ასრულებდა. 1976 წლიდან 1979 წლამდე 134 000 გერმანელი ჩამოვიდა ფედერაციულ რესპუბლიკაში, ხოლო 1982 წლამდე ეს რიცხვი მილიონის მეოთხედს

მიუახლოვდა. ჰელმუთ შმიდტი თავის წიგნში „გერმანელები და მათი მეზობლები“ ამასთან დაკავშირებით წერს: „ორივე საგარეო საქმეთა მინისტრის — ოლშოვსკისა და გენშერის — დამსახურება გახლავთ, რომ შესაძლებელი გახდა ნაწილობრივ პედანტური, ნაწილობრივ ხელოვნურად შექმნილი დაპირისპირებულობის დაძლევა, რაც ქრისტიანულ-დემოკრატიული და ქრისტიანულ-სოციალური კავშირების მიერ მართული მხარეების მიერ იქნა გამოწვეული. ქრისტიანულ-დემოკრატიული კავშირის პრემიერ-მინისტრებს რიოდერსა და ალბრეხტს, ასევე ქრისტიანულ-დემოკრატიული კავშირის თავმჯდომარესა და რაინლანდ-პფალცის პრემიერ-მინისტრ კოლს დიდი წვლილი მიუძღვით იმაში, რომ ბუნდესრატის დადგენილება საბოლოოდ ერთხმად იქნა მიღებული“. შმიდტი იქვე დასძენს, რომ: „ქრისტიანულ-სოციალური კავშირის თავმჯდომარე შტრაუსი და სხვანი და სხვანი გარკვეულწილად ბოროტ და პოლონეთისადმი შეურაცხმყოფელ დამოკიდებულებს იჩენდნენ და უარყოფითი პოზიცია არ შეუცვლიათ“.

ერნსტ ალბრეხტის დაპირების შემდეგ ფედერალურ კანცლერ შმიდტს ვესტუმრე მის კაბინეტში, რათა უახლეს გარემოებებზე მესაუბრა. მან მაშინვე დაურეკა ჰერბერტ ვენერს, რომელმაც ასევე შვებით ამოისუნთქა. 12 მარტის დილა — ჩემი მეუღლის დაბადების დღე — ქრისტიანულ-დემოკრატიული/ქრისტიანულ-სოციალური კავშირების პრემიერ-მინისტრებისა თუ მათი წარმომადგენლების წრეში გავატარე. ბუნდესრატის სხდომათა დარბაზში ამ საკითხთან დაკავ-შირებით მოხსენებით გამოვედი, მაგრამ წილი უკვე ნაყარი იყო. საღამო კი შემეძლო უკვე უდარდელად გამეტარებინა მეგობრების წრეში და ჩემი მეუღლის დაბადების დღე აღმენიშნა — მას ორმოცი წელი შეუსრულდა.

1976 წლის ივნისში, ედვარდ გირეკისა და საგარეო საქმეთა მინისტრ ოლშოვსკის ვიზიტი ამ მოვლენების ფონზე გართულებების გარეშე მიმდინარეობდა. გერმანია-პოლონეთის ურთიერთობაში ჯერ კიდევ არსებობდა მრავალი ღიად დარჩენილი საკითხი. მართალია, ედვარდ გირეკის ვიზიტის დროს, 1976 წლის 11 ივნისს, პოლონეთის საგარეო ვაჭრობის ორგანიზაციასთან მომარაგებისა და კოოპერაციის სფეროში თოთხმეტი ხელშეკრულება გაფორმდა — რაც ეკონომიკური

და კოოპერაციული ხელშეკრულების შთამბეჭდავ დაკონკრეტებას წარმოადგენდა –, მაგრამ 1976 წლის 24 ივნისს პოლონეთის სახალხო წარმომადგენლობაში საგარეო საქმეთა მინისტრ ოლშოვსკის მიერ გაკეთებულმა განცხადებამ ცხადყო, თუ რა გრძელი და რთული გზა იყო კიდევ გასავლელი. მან განაცხადა: ორმხრივი ურთიერთობის ნორმალიზაცია ხანგრძლივი, ჯერაც დაუსრულებელი პროცესია, რომელიც დავიწყებასა და მიტევებაზე ილუზორული წარმოდგენებისაგან თავისუფალიაო.

### *მზერა მომავლისკენ: გარდატეხის ხანა პოლონეთში და კოლ-გენშერის მთავრობის პოლიტიკა*

სამოციან წლებში ჩვენს მიერ გატარებული პოლიტიკა, როგორც მოგვიანებით გაირკვა, ნაყოფიერი გახლდათ. 1981 წლის 19-20 მარტს ხელახლა ვეწვიე პოლონეთს. ძალზე შეშფოთებულნი ვიყავით ვარშავის პაქტის მონაწილე ქვეყნების შესაძლო სამხედრო ჩარევის გამო. პოლონეთის დედაქალაქში საუბრები მქონდა სახელმწიფო მეთაურ იარუზელსკისთან, პარტიის მდივან კანიასთან და საგარეო საქმეთა მინისტრ ჩირეკთან.

სუფრასთან წარმოთქმულ სიტყვაშივე მოვუწოდე სხვა სახელმწიფოებს შინაგან საქმეებში ჩაურევლობისაკენ. ეს სიტყვები ვარშავის პაქტის მონაწილე ქვეყნების გასაგონად ითქვა, რომლებიც პოლონეთში მოძრაობა „სოლიდარობის" გამოსვლას აკრიტიკებდნენ. გენერალ იარუზელსკის ამის შესახებ უფრო კონკრეტულად ვუთხარი: თუკი უცხო სამხედრო ძალა პოლონეთის შინაგან საქმეებში ჩაერევა, ამას გაუთვალისწინებელი შედეგები მოჰყვება და ევროპაში მდგომარეობა ძირფესვიანად შეიცვლება-მეთქი. ამ მოლაპარაკებისას, ისევე როგორც სხვა კონტაქტების დროს, ეჭვი არ მეპარებოდა, რომ ვარშავის პაქტის ქვეყნების ინტერვენცია ამჯერად დასავლეთში იმისგან სრულიად განხვავებულ რეაქციას გამოიწვევდა, რაც ორმოციან, ორმოცდაათიან თუ სამოციან წლებში გამოიწვია.

1981 წლის 13 დეკემბერს „სამხედრო წესების შესახებ" გამოტანილი დადგენილებაც უპასუხოდ არ უნდა დაგვეტოვებინა. ამასთან დაკავშირებით ჩვენი პოზიცია მკაფიოდ განვუმარტე დეკემბრის

ბოლოს ბონში ჩამოსულ პრემიერ-მინისტრის მოადგილეს, რაკოვსკის, რომელიც, თავის მხრივ, პოლონეთში შექმნილი მდგომარეობის განსამარტად იყო ჩამოსული. ჰელმუთ შმიდტი იმ დღეს ჰამბურგში გახლდათ და გადაწყდა, რომ რაკოვსკის მე შევხვდებოდი. ჩვენი შეხვედრის დროს რაკოვსკი პოლონეთში შექმნილ ვითარებას თავისი პოზიციიდან გამომდინარე მიხსნიდა. მან თქვა: ის, რაც 1980 წლის აგვისტომდე ხდებოდა, აღარ განმეორდება, მაშასადამე, ანარქიას ადგილი აღარ ექნებაო. თუმცა უნდა ითქვას, რომ 13 დეკემბერს არმიის ჩარევა სისტემის დამარცხების ტოლფასი იყო. პარტიას სახელმწიფო საკადრისად რომ ემართა, „სამხედრო წესების" შემოღება საჭირო არ გახდებოდაო. აუცილებელია მკაფიოდ გავიაზროთ, რომ პარტიამ ქედმაღლური და ამპარტავნული დამოკიდებულება გამოიჩინა, რამაც 1980 წელს მისდამი ნდობა ძალზე შეარყია. თუმცა „სოლიდარობაც" ზუსტად ანალოგიურ მდგომარეობაში იმყოფებაო.

მე შევეწინააღმდეგე: ფედერალური მთავრობა „სამხედრო წესების" შემოღებას არავითარ შემთხვევაში არ შეეგუება-მეთქი და ჰელსინკის შეთანხმებებზე მივუთითე, რომელთაც პოლონეთმაც მხარი დაუჭირა. მიმდინარე მოვლენები ძირეულად ეწინააღმდეგება ევროთათბირის დასკვნითი აქტის შინაარსსა და სულისკვეთებას. ჩვენს ქვეყანაში და ფედერალურ მთავრობაშიც პროფკავშირული მოძრაობა „სოლიდარობა" და ლეხ ვალენსა დიდი პატივისცემით სარგებლობს-მეთქი. მე სამხედრო წესების დაუყოვნებლივ გაუქმებას, პატიმრების გათავისუფლებას, „სოლიდარობის" ლიდერებთან და კათოლიკურ ეკლესიასთან დიალოგის დაწყებას მოვითხოვდი. მადრიდში ევროთათბირის მორიგ შეხვედრაზე პოლონეთის მთავრობას მოვუწოდე: „გააუქმეთ სამხედრო წესები! გაათავისუფლეთ პატიმრები! განაახლეთ დიალოგი ეკლესიასთან და პროფესიულ კავშირ „სოლიდარობასთან"! საშუალება მიეცით მეცნიერებს, დაუბრუნდნენ ჩვეულ საქმიანობას! სერიოზულად მოეკიდეთ ევროგაერთიანების ქვეყნებისა და დასავლური ალიანსის ნებას, რათა კვლავ გაგრძელდეს და გაღრმავდეს ევროთათბირის პროცესი, პოლიტიკური და ეკონომიკური ურთიერთთანამშრომლობა! ჩვენ გვესმის პოლონელი ხალხის სატკივარი. მომავალში ჩვენ გვსურს ისეთი პოლონეთი, რომლის მთავრობაც გაბედულად დაადგება განახლების გზას და გააგრძელებს რეფორმებს, რასაც პოლონეთის მთავრობა საკუთარ ხალხსა და ევროპის სახელმ-

წიფოთა მთავრობებს დაპირდა. ჩვენი აქტიური დახმარების იმედი მხოლოდ ასეთ პოლონეთს შეიძლება ჰქონდეს". იქვე ისიც დავძინე, რომ: „მოვუწოდებ საბჭოთა მთავრობას: მიეცით საშუალება პოლონეთის სახალხო რესპუბლიკას, ჰელსინკის დასკვნით აქტში მოცემული პრინციპების შესაბამისად და გარე ზემოქმედების გარეშე დამოუკიდებლად გადაწყვიტოს, აირჩიოს თუ არა განახლებისა და რეფორმების გზა!".

1982 წლის 30 იანვარს, პოლონეთთან სოლიდარობის დღეს, ვარშაველ და მოსკოველ ხელმძღვანელებს კიდევ ერთხელ მოვუწოდე გაეუქმებინათ სამხედრო წესები, გაეთავისუფლებინათ პატიმრები, განეახლებინათ მოლაპარაკება ეკლესიასა და პროფკავშირთან. განვაცხადე, რომ ჩვენ, გერმანელები, 1980 წლის ზაფხულიდან პოლონეთში მიმდინარე მოვლენებს სიმპათიითა და იმედით შევყურებდით-მეთქი. ამით ნათელვყავი მაშინ ჩვენს ქვეყანაში არსებული საერთო განწყობა და ფედერალური მთავრობის პოზიციაც. როგორც გამოირკვა, ერთადერთი დასავლელი საგარეო საქმეთა მინისტრი გახლდით, ვინც სოლიდარობის დღისადმი მიძღვნილ დიდ შეკრებაზე საჯაროდ გაილაშქრა პოლონეთში სამხედრო წესების შემოღების წინააღმდეგ.

პოლონეთისადმი ფედერალური მთავრობის პოზიცია ჰელმუთ კოლის ფედერალურ კანცლერად არჩევის შემდეგაც არ შეცვლილა. აუცილებლობად ითვლებოდა გარკვეულობა და თანმიმდევრულობა. 1984 წლის ივნისში, როდესაც გერმანიის ბუნდესტაგმა შეკითხვით მიმართა მთავრობას აღმოსავლეთ საზღვართან დაკავშირებით, შევეცადე ეს არაორაზროვნად გამეთვალსაჩინოებინა. ამიტომ პირადად ვპასუხობდი დეპუტატებს. შეგნებულად გადავუხვიე წესს, რომლის ძალითაც პარლამენტართა შეკითხვებს საგარეო უწყების სტატუს-მდივნები უპასუხებდნენ. ეს იმ სახის გადაწყვეტილება გახლდათ, ჩემს ნათქვამზე ყურადღებას რომ გაამახვილებდა ქვეყნის შიგნით თუ მის ფარგლებს გარეთ და გაამახვილა კიდეც. საზღვრის საკითხთან დაკავშირებით ჩემი საგარეო საქმეთა მინისტრის ავტორიტეტი გამოვიყენე და განვაცხადე: „გერმანიის ფედერაციულმა რესპუბლიკამ პოლონეთის სახალხო რესპუბლიკასთან შეთანხმებით ვარშავასთან დადებული ხელშეკრულების პირველ მუხლში დაადგინა, რომ ოდერ-ნაისე ხაზის გასწვრივ გამავალი საზღვარი პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის დასავლეთ სახელმწიფო საზღვარს წარმოადგენს.

გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა ახლაც და მომავალშიც დაიცავს ამ შეთანხმებას. მან პოლონეთის სახალხო რესპუბლიკასთან სახელშეკრულებო მოლაპარაკებებისას და საპარლამენტო კენჭისყრის დროსაც განაცხადა, რომ საერთაშორისოსამართლებრივ ვალდებულებას მოგვიანებით გაერთიანებულ გერმანიას კი არ აკისრებს, არამედ თავის თავზე იღებს. ყოველ საერთაშორისოსამართლებრივ ხელშეკრულებაში ყველა შემადგენელი ნაწილი თანაბარი ძალისაა. ვარშავის ხელშეკრულება ორივე მხარის იურიდიულ მოსაზრებებს ითვალისწინებს და მხარეთა ეროვნული ინტერესების დაბალანსებას ახდენს. 1984 წლის 30 მარტს, ერთ-ერთი განხილვისას, განვაცხადე: „1970 წლის 7 დეკემბერს დადებული ხელშეკრულების მყარ საფუძველზე პოლონეთთან ხალხთა შერიგებისა და სახელმწიფოთა შორის ურთიერთობის ნორმალიზაციის პროცესის გაგრძელება გვსურს. ამ ხელშეკრულების ტექსტი თუ შინაარსი ჩვენ მიერ ეჭვქვეშ არ იქნება დაყენებული. ეს ორივე მხარისთვის მნიშვნელოვანია". შემდეგ გავაგრძელე: „დასავლეთ-აღმოსავლეთის ურთიერთობების გაუმჯობესებისა და ევროპაში მშვიდობიანი სტაბილური წესრიგის დამკვიდრების საკითხში პოლონეთთან პოზიტიურ ურთიერთობას — გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკასა და საბჭოთა კავშირთან ურთიერთობის პარალელურად — ცენტრალურ მნიშვნელობას ვანიჭებთ. 1983 წლის დეკემბერში გენერალ იარუზელსკისადმი მიწერილ წერილში ეს ფედერალურმა კანცლერმაც დაადასტურა და მეც, იმ საუბრებისას, რომლებსაც ბოლო თვეებში გამუდმებით ვაწარმოებდი პოლონეთის საგარეო საქმეთა მინისტრ ოლშოვსკისთან".

გერმანიის ბუნდესტაგში გამართული დისკუსიისას ხაზგასმით აღვნიშნე: „1983 წლის 4 მაისის სამთავრობო განცხადებაში ფედერალური კანცლერი ადგენს: დადებული ხელშეკრულებები ძალაშია, ჩვენ ისინი ურთიერთობების აღმშენებლობისთვის უნდა გამოვიყენოთ. ეს იმას ნიშნავს, რომ არც ერთ ჩვენს მიერ დადებულ ხელშეკრულებას, მის ტექსტს თუ შინაარსს, გერმანია-პოლონეთის ხელშეკრულების ჩათვლით, არასდროს დავაყენებთ ეჭვქვეშ. მხარეებმა არსებული საზღვრების ურღვეობა დაადასტურეს და განაცხადეს, რომ ერთმანეთის მიმართ ტერიტორიული პრეტენზიები არ გააჩნიათ, არც ახლა და არც მომავალში არ წამოაყენებენ ასეთ პრეტენზიებს. ამიტომ გავიმეორებ, რაც ბუნდესტაგში გამართული კითხვა-პასუხისას

ვთქვი: «ომისშემდგომი გერმანული პოლიტიკის უძვირფასეს მონაპოვარს წარმოადგენს ის, რაც ომის შემდეგ მოხდა გერმანელებსა და პოლონელებს შორის, რაც ამ ხელშეკრულებამ გამოიწვია ხალხთა ცნობიერებაში. ჩვენი ვალია სიფრთხილე გამოვიჩინოთ და ისეთი არაფერი ჩავიდინოთ, რაც ჩვენს სიწრფელეში დააეჭვებს ადამიანებს. წარსულში გერმანელები ხშირად იძულებულნი ვიყავით ჩვენს მეზობლებს დავპირისპირებოდით და ვუპირისპირდებოდით. ხშირად ეს დაპირისპირება ჩვენი მიზეზით იყო გამოწვეული. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ჩვენი ეროვნული ინტერესები მთელი ევროპის ბედისწერას დავუკავშირეთ. ეს გახლავთ ჩვენი წვლილი და აქ აღარ არსებობს განსხვავება ფედერაციული თუ დემოკრატიული რესპუბლიკების გერმანელთა შორის ისევე, როგორც არ არსებობს განსხვავება გერმანიის მკვიდრ მოქალაქეებსა და გადმოსახლებულ დევნილ გერმანელთა შორის. გერმანიის მშვიდობიანი პოლიტიკა აქ, ფედერაციულ რესპუბლიკაში, ყველა მოქალაქის მშვიდობიანი პოლიტიკაა. მათ გასაგონად, ვინც ჩვენს ქვეყანას დღესაც რევანშისტულ ზრახვებში ადანაშაულებს, ვამბობ, რომ საკითხის მშვიდობიან გადაჭრას ნიშნავს ის, რომ სამშობლოს დაკარგვის მიუხედავად დევნილები აქ მხოლოდ კარგ დემოკრატებად კი არ გვევლინებიან, არამედ გერმანელი და პოლონელი ხალხების შერიგების მცველებად და არავის აქვს იმის უფლება, ეჭვქვეშ დააყენოს ეს»".

1984 წლის 12 სექტემბერს გერმანიის ბუნდესტაგში გამოსვლისას კვლავ დავადასტურე ეს და განმეორებით მოვუწოდე ყველას სერიოზულად და ღრმად გაეცნობიერებინათ პოლონეთის მიმართ ჩვენი ქვეყნის ისტორიული პასუხისმგებლობა: „ისტორიული პასუხისმგებლობიდან გამომდინარე არ უნდა დავივიწყოთ, რომ ჰიტლერმა ორმოცდახუთი წლის წინ პოლონეთზე თავდასხმით ევროპელ მეზობლებთან ომის პროვოცირება მოახდინა. 1939 წლის პირველი სექტემბერი ჩვენი ახლო და შორეული მეზობლების უმრავლესობისათვის იმ პროცესების დასაწყისს ნიშნავს, რაც ტკივილს და ტანჯვას, სიკვდილს და განადგურებას უკავშირდება. ეს ჩვენც გვეხება, ხოლო პოლონელმა ხალხმა განსაკუთრებული სიმძაფრით განიცადა და გამოსცადა ეს ყოველივე. ყველაფერი ხელახლა თვალწინ დაგვიდგება ხოლმე, როგორც კი თანამშრომლობისა და განიარაღების საკითხებზე მუშაობას ვიწყებთ; ჩვენი ერთი ამოსავალი წერტილი

ის უნდა იყოს, რომ უშიშროების ინტერესი ჩვენს გარდა სხვებსაც გააჩნიათ. ფედერალურ მთავრობასთან დაკავშირებით — მათი მისამართით, ვინც ჩვენს წინააღმდეგ კამპანიის გაჩაღებას აპირებდა — და მოწინააღმდეგეთა უკანასკნელი არგუმენტების გასაბათილებლად განვაცხადე: გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა ევროპაში არსებული რეალური სიტუაციიდან გამომდინარე მოქმედებს. ის აღიარებს ევროპის სახელმწიფოთა ტერიტორიულ მთლიანობას და არსებული საზღვრების ურღვეობას. მას არ გააჩნია არანაირი ტერიტორიული პრეტენზიები და არც მომავალში წამოაყენებს ამგვარ პრეტენზიებს. ახლაც და მომავალშიც ის დაიცავს ევროპის სახელმწიფოთა ტერიტორიულ მთლიანობას. კარგად გვესმის პოლონელი ხალხის სურვილი: იცხოვროს მუდმივ და მტკიცედ დაცულ საზღვრებში, ვარშავასთან დადებულმა ხელშეკრულებამ ძალადობაზე, ჩადენილ უსამართლობაზე საპასუხო ანგარიშსწორების საბედისწერო წრებრუნვის დასრულების გზა დასახა. რაც ამას მოჰყვა გერმანია-პოლონეთის ურთიერთობაში, ომისშემდგომი ევროპული პოლიტიკის უძვირფასეს მონაპოვარს წარმოადგენს".

ამავე დროს მოვითხოვდი: „გაღმა თუ გამოღმა", მხარეებმა უნდა გაუძლონ ცდუნებას და გერმანულ-პოლონური შერიგების პროცესი პოლიტიკური თუ მორალური თვალსაზრისით წარსულის ამაო, გაუმართლებელ ქექვას არ უნდა შესწირონ-მეთქი. დევნილთა როლთან დაკავშირებით კი აღვნიშნე: „ლტოლვილებმა მშვიდობის და შერიგების სურვილი ჯერ კიდევ მაშინ დაადასტურეს, როდესაც გამოთქმა — დაძაბულობის შენელება, ყველას პირზე არ ეკერა. სამშობლოს სიყვარული ნამდვილად არ წარმოადგენს მიჯაჭვულობის ყველაზე ცუდ ფორმას, რასაც ადამიანის ქცევის განსაზღვრა შეუძლია. თუკი სამშობლოს დაკარგვით გამოწვეული ტკივილიდან გაბოროტების ნაცვლად შერიგების ნება აღმოცენდება, განა ეს მაღალზნეობრივი და მშვიდობიანი პოლიტიკის შედეგი არ არის? ვფიქრობ, რომ აქედან გამომდინარე შეგვიძლია ვთქვათ: დიახ, გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში ლტოლვილები ჩვენთან ერთად მონაწილეობდნენ აღმშენებლობის პროცესში, რაც მხოლოდ მატერიალური თვალსაზრისით არ უნდა გავიგოთ; ისინი ჩვენთან ერთად იღვწოდნენ თავისუფალი დემოკრატიული საზოგადოების ჩამოყალიბებისათვის და მოქალაქეობრივ წინდახედულებას იჩენდნენ მაშინაც კი, როდესაც

რაიმეში ეჭვი ეპარებოდათ; მათ მოგვცეს გერმანია-პოლონეთს შორის ხელშეკრულების გაფორმების შესაძლებლობა გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში ყოველგვარი არეულობის გარეშე. ეს დიდ მიღწევად უნდა ჩაითვალოს, რადგან შეიძლება სხვაგვარადაც მომხდარიყო. ამას არასდროს დავივიწყებთ. ვსაუბრობთ რა ჩვენი ხალხის მშვიდობის-მოყვარე ნებაზე, კიდევ ერთხელ ვადასტურებთ მათ წინაშე, ვისაც ეს ეხება: ჩვენს სკოლებში, ჩვენს არმიაში მშვიდობის სულისკვეთება სუფევს და არა სიძულვილი! სასურველია, რომ ყველგან იგივე ხდებოდეს".

სოციალ-დემოკრატიულმა პარტიამ, რომელიც უკვე საპარლამენტო ოპოზიციას წარმოადგენდა, უპირობოდ დაუჭირა მხარი პოლონეთის სახალხო რესპუბლიკასთან დაკავშირებულ ჩვენს პოლიტიკურ კურსს. 1984 წლის 27 ნოემბერს ბუნდესტაგის დებატებისას ოპოზიციის ლიდერმა დოქტორმა ფოგელმა კავშირის პარტიებს მიმართა: „თქვენ გამუდმებით გვიმტკიცებთ, რომ გერმანულ-პოლონურ ურთიერთობაში შერიგების გზას ემხრობით, მაგრამ თვალს ხუჭავთ იმ ფაქტზე, რომ თქვენი ფრაქცია საჯაროდ კვლავ ეჭვქვეშ აყენებს ოდერ-ნაისეს საზღვარს, დიახ, სადავოს ხდის პოლონეთის სუვერენიტეტს მის დასავლეთ ტერიტორიაზე; თვალს ხუჭავთ იმაზეც, რომ თქვენი საგარეო საქმეთა მინისტრი, ბატონი გენშერი, პოლონეთის საკითხში მისი პოზიციის გამო გამუდმებული საჯარო თავდასხმების ობიექტი ხდება. ბატონ კოლეგა გენშერს ბევრ საკითხში ვეთანხმებით პოლონეთთან მიმართებაში, მაგრამ კატეგორიულად ვემიჯნებით — ამ პოლიტიკის მოწინააღმდეგეთა დღითიდღე მზარდი რიგებიდან მხოლოდ რამდენიმე ადამიანი რომ დავასახელოთ — ბატონების: ციმერმანის, ჰუპკას, იეგერის, ჩაიას, ზაუერის, დრეგერის განსხვავებულ აზრს. ბატონო კოლეგა გენშერ, ამ ფონზე ძალზე დასანანია, რომ ვარშავაში თქვენი ვიზიტი არ შედგა. ჩვენ მომხრე ვართ იმისა, რომ პოლონეთის მხარემ მალე მოაგვაროს პრობლემები, რომლებიც ჩვენს ურთიერთობაში შეიქმნა ჟურნალისტისთვის ვიზის გაუცემლობისა და გერმანელი ჯარისკაცის საფლავის გვირგვინით შემკობის საკითხთა გამო. მოვითხოვთ, რომ ბოლო მოეღოს ხელისშემშლელ პოლიტიკურ მანევრებს კავშირის ფრაქციის გარკვეულ წარმომადგენელთა მხრიდან, რასაც ადგილი ჰქონდა უკვე ჩაშლილი ვიზიტის მომზადების პერიოდში და ბატონმა დრეგერმა შეწყვიტოს ამ ვიზიტის

განახლების წინააღმდეგ უარყოფითი საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბების მცდელობა".

მაინც რა მოხდა? 20-21 ნოემბრის ღამეს, ვარშავაში ჩემს გამგზავრებამდე ერთი კვირითა და რამდენიმე საათით ადრე ვიზიტზე უარი ვთქვი, რადგან ჩვენი ყველა მცდელობა, მოგვეგვარებინა ოქმით გათვალისწინებული სამი სადავო მუხლის საკითხი, რომელთაც დიდი პოლიტიკური დატვირთვა ჰქონდა, მარცხით დასრულდა. პირველი საკითხი ჟურნალისტ კარლ-გუსტავ შტრიომს — „ველტის" წარმომადგენელს — ეხებოდა, რომელიც, ჩვეულებისამებრ, ვარშავაში ჩემი ვიზიტის გაშუქებას აპირებდა. შტრიომი ცნობილი გახლდათ, როგორც ჩემი საგარეო პოლიტიკისა და პოლონეთში მიმდინარე მოვლენების მეტად კრიტიკულად შემფასებელი; ვარშავამ მას ვიზა არ გაუფორმა, რაც ჩემთვის მიუღებელი გახლდათ. ეს ძალზე პრინციპული საკითხი იყო.

ანალოგიურ პრობლემასთან შეხება ერთხელ უკვე მქონდა საგარეო საქმეთა მინისტრ გრომიკოსთან. საბჭოთა კავშირში ჩემი ვიზიტის დროს თანმხლებ ჟურნალისტთა შორის ლოთარ ლიოვეს სახელიც ფიგურირებდა. ის სიიდან ამოიღეს, რადგან ის-ის იყო გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკიდან გააძევეს. საბჭოთა მთავრობამ განაცხადა: მეგობარ გდრ-თან სოლიდარობის გამო ამ ჟურნალისტს ვიზას ვერ მივცემთო. ამასთან დაკავშირებით ვიზიტამდე ორი დღით ადრე საბჭოთა საგარეო სამინისტროს შევატყობინე: ჩემი ვიზიტის მიზანს საბჭოთა კავშირთან ურთიერთობის გაუმჯობესება წარმოადგენს, მაგრამ თუ გერმანელ ჟურნალისტს ამ ქვეყანაში შესვლაზე უარს ეტყვიან და ამით ჩვენს პრესაზე ცენზურას დააწესებენ, მაშინ ჩემი ვიზიტი გერმანულ-საბჭოთა ურთიერთობებს კი არ გაუმჯობესებს, გააუარესებს. ამიტომ საბჭოთა მხარემ ლოთარ ლიოვეს ვიზასთან დაკავშირებით თავისი პოზიცია უნდა გადასინჯოს-მეთქი. თუ აზრს მაინც არ შეიცვლით, მაშინ ურთიერთშეთანხმების საფუძველზე ვიზიტი მანამდე გადავდოთ, ვიდრე ლოთარ ლიოვეს ვიზას არ გაუფორმებენ-მეთქი. ჩვენს ელჩს მოსკოვში მეორე დღესვე აცნობეს, რომ გადაწყვეტილება მიღებულია და ბატონი ლიოვეს ვიზა უკვე გაფორმდაო. თუმცა მკაფიოდ მიგვანიშნებდნენ: საგარეო საქმეთა მინისტრ გრომიკოს თქვენი პოლიტიკური გამჭრიახობის იმედი აქვს და ბატონი ლიოვე უნდა გააფრთხილოთ, რომ მან

ბოროტად არ გამოიყენოს ეს ნებართვაო. გადაწყვეტილება მივიღე და ლიოვე ჩემთან ერთად წამოვიდა მოსკოვში და როცა უკან ვბრუნდებოდით, მხოლოდ მაშინ მოვუყევი ამ ინციდენტის შესახებ.

სხვათა შორის, საბჭოთა საგარეო საქმეთა მინისტრმა იმ ფაქტთან დაკავშირებით, რომ ლიოვე მართლა იმყოფებოდა თანმხლებ ჟურნალისტებს შორის, იმგვარი რეაგირება მოახდინა, მხოლოდ მას რომ სჩვეოდა. ლიოვემ დაუბრკოლებლად დატოვა თვითმფრინავი, თუმცა გრომიკომ, როდესაც აეროპორტიდან ქალაქში, მის მიერ ჩვენთვის გამართულ ვახშამზე მივემგზავრებოდით, შენიშვნა გამოთქვა, რომლის მნიშვნელობას მაშინვე ვერ მივხვდი. მან განაცხადა: ადგილები შეზღუდულია და საერთო ვახშამს ყველა ჟურნალისტი ვერ დაესწრება, ამიტომ მხოლოდ რამდენიმე ჟურნალისტი მოვიწვიეთო. მე გავიფიქრე, რომ ის ლიოვეს გულისხმობდა იმ ჟურნალისტებს შორის, რომლებიც ვახშამს არ დაესწრებოდნენ. ჩემდა გასაკვირად, სრულიად საპირისპირო რამ მოხდა: იმ მცირერიცხოვან ჟურნალისტებს შორის, რომლებიც საბჭოთა მხარემ ვახშამზე მოიწვია, ლოთარ ლიოვეც იმყოფებოდა. გრომიკო ურყევ პოზიციას პატივს სცემდა.

1984 წლის ნოემბერში ვარშავაში დაგეგმილი და შემდეგ გადადებული ვიზიტის დროს კიდევ ორ მნიშვნელოვან საკითხზე იყო საუბარი: გერმანელი ჯარისკაცის საფლავზე მისვლა და მისი გვირგვინით შემკობა მქონდა განზრახული. ასე მოვიქეცი ჩეხოსლოვაკიასა და სხვა ქვეყნებში. საბჭოთა კავშირშიც კი ვახერხებდი ამას. ჩემის აზრით — მიუხედავად იმისა, რაც პოლონეთში მოხდა — ამის საშუალება პოლონეთშიც უნდა მქონოდა. ადრეც ვაპირებდი ყვავილების მიტანას გერმანელ ჯარისკაცთა საფლავზე, რომელიც ერთ-ერთი მშენებლობისას აღმოაჩინეს ვარშავაში. უდროობის გამო ეს ადრე ვერ მოვახერხე და მაშინ დელეგაციის ერთ წევრს დავავალე ყვავილების მიტანა. ახლა კი ჩემი განზრახვის შესრულება მსურდა, თუმცა ვიცოდი რა რეაქცია მოჰყვებოდა ამ ფაქტს პოლონეთში, განსაკუთრებით ვარშავაში.

მაგრამ ოდესმე ხომ უნდა დაიწყოს მშვიდობა საფლავთა ზედა. გერმანელი ჯარისკაცების სასაფლაო გმირთა განდიდების ადგილს არ წარმოადგენს. ყოველი საფლავი გაფრთხილებაა, მოწოდება, რომ მშვიდობა ამ ქვეყნად რაღაც ყველაზე ძვირფასი რამ არის და მის დასაცავად ყველაფერი უნდა გავაკეთოთ. ამ საფლავებს რომ

უყურებ კაცი — საფლავის ჯვრებზე მეტწილად განსვენებულთა ხანმოკლე ცხოვრების აღმნიშვნელი ციფრებია ამოტვიფრული —, ხედები, რა უბედურება დაატეხა თავს საკუთარ ხალხს, ევროპას და ჩრდილოეთ აფრიკას ჰიტლერის მიერ პროვოცირებულმა ომმა და რა შორს გავრცელდა ცეცხლის ალი. რამდენი იმედი დასამარდა ამ ჯარისკაცებთან ერთად; იმედი, რითაც მშობლები მიაცილებდნენ შვილებს მათი დაბადებიდან; სიყვარული, რომელსაც მეუღლეები, დანიშნულები, შვილები, დები და ძმები უძღვნიდნენ აწ განსვენებულთ; რამდენი ახალგაზრდა ადამიანის სიცოცხლის წყურვილი ჩაიფერფლა, ახალგაზრდა ადამიანის, ვისთვისაც არავის უკითხავს, სურდა თუ არა ეს ომი ან ომში მონაწილეობა. მათი უმრავლესობა ხომ პირტიტველა ბიჭი იყო, როცა ჰიტლერი ხელისუფლების სათავეში მოვიდა. ხომ შეიძლება ერთ-ერთი საფლავი ჩემიც ყოფილიყო, პოლონეთში თუ არა, სადმე გერმანიაში, სადაც ომის მიწურულს მეც გამიწვიეს. ჩემს თანამშრომლებთან ერთად გერმანელ ჯარისკაცთა სასაფლაოზე ვიდექი და ახლა უფრო მძაფრად შევიგრძნობდით, რას ნიშნავდა მშვიდობის სამსახურში ყოფნა. მშვიდობა უნდა დაიწყოს საფლავებს ზედა; არა მხოლოდ მშვიდობა მკვდართა, არამედ მშვიდობა უნდა სუფევდეს ცოცხალთა აზრებსა და მშვიდობიან განწყობაში, მშვიდობის ნებამ ძალა სწორედ აქ უნდა შეიძინოს.

ჟურნალისტისთვის ვიზაზე უარის თქმა და ჩემს მიერ ჯარისკაცთა საფლავის მონახულება, — მხოლოდ ამ საკითხებზე გაამახვილეს მაშინ ყურადღება, მაგრამ არსებობდა მესამე და ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხი, რასაც პოლონეთის მთავრობის აღშფოთება და ჩემი საჯარო დაგმობა მოჰყვა: მე გამოვთქვი სურვილი, მომენახულებინა პოლიციელების მიერ მოკლული პასტორის პოპელუშკუს საფლავი. პასტორის საფლავის გვირგვინით შემკობით ვაპირებდი თანადგომა და თანაგრძნობა გამომეხატა პოლონეთის განმათავისუფლებელი მოძრაობის მიმართ.

ასე იყო თუ ისე, პოლონეთის მთავრობა უძლური აღმოჩნდა დაეკმაყოფილებინა ჩემი სურვილი ამ სამ საკითხთან მიმართებაში. როცა გვიან ღამით ჩემს გამგზავრებამდე ვარშავიდან თანხმობა არ მოვიდა, ვიზიტზე უარი ვთქვი. ამ გადაწყვეტილების მიღება იოლი არ გახლდათ, მაგრამ დღემდე დარწმუნებული ვარ, რომ სწორად მოვიქეცი. გერმანია-პოლონეთის ურთიერთობა ისტორიულად დღემდე

რთული ხასიათისა გახლავთ, ამიტომაც განსაკუთრებული ზრუნვა და გაფრთხილება სჭირდება. მაგრამ მაშინ უფლება არ გვქონდა გერმანული პრესის ცენზურა დაგვეშვა; არც მე მქონდა უფლება აკრძალვებს შევგუებოდი და პოპელუშკუს საფლავი არ მომენახულებინა. ნუთუ არ შეიძლებოდა პოლონეთის მიწაზე დაღუპულ გერმანელ ჯარისკაცთა მოკრძალებული გახსენება? პოლონეთის ოპოზიციისა და მისი წარმომადგენლების წინაშე, აგრეთვე პოლონეთის ეკლესიის წინაშეც თავს ვალდებულად ვთვლიდით, პატივი მიგვეგო პოლიტიკური ძალადობის მსხვერპლისთვის, პასტორ პოპელუშკუსათვის.

ვიზიტზე უარმა დიდი მღელვარება გამოიწვია. იქიდან გამომდინარე, რა რეაქციაც მას პოლონეთში მოჰყვა, შეიძლებოდა მივმხვდარიყავი, რომ ჩემს გადაწყვეტილებას გაგებით შეხვდნენ მიუხედავად იმისა, რომ სამივე მიზეზს განსხვავებული დატვირთვა გააჩნდა. მრავალი პოლონელი მიხვდა, დაჟინებით რატომ მოვითხოვდი, ნება დაერთოთ ჩემთვის პოპელუშკუს საფლავი მომენახულებინა და თან მხლებოდა კრიტიკულად განწყობილი ჟურნალისტი. გერმანელი ჯარისკაცის საფლავის მონახულებასთან დაკავშირებით აზრი ორად გაიყო. ამ უკანასკნელმა საკითხმა მნიშვნელოვანი როლი ითამაშა 1985 წელს იარუზელსკისთან საუბრისას, როდესაც ვარშავაში დროებით შევჩერდი.

ეს მოხდა 1985 წლის 6 მარტს. ფედერალურ პრეზიდენტს, კარსტენსს, ჰელსინკიში ოფიციალური ვიზიტისას თან ვახლდი. შემდეგ სოფიაში ვარშავის გავლით ვაპირებდი გადაფრენას. ეს გახლდათ ევროპაში კომუნიზმის ჩასვენების ხანა. 1985 წლის 10 მარტს გარდაიცვალა საბჭოთა სახელმწიფოს და პარტიის მეთაური ჩერნენკო და მასთან ერთად დასრულდა ძველი თაობის მმართველობის ერა, ერა იმ თაობისა, რომლის განსახიერებას ბრეჟნევიც წარმოადგენდა. გორბაჩოვი უკვე პოლიტბიუროს წევრი გახლდათ. ინგლისში მოსალოდნელ ვიზიტთან დაკავშირებით მის მიერ გაკეთებულმა განცხადებებმა გვაიძულა ყურადღება დაგვეძაბა.

ვარშავაში რამდენიმესაათიანი არაფორმალური ვიზიტის დროს, რაც პროტოკოლის საკითხებით არ იყო დამძიმებული, პოლონეთის ხელმძღვანელობასთან შეწყვეტილი დიალოგის გაგრძელება მსურდა. მე შევხვდი პრემიერ-მინისტრ იარუზელსკის და საგარეო საქმეთა

მინისტრ ოლშოვსკის, ასევე პრიმას გლემპს. იარუზელსკიმ, რომელიც ურთიერთობების გაუმჯობესებით აშკარად დაინტერესებული გახლდათ, ვარშავაში ჩემს ხანმოკლე ვიზიტთან დაკავშირებით ვახშამი მოაწყო, რომელსაც საგარეო საქმეთა მინისტრის გარდა პრემიერ-მინისტრის მოადგილე რაკოვსკი და დემოკრატიული პარტიის თავმჯდომარე და პრემიერ-მინისტრის მოადგილე კოვალჩიკიც ესწრებოდნენ. ყოველგვარი ილუზია გავუფანტე, როდესაც ვუთხარი: ჩემს ოფიციალურ ვიზიტზე არც იფიქროთ, ვიდრე 1984 წლის სექტემბერში ჩემი ვიზიტის გაუქმების სამ მიზეზს არ აღმოფხვრით-მეთქი.

ეპისკოპოსმა გლემპმა, რომელიც მოვინახულე, სიხარულით მიმიღო. მე ვუთხარი, რომ ჩემი მგზავრობა დიდ სირთულეებთან იყო დაკავშირებული. დღეს მხოლოდ ხანმოკლე დროით ვარ ჩამოსული, რაც ჯერ კიდევ დაგეგმილ ოფიციალურ ვიზიტს ვერ შეცვლის-მეთქი. ვგულისხმობდი, რომ ჩემს მიერ წამოყენებული მოთხოვნები მომავალი ვიზიტის დროსაც ძალაში იქნებოდა. არც ერთ მოთხოვნაზე უარს არ ვიტყოდი და მოგვიანებით ყველა სურვილი ერთად ავისრულე: ჯარისკაცების საფლავი გვირგვინით შევამკე, ეკლესიაში მივედი, პოპელუშკუს საფლავიც მოვინახულე და გერმანული პრესის წარმომადგენელთა დელეგაციაც ჩემი შეხედულებისამებრ დაკომპლექტდა.

ამ საუბრის დროს გლემპმა მითხრა: მომავალს ოპტიმისტური თვალით ვუყურებო. ეკლესიის შეხედულებით, მშვიდობისთვის უნდა ვიღვაწოთ და იმისთვისაც, რომ პოლონეთმა ბუნებრივი, საკადრისი ადგილი დაიკავოს ხალხთა საერთო ოჯახშიო. ჩვენ „საეკლესიო ფონდის“ შესახებაც ვისაუბრეთ, რაც ძალზე მნიშვნელოვანი ევროპული პროექტის განხორციელებას გულისხმობდა და რასაც ევროგაერთიანებაში ყველაზე აქტიურად გერმანელები ეუჭერდით მხარს: განზრახული გვქონდა დასავლეთის მიზნობრივი ფინანსური დახმარების გაწევა იმ ფონდის დაარსებისათვის, რომლის კურირებასაც კათოლიკური ეკლესია მოახდენდა. ფონდის ამოცანა პოლონეთის სოფლის მეურნეობის მოდერნიზაცია გახლდათ. ამ გზით ვცდილობდით პოლონელი ხალხის დახმარებას სამხედრო წესების შემოღების შემდეგაც, ვცდილობდით ისე, რომ ძვირადღირებული ჩეკები უცხო ხელში, ანუ სახელმწიფოს ხელში არ აღმოჩენილიყო. პოლონეთის მთავრობას ბოლომდე უარყოფითი დამოკიდებულება მართალია არ

გამოუმჟღავნებია, მაგრამ თავშეკავებული პოზიცია დაიკავა. ეს დიდი ევროპული ინიციატივა ბოლოს მაინც ჩაიშალა, რადგან დიდმა ბრიტანეთმა ვეტო დაადო, უფრო ზუსტად — ქალბატონ ტეტჩერის გამო ჩაიშალა. ფონდის დაარსება შესაძლოა ერთობის მნიშვნელოვან პოლიტიკურ ნიშნადაც ქცეულიყო და უფრო მეტიც: ამ გზით კერძო სექტორის გაძლიერებას შევუწყობდით ხელს სოფლად, ანუ პოლონეთის მამოძრავებელ საზოგადოებრივ ძალებს გავაძლიერებდით, რომლებიც დამოუკიდებელ პოზიციას გამოხატავდნენ.

გლემპს ვუთხარი: გერმანიაში დიდი ყურადღებით ვადევნებდით თვალს პოპელუშკუს მკვლელობის შემდგომ განვითარებულ მოვლენებს. იმედი მაქვს, პოლონელებმა დაინახეს, ჩადენილმა დანაშაულმა ჩვენი ხალხი როგორ ააღელვა-მეთქი: „რა ზეგავლენას მოახდენს მკვლელების წინააღმდეგ მიმართული პროცესი სახელმწიფოსა და ეკლესიის ურთიერთობაზე და ვითარებაზე ქვეყნის შიგნით?“ — ვკითხე ბოლოს. გლემპმა მიპასუხა: ჩემი აზრით, მკვლელობის ფაქტი და ეს პროცესი ძირეული ცვლილებების მთავარ ნიშნებს წარმოადგენს; რაღაც ახალი დაიწყება. პოლონეთის მთავრობას ამ პროცესის საშუალებით საკუთარ აპარატში ბოროტების მხილებისა და სამართლიანობის აღდგენის სურვილი ამოძრავებს, რაც ქების ღირსიაო.

ჩემს კითხვაზე, თუ რა სახის წვლილი შეგვეძლო შეგვეტანა გერმანელთა და პოლონელთა ურთიერთგაგების საქმეში, რაც თავად პოლონელი ხალხის მოწონებას დაიმსახურებდა, გლემპმა მიპასუხა: ეს რთული შეკითხვაა. კარგი იქნებოდა უკეთ გაეცნოთ ერთმანეთი, რადგან რა ხანია ერთად ცხოვრობენ. თუმცა გერმანული სათვისტომოები, სილეზიელები იქნებიან თუ პომერანიელები, არახელშემწყობ ზემოქმედებას ახდენენო. ცხადია, სამშობლოს უფლება ყველას აქვს, მაგრამ გერმანელებისა და გერმანიის ძებნა სწორედ აქ, პოლონეთში, ხელოვნურ და' არაბუნებრივ მოვლენად მეჩვენებაო.

მე შევეპასუხე: ყველა ადამიანს უნდა ჰქონდეს უფლება თავი იმ ერის წარმომადგენლად აღიაროს, რა ეროვნების აღიარებაც მას სურს-მეთქი. ამიტომ იმედი გვაქვს, წარმატებით დასრულდება ჩვენი მცდელობა და ყველა მსურველს, ვისაც ამ ქვეყნიდან გამგზავრება სურს, ნებას დართავენ, რადგან დაძაბულობის განმუხტვა მხოლოდ ამ შემთხვევაში მოხდება-მეთქი. საზღვარს რაც შეეხება, ანუ ოდერ-ნაისეს ხაზის გასწვრივ სასაზღვრო ზოლს, ფედერალურმა კანცლერმა

და მე ჩვენი პოზიცია საკმაოდ ამომწურავად გამოვხატეთ. პოლონეთში შეშფოთების მიზეზი არავის აქვს, თუმცა ნურც ამ საკითხის ინსტრუმენტირებას ეცდება ვინმე, რადგან ის გერმანელებზე პოლიტიკური ზეწოლის იარაღად არ გამოდგება-მეთქი. ჩვენს აღმოსავლურ პოლიტიკას სხვა მოქალაქეების მსგავსად პოლონეთიდან გამოსული გერმანელებიც იზიარებენ, თუმცა მათ წარსულს ვერვინ წაართმევს. გარდა ამისა, მხოლოდ უკან, წარსულში კი არ უნდა ვიყურებოდეთ, არამედ ჩვენი მომავალი ერთხელ და სამუდამოდ ერთობლივად უნდა გამოვძერწოთ-მეთქი.

საუბარი გავაგრძელე და შევნიშნე: საგარეო საქმეთა მინისტრ ოლშოვსკისთან საუბრისას იმედი გამოვხატე, რომ პოლონეთის სახელმწიფო ეკლესიას წირვის გერმანულ ენაზე ჩატარებაში ხელს არ შეუშლის-მეთქი. ოლშოვსკიმ მიპასუხა: ეს ეკლესიის საქმეაო. გლემპმა მითხრა: აღსარების თქმა გერმანულ ენაზე ყველგან შეიძლება, სადაც კი პასტორს ცოტაოდენი გერმანული გაეგება, თუმცა გერმანულ ენაზე აღსრულებული მესა აღარავის აინტერესებსო. მე ვუპასუხე: მოდით, ხალხი ერთად მოვიწვიოთ გერმანულენოვან მესაზე და მაშინ გამოჩნდება არსებობს თუ არა მორწმუნეთა ინტერესი გერმანულენოვანი წირვისა და აღსარების მიმართ-მეთქი.

პოლონეთის სახალხო რესპუბლიკასთან ურთიერთობები შემდგომაც ნელა ვითარდებოდა. 1988 წლის 10 იანვარს, ბოლოს და ბოლოს, დიდი ხნით გადადებული ოფიციალური ვიზიტი პოლონეთში შედგა. გერმანულ-პოლონური ურთიერთობები სტაგნაციის მდგომარეობაში იმყოფებოდა და მე მისი სტიმულირება მსურდა. მართალია, ამ შუალედში დიპლომატიური კონტაქტები არ გაგვიწყვეტია, მაგრამ ახალი, უკვე მზა შეთანხმებების ხელმოწერა ჩემს ვიზიტამდე არ მომხდარა. უცხოური ინვესტიციების დაცვასთან დაკავშირებული ხელშეკრულების თაობაზე გამართული ბილატერალური მოლაპარაკებებიც სტაგნაციას განიცდიდა, რადგან გერმანიის ქვეშევრდომობის შესახებ ერთობლივი ფორმულირების შეთანხმება ვერ შევძელით. სამეცნიერო-ტექნიკური თანამშრომლობა ჩაშალა დასავლეთ ბერლინის ინსტიტუტების ჩართვამ; საკონსულოს მოწყობა კვლავ შეუძლებელი გახლდათ, რადგან კომპეტენციის სფეროს განსაზღვრა-დეფინიციისას დოკუმენტებში უნდა შეგვეტანა გეოგრაფიული პუნქტების გერმანული

დასახელებები. 1986 წელს პოლონეთის საგარეო საქმეთა მინისტრი ბონში ჩამოვიდა, თუმცა პოლონეთის მთავრობის პოზიციაში არავითარი ცვლილება არ იგრძნობოდა.

თავის სიტყვაში საგარეო საქმეთა მინისტრმა ჩემი ნათქვამი გაიმეორა ურთიერთობის „მორალურ განზომილებასთან" დაკავშირებით და განაცხადა: ეს იმ გერმანელთა ბედსაც ეხება, რომლებმაც სამშობლო დაკარგესო. ყურადღება დავძაბე. როგორც ჩანს, პოლონეთის მთავრობამ პირველად გააცნობიერა, თუ რას ნიშნავდა გერმანელებისათვის განდევნა.

მოლაპარაკებების მთავარი თემა, ბუნებრივია, სახელმწიფოს და პარტიის მეთაურთან ჩემი შეხვედრა გახლდათ. იარუზელსკი დახმარებების ნაკლებობას, ნდობის დეფიციტს და მისი ქვეყნის საშინაო საქმეებში დასავლურ სახელმწიფოთა ჩარევას უჩიოდა. მისი აზრით, ევროპაში მდგომარეობა დიდად გაუარესდებოდა, პოლონეთის მთავრობა 1981 წელს სხვაგვარად რომ მოქცეულიყო: აი, თუნდაც ეს სახლი, სადაც ახლა ვიმყოფებით, შეიძლება აღარც მდგარიყო. 1981 წლის დეკემბერში პოლონეთისთვის საბედისწერო გადაწყვეტილებას ეხებოდა საქმე. მითხრა: თქვენი ვიზიტის „კერძო ნაწილს" პატივისცემით ვეკიდებიო; ის ჩემს მიერ წინა დღეს ომში დაღუპულ გერმანელთა და პოპელუშკუს საფლავის მონახულებას და ეკლესიაში პასტორთან სტუმრობას გულისხმობდა. ამ სამმა ვიზიტმა და ჩვენს შესახვედრად გამოსული ხალხის გულითადმა მიღებამ თვალნათლივ დამარწმუნა, რომ პოლონელ ხალხს თავისუფლება სურდა. ამის საპირისპიროდ იარუზელსკი კრიტიკის ქარცეცხლში ატარებდა ჩემს კონტაქტებს იმ წრეებთან, რომლებიც, მისი თქმით, „უცხო ზესახელმწიფოს ინტერესებს ემსახურებოდნენ", იარუზელსკი „სოლიდარობის" მეთაურთან — ლეხ ვალენსასთან, შეხვედრას გულისხმობდა.

ჩემთვის ცხადი გახლდათ, რომ იარუზელსკი პოლიტიკური თვალსაზრისით კუთხეში იყო მიმწყვდეული. მისი განცხადებები განწირულის თავდაცვას ჰგავდა. მე ვუთხარი: „შექმენით ყველა პირობა აზრის, პრესის თავისუფლებისა და პოლიტიკური პლურალიზმისათვის. „სამხედრო წესების" წინააღმდეგნი ვართ არა იმის გამო, რომ პოლონეთს ზიანი მივაყენოთ, არამედ იმიტომ, რომ ადამიანებს დავეხმაროთ პოლონეთში". ისიც დავძინე, რომ თუ

პოლონეთის საგარეო საქმეთა მინისტრი გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკას ეწვევა, მას თავისუფალი არჩევანის საშუალება ექნება და ვისთან შეხვედრასაც მოისურვებს, იმას შეხვდება, ამიტომ პოლონეთში ჩემი ვიზიტის დროს მეც არჩევანის უფლებას ვიტოვებ და ჩემს განზრახვაზე უარს არ ვიტყვი-მეთქი.

პოლონეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ფედერაციულ რესპუბლიკაში იმ ადამიანებთან კონტაქტის დამყარება ვერ მოახერხა, რომელთაც პროფესიული აკრძალვა შეეხოთო. მე ვუპასუხე: თუ შეიძლება გაიხსენეთ, რომ გენერალურმა მდივანმა გირეკმა გერმანიაში მოგზაურობისას და მაშინდელი ფედერალური კანცლერისთვის გამართულ ოფიციალურ წვეულებაზე გერმანიის კომუნისტური პარტიის თავმჯდომარე დაპატიჟა-მეთქი. შემდეგ საკმაოდ მკაფიოდ განვაცხადე: პოლონეთისთვის დახმარების გაწევა უშუალოდაა დამოკიდებული ამ ქვეყნის შიგნით მიმდინარე პროცესებზე-მეთქი. საუბრის ბოლოს იარუზელსკი, როგორც ჩანს, მიხვდა, რომ შორს შეტოპა და შემრიგებლურ პოზიციას დაუბრუნდა. ბოლოს დამთმობი კილოთი მომმართა: მოხარული ვიქნები, თუ ფედერალური კანცლერი პოლონეთს მალე ეწვევაო.

1988 წელს იარუზელსკისთან საუბარმა დამარწმუნა, რომ პოლონეთის კომუნისტურმა მმართველობამ საკუთარ ქვეყანაში შექმნილი ვითარების რეალისტური აღქმის უნარი დაკარგა. ვალენსასთან შეხვედრაში ასე პირდაპირ ხელს აღარ მიშლიდნენ, თუმცა ვალენსას მიჩქმალვას მაინც ცდილობდნენ. ხშირად მიფიქრია იმაზე, მოგვიანებით რა ადგილს დაიკავებდა იარუზელსკი მისი ქვეყნის ისტორიაში. დამონებულმა და დათრგუნულმა პოლონელმა ხალხმა მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ისტორიული მნიშვნელობის პიროვნებები შვა თავის წიაღიდან. კარდინალი ვიშინსკი დიდი ხნის განმავლობაში პოლონელთა იმედსა და რწმენას განასახიერებდა — კათოლიკურ ეკლესიას და მის თვალსაჩინო წარმომადგენლებს ხშირად დაკისრებიათ ასეთი როლი ამ ქვეყნის ცვალებად და ტრაგიკულ ისტორიაში. პაპის, იოანე პავლე მეორის სახით პოლონეთს ჰყავდა ძე, რომელმაც მათ — უმაღლესი პასუხისმგებლობიდან გამომდინარე — კათოლიკური ეკლესიის სახით საყრდენი და რწმენა აპოვნინა. ლეხ ვალენსა დანცინგიდან გახლდათ; ის უჩვეულოდ მამაცი კაცი იყო, რომელსაც ღრმად ჰქონდა ფესვები გადგმული კათოლიკურ

*1984 წელს გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრის პოლონეთში ვიზიტი გადაიდო. ერთ-ერთი მიზეზი გახლდათ ის, რომ მას უარი ეთქვა მოკლული პასტორის პოპელუშკუს საფლავის მონახულებასა და გვირგვინით შემკობაზე. ვიზიტი 1988 წლის იანვარში მაინც შედგა. ფოტოზე ჰანს-დიტრიხ გენშერი პოპელუშკუს საფლავთან, სტანისლავ კოსტკას ეკლესიასთან ვარშავაში. „სოლიდარობის“ პლაკატზე წარწერაა: „ვარშაველი მეტალურგები მიესალმებიან მინისტრ გენშერს“.*

სარწმუნოებასა და ეროვნულ იდენტობაში. ჯერ კიდევ ბრეჟნევის მოღვაწეობის პერიოდში საბჭოეთის გავლენის სფეროში მისით დაიწყო განმათავისუფლებელი პროცესები. პოლონელი ხალხი, რომელიც მეორე მსოფლიო ომის პირველი მსხვერპლი გახლდათ, ვარშავის პაქტის მონაწილე ქვეყნებს შორის განმათავისუფლებელი მოძრაობის მეგზურად იქცა ოთხმოციან წლებში. ეს არის ლეხ ვალენსას ისტორიული როლი, ამაში მდგომარეობს მისი ევროპული მნიშვნელობა.

ამ ფონზე რა ადგილი უნდა მივუჩინოთ იარუზელსკის? იყო თუ არა ის პოლონელი პატრიოტი, კაცი, რომელმაც სამხედრო წესები შემოიღო, რათა ომი და სამოქალაქო ომი აეცილებინა

თავიდან და როგორმე დაეცვა ქვეყანა წითელი არმიისა და ვარშავის პაქტის მონაწილე ქვეყნების ინტერვენციისაგან? თუ თვინიერი აღმსრულებელი იყო საბჭოეთის ძალისმიერი პოლიტიკისა? ამას თავად პოლონელი ხალხი შეაფასებს. მე კი მიმაჩნდა, რომ იარუ-ზელსკი, უპირველეს ყოვლისა, პოლონელი გახლდათ და მერე — კომუნისტი; თავისუფალი მოქმედებისა და გადაწყვეტილების მიღება რომ შეძლებოდა, ალბათ უფრო ადრე, უფრო გაბედულად გაუხსნიდა გზას დემოკრატიზაციის პროცესს თავის ქვეყანაში. გარეშე ძალების სამხედრო ჩარევის თავიდან არიდება მისთვის აუცილებელ პრიორიტეტს წარმოადგენდა. რას მოუტანდა პოლონეთს ინტერვენცია, რა მნიშვნელობა ექნებოდა მას ევროპისათვის ან ისტორიის შემდგომი განვითარებისათვის?

პოლონეთს ალბათ ორივე სჭირდებოდა — ვალენსაც და იარუ-ზელსკიც —, რათა პირველს გაეკვალა მშვიდობიანი რევოლუციის გზა ევროპაში. ისტორიას მრავალი ასეთი მაგალითი ახსოვს. გორბა-ჩოვს დადებითი აზრი აქვს იარუზელსკიზე, მაგრამ რეალურად რა იცის მის როლზე? ევროპის ხალხებს არ უნდა დააავიწყდეთ, რომ ლეხ ვალენსას და „სოლიდარობის" სახით თავისუფლებისმოყვარე პოლონეთმა მხოლოდ თავის ქვეყანას არ ჩაუნერგა ადრე, ძალიან ადრე, ნათელი იმედი. მომავალი· გვიჩვენებს, საბოლოოდ რა ადგილს მიუჩენს იარუზელსკის პოლონელი ხალხი. ლეხ ვალენსამ და მისმა თანამებრძოლებმა ხომ უკვე დაიმკვიდრეს თავისი ადგილი პოლონეთის ისტორიაში, ისტორიაში, რომელმაც ისინი დამოუკიდებლობისა და თავისუფლების ნების სიმბოლოებად აქცია და ასევე იმ პიროვნებებად, რომლებიც თავისი ქვეყნის სარწმუნოებრივ სიმტკიცეს განასახიე-რებდნენ და პირველნი იყვნენ, ვინც თავისუფლების გზა გაკვალა ევროპის ისტორიაში.

ამ პერიოდში იარუზელსკი „სოლიდარობის" გავლენას რომ მცდარად აფასებდა, ეს ვალენსასთან 1988 წლის 12 იანვარს ჩემი პირველი შეხვედრისთანავე ვიგრძენი; ჩვენ ნაშუადღევს შევხვდით ერთმანეთს ჩვენს საელჩოში გამართულ ერთ-ერთ მოლაპარაკებაზე. მას თან ახლდნენ პროფესორი გერემეკი, შემდგომში პრემიერ-მინისტრი — მაზოვეცკი და დოქტორი ოლიშკევიჩი. საუბრის დასაწ-ყისშივე მოვახდინე იმის კონსტატირება, რომ უფრო ადრეც მსურდა „სოლიდარობის" წარმომადგენლებთან შეხვედრა და პასტორ

პოპელუშკუს საფლავის მონახულება, მაგრამ უარი მივიღე; ვუთხარი ისიც, რომ უარის მიუხედავად, დღემდე ჯიუტად ვცდილობდი ამ მიზნის განხორციელებას და ახლა, ბოლოს და ბოლოს, შესაძლებლობა მეძლეოდა ვწვეოდი ეკლესიას და პოპელუშკუს საფლავს. ვალენსამ მადლობა გადამიხადა ჩემი მცდელობებისა და იმდღევანდელი საუბრისათვის. საგარეოპოლიტიკური და დიპლომატიური ნორმებიდან გამომდინარე, ვალენსამ მთხოვა გაგებით მოვკიდებოდი იმ ფაქტს, რომ „სოლიდარობა" ბრძოლის ამ ფაზაში ყოველთვის ვერ ახერხებს დიპლომატიური წესებით მოქმედებას და კონტაქტების დამყარებასო. სიტყვა შევაწყვეტინე და ვუთხარი: 1952 წლამდე გდრ-ში ვცხოვრობდი, ჩემს მშობლიურ ქალაქ ჰალეში, და მრავალი პრობლემა, რის წინაშეც თქვენ ახლა დგახართ, საკუთარი გამოცდილებიდან ჩემთვის კარგადაა ცნობილი-მეთქი.

ამის შემდეგ ვალენსამ ქვეყნის პოლიტიკურ, საზოგადოებრივ და ეკონომიკურ საკითხებთან დაკავშირებით საკუთარი მოსაზრებები გაგვაცნო. ჩემზე შთაბეჭდილება მოახდინა ამ კაცმა და მისმა მონათხრობმა. ეკონომიკურ რეფორმას მთავარ ამოცანად განიხილავდა; პოლონეთი ევროპის მათხოვარი არ უნდა იყოსო. ამიტომ ანიჭებდა დიდ მნიშვნელობას გფრ-სთან ურთიერთობას. იმედი მაქვს, ორმხრივი თანამშრომლობის გააქტიურებისაო. ვუპასუხე, რომ სიამოვნებით გავააქტიურებდით ეკონომიკურ თანამშრომლობას და დიდ მნიშვნელობას ვანიჭებდით დეცენტრალიზაციისა და ბიუროკრატიზმისგან გათავისუფლების საკითხს. ვალენსამ ხაზგასმით აღნიშნა: პოლონეთის წინსვლის საქმეში დიდი მნიშვნელობა აქვს სწორედ ისეთი დიდი ქვეყნის დახმარებას, როგორიც გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკაა.

როგორც გაირკვა, ვალენსა იძულებული იყო, ეს მოლაპარაკებები მიუღებელ პირობებში ეწარმოებინა. ჩვენთან დაგეგმილი შეხვედრის გამო შვებულების აღებას აპირებდა, მაგრამ გემთმშენებელი საწარმოს ხელმძღვანელობას მისი თხოვნა არ დაუკმაყოფილებია. ამიტომ თვითონვე გავითავისუფლე თავიო, — ღიმილით დასძინა მან, თუმცა შიშობდა, ამის გამო სამუშაო არ დაეკარგა.

ვალენსა დამაჯერებლად აღმიწერდა არსებული სისტემის ძალადობრივ ხასიათს, ადამიანთა უპერსპექტივობასა და უიმედობას. იარუზელსკის სწორი გეზი აქვს აღებული, თუმცა ძალიან ნელა მოქმედებს და ამ ტემპით თუ ვიარეთ, ქვეყანაში გარდაქმნების

განხორციელებას ორასი, სამასი წელი დასჭირდებაო. დრო კი არ ითმენს და „სოლიდარობამ“ ამ პროცესების ფორსირება უნდა მოახდინოსო. მე ვუთხარი: ჩვენს აღმოსავლურ პოლიტიკაში პოლონეთს მხოლოდ განსაკუთრებული ადგილი კი არ უჭირავს, არამედ მას მსოფლიოში ყველაზე ცნობილი კათოლიკე სასულიერო პირი და ასეთივე პროფკავშირული მოღვაწე ჰყავს-მეთქი. პაპთან ერთად მისი სახელის ხსენება ვალენსას აშკარად ესიამოვნა.

მან ობიექტური დასკვნა გააკეთა: „სოლიდარობას“ ბრძოლის მეორე პერიოდი ელოდებაო. ეტყობოდა, რომ სავსებით დარწმუნებული გახლდათ ამაში. „სოლიდარობა“ თავისუფლების ძალის განსახიერებას წარმოადგენს და მის გარეშე პოლონეთი სულ სხვა ქვეყანა იქნებოდა-მეთქი, — ვუთხარი მე. იმედი გამოვთქვი, რომ საუბრის გაგრძელების საშუალება ისევ მოგვეცემოდა, ვარშავის გარდა, სხვაგანაც შევხვდებოდით, თანაც ამჟამინდელზე უკეთეს პირობებში.

ჩემი შთაბეჭდილების სისწორე ვალენსასთან შეხვედრამ დაადასტურა: ვალენსას და „სოლიდარობის“ რეფორმისტულმა სწრაფვამ დიდი ზეგავლენა მოახდინა საბჭოეთის გავლენის ზონაში. მაგრამ დასავლელ დამკვირვებელთა უმრავლესობამ — ჯერ კიდევ ოთხმოციანი წლების დასაწყისში — ვერ შეძლო იმის გაცნობიერება, რომ ამ პროცესებით თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის გზაზე პრინციპულად ახალი ეტაპი დაიწყო. თუმცა მაშინ დარწმუნებით ვერავინ იტყოდა, როგორ წარიმართებოდა ეს პროცესები და მათ შეუქცევადი ხასიათი ექნებოდა თუ არა; წინასწარ ვერც იმას განჭვრეტდა კაცი, ამ პროცესების ჩასახშობად ვარშავის პაქტის ქვეყნების ჩარევის შესაძლებლობა საერთოდ გამორიცხული იყო თუ არა.

საბჭოეთის გავლენის სფეროში მყოფი სოციალისტური ბანაკის შესახებ ოთხი ათწლეულის განმავლობაში დასავლეთში ჩამოყალიბდა წარმოდგენა, რაც ამ ბანაკის შინაგანი სტაბილურობისა და ჩაკეტილობის გადაჭარბებულ შეფასებას ეყრდნობოდა. ის, რასაც დასავლეთი მყარად და გამძლედ მიიჩნევდა, სინამდვილეში უკვე მოძველებული, ფუტურო და გახევებული გახლდათ. ამგვარი მცდარი შეფასებები წარმოადგენდა ურიცხვი შეხლა-შემოხლის მთავარ მიზეზს 1988-89 წლებში — და არა მხოლოდ მოკლე რადიუსის რაკეტებთან დაკავშირებით.

## თავი 7

# ურთიერთობა ვატიკანთან

### *აქაც იგრძნობა გერმანიის გაყოფის შედეგები*

საგარეო საქმეთა მინისტრად ჩემი დანიშვნის პერიოდში ფედერალურ მთავრობასა და ვატიკანს შორის ძალზე რთული ურთიერთობა არსებობდა. 1974 წელსვე მოხდა დაპირისპირება ერთის მხრივ ფედერალურ მთავრობასა და ბერლინის მმართველ ბიურგერ-მაისტერს და მეორეს მხრივ ვატიკანს შორის. კლაუს შიუტცმა აუდიენცია სთხოვა წმინდა მამას. ჩვენმა მუდმივმა წარმომადგენელმა ვატიკანში, ბიოკერმა, ოქტომბერში შემატყობინა, რომ პაპი პავლე მეექვსე ბერლინელი ბიურგერმაისტერის თხოვნას დააკმაყოფილებდა, თუმცა ერთი პირობით: თუ გერმანიის ელჩი ვატიკანში აუდიენციას არ დაესწრებოდა. არგუმენტად მოჰყავდა ის, რომ ყოფილი ბიურგერმაისტერი ვილი ბრანდტიც ელჩის გარეშე გამოცხადდა აუდიენციაზე. თუ შიუტცი მარტო არ იქნება, პაპიც იძულებული გახდება მოლაპარაკებებში მაღალი რანგის თანამშრომელი — ალბათ, არქიეპისკოპოსი კასაროლი — ჩართოს, რაც მხოლოდ იმ შემთხვევაში ხდება, როდესაც საქმე სერიოზულ პოლიტიკურ საკითხებს ეხებაო.

ბიოკერის აზრს ვიზიარებდით: საკითხის ამგვარად დაყენების მიზეზი მხოლოდ პროტოკოლთან არ უნდა ყოფილიყო დაკავშირებული; ცხადი გახლდათ, რომ ვატიკანს არ სურდა გაერთულებინა არქიეპის-კოპოს კასაროლის ვიზიტი გდრ-ში, რაც ფედერაციულ რესპუბლიკაში კათოლიკეთა დიდ შეშფოთებას იწვევდა. ჩვენ ველოდით, რომ ვატიკანი ოთხი სახელმწიფოს შეთანხმების შემდეგ გაგებით მოეკიდებოდა ბერლინის საგარეო წარმომადგენლად ფედერაციული გერმანიის აღიარების საკითხს, რასაც ჩვენთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა.

ცნობილი იყო, რომ კარდინალის სტატუს-მდივანს კასაროლის გადაწყვეტილი ჰქონდა გდრ-თან ვატიკანის ურთიერთობის გარკვევა. ეს ჩვენს ინტერესებშიც შედიოდა და ამიტომ არაფერი გვქონდა საწინააღმდეგო ვიზიტისა, რომელიც 1975 წლის 9-14 ივნისს უნდა შემდგარიყო. გადამწყვეტ მნიშვნელობას ამ მოლაპარაკების

მიზნებსა და შედეგებს ვანიჭებდით. გარდა ამისა, არსებობდა ისეთი საკითხები, რომლებიც, ჩვენის აზრით, ჯერ ჩვენთან უნდა შეეთანხმებინათ.

რა იყო დასაფიქრებელი? ერთის მხრივ არსებობდა ეპისკოპოსთა სათათბიროს დაარსების გეგმა, რომლის რეზიდენციაც გდრ-ში იქნებოდა; ამ გეგმისადმი ძალზე სკეპტიკურად ვიყავით განწყობილნი, რადგან, ჩვენის აზრით, ის გერმანიის გაყოფის საფუძველს კიდევ უფრო გაამყარებდა. განსაკუთრებულ ყურადღებას ითხოვდა ბერლინის ეპისკოპოსის მდგომარეობა, რომლის ეპარქია აღმოსავლეთ ბერლინთან ერთად დასავლეთ ბერლინსა და გდრ-ის ტერიტორიებსაც მოიცავდა. ბერლინის ეპისკოპოსი აქამდე ფულდას საეპისკოპოსოს სინოდის წევრი გახლდათ, თუმცა გადაადგილებასთან დაკავშირებული პრობლემების გამო სინოდს თვითონ კი არ ესწრებოდა, არამედ დასავლეთბერლინელი ადმინისტრატორის საშუალებით იყო წარმოდგენილი. გდრ-ში საკუთარი სინოდის შექმნის შემთხვევაში, თუკი ამას მართლა მხოლოდ სასულიერო მიზნებიდან გამომდინარე აკეთებდნენ, ფულდას სინოდში ბერლინელი ეპისკოპოსის ადგილი უნდა შენარჩუნებულიყო. ეს კი იმას ნიშნავდა, რომ ეპისკოპოსს ორი ადგილის დაკავება მოუწევდა, რადგან ის ორი სინოდის წევრი გახდებოდა: გდრ-ისა და ფულდასი.

მეორე საკითხი ეპარქიის საზღვრებს შეეხებოდა. გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა გარკვეული დროიდან ვატიკანზე ზეწოლას ახდენდა, რათა მას ეპარქიის საზღვარი გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკასა და გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკას შორის არსებულ საზღვართან გაეთანაბრებინა. საერთაშორისო სამართლის თანახმად, ასეთი ნაბიჯი გერმანიის გაყოფის აღიარების ტოლფასი იქნებოდა, რაც ჩვენ უარვყავით ჯერ კიდევ იმ ხელშეკრულებასთან დაკავშირებით გამართული მოლაპარაკებების დროს, რომელიც გდრ-თან ურთიერთობის საფუძვლებს ეხებოდა. მაგრამ, როგორც ჩანს, გდრ თავისი სურვილებით ზემოქმედებდა კასაროლიზე და თვით პაპ პავლე მეექვსეზე. ვატიკანს ძალზე მაცდურ წინადადებასაც სთავაზობდნენ: დიპლომატიური ურთიერთობები დავამყაროთო. აღმოსავლეთ ბერლინის დიპლომატიურ კორპუსს ამ შემთხვევაში პაპის ნუნციაც შეემატებოდა. ამგვარი პერსპექტივა კი ვატიკანს ძალზე ხიბლავდა. გერმანელი ხალხის მოთხოვნა გაერთიანების თაობაზე ამით ძალზე

შეიზღუდებოდა და ჩვენ ეს არავითარ შემთხვევაში არ უნდა დაგვეშვა. არც კი უნდა ეოცნება ვინმეს, რომ ოდესმე გერმანიის გაყოფას ვაღიარებდით.

და ბოლოს: მესამე პუნქტი ვატიკანის მიერ 1974 წელს გამოცემულ სტატისტიკურ ალმანახს შეეხებოდა, რომლის მიხედვითაც ბერლინის საეპისკოპოსო შეტანილი იყო რუბრიკაში: „გდრ-ის ტერიტორია და მოსახლეობა". ჩვენ ეს დაუშვებლად მიგვაჩნდა არა მხოლოდ დასავლეთ ბერლინის გამო, არამედ აღმოსავლეთ ბერლინთან მიმართებითაც, ვინაიდან ჩვენი და დასავლელ მოკავშირეთა აზრით, აღმოსავლეთ ბერლინი გდრ-ს არ მიეკუთვნებოდა. ამის გამო ვატიკანს ოფიციალური პროტესტი განვუცხადეთ.

ვიცოდი, რომ ვატიკანის მისწრაფებებისთვის წინააღმდეგობის გასაწევად ჩემი პოზიცია ძლიერი იყო. რაიხის კონკორდატი*, რომლის განგრძობასაც რომში დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ (ამას პოლიტიკური დატვირთვა ჰქონდა), მე სოლიდურ სამართლებრივ საფუძველს მიქმნიდა. შიდაპოლიტიკური თვალსაზრისით გარანტირებული მქონდა ოპოზიციის მხარდაჭერა, საგარეო საქმეთა უწყების პოზიციას გერმანელი ეპისკოპოსებიც უმაგრებდნენ ზურგს.

შევუდექი რა საგარეო საქმეთა მინისტრისა და თავისუფალი დემოკრატიული პარტიის თავმჯდომარის მოვალეობის შესრულებას, მალევე ვეწვიე ფულდას სინოდის თავმჯდომარეს, კარდინალ დიოპფნერს, მიუნხენში. ჩემთვის, როგორც თავისუფალი დემოკრატიული პარტიის თავმჯდომარისთვის, მნიშვნელოვანი გახლდათ, რომ გარკვეულწილად შემენელებინა კათოლიკურ ეკლესიასთან არსებული დაძაბული ურთიერთობა, რაც 1974 წლის ზაფხულში ჰამბურგის პარტიულ ყრილობაზე ეკლესიასთან დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილებებით იყო გამოწვეული; გარდა ამისა, როგორც საგარეო საქმეთა მინისტრს, გდრ-ის მისწრაფებებთან და ვატიკანში არსებულ ტენდენციებთან დაკავშირებით აზრის გაზიარებაც მსურდა. ამრიგად კარდინალს ორმაგ აპლუაში მყოფი შევხვდი:

---

* რაიხის კონკორდატი — რომის პაპსა და ამა თუ იმ მთავრობას შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც განსაზღვრავს კათოლიკური ეკლესიის მდგომარეობას მოცემულ სახელმწიფოში. (რედ.)

როგორც ლიბერალთა თავმჯდომარე და როგორც საგარეო საქმეთა მინისტრი.

საგარეო საქმეთა მინისტრის პოზიციიდან გამომდინარე დიოპ-ფნერს ვუთხარი: ვერ შეეგუები ისეთ პროცესებსა და გადაწყვეტი-ლებებს, რომლებიც ერის გამთლიანების ჩვენეულ ნებას უპირისპირდება და ამის გამო ვატიკანთან დაპირისპირებასაც არ მოვერიდები-მეთქი. სწორედ კათოლიკური ეკლესიის დიდი მორალური ავტორიტეტისა და ვატიკანის მდგომარეობის გამო ენიჭებოდა მის პოზიციას განსაკუთრებული მნიშვნელობა. თუკი ვატიკანი ორ გერმანიას შორის საზღვრის გასწვრივ გამავალ საეპარქიო საზღვრების აღიარებით ფაქტობრივად ცნობს გერმანიის გაყოფას, ეს გაუთვალისწინებელ შედეგებს მოიტანს-მეთქი. ჩემდა სასიხარულოდ, კარდინალმა დიოპფნერმა მითხრა: თქვენს აზრს სავსებით ვეთანხმები და შეგიძლიათ იმედი იქონიოთ, რომ გერმანელი ეპისკოპოსები ვატიკანში მთელ თავის გავლენას გამოიყენებენ, რათა ფედერალურ მთავრობას ამ საკითხში დახმარება აღმოუჩინონო.

არქიეპისკოპოს კასაროლისთან ჩემი პირველი შეხვედრა ჰელსინ-კიში ევროთათბირის უმაღლესი დონის შეხვედრის წინ შედგა 1975 წლის 31 ივლისს. ჩემი თანამშრომლების მიერ მოცემული დახასიათება ჩემს შთაბეჭდილებას დაემთხვა: კასაროლი გამოცდილი, უაღრესად კომპეტენტური, არგუმენტირების ოსტატობას დაუფლებული ვატიკანელი პროფესიონალი დიპლომატი და შთამბეჭდავი პიროვნება გახლდათ. მან გამოთქვა იმედი, რომ ვატიკანისა და ბონის ურთიერთობები მომავალშიც კარგად წარიმართებოდა. რომში მზად არიან კონსულტაციისთვის ყველა იმ საკითხთან დაკავშირებით, თქვენს ინტერესებს რომ ეხება, სახელდობრ კი გდრ-ში საეკლესიო რეორგანიზაციის საკითხთან დაკავშირებითაც, მიუხედავად იმისა, რომ თქვენს თანხმობაზე დამოკიდებულნი არა ვართო. ამით ის ძალზე სათუთ საკითხს შეეხო, რადგან „რაიხის კონკორდატი" — ჩვენი გაგებით — ვატიკანს კონსულტაციებს ავალდებულებდა, და თუმცა გერმანიის დემოკრატიულმა რესპუბლიკამ კონკორდატის აღიარებაზე უარი განაცხადა, ჩვენს თვალში ის სამართლებრივი თვალსაზრისით კვლავაც მოქმედებდა გერმანიის მთელ ტერიტორიაზე.

კასაროლის ვუთხარი: „წმინდა საყდარსა" და გდრ-ს შორის

კონტაქტების საწინააღმდეგო არაფერი გვაქვს — პირიქით, ჩვენ მიგესალმებით ყოველ მცდელობას, რაც გდრ-ში კათოლიკური ეკლესიისა და, უპირველეს ყოვლისა, მორწმუნეთა მდგომარეობას შეამსუბუქებს. თუმცა მთავარი ამ კონტაქტების შინაარსია და წმინდა საყდარმა უნდა გაითვალისწინოს, რომ გარკვეული შეთანხმებანი აღმოსავლეთ ბერლინთან ვატიკანის მდგომარეობისა და გერმანიის მთელ ტერიტორიაზე „რაიხის კონკორდატის", ჩვენი აზრით, სავალდებულობის პირობებში გერმანული საკითხის სამომავლო განვითარებაზე პრეიუდიციულ ზემოქმედებას მოახდენს-მეთქი.

1975 წლის 24 ოქტომბერს არქიეპისკოპოსი კასაროლი უფრო ამომწურავი საუბრის მიზნით ბონში ჩამოვიდა. მასთან საუბარი რთული, მაგრამ ფორმის თვალსაზრისით, სასიამოვნოც გახლდათ: საუბრის უფრო მეტ გარკვეულობას ვერც ინატრებდი; კასაროლი დიალოგის წარმართვის ოსტატი გახლდათ. აღმოჩნდა, რომ ჩვენი ურთიერთსაპირისპირო პოზიციების მნიშვნელოვანი მხარდამჭერებიც გვყავდა. ამ საკითხში ჩემი მოკავშირეები, გფრ-სა და გდრ-ში, კათოლიკე ეპისკოპოსები იყვნენ; ბუნებრივია, მხარს მიჭერდა ფედერალური კანცლერი და ქრისტიანულ-დემოკრატიული/ქრისტიანულ-სოციალური კავშირების ოპოზიციაც; კასაროლის პოზიციას გდრ უჭერდა მხარს, გდრ-ს კი საბჭოთა კავშირი უმაგრებდა ზურგს. მაგრამ სოციალ-დემოკრატიულ პარტიაშიც გაისმოდა ხმები, რომლებიც ვატიკანის მოთხოვნების მიმართ უფრო მოქნილი დამოკიდებულებისაკენ მოგვიწოდებდნენ. საუბრის მთავარ თემას ისევ ის საკითხები წარმოადგენდა, ჯერ კიდევ ჰელსინკიში რომ განვმარტეთ. კიდევ ერთხელ ხაზგასმით აღვნიშნე, რომ გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკასა და გდრ-ს შორის — და მორწმუნეთა ინტერესებიდან გამომდინარე — ვატიკანსა და გდრ-ს შორის კეთილი ურთიერთობით დაინტერესებულნი ვიყავით. მე განვმარტე გერმანიის გაერთიანებასთან დაკავშირებული უცვლელი მოთხოვნა. „წერილი გერმანიის გაერთიანების თაობაზე", რომელიც მოსკოვის ხელშეკრულებისა და „გდრ-თან ურთიერთობების საფუძვლების" ხელშეკრულების დადების შემდეგ ფართო ხელშეკრულების შემადგენელი ნაწილი გახდა ისევე, როგორც საზღვრების მშვიდობიანი ცვლილების აღიარება ჰელსინკის დასკვნით აქტში, ჩვენი პოლიტიკისათვის იმდენადვე სავალდებულოა, როგორც გერმანიის გაერთიანების მოთხოვნა. ძირითადი კანონის პრეამბულაში-მეთქი.

აქედან გამომდინარე, ვატიკანს დაბეჯითებით უნდა ვთხოვო „რაიხის კონკორდატით“ გათვალისწინებული და მის მიერ აღებული ვალდებულებები შეასრულოს-მეთქი. იმ დისკუსიებზე დაყრდნობით, რომელთაც ადგილი ჰქონდა საეკლესიო საკითხებთან დაკავშირებით თავისუფალი დემოკრატიული პარტიის ყრილობაზე ჰამბურგში, არქიეპისკოპოსს ვკითხე: გფრ-სთან შედარებით, რომელიც რაიხის კონკორდატის მოთხოვნებს იცავს, ნუთუ უპირატესობას გდრ-ს ანიჭებთ, ანუ იმ გერმანულ სახელმწიფოს, რომელიც კონკორდატს არ აღიარებს-მეთქი. ამგვარი პოზიცია ვატიკანის მიმართ ვატიკანისთვის არასასურველ რეაქციას გამოიწვევს საზოგადოებაში; ეს განსაკუთრებით კონკორდატს ეხება-მეთქი.

თუკი — სასულიერო მიზნებიდან გამომდინარე — ეპისკოპოსთა საბჭო გდრ-ში შეიქმნება, მაშინ კარდინალ ბენგშს ორი თანამდებობის შეთავსება მოუწევს უკვე ორ საეპისკოპოსო საბჭოში, ხოლო რაც შეეხება ეპარქიების საკითხს, ჩვენ გაგებით მოვეკიდებით ამას, თუკი ვატიკანი, ასევე სასულიერო მიზეზთა გამო, დანიშნულ ადმინისტრატორებს დასავლეთ გერმანიის იმ ეპარქიებში მოვალეობის აღსრულების საშუალებას მისცემს, რომლებიც გდრ-ის ტერიტორიაზე იჭრება-მეთქი. დაუშვებელია ყოველგვარი ქმედება, რაც გერმანული საკითხის ნეგატიურ პრეიუდიციას გამოიწვევს. სხვათა შორის კონკორდატის ურღვევობისთვისაა უაღრესად საჭირო, რომ გერმანიისათვის ესოდენ მნიშვნელოვან საკითხში ვატიკანმა გერმანიასთან დათანხმების ვალდებულება შეასრულოს-მეთქი. ჩემი შთაბეჭდილებით, ამ მოლაპარაკების შედეგად გარღვევას მივაღწიეთ, თუმცა არც ის უნდა დაგვევიწყებინა, რომ გდრ-ის კათოლიკე ეპისკოპოსებთან კასაროლის მოლაპარაკებებმა, რამდენიმე თვით ადრე გდრ-ში რომ გაიმართა, დაადასტურა ვატიკანის ზრახვათა მიმართ მათი ეჭვები.

ფედერაციულ რესპუბლიკასა და ვატიკანს შორის სულ სხვა ხასიათის პრობლემაც წარმოიშვა. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ შეთანხმდნენ, რომ გერმანელი ელჩები ვატიკანში მონაცვლეობით წარმოადგენდნენ ევანგელიკურ და კათოლიკურ კონფესიებს. საგარეო საქმეთა უწყებაში, მით უფრო ლიბერალი საგარეო საქმეთა მინისტრისათვის, აღმსარებლობის საკითხი ჩვეულებრივ არანაირ როლს არ თამაშობდა. ვატიკანში ელჩის პოსტის დაკავება კი სულ სხვა საქმე გახლდათ. კონრად ადენაუერის გადაწყვეტილებას — მხოლოდ

პროტესტანტი ელჩები აღარ მიევლინებინათ, როგორც ადრე ხდებოდა, არამედ სხვადასხვა კონფესიის წარმომადგენლები მონაცვლეობით გაეგზავნათ — „კონფესიური ერთფეროვნება“ უნდა აერიდებინა თავიდან. საელჩოს შემადგენლობაში იმყოფება ასევე სასულიერო მრჩეველი, რომელიც მღვდელმსახურების საკითხებითაა დაკავებული: ეს გახლავთ კათოლიკე სასულიერო პირი, რომელიც დროებით მუშაობს საგარეო საქმეთა უწყებაში; მის დანიშვნაზე რეკომენდაცია ფულდას სინოდმა უნდა გასცეს. სამი კანდიდატურის წარმოდგენას ვითხოვდი, რათა ნოტარიუსის როლი კი არ შემესრულებინა, არამედ სინოდის მიერ შერჩეულ სამ კანდიდატს შორის არჩევანი გამეკეთებინა.

უკმაყოფილება გამოიწვია იმან, რომ ჩვენს მიერ წარდგენილი ელჩისთვის თანხმობის გაცემის საკითხს ვატიკანი აჭიანურებდა, რაც დიპლომატის წინააღმდეგ არ იყო მიმართული; ის დიდი პატივისცემით სარგებლობდა, ხოლო მისი მაღალი რანგი გახლდათ იმის დადასტურება, თუ რაოდენ დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ფედერალური მთავრობა ვატიკანთან ურთიერთობას. ეჭვს ამ კანდიდატურის კონფესია იწვევდა: ის ევანგელიკური გახლდათ. ეს უკვე რიგით მესამე პროტესტანტი იქნებაო, შეგვეწინააღმდეგა — რა თქმა უნდა, არაოფიციალურად — ვატიკანი. თუმცა მანამდე სამი კათოლიკური კონფესიის წარმომადგენელი ელჩი ერთმანეთის მიყოლებით დაინიშნა ვატიკანში.

ვატიკანის ქცევა ჩემთვის გაუგებარი გახლდათ. ჩვენი ურთიერთობის ინტერესებიდან გამომდინარე, ყველანაირად ვცდილობდი ამ პრეცედენტის კონფიდენციალურ მოგვარებას. ამავე დროს მტკიცედ გადავწყვიტე, არ დამეთმო, რადგან ერთის მხრივ, დაუშვებელი იყო უკვე წარდგენილი ელჩის კანდიდატურის უარყოფა, მეორეს მხრივ — და აქ ჩვენი ურთიერთობის ძირითად საკითხს ეხებოდა საქმე — სიმტკიცეს თუ არ გამოვიჩენდით, გდრ-თან დაკავშირებულ საკითხებში ჩვენი ურყევი პოზიციაც ეჭვქვეშ დადგებოდა.

საუბრისას, რომელიც ჩემს ოთახში შედგა, არქიეპისკოპოს კასაროლის თავაზიანად მივუთითე ორ პორტრეტზე, კედელზე რომ ეკიდა. ეს გახლდათ გუსტავ შტრეზემანისა და ოტო ფონ ბისმარკის პორტრეტები. ისინი ჩემთვის სამაგალითო ადამიანები არიან-მეთქი, — ვუთხარი მას. ამ უკანასკნელმა ანალოგიურ სიტუაციაში დიდი გაბედულება და მოთმინება გამოიჩინა, როცა ვატიკანში ელჩის

გაგზავნაზე უარი თქვა-მეთქი. კასაროლი მიმიხვდა. რომში მისი დაბრუნებიდან სულ მოკლე ხანში თანხმობა მივიღეთ. ჩვენს მიერ წარგზავნილი ელჩი შვიდი წლის განმავლობაში იმყოფებოდა ამ პოსტზე.

1976 წლის 26 ოქტომბერს დეკრეტით იქნა მოწონებული ეგრეთ წოდებული ბერლინის სინოდის შექმნა, რომელმაც ბერლინის ორდინარიუსთა საბჭო შეცვალა. დასახელება „ბერლინის საეპისკოპოსო საბჭო“ ბერლინის ეპისკოპოსის, არქიეპისკოპოს კარდინალ ალფრედ ბენგშის იდეა გახლდათ, რომელსაც ამ ფორმით სურდა თავიდან აეცილებინა გერმანიის გაყოფის აღიარება, რაც გდრ-ის სახელწოდების მოხსენიების შემთხვევაში შესაძლებელი გახლდათ. თავმჯდომარის მოვალეობაც მან იტვირთა. ვატიკანმა გადაწყვეტილების მიღებისას ჩვენი პირობები გაითვალისწინა; ანგარიში გაუწია ჩვენს მთავარ მოთხოვნასაც, რომ ბერლინის საეპისკოპოსო საბჭოს თავმჯდომარეს თავისი ადგილი ფულდას სინოდშიც შეენარჩუნებინა. კარდინალი ბენგში გახლდათ გარანტი იმისა, რომ თავიდან ავირიდებდით გდრ-ის აღიარებისაკენ მიმართულ ყველა მცდელობას. პეტერ ჰერმესმა — რომელიც ჯერ საგარეო საქმეთა უწყებაში განყოფილების უფროსი გახლდათ, შემდეგ კი სტატს-მდივანი — მას კარგად გააცნო ჩვენი მოსაზრებები; ისინი დიდი ხნის მეგობრები იყვნენ. კარდინალი ბენგში 1979 წლის დეკემბერში გარდაიცვალა; მისი შემცვლელის, კარდინალ მაისნერის სახით ჩვენ კვლავ ვიპოვეთ თანამოაზრე.

საუბრები არქიეპისკოპოსთან, რომელიც მალე პაპის პირველი მრჩეველი გახდა, ყოველთვის მრავლისმომცემი გახლდათ არა მხოლოდ მისი პროფესიონალიზმის, არამედ უპირველეს ყოვლისა მისი განსწავლულობისა და აღმოსავლეთის ქვეყნებში მიმდინარე პროცესებში ღრმად ჩახედულობის გამო. საერთოევროპული პოლიტიკის, განსაკუთრებით კი ევროთათბირის საკითხებში ჩვენ შორის სრული თანხმობა სუფევდა და შესანიშნავად ვთანამშრომლობდით. ჩემი მოღვაწეობის შემდგომ წლებში ბონისა და ვატიკანის ურთიერთდამოკიდებულება ძირეულად შეიცვალა. 1978 წლის 6 აგვისტოს პაპი პავლე მეექვსე გარდაიცვალა. 21 აგვისტოს მის დაკრძალვაზე გავემგზავრე რომში. ოთხმოცდათხუთმეტი სახელმწიფოს წარმომად-

გენელი ჩამოვიდა — ბევრად მეტი, ვიდრე ოდესმე. პანაშვიდი ღია ცის ქვეშ გადაუხადეს, ცერემონიალს ასიათასობით ადამიანი ესწრებოდა.

სახელმწიფოთა წარმომადგენლები მათი შიდასახელმწიფოებრივი რანგის მიხედვით გაანაწილეს. ჩემგან ორი რიგით წინ იჯდა სახელმწიფო საბჭოს თამჯდომარის მოადგილე გერალდ გიოტინგი (აღმოსავლეთ გერმანიის ქრისტიანულ-დემოკრატიული კავშირი), რომელსაც ჰალეში სტუდენტობის დროიდან ვიცნობდი; ვატიკანის პროტოკოლმა სტუმართა ამგვარი განაწილებით გაითავისა შეხედულება სახელმწიფოს კოლექტიური მეთაურის შესახებ.

მესა დამთავრდა თუ არა, იქითკენ გავემართე, საიდანაც საპატიო სტუმრები მიემგზავრებოდნენ. უცებ მშობლიური, ნაცნობი კილოკავი შემომესმა. გიოტინგის ხმა გახლდათ: „რა კარგია, რომში ძველ ჰალელს რომ გადაეყრებიო!“ ხანმოკლე გულითადი საუბრის შემდეგ, რომლის ძირითად თემას ერთად გატარებული სტუდენტობის ხანა წარმოადგენდა, ჩამომდგარ მანქანაში ჩავჯექი.

## *დაძაბულობის შენელების პოლიტიკას ალტერნატივა არა აქვს*

იოანე პავლე მეორის მოღვაწეობით ვატიკანის საგარეო პოლიტიკაში ახალი ერა დაიწყო. კასაროლის სუვერენულობაზე მეტყველებდა ის, რაც მან რომში ჩემი პირველი ვიზიტის დროს — ანუ მას შემდეგ, რაც იოანე პავლე II მოვალეობის შესრულებას შეუდგა — განმაიარაღებელი გულგახსნილობით მითხრა: „ბატონო მინისტრო, ახლა აუცილებლობას აღარ წარმოადგენს იმ საკითხებზე კამათი, რაზეც წარსულში ვდავობდით. ეს პაპი ყოველთვის გაგამართლებთ“.

1979 წლის მარტში, გერმანიის ბუნდესტაგის ოპოზიციური ლიდერის ჰელმუთ კოლის ვატიკანში ვიზიტის დროს, კოლეგა დოქტორ მერტესმა შემატყობინა: კოლმა პაპთან გამოთქვა ვარაუდი, რომ ვატიკანი ისეთს არაფერს მოიმოქმედებს, რაც გერმანიის გაყოფის აღიარების ტოლფასი იქნებაო. პაპი დაჰპირდა, ამ მხრივ, შეგიძლიათ მშვიდად იყოთო. ეს ფაქტი კვლავ ადასტურებდა კარდინალის სტატუსმდივნის ნათქვამის უტყუარობას, თუმცა ეროვნული ინტერესების

დაცვის საკითხში მთავრობისა და ოპოზიციის ურთიერთთანამშრომლობის შესანიშნავ მაგალითსაც წარმოადგენდა. 1979 წლის 9 ივლისს ამავე საკითხთან დაკავშირებით პაპ იოანე პავლე მეორესა და კარდინალის სტატს-მდივან კასაროლისთან ფედერალური კანცლერი შმიდტიც იცავდა ჩვენს პოზიციას, როდესაც რომში იმყოფებოდა. შმიდტი მოითხოვდა, რომ ვატიკანს ბერლინელი კარდინალის, ბენგშის მოსაზრებები გაეთვალისწინებინა.

1979 წლის 13 ოქტომბერს კასაროლი ისევ ჩამოვიდა ბონში. ამჯერად შემეძლო მეთქვა: ჩვენი ურთიერთობების მდგომარეობით კმაყოფილი ვარ. ჩვენი თვალსაზრისით სადავო საკითხები აღარ არსებობს, თუკი ძველი პრობლემებისგან ახალ პრობლემებს არ შევქმნით-მეთქი. ამგვარად, საეპარქიო საზღვრების საკითხიც გადაწყდა: ანუ საზღვრები იგივე დარჩა. გერმანიის გამაერთიანებელი გზა კვლავ ხსნილი იყო; მის შესანარჩუნებლად კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადაიდგა.

ამის შემდეგ იმის თაობაზე ვისაუბრეთ, თუ რა გამოძახილი პოვა, რა გავლენა იქონია პაპის სტუმრობამ პოლონეთში. კასაროლის ვუთხარი: კომუნისტ ხელისუფალთათვის ოცდათხუთმეტწლიანი ბატონობის შემდეგ აშკარად გაუგებარია პაპის ვიზიტმა ხალხი ასე ძალიან რომ ააღელვა და შესძრა-მეთქი. ეს მოგზაურობა დასავალეთისთვისაც მნიშვნელოვან ნიშანს წარმოადგენს, რასაც იმედია ყველგან სწორად გაიგებენ. სულ უფრო თვალშისაცემია, რომ თავისუფლებისა და ადამიანის უფლებების დაცვის მოთხოვნას დიდი ხნით ვეღარ ჩაახშობენ. ამიტომ დასავლეთს — რაც მომავალ პროცესებს შეეხება — შეშფოთების მიზეზი კი არა აქვს, იმედიანად უნდა განეწყოს-მეთქი.

კარდინალის სტატს-მდივანმა კმაყოფილება გამოთქვა იმასთან დაკავშირებით, რომ პაპის ვიზიტმა ახალგაზრდებში ესოდენ დიდი გამოხმაურება პოვა. სწორედ პოლონეთში შეიძლება იმის იმედი გქონდეს, რომ ზოგიერთი კომუნისტი უპირველეს ყოვლისა პოლონელია და მხოლოდ ამის შემდეგ — კომუნისტიო. კათოლიკურ ეკლესიასა და ვარშავის მთავრობას მრავალი შეხების წერტილი აქვს. დაახლოებით 1975 წელს პოლონეთის მთავრობამ „წმინდა საყდარს“ სთხოვა კარდინალი ვიშინსკი — როდესაც მან ზღვრულ ასაკს მიაღწია — პოლონეთში რომის კათოლიკური ეკლესიის პირველ

ეპისკოპოსად დაეტოვებინაო.

კიდევ ერთხელ დავუბრუნდი გერმანიის ერთიანობისადმი მიძღვნილი წერილის ტექსტსა და მნიშვნელობას. ამ წერილში თვითგამორკვევის უფლება, რაც ასე მნიშვნელოვანია გერმანელებისათვის, უფრო ფართო, ევროპულ კონტექსტშია ჩართული, რადგან წერილში ნათქვამია, რომ საქმე „ევროპაში მშვიდობიანი მდგომარეობის უზრუნველყოფას" ეხება-მეთქი.

უფრო მოგვიანებით, 1984 წლის სექტემბერში გამართული საუბრის დროს კარდინალის სტატს-მდივანმა და მე საერთაშორისო ვითარება განვიხილეთ, რაც ჩვენი საერთო აზრით ძალზე მძიმე გახლდათ. ორივემ დავაფიქსირეთ ჩვენი საერთო მოსაზრება: საერთაშორისო პოლიტიკური აქტივობა შესუსტდა. კარდინალის სტატს-მდივანი ამას ამერიკაში მოსალოდნელ არჩევნებს უკავშირებდა; ჩემი აზრით კი, ამის მთავარი მიზეზი საბჭოთა მთავრობაში არსებული შინაგანი პრობლემები გახლდათ. დროის ძალზე ხანმოკლე შუალედში საბჭოთა მთავრობა ორჯერ შეიცვალა და ძნელი იყო იმის განჭვრეტა, იმჟამინდელი გენერალური მდივანი, ჩერნენკო, კიდევ დიდხანს დარჩებოდა ამ პოსტზე თუ არა. ისეთი შთაბეჭდილება მრჩება — ვუთხარი მე —, რომ კრემლში უკანასკნელი მოვლენების შეფასების თვალსაზრისით, განსაკუთრებით კი დასავლეთის პოლიტიკური კურსის შეფასებასთან დაკავშირებით, აზრთა სხვადასხვაობა არსებობს. არსებითად ეს ავლანეთის ომსა და SS-20 ტიპის რაკეტების განლაგების საკითხს უკავშირდება-მეთქი. მიუტევებელი შეცდომა იქნება, რომ საშუალო რადიუსის რაკეტებით შეიარაღების სფეროში ისედაც არსებული საბჭოთა უპირატესობა კიდევ უფრო გაიზარდოს; ახლა დასავლეთმა რეაგირება მოახდინა და თავისი პოზიციის მდგრადობა დაადასტურა. ვილიამსბურგში გამართულ მსოფლიო-ეკონომიკურ სამიტზე უსაფრთხოების ამ მეტად მნიშვნელოვან საკითხთან დაკავშირებით იაპონიამაც გაბედული პოზიცია გამოხატა და ნატოს მხარე დაიკავა-მეთქი.

საუბრის დროს ორივე გერმანული სახელმწიფოს საკითხიც წამოიჭრა. მე ვთქვი: ჩემი აზრით, სტალინს 1952 წლის ნოტით გერმანიის გაერთიანება ჰქონდა განზრახული, რადგან ეროვნული საკითხის ფეთქებად ბუნებას სწორად აფასებდა-მეთქი. მაგრამ მისთვის

ალბათ კიდევ უფრო მნიშვნელოვანი იყო, დასავლური დემოკრატიების კავშირი და ევროპის გაერთიანების პროცესი ნეიტრალური გაერთიანებული გერმანიის იზოლირებით შეეფერხებინა-მეთქი. ყველა მისი მემკვიდრე ეროვნული საკითხის მნიშვნელობას აკნინებდა. ამჟამად კი მან მთელ აღმოსავლეთში უფრო მეტი აქტუალობა შეიძინა, რაც უპირველეს ყოვლისა აღმოსავლეთ თუ დასავლეთ გერმანელთა ერთობის განცდაში გამოიხატება. ბონთან თანამშრომლობის პოლიტიკური კურსის გატარებისას — რაც გდრ-ის მოქალაქეებმა საერთოდ ძალზე გულღიად მიიღეს — ჰონეკერი აშკარად საკუთარ მოსახლეობაში პრესტიჟის მოპოვებას ცდილობს. ეს თანამშრომლობა ადამიანებს შვებას მოუტანს და მთელი ევროპის სტაბილურობას ხელს შეუწყობს-მეთქი.

შემდეგი თემა ჩეხოსლოვაკიაში შექმნილი სიტუაცია გახლდათ და განსაკუთრებული სურვილი მამოძრავებდა პრაღელი კარდინალის ტომაშეკის მიმართ ჩემი მოწიწება გამომეხატა. კასაროლის ეკითხე, პაპი კარდინალის მიწვევაზე თუ დათახმდება და ჩეხოსლოვაკიაში თუ ჩავა-მეთქი. კასაროლიმ მიპასუხა: მის ასაკში — იგი უკვე 85 წლის გახლდათ — კარდინალს შეუძლია პარტიას ანგარიში აღარ გაუწიოს და თავს ბევრი რამის უფლება მისცეს. ჩეხოსლოვაკიაში პაპის ვიზიტი მაინც წარმოუდგენელია; უფრო მოსალოდნელია, რომ ის უნგრეთს ეწვიოს, თუმცა მოსკოვის ნებართვა ამ შემთხვევაშიც აუცილებელია. სამაგიეროდ იუგოსლავიაში მისი ჩასვლა შესაძლებლად მიმაჩნიაო. ჩვენი შეხვედრის დასასრულ კასაროლიმ დაასკვნა: აღმოსავლეთ-დასალეთის ურთიერთობა ამჟამად იმ ფაზაშია, როდესაც სიმშვიდე და თავშეკავებულობა აუცილებელია. ვატიკანის თვალთახედვით დაძაბულობის შენელების პოლიტიკას არანაირი ალტერნატივა არ გააჩნიაო. ამ მოსაზრებას ყოველგვარი შეკამათების გარეშე დავეთანხმე.

პაპმა იოანე პავლე მეორემ უფრო დეტალური საუბრისთვის ისევ მიმიღო. 1987 წლის 7 დეკემბერს საერთაშორისო ვითარებასთან დაკავშირებით მასთან ხანგრძლივი საუბარი მქონდა. პრაღაში ჩემი ბოლო ვიზიტისა და უპირველეს ყოვლისა კარდინალ ტომაშეკთან საუბრის შესახებ მოვახსენე. შემდეგ პოლონეთში შექმნილ მდგომარეობას შევეხეთ. როგორ უნდა შეგვეფასებინა ლეხ ვალენსას პოზიცია? პაპმა საშუალო რადიუსის რაკეტებთან დაკავშირებით

გამართულ მოლაპარაკებებზე გადაიტანა საუბარი: მე შევიტყვე, რომ საშუალო რადიუსის რაკეტებთან დაკავშირებულ ამერიკულ-საბჭოთა სამომავლო შეთანხმებას ევროპაში ზოგიერთები მეორე იალტად მოიხსენიებენო.

ისეთი შთაბეჭდილება შემექმნა, თითქოს მან ამ „ზოგიერთში" გერმანელები იგულისხმა; თუმცა ის, როგორც ჩანდა, ამ შეშფოთებას არ იზიარებდა, მაგრამ ჩემი აზრი ამასთან დაკავშირებით მაინც აინტერესებდა. ამ შეთანხმებას ისტორიული მოვლენა ვუწოდე, რომელსაც განიარაღების გზაზე შემდგომი ნაბიჯები უნდა მოჰყოლოდა. ბუნებრივია, რომ დასავლეთში თუ აღმოსავლეთში ამან გერმანელთა დიდი ინტერესი გამოიწვია. იმის განსამარტად, თუ რა უძღოდა წინ ამ შეთანხმებას, ვუთხარი: „ორმაგი ნულოვანი გადაწყვეტილება" — მსოფლიო გამალებული შეიარაღების დასრულება, რომელიც საშუალო რადიუსის ბირთვული იარაღის სფეროში წონასწორობის დამყარებასა და შენარჩუნებას ითვალისწინებდა — ჩვენი სტრატეგიული მიზანი გახლდათ-მეთქი; ნატოს „ორმაგი გადაწყვეტილებით", რომელიც მოლაპარაკებებთან და შეიარაღებული ძალების განლაგებასთან დაკავშირებული ნაწილებისგან შედგებოდა, ეს თავიდანვე მიზნად დავისახეთ-მეთქი. ახლა საქმე იმაში მდგომარეობს, რომ ჩვეულებრივი შეიარაღების სფეროში არსებული საბჭოთა უპირატესობა ავირიდოთ თავიდან. აუცილებელი არ არის რიცხობრივი გათანაბრება; აუცილებელი ის არის, რომ ვარშავის პაქტის ქვეყნებმა თავდასხმისუნარიანობა დაკარგონ, რაც დასავლეთის შემთხვევაში უკვე რეალობას წარმოადგენს-მეთქი.

შემდეგ პაპს ის მიზეზები ავუხსენი, რამაც 1987 წლის პირველ თებერვალს მიბიძგა გორბაჩოვთან დაკავშირებული სიტყვა წარმომეთქვა დაეოსში. იქ მე დასავლეთს მივმართე: გორბაჩოვის მიმართ სერიოზული დამოკიდებულება გამოიჩინეთ, რათა ისტორიული შანსი ხელიდან არ გავუშვათ-მეთქი. აშკარაა, რომ მის საგარეო პოლიტიკას არსებული სისტემის მოსკოველი კრიტიკოსებიც უჭერენ მხარს, მაშინ როდესაც მისი მოწინააღმდეგეები პარტიის კონსერვატორულ ძალებს შორის იმყოფებიან. ანდრეი სახაროვის აზრით — რომელიც გორბაჩოვის მიმართ ძალზე კრიტიკულად არის განწყობილი და რომელსაც ვესაუბრე — გორბაჩოვი ჩვენს მხარდაჭერას იმსახურებს-მეთქი.

## *პაპი და ლიბერალი, რომელთაც ერთი სურვილი აერთიანებთ: ბოლო მოუღონ კონფრონტაციას ევროპაში*

იოანე პავლე მეორესთან კერძო აუდიენციების დროს გამართულ საუბრებს ჩემთვის უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა. პაპმა, მისმა სერიოზულობამ და ჩაფიქრებულობამ, წარუშლელი შთაბეჭდილება დატოვა ჩემზე. ის უშეცდომოდ მესაუბრებოდა გერმანულ ენაზე; ნელი, მძიმე საუბარი მის სიტყვებს დიდი ზემოქმედების ძალას ანიჭებდა. პოლონეთსა და გდრ-ში არსებულ ვითარებაზე, გდრ-ის მიმართ ჩვენს დამოკიდებულებაზე და საბჭოთა კავშირში განვითარებულ მოვლენებზე ყოველთვის ღიად ვკამათობდით. ერთი აზრი გვქონდა იმასთან დაკავშირებით, რომ ვარშავის პაქტის ქვეყნებში ეკლესია ყველაზე უკეთეს პირობებში პოლონეთსა და გდრ-ში იყო. ვარშავის პაქტის ქვეყნებთან თანამშრომლობის პოლიტიკის თვალსაზრისით ჩვენი საუბრები მხნეობას მმატებდა. დადასტურდა რა კარდინალ კასაროლის ვარაუდი, რომ გდრ-თან დაკავშირებულ საკითხებში პაპი ჩვენს პოზიციას დაუჭერდა მხარს, ჩვენ გერმანულ საკითხთან დაკავშირებით სხვა პოლიტიკური პრობლემა აღარ გვქონდა.

საეკლესიო და საზოგადოებრივ-პოლიტიკური საკითხები, ჩვენი განსხვავებული შეხედულებების გამო, ჯერ კიდევ პირველი შეხვედრისას ამოვიღეთ განსახილველ საკითხთა სიიდან. იმედი ნუ გექნებათ, რომ პროტესტანტი ლიბერალი, ლუთერის სამშობლოდან, ამ საკითხებში პაპთან თანხმობას მიაღწევს-მეთქი, — ვუთხარი მას. ამის გამო, ეს საკითხები გვერდზე გადავდეთ; მათ შორის იყო შობადობაზე კონტროლის საკითხიც. ევროპის მომავალი, მშვიდობის შენარჩუნება, საბჭოთა გავლენის სფეროში ქრისტიანთა ბედი, პოლონეთისა და გერმანიის ურთიერთობა, — ეს გახლდათ ჩვენი ზრუნვის საგანი, რაც საუბრისათვის საკმაო მასალას წარმოადგენდა, საუბრისთვის, რომელიც დიდი პასუხისმგებლობით გაჟღენთილ ატმოსფეროში მიმდინარეობდა. პაპი ყოველთვის ერთსა და იმავე ოთახში მღებულობდა. უჯდა გრძელ მხარეს მძიმე საწერი მაგიდისას, რომელსაც დიდი, მასიური დაფა ჰქონდა; მაგიდის განივ ვიწრო კიდესთან მე ვიჯექი. ყურადღებით როდესაც მისმენდა, თავით მარჯვენა ხელს ეყრდნობოდა. ვცდილობდი დამერწმუნებინა იგი, რომ ევროთათბირის დაძაბულობის შენელების პოლიტიკა და განიარაღების

სფეროში ჩვენი გულწრფელი მცდელობა წარმატებული იქნებოდა. ევროპის დაყოფილობის დაძლევასაც მოვახერხებთ, გაერთიანებული გერმანია და პოლონეთი კი აქამდე არნახულ ურთიერთობას დაამყარებენ-მეთქი.

მასთან საუბარში კვლავ და კვლავ ვუბრუნდებოდი გორბაჩოვის პოლიტიკას და პოზიტიურად ვაფასებდი მას. რაც გორბაჩოვს სურდა, რასაც ის აკეთებდა, პაპს, როგორც ჩანს, განსაკუთრებით აღელვებდა. მოგვიანებით მან ჩემს შემცვლელს, დოქტორ კლაუს კინკელსაც დაუდასტურა, თუ რა მნიშვნელოვანი იყო მისთვის ამ საკითხებზე ჩემთან საუბრები.

ყველა ამ საკითხის განხილვისას პაპი მხოლოდ კათოლიკური ეკლესიის მეთაურის პოზიციიდან გამომდინარე არ საუბრობდა; მისი შეფასებებიდან ჩანდა, რომ საბჭოეთის გავლენის სფეროში არსებული კათოლიკური ეკლესიის მიერ შესანიშნავად იყო ინფორმირებული. ის საუბრობდა აგრეთვე როგორც პოლონელი. მას ძალიან კარგად ესმოდა, კონფრონტაციასთან შედარებით თუ რატომ ვანიჭებდი უპირატესობას დასავლეთ-აღმოსავლეთის ურთიერთთანამშრომლობას. ერთი ადრეული შენიშვნიდან გამომდინარე ერთხელ ვუთხარი: სარწმუნოებრივ და საზოგადოებრივ-პოლიტიკურ საკითხებში ჩვენი განსხვავებული შეხედულებების მიუხედავად ასე კარგად ალბათ იმიტომ გვესმის ერთმანეთის, რომ ორივე საბჭოთა გავლენის სფეროში ვცხოვრობდით, მაგრამ რევანშისტული აზრებისა თუ ბრმა ჯვაროსნული ლაშქრობის იდეებისაგან თავისუფალნი ვართ. პირიქით: დაძაბულობის შენელების პოლიტიკის, თანამშრომლობისა და ევროთათბირის პროცესის — რაშიც ვატიკანიც მონაწილეობდა — სხვა ანგარიშგასაწევ ალტერნატივას ვერც ერთი ვერ ვხედავთ-მეთქი.

კიდევ ერთ საკითხში გაირკვა ჩვენი პოზიციების თანხვედრა: 1991 წელს იუგოსლავიაში განვითარებული მოვლენების შეფასებაში. ვატიკანის საგარეო პოლიტიკამ ზოგიერთ დასავლურ მთავრობაზე ცხადად შეიცნო ის საშიშროება, სერბთა მიერ ძალაუფლების ხელში ჩაგდების სურვილიდან რომ მომდინარეობდა და იუგოსლავიის სახელმწიფოს მთლიანობას და იქ მცხოვრებ ხალხთა მშვიდობიან თანაარსებობას ემუქრებოდა. ხორვატიისა და სლოვენიის აღიარების საკითხში ვატიკანი უაღრესად თავშეკავებულ პოზიციას ინარჩუნებდა.

ამგვარი პოზიცია განსაკუთრებით ცხადი გახლდათ 1991 წლის 29 ნოემბერს ვატიკანში ჩემი ვიზიტის დროს. ჩემთვის გასაგები იყო ამგვარი დამოკიდებულება; ყოვლად უსაფუძვლოა მტკიცება, თითქოს ვატიკანსა და გერმანიას შორის ამ საკითხთან დაკავშირებით რაღაც „შეთქმულება" არსებობდა. იუგოსლავიის ფარგლებს გარეთ იუგოსლავიის ერთიანი სახელმწიფოს დაშლით არავინ იყო დაინტერესებული: ძალაუფლებისაკენ დიადმა სერბიულმა მისწრაფებებმა ამ ქვეყანაში ცენტრიდანული ძალები გააქტიურა. იუგოსლავიის ფედერაციული რესპუბლიკა ამ სახელმწიფოს ფუძემდებლის — ტიტოს სერბმა მემკვიდრეებმა დაამხეს.

ვატიკანში, ზემოთ ხსენებული ვიზიტის დროს, თავდაპირველად ვატიკანის „საგარეო საქმეთა მინისტრს" სოდანოს შევხვდი. განვუმარტე, რომ ბონი სხვებთან შეუთანხმებლად არ იმოქმედებდა აღიარების საკითხში. პირიქით, ევროგაერთიანებასა და ევროთათბირში აუცილებლად უნდა შეგვემუშავებინა საერთო პოზიცია და არ უნდა დაგვეშვა დაპირისპირებული ბანაკების შექმნა, როგორც ეს მოხდა 1914 და 1941 წლებში. ისტორიული მიზეზებიდან გამომდინარე განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იქნებოდა პოლონეთის პოზიცია. კარდინალის სტატს-მდივანი დენ ჰააგის კონფერენციით ჩვენსავით იმედგაცრუებული ჩანდა.

ამის შემდეგ ერთი საათის განმავლობაში ვესაუბრე პაპს, როგორც ყოველთვის — პირისპირ. პაპიც შეეშფოთებინა დაშლის პირას მყოფ იუგოსლავიაში მიმდინარე მოვლენებს. შუა ევროპის მკვიდრს ცენტრალური და სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის ეროვნებათშორისი საკითხის მნიშვნელობა კარგად ესმოდა; კარგად მოეხსენებოდა ისტორიულად რაოდენ დიდი ტანჯვა მოუტანა მან ხალხებს; ვატიკანის ფრთხილი, აწონილი დამოკიდებულებაც ამით აიხსნებოდა. ჩვენ პოლონეთზეც ვისაუბრეთ და საბჭოთა კავშირში პუტჩის შემდგომ მოვლენებზეც. ამ საზრუნავით აღვსილნი დავშორდით ერთმანეთს. ეს გახლდათ ჩემი, როგორც საგარეო საქმეთა მინისტრის, ბოლო შეხვედრა პაპთან; ვიზიტი იმ პაპთან, რომელმაც ისტორიულ პერიოდში ევროპის გათიშულობის მშვიდობიანი დაძლევისათვის მთელი თავისი ავტორიტეტი და შესაძლებლობები გამოიყენა; ის გახლდათ კაცი, რომელსაც ქრისტიანული სულისკვეთება ამოძრავებდა, როდესაც წინ აღუდგა განხეთქილებისა და დაპირისპირებულობის სულს, რათა თანამშრომლობისა და დაძაბულობის შენელების წყალობით ურთიერთგაგების გზა გაეკვალა.

ნაწილი III

# გერმანიის პასუხისმგებლური პოლიტიკის სამი საყრდენი

## თავი 8

## ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირის პროცესი — მულტილატერალური აღმოსავლური პოლიტიკა გერმანიის გაერთიანების გზაზე

*ჭიდილი „დასკვნითი აქტისათვის“*

1967 წელს ნატომ „ჰარმელის გეგმით“ დაადასტურა, რომ გერმანულ საკითხს ისევ გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა მშვიდობისათვის ევროპაში. ამავე დროს დასავლურმა ალიანსმა აღმოსავლეთთან მიმართებაში ახალი ორმაგი სტრატეგია დაამტკიცა, რაც ერთის მხრივ თავდაცვის განმტკიცებას, მეორეს მხრივ კი — და ამ საფუძველზე — აღმოსავლეთთან დიალოგისა და თანამშრომლობისათვის მზადყოფნას გულისხმობდა. ამ პოლიტიკის მიზანი გერმანიის და ევროპის დაყოფის დაძლევა გახლდათ. ალიანსი „უმაღლეს მიზნად“ ისახავდა ახალი, მყარი და სამართლიანი სამშვიდობო წესრიგის შექმნას ევროპაში.

საბჭოთა კავშირისა და ვარშავის პაქტის მონაწილე ქვეყნების მიერ ჩაფიქრებულ გეგმას, რომელიც საერთოევროპული უშიშროების თათბირის შექმნას გულისხმობდა, დასავლეთი უფრო ღიად სწავლობდა. მისი სერიოზული აღქმა კი მას შემდეგ მოხდა, რაც ბრანდტ-შეელის მთავრობა — 1969 წლიდან აღმოსავლური პოლიტიკური კურსის გატარებისას — საბჭოთა კავშირთან და მის პარტნიორ ქვეყნებთან, განსაკუთრებით გდრ-თან ბილატერალური თანამშრომლობის გზას დაადგა. ამ პოლიტიკის გამოხატულებასა და რეზულტატს წარმოადგენს: მოსკოვისა და ვარშავის ხელშეკრულებები, გდრ-თან ურთიერთობის საფუძვლების შესახებ გაფორმებული ხელშეკრულება და ხელშეკრულება ჩეხოსლოვაკიასთან.

ახალმა ფედერალურმა მთავრობამ სამოციანი წლების უძრაო-

ბის პერიოდი დაძლია; მისი სახელშეკრულებო პოლიტიკის ინტეგრალურ ნაწილს განეკუთვნებოდა 1971 წლის 3 სექტემბრის „ოთხმხრივი ხელშეკრულება დასავლეთ ბერლინზე", ისევე როგორც გერმანული ერთიანობისადმი მიძღვნილი წერილი გახდა შემადგენელი ნაწილი საბჭოთა კავშირთან და გდრ-თან დადებული ხელშეკრულებებისა.

ევროპელები, მოსკოვის სურვილის საპირისპიროდ, დაჟინებით მოითხოვდნენ, რომ აშშ-სა და კანადას მონაწილეობა მიეღოთ ევროთათბირის იდეის სრულყოფის პროცესში. ამასვე მოვითხოვდი დაბეჯითებით ჯერ კიდევ 1969 წელს მოსკოვში, როდესაც ვალტერ შეელი, ვოლფგანგ მიშნიკი და მე მინისტრთა საბჭოს იმჟამინდელ თავმჯდომარეს კოსიგინს შევხვდით კრემლში. გარდა ამისა, დასავლეთი მიულებლად თვლიდა სამხედრო უშიშროების თემის შეზღუდვას; დასავლეთი მყარად იდგა იმ პოზიციაზე, რომ დღის წესრიგში დაეყენებინა ეგრეთ წოდებული „ადამიანური განზომილება", უპირველეს ყოვლისა, ადამიანის უფლებები და ჰუმანიტარული საკითხები. 1972 წლის ნოემბერში, ევროთათბირთან დაკავშირებული მოლაპარაკებები საგარეო საქმეთა მინისტრების თათბირით დაიწყო ჰელსინკიში. ამასთან, ორივე გერმანულ სახელმწიფოს იქ საგარეო საქმეთა მინისტრები, ვალტერ შეელი და ოტო ვინცერი, წარმოადგენდნენ.

დღევანდელი გადასახედიდან შეიძლება დავასკვნათ: ბრანდტ-შეელის მთავრობის აღმოსავლური ხელშეკრულებების პოლიტიკამ კარი გაუღო ევროთათბირის პროცესს. ამ გზით, ევროთათბირის პროცესის საშუალებით და მის ჩამოყალიბებაში მონაწილეობით ფედერაციულმა რესპუბლიკამ კონცეპტუალური თვალსაზრისით მნიშვნელოვანი როლი იკისრა აღმოსავლეთთან დაკავშირებული დასავლური პოლიტიკის სფეროში. ბრანდტ-შეელის მთავრობის პოზიცია ევროთათბირისადმი ასევე შეესატყვისებოდა იმ წარმოდგენებს, რომელთა შესახებაც ჯერ კიდევ 1966 წელს შტუტგარტში გამოსვლის დროს და ბუნდესტაგის უფრო გვიანდელი დებატებისას ვსაუბრობდი.

დასკვნით აქტთან დაკავშირებული მოლაპარაკებები ინტენსიურად მიმდინარეობდა, როცა 1974 წლის მაისში საგარეო საქმეთა ფედერალური მინისტრი გავხდი. მოღვაწეობის დაწყებიდან რამდენ-

იმე დღის შემდეგ — ივნისის დამდეგს ჰენრი კისინჯერთან პირველ შეხვედრამდე ბად რაიხენჰალში — საგარეო საქმეთა სამსახურის პოლიტიკურ დირექტორთან, ვან ველთან ერთად უკვე განვიხილავდით ძალზე სადავო, მაგრამ ჩვენთვის უმნიშვნელოვანეს საკითხს; ეს გახლდათ ეგრეთ წოდებული peaceful change — საზღვრების მშვიდობიანი შეცვლის საკითხი. მაშასადამე, ჩვენ ვცდილობდით საკითხის იმგვარ ფორმულირებას, რა სახითაც ის ჰელსინკის დასკვნით აქტში დაფიქსირდებოდა; ამ ფორმულირებით ღიად ვტოვებდით გერმანულ საკითხს და შემდგომში ევროგაერთიანებაში გაწევრიანების საკითხსაც, რასაც არაორაზროვნად უნდა დაეშვა საზღვრების მშვიდობიანი შეცვლის შესაძლებლობა და დაეცვა გერმანული თუ ევროპული არჩევანის უფლება.

საზღვრების მშვიდობიანად შეცვლის კლაუზულამ, რომელსაც ჩვენ მოვითხოვდით, თავდაპირველად დასავლელ პარტნიორებს შორისაც ვერ პოვა სათანადო მხარდაჭერა: საბჭოთა არგუმენტი უფრო დამაჯერებლად მიიჩნიეს — მოსკოვის ხელშეკრულებაც არ შეიცავს ამგვარ კლაუზულას და ასე ჯიუტად რატომ ითხოვთ ამას ჰელსინკიშიო? აქ შეგვეძლო მიგვეთითებინა, რომ გერმანიის ერთიანობისადმი მიძღვნილ წერილში გარკვევით იყო დადგენილი გერმანული პოლიტიკის მიზანი: თავისუფალი თვითგამორკვევის გზით დაესრულებინა გერმანელი ხალხის გამთლიანება და რომ ეს მიზანი ამ ხელშეკრულებასთან წინააღმდეგობაში არ მოდიოდა. ცალკეული დეტალების განხილვის საშუალება არ გვქონდა და დამრჩა შთაბეჭდილება, რომ მხოლოდ საბჭოთა კავშირი კი არა, ბევრი ჩვენი დასავლელი მეგობარიც შიშობდა, რომ საზღვრების მშვიდობიანი შეცვლის ფორმულას ოდერ-ნაისეს საზღვრის გადასინჯვისთვის გამოვიყენებდით.

გრომიკოსთან პირისპირ საუბრის დროს, 1974 წელს, გავრისკე და პირდაპირ განვუცხადე: დასკვნით აქტზე ჩემს თანხმობას ვერასდროს მიიღებთ, თუკი საზღვრების მშვიდობიანი ცვლილების საკითხი მასში სათანადო ფორმით არ დაფიქსირდება-მეთქი. უფრო გარკვევით კი ვუთხარი: „ორი გერმანული სახელმწიფოს საფუძველზე სტატუს კვოს საბოლოო დაკანონებას არ დავთანხმდებით“. „თქვენ საზღვრების საკითხის ხელახლა წამოჭრა გსურთ ევროპაში?“ „თუ გნებავთ, — მივუგე მე, — შეგვიძლია საზღვრების მშვი-

დობიანი შეცვლის მოთხოვნა მხოლოდ ორ გერმანიას შორის საზღვრის გაუქმებას, გაყოფილი გერმანიის გამთლიანებას და ევროგაერთიანებაში ინტეგრაციის საკითხებს დავუკავშიროთ". ჩემთვის ცხადი გახლდათ, რომ გრომიკო ამას ყველაზე უარეს ალტერნატივად თვლიდა; ხელის მოძრაობით უარყო ის. ამ საუბრის შინაარსი ჩემს დასავლელ მეგობრებს — გერმანიის აღმოსავლეთ საზღვართან დაკავშირებით მათი შიში რომ გამეფანტა — ისე მოვუყევი, რომ ამ თემას კონკრეტულად არ შევხებივარ.

1974 წლის 15 ნოემბერს, დამამთავრებელ ფაზაში, დასკვნით აქტთან დაკავშირებული მოლაპარაკებების გაგრძელება დოქტორ კლაუს ბლეხს, დაგეგმარების შტაბის ხელმძღვანელს გადავაბარე; ის საგარეო უწყების ერთ-ერთ ყველაზე წარჩინებულ პიროვნებას წარმოადგენდა, რომელმაც მოგვიანებით თავი გამოიჩინა როგორც პოლიტიკურმა დირექტორმა, როგორც ელჩმა ტოკიოსა და მოსკოვში და ფედერალური პრეზიდენტის კანცელარიის უფროსმა.

დიპლომატიურმა სამკუთხედმა — კისინჯერი-გენშერი-გრომიკო — საზღვრების მშვიდობიანი ცვლილების საკითხი ბოლოს მაინც დამაკმაყოფილებლად გადაწყვიტა. ამ ასპექტში ევროთათბირის მიმართ სკეპტიკურად განწყობილმა კისინჯერმაც კი დაუჭირა მხარი ჩვენს ვიტალურ ინტერესს. კისინჯერის წინადადებებს — რომელთაც ის წინასწარ სიტყვასიტყვით გვითანხმებდა ჩვენ — გრომიკო სერიოზულად ეკიდებოდა, რადგან მას აშშ-ის პოზიციადაც თვლიდა, საბოლოო შედეგი კი ჩვენთვის ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე მისაღები გახლდათ. 1990 წელს, „ორი პლუს ოთხი" მოლაპარაკებების დროს, როდესაც ჯიმ ბეიკერთან ვთანამშრომლობდით, ჰენრი კისინჯერთან საზღვრების მშვიდობიანი შეცვლის საკითხთან დაკავშირებული თანამშრომლობა გავიხსენე. 1990 წელსაც ამერიკის შეერთებულ შტატებთან მჭიდრო თანამშრომლობით მოხერხდა მოსკოვის მხრიდან თანხმობის მიღება.

ევროთათბირის დასკვნითი აქტის I პრინციპში, სხვათა შორის, მოცემულია ეგრეთ წოდებული „ჰამლეტის ფორმულა", რომლის მიხედვითაც ყოველი სახელმწიფო უფლებამოსილია „იყოს ან არ იყოს" ამა თუ იმ კავშირის წევრი. „ორი პლუს ოთხის" შეხვედრებზე ჩვენ სწორედ ამ შეთანხმებას ვეყრდნობოდით, როდესაც ვასაბუთებდით ჩვენს მოთხოვნას იმის თაობაზე, რომ გაერთიანებუ-

ლი გერმანიაც ნატოს წევრი ქვეყანა უნდა ყოფილიყო. უნგრეთმა კი პირიქით, ეს შეთანხმება ვარშავის პაქტიდან გასვლის მიზნით მოიშველია. გარდა ამისა, დასკვნითი აქტი დინამიკურ, მომავალზე ორიენტირებულ პრინციპებს შეიცავს, ეს განსაკუთრებით ითქმის ადამიანის უფლებების პრინციპსა და ხალხთა თვითგამორკვევის უფლებაზე. ორივე გერმანული სახელმწიფოს გაერთიანებისაკენ ჩვენმა სწრაფვამ აქაც დასაყრდენი პოვა. ჩვენთვის, ორ სახელმწიფოში მცხოვრებ გერმანელთათვის, ასევე განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებობდა „მესამე კალათას", რომელიც ჰუმანიტარულ საკითხებს — „ადამიანურ განზომილებას" — ეხებოდა.

ყველა ამ მიზეზიდან გამომდინარე 1975 წლის 25 ივლისს სამთავრობო განცხადებაში გერმანიის ბუნდესტაგს მოვუწოდე, უპირობოდ დათანხმებოდა დასკვნით აქტს და პირველ აგვისტოს ჰელსინკიში დაგეგმილ უმაღლესი დონის შეხვედრაზე დასკვნითი აქტის ხელმოწერას. ეს უკვე მეორე პრინციპული დისკუსია გახლდათ, რომელიც გერმანიის ბუნდესტაგში ევროთათბირთან დაკავშირებით დასკვნითი აქტის ხელმოწერამდე გაიმართა. დასავლელ სახელმწიფოთა შორის, ჩემი აზრით, ბუნდესტაგი ერთადერთი პარლამენტი გახლდათ, რომელიც ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირის პროცესს დეტალურად განიხილავდა. ეს ცხადყოფს, თუ რაოდენ მნიშვნელოვან როლს თამაშობდა საგარეო პოლიტიკა გაყოფილ გერმანიაში. დასკვნითი აქტი პოლიტიკის ან პრინციპების შეცვლას არ სთხოვდა არც დასავლეთს და არც გერმანიას; ამის საპირისპიროდ, აღმოსავლეთი — რათა შეესრულებინა თავისი დაპირებები — ნელ-ნელა უნდა გახსნილიყო შიგნითაც და გარეთაც. მატარებელი რელსებზე დააყენეს; ახლა ის უკვე ამოძრავდა, მას ბიძგი მისცეს საბჭოეთის გავლენის სფეროში მცხოვრებმა ხალხებმა, რომელთაც ამიერიდან შეეძლოთ დაყრდნობოდნენ ჰელსინკის დასკვნით აქტს; მისი მამოძრავებელი ძალა გახლდათ ევროთათბირის ფარგლებში თანამშრომლობის გაფართოებისადმი სოციალისტური სახელმწიფოების მზარდი ინტერესი. დასკვნითი აქტის შესრულებაზე პასუხისმგებლობა ისევ დასავლეთს ეკისრებოდა და მან ევროთათბირის მორიგი შეხვედრები და ევროთათბირის სხვა მრავალი ფორუმი ამ მიმართულებით გამოიყენა. ევროთათბირის ძირითა-

დი ფილოსოფია — ყველა მონაწილისთვის სასარგებლო ყოფილიყო — ამ პროცესმა გაამართლა. პოლიტიკა „ან ყველაფერი, ან არაფერი", რომელიც 1969 წლამდე — ახალი აღმოსავლური პოლიტიკის დაწყებამდე — სულ უფრო წარუმატებელი ხდებოდა, დამთავრდა. ახალმა პოლიტიკამ კი თანდათანობით შეცვალა ვითარება ევროპაში.

ასევე იოლი არ გახლდათ ჩემი დასავლელი კოლეგების დარწმუნება იმაში, რომ ევროთათბირის პროცესის მაქსიმალური გაფართოება საუკეთესო გზას წარმოადგენდა დასკვნით აქტში მოცემული ვალდებულებების შესასრულებლად. გამუდმებით კამათს იწვევდა ის საკითხი, იყო თუ არა ევროთათბირის პროცესის შეჩერება შესაფერისი საშუალება იმისათვის, რომ საბჭოთა კავშირისთვის გარკვეული ქმედებისაკენ გვებიძგებინა. ამგვარ მოსაზრებებს, ვაშინგტონში გამუდმებით რომ წამოტივტივდებოდა ხოლმე, თანმიმდევრულად ვეწინააღმდეგებოდი, ვინაიდან თუკი ევროთათბირი დასავლური ღირებულებების დამკვიდრებას უწყებოდა ხელს, მაშინ ამ პროცესის შეწყვეტა საბჭოთა კავშირის „დასჯის" საშუალებად ნამდვილად ვერ გამოდგებოდა. დაუღალავად ვამტკიცებდი: „დასავლეთი მოლაპარაკებების მაგიდიდან პირველი არ უნდა წამოდგეს". ევროთათბირის პროცესის შენარჩუნება გარდაქმნების — თავიდან არც ისე შესამჩნევი, მაგრამ თანდათან სულ უფრო ცხადი — დინამიკის უზრუნველყოფას ნიშნავდა.

საზღვრების მშვიდობიანი შეცვლის ფორმულასთან დაკავშირებული უთანხმოების გამო გერმანული საკითხი — მისი დაკონკრეტების გარეშე — დასკვნითი აქტის თაობაზე გამართული დებატების ცენტრალურ თემას წარმოადგენდა. მთავარი ის გახლდათ, რომ დებატები ჩვენი ჩანაფიქრის შესაბამისად დასრულდა. საბჭოთა კავშირის მიდგომა ამ პრობლემისადმი საგარეოპოლიტიკური მოლაპარაკებების სტრატეგიის არსს გვიმჟღავნებს: მოსკოვის მიერ საზღვრების მშვიდობიანი შეცვლის ფორმულის უაპელაციოდ მიღების შემთხვევაში, შესაძლოა მისი გერმანულ საკითხთან მკაფიო დაკავშირება ამ მოლაპარაკებისას არც მომხდარიყო. ჩვენი მცდელობა — მიგვეღწია იმისთვის, რაც თავიდან მიუღწეველი ჩანდა — გახლდათ კონცეფციური გარღვევა ჩვენი საგარეო პოლიტიკის უმთავრეს საკითხში, კერძოდ, გერმანიისა და ევროპის გაყოფის დაძლევის საკითხში; და ეს იმ დოკუმენტში მოხდა, რომელსაც

ოცდათხუთმეტმა სახელმწიფომ — მათ შორის მთელ გერმანიაზე პასუხისმგებელმა ოთხმა სახელმწიფომ — მოაწერა ხელი. აი, ეს იყო ჩვენთვის მნიშვნელოვანი.

საკუთარ თავს ვეკითხებოდი: მაინც რამ აიძულა მოლაპარაკებებში ესოდენ დიდი გამოცდილების მქონე კაცი, როგორიც გრომიკოა, ისეთ ვითარებაში წამოეწყო მანევრები, რა ვითარებაშიც მას სრული უკანდახევის გარდა არაფერი დარჩენოდა. დღესაც იმ აზრზე ვდგავარ, რომ საბჭოთა საგარეო საქმეთა მინისტრი დარწმუნებული გახლდათ, თავისას გაიტანდა. ჩვენი მოლაპარაკებების დასაწყისში მის მიერ გამოთქმული შენიშვნა, მე სამი დასავლური სახელწიფოს — აშშ-ის, დიდი ბრიტანეთისა და საფრანგეთის — აზრს ვეთანხმებიო, მოწმობდა, რომ გამარჯვებაში ეჭვი არ ეპარებოდა. ხშირად გამიხსენებია მაშინდელი პოლემიკა: ის ჩემთვის გამუდმებულ გაფრთხილებას წარმოადგენს — განუხორციელებელი მოთხოვნით არასდროს ჩავიგდო თავი იმგვარ სიტუაციაში, სტატუს კვოს გაუარესებით რომ დასრულდება.

ევროთათბირის დასკვნითი აქტი საბჭოთა კავშირს და ვარშავის პაქტის მონაწილე სახელმწიფოებს ავალდებულებდა შიდასახელმწიფოებრივი პირობები ადამიანის უფლებების დაცვის მოთხოვნისათვის შეესატყვისებინათ, შესაბამისობაში მოეყვანათ „მესამე კალათის“ იმ ვალდებულებებთან, რომლებიც თავისუფალი გადაადგილებისა და საცხოვრებელი ადგილის თავისუფალი შერჩევის უფლებას გულისხმობს. ეს ერთ ღამეში არ მოხდებოდა; ეს ხანგრძლივი, დამქანცველი პროცესი გახლდათ, რომელიც მოთმინებას, ყურადღებას, გამძლეობას ითხოვდა და წარუმატებლობასაც არ გამორიცხავდა. პროცესის ამგვარი ხასიათი ევროთათბირის არსის გაგების საფუძვლად იქცა. დასკვნითი აქტი არანაირ მდგომარეობას არ აკანონებდა და არც ახალ მდგომარეობას ქმნიდა; ის საძირკველს უყრიდა ევროპაში ფუძემდებლურ გარდაქმნებს და დასავლეთ-აღმოსავლეთის ახლებურ ურთიერთდამოკიდებულებას. დასკვნითი აქტის ხელმოწერით დასრულდა სახელმწიფოთა უდიდესი თათბირი, რომლის მსგავსიც 1815 წლის ვენის კონგრესის შემდეგ ევროპას არ უხილავს. გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში მის წინააღმდეგ ხმა მისცეს მხოლოდ ქრისტიანულ-დემოკრატიულმა

და ქრისტიანულ-სოციალურმა კავშირებმა. მათ გარდა კიდევ ერთმა პატარა პარტიამ თქვა უარი იტალიაში. ალბანეთი ერთადერთი ევროპული სახელმწიფო გახლდათ, რომელიც ევროთათბირს არ შეუერთდა. დასკვნითი აქტის ხელმოწერა ომის შემდგომი ისტორიის უმაგალითო პრეცედენტს წარმოადგენს: 1945 წელს გაეროს წესდების მიღების შემდეგ, დასავლეთი და აღმოსავლეთი პირველად შეთანხმდა იმ პრინციპებზე, რომელთა თანახმადაც ერთმანეთთან ურთიერთობისას იხელმძღვანელებდნენ; უფრო მეტიც: მათ მიაღწიეს ურთიერთშეთანხმებას — თუნდაც ჯერ მხოლოდ ფორმალურად — შეფასებათა სისტემაში.

ევროგაერთიანებაში თანამშრომლობისათვის მნიშვნელოვანი გახლდათ ისიც, რომ დასკვნითი აქტის განხილვისას ევროპის პოლიტიკური თანამშრომლობის ორგანიზაციამ თავისი მზარდი პოლიტიკური ქმედითუნარიანობა პირველად დაამტკიცა ხელშესახები შედეგებით. ევროგაერთიანების სახელმწიფოთა ურთიერთშეთანხმებულმა პოზიციამ ევროთათბირის დასკვნითი აქტის შინაარსთან მიმართებაში ევროგაერთიანების საერთო აღმოსავლურ პოლიტიკას ჩაუყარა საფუძველი. ჩვენ დაბეჯითებით მოვითხოვეთ, რომ იტალიის მთავრობის მეთაურს, ალდო მოროს, დასკვნით აქტზე ხელი მოეწერა აგრეთვე როგორც ევროგაერთიანების პრეზიდენტს; ამგვარად, საბჭოთა კავშირი თავისი ხელმოწერით აღიარებდა ევროგაერთიანებას, როგორც პოლიტიკურად რელევანტურ სიდიდეს იმ საერთოევროპულ სტრუქტურაში, რომელიც ჩამოყალიბების პროცესში იმყოფებოდა. ჩვენთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა ევროპის პოლიტიკური თანამშრომლობის ფარგლებში მოქმედებების კოორდინაციას: ევროგაერთიანებაში ერთობლივი პოზიციების შემუშავების წყალობით შეგვეძლო ჩვენი ევროპელი პარტნიორების შეუზღუდავი მხარდაჭერის იმედი გვქონოდა გერმანელებისთვის ესოდენ მნიშვნელოვანი „მესამე კალათის“ — დასკვნით აქტში „ადამიანური განზომილების“ — ფორმირების საკითხში.

დასკვნით აქტთან და ევროთათბირის დაგეგმილ პროგრამასთან დაკავშირებული მოლაპარაკებების დადებით გამოცდილებას მიეკუთვნება, სხვათა შორის, ნეიტრალურ და მიუმხრობელ სახელმწიფოებთან, ანუ ისეთ ქვეყნებთან თანამშრომლობა, როგორებიცაა: შვედეთი, ფინეთი, ავსტრია, იუგოსლავია და შვეიცარია. მარ-

თალია, ისინი დასავლურ კავშირში ან ევროგაერთიანებაში არ შედიოდნენ, მაგრამ ჩვენ საერთო ღირებულებათა სისტემა გვაერთიანებდა. შვეიცარიელებმა, რომელთაც საერთოდ შორს ეჭირათ თავი მულტილატერალური პროცესებისაგან, ევროთათბირის პროცესში განსაკუთრებით აქტიური როლი იტვირთეს; მათი ხანგრძლივსტაჟიანი წარმომადგენელი ბრუნერი მჭიდროდ არის დაკავშირებული იმ ძალისხმევასთან, შვეიცარიის საგარეო პოლიტიკის ახალ განზომილებად რომ იქცა. ჩვენთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი და მისასალმებელი გახლდათ ჩვენი მეზობელი სახელმწიფოს აქტიურობა: არცთუ იოლმა გერმანულ-შვეიცარიულმა ურთიერთდამოკიდებულებამ ამ გზით დამატებითი საერთო მოქმედების არენა მოიპოვა; დამატებითი-მეთქი ვამბობ, რადგან ევროსაბჭოში ჩვენ უკვე ვთანამშრომლობდით. გარდა ამისა, მჭიდრო კავშირი გვქონდა სავალუტო პოლიტიკის სფეროშიც. მულტილატერალურ თანამშრომლობას ბილატერალური თანამშრომლობის კარგ საყრდენად ვთვლიდი. მულტილატერალურ სფეროში პოზიციათა უფრო ფართო ურთიერთშეთანხმებულობა არსებობდა და არც ბილატერალურ ურთიერთობებში წარმოქმნილა პრობლემები; შესანიშნავად ვთანამშრომლობდი შვეიცარიელ კოლეგებთან: გრაბერთან, ობერთან და ფელბესთან. გერმანიის საგარეო საქმეთა უწყება რჩევის მიცემას ვერ ჰკადრებდა შვეიცარიას — ევროგაერთიანებას შეუერთდიო, მაგრამ თუ მკითხავდნენ, პირდაპირ და დაუფარავად ვუპასუხებდი: შვეიცარიის გაწევრიანება ევროგაერთიანებაში უთუოდ დიდი მონაპოვარი იქნება-მეთქი; გერმანიის მსგავსად ფედერალური სტრუქტურის მქონე შვეიცარია კიდევ ერთი საყრდენი იქნებოდა ცენტრალისტური ტენდენციების საპირისპიროდ, იქნებოდა ჩვენი მოკავშირე ეკონომიკური თუ მონეტარული სტაბილიზაციის საკითხებში. ჩემი ღრმა რწმენით, შვეიცარიის ევროგაერთიანებაში გაწევრიანება იმ ფსიქოლოგიურ პრობლემებსაც შეარბილებდა, დიდი მეზობლის მიმართ რომ აქვს ამ ქვეყანას.

## *ჰელსინკი 1975: ახალი ევროპის დაბადების დრო და ადგილი*

1975 წლის პირველ აგვისტოს ფედერალური კანცლერი შმიდტი და მე ევროთათბირის დასკვნით აქტზე ხელმოსაწერად ჰელსინკიში გავემგზავრეთ. მანამდე ორჯერ გაიმართა დებატები, ჯერ გერმანიის ბუნდესტაგში და მერე ბუნდესრატში. მე ამ დებატებზე ხელმოწერასთან მიმართებით ფედერალური მთავრობის პირობებზე ვისაუბრე. პირველი პირობა შემდეგში მდგომარეობდა: ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირის შედეგები სასარგებლო იქნებოდა ყველა ადამიანისათვის გერმანიაში, მათ შორის ბერლინელებისთვისაც, ეს ამ ადამიანებს მდგომარეობას შეუმსუბუქებდა. მეორე: დაუშვებელი იყო ყოველგვარი დაბრკოლების შექმნა, რაც გზაზე გადაელობებოდა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მიერ დეკლარირებულ პოლიტიკურ მიზანს: ეღვაწა ევროპაში მშვიდობიანი მდგომარეობის უზრუნველსაყოფად, რაც ხელს შეუწყობდა გერმანელი ხალხის ხელახლა გაერთიანებას თავისუფალი თვითგამორკვევის გზით. სხვაგვარად რომ ვთქვათ: ევროთათბირის დასკვნით აქტში გერმანული საკითხი ღიად უნდა დარჩენილიყო — ეს ასეც მოხდა —, ოღონდ ამ შემთხვევაში არა ცალმხრივად მხოლოდ „წერილის“ საშუალებით, არამედ ყველა თანამონაწილის დასტურითა და ხელმოწერით.

გერმანიასა და ბერლინთან მიმართებაში დეტალურად განვმარტე:

1. ევროთათბირი გერმანიასა და ბერლინთან დაკავშირებულ კონფერენციას არ წარმოადგენს. მისი ფუნქცია არ გახლავთ სამშვიდობო ხელშეკრულების ან მისი სუროგატი ხელშეკრულების დადება.

2. ევროთათბირის რეკომენდაციების, რეზოლუციებისა და დეკლარაციების შემთხვევაში საქმე ეხება პოლიტიკურ-მორალურ მიზანთა გამოცხადებას და არა ახალი რეგიონალური სამართლის შექმნას.

3. ტექსტის ფორმულირების დროს ფედერალურმა მთავრობამ დიდი სიფრთხილე და ყურადღება გამოიჩინა, რომ ევროთათბირის დადგენილებებში გერმანიასთან და ბერლინთან დაკავშირებული მისი პოლიტიკური მიზნების უგულებელყოფა არ მომხდარიყო. გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკასა და ბერლინს შორის არსებული

კავშირები მომავალშიც შენარჩუნებული იქნება და განვითარდება.

4. ხელშეუხებლობის საგანგებო პირობა უზრუნველყოფს, რომ თათბირის ტექსტებში არ მოხდება არსებული უფლებებისა და ვალდებულებების, ასევე ხელშეკრულებებისა და შეთანხმებების ხელყოფა.

5. შეღავათები, რომლებიც თათბირის შედეგებმა უნდა მოუტანოს ადამიანებს, ბერლინსაც შეეხება, ვინაიდან და რადგანაც ევროთათბირის დადგენილებები ევროპის მთელ ტერიტორიაზე ვრცელდება.

6. ფედერალური მთავრობა მიესალმება, რომ დასკვნით აქტში დაფიქსირებული სახელმწიფოთა სუვერენული თანასწორობის პრინციპი ადგენს სახელმწიფოთა უფლებას: საერთაშორისო სამართლის შესაბამისად, მშვიდობიანი ურთიერთშეთანხმების გზით შეცვალონ თავიანთი საზღვრები. ეს განმარტება მნიშვნელოვანია არა მხოლოდ გდრ-თან ჩვენი ურთიერთდამოკიდებულების თვალსაზრისით, არამედ საერთოდ ევროპის გაერთიანების პროცესისთვისაც.

7. „პრინციპთა შესახებ" დეკლარაციაში ხალხთა თვითგამორკვევის უფლება სხვა პრინციპთა თანაბარუფლებიან პრინციპად არის აღიარებული.

ხაზგასმით აღვნიშნე: გერმანული საკითხი ფედერალური მთავრობის პოლიტიკის მთავარი თემა იყო და არის-მეთქი. ჩემთვის გადამწყვეტი გახლდათ, რომ ევროთათბირის გამოცდა 1975 წლის აგვისტოში ჰელსინკის დასკვნით სამიტზე კი არ დასრულებულიყო, არამედ მისი ვარგისიანობა პოლიტიკოსთა დიპლომატიურ ყოველდღიურობასა და ევროპის ხალხთა ცხოვრების რეალურ პირობებს დაედასტურებინა. ამით დასავლეთმა შეძლო სავსებით განსხვავებული ხასიათი მიეცა თათბირისათვის, ვიდრე ეს მოსკოვს ჰქონდა ჩაფიქრებული. ევროთათბირი არ ქცეულა ერთჯერად შეკრებად, რომელზეც ევროპის მთავრობათა მეთაურებმა მოქმედი საერთაშორისოსამართლებრივი ხელშეკრულების საშუალებით არსებული პოლიტიკური, საზოგადოებრივი და ტერიტორიული სტატუს კვო საერთაშორისოსამართლებრივად განამტკიცეს. პირიქით, ამ პროცესმა დინამიკური ხასიათი მიიღო, რაც კონტინენტის დაყოფის დაძლევისაკენ იყო მიმართული.

აქედან გამომდინარე, დასკვნითი აქტი ევროპის დაყოფის დოკუმენტს კი არ წარმოადგენდა, არამედ ევროპის ხელახლა გამთლიანების საფუძველს ქმნიდა. ძირითად უფლებათა კატალოგი რკინის ფარდის მიღმა მცხოვრებ ადამიანებსა და ხალხებს მათი არსებობის შეცვლისა და ლიბერალიზაციის პერსპექტივას უსახავდა. დასკვნითი აქტის პირობების პრესაში გამოქვეყნებით — რასაც დაჟინებით ვითხოვდით — ლეგიტიმური საფუძველი იქმნებოდა მათი გამოყენებისათვის. „რაც პარტიულ გაზეთში წერია, არ შეიძლება ტყუილი იყოს", ეს წინადადება ჩემთვის ფრთიან გამოთქმად იქცა.

დაძაბულობის შენელება და თანამშრომლობა ყოველგვარი საზღვრებისა და ბლოკების გარეშე — ამაში მდგომარეობდა ჩვენთვის თათბირის სპეციფიკური მნიშვნელობა. მივმართავდი რა ქრისტიანულ-დემოკრატიულ/ქრისტიანულ-სოციალურ კავშირებს, განვაცხადე: „მჯერა, ვერავინ მოუტანდა ჩვენზე მეტ ვნებას ნაციონალურ ინტერესებს, თუ ვიყოყმანებდით, გამოგვეყენებინა თუნდაც უმცირესი შანსი მოვლენათა იმგვარი განვითარებისთვის, რაც ორად გაყოფილი ერის ბედსაც შეამსუბუქებდა". გამუდმებით ვცდილობდი ჩემი პოლიტიკური ოპონენტებისთვის გამეთვალსაჩინოებინა, რომ სწორედ გერმანელებს არ გვარგებდა კონფრონტაცია ევროპაში, ხოლო დაძაბულობის შენელების პროცესისთვის ხელშეწყობა, პირიქით, ჩვენთვის სასარგებლო იქნებოდა.

ამასთან დაკავშირებით განსაკუთრებით ინტენსიური საუბრები მქონდა საგარეო საქმეთა უწყების გვიანდელ სახელმწიფო მინისტრთან, დოქტორ ალოის მერტესთან. მერტესი, რომელიც ადრე საგარეო საქმეთა უწყებაში მუშაობდა, დიდი ერუდიციით, საქმისადმი თავდადებითა და გერმანიის გაერთიანების აქტიური მხარდაჭერით გამოირჩეოდა; ის პრაგმატული კონსერვატორი გახლდათ, რომლისთვისაც უმაღლეს ვალდებულებას წარმოადგენს კონსტიტუციის ძირითადი ღირებულებები. მასთან ყოველი საუბარი მრავლისმომცემი იყო. ქრისტიანულ-დემოკრატიული და ქრისტიანულ-სოციალური კავშირების თავმჯდომარეებთან — კოლთან და შტრაუსთან — შეთანხმების შემდეგ, დოქტორ მერტესის საშუალებით ოპოზიციას ინფორმაცია მივაწოდე მნიშვნელოვან საგარეოპოლიტიკურ მოვლენებზე. ყოველ შაბათ-კვირას ვიკრიბებოდით, რათა მიმდინარე მოვლენებზე მოზღვავებულ ინფორმაციას გავცნობოდით. დოქტორი

მერტესი რამდენიმე ასეული მეტრის მოშორებით, ვახტბერგ-პეხში ცხოვრობდა. მას გაცნობიერებული ჰქონდა მისი ამოცანის კონფიდენციალური ხასიათი და მას ყოველთვის დიდი ტაქტითა და პასუხისმგებლობით ეკიდებოდა. ქრისტიანულ-დემოკრატიულ/ქრისტიანულ-სოციალურ კავშირთა ბლოკში მან დასკვნითი აქტის მიღებას დაუჭირა მხარი.

ჰელსინკიში ევროთათბირის სამიტის ყველა მონაწილე გრძნობდა, რომ ბრეჟნევს ჯანმრთელობა ძალზე შეერყა. ეს მაშინ გამჟღავნდა, როდესაც პრეზიდენტმა კეკონენმა ოფიციალური ვახშამი გამართა პირველ საღამოს: პირველი კერძის ჩამოტარების შემდეგ ბრეჟნევმა სუფრა მიატოვა, მისი ადგილი დაცარიელდა. ეს ამბავი დამსწრეთაგან საჯარო სპეკულაციის საგნად არავის უქცევია.

გერმანულ-საბჭოთა შეხვედრა მეორე საღამოს იყო გათვალისწინებული. მანამდე ფინეთის მხარემ გამოსამშვიდობებელი მიღება გამართა დელეგაციებისათვის, წვეულებას ბრეჟნევი და გრომიკოც ესწრებოდნენ. ჩვენ ერთმანეთს გამოველაპარაკეთ და თითქმის ერთდროულად დავტოვეთ წვეულება, რადგან საბჭოთა წარმომადენლობაში 18 საათზე დაგეგმილ შეხვედრაზე წავსულიყავით; სხვათა შორის, ეს ერთ-ერთი იმ საელჩოთაგანი გახლდათ, თავისი მონუმენტურობით სიმბოლურად რომ განასახიერებდა მოსკოვის მბრძანებლურ დამოკიდებულებას მასპინძელი ქვეყნისადმი. პირქუში, დამთრგუნველი იერით ბერლინში, უნტერ დენ ლინდენზე მდებარე საბჭოთა საელჩოს მაგონებდა, რომელიც რეგენტის რეზიდენციას უფრო ჰგავდა, ვიდრე საელჩოს. ფინური პოლიტიკის უდიდეს მიღწევად უნდა ჩაითვალოს, რომ მოსკოვმა ამ ქვეყანაში დიდი გავლენა ვერ მოიპოვა.

დასავლური უმეცრებისა და ქედმაღლობის კიდევ ერთი დასტური გახლდათ იმ დროს გავრცელებული გამოთქმა – „ფინეთიზაცია“, რაც საბჭოთა ხელისუფლებისადმი ქვეშევრდომულ დამოკიდებულებას გულისხმობდა. ამ გამოთქმას თუ გამოიყენებენ, ჩემთვის მას შემდეგი მნიშვნელობა ექნება: გაატარო ფრთხილი, რეალობის შეგრძნებიდან გამომდინარე და ეროვნულ თანხმობაზე დაფუძნებული პოლიტიკა; სწორედ ასეთმა პოლიტიკამ აარიდა თავიდან ამ ქვეყანას საბჭოთა კავშირის ზეწოლა და ჩარევა მისი პოლიტიკური

და საზოგადოებრივი სისტემის თავისუფალ არჩევანში და საშუალება მისცა შეენარჩუნებინა საგარეოპოლიტიკური ქმედითუნარიანობა; ამან შესაძლებლობა მისცა ჰელსინკის რომ თავი დაეღწია ვარშავის პაქტში იძულებითი გაწევრიანებისათვის. ამის გამო არიდებდა ის თავს დასავლურ ერთობებში – ნატოსა და ევროგაერთიანებაში გაწევრიანებას.

ფინეთმა მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ჩრდილოეთ ევროპის საშინაო თუ საგარეოპოლიტიკური სტაბილურობის საქმეში. შვედეთის ნეიტრალიტეტი, რაც მას ფართო საგარეოპოლიტიკურ ასპარეზს უქმნიდა და ნორვეგიის წევრობა ნატოში, ჩრდილოეთ ევროპაში თვალსაჩინო ნიმუში გახლდათ იმისა, თუ რა სახე უნდა ჰქონოდა აღმოსავლეთისა და დასავლეთის ინტერესთა საპასუხისმგებლო ბალანსს. ამასთანავე, არასდროს ეჭვქვეშ არ დაუყენებიათ, რომ ფინეთი დასავლურ საზოგადოებას მიეკუთვნებოდა. დამსახურება არ უნდა დავუკარგოთ ფინელ ლიდერებს, ცივი ომის სახიფათო გზაზე დიდი პასუხისმგებლობით რომ მართეს თავისი ქვეყანა; ქვეყანა, რომელსაც მრავალი თვალსაჩინო პიროვნება ჰყავდა, რომელნიც პრეზიდენტობის პერიოდში საგარეოპოლიტიკურ კურსს განსაზღვრავდნენ. ეს ეხება პრეზიდენტ მანერჰაიმს, პაასიკივის, კეკონენს და კოივისტოს. პრეზიდენტების კეკონენისა და კოივისტოს შეფასებებს ჩემთვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა საბჭოთა კავშირში მიმდინარე მოვლენების გასაანალიზებლად. მე მათ ჩემი საგარეო საქმეთა მინისტრად მუშაობის პერიოდში შევხვედრივარ. იგივე შემიძლია ვთქვა ფინეთის საგარეო საქმეთა მინისტრების მოსაზრებებზე.

ვინც დააკვირდება, რა მდგომარეობაში იყო ეს ქვეყანა ომის დამთავრებისას, მას უდიდესი პატივისცემის განცდა დაეუფლება იმ სახელმწიფოებრივი მიღწევის მიმართ, რაც მრავალ სახელს უკავშირდება. ამიტომ დასავლეთში არც არავის ჰქონდა და არც არავის აქვს უფლება ცხვირაწეულმა ილაპარაკოს ფინეთის ომისშემდგომ პოლიტიკაზე; 1945 წლის შემდეგ, ფინეთი დასავლეთის სიმტკიცესა და გამჭრიახობას არ გადაურჩენია იმ ხვედრისაგან, საბჭოთა კავშირის სხვა უშუალო მეზობლებს რომ ერგოთ წილად. თავის განსაკუთრებულ მდგომარეობას ჰელსინკი თავისავე სასარგებლოდ იყენებდა; სხვა ერების მდგომარეობა კი სავსებით განსხვავებული გახლდათ.



*1975 წლის 30 ივლისს ჰელსინკიში, „ფინეთის დარბაზში“ ორი გერმანული დელეგაცია შეხვდა ერთმანეთს. ერთ მხარეს ისხდნენ ფედერალური კანცლერი ჰელმუთ შმიდტი, ფედერალური საგარეო საქმეთა მინისტრი ჰანს-დიტრიხ გენშერი და ელჩი ზიმანი (მამამისი გენშერის მამის მასწავლებელი იყო დელიცში), მეორე მხარეს — სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარე ერიხ ჰონეკერი, პოლიტბიუროს წევრი ჰერმან აქსენი და საგარეო საქმეთა მინისტრი ოსკარ ფიშერი.*

გერმანულ-საბჭოთა შეხვედრა ისე დაიგეგმა, რომ მოლაპარაკების შემდეგ ერთობლივი ვახშამი უნდა გამართულიყო. ფედერალურ კანცლერ შმიდტსა და მე გვიან საღამოს გერმანულ პრესასთან კიდევ ერთი შეხვედრა გვქონდა დათქმული ჩვენს სასტუმროში; როდესაც შეხვედრის დრო დავადგინეთ, გავითვალისწინეთ, რომ შეხვედრა ვახშმის ჩათვლით, როგორც წესი, დაახლოებით სამ საათს გასტანდა. მაგრამ მოლაპარაკება მძიმედ წარიმართა. ფედერალურმა კანცლერმა გერმანულ-საბჭოთა ურთიერთობაში არსებული მთელი რიგი საკითხების მოგვარებასთან დაკავშირებით ჩვენეული მოსაზრებები განმარტა. უცებ თარჯიმანმა, შეელის გვერდით რომ იჯდა, მას ჩასჩურჩულა: „მე მისი თითქმის აღარაფერი მესმის“. ბრეჟნევს, ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემების გამო, აშკარად უჭირდა ლაპარაკი. დაახლოებით ერთი საათის შემდეგ გრომიკომ მანიშნა, რომ ჩემთან დალაპარაკება სურდა. გვერდით

ოთახში გავედით, სადაც დიდი სუფრა გაეშალათ. „როგორც ხედავთ, ნამდვილად გვსურდა ერთად გვევახშმა, მაგრამ გთხოვთ ფედერალურ კანცლერს შეატყობინოთ, რომ შეხვედრა დასრულებულია. ალბათ შეამჩნევდით, გენერალურ მდივანს საუბრის გაგრძელება რომ უჭირს“. ჩვენ იმ ოთახში დავბრუნდით, სადაც მოლაპარაკებები მიმდინარეობდა და მე ჰელმუთ შმიდტს ჩურჩულით გადავეცი გრომიკოს დანაბარები. ჰელმუთ შმიდტმა აზრი ბოლომდე გამოთქვა და შემდეგი სიტყვებით ოსტატურად დააბოლოვა საუბარი: „ყველაფერი კარგად წარიმართა. ჩვენი მოლაპარაკებების შედეგით კმაყოფილნი ვართ“. ბრეჟნევმა თავი დაუქნია. ერთმანეთს დავემშვიდობეთ და საელჩო დავტოვეთ.

ეს იოლი საქმე არ გახლდათ. პრესა ვარაუდობდა, რომ მოლაპარაკებები დიდხანს გასტანდა და უნდა გვეფიქრა, როგორ მოვქცეულიყავით. ცხადია, მოლაპარაკების სწრაფი დასრულების მიზეზი არ უნდა გაგვემხილა. მეორე მხრივ არც ის უნდა გაგვეხმაურებინა, რომ შეხვედრა ხანმოკლე იყო, რადგან ცნობილი გახლდათ საბჭოთა პოლიტიკის ერთი ნიშანი: ერთად გატარებული დროის ხანგრძლივობით გამოხატავდნენ, რა პატივს სცემდნენ ამა თუ იმ პარტნიორს. ხანმოკლე შეხვედრა გერმანული და საერთაშორისო საზოგადოებრიობის მითქმა-მოთქმას გამოიწვევდა და შესაძლოა კრიზისადაც აღქმულიყო, რაც ჩვენს ინტერესებს ეწინააღმდეგებოდა. ამიტომ გადავწყვიტეთ, ეს ამბავი არ გაგვემჟღავნებინა. მანქანების კოლონა შემოვლითი გზებით ვატარეთ და სასტუმროში ისე მივედით, რომ განსაკუთრებული ყურადღება არ მიგვიქცევია. მოგვიანებით პრესას ინფორმაცია მივაწოდე მოლაპარაკებების მიმდინარეობის შესახებ, თუმცა დეტალებს არ ჩავღრმავებივარ; ეს დეტალები გენერალური მდივნის სიცოცხლეში არც არასდროს გამოაშკარავებულა. გენერალური მდივნის ფიზიკური სიძაბუნის მიმართ ჩვენმა ტაქტიანმა და თავშეკავებულმა დამოკიდებულებამ, ჩემი ღრმა რწმენით, კიდევ უფრო განამტკიცა პირადი ნდობა, ეს კი გერმანულ-საბჭოთა ურთიერთობას უთუოდ წაადგებოდა. მოგვიანებით ასევე მოვიქეცი, როდესაც გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში გამოსვლის დროს გრომიკომ უცებ სისუსტე იგრძნო და იძულებული გახდა გამოსვლა შეეწყვიტა. ორმა საბჭოთა დიპლომატმა ის ტრიბუნიდან ჩამოიყვანა. მიუხედავად ამისა, იგი მაინც აპირებდა იმავე

დღეს დათქმულ სადილზე ჩვენს რეზიდენციაში მოსვლას. მე მას პირისპირ საუბარი ვთხოვე და ბიბლიოთეკაში გავიხმე. იქ შევთავაზე ტახტზე მოესვენა. სანამ თქვენ დაისვენებდეთ, კუთხეში ჩამოვჯდები და რამეს წავიკითხავ, ამის შესახებ ვერავინ შეიტყობს-მეთქი. მან ნახევარი საათი დაჰყო სავარძელში. ამის შესახებაც არავისთან გვისაუბრია.

ევროთათბირის უმაღლესი დონის შეხვედრაზე ორი გერმანული დელეგაციის დასწრებამ, ბუნებრივია, დიდი საერთაშორისო ინტერესი გამოიწვია. ჰელმუთ შმიდტისა და ერიხ ჰონეკერის შეხვედრას არ დავსწრებივარ, თუმცა გდრ-ის საგარეო საქმეთა მინისტრს, ოსკარ ფიშერს შევხვდი, რომელიც უკვე მძიმედ დასნეულებული ოტო ვინცერის ნაცვლად იყო ჩამოსული და შემდეგ შეცვალა კიდეც ის ამ თანამდებობაზე. ეს ცივი და მშრალი შეხვედრა გახლდათ; ნამდვილი საუბარი ნელა, მაგრამ უკვე იწყებოდა.

ფიშერი, ეტყობოდა, ჩემში მხოლოდ გდრ-ელ ემიგრანტს ხედავდა. მისი ცრურწმენები აშკარა გახლდათ, გრძნობების დაოკება არც მე შემეძლო და არც მსურდა. თუმცა მოგვიანებით ფიშერისადმი პიროვნულ პატივისცემას ვგრძნობდი. ის თავის საქმეში დარწმუნებული ჩანდა, ფანატიკოსი არ გახლდათ. როდესაც ევროპაში მშვიდობის განმტკიცების პროცესში ორივე გერმანული სახელმწიფოს ერთობლივ მონაწილეობას ეხებოდა საქმე, ის ყოველთვის კეთილგანწყობას აჰყლავნებდა, მიუხედავად იმისა, რომ აშკარად შეზღუდული გახლდათ და თავისუფალი მოქმედება არ შეეძლო. გულწრფელი მეჩვენებოდა მისი სურვილი, ჰუმანიტარულ საკითხებში დამხმარებოდა მაშინაც, როცა 1989 წლის სექტემბერში პრაღის საელჩოში თავმოყრილი უამრავი ადამიანის პრობლემა უნდა გადაგვეწყვიტა. ჩემზე შთაბეჭდილება მოახდინა მისმა თავდაჭერამ, როცა მშვიდად და ღირსეულად დამემშვიდობა ოტავაში, და იმანაც, წერილით რომ მომმართა 1993 წელს და თავისი მეგობარი, დოქტორი ვოლფგანგ ფოგელი დაიცვა, რომელიც წინასწარ პატიმრობაში იმყოფებოდა, რაც მისთვის გაუგებარი იყო და, სხვათა შორის, ჩემთვისაც.

ჰელსინკიში პირველად შევხვდი გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის პოლიტბიუროს წევრს, საგარეო პოლიტიკაზე

პასუხისმგებელ პირს, ჰერმან აქსენს. იქიდან გამომდინარე, რა ადგილიც მას თავის პარტიაში ეკავა — ფიშერი მხოლოდ ცკ-ს წევრი გახლდათ — გდრ-ის დელეგაციაში მეორე კაცი იყო და ამის გამო საზოგადოებრივი ღონისძიებების დროს გვერდიგვერდ ვისხედით. აქსენს, პოლიტბიუროში გამოწრთობილ კაცს, ეხერხებოდა, საუბარი უფრო მოქნილად წარემართა და თანაც ძირითადი ხაზი თანმიმდევრულად განევითარებინა. თუმცა აზრთა გაცვლა-გამოცვლა არც ისე არსებითი გახლდათ; ერთი აზრი გვქონდა იმ საკითხში, რომ ჰელსინკის დასკვნით აქტზე ხელმოწერა გავლენას მოახდენდა გერმანულ-გერმანულ ურთიერთობაზე. მოგვიანებით, როდესაც აქსენი პარტიულ დელეგაციასთან ერთად ბონში იმყოფებოდა, საგარეო საქმეთა სამსახურის სასტუმროში, ვენუსბერგზე მივიღე. იმ დროს განიარაღების საკითხებს განვიხილავდით.

ფიშერს, ორი გამონაკლისის გარდა, მხოლოდ საერთაშორისო კონფერენციების ფარგლებში ვხვდებოდი, გაერთიანებული ერების ყოველწლიური გენერალური ასამბლეისა და ევროთათბირის დროს. ერთხელ საგარეო საქმეთა სამინისტროშიც მესტუმრა, როცა სახელმწიფო მეთაურის, ერიხ ჰონეკერის ვიზიტისას ჩამოვიდა ბონში. 1981 წელს, როდესაც ფედერალური კანცლერი შმიდტი გდრ-ში გაემგზავრა, თან არ ვხლებივარ; ჩემი მონაწილეობა გერმანულ-გერმანული ურთიერთობის განსაკუთრებული ხასიათის შესახებ ჩვენეული სახელმწიფოსამართლებრივი გაგების შესატყვისი არ იქნებოდა. 1988 წელს, როცა პოტსდამში მიმიწვიეს, რათა საერთაშორისო კონფერენციაზე სიტყვით გამოვსულიყავი, შეხვედრა პოტსდამის ერთ სასტუმროში მოხდა, ოღონდ არა ცეცილიენჰოფში. ეს წინადადება ერთი მოტივით უარვყავი: პოტსდამის კონფერენციის ჩატარების ადგილს მხოლოდ მაშინ მოვინახულებ, როცა გერმანია გაყოფილი ქვეყანა აღარ იქნება-მეთქი. ასეც მოხდა: ცეცილიენჰოფში პირველად რუსეთის პრეზიდენტთან — ელცინთან — ერთად ჩავედი. მასთან ერთად მოვინახულე რუსული არმიის ნაწილები, რომლებიც ჯერ კიდევ იმყოფებოდნენ ახალ ფედერალურ მხარეებში. ელცინმა სიტყვით მიმართა შეკრებილ ოფიცრებს, სიტყვით, რომელმაც ის წარმოაჩინა როგორც კაცი, რომელმაც იცის, როგორ გათვალოს საუბარი თავის მსმენელზე, მის პრობლემებსა და სამო-

მავლო საზრუნავზე. ამ დროს მე მისი ქარიზმატული ზემოქმედების მოწმე გავხდი, რამაც მას გზა გაუკვალა მისი ქვეყნის სათავისაკენ.

### *პროცესი იწყება — ევროთათბირის მორიგი შეხვედრები და ფორუმები*

მაგრამ დავუბრუნდეთ ევროთათბირს. ჩემი თვალთახედვით, ევროპროცესის შემდგომ მსვლელობაში ცენტრალური ადგილი უნდა შეენარჩუნებინა ორ ძირითად პრინციპს: ერთის მხრივ, პოლიტიკური და სამხედრო უშიშროების ერთობლიობას და მეორეს მხრივ, მოთხოვნას, რომ დაძაბულობის შენელების ჭეშმარიტ პროცესს უშუალოდ ადამიანებისთვის უნდა მოეტანა სარგებელი და იგი მათ მიერვე უნდა წარმართულიყო.

ჰელსინკის უმაღლესი დონის შეხვედრის შემდეგ ევროპროცესი თავდაპირველად მძიმედ მიიწევდა წინ. როგორც ვვარაუდობდით, ამერიკელების დიდი მოლოდინი იმასთან დაკავშირებით, რომ საბჭოთა კავშირი და ვარშავის ხელშეკრულების სხვა ქვეყნები ადამიანის უფლებებს დაიცავდნენ, არ გამართლდა. თუმცა, როგორც ვიმედოვნებდით, საბჭოთა და სხვა სოციალისტური ქვეყნების მოქალაქეები უკვე იშველიებდნენ დასკვნით აქტს; ეს მრავალ ცნობილ დისიდენტზე ითქმის, როგორებიც იყვნენ, მაგალითად: იური ორლოვი, ანდრეი სახაროვი, ვაცლავ ჰაველი და სხვა მრავალი უცნობი პიროვნება. ყველას მოვუწოდებდი, სწორედ ეს უცნობები არ უნდა დავივიწყოთ-მეთქი.

ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირის მორიგი შეხვედრა 1977-78 წლებში გაიმართა ბელგრადში. დისკუსიების მთავარი თემა გახლდათ საბჭოთა კავშირში ადამიანის უფლებების სფეროში დამკვიდრებული პრაქტიკის მწვავე კრიტიკა, რასაც განსაკუთრებით ამერიკის მხრიდან ჰქონდა ადგილი. ამასთან შედარებით ევროთათბირის სხვა თემები განსაკუთრებულ როლს აღარ თამაშობდა.

ერთ, თუნდაც მთავარ თემაზე ამგვარი კონცენტრირება ევროთათბირის ფილოსოფიას არ შეესატყვისებოდა, რადგან „დასკვნით აქტის გენია“ სწორედ „კალათების“ კონცეფციაში გამოიხატებოდა

— კალათა I: პრინციპები, უსაფრთხოება; კალათა II: ეკონომიკური ურთიერთთანამშრომლობა; კალათა III: ჰუმანიტარული საკითხები. პროცესის შემდგომი განვითარება, მისი თვითდინამიკა, ჩვენი აზრით, უფრო ეფექტური იქნებოდა, თუ ყველა — მათ შორის აღმოსავლეთიც — ევროთათბირისაგან სარგებელს ნახავდა. ამ პოზიციას 1975 წლიდან საჯაროდ სულ უფრო მტკიცედ ვიცავდი დასავლეთსა თუ აღმოსავლეთში. 1984 წლის გაზაფხულზე ერთ სტატიაში ვწერდი: „ჰელსინკის დასკვნითი აქტი შედგა მხოლოდ იმიტომ, რომ მონაწილე სახელმწიფოთაგან არავის მოუნდომებია მარტო თვითონ ენახა სარგებელი და სხვები წაგებულნი დარჩენილიყვნენ. ევროთათბირის პროცესისთვის დამახასიათებელი ეს პრინციპი არც სამომავლოდ უნდა მოიშალოს“. ჩემს მოსაზრებას ამ საკითხთან დაკავშირებით მუდამ მხარს უჭერდა ფედერალური პრეზიდენტი რიხარდ ფონ ვაიცზეკერი. თავისი შესაძლებლობის ფარგლებში მან მნიშვნელოვანწილად შეუწყო ხელი ევროთათბირის პროცესის ძირეული იდეის განვითარებას, მით უფრო, რომ ადრევე გააცნობიერა ევროპაში კოოპერაციული თანამშრომლობის საქმეში ევროთათბირის სახით მოცემული შანსები.

ბელგრადის შეხვედრა არსებითი შეთანხმებების გარეშე და კონტროვერსული განწყობით დასრულდა. თუმცა შეხვედრის საბოლოო დოკუმენტში ყველა მონაწილე ქვეყანამ გამოთქვა მზადყოფნა, ჰელსინკიში დაწყებული პროცესი მომავალშიც გაეგრძელებინა. ამით უზრუნველყოფილ იქნა ამ პროცესის ჩვენთვის სასურველი თანმიმდევრულობა. ამერიკელები კვლავ სკეპტიკურად იყვნენ განწყობილნი და ევროთათბირის მორიგი შეხვედრებისას ხელახლა მიხდებოდა ამერიკის ახალ-ახალ საგარეო საქმეთა მინისტრების დარწმუნება ჩვენი კონცეფციის მართებულობაში.

ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირის მონაწილე ქვეყნების წარმომადგენელთა მადრიდის შეხვედრა, რომელიც 1980 წლიდან 1983 წლამდე გრძელდებოდა, დიდხანს იმყოფებოდა დასავლურ-აღმოსავლური მძიმე კრიზისების ჩრდილქვეშ: ჯერ კიდევ თათბირის დაწყებამდე საბჭოთა კავშირი ავღანეთში შეიჭრა. შეხვედრის დროს, 1981 წლის დეკემბერში, პოლონეთში სამხედრო წესები გამოცხადდა; ორივე შემთხვევაში ერთმნიშვნელოვნად და

უხეშად დაარღვიეს დასკვნითი აქტით გათვალისწინებული პრინციპები. ამგვარ პირობებში დაძაბულობის შენელების პოლიტიკა უნდა გაგრძელებულიყო თუ არა? ამერიკის შეერთებული შტატები, კერძოდ, საგარეო საქმეთა მინისტრი ჰეიგი, მადრიდის შეხვედრის შეწყვეტის მკვეთრი მოთხოვნით გამოვიდა. ინტენსიური კონტაქტების საშუალებით 1982 წლის გაზაფხულზე მოვახერხე, იგი თათბირის გაგრძელების აუცილებლობაში დამერწმუნებინა. ჩემი მთავარი არგუმენტი ის გახლდათ, რომ ევროთათბირის გაგრძელება უთუოდ შედიოდა დასავლეთის ინტერესებში, რადგან ევროთათბირის ფორუმის ეფექტურ გამოყენებას მომავალშიც ვაპირებდით; ვაპირებდით, რათა მოგვეთხოვა ადამიანის უფლებების დაცვა, მოგვეწოდებია აღმოსავლეთის მცირე ქვეყნებთან დიალოგის გაგრძელებისკენ და ბლოკების საზღვრებს გარეშე ჰუმანიტარული ხასიათის ურთიერთობათა გაიოლებისაკენ. ევროთათბირის გაგრძელება თუ ჩვენს ინტერესებშია, მაშინ თათბირის შეწყვეტით საბჭოთა კავშირს კი არ „დავსჯით", არამედ საკუთარ თავს ვავნებთ-მეთქი, — განვაცხადე მე. და ბოლოს: ევროთათბირი ხომ საშუალებას გვაძლევდა განგვეხორციელებინა კონტროლი განიარაღებასა და შეიარაღებაზე, რაც უპირველეს ყოვლისა კონფერენციასთან — „ევროპაში ნდობის განმტკიცების, უშიშროებისა და განიარაღების ღონისძიებათა შესახებ" — დაკავშირებულ მოლაპარაკებებზე იყო დამოკიდებული. საქმე ეხებოდა ევროპის უშიშროების სპეციფიკურ ინტერესს: ორი ზესახელმწიფოს მოლაპარაკებები განიარაღების შესახებ ჩიხში მოექეცა; ჩვეულებრივი შეიარაღების სფეროში საბჭოთა უპირატესობა ყველაზე მეტად ჩვენთან შეფარდებით იგრძნობოდა. მადრიდის მოლაპარაკებები, რომლის მიმართ ისედაც ვერ ვიყავი განწყობილი დადებითად, რადგან გერმანელებს და ბუნდესვერს რაღაც განსაკუთრებულ უარყოფით როლს ანიჭებდა, სტაგნაციას განიცდიდა.

ამერიკის დელეგაციის ხელმძღვანელის, მაქს კემპლმენის სახით, რომელიც უთუოდ ყველაზე თვალსაჩინო პიროვნება გახლდათ მადრიდის შეხვედრაზე, ევროთათბირის გერმანული და ევროპული ინტერესების გამზიარებელი და თავგამოდებული დამცველი ვიპოვეთ. ხანგრძლივი, საფუძვლიანი საუბრის დროს, როდესაც ის ჩემი მოწვევით რეზიდენციაში გვესტუმრა და ბაღში ვსეირნობდით, ევრო-

თათბირის ჩვენეულმა ფილოსოფიამ მისი სახით კიდევ ერთი მომხრე შეიძინა. ამის შემდეგ ის ჩვენს კონცეფციას ისე ენერგიულად იცავდა ვაშინგტონში, რომ საგარეო საქმეთა მინისტრი შულციც სულ უფრო ხშირად და მკაფიოდ უჭერდა მხარს ჩვენს გეგმას. ჩვენი დელეგაციის ხელმძღვანელი მადრიდში იორგ კასტლი, საგარეო საქმეთა სამინისტროს ერთ-ერთი უბრწყინვალესი გონება, გადამწყვეტ როლს თამაშობდა ამ პროცესში.

მადრიდის თათბირის დროს დაუვიწყარი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე ჯორჯ შულცისა და ანდრეი გრომიკოს შეხვედრამ, რომელიც მას შემდეგ გაიმართა, რაც საბჭოთა თვითმფრინავმა კორეული თვითმფრინავი ჩამოაგდო საბჭოთა ტერიტორიაზე. მათ შორის არსებული მკვეთრი დაპირისპირების გამო შულცს უაღრესად ეძნელებოდა გრომიკოსთვის ხელის ჩამორთმევა. შეხვედრის შემდეგ გრომიკო ჩვენი დელეგაციის აპარტამენტში მესტუმრა სასაუბროდ. მისი მონათხრობი სიტყვასიტყვით ემთხვეოდა იმ ტექსტის შინაარსს, ჯორჯ შულცმა — ვიდრე გრომიკო გზაში იყო — ტელეფონით რომ შემატყობინა.

მადრიდში ჯორჯ შულცთან მჭიდროდ და ნაყოფიერად ვთანამშრომლობდით. აუცილებელი გახლდათ, რომ დასავლურ სახელმწიფოებს მხოლოდ პროტესტი კი არ გამოეთქვათ, არამედ საბჭოთა საჰაერო მიმოსვლაზე გარკვეული შეზღუდვებიც დაეწესებინათ კორეული თვითმფრინავის გაუმართლებელი ჩამოგდების გამო. საჰაერო მიმოსვლის აკრძალვას ევროპელები სამართლიანად მიიჩნევდნენ მიულებლად, რადგან ეს ჩვენს ყველა მცდელობას — ბლოკების საზღვრებს გარეთ მიმოსვლა გაგვეხშირებინა — გააბათილებდა. დიდი ძალისხმევის ფასად ევროპელები და ამერიკელები დავარწმუნე, რომ აუცილებელი იყო ერთიანი პოზიცია შეგვემუშავებინა, რაც საჰაერო კავშირების შეწყვეტას თავიდან აგვარიდებდა, თუმცა ჩვენს პოზიციას ამის გამო სიმძაფრე არ დაჰკლებია. დასავლეთის ერთობლივმა პოზიციამ სათანადო პირობები შექმნა ვაშინგტონში, რის შედეგადაც ამერიკელები ბირთვულ შეიარაღებასთან დაკავშირებულ მოლაპარაკებებს დაუბრუნდნენ, რასაც ჩვენთვის — ამერიკული საშუალო რადიუსის რაკეტების განლაგებასთან დაკავშირებული გადაწყვეტილების მიღების წინ — უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა.

ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირის მონაწ-

ილე ქვეყნების წარმომადგენელთა მადრიდის შეხვედრაზე — პოლონეთის მოვლენების მკაცრი შეფასების შემდეგ — ბოლოს და ბოლოს, 1983 წლის სექტემბერში, მრავალმხრივ მნიშვნელოვანი დასკვნითი დოკუმენტის მიღება მოხერხდა. მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა ადამიანის უფლებათა განხორციელების თვალსაზრისითაც; მაგალითად, ჩვენ შევძელით გაგვეზარდა საბჭოთა კავშირიდან გამოსულ გერმანული წარმოშობის პირთა რაოდენობა, შესამჩნევად გაუმჯობესდა მიმოსვლა გერმანიის ორივე ნაწილს შორის: 1985 წელს 1,5 მილიონი გერმანელი ჩამოვიდა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკიდან ფედერაციულ რესპუბლიკაში და პირიქით: ფედერაციული რესპუბლიკის 6,7 მილიონი მოქალაქე ესტუმრა გდრ-ს.

დასავლეთევროპული დემოკრატიების დამსახურება გახლდათ, რომ ევროთათბირის პროცესის საშუალებით დასავლეთ-აღმოსავლეთის ურთიერთობების შემადგენელ ნაწილად იქცა ადამიანის უფლებათა დაცვა და ჰუმანიტარული საკითხები. 1972 წლის მნიშვნელოვან განცხადებაში — „აშშ-სა და სსრკ-ს შორის ურთიერთობების პრინციპთა შესახებ", ნიქსონი და ბრეჟნევი ჯერ კიდევ არ საუბრობდნენ ადამიანის უფლებებზე; ჰელსინკის დასკვნითი აქტის წყალობით ეს უფლებები, სახელმწიფოთაშორისი ურთიერთობების კლასიკური წესების ტოლფასი პრინციპის სახით, პირველად დაფიქსირდა საერთაშორისო დოკუმენტში. ჩემთვის კი დასკვნითი აქტი ევროპაში სამშვიდობო წესრიგის ფუნდამენტის პირველი ესკიზი გახლდათ, წესრიგისა, რომლისკენაც ისწრაფოდა დასავლური ალიანსი და რომლის ფარგლებშიც გერმანელებს ხელახლა გაერთიანება სურდათ. ასეთი სამშვიდობო წესრიგი საერთო ღირებულებათა სისტემის საფუძველზე ურთიერთგაგებას გულისხმობდა; სწორედ ამას მივაღწიეთ ჰელსინკის დასკვნით აქტში და მოგვიანებით — კიდევ უფრო ფართოდ — პარიზის ქარტიაში.

1984 წელს საგარეო უწყებაში ზოგიერთი მოსაზრება გამოვთქვი ევროპის სამშვიდობო წესრიგისა და გერმანიის ერთიანობის აუცილებელ ურთიერთდაკავშირებულობასთან მიმართებაში. მემორანდუმი, რომელიც ასე შეიქმნა, ევროპული სამშვიდობო წესრიგისათვის ზრუნვაში ხედავდა გერმანიის გაერთიანების ვრცელ პერსპექტივას. მემორანდუმის ერთ-ერთი — იმდენადვე მწარე, რამდენადაც რეალისტური, მორალურად თუ ისტორიულად დასაბუთებული

— დასკვნა გახლდათ აღიარება იმისა, რომ: „ხელახლა გაერთიანებულ გერმანიას პოლონეთის საზღვრებში მოქცეულ, დაკარგულ ტერიტორიებზე პრეტენზიის გაცხადება არ შეუძლია და არცა აქვს ამის უფლება“. 1984 წლის 7 ივნისს სოციალ-დემოკრატიული პარტიის დეპუტატ ფოიგტის კატეგორიულ შეკითხვას სწორედ ასეთი პასუხი გავეცი ბუნდესტაგში.

მემორანდუმი, რომლის მონახაზი 1984 წლის შემოდგომაზე ჰანს-ჰაინრიხ ვრედემ შექმნა და გეროლდ ფონ ბრაუნმიულმა დაამუშავა, მიზნად დასახულ სამშვიდობო წესრიგს ევროპაში კიდევ უფრო აკონკრეტებდა და ჩვენი საგარეო და უშიშროების პოლიტიკის ცენტრში აქცევდა მას. ჰარმელის მოხსენებაში გამოკვეთილი მიზნებისათვის ევროთათბირი სულ უფრო მძლავრი ფორუმი ხდებოდა, აქ პოვა მან სახელშეკრულებო ჩარჩო.

ევროთათბირის შემდგომ პროცესში ცალკეულ კალათებს შორის პროპორციული თანაფარდობის დაცვის მიზნით 1985 წლის ზაფხულის დამდეგს ოტავაში ადამიანის უფლებების დაცვის საკითხებზე ექსპერტთა შეხვედრა გაიმართა. ადამიანის უფლებებთან დაკავშირებით იქ აღმოსავლეთ-დასავლეთს შორის ბოლო კონფრონტაცია მოხდა. ადამიანთაშორის კონტაქტებთან დაკავშირებით 1986 წლის გაზაფხულზე ბერნში გამართული შეხვედრა წინ გაადგმული ნაბიჯი გახლდათ, თუმცა ამერიკის შეერთებულ შტატებთან კონსენსუსის მიუღწევლობის გამო დასკვნითი დოკუმენტი, რომელსაც ყველა სხვა მონაწილე ქვეყანა აღიარებდა, არ მიუღიათ. ჩემთვის ეს დასანანი გახლდათ, რადგან ეს დოკუმენტი სწორედ ჩვენი თვალთახედვის შესაბამისად, ჩვენთვის ისეთ მნიშვნელოვან სფეროში, როგორიც იყო ოჯახების გამთლიანება, საგრძნობ გაუმჯობესებას გამოიწვევდა. ვაშინგტონის იმდროინდელი გადაწყვეტილება ჩემ შეშფოთებას იწვევდა, რადგან ეწინააღმდეგებოდა პრინციპს: დაეკანონებინა, სადაც კი ეს შესაძლებელი იქნებოდა, პროგრესი და ებრძოლა სხვა პრობლემების გადასაჭრელად.

ევროთათბირის პროცესის შემადგენელი ნაწილი გახლდათ 1985 წლის შემოდგომაზე მოწყობილი კულტურული ფორუმი, რომლის მნიშვნელობაც დაკნინებულად აღიქვეს; ეს იყო ფორუმი, რომელსაც ხელოვნებისა და კულტურული სფეროს წარმომადგენლები ესწრებოდნენ მთელი ევროპიდან, წარმომადგენლები, რომლებიც დირექ-

ტივებზე დამოკიდებული სამთავრობო დელეგაციების წევრებივით არ მონაწილეობდნენ ფორუმში. საზღვრებგარეშე კულტურულ პროექტებთან და კონტაქტებთან დაკავშირებულ ჭრელ და მრავალფეროვან „იდეების საგანძურს" მოუყარეს აქ თავი. მახარებდა ის, რომ ფორუმის ჩატარების ადგილად ბუდაპეშტი შეარჩიეს, რადგან უნგრეთში ჯერ კიდევ მაშინ უკვე იგრძნობოდა ძველი სტრუქტურების შესუსტება. ვცდილობდით, რომ ჩვენი დელეგაციის შემადგენლობა რაც შეიძლება მრავალფეროვანი ყოფილიყო. კულტურული ცხოვრების სფეროში დამოუკიდებელ პიროვნებებს ვეძიებდით. დელეგაციის ხელმძღვანელობა ფედერალური მთავრობის ყოფილ სპიკერს — კარლ-გიუნთერ ფონ ჰაზეს დავავალე, რადგან დარწმუნებული ვიყავი, რომ მის კანდიდატურას ჩვენი კულტურის წარმომადგენლებიც მიიღებდნენ.

კულტურული ფორუმის შესახებ შეთანხმება ჯერ კიდევ მადრიდში, ევროთათბირის მეორე შეხვედრაზე მოხდა. 1985 წლის 4 ოქტომბერს გერმანული დელეგაციის წევრები მიუნხენში მივიწვიე. მონაწილეებს კულტურული ფორუმის ამოცანების ჩემეულ წარმოდგენაზე ვესაუბრე: საერთოევროპულ კულტურულ დიალოგში ილუზიების გარეშე უნდა მივიღოთ მონაწილეობა; სოციალისტურ ქვეყნებთან წინააღმდეგობების მიუხედავად, თავად კულტურული ფორუმის ჩატარების ფაქტი ევროპელ ხალხებს მათი ევროპული იდენტობის უფრო მეტად გაცნობიერებაში დაეხმარება-მეთქი; დღეს ყველაზე ძლიერ საიდენტიფიკაციო ფაქტორებს წარმოადგენს: საერთო კულტურა, საერთო ისტორია და ერთობლივი გადარჩენის წინაშე პასუხისმგებლობა. ევროპის ისტორიული და კულტურული იდენტურობის მზარდი შეგნება ადამიანებს აახლოებს იქაც, სადაც მათ საზღვრები ჯერ კიდევ ჰყოფს-მეთქი. აქ მე გერმანელთა განსაკუთრებულ პასუხისმგებლობაზე მივანიშნებდი. ბოლოს და ბოლოს საქმე იმაში ხომ არ მდგომარეობს, რომ კულტურული გაცვლისა და თანამშრომლობის საშუალებით მხოლოდ ნდობის ელემენტები შევქმნათ, არამედ მთელი ევროპის საზოგადოებების იდენტიფიკაცია უნდა მოვახდინოთ და ისინი მომავალი თანამშრომლობისთვის მოვამზადოთ-მეთქი. ისიც გავიხსენე, რომ ჯერ კიდევ 1983 წელს შტუტგარტში ევროპის საბჭომ დაადგინა, ევროპის ქალაქები ყოველწლიურად მონაცვლეობით ევროპის კულტურულ დედაქალაქად

გამოეცხადებინათ. 1985 წელს ამ ქალაქთაგან პირველი ათენი გახდა. ევროპის კულტურული იდენტურობის შეგნების გაძლიერებაში ვხედავდი ერთადერთ შანსს, მოგვეშალა ჩაკეტილობაზე ორიენტირებული პოლიტიკის ყოველი გამოვლინების საფუძველი. კულტურული ფორუმი, არსებითად, მნიშვნელოვანი ღონისძიება გახლდათ, ღონისძიება, რომელსაც უნდა გამოეღვიძებინა და აემოქმედებინა ევროპის შემოქმედებითი კულტურული და სულიერი ძალები კონტინენტის დაყოფის წინააღმდეგ, ანაქრონისტული — როგორც მე ვუწოდებდი — საზღვრების დასაძლევად და იმავდროულად ევროპის და ამით გერმანიის დაყოფის წინააღმდეგ. გდრ-ის კარჩაკეტილობის პოლიტიკისათვის ეს განსაკუთრებული გამოწვევა უნდა ყოფილიყო.

1985 წლის 30 ივლისიდან პირველ აგვისტომდე, ძირითადად გერმანული მხარის ინიციატივით, ჰელსინკიში ევროთათბირის ათწლიან იუბილესთან დაკავშირებული შეხვედრა გაიმართა საგარეო საქმეთა მინისტრების დონეზე. ევროთათბირის მომავლისათვის ამ შეხვედრას რაიმე ახალი იმპულსები არ აღუძრავს, თუმცა ეს მოსალოდნელი არ გახლდათ მას შემდეგ, რაც მადრიდის დასკვნითმა დოკუმენტმა ევროთათბირის კალენდარი 1986 წლის ბოლომდე უკვე შეავსო და განსაზღვრა. და მაინც: ჰელსინკიში ოცდათხუთმეტ მონაწილე სახელმწიფოს შორის ურთიერთშეთანხმებულობის გარკვეული პოზიტიური ტენდენცია შეიმჩნეოდა; ევროთათბირის პროცესის გაგრძელების სურვილი ხელახლა დაადასტურეს და შეთანხმდნენ მომავალში უკეთ გამოეყენებინათ თანამშრომლობის ჯერაც ამოუწურავი პოტენციალი, რომლის საშუალებასაც კალათა №2 — ეკონომიკა და გარემო — იძლეოდა. საიუბილეო შეხვედრა შევარდნაძის საერთაშორისო პრემიერა გახლდათ. თავის გამოსვლაში მას ჯერ კიდევ უნდა დაემოწმებინა ლენინი: მან „განჭვრიტა მშვიდობიანი თანაარსებობის ობიექტური აუცილებლობა", რაც დასკვნითი აქტის სიცოცხლისუნარიანობას განაპირობებსო.

აშკარა გახლდათ, რომ შევარდნაძის სათავეში მოსვლით მოსკოვის საგარეო პოლიტიკა მხოლოდ ფორმას არ იცვლიდა. ჯერ კიდევ 1985 წლის პირველ აგვისტოს ჩვენ შორის გამართული საუბარი მიგვანიშნებდა საბჭოთა საგარეო პოლიტიკის განახლებაზე. შევარდნაძემ გრომიკოსგან მოკითხვა გადმომცა და იმედი გამოთქვა,

ჩვენ შორისაც ისეთივე კარგი ურთიერთობა დამყარდება, როგორიც ჩემ წინამორბედსა და თქვენ შორის არსებობდაო. ამ ურთიერთობებმა მართლაც ბევრად უკეთესი და თანაც სავსებით განსხვავებული ხასიათი შეიძინა. შთამბეჭდავი გახლდათ ის, რაც შევარდნაძემ განაცხადა: მოვალეობის შესრულებას ახლახანს შევუდექი და ამიტომ საგარეოპოლიტიკურ კონცეფციებზე საუბრისაგან თავს შეიკავებ და ვამჯობინებ ჯერ თქვენ მოგისმინოთო. სმენა გავამახვილე. ეს მხოლოდ იმის მანიშნებელი შეიძლებოდა ყოფილიყო, რომ საბჭოთა საგარეო პოლიტიკის საფუძვლიან გადამოწმებას აპირებდნენ, რათა გადაეწყვიტათ, იყო თუ არა რამე შესაცვლელი. ჩემი ახალი საბჭოთა კოლეგის სიტყვით, ახლა უფრო მეტი პასუხისმგებლობა მოგვეთხოვებოდა; დაძაბულობის მიზეზები უნდა მოვიძიოთ და დავძლიოთო. ესეც მშვენივრად ჟღერდა, უფრო მეტიც: გულწრფელად ჟღერდა. ჩემის მხრივ ყურადღება გავამახვილე დასავლეთ-აღმოსავლეთის ურთიერთობების საქმეში გერმანულ-საბჭოთა ურთიერთობის მნიშვნელობაზე და ევროთათბირის პროცესის ფარგლებში თანამშრომლობისა და ნდობის განმტკიცებისაკენ მოვუწოდე. შევარდნაძემ — ესეც სიახლე გახლდათ — მხოლოდ საბჭოთა ხალხის მიერ მეორე მსოფლიო ომში გაღებულ მსხვერპლზე კი არ ილაპარაკა, არამედ ასეთი რამ განაცხადა: „მე კარგად მესმის, თუ რა მსხვერპლი გაიღო გერმანელმა ხალხმა“-ო. მსგავს ვითარებაში ასეთი რამ არასდროს არავის სმენია. ასე დავბრუნდი ჰელსინკიდან დიდი იმედით ფრთაშესხმული. შევარდნაძემ მომხიბლა, ისეთი განცდა დამეუფლა, რომ მასთან — ცხადია, არა პირდაპირი გაგებით — საერთო ენის გამონახვას შევძლებდი. მოგვიანებით თვითონ მითხრა, მეც ანალოგიური განცდა მქონდაო.

ევროთათბირის მორიგი, მესამე შეხვედრის დაწყების წინ ვენაში 1986 წლის ნოემბერში, დროულად და წარმატებით დასრულდა „ევროპაში ნდობის განმტკიცების, უშიშროებისა და განიარაღების ღონისძიებათა“ სტოკჰოლმის კონფერენცია. მნიშვნელოვან შედეგს მივაღწიეთ: რეგიონალური ინსპექციის საკითხი, რასაც გრომიკომ ადრე „ლეგალური შპიონაჟი“ უწოდა და უარყო, ამჯერად შევათანხმეთ. 1984 წლის იანვარში, სტოკჰოლმში თათბირის დაწყების წინ, გრომიკომ მისაყვედურა: „ჩვენი ეზოს სათვალთვალოდ ღობეში ხვრელის გაყვანა გინდათ!“-ო. მე ვუპასუხე: არა, ეს არ

მინდა. მთელი ღობის აღებას ვაპირებ-მეთქი. ევროპაში ნდობის განმტკიცების, უშიშროებისა და განიარაღების ღონისძიებათა საინსპექციო რეჟიმი, როგორც ზემორეხსენებულ ინსპექციას ეწოდებოდა ევროთათბირის ენაზე, ვაშინგტონსა და მოსკოვს შორის მოგვიანებით დადებული ხელშეკრულების — კოსმოსური და ბირთვული შეიარაღების სტრატეგიულ და საშუალო რადიუსზე მოქმედი ნაირსახეობის შეზღუდვის შესახებ — ანალოგიური დადგენილების წინამორბედი გახლდათ. როლან დიუმამ და მე ურთიერთშეთანხმებული გამოსვლებითა და წინადადებებით ახალი იმპულსი მივეცით კრიტიკულ ფაზაში შესულ ნდობის განმტკიცების ღონისძიებებს.

ევროთათბირის მორიგი შეხვედრა ვენაში, რომელიც 1986 წლის 4 ნოემბრიდან 1989 წლის 19 იანვრამდე გრძელდებოდა, დასავლეთ-აღმოსავლეთის ურთიერთობაში გარდაქმნის პერიოდს დაემთხვა, შეიძლება ითქვას, მონაწილეობდა კიდეც ამ გარდაქმნაში. მან დასაბამი დაუდო ბლოკების კონფრონტაციის დასრულებას. კონფრონტაციიდან კოოპერაციაზე გადასვლა სწორედ ამ მძიმე, საქმიან და ბოლოს წარმატებულ მოლაპარაკებებში ვლინდებოდა; 1989 წლის 15 იანვრის ვენის დასკვნითი დოკუმენტი ადამიანის უფლებებისა და ადამიანური კონტაქტების სფეროში და ასევე ამ ახალი შეთახმებების იმპლემენტირების, განხორციელების თვალსაზრისით, მნიშვნელოვან პროგრესს წარმოადგენდა. ამასთანავე ევროთათბირის ყველა თემასთან დაკავშირებული მორიგი ღონისძიებების შესახებ მთელ რიგ შეთანხმებებს მივაღწიეთ; გერმანიის წინადადებით გადაწყდა აღმოსავლეთ-დასავლეთის ერთობლივი ეკონომიკური კონფერენციის ჩატარების საკითხი, რაც ბრიტანელებმა და ამერიკელებმა თავდაპირველად უარყვეს, მაგრამ 1990 წლის მარტში ის მაინც ჩატარდა ბონში. მთელი ევროპიდან მასში ასეულობით ბიზნესმენი მონაწილეობდა.

1986 წელს ვენაში განვაცხადე: „ევროთათბირი ჩემს ხალხს და ევროპაში მშვიდობიანი თანაარსებობისაკენ მის ლეგიტიმურ მისწრაფებას მოქმედების ჩარჩოს სთავაზობს, რაც მას საშუალებას მისცემს თავისუფალი თვითგამორკვევის გზით კვლავ გაერთიანდეს და ნდობისა და მშვიდობის ატმოსფეროში ითანამშრომლოს მეზობელ ხალხებთან“. ის, რაც მაშინ მრავალთათვის ილუზია ან — უკეთეს შემთხვევაში — ხილვა გახლდათ, სამი წლის შემდეგ

რეალობად იქცა.

სამხედრო სფეროში ნატომ და ვარშავის პაქტის ქვეყნებმა მიაღწიეს შეთანხმებას ჩვეულებრივი შეიარაღების სფეროში ფაქტობრივი განიარაღების მანდატთან დაკავშირებით, ანუ: ევროპის კონვენციური უშიშროების საკითხებზე ვენაში მოლაპარაკებების გამართვასთან დაკავშირებით, რომლებიც 1989 წლის მარტიდან 1990 წლის ნოემბრამდე გრძელდებოდა. ზუსტად პარიზის ევროთათბირის სამიტის დროს, 1990 წლის ნოემბერში მიმდინარე მოლაპარაკებებზე, მიღწეულ იქნა შეთანხმება შეტევითი სამხედრო ოპერაციებისათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ჩვეულებრივი მძიმე სამხედრო ტექნიკის უმაგალითოდ დიდი შემცირების შესახებ.

1989-1990 წლებს ძალზე შეეფერება ჰიოლდერლინის სიტყვები: „არასდროს ყოფილა ამდენი დასაწყისი". ამ პროცესს უთუოდ შეუწყო ხელი ევროთათბირმა, „ყველა ევროპელის ერთობლივმა ხმამ", როგორც მას ვაცლავ ჰაველმა უწოდა. 1989 წლის ზაფხულში უნგრეთმა კატეგორიულად მოითხოვა ვენის დადგენილების შესრულება — რაც თავისუფალ გადაადგილებას და საცხოვრებელი ადგილის თავისუფალი შერჩევის უფლების დაცვას გულისხმობდა —, რათა 1969 წლის უნგრეთ-გდრ-ის ბილატერალური შეთანხმების საპირისპიროდ, გდრ-ის მოქალაქეთათვის დასავლეთში თავისუფალი გადასვლის შესაძლებლობა მიეცა. ამასთანავე ევროთათბირმა მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა გერმანიის გაერთიანებასთან დაკავშირებული მოლაპარაკებების პროცესზე და დიდწილად გააიოლა „ორი პლუს ოთხის" შეხვედრები. ჩატარდა ევროპაში ჩვეულებრივი შეიარაღების შესახებ მოლაპარაკებები ვენაში. ამ ფორუმს ლოთარ დე მეზიემ და მე 1990 წლის აგვისტოს ბოლოს გაერთიანებული გერმანიის შეიარაღებული ძალების 370000 ერთეულამდე სავალდებულო შემცირების შესახებ გერმანულ-გერმანული ერთობლივი დეკლარაცია წარვუდგინეთ. 19 ნოემბერს პარიზში, სადაც ევროთათბირის ყველა მონაწილე ქვეყნის სახელმწიფო და მთავრობის მეთაურები და საგარეო საქმეთა მინისტრები შეიკრიბნენ, ხელი მოეწერა ხელშეკრულებას კონვენციური განიარაღების თაობაზე. გარდა ამისა, მიღებულ იქნა 1990 წლის ვენის დოკუმენტიც. ევროპაში შეიარაღებული ძალებისა და შეიარაღების შემცირების მიმართულებით მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადაიდგა და ბუნდესვერის

შემცირების საკითხი საერთოევროპული განიარაღების კონტექსტში ჩაერთო.

21 ნოემბერს პარიზში რეალობად იქცა ის, რაც „ორი პლუს ოთხის“ მოლაპარაკებების დროს ესოდენ დიდ როლს თამაშობდა: „პარიზის ქარტია ახალი ევროპისათვის“. ამ გერმანული იდეის საშუალებით, რომელსაც გორბაჩოვი და მიტერანიც ეთანხმებოდნენ და ბუში და ბეიკერიც უჭერდნენ მხარს, ჩვენ შევქმენით ერთ-ერთი იმ გასაღებთაგანი, რომელთა წყალობითაც გერმანიის გამაერთიანებელი კარიბჭე გაიღო. ხელმოწერის შემდეგ გორბაჩოვი და მე დიდხანს, დიდხანს ვართმევდით ხელს ერთმანეთს. მან იცოდა, რაოდენ დიდი ძალისხმევა დამჭირდა დასავლელ მოკავშირეთა დასარწმუნებლად, ვიდრე ისინი ამ წინადადებას მიიღებდნენ. ამიერიდან პარიზის ქარტია თავისუფალი საზოგადოებრივი წყობის ძირითადი ნორმებისა და პრინციპების ფუნდამენტს ქმნიდა. როდესაც გორბაჩოვი ხელს აწერდა, კოლს ვუთხარი: „ამ ხელმოწერით მოწმე ვართ იმისა, თუ როგორ აღიარა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის გენერალურმა მდივანმა საბაზრო ეკონომიკა“.

ჰუმანიტარული საკითხების თაობაზე ვენაში შეთანხმებულმა მექანიზმმა ხელი შეუწყო დასავლურ გაგებაზე დაფუძნებული ადამიანის უფლებების კონკრეტულ განხორციელებას მორიგი თათბირების დროს პარიზში (1989 წლის ზაფხულში), კოპენჰაგენში (1990 წლის ზაფხულში) და მოსკოვში (1991 წლის სექტემბერში). 1986 წელს ვენის მორიგი შეხვედრის დაწყებისთანავე, შევარდნაძის შესაბამისი წინადადების შემდეგ, დასავლელ საგარეო საქმეთა მინისტრთაგან პირველმა განვაცხადე თანხმობა ადამიანის უფლებებთან დაკავშირებული თათბირის მოსკოვში ჩატარებაზე, თუმცა ჩემი თანხმობა გარკვეული პირობების შესრულებასაც ითვალისწინებდა. დასავლეთის სხვა ქვეყნებმა, უპირველეს ყოვლისა, ამერიკის შეერთებულმა შტატებმა და დიდმა ბრიტანეთმა, მხოლოდ „ვენის ენდშპილის“ ბოლო დღეებში განაცხადეს თანხმობა. ჩემი აზრით, ადამიანის უფლებებთან დაკავშირებული კონფერენციის მოსკოვში ჩატარებაზე თანხმობის ფაქტიც კი უკვე პოლიტიკურ ზემოქმედებას მოახდენდა ადამიანის უფლებების სფეროზე საბჭოთა კავშირში.

მოსკოვის ამ თათბირის დროს, 1991 წლის ზაფხულს, მოსკოვის პუტჩიდან რამდენიმე კვირის შემდეგ რომ გაიმართა, საბჭოთა

კავშირი ჩემს ინიციატივას შეუერთდა, რომელიც შემდეგში მდგომარეობდა: ევროთათბირის ფარგლებში საბოლოოდ უნდა დაგვედგინა და დაგვეკანონებინა, რომ ხელისუფლების ანტიკონსტიტუციური შეცვლა აღიარებული არ იქნება, ხოლო ადამიანის უფლებების დაცვის მოთხოვნაზე შინაგან საქმეებში ჩარევის აკრძალვა არ ვრცელდება.

### *ბერლინი 1991: ევროთათბირის ისტორიაში ახალი ეტაპი იწყება*

1991 წლის ივნისის მიწურულს ბერლინის რაიხსტაგში ევროთათბირის საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭოს სხდომა ჩემი თავმჯდომარეობით გაიმართა. ხელახლა გაერთიანებული გერმანიის მიწაზე, ისტორიულად ესოდენ მნიშვნელოვან ადგილზე პირველი „საბჭოს“ ჩატარება ევროთათბირის საქმეში ჩვენი წვლილის აღიარების გამოხატულება გახლდათ. სხვა საკითხების გარდა „საბჭომ“ კრიზისულ სიტუაციაში ეგრეთ წოდებული „დაუყოვნებელი რეაგირების მექანიზმი“ დაამტკიცა, ხოლო ცალკე განცხადებით დაადასტურა, რომ იუგოსლავიის ხალხებს უფლება აქვთ თავისუფლად განსაზღვრონ თავისი მომავალი. ევროგაერთიანების 1991 წლის დეკემბერის გადაწყვეტილების მიღების დროს ამ დოკუმენტმა მნიშვნელოვანი როლი შეასრულა; ეს გადაწყვეტილება ხორვატიისა და სლოვენიის დამოუკიდებლობის საერთაშორისო აღიარებას ეხებოდა და მას ევროთათბირის მონაწილე ყველა სახელმწიფო შეუერთდა.

ევროთათბირის გაძლიერების მოთხოვნით ხშირად გამოვდიოდი. ამჯერად ის 53 წევრ-სახელმწიფოს აერთიანებს, რაც კონსენსუსის პრინციპის საფუძველზე გადაწყვეტილების მიღების პროცესს, ბუნებრივია, ძალზე ართულებს. ამიტომ წამოვაყენე აგრეთვე ინიციატივა „კონსენსუს მინუს ერთი“ პრინციპისა. ამ პრინციპის თანახმად რომელიმე ერთი ქვეყანა *ყველა სხვა* წევრი ქვეყნის გადაწყვეტილების ბლოკირებას ვეღარ მოახერხებს. ეს პრინციპი 1992 წლის იანვარში ევროთათბირის საბჭომ, პრაღაში მოწვეულმა, დაამტკიცა და პირველად აამოქმედა, როდესაც ყოფილ იუგოსლავიას ევროთათბირის წევრობის უფლება შეუჩერა.

*გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრის ევროპულ პოლიტიკას, რომელიც მუდამ პოლიტიკური ურთიერთობის ახალ ფორმებზე იყო ორიენტირებული, თომას მანისეული დევიზი – „ევროპული გერმანია“ შეეფერება. გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭებოდა იმას, რომ კონტინენტის პატარა სახელმწიფოებს დიდი მეზობელი სახელმწიფოების შიში აღარ ჰქონოდათ. დანიელი კოლეგის უფე ელმან-იენსენის სახით ჰანს-დიტრიხ გენშერმა საღად მოაზროვნე, ზომიერი ლიბერალი მეგობარი და თანამებრძოლი იპოვა.*

ევროპაში მშვიდობის, უშიშროებისა და თანამშრომლობის სფეროში – 53 წევრი-სახელმწიფოს არსებობის პირობებში – ევროთათბირის სათანადო როლის უზრუნველყოფა მხოლოდ ქმედითუნარიან ინსტიტუტებს შეუძლიათ. ამ მიმართულებით ერთ-ერთი ასეთი მნიშვნელოვანი, თუნდაც მხოლოდ პირველი, ნაბიჯი გახლავთ გენერალური მდივნის დანიშვნა. 1993 წლის ზაფხულში ევროთათბირმა პირველ გენერალურ მდივნად მოიწვია ვილჰელმ ჰიოინკი, ჩემი დიდი ხნის შესანიშნავი თანამშრომელი და ევროთათბირის საგანგებო ელჩი, რაც მისი დიდი კომპეტენტურობისადმი რწმენისა და ევროთათბირის წევრი გერმანიისადმი წევრ-სახელმწიფოთა მიერ ნდობის გამოხატულება გახლდათ. ევროთათბირის ეროვნულ უმ-

ცირესობათა საკითხების უმაღლესი კომისრის დანიშვნაც — ამ თანამდებობის პირველი მფლობელი ნიდერლანდების ყოფილი საგარეო საქმეთა მინისტრი ვან დერ სტოელი გახლდათ — ევროთათბირის მუშაობის გაძლიერებას მოასწავებდა. ვან დერ სტოელმა სწორედ მაშინ წარმატებით დაასრულა თავისი მისია ბალტიის ქვეყნებში. ის მეორე მსოფლიო ომის შემდგომი ნიდერლანდული პოლიტიკის უმნიშვნელოვანეს წარმომადგენლებს მიეკუთვნება; იყო რა დაჯერებული ევროპელი, ის კეთილი ნებითა და გულისხმიერებით ცდილობდა ჰოლანდიელებსა და გერმანელებს შორის ურთიერთგაგების გაძლიერებას.

ევროთათბირი დასავლურ-აღმოსავლური კონფლიქტის დაძლევისა და თავისუფალი ევროპის შექმნისკენ სავალი სწორი გზა აღმოჩნდა. იდეამ, გერმანია თავდაპირველად დასავლურ სტრუქტურებში გაგვეერთიანებინა და ამის შემდგომ ჩვენი ბილატერალური აღმოსავლური პოლიტიკისა და ევროთათბირის საშუალებით დასავლეთი და აღმოსავლეთი უფრო მჭიდრო ურთიერთობის ქსელში ჩაგვერთო — მთავარი როლი შეასრულა ჩვენი კონტინენტის მშვიდობიანი ევოლუციის საქმეში და ბოლოს შესაძლებელი გახადა გერმანიის გაერთიანება. ევროთათბირის ძირეული გაგებისათვის თავიდანვე მნიშვნელოვანი გახლდათ, რომ დასკვნითი აქტი ვითარების დაკანონებად კი არ აღქმულიყო, არამედ შეგვეცნო პროცესის ხასიათი, რომელზეც ზეგავლენას ახდენდა ჰელსინკის შედეგები. ამ შედეგებმა სათავე დაუდო განვითარების პროცესს, რომელიც მჭიდრო ურთიერთთანამშრომლობის საშუალებით ადამიანის ხელშეუვალ უფლებებს სულ უფრო ქმედითს ხდიდა, ხოლო მონაწილე სახელმწიფოთა ინტერესი ევროთათბირის პროცესის გაგრძელების მიმართ ხელს უშლიდა „ცივი ომის“ პერიოდში დაბრუნებას. უფრო მეტიც: ევროთათბირის პროცესმა ბოლოს იმდენად სტაბილური ჩარჩოპირობები შექმნა ევროპისათვის, რომ ოთხმოციან წლებში პოლონეთის რევოლუციურ პროცესებს და საბჭოთა კავშირსა და მისი გავლენის სფეროში მყოფ ვარშავის პაქტის მონაწილე ქვეყნებში ბოლო ათწლეულში მიმდინარე მოვლენებს აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის სამხედრო კონფრონტაცია აღარ გამოუწვევია.

ევროთათბირის წარმატებას მხოლოდ ის განაპირობებდა, რომ

არავინ ცდილობდა ცალმხრივი უპირატესობის მიღწევას, ყველა მონაწილე ქვეყნის განსხვავებულ ინტერესებს ითვალისწინებდნენ. სოციალისტური ქვეყნების შიდაპოლიტიკურ ვითარებასა და აღმოსავლეთ-დასავლეთის ურთიერთობის პროცესზე მისი გავლენა ევროთათბირის პროცესის მამოძრავებელ და ამავდროულად მასტაბილიზირებელ ძალასაც წარმოაჩენს.

ამ მულტილატერალურმა დაძაბულობის შენელების პროცესმა ჩარჩოპირობების სტაბილიზაცია მოახდინა და არა სტატუს კვოსი. პირიქით: სტაბილური ჩარჩოპირობების მეოხებით დასავლურ სამართლებრივ ნორმებზე დაფუძნებულმა დაძაბულობის შენელების პროცესმა ქვეყნის შიგნით თუ მის ფარგლებს გარეთ მძიმე კატაკლიზმებისა და, უპირველეს ყოვლისა, ძალის გამოყენების გარეშე რეალობად აქცია სტატუს კვოს დაძლევა.

ევროთათბირმა საშუალება მისცა გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკას თანასწორუფლებიანი წევრის სახით მონაწილეობა მიეღო დასავლეთ-აღმოსავლეთის ურთიერთობების პროცესში. ის ჩვენ დამატებით შანსსაც გვთავაზობდა იდეური თუ ოპერატიული თვალსაზრისით განმსაზღვრელი როლი შეგვესრულებინა. ორივე გერმანული სახელმწიფოს ერთობლივი პასუხისმგებლობა შექმნილ ჩარჩოპირობებს აკმაყოფილებდა. ჩემი მუდმივი მოთხოვნა — ორივე გერმანულ სახელმწიფოს უნდა გააჩნდეს პატივმოყვარეობა, რომ დასკვნითი აქტის ვალდებულებები არსებული უმაღლესი სტანდარტების საკადრისად შეასრულოს, ასე ვთქვათ, ერთმანეთს ერთგვარი უპირატესი ურთიერთხელშეწყობის საგანგებო პირობა უნდა მისცენ-მეთქი — შეესატყვისებოდა როგორც ორ გერმანულ სახელმწიფოში მცხოვრებ ადამიანთა ინტერესებს, ასევე მთელი ევროპის ხალხთა ინტერესებსაც. ასე და ამგვარად, ევროთათბირის ჩარჩომ — ყოველგვარი წინააღმდეგობის, კედლისა და საზღვრებთან ჩადენილი ძალადობის, გდრ-ის შიდა რეპრესიების მიუხედავად — ორი გერმანული სახელმწიფოს დაახლოების პირობები შექმნა, რაც სხვა ვითარებაში მრავალ კითხვას წამოჭრიდა დასავლეთსა თუ აღმოსავლეთში. გარდაქმნის წინა წლებში ორივე გერმანულმა სახელმწიფომ დიდი წვლილი შეიტანა დასავლეთ-აღმოსვლეთის ურთიერთობის სტაბილიზაციის, განიარაღებასა და შეიარაღებაზე კონტროლის საქმეში. გერმანულ-გერმანული ურთიერთთანამშრომლობის განვითარების

წყალობითაც დასავლეთ-აღმოსავლეთს შორის დაძაბულობის შენელება ადასტურებდა ჩვენი მოსაზრების მართებულობას, რომ ჰუმანიტარული საკითხები (კალათა №3) ამგვარ ატმოსფეროში განვითარების უკეთეს პირობებს პოვებდა. იგივე ითქმის გდრ-ში და სხვა სოციალისტურ ქვეყნებში რეპრესიების შესუსტებასთან დაკავშირებულ ღონისძიებებზე, რომელთაც განაპირობეს ის რეაქცია, რომელიც 1989 წლის მშვიდობიან განმათავისუფლებელ რევოლუციას მოჰყვა. გერმანიაში ეს რევოლუცია მხოლოდ გდრ-ის მოქალაქეების გაბედულებისა და დიდი პასუხისმგებლობის დამსახურებაა; ეს გახლავთ მათი წვლილი, გაერთიანებული ქვეყნის საგანძურში შეტანილი. ამის საპირისპიროდ რევოლუციური პროცესის განვითარება და სახელმწიფოს რეაქცია მის მიმართ ევროთათბირის წინარე პროცესების გარეშე წარმოუდგენელი იქნებოდა. გერმანიამ, როგორც ევროთათბირისთვის გზის გამკვალავმა და მისმა მამოძრავებელმა ძალამ, ევროპისა და გერმანიისთვის გადამწყვეტი და პოზიტიური როლი შეასრულა.

გერმანიის ომისშემდგომი პოლიტიკის შეფასება ცხადყოფს, რომ 1969 წლამდე საბჭოთა კავშირისა და მისი მოკავშირეების სულ უფრო მძაფრი ჩარევა სხვა ქვეყნების საშინაო საქმეებში კიდევ უფრო ამწვავებდა დაძაბულობას და რეპრესიებს. ამ მოვლენების ქრონიკა ასე გამოიყურება: 1953 წელი — უნგრეთის განმათავისუფლებელი მოძრაობის ჩახშობა, 1961 — ბერლინის კედლის აშენება, 1968 — ვარშავის პაქტის მონაწილე ქვეყნების უკანასკნელი სამხედრო ინტერვენცია ჩეხოსლოვაკიაში. ამ პროცესებზე დასავლეთის რეაქცია ძალზე უსუსური გახლდათ. მალევე უბრუნდებოდნენ ჩვეულებრივ დღის წესრიგს.

აღმოსავლეთისაკენ მიმართული გერმანული სახელშეკრულებო პოლიტიკითა და ევროთათბირით დაიწყო მატიანეში ახალი თავი, რომელიც ევროპისა და გერმანიის გახლეჩის ლიკვიდაციით დასრულდა. კოოპერაცია, როგორც აღმოჩნდა, ბევრად უფრო ნაყოფიერი გახლდათ, ვიდრე კონფრონტაცია.

## თავი 9

# ფედერაციული რესპუბლიკა გაეროში

*შმიდტ-გენშერის მთავრობის დამტკიცება ბუნდესტაგის 1976 წლის არჩევნებში მათი საგარეო პოლიტიკის დამტკიცებასაც ნიშნავს*

1976 წლის 3 ოქტომბერს ბუნდესტაგის არჩევნები გაიმართა. 1972 წლის შემდეგ შეიცვალა საქმის ვითარებაც და პიროვნებებიც: საარჩევნო ბრძოლის დროს მმართველი პარტიების სათავეში ვილი ბრანდტი და ვალტერ შეელი კი აღარ იდგნენ, არამედ ჰელმუთ შმიდტი და მე. ოპოზიციიდან მეტოქეობას გვიწევდნენ ჰელმუთ კოლი და — კვლავინდებურად — ფრანც იოზეფ შტრაუსი. სოციალ-დემოკრატიული და თავისუფალი დემოკრატიული პარტიებისაგან შედგენილი მთავრობის აღმოსავლური და შიდა რეფორმების პოლიტიკით გამოწვეული ამაღლებული განწყობა — იმ პოლიტიკით, 1972 წელს ამომრჩევლები რომ აღაფრთოვანა — მძიმე ყოველდღიურმა საქმიანობამ შეცვალა. ამასთან პრემიერ-მინისტრ რიოდერის (ზაარლანდი) და ალბრეხტის (ქვემო საქსონია) პასუხისმგებლობით აღსავსე ქმედებამ პოლონეთთან მეორე ხელშეკრულებისთვის ხმის მიცემის საკითხში — რასაც ჰელმუთ კოლიც მხარს უჭერდა — ხელი შეუშალა იმას, რომ ქრისტიანულ-დემოკრატიული და ქრისტიანულ-სოციალური კავშირები კვლავ უარმყოფელთა როლში აღმოჩენილიყვნენ. ფრანც იოზეფ შტრაუსმა, რომელიც პოლონეთთან შეთანხმებების შეჩერებას აპირებდა, ამის განხორციელება ვერ მოახერხა.

1976 წლის 26 სექტემბერს ვუპერტალის ცენტრალურ დარბაზში თავისუფალი დემოკრატიული პარტიის საარჩევნო შეხვედრა გაიმართა. გერმანიის მეორე ტელევიზია ამ ღონისძიებას იმ გადაცემის ფარგლებში აშუქებდა, რომლის დროსაც სხვა პარტიების — ქრისტიანულ-დემოკრატიული კავშირის, ქრისტიანულ-სოციალური კავშირის, სოციალ-დემოკრატიული პარტიის — მიტინგებიდან პირდაპირ ჩართვაც ხდებოდა. ოთხივე პარტიამ დაახლოებით იცოდა, როდის მოხდებოდა მათი ღონისძიების ტრანსლაცია; ამიტომ, დროის სწორედ

ამ მონაკვეთში, ტრიბუნას ლიდერები იკავებდნენ. პულტზე დამაგრებული პატარა ნათურა ორატორს ეთერში გასვლის დროს ანიშნებდა. მათ ამ ორიოდე წუთისთვის ჰქონდათ შემონახული ამომრჩეველთათვის განკუთვნილი მთავარი სათქმელი.

მას შემდეგ, რაც ნიუ-იორკში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ ასამბლეაზე ორი დღე დავყავი, 28 სექტემბრის საღამოს ბონისკენ გამოვფრინდი, სადაც საარჩევნო მარათონი მელოდა. ჩემი თვითმფრინავი დილის 9 საათზე დაეშვა და უკვე 29 სექტემბერს მელოდნენ საარჩევნო შეხვედრებზე ბად ორბში, ფულდაში, ბად ჰერსფელდსა და ჰომბურგში. საღამოს სატელევიზიო დისპუტი გაიმართა, რომლის თემაც გახლდათ: საგარეო პოლიტიკისა და გერმანულ საკითხთან დაკავშირებული პოლიტიკის შედეგები; ეს გახლდათ ბალანსი, რომლის დანახვაც შესაძლებელი გახლდათ.

პროგრამის თანახმად ხუთშაბათს ნორდრაინ-ვესტფალენში უნდა ვყოფილიყავი; ბოხუმი, ჰერნე, გელზენკირხენი, გლადბახი, ბოტროპი, ობერჰაუზენი, — ეს ადგილები თავისუფალი დემოკრატიული პარტიის დიდ დასაყრდენს არ წარმოადგენდა, მაგრამ ღონისძიებებს ყველგან ბევრი ხალხი ესწრებოდა; ჩემს მიმართ ძირითადად კეთილგანწყობილნი იყვნენ. გვიან ნაშუადღევს სახლში დავბრუნდი, განტვირთვისათვის აბაზანა მივიღე და ნახევარი საათით დავიძინე, რათა საღამოსთვის, რომელსაც შეიძლება გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონოდა ბუნდესტაგის არჩევნების შედეგის თვალსაზრისით და გადამწყვეტი როლი ითამაშა კიდეც, მწყობრში ვყოფილიყავი. ამ საღამოს ქრისტიანულ-დემოკრატიული/ქრისტიანულ-სოციალური კავშირებისა და თავისუფალი დემოკრატიული პარტიის თავმჯდომარეები, ანუ — ჰელმუთ კოლი, ფრანც იოზეფ შტრაუსი და მე — სოციალ-დემოკრატიული პარტიის თავმჯდომარის — ვილი ბრანდტის — ნაცვლად ფედერალური კანცლერი ჰელმუთ შმიდტი მოვიდა — საუკეთესო საეთერო დროს უმნიშვნელოვანეს თემებზე ტელედებატებს ვმართავდით.

19 საათზე ფედერალურ კანცელარიას მივაშურე, რათა ჰელმუთ შმიდტთან დისკუსიის სტრატეგია შემეთანხმებინა; ნახევარი საათის შემდეგ დასავლეთგერმანულ რადიო და ტელეპროგრამების

ბონის სტუდიაში უნდა მივსულიყავით, რადგან გადაცემა 20 საათსა და 15 წუთზე იწყებოდა. გადაცემა შუაღამემდე გაგრძელდა და მასში მაყურებელთა მონაწილეობა სარეკორდო იყო იმ წელს.

სტუდიიდან რომ გამოვედი, მრავალმა ჟურნალისტმა მითხრა, თქვენს გამოსვლას დიდი წარმატება ხვდა წილადო. პარტიულ კომიტეტში და ჩემს მეუღლესთანაც რეკავდნენ, რაც ამ შთაბეჭდილების სისწორეს ადასტურებდა. თავისუფალი დემოკრატიული პარტიის საინფორმაციო განყოფილებებში თუ ჩემს საარჩევნო ღონისძიებებზე მთელ ფედერალურ მხარეში ამაღლებული განწყობილება სუფევდა.

პარასკევს ფრაიბურგში, ვილინგენში, ტუტლინგენში, იუბერლინგენში, ვაინგარტენში, ბიბერახში, ულმსა და პლოხინგენში გამოვდიოდი, შაბათს — არჩევნების წინა დღეს — დიუსელდორფსა და ვუპერტალში. შუადღისას სახლში საკმაოდ კმაყოფილი დავბრუნდი, თუმცა ჩემი ოპტიმიზმი ჩემი მეგობრების რწმენასთან შედარებით ერთობ შეზღუდული იყო.

იმ კვირების განმავლობაში მრავალი საუბრის დროს ვიგრძენი, რომ ახალი ფედერალური მთავრობის განახლების მოთხოვნილება გაიზარდა. უკმაყოფილება უშუალოდ ჰელმუთ შმიდტის წინააღმდეგ არ იყო მიმართული — ის კვლავ დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა და დამსახურებულადაც —, არამედ სოციალ-დემოკრატიულ პარტიაში არსებული გარკვეული ტენდენციების წინააღმდეგ. ამას ემატებოდა ისიც, რომ ჰელმუთ კოლი, როგორც რაინლანდ-პფალცის ახალგაზრდა ენერგიული პრემიერ-მინისტრი და ქრისტიანულ-დემოკრატიული/ქრისტიანულ-სოციალური კავშირების კანდიდატი კანცლერის პოსტზე — 1976 წელს ის ორმოცდაექვსი წლის გახლდათ — ქრისტიანულ-დემოკრატიული კავშირის პოლიტიკოსის ახალ ტიპს განასახიერებდა, რომელიც მრავალი დამკვირვებლის თვალში პოზიტიურად გამოირჩეოდა ფრანც იოზეფ შტრაუსისა და კურტ-გეორგ კიზინგერის ფონზე. კოლის შიდაპარტიულმა მოწინააღმდეგეებმა ეს სწორად ვერასდროს შეაფასეს და ვერ დააფასეს. თავიდანვე ასეთი ბედი ჰქონდა, მას სათანადოდ ვერ აფასებდნენ, რაც ზოგიერთ სიტუაციაში მისთვის უეჭველად სასარგებლოც გამოდგა.

თავისუფალ დემოკრატიულ პარტიაში ზედმეტად იმედიანი განწყობა ჰქონდათ. არჩევნების საღამოს პრეზიდიუმი ვენუსბერგზე მდებარე საგარეო საქმეთა სამსახურის სასტუმროში მოვიწვიე, რათა მეთქვა, რომ არჩევნების შედეგებთან დაკავშირებული ნაადრევი დასკვნებისაგან თავი შეეკავებინათ. დაახლოებით 17 საათსა და 30 წუთზე შევიკრიბენით. ბიბლიოთეკაში ორი ტელევიზორი დავადგმევინე, რათა წინასწარი მონაცემებისთვის ორივე არხზე გვედევნებინა თვალი.

გამოფხიზლების დროც მალე დადგა: მაჩვენებლების ზრდის ნაცვლად, როგორც ამას მრავალნი იმედოვნებდნენ და ჩვენც ველოდით, საარჩევნო შედეგი ადრინდელთან შედარებით, მცირე განსხვავებით, მაგრამ მაინც უფრო დაბალი გახლდათ; თავისუფალმა დემოკრატიულმა პარტიამ წინა მაჩვენებლისაგან — 8,4% — განსხვავებით ხმების 7,9 პროცენტი მიიღო. სოციალ-დემოკრატიულ პარტიას ეს უფრო მეტად შეეხო: 1972 წლის შედეგი — 45,8% — 42,6 პროცენტამდე დაეცა. ჰელმუთ შმიდტისათვის ეს მწარე შედეგი გახლდათ, შედეგი, რომელიც მის პირად მიღწევებს არ შეესატყვისებოდა. ამის საპირისპიროდ ჰელმუთ კოლმა ქრისტიანულ-დემოკრატიულ პარტიას და ქრისტიანულ-სოციალურ კავშირებს ხმების 48,6% მოაპოვებინა. ეს გახლდათ რეზულტატი, რომელიც უფრო დიდებული გამოჩნდება, როცა გავითვალისწინებთ, რომ მას ოპოზიციურმა პარტიამ მიაღწია. პარტიის თავმჯდომარეს შეეძლო ეს შედეგი, სავსებით სამართლიანად, პირად წარმატებად მიეღო, თუმცა არჩევნების მთავარი მიზნის მიღწევა — გამხდარიყო ფედერალური კანცლერი — მან ვერ შეძლო. თავისუფალ დემოკრატიულ და სოციალ-დემოკრატიულ პარტიებს შეეძლოთ ერთად შეექმნათ სუსტი უმრავლესობა.

სატელევიზიო საარჩევნო გადაცემის შემდეგ სახლში დავბრუნდი და ვცადე მშვიდად გამეანალიზებინა ეს შედეგი. აშკარა გახლდათ, რომ ამომრჩეველთა უმრავლესობა, ჰელმუთ შმიდტის მაღალი შეფასების მიუხედავად, ცვლილებას ამჯობინებდა. ხოლო ამას სოციალ-დემოკრატიული პარტიის საარჩევნო შედეგი კი არ უშლიდა ხელს, არამედ ჩვენი შედეგი. საერთო განწყობის ფონზე, რაც მთავრობის შეცვლის სურვილში გამოიხატებოდა და ჩვენი ერთმნიშვნელოვანი განცხადების გამო, რომ კოალიციას სოციალ-დემოკრატიულ პარტიასთან ერთად შევქმნიდით, ხმების 0,5 პრო-

ცენტის დაკარგვა მინიმალურიც კი იყო. ჩემი შეგრძნება, რომ ჩვენდამი სიმპათია არსებობდა, რასაც 30 სექტემბრის სატელევიზიო გადაცემამაც შეუწყო ხელი, სწორი გახლდათ; წინააღმდეგ შემთხვევაში კოალიციის შექმნისათვის ალბათ ხმები საკმარისი არ იქნებოდა. სამთავრობო პარტიები ძლივს გადაურჩნენ დამარცხებას. 1976 წლის 3 ოქტომბერს რესპუბლიკა სამთავრობო ცვლილების ზღვარზე იდგა; ახლა ყველაფერი კოალიციის პოლიტიკაზე იყო დამოკიდებული, მთავრობა კიდევ დიდხანს შეინარჩუნებდა პოზიციას, თუკი კვლავ დაიბრუნებდა ინიციატივას ყველა სფეროში.

უშუალოდ არჩევნების შემდეგ გაირკვა, რომ საარჩევნო დაპირების შესრულება — 1977 წლის პირველ ივლისამდე პენსიებს გავზრდითო — შეუძლებელი გახლდათ, რამაც პრესისა და საზოგადოების დიდი უკმაყოფილება გამოიწვია. შრომისა და სოციალური უზრუნველყოფის მინისტრმა ვალტერ არენდტმა პასუხისმგებლობა თავის თავზე აიღო და გადადგა. მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდა საგარეო საქმეთა სამსახურშიც. ჰანს-იურგენ ვიშნევსკი ჰელმუთ შმიდტის ფედერალურ კანცელარიაში გადავიდა, მას მიჰყვა სოციალ-დემოკრატიული პარტიის წარმომადგენელი, ყოფილი ფედერალური მინისტრი კლაუს ფონ დონანი, რომელთანაც შესანიშნავი, ნდობაზე დაფუძნებული თანამშრომლობა მაკავშირებდა. დონანი ევროპულ პოლიტიკაზე გადაერთო. კარლ მიორში, თავისუფალი დემოკრატიული პარტიის წევრი, სახელმწიფო-მინისტრი, ბუნდესტაგში აღარ იყრიდა კენჭს; ამრიგად, სახელმწიფო მინისტრის თანამდებობაც დატოვა. ამის შემდეგ ჰილდეგარდ ჰამ-ბრიუხერს ვთხოვე მისი თანამდებობა დაეკავებინა, რადგან ველოდი, რომ ის ახალ მნიშვნელოვან იმპულსს მისცემდა საგარეო კულტურულ პოლიტიკას. მას ეს იმედი არასდროს გაუცრუებია. ქალბატონმა ჰამ-ბრიუხერმა თავისი დიდი გამოცდილება და მრავალმხრივი ცოდნა კულტურისა და განათლების პოლიტიკის განხორციელებისთვის გამოიყენა. ჩვენ შესანიშნავად ვთანამშრომლობდით ექვსი წლის განმავლობაში. დღემდე ვნანობ, რომ 1982 წლის გარდატეხის პერიოდმა პოლიტიკური, თუმცა არა პარტიულ-პოლიტიკური, გაუცხოება გამოიწვია. დიდი ლიბერალი ქალბატონისადმი პატივისცემისა და დაფასების გრძნობა არასდროს გამნელებია, ამასობაში კი ჩვენ — პიროვნულად თუ პოლიტიკურად — ისევ დავახლოვდით.

ბუნდესტაგის არჩევნების წინა პერიოდში მხოლოდ საარჩევნო ბატალიებით არ ვყოფილვარ დაკავებული. 1976 წლის 27 სექტემბერს — როგორც უკვე აღვნიშნე —, ორშაბათს, გაერთიანებული ერების გენერალურ ასამბლეაზე გავემგზავრე ნიუ-იორკში, თუმცა იქ დიდხანს დაყოვნებას არ ვაპირებდი და აშშ-ში მხოლოდ ორდღიანი ვიზიტი მქონდა დაგეგმილი. გრომიკოსთან ერთობლივი სადილის შემდეგ მოლაპარაკებები მქონდა მრავალ სხვა კოლეგასთან. შვიდის ნახევარზე გაეროში უკვე ტრადიციად ქცეულ გერმანულ წვეულებას ვმართავდი, რომლის შემდეგაც ევროგაერთიანების საგარეო საქმეთა მინისტრების შეხვედრა იმართებოდა. მეორე დღეს, 28 სექტემბრის დილით, სიტყვით გამოვედი გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში, სადაც ფედერაციული რესპუბლიკის საგარეოპოლიტიკურ გეგმას განვმარტავდი. განვაცხადე, რომ ის სამ ძირითად კომპონენტს შეიცავდა. ესენი იყო: ევროპის გაერთიანება ევროგაერთიანებაში, ნატო როგორც „მშვიდობის პაქტი“ და დაძაბულობის შენელების პოლიტიკა.

ჩემს სიტყვაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პუნქტი გახლდათ ადამიანის უფლებების საკითხი. მე მოვითხოვდი გაეროს ადამიანის უფლებათა დაცვის სასამართლოს ამოქმედებას, რომელიც „როგორც დამოუკიდებელი, ობიექტური საერთაშორისო ინსტანცია შეძლებს უზრუნველყოს ადამიანის უფლებების დაცვა მთელ მსოფლიოში“. ეს ინიციატივა ჩემთვის იმ საგარეო პოლიტიკის გამოხატულება გახლდათ, რომელიც ძირითად კანონში მოცემულ, ჰელსინკის დასკვნით აქტში დამტკიცებულ და ადამიანის უფლებათა ორივე პაქტში დაფიქსირებულ სამართლებრივ ნორმებს ეფუძნება. ეს ორი პაქტი — ერთ-ერთი სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებებს აწესრიგებდა, მეორე კი ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებებს — უფრო ფართოდ უნდა გამოგვეყენებინა. „ჩვენი პოლიტიკა ყოველ ცალკეულ ადამიანს ემსახურება; მხოლოდ მისი უფლებების, ღირსებისა და პატივის რეალიზებაში პოვებს თავის დანიშნულებას პოლიტიკური და ეკონომიკური თანამშრომლობისათვის ჩვენს მიერ გაწეული ძალისხმევა“, — განვაცხადე მე.

ამასთან ერთად მეორე ინიციატივითაც გამოვედი: „ფედერ-

ალური მთავრობა თვლის, რომ აუცილებელია გაერომ შეიმუშაოს კონვენცია, რომელიც საყოველთაოდ გმობს მძევლების აყვანის ყოველ ფაქტს და უზრუნველყოფს ბოროტმოქმედთა ექსტრადიციას ან მათ გასამართლებას იმ ქვეყნის კანონებით, სადაც ისინი შეიპყრეს".

გაეროში საბჭოთა საგარეო საქმეთა მინისტრთან საუბარი ჩვენი ელჩის, რიუდიგერ ფონ ვეხმარის, რეზიდენციაში შედგა. საუბარმა ორსაათნახევარს გასტანა და გრომიკო მას ძალზე ამწვავებდა; არამარტო დაძაბულობის პოლიტიკის შენელებისადმი, განიარაღებისა და ბერლინთან დაკავშირებული ოთხმხრივი ხელშეკრულების საკითხებისადმი ფედერალური მთავრობის პოზიციას აკრიტიკებდა, არამედ გდრ-ის მიმართ ჩვენს პოლიტიკასაც. ვალში არც მე დავრჩენილვარ, გერმანია-გერმანიის საზღვარზე შექმნილ ვითარებასთან დაკავშირებით ვუთხარი: გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკას, როგორც სახელმწიფოს, მოკავშირე ქვეყნებთან მრავალი საზღვარი აქვს, — მოკავშირე, ნეიტრალურ და სოციალისტურ ქვეყნებთან —, მაგრამ იმდენი მსხვერპლი, რამდენიც გდრ-თან საზღვარზეა, არც ერთ სხვა საზღვარზე არ არის-მეთქი.

გრომიკომ გენერალურ ასამბლეაზე ჩემი მოსალოდნელი გამოსვლაც ახსენა. გარკვეულ საკითხებთან დაკავშირებით, რომელთა წამოჭრასაც საერთაშორისო საზოგადოებრიობის წინაშე აპირებთ, ჭორები გავრცელდაო, — მითხრა მან. სიტყვა „ჭორები" კორექტული არ გახლდათ, რადგან საბჭოთა ელჩს ბონში და — ჩვენი მოსკოვის საელჩოს მეშვეობით — საბჭოთა საგარეო საქმეთა მინისტრს ორივე ჩაფიქრებული ინიციატივის შესახებ წინასწარ ვაცნობე. გერმანული საგარეო პოლიტიკის ღიაობა და გამჭვირვალობა ამ შემთხვევაშიც გერმანიის საგარეო პოლიტიკის პროგნოზირებადობის დამახასიათებელი ნიშანი უნდა ყოფილიყო. ბუნებრივია შეგნებული მქონდა, რომ საბჭოთა კავშირის უკმაყოფილებას ყველაზე მეტად ადამიანის უფლებათა დაცვის სასამართლოსთან დაკავშირებული ინიციატივა გამოიწვევდა. მაგრამ ეს ჩვენთვის შემაბრკოლებელი მიზეზი არ უნდა ყოფილიყო; ასე რომ, გრომიკოსთან საუბარი საშუალებას მაძლევდა, ინიციატივის მოტივები აღმეწერა და უფრო მკაფიოდ განმემარტა, რომ საბჭოთა კავშირთან, გდრ-თან და სხვა სოციალისტურ ქვეყნებთან სულ უფრო მჭიდრო თანამშრომლობა, ჩვენი თვალთახედვიდან გამომდინარე, დადებული ხელშეკრულებებ-

ისა და ჰელსინკის დასკვნითი აქტის სულისკვეთებას შეესატყვისებოდა. მოსკოვსა და მის მოკავშირეებს უნდა სცოდნოდათ, ჩვენი პოზიციების თანხვედრისა თუ ერთმანეთის შეუთანხმებლობის შემთხვევაში რას მოვიმოქმედებდით.

ისეთ ადამიანთან, როგორიც გრომიკო გახლდათ, გულახდილობით უფრო მეტ პატივისცემას მოიპოვებდი, ვიდრე თავგამოდებული საუბრებით, საზოგადოების წინაშე ფუჭსიტყვაობით და გაუთვალისწინებელი ქმედებებით. მას შემდეგ, რაც ჩვენი ორივე ინიციატივა განვუმარტე, გრომიკომ მითხრა: თუკი ეცდებიან ზედმეტად მიუახლოვდნენ გდრ-ს, საბჭოთა კავშირს ან ქვეყნების ჯგუფს — იგულისხმებოდა სოციალისტური ქვეყნები —, ამას იოლად ვერ შეეგუებითო. არა მგონია, აზრი ჰქონდეს ტრიბუნალის შექმნას, რომელიც „ადამიანის უფლებების აქციების ღირებულებას“ ვერ გაზრდისო. მძევლების აყვანის აკრძალვასთან დაკავშირებით უფრო თავშეკავებული გახლდათ. მან კრიტიკული შენიშვნა გამოთქვა იმის თაობაზე, რომ ეს პრობლემა ტერორიზმისა და დაქირავებული ჯარისკაცების პრობლემისაგან იყო გამიჯნული. „ეს ყველას არ მოეწონება!“ — აღნიშნა მან. ამ საკითხში ჩემს მხარდაჭერას ვერ დაგპირდებითო.

ძალზე მშვიდად შევეპასუხე: საბჭოთა კავშირმა და სოციალისტურმა ქვეყნებმა გაეროს ადამიანის უფლებათა პაქტებსა თუ ჰელსინკის დასკვნით აქტს ხელი მოაწერეს და მათი შესრულების მოთხოვნა მხოლოდ ამის გამოც უკვე ლეგიტიმურია. ადამიანის უფლებათა საკითხს ჩვენ გადამწყვეტ მნიშვნელობას ვანიჭებთ-მეთქი. ერთი ჩვენებური ანდაზა არსებობს — კაცმა თვითონ უნდა გადაწყვიტოს, ჩაიცვას ფეხსაცმელი თუ არა. საკითხი ობიექტურად უნდა განვიხილოთ; ვისაც კეთილი ნება ამოძრავებს, ის ამაში უწესობას ვერ აღმოაჩენს, თუმცა რეაქციებს ძალზე დაკვირვებით შევისწავლით. ვისაც ამასთან დაკავშირებით ჩვენთან ჩხუბი სურს, ამის საშუალებას მივცემთ, მაგრამ ჩვენ ჩხუბის საბაბს არ ვეძებთ-მეთქი.

ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო ტრიბუნალის ინიციატივით გამოსვლა ჩემთვის იოლი საქმე არ გახლდათ. ამ წინადადების წინააღმდეგ მხოლოდ საბჭოთა კავშირი არ წასულა; მესამე სამყაროს მრავალი სახელმწიფო შეშფოთებას გამოთქვამდა

მათ საქმეებში დასავლეთის შესაძლო ჩარევის გამო. ბონის კოალიციაშიც მერყეობა და კრიტიკული დამოკიდებულება იგრძნობოდა, თუმცა კრიტიკული ხმები სოციალ-დემოკრატთა პირველი რიგიდან არ გაისმოდა. გარდა ამისა, ჯერაც გაურკვეველი გახლდათ, თუ რა რეაქცია ექნებოდათ დასავლურ სახელმწიფოებს. ეს ინფორმაცია მათთვისაც ცნობილი იყო, თუმცა ჯერ მხარდაჭერა არ გამოეხატათ. როგორც ჰელსინკის დასკვნითი აქტის შემთხვევაში, ფედერაციულმა რესპუბლიკამ ადამიანის უფლებების დაცვის ინიციატივა გაეროშიც თვითონ იტვირთა.

ამ შეხლა-შემოხლის შემდეგ გრომიკო ცდილობდა საუბარი შემრიგებლურად დაებოლოებინა. რა ხანია მოლაპარაკებებს ვაწარმოებდით სამხედრო ატაშეების გაცვლასთან დაკავშირებით და ნიუიორკში ბოლოს და ბოლოს ამ საკითხზე შეთანხმებას მივაღწიეთ. შევთანხმდით იმის თაობაზეც, თუ რა პოზიცია გამოგვეხატა მოლაპარაკების შემდეგ პრესის წინაშე. ჩვენ ამგვარი ფორმულირება შევიმუშავეთ: მოლაპარაკება გულახდილ ატმოსფეროში მიმდინარეობდა და კონსტრუქციული გახლდათ; მას საზოგადოებისთვის უნდა მიენიშნებინა, რომ არსებითი წინააღმდეგობების მიუხედავად, ორივე მხარე კარგი ურთიერთობის გაგრძელების მომხრე იყო.

საბჭოთა საგარეო საქმეთა მინისტრმა მეორე დღეს, 28 სექტემბერს, გენერალურ ასამბლეაზე სიტყვით გამოსვლისას — ისე, რომ ჩემი სახელი არ უხსენებია — ძალზე პოლემიკური ფორმით წამოჭრა ადამიანის უფლებების საკითხი: „ცდილობენ, დაძაბულობის შენელება იმგვარად წარმოადგინონ, თითქოს ის სხვა სახელმწიფოების შინაგან საქმეებში ჩარევის უფლებამოსილების სიგელი იყოს. სხვაგვარად როგორ უნდა შევაფასოთ მავანთა და მავანთა ფარისეველური ზრუნვა სხვა სახელმწიფოს მოქალაქეთა უფლებებზე?“ კაცი, რომელიც ინტელექტითა და გამჭრიახობით გამოირჩეოდა, როგორც ჩანს, შიშობდა, ადამიანის უფლებებისა და ჰუმანიტარული საკითხების საჯარო განხილვას სოციალისტური ხელისუფლების სივრცეში სისტემის შეცვლა არ გამოეწვია. ამით მან უფრო მკაფიოდ გამოხატა აზრი, ვიდრე ჩვენი დაძაბულობის შენელების პოლიტიკის ზოგიერთმა დასავლელმა სულმოკლე მოწინააღმდეგემ, ან სოციალ-დემოკრატმა კრიტიკოსებმა, რომლებიც უფრო ფუნქციონალურ — ნეიტრალურ — დაძაბულობის შენელების პოლიტიკას

ემხრობოდნენ. მოგვიანებით გაეროში კიდევ ერთი ინიციატივა წამოვაყენეთ. ეს გახლდათ სიკვდილით დასჯის გაუქმების მოთხოვნა; ჩვენ მხარი დავუჭირეთ წამების აკრძალვის კონვენციას. გაეროში ამ წინადადებებზე კენჭისყრის პროცესი დიდ მოთმინებასა და გამძლეობას ითხოვდა, მაგრამ ყველაზე მნიშვნელოვანი ის გახლდათ, რომ ეს ფორუმი საერთოდ კონკრეტულ ნაბიჯებს დგამდა ადამიანის უფლებების დასაცავად. მნიშვნელოვანი გახლდათ ისიც, რომ გერმანია გამოდიოდა ამ ინიციატივებით, ან სულ მცირე, მხარს უჭერდა ამგვარ წინადადებებს. ასეთ პრინციპულ საკითხებში ფარხმალს იოლად არ ვყრიდით მაშინაც, როცა მნიშვნელოვან მეგობრებს, პარტნიორებსა თუ მოკავშირეებს — მაგალითად, აშშ-ს — განსხვავებული პოზიცია ჰქონდათ სიკვდილით დასჯის გაუქმების საკითხთან დაკავშირებით.

გენერალურ ასამბლეაზე ჩემს გამოსვლას ველოდებოდი და საკუთარ თავს ვეკითხებოდი: ჩვენი დაძაბულობის შენელების პოლიტიკის, ევროთათბირისა და გაეროში ჩვენი წევრობის შიდაპოლიტიკური მოწინააღმდეგენი თავის პოზიციას როგორ გაამართლებენ-მეთქი? ჩვენთვის ხომ უდავოდ წამგებიანი იქნებოდა ევროთათბირისა თუ გაეროში თანამონაწილეობაზე უარის თქმა. ახლა გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ჩვენი მოსაზრებებისა და ღირებულებაზე ჩვენეული წარმოდგენების გამოხატვის საშუალება გვეძლეოდა. ვის რა უნდა ეთქვა ამის საწინააღმდეგოდ? გერმანულ საკითხზე ვის ჰქონდა უკეთესი არგუმენტები? გდრ-ის საგარეო საქმეთა მინისტრ ფიშერს ხომ არა, რომელიც გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ხალხზე ლაპარაკობდა და მე — ისე, რომ ჩემ სახელს არ ახსენებდა — ბრალს მდებდა, თითქოს გაეროს მაღალი ტრიბუნიდან იმაზე ვსაუბრობდი, რასაც რეალობასთან საერთო არაფერი ჰქონდა. ცამეტი წლის შემდეგ გდრ-ის ქუჩებში ადამიანებმა დაადასტურეს რეალობის ჩემეული გაგება.

## *აქტიური პოლიტიკისათვის აფრიკასთან მიმართებაში: აპარტეიდის წინააღმდეგ*

მას შემდეგ, რაც ფედერაციული რესპუბლიკა გაეროში გაერთიანდა, ბონს საშუალება მიეცა შეესრულებინა დანაპირები, რომლის შესახებაც ფედერალურმა საგარეო საქმეთა მინისტრმა, ვალტერ შეელმა, 1973 წლის 29 სექტემბერს, გფრ-ის გაეროში გაწევრიანებასთან დაკავშირებული გამოსვლისას განაცხადა: „გარწმუნებთ: სადაც არ უნდა გაიმართოს ბრძოლა ადამიანის ფიზიკური გადარჩენისათვის, სადაც ადამიანის ღირსეული არსებობის უფლებას ხელყოფენ, იქ თქვენ მებრძოლთა მეწინავე რიგებში ყოველთვის იხილავთ გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკას“.

1976-78 წლებში უშიშროების საბჭოში გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის არჩევამ გერმანიის უფრო აქტიური საერთაშორისო მოღვაწეობისთვის კარგი საფუძველი შექმნა. განსაკუთრებით აფრიკის სამხრეთში კიდევ უფრო გამწვავებულ პრობლემებთან მიმართებაში მზად ვიყავით, კოლექტიური პასუხისმგებლობა გაგვეზიარებინა. ჩვენ დავხურეთ გერმანიის საკონსულო უინდჰუკში, რომელსაც პრეტორიაში არსებული ჩვენი საელჩო ხელმძღვანელობდა, რათა გვენიშნებინა, რომ არ ვაღიარებდით სამხრეთ აფრიკის ნამიბიაზე ბატონობას. გარდა ამისა, გადავწყვიტეთ, რომ სამხრეთ აფრიკასთან დადებული კულტურული ხელშეკრულების ნამიბიაზე გავრცელება დაუშვებელი იყო.

პოლიტიკური კურსის შეცვლასთან დაკავშირებული გადაწყვეტილება საფუძვლიანი გააზრებისა და იმ კონსულტაციების შედეგი გახლდათ, ფრონტისპირა სახელმწიფოებსა და აფრიკის სახელმწიფოთა პოლიტიკურ ლიდერებთან რომ ვმართავდით; 1977 წლის სექტემბერში ბოლო კონსულტაცია გავმართეთ ბონში ნიგერიის საგარეო საქმეთა მინისტრ გარბასთან. სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა, ნამიბია და აგრეთვე ქრისტიანულ-დემოკრატიულ/ქრისტიანულ-სოციალური კავშირების ოპოზიცია ამ ნაბიჯს ძალზე კრიტიკულად შეხვდნენ.

ნამიბიის, როგორც გერმანული რაიხის ყოფილი კოლონიის განსაკუთრებული ისტორიის გამო, კოლონიისა, სადაც უწინდელივით მრავალფეროვანი გერმანული კულტურული ცხოვრება ჩქეფდა,

და თავად იქ მცხოვრებ გერმანელთა გამოც, მოწადინებულნი ვიყავ-ით ხელი შეგვეწყო ამ ქვეყნის დეკოლონიზაციისათვის. ნამიბიის თეთრკანიან მაცხოვრებელთა თითქმის ნახევარი გერმანული წარ-მოშობის გახლდათ. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ სამხრეთ აფ-რიკის რესპუბლიკამ უგულებელყო გაეროს გადაწყვეტილება და უარი თქვა საერთაშორისო მეურვეობის სისტემაში სამხრეთ-დასავ-ლეთ აფრიკის ჩართვაზე და ფაქტობრივად ნამიბიის ანექსირება მოახდინა; ამიტომ გაერომ 1966 წელს შეწყვიტა სამხრეთ-დასავ-ლეთ აფრიკაზე სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის მმართველობის მანდატი და მის ტერიტორიაზე პირდაპირი პასუხისმგებლობა თა-ვად იკისრა. სამხრეთი აფრიკა კი არ იყო მზად ამ დადგენილების განსახორციელებლად. 1975 წელს უინდჰუკში ეგრეთ წოდებული „სპორტული დარბაზების კონფერენცია" ჩატარდა, რომელსაც ნამიბიის ყველა ეთნიკური ჯგუფი ესწრებოდა ყველაზე მნიშვნელოვანი ჯგუფის — ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის სამხრეთ-დასავლეთ აფრიკის სახალხო ორგანიზაციის (SWAPO) გარდა. თუმცა, სწორედ ეს ორგანიზაცია გახლდათ ნამიბიის ლეგიტიმური წარმომადგენე-ლი, რომელიც გაერომ აღიარა. სამხრეთ აფრიკამ აიღო ვალდე-ბულება, ჩაეტარებინა თავისუფალი არჩევნები, თუმცა ამ კონფერ-ენციის მიზანი ის უნდა ყოფილიყო, რომ ნამიბიის პრობლემის ინტერნული გადაჭრა სამხრეთ-დასავლეთ აფრიკის სახალხო ორ-განიზაციის გარეშე მოეხდინათ. სამხრეთ-დასავლეთ აფრიკის სახ-ალხო ორგანიზაცია სამოციანი წლების დამდეგს და შუახანებში გამუდმებით ცდილობდა დასავლეთის მხარდაჭერის მოპოვებას. ვი-ნაიდან ეს მხარდაჭერა არ აღმოუჩინეს, მან სოციალისტურ ქვეყ-ნებს სთხოვა დახმარება. ამასობაში სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა ანგოლაში შეიჭრა, რათა სამხრეთ-დასავლეთ აფრიკის სახალხო ორგანიზაციისათვის შეიარაღებული დაპირისპირების საშუალება მოესპო.

1976 წელს ანგოლასა და მოზამბიკში ხელისუფლების სათ-ავეში მარქსისტული მთავრობა მოვიდა, რამაც დასავლეთის დიდი შეშფოთება გამოიწვია. 1976 წლის 28 სექტემბერს ნიუ-იორკში, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ოცდამეთერთმეტე გენერ-ალურ ასამბლეაზე განვაცხადე: „აფრიკის მშვიდობიანი განვითარე-ბის იმედი მხოლოდ იმ შემთხვევაში უნდა გვქონდეს, მშვიდობა

მყარი მხოლოდ იქ იქნება, სადაც არავინ ცდილობს შეაჩეროს ისტორიულად აუცილებელი ცვლილება. სამხრეთ აფრიკაშიც ყველამ უნდა იცოდეს: დღევანდელ მსოფლიოში რასიზმისა და კოლონიალიზმის ადგილი აღარ არსებობს. ამის დრო წავიდა". პრეტორიის მთავრობას მოვუწოდებდი, ნამიბიაში ბატონობა დაესრულებინა, თანაც რაც შეიძლება მალე:

— „აღიაროს გაერთიანებული ერების კომპეტენცია — დამოუკიდებლობა მიანიჭოს ყოფილ სამანდატო ტერიტორიას;

— გაეროს მეთვალყურეობით, თვითგამორკვევის უფლების გამოყენების საშუალებით, დამოუკიდებლობის მომზადების პროცესში ჩართოს ყველა პოლიტიკური ძალა".

სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის მთავრობას მოვუწოდე: „უარი თქვით აპარტეიდის პოლიტიკაზე და აუცილებელი რეფორმების გატარება აღარ დააყოვნოთ. წარსულის მემკვიდრეობის დაცვა მხოლოდ მას შეუძლია, ვინც მზად არის აუცილებელი ცვლილებისთვის. ჩვენ მხარს ვუჭერთ ზამბიის პრეზიდენტის ქენეთ ქაუნდას მოწოდებას სამხრეთ აფრიკის თეთრკანიანებისადმი. მან მოუწოდა თეთრკანიანებს შეერთებოდნენ აფრიკის სხვა ნაწილებს და აეშენებინათ ახალი საზოგადოება, რომელიც კანის ფერზე არ გაამახვილებდა ყურადღებას. თანასწორუფლებიან შავკანიანთა და თეთრკანიანთა ახალი საზოგადოება მხოლოდ ასე შეძლებს ერთობლივად დაძლიოს კონტინენტის განვითარების დიადი ამოცანები".

ერთი წლის შემდეგ, 29 სექტემბერს, ნიუ-იორკში, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ოცდამეთორმეტე გენერალურ ასამბლეაზე, უფრო გარკვევით ვთქვი: „ფედერალური მთავრობის პოლიტიკა მკაფიოა: ჩვენ მხარს ვუჭერთ აფრიკის სახელმწიფოთა დამოუკიდებლობას და რასების თანასწორუფლებიანობას. ჩვენ წინააღმდეგი ვართ კოლონიალიზმის, ყოველგვარი სახის რასობრივი დისკრიმინაციისა და გარეშე დიქტატის პოლიტიკით აფრიკელი ხალხის დაკაბალების ახალი ფორმების დამკვიდრებისა... გერმანიის ფედერალური მთავრობა სოლიდარობას უცხადებს ყველას, ვინც განმათავისუფლებელ მოძრაობებში თუ სადმე სხვაგან მშვიდობიანი ხერხებით იბრძვის თვითგამორკვევისა და ადამიანის უფლებებისათვის".

ეს ერთმნიშვნელოვნად ნიშნავდა იმას, რომ განმათავისუ-

ფლებელი მოძრაობების მიზნებს ვიცავდით, მაგრამ პოლიტიკურად თუ ეკონომიკურად მხოლოდ იმ მოძრაობას დავეხმარებოდით, რომელიც ძალადობაზე უარს ამბობდა. ამგვარად, ხალხთა თვითგამორკვევის უფლების აღიარება გავუთანაბრეთ და გვერდში ამოვუყენეთ პოლიტიკური საკითხების ძალისმიერი მეთოდებით გადაჭრაზე უარის თქმას.

1978 წლის მეორე ნახევარში ევროგაერთიანების მინისტრთა საბჭოში გერმანიის თავმჯდომარეობა იმისთვის გამოვიყენე, რომ აშშ-სა და კანადასთან შეთანხმებით „დიდი ცხრიანის" დამოუკიდებელი აფრიკული პოლიტიკა დამეცვა. ჩემი თვალსაზრისით, აფრიკის სამხრეთში არსებული მწვავე საკითხები უშუალოდ ეხებოდა ევროპის ინტერესებს: ევროპა და აფრიკა მეზობლები არიან, ამიტომ ჩვენ ვიტალური ინტერესი გაგვაჩნია აფრიკის დამოუკიდებლობისადმი, რომელსაც თანასწორუფლებიანი პარტნიორობა აკავშირებს ევროპასთან. „დიდი ცხრიანის" ქვეყნების აფრიკის კონტინენტთან ეკონომიკურ თანამშრომლობას თუ ლომეს კონვენცია განსაზღვრავდა, სამხრეთ აფრიკასა და ნამიბიასთან მიმართებით სასურველი გახლდათ გაეროს ფარგლებში ერთობლივი პოლიტიკის შემუშავება. ბოლოს ცხრა სახელმწიფო შეთანხმდა, იმაზე, რომ მტკიცედ დაეჭირათ მხარი უშიშროების საბჭოს წევრი ხუთი დასავლური სახელმწიფოს იმჟამინდელი ძალისხმევისთვის ნამიბიის პრობლემის გადასაწყვეტად.

უშიშროების საბჭოს წევრებმა საკონტაქტო ჯგუფი ჩამოაყალიბეს, რათა კონფლიქტის მონაწილე მხარეებთან ყველასათვის მისაღებ გადაწყვეტილებაზე მოლაპარაკება ეწარმოებინათ. 1977-1978 წლებში გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა — ამერიკის შეერთებულ შტატებთან, დიდ ბრიტანეთთან, საფრანგეთთან და კანადასთან ერთად — როგორც არჩეული წევრი უშიშროების საბჭოში შედიოდა, რაც ამ ხუთი ქვეყნის მიერ შედგენილ საკონტაქტო ჯგუფში ახალი პოლიტიკური პასუხისმგებლობის გაზიარების შესაძლებლობას გვაძლევდა. ასე შეიმუშავა ამ ჯგუფმა კონსტიტუციის მოდელი, საარჩევნო კანონი და ნამიბიის პოლიტიკური გარდაქმნის საკითხი. სამხრეთ აფრიკასთან და სამხრეთ-დასავლეთ აფრიკის სახალხო ორგანიზაციასთან დაჟინებული მოლაპარაკებებ-

ის შემდეგ და ჩინებული თანამშრომლობის შედეგად იმ ფრონტისპირა ქვეყნებთან, ნიგერიის ჩათვლით, რომლებიც კომპრომისს ეძებდნენ, 1978 წლის აპრილში საშუამავლო წინადადება ჩამოვაყალიბეთ, რომელიც გაეროს მეთვალყურეობითა და კონტროლით მთელ ნამიბიაში თავისუფალი არჩევნების ჩატარებას ითვალისწინებდა; ამ წინადადების ძირითადი არსი გახლდათ პრინციპი: „one man, one vote“*.

წარმატებული აღმოჩნდა საკონტაქტო ჯგუფის შეხვედრები ნამიბიის წარმომადგენლებთან გაეროს ამერიკის საელჩოში, ნიუიორკში, ასევე ეგრეთ წოდებულ „სპორტული დარბაზების ალიანსთან“, რომელსაც დირკ მაჯი მეთაურობდა, სამხრეთ-დასავლეთ აფრიკის სახალხო ორგანიზაციის ხელმძღვანელთან სემ ნუიომასთან, ისე როგორც სამხრეთ აფრიკის მთავრობასთან, რომელსაც ამ შეხვედრაზე საგარეო საქმეთა მინისტრი პიკ ბოთა წარმოადგენდა. პიკ ბოთა — არ აგვერიოს პრეზიდენტ ბოთაში — უაღრესად ემოციური, პირდაპირი და — იმ წინააღმდეგობების მიუხედავად, ჩვენ შორის რომ არსებობდა — არც თუ უსიამოვნო ადამიანი გახლდათ. თანამშრომლობა ურთიერთგაგებას უზომოდ აიოლებდა.

საკონტაქტო ჯგუფის საგარეო საქმეთა მინისტრები — საირუს ვენსი (აშშ), მაკგაიგანი (კანადა), დევიდ ოუენი (დიდი ბრიტანეთი), აგრეთვე საფრანგეთის მაღალი რანგის წარმომადგენელი და მე — 1978 წლის ოქტომბერში ჯერ ნამიბიას ვესტუმრეთ და შემდეგ სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკას. ჩვენდა სასიხარულოდ, ჩვენს შორის ერთსულოვნება სუფევდა. თავდაპირველად უინდჰუკში გავემგზავრეთ, სადაც სხვადასხვა ჯგუფების წარმომადგენლებს შევხვდით. ნამიბიელმა გერმანელებმა, რომლებიც საერთოდ არც კი მიცნობდნენ, საპროტესტო აქცია მომიწყვეს. იმ დროს უინდჰუკში ტელევიზია ჯერ არ არსებობდა და დემონსტრანტებმა არც იცოდნენ, როგორ გამოვიყურებოდი. გერმანელმა ჟურნალისტმა ჰანს გერმანიმ გადაწყვიტა ეს საკითხი თვითონ მოეგვარებინა და როცა მანქანიდან გადმოვედი და სასტუმროსკენ გავეშურე, დაიძახა: „აი, ისიც!“ ტრანსპარანტები მაღლა ასწიეს, უკმაყოფილო შეძახილებიც გაისმა. მოლაპარაკებები კი ძალზე მშვიდობიანად მიმდინარეობდა; ნამი-

* „ერთი კაცი, ერთი ხმა“. (ინგლ.)

ბიელ გერმანელთა უმრავლესობა რა ხანია იზიარებდა აზრს, რომ დამოუკიდებლობის გზაზე თანამშრომლობა გონივრული იქნებოდა. საპროტესტო აქცია გერმანიაში არსებული კონსერვატიული ძალების მიერ იყო ინსპირირებულიო, — მითხრეს მოგვიანებით.

უინდჰუკიდან პრეტორიაში გავემგზავრეთ. ამასთან დაკავშირებით პრეზიდენტმა ბოთამ სადილი გამართა, რომელსაც პიკ ბოთა და ხუთი დელეგაციის ხელმძღვანელი ესწრებოდა. სადილზე სკანდალი მოხდა: სამხრეთ აფრიკის პრეზიდენტი საკონტაქტო ჯგუფის მონაწილე ხუთი ქვეყნის პოზიციას გაუგონარი ფორმით აკრიტიკებდა. სათითაოდ მიმართავდა დელეგაციის ხელმძღვანელებს და აცხადებდა: უნდა გაითვალისწინოთ, რომ — მადლობა ღმერთს! — თქვენს ქვეყანაში მომავალი არჩევნებისას აღარ აგირჩევენო. ასე მოურიდებლად და უხეშად მიმართა მან ჯერ ვენსს, შემდეგ ოუენს, კანადელ კოლეგას — მაკგიგანს და ბოლოს საფრანგეთის წარმომადგენელს. ჩემთვისაც იმავეს გამეორება დააპირა თუ არა, ხმის ამოღება არ ვაცალე, მაგიდას მუშტი დავარტყი და ვუთხარი: „ვიდრე ასე მომმართავდეთ, მინდა გითხრათ, რომ აქ წარმოდგენილ სახელმწიფოებში მთავრობების შეცვლა გამორიცხული იქნებოდა, მოსახლეობის სამ მეხუთედს — როგორც ეს თქვენთან ხდება — არჩევნებში მონაწილეობა აკრძალული რომ ჰქონდეს. სხვათა შორის, ამაოდ იმედოვნებთ, რომ ჩემს მთავრობას და მასთან ერთად მეც გადამირჩევენ“. აქვე დავძენ, რომ ვაშინგტონს, ოტავას, ლონდონს და პარიზს მართლა აუხდა ბოთას წინასწარმეტყველება. ყოველ შემთხვევაში, იმ საღამოს ბოთამ ამგვარი გამოხდომები შეწყვიტა, მე კი ავდექი და დარბაზი დავტოვე, ხოლო პრეზიდენტი და მისი საგარეო საქმეთა მინისტრი უკან გამომეკიდნენ ამ სიტყვებით: ახლა, აქვე, ყავა ერთად ხომ არ დაგველიაო. ჩვენ დავსხედით. მათ შუაში ჩამისვეს და საუბარი გააგრძელეს, ამჯერად სასიამოვნო ტონში ჟღურტულებდნენ, თითქოს არაფერი მომხდარიყოს. ჩემთვის უჩვეულო ჟესტმა, მაგიდაზე დარტყმამ ისე, რომ ჭიქები აცეკვდნენ, და ჩემმა მკაფიო შენიშვნებმა აშკარად ჭექა-ქუხილი გამოიწვია. ამან კი შეხვედრის ატმოსფერო განწმინდა.

საკონტაქტო ჯგუფის ფარგლებში ჩვენ, უპირველეს ყოვლისა, ამერიკის მთავრობასთან ვთანამშრომლობდით, რაც იმითაც

იყო განპირობებული, რომ ენდრიუ იანგი, ამერიკის ელჩი გაეროში, ძლიერ და დადებით გავლენას ახდენდა კარტერის მთავრობის აფრიკულ პოლიტიკაზე. მდგომარეობა შეიცვალა, როდესაც 1981 წელს ვაშინგტონში რეიგანის მთავრობამ იტვირთა პასუხისმგებლობა. რეიგანის ადმინისტრაციას სურდა ანგოლის დაშოშმინება და ნამიბიის საკითხის გადაწყვეტა ერთმანეთთან დაეკავშირებინა. საკონტაქტო ჯგუფში მონაწილე ევროპელები სკეპტიკურად იყვნენ განწყობილნი. ვშიშობდით, რომ ამგვარი დაკავშირება (linkage) ნამიბიის სამშვიდობო პროცესის სერიოზულ შეფერხებას ან, სულ მცირე, გაჭიანურებას გამოიწვევდა. სრულიად საპირისპიროდ უნდა მოვქცეულიყავით: ჯერ ნამიბიაში უნდა დაგვემყარებინა მშვიდობა და მშვიდობიანი ქვეყანა გამოგვეყენებინა, როგორც ანგოლის საკითხის მოწესრიგების საფუძველი.

რეიგანის გაპრეზიდენტებიდან ორი თვის შემდეგ, 1981 წლის მარტში, დასავლური საკონტაქტო ჯგუფი კვლავ შეიკრიბა ლონდონში. აშშ-ის საგარეო საქმეთა მინისტრის ალ ჰეიგის მოსაზრების თანახმად, სახელმწიფო მდივნის თანაშემწემ, სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენელმა ჩესტერ ქროქერმა აფრიკაში მოგზაურობის დროს წამოაყენა იდეა, ანგოლისა და ნამიბიის პრობლემების გადაჭრა ერთმანეთთან დაგვეკავშირებინა, რაზეც შავკანიანმა აფრიკელებმა, უპირველეს ყოვლისა, ფრონტისპირა სახელმწიფოების წარმომადგენლებმა, უარი განაცხადეს. 1981 წლის მაისში ნატოს მინისტრთა საბჭოს სხდომაზე რომში და იმავე წლის ივლისში კანადის ეკონომიკურ სამიტზე აშშ-თან ხელახლა გაიმართა არაფორმალური მოლაპარაკებები „ხუთეულის“ შემდგომი მოქმედების საკითხზე.

დაკავშირების (linkage) პოლიტიკის გამო ყველაზე მეტად ვაშინგტონსა და პარიზს შორის დაიძაბა ვითარება. მიუხედავად ამისა, ვცდილობდი „ხუთეულის“ ინიციატივის შესუსტება შემეფერხებინა. ამას დიდად შეუწყო ხელი საგარეო საქმეთა მინისტრ ჰეიგთან კეთილმეგობრულმა ურთიერთობამ და იმ ფაქტმა, რომ ვაშინგტონის ახალი ადმინისტრაცია პრინციპულად იზიარებდა „ხუთეულის“ ინიციატივის აუცილებლობას. ეს თავისთავად ცხადი რამ არ გახლდათ, რადგან სწორედ საკონტაქტო ჯგუფი წარმოადგენდა კარტერის მთავრობის, განსაკუთრებით კი ენდრიუ იანგის

სპეციალურ პროფილირებულ საგარეოპოლიტიკურ პროექტს.

გამოირკვა, საერთო აზრის შემუშავებისათვის რაოდენ დიდი მნიშვნელობა ჰქონდა აშშ-თან მუდმივ დიალოგს. ჩემსა და მის მთავრობას შორის არსებულ წინააღმდეგობებზე ჩესტერ ქროქერი მოგვიანებით წერდა: „ჰანს-დიტრიხ გენშერმა, ბონის კოალიციური მთავრობის საგარეოპოლიტიკური აპარატის ხელმძღვანელმა, პრეტორიაში „თეთრი ყვავის“ როლი აირჩია, რაკიღა მტკიცედ იცავდა ნამიბიის დამოუკიდებლობის კურსს. ასეთი გახლდათ პოლიტიკური ფონი იმ შეხვედრისა, 19-21 ივლისს ოტავაში რომ შედგა. ყველა სუნთქვაშეკრული უსმენდა ალექსანდერ ჰეიგის კატეგორიულ განცხადებას იმის თაობაზე, რომ ანგოლასთან დაკავშირებით მკაფიო შეთანხმების გარეშე სამხრეთ აფრიკასთან თანამშრომლობა შეუძლებელი იქნებოდა. თანხმობის მიუღწევლობის შემთხვევაში სამხრეთ აფრიკელები ნამიბიას არ დატოვებდნენ და თუ უფრო მოქნილად არ ვიმოქმედებდით კუბელების ანგოლიდან გაყვანის საკითხში, ნამიბიასთან დაკავშირებული შეთანხმების მისაღწევად ზეწოლის შესაძლებლობაც არ გვექნებოდა. ჰანს-დიტრიხ გენშერმა სინანულით შენიშნა, რომ ეს ამერიკის პოზიციის ძირეულ ცვლილებაზე მეტყველებსო. მართალია, მოკავშირეები კუბელების ამ ქვეყნიდან გასვლას ყოველთვის მხარს უჭერდნენ, მაგრამ გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრი შიშობდა, ამგვარი პირობების ურთიერთდაკავშირება ჩვენს წამოწყებას მარცხს უქადისო“.

ასე გაიწელა ნამიბიის საკითხი, ვიდრე ანგოლაში – 1988 წელს აღმოსავლეთ-დასავლეთის ურთიერთობაში გამოკვეთილი გარდატეხის შედეგად – კონფრონტაციის დაძლევის პირობები შეიქმნებოდა. ჩემი მოსაზრება, რომ აღმოსავლეთ-დასავლეთის კონფლიქტის მესამე სამყაროზე გავრცელების საშიშროებას პერიფერიაში კი არა, ცენტრში უნდა შევებრძოლებოდით, აქაც გამართლდა. ზესახელმწიფოებს შორის და თავად ევროპაში დაძაბულობის შენელებამ პერიფერიაშიც განმუხტა ვითარება.

რაც უფრო სიღრმისეულად სწვდებოდა ჩესტერ ქროქერი ამ საკითხს, მით უფრო მეტად ცდილობდა საკონტაქტო ჯგუფთან თანმიმდევრულ მუშაობას და დაახლოებას. საგარეო საქმეთა მინისტრი შულცი, რომელმაც 1982 წელს ალ ჰეიგი შეცვალა, საკონტაქტო ჯგუფის ძირითად მოსაზრებებს იზიარებდა, ასე რომ, შულცთან

და ქროქერთან ერთად შევძელით დამატებით შეგვემუშავებინა ღონიერი, ჰარმონიული მოლაპარაკებების პოლიტიკა. ბოლოს ორივე ამერიკელის ეჭვები დავძლიე და ქროქერი დავარწმუნე სამხრეთ-დასავლეთ აფრიკის სახალხო ორგანიზაციის თავმჯდომარეს, ნუიომას, შეხვედროდა. ძალზე ნაყოფიერი საუბარი შედგა; 1982 წლის შემოდგომაზე ვიცე-პრეზიდენტმა ჯორჯ ბუშმა, როდესაც ის ვიზიტად იმყოფებოდა შავ-აფრიკული სახელმწიფოების დედაქალაქებში, ეგრეთ წოდებული დაკავშირება (linkage) დღის წესრიგიდან მოხსნა. ჯორჯ შულცმა კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ ის პრინციპების ერთგული და პრაგმატული კონსერვატორი გახლდათ. საერთოდაც ყოველთვის ცდილობდა ევროპელ პარტნიორებთან — განსაკუთრებით კი ჩვენთან, გერმანელებთან — კეთილ თანამშრომლობას.

ოთხმოციან წლებში დასავლეთმა ფედერაციული რესპუბლიკის გავლენით ნამიბიის საკითხის გადაჭრის მიმართულებით ორ სიბრტყეზე წარმატებას მიაღწია: ერთის მხრივ, ქროქერი ცდილობდა გადაეჭრა ნამიბიის დამოუკიდებლობის საკითხი ანგოლასთან და კუბასთან მოლაპარაკებების გზით, რომლებიც ლონდონში, კაიროში, ჟენევაში, ნიუ-იორკსა და ბრაზავილში გაიმართა და მრავალ რაუნდს მოიცავდა; მეორეს მხრივ, ამავდროულად მიღწეულ იქნა შეთანხმება ანგოლიდან 50 000 კუბელი ჯარისკაცის გაყვანასთან დაკავშირებით. ამის პარალელურად საკონტაქტო ჯგუფში მოლაპარაკებების პროცესის გაგრძელებაზე ვმუშაობდით. პარიზში გამართული ერთი სხდომის გამო, როდესაც ქროქერმა აფრიკის სამხრეთთან დაკავშირებული პოლიტიკის ახლებური გააზრება წარმოგვიდგინა, საგარეო საქმეთა მინისტრს, შულცს, განვუცხადე: ნამიბიის საკითხში ამერიკული პოლიტიკა და ჩვენი წარმოდგენები ახლა ყველა ასპექტში ერთმანეთს ისევ ემთხვევა-მეთქი.

1988 წლის დეკემბრის ბოლოს ნიუ-იორკში სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკამ, კუბამ და ანგოლამ ხელი მოაწერეს „სამმხრივ შეთანხმებას ნამიბიის საკითხზე", რომლის შინაარსსაც ჩვენმა საკონტაქტო ჯგუფმა ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე დაუჭირა მხარი: გაეროს უშიშროების საბჭოს №435 რეზოლუციის თანახმად, 1989 წლის პირველი აპრილიდან უნდა დაწყებულიყო პროცესი,

რომელსაც ნამიბიის დამოუკიდებლობა უნდა მოჰყოლოდა. დაადგინეს, რომ 1991 წლის შუა პერიოდამდე 50 000 კუბელ ჯარისკაცს უნდა დაეტოვებინა ანგოლა. აღმოსავლეთ-დასავლეთს შორის კონფლიქტის დასრულების კონტური სულ უფრო მკვეთრად იკვეთებოდა, რაც ნამიბიისა და ანგოლის პრობლემების ერთობლივი მოგვარების პირობას ქმნიდა.

. 1989 წლის 7 ნოემბრიდან 11 ნოემბრამდე — როდესაც ბერლინის კედელი დაეცა — ნამიბიაში დამფუძნებელი ასამბლეის თავისუფალი საპარლამენტო არჩევნები ჩატარდა, რომელსაც 1400 საერთაშორისო დამკვირვებელი ადევნებდა თვალყურს. ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის სამხრეთ-დასავლეთ აფრიკის სახალხო ორგანიზაციამ (SWAPO) ხმების 57,5 % მიიღო, ყველაზე ძლიერ პარტიად იქცა და ავის მოსურნეთა ჯიბრზე სწორედ მან შეიმუშავა ქვეყნის დემოკრატიული კონსტიტუციის პროექტი. მართალი ვიყავი: სამხრეთ-დასავლეთ აფრიკის სახალხო ორგანიზაცია კომუნისტური ორიენტაციისა არ გახლდათ, ის სერიოზულად აპირებდა დემოკრატიულ გარდაქმნას. დასავლეთის ქვეყნებში, მათ შორის გერმანიაშიც, გავრცელებულ გროტესკულ გაუგებრობას მიეკუთვნებოდა აზრი, ყველაზე ხშირად კონსერვატორთა წრეებში რომ გაიგონებდა კაცი, — თითქოს სამხრეთ აფრიკის რასისტული რეჟიმი და ნამიბიაში მისი კოლონიალისტური ბატონობა აფრიკაში მომძლავრებული კომუნისტური ზეგავლენის დამაბრკოლებელ თავისუფალი სამყაროს ფორპოსტებს წარმოადგენდა.

სწორედ ამგვარმა პოზიციამ და აქედან მომდინარე პოლიტიკამ აიძულა აფრიკის განმათავისუფლებელი მოძრაობები თავდაპირველად სოციალისტური ქვეყნების მხარეს დამდგარიყვნენ, თუმცა ისინი ამის გამო საბჭოთა კავშირის მოკავშირეები არ გამხდარან. მხოლოდ ძველი რასისტული წესრიგის დაძლევის შემდეგ იქნებოდა შესაძლებელი დემოკრატიისა და თავისუფალი სამყაროს ღირებულებათა სისტემის დამკვიდრება სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკასა და ნამიბიაში. და აი ასე თავისუფალი არჩევნებით დაიწყო და საბოლოოდ დასრულდა სამხრეთ აფრიკაში რასისტული ჩაგვრისა და სამხრეთ აფრიკის მიერ ნამიბიის კოლონიზაციის პროცესი.

1990 წლის 21 მარტს აფრიკის კონტინენტის უკანასკნელმა კოლონიამ საზღვარგარეთის აქტიური თანამონაწილეობით დამოუკიდე-

.ბლობა იზეიმა. მიზანი მიღწეულ იქნა. უინდჰუკში მაშინ პირველად შევხვდი ნელსონ მანდელას, რომელიც თავისუფლებისა და დემოკრატიის სიმბოლოდ იქცა აფრიკაში: ჩვენ ყოველთვის მოვითხოვდით მის განთავისუფლებას. მასთან შეხვედრამ დამარწმუნა: დიადი ადამიანი ეწამა თავისი ხალხისათვის და ტანჯვით გაუკვალა მას თავისუფლების გზა. ამიტომ კმაყოფილებას მგვრიდა ის, რომ სამხრეთ აფრიკაში განვითარდა მოვლენები, რასაც 1994 წელს აპარტეიდის აღსასრული მოჰყვა. 1994 წლის 28 აპრილს სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში პირველად ჩატარებული თავისუფალი არჩევნების შემდეგ აპარტეიდის სისტემის ლიკვიდაცია მოხდა, ხოლო 1994 წლის მაისში ნელსონ მანდელა აპარტეიდისაგან თავისუფალი სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის პირველ პრეზიდენტად აირჩიეს. ამ შემთხვევაშიც მართალი გახლდით: დასავლური სამყაროს ფორპოსტი ჩაგვრისა და აპარტეიდის რეჟიმი კი არ იყო, არამედ თავისუფლების იდეის ჭეშმარიტ ფორპოსტს იმ წლებში რობენ აილენდი წარმოადგენდა, სადაც ნელსონ მანდელას ტუსაღობის 28 წელი ჰქონდა მისჯილი. 1994 წლის აპრილში ბოლო მოეღო შავკანიანთა უმრავლესობის მძიმე ყოფას, დასრულდა თეთრკანიანთა უმცირესობის ბატონობა. ეს განთავისუფლების დღე გახლდათ, როდესაც 23-მა მილიონმა სამხრეთ აფრიკელმა უფლება მიიღო აერჩია ოთხასი დეპუტატი ეროვნულ პარლამენტში.

დღევანდელი გადასახედიდან ჩემთვის ძალზე სასიამოვნოა იმაზე ფიქრი, რომ გერმანული საგარეო პოლიტიკა ჯერ კიდევ სამოციან წლებში გამოდიოდა სამხრეთ აფრიკის აპარტეიდული რეჟიმის ლიკვიდაციისა და ნამიბიის დამოუკიდებლობის მკაფიო მოთხოვნით. ვფიქრობ, რომ ამ საკითხში ჩვენი გამოკვეთილი, სარწმუნო და საიმედო პოზიციით მშვიდობას, პროგრესსა და ადამიანის უფლებების დაცვას ვემსახურებოდით და ამავე დროს საკუთარ ინტერესებსაც ვიცავდით აფრიკის სამხრეთში. ისიც სათქმელია, რომ აპარტეიდის თანმიმდევრულმა უარყოფამ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ავტორიტეტი გაზარდა გაეროში.

იმასაც ვცდილობდი, რომ ადამიანის უფლებათა შესახებ ჩვენეული წარმოდგენები უშუალოდ დაგვემკვიდრებინა სამხრეთ აფრიკაში; ამიტომ გამოვედი ევროგაერთიანებაში ეგრეთ წოდებული „ქცევის კოდექსის“ (Code of Conduct) ინიციატივით. სამხრეთ

აფრიკის შვილობილ საზოგადოებებთან, ფილიალებთან და წარმომადგენლობებთან ბიზნესის სფეროში ურთიერთობისათვის შემუშავებული ქცევის კოდექსით ევროგაერთიანების სახელმწიფოებმა შავკანიან მშრომელთა თანასწორუფლებიანობის საქმეში დიდი წვლილი შეიტანეს. შემდგომად ამისა, ძალიან მალევე, შრომის სფეროში მნიშვნელოვანი ცვლილებების მოწმენი გავხდით. ამგვარად, არაპირდაპირი გზით ხელი შევუწყვეთ პროფკავშირების როლის გაძლიერებას სამხრეთ აფრიკაში.

### *ურთიერთდამოკიდებულება მსოფლიო მასშტაბით — საერთაშორისო თანამშრომლობის ქსელი ფართოვდება*

თუმცა დავუბრუნდეთ სამოცდაათიანი წლების შუა ხანების მოვლენებს. ჰელმუთ შმიდტის 1976 წლის 16 დეკემბრის სამთავრობო დეკლარაციაში აისახა კოალიციის პარტნიორთა საერთო მოსაზრებები და გარიგებები. თავისუფალი დემოკრატიული პარტიის წარმოდგენებს ყველაზე მეტად შეესატყვისებოდა საგარეოპოლიტიკური პროგრამა. განსაკუთრებულ მნიშვნელობას ვანიჭებდი იმას, რომ მასში ადრინდელთან შედარებით უფრო მკაფიოდ ასახულიყო ფედერაციული რესპუბლიკის როლი გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში. გაეროში უფრო აქტიური მოღვაწეობა მტკიცედ მქონდა გადაწყვეტილი და ჩემი სურვილი შმიდტის სამთავრობო განცხადებაში გერმანიის ბუნდესტაგის წინაშე ასე გაჟღერდა: „გაერთიანებული ერების ორგანიზაცია მსოფლიო პრობლემების განხილვისათვის უმნიშვნელოვანეს ფორუმს წარმოადგენს. გაეროში გაერთიანებიდან სამი წლის განმავლობაში ვმოქმედებდით ისე, როგორც ეს ჩვენი ქვეყნის მნიშვნელობას და ჩვენს ვალდებულებებს შეეფერება, ვხელმძღვანელობდით რა ადამიანის უფლებათა საყოველთაო დაცვის ქარტიით, ძალის გამოუყენებლობის პრინციპით და მხარს ვუჭერდით საყოველთაო მშვიდობასა და ეკონომიკურ-სოციალურ განვითარებას. შემდგომი ორი წლის განმავლობაში ჩვენ გაეროს უშიშროების საბჭოს წევრი ვიქნებით. ვაცნობიერებთ რა ჩვენს განსაკუთრებულ პასუხისმგებლობას, გვსურს ჩვენი წვლილი შევიტანოთ გაეროში, რათა მან შეძლოს დიადი ამოცანების განხორციელება“.

ასე იქცა გაერო შემდგომ წლებში გერმანული საგარეო პოლიტიკის მთავარ ფორუმად. ჩვენ დარწმუნებულნი ვიყავით, რომ გერმანელებს, ისტორიული გამოცდილებიდან გამომდინარე, განსაკუთრებული მიზეზი გვქონდა იმისათვის, რომ მთელი ჩვენი ძალისხმევა გაეროს მიზნებისა და პრინციპების განხორციელებისაკენ მიგვემართა. 1976 წელს ჩვენ ვცხოვრობდით მსოფლიოში, სადაც ასორმოცდაათზე მეტი სუვერენული სახელმწიფო არსებობდა და ყველა ეს ქვეყანა საკუთარი წარმოდგენებისა და პრეტენზიების დაცვას ცდილობდა საერთაშორისო პოლიტიკაში. საერთაშორისო პოლიტიკა, ამრიგად, აღარც ზესახელმწიფოების ექსკლუზიურ საქმეს წარმოადგენდა და არც მდიდართა და ძლიერთა კლუბის დახურულ ღონისძიებას. პასუხსაგებ საგარეო პოლიტიკას მცირე და უმცირეს სახელმწიფოთა მრავალრიცხოვანი ეროვნული ინტერესებიც უნდა გაეთვალისწინებინა.

მრავალფეროვანი ურთიერთდამოკიდებულებების ახლებური ვითარება ჩემი შეხედულებით საგარეოპოლიტიკური აზროვნების რევოლუციურ გარდაქმნას მოითხოვდა. უნდა დაძლეულიყო დიქტატის პოლიტიკის ტრადიციული ლოგიკა, რაც მხოლოდ საკუთარი ქვეყნის მოგებაზე ზრუნვაში გამოიხატებოდა და არად დაგიდევდა, რა ზარალს მოუტანდა ეს სხვა სახელმწიფოებს. სულ უფრო მზარდი გლობალური ურთიერთდამოკიდებულების ფონზე ან ყველა სახელმწიფო ერთად ნახავდა სარგებელს, ან ვერც ერთი ვერ მოახერხებდა ამას. ნავთობისა და ნედლეულის კრიზისის პერიოდში, მსოფლიო ეკონომიკური რეცესიის ხანაში, ყველა სახელმწიფოს უნდა გაეცნობიერებინა, რომ საკუთარი მიზნების განხორციელებას მხოლოდ იმ შემთხვევაში შეძლებდნენ, თუ ყველა ერთი მიზნის ირგვლივ გაერთიანდებოდა.

სახელმწიფოთა შორის ძველთაძველი მეტოქეობა და ჯიბრი — მათ შორის აღმოსავლეთ-დასავლეთის კონფლიქტი — საყოველთაო ურთიერთდამოკიდებულების ახალმა რეალობამ დაჩრდილა. ჩვენი საგარეო პოლიტიკის უმაღლეს მიზანს ისევ მშვიდობის განმტკიცება წარმოადგენდა; ჩვენ განვამტკიცებდით მშვიდობას, როდესაც ხელს ვუწყობდით დასავლური დემოკრატიების ერთობებში — შიგნით თუ გარეთ — სტაბილურობას, ვცდილობდით ევროპის ევროგაერთიანებაში ჩართვას და ევროთათბირის ფარგლებში აღმოსავ-

ლეთთან დაძაბულობის შენელებას. გარდა ამისა, საჭირო გახლდათ გლობალურ ჩარჩოში თანამშრომლობის გამძლე წესრიგის განვითარება.

სამხედრო ხერხებით სტაბილურობის დამყარება სულ უფრო შეუძლებელი ხდებოდა. ამიტომ გაეროში ყველაფერი უნდა გვეღონა კოოპერაციის სოლიდური და საიმედო ფორმებისა და სტრუქტურების შესაქმნელად, სტრუქტურების, რომლებშიც სახელმწიფოები ნებაყოფლობით გაერთიანდებოდნენ, რადგან მათში სამართლიან და საკუთარი ინტერესების შესატყვის სტრუქტურებს დაინახავდნენ. ამის საფუძველს ქმნიდა: ხალხთა თვითგამორკვევის უფლება, ადამიანისა და ეროვნულ უმცირესობათა უფლებების დაცვა, სახელმწიფოთა თანასწორუფლებიანობის პრინციპი, კონფლიქტების ძალისმიერი მეთოდების გამოუყენებლად, მოლაპარაკებებისა და ინტერესთა დაბალანსების გზით გადაჭრისთვის მზადყოფნა, და ასევე ტოლერანტული და პატივისცემაზე დაფუძნებული დამოკიდებულება სახელმწიფოთა ინტერნაციონალური სამყაროს მრავალფეროვნებისადმი.

რეგიონალურ დონეზე ჩვენი აღმოსავლური პოლიტიკით, უპირველეს ყოვლისა, ევროთათბირისა და ევროგაერთიანების ფარგლებში, მნიშვნელოვანი წვლილი შევიტანეთ მშვიდობის, კოოპერაციისა და დაძაბულობის შენელების საქმეში. მაგრამ სულ უფრო ცხადი ხდებოდა, რაოდენ მნიშვნელოვანი იყო იმ დაწესებულებისა და ორგანიზაციების გაძლიერება და გაფართოება, რომლებიც საერთაშორისო თანამშრომლობის სფეროში მოღვაწეობდნენ. ურიცხვი ამოცანის გადაჭრა მხოლოდ საყოველთაო კოოპერაციის გზით შეიძლებოდა. ამის საჭიროებაში გვარწმუნებდა შემდეგი ამოცანები: მესამე სამყაროს ეკონომიკური განვითარება, ღარიბ და მდიდარ სახელმწიფოთა შორის არსებული ზღვარის შემცირება, სწრაფი ტემპით მზარდი მოსახლეობის საკვებით, ენერგიითა და ნედლეულით მომარაგება, საყოველთაო შეიარაღების შეზღუდვა, საერთაშორისო ტერორიზმთან ქმედითი ბრძოლა და ეკოლოგიური წონასწორობის დაცვა ჩვენს პლანეტაზე. გაერო ცენტრალურ ფორუმად უნდა ქცეულიყო და რაც შეიძლება მეტი ქვეყანა ჩაერთო თანამშრომლობის პროცესში. ამის გამო საერთაშორისო საზოგადოებისათვის სასიცოცხლო მნიშვნელობა ჰქონდა გაეროს ძლიერ და

ეფექტურ სისტემას, რაც ცხადია, ჩვენს ეროვნულ ინტერესებშიც შედიოდა. ამიტომ გერმანულ საგარეო პოლიტიკას ძირითად ამოცანად უნდა დაესახა გაეროს პოლიტიკა.

ფედერაციული რესპუბლიკის მიერ 1972 წელს მიღებული არცთუ უდავო გადაწყვეტილება, გაერთიანებული ერების წევრი გამხდარიყო, ჩვენს თვალში ახლა კიდევ უფრო მართებული ჩანდა, ვიდრე ოდესმე. სხვაგვარად ხელიდან გამოგვეცლებოდა მსოფლიო პოლიტიკის ფორმირებაში ჩვენი მონაწილეობის შანსი. ეს კი არც ჩვენ გვაძლევდა ხელს და არც მსოფლიოს. გერმანია ერთა ლიგას 1926 წელს – მისი დაარსებიდან ექვსი წლის შემდეგ – შეუერთდა. გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში კი მისი დაარსებიდან 28 წლის შემდეგ გაწევრიანდა.

1974 წლის სექტემბერში გაეროს გენერალურ ასამბლეაზე ჩემი პირველი გამოსვლის დროს საგარეო საქმეთა უწყებაში ჩემი დიდი წინამორბედი – გუსტავ შტრეზემანი გავიხსენე. 1926 წლის 10 სექტემბერს, ერთა ლიგაში გერმანიის გაწევრიანების დღეს, მან განაცხადა: „დღეიდან გერმანია იმ სახელმწიფოთა შორის იმყოფება, რომლებთანაც მას, ერთის მხრივ, აუმღვრეველი მეგობრობის ათწლეულები აკავშირებს და რომლებიც, მეორეს მხრივ, ბოლო მსოფლიო ომის დროს გერმანიის წინააღმდეგ შეკავშირდნენ. ისტორიულ მნიშვნელობას იძენს ის ფაქტი, რომ გერმანია და ეს სახელმწიფოები ამიერიდან ხანგრძლივი დროით ითანამშრომლებენ ერთა ლიგაში. ეს ფაქტი სიტყვებსა და პროგრამებზე მკაფიოდ მეტყველებს იმაზე, რომ ერთა ლიგა მოწოდებულია ახალი მიმართულება მისცეს კაცობრიობის პოლიტიკური განვითარების პროცესს. კაცობრიობის კულტურას სწორედ თანამედროვე ეპოქაში დაემუქრება ყველაზე დიდი საშიშროება, თუ ყველა ხალხს არ ექნა გარანტია იმისა, რომ ხელშეუვალი მშვიდობის პირობებში, მშვიდობიანი შეჯიბრის პირობებში, შეუძლია აღასრულოს ბედისწერის მიერ დაკისრებული ამოცანები... მრავალ სახელმწიფოში ადგილი აქვს ყველაზე ღირებული, სახელმწიფოსთვის აუცილებელი სულიერი და ეკონომიკური ფენების რღვევას. მოწმე ვართ ახალი ეკონომიკური ფორმების შექმნისა და ძველი ფორმების დაშლისა. ვხედავთ, ეკონომიკა როგორ შლის ქვეყნის ძველ საზღვრებს და საერთაშორისო თანამშრომლობის ახალ ფორმებს ითხოვს“.

როგორც ვხედავთ, ჯერ კიდევ შტრეზემანთან ამოტივტივდა საერთაშორისო კოოპერაციის ახალი ფორმების მოთხოვნა. ამ მოსაზრებასთან დაკავშირებით განვაცხადე: „საყოველთაო ურთიერთდამოკიდებულება, არც მეტი არც ნაკლები, საგარეოპოლიტიკური აზროვნებისა და საგარეოპოლიტიკური დოქტრინების რევოლუციურ გარდაქმნას ითხოვს". გუსტავ შტრეზემანმა, დიდმა გერმანელმა ლიბერალმა და დიდმა საგარეო საქმეთა მინისტრმა, რაიხსკანცლერმა, სახელმწიფოთა საერთაშორისო თანამეგობრობის სახელით, ჩვენი საუკუნის პირველ ნახევარში დროის არსებით მოთხოვნად გამოაცხადა ის, რომ: „სახელმწიფოები შინაგან ვალდებულებად უნდა აღიქვამდნენ ერთობლივ მშვიდობიან თანამშრომლობას. ეს შინაგანი ვალდებულება დიად მორალურ საკაცობრიო საკითხებსაც ეხება. სამართლიანობის კანონზე უზენაესი კანონი არ უნდა არსებობდეს. ერთა ლიგაში ნაციათა თანამშრომლობამ ამ მორალურ კითხვებზე ანალოგიური პასუხის მოძიება ხალხთა ცხოვრებაში უნდა შეძლოს და შეძლებს კიდეც. ვინაიდან და რადგანაც მშვიდობის ყველაზე მყარ ფუნდამენტს ის პოლიტიკა ქმნის, რომელიც ხალხთა ურთიერთგაგებასა და ურთიერთპატივისცემას ეყრდნობა".

1926 წელს ჟენევაში, ერთა ლიგაში, შტრეზემანის გამოსვლის შემდეგ, სამყარო ფუნდამენტურად შეიცვალა. მაგრამ ის კონკრეტული ძირითადი პრინციპები, რომელთაც თავის დროზე შტრეზემანი შეეხო, ორმოცდაათი წლის შემდეგაც განსაზღვრავდა გერმანიის პოლიტიკას გაეროში, ზემოქმედებდა პოლიტიკაზე, რომელიც მიზნად ისახავდა მშვიდობის უზრუნველყოფას, საყოველთაო პარტნიორულ ურთიერთობებს, სტაბილურ ეკონომიკურ აღმავლობას, ადამიანის უფლებათა განხორციელებას და გერმანელი ხალხის გამთლიანებისაკენ მიმავალი გზის გაკვლევას.

ომისშემდგომ პერიოდში მშვიდობის განმტკიცება თეორიულად შესაძლებელი გახლდათ, თუ უშიშროების საბჭოს წევრები ერთობლივად იმოქმედებდნენ. ამ გეგმამ აღმოსავლეთ-დასავლეთს შორის 1989 წლამდე არსებული დაპირისპირების გამო მარცხი განიცადა. ამის სანაცვლოდ გაერომ მრავალი მეთოდი და სტრატეგია შეიმუშავა, რომელთა საშუალებითაც ქმედითად ჩაერთო საყოველთაო მშვიდობის განმტკიცების ღონისძიებებში. გაეროს ხელთ არსებულ მექანიზმებს წარმოადგენდა: უშიშროების საბჭოს მო-

წოდებები ცეცხლის შეწყვეტისა და მოლაპარაკებების განახლების თაობაზე, საშუამავლო აქციები და გაეროს სამშვიდობო ჯარების მივლინება ამა თუ იმ რეგიონში.

## *დღეები ნიუ-იორკში: გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრის რანგში გაეროს გენერალურ ასამბლეაზე*

1974 წლიდან 1991 წლის ჩათვლით სექტემბრის მეორე ნახევარში ყოველწლიურად მივემგზავრებოდი ნიუ-იორკში გაეროს გენერალურ ასამბლეაში მონაწილეობის მისაღებად. წლიდან წლამდე მგზავრობის პროცესი სულ უფრო და უფრო სრულყოფილ სახეს ღებულობდა და ბოლოს უკვე თითქმის ყოველი წუთი წინასწარ გვქონდა გათვლილი.

წინა პლანზე იდგა ჩემი გამოსვლის ტექსტის მომზადება, მით უფრო, რომ შეუძლებელი იყო პლენუმზე წარმოდგენილი ყველა მოხსენების მოსმენა. ვის მოუსმენდი — ეს პოლიტიკური გადაწყვეტილება გახლდათ. ამასთანავე საგარეო საქმეთა მინისტრების სხვადასხვა ჯგუფებში შეხვედრები სულ უფრო გახშირდა და ჩემი ტრაპეზის დროც კი დაჯავშნული გახლდათ: სადილები და ვახშმები ევროგაერთიანების საგარეო საქმეთა მინისტრებთან, კოლეგებთან ამერიკის საგარეო უწყებიდან, „დიდი შვიდეულის“ საგარეო საქმეთა მინისტრებთან და რეგიონალურ დაჯგუფებებთან. ვცდილობდი სისტემატური დიალოგი შემენარჩუნებინა მესამე სამყაროს წარმომადგენლებთან: ასიანის ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრებთან, აფრიკის ფრონტისპირა სახელმწიფოების ჯგუფთან, მოგვიანებით კი ცენტრალური ამერიკის საგარეო საქმეთა მინისტრებთან.

პირველ კვირას გაეროს გენერალური ასამბლეა ტექნიკური საკითხების განხილვით არის დაკავებული. მხოლოდ მეორე კვირას იწყება პოლიტიკური ნაწილი; იწყება ორშაბათ დილით ამერიკის პრეზიდენტის გამოსვლით. ვინაიდან ამერიკის შეერთებული შტატები მასპინძელი ქვეყანა გახლავთ, ის სარგებლობს პრივილეგიით პირველმა წარმოთქვას სიტყვა. ამ პრივილეგიით აშშ სიამოვნებით სარგებლობს, რადგან საშუალება ეძლევა თავად განმარტოს ამერიკის პოლიტიკა გაეროში.

*1988 წლის 28 სექტემბერს ჰანს-დიტრიხ გენშერი კვლავ გაერთიანებული ერების ტრიბუნაზე დგას და, როგორც ყოველთვის, გერმანიის საგარეო პოლიტიკის ძირითად მიზანზე აკეთებს აქცენტს: გერმანია ხელს შეუწყობს ევროპაში მშვიდობიანი წესრიგის დამყარებას, რათა შეიქმნას პირობები გერმანელი ხალხის თავისუფალი თვითგამორკვევისა და ხელახალი გაერთიანებისთვის.*

ბონიდან, როგორც წესი, შაბათ საღამოს მივემგზავრებოდი, რათა ამერიკის დროით გვიან საღამოს ნიუ-იორკში ჩავსულიყავი. პირველ ხანებში სასტუმრო ვალდორფ-ასტორიაში ვჩერდებოდი, რაც ლოგისტიკური თვალსაზრისით – როგორც მალევე გამოირკვა – ძალზე არახელსაყრელი გახლდათ, რადგან გაეროდან ვალდორფამდე ანდა პირიქით ძალზე დიდ დროს ვკარგავდით ნიუ-იორკის გადატვირთულ ქუჩებში. მანქანით მგზავრობაც, როცა კოლეგებს ვაკითხავდი სასტუმროში, დიდ დროს მართმევდა. გაეროს შენობის მოპირდაპირე მხარეს მდებარე სასტუმრო – UN-Plaza – მირჩიეს

და მეც გადავწყვიტე ამიერიდან იქ დავბინავებულიყავი. მრავალი წლის განმავლობაში ერთსა და იმავე ანფილადაში ვმართავდი მოლაპარაკებებს და ქუჩის მოპირდაპირე მხარეს მხოლოდ მაშინ გადავდიოდი, როცა გაეროს შენობაში ჩემი ყოფნა აუცილებელი გახლდათ. თანაც თითქმის ყველა დასავლელი კოლეგა ამ სასტუმროში ცხოვრობდა. ვისაც ჩემი ნახვა სურდა, ძალიან იოლად და სწრაფად მომაგნებდა.

ჩემი მოგზაურობების საერთო ორგანიზაცია პროტოკოლით იყო განსაზღვრული, ხოლო ვიწრო გაგებით საორგანიზაციო საკითხებს — ფრენის დაგეგმვა, მიმოსვლა, სასტუმროში დაბინავება, სასტუმროს შერჩევა — ილონა შმიდ-კიოლერი აგვარებდა. საგარეო საქმეთა სამინისტროში ჩემი მისვლის დროს ის მინისტრის მეორე მდივანი გახლდათ. მალე მას მივანდე ჩემი მოგზაურობების ორგანიზაცია და კონსულტანტად დავნიშნე, რაც საკმაოდ საინტერესო, მაგრამ უმადური საქმეა, თუმცა იგი მას კომუნიკაბელობის დიდი ნიჭისა და დასახული მიზნის მიღწევის თანდაყოლილი უნარის წყალობით შესანიშნავად უძღვებოდა.

ნიუ-იორკში დაბინავებისა და თანამშრომლებთან თათბირის შემდეგ, კვირა დილით, როგორც წესი, თანმხლებ გერმანელ ჟურნალისტებსა და ამერიკელ კორესპონდენტებს პრესის წარმომადგენელთათვის გამართულ საუზმეზე ვიწვევდი, რაც მეტწილად 11 საათიდან 13 საათამდე გრძელდებოდა. ნაშუადღევს გენერალურ ასამბლეაზე ჩემი გამოსვლის ტექსტზე ვმუშაობდი, რადგან ორშაბათიდან დიპლომატიური საქმიანობა ამის საშუალებას აღარ მაძლევდა. ბილატერალური შეხვედრების უმრავლესობა სასტუმროში, ჩემს ანფილადაში ეწყობოდა. სამწუხაროდ, ყველა კოლეგასთან შეხვედრას ვერ ვახერხებდი.

ნიუ-იორკში უკვე ტრადიციულ რიტუალს მიეკუთვნებოდა ეგრეთ წოდებული ეროვნული მიღება, რასაც ყოველწლიურად ვმართავდი. ვიწვევდი კოლეგებს — საგარეო საქმეთა მინისტრებს, დიპლომატებს და ასევე პოლიტიკური წრეების, კულტურის, ეკონომიკისა და მეცნიერების ნიუ-იორკელ წარმომადგენლებს. მათ შორის გერმანელი ემიგრანტებიც მრავლად იყვნენ. თავდაპირველად ყველაზე შესაფერის ადგილად სასტუმრო ვალდორფ-ასტორიას ვთვლიდით, თუმცა მოგვიანებით წვეულება გაეროს შენობის დიდ სასადილოში

გადავიტანეთ; ეს გადაწყვეტილება იმდენადვე მოკრძალებული გახლდათ, რამდენადაც ორიგინალური: გერმანიის სასოფლო-სამეურნეო ცენტრალურ მარკეტინგულ საზოგადოებასთან (CMA) თანამშრომლობით „გერმანიის ხვავსა და ბარაქას" – უმაღლესი ხარისხის გერმანულ პროდუქტს – ვფენდით სუფრაზე, რაც გერმანული პროდუქტებისა და სამზარეულოს ნამდვილი რეკლამა გახლდათ. ჩემი მეგობარი ჰელმუთ ფარნშონი, ზემოთ დასახელებული მარკეტინგული საზოგადოების დირექტორი, დიდ დახმარებას გვიწევდა ამ საქმეში; დიდი პოპულარობით სარგებლობდა ცივი საუზმე. წვეულება ჩვეულებისამებრ ხუთშაბათობით იმართებოდა, ერთი დღის შემდეგ კი, ნაშუადღევს, გერმანიაში ვბრუნდებოდი, ხოლო კვირა საღამოს უკვე ბონში ვიყავი.

ნიუ-იორკის მოლაპარაკებები კარგად უნდა მოგვემზადებინა, თუკი გვინდოდა შედეგებისთვის მიგვეღწია. ეს კი ისევე, როგორც მოლაპარაკებების შემდგომი ანალიზი და შეფასება, დიდ ძალისხმევას მოითხოვდა. ნიუ-იორკში გამართულ მოლაპარაკებების მარათონს ზოგიერთი დამკვირვებელი დასცინოდა და დასცინის კიდეც, მაგრამ ეს ხომ მოცემული ვითარების კოლეგებთან პირისპირ განხილვის განუმეორებელ შესაძლებლობას გვთავაზობს. ის საშუალებას გვაძლევს მოვამზადოთ მოლაპარაკებები, მოვახდინოთ მათი დებლოკირება, გავარკვიოთ გაუგებრობები და ზედმეტი ვიზიტების თავიდან აცილების წყალობით დრო დავზოგოთ.

ამ კვირის უმნიშვნელოვანესი და, ამავე დროს, ურთულესი ამოცანა გახლდათ ერთმანეთისგან სავსებით განსხვავებული პიროვნებების ინტერესებთან და მენტალიტეტთან შეგუება. ამ მოლაპარაკებების დროს ჩემი რეგულარული თანამოსაუბრენი გახლდნენ ისრაელისა და ძალზე მნიშვნელოვანი არაბული ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრები, შავკანიანი აფრიკის მრავალი წარმომადგენელი და თითქმის ყველა ცენტრალურ და სამხრეთევროპელი კოლეგა. რეგულარულად ვხვდებოდი ლათინური ამერიკის წარმომადგენლებს, ჩინეთის, იაპონიის, ინდოეთისა და პაკისტანის საგარეო საქმეთა მინისტრებს. ამ საუბრების მთავარი დანიშნულება ის გახლდათ, რომ მოპირდაპირე მხარესთან სავსებით ახლებური, შეძლებისდაგვარად უშუალო დამოკიდებულება დაგვემყარებინა.

გაეროს გენერალურ ასამბლეაზე წარმოთქმულ სიტყვას პრინ-

ციპული და საპროგრამო მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა, ამავე დროს მასში აქტუალურ თემებზეც უნდა ყოფილიყო გამახვილებული ყურადღება. სიტყვის მომზადებას დიდი დრო მიჰქონდა; ამას კიდევ უფრო ართულებდა უკანასკნელი პერიოდის მოვლენები და პროცესები, რაც ტექსტში ცვლილებების შეტანას, ზოგიერთი საკითხის გადადებას, მახვილების გადაადგილებას აუცილებელს ხდიდა. ჩემი გამოსვლა ნიუ-იორკში ვიზიტის კულიმინაცია გახლდათ. გაიგეს თუ არა ჩემი ძირითადი მოსაზრებები? როგორ აღიქვეს ისინი ჩვენმა მთავარმა მოკავშირეებმა ან სოციალისტურმა ქვეყნებმა? რა რეაქცია ექნებოდათ ჩვენდამი კეთილგანწყობილ კოლეგებს მესამე სამყაროდან? რა უნდა დაგვეხვეწა? და ბოლოს: როგორ აღიქვეს ჩემი მოხსენება შინ, გერმანიაში? აი ასეთი და ანალოგიური აზრები მიტრიალებდა თავში გამოსვლის შემდეგ, როცა ტრიბუნიდან ჩამოვდიოდი.

ნიუ-იორკში გატარებული ეს დღეები ძალზე დატვირთული, საინტერესო და ამასთანავე უაღრესად დამქანცველი იყო, არამარტო საგარეო საქმეთა მინისტრებისთვის. ყველა მოლაპარაკებას მინისტრის ბიუროს ერთ-ერთი თანამშრომელიც ესწრებოდა. გაეროში ფედერაციული რესპუბლიკის ელჩს ამავე პერიოდში სხვა დელეგაციებთან ჰქონდა კონტაქტი და სხდომათა დარბაზშიც უამრავი მოვალეობა უნდა შეესრულებინა. ნიუ-იორკში ჩვენთან ერთად იმყოფებოდნენ საგარეო საქმეთა სამინისტროს თანამშრომლები, რომლებიც ცალკეულ საქმიან სფეროებს კურირებდნენ. სიამოვნებით წავიდოდი ოპერაში ან კონცერტზე, მაგრამ შეხვედრების კალენდარი ამის საშუალებას არ მაძლევდა.

ხშირად მსაყვედურობდნენ, ბევრს დადიხარო, მაგრამ მრავალ კოლეგასთან შედარებით მე ნაკლებს ვმოგზაურობდი. ნიუ-იორკი განუმეორებელ შესაძლებლობას მთავაზობდა, გავსაუბრებოდი უამრავ მინისტრსა და დიპლომატს მთელი მსოფლიოდან და თანაც დროის ზედმეტი ფლანგვის გარეშე. წლების განმავლობაში ასე ჩამოყალიბდა მყარად დადგენილი შეხვედრების სქემა: ამ შეხვედრებს მიეკუთვნებოდა დასავლურ სახელმწიფოთა — აშშ-ის, დიდი ბრიტანეთის, საფრანგეთისა და ფედერაციული რესპუბლიკის — ოთხი საგარეო საქმეთა მინისტრის შეხვედრა. ვინაიდან ამ შეხვედრებს „დიდი ოთხეულის“ იმ მოლაპარაკებების ანალოგიური ფორ-

მალური ჩარჩო არ ჰქონდა, რომლებსაც ნატოს თათბირის წინ ვმართავდით, ამიტომ საზოგადოებისგან ფარულად ვიკრიბებოდით, რაც სირთულეს არ წარმოადგენდა, რადგან ოთხივე მინისტრი ერთ სასტუმროში ვცხოვრობდით და ერთ-ერთის ანფილადაში ჩვენი თავმოყრა არავითარ სიძნელეს არ წარმოადგენდა. ერთ სართულს ავივლიდი და უკვე კოლეგების წრეში ვიყავი, რათა ცენტრალური თემები განგვეხილა.

. მოგვიანებით მოლაპარაკებების ამ ჩარჩოს ნაწილი გახდა შეხვედრები საბჭოთა საგარეო მინისტრთან. საბჭოელები პროტოკოლის გამოყენებით საგარეო პოლიტიკის შექმნას ახერხებდნენ, რადგან შეხვედრების ხანგრძლივობის მიხედვით ძალზე მკაფიო იერარქიულ კლასიფიკაციას ახდენდნენ: საბჭოთა საგარეო საქმეთა მინისტრი ყველაზე ხანგრძლივ მოლაპარაკებებს ამერიკის საგარეო საქმეთა მინისტრთან აწარმოებდა, რიგით მეორე გახლდათ ფედერაციული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრი, რომელთან საუბრის ხანგრძლივობაც ბევრად აღემატებოდა საფრანგეთისა თუ ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრებთან შეხვედრების ხანგრძლივობას. გრომიკოს ხან გერმანიის, ხანაც საბჭოთა რეზიდენციაში ვხვდებოდი ოფიციალურ სადილზე, რაც ამ შეხვედრებს კიდევ უფრო მეტ მნიშვნელობას ანიჭებდა. მთელი ამ წლების განმავლობაში რეზიდენციაში გრომიკოს გარდა მხოლოდ ერთ საგარეო საქმეთა მინისტრს შევხვდი, ეს გახლდათ გდრ-ის საგარეო საქმეთა მინისტრი ოსკარ ფიშერი.

ფიშერთან საუბარიც ყოველთვის სადილთან იყო დაკავშირებული. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ გდრ-ს საზღვარგარეთად არ ვთვლიდით და მასთან ურთიერთობა შესაბამისად საგარეო საქმეთა სამინისტროს კომპეტენციას არ წარმოადგენდა — ეს გახლდათ თავისებურება, რომლის დამკვიდრებაში მეც ვმონაწილეობდი —, ჩვენ მაინც შეგვეძლო შეხვედრა გაეროს ფარგლებში, ვინაიდან საგარეო საქმეთა მინისტრის კომპეტენციაში შედიოდა განიარაღებისა და გდრ-თან მულტილატერალური თანამშრომლობის საკითხები. აი ასე ვბჭობდით ნიუ-იორკში განიარაღების საკითხებზე, ევროთათბირის პროცესზე, სხვა მულტილატერალურ კონფერენციებსა და პროცესებზე, რაც ორივე ქვეყანას ერთნაირად ეხებოდა და, ბუნებრივია, გაეროს პოლიტიკაც ჩვენი საუბრების თემა იყო.

აღნიშნულ ორმხრივ და მრავალმხრივ შეხვედრებს მოგვიანებით ევროგაერთიანების საგარეო საქმეთა მინისტრების შეხვედრებიც დაემატა, რაც საგარეოპოლიტიკურ საკითხებზე შეთანხმებას გულისხმობდა. ევროგაერთიანების სახელმწიფოთა სულ უფრო მჭიდრო საგარეოპოლიტიკური კავშირი იმაში გამოიხატებოდა, რომ ევროგაერთიანების იმჟამინდელი პრეზიდენტი ჯერ ევროგაერთიანების სახელით გამოდიოდა და მხოლოდ ამის შემდეგ საუბრობდა თავისი ქვეყნის ეროვნულ ინტერესებზე. გარდა ამისა, შეთანხმებული ვიყავით, რომ პრეზიდენტზე ადრე არც ერთი წევრი სიტყვით არ გამოვიდოდა. ამგვარად, იმ ქვეყანას, რომელსაც თავმჯდომარის ფუნქცია ეკისრებოდა, საშუალება ჰქონდა თავდაპირველად — სანამ კოლეგების ჯერი დადგებოდა — ევროგაერთიანების საგარეოპოლიტიკური კონცეფცია წარმოედგინა.

### *გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის საერთაშორისო პასუხისმგებლობა*

ფედერაციული რესპუბლიკის პოლიტიკა გაეროში ორიენტირებული გახლდათ შემდეგ ძირითად მოსაზრებებზე: ორივე გერმანული სახელმწიფოს გაეროში გაწევრიანების შემდეგ ჩვენს ამოცანად ვთვლიდით გაეროს შესაძლებლობების გამოყენებას ჩვენი პოლიტიკის განსამარტად. გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ჩემი ყოველი გამოსვლისას გერმანიის ერთობის განხორციელებას რომ მოვითხოვდი, ამას მხოლოდ მოვალეობის მოხდის მიზნით არ ვაკეთებდი; ამ სახით გამოვხატავდი იმას, რაც 1949 წლიდან გერმანული პოლიტიკის უმთავრეს საგანს წარმოადგენდა. გერმანიის საკითხი ამგვარად წლიდან წლამდე საერთაშორისო პოლიტიკის უმაღლესი ფორუმის დღის წესრიგში იდგა. მსოფლიოს ხალხებსა და მათ მთავრობებს უნდა სცოდნოდათ, რომ გერმანიის გაყოფას ვერასდროს შეეგუებოდით. ჩემთვის გაუგებარი გახლდათ ზოგიერთი გერმანელი პოლიტიკოსის განცხადება, გერმანიის გაერთიანების საკითხი ამჟამად აქტუალური არ არისო. უცხოელი კოლეგების შეკითხვა — მართლა იყო თუ არა ჩვენი პოლიტიკის მთავარ მიზანი გაერთიანება, ნაკლებ მაკვირვებდა, რადგან ამ საკითხს თავად გერ-

მანიაში ყოველთვის არ ანიჭებდნენ სათანადო პრიორიტეტს. ყველაზე მტკივნეულად კი იმას განვიცდიდი, როცა გერმანელები — შემწყნარებლური სახით — მეკითხებოდნენ, ნუთუ სვრიოზულად ვფიქრობდი ამას.

მწამდა, რომ დაძაბულობის შენელების რეალისტური გეგმა, რომელთანაც მჭიდროდ იყო დაკავშირებული გერმანული საკითხი, მხოლოდ ევროპის ფარგლებში უნდა განგვეხორციელებინა; აქედან გამომდინარე, ყოველთვის ვემხრობოდი დასავლურ გაერთიანებაში ფედერაციული რესპუბლიკის უფრო ძლიერ ინტეგრაციას, აღმოსავლეთ ევროპასთან უფრო ინტენსიურ ურთიერთობებს და დაძაბულობის შენელების პოლიტიკის შემდგომ განვითარებას. აღმოსავლეთსა თუ დასავლეთში ნდობის უფრო დიდი კაპიტალი უნდა დაგვეგროვებინა, რათა გერმანული საკითხის გადაჭრისათვის შესაფერისი ჩარჩოპირობები შეგვექმნა. ევროპულ სიბრტყეზე ამის ძირითად ინსტრუმენტს სამოცდაათიანი წლების შუა პერიოდიდან ევროთათბირი წარმოადგენდა. მან შესაძლებლობა მოგვცა გვემუშავა დასავლეთ-აღმოსავლეთის ურთიერთობებსა და თვით კომუნისტურ სახელმწიფოებში აუცილებელი ცვლილების მიმართულებით. ჩვენ კოოპერაციისაკენ მოვუწოდებდით და არა კონფრონტაციისაკენ და ეს გდრ-საც ეხებოდა. დაძაბულობის შენელების რეალისტური გეგმა არსებითად შეესატყვისებოდა „ჰარმელის მოხსენების" გეგმას, რომელიც დასავლურმა ალიანსმა 1967 წელს შეიმუშავა. და რომ „ჰარმელის გეგმა" გერმანიისა და ევროპის დაყოფის დაძლევას და ევროპაში მყარი, სამართლიანი სამშვიდობო წესრიგის დამკვიდრებას ერთობლივი პოლიტიკის უმაღლეს მიზნად სახავდა, ამას მოკავშირეები ყოველთვის სათანადო ყურადღებას არ აქცევდნენ.

გამოვხატავდი რა ჩემ კრედოს გერმანულ საკითხთან მიმართებაში, შემდგომ მნიშვნელოვან ამოცანად მიმაჩნდა, გაეროს ფორუმზე თვალნათლივ წარმომედგინა მშვიდობისა და მსოფლიოში ძალთა თანაფარდობის საკითხებში გერმანიის აქტიური მონაწილეობა. ევროგაერთიანების სხვა სახელმწიფოთა ჯგუფებთან რეგიონალური თანამშრომლობის ჩვენეულმა სტრატეგიამ ჩვენი მცდელობის გარეშე განსაკუთრებული ყურადღება მიიპყრო. ევრო-არაბული დიალოგი, ევროგაერთიანებისა და ასეანის თანამშრომლობა, სპარსეთის ყურის ქვეყანათა თანამშრომლობის საბჭოსთან კონტაქტები, ევრო-

თათბირის თანამშრომლობა ცენტრალური ამერიკის სახელმწიფოებთან, კონვენციები მაღრიბისა და მაშრიყის ქვეყნებთან, ლომეს კონვენციები — აი ყოველივე ის, რაც კოოპერაციაზე დაფუძნებულ ახალ საგარეოპოლიტიკურ ფორმებს წარმოადგენდა. ამ პროცესში გერმანია სულ უფრო დიდ, ნაწილობრივ მთავარ და უპირველეს ყოვლისა ნოვატორულ როლს თამაშობდა. სამხედრო-პოლიტიკური ბლოკებისადმი მიუმხრობლობის მოძრაობაში ჩვენ თავიდანვე ამოვიცანით ამ სახელმწიფოთა დამოუკიდებლობისა და ეროვნული თვითმყოფადობისაკენ სწრაფვის სურვილი, რამაც საგრძნობლად გააფართოვა ჩვენი საგარეოპოლიტიკური მოქმედების არეალი. სახიფათო გახლდათ იდეა — გვეიძულებინა მესამე სამყაროს ქვეყნები, არჩევანი გაეკეთებინათ დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის, სახიფათო გახლდათ ის იმიტომ, რომ შესაძლოა დასავლეთ-აღმოსავლეთის კონფლიქტი მესამე სამყაროს ქვეყნებზეც გავრცელებულიყო; მას შემდეგ, რაც „ჰალშტაინის დოქტრინაზე" უარი ვთქვით, ამ საკითხში მეტი თავისუფლება მოვიპოვეთ — გარდა ამისა, ჰელმუთ შმიდტმა და საფრანგეთის პრეზიდენტმა ჟისკარ დ'ესტენმა მსოფლიო ეკონომიკურ საკითხებში აქტიური მონაწილეობით დიდად შეუწყვეს ხელი იმ დიდ ინტერესს, მესამე ქვეყნები სულ უფრო მეტად რომ იჩენდნენ გერმანიის საგარეო პოლიტიკისადმი.

ასე რომ, სავსებით სამართლიანად შეიძლება ითქვას: სამოცდაათიან-ოთხმოციან წლებში გერმანიამ საერთაშორისო პოლიტიკაში დიდი გავლენა მოიპოვა. ბუნებრივია, ეს უფრო დიდ პასუხისმგებლობასაც გვაკისრებდა. ნატო, უპირველეს ყოვლისა, გერმანიის თანამონაწილეობასა და ევროპაში აშშ-ს ყოფნას ეყრდნობოდა. რაც მეტი იყო ჩვენი წვლილი ნატოში, ბონი მით უფრო მნიშვნელოვან გავლენას ახდენდა დასავლურ უშიშროების პოლიტიკაზე. დასავლეთის აღმოსავლური პოლიტიკის შემუშავებაც არსებითად გერმანიის იდეა გახლდათ. საერთაშორისო პასუხისმგებლობაზე დაფუძნებულმა პოლიტიკამ გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში დიდი აღიარება მოგვიტანა და მრავალი სახელმწიფო მოითხოვდა, რომ უშიშროების საბჭოში მოღვაწეობის ვადის გასვლის შემდეგაც, ფედერაციული რესპუბლიკა იმ საკონტაქტო ჯგუფის წევრად დაეტოვებინათ, რომელმაც ნამიბიის საკითხის გადაჭრაში უდიდესი როლი შეასრულა. გერმანიამ არამარტო ევროპაში, არამედ მთელი

მსოფლიოს მასშტაბით და განსაკუთრებით მესამე სამყაროს ქვეყნებში, ჯერ კიდევ გაერთიანებამდე, სამოცდაათიან წლებში, უაღრესად მნიშვნელოვანი როლი ითამაშა სტაბილიზაციისა და კონფლიქტების მოწესრიგების თვალსაზრისით და ეს არასამხედრო საშუალებებით მოახერხა.

ჩვენი დროის საგარეოპოლიტიკური და საგარეოეკონომიკური პოლიტიკის ერთ-ერთ გადამწყვეტი მნიშვნელობის მქონე ამოცანად იქცა ჩრდილოეთ-სამხრეთის დიალოგი. ჩვენ მიზნად ვისახავდით მსოფლიო ეკონომიკური პირობების იმგვარ შეცვლას, რომ განვითარებად ქვეყნებს საბაზრო ეკონომიკის აზრით მატერიალური შანსების გათანაბრების ხანგრძლივი შესაძლებლობა მისცემოდათ. სოციალისტური ინდუსტრიული ქვეყნები მატერიალურ დახმარებაში მცირეოდენ მონაწილეობას იღებდნენ; ისინი მაყურებლის როლში იყვნენ. განვითარებადი ქვეყნების მოთხოვნებს მხოლოდ სიტყვით იცავდნენ, შესაბამის დახმარებას კი თავს არიდებდნენ. აღმოსავლეთ ბლოკის ქვეყნების ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს წევრი სახელმწიფოებიც თავიანთ ბაზრებს ნაკლებად უთმობდნენ მესამე სამყაროს ქვეყნებს: დასავლეთის ინდუსტრიული ქვეყნები განვითარებადი ქვეყნებიდან ექსპორტის 75 პროცენტს იღებდნენ, სოციალისტური ინდუსტრიული ქვეყნები კი ამ ექსპორტის 4 პროცენტსაც კი არ უშვებდნენ ბაზარზე! სხვაგვარად რომ ვთქვათ, მთელი სოციალისტური ბანაკის მიერ განვითარებადი ქვეყნებისათვის გაწეული ეკონომიკური დახმარება მხოლოდ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მიერ ამ ქვეყნებისთვის გაწეული დახმარების ნახევარსაც კი არ შეადგენდა. ამ შეუსაბამობაზე გამუდმებით მივუთითებდი გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ყოველი გამოსვლისას და მესამე სამყაროს ქვეყნების წარმომადგენლებთან საუბრისას. ასევე ვგმობდი სოციალისტური ქვეყნების მიერ მესამე სამყაროში იარაღის ექსპორტს, რაც კონფლიქტებს აღმოფხვრის ნაცვლად კიდევ უფრო ამწვავებდა. მეტი ტრანსპარენტულობისათვის გაერთიანებულ ერებში იარაღის ექსპორტის რეესტრის საკითხი გავიტანე.

მესამე სამყაროს ქვეყნებისადმი მიმართული შმიდტ-გენშერის ფედერაციული მთავრობის პოლიტიკა გაეროში ამ ქვეყნების დამოუკიდებლობისადმი პატივისცემით იყო აღბეჭდილი. ჩვენ არანაირად

არ ვცდილობდით ჩვენი სახელმწიფოებრივი, საზოგადოებრივი თუ ეკონომიკური წესრიგის ექსპორტირებას, თავს მოხვევას და ეკონომიკური დახმარების გაწევის სანაცვლოდ არც ამ ქვეყნების მიერ ჩვენი პრინციპების მიღების პირობას ვაყენებდით. არჩევანი თვით ამ ქვეყნებს უნდა გაეკეთებინათ, მათი გადასაწყვეტი გახლდათ, ჩვენი მოდელი სრული სახით მიეღოთ თუ შეცვლილი ფორმით. და თუ ისინი საერთოდ არ გაიზიარებდნენ მას, უფლება არ გვქონდა დაგვესკვნა, რომ დასავლეთს უარყოფდნენ. ყველგან და ყოველთვის ჩვენთვის მთავარი გახლდათ ადამიანის უფლებების პატივისცემა და დაცვა.

მიუმხრობლობის პრინციპი შანსი გახლდათ და არა რისკი. საგარეოპოლიტიკური თვალსაზრისით, მიუმხრობელი ქვეყნები უპირველეს ყოვლისა სუვერენულ სახელმწიფოებს წარმოადგენდნენ, რომელთაც პატივს ვცემდით და რომლებთანაც მეგობრული, კოოპერაციული ურთიერთობების დამყარება გვსურდა. ამიტომ გამუდმებით და კატეგორიულად მოვუწოდებდით ყველას სიფრთხილისაკენ, რათა აღმოსავლეთ-დასავლეთის დაპირისპირება მესამე სამყაროზეც არ გადაეტანათ, ვაფრთხილებდით, ნაჩქარევი იარლიყებისაგან და ამ ქვეყნების ამა თუ იმ ბლოკისადმი თვითნებური მიკუთვნებისაგან თავი შეეკავებინათ. მკვეთრად უარვყოფდი განვითარებადი სახელმწიფოების პროდასავლურ და პროაღმოსავლურ ქვეყნებად დაყოფის მცდელობას.

ამ სახელმწიფოთა დამოუკიდებლობისაკენ სწრაფვის ხელშესაწყობად ჩრდილოეთ-აღმოსავლეთს შორის კულტურათა დიალოგის წინადადებით გამოვედი. თვითმყოფადობის დაკარგვის წინაშე მესამე სამყაროს ქვეყნების შიში საფუძველს მოკლებული არ გახლდათ. საუკუნეთა მანძილზე ამ ქვეყნებში — სულიერი თუ კულტურული თვალსაზრისით — კოლონიალური ხელისუფლება დომინირებდა. ამჯერად კი იქმნებოდა შთაბეჭდილება, რომ დასავლური კულტურა ანალოგიურად ზემოქმედებდა ფილმების, რადიოგადაცემების, ტელეპროგრამების, ფირფიტებისა თუ მაგნიტოფონების გავრცელების წყალობით. ფუნდამენტალისტური რეაქცია ამის პასუხი გახლდათ; ირანში განვითარებულმა მოვლენებმა ცხადყო, თუ რა შეიძლებოდა ამას მოჰყოლოდა. ბედის ირონიაა, რომ აითოლა ხომეინის ირანში დაბრუნება ისლამური „მაგნიტოფონის რევოლუციის“

საშუალებით მომზადდა, ანუ იმ მაგნიტოფირების გავრცელებით, რომლებზეც ხომეინის გამოსვლები იყო ჩაწერილი. თუ გვსურდა, რომ პოლიტიკური მშვიდობის დამამკვიდრებელი კულტურათაშორისი ურთიერთობისათვის ყველა საზოგადოება ღია ყოფილიყო, მაშინ ეს პროცესი დასავლური წარმოდგენების ტრიუმფალური ლაშქრობის სახით კი არ უნდა წარგვემართა, არამედ ამის წინაპირობად ყველა კულტურის პატივისცემა და დაცვა უნდა გვექცია.

ამიტომ მოვითხოვდი: „ჩრდილოეთ-სამხრეთის დიალოგი წარმატებული მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნება, თუ ეს დიალოგი მსოფლიოში არსებული ყველა კულტურის მიმართ ერთნაირი პატივისცემის სულისკვეთებით წარიმართება. ჩრდილოეთსა და სამხრეთს შორის კულტურული გაცვლა-გამოცვლის საკითხი მეორეხარისხოვან საკითხს კი არ უნდა წარმოადგენდეს, არამედ ის ამ დიალოგის ცენტრში უნდა მოექცეს. ჩვენი სამყარო კულტურული ცრურწმენებითა და წინასწარ აკვიატებული აზრებით არის აღსავსე, რაც მეტწილად უმეცრებას ემყარება. ჩვენ კიდევ ბევრი რამ უნდა ვისწავლოთ ერთმანეთისგან. მართალია, ჩრდილოეთი სამხრეთზე მდიდარია, მაგრამ ამის გამო სამხრეთზე უფრო ჭკვიანი, ადამიანური და კულტურული არ გახლავთ. ჩრდილოეთისა და სამხრეთის კულტურებმა ორმხრივად უნდა აღიარონ ერთმანეთის კულტურულ ღირებულებათა თანასწორუფლებიანობა. საქმე ის გახლავთ, რა შინაგანი პოზიციით ვეგებებით სხვა ხალხებს. ხშირად სხვა ხალხებისადმი ქედმაღლური დამოკიდებულების გამო საქმე ამ ხალხთა კულტურული თვითმყოფადობისა და მათი კულტურული მიღწევების უგულებელყოფამდე მისულა. ესა თუ ის ქვეყანა რომ შეიცნო, მისი კულტურა უნდა შეიცნო. კულტურათა თანაბარი ღირებულების განცდა ხალხებს თავისთავად არ ეძლევათ; ეს ინტენსიურ ორმხრივ კულტურულ გაცვლა-გამოცვლას გულისხმობს. ჩვენ მზად უნდა ვიყოთ გავცეთ და მივიღოთ. კულტურული გაცვლა მშვიდობიანი მსოფლწესრიგის დამყარებაში გვეხმარება“. აქაც თვალსაჩინო გახდა, თუ რა მნიშვნელობას ვანიჭებდით კულტურულ პოლიტიკას, როგორც თვითმყოფადობისა და მშვიდობის დამამკვიდრებელ ძალას. ჩვენი საგარეო კულტურული პოლიტიკა ამ მოსაზრებებით ხელმძღვანელობდა. გოეთეს ინსტიტუტების დამოუკიდებლობა ომის შემდგომი გერმანიის ერთ-ერთ უდიდეს ლიბერალურ მონაპოვარს

წარმოადგენს: ამ ინსტიტუტებმა თავი არასდროს არ უნდა გაიაზრონ ამა თუ იმ მთავრობისა თუ სამთავრობო უმრავლესობის რუპორებად. ჩვენი საზოგადოების სურათი, მისი პრობლემებითა და დაძაბულობით, თემებითა და დისკურსებით, სრულად უნდა ასახონ ისევე, როგორც ის ჩვენში კულტურის ყველა სფეროში აირეკლება. გოეთეს ინსტიტუტების დამოუკიდებლობა გამუდმებით ქმნიდა დაძაბულობის ველს თავისუფალ დემოკრატიულ პარტიასა და კავშირის პარტიებს შორის და ფრანც იოზეფ შტრაუსი ერთადერთი არ გახლდათ, ვინც საჩხუბრად იყო შემართული. გოეთეს ინსტიტუტების იმჟამინდელმა თვალსაჩინო ხელმძღვანელებმა — კლაუს ფონ ბისმარკმა და ჰანს ჰაიგერტმა, გოეთეს ინსტიტუტების თანამშრომელთა მსგავსად, კარგად იცოდნენ, რომ მათ ვუჭერდი მხარს. სწორედ ამ საქმეში მიუძღვის დიდი დამსახურება ჰილდეგარდ ჰამ-ბრიუხერს.

საგარეო კულტურული პოლიტიკის მნიშვნელობაზე, ყოველგვარი სახელმწიფოებრივი თუ პარტიული გავლენისაგან მის გათავისუფლებაზე ჩემს აზრს ყოველთვის აშკარად გამოვხატავდი. ასე მოხდა 1985 წლის 20 აგვისტოს, როდესაც სიტყვა წარმოვთქვი გოეთეს ინსტიტუტის გოეთეს მედლის ლაურეატთა შეხვედრაზე:

„საგარეო კულტურულ პოლიტიკას, ისევე როგორც საერთოდ ჩვენს კულტურულ-პოლიტიკურ კურსს, განსაზღვრავს ჩვენი სახელმწიფოს როგორც ერთ-ერთი დემოკრატიული კულტურული სახელმწიფოს გაგება. კულტურული სახელმწიფოს ამოცანა კი — ფედერალური კონსტიტუციური სასამართლოს განმარტებით და სახელმწიფოებრივი მიზანდასახულობიდან გამომდინარე — ის გახლავთ, რომ დაიცვას და ხელი შეუწყოს თავისუფალ კულტურულ ცხოვრებას. მაშასადამე, მას უფრო მეტი მოეთხოვება, ვიდრე უბრალოდ კულტურულ გუშაგთა სახელმწიფოს, მიუხედავად იმისა, რომ „მუდმივ სტუმართა მაგიდასთან“ ჯერ კიდევ გაისმის მოთხოვნა — სახელმწიფო ხელოვნების სწორი შეფასების უმაღლეს ინსტანციად უნდა განვიხილოთო. ამგვარ პრეტენზიებს არცთუ იშვიათად საგარეო კულტურული პოლიტიკის მისამართითაც გამოთქვამენ.

მაგრამ ჩვენი კულტურული ცხოვრება — მხოლოდ ერთი მაგალითი რომ დავასახელოთ — შემოქმედებითი ექსპერიმენტებისა და არჩევანის შესაძლებლობის გარეშე ხომ ბევრად უღიმღამო იქნებოდა. გერმანიას ხომ მხოლოდ ცალმხრივად წარადგენდნენ

უცხოეთში, თუკი მარტოოდენ მის სასიამოვნო, სასურველ ხატს მიაწვდიდნენ სხვებს. სწორედ აქ უნდა გამოვლინდეს ტოლერანტობა და პლურალიზმი. ჩვენი კულტურული პროგრამები კლასიკოსებით არ უნდა შემოიფარგლოს და არც კლასიკოსებს უნდა მივუსაჯოთ სამუზეუმო დანიშნულება. კულტურული სახელმწიფოს სახელმწიფოებრივი მიზნებიდან გამომდინარე დაუშვებელია, რომ ხელოვნება და კულტურა სხვა მიზნებს ექვემდებოდეს და ემსახურებოდეს...

ჩვენ გამუდმებით უნდა დავსვათ კითხვა, შეზღუდული ბიუჯეტის პირობებში რამდენად შესაძლებელია, რომ კულტურული ამოცანები სხვა მიზნებს არ დაექვემდებაროს. ვისაც ოდესმე საბიუჯეტო გეგმის შედგენისას კულტურის სფეროს დაფინანსებისთვის უბრძოლია — იქნებიან ესენი მხარეთა კულტურის მინისტრები თუ მუნიციპალიტეტების რეფერენტები — მიმიხვდება, რასაც ვგულისხმობ და ალბათ თავის ეჭვსაც გამოთქვამს ამასთან დაკავშირებით. ადამიანის ღირსების, თავისუფლებისა და თვითრეალიზაციისთვის, აგრეთვე ისეთი თავისუფალი საზოგადოებისთვის, რომელიც კარგა ხანია ღიაა ფართოდ გაგებული კულტურის ცნების მიმართ, ხელოვნებასა და კულტურას ნაკლები მნიშვნელობა როდი ენიჭება, ვიდრე სხვა ამოცანებს, რომელთაც სახელმწიფო ისახავს მიზნად.

კულტურული სახელმწიფოსთვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს კულტურისადმი კეთილგანწყობილი ატმოსფეროს შექმნა. ეს კი ხელოვანთა და მათი შემოქმედებითი მიღწევების პატივისცემით უნდა იწყებოდეს იმ შემთხვევაშიც, როდესაც ხელოვანის მიერ ჩვენ წინ აღმართული სარკე უმშვენიერეს არსებებად არ წარმოგვაჩენს. კულტურული სახელმწიფო — მხოლოდ რამდენიმე მაგალითი რომ მოვიყვანო — ნიშნავს საგადასახადო და საფონდო სამართლის პირობების შექმნას, ანუ კერძო მეცენატობის ინსტიტუტის არამარტო დაშვებას, არამედ ხელშეწყობასაც. ეს ნიშნავს საავტორო უფლებების უფრო ქმედით დაცვას, ხელოვანთა სოციალურ დაზღვევას და ამასთანავე კულტურასთან ზიარებისთვის საჭირო პირობების შექმნას...

კულტურულ სახელმწიფოში იგულისხმება დემოკრატიული კულტურული სახელმწიფო, რომელიც კულტურასთან და ხელოვნებასთან ზიარების თანაბარ შესაძლებლობას სთავაზობს ყვე-

ლას. მაგრამ აქ მხოლოდ სახელმწიფოს ვალდებულებაზე არ არის საუბარი. ეს არც უამრავი კერძო გაერთიანების მოვალეობაა, რომელთა მიზანსაც კულტურულ ცხოვრებაში მოქალაქეთა ფართო ჩართვა წარმოადგენს. აქ ყველა ჩვენგანის ვალდებულებაზეა საუბარი. გახსნილობა არა მხოლოდ საკუთარი, არამედ ყველა ხალხის მრავალფეროვანი კულტურული მონაპოვრისადმი, კულტურული მრავალფეროვნებისათვის დამახასიათებელი ტოლერანტობა და პატივისცემა — აი ეს არის ნიშანდობლივი ჰუმანური საზოგადოებისთვის, რომელსაც უნარი შესწევს ქვეყნის შიგნითაც მშვიდობა დაამყაროს და სხვა ხალხებთანაც მშვიდობიანად ითანამშრომლოს. ყველამ, ვინც კულტურაზეა ორიენტირებული, თავის თავს უნდა უყუროს, როგორც კულტურის სამოქალაქო ინიციატორს, რომელიც კულტურის მოთხოვნილებას და კულტურის გაგების სურვილს აღვიძებს სხვა ადამიანებში. ისინი, როგორც კრიტიკულად განწყობილი მოქალაქეები, ფხიზლად უნდა იყვნენ, რათა კულტურისათვის გამოყოფილი ფედერალური, სამხარეო თუ საზოგადოებრივი ბიუჯეტი სხვა სახელმწიფობრივ ამოცანებზე არ დაიხარჯოს. მათ კრიტიკული დარაჯების მოვალეობა უნდა შეასრულონ, როდესაც შეუწყნარებლობა — ყოველი მხრიდან რომ შეიძლება დაგვემუქროს — იმგვარ ხიფათს უმზადებს თავისუფალ კულტურულ ცხოვრებას, რომელიც შეუთავსებელია როგორც ჩვენი სახელმწიფოს ლიბერალიზმთან, ასევე მის პრეტენზიასთან — იყოს კულტურული სახელმწიფო. ვიხელმძღვანელოთ თავისუფლების პრინციპით — ეს უნდა იყოს ჩვენი მთავარი პრინციპი. ერთი სიტყვით, მთავარია რომ ყოველმა ჩვენგანმა შეიტანოს წვლილი კულტურისადმი კეთილგანწყობილი ატმოსფეროს შექმნაში. სხვა ხალხების ჩვენდამი პატივისცემას ხომ ყოველთვის და, უპირველეს ყოვლისა, ჩვენი კულტურული მიღწევები, ჩვენი კულტურული ცხოვრება განაპირობებდა. რაც უფრო მეტად გავაცნობიერებთ, რომ კულტურული ერი და კულტურული სახელმწიფო ვართ, მით უფრო გავართმევთ თავს ჩვენს ამოცანას: დავამკვიდროთ მშვიდობა შუაგულ ევროპაში. ამიტომ სცილდება ჩვენი კულტურული პასუხისმგებლობა ჩვენი სახელმწიფოს ფარგლებს, სცილდება ორივე გერმანული სახელმწიფოს საზღვრებს. ის ევროპის კულტურული თვითმყოფადობის საქმეში ჩვენს მიერ შეტანილი წვლილია. საზღვრებს შეუძლიათ ერთი ქვეყანა გახლიჩონ, ისინი მტკივნეულ

განასერს წარმოადგენენ, რასაც ყოველდღიურად ხელახლა შევიგრძნობთ, მაგრამ მათ არ შეუძლიათ გახლიჩონ ესა თუ ის ხალხი, მისი ისტორია, მისი კულტურა და მომავალი. ხელოვნება და კულტურა ჩვენ გერმანული კულტურის მქონე ერად გვაყალიბებს და გვიმტკიცებს შეგნებას, რომ ევროპის ურღვევ კულტურულ ერთმთლიანობას წარმოვადგენთ. ხელოვნება და კულტურა საკუთარი განცალკევების ან სხვათა გამიჯვნის საშუალებად არ გამოდგება...

გერმანიის საგარეო კულტურული პოლიტიკა ჩვენი ისტორიული გამოცდილების ფონზე უნდა გავიაზროთ როგორც საერთაშორისო თანასწორუფლებიან პარტნიორობაზე ორიენტირებული მშვიდობიანი პოლიტიკის ნაწილი. ომის შემდგომ პირველ წლებში საელჩოების საშუალებით ზოგიერთი კულტურული ინსტიტუტი შევქმენით. ფედერალურმა მთავრობამ მოგვიანებით პრინციპული გადაწყვეტილება მიიღო, როდესაც გერმანული კულტურის, გერმანული ენის გავრცელებისა და საერთაშორისო აკადემიური თანამშრომლობის ხელშეწყობის პროგრამის განხორციელება კერძო, არასამთავრობო შუამავალ ორგანიზაციებს მიანდო. ამ გზით უნდა წაეხალისებინათ დინამიკურობა, შემოქმედებითობა, ინდივიდუალურობა და დამოუკიდებლობა. ამგვარი დამოუკიდებლობა, ისეთი კონსტიტუციური ორგანოების მიერ დადგენილ ფარგლებში, როგორიც პარლამენტი და მთავრობაა, ძალზე დიდ პასუხისმგებლობას მოითხოვს...

გოეთეს ინსტიტუტებს დამოუკიდებლობა უფრო ეფექტური მუშაობის საშუალებას აძლევს, ვიდრე ამას ის დაწესებულებები ახერხებენ, რომლებიც მთავრობის ან სამთავრობო სტრუქტურების წაგრძელებული ხელის ფუნქციას ასრულებენ. გოეთეს ინსტიტუტების თანამშრომლებს კარგად მოეხსენებათ, რომ გოეთეს ინსტიტუტის მდგომარეობა მათგან კიდევ უფრო მეტ პასუხისმგებლობას მოითხოვს, პასუხისმგებლობას, რაც ისევ და ისევ ტოლერანტობასა და პლურალიზმში უნდა გამოიხატებოდეს. მხოლოდ ჩვენი ისტორია არ გვავალდებულებს, რომ ევროპის ხელახალი კულტურული თვითშეგნების პროცესში აქტიური და მაფორმირებელი როლი ვიკისროთ. გასაგებია, რომ არც იოლი სამშობლო გვაქვს და არც ადვილი ისტორია, მაგრამ ევროპის შუაგულში ჩვენი მდგომარეობა განსაკუთრებულად გვაკავშირებს მთელი კონტინენტის ბედისწერასთან;

ეს მდგომარეობა ზრდის ჩვენს პასუხისმგებლობას, რაც კულტურულ პოლიტიკასაც მოიცავს. ეს იმას ნიშნავს, რომ: ვალდებულნი ვართ სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი ცხოვრება ისე მოვაწყოთ, ჩვენს მეზობლებთან ურთიერთობის ისეთი ფორმა მოვძებნოთ, რომ მათ ჩვენი არსებობა მუქარად კი არ აღიქვან, არამედ საკუთარი თავის გამდიდრებად. ეს იმასაც ნიშნავს, რომ ამერიკელ მოკავშირეებთან საერთო ღირებულებების მქონე საზოგადოება კიდევ უფრო განვამტკიცოთ კულტურული ურთიერთთანამშრომლობით და ჩრდილოეთ-სამხრეთის კულტურული დიალოგის საშუალებით ხელი შევუწყოთ მესამე სამყაროს ხალხების კულტურულ თვითმყოფადობას. კულტურული პასუხისმგებლობა, ამ გაგებით, უფრო მეტს გვავალდებულებს, ვიდრე ამას მოცალეობის დროს წასაკითხი პროგრამები მოითხოვენ. იქ, სადაც ამგვარი პასუხისმგებლობის ნაკლებობაა, ადამიანი ღირსების, თვითრეალიზაციის უკმარისობას განიცდის; იქ, სადაც მისი ნაკლებობაა, შინაგანი და გარეგანი მშვიდობის დაკარგვის საშიშროება ჩნდება. ფრანგმა პოეტმა პოლ კლოდელმა მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ჩვენი ევროპული ამოცანა ასე დაახასიათა: «გერმანია იმისთვის როდი არსებობს, რომ ხალხები დააშორიშოროს ერთმანეთს, არამედ იმისათვის, რომ სხვადასხვა ერებს, მას რომ ერტყმიან გარშემო, აგრძნობინოს — მათ უერთმანეთოდ ცხოვრება არ შეუძლიათ». სწორედ ეს გახლავთ ჩვენი ევროპული და საერთაშორისო სამშვიდობო ამოცანა".

გაეროში გერმანიის პოლიტიკის მთავარ საკითხს წარმოადგენდა ფედერაციული რესპუბლიკის თანამონაწილეობა გაეროს ღონისძიებებში, რომლებიც განიარაღებასა და შეიარაღების შეზღუდვას ითვალისწინებდა. განიარაღების ხანგრძლივი ისტორია, რომელიც ერთა ლიგაში დაიწყო და გაეროში გაგრძელდა, უტოპიის სიმპტომებს ავლენდა და ძალზე ხშირად გარკვეულ იმედგაცრუებასთანაც იყო დაკავშირებული. ამის გამო თავიდან მოკრძალებული სტრატეგია ავირჩიეთ, როდესაც „ნდობის განმტკიცების შეტევის" განხორციელებას ვცდილობდით, რათა განიარაღებასა და შეიარაღებაზე კონტროლისათვის უკეთესი პოლიტიკური წანამძღვრები შეგვექმნა. ჩვენთვის ძალზე სასარგებლო გახლდათ ევროთათბირის ფარგლებში მიღებული გამოცდილება. ეს გეგმა საერთაშორისო მასშტაბით,

ოღონდ რეგიონალურად დიფერენცირებულის სახით გაგვქონდა გაეროს თათბირებზე. ფედერალურმა კანცლერმა შმიდტმა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის პირველ საგანგებო გენერალურ ასამბლეაზე, რომელიც 1978 წლის 26 მაისს გაიმართა ნიუ-იორკში და განიარაღების საკითხს ეძღვნებოდა, შესაბამისი მოსაზრებები გააცნო დამსწრე საზოგადოებას; მოსაზრებები, რომლებიც ჩვენი დელეგაციის მიერ მოგვიანებით შედგენილ დოკუმენტაციაში უფრო დაწვრილებით არის გადმოცემული. 1978 წლის 8 ივნისს ფედერაციულმა რესპუბლიკამ კენჭისყრაზე დააყენა წინადადება, რომელიც ნდობის განმტკიცების ღონისძიებათა გამოყენების ზონათა შექმნას გულისხმობდა. ის დაწვრილებით აღწერილ ღონისძიებათა ნუსხას მოიცავდა; როგორც შემდგომმა წლებმა გვიჩვენა, ეს ღონისძიებები, უპირველეს ყოვლისა ევროპის უშიშროების თვალსაზრისით, უდავოდ წინდახედული ნაბიჯი გახლდათ:

— თავდაცვისთვის გათვალისწინებული ხარჯების გამჟღავნება, რათა მათი შეზღუდვის ან შემცირებისთვის მიგვეღწია;

— შეიარაღებული ძალების სიმძლავრისა და სამხედრო ძალების სტრუქტურის გამჟღავნება;

— ამ სტრუქტურების ცვლილების გაცხადება;

— სამხედრო პერსონალის გაცვლა, მათ შორის სამხედრო დელეგაციების ვიზიტები;

— სამხედრო მანევრების, აგრეთვე მცირემასშტაბიანი წვრთნების შესახებ ინფორმაციების გავრცელება;

— მანევრებზე დამკვირვებელთა გაცვლა;

— სამხედრო ძალების გადაადგილების შესახებ ინფორმაციის გაცვლა;

— საერთაშორისო მეთვალყურეებით დაკომპლექტებული საერთაშორისო მონიტორინგის პოსტების შექმნა და კრიზისულ და დემილიტარიზებულ ზონებში ელექტრონული სამეთვალყურეო სადგურების მოწყობა.

გერმანულ წინადადებას დადებითი გამოხმაურება მოჰყვა. გენერალურ ასამბლეაზე შესაბამისი რეზოლუციები მიიღეს, რომლებშიც შეიტანეს ჩვენი მოსაზრებები, თუმცა შერბილებული ფორმით. აქ გამოაშკარავდა ის ფაქტი, რომ გაეროს ფარგლებში ეროვნულ

და პოლიტიკურ ინტერესთა შეჯახება უაღრესად ართულებდა საერთაშორისო მნიშვნელობის კონკრეტულ საკითხებზე შეთანხმებას. მესამე სამყაროს ზოგიერთი სახელმწიფო შეშფოთებას გამოთქვამდა იმ წინადადების გამო, რომელიც კრიზისის შემთხვევაში დამკვირვებელთა პოსტების დაარსებას გულისხმობდა; ეს სახელმწიფოები შიშობდნენ, ამას მათ შინაურ საქმეებში ჩარევის ხასიათი არ მიეღო. ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე ქვეყნები, უწინარეს ყოვლისა კი საბჭოთა კავშირი გაურბოდა სამხედრო ბიუჯეტის გამხელას.

მხნეობა არ დაგვიკარგავს და ოთხმოციანი წლების დამდეგს ახალი ინიციატივა წარვადგინეთ. გერმანიის ხელმძღვანელობით შეიქმნა თოთხმეტი სახელმწიფოსაგან შემდგარი სამუშაო ჯგუფი, რომელმაც ნდობის განმტკიცების ღონისძიებების ახალი ნუსხა შეადგინა. გერმანიის წინადადებით გაერომ იმავდროულად შექმნა სტანდარტიზებული საანგარიშგებო სისტემა სამხედრო ხარჯებთან დაკავშირებით: როგორც იქნა სამხედრო ბიუჯეტის გამჭვირვალობისა და ამრიგად მათი შედარების საკითხი გადაწყდა! თუმცა, ჩვენდა სამწუხაროდ, ჩვენს გარდა მხოლოდ თერთმეტმა დასავლურმა და ექვსმა მიუმხრობელმა სახელმწიფომ წარმოადგინა და გაამხილა თავდაცვის წლიური ბიუჯეტი.

ამ მცდელობათა ანალოგიურად 1981 წლის 23 სექტემბერს გაეროს ოცდამეთექვსმეტე გენერალურ ასამბლეაზე გამოსვლისას მსოფლიოში სტაბილურობის განმსაზღვრელ გადამწყვეტი მნიშვნელობის ოთხ ელემენტზე გავამახვილე ყურადღება; ესენი გახლდათ: გაწონასწორებულობა, საჯაროობა, შემოწმებადობა და ნდობის განმტკიცება.

მოგვიანებით, 1984 წელს, გაეროს ფარგლებში ნდობის განმტკიცების ღონისძიებათა შესახებ ჩემს მიერ წამოყენებული წინადადება საფუძვლად დაედო სტოკჰოლმის თათბირს — ევროპაში ნდობის განმტკიცების, უშიშროებისა და განიარაღების ღონისძიებათა შესახებ. მაშინაც საქმე ზუსტი, შემოწმებადი პრინციპების შემუშავებას ეხებოდა.

1990 წელს გაეროში, რომლის წევრიც თვრამეტი წლის განმავლობაში ორივე გერმანული სახელმწიფო გახლდათ, ბოლოს

და ბოლოს აღსრულდა გერმანიის გაერთიანება. 1990 წლის 25 სექტემბერი უდიადესი დღე იყო ჩემთვის; მაშინ გაეროს 45-ე გენერალურ ასამბლეაზე განვაცხადე: „გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში გაწევრიანების დღიდან გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა გაეროს ფორუმის წინაშე ყოველთვის გამოდიოდა ჩვენი განუყოფელი ერის სახელმწიფოებრივი გაერთიანების მოთხოვნით. 1974 წლიდან პირადად მე გაერთიანებული ერების გენერალურ ასამბლეაზე ყოველწლიურად გამოვხატავდი ჩვენს ნებას, რომ ევროპაში მშვიდობის დამკვიდრებისათვის ვიღვაწებდით, რაც შექმნიდა წინაპირობებს თავისუფალი თვითგამორკვევის გზით გერმანელი ხალხის ხელახალი გაერთიანებისათვის. ამ დროს ყოველთვის ვფიქრობდი ჩემს სამშობლოში მცხოვრებ გერმანელებზე: გერმანელებზე, რომლებიც იქ ცხოვრობდნენ, სადაც დავიბადე და გავიზარდე. ვიცოდი: ისინიც ისევე ოცნებობდნენ გერმანიის გაერთიანებაზე, როგორც ჩვენ — გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში. მაშინ მათ არ შეეძლოთ თავისი გრძნობებისა და შეხედულებების გამოხატვა. ახლა მათ მხარი დაუჭირეს თავისუფლებასა და ერთობას. გერმანიის გაერთიანება მათთან ერთად გვახარებს, ვიცით, რომ ეს ევროპასაც გაამთლიანებს“.

მხოლოდ ერთი კვირის შემდეგ, 1990 წლის 3 ოქტომბერს მივწერე გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანს პერეს დე კუელიარს: „მაქვს პატივი მოგახსენოთ, რომ 1990 წლის 3 ოქტომბრის დადგენილების თანახმად გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკასთან გაერთიანების შედეგად ორივე გერმანული სახელმწიფო ერთ სუვერენულ სახელმწიფოს წარმოადგენს და იგი, როგორც გაეროს წევრი, ქარტიით დაკისრებული ვალდებულებების ერთგული რჩება, რაც 1973 წლის 12 ივნისის საზეიმო დეკლარაციას შეესატყვისება. ერთ სახელმწიფოდ გაერთიანების შემდეგ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში წარმოდგენილი იქნება სახელწოდებით «გერმანია». მაქვს პატივი მოგმართოთ თხოვნით, გააცნოთ ამ ნოტის შინაარსი წევრ სახელმწიფოებს, გაერთიანებული ერების ყველა მთავარ და დაქვემდებარებულ ორგანოებს, ასევე გაეროს ყველა სპეციალურ ორგანიზაციასა თუ მათთან დაკავშირებულ ორგანიზაციებს“.

1990 წელს, გერმანიის გაერთიანებამდე სულ რაღაც ორიოდე დღით ადრე, გაეროში ფედერაციული რესპუბლიკის სახელით გამოვდიოდი, ახლა კი, 1991 წლის 25 სექტემბერს, პირველად ვლაპარაკობდი როგორც გაერთიანებული გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრი. დასრულდა გზა, რომელსაც დაადგა ვალტერ შეელი, როდესაც მან გაეროში ჩვენი გაწევრიანების შემდეგ სიტყვა წარმოთქვა ნიუ-იორკში ვითარცა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრმა; დასრულდა გზა, რომელმაც ნაბიჯ-ნაბიჯ მიგვიყვანა გერმანიისა და ევროპის გაერთიანებამდე.

1991 წლის 25 სექტემბერს განვაცხადე: „1975 წლიდან აქ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის სახელით გამოვდიოდი. ყოველწლიურად გამოვხატავდი ჩვენს ნებას, რომ ევროპაში მშვიდობის ხელშეწყობა გვსურდა, რაც გერმანელ ხალხს თავისუფალი თვითგამორკვევის გზით ხელახლა გაერთიანების შესაძლებლობას მისცემდა. 1990 წლის 3 ოქტომბერს ეს სურვილი რეალობად იქცა. მინდა ამ წუთებში გავიხსენო ყველა, ვინც ბერლინის კედელთან თუ მავთულხლართებში, სატუსაღოებსა თუ სასჯელაღსრულების ბანაკებში სიცოცხლე და თავისუფლება გაწირა, რადგან თავისუფალ, დემოკრატიულ, სამართლებრივ, ევროპულ გერმანიაში ცხოვრება სურდა. ჩვენ პატივს მივაგებთ ყველას, ვინც ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპაში, იმჟამინდელ გდრ-ში, ქუჩაში გავიდა, რათა მშვიდობიანი გზით მოეპოვებინა თავისუფლება, დემოკრატია და ერთობა. დღეს პირველად ვლაპარაკობ როგორც გაერთიანებული გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრი. გერმანია თავის ადგილს იკავებს გაერთიანებული ერების ოჯახში სახელმწიფოთა ერთობის ქარტიის საფუძველზე. წარმოვადგენთ რა ევროპულ სახელმწიფოს, თავს ანგარიშვალდებულად ვთვლით პარიზის ქარტიის წინაშე. ერთ სახელმწიფოდ გაერთიანება და ჩვენი მნიშვნელობის გაძლიერება კიდევ უფრო დიდ პასუხისმგებლობას მოითხოვს ჩვენგან, რათა დავიცვათ თავისუფლება, დემოკრატია და ადამიანის ღირსებები ევროპულ გერმანიაში, რომელმაც ნაციონალისტური სახელმწიფოებრივი აზროვნება უკან ჩამოიტოვა. გერმანიის გაყოფა ევროპის გაყოფის გამოხატულება გახლდათ და დღეს გერმანიის გაერთიანება ევროპის გაერთიანებას უყრის საძირკველს. ევროპა ისტორიული გარდატეხის ზღურბლზე იმყოფება. გერმანელებს გვსურს, რომ ეს

ევროპა ტრანსატლანტიკურ კავშირში განვითარდეს. ჩრდილოატ-ლანტიკურ ალიანსსა და ევროთათბირში აშშ-სა და კანადის მონაწ-ილეობა ამას ადასტურებს. ევროგაერთიანების ტრანსატლანტიკური დეკლარაცია ხაზგასმით გამოხატავს ევროპისა და ჩრდილო ამერიკის სულ უფრო მჭიდრო ურთიერთთანამშრომლობის სურვილს".

ეს გახლდათ ჩემი, როგორც გაერთიანებული გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრის პირველი გამოსვლა; ეს გახლდათ ჩემი, როგორც საგარეო საქმეთა მინისტრის, გაერთიანებული ერების ორგანიზაციასთან გამოსამშვიდობებელი სიტყვა.

## თავი 10

# ევროპული გაერთიანება: შტუტგარტიდან მაასტრიხტისაკენ

### *სტაგნაცია გაერთიანების პროცესში*

1980 წლის ბუნდესტაგის არჩევნებში თავისუფალი დემოკრატიული პარტიის მიერ ხმების 10,6 პროცენტის მოპოვება დიდ წარმატებას ნიშნავდა. მიუხედავად ამისა, ჩვენ მივიღეთ გადაწყვეტილება, ისეთი პერსონალური მოთხოვნები არ წამოგვეყენებინა, რომელიც პარტიაში და ფრაქციაში პრობლემებს შეგვიქმნიდა. ჩემთვის უპირველეს ყოვლისა მნიშვნელოვანი იყო, მთავრობის სტაბილიზება გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის მეშვეობით. სოციალ-დემოკრატები არჩევნების შედეგებით იმედგაცრუებულნი იყვნენ. შეიქმნა ვითარება, რაც სწორედაც რომ არ უმსუბუქებდა ჰელმუთ შმიდტს მდგომარეობას. მე კი, როგორც საგარეო საქმეთა მინისტრი, უპირატესად დაინტერესებული ვიყავი, საგარეოპოლიტიკური პრიორიტეტები დამედგინა, მით უმეტეს, რომ მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები გვქონდა მისაღები: ნატოში უკვე იღებდნენ საბოლოო გადაწყვეტილებას დასავლეთ ევროპაში ამერიკული საშუალო სიშორის რაკეტების განლაგების თაობაზე; საბჭოთა კავშირის მხრიდან არ ჩანდა არავითარი მზადყოფნა, დათმობებზე წასულიყო. აქედან გამომდინარე, ნატოსთვის ორმაგი ხელშეკრულება დასავლური ალიანსის ქმედითობისა და გადაწყვეტილების მიღების უნარიანობის შემოწმების საშუალება იყო. უფრო მეტიც: დარწმუნებული ვიყავი, დებატები ნათელს მოჰფენდა იმ საკითხს, თუ რა როლი დაეკისრებოდა ფედერაციულ რესპუბლიკას ალიანსის შიგნით. ყველა პარტნიორს გაცნობიერებული ჰქონდა, რომ დადგენილება ნატოს ორმაგი გადაწყვეტილების განხორციელების თაობაზე საბოლოოდ გერმანიაში იქნებოდა მიღებული. ორმაგი გადაწყვეტილების კონცეფციაც — ერთი მხრივ რაკეტების განლაგებისა და მეორე მხრივ მოლაპარაკებებისთვის მზადყოფნა — ჰარმელის მოხსენების შესაბამისად გერმანიაში შემუშავდა. ამით ჩვენ ხელი ავიღეთ შეიარაღების ძველ მექანიზმზე: შეიარაღება — საპასუხო

შეიარაღება — ხელახალი შეიარაღება, რადგანაც ნატოს ორმაგი გადაწყვეტილება ორ შესაძლებლობას და ამის შედეგად პოლიტიკური ქმედებებისთვის საჭირო სივრცეს გვთავაზობდა. გადაწყვეტილება ამერიკული საშუალო სიშორის რაკეტების განლაგების შესახებ მმართველობის 1980-1984 წლების პერიოდში უნდა მიღებულიყო.

ამასობაში ევროთათბირმა, რომლის მიმართაც ჩვენ თავიდანვე კეთილგანწყობილნი ვიყავით, ალიანსის ყველა წევრის მხარდაჭერა მოიპოვა. ჩვენი მოსაზრება იმის თაობაზე, რომ ჰელსინკის დასკვნით აქტზე ხელმოწერა კი არ განამტკიცებდა სტატუს კვოს ევროპაში, არამედ პირიქით, მოძრაობაში მოიყვანდა პროცესს, რომელიც დააჩქარებდა დასავლური ღირებულებების ხორცშესხმას, მართლაც რომ სწორი აღმოჩნდა. ამგვარად, ჩვენ გვეძლეოდა შანსი, კონტინენტის გახლეჩა ნაბიჯ-ნაბიჯ დაგვეძლია.

მსოფლიო ეკონომიკურ სამიტში, რომელსაც ჰელმუთ შმიდტმა და ჟისკარ დ'ესტენმა დაუდეს დასაბამი, უკვე შვიდი სახელმწიფო მონაწილეობდა, რომლებიც არა მხოლოდ მსოფლიო ეკონომიკის საკითხებს განიხილავდნენ, არამედ სულ უფრო და უფრო მეტ დაინტერესებას იჩენდნენ საერთაშორისო პოლიტიკური პრობლემებითაც. დასავლური გაერთიანებები მეტ ნდობას იხვეჭდნენ, სულ უფრო უძლიერდებოდათ პოლიტიკური აქტივობის განცდა.

ევროგაერთიანებასთან მიმართებაში კი, სამწუხაროდ, ამას ვერ იტყოდი — მისი მდგომარეობა შეშფოთებას იწვევდა. ამას ემატებოდა ისიც, რომ ის ჩართული იყო წვრილმან კინკლაობაში, იგრძნობოდა დიდი, სერიოზული კონცეფციის უქონლობა და ეს ხდებოდა მიუხედავად იმისა, რომ 1972 წელს ევროგაერთიანების უმაღლესი დონის შეხვედრას ერთი საერთო მიზანი ჰქონდა დასახული: ევროპული კავშირი. მაშინ სახელმწიფოთა და მთავრობათა მეთაურებმა უკეთილშობილეს მიზნად გამოაცხადეს, წევრ სახელმწიფოთა ურთიერთობების ერთობლიობა ამ საუკუნის ბოლოსთვის ევროკავშირად გარდაექმნათ. ეს ეპოქალური გადაწყვეტილება იყო, მით უმეტეს თუკი გაითვალისწინებ, რა დროს იქნა იგი მიღებული. ბონი ძალისხმევას არ იშურებდა, საქმე იქამდე მიეყვანა, რომ განხორციელებულიყო სახელშეკრულებო პოლიტიკა აღმოსავლეთთან, მზადდებოდა ევროთათბირის პროცესი. სწორედ ამ ვითარებაში

მეტად მნიშვნელოვანი იყო, ევროპული გაერთიანების პროცესს ახალი იმპულსი მინიჭებოდა და ეს რომ მოხერხდა, ვილი ბრანდტისა და ვალტერ შეელის დამსახურებაა.

რვა წელი იყო გასული და თვით გერმანიაშიც ევროპული ერთობა, რომელიც თითქოსდა სინამდვილეში აღარც კი იყო უკვე საკამათო, ლამის გაქრა ოფიციალური დისკუსიების პრიორიტეტთა სიებიდან. ახლა საჭირო იყო ახალი ბიძგი, რათა განვითარების პროცესის ბალანსი არ დარღვეულიყო. ქმედითუნარიანი დასავლეთის ბაზაზე აქტიური და კონსტრუქციული აღმოსავლური პოლიტიკის განხორციელების პრინციპული იდეა ევროგაერთიანების ფარგლებშიც ისევ უნდა გამოცოცხლებულიყო, უპირატესად, მე ასე მწამდა, მჭიდრო გერმანულ-ფრანგული თანამშრომლობის წყალობით. ევროგაერთიანებამ საერთაშორისო მასშტაბით მიაღწია შეთანხმებებს არამარტო მაშრიყისა და მაღრიბის ქვეყნებთან და აგრეთვე ისრაელთანაც, რითაც დასაბამი მისცა ევრო-არაბულ დიალოგს, რომელიც ამ სახელს ნამდვილად იმსახურებდა, არამედ გერმანიის წინადადებების მეოხებით სხვა რეგიონების ჩართვაც მოხერხდა თანამშრომლობის პროცესში. რეგიონალური კოოპერაციის ეს კონცეფცია მომზადდა და შემუშავდა საგარეო საქმეთა უწყებაში. ჩვენ დარწმუნებულნი ვიყავით, პერსპექტივაში მცირე და საშუალო სიდიდის სახელმწიფოები თავიანთ როგორც ეკონომიკურ, ისე პოლიტიკურ ინტერესებს რეგიონალური თანმშრომლობის პირობებში უკეთესად გაიცნობიერებდნენ, ვიდრე ეს აქამდე ხდებოდა. რეგიონალური კოოპერაცია შეიძლება ახალი სტაბილური მსოფლიო წესრიგის მნიშვნელოვანი ელემენტი გამხდარიყო.

ამ ხასიათის პირველი ინიციატივა, რომელიც მე ევროგაერთიანებაში გავაცხადე, იყო 1980 წლის 7 მარტის კოოპერაციული ხელშეკრულება ასეანის* სახელმწიფოებთან — ინდონეზიასთან, მალაიზიასთან, ფილიპინებთან, სინგაპურთან, ტაილანდთან და ბრუნეისთან, რომელიც მოგვიანებით მივიდა ამ გადაწყვეტილებამდე. ასეანი იყო რეგიონალური გაერთიანება, რომელიც ინსტიტუციონალურად ჯერ კიდევ არ იყო საკმარისად განვითარებული; ამიტომ

---

* ასეანი — სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის სახელმწიფოთა ასოციაცია (ASEAN). (რედ.)

ჩვენს წინადადებას ამ სახელმწიფოების მხრიდან დიდი ინტერესით შეხვდნენ. ჩვენ ვთავაზობდით ასეანის წევრ სახელმწიფოებს იმის შესაძლებლობას, რომ უფრო გაემრავალფეროვნებინათ და გაეფართოებინათ თავიანთი ურთიერთობები. ამგვარად, გერმანიის ფედერაციულმა რესპუბლიკამ, ვისი ძალისხმევითაც ეს ხელშეკრულება დაიდო, რეგიონში მეტი წონა შეიძინა.

ჩემს ძალისხმევას, გერმანიის ეკონომიკური წრეები ასეანის ქვეყნების ბაზრებითა და იქაური საინვესტიციო გარემოთი დამეინტერესებინა, დიდი წარმატება არ მოჰყოლია. ამერიკელებისა და იაპონელებისაგან განსხვავებით, რომლებიც იმ ქვეყნებთან ინტენსიურად თანამშრომლობდნენ, ჩვენი ეკონომიკის ექსპერტები ამ რეგიონის შესაძლებლობებს ჯეროვნად ვერ აფასებდნენ.

ეგრეთ წოდებული სან-ხოსეს დიალოგიც ჩვენი ძალისხმევის შედეგად გახდა შესაძლებელი. კოსტა-რიკის პრეზიდენტ მონგესთან საუბრების დროს მოვამზადე გეგმა და 1984 წელს შესაძლებელი გახდა კოსტა-რიკის დედაქალაქ სან-ხოსეში მოლაპარაკებების პირველი რაუნდი გამართულიყო. მრავალწლიანი პაუზის შემდეგ აქ ერთად დასხდნენ ცენტრალური ამერიკის საგარეო საქმეთა მინისტრები, რომელთაც ერთმანეთისაგან სრულიად განსხვავებული პოლიტიკური პოზიციები ჰქონდათ: კოსტა-რიკის, გვატემალის, ჰონდურასის, ნიკარაგუას, ელ-სალვადორისა და პანამის წარმომადგენლები. მარტო პირადმა კონტაქტებმაც უკვე დამამშვიდებელი ზემოქმედება მოახდინა. ამასთან ევროგაერთიანება ცდილობდა ცენტრალური ამერიკის პარტნიორებში რეგიონალური იდენტურობის განცდა გაეძლიერებინა და დახმარებოდა მათ პოლიტიკური და ეკონომიკური ურთიერთობების გამრავალფეროვნებაში.

რეგიონიდან წამოსული სამშვიდობო ინიციატივებიც ევროგაერთიანების მხარდაჭერას პოულობდა. აქ, უპირველეს ყოვლისა, უნდა დასახელდეს ეგრეთ წოდებული კონტადორას ჯგუფის სახელმწიფოთა (მექსიკა, ვენესუელა, კოლუმბია, პანამა) მისწრაფებები და კოსტა-რიკის პრეზიდენტის ოსკარ არიასის სამშვიდობო გეგმა, რომლისთვისაც მან შემდეგ მშვიდობის ნობელის პრემია მიიღო. პოლიტიკური გადაწყვეტილებებით, რომლებიც ეკონომიკურ კოოპერაციასა და რეგიონალური თანამშრომლობის ხელშეწყობასთან

იქნებოდა დაკავშირებული, ნაბიჯ-ნაბიჯ მსოფლიოს მეორე ნახევარში აღმოსავლეთ-დასავლეთის დაპირისპირების გაფართოების საწინააღმდეგოდ შემხვედრი ქმედებები უნდა განხორციელებულიყო, — ამგვარი გახლდათ ჩვენი კრედო.

უკვე 1985 წელს, პირველი შეხვედრიდან მხოლოდ ერთი წლის შემდეგ სან-ხოსეს პროცესი ლუქსემბურგში გაგრძელდა. გადაწყდა, გამართულიყო ყოველწლიური შეხვედრები საგარეო საქმეთა მინისტრების დონეზე და ხელმოწერილ იქნა კოოპერაციული ხელშეკრულება ეკონომიკური თანამშრომლობის შესახებ. მოგვიანებით, დღის წესრიგში დადგა თანამშრომლობა ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში და ბრძოლა ნარკოტიკებით ვაჭრობის წინააღმდეგ. მსგავსი შეთანხმებები დადო ჩემი ინიციატივით ევროგაერთიანებამ სპარსეთის ყურის სახელმწიფოთა ურთიერთთანამშრომლობის საბჭოსთან. ევროგაერთიანებას ეს მიაჩნდა ახლო აღმოსავლეთის რეგიონის სტაბილიზაციის საქმეში შეტანილ წვლილად.

ხსენებული კოოპერაციების პარალელურად ვითარდებოდა თანამშრომლობა ანდების პაქტის წევრ სახელმწიფოებთან — ეკვადორთან, კოლუმბიასთან, პერუსთან და ბოლივიასთან, ასევე კონტადორას ჯგუფის ქვეყნებთან: მექსიკასთან, პანამასთან, კოლუმბიასა და ვენესუელასთან. რეგიონალურ თანამშრომლობას მნიშვნელოვანი წვლილის შეტანა შეუძლია სტაბილიზაციის პროცესში როგორც რეგიონალური, ასევე მსოფლიო მასშტაბითაც. სწორედ ევროკავშირს, როგორც ყველაზე უფრო დაწინაურებულ გაერთიანებას, აქვს ამ სფეროში დიდი შესაძლებლობები, მით უფრო, რომ ის როგორც ერთადერთი რეგიონალური გაერთიანება დიდი შვიდეულის სახელმწიფოთა ჯგუფშია წარმოდგენელი და შეუძლია იქ ზემოქმედება მოახდინოს რეგიონალური ურთიერთთანამშრომლობის განვითარებაზე. ამავდროულად დიდი შვიდეულის ჯგუფში — რომელსაც მალე ალბათ მერვე წევრად რუსეთიც შეუერთდება — ყველაფერი უნდა გაკეთდეს, რათა სულ უფრო და უფრო მნიშვნელოვანი რეგიონების წარმოშობა საიმისოდ იყოს გამოყენებული, რომ გაღრმავდეს ურთიერთდამოკიდებულების და კოოპერაციის აუცილებლობის შეგნება. როგორც ევროპაშია მიჩნეული, იმისათვის, რომ წინ აღვუდგეთ რენაციონალიზაციას, საჭიროა რეგიონალური კოოპერაციის კონცეფციის გატარება მთელ მსოფლიოში. მსოფლიოს

რეგიონებმა თავი უნდა მოიაზრონ ახალი კოოპერაციული მსოფლიო წესრიგის შემადგენელ კომპონენტებად. თუ ისინი ამას არ გააკეთებენ, მაშინ ევროპის ნაციონალურ სახელმწიფოთა ეპოქის ყველა შეცდომა გლობალურად გამეორდება უფრო მაღალ დონეზე.

ევროპული გაერთიანების შთამბეჭდავ ძალისხმევას მესამე სამყაროს სახელმწიფოებთან თანამშრომლობის სფეროში მიეკუთვნება ეგრეთ წოდებული ლომეს შეთანხმებები* აფრიკის, კარიბის აუზისა და წყნარი ოკეანის სახელმწიფოებთან, რომელთა დადებაც საგარეო უწყების მაშინდელი სახელმწიფო მინისტრის ჰანს-იურგენ ვიშნევსკის დაუღალავი მოღვაწეობის გარეშე შეუძლებელი იქნებოდა.

## *რაკეტა სტარტს იღებს: გენშერ-კოლომბოს ინიციატივა*

მე თვითონ ევროგაერთიანებაში მიმდინარე პროცესებით უკმაყოფილო ვიყავი. ჩემი ყოველწლიური გამოსვლა ბადენ-ვიურტემბერგის ლიბერალთა სანათლისღებო შეხვედრაზე, ღონისძიებაზე, რომელიც დიდი ხნის მანძილზე მთელი ქვეყნის მასშტაბით იპყრობდა ყურადღებას, 1981 წლის 6 იანვარს ახალი შეტევისთვის გამოვიყენე. გადავწყვიტე, ისევე როგორც 1966 წელს, კვლავაც შტუტგარტში ახალი მნიშვნელოვანი საგარეოპოლიტიკური წინადადებებით გამოვსულიყავი: სახელდობრ ევროკავშირის დაფუძნებისათვის შემდგომი ნაბიჯები გადავდგი. რეაქცია ამასთან დაკავშირებით გერმანიაში უფრო ნაკლები იყო, ვიდრე ევროგაერთიანების წევრ ზოგიერთ სახელმწიფოში; ყველაზე ნაყოფიერი ნიადაგი კი ამ იდეებმა უპირველესად იტალიაში პოვეს.

1981 წლის განმავლობაში მოვუხშირე სტუმრობას ჩემს იტალიელ კოლეგა ემილიო კოლომბოსთან, რომელიც იტალიის ომისშემდგომი პოლიტიკის დიდ მოღვაწეთა რიგს მიეკუთვნება. საგარეო საქმეთა მინისტრი, ფინანსთა მინისტრი, პრემიერ-მინისტრი — ამ სხვა-

---

* შეთანხმებები, დადებული ტოგოს დედაქალაქ ლომეში. პირველს 1975 წ. 25 თებერვალს მოეწერა ხელი. (რედ.)

დასხვა რანგში და თანამდებობაზე ემსახურებოდა კოლომბო თავის ქვეყანას. მასთან თანამშრომლობას ისეთი მეგობრული და გულღია ხასიათი ჰქონდა, რომ ხანდახან ვნანობდი კიდეც, ერთ საერთო ენაზე რომ ვერ ვსაუბრობდით. მაგრამ ევროპული პოლიტიკის საკითხებზე ჩვენი აზრების თანხვედრის გამო და ჩვენი შესანიშნავი თარჯიმნების თანადგომით მაინც ვახერხებდით გვეპოვა ერთმანეთისკენ სავალი გზები.

კარგი თარჯიმანი ყველა საერთაშორისო ურთიერთობის ალფა და ომეგაა. საბედნიეროდ, საგარეო საქმეთა სამინიტროსაც თავის განკარგულებაში ჰყავდა და ჰყავს ექსტრა კლასის მთარგმნელები და თარჯიმნები. მთარგმნელთა შრომა უკანა პლანზე მიმდინარეობს, მაგრამ მისი მნიშვნელობა ძალიან დიდია, რადგანაც თარგმანის სიზუსტეს საგარეო პოლიტიკის სფეროში, რა თქმა უნდა, გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს. თარჯიმნები თავიანთი სამუშაოს შესრულების დროს საზოგადოების წინაშე წარმოჩნდებიან. ისინი ხშირად დგანან რამპის შუქზე, რაც ყველა შემთხვევაში ტვირთი უფროა, ვიდრე სიამოვნება. მათ ხშირად საათობით, მოგზაურობის დროს კი მთელი დღეების განმავლობაში ზუსტი მუშაობა მოეთხოვებათ, რაც იმის გამოც არის მომქანცველი, რომ თარჯიმანს არ შეუძლია განსაზღვროს არც საუბრების რიტმი და არც მათი ხანგრძლივობა. რაც უფრო მეტად ივიწყებს თავის თავს თარჯიმანი, მით უფრო პიროვნული და მჭიდრო შეიძლება გახდეს პარტნიორებს შორის აზრთა გაცვლა-გამოცვლა ისე, რომ ბოლოს მათ ზოგჯერ თარჯიმნის არსებობაც კი ავიწყდებათ. თარჯიმანისთვის აუცილებელ თვისებებს მიეკუთვნება აგრეთვე აბსოლუტური კონფიდენციალობა.

საგარეო საქმეთა სამინისტროს თარჯიმანთა კოლეგია ისეთი პიროვნებების მეთაურობით, როგორებიც არიან ჰერმან კუსტერერი, ჰაინც ვებერი და გიზელა ზიბურგი საერთაშორისო მასშტაბით ერთ-ერთი პირველთაგანია, ისევე როგორც ევროგაერთიანების კომისიის თარჯიმანთა კოლეგია, რომლის ხელმძღვანელიც მრავალი წლის განმავლობაში ქალბატონი რენე ვან ჰოოფი გახლდათ, რომელიც ბოლოს გენერალური დირექტორის რანგში მოგვევლინა და ვინც არსებითად შექმნა ეს ორგანიზაცია. ბრიუსელში ის უკვე დიდი ხანია სერიოზულ დაწესებულებად გადაიქცა. ეს ქალბატონი — ისევე როგორც ჰაინც ვებერი და გიზელა ზიბურგი — უარს არ

ამბობდა აქტიურად განეგრძო მუშაობა როგორც თარჯიმანს. და მაინც თარჯიმნის ფასი მხოლოდ მის მიერ წარმოთქმულ სიტყვათა სიზუსტეში და მათი საიდუმლოდ შენახვის უნარში არ მდგომარეობს: უპირველეს ყოვლისა მნიშვნელოვანი მოლაპარაკებების დროს მე დიდად მეხმარებოდა ხშირი ღამეული მსჯელობანი ჩემს თარჯიმნებთან, რათა უკეთესად შემეფასებინა პარტნიორი და მოლაპარაკებების შინაარსი.

მაგრამ მოდით დავუბრუნდეთ ჩემს გამოსვლას სანათლისღებო შეხვედრაზე. საგარეო უწყებაში ჩემი ინიციატივა დიდი შვებით იქნა მიღებული. ჩემი მთავარი მრჩეველი, სტატს-მდივანი ჰანს ვერნერ ლაუტენშლაგერი, რომელთანაც მე წლების განმავლობაში პოლიტიკურად და პიროვნულად ძალიან დაახლოებული ვიყავი, ღრმად ევროპული აზროვნების ადამიანია, ძირძველი ევროპელი, რომელიც ამასთან თავისი საქმის სწოუპოვარი პროფესიონალი გახლავთ. მას ასე მიაჩნდა: ევროპული გაერთიანების წარმატება დიდად სასარგებლო იქნებოდა ჩვენი ქვეყნისთვისაც. ლაუტენშლაგერი მეორე მსოფლიო ომის შემდგომი გერმანიის საგარეო უწყების დიდ პიროვნებათა რიცხვს მიეკუთვნება. გარდა ამისა იგი პარტიული პოლიტიკის თვალსაზრისით დამოუკიდებელი სახელმწიფო მოხელეობის განსახიერებაა დემოკრატიულ სახელმწიფოში.

ჩვენი მოხელეების მიერ დოკუმენტების მომზადების შემდეგ ემილიო კოლომბოსა და მე უკვე შეგვეძლო ბოლოს და ბოლოს მაგიდაზე დაგვედო ევროკავშირის კონცეფცია, რომელშიც ჩვენ ხაზს ვუსვამდით ევროსაბჭოს როლს და მთლიანად ვუჭერდით მხარს ევროპული პოლიტიკური თანამშრომლობის გაძლიერებას. დემოკრატიზაციას და ადამიანთა უფლებების დაცვას, როგორც ჩვენი ერთობლივი საგარეო პოლიტიკის საფუძველს, ჩვენ განსაკუთრებულად წამოვწევდით წინა პლანზე, რათა ამგვარად მოგვეხდინა გაერთიანების ღირებულებაზე ორიენტირებული საგარეო პოლიტიკური კურსის ფორმირება. გარდა ამისა, ჩვენ მტკიცედ მოვითხოვდით თანამშრომლობას კულტურის პოლიტიკისა და სამართლებრივ სფეროში, ევროპული სავალუტო სისტემის განვითარებას და ეკონომიკური და სავალუტო კავშირის შექმნას. ჩვენ „ევროპული აქტი“ ვუწოდეთ ამ დოკუმენტს, რომლის მიზანი ფართო ხელშეკრულების დადება იყო, რაც მოგვიანებით კიდეც განხორციელ-

და მაასტრიხტის ხელშეკრულებების სახით.

ფედერალურ მთავრობაში ამ ინიციატივას ერთსულოვნად არ შეხვედრიან. თავდაცვის მინისტრის, აპელის, შიში, რომ ევროპული პოლიტიკური თანამშრომლობა უშიშროების სფეროზეც გარცელდებოდა, ჩემი შთაბეჭდილებით, უფრო უწყებრივ-პოლიტიკური, ვიდრე საგნობრივი მოსაზრებებით იყო განპირობებული. როდესაც წინადადება ფედერალური მთავრობის კაბინეტში განიხილებოდა, მე ჩვენი მოთხოვნები შევამცირე, რათა ანგარიში გამეწია ჰანს აპელის შეშფოთებისთვის. მოკლედ, ჩემი ვალი იყო, დიდი პოლიტიკური ხაზი გამეტარებინა. რაკიღა ჰერბერტ ვენერი კოალიციის ინტერესებიდან გამომდინარე ჩემს წამოწყებას უჭერდა მხარს, ბოლოს და ბოლოს ყველაფერი კონსენსუსით დასრულდა.

საგარეო საქმეთა მინისტრ კოლომბოსთან ერთად საშუალება მომეცა, ჩვენი ინიციატივა ევროპარლამენტის წინაშე წარმედგინა. ეს თითქმის პატარა რევოლუციას ჰგავდა, რადგანაც, ჩვეულებრივად, მხოლოდ პრეზიდენტებს ჰქონდათ უფლება ევროპარლამენტის წინაშე გამოსულიყვნენ. ჩვენდა გასახარად, დეპუტატების რეაქცია პოზიტიური აღმოჩნდა და წევრი სახელმწიფოების მთავრობები შეთანხმდნენ, დაეწყოთ მოლაპარაკებები „ევროპული აქტის" გარშემო. მაგრამ მალე გაირკვა, რომ ამგვარი საერთაშორისოსამართლებრივი ხელშეკრულება შესაძლებლობის ფარგლებში ვერ თავსდებოდა: ზოგიერთი პარტნიორი დაჟინებით ამტკიცებდა, რომ ევროპული გაერთიანების ხელშეკრულებით განსაზღვრულ შემდგომი განვითარების პროცესს წინ უნდა უსწრებდეს ევროგაერთიანების საბიუჯეტო, აგრარული პოლიტიკისა და სტრუქტურული პოლიტიკის პრობლემების გადაწყვეტა.

ამ დისკუსიის პროცესის შუა პერიოდს დაემთხვა მთავრობის შეცვლა გერმანიაში. გენშერ-კოლომბოს ინიციატივას ნაყოფიერი ნიადაგი შეექმნა, რადგანაც ქრისტიანულ-დემოკრატიული/ქრისტიანულ-სოციალური კავშირები ჯერ კიდევ ოპოზიციაში ყოფნისას უჭერდნენ მხარს ჩვენს წინადადებას; სახელდობრ, ჰელმუთ კოლმა, როგორც ოპოზიციის ლიდერმა, გარკვევით გამოთქვა თავისი აზრი ამასთან დაკავშირებით. ეს მე კარგის მომასწავებელი მეჩვენა. მაშინ, როცა საგარეო პოლიტიკის ზოგიერთ ასპარეზზე – თუნდაც გერმანია-

*ევრეთ წოდებულმა გენშერ-კოლომბოს ინიციატივამ ოთხმოციანი წლების დამდეგს კვლავ დინამიკა შეიტანა ევროპულ პოლიტიკაში და საბოლოოდ მაასტრიხტისკენ მიმავალი გზა გაკვალა. სურათზე ამ ინიციატივის მამები რომში 1982 წელს.*

პოლონეთის საზღვრის და აფრიკული პოლიტიკის, განსაკუთრებით კი ნამიბიასა და სამხრეთ აფრიკასთან მიმართების თვალსაზრისით აზრთა სხვადასხვაობა იჩენდა თავს, ევროპული პოლიტიკა კოალიციისთვის დამაკავშირებელ რგოლად იქცა. უფრო მეტიც: ევროპული გაერთიანების განვითარებისთვის ჰელმუთ კოლის პიროვნული ძალისხმევა მნიშვნელოვან კონსტანტად იქცა.

1983 წლის პირველ ნახევარში გერმანია ევროგაერთიანების თავმჯდომარე უნდა ყოფილიყო. ამიტომ ახალ ფედერალურ კან-

ცლერს მალე, თავისი პოსტის დაკავების შემდეგ, საშუალება ეძლეოდა თავისი დამოკიდებულება ევროგაერთიანების მიმართ მკაფიოდ გამოეთქვა როგორც ამ გაერთიანების თავმჯდომარეს. ის ამ შანსის გამოყენებას დიდი ენერგიით და დამაჯერებლობით შეუდგა.

თუმცა გენშერ-კოლომბოს ინიციატივამ მიაღწია თავის მიზანს — ევროკავშირის საკითხი ისევ ევროპული პოლიტიკის დღის წესრიგში მდგარიყო, მაგრამ ჩვენ ჩვენივე შორსმიმავალი სურვილებითურთ, პირველ ხანებში მაინც, ჩრდილში უნდა დავრჩენილიყავით. 1983 წლის 19 ივნისს შტუტგარტში ევროსაბჭოს „მხოლოდ" „საზეიმო დეკლარაცია" შეეძლო მიეღო. საერთაშორისოსამართლებრივი ხელშეკრულება ევროგაერთიანების ევროკავშირად გარდაქმნის შესახებ ჯერ კიდევ შორეული მომავლის საქმე გახლდათ, მაგრამ მნიშვნელოვანი იყო — და ეს უნდა ჩაითვალოს ნაწილობრივ წარმატებად —, რომ გამოიხატა პოლიტიკური ნება, ევროგაერთიანება ევროკავშირად გადაქცეულიყო. მართლაც, კოლ-გენშერის მთავრობას უკან არ დაუხევია და ჩვენი თავგამოდება შვიდი წლის შემდეგ, 1989 წლის დეკემბერს სტრასბურგში გამართულ ევროსაბჭოს სხდომაზე შთამბეჭდავად დაგვირგვინდა.

ჰელმუთ კოლს, რომელიც პირველად ჩაუდგა სათავეში ევროსაბჭოს, შეეძლო შტუტგარტის უმაღლესი დონის შეხვედრა პირად წარმატებად მიეთვალა. გადაჭრილი იქნა რიგი პრობლემებისა, სხვა საკითხების მოსაგვარებლად სავაჭრო ხელშეკრულებების პაკეტი გაიჩარხა და ეს გერმანია-საფრანგეთის მჭიდრო კოოპერაციის წყალობით მოხდა. შტუტგარტის შეხვედრის ყველა მონაწილის მეხსიერებას შემორჩება, თუ როგორ განაცხადა ტრიუმფალურად მარგარეტ ტეტჩერმა: „მე მოვიპოვე ჩემი ჩეკი". მან მიაღწია იმას, რომ გაეთვალისწინებინათ დიდი ბრიტანეთის ფინანსური პრეტენზიები. ჩვენ არ შეგვშურებია მისი ეს სიხარული, ჩვენ ხომ, სულ მცირე, ჩვენს საეტაპო მიზანს მივაღწიეთ. ამიერიდან იწყებოდა ევროპული პოლიტიკის ახალი ფაზა. უკვე ერთი წლის შემდეგ, 1984 წლის ივნისს ფონტენებლოში გამართულ ევროსაბჭოს სხდომაზე, ამჯერად ფრანსუა მიტერანის თავმჯდომარეობით, შტუტგარტის მოლაპარაკებების პაკეტმა საბოლოო სახე მიიღო. როგორც უთანასწორობანი ევროგაერთიანების ბიუჯეტში, ისე ეგრეთ წოდებული „ბრიტანული პრობლემა" — საკითხი ბრიტანული თვალ-

საზრისით ევროსაბჭოში მეტისმეტად მაღალი ფინანსური შესატანის თაობაზე — მოგვარდა. ამასთან დაკავშირებით დავადგინეთ აგრეთვე უმაღლესი ნიხრი გაერთიანების საკუთარი სახსრებისათვის.

გარდა ამისა, ჩვენ შევთანხმდით, რომ შეგვექმნა ორი კომისია: ერთს მოქალაქეთა ევროპის საკითხებზე უნდა ემუშავა, მეორეს კი უნდა გამოეკვლია შესაძლებლობები, როგორ მოხერხდებოდა გაერთიანების ქმედითუნარიანობის გაუმჯობესება. ორივე მათგანის შექმნა იმაზე მეტყველებდა, რომ ჩვენი სურვილი გაერთიანების უფრო ეფექტური განვითარება იყო. ინტეგრაციისკენ მიმავალი მატარებელი კვლავ ამოძრავდა. დაგებულ იქნა დამატებითი ლიანდაგები გაერთიანების სამხრეთისაკენ გასაფართოებლად. ათწევრიანი ევროპა ესპანეთისა და პორტუგალიის მიღების შემდეგ თორმეტწევრიანი უნდა გამხდარიყო.

თუ შტუტგარტში საფრანგეთმა დაუჭირა მხარი თავმჯდომარე გერმანიას, ფონტენებლოში პირიქით მოხდა. ფრანსუა მიტერანსაც სურდა ევროპული პოლიტიკისათვის ახალი წონა და იმპულსი მიეცა. ამიტომაც 1983 წლის დეკემბერში მან როლან დიუმა ევროპის მინისტრად გაამწესა საფრანგეთის საგარეო საქმეთა სამინისტროში. კლოდ შეისონი საგარეო საქმეთა მინისტრად დარჩა. დიუმას დანიშვნა, რომელსაც მე მანამდე არ ვიცნობდი, პარიზში ჩვენი საელჩოს მიერ ევროპოლიტიკური მნიშვნელობის მოვლენად შეფასდა. თუკი კლოდ შეისონი, საგარეო საქმეთა მინისტრი, პრეზიდენტის ნდობით აღჭურვილ პირთა რიცხვს მიეკუთვნებოდა, როლან დიუმა — ასე შემატყობინეს საელჩოდან — მასთან პიროვნულად, მეგობრულად იყო დაკავშირებული.

ჩემი შემდგომი ვიზიტი შეისონთან იმისთვის გამოვიყენე, რომ ახლადდანიშნული ევროპის მინისტრიც მომენახულებინა. გაფრთხილებები, რომ დიუმა ევროპის მინისტრი იყო და არა საგარეო საქმეთა მინისტრი, ყურად არ ვიღე, ისევე როგორც მითითება, რომ დიუმას, ახლადდანიშნული მინისტრის, ვალი იყო, თვითონ მწვეოდა მე. ამგვარი სახის საპრესტიჟო და საპროტოკოლო საკითხები თუმცა მნიშვნელოვან როლს თამაშობენ, მაგრამ ისინი შეიძლება ორი მიმართულებით გამოიყენო: იმჟამად მე ვიყავი ის, ვინც პირველი ნაბიჯი გადადგა ახლად დანიშნული კაცისაკენ. ამით უნდა მეჩვენებინა, რომ მე საიმედო პარტიორი და კარგი მეგობარი შევიძინე.

მიტერანის გადაწყვეტილება, ევროპული პოლიტიკისთვის ახალი დინამიკა მიენიჭებინა, განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენდა მაშინდელი ევროპული განვითარების ფონზე. 1983 წლის ნოემბერში გერმანიის ფედერაციულმა რესპუბლიკამ სერიოზული გადაწყვეტილება მიიღო ამერიკული პერშინგ 2-სა და ფრთოსანი რაკეტების (Cruise-Missiles) განლაგებასთან დაკავშირებით და საბჭოთა კავშირის ხელმძღვანელობას მკაფიო სიგნალი მისცა. პრეზიდენტი მიტერანი, როდესაც ის 1983 წლის იანვარში გერმანიის ბუნდესტაგში ლაპარაკობდა, ასევე მხარს უჭერდა ორმაგი გადაწყვეტილების განხორციელებას, მიუხედავად იმისა, რომ საფრანგეთს, როგორც არაინტეგრირებულ ქვეყანას, გადაწყვეტილების მიღებაში მონაწილეობა არ მიუღია. ნატოს ორმაგი გადაწყვეტილება კი, რომელიც რაკეტების განლაგებას მოლაპარაკებების შეთავაზებასთან აკავშირებდა, გამოწვდილი ხელის კონცეფცია გახლდათ.

მეორეს მხრივ ჩემი ძალისხმევა ევროკავშირის დასაფუძნებლად, 1983 წლის იანვარს შტუტგარტში გამოსვლით რომ მიეცა ბიძგი და იმავე წლის ივნისის „საზეიმო დეკლარაციით" დადასტურდა, მიანიშნებდა სურვილზე, ევროგაერთიანება ევროკავშირად გარდასახულიყო.

შეტყობინება ამ შემთხვევაშიც ორმაგი ხასიათისა იყო: ხდება ევროპული დემოკრატიების გაერთიანების ფორსირება; ამავე დროს დასავლური კავშირი არ ახანებს, თავდაცვისთვის აუცილებელი ღონისძიებები გაატაროს, მაშინ, როცა თანამშრომლობისა და დაძაბულობის შენელების პროცესი ჰელსინკის დასკვნითი აქტისა და გერმანიის აღმოსავლური ხელშეკრულებების საფუძველზე და მათი სულისკვეთების გათვალისწინებით გრძელდება.

დღევანდელი გადასახედიდან ჩანს, რომ გერმანიის საგარეო პოლიტიკის სახეს 1983 წელს უმთავრესად თავისუფალი დემოკრატიული პარტია ქმნიდა – ეს გახლდათ ვითარება, რომელიც მთავრობის შეცვლით გამოწვეული რყევების შემდეგ სწორედაც რომ არ იყო თავისთავად გასაგები რამ. და მაინც სწორედ ამ საგარეო პოლიტიკის უწყვეტობა, 1983 წლის 6 მარტის არჩევნებში მოპოვებულ ვოტუმთან ერთად, ანიჭებდა მთავრობის შეცვლას დამატებით ლეგიტიმურობას: ჯერ ერთი, გერმანიის ახალი კანცლერის ჰელმუთ კოლის ევროპული ანგაჟემენტი, რასაც შემდგომ წლებში ევროკავ-

შირისთვის სიკეთე უნდა მოეტანა, არ იყო თვალნათლივი. ამასთან გენშერ-კოლომბოს ინიციატივამ ერთგვარი სამსაფეხურიანი რაკეტა გაუშვა. საფეხური I: 1983 წლის ივნისის შტუტგარტის „საზეიმო ევროპული დეკლარაცია". საფეხური II: ხელშეკრულება ერთიანი ევროპული აქტის შესახებ, რომელზედაც ევროსაბჭო 1985 წლის დეკემბერს ლუქსემბურგში შეთანხმდა. საფეხური III: 1991 წლის მაასტრიხტის ხელშეკრულებები.

მეორეც, გერმანის სოციალ-დემოკრატიული პარტიის მიერ ნატოს ორმაგ გადაწყვეტილებაზე უარის თქმისა და ამის გამო უსაფრთხოების პოლიტიკის თვალსაზრისითაც აუცილებელი კოალიციური ცვლილების შემდეგ შესაძლებელი ხდებოდა 1983 წლის ნოემბერში ამერიკული საშუალო სიშორის რაკეტების განლაგების საკითხი გერმანიის ბუნდესტაგში გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიისა და მწვანეთა წინააღმდეგობის მიუხედავად დადებითად გადაწყვეტილიყო.

მესამეც: აღმოსავლური პოლიტიკის სფეროშიც შენარჩუნებულ იქნა გერმანიის საგარეო პოლიტიკური ხაზის უწყვეტობა. თუმცა ქრისტიანულ-დემოკრატიულ/ქრისტიანულ-სოციალურ კავშირთა ბლოკი თავდაპირველად არც აღმოსავლურ ხელშეკრულებებზე და არც ჰელსინკის საბოლოო დოკუმენტზე გერმანიის ხელის მოწერას არ დაეთანხმა, ბოლოს ეს პარტიები მაინც დადგნენ გერმანიის აღმოსავლური პოლიტიკის ნიადაგზე. ეს უფრო მეტს ნიშნავდა, ვიდრე შეთანხმება სამთავრობო პოლიტიკის შესახებ. ამან განაპირობა დემოკრატიული ძირითადი კონსენსუსი, მიუხედავად იმისა, რომ ცალკეულ საკითხებში მთავრობის ბანაკში გარკვეული აზრთა სხვადასხვაობა შეიმჩნეოდა.

თავისუფალ დემოკრატიულ პარტიას შეეძლო ეამაყა იმით, რომ მან თავისი წვლილი შეიტანა გერმანიის საგარეო პოლიტიკის ძირითადი გადაწყვეტილებების მიღებაში და ახლა აღმოსავლურ პოლიტიკაში ძირითად კონსენსუსსაც მიაღწია. გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკისთვის მნიშვნელოვანი იყო, რომ იგი საგარეო პოლიტიკის სამ არენაზე — უშიშროებისა და თავდაცვის, ევროპულ და ევროთათბირის პოლიტიკაში მრავალი თვალსაზრისით გადამწყვეტი როლს თამაშობდა. ამისათვის პარიზთან თანხმობას ისეთივე ცენტრალური მნიშვნელობა ჰქონდა, როგორიც ვაშინგტონ-

თან თანხმობას. გადამწყვეტი 1983 წლის დამლევისთვის ეს შეიძლებოდა შენარჩუნებული ყოფილიყო როგორც ბალანსი.

ნათლად ჩამოყალიბებული და კოჰერენტული პოლიტიკა გამორიცხავდა საშიშროებას, თვალი ხან ვაშინგტონისკენ გაგვქცეოდა, ხან — პარიზისკენ. ხშირად მიკითხავს საკუთარი თავისთვის — უთანხმოებანი „ატლანტიკელებსა“ და „გოლისტებს“* შორის ქრისტიანულ-დემოკრატიულ/ქრისტიანულ-სოციალურ კავშირთა ბლოკში მართლა საგარეო პოლიტიკაში აზრთა სხვადასხვაობის გამო ატყდებოდა ხოლმე, თუ ეს უფრო მეტად ბლოკის შიგნით ძალაუფლების გადანაწილების გამო წარმოქმნილი კამათი იყო. ჰელმუთ კოლის დამსახურებაა, რომ მას მოჩვენებითი ალტერნატივისთვის — ვაშინგტონი თუ პარიზი — არასოდეს სარბიელი არ მიუცია და დაძლია გერმანიის საგარეო პოლიტიკის სფეროში არსებული ეს უსაგნო პრობლემა, რაც მისი კანცლერის პოსტზე მოსვლამდე კოალიციის ბანაკში დიდ როლს თამაშობდა.

ჩემთვის — ყველა ამ მიზეზებიდან გამომდინარე — აშკარა პრიორიტეტი, რომელიც 1981 წლის მაისიდან საფრანგეთის პრეზიდენტის პოსტზე მყოფმა ფრანსუა მიტერანმა როლან დიუმას ევროპის მინისტრად დანიშვნით ევროპულ ერთიანობას მიანიჭა, შთაგონების წყარო გახდა, უპირველეს ყოვლისა იმიტომ, რომ ჩემმა ვიზიტმა ახალ ევროპის მინისტრთან უაღრესად ჰარმონიულად ჩაიარა. მეგობრული გრძნობებით და ცნობისმოყვარეობით გამსჭვალულებს გვაინტერესებდა ერთმანეთის გაცნობა. მომეწონა ეს კაცი; ისიც ჩემსავით ადვოკატი იყო პროფესიით, იცოდა, რაც სურდა და ძლიერი და თავდაჯერებული პიროვნება ჩანდა. ამ ჩემი პირველი შთაბეჭდილებებიდან მოგვიანებით არც ერთი არ გამქარწყლებია, არც ასეთი ძნელად ასახსნელი შეგრძნება: „მასთან ერთად შენ შეძლებ მიზნის მიღწევას“.

ეს შეგრძნება კიდევ უფრო გაძლიერდა, როცა მას ცოტა მოგვიანებით პატარა ციხე-კოშკში, ლეგენდადქცეული მადამ პომპა-

---

* „ატლანტიკელები“ — აშშ-ის წარმმართველი როლის მომხრენი, „გოლისტები“ — საფრანგეთის წარმმართველი როლის მომხრენი (ტერმინი მომდინარეობს შარლ დე გოლის გვარიდან). (რედ.)

დურის სამყოფელში, საფრანგეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს ერთგვარ სასტუმრო სახლში ხელმეორედ შევხვდი. დიუმასთან კიდევ ერთი საუბრის შემდეგ შვებით შევატყობინე კლოდ შეისონს, რომ მე მის ახალბედა ევროპის მინისტრზე საუკეთესო შთაბეჭდილებები დამრჩა. საბედნიეროდ, მათ შორის არავითარი მეტოქეობა არ ყოფილა; შეისონს აშკარად გაუხარდა დიუმას ჩემეული შეფასება.

ფონტებლოს უმაღლესი დონის შეხვედრის მომზადება და ფორმირება როლან დიუმასთან თანამშრომლობის სასინჯ ქვად იქცა. ჩვენ ჩავაბარეთ ეს გამოცდა. უძრაობის მდგომარეობა შეიძლებოდა დაძლეულიყო.

სხვათა შორის, უმაღლესი დონის ამ შეხვედრაზე მე და კლოდ შეისონი „ჩასაფრების" მსხვერპლნი შევიქენით: მოლაპარაკებებს შორის ერთი შესვენებისას პარკში დავსეირნობდით, შეხვედრის წარმატებით დამთავრების პერსპექტივებზე ვსაუბრობდით და მოლაპარაკებებში მარგარეტ ტეტჩერის შესაძლო სტრატეგიის დეტალებს ვუღრმავდებოდით. რკინის გისოსების იქითა მხრიდან რომ უამრავი ფოტო და ტელეკამერა მოგვჩერებოდა, ვამჩნევდით, მაგრამ ეს მაინცდამაინც არ გვაწუხებდა. გვიან ღამით შევიტყვეთ, რომ ინგლისის სატელევიზიო პროგრამამ არამარტო ჩვენი სეირნობის ამსახველი კადრები აჩვენა, არამედ ზოგიერთი ჩვენი ინგლისურ ენაზე ნათქვამი ფრაზაც გადმოსცა. საბედნიეროდ, ლონდონიდან გადმოცეული ტექსტი უწყინარი აღმოჩნდა — ან მთელი საუბრის ჩაწერა ვერ მოახერხეს, ან ყველაფერი არ გადასცეს. ასე იყო თუ ისე, ჩვენ დავმშვიდდით.

შეხვედრის მეორე დღეს, 1984 წლის 26 მაისს, მოლაპარაკებები, რომლებმაც დრამატული მიმართულება მიიღო, შეწყდა. პრეზიდენტმა მიტერანმა მოკლედ და გარკვევით თქვა, რომ ის ვერ ხედავდა წარმატების პერსპექტივას. ნიშნავდა თუ არა ეს იმას, რომ ამ პრობლემების გადაწყვეტა უნდა გადადებულიყო მანამდე, ვიდრე ირლანდიელები არ შეუდგებოდნენ ევროგაერთიანების პრეზიდენტის მოვალეობის შესრულებას? ეს არავის ინტერესებში არ შედიოდა — არც მარგარეტ ტეტჩერის ინტერესებში, რომელიც საბიუჯეტო პრობლემების გადაჭრისათვის ისწრაფოდა. და მართლაც: საუბარში, რომელიც მან და ჰელმუთ კოლმა ინგლისის

საგარეო საქმეთა მინისტრის ჯეფრი ჰოუსა და ჩემი თანდასწრებით ბუხრიან ოთახში გამართეს, ტეტჩერი ბოლოს და ბოლოს პრინციპული კომპრომისისკენ გადაიხარა, რაც ბონსა და პარიზს შორის უკვე შეთანხმებული იყო. გარღვევა მოხდა და მე ეს განსაკუთრებულ სიხარულს მგვრიდა, რადგანაც ეს ყველაფერი ჩემი და როლან დიუმას მომზადებულ დოკუმენტს ეყრდნობოდა.

ფონტენებლოში ამას გარდა შევთანხმდით სპეციალური კომისიის შექმნაზე, რომელსაც ინსტიტუციონალურ საკითხებზე უნდა ემუშავა. მისი ამოცანა იყო განსახილავად წარმოედგინა წინადადებები პოლიტიკური თანამშრომლობისა და სხვა სფეროებში ევროგაერთიანების უფრო ეფექტიანად ფუნქციონირების თაობაზე. თავმჯდომარე გახდა ირლანდიელი სენატორი ჯეიმს დოგი, ფედერაციული რესპუბლიკიდან კომისიის მუშაობაში მონაწილეობდა სტატსმდივანი იურგენ რუფუსი. იმ დროისათვის რუფუსს ევროპული საკითხები ებარა გერმანიის საგარეო საქმეთა უწყებაში და ჩვენი ერთ-ერთი წამყვანი დიპლომატი იყო. ქმედითუნარიანობა, მოლაპარაკებების ოსტატურად წარმართვის უნარი და შეუპოვრობა ახასიათებდა მას. როდესაც ჰელმუთ შმიდტი ფედერალური კანცლერი იყო, ჩემი წინადადებით ის რამდენიმე წლის განმავლობაში ფედერალურ კანცელარიაში საგარეო საქმეთა განყოფილებას ხელმძღვანელობდა. შემდგომ მისი უდავო კვალიფიკაციისა და პროფესიონალიზმისთვის ჰელმუთ კოლისგანაც დაფასებულ იქნა, თუმცა რუფუსი პოლიტიკურად მაშინდელ მთავრობაში მყოფი პარტიებიდან არც ერთს არ მიეკუთვნებოდა.

ევროგაერთიანებაში ესპანეთისა და პორტუგალიისათვის კარის გაღება დიდ წარმატებად იქცა. გერმანია და საფრანგეთი მათ რიცხვს მიეკუთვნებოდნენ, ვინც საამისო მოლაპარაკებების დაჩქარების მომხრე იყო; 1985 წლის 10 ივნისს ბოლოს და ბოლოს აღსრულდა: შუადღემდე ლისაბონში და ნაშუადღევს მადრიდში ჩვენ უკვე შეგვეძლო ხელი მოგვეწერა ხელშეკრულებაზე, რომელიც ევროგაერთიანებაში ამ ქვეყნების შესვლას ადასტურებდა. ამგვარად ორივე ამ სახელმწიფოსთვის გარანტირებული იყო ევროგაერთიანებაში შესვლის ერთი და იგივე თარიღი. მე მქონდა საბაბი ამ დღეს კმაყოფილი ვყოფილიყავი. ჯერ კიდევ საბერძნეთის საკითხის გადაწყვეტისას დიდი ძალისხმევა გამოვიჩინე იმისათვის, რომ დიქტა-

ტურის დაძლევის შემდეგ ამ ევროპული დემოკრატიებისათვის დაუყოვნებლივ გაღებულიყო ევროგაერთიანების კარი. ევროგაერთიანება, ჩემი თვალთახედვით, მოწოდებული იყო, თავისი მასტაბილიზებელი ფუნქციები — პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სოციალურ სფეროებში — ყველა ახალ დემოკრატიულ სახელმწიფოზე გაევრცელებინა, თუკი ისინი ამას მოისურვებდნენ. იმ არგუმენტს, რომ გაერთიანება ამის შედეგად უფრო სამხრეთული გახდებოდა, მე ასეთ თვალსაზრისს ვუპირისპირებდი: ის უფრო ევროპული გახდება; და ყველას შევახსენებდი, რომ მას ევროპული გაერთიანება ერქვა და არა „ჩრდილო-დასავლეთ ევროპული". იმ მომენტისთვის წარმოდგენაც არ შემეძლო, რომ ათი წლის შემდეგ შვედეთისა და ფინეთის მიღების მოწინააღმდეგეთა საყვედურების მოგერიება მომიხდებოდა, აქაოდა ამის შედეგად ევროგაერთიანება მეტისმეტად გაფართოვდება ჩრდილოეთითო.

დემოკრატიული ესპანეთის ევროგაერთიანებაში მიღების კამპანიისას ხშირად დავფიქრებულვარ იმაზე, რომ ამა თუ იმ ქვეყნისთვის გაჭირდებოდა ნატოს კარების გაღება, თუ ამავდროულად მას ევროგაერთიანების კარს დაუკეტავდნენ, ასეთი დევიზით: „თქვენი ჯარისკაცები გვჭირდება, თქვენი სამხრეთული ხილი კი — არა".

ათი წლის შემდეგ, 1995 წლის 10 ივნისს, ევროგაერთიანების ყოფილ პრეზიდენტთან, ჟაკ დელორთან ერთად ესპანეთის მეფის ხუან კარლოსის მიერ ხელმოწერის ათი წლისთავისადმი მიძღვნილ საზეიმო ცერემონიალზე ვიყავი მიწვეული მადრიდს, მეფის სასახლეში. ჩვენს მერე სიტყვით გამოვიდა პრემიერ-მინისტრი ფილიპე გონსალესი და ბოლოს — მეფე. ცერემონიის დაწყების წინ პირად საუბარში კიდევ ერთხელ გავადევნეთ თვალი დემოკრატიული განახლების წლებს ესპანეთში 1985 წლის 10 ივნისამდე, და ერთი შეგრძნება დამეუფლა, რაც დღემდე მომყვება: დიდი ბედნიერება იყო ქვეყნისათვის, როცა ფრანკოს სიკვდილის შემდეგ ამ მონარქმა თავისი დემოკრატიული მსოფლშეგრძნებითა და დიდი ავტორიტეტით თავის თავზე აიღო მმართველობის სადავეები.

მიღებაზე, რომელიც ცერემონიის შემდეგ გაიმართა, მე ბევრ მეგობარსა და კოლეგას შევხვდი, რომელთაც ესპანეთის ახალი დემოკრატიული აღმავლობის წლებში დავუახლოვდი: კალვო სოტელოს, ჩემს პოლიტიკურ მეგობარს და ყოფილ პრემიერ-მინისტრს,

*მეფე, რომელმაც დემოკრატია იხსნა: ესპანეთის მეფე ხუან კარლოსი ჰანს-დიტრიხ გენშერთან საუბრისას.*

აგრეთვე ადრინდელ საგარეო საქმეთა მინისტრს ორეხას, რომელიც შემდგომ ევროსაბჭოს გამოჩენილი გენერალური მდივანი გახდა. როდესაც მან ბონში პირველად მინახულა, გიმნიხის სასახლეში დიდხანს ვისაუბრეთ თანამედროვე სახელმწიფოების სტრუქტურაზე. ჩემის აზრით, მე ის დავარწმუნე, რომ ფედერალიზმი, ყოველ შემთხვევაში ისეთი დიდი ქვეყნებისთვის, როგორიცაა ესპანეთი და გერმანია, დემოკრატიის ყველაზე თანამედროვე ფორმაა, რადგანაც ის მოქალაქეთა უდიდესი სიახლოვის გარანტიას იძლევა. ამავე დროს ამას ხელისუფლების გადანაწილების მნიშვნელოვანი ფუნქციაც აქვს-მეთქი. ამას გარდა, ჩვენი საარჩევნო უფლებების შესწავლას მისთვის უნდა ეჩვენებინა, თუ როგორ შეიძლებოდა ერთი შესწორებით პარლამენტის გახლეჩის თავიდან აცილება.

ამ მიღებას არ ესწრებოდა ჩვენი მეგობარი ორდონესი, რომელიც ავმა სენმა ლოგინად ჩააგდო. მის გარდაცვალებამდე მხოლოდ

რამდენიმე კვირით ადრე შევეხმიანე მას ტელეფონით. მაშინ ის ჯერ კიდევ იმედით სავსე ჩანდა, თუმცა აშკარად ვიგრძენი: ხმა ლამის ჩაწყდომამდე დასუსტებოდა. მას და ფილიპე გონსალესს ვერასოდეს დავუვიწყებ იმ ღვაწლს, რომელიც მათ გერმანიის გაერთიანების საქმეში მიუძღვით.

იმ საზეიმო წუთებში, მეფისა და დედოფლის გამოსვლის შთაბეჭდილებებით აღსავსემ, გავიხსენე ჩემი ერთადერთი ვიზიტი მადრიდში ცოტა ხნით ადრე ფრანკოს გარდაცვალებამდე. სასტუმროს წინ, სადაც მე აეროპორტიდან ფრანკოს საგარეო საქმეთა მინისტრმა მიმაცილა, მანამდე არ გადმოვდიოდი მანქანიდან, ვიდრე მას პირობა არ ჩამოვართვი, რომ საშუალება მომეცემოდა დემოკრატიული ოპოზიციის წარმომადგენლებს შევხვედროდი.

ამ ვიზიტის დროს ვესაუბრე თვითონ სახელმწიფოს მეთაურსაც, რომელსაც მივანიშნე ქვეყანაში დემოკრატიული სტრუქტურებისა და თავისუფალი პროფკავშირების შექმნის აუცილებლობაზე. ფრანკო მდუმარედ მისმენდა. შემდეგ მან იკითხა, როგორ შეიძლებოდა წარმოგვედგინა იუგოსლავიის მომავალი ტიტოს სიკვდილის შემდეგ. როგორც ისტორიამ გვიჩვენა, ეს არ იყო უსაფუძვლო შეკითხვა.

ფრანკოს ბატონობის პოზიტიურ მხარეზე — ისე, რომ არ დავივიწყოთ მისი ნეგატიური მხარეც — უნდა ითქვას, რომ მან შეძლო ესპანეთისთვის მეორე მსოფლიო ომი აერიდებინა და წინააღმდეგობა გაეწია ჰიტლერის ზეწოლისთვის — ჩაეთრია ესპანეთი ამ ომში. თავისი მემკვიდრის მომზადებითაც მან სიკეთე მოუტანა თავის ქვეყანას: ესპანეთმა მიიღო მეფე, რომელიც დემოკრატიის გარანტი გახდა. იყო თუ არა ეს ფრანკოს ნამდვილი განზრახვა, ამ კითხვაზე დამაჯერებელი პასუხის გაცემა მხოლოდ მას შეეძლო.

## *ერთიანი ევროპული დოკუმენტი*

ფონტენებლოში გამართული ევროსაბჭოს სხდომით დაიწყო უძრაობის პერიოდის დასასრული ევროგაერთიანებაში. 1985 წლის ივნისში ევროსაბჭოს სხდომა მილანში გაიმართა. მოწვეულ იქნა სამთავრობო კონფერენცია ევროპული ეკონომიკური გაერთიანების, ე.წ. „საერთო ბაზრის“ ხელშეკრულების 236-ე მუხლის თანახმად.

უმაღლესი დონის ამ შეხვედრამ დრამატულად ჩაიარა. ბოლო წუთამდე უცნობი რჩებოდა, მიღებული იქნებოდა თუ არა გადაწყვეტილება სამთავრობო კონფერენციის მოწვევის შესახებ. კონსულტაციები ამასთან დაკავშირებით პარასკევს, 1985 წლის 28 ივნისს დაიწყო. განიხილებოდა კომისიის თავმჯდომარის ჟაკ დელორის დოკუმენტების პაკეტი, რომელიც 1992 წლის 31 დეკემბრამდე საერთო საშინაო ბაზრის ჩამოყალიბებას ითვალისწინებდა. პირველი დღის საღამოს ამ სამიტის საბოლოო შედეგებთან დაკავშირებით საყოველთაო სკეფსისი სუფევდა.

იმ ღამით გამუდმებით ვეკითხებოდი თავს, როგორ მოგვეხერხებინა, რომ ეს მნიშვნელოვანი კონფერენცია მაინც წარმატებით დასრულებულიყო. ბოლოს ჩამოვწერე შენიშვნები, რომელთა ზუსტი ფორმულირება მეორე დღისთვის მქონდა განზრახული. მაგრამ დრო არ ითმენდა და მათ გულდაგულ დამუშავებას ველარ ვასწრებდი. ამიტომ დილით ვიდექი სააბაზანო ოთახში, თან პირს ვიპარსავდი და თან ოდნავ გაღებული კარის ღრიჭოდან ბოლო წუთებში ვკარნახობდი თანაშემწეს ტექსტს. და გარჯა დამიფასდა: ეს ეგრეთ წოდებული „სააბაზანოს ქაღალდი" ძირითადი დოკუმენტის საფუძვლად გადაიქცა.

სამთავრობათშორისო კონფერენციის მოწვევის იდეას უპირველეს ყოვლისა ინგლისის პრემიერ-მინისტრი ეწინააღმდეგებოდა. თუმცა საბერძნეთიც ორჭოფობდა; დანიის დელეგაციაც, ეტყობოდა, მათ დაუკრავდა კვერს. რასაკვირველია, აქ თავის როლს ის თამაშობდა, რომ საპარლამენტო უმცირესობისგან შედგენილი მთავრობა ანგარიშს უწევდა პარლანეტს, რომლის რეაქცია არაპროგნოზირებადი იყო. სხდომა შეწყვეტილ იქნა, სამთავრობათაშორისო კონფერენციის მომხრეები საკონფერენციო დარბაზის წინა მხარეს შეიკრიბნენ. იყო ყოყმანი, ხმების უმრავლესობით გადაგვეწყვიტა თუ არა კონფერენციის მოწვევის საკითხი. მე დაჟინებით მოვითხოვდი ამას. ჟაკ პო, ლუქსემბურგის საგარეო საქმეთა მინისტრი, უფრთხოდა მოსალოდნელ შედეგებს და როცა მე დაჟინებული მცდელობით ფრანსუა მიტერანი დავითანხმე, მომაძახა: „შენ ამით ხლეჩ გაერთიანებას". „პირიქით, ჩვენ ამით მატარებელს ადგილიდან დავძრავთ", შევეპასუხე მე, დარწმუნებული იმაში, რომ ინგლისი წინააღმდეგი არ იქნებოდა, თუ გაერთიანება ნაბიჯს წინ გადადგამდა.

მე მართალი აღმოვჩნდი. როგორც დიდმა ბრიტანეთმა, ასევე საბერძნეთმა და დანიამ არამარტო მონაწილეობა მიიღეს სამთავრობათშორისო კონფერენციაში, არამედ მოლაპარაკებები ბევრად უკეთესად წარიმართა, ვიდრე ველოდით: 1985 წლის 2 და 3 დეკემბერს ევროსაბჭოს შესაძლებლობა მიეცა, მიეღო გადაწყვეტილება ერთიანი ევროპული დოკუმენტის შექმნის შესახებ. თუმცა ჯერ კიდევ გადასაწყვეტი რჩებოდა ზოგიერთი რთული საკითხი, ხელშეკრულების მუხლთა ფორმულირებასთან დაკავშირებული, რაც საგარეო საქმეთა მინისტრების შემდგომ შეხვედრებს მოითხოვდა. მაგრამ 1926 წლის 17 თებერვალს აღსრულდა: ლუქსემბურგში ხელშეკრულებას ხელი მოეწერა. 1987 წლის 1 ივლისს, მილანში ჩატარებული ევროსაბჭოს სხდომიდან ორი წლის შემდეგ, რომის ხელშეკრულებების 30 წლისთავთან დაკავშირებით გამართული საზეიმო ღონისძიებების დროს ერთიანი ევროპის დოკუმენტი ძალაში შევიდა. ამგვარად, რომის ხელშეკრულებებით გათვალისწინებულმა შეზღუდულმა მიზანმიმართულებებმა ძალა დაკარგა და შესაძლებელი გახდა ევროპული ინტეგრაციის შემდგომი გაღრმავება და განვითარება: ევროპარლამენტმა მიიღო დამატებითი კომპეტენციები, ევროსაბჭო გახდა ევროგაერთიანების ორგანო, ევროპულმა პოლიტიკურმა თანამშრომლობამ სამართლებრივი საფუძვლები შეიძინა. კვალიფიცირებული უმრავლესობის გადაწყვეტილება სხვადასხვა სფეროებზეც გავრცელდა: გარემოსდაცვითი, პროგრესის ხელშემწყობი და სატექნოლოგიო პოლიტიკა ინსტიტუციონალურად გაძლიერდა. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო გადაწყვეტილება 1992 წლის ბოლომდე ევროპის შიდა ბაზრის შექმნის თაობაზე, ასევე მნიშვნელოვანი იყო იმაზე მითითებაც, რომ ხუთ წელიწადში მომხდარიყო დოკუმენტის და ასევე იმ მიზნების რევიზია, ეკონომიკური და სავალუტო კავშირის ჩამოყალიბებას რომ ითვალისწინებდა.

ასეთნაირად გარდაქმნილი გაერთიანება უკვე 12 სახელმწიფოს მოიცავდა. ესპანეთი და პორტუგალია 1986 წლის პირველ იანვარს შემოგვიერთდნენ. მილანში გამართულ ევროსაბჭოს სხდომაზე ისინი დამკვირვებლის სტატუსით მონაწილეობდნენ; მაშინ საკუთარ თავს ვეკითხებოდი, რა შთაბეჭდილებას მოახდენდა წევრობის კანდიდატ ქვეყნებზე ხანდახან ქაოტურად მიმდინარე ევროსაბჭოს სხდომები.

ერთიანი ევროპული დოკუმენტი შტუტგარტის საზეიმო დეკლარაციის თანახმად თანაბარმნიშვნელოვანი იყო გენშერ-კოლომბოს ინიციატივის „რაკეტის მეორე საფეხურისა". მასში უფრო მეტის ჩაწერა, რაც მაშინ მოხერხდა, შეუძლებელი იყო. მაგრამ ის, რისი გაკეთებაც მოხერხდა, სწორედ. რომ დროული გახლდათ: 1985 წლის მარტში მიხეილ გორბაჩოვი სკკპ გენერალური მდივანი გახდა. დაიწყო ახალი ერა არა მხოლოდ საბჭოთა კავშირისათვის, არამედ დასავლეთ-აღმოსავლეთის ურთიერთობისთვისაც.

ერთიანი ევროპული დოკუმენტის ძალაში შესვლის შემდეგ ევროპულმა ინტეგრაციამ ძალა მოიცა, მაგრამ ხანგრძლივი დროის მანძილზე მისი განვითარების გარანტიები ჯერ მაინც მყიფე იყო. ამჯერად მთელი ძალისხმევა პოლიტიკური, ეკონომიკური და სავალუტო კავშირის ჩამოყალიბებისკენ უნდა მიმართულიყო. გერმანია-საფრანგეთის თანამშრომლობას ამ მიმართულებით ძრავის როლი უნდა დაკისრებოდა.

შემდგომი ნაბიჯები — „რაკეტის მესამე საფეხური" — ახლა კიდევ უფრო გადაუდებელი მეჩვენებოდა. საჭირო იყო, გერმანიას დაბეჯითებით წაეწია წინ დასავლეთ-აღმოსავლეთის ურთიერთობები; ეს მოიცავდა ევროთათბირსა და ბილატერალურ ურთიერთობებს მოსკოვთან. 1987 წლის 1 თებერვალს დავოსში გაკეთებული ჩემი მოწოდება, სერიოზულად აღექვათ გორბაჩოვი, ამ მიზანს ემსახურებოდა. იმავდროულად ევროპული ინტეგრაციის პროცესი უნდა დაჩქარებულიყო. გასათვალისწინებელი იყო ისიც, რომ ევროპაში სტაბილიზაციის დასამყარებლად პოლიტიკური, ეკონომიკური, ეკოლოგიური და სოციალური ფაქტორები განმსაზღვრელ მნიშვნელობას შეიძენდა. ამისათვის მასტაბილიზებელი ევროგაერთიანება კვანტური ნახტომით უფრო ქმედითუნარიანი უნდა გამხდარიყო.

საუბრებსა და გამოსვლებში ისევ და ისევ აღვნიშნავდი, რომ ევროპაში განვითარების ორი მიმართულება მოვიდა მოძრაოშაში, რომლებიც უზარმაზარ დინამიკას ავითარებდნენ: მზარდი აღმოსავლეთ-დასავლური ურთიერთობები და ევროპული ინტეგრაცია ევროგაერთიანების ფარგლებში. ეს უკანასნეკლი არ უნდა ჩამორჩენოდა მოვლენებს, რათა ევროპული განვითარება ბალანსიდან არ ამოვარდნილიყო. ჩემთვის სულ უფრო დიდ წონას იძენდა შეხედულება

იმის თაობაზე, რომ შესაძლებელი იყო ევროპისა და გერმანიის დანაწევრების დაძლევა. ეს უპირველეს ყოვლისა – როგორც 1987 წლის თებერვლის გამოსვლაში გამოვთქვი – გახლდათ „ისტორიული შანსი, რისი ხელიდან გაშვებაც არ შეიძლებოდა". 1988 წლის განმავლობაში ცხადი გახდა, რომ 1989 წელს გდრ-ში მოვლენები დრამატულად განვითარდებოდა. ეს მაძლევდა საბაბს 1988 წლის სექტემბერში მოწოდებით მიმემართა შევარდნაძისთვის, რომ გდრ-ის საშინაო დაპირისპირებაში წითელი არმია არ ჩარეულიყო. 1988 წლის ბოლოსა და 1989 წლის დამდეგს იყო საფუძველი, ყველანაირი საშუალებით წინ აღვდგომოდი მოკლე რადიუსის ბირთვული რაკეტების მოდერნიზებას. ასეთ ვითარებაში ევროგაერთიანებაში მთელი ძალისხმევა ევროკავშირის შექმნის მიმართულებით უნდა წარმართულიყო.

უფრო სწრაფად და ფუნდამენტურად, ვიდრე ამას ბევრი ელოდა, დაისვა საკითხი, რომელიც მეზობელი სახელმწიფოების უმეტესობის შეშფოთებას იწვევდა: რისი მომასწავებელი შეიძლებოდა ყოფილიყო გაერთიანებული გერმანია ევროპისთვის, მისი სტაბილიზაციისათვის, წონასწორობისათვის; წონასწორობისთვის პოლიტიკური და ეკონომიკური და არა აუცილებლად მილიტარისტული გაგებით, რადგანაც ამ სფეროში გერმანიის შეიარაღებული ძალების ინტეგრაციას ნატოში მასტაბილიზებელი ფუნქცია ჰქონდა. სხვათა შორის, ჩვენს ბუნდესვერს, როგორც დემოკრატიულ არმიას, ჩვენს მოკავშირეებში ისეთი დიდი ნდობა ჰქონდა მოპოვებული, რომ მისი სიძლიერე – ის იყო და დღესაც არის ევროპული ალიანსის უძლიერესი არმია – მოკავშირეების მიერ აღიქმებოდა არა როგორც საფრთხე, არამედ როგორც უშიშროების გარანტია. მაგრამ პოლიტიკური და ეკონომიკური თვალსაზრისით საჭირო იყო, რომ დამბალანსებელი კოოპერაცია და, ამდაგვარად, მასტაბილიზებელი ზემოქმედება, რომელსაც ევროგაერთიანება ასეთი ღონისძიებებით ახდენდა, კვლავაც უნდა განვითარებულიყო.

იგივე შეიძლება ითქვას ტექნოლოგიურ თანამშრომლობაზეც. უკვე 1983 წელს ბად გოდესბერგში გერმანელ დამსაქმებელთა ფედერალური გაერთიანების სხდომაზე გამოსვლისას მივანიშნე გერმანიისა და ევროპის ტექნოლოგიური ჩამორჩენის საშიშროებაზე. ამიტომ, — ვთქვი მე, — აუცილებელია კონკურენცია უმაღლეს სასწავლებლებს შორის, კონკურენცია, რაც კერძო უმაღლესი სასწავლებლების დაარსებით უნდა გამოცოცხლებულიყო და რომელიც სოციალური, ფინანსური ან კიდევ სახელისუფლებო ელიტის საპირისპიროდ პროფესიული ელიტის ზრდას გამოიწვევდა, მეტადრე იმ რევოლუციური ცვლილებების პირობებში, რომელიც საინფორმაციო საზოგადოების შექმნის გზაზე იყო მოსალოდნელი. ეს არა მხოლოდ წარმოების პროცესსა და შრომის სფეროზე მოახდენდა ზეგავლენას, არამედ გააუმჯობესებდა სიცოცხლის ბუნებრივი საფუძვლების დაცვას და ახალ პერსპექტივას გაუხსნიდა პროფესიასა და ოჯახს შორის ზავის ჩამოგდებას.

ახალ ტექნოლოგიებს და მათ შედეგებს საინფორმაციო საზოგადოების განვითარებასთან ერთად საზოგადოების მზარდ ინდივიდუალიზებასთან უნდა მივეყვანეთ. ამაში დარწმუნებული ვიყავი. ჩემს გამოსვლებში ხაზს ვუსვამდი: „არა მასად ქცევა, არამედ ინდივიდუალიზება არის ჩვენი დროის დამახასიათებელი ნიშანი". და კიდევ: „კაცობრიობას კოლექტივიზმისკენ კი არ უნდა წავუძღვეთ, არამედ საჭიროა სწრაფვა მეტი ინდივიდუალობისკენ, ე. ი. იმისაკენ, რომ თითოეულ ადამიანს მეტი თავისუფლება ჰქონდეს და მეტი პასუხისმგებლობაც ეკისრებოდეს. ბოლოს და ბოლოს, ასეთია ჩვენი, ლიბერალების ცხოვრების წესი ჩვენს დროში". უფრო მეტიც: 80-იანი წლების მეორე ნახევარმა გვიჩვენა, რომ ეს განვითარება დასავლეთსა და აღმოსავლეთში თანაბრად წარიმართება — თუმცა სრულიად განსხვავებულ პირობებში, საკუთრივ განსხვავებული თანამიმდევრობით, მაგრამ შედეგი ერთი და იგივეა.

სულ უფრო და უფრო ხშირად ვლაპარკობდი ევროპის ტექნოლოგიური თვითდამკვიდრების საჭიროებაზე. იგი მოითხოვდა ჩვენი კონტინენტის დიდი ადამიანური და ტექნოლოგიური რესურსების

გამოყენებას. ევროპა როგორც ტექნოლოგიური საზოგადოება იქცა აგრეთვე ჩვენი კონტინენტის გამთლიანების პოსტულატად მისი კონკურენტუნარიანობის ინტერესებიდან გამომდინარე დღევანდელ ცვალებად მსოფლიოში. ეს ტექნოლოგიური საზოგადოება ასევე ღია უნდა ყოფილიყო ევროგაერთიანების გარეთ მყოფი ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის წევრი ქვეყნებისათვისაც. მე აგრეთვე თავიდანვე არ გამოვრიცხავდი ნაბიჯ-ნაბიჯ დაგვეწყო მოძრაობა აღმოსავლეთის მიმართულებით. ეს შეიძლებოდა მნიშვნელოვანი წვლილი ყოფილიყო ჩვენი პოლიტიკისა აღმოსავლეთთან მჭიდრო თანამშრომლობისათვის ევროთათბირის ფარგლებში. საყოველთაოდ იყო ცნობილი პრობლემები, რომლებიც აღმოსავლეთ-დასავლეთს შორის სავაჭრო პოლიტიკის მაკოორდინირებელი კომიტეტის მიერ დადგენილი, იმ დროისათვის ჯერ კიდევ მოქმედი და ძალიან მკაცრი წესების გამო წარმოიჭრებოდა ხოლმე. დასავლეთის უსაფრთხოების ინტერესებიდან გამომდინარე, ცივი ომის პერიოდში ამ წესებს უნდა აღეკვეთათ ტექნოლოგიის ტრანსფერი იმ არეალში, რომელიც საბჭოების გავლენის სფეროში იმყოფებოდა.

საფრანგეთმა, რომელიც უკვე ადრეულ 80-იან წლებში უფრო მჭიდრო ევროპული ტექნოლოგიური თანამშრომლობის მომხრე იყო, მაგრამ მის ამ განზრახვას ევროგაერთიანების წევრი ქვეყნების მხრიდან დიდი რეზონანსი არ მოჰყოლია, 1985 წელს კვლავ წამოატივტივა ეს იდეა, თუმცა სხვა — ჩემი მოტივებისგან განსხვავებული — მიზეზით. ამის საბაბი გახდა პრეზიდენტ რეიგანის სტრატეგიული თავდაცვითი ინიციატივის პროექტი. ევროპაში ამ პროექტს მისი მომხრეები უზარმაზარი ტექნოლოგიური შესაძლებლობების გამო უწევდნენ პროპაგანდას — დადიოდა ხმები ამ პროექტის თანმხლები თითქოსდა გრანდიოზული ეგრეთ წოდებული „დამატებითი ეფექტის“ („Spin-off-Effekts“) შესახებ. პარიზს სურდა მისთვის ევროპული პროექტები დაეპირისპირებინა, ერთის მხრივ როგორც სტრატეგიული თავდაცვითი ინიციატივის წინააღმდეგ მიმართული უსაფრთხოების განმამტკიცებელი ღონისძიებები, რასაც მეც მთლიანად ვიზიარებდი, ხოლო, მეორეს მხრივ, მას ამოძრავებდა სურვილი, ევროპა ტექნოლოგიურად დამოუკიდებელი და მსოფლიო მასშტაბით კონკურენტუნარიანი გამხდარიყო.

1985 წლის 13 აპრილს ზაარის საერთაშორისო ბაზრობის გახსნისას ზაარბრიუკენში კვლავ გამოვედი სიტყვით. იქ მე გავაკეთე განცხადება ევროპის ტექნოლოგიური საზოგადოების შექმნის თაობაზე. ეს მოხდა შაბათ დღეს, სადილობამდე; მხოლოდ 30 საათის შემდეგ, კვირას, ნაშუადღევს დამირეკა როლან დიუმამ. თავისთავად არაფერი უჩვეულო ამაში არ ყოფილა, რადგანაც თითქმის ყოველი კვირის ბოლოს ვეხმიანეობდით ერთმანეთს ტელეფონით, რათა ჩვენთვის საინტერესო საკითხები, განვლილი კვირის მოვლენები და შემდეგი შვიდი დღის გეგმები გაგვეზიარებინა ერთმანეთისათვის. თუმცა ამჯერად დიუმამ სიტყვა ზაარბრიუკენში ჩემს გამოსვლაზე ჩამოაგდო. საფრანგეთის გენერალურ კონსულს მოესმინა ჩემთვის და სრულიად არაბიუროკრატიულად, ისე, რომ კვირის ბოლომდეც არ მოუცდია, მისთვის ეს ინფორმაცია მიუწოდებია; თავის მხრივ დიუმას, როგორც მან მითხრა, ამის შესახებ ფრანსუა მიტერანთან უსაუბრია და ორივენი დარწმუნებულნი ჩანდნენ, რომ აქ იშლებოდა ახალი ასპარეზი ერთობლივი გერმანულ-ფრანგული თანამშრომლობისათვის. ის ორშაბათსვე წამოაყენებდა ახალ ევროპულ ინიციატივას სახელწოდებით „ევროპის კვლევითი კოორდინაციის სააგენტო". ასეც მოხდა. თუმცა მაღალი ტექნოლოგიების ავტონომიური ევროპული სააგენტო, რომლის სტრუქტურა ფრანგული ინსტიტუციონალური აზროვნების გამოხატულება იყო, გერმანიის მხრიდან — ამაში დარწმუნებული ვიყავი — წინააღმდეგობას წააწყდებოდა. ახალი ბიუროკრატიული სტრუქტურების გაჩენის მარტო პერსპექტივაც კი ყოველთვის სკეფსის იწვევდა — და სამართლიანადაც.

ამიტომაც დიუმას ვაგრძნობინე, რომ ახალი ბიუროკრატიის შექმნა არ იქნებოდა სწორი გზა. ევროპის კვლევითი კოორდინაციის სააგენტოს მხოლოდ მაშინ ექნებოდა შანსი, თუ იგი მიიღებდა დამსაქმებელთა, კვლევითი დაწესებულებებისა და აგრეთვე სახელმწიფო ორგანოების არაბიუროკრატიული თანამშრომლობის ფორმას. ეს კონცეფცია ბოლოს და ბოლოს განხორციელდა, თუმცა მანამდე საჭირო გახდა ჰარმონიზება პროექტის იმ განსხვავებული შეფასებებისა, რომლებმაც საგარეო საქმეთა სამინისტროში, ფედერალურ კანცელარიასა და ეკონომიკის სამინისტროში იჩინა თავი. ამასთან ჩვენ ყველას ვურჩიეთ, რომ საფრანგეთის ინიციატივა ჩემი ზაარ-

ბრიუკენული გამოსვლის თვალსაწიერიდან პრინციპულად პოზიტიურად აღექვათ. ამავე დროს კანცელარია და ეკონომიკის სამინისტრო შედარებით თავშეკავებულად ეკიდებოდნენ ამ ყველაფერს.

მე არ მომწონდა, როცა სტრატეგიული თავდაცვის ინიციატივასა და ევროპის კვლევითი კოორდინაციის სააგენტოს ერთმანეთს უკავშირებდნენ. ეს დაკავშირება არ იყო სინამდვილეში დასაბუთებული და ამის გამო მოგვიწევდა, ფუჭად დაგვეხარჯა დრო ვაშინგტონსა და პარიზს შორის არჩევანის გაკეთებაში. მოთხოვნა, რომელიც საფრანგეთმა რამდენიმე წლის წინ წამოაყენა — ევროპაში კონკურენციის პოზიციის გასაუმჯობესებლად ტექნოლოგიური საზოგადოება შექმნილიყო — ეთანხმებოდა იმ მიზეზებსა და მოტივებს, რომლებმაც ჩემი ზაარბრიუკენული გამოსვლისკენ მიბიძგეს. მაგრამ ახლა პარიზს გაუჩნდა სურვილი, სტრატეგიული თავდაცვითი ინიციატივის ალტერნატიული პროექტი შეექმნა. ჩემთვის ამას არავითარი მნიშვნელობა არ ჰქონდა, ვინაიდან სტრატეგიული თავდაცვითი ინიციატივის ლობისტთა „დამატებითი ეფექტის" არგუმენტს ისედაც ყურით მოთრეულად და არარეალურად მივიჩნევდი. გარდა ამისა, მე ვფიქრობდი, რომ სტრატეგიული თავდაცვითი ინიციატივა დასავლეთ-აღმოსავლეთის ურთიერთობებს ხელახლა გაამწვავებდა, და ეს იმ დროს, როცა გორბაჩოვის მოსვლასთან ერთად გაჩნდა იმედი, რომ ბლოკებს შორის შეიძლებოდა ახლებური ურთიერთობები დამყარებულიყო.

ყბადაღებული „დამატებითი ეფექტის" მასშტაბები — ტელჩიკი, მაგალითად, ასახელებდა მრავალმილიონიან თანხას ერთი დელეგაციის (რომელსაც თვითონ ,ხელმძღვანელიბდა) ამერიკაში მოგზაურობის მატერიალური ღირებულების გამოსახატავად — ჩემში ეჭვებს აღძრავდა. მე ვვარაუდობდი — და როგორც მოგვიანებით გაირკვა, სამართლიანადაც —, რომ გერმანიის ეკონომიკა მხოლოდ მარგინალურ შეკვეთებს თუ მიიღებდა, როგორც მე ირონიულად შევნიშნავდი — ალბათ მხოლოდ თუნუქის ნაკეთობათა დასამზადებლად. მართლაც, და თვალნათლივი უნდა გამხდარიყო, რომ ინტერესი თანამშრომლობისთვის ყოველთვის იქ ჩნებოდა, სადაც გერმანული წარმოება ჯობდა ამერიკულს. მაგრამ მე არავითარ შემთხვევაში არ მსურდა, რომ მცდელობას, ევროპის ტექნოლოგიური პოტენციალი მშვიდობიანი მიზნებისთვის ყოფილიყო მობილიზებუ-

ლი, სტრატეგიულ თავდაცვით ინიციატივასთან ხელოვნური და გარდა ამისა დაუსაბუთებელი პოლიტიკური კონკურენციით რამენაირი საფრთხე შექმნოდა.

ნება ევროპის თვითდამკვიდრებისა და ევროპული დემოკრატიების გაძლიერებული ეკონომიკური და ტექნოლოგიური თანამშრომლობისათვის იმ დროს გაცილებით ძლიერი იყო, ვიდრე ყველა ბარიერი ერთად აღებული. უკვე 1985 წლის 15 და 17 ივლისს პარიზში ევროპის კვლევითი კოორდინაციის სააგენტოს პირველი სხდომა გაიმართა მინისტრთა დონეზე, სადაც პროექტის ოფიციალური პრეზენტაცია და დამტკიცება მოხდა. აქვე გადაწყდა, რომ მეორე კონფერენცია ნოემბრის თვეში გერმანიაში ყოფილიყო მოწვეული. მანამდე კი საბოლოოდ უნდა გარკვეულიყო ფინანსირებისა და ორგანიზების ღიად დარჩენილი საკითხები.

5 და 6 ნოემბერს ჰანოვერში გაიმართა ევროპის კვლევითი კოორდინაციის სააგენტოს პირველი კონფერენცია საგარეო და მეცნიერებისა და ტექნიკის საქმეთა მინისტრების დონეზე. თავიდანვე გავაცნობიერე: საგარეო საქმეთა მინისტრების ამოცანა მხოლოდ ის შეიძლებოდა ყოფილიყო, რომ მათ სასტარტო დახმარება აღმოეჩინათ ევროპის კვლევითი კოორდინაციის სააგენტოსთვის, შემდეგ კი პროექტი მეცნიერებისა და ტექნიკის საქმეთა მინისტრების ხელში უნდა გადასულიყო. რადგანაც გერმანიას თავის განკარგულებაში არაჩვეულებრივი სპეციალისტი ჰაინც რიზენჰუბერი ჰყავდა, რომელიც წარმოებაშიც და მეცნიერებაშიც დიდ ავტორიტეტად ითვლებოდა, ასეთი დასაწყისი არ მაძლევდა არავითარ საბაბს, რიამე შიში გამჩენოდა ამასთან დაკავშირებით. სააგენტოს კონფერენციაში ევროგაერთიანების თორმეტი წევრი ქვეყნის გარდა კომისია და ექვსი სხვა ევროპული სახელმწიფო — ფინეთი, ნორვეგია, ავსტრია, შვედეთი, შვეიცარია და თურქეთი მონაწილეობდნენ. „ჩვენ შეგვიძლია ჰანოვერის ეს შედეგები დიდი კმაყოფილებით მივიღოთ“, — ასე შევაფასე მე ბუნდესტაგში 1985 წლის 8 ნოემბერს ამ კონფერენციის შედეგები. „ევროპის კვლევითი კოორდინაციის სააგენტომ გააბათილა აზრი, თითქოს დასავლეთ ევროპას არ შესწევს ძალა სწრაფი რეაგირებისა. ეს სააგენტო არის გამოხატულება ევროპის თვითდამკვიდრების ნებისა, რომელიც ევროპის გაერთიანებისკენ არის მიმართული“.

როდესაც მე 1992 წელს საგარეო საქმეთა მინისტრის პოსტი დავტოვე, ევროპის კვლევითი კოორდინაციის სააგენტოს ხუთასზე მეტი პროექტი არსებობდა. ასე რომ, ვფიქრობ, სამართლიანი იქნებოდა თქმულიყო, რომ ამ ინიციატივამ ევროპულ ტექნოლოგიურ პოლიტიკას არაბიუროკრატიული მეთოდებით მნიშვნელოვანი ბიძგი მისცა. ამას გარდა, დასავლეთ-აღმოსავლეთის დაახლოების პერიოდში ამ სააგენტომ ბლოკთაშორისი კოოპერაციისთვის გარკვეული ჩარჩო შემოგვთავაზა. ამ თვალსაზრისითაც ეს ინიციატივა მეტად დროული გამოდგა.

## *გერმანულ-ფრანგული თანამშრომლობის უწყვეტობა*

ერთიანი დოკუმენტის მიღებით მნიშვნელოვანი წინაპირობა შეიქმნა გაერთიანების შემდგომი განვითარებისთვის. ისღა დარჩა, რომ საერთო შიდა ბაზრის გათვალისწინებით, რომელიც 1992 წლის დამლევს ქმედითუნარიანი გახდებოდა, გაგვერკვია, ინსტიტუციონალური, ეკონომიკური და ფინანსური პოლიტიკის თვალსაზრისით როგორი ნაბიჯები უნდა გადადგმულიყო ევროპული კავშირის შექმნის უზრუნველსაყოფად და საიმისოდ, რომ გაერთიანება ყველა სფეროში შიდა ბაზრისათვის მომზადებულიყო. 1987 წელს დისკუსიები ამასთან დაკავშირებით უკლებლივ ყველა წევრ სახელმწიფოში გაიმართა, განსაკუთრებით „ევროპელებს" შორის პარტიებსა და ბიუროკრატიულ ორგანიზაციებში, ე. ი. მათ შორის, რომლებიც ერთის მხრივ ევროპული ინტეგრაციისა და პოლიტიკის სულ უფრო და უფრო გართულებულ მატერიას ფლობდნენ, მეორეს მხრივ კი დარწმუნებულნი იყვნენ, რომ გაერთიანების დინამიკას ევროკავშირის შექმნამდე უნდა მივეყვანეთ.

ამ დროისათვის გერმანულ-ფრანგული პარტნიორული ურთიერთობები განსაკუთრებით წარმატებული აღმოჩნდა. ფედერალურ კანცლერ ჰელმუთ კოლსა და პრეზიდენტ მიტერანს შორის კარგა ხნის ჩამოყალიბებული იყო არამარტო პოლიტიკური მეგობრობა, რომელიც ერთობლივი პასუხისმგებლობის შეგნებით საზრდოობდა. აქედან მომდინარეობდა ძალისხმევა, ყველა მნიშვნელოვან საკითხში ერთობლივად ემოქმედათ და ეს ურთიერთგაგება ევროპული

ინტეგრაციისათვის გამოეყენებინათ.

ჩემსა და საგარეო საქმეთა მინისტრ დიუმას შორის, რომელიც ამ თანამდებობაზე 1984 წლის დეკემბერში დაინიშნა, აგრეთვე მჭიდრო კოლეგიალური თანამშრომლობის ნიადაგზე სულ უფრო და უფრო მტკიცე და ღრმა მეგობრობა წარმოიშვა — ურთიერთობა, რომლის განსაკუთრებულობას მხოლოდ მაშინ ჩასწვდები, როცა იცი, რომ როლან დიუმა დასაწყისში გერმანიისა და გერმანელთა მიმართ უკიდურესად ცივად იყო განწყობილი. დიუმას ოჯახის ბედი — მამა გერმანული ოკუპაციის დროს ტყვეობაში იქნა მოკლული, მისი ვაჟი როლანი კი წინააღმდეგობის მომხრე იყო — ამ დისტანციას გასაგებს ხდიდა. რადგანაც მე — ისტორიული საჭირღებიდან გამომდინარე — გერმანია-საფრანგეთის შერიგებაში და გერმანია-საფრაგეთის თანამშრომლობაში დარწმუნებული ვიყავი, კოლეგის, საბოლოოდ კი მეგობრის გრძნობების მიმართ განსაკუთრებულ მგრძნობელობას ვამჟღავნებდი, მახსენდებოდა რა ამასთან პაპაჩემის, ოტო კრაიმეს ზოგიერთი მოსაზრება ამ ყველაფერთან დაკავშირებით.

მეგობრობა როლან დიუმასთან უფლებას გვაძლევდა ჩვენი პირველი კოოპერაციის დროსაც — 1986 წლის მარტიდან 1988 წლის მაისამდე — მისი მეშვეობით პრეზიდენტ მიტერანთან ძალზე მჭიდრო კონტაქტი გვქონოდა. ასეთი ურთიერთობა ერთის მხრივ ერთმანეთის მიმართ ჩვენი მეგობრული გრძნობებით აიხსნება, მეორეს მხრივ კი იმის სურვილით, რომ ჩვენი პიროვნული ურთიერთობები გერმანია-საფრანგეთის თანამშრომლობის სამსახურში ჩაგვეყენებინა. როლან დიუმასთან მეგობრობა ჩემს საგარეო საქმეთა მინისტრად ყოფნის პერიოდის უძვირფასეს შენაძენთა რიგს განეკუთვნება.

დიუმამ, როდესაც ის 1984 წელს საგარეო საქმეთა მინისტრი გახდა, ამ პოსტზე კლოდ შეისონი შეცვალა. კლოდ შეისონი, რომელთანაც ასევე მჭიდრო და მეგობრული თანამშრომლობა მაკავშირებდა, 1981 წლის 22 მაისს ფრანსუა მიტერანის არჩევნებში გამარჯვების შემდეგ დაინიშნა ამ თანამდებობაზე. უკვე 2 ივნისს ის ბონში ჩამოვიდა საფუძვლიანი საუბრისათვის, უპირველესად კი მას სურდა ჩემთვის შეეტყობინებინა ის მიზეზები, თუ რატომ გადაწყვიტა მიტერანმა ახალ მთავრობაში კომუნისტების შეყვანა. ეს მიზნად არ ისახავდა „სახალხო ფრონტის" შექმნას, პირიქით: სოციალისტები გაძლიერდებოდნენ, კომუნისტები კი ამ კონსტელ-

*დინამიკური მეგობრობა: როლან დიუმა და ჰანს-დიტრიხ გენშერი.*

აციიდან შესუსტებულები გამოვიდოდნენ. მან მთხოვა, რომ მე სხვა პარტნიორებისთვისაც, უპირველესად კი ამერიკელებისათვის განმემარტა ეს მოსაზრება, რათა ისინი გაგებით მოჰკიდებოდნენ მიტერანის ამ გადაწყვეტილებას. მისი პროგნოზი დადასტურდა; მიტერანი ძლიერი პიროვნება და საშინაო პოლიტიკის სტრატეგი აღმოჩნდა. სწორედ ასე დაახასიათა ის ჩვენმა ელჩმა პარიზში მისი პრეზიდენტად არჩევის წინ, 1981 წელს.

ეს არ იყო ერთადერთი შემთხვევა, როცა ელჩმა აქსელ ჰერბსტმა — იმ დროს ჩვენმა კაცმა პარიზში — თავისი მახვილგონივრული და დამაჯერებელი ანალიზით შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე.

საუბრებსა თუ წერილებში იგი მუდმივად გვხიბლავდა თავისი შორსმჭვრეტელობით და არაჩვეულებრივად სასარგებლო ინფორმაციებით. ასე და ამგვარად, მან პირველმა გამოთქვა მოსაზრება, რომ ჟისკარს ხელმეორედ აღარ აირჩევდნენ და მის ადგილს მიტერანი დაიკავებდა. და ეს მაშინ, როცა ყველა, როგორც საფრანგეთის შიგნით, ისე მის ფარგლებს გარეთ — კვლავ ჟისკარის ხელახლა გაპრეზიდენტებაზე ლაპარაკობდა. ჰერბსტის წერილები დიპლომატიური მოხსენებების წერის მაღალი ხელოვნების ნიმუში გახლდათ.

აღნიშვნის ღირსია და ამიტომაც კარგ მოგონებად დამრჩა შეისონის ვიზიტი პირველი კოოპერაციის დროიდან. ჩემმა ფრანგმა კოლეგამ პირადი საუბარი მოისურვა ჩემთან და მეც მივიღე ის ვენუსპერგზე. „რას იზამს გერმანია, თუ მოსკოვი გერმანულ კარტს გაათამაშებს და თქვენ კვლავ გაერთიანებას შემოგთავაზებთ?“ — მკითხა მან მოულოდნელად. „დატოვებთ თუ არა თქვენ ამ შემთხვევაში ევროგაერთიანებას და ნატოს?“ მე არასოდეს მიცდია გამომეცნო, ის დავალებით მოვიდა ჩემთან თუ საკუთარი სურვილით, მაგრამ ისეთი პასუხი გავეცი, რომელიც განსაზღვრავდა ჩემ ქმედებას გერმანიის გაერთიანებამდე: „მოსკოვს არა აქვს გერმანული კარტი“, — მივუგე მე, — „მხოლოდ ჩვენს სამ დასავლელ მეგობარს — პარიზს, ლონდონსა და ვაშინგტონს შეუძლია მოსკოვს ეს „გერმანული კარტი“ ხელში შეაჩეჩოს, და თანაც მაშინ, თუ მოსკოვი გერმანიის გაერთიანებას შემოგვთავაზებს, ხოლო დასავლეთი ამაზე, გერმანიის შესახებ მიღებული ხელშეკრულებისგან განსხვავებით, უარს იტყვის. ჩვენი წევრობა ნატოში და ევროგაერთიანებაში არ არის რაიმე წინაპირობით განსაზღვრული და ნაკარნახევი. ჩვენი წევრობა ორივე ორგანიზაციაში ეს არის გადაწყვეტილებები, მიღებული დემოკრატიული გერმანიისათვის ადგილის განსაზღვრისთვის. ისინი უკან გამოთხოვას არ ექვემდებარება. გაერთიანების დღეს ისინი ყველა გერმანელისათვის ძალაში დარჩება“.

ევროსაბჭოს სხდომა, რომელიც 1987 წლის 4 და 5 დეკემბერს კოპენჰაგენში შედგა, მიუხედავად მასპინძელთა დიდი ძალისხმევისა, ნაკლებად წარმატებული აღმოჩნდა. ამიტომაც გადაწყდა, 1988 წლის 11 და 12 თებერვალს ბრიუსელში გამართულიყო საგანგებო სამიტი გერმანიის თავმჯდომარეობით. მე და ჰელმუთ

კოლს მტკიცედ გვქონდა გადაწყვეტილი, გვესარგებლა ამ შემთხვევით და დავა 1987 წლის კომისიის მიერ შემოთავაზებული ეგრეთ წოდებული „დელორის პაკეტის" შესახებ დაგვესრულებინა; ამის სანაცვლოდ ჩვენ გვსურდა შიდა ბაზრის ჩამოყალიბებისა და გაერთიანების მჭიდრო საგარეო პოლიტიკური თანამშრომლობისათვის მძლავრი სტიმული მიგვეცა. 1988 წლის 20 იანვარს სტრასბურგში ევროპარლამენტის წინაშე გამოსვლისას, როდესაც მე გერმანიის, როგორც თავმჯდომარე ქვეყნის, პროგრამა წარმოვადგინე, შეევეცადე ამასთან დაკავშირებითაც გამეკეთებინა განმარტება: „შიდა ბაზარი არ არის მხოლოდ დიდი შრომის ბაზარი. შიდა ბაზარი ამავე დროს ნიშნავს: პროდუქციის საუკეთესო ადგილზე განთავსებას, პროდუქციის მწარმოებელი სტრუქტურების გაუმჯობესებას და, უპირველეს ყოვლისა, ღრმად ფესვგადგმული სტრუქტურული პრობლემების ერთობლივად დაძლევას".

„განვლილ ექვს თვეში", — განაცხადა ჟაკ დელორმა 1988 წლის 6 ივლისს თავის გამოსვლაში იმავე ფორუმის წინაშე — „უფრო მეტი გადაწყვეტილებები იქნა მიღებული ევროპის განვითარებისათვის, ვიდრე მანამდე მთელი 10 წლის განმავლობაში". დელორი, რომელმაც მაღალი შეფასება მისცა გერმანიის თავმჯდომარეობის დროს მიღწეულ შედეგებს, ეყრდნობოდა არამარტო თებერვლის უმაღლესი დონის შეხვედრაზე წარმატებით მიღებულ რეფორმების პაკეტს, არამედ აგრეთვე შიდა ბაზრის ჩამოყალიბებისთვის მიღებულ ან მისაღებად გამზადებულ 27 დირექტივას. გზა საერთო ბაზრის შესაქმნელად ხსნილი იყო.

### *ევროპული პოლიტიკა — კოლ-გენშერის მთავრობის საკვანძო პუნქტი*

ევროპის ინტეგრაციასთან დაკავშირებულ საკითხებზე თანამშრომლობა ფედერალურ კანცელარიასთან ყოველთვის მჭიდრო იყო და კონსტრუქციული. ევროგაერთიანებაში ყველა მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების წინ კანცლერის თავმჯდომარეობით კანცელარიის ეგრეთ წოდებულ „მცირე კაბინეტში" იმართებოდა თათბირები. ჩემსა და მის გარდა ამ კონფერენციებში სისტემატურად მონაწილე-

ობდნენ ფინანსთა, ეკონომიკისა და სოფლის მეურნეობის მინისტრები. ხანდახან, იმისდა მიხედვით, თუ რა საკითხები განიხილებოდა, სხდომებს სხვა კოლეგებიც ესწრებოდნენ, ვთქვათ, ტრანსპორტის მინისტრი, მეცნიერებისა და ტექნიკის ან შრომის მინისტრი.

ფედერალურ კანცლერს ასეთ შემთხვევაში თან ახლდა კანცელარიის საგარეო ურთიერთობების განყოფილების მოხელე, რომელიც ევროგაერთიანების საკითხებით იყო დაკავებული, ეს ხდებოდა მაშინ, როცა განსახილველად გამოდიოდა მასალა, რომელიც განსაკუთრებულ, სპეციფიკურ ცოდნას მოითხოვდა. მე ხანგრძლივი დროის მანძილზე სტატს-მდივანი ლაუტენშლაგერი მახლდა ხოლმე.

სახელმწიფო მინისტრის დრ. ალოის მერტესის გარდაცვალების შემდეგ, რომლის კომპეტენციაში არ შედიოდა ევროპის საკითხები, საგარეო უწყებაში იგი ჯერ სახელმწიფო მინისტრმა დრ. ლუც შტაფენჰაგენმა (ქრისტიანულ-დემოკრატიული კავშირი) შეცვალა, ძალზე კომპეტენტურმა და ამავე დროს მოკრძალებულმა კოლეგამ, რომელსაც საგარეო უწყების დატოვების შემდეგ ფედერალური კანცლერის აპარატში ევროგაერთიანების და ფედერალურ მხარეებთან ურთიერთობის საკითხები ებარა.

მოგვიანებით, 1987 წლიდან, საგარეო უწყებაში ევროპული პოლიტიკის საკითხები სახელმწიფო მინისტრმა ქალბატონმა დრ. ირმგარდ შვეცერმა იტვირთა. ეს ჩემთვის დიდი შვება იყო, რადგანაც ამგვარად მე საშუალება მეძლეოდა ბრიუსელში ყოფნისას ყურადღება უმთავრეს პრობლემებსა და საგარეო პოლიტიკის საკითხებზე გამემახვილებინა. გარდა ამისა, ქალბატონი შვეცერი თავმჯდომარეობდა ევროპის საკითხებზე მომუშავე სტატს-მდივანთა ორგანოს, რომელიც ამზადებდა ცალკეული ფედერალური სამინისტროების დამოკიდებულებას სხვადასხვა საკითხებისადმი. მან იმ დროისათვის კოლეგებისაგან მაღალი შეფასება დაიმსახურა როგორც ევროგაერთიანებაში, ისე ფედერალურ მთავრობასა და საგარეო საქმეთა უწყებაში.

ფედერალურ კანცლერთან საუბრების დროს საგარეო უწყებას ის სტატს-მდივანიც წარმოადგენდა, რომელიც ევროპის საკითხებზე იყო პასუხისმგებელი და ბოლოს ევროგაერთიანებაში ჩვენი დესპანი, ევროგაერთიანებაში ჩვენი მუდმივი წარმომადგენელი გახლდათ. საგარეო საქმეთა სამინისტროში ჩემი მოღვაწეობის ბოლო

წლებში ეს იყო ელჩი დოქტორი იურგენ ტრუმფი, იმდენადვე გამოცდილი, რამდენადაც გულისხმიერი და საქმეში ჩახედული „ევროპელი", რომელიც მარჯვედ იცავდა ხოლმე ჩვენს ინტერესებს ბრიუსელში. თავისი თავმდაბლური და ჭკვიანური გამოსვლებით ის ყოველთვის განიმტკიცებდა კოლეგების ნდობას სხვა ქვეყნებიდან. ამიტომაც იგი ერთსულოვნად იქნა დანიშნული საბჭოს გენერალურ მდივნად და დანიელი ნილს ერსბოლის შემკვიდრედ, რომელიც 14 წლის განმავლობაში ამ პოსტს საუკეთესო ევროპული სულისკვეთებით განაგებდა. ეს საკვანძო პოსტია ბრიუსელში: ევროგაერთიანების თავმჯდომარეები ყოველ ექვს თვეში იცვლებიან, გენერალური მდივანი და მისი თანამშრომლები კი რჩებიან. მათ უანგაროდ, თავდადებით და მხოლოდ ევროგაერთიანების ინტერესებიდან გამომდინარე უნდა მოამზადონ მასალები თავმჯდომარეებისთვის, რათა მათ შრომა შეუმსუბუქონ. გენერალური მდივნის, ტრუმპფის, სახით ეს საქმე დღეს საუკეთესო პროფესიონალს აქვს მინდობილი.

ჩემი მოღვაწეობის პერიოდში ოთხი სტატს-მდივანი განაგებდა ევროპის საკითხებს. უპირველეს ყოვლისა გავიხსენებ ამ უწყებაში ყველასათვის საყვარელ ადამიანს, დოქტორ ჰანს ზაქს, რომელიც 1975 წლის ივლისში ტრაგიკულად დაიღუპა. 1975 წლიდან 1979 წლამდე მისი მემკვიდრე გახდა შესანიშნავი პეტერ ჰერმესი, რომელიც არა მხოლოდ დიდი გვარის მატარებელია, არამედ თვითონ არის დიდი პიროვნება. როდესაც მამამისმა 1945 წელს, როგორც ქრისტიანულ-დემოკრატიული კავშირის თავმჯდომარემ, მაშინდელ საბჭოთა საოკუპაციო ზონაში უარი თქვა ხელი მოეწერა მიწის რეფორმაზე, საბჭოთა საოკუპაციო მმართველობის მოხელეები ეცადნენ მის გადაბირებას. ისინი ჰპირდებოდნენ მას, რომ საბჭოთა ტყვეობიდან ბერლინში ჩამოყვანილ მის ვაჟს გაათავისუფლებდნენ, თუ ის ხელს მოაწერდა ამ დოკუმენტს. თავის ვაჟთან, პეტერთან საუბრის შემდეგ ანდრეას ჰერმესმა ეს წინადადება უარყო. როგორც დაემუქრნენ, პეტერი უკანვე დააბრუნეს საბჭოთა ტყვეობაში, სადაც მან წლები დაყო. მამა და შვილი, მესამე რაიხის დროს გამობრძმედილნი, ზეწოლას არ შეუშინდნენ და უკან არ დაუხევიათ. როდესაც მე პრეზიდენტ რეიგანს 1981 წელს კანკუნში ეს ისტორია ვუამბე — პეტერ ჰერმესი იმ დროს ვაშინგტონში ელჩად მუშაობდა —, მან გაიხსენა ერთი ეპიზოდი ესპანეთის სამოქალაქო

ომიდან და თქვა, ეს ალკაზარის სიტუაციის მსგავსი ამბავიაო. პეტერ ჰერმესი განეკუთვნება მნიშვნელოვან სტატს-მდივნების პლეადას ისევე, როგორც მის შემდეგ მოსული ჰანს ვერნერ ლაუტენშლაგერი და იურგენ რუფუსი.

1987 წელს გამოიკვეთა, რომ სტატს-მდივანი რუფუსი ცენტრალურ აპარატს დატოვებდა, რათა მნიშვნელოვანი მისია ეკისრა და ელჩად ვაშინგტონში გამგზავრებულიყო. დიდი პასუხისმგებლობის გამო, რომელსაც ევროგაერთიანების თავმჯდომარეობით ვიღებდით ჩვენ თავზე, მე მნიშვნელოვნად მეჩვენებოდა, მოძებნილიყო იმდენადვე გამოცდილი, რამდენადაც ჩემთვის სანდო პიროვნება ამ პოსტისათვის. ჩემი არჩევანი შეჩერდა ჰანს ვერნერ ლაუტენშლაგერზე, რომელიც ერთხელ უკვე მუშაობდა სტატს-მდივნის თანამდებობაზე და მაშინაც ევროპულ საკითხებს კურირებდა. ჩემთვის ლაუტენშლაგერი იყო ერთგვარი ევროპის სინდისი საგარეო საქმეთა უწყებაში. როდესაც მე ჰელმუთ კოლს ვუთხარი, ლაუტენშლაგერის უკან დაბრუნებას ვაპირებ-მეთქი, მან ეს ამბავი დიდი შვებით მიიღო, და ლაუტენშლაგერიც იმ პასუხისმგებლობის გრძნობით გამსჭვალული დაბრუნდა, რითაც ის რამდენიმე წლის მოგვიანებით კვლავაც მზად იყო 65 წლის ასაკში დარჩენილიყო სამსახურში და კიდევ ერთი წელი ემუშავა. ეს უნიკალური შემთხვევა გახლდათ ჩემი მოღვაწეობის პერიოდში. მალე გამოჩნდა კიდეც, რომ მან ლამის მთელი ძალ-ღონე შეალია საქმეს.

ჰანს ვერნერ ლაუტენშლაგერის დაბრუნებით 1987 წლის ნოემბერში ჩვენ საუკეთესო წინაპირობები შევქმენით ევროგაერთანებაში ჩვენი თავმჯდომარეობის მნიშვნელოვანი პერიოდისათვის. კომპეტენტური მეოთხე განყოფილება პერსონალურად შესანიშნავად იყო დაკომპლექტებული, დაწყებული განყოფილების ხელმძღვანელით, მინისტერიალდირექტორ დოქტორ იელონეკითა და სხვა თანამშრომლებით და ჩემი ახალი და ამავე დროს ძველი სახელმწიფო მდივნით დამთავრებული.

## *კულტურა, როგორც ევროპული იდენტურობის გამოხატულება, სავალუტო კავშირი – ევროპული ინტეგრაციის მიზანი*

დიდი ხნის მანძილზე ბევრი ევროპულ ინტეგრაციას მხოლოდ ეკონომიკურ ჭრილში განიხილავდა. ამ დროს კი უძლიერესი ძალა, რომელსაც შეეძლო ევროპელი ხალხების გაერთიანება, იყო საერთო ღირებულებების აღიარება, აღიარება იმისა, რაც ევროპულ კულტურასა და სულიერ ისტორიას შეადგენდა. აქ ძევს კონტინენტის იდენტურობა. ამ სულიერი და კულტურული ურთიერთკუთვნილების ცნობიერების გაძლიერება იყო იმ ინიციატივის მიზანი, რასაც მე ოთხმოციანი წლების დასაწყისში საბერძნეთის კულტურის მინისტრთან ქალბატონ მელინა მერკურისთან ერთად მივეცი ბიძგი: ერთ-ერთი ევროპული ქალაქის არჩევა ევროპის კულტურულ დედაქალაქად. ამ დროიდან მოყოლებული ამ დიდ ბერძენ ხელოვანთან და დემოკრატთან მის გარდაცვალებამდე პირადი მეგობრობა მაკავშირებდა. რა შეუპოვრობითაც იბრძოდა ის თავისი ქვეყნის თავისუფლებისთვის პოლკოვნიკების რეჟიმის წინააღმდეგ, ასეთივე ძალისხმევით გამოდიოდა ყველგან ადამიანთა უფლებების დასაცავად და ასეთივე შემართებით იბრძოდა ის დემოკრატიული ევროპისათვის. მრავალწლიანი ძალისხმევის შემდეგ მიზანს მივაღწიეთ. 1983 წელს შტუტგარტში ევროსაბჭომ გერმანიის თავმჯდომარეობით გადაწყვიტა ყოველ წელს სხვადასხვა ქალაქი გამოცხადებულიყო ევროპის კულტურის დედაქალაქად. ჩვენ ათენით დავიწყეთ. ამას მოჰყვა ფლორენცია, ამსტერდამი, ბერლინი.

როდესაც მე 1984 წლის 4 ოქტომბერს ფრანკფურტის წიგნის ბაზრობის გახსნისას სიტყვით გამოვედი, წიგნის ბაზრობის ცენტრში იდგა ერთი ევროპული ქვეყანა: იტალია. ბაზრობის გახსნას ჯულიო ანდრეოტიც დაესწრო, თვითონაც წარმატებული ავტორი. ჩემ სიტყვაში მე პატივი მივაგე არა მხოლოდ მანამდე დედაქალაქებად არჩეულ ქალაქებს, არამედ მოვახდინე ახალი ინიციატივის დეკლარირება საერთო ევროპულ კონტექსტში: „ღრმად მწამს, რომ დასავლეთი და აღმოსავლეთი ერთნი იქნებიან იმ საკითხში, რომ ისეთი ქალაქები, როგორიცაა დრეზდენი, პრაღა, ბუდაპეშტი, ვარშავა, კიევი, სოფია, ბუქარესტი, ლენინგრადი ქალაქთა ამ რიგში გამოჩნდნენ. რადგანაც ყველა ეს ქალაქი და კიდევ სხვა

მრავალი ევროპაში არის ერთიანი ევროპული კულტურის კერა. ჩვენ ყველანი სხვანაირები ვიქნებოდით, თუ რომელიმე მათგანი არ იარსებებდა".

ევროპის კულტურული იდენტურობის გაძლიერებაში მე ვხედავდი შანსს, ნიადაგი გამოსცლოდა პოლიტიკას, რომელიც კარჩაკეტილობისკენ იყო ორინტირებული. 1988 წლის 12 ნოემბერს ბერლინში ფრიდრიხ ნოიმანის ფონდის კულტურული კონგრესის წინაშე გამოსვლისას ერნსტ როიტერ ჰაუზში მე ასეთი არგუმენტები მოვიყვანე: „ისტორია და კულტურა კი არ გაგვთიშავს, არამედ გაგვაერთიანებს. ისტორიული და კულტურული ცნობიერება შეგვაცნობინებს აგრეთვე იდენტურობას – გერმანულ, ევროპულ იდენტურობას. საზღვრებს შეუძლია გახლიჩოს ქვეყანა და ამის შედეგად ძალზე მტკივნეული განასერი დატოვონ; სწორედ ამ ქალაქში შეგვიძლია ჩვენ ეს ყოველდღიურად ხელახლა შევიგრძნოთ. მაგრამ საზღვრები ვერ ახერხებს ხალხის და მისი ისტორიის, მისი კულტურის, მისი მომავლის გახლეჩას. ხელოვნება და კულტურა თავისი არსით არ შეიძლება იყოს თავის თავში ჩაკეტილი ან კიდევ სხვათაგან გარიყული".

მხოლოდ ოდნავ მოგვიანებით, 1988 წლის 15 დეკემბერს მივიღე მე ბუდაპეშტში ლორანდის სახელობის უნივერსიტეტის საპატიო დოქტორის წოდება. უკვე უნგრეთის ეს გადაწყვეტილება ნამდვილი სენსაციის ტოლფასი გახლდათ, და მაინც რეფორმატორებმა უკვე კარგა ხანი იყო, გააოცეს დასავლეთის სამყარო თამამი ნაბიჯებით: სულ რამდენიმე კვირით ადრე, 1988 წლის 15 ნოემბერს დიულა ჰორნი, უნგრეთის საგარეო საქმეთა მინისტრი ჰამბურგში „ჩრდილოატლანტიკური საბჭოს" საპარლამენტო ყრილობის წინაშე გამოვიდა სიტყვით.

ბუდაპეშტის უნივერსიტეტში მე გამოვედი მოწოდებოთ, „რომ სოციალისტურ სახელმწიფოებში ის, რაზეც მთელი ევროპა ფიქრობდა, რაც ჩვენს ისტორიას, ჩვენს კულტურას და ჩვენს ფილოსოფიას ქმნის, ახლებურად გააზრებულიყო". შანდორ პეტეფის სიტყვებით ქედი მოვიდრიკე მთელი უნგრელი ხალხის წინაშე: „უნგრული რევოლუციის სიდიადე არის სწორედ ის, რაც ეროვნულ აზრს თავისუფლების იდეასთან აკავშირებდა. უნგრეთი უნგრეთად დარჩა, რადგანაც მადიარი არ შეიძლებოდა ყმა ყოფილიყო. სადაც თავისუ-

ფლებაა, იქ არის ჩემი მამული". უნგრეთს ერთი რამ ნამდვილად არ სჭირდებოდა, როცა საქმე თავისუფლებას შეეხებოდა — რჩევები გარედან. მე გულმხურვალედ გამოვედი ადამიანთა უფლებებისა და დემოკრატიის დასაცავად და მოვუწოდებდი მსმენელთ, როცა ევროპის დახლეჩას აღუდგებოდნენ წინ, არ დაემცროთ კულტურის როლი. ისევ და ისევ მოვითხოვდი გორბაჩოვისთვის მხარდაჭერას. ამ შემთხვევაში ჩემი ადრესატები იყვნენ როგორც დასავლეთში, ისე აღმოსავლეთში, რადგანაც სკეპტიკოსები „ახალი აზროვნების" წინააღმდეგ ორივე მხარეს არსებობდნენ.

წლის დასაწყისისათვის, 1989 წლის 1 იანვარს RTL-სთვის მიცემული ინტერვიუ გორბაჩოვის საჯაროობის პოლიტიკას მივუძღვენი. მე ვთქვი: ევროპა მომავალ 1989 წელს სამმაგი გამოწვევის წინაშე აღმოჩნდება: ერთი იქნება პროგრესირებადი ევროპული ინტეგრაცია ერთიანი შიდა ბაზრისაკენ და შემდგომ უკვე სავალუტო კავშირისკენაც; მეორე: საჯაროობა საბჭოთა კავშირში, რომელსაც გაგრძელება მოჰყვება სხვა სოციალისტურ ქვეყნებში, და მესამეც — დასავლეთ-აღმოსავლეთის ურთიერთობების განვითარება. „საჭირო გახდება დიდი სახელმწიფოებრივი ხელოვნება", — გამოვთქვამდი მე ვარაუდს, — „რათა შევძლოთ განვითარების ეს სამი დინამიკური პროცესი ისე წამოვწიოთ წინ, რომ მათ გახსნან გზა, რომელიც ჰელსინკის საბოლოო დოკუმენტშია დასახული — გზა ერთობლივი ევროპული სამშვიდობო წესრიგისაკენ, საერთო ევროპული სახლისაკენ". დაშორების ათწლეულებმა ვერ შეძლეს ევროპის გახლეჩა, ერთი გერმანიიდან — ორი გერმანიის შექმნა. ეს კრედო სულ უფრო ნათელი და ცხადი უნდა გაგვეხადა.

მაგრამ ეკონომიკური ინტეგრაციის დროსაც ეს დინამიკა არ უნდა შეწყვეტილიყო. 1987 წლიდან ეკონომიკური და სავალუტო კავშირის შექმნა სულ უფრო გადაუდებელ საქმედ მეჩვენებოდა. ახლა უფრო მეტად ვიყავი დარწმუნებული, ვიდრე ოდესმე, რომ საერთო შიდა ბაზარს ერთობლივი ვალუტის გარეშე მომავალი არ ექნებოდა. ნიშნავდა თუ არა საერთო ეკონომიკურ და სავალუტო პოლიტიკაზე უარის თქმა საერთო ბაზრის უმნიშვნელოვანეს უპირატესობებზე უარის თქმასაც? რამდენ ხანს გაგრძელდებოდა სავალუტოპოლიტიკური თანამშრომლობა უკვე არსებულ, ჰელმუთ კოლისა და ჟისკარ დ'ესტენის მიერ შექმნილი ევროპული სავალუტო სისტემის

ფარგლებში, თუ სავალუტო კავშირი, როგორც მიზანი თვალსაწიერიდან გაქრებოდა?

საფრანგეთისთვის, როგორც ეკონომიკური, ისე პოლიტიკური მიზეზების გამო, ეკონომიკური და სავალუტო კავშირი ისედაც უფრო პრიორიტეტული გახლდათ, მაშინ, როცა მე უფრო და უფრო ვრწმუნდებოდი: ჩვენ დროთა გასაყარზე ვიდექით. თუ ეს ასე იყო, მაშინ ევროგაერთიანებას უფრო სწრაფად, ვიდრე აქამდე, უნდა ემოძრავა ევროკავშირის მიმართულებით, რათა ესოდენ სასურველ და ჩემ მიერ დაჟინებით მხარდაჭერილ აღმოსავლეთ-დასავლეთის დინამიკას ევროპული განვითარების წონასწორობა არ დაერღვია.

მას შემდეგ, რაც გორბაჩოვი მსოფლიო პოლიტიკურ სარბიელზე გამოჩნდა, სავალუტო კავშირი ისედაც სრულიად ახალ ასპექტში უნდა განხილულიყო. დასავლეთ-აღმოსავლეთის დაახლოება სწორედაც საჭიროებდა ქმედითუნარიან ევროგაერთიანებას, რომელიც რღვევის მაგივრად მჭიდრო თანამშრომლობას შეუწყობდა ხელს. გარდა ამისა, გერმანიის ნაბიჯებს არამარტო პარიზში დაუწყებდნენ არგუსის თვალებით ჭვრეტას: დარჩებოდნენ გერმანელები ევროგაერთიანების ხომალდზე თუ საკუთარ გზას დაადგებოდნენ? როგორც კი გერმანიის გაერთიანება აქტუალური გახდებოდა, ეს პრობლემა კიდევ უფრო გამწვავდებოდა; აქ არ შეიძლებოდა ჭოჭმანი და გაურკვევლობა, რადგანაც ამას შეიძლება გამანადგურებელი შედეგები მოჰყოლოდა.

1988 წელს ეკონომიკური და სავალუტო კავშირის შექმნის კამპანია წამოვიწყე. 1988 წლის 26 თებერვალს, ევროსაბჭოს მომავალი სხდომისთვის მზადების პროცესში, რომელიც ჰანოვერში უნდა გამართულიყო, მე დავაკონკრეტე ჩემი შეხედულებები მემორანდუმში: უნდა შექმნილიყო ევროპის ცენტრალური ბანკი, გერმანიის ფედერალური ბანკის მსგავსი უპირველესად თავისი დამოუკიდებელი მდგომარეობით. შინაარსობრივად მე ეს წარმომედგინა როგორც სტაბილურობის პოლიტიკა, რომელიც სტაბილურობისა და ზრდა-განვითარების კანონზე გერმანულ წარმოდგენებს შეესაბამებოდა. ამიტომაც იყო ასე მნიშვნელოვანი ცენტრალური ბანკის დამოუკიდებლობა. მემორანდუმი შეიმუშავა შესაფერისი მომხსენებელმა, დიპლომატიური მისიის წარმომადგენელმა შიონფელდერმა. როგორც კი

*ორი ლიბერალი მეგობარი და ლიბერალი ევროპელი: ჰანს-დიტრიხ გენშერი და გასტონ ტორნი, ლუქსემბურგის პრემიერ-მინისტრი და საგარეო საქმეთა მინისტრი, რომელიც იმავდროულად ევროპული კომისიის თავმჯდომარეც იყო.*

დოკუმენტი საზოგადოებისთვის გახდა ცნობილი, მან არაჩვეულებრივი შთაბეჭდილება მოახდინა. ფედერალური ბანკისა და ფინანსთა სამინისტროს თავშეკავებულობის მიუხედავად იყო საოცარი საზოგადოებრივი მხარდაჭერა, უპირველეს ყოვლისა გერმანიის ეკონომიკური წრეებიდან. მხარდაჭერა იგრძნობოდა საზღვარგარეთაც, თუმცა იქ, რა თქმა უნდა, სკეპტიტიზმსაც არაიშვიათად გამოხატავდნენ. და მაინც: მატარებელი დაიძრა.

ქრისტიანულ-დემოკრატიულმა კავშირმა და გერმანიის სოციალ-დემოკრატიულმა პარტიამ 1988 წლის თებერვალსა და აპრილში ეკონომიკური და სავალუტო კავშირისთვის მხარდაჭერა გამოხატეს. ფედერალურ მთავრობაში მხარი დაუჭირეს ჩემს განზრახვას, ჰანოვერში ევროსაბჭოს სხდომაზე, სადაც ვადა გაუდიოდა გერმანიის თავმჯდომარეობას, მიღებული ყოფილიყო გადაწყვეტილება ეკონომიკური და სავაჭრო კავშირის შექმნის თაობაზე და ევროპე-

ლი ექსპერტების კოლეგიის მეშვეობით ნიადაგი მომზადებულიყო მის განსახორციელებლად. პრინციპში მე ამით ვაპირებდი ერთგვარ „ბრძენთა საბჭოს" შექმნას, რომელიც წევრი სახელმწიფოების ცენტრალური ბანკების მმართველებისაგან უნდა შემდგარიყო. წინადადება გავიდა და ჰანოვერში საბოლოოდ გადაწყდა, რომ ცენტრალური ბანკების თავმჯდომარეებს, კომისიის ერთ წევრს და კიდევ სამ სხვა ექსპერტს კომისიის პრეზიდენტის ჟაკ დელორის თავმჯდომარეობით სხდომები უნდა გაემართათ. ერთი წელიც არ იყო გასული, რომ 1989 წლის აპრილში დელორის კომისიამ ერთხმად დაამტკიცა მოხსენება. კომისიის მუშაობაში მონაწილეობდა ფედერალური ბანკიც, რომელიც მისი შესანიშნავი პრეზიდენტით, კარლ-ოტო პიოლით იყო წარმოდგენილი.

პიოლი გამორჩეული პიროვნებაა ფედერალური ბანკის პრეზიდენტებს შორის. იმ დროისათვის მას უკვე მოპოვებული ჰქონდა განსაკუთრებული საერთაშორისო ავტორიტეტი, რაც საერთაშორისო ფინანსურ და სავალუტო დისკუსიაში არა მხოლოდ ფედერალური ბანკის, არამედ, საერთოდ, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკისათვის ძალიან სასარგებლო იყო. პიოლს, სტრატეგსა და სავალუტო სფეროს დიპლომატს, დიდი გავლენა ჰქონდა თავისი პიროვნული ავტორიტეტით, კომპტენტურობით, ალღოთი, ტაქტით. „ინტერვიუებით ომებს" ის არ განიხილავდა როგორც გამართლებულ ხერხს სავალუტო პოლიტიკის მგრძნობიარე სარბიელზე დასამკვიდრებლად.

ერთი წლის შემდეგ, 1989 წლის 26-27 ივნისს მადრიდში გამართულ ევროსაბჭოს სხდომაზე კოლეგიამ ეკონომიკური და სავალუტო კავშირის მიზანი განამტკიცა, ისე, როგორც ეს ერთიანი ევროპული დოკუმენტით იყო გათვალისწინებული. გარდა ამისა, დაისახა მომავალი სამთავრობათშორისო კონფერენციის ჩატარება.

ვცდილობდით რა განვითარებისათვის ახალი იმპულსები მიგვენიჭებინა და ამავე დროს გამოგვერიცხა უთანხმოებანი საგარეო საქმეთა და ფინანსთა მინისტრებს შორის, როლან დიუმამ და მე წამოვაყენეთ წინადადება, შეგვექმნა ახალი კომისია, სადაც საგარეო საქმეთა და ფინანსთა მინისტრების პირად წარმომადგენლებს სხვადასხვა საკითხებში შეთანხმებებისათვის უნდა მიეღწიათ. ფინანსთა მინის-

ტრმა გაგზავნა მინისტერიალდირექტორი ჰორსტ კიოლერი და მინისტერიალდირექტორი ალოის იელონეკი. ორივე არჩევანი არაჩვეულებრივად სწორი აღმოჩნდა. კომისიის სხდომა ელიზაბეტ გიგუს თავმჯდომარეობით მიმდინარეობდა, რომელიც იმ დროს პრეზიდენტ მიტერანის ევროპოლიტიკური მრჩეველი გახლდათ. მადამ გიგუ, შესანიშნავი გარეგნობის, მაღალკვალიფიციური, პატივმოყვარე და გამტანი ქალი, ლამის გარანტია იყო პროექტის წარმატებით განხორციელებისა. მოგვიანებით ის ჩვენ კიდევ შეგვხვდება როგორც ევროპის მინისტრი.

ევროგაერთიანების პოზიტიური განვითარება, როგორც ჩანდა, კარგად ერგებოდა ნამდვილად დრამატულად ცვალებად პოლიტიკურ ლანდშაფტს. ევროპისა და გერმანიის დაყოფის აღმოსაფხვრელად ამასობაში შიგადაშიგ კონკრეტული სიგნალები გაისმოდა. უნგრეთმა და ავსტრიამ კვლავ ჩამოხსნეს რკინის ფარდა თავიანთ ერთობლივ საზღვარზე. ახლა ევროგაერთიანების შიდა საბაზრო დინამიკას სიჩქარე უნდა აეკრიფა. საფრანგეთი, ეტყობა, მსგავსი მოსაზრებებიდან გამომდინარე, ამას დაჟინებით მოითხოვდა. ჩემს საუბრებში როლან დიუმასთან ეს უკვე აშკარად გამოჩნდა. კანცლერის აპარატი და ფინანსთა სამინისტრო, რომლებიც კვლავ და კვლავ მტკიცედ უჭერდნენ მხარს ეკონომიკურ და სავალუტო კავშირს, ყოყმანობდნენ, თანხმობა მიეცათ სამთავრობათაშორისო კონფერენციის დაწყებისთვის, რომელზეც პოლიტიკური, ეკონომიკური და სავალუტო კავშირის შექმნის საკითხი უნდა განხილულიყო. ეტყობოდა, უმთავრესად ის აშინებდათ, რომ ასეთ სამთავრობათაშორისო კონფერენციას შესაძლოა 1990 წლის დეკემბრისთვის დაგეგმილ ბუნდესტაგის არჩევნებზე მოეხდინა არასასურველი გავლენა. ამასთან აშკარა იყო, რომ ბუნდესტაგის ამ არჩევნებში სრულიად სხვა საკითხებს მიენიჭებოდა გადამწყვეტი როლი, კერძოდ: შევძელით ჩვენ რევოლუციური განვითარების შანსების გამოყენება თუ ვერა.

რომი ამასობაში შეუერთდა პარიზს მოვლენების დაჩქარების მოთხოვნაში: მიტერანს სურდა გადაწყვეტილება კონფერენციის შესახებ 1989 წლის დეკემბრის ევროსაბჭოს სხდომაზე, სტრასბურგში ყოფილიყო მიღებული. 1990 წლის 30 ნოემბერს მასთან საუბრის, ე. ი. კედლის დანგრევიდან მხოლოდ რამდენიმე კვირის

შემდეგ, მე ამაში ეჭვი უკვე აღარ მეპარებოდა: ეს მისთვის ლაკმუსის ქაღალდი იყო იმის გასარკვევად, კვლავაც უჭერდა თუ არა ბონი მხარს ევროკავშირის იდეას. როლან დიუმამ, რომელსაც მე პრეზიდენტთან მოლაპარაკებამდე დიდხანს ვესაუბრე, შეწუხებულმა მკითხა, თუ რა სურდათ ბლოკის პარტიებს (ქრისტიანულ-დემოკრატიულსა და ქრისტიანულ-სოციალურ კავშირებს) ბოლოს და ბოლოს. მე იგი დავამშვიდე, რომ სამთავრობო კოალიცია ამ საკითხში სავსებით ერთსულოვანი იქნებოდა. იტალიელები დაინტერესებულები იყვნენ იმით, რომ კონფერენციას მუშაობა მათი თავმჯდომარეობის დროს, 1990 წლის მეორე ნახევარში დაეწყო. აქედან გამომდინარე, ახლა უფრო საჩქარო მეჩვენებოდა, ვიდრე ოდესმე, რომ 1989 წლის დეკემბერში გადაწყვეტილიყო სამთავრობათაშორისო კონფერენციის მანდატის საკითხი. სწორედ ახლა არ უნდა გაჩენილიყო იოტისოდენა ეჭვიც კი, გერმანიის ევროპული ძალისხმევის კვლავაც გაგრძელების თაობაზე, რადგანაც ჩვენ ჩვენი პარტნიორები ევროგაერთიანებაში, უპირველესად კი საფრანგეთი, დაგვჭირდებოდა, როგორც კი გერმანიის გაერთიანების საკითხი დადგებოდა.

მივაღწიეთ კიდეც ამას: 1989 წლის დეკემბერში სტრასბურგში მიღებულ იქნა გადაწყვეტილება, ევროპული ეკონომიკური გაერთიანების ხელშეკრულების 236-ე მუხლის შესაბამისად მოწვეული ყოფილიყო სამთავრობოთაშორისო კონფერენცია. მიღწეულ იქნა პოლიტიკური გარღვევა. ევროგაერთიანების ინტეგრაციული დინამიკა ფეხს უწყობდა აღმოსავლეთ-დასავლეთის ურთიერთობების განვითარებას, ბალანსი შენარჩუნებული იქნა. კონფერენციის პროცედურა და გრაფიკი ევროსაბჭოს სხდომაზე დადგინდა დუბლინში 1990 წლის 25 და 26 ივნისს და ეს მოხდა ერთი დოკუმენტის საფუძველზე, რომელიც ჰელმუთ კოლმა და ფრანსუა მიტერანმა 1991 წლის 28 აპრილს დუბლინში ევროპის „საგანგებო სამიტზე“ წარმოადგინეს. იმ დოკუმენტის მიხედვით 1990 წლის დეკემბერში ორ სამთავრობათაშორისო კონფერენციას უნდა დაეწყო მუშაობა: ერთს პოლიტიკური კავშირის საკითხებზე — ეს საგარეო საქმეთა მინისტრების მოსაგვარებელი იყო — ხოლო მეორეს ეკონომიკური და სავალუტო კავშირის საკითხებზე — ეს ფინანსთა მინისტრებს დაევალათ.

დღევანდელი გადასახედიდან საოცარი წარმატებაა, რომ დრამატულ 12 თვეში, 1989 დეკემბრიდან 1990 წლის დეკემბრამდე, ასეთი პოლიტიკური და კონცეპტუალური ძალისხმევა საერთოდ შესაძლებელი გახდა, მაგრამ ეს ის თვეები იყო, რომელთა განმავლობაში ამავდროულად ევროგაერთიანებაში ისეთი წინაპირობები უნდა შექმნილიყო, რომ გდრ-ს 1990 წლის 3 ოქტომბერს გერმანიის გაერთიანების შემდეგ ამ ორგანიზაციაში შესვლა შეძლებოდა.

### *გდრ და ევროგაერთიანება*

გდრ ევროგაერთიანების დაარსების დღიდან განსაკუთრებულ ურთიერთობებში იმყოფებოდა მასთან, რადგანაც გერმანიის ფედერაციულმა რესპუბლიკამ დიდი მნიშვნელობა მიანიჭა იმას, რომ რომის ხელშეკრულებებისთვის დაერთოთ ოქმი შიდაგერმანული ვაჭრობისა და მასთან დაკავშირებული საკითხების თაობაზე. ამ ოქმში აღნიშნული იყო, რომ გერმანიის ეკონომიკური და საბაჟოსამართლებრივი ერთიანობის შენარჩუნებაზე ევროგაერთიანებაში ფედერაციული რესპუბლიკის წევრობა გავლენას ვერ მოახდენდა. ამგვარად, გაერთიანებამ რომელიც მაშინ ექვსი სახელმწიფოსგან შედგებოდა, გაითავისა ბონის სამართლიანი პოზიცია, რის მიხედვითაც ვაჭრობა ორივე გერმანულ სახელმწიფოს შორის არ უნდა განხილულიყო როგორც საგარეო ვაჭრობა. საქონლის მიწოდება გდრ-იდან გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში, აქედან გამომდინარე, არ ექვემდებარებოდა არც ევროგაერთიანების საგარეო საბაჟო გადასახადს და არც ევროგაერთიანების მიწის საგადასახადო სისტემას. არსებითად ეს ნიშნავდა დარჩენილი გერმანული ერთიანობის ერთი მნიშვნელოვანი ასპექტის შენარჩუნებას; რადგანაც ის რომის ხელშეკრულებების შემადგენელი ნაწილი გახდა, ახლად გაწევრიანებულ სახელმწიფოებსაც ეს თვალსაზრისი უნდა გაეზიარებინათ. გდრ-მა მიიღო პრივილეგირებული მდგომარეობა ევროგაერთიანებასთან მიმართებაში, მდგომარეობა, რომელიც, ზოგჯერ კრიტიკული შენიშვნების საბაბს იძლეოდა არა მხოლოდ ვარშავის პაქტში შემავალი პარტნიორი სახელმწიფოების, არამედ თვით ევროგაერთიანების მხრიდანაც. გარდა ამისა, ბონმა ევროგაერთიანების შესახებ მოლა-

პარაკებებზე გააკეთა განმარტება, რაც შემდეგში მდგომარეობდა: „ფედერალური მთავრობა უშვებს იმის შესაძლებლობას, რომ გერმანიის კვლავ გაერთიანების შემთხვევაში მოხდეს საერთო ბაზრისა და ევროპული ატომური გაერთიანების (EURATOM) შესახებ დადებული ხელშეკრულებების გასაინჯვა“.

ბოლოს მიღებული იქნა თვალსაზრისი, რომლის მიხედვითაც ყოველი გერმანელი გერმანიის მოქალაქედ რჩებოდა ქვეყნის ძირითადი კანონის მოთხოვნათა შესაბამისად: ამგვარად, გდრ ევროგაერთიანების ერთგვარი საიდუმლო წევრი გახდა, როგორც ხანდახან არცთუ უხალისოდ ამბოდნენ ხოლმე. ფედერალური მთავრობის პირობათა ჩამონათვალში ნათქვამი იყო, რომ ევროპის ეკონომიკური გაერთიანებისა და ევროგაერთიანების ფუძემდებლური ხელშეკრულებები ასევე ვრცელდებოდა ბერლინის ფედერალურ მხარეზეც. ბერლინის მხარეც იმ ტერიტორიად იქნა მიჩნეული, სადაც უნდა გავრცელებულიყო ევროპის ეკონომიკური გაერთიანებისა და ევროპული ატომური გაერთიანების ხელშეკრულებები: გაერთიანებაში მოგვიანებით გაწევრიანებული ყველა სახელმწიფო გაერთიანებაში შესვლით აღიარებდა ამ ნორმებსა და განაწესებს.

მოგვიანებით გერმანიის გაერთიანების პროცესში გერმანიის ამ სამართლებრივი პოსტულატის დაცვა დიდად წააადგებოდა ამ პროცესს. უკვე 1989 წლის ნოემბერში ჩემთან სატელეფონო საუბარში თავმჯდომარე დელორმა მკითხა, თუ რომელი ვარიანტი მიმაჩნდა სწორად გდრ-ის ევროგაერთიანებაში გასაწევრიანებლად: უნდა მიგვეღო ის მეცამეტე წევრად თუ როგორც ფედერალური გერმანიის შემადგენელი ნაწილი. „აქ ლაპარაკი შეიძლება იყოს მხოლოდ წევრობაზე გაერთიანებული გერმანიის ფარგლებში, ე. ი. გდრ უნდა ჩაითვალოს გავრცობილი გერმანიის ნაწილად“, — მივუგე მე. განზრახვა — დაახლოებოდა ევროგაერთიანებას — გდრ-მა უკვე გამოხატა თავის მემორანდუმში, თუმცა ეს უფრო ასოცირებულ წევრობაზე მიანიშნებდა. მიუხედავად ამისა, ჩვენ მივესალმეთ კრენც-მოდროვის ხელმძღვანელობის ნაბიჯს, რა თქმა უნდა, საბჭოთა კავშირის ფაქტორის გათვალისწინებით. ყოველ შემთხვევაში მოვლენების ამგვარი განვითარება ტენდენციის მხრივ სწორად მიგვაჩნდა. ამასთან ერთად ეს იმასაც მოწმობდა, რომ გდრ-ის ხელმძღვანელობამ რეალისტურად შეაფასა ვითარება.

ძირითადად გდრ-ის ევროგაერთიანებაში შესვლის სამი სხვადასხვა გზა არსებობდა თეორიულად. ერთი გზა იყო ხელშეკრულება ასოცირებულ წევრობაზე, როგორც ეს კრენც-მოდროვის მთავრობას წარმოედგინა, გდრ-ის დამოუკიდებელი წევრობა ორსახელმწიფოებრიობის შენარჩუნების პირობებში — ეს როგორც შედეგი კონფედერალური სტრუქტურებისა —, ანდა ერთადერთი მისაღები გზა — გდრ-ის ევროგაერთიანებაში გაწევრიანება გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკასთან გაერთიანების გზით, რომელიც უკვე იყო ამ გაერთიანების წევრი. ჩვენ ამ თვალსაზრისს ვემხრობოდით.

1989 წლის ნოემბერში, პარიზის საგანგებო სამიტის შემდეგ ევროპის საბჭომ სტრასბურგში ცნო გერმანიის გაერთიანება, თანაც შეზღუდვების გარეშე. მაგრამ ეს ჯერ კიდევ არ ნიშნავდა იმას, რომ ყოველგვარი შეზღუდვა გერმანიის გაერთიანების წინააღმდეგ გადალახული იქნა. აქედან გამომდინარე, 1990 წლის 20 თებერვალს დუბლინში გამართული ევროგაერთიანების საგარეო საქმეთა მინისტრების შეხვედრა „საკონსულტაციო და საკოოპერაციო შეტევისთვის" გამოვიყენე. მე განვაცხადე, რომ დღიდან ევროგაერთიანების მინისტრებს ყოველ შეხვედრაზე მივაწვდიდი ინფორმაციებს გერმანია-გერმანიის მოლაპარაკებების შესახებ, რათა ისინი სათანადოდ ყოფილიყვნენ ინფორმირებულნი გერმანიის გაერთიანების პროცესთან დაკავშირებით. ეს მნიშვნელოვანი გახლდათ იმ ატმოსფერული პრობლემების გამოც, რომლებმაც ოტავაში შეხვედრის შემდეგ — ამის შესახებ სხვა ადგილას მოგახსენებთ — იჩინა თავი. კოლეგებს ჩემი განცხადების შემდეგ დიდად მოეშვათ გულზე. რაკი ეს ინფორმირება ნაწილობრივ მაინც მეტად კონფიდენციალურ და დელიკატურ მოვლენებს უნდა შეხებოდა და მათი მიწოდებისას ზოგჯერ ფედერალური მთავრობის მოლაპარაკებათა მიზნებისა და პოზიციების განმარტება იქნებოდა საჭირო, მე ვითხოვე, რომ ჩემი ინფორმაციები საბჭოს სხდომებზე არ გახმაურებულიყო მაშინ, როდესაც დარბაზში თანამშრომელთა დიდი რაოდენობა იქნებოდა. ინფორმირების მოვალეობას მომდევნო კვირებში მე ისეთი პასუხისმგებლობით, ისეთი პედანტურობით ვეკიდებოდი, რომ ბოლოს კოლეგებმა მირჩიეს, მხოლოდ მაშინ მელაპარაკი ამ თემაზე, როდესაც, ჩემი აზრით, ინფორმაცია ისეთი იქნებოდა, რომ მას უბრალოდ გვერდს ვერ ავუვლიდით, მით უფრო, რომ ზოგიერთი ახალი ამბავი სისტემატ-

ურად მოხელე-თანამშრომლეთა დონეზეც ამოტივტივდებოდა ხოლმე.

გარდა ამისა დუბლინში მე კიდევ ერთხელ განვაცხადე: 23-ე მუხლთან და გერმანიის მომავალ გაერთიანებასთან დაკავშირებით ლაპარაკი იქნებოდა მხოლოდ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის, გდრ-ის და მთელი ბერლინის გაერთიანებაზე. გაერთიანული გერმანიის აღმოსავლეთი საზღვარი ოდერ-ნაისეზე გაივლიდა; ამის შესახებ უახლოეს ხანში ხელშეკრულება უნდა გაფორმებულიყო პოლონეთთან. ევროგაერთიანების სხვა წევრი სახელმწიფოები ამ საკითხში სრულ სიცხადეს მოითხოვდნენ, რადგანაც გაურკვევლობა იმის მანიშნებელი იქნებოდა, რომ მას შესაძლოა გარკვეულ ვითარებაში იმ ტერიტორიების შესახებ მოლაპარაკებებამდეც მივეყვანეთ, რომლებსაც ეს ქვეყნები კარგა ხანია უდავოდ პოლონეთის სახელმწიფო ტერიტორიად განიხილავდნენ.

ევროკომისიის, განსაკუთრებით კი მისი პრეზიდენტის ჟაკ დელორისა და გერმანელი კომისრის მარტინ ბანგემანის ძალისხმევა, რომელმაც კომისიაში გდრ-ის სამუშაო ჯგუფის ხელმძღვანელობა იკისრა, არის ისტორიული ღვაწლი გერმანიის გაერთიანების პროცესში — წარმატება, რომელშიც ევროგაერთიანების საგარეო საქმეთა კომისარს ფრანს ანდრიესენსაც ასევე მიუძღვის წვლილი.

ევროპარლამენტმა თავის მხრივ უკვე 1990 წლის 15 თებერვალს საგანგებო კომიტეტის — „გერმანიის ერთიანობა" — ჩამოყალიბებით 23-ე მუხლის თანახმად აუცილებელი წინაპირობა შექმნა გდრ-ის ევროგაერთიანებაში სწრაფი ინტეგრირებისათვის. ამავე დროს კომისია გდრ-თან ერთად ამუშავებდა შეთანხმებას ვაჭრობისა და თანამშრომლობის შესახებ, რომელიც ბოლოს და ბოლოს 13 მარტს, ე. ი. გდრ-ში გამართული პირველი თავისუფალი არჩევნების დღეს, იქნა პარაფირებული, ხოლო 8 მაისს — ხელმოწერილი. და მაინც იმ მომენტისთვის მოვლენების განვითარების ფონზე ეს უკვე ნაგვიანევი ნაბიჯი გახლდათ.

### *კვანტური ნახტომი: მაასტრიხტი და მისი შედეგები*

ამ თვეებშიც საფრანგეთ-გერმანიის თანამშრომლობა კიდევ ერთხელ აღმოჩნდა ბიძგის მიმცემი ევროპული ინტეგრაციისათვის;

ფედერალურ მთავრობაში კი შედეგი გამოიღო ევროპული პოლიტიკის სფეროში თანხმობის არსებობამ. რა თქმა უნდა, აქაც შეინიშნებოდა უწყებრიობიდან გამომდინარე აზრთა სხვადასხვაობა, მაგრამ გადამწყვეტი ის გახლდათ, რომ ჰელმუთ კოლი, თეო ვაიგელი და მე სრულიად დარწმუნებულები ვიყავით – გერმანელებს უნდა ეკისრათ ევროპის წინაშე პასუხისმგებლობა და თავი გაერთმიათ მისთვის. და მაინც მოლაპარაკებები სამთავრობო კონფერენციებზე მომქანცველი იყო, ასევე დამღლელი იყო მაასტრიხტის კონფერენციაც, რომელიც 1991 წლის 9 და 10 ნოემბერს გაიმართა, მით უმეტეს, რომ მე როგორც დასავლეთ ევროპული კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ამავე დროს დასავლეთ ევროპული კავშირის მინისტრთა საბჭოს სხდომას ვხელმძღვანელობდი. მაგრამ საბოლოოდ წარმატება გვავიწყებს წვალებას.

მაასტრიხტის ხელშეკრულებები გზას უხსნიდნენ ევროპას მომავლისაკენ, რაც მეორე მსოფლიო ომის დამთავრებისას, ცხადია, ყველას შეუძლებლად მიაჩნდა. ის ამბავი, რომ ახლა ევროგაერთიანების ქვეყნებში ევროკავშირის დანიშნულებასა და აუცილებლობაზე, უპირველესად კი ეკონომიკური და სავალუტო კავშირის თაობაზე ცხარე დებატები იმართებოდა, მე სხვათა შორის ნეგატიურ მოვლენად არ მიმაჩნდა. პირიქით, მხოლოდ ამ დებატების გამოისობით გახდა შესაძლებელი ევროპული გაერთიანების პოლიტიკის ისტორიული მნიშვნელობის სათანადოდ გაცნობიერება. მაგრამ ბევრი მომხრე, ჩემის აზრით, თავდაცვით ტაქტიკას ირჩევდა: მოწინააღმდეგის არგუმენტი, თითქოს აღმოსავლეთ-დასავლეთის კონფრონტაციის დამთავრებასთან ერთად ინტეგრაციის პოლიტიკას მნიშვნელოვანი მოტივები გამოეცალა, ვერ აცნობიერებს ევროპის გაერთიანების პროცესის ძირითად მოტივებს.

ევროგაერთიანების დამფუძნებელ თაობას არ სურდა ევროგაერთიანებით პასუხი გაეცა აღმოსავლეთ-დასავლეთის კონფლიქტზე – ეს იყო ნატოს დაარსების ძირითადი იდეა. ევროგაერთიანების ინიციატორებს სურდათ რეაგირება მოეხდინათ ევროპის ისტორიის გამრუდებულ გზაზე, საუკუნეების განმავლობაში მიმდინარე ძმათამკვლელ ომებზე და, უწინარეს ყოვლისა, ამ საუკუნის ორ მსოფლიო ომზე. კონტინენტის ხალხებს აღარასოდეს უნდა მიემართათ თავიანთი ძალები ერთმანეთის წინააღმდეგ, არამედ უნდა გაეერ-

თიანებინათ ეს ძალები ახალი კულტურისა და თანაცხოვრების ახალი წესის დასამკვიდრებლად. და ეს იდეა განაგრძობს არსებობას, პოლიტიკის რენაციონალიზაციის ტენდენციების პირობებში ის ახლა უფრო საჭიროა, ვიდრე ოდესმე. ახალი ნაციონალიზმის შესაძლებლობა არის არსებითი საფრთხე, რომლის წინაშეც აღმოჩნდა ევროპა დიდი გარდატეხის შემდეგ. ამიტომაც იდეოლოგიური და სულიერი კონფლიქტი, დაპირისპირებულობა ღირებულებათა სისტემების გამო უნდა შეიცვალოს ახალი ევროპული კულტურითა და თანაცხოვრების წესით, რომელიც არა ძალის პოლიტიკაზე, არამედ პასუხისმგებლობაზე იქნება დაფუძნებული. ნუთუ მართალია მოსაზრება, რომ ამ ახალ ევროპაში ხალხები თავიანთ იდენტურობას დაკარგავენ? განა ბევრად უფრო სწორი არ ჩანს თვალსაზრისი, რომ მათ პირველად ახლა შეუძლიათ მთელი სისავსით წარმოაჩინონ თავიანთი ინდენტურობა ისე, რომ მცირერიცხოვან ხალხებს აღარ ჰქონდეთ მრავალრიცხოვანი ხალხების შიში, ხოლო მრავალრიცხოვან ხალხებს ერთმანეთისა?

ერთი რამ გერმანიაში არავის არ უნდა დავიწყებოდა: როცა გერმანიის ფედერაციულმა რესპუბლიკამ არჩევანი გააკეთა დასავლურ ღირებულებათა, ევროსაბჭოს, ევროგაერთიანებისა და ნატოს სასარგებლოდ, იმავდროულად ისეთი სულიერი და პოლიტიკური პოზიცია დაიკავა, რომელიც შეუქცევადი, მეტიც ხელშეუხებელია, თუ არ გვინდა, რომ ევროპის გულში კვლავ უიმედობამ და არასტაბილურობამ დაისადგუროს. რიხარდ ფონ ვაიცზეკერი სავსებით მართალი იყო, როცა გვაფრთხილებდა: „ჩვენი ისტორია მხოლოდ ჩვენ არასოდეს გვეკუთვნოდა“. ჩვენს მომავალსაც ესადაგება ეს ნათქვამი. ჩვენ განუყრელად ვართ დაკავშირებული ევროპასთან, როგორც კეთილ, ისე ავ საქმეში. სწორედ ამიტომ ვართ ევროპის პოზიტიური განვითარებით ესოდენ დაინტერესებულნი.

ჩემ თვალში სასწაულს ჰგავს, როგორ ბჭობენ და ერთობლივად წყვეტენ საკითხებს დღეს ევროკავშირის სახელმწიფოთა წარმომადგენელნი, ხელმძღვანელობენ რა ერთადერთი სურვილით — მიაღწიონ საერთო პროგრესს, და არა იმ განზრახვით, რომ სხვები დაიმორჩილონ. დიდთა ამა ქვეყნისათა დირექტორიუმის იდეა ასეთ კავშირს დაარღვევდა, და ნათლად რომ ითქვას: საფრანგეთ-გერმანიის ურთიერთობას არასოდეს მიაჩნდა თავი თანამშრომლობად,

მამოძრავებელ მოტორად – კი. ჩვენი მეგობრები სხვა დამფუძნებელ ქვეყნებში ყოველთვის გრძნობდნენ, რომ ის თანამშრომლობა ყველასათვის სასარგებლო იყო და სხვებისთვის ტვირთად არასოდეს ქცეულა. ეს კრედო ჩვენც ყოველთვის თვალწინ გვქონდა. მრავალრიცხოვანი საუბრები ჩემ მეგობარ როლან დიუმასთან სწორედ იმ პასუხისმგებლობას დასტრიალებდა თავს, რომელსაც ფრანგები და გერმანელები ვინაწილებდით. ჩვენ გასაკუთრებით გერმანულ პასუხისმგებლობაზე ვლაპარაკობდით, და დარწმუნებული ვარ, თომას მანის მიერ აღიარებული „ევროპული გერმანია" და მის მიერვე უარყოფილი „გერმანული ევროპა" ნათელს ხდის, რასაც ეხება საქმე. ამის გამო ევროგაერთიანებაში მცირე სახელმწიფოებთან თანამშრომლობა წარმოადგენდა ჩემი მუშაობის ერთ-ერთ უმთავრეს მიმართულებას.

მე ასე მიმაჩნია: ევროგაერთიანების წევრი დიდი სახელმწიფოები მცირე სახელმწიფოთა წინაშე ვალში არიან ერთობლივი სამომავლო გზის ძიებასთან დაკავშირებით. საამისოდ მცდელობისას ჩვენს უშუალო მეზობელ ქვეყნებში, ლუქსემბურგში, ბელგიაში, ნიდერლანდებსა და დანიაში ევროპულად მოაზროვნე ჩინებულ სახელმწიფო მოღვაწეებს შევხვედრივარ, ზოგ მათგანთან კარგი მეგობრობაც მაკავშირებდა. მათ რიცხვს მიეკუთვნება უცილობლად ლუქსემბურგელი კოლეგა გასტონ ტორნი, რომელთანაც მე მიწევდა შეხვედრა ჯერ როგორც საგარეო საქმეთა მინისტრთან, შემდეგ როგორც პრემიერ-მინისტრთან და ბოლოს როგორც კომისიის თავმჯდომარესთან. ქალბატონი კოლეტ ფლეშიც, ურყევი „ევროპელი" და ლიბერალი, შესანიშნავი კოლეგა გახლდათ. იგივე უნდა ითქვას ჟაკ პოზე, რომელთანაც მე ხანგრძლივი დროის განმავლობაში ვთანამშრომლობდი როგორც საგარეო საქმეთა მინისტრი. ვეჭვობ, მის ქვეყანაში კარგად იცოდნენ, რამოდენი წონა შემატა მან ლუქსემბურგს ევროკავშირში თავისი ჭკვიანური და მიზანსწრაფული პოლიტიკით. როდესაც ჟაკ დელორის მემკვიდრის გამო დისკუსიის დროს ღიად დაისვა საკითხი, გამოდგებოდა თუ არა ლუქსემბურგის პრემიერ-მინისტრი ჟაკ სანტე ამ თანამდებობაზე, ვინაიდან ის ასეთი პატარა ქვეყნიდან იყო, მე მას ერთ ჩემ სტატიაში მხარი დავუჭირე. ჩემთვის ლუქსემბურგელთა აზროვნების ევროპულ წესს მეტი მნიშვნელობა აქვს, ვიდრე ქვეყნის ფართს, კვადრატულ მეტრებში



*ჰანს-დიტრიხ გენშერი დიდ ბერძენსა და დიდ ევროპელთან — კონსტანტინოს კარამანლისთან ერთად 1991 წელს.*

გამოხატულს, ან მოსახლეობის რაოდენობას.

მადლიერების გრძნობით ვიხსენებ აგრეთვე თანამშრომლობას ბელგიისა და ნიდერლანდების საგარეო საქმეთა მინისტრებთან. ლეო ტინდემანსი და მარკ ეისკენსი განსაკუთრებით კეთილსაიმედო კოლეგები და მეგობრები იყვნენ ევროპული პოლიტიკის ყველაზე ძნელ ფაზებში. ჩემმა ნიდერლანდელმა კოლეგებმა, ჯერ მაქს ვან დერ სტოელმა, ხოლო შემდეგ, ჩემი საგარეო საქმეთა მინისტრად ყოფნის ბოლო პერიოდში, ჰანს ვან დენ ბროეკმა ჩემზე ისეთი შთაბეჭდილებები მოახდინეს და ისეთი მოგონებები დამიტოვეს, რასაც მე ვერ დავივიწყებ და რასაც ჩვენი ხანგრძლივი მეგობრული ურთიერთობა ემყარება.

დანიის საგარეო საქმეთა მინისტრებს შორის, ვისთან ერთადაც მე ოთხმოციან წლებში ვმუშაობდი, განსაკუთრებით გამოირჩევა ჩემი ლიბერალი მეგობარი უფე ელემან ინსენი. იგი დანიური და ევროპული პოლიტიკის გამოჩენილ და უმნიშვნელოვანეს პიროვნებათა

რიცხვს მიეკუთვნება, ვისაც კი მე შევხვედრივარ. ევროგაერთიანების სხდომებზე ის ხშირად არ გამოდიოდა სიტყვით. მაგრამ როცა ის სიტყვას იღებდა, მას დარბაზის ყურადღება გარანტირებული ჰქონდა და უმეტეს შემთხვევაში მსმენელს თავის მოსაზრებებში არწმუნებდა. მე მუდამ ვაფასებდი მის საღ, აწონილ მსჯელობას. მე მას ვერ დავუვიწყებ იმას, რომ, როცა საქმე საქმეზე მიდგა, მან დიდად დაუჭირა მხარი გერმანიის გაერთიანებას. ამით მან დავიწყებას მისცა კოპენჰაგენიდან წამოსული სხვა ხმები.

ჩვენ ყოველთვის ვცდილობდით მჭიდრო ურთიერთობები გვქონოდა სხვა შედარებით პატარა სახელმწიფოებთან, როგორებიც არიან პორტუგალია, ირლანდია და საბერძნეთი. და როგორ გამიხარდა, როდესაც ერთხელ ერთი ესპანელი კოლეგა ქებას არ იშურებდა გერმანიის მისამართით, რომელიც თავს მოვალედ თვლიდა ევროგაერთიანების წევრი შედარებით პატარა სახელმწიფოების დამცველი ყოფილიყო და არა მეურვე.

საგარეო პოლიტიკის მაღალი ხელოვნება, უნარი, წარმოიდგინო თავი სხვის ადგილზე, „მის ტყავში შეძვრე", სწორედ საბერძნეთის მიმართ ურთიერთობაში უნდა გამოგადგეს მისი მრავალი თავისებურებების გამო. ბევრს ხშირად ავიწყდება: საბერძნეთი დიდი ხნის განმავლობაში იყო ევროგაერთიანების ერთადერთი წევრი სახელმწიფო, რომელსაც არ ჰქონდა პირდაპირი საზღვარი სხვა წევრ სახელმწიფოებთან. და მაინც, ეს მხოლოდ ერთი სიძნელეთაგანი გახლდათ. ამას გარდა ბერძნული პოლიტიკა კვიპროსის გადაუჭრელი კონფლიქტით და ნატოს წევრ ქვეყანასთან — თურქეთთან გართულებული ურთიერთობებით არის დამძიმებული. და მაინც, თუმცა ყოველთვის ადვილი არ არის, ჩაწვდე ბერძნული საშინაო პოლიტიკის პრობლემებსა და გზებს, ჩვენი ურთიერთობები ამ მნიშვნელოვან ევროპულ ქვეყანასთან ყოველთვის იყო კეთილმოსურნე და მეგობრული — და ეს მიუხედავად ყველაფერ იმისა, რაც იქ მოხდა გერმანული ოკუპაციის პერიოდში. ეს განსაკუთრებით ითქმის ჩემს ურთიერთობებზე პრემიერ-მინისტრებთან მიცოტაკისთან და პაპანდრეუსთან, ასევე ჩემს მიერ ღრმად პატივცემულ, არაჩვეულებრივ პრეზიდენტ კარამანლისთან.

ყველა ისინი — ევროგაერთიანების წევრი მცირე სახელმწიფოების წარმომადგენელნი — გამოჩენილი ევროპელები და, ამდე-

ნად, ნამდვილი პატრიოტები არიან. ევროპულმა აზროვნებამ და პასუხისმგებლობის გრძნობამ შთააგონა მათ, თავიანთი ხალხების დამეგობრება ჩვენთან — გერმანელებთან დაეჩქარებინათ და გაეადვილებინათ. ევროგაერთიანებისთვის ჩემი ძალისხმევის პერიოდში არასოდეს დამვიწყებია, იმ საშინელი 12 წლის განმავლობაში ჩვენი მეზობლების მიმართ რა იქნა ჩადენილი გერმანელების მიერ და გერმანიის სახელით — მისი გამეორება ერთხელ და სამუდამოდ უნდა გამორიცხულიყო. ეს არის უმძიმესი და ამავე დროს უდიდესი პასუხისმგებლობა თაობისა, რომელსაც მე ვეკუთვნი.

მაგრამ არის ეს მხოლოდ უკან მოხედვა, რომელიც ევროპული ინტეგრაციისკენ სწრაფვის უალტერნატივობას წარმოაჩენს? ცხადია, არა. მე ღრმად და მტკიცედ ვარ დარწმუნებული: ისტორიული ამოცანა, ჩვენი კონტინენტის უკვე შესაძლებელი ერთიანობა აღიარებული იქნეს და იმავდროულად ევროპას განუმტკიცდეს ადგილი მსოფლიოში, სადაც ახალი ძალოვანი ცენტრები წარმოიშვებიან, შეიძლება მხოლოდ ნამდვილი ევროპული პოლიტიკით და არა რენაციონალიზაციით დაიძლიოს.

თუ ევროპა იკისრებს თავის პასუხისმგებლობას და თვალს გაუსწორებს გლობალურ გამოწვევებს — მესამე სამყაროში შიმშილისა და გაჭირვების აღმოფხვრას, სიცოცხლის ბუნებრივი საფუძვლების განმტკიცებას, მოსახლეობის განვითარებას, მასობრივი განადგურების იარაღის გავრცელების და საერთაშორისო დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის აუცილებლობას — მაშინ ის უნდა შეიკრას და გაერთიანდეს. ყოველივე ამას გააზრება დასჭირდება, როცა აწონ-დაწონი საკითხს, ჰო უნდა უთხრა ევროპას თუ არა, რაც რენაციონალიზაციისთვის ჰოს ან არას თქმის ტოლფასია.

პოლიტიკაში წინააღმდეგობები და დაპირისპირებები იშვიათი ხილი როდია, ეს ითქმის სამთავრობო კოალიციებზეც. ამიტომ უფრო მნიშვნელოვანია მოგონებები, დაკავშირებული ერთობლივ სიხარულთან, რადგანაც დიდი მიზანი ერთობლივი ძალისხმევით იქნა მიღწეული: ბრძოლა მაასტრიხტის 1989 წლის დეკემბრის გადაწყვეტილებისთვის ჰელმუთ კოლთან და თეო ვაიგელთან ერთად და 1991 წელს ფინანსთა მინისტრისა და ჩემ მიერ ხელმოწერილი ხელშეკრულებები — ასეთი რამეები აახლოებს ადამიანებს. მხოლოდ მაშინ, როცა გაიაზრებ, რა ძნელი იყო 1982 წელს ამ

კოალიციის შექმნა, შეიძლება გაისიგრძეგანო, თუ რას ნიშნავდა 1990 წელს გერმანიის ერთიანობის მიღწევა და ერთი წლის შემდეგ ერთობლივი ნაბიჯის გადადგმა ევროპული ერთიანობისაკენ. ქრისტიანულ-დემოკრატიული/ქრისტიანულ-სოციალური კავშირებისა და თავისუფალი დემოკრატიული პარტიის კოალიციის ამ წარმატებებს დიდხანს გაიხსენებენ.

გზა, რომელიც ჩვენ 1981 წლის გენშერ-კოლომბოს ინიციატივიდან მაასტრიხტამდე გავიარეთ, სწორი მიმართულებით მიდიოდა და იგი აუცილებელი იყო, შედეგი მაასტრიხტისა პოზიტიური რჩება: ევროპის გაერთიანების პროცესმა მნიშვნელოვანი იმპულსები მიიღო, მისი შეუქცევადობა დადასტურებულია. ამას ჩვენთვის — გერმანელებისთვის გამოწვევებით სავსე ფაზაში და სარისკო გარდამავალ პერიოდებში უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა. ევროპის აღმოსავლეთისა და სამხრეთ-აღმოსავლეთისკენ თუ მივაპყრობთ მზერას, მივხვდებით, რა შედეგი ექნებოდა მაასტრიხტში წარუმატებლობას. ეს არის ის მასშტაბი, რომლის მიხედვითაც უნდა გამოიტანონ მსჯავრი. სკეპტიკოსთა სიუჯიუტის მიუხედავად მაასტრიხტის უმაღლესი დონის შეხვედრა ისტორიაში იმ თავყრილობად შევიდა, რომელზედაც ათეულწლობით მიმდინარე მოსამზადებელი სამუშაოების შემდეგ ევროპის ეკონომიკური და სავალუტო კავშირი, ისევე როგორც ყოვლისმოცველი ევროპული კავშირი, სამართლებრივად დაფუძნდა. ფედერალური მთავრობის წვლილი ამაში უცილობელია.

მაასტრიხტის ხელშეკრულებები 1991 წლის 10 დეკემბერს ჯერ კიდევ ნიდერლანდების თავმჯდომარეობის დროს იქნა დადებული. არ არის გასაკვირი, რომ ამ რთული სახელშეკრულებო მასალის გაჩენისთანავე პოლიტიკური გადაწყვეტილების შემდეგ იურისტებისა და მთარგმნელების ჟამმა დაჰკრა. რამდენიმე კვირის გულმოდგინე მუშაობის შემდეგ, როგორც იქნა 1992 წლის 7 თებერვალს ფინანსთა და საგარეო საქმეთა მინისტრებმა ხელი მოაწერეს ამ დოკუმენტებს. სიმბოლური იყო, რომ ეს მოხდა იმ დარბაზში, სადაც ევროსაბჭო მართავდა სხდომებს. თეო ვაიგელი და მე წინ გამოგვიხმეს. ჩემთვის ეს აქტი სიმბოლურად განასახიერებდა გერმანიის გაერთიანების პროცესში გამოთქმული ჩემი დაპირებების

შესრულებას, რომ გაერთიანებული გერმანიაც ევროპული ინტეგრაციის პოლიტიკას მტკიცედ და ძველებური შემართებით გააგრძელებდა. შემდეგ ნება დაგვრთეს ავტოკალმები თან წაგველო. არსებობს მხოლოდ სამი ავტოკალამი, რომელიც ჩემი მოღვაწეობის დროს მივიღე და რომელთაც ვინახავ: ერთი მაასტრიხტიდან წამოვიღე, მეორეა ის, რომლითაც ხელი მოვაწერე მოსკოვში „ორი პლუს ოთხის" შეთანხმებას, ხოლო მესამე მაშინ გამოვიყენე, როცა ნიუიორკში გერმანიის მიმართ ოთხი სახელმწიფოს უფლებები იქნა შეჩერებული.

ის ფაქტი, რომ სწორედ ჟაკ დელორი იყო იმ ისტორიულ დროში ევროპული კომისიის პრეზიდენტი, ბედნიერ შემთხვევად უნდა მივიჩნიოთ. რკინისებური ნებისყოფით ამ პრეზიდენტმა ყველაფერი გააკეთა იმისათვის, რომ ხომალდ ევროპას კურსი არ შეეცვალა და იალქნები არ დაეშვა. მან ფრანსუა მიტერანისა და ჰელმუთ კოლის სახით ისეთი პარტნიორები იპოვა, რომლებთან ერთადაც შეძლო ევროგაერთიანების პროცესი შეუქცევადი გაეხადა.

ევროკავშირი დღეს დგას ამოცანის წინაშე, გააერთიანოს მთელი ევროპა. ჩვენი მეცადინეობით შექმნილი ევროპული ხელშეკრულებები დღეს უკვე გვაკავშირებენ პოლონეთთან, ჩეხეთთან, სლოვაკიასთან, უნგრეთთან, ბულგარეთთან და რუმინეთთან. ასეთივე ხელშეკრულებები უნდა მომზადდეს ბალტიისპირეთის ქვეყნების, ალბანეთისა და ყოფილი იუგოსლავიის დაშლის შემდეგ აღმოცენებული სახელმწიფოებისთვისაც, რომლებიც ადამიანთა უფლებებს, ეროვნულ უმცირესობათა უფლებებსა და დემოკრატიულ ღირებულებებს აღიარებენ და ეკონომიკურ წინაპირობებს ასრულებენ.

ევროკავშირში გასაერთიანებლად მოლაპარაკებათა დაწყების ვადების დადგენა ზედმეტად არ უნდა გაჭიანურდეს. ამასთან, პოლიტიკურ, ეკონომიკურ და ეკოლოგიურ სფეროებში ურთიერთთანამშრომლობის ხელშეკრულებებმა რუსეთთან და ყოფილი საბჭოთა კავშირის სივრცეში წარმოქმნილ სხვა სახელმწიფოებთან უნდა შეგვაძლებინოს, რომ ანგარიში გავუწიოთ საერთოევროპულ პერსპექტივას. საჭიროა აგრეთვე როგორც საერთოევროპული ინფრასტრუქტურის (სატრანსპორტო და ტელესაკომუნიკაციო სტრუქტურის ჩათვლით), ასევე ენერგოკავშირის შექმნა, რათა საერთოევროპული

ეკონომიკური სივრცის დიდი შესაძლებლობების გამოყენება შევ-ძლოთ. წუწუნი იმის გამო, თითქოს არ ჩანდეს სამომავლო გეგმები და პერსპექტივები, უმართებულო აღმოჩნდება, როგორც კი ევროპა მიხვდება, რომ ვალდებულია გაერთიანდეს. ამაში მდგომარეობს ევროკავშირის ამოცანები, პოტენციალი და პასუხისმგებლობა.

ნაწილი IV

# ახალი გამოწვევები და კრიზისები

## თავი 11

## ბონი და ზესახელმწიფოების გაოგნება

*ნეიტრონული ბომბი და მისი უსახელოდ დასამარება*

პრეზიდენტ კარტერის არჩევის შემდეგ ახალ ადმინისტრაციასთან, რომლის შემადგენლობაში ახალი ადამიანები შევიდნენ ახალი იდეებით, ახლებური ურთიერთობების დამყარება იქნებოდა საჭირო. საქმეს ძალიან წაადგებოდა სახელმწიფო დეპარტამენტის ხელმძღვანელად გამოცდილი საირუს ვენსის დანიშვნა, რომელიც ამერიკა-ევროპის ურთიერთობაში კარგად იყო გათვითცნობიერებული. იგივე შეიძლებოდა თქმულიყო კარტერის თანაშემწეზე სახელმწიფო უშიშროების საკითხებში ზბიგნევ ბჟეზინსკიზეც. მაგრამ პირველმა პრობლემებმა მანამდე იჩინა თავი, ვიდრე ჯიმი კარტერი პრეზიდენტი გახდებოდა. უშუალოდ არჩევნების შემდეგ, როგორც ეს ჩვეულებრივ ხდებოდა ხოლმე, ვაშინგტონში გარდამავალი პერიოდის გუნდი იქნა მოწვეული. ჩვენი საელჩოს მეშვეობით მაშინვე შეგვატყობინეს, რომ კარტერის მთავრობა გერმანია-ბრაზილიის შეთანხმებას ბრაზილიისთვის ატომური ელექტროსადგურების მიწოდების თაობაზე არ დათანხმდებოდა, რადგანაც ბრაზილიას ხელი არ ჰქონდა მოწერილი ატომური აირაღის აკრძალვის ხელშეკრულებაზე. პრობლემა იმაში მდგომარეობდა, რომ ბრაზილია ამ ხელშეკრულებას თავისი სუვერენიტეტის შეზღუდვად და — უფრო მეტიც — ლათინურ ამერიკაზე აშშ-ის ეკონომიკური ბატონობის გამოხატულებად მიიჩნევდა. მაშასადამე, არსებობდა სერიოზული საფუძველი, რომელიც ბრაზილიის ხელმძღვანელობას ხელს უშლიდა, ატომური იარაღის აკრძალვის შესახებ ხელშეკრულებას შეერთებოდა. ამიტომაც ჩვენ ბრაზილიასთან დადებულ შეთანხმებებში შევიტანეთ დებულებები, რომლის მიხედვითაც ატომური იარაღის აკრძალვის შესახებ ხელშეკრულების ზემოქმედება პრაქტიკულად

ბრაზილიაზეც ვრცელდებოდა, ვინაიდან ატომურ ელექტორსადგურებთან დაკავშირებით ისეთ მკაცრ ვალდებულებებს ვაკისრებდით პარტნიორს, რომლებიც საკმაოზე მეტად აკმაყოფილებდა საერთაშორისო ატომური სააგენტოს ნორმატიულ აქტებს.

მიუხედავად ამისა, ვაშინგტონიდან მოსულმა ამ შეტყობინებამ განგაშის სიგნალივით იმოქმედა. ჰელმუთ შმიდტი გაცხარებული იყო. საგარეო უწყებაში ამ დროს მუშაობდა გამოცდილი და მოლაპარაკებებში თავისი შეუპოვრობით ცნობილი სტატს-მდივანი პეტერ ჰერმესი. იგი დაუკავშირდა კარტერის ადმინისტრაციაში საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილეს უორენ ქრისტოფერს.

უკვე 1977 წლის 12 მარტს თვითონ გავემგზავრე ვაშინგტონში, რათა პრეზიდენტ კარტერთან ერთად განმეხილა ეს საკითხი. ჩვენ გვქონდა ხანგრძლივი საუბარი არა ოვალურ ოთახში, არამედ კაბინეტში, რომელსაც კარტერი ასეთი შეხვედრებისათვის ამჯობინებდა. იგი პირადად აშკარად მეგობრული ურთიერთთანამშრომლობის მომხრე ჩანდა, მაგრამ მაინც მოგვიწოდებდა, დაგვერღვია ხელშეკრულება ბრაზილიასთან ატომური ელექტროსადგურის მიწოდების თაობაზე, თუმცა ჩვენ ამ ხელშეკრულებაში მკაცრად ვიცავდით დებულებებს ატომური იარაღის გაუვრცელებლობის შესახებ. და მაინც მე შევძელი დამერწმუნებინა კარტერი, რომ გერმანია არავითარ შემთხვევაში ხელშეკრულების დარღვევაზე არ წავიდოდა. არც თქვენს წინამორბედებს და არც სხვა ბირთვულ სახელმწიფოებს თავის დროზე არაფერი ამ ხელშეკრულების საწინააღმდეგო არ ჰქონიათ-მეთქი, ვუთხარი და დავამატე: „ბატონო პრეზიდენტო, ჩვენ თქვენი უმნიშვნელოვანესი მოკავშირეები ვართ ევროპაში. თქვენ არ უნდა იყოთ დაინტერესებული, რომ ჩვენ, ანუ ქვეყანა, რომელსაც ევროპაში მოწინავე პოზიციები უკავია, ხელშეკრულების დამრღვევის როლში აღმოჩნდეს დღეს ბრაზილიასთან მიმართებაში, ხოლო ხვალ? ხვალ ვისთანღა მოგვიწევს ხელშეკრულების დარღვევა? თქვენთან თუ სხვა მოკავშირეებთან? ეს არ შეიძლება მოხდეს, მით უფრო, თუ გავიხსენებთ, რა მოგვიტანა წარსულში ხელშეკრულების დარღვევამ გერმანელთა მხრიდან“. მე მივხვდი, რომ ამგვარმა მორალურ-ეთიკურმა არგუმენტაციამ კარტერზე განსაკუთრებული შთაბეჭდილება მოახდინა. მე რომ წმინდა იურიდიულ-პოლიტიკური ხასიათის არგუმენტები მომეტანა, შედეგი

სულ სხვანაირი იქნებოდა. საუბრის ბოლოს თვალნათლივი გახდა, რომ ამერიკის პოზიცია აშკარად შერბილდა.

კარტერის მთავრობასთან თანამშრომლობა არც შემდგომ აღმოჩნდა უპრობლემო. ერთის მხრივ პრეზიდენტი ნამდვილად მოწადინებული იყო, კარგი ურთიერთობა დაემყარებინა როგორც ფედერალურ კანცლერთან, ისე ჩემთან, და საირუს ვენსის პიროვნება კონსტრუქციული ურთიერთობების ნამდვილ გარანტიას წარმოადგენდა. უშიშროების დარგში მრჩევლის — ზბიგნევ ბჟეზინსკის ინტერესებიც აქეთ იყო მომართული. მეორეს მხრივ კი კარტერის ადმინისტრაციაში გამუდმებით შეინიშნებოდა მკვეთრი ცვლილებები პოლიტიკაში, რაც პრობლემებს წარმოშობდა ამერიკასა და მის ევროპელ მოკავშირეებს შორის. მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ მოლაპარაკებები ნეიტრონული იარაღის შექმნის თაობაზე, რამაც გერმანიაში საზოგადოების დიდი პროტესტი გამოიწვია. ეგონ ბარი ლაპარაკობდა აზროვნების პერვერსიაზე, რამაც დასავლურ ბლოკში ამ იარაღის შემოღების შესახებ დისკუსიაში იჩინა თავი. ჰელმუთ შმიდტი და მე ვცდილობდით ნატოს ფარგლებში თანხმობისთვის მიგვეღწია. ბოლოს ალიანსის სხვა წევრებთან მივაღწიეთ შეთანხმებას გადაწყვეტილების თაობაზე, რომელშიც ნათქვამი იქნებოდა, რომ ნატო ცნობად ღებულობს ამერიკელების განზრახვას, შექმნან ნეიტრონული ბომბი. ეს იარაღი, თუკი მოლაპარაკებებს შეიარაღებაზე კონტროლის დაწესების შესახებ შედეგები არ მოჰყვებოდა, უნდა განლაგებულიყო კიდეც. ჰელმუთ შმიდტისა და ჩემთვის ასეთი გადაწყვეტილების მიღება იოლი არ ყოფილა. არამარტო გერმანულ საზოგადოებაში, არამედ ჩვენს პარტიებშიც — შესაძლოა გერმანიის სოციალ-დემოკრატიულ პარტიაში მეტად, ვიდრე თავისუფალ დემოკრატიულ პარტიაში — საკმაო ეჭვები არსებობდა ამასთან დაკავშირებით. ეჭვები მეც უნდა დამეძლია.

უშუალოდ 1978 წლის აღდგომის წინა დღეებში ალიანსს პოზიტიური დამოკიდებულება უნდა გამოეხატა ამ იარაღის წარმოების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების მიმართ. შეთანხმებული იქნა, რომ ამერიკის დელეგაციის ხელმძღვანელს ნეიტრონული იარაღის ალიანსის შეიარაღებაში შემოტანა უნდა დაესაბუთებინა და დადგენილების ეს ტექსტი წინასწარ გერმანიის დელეგაციისათვის უნდა მოეწოდებინა. ჩვენი დელეგატი — ასეთი იყო გეგმა —

პირველი აიღებდა სიტყვას და მხარს დაუჭერდა ამ გადაწყვეტილებას. ამის შემდეგ კი პროექტისთვის მხარი უნდა დაგვეჭირა ეგრეთ წოდებული მდუმარე პროცედურით (silent procedure), როცა კონსენსუსი მიღწეულად ითვლება, თუ ვინმე წინააღმდეგი არ წავიდა.

მას შემდეგ, რაც ეს ყველაფერი შეთანხმებული იქნა და ჩვენ ფედერალური მთავრობის წევრებმა გულდამძიმებულებმა გადავწყვიტეთ, გაგვეზიარებინა ეს ტვირთი, მოულოდნელად დამირეკა საირუს ვენსმა, რომელმაც შემატყობინა, რომ უკვე დანიშნული ნატოს საბჭოს სხდომის ჩატარება მუდმივი წარმომადგენლების დონეზე აღარ იყო საჭირო, რადგანაც პრეზიდენტს იმჟამად აღარ სურდა მიეღო გადაწყვეტილება ნეიტრონული ბომბის შექმნასთან დაკავშირებით. ის გამოგზავნიდა თავის სახელმწიფო მდივანს უორენ ქრისტოფერს გერმანიაში, რომელიც ფედერალურ კანცლერს და მე ამის თაობაზე საქმის კურსში ჩაგვაყენებდა. ამგვარად მე მივიღე ქრისტოფერი ნაშუადღევს საგარეო საქმეთა სამინისტროში. მან შემატყობინა, რომ პრეზიდენტს დიდი ეჭვები გასჩენოდა ნეიტრონული იარაღის შემოღებასთან დაკავშირებით, ამიტომაც უარს ამბობდა იარაღის წარმოებაზე. მე მივუგე, რომ ჯერჯერობით ამას მხოლოდ ცნობად მივიღებდი, და ისიც ვთქვი, რომ ფედერალური მთავრობა სულაც არ იყო დახარბებული, კვერი დაეკრა ამერიკის ამ წინადადებებისთვის. მეტიც, სამთავრობო პარტიებში საკმაოდ დიდი წინააღმდეგობების დაძლევის გზით იმას მივაღწიეთ, რომ მწვანე შუქი აგვენთო ნატოს გადაწყვეტილებისათვის. ეს ჩვენ მხოლოდ და მხოლოდ ალიანსის სიმტკიცის ინტერესებიდან გამომდინარე მოვიმოქმედეთ. ფედერალური კანცლერი და მე ახლა საკმაოდ უხერხულ მდგომარეობაში აღმოვჩნდით-მეთქი. ამ საუბრის შესახებ ტელეფონით შევატყობინე ფედერალურ კანცლერს, რომელსაც მეორე დღეს ჰამბურგში უორენ ქრისტოფერი უნდა მიეღო. მე მას შევთავაზე, ამის შემდეგ ვაშინგტონში გამგზავრებულიყო, რათა იქ ამერიკის მთავრობასთან შემდგომ ნაბიჯებთან დაკავშირებით კონსულტაციები გაემართა. ორშაბათს, 3 აპრილს, ვიწრო წრეში შევხვდით ერთმანეთს ჰელმუთ შმიდტის სამუშაო კაბინეტში თავდაცვის მინისტრი, ფედერალური კანცლერი, მე და ორი ჩვენთან დაახლოებული თანამშრომელი, რათა უშიშროების ფედერალური საბჭოს სხდომისთვის, რომელიც ამის შემდეგ უნდა გამართულიყო, საერ-

თო პოზიცია შეგვემუშავებინა. ამგვარი პრაქტიკა შმიდტმა შემოიღო და ის ძალიანაც ამართლებდა. ჩემი მხრიდან თათბირში მონაწილეობას იღებდა განიარაღების საკითხებზე პასუხისმგებელი დესპანი რუთი — განიარაღების პრობლემატიკის არაჩვეულებრივი მცოდნე, ხოლო თავდაცვის მინისტრის მხრიდან — გენერალი ტანდეკი, რომელთანაც საგარეო უწყება მშვენივრად თანამშრომლობდა. ჩვენ ერთსულოვანნი ვიყავით იმ საკითხში, რომ ამერიკელებს ნეიტრონული ბომბის შექმნის მზადებასთან დაკავშირებით გადაჭრით კი არ უნდა ეთქვათ უარი, არამედ ჯერ უნდა განეცხადებინათ, რომ გადაწყვეტილების მიღება ამის თაობაზე გადავადებულია. ამგვარად, მაინც მოხერხდებოდა, ამ იარაღის შექმნის შესაძლებლობა შეიარაღებაზე კონტროლის დასაწესებლად გამართული მოლაპარაკებებისთვის გამოყენებულიყო. ჩვენ კარტერის გადაწყვეტილებამ მართლაც რომ საშუალება მოგვცა შვებით ამოგვესუნთქა, მაგრამ შიდაპოლიტიკური ვითარებიდან გამომდინარე, ის ჩვენ ზოგიერთ თავსატეხს მაინც გაგვიჩენდა.

4 აპრილს ვაშინგტონში გავემგზავრე. იქ ჯერ საგარეო საქმეთა მინისტრ ვენსს შევხვდი სახელმწიფო დეპარტამენტში პირისპირ სასაუბროდ, რომელიც მოლაპარაკებებისთვის გამიზნული დიდი დარბაზის უკან, ამერიკის საგარეო საქმეთა მინისტრის სამუშაო ოთახში გაიმართა. საიურს ვენსმა მითხრა, თუ როგორ იყო თვითონ გაკვირვებული პრეზიდენტის გადაწყვეტილებით. მას სურდა ჩემთვის სრულიად გარკვევით ეთქვა, რომ მის გარდა თავდაცვის მინისტრი ჰაროლდ ბრაუნი და ვიცე-პრეზიდენტი მონდეილიც საკმაოდ იჭვნეულად უყურებდნენ ამერიკის პოზიციის ამგვარ მკვეთრ შეცვლას. მე მას ვუთხარი, რომ განიარაღების მიზნებიდან გამომდინარე, უკეთესი იქნებოდა ნეიტრონული იარაღის შექმნის შესაძლებლობა ღიად დარჩენილიყო. ეს თანხვდებოდა მის მოსაზრებებსაც. გარდა ამისა, იგი ამაში ხედავდა შესაძლებლობას, თავიდან ყოფილიყო აცილებული დაძაბულობა ალიანსში, რადგანაც ევროპის სხვა მთავრობებმაც ჩვენსავით დიდი სიძნელეების გადალახვით მიაღწიეს თავ-თავიანთ ქვეყნებში ამერიკის ამ ინიციატივაზე თანხმობას ან მის მიმართ შემწყნარებლური დამოკიდებულების გამოვლენას. ამის შემდგომ პრეზიდენტ კარტერთან საუბრისას, რომელშიც მონაწილეობას იღებდ-

ნენ ვიცე-პრეზიდენტი, თავდაცვის მინისტრი, საგარეო საქმეთა მინ-ისტრი და მრჩეველი უშიშროების საკითხებში, მე მახლდა ჩვენი ელჩი ვაშინგტონში ბერნდტ ფონ შტადენი, მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ერთ-ერთი ყველაზე უფრო გამოჩენილი პიროვნება საგარეო უწყებაში. მას, როგორც ფედერალური კანცელარიის საგარეოპოლი-ტიკური განყოფილების უფროსს, ხოლო მანამდე საგარეო უწყების პოლიტიკური განყოფილების თანამშრომელს, როგორც დესპანსა და სტატს-მდივანს უდიდესი წვლილი მიუძღვის ჩვენი საგარეო პოლიტიკის ფორმირებაში და სახელდობრ, როგორც ალიანსის შიგნით, ისე აღმოსავლეთთან მიმართებაში. ის, წარმოშობით ბალტიისპირე-ლი, აღმოსავლეთ ევროპის არაჩვეულებრივ მცოდნედ ითვლებოდა. საგარეო უწყებაში სტატს-მდივნად 1981 წლიდან 1983 წლამდე მუშაობდა. თავის მეუღლესთან ერთად, რომელიც ადრე ასევე სა-გარეო უწყების თანამშრომელი გახლდათ, მან, დახვეწილი მანერე-ბით გამორჩეულმა ადამიანმა გერმანიის საელჩო ვაშინგტონში არა-მარტო საზოგადოებრივ ცენტრად, არამედ შესანიშნავად ინფორმირე-ბულ და გავლენიან შეხვედრის ადგილად აქცია.

თუ გადავხედავთ საგარეო უწყების სტატს-მდივანთა რიგს, ვისთან ერთადაც მე მიმუშავია, აღმოჩნდება, რომ ყველა ისინი საგარეო უწყების უმაღლესი დონის მუშაკები იყვნენ. იმ სტატს-მდივნებზე, რომლებიც ეკონომიკურ და ევროგაერთიანების საკითხ-ებს კურირებდნენ, მნიშვნელოვან საგარეო კულტურულ პოლიტიკას და სამართლის განყოფილებას ხელმძღვანელობდნენ, სხვა ადგ-ილზე გვქონდა ლაპარაკი. ჩემი საგარეო საქმეთა მინისტრად მუშაობის პირველ წლებში, 1977 წლამდე, გვერდით მედგა დოქტორი ვალტერ გელჰოფი, რომელიც მერე ვატიკანში წავიდა ელჩად. მისი ადგილი დაიკავა გიუნთერ ვან ველმა, რომელიც როგორც პოლიტიკური დირექტორი, მოგვიანებით კი სტატს-მდივანი ჩემი განსაკუთრებით მნიშვნელოვანი მრჩეველი გახლდათ. უპირველეს ყოვლისა მან ახალ საგარეო საქმეთა მინისტრს, დატვირთულს ახალი პასუხისმგებლო-ბით, თავისი დიდი გამოცდილებით, ფანტაზიით, რისი წყალობითაც მას, ერთი შეხედვით გამოუვალი მდგომარეობიდან გამოსავლის პოვნა შეეძლო, ფასდაუდებელი სამსახური გაუწია. დაბეჯითებით შემიძლია ვთქვა, რომ ის იყო ჩემი ერთ-ერთი მოძღვარი საგარეო პოლიტიკაში, უპირატესად კი ისეთ საქმეებში, რომელიც ოპერატი-

ულ მოქმედებას მოითხოვდა. ბერნდტ ფონ შტადენი შეცვალა დრ. ანდრეას მაიერ-ლანდრუტმა, რომელსაც 1983 წლიდან 1987 წლამდე ეკავა ეს პოსტი. ისიც თავისი წინამორბედივით ბალტიისპირელი იყო, გამოირჩეოდა საბჭოთა კავშირში არსებული მდგომარეობისა და იქ მოღვაწე პიროვნებათა შესახებ ფუნდამენტური ცოდნით. დიდი ხნის განმავლობაში მუშაობდა ჩვენს მოსკოვის საელჩოში სხვადასხვა თანამდებობებზე. მისი სტატს-მდივნად მოღვაწეობის უმნიშვნელოვანეს წლებში იგი ჩემი განუყრელი მრჩეველი იყო. მის შემდეგ ამ თანამდებობაზე მოვიდა დოქტორი იურგენ ზუდჰოფი, რომელიც ახალგაზრდა თაობას მიეკუთვნებოდა. მან ჰანს ვერნერ ლაუტენშლაგერთან ერთად გერმანიის გაერთიანებისთვის მზადების პერიოდში ყველაფერი გააკეთა იმისათვის, რომ ჩემთვის ხელი არაფერს შეეშალა „ორი პლუს ოთხის" მოლაპარაკებებისას და გაერთიანების საგარეოპოლიტიკური გარანტიების მოპოვების პროცესში, რაც მთელ ჩემ ენერგიას მოითხოვდა. ბოლოს, 1991 წლის იანვარში მისი მემკვიდრე გახდა დოქტორი დიტერ კასტრუპი, რომელსაც საგარეო უწყების პოლიტიკურ დირექტორად მუშაობის ხანგრძლივი სტაჟი ჰქონდა და რომელიც არამარტო თავისი გამორჩეული კონსტრუქციული როლისა და „ორი პლუს ოთხის" მოლაპარაკებათა დროს მის მიერ წამოყენებული უამრავი ნაყოფიერი იდეის გამო, არამედ აგრეთვე მრავალწლიანი მოღვაწეობის პერიოდში მოპოვებული უდიდესი პროფესიული ავტორიტეტის წყალობით საგარეო უწყებაში მომუშავე ყველაზე დიდ სტატს-მდივანთა რიცხვს მიეკუთვნება.

თუმცა დავუბრუნდეთ ჩემს ვიზიტს ვაშინგტონში. ბუშინსკისთან წინასწარი ხანმოკლე გასაუბრების შემდეგ ბერნდტ ფონ შტადენი და მე პრეზიდენტმა კარტერმა ოვალურ ოთახში მიგვიღო. მეტად მეგობრული მოსალმების შემდეგ პრეზიდენტმა კარტერმა, რომელსაც გადაეწყვიტა თავისი მოსაზრებებისათვის აგრესიული ელფერი მიეცა, თავისი უარყოფითი დამოკიდებულება გამოხატა ევროპელი მოკავშირეების — როგორც მან გამოთქვა — მერყევი პოზიციის გამო. მან აღნიშნა, რომ ვეღარ მოითმენდა, გაუთავებლად ეკრიტიკებინათ მისი გეგმები შეიარაღებასთან დაკავშირებით. თუ ევროპელებს არ სურდათ ნეიტრონული იარაღი, მაშინ უარი უნდა ეთქვათ ალიანსში მის შეტანაზე. ორიოდე დღის წინ მისთვის დაურეკავს ერთ-ერთი მოკავშირე სახელმწიფოს მთავრობის მეთაურს

და უთქვამს, რომ ის წინააღმდეგია ნეიტრონული იარაღისა. აქ მე შევაწყვეტინე მას. ვუთხარი, რომ ბოლო ხანებში მე სულ სხვანაირი შთაბეჭდილება დამრჩა, კერძოდ, ევროპელი მოკავშირეები, იმათი ჩათვლით, ვისაც თავის დროზე დიდი ხალისით არ მიუცია თანხმობა, ახლა ერთობლივად უცხადებენ სოლიდარობას ამ გეგმას. როცა მე მას ვკითხე, ვის გულისხმობდა იგი, კარტერმა მიპასუხა: „ფედერალურ კანცლერ კრაისკის". ამ დროს საირუს ვენსი გადაიხარა პრეზიდენტისაკენ და უთხრა: „მაგრამ ავსტრია არ არის ალიანსის წევრი". ამაზე კარტერმა უხეშად მიუგო: „შეიძლება. ყოველ შემთხვევაში, კრაისკი სოციალ-დემოკრატია". შევეცადეთ საუბარი საქმიანი ტონით გაგვეგრძელებინა. მას შემდეგ, რაც თავდაცვის მინისტრმა საირუს ვენსმა და ბეზინსკიმ თავიანთი მოსაზრებები გამოთქვეს, შედგა განცხადების ტექსტი, რომელშიც ის აზრი იყო გამოთქმული, რომ ნეიტრონული იარაღის წარმოების საკითხმა უკანა პლანზე გადაიწია. ეს პრაქტიკულად ამ იარაღის უსახელოდ დასამარებას ნიშნავდა, ჩვენ კი საშუალებას გვაძლევდა შეგვენარჩუნებინა ჩვენი სახე და მას ალბათ იმ მოლაპარაკებებისთვისაც ჰქონდა მნიშვნელობა, რომლებზეც შეიარაღებაზე კონტროლის დაწესების საკითხი უნდა განხილულიყო.

როდესაც სახელმწიფო დეპარტამენტი დავტოვეთ, ბერნდტ ფონ შტადენს ვუთხარი: „ბატონო ელჩო, მოგეხსენებათ, რომ თქვენი მოვალეობაა მართალი ანგარიში წარმოადგინოთ ახლახანს შემდგარი საუბრის შესახებ. მაგრამ უმჯობესი იქნებოდა, თუ დეპეშაში გამოტოვებდით პრეზიდენტის შენიშვნას კრაისკის „სოციალ-დემოკრატობასთან" დაკავშირებით. ჯობს არ დავუშვათ, რომ ფედერალურმა კანცლერმა თავი შეურაცხყოფილად იგრძნოს, რის საფუძველსაც ნამდვილად იძლევა ეს შენიშვნა".

ბოლოს და ბოლოს დაპირისპირებულობა გერმანია-ამერიკის ურთიერთობებში დაძლეულ იქნა ისე, რომ არც ერთი მხარის ღირსება არ შელახულა და როცა 1978 წლის ივლისში აშშ-ის, კანადის, საფრანგეთის, ინგლისის, იტალიის, იაპონიისა და გერმანიის სახელმწიფოთა და მთავრობის მეთაურები ბონში მეოთხე მსოფლიო ეკონომიკურ სამიტზე შეიკრიბნენ, ირგვლივ სრული ჰარმონია სუფევდა. 14 ივლისს ბონში, რატუშის წინ გამოსვლისას პრეზიდენტმა კარტერმა სიტყვით მიმართა გერმანიის მოსახლე-

ობას: „დღეს გერმანიამ და ამერიკის შეერთებულმა შტატებმა უზარმაზარი პასუხისმგებლობა იკისრეს. მათ აქვთ თანმხვედრი ინტერესები და ბონმა, როგორც ჩვენი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მოკავშირის დედაქალაქმა, თავისი ადგილი იპოვა. ჩვენი უსაფრთხოება თქვენი უსაფრთხოებაა და პირიქით — თქვენი უსაფრთხოება ჩვენი უსაფრთხოება გახლავთ. ამერიკელები და გერმანელები შემოქმედებითი უნარით აღსავსე მსოფლიო მოქალაქეები არიან, რომლებიც გაერთიანებული ძალისხმევით ცდილობენ დახმარების ხელი გაუწოდონ მსოფლიოს სხვა რეგიონებს, რათა მათ ეკონომიკურ კეთილდღეობასა და ეკონომიკურ სტაბილურობას მიაღწიონ. ფუნდამენტური რწმენა მსგავსი ღირებულებებისადმი აერთიანებს ორივე ჩვენს ერს: ადამიანური თავისუფლების ღირებულებები და რწმენა იმისა, რომ თითოეულ ადამიანს უფლება აქვს თავისი საკუთარი ცხოვრების სრულყოფილი რეალიზაციისა ისე, რომ არავითარი ზეწოლა არ განიცადოს არც გარედან და არც ქვეყნის შიგნით წარმოშობილი არასტაბილურობის გამო“. შემდეგ ფედერალურმა პრეზიდენტმა ვალტერ შელმა ბრიულში, ავგუსტუსბურგის სასახლეში გაშლილ საზეიმო სუფრასთან სიტყვა წარმოთქვა და ილაპარაკა „კასანდრას მოწოდებებზე“*, რომლებიც კვლავ და კვლავ გაისმოდა და ატლანტიკურ ბლოკში დაწყებულ კრიზისზე მეტყველებდა. მან განაცხადა: „ორივე ჩვენმა ქვეყანამ კვლავაც შეძლო ერთობლივ გადაწყვეტილებებამდე მისვლა“.

### *ზესახელმწიფოს შეურაცხყოფა: მძევალთა აყვანა თეირანში*

1979 წლის ივლისში ირანში რევოლუციური ცვლილებები მოხდა: „ერ ფრანსის“ თვითმფრინავით 50 თანამშრომლისა და 150 ჟურნალისტის თანხლებით აიათოლა ხომეინი თეირანში დაბრუნდა, ჩამოაყალიბა მთავრობა და პრემიერ-მინისტრად ბაზარგანი დანიშნა.

---

* კასანდრა — წინასწარმეტყველი ქალი ძველ ბერძნულ მითოლოგიაში, რომლის გაფრთხილებებს არავინ იჯერებდა. (რედ.)

ამ მოვლენებს ჩემში დიდი გაკვირვება არ გამოუწვევია. კარგა ხანია დარწმუნებული ვიყავი, რომ შაჰის რეჟიმს დიდი ხნის არსებობა აღარ ეწერა. თუმცა ზუსტად ვერ წარმომედგინა, ვინ შეიძლებოდა ხელისუფლების სათავეში მოსულიყო: იქნებოდნენ ისინი რევოლუციური მემარცხენე ძალები თუ ძალაუფლებას ხელში ფუნდამენტალისტური დაჯგუფებები აიღებდნენ? 1979 წლის განმავლობაში სულ უფრო აშკარა ხდებოდა, რომ აიათოლა ხომეინი შეეცდებოდა თავისი ისედაც დიდი ავტორიტეტი, რომელიც მას თავის ქვეყანაში ჰქონდა, კიდევ უფრო აემაღლებინა. მისი ჩასვლა თეირანში ისლამური რევოლუციის დაწყებას მოასწავებდა.

პირადად მე შაჰის მმართველობაზე — როგორც დრომოჭმულ რეჟიმზე — საუბრისას დიდ თავშეკავებულობას ვიჩენდი. ჩვენ ირანთან ნორმალური დიპლომატიური ურთიერთობები გვქონდა, მაგრამ ჩემი საგარეო საქმეთა მინისტრად მუშაობის ხუთი წლის განმავლობაში ისლამურ რევოლუციამდე არც ერთხელ არ ვყოფილვარ ვიზიტით ირანში. ამას კი მოგვიანებით მნიშვნელოვანი პოლიტიკური როლი უნდა ეთამაშა.

ხომეინის დაბრუნებისა და შაჰის დამხობის შემდეგ ირანიდან ზედიზედ ჩამოდიოდნენ დელეგაციები გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში, რომელთა ამოცანა, ეტყობა, ისლამური რევოლუციისა და ირანის დამოუკიდებელი კურსისთვის აგიტაციის გაწევა იყო. ეს დელეგაციები უმეტესწილად შედგებოდა ახალგაზრდა კაცებისაგან, რომელთაც განათლება საზღვარგარეთ მიეღოთ და გერმანულს თუ ინგლისურს იმდენად კარგად ფლობდნენ, რომ თარჯიმნების გარეშეც მშვენივრად ახერხებდნენ განემარტათ ისლამური რევოლუციის არსი და მიზნები. ისინი ნიადაგ ხაზგასმით ამბობდნენ, რომ დაინტერესებული იყვნენ კარგი ურთიერთობები ჰქონოდათ ევროგაერთიანებაში შემავალ სახელმწიფოებთან, მაშასადამე ბონთანაც. მათი თქმით, ისლამურ მთავრობას არავითარ შემთხვევაში არ სურდა დამოკიდებული ყოფილიყო საბჭოთა კავშირის — როგორც ისინი უწოდებდნენ — „ათეისტურ“ სისტემაზე. ამავე დროს ისინი არ მალავდნენ თავიანთ უარყოფით, მეტიც, მტრულ დამოკიდებულებასაც კი შეერთებული შტატების მიმართ.

მე მათ ეპასუხობდი, რომ ჩვენთვის გადამწყვეტი იყო, მართლა ეცდებოდა თუ არა ისლამური რევოლუცია დამოუკიდებელი

პოლიტიკური კურსი გატარებას. ამასთან, თეირანში კარგად უნდა გაეცნობიერებინათ, რომ ამერიკის შეერთებული შტატების სახით საქმე ჩვენს მნიშვნელოვან მოკავშირეს ეხებოდა და ამიტომაც ილუზორული იქნებოდა იმაზე ფიქრი, რომ კარგი ურთიერთობების ქონა ბონთან ვაშინგტონის მიმართ ერთგვარ საპირწონედ ყოფილიყო გამოყენებული. აღსანიშნავი იყო ისიც, რომ ჩემი დამოკიდებულება შაჰის რეჟიმის მიმართ ადამიანის უფლებების დარღვევით იყო განსაზღვრული. ამიტომაც ადამიანის უფლებების საკითხი ახალ ხელმძღვანელობასთან ურთიერთობების განხილვის დროს კვლავაც წინა პლანზე იქნებოდა წამოწეული.

1980 წლის სექტემბერში ჩემთან მობრძანდა ირანის სახელმწიფო მოხელე ტაბატაბაი, რომელიც იმ დროს ფრიდრიხ ებერტის ფონდის მიერ გამართულ ღონისძიებებში ღებულობდა მონაწილეობას და მთხოვა დახურულ კარს მიღმა მესაუბრა მასთან. მე მას ადრინდელი შეხვედრებიდან ვიცნობდი. ის ზემოთ ნახსენები ერთ-ერთი დელეგაციის წევრი გახლდათ. როგორც ვიცოდი, ივი აიათოლა ხომეინის გარემოცვიდან იყო. მისი და აიათოლა ხომეინის ვაჟზე – ახმედზე იყო გათხოვილი. როდესაც სასაუბროდ მივიღე, მთხოვა, მძევლების საკითხზე ამერიკის მთავრობას დავკავშირებოდი. ჩემ შეკითხვაზე, რატომ მოვიდა იგი ჩემთან ასეთი თხოვნით და ვინ იყო ამის ინიციატორი, მან მიპასუხა, რომ ამის შესახებ მხოლოდ ხომეინიმ და ირანის ხელმძღვანელობის ორმა მასთან დაახლოებულმა პირმა იცოდნენ. მე იმიტომ მომმართავდნენ, რომ ნდობით ეკიდებოდნენ ჩემს დამოკიდებულებას ირანთან, რადგანაც შაჰის რეჟიმის დროს ირანს არ ვწვევივარ, როგორც საგარეო საქმეთა მინისტრი. ის უფლებამოსილი იყო, მოლაპარაკებები ეწარმოებინა პრეზიდენტის წარმომადგენელთან მძევლების ვათავისუფლების საკითხზე და სასურველი იქნებოდა, რომ ასეთი პიროვნება რაც შეიძლება მალე ჩამოსულიყო ბონში. საუბარი შეიძლებოდა აქ შემდგარიყო დ. ის აბსოლუტურად კონფიდენციალური უნდა ყოფილიყო. გარდა ამისა, წინაპირობა იყო ისიც, რომ მოლაპარაკება ჩემი თავმჯდომარეობით ჩატარებულიყო და იმ შემთხვევაში, თუ მიღწეული იქნებოდა შეთანხმებები ამერიკის შეერთებულ შტატებსა და ირანს შორის, მე უნდა ვყოფილიყავი გარანტი იმისა, რომ ეს

შეთანხმებები შესრულდებოდა. ტაბატაბაის ვუთხარი, რომ დავუკავშირდებოდი ამერიკის მთავრობას, მას კი უნდა შეეტყობინებინა ჩემი აპარატისთვის, როგორ შეიძლებოდა მისი მონახვა.

მას შემდეგ, რაც ტაბატაბაიმ ჩემი სამუშაო კაბინეტი დატოვა, ჰელმუთ შმიდტს მოვახსენე ირანის ხელმძღვანელობის განზრახვის შესახებ. ფედერალურმა კანცლერმა გაიზიარა ჩემი მოსაზრება იმის თაობაზე, რომ ჩვენ ვალდებულნი ვიყავით ეს წინადადება ამერიკის მთავრობისთვის გადაგვეცა და თუ ისინი თანახმანი იქნებოდნენ, საუბრები ირანის გეგმის მიხედვით წარგვემართა. ამავე დღეს, მოგვიანებით, მე დავურეკე ამერიკის საგარეო საქმეთა მინისტრს ედ მასკის, რათა მისთვის ინფორმაცია მიმეწოდებინა და თან გამეგო, იქნებოდა თუ არა მზადყოფნა ამერიკის მხრიდან ასეთი თანამშრომლობისთვის. მასკი შემპირდა, რომ დამირეკავდა. ცოტა ხნის შემდეგ ტელეფონთან თვითონ პრეზიდენტი კარტერი მოვიდა და დიდი დაინტერესება გამოხატა ასეთი კონტაქტისადმი. ეს გასაგები იყო, რადგანაც ამერიკის საზოგადოებაზე ამერიკელი მძევლების დამამცირებელი ტყვეობა ძალიან მოქმედებდა. გასათვალისწინებელი იყო ისიც, რომ მძევლების შემდგომი ბედი დიდად იმოქმედებდა არჩევნების შედეგებზე ამერიკაში. კარტერმა განაცხადა, რომ მზად იყო დაუყოვნებლივ გამოეგზავნა თავისი სრულუფლებიანი წარმომადგენელი ბონში. ამ შემთხვევაში ის გულისხმობდა სახელმწიფო მდივანს უორენ ქრისტოფერს, რომელსაც მე ჩვენი თანამშრომლობის დროიდან ფრიად კარგად ვიცნობდი. ეს არჩევანი ძალიან მომეწონა, რადგანაც მოსალოდნელი იყო, რომ საუბრები ხომეინის დესპანთან განსაკუთრებით რთული იქნებოდა.

ჩვენ გადავწყვიტეთ ამერიკელთა დელეგაცია გიმნიხის სასახლეში დაგვებინავებინა, სადაც გაიმართებოდა შეხვედრები ტაბატაბაისთან. ქრისტოფერი სამართლის ექსპერტთა თანხლებით მოემგზავრებოდა, რადგანაც გასათვალისწინებელი იყო, რომ ირანულ მხარეს შესაძლოა მძევლების გათავისუფლების სანაცვლოდ ამერიკაში ირანის საბანკო ანგარიშებსა და ქონებაზე ყადაღის მოხსნა მოეთხოვა. ორშაბათს, 15 სექტემბერს, ამერიკის სახელმწიფო მდივანი და მისი თანხმლები პირები ბონში ჩამოვიდნენ. მე ისინი სადილად მივიწვიე საგარეო უწყებაში, რათა მათ წინასწარ მოვლაპარაკებოდი შეხვედრის თაობაზე.

მეორე დღეს, დილით პრესის წარმომადგენლებმა კითხვით მიმართეს საგარეო უწყების პრესმდივანს, მართალი იყო თუ არა, რომ ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანი ქრისტოფერი ბონში იმყოფებოდა — ხმა ამის თაობაზე ამერიკის საელჩოდან გამოვიდაო. ისიც შეეტყოთ, რომ ის გიმნიხის სასახლეში დაბინავებულიყო, რაც — რადგანაც საქმე სახელმწიფო მდივანს ეხებოდა — ცოტა არ იყოს, უჩვეულოდ გამოიყურებოდა. ამიტომაც ებადებოდათ კითხვა, იყო თუ არა დაგეგმილი უორენ ქრისტოფერის შეხვედრა ტაბატაბაისთან. პრესმდივანმა, რომელმაც შესაბამისი კონტაქტების შესახებ არაფერი იცოდა, ყველაფერი იუარა.

ჩემთვის ეს საბაბი იყო, შეხვედრა გიმნიხის სასახლიდან ბონთან ახლოს მდებარე საგარეო უწყების სასტუმრო სახლში, ვენუსბერგში გადამეტანა. საგარეო უწყებაში თანამშრომელთა მხოლოდ ძალიან ვიწრო წრისთვის იყო ეს ცნობილი. შეხვედრის ტექნიკური მომზადება, სასმელებით მომარაგების ჩათვლით, მთლიანად ჩემს პირად რეფერენტს თეოდორ ვალაუს დაეკისრა. საგარეო უწყების თარჯიმნების გარდა შეხვედრას ესწრებოდნენ ჰაინც ვებერი, რადგანაც ტაბატაბაი ინგლისურად ვერ ლაპარაკობდა — მხოლოდ გერმანული იცოდა და ახლო და შუა აღმოსავლეთის პოლიტიკური ექსპერტი, დესპანი ნორბერტ მონტფორტი. შეხვედრას, რომელიც სამშაბათს, 16 სექტემბერს ვენუსბერგში გაიმართა, ირანის მხარეს მხოლოდ ტაბატაბაი წარმოადგენდა, ამერიკის მხარეს — უორენ ქრისტოფერი და მისი ერთი თანამშრომელი.

შეხვედრის თავმჯდომარეობა მე ვიკისრე. ამასთან, შემოვიფარგლე მარტო მსმენელის ფუნქციით, მხოლოდ შიგა და შიგ ვურთავდი რეპლიკებს, განსაკუთრებით მაშინ, როცა საჭირო ხდებოდა მხარეები გაგებით მოჰკიდებოდნენ პრობლემებს, რომლებიც შეიძლება გარკვეული შეთანხმებების რეალიზების დროს წარმოჭრილიყო ღია, დემოკრატიულ სახელმწიფოებში. ტაბატაბაიმ გაიმეორა, რომ ირანის მხარე დაჟინებით მოითხოვდა, მოლაპარაკებები ჩემი თანდასწრებით წარმართულიყო. კრისტოფერი კელავ და კელავ აცხადებდა, რომ მას პრეზიდენტისაგან დავალებული ჰქონდა, მოლაპარაკებების დროს მაქსიმალური მოქნილობა გამოეჩინა. სხვათა შორის, ამერიკის მხარეც მიესალმა მოლაპარაკებებზე ჩემს დასწრებას. ტაბატაბაიმ ხაზგასმით აღნიშნა, რომ ირანი მე არამარტო როგორც

მოლაპარაკების მოწმედ, არამედ შესაძლო შეთანხმებების განხორციელების გარანტადაც მომიაზრებდა. როგორც მოსალოდნელი იყო, საუბარი ტრიალებდა უპირველეს ყოვლისა ამერიკის შეერთებულ შტატებში ირანის ქონების გათავისუფლების, ასევე დასავლეთის ქვეყნებში კონფისკაციაქმნილი ირანული ფასეულობების გარშემო. სიტყვა ჩამოვარდა აგრეთვე შაჰის ქონებაზეც.

ნიადაგი იმ ნდობისათვის, რომელიც ირანის ხელმძღვანელობამ გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკას და პირადად მე გამომიცხადა, თეირანში ჩვენმა ელჩმა რიცელმა მოამზადა. ელჩ რიცელს დიდი ალღოთი და გულისხმიერებით მშვენიერი ურთიერთობები დაემყარებინა ირანის ახალ ხელმძღვანელობასთან, რაც ჩვენთვის ამერიკა-ირანის მოლაპარაკებების წინ განსაკუთრებულად იყო საჭირო. ასე მაგალითად, ამერიკის საგარეო საქმეთა მინისტრ მასკისთან შეხვედრაზე, რომელიც ავსტრიის სახელმწიფო ხელშეკრულებაზე ხელმოწერის 25 წლისთავთან დაკავშირებულ საზეიმო დღეებში ევროპაში იმყოფებოდა, მე თეირანელი ელჩი რიცელიც მოვიწვიე, რომელსაც შეეძლო მასკისა და მისი მრჩევლების თანდასწრებით ახლო აღმოსავლეთის საკითხებში თეირანში შექმნილი ვითარების და მძევლების გათავისუფლების შესაძლებლობები რეალურად შეეფასებინა. ვენა კიდევ ერთხელ იქცა ინტერნაციონალური პოლიტიკის საკვანძო პუნქტად.

მოლაპარაკებები ვენუსბერგში გვიან საღამომდე გაგრძელდა. სახელმწიფო მდივან ქრისტოფერთან ერთად 17 სექტემბრის დილას ფედერალურ კანცლერს ვესაუბრე. ნაშუადღევს ქრისტოფერი კიდევ ერთხელ მივიღე, შემდეგ მოვიდა ტაბატაბაი, რათა მოგვემზადებინა მოლაპარაკებების მეორე რაუნდი, რომელიც ხუთშაბათისათვის იყო დანიშნული.

ეს ძალისხმევა ჩემთვის დიდ სირთულეებთან იყო დაკავშირებული, რადგანაც დროის დეფიციტს განვიცდიდი — იმ პერიოდში ჩვენ ბუნდესტაგის საარჩევნო ბრძოლის ბოლო ფაზაში ვიმყოფებოდით. ასე რომ, თითქმის ყოველდღე საარჩევნო ღონისძიებების გამართვა იყო დაგეგმილი. იძულებული ვიყავი უარი მეთქვა ზოგიერთ ამ ღონისძიებაში მონაწილეობაზე ისე, რომ ამისი ნამდვილი მიზეზის დასახელებაც კი არ შემეძლო. ამან, ცხადია, ადგილობრივ საოლქო გაერთიანებებში დიდი უსიამოვნებები გამოიწვია. მხოლოდ

მოგვიანებით, როცა მძევლებთან დაკავშირებულმა სკანდალმა ჩაიარა, მომეცა შესაძლებლობა, ამეხსნა ჩემი საქციელი 1980 წლის საარჩევნო კამპანიისას.

მეორე საუბარი დაახლოებით ორსაათნახევარს გაგრძელდა. ტაბატაბაიმ განაცხადა, რომ მას სურდა ორშაბათს, 22 სექტემბერს, თეირანში დაბრუნებულიყო და იქ სასწრაფოდ დაემყარებინა კონტაქტები პასუხისმგებელ პირებთან. მე მას გავაგებინე, რომ ნებისმიერ დროს შესაძლებელი იყო ჩვენი ელჩის რიცელის მეშვეობით დაგვკავშირებოდნენ. 22-დან 24 სექტემბრამდე გაერთიანებული ერების გენერალურ ასამბლეასთან დაკავშირებით მე ნიუ-იორკში ყოფნა მომიწევს და იქ მინდა საგარეო საქმეთა მინისტრს მასკის შევხვდე-მეთქი.

შემდგომმა კონტაქტებმა ბოლოს და ბოლოს საშუალება მოგვცა, დაგვეთქვა მძევლების გათავისუფლების თარიღიც: 2 ოქტომბერი. გერმანიის თვითმფრინავს ისინი თეირანში უნდა აეყვანა და საფრანგეთში ჩაეყვანა. იქიდან კი ამერიკული თვითმფრინავებით მათ აშშ-ში გადაიყვანდნენ.

რამდენიმე დღით ადრე, 27 სექტემბერს, ჩვენამდე მოაღწია ცნობამ, რომ იმ დროისათვის ლაპარაკიც კი არ შეიძლებოდა ყოფილიყო მძევლების გათავისუფლებაზე. ჩვენი პირველი ვარაუდი ის იყო, რომ საქმის ვითარება მკვეთრად შეცვალა ირანსა და ერაყს შორის განვითარებულმა მოვლენებმა. ყოველ შემთხვევაში, მოგვიანებით დაირხა ხმები, რომელთა თანახმადაც თითქოს ერაყის მიერ ირანის წინააღმდეგ წამოწყებული ომის უკან პრეზიდენტი კარტერი იდგა. მე დღემდე არ შემიძლია ვთქვა, სიმართლეს შეესაბამებოდა ეს ხმები თუ არა, და მაინც, როგორც ყოველთვის: ძალიან მალე ირანული წყაროებიდან ცნობილი გახდა, რომ მძევლების გათავისუფლება არავითარ შემთხვევაში არ მოხდებოდა ამერიკაში ნოემბრისთვის დაგეგმილ არჩევნებზე ადრე, რადგანაც არ სურდათ ამით არჩევნებში კარტერისთვის დახმარება გაეწიათ.

შემდგომდროინდელი კავშირები ალჟირის მეშვეობით ხორციელდებოდა. ალჟირში ვიზიტის დროს კიდევ ერთხელ შევხვდი უორენ ქრისტოფერს. ახალმა პრეზიდენტმა რეიგანმა ბოლოს მძევლების მიღება მაინის ფრანკფურტის აეროპორტში მის წინამორბედს დაუთმო და კარტერმაც კიდევ ერთხელ დიდი მადლობა

გადაგვიხადა ამერიკელი მძევლების გათავისუფლების საქმეში მონაწილეობისათვის.

## *ნატოს ორმაგი გადაწყვეტილება*

ეგრეთ წოდებული ნატოს ორმაგი გადაწყვეტილება უძნელესი გამოცდა გამოდგა მთავრობისათვის, რომელსაც ჰელმუთ შმიდტი და მე ვუძღვებოდით. ფედერალურმა კანცლერმა პირველმა და თანაც დროულად გააკეთა მითითება ლონდონში მოხსენებით გამოსვლისას იმაზე, რომ საბჭოთა კავშირმა SS-20 საშუალო რადიუსის რაკეტების მწყობრში ჩაყენებით ამ სფეროში შექმნა პოტენციალი, რომელიც საფრთხეს უქმნიდა ყველა მეზობელ რეგიონს, უპირველესად კი, რა თქმა უნდა, შეერთებული შტატების ნატოელ მოკავშირეებს. ჩვენ ძალიან ვნანობდით, რომ სტრატეგიული იარაღის შეზღუდვასთან დაკავშირებულ მოლაპარაკებებზე არ გვიცდია, შეგვექმნა მექანიზმი, რომელიც ხელს შეუშლიდა მიღწეულ შეთანხმებათა გვერდის ავლას: საშუალო რადიუსის ახალი ბირთვული რაკეტების შეიარაღებაში გაშვება, რითაც შეივსებოდა ძველი არსენალი, მკაფიოდ არ იყო გამორიცხული. გვადელუპაში ერთმანეთს შეხვდნენ ამერიკის, საფრანგეთის, დიდი ბრიტანეთისა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობათა ხელმძღვანელები და სახელმწიფოების მეთაურები — ჯიმი კარტერი, ვალერი ჟისკარ დ'ესტენი, ჯიმ ქელეგანი და ჰელმუთ შმიდტი, რათა ამ პრობლემატიკაზე მოეთათბირებინათ. შეიქმნა საერთო აზრი, მიეღოთ საბჭოთა კავშირის გამოწვევა, რომლის მიზანიც, როგორც ჩანდა, უსაფრთხოების პოლიტიკის თვალსაზრისით ამერიკის ევროპელ მოკავშირეებს შორის განხეთქილების ჩამოგდება იყო. ფედერალური მთავრობის შიგნით, უპირველესად კი თავისუფალ დემოკრატიულ პარტიაში, ვაკითარებდით კონცეფციას, რომელსაც საბოლოოდ სახელად „ორმაგი გადაწყვეტილება" ეწოდა. ერთის მხრივ ეს იყო გადაწყვეტილება ამერიკული საშუალო სიშორის რაკეტების — პერშინგ 2-სა და საფრენი აპარატის Cruise Missiles-ის სტაციონირების შესახებ, ხოლო მეორეს მხრივ შეიცავდა შეთავაზებას, დაწყებულიყო მოლაპარაკებები საშუალო სიშორის ბირთვული რაკეტების

თანდათანობით ან ერთბაშად ლიკვიდაციის თაობაზე (ეგრეთ წოდებული „ნულოვანი ვარიანტი“). თავისუფალი დემოკრატიული პარტიის თავდაცვის კომისია იურგენ მიოლემანის თავმჯდომარეობით გადაწყვეტილების პროექტს ამზადებდა. 1979 წლის 13 აგვისტოს პარტიის პრეზიდიუმმა ძირითადად მხარი დაუჭირა ამ გადაწყვეტილებას. თავისუფალი დემოკრატიული პარტიის ბუნდესტაგის ფრაქციაც ამ ხელშეკრულების მომხრეთა რიგებს შეუერთდა.

ჩვენი იდეის არსი იმაში მდგომარეობდა, რომ დასავლური საშუალო სიშორის ბირთვული რაკეტების განლაგება მით უფრო შეზღუდული სახით განხორციელდებოდა, რაც უფრო ეფექტურად შევძლებდით საბჭოთა SS-20 საშუალო რადიუსის რაკეტების პოტენციალის შემცირებას. სოციალ-დემოკრატიულ პარტიაში აზრთა სხვადასხვაობა წარმოიქნა. ფრაქციის თავმჯდომარე ჰერბერტ ვენერი, რომელიც ჩვეულებრივ ჰელმუთ შმიდტის პოლიტიკას მთლიანად უჭერდა მხარს, 1979 წლის თებერვალში გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის ჟურნალ „ნოიე გეზელშაფტ“-ში წერდა: „გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში შექმნილ რეალურ ვითარებას არ შეესაბამება, როცა დამატებითი შეიარაღების სისტემათა შექმნის საჭიროებას თითქოსდა მათი აუცილებლობით ასაბუთებენ და ამით ქმნიან იმის საფრთხეს, რომ შესაძლოა გერმანია ასეთი იარაღის მატარებელი გახდეს, ნაცვლად იმისა, რომ ალიანსის ძალები შეიარაღების შეზღუდვისა და განიარაღებისკენ იქნეს მიმართული“. ასევე ეგო ბარიც სულ უფრო და უფრო დაბეჯითებით არისხებდა ზარებს ნატოს — როგორც ის უწოდებდა — „შეიარაღებასთან“ დაკავშირებით და საშუალო რადიუსის რაკეტების წინააღმდეგ გამოდიოდა. გერმანიის სოციალ-დემოკრატიულ პარტიაში სრულიად აშკარად ეშინოდათ, რომ გამალებულ შეიარაღებას შესაძლოა დაძაბულობის შენელების პოლიტიკის ჩაშლა მოჰყოლოდა. ამით გამოიკვეთა სოციალ-დემოკრატიული პარტიისა და თავისუფალი დემოკრატიული პარტიის კოალიციის მომავალი დაშლის მიზეზი.

და მაინც, ბრეჟნევისა და გრომიკოს 1978 წლის ვიზიტის დროს ხელმოწერილი იქნა გერმანია-საბჭოთა კავშირის ერთობლივი დეკლარაცია, რომლის ტექსტსაც ჩვენთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა. ამ ტექსტში ჩვენ შევიტანეთ პრინციპული დე-

ბულებები, რომელთა მიხედვითაც მხარეებს უარი უნდა ეთქვათ სამხედრო უპირატესობის მოპოვებისკენ სწრაფვაზე და დაკმაყოფილებულიყვნენ შეიარაღების დარგში დაახლოებითი წონასწორობითა და პარიტეტით, რაც უზრუნველყოფდა თავდაცვის განხორციელებას; ეს უნდა ქცეულიყო დასავლეთ-აღმოსავლეთის ურთიერთობებში სახელმძღვანელო პრინციპად.

1979 წლის ივლისში ჰელმუთ შმიდტი, ტოკიოში მსოფლიო ეკონომიკურ სამიტზე მიმავალი, გზად მოსკოვში შეჩერდა. იქ ის პრემიერ-მინისტრ კოსიგინსა და საგარეო საქმეთა მინისტრ გრომიკოს შეხვდა. მან კიდევ ერთხელ გამოთქვა თავისი შეშფოთება საბჭოთა კავშირის საშუალო რადიუსის რაკეტების პოტენციალთან დაკავშირებით. როდესაც მე იმავე წლის სექტემბერში ნიუ-იორკში გრომიკოს ველაპარაკე, კიდევ ერთხელ სრულიად გარკვევით განვუმარტე, რომ ჩვენ დაინტერესებულნი ვიყავით, გაგვემართა მოლაპარაკებები საშუალო რადიუსის რაკეტების თაობაზე. მაგრამ ისიც ვუთხარი, რომ ვაპირებდით მიგვეღო გადაწყვეტილება შეიარაღების ზრდის სასარგებლოდ, თუკი საბჭოთა კავშირი არ გამოთქვამდა მზადყოფნას მილაპარაკებებისთვის, რომლის მიზანი იქნებოდა შეიარაღებაში საბჭოეთის რაოდენობრივი უპირატესობის სრული ლიკვიდაცია.

1979 წლის 21 ნოემბერს საგარეო საქმეთა მინისტრი გრომიკო სამდღიანი ვიზიტით ბონში ჩამოვიდა. ჩემს გამოსვლაში ოფიციალურ ვახშამზე ბად გოდესბერგის რედუტში დაწვრილებით ვისაუბრე უსაფრთხოების მდგომარეობაზე, რაც, როგორც ვთქვი, ძალიან გვთრგუნავდა. მე დავიმოწმე მოსკოვის 1970 წლის ხელშეკრულება, რომელმაც აზრთა ღრმა და საფუძვლიან გაცვლა-გამოცვლას და გერმანია-საბჭოთა კავშირის ურთიერთობების გაუმჯობესებას ჩაუყარა საფუძველი, და ვთქვი, რომ გერმანიამ თავისი აღმოსავლური სახელშეკრულებო პოლიტიკით და ევროთათბირის პროცესში მოღვაწეობით გადამწყვეტი წვლილი შეიტანა ევროპაში დაძაბულობის შენელების საქმეში. შემდეგ მე პირდაპირ მივმართე გრომიკოს: „ჩვენთვის დაძაბულობის შენელების რეალისტური პოლიტიკა არის არა ეპიზოდი, დროებითი მოვლენა, არამედ მუდმივი ძალისხმევა მშვიდობის, თანხმობის, უსაფრთხოებისა და ნდობი-

სათვის“. მე შევახსენე მას 1978 წლის დეკლარაცია და დავუმატე: „მაშინ ნათქვამს ახლა ხორცი უნდა შევასხათ“. ამასთან დაკავშირებით მოვითხოვე: „ამასობაში დასავლეთმა და აღმოსავლეთმა გაიცნობიერეს, რომ წონასწორობის დაცვის თვალსაზრისით აუცილებელია, სტრატეგიული შეიარაღების შეზღუდვის პროცესი ბირთვულ იარაღზეც გავრცელდეს, რასაც აქამდე ის არ მოიცავდა. ამიტომაც ატლანტიკური ალიანსი თავის გადაწყვეტილებას შეიარაღების აუცილებელი მოდერნიზების ღონისძიებათა თაობაზე საშუალო რადიუსის რაკეტების შესახებ მოლაპარაკებების შეთავაზებას დაუკავშირებს. ჩვენ გვსურს, რომ ეს მოლაპარაკებები დაუყოვნებლივ დაიწყოს და მათი მნიშვნელობის გაცნობიერებით წარიმართოს“. ბოლოს ასე მივმართე საბჭოთა საგარეო საქმეთა მინისტრს: „ჩვენ — როგორც ეს ერთობლივ დეკლარაციაშია ფორმულირებული — მონაწილე მხარეების უსაფრთხოების გარანტიათა შეუმცირებლად უნდა მივაღწიოთ უფრო სტაბილურ მდგომარეობამდე უფრო დაბალ მილიტარულ დონეზე. ამიტომაც, მოდით, ურთიერთგაგების სულისკვეთებით გამსჭვალულებმა გავაგრძელოთ შენება იმ ფუნდამენტზე, რომელსაც ბოლო ათი წლის მანძილზე ჩაეყარა საფუძველი“.

გრომიკოს პასუხი გამაწბილებელი იყო. მან თქვა: „ჩვენ და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა ერთ ენაზე არ ვლაპარაკობთ. საბჭოთა კავშირისთვის ამოსავალი წერტილია ის, რომ უსაფრთხოების მისაღწევად სრულიად საკმარისია, თუ არსებულ წონასწარობას შევინარჩუნებთ“. 24 ნოემბერს თავისი ვიზიტის დასასრულს მან პრესკონფერენცია გამართა, რომლის დროსაც კიდევ ერთხელ მოახდინა იმის კონსტატირება, რომ ბონსა და მოსკოვს ურთიერთსაპირისპირო შეხედულებები აქვთ შექმნილ მდგომარეობაზე. მან სიტყვასიტყვით თქვა: „სინანულით აღვნიშნავთ იმ ფაქტს, რომ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობა, როგორც ეს ბონში ჩვენმა მოლაპარაკებებმა გვიჩვენა, პოზიტიურად უყურებს ნატოს გეგმებს იარაღის განლაგებასთან დაკავშირებით. ეს არის გზა, რომელსაც სურს მსოფლიო გამალებულ შეიარაღებაში ჩაითრიოს. ეს არის ახალი ეტაპის დასაწყისი, ახალი რაუნდი გამალებული შეიარაღებისა“. ჩემ წინადადებაზე, საშუალო რადიუსის რაკეტების პრობლემატიკა სტრატეგიული იარაღის შეზღუდვის თაობაზე მოლაპარაკებებთან დაგვეკავშირებინა, მან უხეშად მომიგო: „თქვენ

ხომ გახსოვთ, რამდენ ხანს გრძელდებოდა სტრატეგიული იარაღის შეზღუდვის თაობაზე მოლაპარაკებათა მეორე რაუნდი: ზუსტად რვა წელიწადს. თუკი მესამე რაუნდზე საუბარი იქნა არამარტო სტრატეგიულ შეიარაღებაზე, არამედ საშუალო სიშორის რაკეტების შესახებაც, წარმოიდგინეთ, რამდენ დროს წაიღებს ეს მოლაპარაკებები". მე ვერაფრით დამეღწია თავი შთაბეჭდილებისთვის, რომ გრომიკო ამგვარი მკაცრი ტონით იმიტომ მომმართავდა, რომ გრძნობდა, დასავლური ალიანსის გადაწყვეტილების წინააღმდეგ ვეღარაფერს გააწყობდა. ფედერალურ კანცლერ ჰელმუთ შმიდტს, თავდაცვის მინისტრ ჰანს აპელს და მე გაცნობიერებული გვქონდა, რომ ალიანსი ისტორიული გადაწყვეტილების წინაშე იდგა. ჩვენ დარწმუნებულნი ვიყავით, რომ ალიანსის მტკიცე ნებაზე იყო დამოკიდებული, მოისურვებდა თუ არა საბჭოთა კავშირი ახლა ან მოგვიანებით მოლაპარაკებების დაწყებას. მე განვაცხადე: „ყველამ უნდა იცოდეს, რომ ეს გადაწყვეტილება შეიარაღებაზე კონტროლის დაწესების მოლაპარაკებათა შეთავაზების გარეშე იქნება გზა, მიმართული გამალებული შეიარაღებისაკენ, რომ ეს გადაწყვეტილება შეიარაღების ზრდაზე ზრუნვის გარეშე იმას გამოიწვევს, რომ ჩვენი წინადადებები მოლაპარაკებებთან დაკავშირებით უპასუხოდ დარჩება. ბოლო წლებში ჩვენ შევიძინეთ იმის გამოცდილება, რომ დასავლეთის ცალმხრივ გადაწყვეტილებებზე აღმოსავლეთიდან პასუხის იმედი არ უნდა გვექნეს. ამერიკის მთავრობამ უარი თქვა B-1 ბომბდამშენების შექმნაზე, შეჩერდა ნეიტრონული იარაღის წარმოება, მაგრამ ყველაფერ ამას საპასუხო ნაბიჯი არ მოჰყოლია აღმოსავლეთის მხრიდან". როდესაც 1979 წლის 12 დეკემბერს ნატოს გადაწყვეტილება უნდა მიეღო, შეხვედრის ყველა მონაწილემ იცოდა, რომ ევროპაში პირველი ამერიკული საშუალო რადიუსის რაკეტის დაყენებამდე კიდევ სამი-ოთხი წელი გავიდოდა. ფედერალური მთავრობის სურვილი იყო, ეს დრო საბჭოთა კავშირთან შეიარაღებაზე კონტროლის დაწესების შესახებ მოლაპარაკებებისთვის გამოყენებულიყო. სწორედ ჩვენ — გახლეჩილი ქვეყანა — ვიყავით განსაკუთრებულად დაინტერესებული, რომ დაძაბულობის შენელებისა და თანამშრომლობის პოლიტიკა გაგრძელებულიყო. ამიტომაც 12 დეკემბერს მე ვთქვი: „ვინც ჩვენ გვთავაზობს, გადაიდოს გადაწყვეტილების მიღება რაკეტების განლაგების თაობაზე, მათ უნდა

გააცნობიერონ, რომ რაკეტების განლაგების გადადება პრაქტიკულად იმას ნიშნავს, რომ ასევე გადაიდება საბჭოთა კავშირთან რეალური მოლაპარაკებებისა და საბჭოთა კავშირის მხრივ რეალური მოძრაობის დაწყებაც. ვიდრე საბჭოთა კავშირი იმედოვნებს, ზეგავლენა მოახდინოს ჩვენს გადაწყვეტილებაზე, ჩვენ არ უნდა ვიქონიოთ ნამდვილი მოლაპარაკებების დაწყების იმედი. ამიტომაც აუცილებელია, რომ დღესვე მივიღოთ გადაწყვეტილება რაკეტების განლაგების თაობაზე".

ნატოს ორმაგი გადაწყვეტილების მომზადება ნატოსა და სპეციალურ საკონსტულტაციო ჯგუფში მოღვაწე ჩვენი წარმომადგენლების პირველხარისხოვანი წარმატება გახლდათ. ისინი გარანტიას აძლევდნენ ალიანსის წევრებს, უპირველესად კი ისეთ ქვეყნებს, როგორიც გახლავთ გერმანია, სადაც რაკეტები უნდა განლაგებულიყო, რომ ნატოს ორმაგი გადაწყვეტილების ორივე ნაწილის განსახორციელებლად თანაბრად იზრუნებდნენ. ფედერალური მთავრობა განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა იმას, რომ საშუალო სიშორის რაკეტების რაოდენობა, რომელიც ევროპაში უნდა განლაგებულიყო, ზუსტად განსაზღვრულიყო. ჩვენ არ გვინდოდა ვყოფილიყავით ის ერთადერთი ქვეყანა, სადაც ეს რაკეტები უნდა განლაგებულიყო; თავისთავად ცხადია, ჩვენ არ გვსურდა საგანგებო როლი გვეკისრა. ბოლოს იძულებული გავხდით შევგუებოდით იმას, რომ პერშინგ 2 ტიპის რაკეტები მათი ფრენის მანძილის სიმოკლის გამო მხოლოდ ჩვენთან, Cruis Missiles-ი კი იტალიაშიც, ნიდერლანდებშიც, ბელგიაშიც და ინგლისშიც განლაგდებოდა.

ნატოს 12 დეკემბრის გადამწყვეტ სხდომამდე ცოტა ხნით ადრე ჩვენ მჭიდრო ურთიერთობები გექონდა ჩვენს ამერიკელ პარტნიორებთან. საგარეო საქმეთა მინისტრი ვენსი მეუღლესთან ერთად 11 დეკემბერს ნაშუადღევს ბონში ჩამოვიდა, სადაც ის, როგორც ფედერალურ კანცლერს, ასევე მეც შემხვდა. საღამოს ცოლ-ქმარი სტუმრად გვეწვია შინ ვახტბერგ-პეხში. ამ საღამოს კიდევ ერთხელ გამოჩნდა, როგორ ღრმად ესმოდა ამ გამოჩენილ საგარეო საქმეთა მინისტრს ჩვენი პოზიცია. ჩვენი თანამშრომლობა, რომელიც თავიდანვე კარგად აეწყო, გამოირჩეოდა მზარდი ურთიერთპატივისცემით, ნდობით და მეგობრული სულისკვეთებით.

## *ფრონტებზე ვითარება იძაბება: ავღანეთი და მოსკოვის ოლიმპიური თამაშების ბოიკოტი*

მეორე დღეს ის-ის იყო მიღებული იქნა შეთანხმება ნატოს ორმაგი გადაწყვეტილების თაობაზე, რომ საღამოს „დასავლეთის ოთხეული" უკვე უნდა შედგომოდა მეორე რთული თემის დამუშავებას: საქმე ეხებოდა ავღანეთში შექმნილ ვითარებას. ჩვენი თათბირების დროს იქ განვითარებული მოვლენების გამო შეშფოთებას გამოთქვამდა დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრი, ლორდი კერინგტონი. მის შეკითხვაზე, არსებობს თუ არა იმის ნიშნები, რომ საბჭოთა კავშირი რაიმე აქციას ამზადებს, ამერიკის საგარეო საქმეთა მინისტრმა უარყოფითი პასუხი გასცა. ჩემთვის დღემდე არ არის ცნობილი, კარტერის მთავრობამ — როგორც ზოგიერთები ამტკიცებენ — მართლა მეტი იცოდა, ვიდრე ამხელდა თუ არა. ჩვენც ვშიშობდით, რომ საბჭოთა კავშირს შესაძლოა დაგეგმილი ჰქონოდა ავღანეთში შეჭრა. ლორდმა კერინგტონმა და მე გამოვთქვით აზრი, ჩვენი შეშფოთება კომუნიკეში დაგვეფიქსირებინა და ნატოს მინისტრთა საბჭოს სხდომის მეშვეობით საჯაროდ გაგვეხმოვანებინა.

21 დეკემბერს მე მივიღე საბჭოთა კავშირის ელჩი სემიონოვი, რათა შემეტყობინებინა მისთვის ჩვენი დამოკიდებულება ნატოს ორმაგი გადაწყვეტილების მიმართ. ამავე დროს სიტყვა ჩამოვუგდე ავღანეთში შექმნილ მდგომარეობაზე, მაგრამ მისგან პასუხი ვერ მივიღე. სამი დღის შემდეგ — ეს მოხდა შობა ღამეს — საბჭოთა ჯარები ავღანეთში შეიჭრნენ. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ საბჭოთა კავშირმა პირველად განახორციელა თავდასხმა მეზობელ ქვეყანაზე, რომელიც მისი ბლოკის ფარგლებს გარეთ იმყოფებოდა.

გერმანიის ბუნდესტაგმა 1980 წლის 17 იანვარს განიხილა ავღანეთში შექმნილი მდგომარეობა. სიტყვა, რომელიც იმ დღეს წარმოვთქვი, დავამთავრე მოწოდებით: „ჩვენ, გერმანელებს, გვსურს მშვიდობა არამარტო ჩვენს ქვეყანაში, არამედ ყველგან მთელ მსოფლიოში. ჩვენ სტაბილურობა გვსურს. ჩვენ გვსურს მოვახდინოთ დახმარების და არა კონფლიქტებისა და იდეოლოგიების ექსპორტირება. ჩვენ გვსურს თანამშრომლობა. ჩვენ გვსურს ურთიერთგაგება. ჩვენ გვსურს დაძაბულობის შენელება და არა დაძაბულობა. როგორც

ადამიანი, ვისი გულიც კვლავინდებურად მის შუაგერმანულ სამშობლოში ამ სამშობლოსთვისვე ძგერს, ვიტყვი მხოლოდ: მე ვერ წარმომიდგენია, რომ შეიძლება არსებობდეს სხვა ხალხი, რომელიც უფრო მეტად იყოს მოწადინებული კვლავაც ყველაფერი იღონოს ევროპაში დაძაბულობის შენელებისა და თანხმობისათვის, ვიდრე ეს სურს გერმანელ ხალხს, რომელიც იძულებულია ორ სახელმწიფოში იცხოვროს. ამიტომაც არ არსებობს ისეთი პოლიტიკური გადაწყვეტილება, რომლის მიღებისას უფლება გვქონდეს, არ ვიფიქროთ დრეზდენსა და ვაიმარზე, ჰალესა და მაგდებურგზე, როსტოკსა და გრაიფსვალდზე. ამგვარი პასუხისმგებლობის შეგნებით გვსურს მომავალშიც გავისარჯოთ მშვიდობისათვის, უსაფრთხოებისა და დაძაბულობის შენელებისათვის, რამდენადაც ეს ჩვენზე იქნება დამოკიდებული".

როცა სიტყვა დავამთავრე და ყველა ფრაქციიდან მომდინარე ხანგრძლივი ტაში ნელ-ნელა ჩაცხრა, ისეთი რაღაც მოხდა, რაც ცხოვრებაში მხოლოდ ერთხელ განვიცადე: ვილი ბრანდტი წამოდგა, მოვიდა ჩემთან, იქ სადაც მთავრობის წევრები ვისხედით, და მოლოცვის ნიშნად ხელი მაგრად ჩამომართვა. ჩვენ შევხედეთ ერთმანეთს. იმ წუთში ორივეს გვაერთიანებდა საერთო საწუხარი — ახალი დაპირისპირებულობა დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის, რომელიც შეიძლება გერმანელებს ყველაზე ძვირად დასჯდომოდათ.

საბჭოთა კავშირის მიერ ავღანეთზე განხორციელებული ინტერვენციის საპასუხოდ პრეზიდენტმა კარტერმა პარტნიორებთან შეუთანხმებლად წამოაყენა წინადადება, მოსკოვის 1980 წლის ოლიმპიური თამაშებისთვის ბოიკოტი გამოგვეცხადებინა. ეს მას მიაჩნდა მნიშვნელოვან ნაბიჯად, რასაც შთაბეჭდილება უნდა მოეხდინა კრემლის ხელმძღვანელობაზე. ჩვენ ეჭვი გვეპარებოდა, რომ ამას რაიმე შედეგი მოჰყვებოდა. მაინც ყველაფერს ვაკეთებდით იმისათვის, რომ სოლიდარობა გამოგვეჩინა მოკავშირე-პარტნიორის მიმართ. გერმანიის სპორტული ორგანიზაციები — მიუხედავად სერიოზული ეჭვისა — დიდი სახელმწიფოებრივი და მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობის შეგნებით მზად იყვნენ მხარი დაეჭირათ ოლიმპიური თამაშების ბოიკოტისათვის. გერმანიის სპორტის ფედერაციის პრეზიდენტმა, ჩემმა მეგობარმა ვილი ვაიერმა თქვა, რომ მისთვის გად-

ამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა იმას, რაც კეთილგონივრული იქნებოდა გერმანული სახელმწიფოსათვის. თუ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა, საგარეო პოლიტიკური მიზნებიდან გამომდინარე, სწორედ მიიჩნევდა ოლიმპიური თამაშების ბოიკოტირებას, ამ შემთხვევაში იგი ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტშიც და ისედაც, როგორც გერმანიის სპორტული ფედერაციის პრეზიდენტი, მხარს დაუჭერდა მოსაზრებას, რომ გერმანელ სპორტსმენებს არ მიეღოთ მონაწილეობა ოლიმპიურ თამაშებში. ამით ის ზემოქმედებას ახდენდა აგრეთვე ვილი დაუმეზე, ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტზე, რომელიც ჯერ კიდევ ყოყმანობდა. ბოლოს და ბოლოს გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ეროვნულმა ოლიმპიურმა კომიტეტმა გადაწყვიტა, არ მიეღო მონაწილეობა ოლიმპიურ თამაშებში. თავად ჩემთვის ძალიან ძნელი გახდა ასეთი პოლიტიკური ნაბიჯის გადადგმა, რადგანაც ეს იმედებს გაუცრუებდა ჩვენს სპორტსმენებს, რომლებიც ინტენსიურად ემზადებოდნენ ოლიმპიური თამაშებისათვის.

შემაცბუნებელი იყო ჩვენთვის ტეტჩერის მთავრობის საქციელი. მაშინ, როცა ჩვენ ვცდილობდით დაგვემყარებინა კონტაქტები ჩვენს სპორტულ ორგანიზაციებთან, რათა დაგვეყოლიებინა ისინი, მთლიანად დაგვეჭირა მხარი დასავლეთის სახელმწიფოებისათვის სოლიდარობის ამ აქციაში, პრემიერ-მინისტრმა ტეტჩერმა მთელი მსოფლიოს გასაგონად ხმამაღლა განაცხადა, რომ იგი მთლიანად და სავსებით უჭერდა მხარს პრეზიდენტ კარტერის მოწოდებას, ბოიკოტი გამოეცხადებინათ ოლიმპიური თამაშებისათვის. მაგრამ როცა საქმე საქმეზე მიდგა, ინგლისელი სპორტსმენები მაინც გაემგზავრნენ მოსკოვში. ამასთან დაკავშირებით ლონდონმა გააკეთა ლაპიდარული განმარტება, რომ თურმე სპორტული ორგანიზაციები დამოუკიდებლები ყოფილან. ნატოს წევრი ქვეყნებიდან თამაშებში არ მიიღეს მონაწილეობა მხოლოდ იმ სახელმწიფოებმა, რომელთაც ჩვენ ხანდახან ხუმრობით „ფრონტის ხაზის სახელმწიფოებს“ ვუწოდებდით, რადგანაც ისინი ვარშავის პაქტის წევრი სახელმწიფოების უშუალო მეზობლები იყვნენ: ნორვეგიამ, გერმანიამ, თურქეთმა. ლონდონის საქციელთან დაკავშირებით ვთქვი, რომ სიმტკიცე კარგია, რკინისებური სიმტკიცე — კიდევ უკეთესი, მაგრამ „თუჯისებური“ სიმტკიცე სერიოზული გამოწვევებისთვის არ გამოდგება; ის

უფრო lip-service-ა* მეთქი.

ახალი ათწლეულის ზღურბლზე ჩვენ მზარდი მსოფლიო პასუხისმგებლობის მეორე ფაზაში შევაბიჯეთ, როგორც მე ეს 1980 წლის 20 მაისს საგარეო პოლიტიკის გერმანული საზოგადოების დაარსებიდან 25 წლისთავისადმი მიძღვნილ საპროგრამო გამოსვლაში აღვნიშნე: „ჩვენ დღეს, 80-იანი წლების დამდეგს, მსოფლიო პოლიტიკის და ამდენად ჩვენი საკუთარი საგარეო პოლიტიკის ახალი პერიოდის საწყის იტაპზე ვდგავართ. ახალი, მსოფლიო მასშტაბის გამოწვევების პირობებში გერმანიის საგარეო პოლიტიკასაც ახალი ამოცანების გადაწყვეტა დაეკისრა. ეს საგარეო პოლიტიკა აუცილებლობის ძალით იძენს დამატებით მსოფლიო მასშტაბის განზომილებას. ჩვენ ვალდებულები ვართ პოლიტიკურად და ეკონომიკურად ჩვენი წვლილი შევიტანოთ ამ საქმეში, რათა თანასწორუფლებიან, პარტნიორულ თანამშრომლობაზე დაფუძნებული ახალი წესრიგი ავაშენოთ“.

ახალი ათწლეულის ზღურბლზე შეიქმნა 150-ზე მეტი სახელმწიფოს მომცველი მსოფლიო კომპლექსი, რომელშიც დომინანტობისკენ სწრაფვის პოლიტიკა და სამხედრო ძალმომრეობა მხოლოდ ერთ რამეს გამოიწვევდა: ქაოსს, ეკონომიკურ უკუსვლას, მოკლედ — ძალაზე დაფუძნებული პოლიტიკის მარცხს მისთვის, ვისაც ამგვარი ანაქრონისტული ქმედების იმედი ჰქონდა. ამიტომაც საბჭოთა კავშირმა ავღანეთში ინტერვენციით ჩემ თვალში მხოლოდ ზედაპირული და მოკლევადიანი გავლენის მოპოვება შეძლო. ცხადია: ჩვენ გარკვევით უნდა გამოგვეხატა, რომ მზად ვიყავით ერთობლივად გვეიძულებინა საბჭოთა კავშირი, თავი შეეკავებინა ძალის შემდგომი გამოყენებისაგან, მაგრამ ამასთანავე მებადებოდა კითხვა,- საბჭოთა კავშირის მიერ შეიარაღების გაზრდა ევროპაში და ავღანეთში შეჭრა იმ დროის დადგომას ხომ არ მოასწავებდა, რის შემდგომაც საბჭოთა გავლენის შესუსტება დაიწყებოდა.

ახალი ათწლეულის ზღურბლზე მსოფლიო პოლიტიკაში შექმნილი ამ ვითარებიდან გამომდინარე, საშუალო რადიუსის რაკეტებს გადამწყვეტი როლი ენიჭებოდა, რადგანაც საკითხი ასე იდგა: შევძლებდით თუ არა წონასწორობისთვის დაბალ დონეზე, ე.

---

* არაგულწრფელობა (ინგლ.). (რედ.)

ი. განიარაღების მეოხებით მიგვეღწია, თუ იძულებულნი ვიქნებოდით ამგვარი წონასწორობის დამყარება მაღალ დონეზე, ე. ი. გამალებული შეიარაღების გზით გვეცადა. ამ ფაზაში მე დიდ მნიშვნელობას ვანიჭებდი ნულოვან ვარიანტს, რის გამოც საჯაროდ განვაცხადე: „თუ შესაძლებელი გახდება შეთანხმება იარაღის ერთი კატეგორიის განადგურების, ოღონდ მთელი მსოფლიოს მასშტაბით განადგურების, თაობაზე, ეს შესაძლოა სერიოზული სიგნალი ყოფილიყო ბირთვული განიარაღების დასაწყისისა". მრავალი ადამიანი, მათ შორის ბევრი ისეთიც, რომელიც ჩემ პოლიტიკას პრინციპულად უჭერდა მხარს, უარყოფდა ჩემ მოთხოვნას და ამას იმით ასაბუთებდა, რომ ის ჰგავსო პრინციპს — ან ყველაფერი, ან არაფერი. მე გაგებით მოვეკიდე მათ კრიტიკას და გამოვთქვი მზადყოფნა, მიმეღო შუალედური ვარიანტი.

მეორეს მხრივ მოვიპოვე მხარდაჭერა ბირთვული განიარაღების პოლიტიკური მოწინააღმდეგეებისაგან, რამაც თავიდან ძალიან გამაოცა. თუმცა მოგვიანებით ჩემთვის ცხადი გახდა, რომ ისინი ნულოვან ვარიანტს არარეალურად მიიჩნევდნენ. ამიტომაც ეგონათ, რომ შეეძლოთ გულწრფელად გამოეთქვათ თავიანთი აზრი ამასთან დაკავშირებით.

ახალი ათწლეულის ზღურბლზე ჩვენ გველოდა სხვა გამოწვევები და კრიზისებიც. მაგალითად, ვითარება პოლონეთში 1980 წელს იმდენად გამწვავდა, რომ ჰელმუთ შმიდტი იძულებული გახდა უარი ეთქვა თავის დაგეგმილ ვიზიტზე გდრ-ში.

## *ჩვენ მოლაპარაკებები გვსურს*

1980 წლის 16 მაისს ვენაში შევხვდი საგარეო საქმეთა მინისტრ გრომიკოს, რათა მომემზადებინა ჰელმუთ შმიდტისა და ჩემი ვიზიტი მოსკოვში, რომელიც 30 ივნისისა და 1 ივლისისათვის იყო დაგეგმილი. მე მინდოდა მისთვის წინასწარ ჩვენი პოზიციებისა და ინტერესთა სპექტრის ნათელი სურათი მიმეწოდებინა. ჩვენ ვენაში შევხვდით ერთმანეთს, რადგანაც იქ ავსტრიის სახელმწიფოებრივი ხელშეკრულების ხელმოწერიდან 25 წლისთავისადმი მიძღვნილი ღონისძიება იმართებოდა. ავსტრიის მთავრობამ ამასთან დაკავ-

შირებით არამარტო ოთხი, პაქტზე ხელმომწერი სახელმწიფო — აშშ, საბჭოთა კავშირი, დიდი ბრიტანეთი და საფრანგეთი, არამედ ასევე გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა, ჩეხოსლოვაკია, უნგრეთი, იუგოსლავია, იტალია, შვეიცარია და ლიხტენშტაინი მოიწვია. ჰელმუთ შმიდტმა გააგებინა საბჭოთა მხარეს, რომ ის გრომიკოსთან და ბრეჟნევთან შეხვედრების გარდა, დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა თავდაცვის მინისტრ უსტინოვთან საუბარს. ამას გარდა, მას სურდა გაეცნო პოლიტბიუროს სხვა წევრებიც; საბჭოთა ხელმძღვანელობამ თანხმობა განაცხადა.

მოსკოვში ჩვენი შეხვედრისას გაიმართა ჩვეულებრივი აზრთა გაცვლა-გამოცვლა, რომელიც შორს იყო თვალსაზრისთა ნამდვილი ურთიერთგაზიარებისაგან. შმიდტის არგუმენტები, როგორც ყოველთვის, ძლიერი და ეჭვმიუტანელი იყო. ხოლო ბრეჟნევი მონოტონურად კითხულობდა დაწერილ ტექსტს, რასაც ჩვენ უკვე შევეჩვიეთ უკანასკნელ ხანებში. 1980 წლისთვის ის უკვე მძიმე ავადმყოფი იყო. მხოლოდ ერთხელ, სხდომის ბოლოს, რომელიც სადილობამდე გაიმართა, დაძაბა მან ყურადღება შმიდტის რეპლიკით აფორიაქებულმა. შმიდტმა თქვა: „სხვათა შორის, დიდ მადლობას გიხდით იმისათვის, რომ ჩვენ ნაშუადღევს, ვიდრე კვლავ შევხვდებით ერთმანეთს, საშუალება მოგვეცემა მარშლებს, უსტინოვს და ოგარკოვს ვესაუბროთ“. ძლივს დაამთავრა ეს სიტყვები შმიდტმა, რომ ბრეჟნევმა გაცხარებით მიუგო: „მაგრამ პოლიტბიუროს წევრი მხოლოდ უსტინოვია“. ამ რეპლიკით ნათელი გახდა, თუ რა დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ის რანგთა იერარქიას. მისთვის მიუღებელი ჩანდა ორი მარშლის ერთად ჯდომა, რომელთაგან მხოლოდ ერთი იყო პოლიტბიუროს წევრი.

საუბარი უსტინოვთან საბჭოთა თავდაცვის სამინისტროში გაიმართა, სახლში, სადაც ჩვენ პირველად შევაბიჯეთ. იქ ჩვენ ვისხედით უსტინოვისა და ორდენებით მკერდდამშვენებული გენერლების პირისპირ; საუბარში მონაწილეობას ღებულობდა ოგარკოვიც. უსტინოვსა და შმიდტს შორის გაიმართა მეტად საქმიანი, სერიოზული დიალოგი, რომლის დროსაც შმიდტი, რა თქმა უნდა, კვლავაც მოხერხებულად ცდილობდა ოგარკოვის საუბარში ჩაბმას. შეხვედრას რაიმე გასაოცარი შედეგი არ მოჰყოლია, მაგრამ მაინც კარგი იყო, რომ საბჭოთა კავშირის სამხედრო ხელმძღვანელობა

იძულებული გახდა პირველად უშუალოდ დასავლეთის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი და კომპეტენტური სახელმწიფოს მეთაურისგან მოესმინა პოლიტიკური არგუმენტაციები პირისპირ საუბრის დროს და ეგრძნო მათი ზემოქმედების ძალა. ამ შეხვედრით გამხნევებულები მე და ჰელმუთ შმიდტი მოგვიანებით ყველა საშუალებას ვიყენებდით, რათა ჩვენს საუბრებში ვარშავის პაქტის შედარებით მცირე სახელმწიფოების ავტორიტეტულ პირველ პირებთან ძალთა თანაფარდობის თაობაზე ინფორმაციები მიგვეღო და ჩვენი კრიტიკა საბჭოთა კავშირის მიმართ მტკიცე არგუმენტებით დაგვესაბუთებინა.

ვახშამზე თითქმის მთელი პოლიტბიურო შეიკრიბა — მანამდე არასოდეს მენახა მისი ამდენი წევრი ერთად. მე ასევე პირველად და უკანასკნელად მომეცა საშუალება მაგიდის მოპირდაპირე მხარეს მჯდომ სკკპ იდეოლოგიის შეფს — სუსლოვს გავსაუბრებოდი.

სუფრასთან საუბრისას შმიდტი დაუფარავად აკრიტიკებდა საბჭოთა ჯარების შეჭრას ავღანეთში. „მე დარწმუნებული ვარ, რომ თქვენ, ბატონო გენერალურო მდივანო, არსებით წვლილს შეიტანდით მეტად საშიში კრიზისის განსამუხტავად, თუკი განაცხადებდით, რომ ცნობა ავღანეთიდან ზოგიერთი საბჭოთა შენაერთების გამოყვანის თაობაზე დასაწყისია თანამიმდევრული მოძრაობისა, რომელიც ავღანეთიდან ჯარების სრული გამოყვანით დამთავრდება“. ჩვენ, რა თქმა უნდა, ვერ ვუბიძგებდით საბჭოებს, უკან დაეხიათ ავღანეთიდან, მაგრამ შეგვეძლო გვეიძულებინა ისინი, გამოეთქვათ მზადყოფნა ამერიკასთან მოლაპარაკებების გამართვაზე საშუალო რადიუსის რაკეტებთან დაკავშირებით. მათი მოთხოვნა, ჯერ ნატოს ორმაგ გადაწყვეტილებაზე აგვეღო ხელი, დღის წესრიგიდან ამოვარდა.

უშუალოდ ჩვენი დაბრუნების შემდეგ, როგორც შეთანხმებული იყო, მე გეზი ვაშინგტონისკენ ავიღე, რათა ამერიკის ხელმძღვანელობისთვის გამეცნო ჩვენი მოსკოვური ვიზიტის შედეგები. ცხადია, ამის უკან შეფარული იყო ჩვენი განზრახვა, შეგვეგულიანებინა ამერიკის მთავრობა, დათანხმებულიყო მოლაპარაკებების გამართვაზე. ჩემი ვიზიტი ხანმოკლე იყო: უკვე ხუთშაბათს, 3 ივლისს, დილის რვის ნახევარზე ჩემი თვითმფრინავი კვლავ ბონში დაეშვა, რა თქმა უნდა, ბარგთან ერთად ხელს ამერიკელთა თანხმობაც გამოვაყოლე.

თუ ჰელმუთ შმიდტის დამსახურებაა ის, რომ მან პირველმა

გაამახვილა ყურადღება საბჭოთა კავშირის შეიარაღების ზრდაზე, ორმაგი გადაწყვეტილება და მოლაპარაკებების გამართვა საშუალო რადიუსის რაკეტებთან დაკავშირებით ჩვენი ერთობლივი ძალისხმევის შედეგი გახლდათ. ჩვენ მუხლჩაუხრელად ვაგრძელებდით მათზე მუშაობას, იქნებოდა ეს მოსკოვში თუ ვაშინგტონში. ჩვენი ერთობლივი მუშაობის ბოლო დღეებში, 1982 წლის შემოდგომაზე, გაჩნდა ინფორმაცია მოლაპარაკებების ხელმძღვანელთა — პოლ ნიცესა (აშშ) და იული კვიცინსკის (სსრკ) ჟენევის ტყეში „გასეირნების" შესახებ. ამ „გასეირნების" შედეგებზე აზრთა ურთიერთგაზიარება მე და ჰელმუთ შმიდტმა ვეღარ შევძელით — ჩვენი მთავრობა ნატოს ორმაგ გადაწყვეტილებას ემსხვერპლა.

1981 წლის ნოემბერში ბრეჟნევი და გრომიკო ბონში ჩამოვიდნენ. როდესაც ჩვენ 23 ნოემბერს, ორშაბათს, პირველად მივუჯექით მაგიდას საბჭოთა დელეგაციასთან სასაუბროდ, გამიკვირდა, როგორი დაჩაჩანაკებული გამოიყურებოდა ბრეჟნევი ამ ,შეხვედრაზეც. სხვათა შორის, აშკარად ჩანდა სიმძიმის ცენტრის გადანაცვლება — ანდრეი გრომიკოს გავლენა უფრო გაძლიერებულიყო და დროდადრო მკაცრი ტონით ერეოდა ხოლმე საუბარში. როდესაც, მაგალითად, ფედერალურმა კანცლერმა განაცხადა, ძალიან განვიცდი, საბჭოთა კავშირმა ჩრდილოეთ-სამხრეთის უმაღლესი დონის შეხვედრაში, რომელიც კანკუნში გაიმართა, მონაწილეობა რომ არ მიიღოო, ჩვენ გავიგონეთ, როგორ ჰკითხა ბრეჟნევმა გრომიკოს, რისი თქმა უნდა ამით შმიდტსო, რაზედაც მან მოკლედ მოუჭრა, რომ შმიდტის ნათქვამი ეხებოდა შეხვედრას, რომელზედაც ისინი ახლახან ლაპარაკობდნენ. ჰელმუთ შმიდტმა საბჭოთა ხელმძღვანელობას განუცხადა, რომ 1983 წლის ბოლოს ამერიკული საშუალო რადიუსის რაკეტები ევროპაში და გერმანიაში განლაგდებოდა, თუ მანამდე ვაშინგტონსა და მოსკოვს შორის მოლაპარაკებების საფუძველზე შეთანხმება არ დაიდებოდა. ჩვენ კვლავაც ნულოვანი ვარიანტის მომხრენი ვრჩებით, რადგანაც ეს მიგვაჩნია საუკეთესო გზად. ჯერ კიდევ მოსკოვის ხელშია, რაკეტებით შეიარაღებაზე უარის თქმის სანაცვლოდ დასავლეთს საერთოდ ააღებინოს ხელი რაკეტების განლაგებაზეო.

საბოლოოდ ეს შეხვედრა დიდად ნაყოფიერი არ აღმოჩნდა. ჩემი შთაბეჭდილებით, მოსკოვში დარწმუნებულნი არ იყვნენ, დასავ-

ლეთი საერთოდ შეძლებდა თუ არა საშუალო რადიუსის რაკეტების განლაგებას. მართლაც, გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის შიგნით განვითარებული პროცესები საბჭოთა კავშირს საკმაო საფუძველს აძლევდა, ჰქონოდა იმედი, რომ ჩვენ გერმანიაში არ გვეყოფოდა ძალა, რაკეტების სტაციონირებისათვის, რაც ისევ და ისევ იმას ნიშნავდა, რომ ნატოს ორმაგი გადაწყვეტილება მთელი თავისი მოცულობით ვერ განხორციელდებოდა. გრომიკო მივახვედრე, რომ რაკეტების განლაგება ფუჭი მუქარა არ იყო. მე ვუთხარი: „სერიოზულად მოეკიდეთ ნულოვან ვარიანტს. ეს ძალიან მნიშვნელოვანი წინადადება გახლავთ. ეს ჩვენი იდეაა და არა ამერიკელთა აღმოჩენა. ჩვენ ის ბონში, სამთავრობო კოალიციაში, უპირველესად კი ჩემს პარტიაში შევიმუშავეთ და განვავითარეთ". და თუმცა ამ შეხვედრას რაიმე თვალსაჩინო შედეგები არ მოჰყოლია, მე და ფედერალურმა კანცლერმა შმიდტმა მაინც ყველაფერი ვიღონეთ, რათა საბჭოთა ხელმძღვანელობა დაგვერწმუნებინა, რომ დასავლეთი სერიოზულად იყო მოწადინებული საბჭოთა კავშირისთვის რაკეტებით შეიარაღებაზე სათანადო ნაბიჯებით ეპასუხა; ვაგრძნობინეთ — ჩვენ ნამდვილად ყველაფერს გავაკეთებდით საიმისოდ, რომ შეიარაღებაზე კონტროლის დაწესებით და განიარაღებით ახალი გამალებული შეიარაღების დაწყება თავიდან აგვეცილებინა.

### *ნატოს ორმაგი გადაწყვეტილების შემდგომი ეტაპები — ორი ვიზიტი*

გაიარა ერთმა წელმა და ვითარება არსებითად კვლავაც უცვლელი დარჩა. 1983 წლის 16 იანვარს, კვირა დღის ნაშუადღევს, მე კიოლნ-ვაანის აეროპორტში საგარეო საქმეთა მინისტრს გრომიკოსა და მის მეუღლეს დავხვდი. საღამოს ისინი სტუმრად გვეწვივნენ შინ, ვახტბერგ-პეხში და გაშლილ სუფრასთან შინაურულ ატმოსფეროში ჩვენი ოჯახების წვრილ-წვრილ ამბებზე გულღიად ვმასლაათობდით. გრომიკო სწორედ რომ აღტკინებით საუბრობდა თავის შვილიშვილებზე: ასეთ დროს ის პირდაპირ ტკბებოდა თავის როლით, როგორც შვილიშვილების მოყვარული პაპა. ვახშმის შემდეგ ჩემი მეუღლე და ქალბატონი გრომიკო კუთხეში ბუხართან

განაპირდნენ, მე კი ამასობაში ჩემ საბჭოთა კოლეგას გერმანიაში არსებულ ვითარებაზე და ნატოს ორმაგი გადაწყვეტილების ცენტრალური თემის შესახებ ვესაუბრებოდი. თავდაპირველად მე მივესლმე გრომიკოს გადაწყვეტილებას, ბონში ვიზიტით ჩამოსულიყო. ვუთხარი, რომ მნიშვნელოვნად და საჭიროდ ვთვლიდი მის ამჟამინდელ ვიზიტს, რადგანაც საბჭოთა მთავრობას დიდხანს მოუწევდა საქმის დაჭერა გერმანიის დღევანელ მთავრობასთან. მის დამტკიცებას ბუნდესტაგის არჩევნების მეოხებით წინ აღარაფერი ედგა. ეკონომიკური აღმავლობა გაგრძელდებოდა და ნატოს ორმაგი გადაწყვეტილებაც პოზიტიურ შედეგებს გამოიღებდა. უფრო მეტიც: „ჩემს საარჩევნო შეხვედრებში მე ამ საკითხს კენჭისყრაზე ვაყენებ", ვუთხარი და დავძინე, ამას იმიტომ გეუბნებით, რომ, როგორც მე ვგრძნობ, გულწრფელი და ნდობით აღსავსე ურთიერთობა დამყარდა ჩვენ შორის-მეთქი. შემდეგ გრომიკომ, თავის მხრივ, მოსკოვის პოზიცია გამაცნო. მე კვლავაც ხაზგასმით აღვნიშნე ჩვენი დაინტერესება და მზადყოფნა ხანგრძლივი და კეთილი ურთიერთობებისათვის და საერთოდ, საუბრის მსვლელობისას გულახდილად ვთქვი, რომ ჩვენ შორის პროფესიონალური ურთიერთპატივისცემით აღბეჭდილი ურთიერთობა წარმოიშვა. თუმცა დარწმუნებული ვიყავი, რომ მოსკოვი ყველანაირად ეცდებოდა, წინ აღდგომოდა საშუალო რადიუსის რაკეტების განლაგებას.

ნამდვილად უჩვეულო კი ის იყო, რომ გრომიკომ ჩვენი ოფიციალური მოლაპარაკებების დამთავრებისთანავე თავისი პრესკონფერენცია ხმაურიანი პროპაგანდისტული განცხადებებისთვის გამოიყენა, რაც გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის შინაურ საქმეებში ჩარევად უნდა აღქმულიყო. მე მის განცხადებებს შინ, ტელევიზორის მეშვეობით ვადევნებდი თვალყურს. რა თქმა უნდა, მოველოდი, რომ ის ერთობ ტენდენციური იქნებოდა თავის გამონათქვამებში. სასწრაფოდ რომ მომეხდინა რეაგირება, გრომიკოს პრესკონფერენციასთან პირდაპირ კავშირში საჯაროდ გამოვხატე ჩემი დამოკიდებულება შეიარაღებაზე კონტროლის პოლიტიკის მიმართ. ჩვენი პოზიცია ასეთა: საბჭოთა კავშირმა ჩვენ იმავე ხარისხის უსაფრთხოების გარანტიები უნდა მოგვცეს, რამდენსაც ის თავისთვის მოითხოვს, განვაცხადე მე. უსაფრთხოების ნაკლები ხარისხი, რომელიც SS-20 ტიპის რაკეტების განლაგებით შეიქმნებოდა, ჩვენთვის მი-

ულებელი იქნებოდა. მე თავიდან მოვითხოვე ნულოვანი ვარიანტი.

აღმოჩნდა, რომ გრომიკო გერმანიაში შექმნილ ფსიქოლოგიურ მდგომარეობას არასწორად აფასებდა. თუმცა რიტორული მძიმე არტილერია, რომელიც მან არგუმენტების სახით მოიხმო, ერთი შეხედვით შთამბეჭდავი იყო, მაგრამ ნასროლი მაინც ასცდა მიზანს: ფედერალური მთავრობა ურყევი დარჩა და ამ განწყობით წავედით ჩვენ ბუნდესტაგის არჩევნებზე. არჩევნების წინ სატელევიზიო დისკუსიაში სამი პარტიის თავმჯდომარემ — ჰელმუთ კოლმა, ფრანც იოზეფ შტრაუსმა და მე გავფანტეთ ყოველგვარი ეჭვი იმასთან დაკავშირებით, რომ სამთავრობო კოალიციის არჩევნებში გამარჯვების შემთხვევაში და მიუხედავად იმისა, თუ როგორი შედეგებით დამთავრდებოდა მოლაპარაკებები, ჩვენ აუცილებლად მხარს დავუჭერდით რაკეტების განლაგებას. გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის უპირველესი კანდიდატისთვის — დოქტორ ფოგელისათვის, რომელიც მისი პარტიის საქციელის გამო ისედაც რთულ ვითარებაში აღმოჩნდა, გრომიკოს გამოსვლას მდგომარეობა ბონში სწორედაც რომ არ შეუმსუბუქებია.

1983 წლის იანვრის მეორე ვიზიტი გერმანიის როლის განსაზღვრისათვის ნატოს ორმაგი გადაწყვეტილების განხორციელების საქმეში ცენტრალური მნიშვნელობისა გახლდათ. ელისეს ხელშეკრულებაზე ხელმოწერის ოცი წლისთავთან დაკავშირებით 1983 წლის 20 იანვარს ბონში ჩამოვიდა პრეზიდენტი მიტერანი და სიტყვით გამოვიდა გერმანიის პარლამენტში. თავის შთამბეჭდავ სიტყვაში საფრანგეთის პრეზიდენტმა მხარი დაუჭირა ნატოს ორმაგ გადაწყვეტილებას, მიუხედავად იმისა, რომ საფრანგეთს, როგორც არაინტეგრირებულ წევრს, ალიანსის ამ გადაწყვეტილების მიღებაში მონაწილეობა არ მიუღია. ეს გამოსვლა იყო ნიშანი დასავლეთის ერთიანობისა და სიმტკიცისა. ამასთან, თავისი გამოსვლით მან მხარი დაუჭირა სამთავრობო კოალიციას, რაც ოპოზიციური გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიისათვის მწარე აბი გამოდგა. მან დაინახა, რომ სტრატეგიულ განზომილებათა საკითხში სოციალისტურ ინტერნაციონალში თავისი უმნიშვნელოვანესი პარტნიორისაგან იზოლირებული აღმოჩნდა. გაქვავებული სახეებით ისმენდნენ კოლეგები გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიიდან საფრანგეთის პრეზიდენტის სიტყვებს. მათი გამომეტყველება არა-

სოდეს დამავიწყდება. ამ შემთხვევაში – და როგორც ყოველთვის – მიტერანი წარმოჩნდა ევროპული რანგის სახელმწიფო მოღვაწედ და არა პარტიულ ფუნქციონერად, რომელიც ანგარიშს უწევდა თავის თანამოაზრეებს გერმანიაში. ისეთი შთაბეჭდილება რჩებოდა, თითქოს ევროპაში მოვლენების განვითარებამ ისე ჩაიარა, რომ კოლეგებმა გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიიდან მის კვალსაც კი ვერსად მოჰკრეს თვალი, ისევე, როგორც მოგვიანებით 1989-90 წლებში, როცა სოციალ-დემოკრატების უმრავლესობამ გერმანიის გაერთიანების ვერც შანსები და ვერც მნიშვნელობა ვერ გაიცნობიერა. ოღონდ 1989 წელს სწორედ ვილი ბრანდტი იყო ის ადამიანი, რომელმაც – თავისი ადრინდელი განცხადების საპირისპიროდ – თქვა: „ერთურთს ისინი შეეზრდებიან, რანიც ერთმანეთისთვის არიან გაჩენილნი", და ამით იგი დროის ნიშანს ჩასწვდა. 1983 წელს კი ასე არ ფიქრობდა.

მიღებული ტრადიციის საწინააღმდეგოდ და განსაკუთრებულ მიზეზთა გამო საფრანგეთის პრეზიდენტს კიოლნ-ვაანის აეროპორტში დავხვდი. იქიდან მე ის ქალაქში მივაცილე. უკვე გზაში მან მთხოვა, გამეგო მისთვის და ეს დრო საუბრისათვის არ გამოგვეყენებინა, რადგანაც მას ჯერ კიდევ უნდა ემუშავა თავისი გამოსვლის ტექსტზე. თავისი სიტყვის პირველი ვარიანტი, რომელიც მას თან ჰქონდა, გზაში ძირფესვიანად შეცვალა. როდესაც ჩვენ ფედერალურ კანცელარიას მივადექით, მან იმავე თხოვნით მიმართა ფედერალურ კანცლერს: მიეცა მისთვის კიდევ ცოტაოდენი დრო, რათა მას თავის სიტყვაზე წაემუშავა. მე გავხდი მოწმე სურათისა, რომელიც შეიძლებოდა საფრანგეთ-გერმანიის ურთიერთობების სიმბოლოდ მიგვეჩნია: ფედერალური კანცლერის სამუშაო კაბინეტში იჯდა საფრანგეთის პრეზიდენტი და სრულიად მშვიდად თავის ხელნაწერზე მუშაობდა. ამასობაში ფედერალური კანცლერი და მე დროს არ ვკარგავდით და საკითხების მთელ წყებას განვიხილავდით.

მიტერანის სათქმელის უმთავრესი შინაარსი ის იყო, რომ იგი მხარს უჭერდა ამერიკული რაკეტების განლაგებას გერმანიაში და დასავლეთ ევროპაში. მიტერანის სიტყვას დიდი წონა ჰქონდა უფრო იმიტომაც, რომ საფრანგეთი ნატოში ინტეგრირებული ქვეყნების რიცხვს არ მიეკუთვნებოდა. განსაკუთრებით ყურადსაღები იყო მისი გაფრთხილება: არ უნდა დაგვეშვა ევროპის დისტანცირება შეერთე-

ბული შტატებისაგან: სრული დამოუკიდებლობისა და ეროვნული თვითმყოფადობის პირობებში. საფრანგეთი, თავისთავად ცხადია, ცდილობდა დაძაბულობის პერიოდში მკვეთრად გაეძლიერებინა ალიანსი ამერიკის შეერთებულ შტატებთან. მიტერანის მყარი პოზიცია მაგონებდა დე გოლის მიერ კენედისადმი გაგზავნილ დეპეშას კუბის კრიზისის ყველაზე დაძაბულ დღეებში. გენერალმა მაშინ განაცხადა, რომ საფრანგეთი იმ ძნელ დღეებში ვაშინგტონის გვერდით დგას. ახლა კი, საფრანგეთ-გერმანიას შორის ხელშეკრულების დადებიდან ოცი წლისთავზე საფრანგეთის სოციალისტი პრეზიდენტი ნატოს ორმაგი გადაწყვეტილების საკითხში ქრისტიანულ-ლიბერალური კოალიციის გვერდით იდგა: „ჩვენი ანალიზი და ჩვენი რწმენა ეფუძნება იმას, რომ ბირთვული იარაღი, როგორც დაშინების ინსტრუმენტი, რჩება მშვიდობის გარანტად — სურს ეს ვინმეს თუ არ სურს —, რამდენადაც ის ძალთა წონასწორობას იცავს. მხოლოდ ამ წონასწორობას შეუძლია, სხვათა შორის, მიგვიყვანოს კარგი ურთიერთობების დამყარებამდე აღმოსავლეთის ქვეყნებთან, ჩვენს მეზობლებთან და ისტორიულ პარტნიორებთან. წონასწორობა გახლავთ მყარი ფუნდამენტი დაძაბულობის შენელებისათვის... ამ წონასწორობის დასამყარებლად კი, ჩემი თვალთახედვით, საჭიროა, რომ დასავლეთ ევროპის მოზრდილი ნაწილი დაუცველი არ შეჰყურებდეს მასზე დამიზნებულ ბირთვულ იარაღს. ვინც ევროპის კონტინენტის ამერიკის კონტინენტისაგან დისტანცირებას დაუჭერს მხარს, ის, ჩვენი აზრით, ძალთა თანასწორობას და, ამგვარად, მშვიდობის შენარჩნებას სასწორზე შეაგდებს“.

სამართლიანად ანიჭებდა ამ გამოსვლას დიდ მნიშვნელობას გაზეთ „ცაიტში“ გამოქვეყნებულ წერილში მთავრობის ყოფილი სპიკერი კურტ ბეკერი: „ორივე სახელმწიფო, — წერდა იგი, — ერთმანეთს ეფექტურად ავსებს, როდესაც ისინი ერთად დგანან. მათი ძალების თავმოყრა უზრუნველყოფს მათთვის შესაბამის გავლენას ევროპაში და საერთაშორისო პოლიტიკაში ისე, რომ არავის ინტერესები არ ილახება. მეზობლური პარტნიორობა გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკას ათავისუფლებს ელემენტარული შიშისგან, არ აღმოჩნდეს იზოლირებული, ევროპის ქვეყნებს კი აღარ შეაშფოთებთ აზრი იმის შესახებ, რომ გერმანია თავისი საკუთარი გზით წავა, და ეს ხდება იმ თანამშრომლობის წყალობით, რომლის

პრეცედენტიც ევროპაში ჯერ არასოდეს ყოფილა". ასეც იყო. კარგია, რომ სწორედ კურტ ბეკერის მიერ ითქვა ეს, ისეთი კაცის მიერ, რომელიც ახლოს იყო ჰელმუთ შმიდტთან როგორც პიროვნულად, ისე აზროვნების წესით.

გრომიკოს და მიტერანის იმ ორმა ვიზიტმა მონიშნა გარდატეხის მომენტი დისკუსიაში საშუალო რადიუსის რაკეტების განლაგების შესახებ. როგორც საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრმა, ისე საფრანგეთის სახელმწიფოს მეთაურმა ბონში თავიანთი პოზიციები სრულიად გარკვევით დააფიქსირეს. საერთაშორისო ყურადღება ამ საკითხის მიმართ დიდი იყო. ამგვარად, კიდევ ერთხელ გაესვა ხაზი იმ დიდ როლს, რომელსაც გერმანია ითამაშებდა მომავალში დასავლეთ-აღმოსავლეთის ურთიერთობების გაუმჯობესებისა და ევროპის უსაფრთხოების საქმეში. ამასთან გამოჩნდა ისიც, რომ ახალ ფედერალურ მთავრობას სერიოზულ და მნიშვნელოვან პარტნიორად მიიჩნევდნენ, პარტნიორად, რომელსაც დიდი წვლილი შეჰქონდა ალიანსის გადაწყვეტილებებში. ამის საპირისპიროდ ოპოზიციის მოლოდინი, რომ დასავლეთ-აღმოსავლეთის ურთიერთობებში „გამყინვარების ხანა" დაიწყებოდა, სრულიადაც არ გამართლდა. მეტიც, იმ დღეებში გადაწყდა საკითხი, მოიპოვებდა თუ არა საბჭოთა კავშირი თავისი სამხედრო უპირატესობის წყალობით პოლიტიკურ ზეგავლენას დასავლეთ ევროპაზე, შეძლებდა თუ ვერა ის, დასავლეთ ევროპა ამერიკისაგან ჩამოეშორებინა. მოვლენების შემდგომმა განვითარებამ ცხადყო, რომ სწორედ კოლ-გენშერის მთავრობის მყარმა პოზიციამ, მისმა მზადყოფნამ მოლაპარაკებების წარსამართავად, ახალი გზა გახსნა დასავლეთ-აღმოსავლეთს შორის ურთიერთობების გასაუმჯობესებლად. როდესაც 1993 წელს გორბაჩოვს ჰკითხეს, რომელმა მოვლენამ შეიტანა გარდატეხა საბჭოთა კავშირის პოზიციაში და უპირველეს ყოვლისა რამ შეუწყო ხელი ახალი აზროვნების გაჩენას დასავლეთ-აღმოსავლეთის ურთიერთობებში, ნატოს ორმაგმა გადაწყვეტილებამ თუ სტრატეგიულმა თავდაცვითმა ინიციატივამ, მან უპასუხა: „ეს იყო ნატოს ორმაგი გადაწყვეტილება და არა სტრატეგიული თავდაცვითი ინიციატივა, რომელსაც ჩვენ ისეთივე შეფასებას ვაძლევთ, როგორსაც ჰანსდიტრიხ გენშერი".

პოლიტიკური ჭიდილი ნატოს ორმაგი გადაწყვეტილებისათვის

გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში ეს იყო ბრძოლა ევროპისათვის. თუ ორმოცდაათიანი წლების დასაწყისში მთავარ საფრთხეს გერმანიის ნეიტრალიზაცია წარმოადგენდა, ოთხმოციან წლებში ეს გახლდათ ცდუნება, დავყოლოდით საბჭოთა კავშირის ზეწოლას და ამგვარად, ნიადაგი შეგვექმნა ნეიტრალიზაციის ახალი ფორმის, დასავლეთ ევროპაში საბჭოთა კავშირის დომინირებისათვის.

ოთხმოციანი წლების დასაწყისში ქრისტიანულ-დემოკრატიული/ქრისტიანულ-სოციალური კავშირებისა და თავისუფალი დემოკრატიული პარტიისაგან შემდგარმა კოალიციამ ისევე, როგორც 30 წლის წინ, სრულიად გარკვეით განაცხადა უარი გერმანიის განვითარების განსაკუთრებულ გზაზე. ეს ფაქტი დარჩება ამ კოალიციის ისტორიულ დამსახურებად, თუნდაც იმიტომ, რომ მან საფუძველი ჩაუყარა საბჭოთა კავშირის პოლიტიკაში ახალი აზროვნების გაჩენას. ოთხმოციან წლებში, ცხადია, თავისუფალი დემოკრატიული პარტია ისეთივე მნიშვნელოვან როლს თამაშობდა, როგორც ოცდაათი წლის წინ. მისი გავლენა 1983 წელს შეიძლება შევადაროთ იმ გავლენას, რომელიც მას ჰქონდა, როცა გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიისა და თავისუფალი დემოკრატიული პარტიისგან შემდგარი კოალიცია ყალიბდებოდა – გადაწყვეტილება, რომელმაც გზა გახსნა აღმოსავლური ხელშეკრულებებისა და ევროთათბირისაკენ. თავისუფალ დემოკრატებს შეუძლიათ თავის დამსახურებად ჩათვალონ, რომ მათ ზეგავლენა მოახდინეს გერმანიის ომისშემდგომი პოლიტიკის დიდ გადაწყვეტილებებზე – საშინაო პოლიტიკის თვალსაზრისით ამგვარ მიღწევებს მიეკუთვნება გადაწყვეტილებები ლიბერალური სამართლებრივი სახელმწიფოსა და სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკის შექმნის შესახებ. ეს ყველაფერი მოითხოვდა სიმტკიცესა და გაბედულებას; არც დასტური 1969 წელს გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიისა და თავისუფალი დემოკრატიული პარტიის კოალიციის შექმნაზე და არც 1982 წელს კოალიციის დაშლის ფაქტი არ შეიძლება უბრალო გასეირნებასთან ყოფილიყო გაიგივებული. პირიქით: ორივე ეს მოვლენა კითხვის ქვეშ აყენებდა თავისუფალი დემოკრატიული პარტიის არსებობას. და მაინც, პარტია მოქმედებდა დამოუკიდებლად და ინარჩუნებდა თავისთავადობას, რჩებოდა თავისი მრწამსის ერთგული, რაც მას ასევე დიდ პასუხისმგებლობას აკისრებდა. ის იღებდა

გადაწყვეტილებებს, რომლებიც შორს სცილდებოდა გერმანიის ეროვნული პოლიტიკის ჰორიზონტს. დიახ, შეიძლება ითქვას: ჩვენ ვიღებდით შორსმჭვრეტელურ გადაწყვეტილებებს, რომლებიც განსაზღვრავდნენ მოვლენათა განვითარებას ევროპაში. მე ღრმა კმაყოფილებას განვიცდიდი, როდესაც დაძაბულობის შენელების რეალისტური პოლიტიკა განხორციელდა. ნატოს ორმაგი გადაწყვეტილების ხორცშესხმა კიდევ ერთხელ მოითხოვდა თავისუფალი დემოკრატიული პარტიის მთელი ავტორიტეტის მოხმობას, მის სრულ ძალისხმევას და ნებისყოფას შეიარაღებაზე კონტროლის დაწესებისა და განიარაღებისთვის, რომლებიც დაძაბულობის შენელების პოლიტიკის შემადგენელ ინტეგრალურ ნაწილებს წარმოადგენდნენ. ეს იყო 1987-88 წლები, როდესაც თავისუფალი დემოკრატიული პარტიის, ქრისტიანულ-დემოკრატიული კავშირისა და ქრისტიანულ-სოციალური კავშირისგან შემდგარ კოალიციაში საუბარი მიმდინარეობდა იმაზე, რომ გერმანიის მიერ დასტურის თქმით ხორცი შეგვესხა ორმაგი ნულოვანი ვარიანტისათვის. ახალი სამთავრობო კოალიციის მტკიცე პოზიციამ ნატოს ორმაგ გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით 1983 წელს დაადასტურა, რომ სამთავრობო ცვლილებებისთვის საგარეოპოლიტიკური საფუძველიც არსებობდა. 1983 წლის 6 მარტის ბუნდესტაგის არჩევნებში ამ კურსმა ამომრჩევლების შთამბეჭდავი მხარდაჭერა პოვა. ამან ბოლო მოუღო ტანჯვით აღსავსე მრავალთვიან ორჭოფობას. ამომრჩეველმა სრულიად შეგნებულად მიიღო გადაწყვეტილება, როგორი საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკა, რომელი ფედერალური კანცლერი და საგარეო საქმეთა მინისტრი სურდა მას ჩვენი ქვეყნისთვის; ჩემთვის კი ეს იყო ჰელმუთ კოლთან პიროვნული მეგობრული პარტნიორობის განმტკიცება.

### *უკანასკნელი მოწოდება გრომიკოს მიმართ რაკეტების განლაგებამდე*

არ დატოვა რა არანაირი ეჭვი კოლ-გენშერის მთავრობამ 1983 წლის არჩევნების წინ იმის თაობაზე, რომ მათ — მოლაპარაკებებზე დამაკმაყოფილებელი შედეგების მიუღებლობის შემთხვევაში — გადაწყვეტილი ჰქონდათ 1983 წლის ბოლოსათვის დათქმულ

ვადებში ამერიკული საშუალო რადიუსის რაკეტების განლაგება, არჩევნების შემდეგ ჩვენ მაინც ყველაფერი გავაკეთეთ იმისათვის, რომ პრობლემა ისევ და ისევ მოლაპარაკებების გზით გადაჭრილიყო.

უკვე 1983 წლის იანვარში გრომიკოს ვიზიტთან დაკავშირებით მე ნულოვან ვარიანტს ვიცავდი, თუმცაღა ვერანაირ პროგრესს ვერ მივაღწიე. გრომიკოს თვალსაზრისით, ეს გასაგებიც იყო, რადგანაც მოსკოვს სურდა დაეცადა და გაერკვია, ვინ მიიღებდა ბუნდესტაგში ხმების უმრავლესობას მარტში — რაკეტების განლაგებისათვის მზადმყოფი კოლ-გენშერის მთავრობა თუ მათი განლაგების მოწინააღმდეგე გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტია მწვანეებთან ერთად.

არჩევნების შემდეგ ამ მერყეობისთვის საფუძველი აღარ არსებობდა. გარდა ამისა, 1 და 2 აპრილის გერმანია-ბრიტანეთის კონსულტაციების, 28 და 29 აპრილის გერმანულ-იტალიური შეხვედრების და შემდეგ ჩვენს ფრანგ კოლეგებთან საუბრებისას 1983 წლის 16 და 17 მაისს მიღწეული იქნა შეთანხმება ჩვენს უმთავრეს ევროპელ მოკავშირეებთან. ეს მით უფრო მნიშვნელოვანი გახლდათ, რომ ორი მათგანი — იტალია და ინგლისი — ჩვენთან ერთად ის ქვეყნები იყო, სადაც რაკეტები განლაგდებოდა. საფრანგეთის პოზიცია 1983 წლის 20 იანვარს გერმანიის ბუნდესტაგში მიტერანის მიერ წარმოთქმული ისტორიული სიტყვის შემდეგ ისედაც ცნობილი იყო.

კიდევ ერთ მოვლენას უნდა მიეცა ბიძგი მოსკოვისათვის, უკან დაეხია: მსოფლიოს წამყვანი ინდუსტრიული სახელმწიფოების მსოფლიო ეკონომიკური საკითხებისადმი მიძღვნილ უმაღლესი დონის შეხვედრაზე, რომელიც 28-30 მაისს ამერიკის ქალაქ უილიამსბურგში გაიმართა, პირველად მოხდა დასავლეთ-აღმოსავლეთის ურთიერთობასა და განიარაღებასთან დაკავშირებული საკითხების განხილვა. კერძოდ კი სიტყვა საშუალო სიშორის რაკეტებზე ჩამოვარდა.

შეხვედრის მონაწილეთა დამოკიდებულება საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის საკითხებისადმი ორი თვალსაზრისით არის აღსანიშნავი: პატარა სენსაცია მხოლოდ ის კი არ იყო, რომ აქ ეს თემა წამოიჭრა, ამავე დროს შეიქმნა ვითარება, როცა, როგორც

საფრანგეთი, ისე იაპონია, რომლებიც აქამდე მნიშვნელობას ანიჭებდნენ იმას, რომ ამგვარ შეხვედრაზე მხოლოდ მსოფლიო ეკონომიკის თემები განხილულიყო, დაეთანხმნენ პოლიტიკური პრობლემების დასმას და ამგვარად, მონიშნულ იქნა გარდატეხის მომენტი ჰელმუთ კოლისთვის, რომელიც, სხვათა შორის, პირველად ღებულობდა მონაწილეობას მსოფლიო ეკონომიკისადმი მიძღვნილ უმაღლესი დონის შეხვედრაში, და ეს ჩემთვის ზურგის ქარს მოასწავებდა ჩვენი მოსკოვში გამგზავრების წინ, რომელიც 4-დან და 6 ივლისამდე იყო დაგეგმილი.

გენერალურ მდივან ანდროპოვთან, პრემიერ-მინისტრ ტიხონოვთან და საგარეო საქმეთა მინისტრ გრომიკოსთან საუბრებში ჩვენ ვიყენებდით შესაძლებლობას, განგვემარტა მათთვის ახალი ფედერალური მთავრობის პოზიცია, რომელიც დადებულ ხელშეკრულებებზე დაფუძნებული პოლიტიკის თანამიმდევრულობით ხასიათდებოდა. ევროპაში არსებული რეალიებიდან გამომდინარე, ჰელმუთ კოლი ასევე მიუთითებდა ერის გაერთიანებისაკენ გერმანელების სწრაფვაზე, როგორც ამ რეალობის ერთ-ერთ შემადგენელ ნაწილზე. ჩვენ აღარ ვტოვებდით იოტისოდენა საბაბს იმაში დასაეჭვებლად, რომ ნატოს ორმაგი გადაწყვეტილების ორივე ნაწილთან დაკავშირებით სრულიად სერიოზული ზრახვები გვქონდა: ხაზგასმით ვამბობდით, რომ დაინტერესებულნი ვიყავით მოლაპარაკებების შედეგით. და თუ წლის ბოლომდე არ იქნებოდა მიღწეული სასურველი შედეგი, მაშინ რაკეტების განლაგებას გათვალისწინებული მოცულობით წინ აღარაფერი დაუდგებოდა. თუმცა ჩვენ კვლავაც უპირატესობას მივანიჭებდით გადაწყვეტილებას ეგრეთ წოდებული ორმაგი ნულოვანი ვარიანტის თაობაზე, თუ ორივე მხარე უარს იტყოდა საშუალო რადიუსის რაკეტებზე.

როდესაც მე იმავე წლის სექტემბერში გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში გრომიკოს შევხვდი, ჩვენი პოზიციები კვლავაც ურთიერთსაწინააღმდეგო იყო. სულ უფრო ცხადი ხდებოდა: მოსკოვი იმედოვნებდა, რომ ფედერალური მთავრობა ვერ შეძლებდა თავისი განზრახვისათვის საზოგადოების მხარდაჭერა მოეპოვებინა. ეს იმედები შეიძლება გარკვეულ მონაცემებს ეყრდნობოდა, თუმცა, ჩემი აზრით, ისინი ილუზორული გახლდათ. აგვისტოში აზრის გამოკითხვის დროს გერმანელების ორი მესამედი რაკეტების განლა-

გების წინააღმდეგ წავიდა. გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის ორგანიზაციები ერთი მეორის მიყოლებით ხსნიდნენ ფრონტს ნატოს ორმაგი გადაწყვეტილების წინააღმდეგ.

გადაწყვეტილების მიღება ბუნდესტაგში 21 და 22 ნოემბერისთვის იყო დანიშნული. დებატების დაწყების წინ, 18 ნოემბერს კიდევ ერთხელ ზურგს მიმაგრებდა თავისუფალი დემოკრატიული პარტიის 34-ე ყრილობა. დელეგატების სამმა მეოთხედმა უსაფრთხოების ჩემეულ პოლიტიკას და ამგვარად, ნატოს ორმაგ გადაწყვეტილებას დაუჭირა მხარი. სულ სხვანაირი იყო სურათი გერმანიის სოციალ-დემოკრატიულ პარტიაში. 19 ნოემბერს, გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის ყრილობაზე ოთხასმა დელეგატმა ხმა მისცა ამერიკული საშუალო რადიუსის რაკეტების განლაგების წინააღმდეგ, თოთხმეტმა მხარდაჭერა გამოხატა და სამმა თავი შეიკავა. ამ გადაწყვეტილებას მხარს უჭერდა გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის თავმჯდომარე ვილი ბრანდტი, ყოფილი ფედერალური კანცლერი ჰელმუთ შმიდტი წინააღმდეგი იყო. პარტიის ყრილობამ დაადასტურა ის, რაც უკვე 1982 წელსვე იყო ნათელი. უსაფრთხოების პოლიტიკის საკითხებშიც ჩვენ, სოციალ-დემოკრატი კანცლერი ჰელმუთ შმიდტი და სამთავრობო კოალიცია, გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიისაგან იმედგაცრუებულნი დავრჩებოდით, თუკი თავისუფალი დემოკრატიული პარტიისა და გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის კოალიციის განგრძობის სასარგებლოდ მივიღებდით გადაწყვეტილებას.

1983 წლის 21 და 22 ნოემბერს ბუნდესტაგში გამართული დებატები გადაიქცა დისკუსიად დაძაბულობის შენელების, საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის ძირითადი დებულებების გარშემო. ბოლოს პარლამენტმა ხმა მისცა ორმაგი გადაწყვეტილების სასარგებლოდ.

შეფასება, რომელიც გორბაჩოვმა 1993 წლის დეკემბერში ჩემთან საუბარში გააკეთა, ადასტურებდა, რომ ბუნდესტაგმა — დაუჭირა რა მხარი ათი წლით ადრე რაკეტების განლაგებას, მიიღო მსოფლიო მნიშვნელობის გადაწყვეტილება, რომელმაც შემდეგ უდიდესი გავლენა იქონია მოვლენების განვითარებაზე. მან საბჭოთა ხელმძღვანელობაში მოამზადა ნიადაგი ახალი მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებისთვის და ბოლოს გერმანიის რეალისტური დაძაბულობის

შენელების პოლიტიკის თანამიმდევრული გაგრძელების მეოხებით მართლაც რომ ხელი შეუწყო უარის თქმას ყველა სახის ბირთვულ საშუალო სიშორის რაკეტებზე როგორც დასავლეთში, ისე აღმოსავლეთში. გარდა ამისა, აქედან დაედო დასაბამი იმ ფუძემდებლურ გარდატეხას, რომელმაც თავის პიკს 1989-90 წლების მოვლენების დროს მიაღწია.

ფედერალური კანცლერი ჰელმუთ კოლი ლაპარაკობდა პარლამენტში და მეც გავიხსენე ჩემი განცხადება, რომელიც 1979 წლის 14 დეკემბერს გავაკეთე ბუნდესტაგის წინაშე: გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა, იტალია და დიდი ბრიტანეთი ახლავე მისცემდნენ ხმას ამერიკული საშუალო რადიუსის რაკეტების დისლოცირებას თავიანთ ტერიტორიაზე-მეთქი. ამასთან შევახსენე დეპუტატებს, რომ ეს გადაწყვეტილება გერმანიის უშიშროების საბჭოში, გერმანიის ბუნდესტაგის კომიტეტებში და პლენარულ სხდომებზე იყო მომზადებული. რა თქმა უნდა, ისიც გავიხსენე, რომ 1972 წლის იმ მნიშვნელოვან დებატებში — გერმანიის სოციალ-დემოკრატიულ პარტიაში არსებული გასაგები მერყეობის გამო — ამ პარტიის უპირველეს პირთაგან არც ერთ სოციალ-დემოკრატს ამ გადაწყვეტილების სასარგებლოდ სიტყვა არ დაუძრავს. გამონაკლისი გახლდათ სოციალ-დემოკრატიული პარტიის ექსპერტი თავდაცვის საკითხებში, ღრმადპატივცემული და მეტად კომპეტენტური კოლეგა ალფონს პაველჩიკი, რომელმაც აიღო სიტყვა და მთლიანად დაუჭირა მხარი ნატოს ორმაგ გადაწყვეტილებას.

მაგრამ ვიდრე საქმე 1983 წლის 21 და 22 ნოემბრის დებატებამდე მივიდოდა, ერთი დრამატული ნაბიჯი გადავდგი. მე შევთავაზე გრომიკოს, შევხვედროდით ერთმანეთს სადმე სხვაგან, რათა მე ის კიდევ ერთხელ — ბოლო წუთს — დამერწმუნებინა ფედერალური მთავრობის გადაწყვეტილების სიმტკიცეში. გრომიკო მაშინვე დამთანხმდა და მკითხა, რა აზრის ვიყავი სოფიაში შეხვედრაზე. ეს არ იყო მისაღები. ბოლოს და ბოლოს ბულგარეთი ვარშავის ხელშეკრულების წევრი სახელმწიფო გახლადთ, ე. ი. პოლიტიკური თვალსაზრისით არ იყო ნეიტრალური ქვეყანა და გარდა ამისა, ჩვენს მიერ გათვალისწინებულ თარიღამდე ცოტა ხნით ადრე იქ ვარშავის ხელშეკრულების წევრი სახელმწიფოების სხდომა უნდა გამართულიყო. ამიტომაც მე უარვყავი ეს წინადადე-

ბა. კაცმა რომ თქვას, ჩემი მიზანი იყო, ვენაში შეეხვედროდით ერთმანეთს. იმის გამო, რომ შესაძლებლობა მიმეცა გრომიკოსთვის, მასაც ეთქვა უარი პირველ შეთავაზებაზე და შემდგომ მაინც დამეთანხმებინა ვენაში შეხვედრაზე, მე მას ბელგრადი — იუგოსლავიის დედაქალაქი — შევთავაზე, რომელსაც ჩვენ მიუმხრობელ ქვეყნად ვთვლიდით, საბჭოთა კავშირს კი მაინც რენეგატად მიაჩნდა. როგორც მოსალოდნელი იყო, გრომიკომ უარი განაცხადა. მან ამჯერად თვითონ შემოგვთავაზა ვენა მას შემდეგ, რაც ჩვენც ამ მიმართულებით მივანიშნეთ.

თავისუფალი დემოკრატიული პარტიის ფედერალური გამგეობის მხარდაჭერით, რომელმაც 1983 წლის 14 ოქტომბერს ბონში სხდომა გამართა, 15 ოქტომბერს ვენაში გავფრინდი. ჩვენ მონაცვლეობით ვთათბირობდით ხან გერმანიის, ხანაც საბჭოთა კავშირის საელჩოების რეზიდენციებში, რომლებიც გვერდიგვერდ მდებარეობდნენ. ჩვენი მოლაპარაკებები დაიწყო სადილით საბჭოთა რეზიდენციაში. გრომიკო გაისარჯა, რომ ირგვლივ სასიამოვნო ატმოსფერო შეექმნა. სადილის დროს ვმუსაიფობდით ჩვენს ბავშვობაზე და სოფლად გატარებულ წლებზე, ვინაიდან ორივენი გლეხის კარ-მიდამოში ვიყავით გაზრდილები. ბოლოს სოფლის მეურნეობის საკითხებზეც გადავედით. გრომიკომ გამოთქვა მოსაზრება, რომ ჩვენი აზრთა ურთიერთგაზიარება უფრო დეტალური ყოფილიყო, რამაც განაპირობა ის, რომ დამატებით ერთი სხდომა საღამოსთვის დავნიშნეთ. ამ საუბრებს მე იმისთვის ვიყენებდი, რომ გადმომეცა ჩვენი საგარეო, უსაფრთხოებისა და დაძაბულობის შენელების პოლიტიკის ძირითადი დებულებები და ნატოს ორმაგი გადაწყვეტილების საკითხში მეტი სიცხადე შემეტანა. ჩემ საბჭოთა კოლეგას ვუთხარი, ჩვენ ძალიან ვართ დაინტერესებულნი, მოსკოვში ვითარება სწორად იქნეს შეფასებული-მეთქი. მე მას ავუხსენი, რომ მტკიცედ გვქონდა გადაწყვეტილი რაკეტების განლაგება, თუ მოლაპარაკებები საბოლოოდ სასურველ შედეგებს არ გამოიღებდა. რადგანაც ჩვენ ნამდვილად ვიყავით დაინტერესებულნი მოსკოვთან საუკეთესო ურთიერთობები გვქონოდა, გვინდოდა სრულიად გარკვევით მიგვენიშნებინა, რომ იქ ამასთან დაკავშირებით არავითარი ილუზიები არ უნდა შექმნოდათ. შემდეგ მე მივადექი ჩვენი საგარეო პოლიტიკის ქვაკუთხედს და ვუთხარი: არაფერი შეიძლება იყოს იმაზე უფრო

საშიში, ვიდრე მეორე მხარის მიზნების, მოტივებისა და შეუპოვრობის მცდარად შეფასება; ამან შეიძლება გამოუსწორებელ შედეგებამდე მიგვიყვანოს. აქედან გამომდინარე, გერმანიის საგარეო პოლიტიკა არის აბსოლუტურად გამჭვირვალე და ღია. ეს არის მაქსიმა, რომელსაც მე ყოველთვის განსაკუთრებული პასუხისმგებლობის გრძნობით ვეკიდებოდი. ჩემი რწმენით, ასეთმა ღიაობამ ჩვენი პოლიტიკა გათვლადი და პროგნოზირებადი გახადა და სწორედ ამან შექმნა პირობები სტაბილურობისათვის ალიანსში, ევროპულ გაერთიანებასა და დასავლეთ-აღმოსავლეთის ურთიერთობებში. მომავალშიც ჩვენი საგარეო პოლიტიკის ამგვარი უწყვეტობიდან უნდა ამოვიდეთ-მეთქი.

15 და 16 ოქტომბერს ვენაში გამართული ჩვენი შეხვედრა საბოლოოდ თერთმეტ საათზე მეტ ხანს გაგრძელდა. გვიან ღამემდე განვიხილავდით უმნიშვნელოვანეს საკითხებს. მოლაპარაკებები დიდი სერიოზულობით და მკვეთრად გამოხატული არგუმენტაციით, შექმნილი რთული საერთაშორისო ვითარების შესაბამისად მიმდინარეობდა. იმ შემთხვევაშიც კი, როცა გრომიკო მკვეთრად აკრიტიკებდა ამერიკის პოლიტიკას, მას არ უცდია განზრახ შეეტანა ბზარი ჩვენს ურთიერთობებში. ის მეტისმეტად კარგად იცნობდა ნატოს ორმაგი გადაწყვეტილების წინაისტორიას და ჩემ წვლილს მის შექმნაში. და მე გამუდმებით მქონდა ისეთი შეგრძნება, რომ მიუხედავად საუბრისას გამოვლენილი მთელი სიჯიუტისა, მას მაინც ეტყობოდა ბედთან შერიგების ნიშანი. გრძნობდა თუ არა გრომიკო, რომ მოსკოვმა ვერ მოზომა ნახტომი და ვითარება მცდარად შეაფასა?

ჩემი თვალთახედვით, ვენის შეხვედრა ურთულეს ვითარებაში ზარალის შემცირების კლასიკურ და წარმატებულ ნიმუშად რჩება. თუ მოსკოვმა მცდარი გათვლები გააკეთა, ამაში ფედერალური მთავრობა ნამდვილად არ არის დამნაშავე. ჩვენ უზრუნველვყავით აუცილებელი ღიაობა და საჯაროობა. იქნებ სწორედ ამით უნდა აიხსნას, რომ არ ახდა გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის შიში და წინასწარმეტყველება „გამყინვარების ხანის“ დადგომასთან დაკავშირებით. პირიქით, კოლ-გენშერის მთავრობის შეუვალობამ ნატოს ორმაგ გადაწყვეტილებასთან მიმართებაში ჩვენი ავტორიტეტი აამაღლა როგორც ალიანსში, ისე მოსკოვში.

მოვლენების განვითარებამ მომდევნო წლებში წარმოაჩინა,

თუ როგორი გადაუდებელი და აუცილებელი იყო ჩვენთვის ეს სანდოობა, რათა შეგვძლებოდა საჭირო ზეგავლენა მოგვეხდინა დასავლეთ-აღმოსავლეთის ურთიერთობებზე.

ვენა დავტოვე იმის ღრმა რწმენით, რომ მოსკოვი თავს დააღწევდა ილუზიებს. თუ ახლა ბოლოს და ბოლოს მოსკოვი არ შეიცვლიდა თავის პოზიციას, რომელიც სამხედრო სფეროში უპირატესობის მოპოვებას გულისხმობდა, ეს იქნებოდა ნიშანი იმისა, რომ ის ან არ იყო მზად საამისოდ, ან არადა, უბრალოდ, ამის გაკეთება არ ხელეწიფებოდა. და მაინც, ძალუმად ვგრძნობდი, რომ მოსკოვიც სერიოზულად იყო დაინტერესებული ჩვენთან კარგი ურთიერთობები შეენარჩუნებინა და იმედოვნებდა, რომ ურთიერთდაპირისპირებულობის პერიოდი დიდხანს არ გასტანდა. ერთი რამ კი შეიძლება გულწრფელად ითქვას: სწორედ გულღია საუბრებმა განაპირობა ის, რომ მე და გრომიკო ერთმანეთის მიმართ პატივისცემის გრძნობით და ნდობით განვიმსჭვალეთ.

## თავი 12

# ცვლილების მომასწავებელი ნიშნები გერმანულსა და საერთაშორისო პოლიტიკაში

### *შმიდტ-გენშერის კაბინეტის ბოლო სამთავრობო განცხადება*

1980 წლის ბუნდესტაგის არჩევნების შემდეგ საკოალიციო მოლაპარაკებები რთულად მიმდინარეობდა. სულ უფრო ნათლად იკვეთებოდა, რომ ჰელმუთ შმიდტს თავის პარტიაში პრობლემები ექმნებოდა. მე პირიქით — და ეს თავისუფალ დემოკრატიულ პარტიაში ნამდვილად გახლდათ დავის საგანი — ყველაფერი გავაკეთე იმისათვის, რომ, მიუხედავად ხმების შემომატებისა, არავითარი დამატებითი საკადრო მოთხოვნები არ უნდა წამოგვეყენებინა. ფედერალურ კანცლერს მთავრობის ჩამოყალიბებისას დამატებითი და არაფრის მომტანი სიძნელეები არ უნდა შექმნოდა. მოლაპარაკებები უხალისოდ მიმდინარეობდა: ასე ჩვენ იმაზეც ვერ შევთანხმდებოდით, სახელმწიფოებრივი მიზანი გარემოს დაცვის შესახებ კონსტიტუციაში აგვესახა, და ეს მაშინ, როცა გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის თავმჯდომარე, ვილი ბრანდტი, ჩვენს წინადადებას სრულიად აშკარად უჭერდა მხარს. ვილი ბრანდტი, როგორც ჩანდა, ამ მოლაპარაკებების პროცესში ბედს დამორჩილებოდა. ხომ არ აღელვებდა მას ის სიმტკიცე და შეუვალობა, რითაც ფედერალური კანცლერი ჰელმუთ შმიდტი და მე ნატოს ორმაგი გადაწყვეტილების განხორციელება ვცდილობდით?

ვიდრე შმიდტი 1980 წლის 24 ნოემბერს გერმანიის ბუნდესტაგის წინაშე სოციალ-დემოკრატიული პარტიისა და თავისუფალი დემოკრატიული პარტიისგან შედგენილი განახლებული კოალიციის სამთავრობო წერილს დევიზით „გაბედულება სამომავლოდ“ წაიკითხავდა, შედგა მთელი წყება მნიშვნელოვანი შეხვედრებისა საგარეო პოლიტიკის სფეროში. 10 ნოემბერს კანცლერი ჟისკარ დ’ესტენს შეხვდა; ბონში გერმანულ-ბრიტანულ შეხვედრებზე, რომელიც 16 და 17 ნოემბრისთვის იყო დაგეგმილი და რომელშიც საგარეო საქმეთა მინისტრებიც ღებულობდნენ მონაწილეობას, დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრი მარგარეტ ტეტჩერი ჩამოვიდა. ამავე დროს

უნდა წარმოჩენილიყო, რომ განსახილველ თემებთან დაკავშირებით სრული თანხმობა იყო მიღწეული. ეს, უპირველეს ყოვლისა, დასავლეთ-აღმოსავლეთის ურთიერთობებს, მსოფლიო ეკონომიკის საერთაშორისო განვითარებას, ასევე ევროგაერთიანების პოლიტიკას ეხებოდა. 18-დან 21 ნოემბრამდე შმიდტი და მე ვაშინგტონში უკანასკნელად შევხვდით პრეზიდენტ კარტერს. ეს იყო მისი, როგორც აშშ-ს პრეზიდენტის მოღვაწეობის ბოლო დღეები. 4 ნოემბერს აშშ-ს პრეზიდენტის, კონგრესისა და გუბერნატორების არჩევნები გაიმართა. რონალდ რეიგანი, რომელმაც ამომრჩეველთა ხმების დიდი უპირატესობით გაიმარჯვა, პრეზიდენტის პოსტზე თავისი მოღვაწეობის დასაწყებად ემზადებოდა. საუბრებმა პრეზიდენტ კარტერთან და საგარეო საქმეთა მინისტრ მასკისთან განსაკუთრებულ მეგობრულ ატმოსფეროში ჩაიარა. ისე რომ, თანამშრომლობა შმიდტსა და კარტერს შორის მაინც მშვიდობიანად დასრულდა, რამაც მე — უპირველესად ადამიანური თვალსაზრისით — ძალიან გამახარა. თუმცა ორივენი სრულიად სხვადასხვა ხედვის პოლიტიკოსები იყვნენ და მათი პოზიციებიც უკიდურესად განსხვავდებოდა ერთმანეთისაგან, მაინც არსებობდა მთელი რიგი მნიშვნელოვანი საკითხებისა, სადაც ისინი ერთსულოვანნი იყვნენ: სოციალური სამართლიანობა, მორალის პრიმატი პოლიტიკაში — აი, რაც მათ აკავშირებდათ. მიუხედავად იმისა, რომ ეს შეხვედრა უფრო გამოსამშვიდობებელი ხასიათისა იყო, საუბრები მკვეთრად გამოხატული პოლიტიკური ნიშნით წარიმართა. ორივე მხარე მიესალმა მადრიდში ევროთათბირის პროცესის გაგრძელებას. ჩვენ მოვითხოვეთ, საბჭოთა კავშირს გაეყვანა თავისი ჯარები ავღანეთიდან და კონფლიქტი პოლიტიკური მეთოდებით მოეგვარებინა. გარდა ამისა, მადრიდში განხილული იქნა ვითარება ახლო აღმოსავლეთში.

მე არაჩვეულებრივად კარგი დამოკიდებულება მქონდა პრეზიდენტ კარტერთან, პირად ურთიერთობებში კიდევ უფრო მჭიდროდ ვიყავი მასთან დაკავშირებული. ბუნდესტაგის არჩევნების მომდევნო დღეს, რომელშიც ჩვენდა სასიხარულოდ თავისუფალმა დემოკრატიულმა პარტიამ ხმების 10,6 პროცენტი მიიღო, მან დამირეკა და მომილოცა. ამასთან, ჩვენმა ძალისხმევამ მძევლების გათავისუფლების საქმეში ერთი კვირით ადრე ნამდვილად კეთილი გავლენა იქონია ამგვარ გულითადობაზე. მე და ჯიმი კარტერი მოგვიანებით

არაერთხელ შევხვედრივართ ერთმანეთს, იქნებოდა ეს კაიროში, ათენში თუ აშშ-ში. ამ შეხვედრების დროს ყოველთვის მახსენდებოდა ხოლმე, როგორ ღრმად განიცდიდა ის მძევლებთან დაკავშირებულ ავანტიურას და როგორი დიდი შთაბეჭდილება მოახდინა მასზე მათმა გათავისუფლებამ. კითხვა, თუ რამ აიძულა ირანელები, 1980 წლის სექტემბრის დამლევს გაეტეხათ წინასწარ მიცემული სიტყვა, მას დიდხანს არ აძლევდა მოსვენებას, მით უმეტეს, რომ ყოველივე ამან გადამწყვეტი გავლენა იქონია არჩევნების შედეგებზე.

1980 წლის ნოემბერში ვაშინგტონში ყოფნის დროს, ჩვენ საშუალება მოგვეცა ახლადარჩეულ პრეზიდენტ რონალდ რეიგანსა და მის გარდამავალი პერიოდის გუნდს გავცნობოდით. რონალდ რეიგანი, რომელსაც საუბრის დროს საერთაშორისო პოლიტიკური ხასიათის განცხადებები არ გაუკეთებია, ინტერესით უსმენდა ჰელმუთ შმიდტის მოსაზრებებს. აშკარა იყო, რომ ის ჯერ ეცდებოდა თავისი ერთიანი კონცეფცია ჩამოეყალიბებინა, ვიდრე განსაკუთრებული მნიშვნელობის საერთაშორისო მასშტაბის გადაწყვეტილებებს მიიღებდა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ თავისი ეკონომიკური პოლიტიკის თაობაზე მას უკვე სრულიად ნათელი წარმოდგენა ჰქონდა, და ეს მან საუბრის დროს გარკვევით გაგვაგებინა.

სამთავრობო წერილი, რომელიც ჰელმუთ შმიდტმა 1980 წლის 24 ნოემბერს პარლამენტს გააცნო, არა მხოლოდ საკოალიციო მოლაპარაკებების, არამედ კაბინეტში საფუძვლიანი განხილვების შედეგი გახლდათ. თავისუფალ დემოკრატიულ პარტიას შეეძლო სრული რწმენით დაეჭირა მხარი ამ დოკუმენტისათვის. განისაზღვრა საგარეო პოლიტიკის ძირითადი და მნიშვნელოვანი მიმართულებები, რაც დაახლოებით ასე გამოიყურებოდა: „წონასწორობის გარეშე მსოფლიოში მტკიცე მშვიდობა ვერ დამყარდება. შეგვიძლია მშვიდად ვიყოთ, რადგანაც ჩრდილოატლანტიკური ალიანსი ჩცავს წონასწორობას, რისთვისაც ჩვენ დასავლეთის სასწორზე მთელი ჩვენი პოლიტიკური და სამხედრო წონა შემოვდეთ. წონასწორობა თუმცა მნიშვნელოვანი, მაგრამ არასაკმარისი პირობაა მშვიდობის დასამყარებლად და შესანარჩუნებლად. ამისათვის მშვიდობა შეიარაღების შეზღუდვის პოლიტიკით და თანამშრომლობით უნდა განმტკიცდეს. სამხედრო უშიშროება და დაძაბულობის შენელების პოლი-

ტიკა“, — აქ ჰელმუთ შმიდტი ჰარმელის მოხსენების ციტირებას ახდენდა — „უკვე ათწლეულზე მეტია, ალიანსის უსაფრთხოების კონცეფციის ორ ძირითად ბირთვს წარმოადგენს“. შემდეგ მან განაგრძო: „ჩვენ, ევროპის მშვიდობიანი განვითარებისა და მთელი გერმანელი ხალხის მომავლის ინტერესებიდან გამომდინარე, გავაგრძელებთ ჩვენს აღმოსავლელ მეზობლებთან თანამშრომლობას“. ის ევროგაერთიანებას მოიაზრებდა, როგორც მშვიდობის, თავისუფლების, სოციალური და ეკონომიკური პროგრესის ქვაკუთხედს და მხარს უჭერდა მესამე სამყაროსთან თანასწორუფლებიან თანამშრომლობას. ჩვენ ვისურვებდით, — განმარტავდა იგი, — რომ ამ ქვეყნების ეკონომიკური, ისევე როგორც პოლიტიკური და კულტურული დამოუკიდებლობა ხანგრძლივი დროის განმავლობაში ყოფილიყო გარანტირებული. ამასთან ის დაბეჯითებით და მტკიცედ ირწმუნებოდა, რომ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ეს მთავრობა ურყევად დაუდგებოდა გვერდით დასავლურ ალიანსს და ამ ალიანსის ბირთვთან — ამერიკის შეერთებულ შტატებთან მჭიდროდ ითანამშრომლებდა.

ასევე საჭირო და მნიშვნელოვანი იყო მისი არაორაზროვანი და გამჭვირვალე მოსაზრებები ბუნდესვერთან დაკავშირებით. მან სიტყვასიტყვით თქვა შემდეგი რამ: „მოკლედ მსურს შევეხო ბუნდესვერს, რომელიც კრიზისის შემთხვევაში ჩვენი სავალდებულო სამხედრო კანონისა და კარგად მომზადებული რეზერვისტების წყალობით შეიძლება საგრძნობლად გაძლიერდეს. ამგვარად ჩვენ შევიტანთ ჩვენს წვლილს თავდაცვის საერთო საქმეში. გერმანიის შეიარაღებულმა ძალებმა 25 წლის განმავლობაში ჩვენს საზოგადოებაში თავისი ადგილი და აღიარება მოიპოვა. ამიტომაც ბევრი ჯარისკაცისთვის გაუგებარი და შემაშფოთებელია, და მეც ძალიან მწყინს, როცა მათ მიერ დადებული აღთქმის გამო ამ ხალხის მიმართ აგრესიას იჩენენ და ქირქილებენ მათზე იმ დროს, როცა ისინი ღირსეულად ასრულებენ დაკისრებულ მოვალეობას. გერმანიის შეიარაღებული ძალები გამოირჩევა თავისი დემოკრატიული და არა მილიტარისტული ტრადიციით. ტრადიცია არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს ჩვენი საზოგადოების ძირითად ღირებულებებს. ეს არც არის ასე. მაგრამ სასურველია, რომ ტრადიცია არმიას და მოქალაქეს ერთმანეთთან აკავშირებდეს. ტრადიციის გამოხატვის ფორმები

დროსთან კავშირში უნდა განვიხილოთ. ამიტომაც ჩვენ მზად ვართ, ვიკამათოთ ფორმების თაობაზე. მაგრამ ეს დებატები არ უნდა იქნეს ბუნდესვერზე და ალიანსზე თავდასხმების საბაბად გამოყენებული". და იქვე დაურთო: „ჩვენ გვყავს თანამედროვედ შეიარაღებული და კარგად გაწვრთნილი შეიარაღებული ძალები, რომლებიც მუდამ მზადყოფნაში არიან, შეიარაღებული ძალები, რომელიც სამაგალითოდ ითვლება ნატოში. ჩვენს მიერ თავდაცვის საჭიროებისთვის გაღებული ინვესტიციები განსაკუთრებით მაღალია, რადგანაც ჩვენი არმია სავალდებულო სამხედრო სამსახურის პრინციპით არის შექმნილი. თავდაცვისთვის გაწეული ხარჯები ბოლო ათლწეულში საშუალოდ წელიწადში რეალურად თითქმის სამი პროცენტით გაიზარდა. ჩვენ ვივალდებულეთ, რომ მომავალშიც დაფინანსების ზრდა ამავე მოცულობით შევინარჩუნოთ".

ეს ნდობა ჩვენი ჯარისკაცებისადმი, აღიარება წარმატებებისა თავდაცვის სფეროში და ინვესტიციების ზრდა შეიარაღებული ძალებისათვის დაძაბულობის შენელების რეალისტური პოლიტიკის მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილი გახლდათ. ნამდვილად ღირს, ეს მკაფიო პოზიცია და აქედან გამომდინარე, ჩვენი ჯარისკაცების, ჩვენი ქვეყნის მოქალაქეების, გერმანელი გადასახადების გადამხდელთა, მუშა-მოსამსახურეების, ეკონომიკის წარმატებები ნიადაგ ნათლად გვქონდეს წარმოდგენილი, ვინაიდან ის დამაჯერებლად და ხაზგასმით გვიჩვენებს გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის სახელმწიფო, საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის ბალანსს 1989 წლის დიდ გარდატეხამდე: გერმანიის ფედერაციულმა რესპუბლიკამ დიდი წვლილი შეიტანა დასავლურ ალიანსში დასავლეთის უსაფრთხოების უზრუნველყოფისათვის, როდესაც მან მტკიცე მშვიდობის საფუძველზე თანამშრომლობის, დაძაბულობის შენელების, განიარაღებისა და შეიარაღებაზე კონტროლის იმ პოლიტიკის ჩამოყალიბება შეძლო, რომელიც ჰარმელის მოხსენების მიზნებს შეესატყვისებოდა — ეს არის ფაქტი, რისი დანახვაც არ სურთ მათ, რომლებიც გაერთიანების დღიდან მოყოლებული გაიძახიან, რომ გერმანიამ თურმე *ბოლოს და ბოლოს* ნაკისრი ვალდებულებები უნდა შეასრულოს.

სამთავრობო წერილში მოყვანილი დებულებები გდრ-თან მიმართებაშიც ასევე ერთმნიშვნელოვანი იყო: „ჩვენ გამიჯვნის სან-

აცვლოდ ვამკვიდრებთ თანამშრომლობის სურვილს. მე მოვუწოდებ ყველა გერმანელს, გამოიჩინონ გამძლეობა და მოთმინება, რომელიც ჩვენ გეჭირდება, რათა დღეისათვის გზის ყველაზე ძნელი მონაკვეთი გავიაროთ. ჩვენ კარგად ვხედავთ განსხვავებას ორივე სახელმწიფოს პოლიტიკურ მიზნებს შორის. ჩვენ გვინდა ჩვენი ძალისხმევა მივმართოთ ევროპაში მშვიდობის დამკვიდრებისაკენ, რაც გერმანელ ხალხს თვითგამორკვევის საშუალებას მისცემს. გდრ-ის ხელმძღვანელობას სხვა მიზანი აქვს. ჩვენ გვსურს გერმანელი ერის ერთიანობის გრძნობა შევინარჩუნოთ".

### *ახალი აქტიორი საერთაშორისო სცენაზე: რონალდ რეიგანი კანკუნში*

1981 წლის მაისში გამართულ ნატოს წევრი ქვეყნების მინისტრთა საბჭოსა და 1981 წლის 29 და 30 ივნისს ლუქსემბურგში შემდგარ ევროსაბჭოს სხდომის შემდეგ, 19 ივლისიდან 22 ივლისამდე კანადაში მეშვიდედ გაიმართა მსოფლიო ეკონომიკური ფორუმი, რომელიც ამჯერად თითქმის ახალი შემადგენლობით იყო დაკომპლექტებული: ამერიკის შეერთებულ შტატებს პირველად წარმოადგენდა რონალდ რეიგანი, მაისში საფრანგეთის პრეზიდენტად არჩეული იქნა ფრანსუა მიტერანი, იაპონიის პრემიერ-მინისტრი სუძუკიც ის-ის იყო შესდგომოდა თავისი მოვალეობის შესრულებას. იტალიას ფორუმზე წარმოადგენდა პრემიერ-მინისტრი სპადოლინი, ევროპის კომისიას მეტად ავტორიტეტული ლუქსემბურგელი ლიბერალი, გასტონ ტორნი — ამ კომისიის თავმჯდომარე. ასე რომ, მე და ჰელმუთ შმიდტი ამ წრეში ვეტერანებივით გამოვიყურებოდით. უმალვე ნათელი გახდა, რომ ამერიკის ახალი ადმინისტრაცია არა მხოლოდ საგარეო, არამედ ეკონომიკური პოლიტიკის თვალსაზრისითაც ახალ კურსს გვთავაზობდა. სწორედ ამიტომაც იყო ეს მსოფლიო ეკონომიკური ფორუმი ასეთი მნიშვნელოვანი.

და მაინც, უცვლელი დარჩა ამერიკის პოზიცია მექსიკისა და ავსტრიის მიერ ინიცირებული ჩრდილოეთ-სამხრეთის უმაღლესი დონის შეხვედრასთან დაკავშირებით, რომელიც 1981 წლის 21-23 ოქტომბერს კანკუნში უნდა გამართულიყო. ამ თავყრილობის მიზანი

გახლდათ, დაწყებულიყო დიალოგი რვა ინდუსტრიულად მაღალგანვითარებულ და თორმეტ, ეკონომიკური თვალსაზრისით მეწინავე, ქვეყანას შორის.

რადგანაც ჰელმუთ შმიდტი მოულოდნელად გულმა შეაწუხა და იგი ვეღარ შეძლებდა კანკუნის უმაღლესი დონის შეხვედრაში მონაწილეობას, დელეგაციის ხელმძღვანელობა მე ვიკისრე. რაინერ ოფერგელდი, ეკონომიკური თანამშრომლობის ფედერალური მინისტრი, ჩემ მოადგილედ გამწესდა. მექსიკის მთავრობამ ყველაფერი გააკეთა იმისათვის, რათა კონფერენცია ოპტიმალურ პირობებში ჩატარებულიყო.

ადრიანად და ფედერალურ კანცლერთან სრული თანხმობით დავიწყე კანკუნის უმაღლესი დონის შეხვედრისთვის მზადება. 1980 წლის ნოემბერში და 1981 წლის მარტში ავსტრიაში გამართულ მოსამზადებელ შეხვედრებზე მონაწილეობა მიიღეს ალჟირმა, საფრანგეთმა, ინდოეთმა, იუგოსლავიამ, კანადამ, მექსიკამ, ნიგერიამ, ავსტრიამ, შვედეთმა და ტანზანიამ. უნდა აღინიშნოს, რომ ამ შეხვედრაზე პირველად გამოჩნდა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა, მაშინ, როცა საბჭოთა კავშირმა დიდი ყოყმანის შემდეგ მაინც ვერ გადაწყვიტა ჩამოსულიყო ფორუმზე.

ორჯერ ვეცადე დამეყოლიებინა გრომიკო, მონაწილეობა მიეღოთ შეხვედრაში. ის ან თვითონ ჭოჭმანობდა, ან არადა პოლიტბიუროში იყო აზრთა სხვადასხვაობა. ყოველ შემთხვევაში, მე ასეთი შთაბეჭდილება შემექმნა. შეიძლება ეშინოდათ კიდეც, რომ ჯანრმთელობაშერყეული ბრეჟნევი მოგზაურობას ასეთ კლიმატურ ზონაში ვერ გადაიტანდა. და მაინც, არ შეიძლებოდა მოსკოვისთვის სასიამოვნო ყოფილიყო ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მონაწილეობა კონფერენციაში. მით უმეტეს, რომ მეორე ზესახელმწიფოს — ამერიკის შეერთებულ შტატებს მისი პრეზიდენტი წარმოადგენდა. შესაძლებელია, საბჭოთა ხელმძღვანელობა შიშობდა, რომ დახმარების მცირე მასშტაბების გამო, რასაც საბჭოთა კავშირი და სხვა სოციალისტური ქვეყნები ეწეოდნენ, მათ გააკრიტიკებდნენ. როგორც ყოველთვის, ეს კონფერენციაც საბჭოთა კავშირის გარეშე ჩატარდა. მიუხედავად იმისა, რომ მას რაიმე კონკრეტული შედეგებისთვის არ მიუღწევია, უკვე მნიშვნელოვანი იყო თუნდაც ის ფაქტი, რომ გაიმართა საკმაოდ მასშტაბური ორმხრივი დიალოგი. უფრო მეტიც: რონალდ

რეიგანზე ღრმა შთაბეჭდილება მოახდინა მესამე სამყაროს წამყვანი ლიდერების წვლილმა, მეტადრე, როცა მათი გამოსვლები მორალურ პოსტულატებს ემყარებოდა. ეს განსაკუთრებით თვალნათლივ გამოჩნდა ინდირა განდისა და ტანზანიის პრეზიდენტის იულიუს ნიერერეს გამონათქვამებში, რომელიც ამ სიტყვის ჭეშმარიტი მნიშვნელობით ბიბლიის საუკეთესო მცოდნე აღმოჩნდა და თავის მსჯელობებში მეტად მარჯვედ ახდენდა ციტირებას ახალი აღთქმიდან. როგორც ეს ხშირად ხდება ხოლმე ასეთი ღონისძიებების გამართვისას, კონფერენციის ბოლოს მიღებული იქნა კომუნიკე. მასზე მუშაობისას მარგარეტ ტეტჩერი ცდილობდა ჩემი მხარდაჭერის მოპოვებას საბაზრო ეკონომიკისა და მსოფლიოში თავისუფალი ვაჭრობის პრინციპების შენარჩუნებასთან დაკავშირებით. აშკარად ჩანდა, ეშინოდა, რომ რონალდ რეიგანი მესამე სამყაროს წარმომადგენლებს შორის დიდ პოპულარობას მოიპოვებდა.

მსგავმა თავსატეხმა — ოღონდ უსაფრთხოების სფეროში — კარგა ხნის შემდეგაც იჩინა თავი, როცა რონალდ რეიგანმა რეიკიავიკში ამერიკის და ევროპის ზოგიერთი პოლიტიკოსის, მათ შორის გერმანელების ზეგავლენით მეტისმეტად დიდი ყურადღება დაუთმო გორბაჩოვის არგუმენტებს. არც კანკუნში და არც რეიკიავიკში ასეთი შეშფოთებისთვის საფუძველი არ არსებობდა. სინამდვილეში ორივე შემთხვევაში საქმე ეხებოდა პირადი შეხვედრებით გამოწვეულ ურთიერთზეგავლენას და მის მნიშვნელობას წინასწარშემუშავებული სტერეოტიპული წარმოდგენების გასაქარწყლებლად. ამასთანავე უნდა ითქვას, რომ რეიგანი, რომელსაც ევროპაში ხშირად აკრიტიკებდნენ, უკეთესად ერკვეოდა შექმნილ ვითარებაში, ვიდრე მასზე შედარებით ახალგაზრდა პოლიტიკოსები.

კანკუნის კონფერენცია — დამოუკიდებლად იმისგან, თუ რა თემები განიხილებოდა მასზე — მეტად სასარგებლო გამოდგა ჩემთვის, რადგანაც მან შესაძლებლობა მომცა შევხვედროდი ყველა დელეგაციას, რასაც პროტოკოლის განაწესის მიხედვით ისიც დაემატა, რომ ოფიციალურ სადილზე რონალდ რეიგანი და მე სუფრასთან მეზობლები აღმოვჩნდით. ვინაიდან ჩემგან მარცხნივ საუდის არაბეთის მეფე იჯდა, რონალდ რეიგანის მარჯვნივ კი ვენესუელას პრეზიდენტი, ხოლო თარჯიმნებისთვის სუფრასთან ადგილი აღარ აღმოჩნდა, ჩვენ, ასე ვთქვათ, განწირულნი ვიყავით ერთმანეთთან

სასაუბროდ. შედეგად აზრთა ინტენსიური გაცვლა-გამოცვლა შედგა. ამგვარად მე განუმარტე პრეზიდენტს ევროპის სახელმწიფოების მოქალაქეთა აზროვნების მანერა საზღვრების უსაფრთხოებასთან მიმართებაში. აშშ-ში, კონტინენტური მასშტაბის ქვეყანაში, მოქალაქეთა მხოლოდ მცირედი პროცენტი ცხოვრობს მექსიკისა და კანადის საზღვრის გაყოლებით, რომელთაც შეიძლება ჰქონდეთ განცდა, რომ ისინი სასაზღვრო რაიონების მოსახლეობას წარმოადგენენ და ამავე დროს არც ერთ მეზობელს მტრად არ აღიქვამენმეთქი. მაგრამ როგორი განსხვავებული გრძნობები ექნებოდა ძველად მსგავს ვითარებაში ისეთ ქვეყანას, როგორიც ლუქსემბურგია, რომელსაც ამერიკის შეერთებული შტატებივით ორი კი არა, არამედ სამი ქვეყანა — სახელდობრ, ბელგია, საფრანგეთი და გერმანია ესაზღვრებოდა. ჩვენ, ევროგაერთიანების უდიდესი ქვეყნის მცხოვრებნი, ყოველ შემთხვევაში, იმ ქვეყნისა, სადაც ყველაზე მეტი მოსახლეა, ისეთ ვიწრო სივრცეში ვარსებობთ, რომ ჩვენთან არ არის ადგილი, საიდანაც ავტომანქანით ორ საათზე მეტი დაგჭირდებოდათ, რათა რომელიმე საზღვრამდე — მათ შორის საზღვრამდე გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკასა და გდრ-ს შორის — მიგეღწიათ. თუნდაც მხოლოდ ეს ვითარება გასაგებს ხდის მოთხოვნილებას, შენარჩუნებულიყო და განმტკიცებულიყო მეზობელ სახელმწიფოებთან კეთილმეზობლური და ნდობით გამსჭვალული ურთიერთობები, რაც აუცილებელია ევროპული სტაბილურობისათვის, — ვუთხარი მე და განვაგრძე: სწორედ ამით არის განპირობებული ევროპელების მცდელობა, საზღვრები უაღრესად გამჭვირვალე გახადონ და თანაცხოვრების ახალ კულტურამდე ამაღლდნენ, რომლის პრეცედენტი ევროგაერთიანების ფარგლებში უკვე არსებობს. ამიტომაც ევროგაერთიანება უფრო მეტია, ვიდრე უბრალოდ ეკონომიკური გაერთიანება. აღმოსავლური გამიჯვნის პოლიტიკა არ შეესაბამება ისტორიულ ტენდენციას, რაც იმ წინააღმდეგობის გადალახვაში მდგომარეობს, ამგვარ გამიჯვნას რომ უწყობს-მეთქი ხელს.

რონალდ რეიგანსაც და მეც ერთნაირად გვყვარებია ანეკდოტები და ორივემ გვარიანად შევუვსეთ ერთმანეთს რეპერტუარი ოხუნჯობათა ჩვენ-ჩვენი მარაგიდან. მახსენდება, რომ მოგვიანებით მესმოდა ხუმრობები, რომელთაც რეიგანს მიაწერდნენ, თუმცა სინამდვილეში მათ კვალს ჩვენს მაშინდელ საუბრამდე მივყავართ.

*რონალდ რეიგანი და ჰანს-დიტრიხ გენშერი ერთმანეთს ანეკდოტებს უცვლიან.*

კანკუნში იმყოფებოდა აგრეთვე ჯეიმს ბეიკერი, შემდგომში საგარეო საქმეთა მინისტრი, იმ დროს ჯერ კიდევ თეთრი სახლის შტაბის უფროსი. ძალიან სწრაფად შესანიშნავი პირადი ურთიერთობა დავამყარეთ და მალე, მოლაპარაკებებს შორის შესვენებებზე, გულითადად ვმასლაათობდით. ყოველთვის, როცა კი მე ვაშინგტონში ჩავდიოდი და დროს ვპოულობდი, მას ამერიკის ფინანსთა სამინისტროში ვსტუმრობდი ხოლმე, ვიდრე მან იქიდან საგარეო საქმეთა სამინისტროში არ გადაინაცვლა. ერთ-ერთი ასეთი სტუმრობის დროს ფინანსთა სამინისტროს კიბეზე ერთდოლარიანი ვიპოვე. როდესაც ბეიკერის ოთახში შევაბიჯე, მე ის ჰაერში შევათამაშე და ვთქვი, ნახეთ, რა მდიდარია ამერიკის შეერთებული შტატები: ამერიკის ფინანსთა მინისტრის ოთახისკენ მიმავალი კიბეებიც კი დოლარის ბანკნოტებით არის მოფენილი-მეთქი. ბეიკერმა დაკვირვებით დახედა ბანკნოტს და დაადგინა, რომ ის პირველ სერიას მიეკუთვნებოდა, რომელზეც მისი სახელი იყო აღბეჭდილი. მის გვერდით მან უმალ კიდევ ერთხელ მოაწერა ხელი ბანკნოტს.

მე ძალიან ვწუხდი, რომ კანკუნის შეხვედრას აღარ მოჰყოლია ასეთივე თავყრილობა უმაღლეს დონეზე. მექსიკასა და ავსტრიაში სახელმწიფოსა და მთავრობის მეთაურთა შეცვლასთან ერთად ამ შეხვედრის ინიციატორებს ამისათვის საჭირო იმპულსები შემოაკლდათ, მაგრამ ამავე დროს მსოფლიოში მიმდინარე პროცესებიც ხელს უშლიდა ინტერესების გაღვივებას ასეთი პასუხისმგებლობის გრძნობით წარმოებული ჩრდილოეთ-სამხრეთის დიალოგისადმი. ყველა მცდელობა, კიდევ ერთი ასეთი შეხვედრა გამართულიყო, იფუშებოდა. ჩემი თვალთახედვით, ამ პროცესის გაგრძელებას სამხრეთსა და ჩრდილოეთს შორის გაგებისა და ურთიერთნდობის დამყარების საქმეში მნიშვნელოვანი წვლილის შეტანა შეეძლო. დიდი შვიდეულის შეხვედრები, თუნდაც იქ ხანდახან რუსეთიც იყოს მიწვეული, მაინც წმინდა წყლის „ჩრდილოეთ-ჩრდილოეთის სამიტია". უმაღლესი დონის მსგავს შეხვედრებზე განიხილება საკითხები, რომელთაც მესამე სამყაროს სახელმწიფოებისთვისაც სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს.

ბონის მიერ ინიცირებული რეგიონალური თანამშრომლობის კონცეფცია, რომელიც თანამიმდევრულია და თანდათან დიდ მნიშვნელობას იძენს, გლობალური პასუხისმგებლობის უმნიშვნელოვანესი ელემენტია. მაგრამ ის ვერ აკმაყოფილებს იმ სპეციფიკურ წინაპირობებს, რომლებიც უმაღლეს დონეზე გლობალური დიალოგის გამართვისათვის აუცილებელზე აუცილებელია. წარმოიდგინეთ, რა მნიშვნელოვანი რამ მოხდებოდა, ინდოეთისა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მსგავსად კანკუნში ლათინური ამერიკა, არაბული სამყარო და აფრიკაც რომ ყოფილიყვნენ წარმოდგენილნი. აქედან გამომდინარე, კანკუნის ინიციატივის იდეა აუცილებლად ხელახლა უნდა გაცოცხლდეს, შეძლებისდაგვარად სხვა სახელმწიფოების თანამონაწილეობითაც. ამდაგვარი ხასიათის ჩრდილოეთ-სამხრეთის არაფორმალურ შეხვედრას უმაღლეს დონეზე, რომელიც არავითარ შემთხვევაში ყოველწლიურად არ უნდა გამართულიყო, რათა ის რუტინულ საქმიანობაში არ გადაზრდილიყო, შეეძლო ახალი იმპულსი მიენიჭებინა იმ ძალისხმევისთვის, გაეროს რეფორმების ფარგლებში ჩრდილოეთ-სამხრეთის საკითხებისა და ბუნებრივი სასიცოცხლო საფუძვლების დაცვისთვის უკეთესი ინსტიტუციონალური გარანტიების შექმნას რომ ითვალისწინებს. ყოვ-

ელ შემთხვევაში, მაშინ, 1981 წელს, გადამწყვეტ როლს, რომელიც ფედერაციულმა რესპუბლიკამ კანკუნის კონფერენციის იდეის განსახორციელებლად იკისრა, როგორც გამოხატულება მისი ჩრდილოეთ-სამხრეთის პოლიტიკისა — დიალოგი და თანამშრომლობა —, მსოფლიო აღიარება ხვდა წილად. ამგვარად, ჩვენ მნიშვნელოვანი წვლილი შევიტანეთ მსოფლიო მასშტაბით სტაბილურობის დასამყარებლად.

სტაბილურობის გლობალური პოლიტიკა მხოლოდ მაშინ შეიძლება გახდეს მაღალეფექტური, როდესაც ამ პროცესში აფრიკის, ლათინური ამერიკისა და აგრეთვე აზიის სახელმწიფოები ჩაერთვებიან. ამიტომაც ჩვენთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა ბილატერულ ურთიერთობებს იაპონიასთან, როგორც უმაღლეს დონეზე მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის მონაწილესთან, და ამიტომაც წამოვაყენე წინადადება, საგარეო საქმეთა მინისტრების ყოველწლიური კონსულტაციები გამართულიყო. ჩვენ ასევე მხარს ვუჭერდით იაპონიის სურვილს, დამკვირვებლის სტატუსით მიეღო მონაწილეობა ევროთათბირის პროცესში. ეს გახლდათ კადნიერი მოთხოვნა, რომელიც ხაზს უსვამდა იმ მნიშვნელობას, რომელიც იაპონიას ენიჭებოდა ვანკუვერიდან ვლადივოსტოკამდე განფენილ სტაბილურობის სივრცეში მიმდინარე პროცესებისთვის.

ასევე ჩინეთის სახალხო რესპუბლიკასთან ურთიერთობებში ჩვენ ანგარიშს ვუწევდით — როგორც პოლიტიკური, ასევე ეკონომიკური თვალსაზრისით — ამ უზარმაზარი ქვეყნის რანგს, იმასაც, რომ ის გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს მუდმივი წევრია, მაგრამ ამავე დროს, ანგარიშს ვუწევდით სტაბილურობაზე ორიენტირებული საგარეო პოლიტიკის მოთხოვნილებებსაც.

გერმანულ საკითხთან დაკავშირებით ჩვენს ჩინელ პარტნიორებს რეალისტური, ჩვენი მიზნების მიმართ გამჭვირვალე პოზიცია ეკავათ, თუმცა ამავე დროს ითვალისწინებდენ საბჭოთა კავშირის დამოკიდებულებასაც ამ საკითხისადმი. ეს ითქმოდა უპირველეს ყოვლისა ჯოუ ენ-ლაიზე, რომელსაც მე 1973 წელს ჯერ კიდევ შინაგან საქმეთა მინისტრის რანგში შევხვდი, მაგრამ იგივე შეიძლება ითქვას დენ საიოპინზეც, რომელსაც ხშირად ვესაუბრებოდი იმაზე, თუ ვინ უფრო მალე გაერთიანდებოდნენ — ჩინელები თუ

გერმანელები. ის მუდამ იზიარებდა ჩემს მოსაზრებას, რომ ამას პირველად გერმანელები შეძლებდნენ. მხოლოდ ჩვენი ბოლო შეხვედრის დროს იმყოფებოდა იგი ერთგვარ ეიფორიაში პეკინსა და ტაივანს შორის განვითარებული მოვლენების გამო. „ახლა, მგონი, ჩვენ დაგასწრებთ!"— მითხრა მან. მე კატეგორიულად არ დავეთანხმე: ავანსცენაზე უკვე ჩანდა გორბაჩოვი.

დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენთვის გაწონასწორებულ ურთიერთობებს ინდოეთთან და პაკისტანთან; ამიტომაც ყოველთვის დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა ორივე ამ ქვეყანაში მისავლინებელი ელჩების შერჩევას. დღეს მე კარგი ურთიერთობები მაკავშირებს ინდოეთის პრემიერ-მინისტრ რაოსთან, რომელთანაც მე, როგორც საგარეო საქმეთა მინისტრი მჭიდროდ ვთანამშრომლობდი. განსაკუთრებით დიდ პატივს ვცემ და ვაფასებ პაკისტანის პრემიერ-მინისტრს ქალბატონ ბენაზირ ბჰუტოს, რომელიც დიდი შემართებით, გონიერებითა და გაბედულებით ასრულებს მასზე დაკისრებულ მძიმე მოვალეობას. მე უკანასკნელ წუთამდე ყველაფერი ვიღონე, რათა მამამისი შეეწყალებინათ.

## თავი 13

# გარდატეხა

*გერმანიის სოციალ-დემოკრატიულმა პარტიამ პირი იბრუნა*

დროთა განმავლობაში სულ უფრო და უფრო იგრძნობოდა, რომ გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიისა და თავისუფალი დემოკრატიული პარტიის კოალიციამ, უპირველესად ეკონომიკური და ფინანსური პოლიტიკის, ასევე საგარეო უსაფრთხოების სფეროში თავი ამოწურა. ეკონომიკურ და საფინანსო პოლიტიკაში დაგროვდა წესრიგის პოლიტიკასთან დაკავშირებული ცოდვები და ნატოს ორმაგ გადაწყვეტილებასთან მიმართებაში უკვე თვალნათლივ გამოჩნდა, რომ გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტია ფედერალურ კანცლერს ჰელმუთ შმიდტს უკვე აღარ გაჰყვებოდა.

კოალიციაში პატარა პარტიისათვის უფრო ძნელია იდენტურობის შენარჩუნება, თუ ის არ არის მზად თამამი და ნათელი გადაწყვეტილებების მისაღებად. ძირითადი კანონი ფედერალურ კანცლერს და აქედან გამომდინარე მის პარტიასაც გამორჩეულ მდგომარეობაში აყენებს; კოალიციის უფრო პატარა წევრი კი, პირიქით, საკამათო საკითხების განხილვისას სულ იოლად აღმოჩნდება ხოლმე კრიტიკანის როლში, თუნდაც კარგად დასაბუთებული არგუმენტები წარმოადგინოს. ამას ისიც ემატება, რომ დიდი პარტია, როგორც წესი, ფართო მხარდაჭერას პოულობს საზოგადოებაში. ეს მე ხშირად ამიხსნია ტრამვაის მაგალითზე: თუ ტრამვაიში ოცი კაცი ზის და ამ დრო ამოდის ქდკ-ის ერთი მომხრე, მას შეუძლია — ქდკ-ის მდგომარეობის მიხედვით — ივარაუდოს, რომ იქ შეკრებილთაგან შვიდი-რვა კაცი მისი თანამოაზრე იქნება. სოციალ-დემოკრატებთან მიმართებაშიც მსგავსი ვითარებაა. ხოლო თუ ლიბერალი შემოდის ამ ტრამვაიში, მას იქ ერთი ან ორი თანამოაზრის პოვნის იმედი თუ ექნება. რაკიღა საზოგადოებაში განწყობილება ლიბერალების საწინააღმდეგოა, ჩვენმა მომხრეებმა ერთი ათად მეტი თანადგომის უნარი უნდა გამოავლინონ, ვიდრე დიდ-დიდი პარტიების წევრებმა.

სამთავრობო პარტიების თანამშრომლობაში — თუკი თითოეული პარტნიორის თავისთავადობა და დამოუკიდებლობა არ არის

გარანტირებული, ან კიდევ მათ შორის გულისხმიერი დამოკიდებულება არ შეიმჩნევა — ძირითადად ორი ტენდენციაა შესაძლებელი: მზარდი გაუცხოება მზარდი დაპირისპირების ვითარებაში ან მზარდი სიმბიოზი. იმგვარ დამოკიდებულებას, როგორსაც ქრისტიანულ-დემოკრატიული/ქრისტიანულ-სოციალური კავშირები კოალიციაში მათი პარტნიორის, თავისუფალი დემოკრატიული პარტიის, მიმართ 1966 წლამდე იჩენდნენ, არ შეიძლებოდა პოზიტიური გრძნობები აღეძრა. თუ გავიხსენებთ, რომ ადენაუერი ცდილობდა უმრავლესობის უფლების მსგავსი საარჩევნო კანონით გაენადგურებინა თავისუფალი დემოკრატიული პარტია, — მაშინ ისიც გაგვახსენდება, როგორ სურდა მოგვიანებით კიზინგერს თავისუფალი დემოკრატიული პარტიის „პარლამენტიდან კატაპულტირება", და ბოლოს, თუ არც იმას დავივიწყებთ, როგორ ექცეოდა ქრისტიანულ-სოციალური კავშირი და განსაკუთრებით მისი თავმჯდომარე შტრაუსი თავისუფალ-დემოკრატიულ პარტიას, მაშინ მეგობრული გრძნობების ეს ნაკლებობა ძნელი გასაგები არ იქნება.

არცთუ მთლად განებივრებული ქრისტიანულ-დემოკრატიულ/ქრისტიანულ-სოციალურ კავშირებთან კოალიციური თანამშრომლობით, 1967 წელს თავისუფალი დემოკრატიული პარტია სოციალ-დემოკრატიულ პარტიასთან ერთად შევიდა მთავრობის შემადგენლობაში, იმ პარტნიორთან ერთად, რომელმაც მის მიმართ ბევრად უფრო მეტი გულისხმიერება გამოიჩინა, თუმცა დიდი ხნის განმავლობაში მათ ერთმანეთთან ახლო ურთიერთდამოკიდებულება არ ჰქონიათ. ნიშანდობლივი იყო უკვე საუბრები 1969 წელს მთავრობის შედგენის შესახებ. კავშირმა მკვეთრად უარყო წინადადება საგარეო საქმეთა სამინისტრო ვალტერ შეელისთვის ჩაებარებინათ. წინააღმდეგ ამისა, ვილი ბრანდტმა შეელს შესთავაზა: „თავისთავად ცხადია, თქვენ ჩაიბარებთ საგარეო საქმეთა სამინისტროს. კიდევ რომელ უწყებაზე ფიქრობთ? როგორც ფედერალური კანცლერი მე დაინტერესებული ვარ, რომ თქვენ სასწრაფოდ დაისვენოთ და ჩვენი ძლიერი პარტნიორი გახდეთ". ბრანდტს სურდა ჰყოლოდა ისეთი პარტნიორი, რომელსაც თავისი თვითმყოფადობა ექნებოდა; მან მართებულად ივარაუდა, რომ თავისუფალი დემოკრატიული პარტია, რომელსაც არ მოუწევდა ზრუნვა არსებობის შესანარჩუნებლად, უცილობლად უფრო მშვიდი, პროგნოზირებადი პარტნიორი იქნებოდა, ვიდრე ის

პარტია, რომელსაც ჰგონია, რომ მფრინავი გველებით უნდა მიიქ-ციოს ყურადღება.

ასე დამყარდა კოალიციაში შემავალ პარტიებს შორის, უპ-ირველესად ვილი ბრანდტის კანცლერობის ხანაში, სრულიად ახა-ლი კლიმატი. რა თქმა უნდა, არსებობდა მიჩვევის საშიშროება, რასაც შეეძლო ზიანი მიეყენებინა ლიბერალური იდენტურობისთვის. მანამდელი იუსტიციის მინისტრი ენგელჰარდი გვაფრთხილებდა ამ საშიშროების გამო, როდესაც ის კოალიციაში შემავალ ლიბერალე-ბზე ლაპარაკობდა; ვერნერ მაიჰოფერმა პირიქით, კოალიცია სო-ციალ-დემოკრატიულ პარტიასთან სწორედ რომ ისტორიული კავ-შირის რანგში აიყვანა — მოსაზრება, რომელსაც მე ნიადაგ უარვყ-ოფდი. კოალიციები, როგორც უკვე ითქვა, დროის რაღაც მონაკვე-თისთვის შექმნილი მიზნობრივი გაერთიანებებია. თუ მათ უფრო მეტი მნიშვნელობა მიენიჭებათ, სულ მცირე ერთი პარტნიორი მაინც — ხატოვნად თუ ვიტყვით — თავის სულს დაკარგავს.

აქედან გამომდინარე, ცნება „სოციალ-ლიბერალი" მე ყოველთვის პრობლემებს მიქმნიდა. ჩემთვის თავისუფალი დემოკრატიული პარ-ტია ლიბერალური პარტიაა და ყოველგვარი წანამატი მასზე უკვე გარკვეულ შეზღუდვას ნიშნავს. ეს განსაკუთრებით ითქმის იმ მცდე-ლობის გამო, რომელიც მიზნად ისახავდა, სოციალ-დემოკრატიული პარტიისა და თავისუფალი დემოკრატიული პარტიისაგან შემდგარი კოალიციისთვის ტერმინით „სოციალ-ლიბერალი" ერთგვარი იდეო-ლოგიური გუმბათი დაედგათ, რაც უკვე იმიტომ იყო უაზრობა, რომ კოალიცია მსგავს რამეს მისი დაარსებისას არ საჭიროებდა. ის ორი დიდი მიზნის განხორციელებას ისახავდა: გერმანიის საგარეო პოლი-ტიკა აღმოსავლეთის მიმართულებით უნდა გახსნილიყო და ამგვარ-ად დასაბამი მისცემოდა პერიოდს, რომელიც თამამი და შორს გათვლილი ნაბიჯებით ვითარებას ევროპაში უკეთესობისკენ შეცვლ-იდა. გზა შეთანხმებისაკენ და შემდეგ კი შერიგებისაკენ აღმოსავ-ლელ მეზობლებთან გერმანიის აღმოსავლური ხელშეკრულებებით და ევროთათბირის პროცესისთვის ჩვენი მხარდაჭერით უნდა გახსნი-ლიყო. შიდაპოლიტიკის თვალსაზრისით დასაძლევი იყო შეფერხე-ბები რეფორმების მიმდინარეობის პროცესში და შიდარეფორმების გზას უნდა შევდგომოდით: „სამოცდარვიანელები" კონსტიტუციურ გერმანიასთან უნდა შეგვერიგებინა და მათი ძალისხმევა დიდი მიზნების

განსახორციელებლად მიგვემართა.

ეკონომიკური და ფინანსური პოლიტიკა, რაც ადრე ლიბერალებსა და სოციალ-დემოკრატებს შორის დავის უმთავრესი საგანი იყო, კარლ შილერისა და ალექს მიოლერის წყალობით თავიდან მძაფრ დაპირიპირებაში არ გადაზრდილა. მათმა წასვლამ მთავრობიდან 1971-72 წლებში იმ მიზეზების გამო, რომლებიც მხოლოდ და მხოლოდ მათ საკუთარ პარტიაშივე იყო საძებნი — საფუძველი ჩაუყარა კოალიციის აღსასრულს, რაც ათი წლის შემდეგ განხორციელდა კიდეც, რადგანაც ჰელმუთ შმიდტს სულ უფრო და უფრო უჭირდა საკუთარ რიგებში წინააღმდეგობის დაძლევა. ასე და ამგვარად, საფინანსო და ეკონომიკური პოლიტიკა, ასევე დაპირისპირებულობა ნატოს ორმაგი გადაწყვეტილების გამო, გახლდათ ის საშინაო და საგარეო პოლიტიკური მიზეზები, რომლებმაც ბოლო მოუღეს თავისუფალი დემოკრატიული პარტიისა და სოციალ-დემოკრატიული პარტიის კოალიციას, რაც ოტო გრაფ ლამბსდორფისა და ჩემ მიერ არავითარ შემთხვევაში არ ყოფილა წინასწარ-განზრახულად წაქეზებული. ჩემთვის, როგორც პარტიის თავმჯდომარისათვის, კოალიციის გაგრძელება გაცილებით ადვილი გზა იქნებოდა: მე ვიცოდი, რას მიქადდა კოალიციური ცვლილებები.

საგარეო პოლიტიკის თვალსაზრისით გერმანიის სოციალ-დემოკრატიულ პარტიას აღარ შესწევდა უნარი, მთავრობის პოლიტიკის ცენტრალური ელემენტი — ნატოს ორმაგი გადაწყვეტილება — ეტვირთა. მაგრამ ეს მხოლოდ კოოპერირების უუნარობაში არ გამოიხატებოდა; საქმე უფრო მეტად უსაფრთხოებასა და კოოპერაციისთვის (აღმოსავლეთისკენ მიმართული კოოპერაციის ჩათვლით) მზადყოფნაზე დაფუძნებული რეალისტური საგარეო პოლიტიკის სუბსტანციას შეეხებოდა, აღმოსავლური პოლიტიკისა და დაძაბულობის შენელების პოლიტიკისას, რაც ლიბერალური იდენტურობის გამოხატულება გახლდათ. იმავდროულად სოციალ-დემოკრატიულმა პარტიამ ეკონომიკისა და საფინანსო პოლიტიკის სფეროში საბოლოოდ დაკარგა უნარი სტრუქტურული გარდაქმნისა, რომელიც საჭირო იქნებოდა საჯარო ხარჯების შემცირებისთვის და იმ ტვირთის შესამსუბუქებლად, რასაც მოქალაქეთა გადასახადები წარმოადგენდა. მოვლენათა ამ განვითარების შედეგების განჭვრეტა შესაძლებელი გახლდათ. გამოცდილება აქაც იგივე იყო: პრობლემე-

ბიც ქმნიან ხოლმე საკუთარ კოალიციას. როდესაც მე დაპირისპირების უმაღლეს ფაზაში ფრიდრიხ ნოვოტნისთვის მიცემულ ინტერვიუში, რომელიც „ბერიხტ აუს ბონ"-ში დაიბეჭდა, დამატებით გადასახადზე საუბრის დროს ვთქვი: „დამატებითი გადასახადი მკვდარია, უფრო მკვდრად ყოფნა შეუძლებელია", ნათელი იყო, რასაც ნიშნავდა ეს მკვახე გამონათქვამი – აქამდე და არც ერთი ნაბიჯი ამას იქით.

1981 წლის 20 აგვისტოს ჩემ მიერ თავისუფალი დემოკრატიული პარტიის წევრებისთვის გაგზავნილ, ეგრეთ წოდებულ „გარდატეხის წერილში", მძიმე საბიუჯეტო მდგომარეობაზე მივუთითებდი და განემარტავდი, რაოდენ საჩქარო იყო, უარი გვეთქვა აზროვნების ძველ წესზე. „საჭიროა გარდატეხის შეტანა აზროვნებაში და მოქმედებაში. საჭიროა დაიმსხვრეს მომხმარებლური მენტალიტეტი, რომელიც იმიტომ კი არ გაჩნდა, რომ დღეს მცხოვრები და მომუშავე თაობა ნაკლებად არის მზად წარმატებული მოღვაწეობისათვის, ვიდრე მისი წინამორბედი, არამედ იმიტომ, რომ ზოგიერთი კანონი პირდაპირ გაქეზებს (სიტყვა „გაცდუნებს" რომ არ ვიხმაროთ) მომხმარებლობისკენ. საჭიროა შემობრუნება. ახლა დადგა დრო, გეზი მეტი პასუხისმგებლობისკენ, ქმედითობისა და თვითგამორკვევისკენ, ანუ მეტი თავისუფლებისკენ ავიღოთ. ჩვენი საზოგადოების ძირითადი ტენდენცია არ არის მიმართული მეტი სახელმწიფოებრიობისკენ. ჩვენ ახლა უნდა გადავწყვიტოთ, როგორი იქნება ჩვენი მომავალი". ეს იყო ლიბერალური რეფორმატორული პოლიტიკის მოთხოვნა შეცვლილი ეკონომიკური ჩარჩოპირობების ვითარებაში. ბოლოს ნათლად განვაცხადე, რომ შემობრუნების ამ პოლიტიკის დამკვიდრება სოციალ-დემოკრატიული და თავისუფალი დემოკრატიული პარტიისაგან შემდგარ კოალიციაში შემდგომაც უნდა გაგრძელებულიყო. „ჩვენ ყველაფრის გაკეთება გვსურდა, რათა მთავრობასა და კოალიციას ივლისის გამამხნევებელი დასაწყისის შემდეგ დასახული მიზნისთვის მიეღწია". ლაპარაკი „გამამხნევებელ დასაწყისზე" შეიძლება ცოტა გადაჭარბებულიც იყო, მაგრამ ამით ვცდილობდი მთავრობაში თანამშრომლობისათვის ახალი იმპულსი მიმეცა. შემთხვევითი როდი იყო 1981 წლის ზაფხულში „შპიგელის" ერთი სტატიის ასეთი სათაური: „ქველმოქმედი სახელმწიფო მეტად ვეღარ დაფინანსდება". ამგვარად, თავისუფალი დემოკრატიული პარტიის ამოცანას

იმაში ვხედავდი, რომ მას, როგორც გზის გამკვალავს, ახალ ეკონომიკურ მოცემულობათა სრუქტურიზება უნდა მოეხდინა.

„გარდატეხის წერილი“ რაც შეიძლება სწრაფად უნდა შექმნილიყო და ის ჩვენგან უნდა წამოსულიყო — ვალტერ შეელთან წერილის გაგზავნამდე ვისაუბრე მის შინაარსზე და მან გაიზიარა ჩემეული ხედვა. ლიბერალური პარტიის უმნიშვნელოვანეს მიზნებს განეკუთვნება ცვლილებათა სხვადასხვა ფაზებში სულიერი ხელმძღვანელობის საკუთარ თავზე აღება და ახალი ჰორიზონტების წარმოჩენა. ლიბერალური პოზიციის განსაზღვრა საზოგადოებრივი, ეკონომიკური და საფინანსო პოლიტიკის მიმართ, რაც 1981 წელს კიოლნში პარტიის ფედერალურ ყრილობაზე ჩემი მოხსენების ერთ-ერთი მთავარი თემა გახლდათ, საზოგადოების მიერ ვერ იქნა ჯეროვნად გაცნობიერებული. მეორე მთავარმა თემამ — ნატოს ორმაგმა გადაწყვეტილებამ — გადაფარა სხვა ყველაფერი. მთელი თავისი ავტორიტეტის გამოყენება დასჭირდა ჰელმუთ შმიდტს, რათა მიეღწია, რომ 1981 წელს პარტიის ყრილობაზე გერმანიის სოციალ-დემოკრატიულ პარტიას ნატოს ორმაგ გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით მთავრობის ხაზიდან არ გადაეხვია. შექმნილ სიტუაციაში მე მას გვერდით დავუდექი. როდესაც პარტიულ ყრილობაზე ჩემი გამოსვლის შემდეგ გაკეთდა განაცხადი, რომლის მიხედვითაც შეიარაღების გაზრდა ხმელეთზე კი არა, ზღვაზე უნდა განხორციელებულიყო, კენჭისყრას ამის შესახებ მე დავუკავშირე ნდობის საკითხი, ჩემი, როგორც პარტიის თავმჯდომარისა და საგარეო საქმეთა მინისტრისა. ეს ნაბიჯი იმიტომ როდი გადავდგი, რომ კენჭისყრის შედეგები მაეჭვებდა; სულაც არა: ნატოს ორმაგ გადაწყვეტილებას, რომლის უკან თავისუფალი დემოკრატიული პარტია იდგა, დიდი უმრავლესობა უჭერდა მხარს, და თვით შეიარაღების ზღვაზე განლაგების შესახებ კენჭისყრასაც კი ხმათა ორი მესამედის უპირატესობით მოვიგებდი. ჩემი პარტიული მეგობრები და ჟურნალისტები მეკითხებოდნენ, რატომ დავსვი ჩემი ნდობის საკითხი. მე ვუპასუხებდი: ამით მინდოდა სოციალ-დემოკრატიული პარტიისთვის მენიშნებინა, რომ უფრო დიდი კოალიციური პარტნიორის განზე გადგომა ნატოს ორმაგი გადაწყვეტილებისგან არამარტო სოციალ-დემოკრატიულ პარტიასა და ჰელმუთ შმიდტს შორის გამოიწვევდა კონფლიქტს, არამედ ეს კოალიციასაც ბოლოს მოუღებ-

და. ალიანსისგან ნატოს ორმაგი გადაწყვეტილების მხარდაჭერა ჩემ თვალში დასავლეთის საგარეო და უშიშროების პოლიტიკისათვის იმდენად მნიშვნელოვანი იყო, რომ არც კი შეეყოყმანდებოდი, მთავრობა ამ მიზეზით დამეტოვებინა და პარლამენტში ახალი უმრავლესობის ძებნა დამეწყო.

დისკუსიამ პრესაში ჩვენი კიოლნის ყრილობის შესახებ ისეთი მძაფრი ხასიათი მიიღო, რომ საზოგადოებრივი, ეკონომიკური და საფინანსო პოლიტიკა თითქმის მთლიანად ჩავარდა. ამიტომაც დავწერე მე „გარდატეხის წერილი". სამწუხაროდ, პარტიაში არსებობდა ძლიერი ძალები, ვისთვისაც სოციალ-დემოკრატებთან თანამშრომლობას მეტი წონა ჰქონდა, ვიდრე ლიბერალურ პოზიციაზე დგომას და ლიბერალურ რეფორმატორულ პოლიტიკას; ცნება „კოალიციური ლიბერალები" ამით კიდევ ერთხელ პოულობს გამართლებას. ზოგიერთმა მაშინდელმა შიდაპარტიულმა მოწინააღმდეგემ ერთი წლის შემდეგ მართლაც გადაინაცვლა სოციალ-დემოკრატიული პარტიის რიგებში.

კიოლნის პარტიული ყრილობიდან ერთი წლის შემდეგ, 1982 წლის 30 ივნისს კოალიციის დაშლას წინ აღარაფერი ედგა. ფედერალურ კანცლერ ჰელმუთ შმიდტს თავის ფრაქციაში სულ უფრო უმძიმდა მყარი ნიადაგის პოვნა. იგი გამოვიდა მწვავე, გამაფრთხილებელი მოხსენებით, რაც ცოტა ხნის შემდეგ საზოგადოებისთვისაც გახდა ცნობილი. მისი გამოსვლა დასტური იყო იმისა, თუ როგორ სავალალო მდგომარეობაში იმყოფებოდა ფედერალური კანცლერი თვით თავის ფრაქციაშიც კი.

ამ დღეს, 30 ივნისს, თავისუფალი დემოკრატიული პარტიის ფრაქციაშიც ვოლფგანგ მიშნიკმა და მე მხოლოდ ჩვენი პირადი ავტორიტეტის წყალობით შევძელით, დაგვეყოლიებინა ფრაქციის წევრები, ხმა მიეცათ საბიუჯეტო გადაწყვეტილებებისათვის. ხმის მიცემაზე პირველად ექვსმა დეპუტატმა თქვა უარი, მათ შორის ქალბატონმა ირმგარდ ადამ-შვეცერმაც, რომელიც მხოლოდ 1980 წლიდან იყო ბუნდესტაგის წევრი. ამ საქმესთან დაკავშირებით მან ჩემი ყურადღება მიიქცია თავისი დიდი კომპეტენტურობით და დამაჯერებელი არგუმენტაციით. პოლიტიკურ შეფასებაში ის მართალი იყო: გაძნელდებოდა ასეთი საბიუჯეტო პოლიტიკისთვის მხარის დაჭერა.

მიუხედავად ყველაფრისა, 1982 წლის ივნისში კოალიციის დაშლას მე სწორად არ მივიჩნევდი. ფედერალურ კანცლერ შმიდტს საშუალება უნდა მისცემოდა, პარტიასა და ფრაქციაში საჭე ემართა. შემოდგომაზე განსახილავი გვქონდა 1983 წლის ფედერალური ბიუჯეტის საკითხი და მერე გამოჩნდებოდა, შესწევდა თუ არა უნარი კოალიციას, გაეტარებინა ერთიანი პოლიტიკური კურსი. გადაწყვეტილებას 1983 წლის ფედერალურ ბიუჯეტთან დაკავშირებით უნდა ეჩვენებინა, მყარად იდგა ფეხზე კოალიცია თუ მისი დღეები უკვე დათვლილი იყო.

გერმანული საზოგადოება ამ თვეებში მიმდინარე მოვლენებზე მეტად მგრძნობიარედ რეაგირებდა. თავისუფალი დემოკრატიული პარტიის მიერ 30 ივნისის გადაწყვეტილებების მხარდაჭერამ პრესაში მძაფრი კრიტიკა გამოიწვია. ზაფხულის საპარლამენტო არდადეგებზე პრობლემებით დამძიმებულები მივდიოდით. ძალიან მაფიქრებდა სოციალ-დემოკრატიული და თავისუფალი დემოკრატიული პარტიის მიერ შედგენილი ფედერალური მთავრობის მომავალი.

უკან მოხედვისას იმ აზრზე ვრჩები, რომ სწორი იყო, როდესაც 1982 წლის 30 ივნისს კოალიციის დაშლა თავიდან იქნა აცილებული. ასეთი გადაწყვეტილების მიღების წინ ყველა ღონე უნდა გვეხმარა მთავრობის გადასარჩენად. ჩვენი მიზანი იყო ახალი აზროვნება შეძლებისდაგვარად არსებულ კოალიციაში დაგვენერგა. ამავე დროს ისიც ცხადი იყო, რომ კოალიციისთვის სიმართლის ჟამი დაჰკრავდა, როგორც კი 1983 წლის ბიუჯეტთან დაკავშირებით შეთანხმება იქნებოდა მიღწეული. შემდეგ უნდა გამართულიყო მართლაცდა საჯარო, პატიოსანი და საქმიანი მსჯელობანი.

ჰელმუთ შმიდტსაც კარგად ჰქონდა შეგნებული, როგორი საფრთხე ემუქრებოდა კოალიციას. ამიტომაც 1982 წლის აგვისტოს დამდეგს მან მე და ჩემი მეუღლე ჰამბურგში, თავის სახლში მიგვიწვია. ჩვენ ავტომანქანით წამოვედით ჰანოვერიდან, სადაც დილით მონაწილეობა მივიღეთ ჩემი კოლეგისა და მეგობრის დეტლევ კლაინერტის დაბადების დღესთან დაკავშირებულ მიღებაზე, რომელიც ქალაქის ძველი უბნის ერთ მშვენიერ ბარში დაბადებიდან ორმოცდამეათე წლისთავს ზეიმობდა. ბონელ ჟურნალისტს ქალბატონ ალმუთ ჰაუენშილდს, რომელიც მოწვეულ სტუმართა შორის იმყოფებოდა, აზრად მოუვიდა, რომ მე კლაინერტისათვის არნულფ ბარინგის

წიგნი „ძალაუფლების შეცვლა“ მეჩუქებინა.

ჰამბურგში, შმიდტის სახლის წინ მრავალრიცხოვანი საზოგადოება ტაშით შემოგვეგება. ყველა სატელევიზიო სადგური და უამრავი ფოტოკორესპონდენტი მოსულიყო. ეს იყო დასტური იმისა, თუ რა დიდი იმედით შეჰყურებდნენ ადამიანები სამთავრობო კოალიციის განგრძობას. ოთხნი ყავას მივირთმევდით. ბოლოს მე და ფედერალური კანცლერი განვმარტოვდით, მას შემდეგ, რაც ჩემმა მეუღლემ განაცხადა, თქვენ ნამდვილად რაღაც გექნებათ მოსათათბირებელიო. მისმა ნათქვამმა მოხსნა დაძაბულობა.

ორივენი ფედერალური კანცლერის პატარა სამუშაო კაბინეტისაკენ გავემართეთ. მის შეკითხვაზე, რა მიზნები მქონდა და რას ვფიქრობდი კოალიციის მომავალზე, მე მას ჩემი 1981 წლის 20 აგვისტოს გამოქვეყნებული წერილი შევახსენე და ვუთხარი, რომ მას შემდეგ აზრი არ შემიცვლია და განვაგრძე: კოალიციას შესწევს უნარი, გადაჭრას პრობლემები, თუკი ის ამას მოისურვებს. ამასთან მე ძალიან მეეჭვება, რომ ასეთი ნება კიდევ არსებობდეს. კოალიციის ბედი 1983 წლის ბიუჯეტის გარშემო გამართულ დებატებზე გადაწყდება. უკვე 30 ივლისს თავისუფალ დემოკრატიულ პარტიას მხარდაჭერის კიდევ ერთხელ გამოხატვა ძალიან გაუჭირდა. მე და ვოლფგანგ მიშნიკს მოგვიწია მთელი ჩვენი ავტორიტეტი გამოგვეყენებინა, რათა თავისუფალი დემოკრატიული პარტიის ფრაქციაში ხმათა უმრავლესობა მოგვეპოვებინა. მეორე მხრივ კი დიდი მოწიწების გრძნობით წავიკითხე, რაც თქვენ ამ თემაზე სოციალ-დემოკრატიული პარტიის ფრაქციის წინაშე გამოსვლისას ილაპარაკეთ-მეთქი. „სხვათა შორის, — დავძინე მე, — თქვენ ყოველთვის პირველი იქნებით, ვინც შეიტყობს, თუკი ჩვენ ამ მთავრობის მოღვაწეობისთვის წერტილის დასმას გადავწყვეტთ“. ვერ შევატყვე, როგორ იმოქმედა ამ საუბარმა შმიდტზე. ამიტომაც შმიდტის სახლი ლანგენჰორნში გაორებული გრძნობით დავტოვე. ამ შეხვედრას არც კავშირის გაწყვეტამდე, არც დაახლოებამდე არ მიეუყვანივართ, ყველაფერი ჰაერში დარჩა გამოკიდებული. ამას, რა თქმა უნდა, ზეგავლენა არ მოუხდენია იმ კრძალვაზე, რასაც მე კანცლერის მიმართ ვიჩენდი. ოღონდაც, რომ კარგად მესმოდა მისი მდგომარეობა.

იმ თვეებში მე ნიადაგ მაინტერესებდა ჰელმუთ შმიდტი როგორც ადამიანი. რამდენად შესწევდა მას კიდევ უნარი, სოციალ-დემოკრატიულ პარტიაში თავისი შეხედულებები გაეტარებინა? სიტუაცია, რომელშიც ის იმყოფებოდა, ლამის ტრაგიკული მეჩვენებოდა, რადგანაც მისი პოზიცია არაერთ საკითხში თანხვდებოდა ჩემს მოსაზრებებს, თუმცა ზოგჯერ — მაგალითად, გარემოს დაცვის საკითხში — ჩვენ განსხვავებული შეხედულებები გვქონდა. თავიანთი თავშეკავებული დამოკიდებულებით ამ პრობლემის მიმართ ის და ოტო გრაფი ლამბსდორფი უფრო ახლოს იყვნენ ერთმანეთთან, ვიდრე — გარკვეული თვალსაზრისით, პირიქით, — გერჰარტ ბაუმი და მე.

აგვისტოს განმავლობაში სულ უფრო იზრდებოდა ჩემი ეჭვები კოალიციის სიმტკიცესთან დაკავშირებით. 20 აგვისტოს, „გარდატეხის წერილის" გამოქვეყნებიდან ზუსტად ერთი წლის შემდეგ, ჟურნალისტთა წრეში განვმარტე ჩემი მოსაზრებები შექმნილ ვითარებასთან დაკავშირებით. დამსწრეთ წინასწარ შეთანხმებული კონფიდენციალობა დაიცვეს, რაშიც მე ღრმად ვარ დარწმუნებული. მოგვიანებით წამოყენებული მტკიცება, თითქოს პრესის წარმომადგენლებთან სხვა საუბრისას, ორშაბათს, 13 სექტემბერს, გამეკეთებინოს განცხადება კოალიციის დაშლის თაობაზე, სინამდვილეს არ შეეფერება. პირიქით კი მოხდა ყველაფერი: ამ საუბრის დროს მე ერთობ თავდაჭერილი ვიყავი და სიტუაცია კოალიციაში უფრო პოზიტიურად წარმოვაჩინე, ვიდრე რეალობა ამის საფუძველს მაძლევდა. კოალიციის დასასრულზე ლაპარაკიც არ ყოფილა. საპირისპირო მოსაზრებებს მხოლოდ საბაბი უნდა შეექმნა საიმისოდ, რომ ფედერალურ კანცლერს კოალიცია დაეშალა; ეს მაშინდელი სამთავრობო სპიკერის „სცენარით" გახლდათ გათვალისწინებული.

როდესაც 1982 წლის 1 სექტემბერს გამართულ მთავრობის სხდომაზე იყო მცდელობა, გარემოს დაცვის სფეროში მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგმულიყო, მე მივესალმე ამ გადაწყვეტილებას. ჰელმუთ შმიდტი დაჰყვა რჩევას, რომელიც მე მას ჰამბურგში მივეცი, რადგანაც სწორედ ამ სფეროში უნდა ყოფილიყო გზის გამკვალავი სოციალ-დემოკრატიული პარტიისა და თავისუფალი დემოკრატიული პარტიის კოალიცია. აქ იყო ძირითადი სიმძიმის ცენტრი იმ რეფორმატორული კოალიციისა, რომელსაც ჯერ კიდევ

აკუთვნებდა თავის თავს ორივე სამთავრობო პარტიას.

მხოლოდ ორიოდე დღის შემდეგ, 1982 წლის 9 სექტემბერს, ფედერალურმა კანცლერმა ჰელმუთ შმიდტმა გერმანიის ბუნდესტაგში გააკეთა მოხსენება ნაციის მდგომარეობის შესახებ და თან გამოხატა თავისი დამოკიდებულება კოალიციაში შექმნილი სიტუაციის მიმართ. მან კორექტულად განაცხადა, რომ არ შეეძლო ფედერალურ მთავრობაზე როგორც ერთ მთლიანობაზე ელაპარაკა: „ეტყობა, თავისუფალ დემოკრატიულ პარტიაშიც არის ერთი-ორი ისეთი კოლეგა, რომელსაც ადრე თუ გვიან ასეთი ცვლილებების იმედი აქვს". ხოლო ვისაც ამგვარი ცვლილება სურს, ეს „გულახდილად და პატიოსნად" თქვასო.

სიტყვაში, რომელიც ფედერალური კანცლერის პასუხად წარმოვთქვი, ის პრინციპები განვმარტე, რომლებიც სამთავრობო კოალიციაში ჩვენს ქმედებას განსაზღვრავდნენ. ჯერ ერთი: საიმედოობა საქმეში. მეორეც: ურთიერთნდობა და ურთიერთგაგება. თუცმა ერთ კოალიციაში ვიმყოფებით, მაგრამ ამავე დროს საკუთარი მიზნების მქონე დამოუკიდებელი პარტიაც ვართ. მესამე: კონკრეტულობა. მეოთხე: კოალიციას უნდა ჰქონდეს გაერთიანების ნება და უნარი, აგრეთვე მზად უნდა იყოს რეფორმებისათვის. შემდეგ გავიხსენე ჩემს 1981 წლის 20 აგვისტოს წერილში დასმული პრობლემები და მათი გადაწყვეტის ჩემს მიერვე დასახული გზები: „ამ წერილს არ შეუქმნია — როგორც ბატონმა კოლეგა ბრანდტმა თავის გამოსვლაში აღნიშნა — პრობლემები კოალიციისთვის, არამედ ეს იყო მცდელობა, კოალიცია ქმედითუნარიანი გაეხადა, რათა გარედან თავსმოხვეული პრობლემები ერთიანობის სულისკვეთებით გადაგვეჭრა". ორივე სამთავრობო პარტიამ თავიანთ პასუხისმგებლობას თავი გაართვამეთქი. „საზღვარი იქ უნდა გაივლოს, სადაც შეიძლება ერთმანეთს მეტისმეტი მოთხოვნები წაუყენონ, სადაც ერთ-ერთ მათგანს ან ორივეს ერთად თავიანთი იდენტურობის დაკარგვის საფრთხე შეექმნებათ. დემოკრატიული პარტიების იდენტურობის დაკარგვამ შეიძლება საპარლამენტო დემოკრატიის სუბსტანციის დაკარგვამდე მიგვიყვანოს". მე საზოგადოებრივი და ეკონომიკური რეფორმების პოლიტიკას მოვითხოვდი, როცა ჩემს 1981 წლის 20 აგვისტოს წერილს 1982 წლის აპრილში გამართული სოციალ-დემოკრატიული პარტიის ყრილობის გადაწყვეტილებებს ვუპირისპირდებოდი. იქ

სოციალ-დემოკრატიულმა პარტიამ ნამდვილი საშინელებათა კატალოგი შემოგვთავაზა: შრომის ბაზრის გადასახადი, საამორტიზაციო ანარიცხების შესაძლებლობის შემცირება, ცოლ-ქმრის გაყრაზე დაწესებული შეზღუდვა, მიწის რენტის გადასახადის გამკაცრება, გასართობ და სანახაობრივ ღონისძიებებზე გადასახადის მომატება, დამატებითი გადასახადის შემოღება, მაქსიმალური საგადასახადო ტარიფებისა და შრომით საქმიანობაზე გადასახადის გაზრდა, ანუ ყოველივე ის, რაც საინვესტიციო საქმიანობისა და წარმატების მოტივაციის პარალიზებას გამოიწვევდა.

ჰელმუთ შმიდტმა მაშინ, სოციალ-დემოკრატიული პარტიის ყრილობის დროს, ჰანს-იურგენ ვიშნევსკის პირით შემომითვალა: „არაფერი იჭმება ისე ცხლად, როგორც იხარშება". ეს ნიშნავდა: პარტიული გადაწყვეტილებები ერთია, მთავრობის მუშაობა — მეორე. ეს იყო 1982 წლის 23 აპრილს. ვიშნევსკის ვიზიტი გარკვეული თვალსაზრისით კანცლერის მხრივ ნდობის გამოხატვის ფორმა იყო და ასევე აღვიქვი მეც, მით უფრო, რომ ვიშნევსკისთან დიდი ხნის კოლეგიალურ-მეგობრული ურთიერთობა მაკავშირებდა. მან იცოდა, როგორ ვაფასებდი მის ადამიანურ და პროფესიონალურ თვისებებს; ეს გარემოება მას ძალიან გაუადვილებდა თავის მისიას. ცხადი იყო, შმიდტს ეკონომიკურ და ფინანსურ პოლიტიკასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებები მხოლოდ იმიტომ „გადაეყლაპა", რომ პარტიის ყრილობაზე ნატოს ორმაგი გადაწყვეტილება კიდევ ერთხელ გადაერჩინა. ეს შთაბეჭდილება, რა თქმა უნდა, არ იყო საკმარისი ჩემ დასამშვიდებლად, მაგრამ ფედერალური კანცლერის ჟესტი სათანადოდ დავაფასე. შესაბამისი იყო ჩემი რეაქციაც.

კოლეგებს თავისუფალი დემოკრატიული პარტიიდან ვურჩიე, თავი შეეკავებინათ ძლიერი თავდასხმებისაგან სოციალ-დემოკრატიული პარტიის წინააღმდეგ. როგორც პარტიის თავმჯდომარემ, 25 აპრილს ჰამბურგში განვაცხადე, რომ სოციალ-დემოკრატიული პარტიის მიუნხენური დადგენილებები მთავრობისა და კოალიციის პოლიტიკად ვერ იქცეოდა: „ჩვენ ვიძლევით ამის გარანტიას ჩვენი ეკონომიკის საინვესტიციო მზადყოფნისა და უნარიანობის ინტერესებიდან გამომდინარე". ამით მე ახალი არაფერი მითქვამს; ეგ იყო, სიცხადე შევიტანე კოალიციისა და მთავრობის პოლიტიკაში. ახლა სოციალ-დემოკრატიულ პარტიას თავისი პოზიცია უნდა ჩამოეყალიბებინა.

1982 წლის 5 სეტემბერს თავისუფალი დემოკრატიული პარტიის დეპუტატმა ვურბსმა „ჰერენჰაუს ბუხპოლცში“ წვეულება გამართა. ამ რესტორნიდან, რომელიც ბონის ჩრდილოეთით მთის კალთაზე მდებარეობს, მშვენიერი ხედი იშლება ბონსა და კიოლნს შორის. იქვე ახლოს, სოფელ ალფტერში მდებარეობს ლეგენდარული ტრაქტირი „შპარგელ-ვებერი“, რომელსაც თავისი შესანიშნავი სატაცურის კერძებით შორს აქვს სახელი გავარდნილი. რიხარდ ვურბსი, ხელოსანთა პალატის პრეზიდენტი კასელში, მისი სახელობის წრის დამფუძნებელი გახლდათ, რომელიც ეგრეთ წოდებული „ზილტერის წრის“ საპირწონეს ქმნიდა. იქ იკრიბებოდნენ დეპუტატები, რომლებიც თავს თავისუფალი დემოკრატიული პარტიის „სოციალ-ლიბერალურ“ ფრთას აკუთვნებდნენ.

„ვურბსის წრის“ შეხვედრებზე მე რეგულარულად მეპატიჟებოდნენ, მაგრამ იშვიათად მივდიოდი, რადგანაც, როგორც პარტიის თავმჯდომარეს, მსურდა დამოუკიდებლობა შემენარჩუნებინა: ბოლოს და ბოლოს მე ხომ მთელ პარტიას წარმოვადგენდი. იმ დღეს კი კოალიციის მდგომარეობის გამო იყო ბჭობა და მას შემდეგ, რაც თავისუფალმა დემოკრატიულმა პარტიამ 30 ივნისის სხდომაზე ბიუჯეტს დაუჭირა მხარი, ეტყობოდა, წრის წევრებს გადაეწყვიტათ, უფრო მტკიცე პოზიცია დაეკავებინათ. ამავე დროს ჩანდა, რომ კოალიციის აღსასრულს უკვე შეგუებოდნენ. გაცნობიერებული ჰქონდა თუ არა ყველას, რა სიძნელეები მოჰყვებოდა კოალიციის შეცვლას, ეს მაინც კითხვის ნიშნის ქვეშ იდგა.

## *დასასრული*

14 სექტემბერს, ოთხშაბათს, კაბინეტის ბოლო სხდომა უნდა გამართულიყო. ეს მინისტრებს თავისუფალი დემოკრატიული პარტიიდან ჯერ არ ჰქონდათ გაცნობიერებული. ფედერალურმა კანცლერმა შმიდტმა გრაფ ლამბსდორფს პასუხი მოსთხოვა „ლამბსდორფის დოკუმენტად“ ცნობილი მისი რეკომენდაციების გამო, რასაც იგი მთელ რიგ პუნქტებში არ ეთანხმებოდა. კითხვაზე, ჩაფიქრებული იყო თუ არა ის, როგორც კოალიციის დაშლის დოკუმენტი, ლამბსდორფმა უპასუხა, რომ წამოაყენა წინადადებები, რომელსაც კო-

ალიციის ამჟამინდელ კრიზისთან არაფერი ჰქონდა საერთო. მართლაც, ლამბსდორფის დოკუმენტი არც კავშირის მხრიდან ყოფილა დიდი აღფრთოვანებით მიღებული. ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილის ბიდენკოპფის თვალსაზრისით, ეს არ წარმოადგენდა „ახალი უმრავლესობის დამფუძნებელ დოკუმენტს", ხოლო ფრანც იოზეფ შტრაუსმა ის ტაქტიკურ საარჩევნო მანევრადაც კი მონათლა, რომელსაც ალიბის ფუნქციაც ეკისრებოდა. კოალიციის მოლაპარაკებისას, რომელიც ერთი დღით ადრე, 13 სექტემბერს, კანცლერის აგარაკზე გაიმართა, ჩემი რჩევის მიუხედავად არც შმიდტმა მიიღო ლამბსდორფის დოკუმენტი დისკუსიის საფუძვლად.

დოკუმენტი ამ ფორმით პოლიტიკურად განუხორციელებელი იყო, ხოლო საბაზრო მეურნეობის ეკონომიკურ ჩარჩოპირობებს პოლიტიკური მიზნების განხორციელებადობაც განეკუთვნება. თუმცაღა ეს მაინც გამოდგებოდა ეკონომიკურ საკითხებზე დისკუსიის ბაზისურ დოკუმენტად, რადგანაც ის ბიუჯეტის კონსოლიდაციისთვის თამამი ნაბიჯების მთელ კატალოგს გვთავაზობდა. როგორც მთლიანი კონცეფცია კი ის დღემდე არ არის განხორციელებული.

სოციალ-დემოკრატიული პარტია ამის შემდეგ ამ დოკუმენტს სახრედ იყენებდა თავისუფალი დემოკრატიული პარტიის წინააღმდეგ. ამიტომაც გადაეწყვიტე ჩემი კოლეგა გრაფი ლამბსდორფი სოციალ-დემოკრატიული პარტიის მხრიდან თავდასხმებისგან დამეცვა: „ვისაც გრაფი ლამბსდორფის წინადადებებიდან თუნდაც ერთი სწორად არ მიუჩნევია, იმის უფლება მაინც არ უნდა მიეცა საკუთარი თავისთვის, ამ ფორმით ჩაბმულიყო კამათში".

იმას, რომ ავტორმა თავისი დოკუმენტი დამუშავების შემდეგ ფედერალურ კანცლერს შმიდტს გადასცა, შემდეგ კი პრესას მიაწოდა, ვოლფგანგ მიშნიკი და მე მაინც დიდ შეცდომად' მივიჩნევდით. ცდუნება, ეს თხზულება ჰესენის სამხარეო საპარლამენტო არჩევნების დროს ან საერთოდ საჯარო დებატებში ჩვენს წინააღმდეგ გამოეყენებინათ, უბრალოდ ძალიან დიდი იყო და ამ ცდუნებას გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტია ვერ გაუძლებდა. თავისუფალი დემოკრატიული პარტია, თავის მხრივ, მზად არ იყო ლამბსდორფის თეზისები გამოექვეყნებინა, და ამ ფორმით ის არც ჩვენი პარტიის მმართველ ორგანოებში ყოფილა მიღებული, თუმცა მათი არსი ჩემს მიერ 1981 წლის 20 აგვისტოს გამოქვეყნებულ „გარდა-

ტეხის წერილს“ მთლიანად შეესაბამებოდა.

მოგვიანებით 1982 წლის კოალიციურ ცვლილებასთან დაკავშირებით სხვათა შორის გაისმა ბრალდება, თითქოს ცვლილების მოტივი ის უნდა ყოფილიყო, რომ, როცა 1981 წლის ბოლოს კოალიციაში ეგრეთ წოდებული პარტიული შემოწირულობების ამნისტიის თაობაზე საჯარო დებატები გაიმართა, სოციალ-დემოკრატიულმა პარტიამ საბოლოოდ მხარი არ დაუჭირა ამ საკითხს. ეს ტყუილია; კოალიციურ ცვლილებასთან მიმართებით ამ საკითხს არავითარი როლი არ უთამაშია. 1980 წლის საარჩევნო ბრძოლის დროს ცნობილი გახდა ნორდრაინ-ვესტფალენის სამხარეო გაერთიანების ხაზინადარის, ეკონომიკის ფედერალური მინისტრის ოტო გრაფ ლამბსდორფის წინააღმდეგ დაწყებული მოკვლევების შესახებ, რაც პარტიული შემოწირულობების თაობაზე სხვადასხვა საგამოძიებო საქმიანობის მხოლოდ დასაწყისი გახლდათ. 1981 წლის ბოლოს ამ საქმეში ამნისტიასთან დაკავშირებული საკითხები სერიოზული მსჯელობის საგნად იქცა. ეს ყველა პარტიას შეეხო და დისკუსიაშიც ყველამ მიიღო მონაწილეობა, მათ შორის გერმანიის სოციალ-დემოკრატიულმა პარტიამაც. მაგრამ დასჯის პრაქტიკა ცალკეულ ფედერალურ მხარეებში სრულიად სხვადასხვანაირი იყო და წარსულის მანკიერებისგან განწმენდა გარდაუვალი ჩანდა. ამავდროულად პარტიების დაფინანსება სამომავლოდ წუნდაუდებელ სამართლებრივ საფუძველზე უნდა აშენებულიყო. არამარტო თავისუფალ დემოკრატიულ პარტიაში, არამედ სოციალ-დემოკრატიულ პარტიასა და ქრისტიანულ-დემოკრატიულ/ქრისტიანულ-სოციალურ კავშირებშიც გაისმა ხმები ამნისტიის სასარგებლოდ. გაიმართა აგრეთვე პარტიათა ხაზინადარების საუბრები ერთმანეთს შორის; მაგალითად, თავისუფალი დემოკრატიული პარტიის ფედერალური ხაზინადარი ჰაინც ჰერბერტ კარი, რომელიც შემდეგ მოკლეს, მჭიდროდ თანამშრომლობდა სოციალ-დემოკრატიული პარტიის ხაზინადართან ალფრედ ნაუსთან. გარდა ამისა ის დაელაპარაკა ჰესელბახს, რომელიც წლების განმავლობაში თავმჯდომარეობდა საზოგადო მეურნეობის ბანკის გამგეობას, და როგორც ფრიდრიხ ებერტის ფონდის თავმჯდომარე, პარტიების დაფინანსების პრობლემების შესახებ ამომწურავ ინფორმაციას ფლობდა. მაგრამ აზრი ამ საკითხთან დაკავშირებით მაინც ორად დარჩა გაყოფილი, და ჩვენთანაც ამნის-



*1982 წლის 17 სექტემბერს სამთავრობო ლოჟა უჩვეულოდ გამოიყურებოდა: თავისუფალი დემოკრატიული პარტიის წარმომადგენელ მინისტრთა სკამები ცარიელი იყო. კოალიციური ცვლილება გადაწყვეტილი საქმეა.*

ტიამ დიდი კამათი გამოიწვია, ბოლოს კი ისიც ცხადი გახდა, რომ იგი განუხორციელებელი იყო. თუნდაც ამიტომ ეს საკითხი არ შეიძლებოდა კოალიციის დაშლის საბაბი ყოფილიყო. გადამწყვეტ როლს თამაშობდა მზარდი წინააღმდეგობა კოალიციაში შემავალ პარტიებს შორის საფინანსო, საბიუჯეტო, ასევე უშიშროების და უწინარეს ყოვლისა კი ნატოს ორმაგი გადაწყვეტილების განხორციელების პრობლემებზე.

შიდაპოლიტიკური მდგომარეობა თავისუფალ დემოკრატიულ პარტიაში უფრო და უფრო კრიტიკული ხდებოდა: ერთნი კოალიციის დაშლას მოითხოვდნენ, მეორენი – მის გაგრძელებას. მე კი მინდოდა საქმეზე ორიენტირებული გადაწყვეტილება ყოფილიყო მიღებული. რაც შეეხებოდა ნატოს ორმაგ გადაწყვეტილებას, ჩემთვის სულ უფრო ცხადი ხდებოდა, რომ ის გერმანიის სოციალ-დემოკრატიულ პარტიასთან ერთად ვეღარ განხორციელდებოდა, ხოლო სა-

ფინანსო და ეკონომიკურ პოლიტიკაში დაუყოვნებლივ პასუხს მოითხოვდა კითხვა, შესაძლებელი იქნებოდა თუ არა შეთანხმების მიღწევა 1983 წლის ბიუჯეტის პროექტთან დაკავშირებით. რა მძიმე შედეგები მოჰყვებოდა კოალიციის დაშლას, კარგად მქონდა გაცნობიერებული. ის, რომ მე „სიამოვნებით" ვმუშაობდი კოალიციის დასაშლელად, ლეგენდაა და მეტი არაფერი. მე პოლიტიკური განსჯის საკმაო უნარი გამაჩნდა იმის წარმოსადგენად, თუ რა მძიმე იქნებოდა კოალიციის დაშლა არამარტო თავისუფალი დემოკრატიული პარტიისთვის, არამედ პირადად ჩემთვისაც. ეჭვს გარეშეა, კოალიციის შენარჩუნება უფრო ადვილი იქნებოდა. მაგრამ მაშინ მე ცენტრალური ლიბერალური პოზიციების ერთგული ვეღარ დავრჩებოდი და ამისათვის მზად არ ვიყავი. ჩემი, როგორც პარტიის თავმჯდომარის პასუხისმგებლობა და ჩემი ლიბერალური შეხედულებები მაიძულებდა სწორი, თუმცა არცთუ ადვილი გზით მევლო. ამგვარად, მე გადავწვიტე ჩემს მიერ მართებულად მიჩნეული პოლიტიკის და მთელი ქვეყნის ინტერესების გამო თავისუფალი დემოკრატიული პარტიის ბედი, ისევე როგორც ჩემი პირადი პოლიტიკური მომავალი სასწორზე შემეგდო. ეს არ იყო ტაქტიკური ხასიათის გადაწყვეტილება. აქ საქმე ლიბერალური იდენტურობის საკითხს შეეხებოდა: ნატოს ორმაგ გადაწყვეტილებასთან დაკავშირებულ ლიბერალურ საგარეო პოლიტიკის უსაფრთხოების საფუძვლებს, თავისუფლების პოლიტიკის საზოგადოებრივპოლიტიკურ და საზოგადოებრივი ბიუჯეტის კონსოლიდაციის, მაშასადამე, ცალკეული ადამიანებისთვის თავისუფალი სივრცის უზრუნველყოფის საკითხებს შეეხებოდა, საპირიპიროდ ზედმეტი სახელმწიფოებრივი ჩარევისა, რაც ერთის მხრივ სახელმწიფო დავალიანების, მეორეს მხრივ გადასახადების და შესაკრებელთა გაზრდის მეოხებით შესრულებული სამუშაოდან მიღებულ შემოსავალს შეამცირებდა. ამასთან ერთად, ძალიან კარგად ვიცოდი, რომ მთელი პასუხისმგებლობა საკოალიციო ცვლილების გამო მე დამაწვებოდა, პასუხისმგებლობა, რომელიც მზად ვიყავი მეტვირთა. თუ ჰელმუთ კოლი მოგვიანებით ვინმე ჟურნალისტს ეტყოდა, რომ ამ დიდ შემობრუნებაში მე მიმიძღვოდა ისტორიული წვლილი, ეს არც არავის უნდა გაეხადა საკამათო.

1982 წლის ზაფხულის თვეებში მე უარი ვთქვი ყოველგვარ კონტაქტზე ჰელმუთ კოლთან, ქრისტიანულ-დემოკრატიული პარტიის

თავმჯდომარესთან. 1982 წლის ზაფხულში მისთვის არც დამირეკავს და არც მინახავს ის, არც შვებულებაში ყოფნისას, თუმცა არდადეგების დროს ერთმანეთისგან არც ისე შორს ვიმყოფებოდით — ის, ჩვეულებრისამებრ, ზალცბურგის სანახებში, ვოლფგანგზეეზე ისვენებდა, მე — ბერხტესგადენში. ვინაიდან ვხვდებოდი, რომ შემოდგომაზე ალბათ კოალიცია არსებობას შეწყვეტდა, არ მინდოდა ჰელმუთ კოლთან კონტაქტების გამო კიდევ უფრო გამეღვივებინა კოალიციის გარშემო ატეხილი სპეკულაციები ანდა სულაც საბაბი მიმეცა მავანთათვის, რომ ეს ყველაფერი პოლიტიკურ შეთქმულებად მოენათლათ.

ბოლოს და ბოლოს ყოველი კოალიციური ცვლილება მუდამ ეჭვებს ბადებს. ამიტომაც უფრო მეტად მიღირდა სოციალ-დემოკრატიულ პარტიასთან კორექტული ურთიერთობა, მეტადრე ფედერალურ კანცლერ ჰელმუთ შმიდტთან, რომელსაც არსებითად თანამოაზრედ ვთვლიდი. იოტისოდენა შთაბეჭდილებაც არ უნდა შექმნილიყო, რომ ჩვენ ერთმანეთს ვმტრობდით.

ეჭვი, რომ თითქოს მე და ჰელმუთ კოლი ერთმანეთს ზაფხულში შევხვდით, ფრანც იოზეფ შტრაუსსაც აწვალებდა. უშუალოდ კოალიციის დაშლის შემდეგ ბონში ბავარიის სამხარეო წარმომადგენლობაში სტუმრობის დროს, მან საყვედური მითხრა, თითქოს მე კოლს შევთანხმებოდი, კოალიცია სექტემბრის დასასრულს ან ოქტომბრის დასაწყისში დაგვეშალა. მისი სიტყვით, ამაზე ჩვენ ზაფხულში ბერხტესგადენში შეხვედრის დროს მოვილაპარაკეთ; ამის შესახებ მას თურმე „შტერნში“ ამოეკითხა. არჩევანი დროის ამ მონაკვეთზე თურმე იმიტომ შეგვიჩერებია, რომ მას, შტრაუსს, ბავარიის ლანდტაგის არჩევნების გამო — ეს არჩევნები 10 ოქტომბერს გაიმართა — არ შეეძლო ბონში ჩამოსულიყო. „ბატონო შტრაუს, — შევესიტყვე მე, — მინდა დაგარწმუნოთ, რომ ჰელმუთ კოლი ამ ზაფხულს არ მინახავს. თქვენ და „შტერნს“ ეს ზაფხული 1981 წლის ზაფხულში აგერიათ, როცა ჰელმუთ კოლი და მე მართლაც შევხვდით ერთმანეთს“. მაგრამ შტრაუსი არ იჯერებდა. მას მიაჩნდა, რომ იგი გაინაპირეს.

ამავე დროს შტრაუსი არ იყო თანახმა, მთავრობის შედგენა ახალ არჩევნებამდე დაწყებულიყო. ჩემი ღრმა რწმენით, იგი იმედოვნებდა, სასწრაფო ვადამდელი არჩევნების საშუალებით თავისუ-

ფალი დემოკრატიული პარტია ბუნდესტაგის გარეთ დაეტოვებინა, ისე, რომ შემდეგ კავშირში შემავალ პარტიებს საკუთარი უმრავლესობით ემართათ მთავრობა. იგი მხიარულად მიყვებოდა, თუ როგორ მივიდა მასთან ჰანს-იურგენ ვიშნევსკი ჰელმუთ შმიდტის დავალებით და მოახსენა, რომ ფედერალური კანცლერი მოსალოდნელ საარჩევნო ბრძოლაში მთავრობის თვითმფრინავებს არ გამოიყენებდა. ამგვარად, სოციალ-დემოკრატიული პარტია ფრანც იოზეფ შტრაუსს მტკივნეულ ადგილზე შეეხო, მაგრამ შტრაუსი პროვოკაციაზე არ წამოგებულა.

იმ ამბავმა, თუ როგორ ჩაიარა პოლიტიკურმა გაყრამ სამთავრობო კოალიციის დაშლისას, გული მატკინა. ჩემზე უპირველესად იმან იმოქმედა, რომ ჰელმუთ შმიდტი შეეცადა ისეთი შთაბეჭდილება შეექმნა, თითქოს თავისუფალმა დემოკრატიულმა პარტიამ ხალისით დატოვა კოალიცია, თუმცაღა მან კარგად იცოდა, როგორი იყო მის პარტიაში შექმნილი რეალური ვითარება. მთავრობის მაშინდელი სპიკერის წიგნს, რომელიც კოალიციის დაშლიდან ცოტა ხნის შემდეგ გამოქვეყნდა, მხოლოდ ერთი ფუნქცია ჰქონდა — კოალიციის დაშლაში მე გამოვეყვანე დამნაშავე. შემობრუნების შემდეგ კიოლნში ჩატარებულმა სოციალ-დემოკრატიული პარტიის ყრილობამ დაუნდობლად გამოაშკარავა, თუ სად იდგა სინამდვილეში გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტია: ყოფილმა კანცლერმა საგარეო პოლიტიკისა და უშიშროების სფეროში თავისი პოზიციების გამო დელეგატთა მხოლოდ ოთხი პროცენტის ხმები მიიღო! სოციალ-დემოკრატიული პარტია ასევე კარგა ხნის წინ დაშორდა მასსა და თავისუფალ დემოკრატიულ პარტიას შორის შეთანხმებულ სამთავრობო პოლიტიკის საფუძვლებს საგარეო, უშიშროებისა და ფედერალური პოლიტიკის თვალსაზრისით ცენტრალურ საკითხში — ნატოს ორმაგი გადაწყვეტილების საკითხში.

წამყვანი სოციალ-დემოკრატების საქციელი კოალიციის დასასრულს ჭკუის სასწავლებელი გამოდგა. ჩემსა და თავისუფალი დემოკრატიული პარტიის წინააღმდეგ მიმართულ „ღალატის კამპანიაში“ უმეტესი მათგანი არ მონაწილეობდა: არც ბრანდტი, არც ვენერი, არც ნორდრაინ-ვესტფალენის პრემიერ-მინისტრი იოჰანეს რაუ და არც ოსკარ ლაფონტენი. იოხენ ფოგელმაც უარი თქვა

ამაზე, თუმცა ის პარტიას 1983 წლის მძიმე საარჩევნო ბრძოლაში უნდა გასძღოლოდა.

სოციალურ-ლიბერალური კოალიციის საბოლოო დასასრული 1982 წლის 17 სექტემბრის წინა კვირაში გაცხადდა. ჰელმუთ შმიდტი სრულიად გაემიჯნა ყველას. ვოლფგანგ მიშნიკისა და სხვათა მიერ მასთან კონტაქტის დამყარების ყოველი მცდელობა წარუმატებელი აღმოჩნდა. იმ კვირაში, რომელიც 13 სექტემბრით დაიწყო, ეტყობა, კანცლერმა კოალიციის დაშლის გადაწყვეტილება მიიღო.

როგორც ეს ყოველ შემოდგომაზე ხდებოდა, საგარეო უწყების სპიკერმა კარლ-თეოდორ პაშკემ ბონელი პრესის წარმომადგენლები თბომავლით გასასეირნებლად მიიწვია — ეს იყო 1982 წლის 15 სექტემბერს. ვიდრე პაშკე თავის ჯაზ-ანსამბლთან ერთად უკრავდა, იქ მყოფი ჟურნალისტები გაოცებას ვერ მალავდნენ ჩემი გულარხეინობის გამო. ისინი ლაპარაკობდნენ კანცელარიაში მიმდინარე მზადებაზე, რომელსაც წერტილი უნდა დაესვა კოალიციისთვის. ეს ჩემთვის მოულოდნელი არ ყოფილა.

17 სექტემბრის დილას, პარასკევს, ჩვენ ფრაქციის სხდომა გვქონდა. გრაფი ლამბსდორფი ჰელმუთ შმიდტთან საუბრის შემდეგ მოვიდა ჩვენთან. მას უთქვამს — ასე მოგვახსენა მან —, რომ სასტიკ წინასაარჩევნო ბრძოლას გაგვიმართავდა, მაგრამ გრაფ ლამბსდორფს შეეძლო მშვიდად ყოფილიყო: ეს ბრძოლა მხოლოდ პირადად ჩემ წინააღმდეგ იქნებოდა მიმართული. პრესის წრეებიდანაც მომესმა ხმები, რომ სოციალ-დემოკრატიული პარტიის ცენტრალურ ბიუროს უკვე შეეკვეთა ჰესენის ოლქში ჩასატარებელი საარჩევნო კამპანიისათვის პლაკატები, რომლებზეც ეწერა: „ღალატი ბონში“. „ჩვენ შმიდტს უნდა დაველაპარაკოთ“, ვუთხარი ვოლფგანგ მიშნიკს. „მე უნდა გადავდგე. მოქმედების დრო დადგა“.

ჰელმუთ შმიდტი საუბარზე მაშინვე დაგვთანხმდა. მან ბუნდესტაგის შენობაში მიგვიწვია, სადაც მას, ისევე როგორც ფედერალურ მინისტრებს, სამუშაო ოთახი ჰქონდა. ფედერალურმა კანცლერმა ცივად, მაგრამ კორექტულად მიმიღო. მე მას შევატყობინე, რომ კოალიციის დაშლის დრო დამდგარიყო. იმის მიხედვით, რაც ჩვენ საჯაროდ და კონფიდენციალურად გვესმის, აშკარაა, რომ სოციალ-დემოკრატებს ჩვენთან თანამშრომლობის სურვილი აღარ

აქვთ, რის გამოც მე მთავრობიდან უნდა გავიდე. იგივე ითქმის თავისუფალი დემოკრატიული პარტიის სხვა წევრებზეც, რომლებიც ფედერალურ მთავრობაში არიან-მეთქი.

ამავე დროს ღიად დავტოვე საკითხი, მე, როგორც პარტიის თავმჯდომარე, ჩემი კოლეგების სახელით ვლაპარაკობდი თუ არსებობდა გარკვეული შეთანხმება. სინამდვილეში შეთანხმება არ არსებულა: მე ვმოქმედებდი, როგორც პარტიის თავმჯდომარე. როცა პარტიის თავმჯდომარე ამ ვითარებაში განცხადებას აკეთებს გადადგომის შესახებ, თავისთავად ცხადია, რომ მისი პარტიის არც ერთი მინისტრი მთავრობაში აღარ უნდა დარჩეს. სხვათა შორის, ეს პუნქტი ჩემი პარტიული კოლეგების წრეში — როგორც მერე გაირკვა — ასევე არ ყოფილა საკამათო. შმიდტმა მიპასუხა, რომ მე მას დავასწარი: მას ისედაც განუზრახავს პარლამენტში გამოსვლისას ჩვენი განთავისუფლების შესახებ განცხადება გაეკეთებინა. ამით საუბარი დასრულდა. ის ოცი წუთი თუ გაგრძელდა. ჩვენ გამოვემშვიდობეთ ერთმანეთს.

გამიძნელდა კოალიციასთან გამოთხოვება. გონების თვალი გადავავლე თანამშრომლობაში გავლილ დროს. ამ მთავრობამ მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები მიიღო და ასევე მნიშვნელოვანი პრობლემებიც გადაჭრა. ამასთან პირადი ურთიერთობების კლიმატი ყოველთვის სასიამოვნო იყო. ძალიან დამენანა, რომ ყოველივე ასე დამთავრდა. თუმცა მოვლენების განვითარება ამით არ შეჩერებულა, სხვათა შორის იმიტომაც, რომ ჰელმუთ შმიდტს ხშირად უჭირდა, ჩემთან გულღია ყოფილიყო. თავმოყვარეობა თითქოს უკრძალავდა ჩემთან იმ სიძნელეებზე ლაპარაკს, რომელიც მას თავის პარტიაში ჰქონდა. ჩემთვის კი უხერხული იყო მასთან ამ თემაზე ჩამომეგდო საუბარი; ეს მას ნამდვილად ეწყინებოდა. და მაინც: ალბათ უკეთესი იქნებოდა, გულახდილად გვესაუბრა ამის შესახებ, მით უმეტეს, რომ ხანდახან მრჩებოდა შთაბეჭდილება, თითქოს ფედერალური კანცლერი სოციალ-დემოკრატიულ პარტიას იცავდა, თუმცა პრინციპში მე მამართლებდა.

რა თქმა უნდა, ჩვენ ხშირად ვუზიარებდით ხოლმე ერთმანეთს აზრებს კოალიციაში და მთავრობაში შექმნილ ვითარებასთან დაკავშირებით. მაგრამ ორივენი ვცდილობდით არ ჩამოგვეგდო საუბარი, იმის შესახებ, თუ რა პრობლემები ჰქონდა თითოეულ ჩვენგანს

საკუთარ პარტიაში, და თუ ვინ მოძღვრავდა ჰელმუთ შმიდტს ბოლოდროინდელ პოლიტიკურ საკითხებში და ვინ ახდენდა მასზე ზეგავლენას, ჩემთვის ბოლომდე აუხსნელი რჩება. ყოველ შემთხვევაში ჰანს-იურგენ ვიშნევსკი მისთვის ყოველთვის იყო მნიშვნელოვანი და კარგი მრჩეველი, კაცი, რომელიც პატიოსნად ცდილობდა, გაეადვილებინა თანამშრომლობა როგორც ჩემსა და ჰელმუთ შმიდტს, ასევე სოციალ-დემოკრატიულ პარტიასა და თავისუფალ დემოკრატიულ პარტიას შორის. ყოველდღიური თანამშრომლობა კარგად აეწყო. პარლამენტში ის ურთიერთნდობაზე დამყარებულ დამოკიდებულებას ეყრდნობოდა, რომელიც ვოლფგანგ მიშნიკსა და ჰერბერტ ვენერს შორის არსებობდა. ორივე მათგანი ფრაქციის იდეალური თავმჯდომარე იყო, როგორც მთავრობაში მყოფ თავიანთ პარტიულ მეგობრებთან, ისე ერთმანეთთან ურთიერთობებშიც. ეს დადებითად აისახებოდა თანამშრომლობაზე როგორც კოალიციაში, ისე მთავრობაში. ვილი ბრანდტიც, როგორც პარტიის თავმჯდომარე, ხელს უწყობდა თანამშრომლობას მთავრობაში; არასოდეს მე მისგან არ გამიგონია კრიტიკული შენიშვნა შმიდტის ან ვენერის მისამართით. ბრანდტი აშკარად დაინტერესებული იყო იმით, რომ მისი მემკვიდრე წარმატებული პოლიტიკოსი ყოფილიყო — მაშინაც კი, როცა თვითონ ამა თუ იმ საკითხზე განსხვავებული მოსაზრებისა გახლდათ.

1982 წლის 17 სექტემბერს ჩვენს წინაშე — ლიბერალების წინაშე — დაისვა კითხვა, სასწრაფოდ დაგვეწყო მთავრობის ჩამოყალიბება თუ დავლოდებოდით პარტიის ფედერალურ ყრილობას, რომლის გამართვაც ნოემბრისათვის იყო გადაწყვეტილი. მე დაბეჯითებით მოვითხოვდი, დაუყოვნებლივ დაგვეწყო საკოალიციო მოლაპარაკებები ქრისტიანულ-დემოკრატიულ/ქრისტიანულ-სოციალურ კავშირებთან. კავშირის პარტიებთან ერთად მთავრობის ჩამოყალიბების წინაპირობა იყო: პირველი — ერთობლივი პროგრამის გამო შეთანხმება, მეორე — 1983 წლის გაზაფხულისთვის გადმოტანილ ბუნდესტაგის არჩევნების თაობაზე შეთანხმება — რაც ჩემთვის Conditio sine qua non* იყო, რადგანაც მაქსიმუმ ნახევარ წელიწადში ამომრჩეველს საშუალება უნდა მისცემოდა, გადაწყვეტილება მიეღო როგორც ახალი მთავრობის შედგენის თაობაზე, ისე მის

* აუცილებელი პირობა (ლათინ.). (რედ.)

სამოქმედო პროგრამასთან დაკავშირებით. მაგრამ ეს კოალიციური ცვლილებების ცხელ ატმოსფეროში კი არა, არამედ ახალი ფედერალური მთავრობისა და მისი პროგრამის წარდგენის, შიდაპოლიტიკური ვნებათაღელვის დაცხრობისა და იმ საკითხზე გონივრული დისკუსიის შემდეგ უნდა მომხდარიყო, თუ რამ გამოიწვია ძველი მთავრობის დაშლა.

მე დღესაც მჯერა, რომ ეს — პოლიტიკური მორალის თვალსაზრისითაც — ერთადერთი სწორი გადაწყვეტილება გახლდათ. რა თქმა უნდა, შეგვეძლო გვეთქვა, რომ ჩვენ ბუნდესტაგის მანდატი გვაქვს, რომელსაც ვადა 1984 წლის შემოდგომაზე გაუდისო: ესე იგი, ჩვენ თავისუფლად შეგვეძლო ორი წელი კიდევ ვყოფილიყავით მთავრობაში. მაგრამ მე ვიცოდი, რომ თვით კონსტიტუციის ასოსა და სულისკვეთების შესაბამისად ჩატარებული აბსოლუტურად ლეგიტიმური სამთავრობო ცვლილებაც კი ამომრჩევლის მოტყუების დამღით იქნებოდა დაღდასმული. ამომრჩეველს თვითონ უნდა გადაეწყვიტა, რას მოელოდა ის ახალი კოალიციისა და მისი პროგრამისაგან. არჩევნები მკაფიო შედეგით დამთავრდა: თავისუფალი დემოკრატიული პარტიისა და ქრისტიანულ-დემოკრატიული/ქრისტიანულ-სოციალური კავშირების კოალიციამ 1983 წლის 6 მარტს ხმების სოლიდური უმრავლესობა მიიღო. ამასთან განსაკუთრებით შთამბეჭდავი იყო თავისუფალი დემოკრატიული პარტიის განაცხადი, რომელსაც საარჩევნო ბრძოლაში — და არამარტო იქ — სამთავრობო ცვლილებების მთელი ტვირთი უნდა ეტარებინა. ჩვენ გამოვიწვიეთ ეს და არა ქრისტიანულ-დემოკრატიულმა/ქრისტიანულ-სოციალურმა კავშირებმა, ისევე, როგორც 1969 წელს, როცა ჩვენ სოციალ-დემოკრატიულ პარტიასთან ერთად ჩამოვაყალიბეთ მთავრობა. კიდევ ერთხელ შეასრულა თავისუფალმა დემოკრატიულმა პარტიამ თავისი ამოცანა, გზა გაეხსნა განვითარების ახალი ეტაპებისთვის, თუმცაღა კავშირში საკმაოდ ჩქარა დაივიწყეს, ვისი ინიციატივით განხორციელდა სამთავრობო ცვლილებები. საზოგადოებაში კი ნაბიჯ-ნაბიჯ მკვიდრდებოდა შეხედულება, რომ არა პირადმა ინტერესებმა, არამედ მხოლოდ ობიექტურმა მიზეზებმა, ნათელმა პოლიტიკურმა პოზიციებმა ითამაშეს გადამწყვეტი როლი მთავრობის შეცვლაში. ეჭვებს ნიადაგი გამოეცალა და ფესვს ველარ იდგამდნენ, თუმცა გარდატეხის შემდეგ ზოგგან, მათ შორის თვით

თავისუფალი დემოკრატიული პარტიის შიგნითაც კი, იყო მათი გაღვივების მცდელობა.

1982 წლის 16 სექტემბერს, კოალიციის დაშლამდე ერთი დღით ადრე, ბუნდესტაგში საგარეო პოლიტიკაზე ვილაპარაკე. მაშინ მე სოციალ-დემოკრატიული პარტია გავაფრთხილე, კითხვის ნიშნის ქვეშ არ დაეყენებინა სამთავრობო კოალიციის მთავარი და გადამწყვეტი ტენდენცია საგარეო და უშიშროების პოლიტიკის სფეროში. მანამდე დეპუტატმა ქრისტიანულ-დემოკრატიული კავშირიდან, ვიორნერმა, სოციალ-დემოკრატიული პარტიის პოზიცია ასე ჩამოაყალიბა: „სოციალ-დემოკრატიული პარტია უარს აცხადებს ალიანსისა და მთავრობის პოლიტიკაზე. ამისათვის თქვენ საგარეო საქმეთა მინისტრს ან ქრისტიანულ-დემოკრატიულ/ქრისტიანულ-სოციალურ კავშირებს კი ნუ ამათრახებთ, არამედ საკუთარ თავს მიხედეთ და ბოლოს და ბოლოს, აღიარეთ ყველაფერი, რაც აქ ხდება! ბატონ ფედერალურ კანცლერს მხოლოდ ერთი რამ მინდა ვურჩიო: მისთვის ბევრად უკეთესი იქნებოდა და სხვათა შორის უფრო ღირებულიც, თუ ის საკუთარი პარტიული მეგობრების ორპირობისაგან როგორმე თავის დაცვას მოახერხებდა, ვიდრე ის, რომ ქრისტიანულ-დემოკრატიულ/ქრისტიანულ-სოციალურ კავშირებს მისდგომოდა და მათი სამშვიდობო შესაძლებლობები ეჭვქვეშ დაეყენებინა“. ქრისტიანულ-დემოკრატიულმა/ქრისტიანულ სოციალურმა კავშირმა გააცნობიერა, რომ ბზარი საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკაში სამთავრობო კოალიციაზე გადიოდა, რაც ფედერალური მთავრობის პოლიტიკას ფეხქვეშ ნიადაგს აცლიდა.

მხოლოდ ფედერალური კანცლერის შმიდტის 17 სექტემბრის გამოსვლის შემდეგ ველაპარაკე ჰელმუთ კოლს. პლენარულ დარბაზში ბოლთას ვცემდი: ჰოდა, ალბათ დადგა დრო, როცა საჭირო გახდა მასთან შეხვედრა და მოთათბირება. თუმცა არავინ დაგვიჯერებდა, რომ ამას ჩვენ პირველად ახლა ჩავდიოდით, მაგრამ ჩვენ ხომ ვიცოდით, რომ ასე იყო.

კოალიციურმა ცვლილებებმა თავისუფალ დემოკრატიულ პარტიაში მძაფრი კამათი გამოიწვია. ჩემთვის მნიშვნელოვანი იყო, რომ ჩემს შეხედულებებს ამის თაობაზე ყველა გავლენიან პარტიულ კომიტეტში ხმათა უმრავლესობა მიეღო. ჩემს რაიონულ გაერ-

თიანებაში — ვუპერტალში, საოლქო გაერთიანებაში, ნორდრაინ-ვესტფალენის სამხარეო გაერთიანებაში, ფედერალურ გამგეობაში, პარტიის ფედერალურ ყრილობაზე და ფედერალურ ფრაქციაში ცვლილებას მუდამ უმრავლესობა უჭერდა მხარს. ზოგიერთი, რომელიც ამას ეთანხმებოდა, ამავე დროს იზიარებდა მოარულ მტკიცებას, რომ თუმცა გადაწყვეტილება ძირითადად სწორი იყო, მაგრამ მისი განხორციელების ფორმა არ იყო უნაკლო. ამავე დროს ვერავინ ამბობდა, რომელი ფორმა იქნებოდა სწორი. იმ კვირებში ჩემთვის მხოლოდ პარტიის ერთიანობის შენარჩუნება იყო მთავარი და ამიტომაც ამ შიდაპარტიული კრიტიკისთვის პასუხი არ გამიცია. მოწინააღმდეგე თავისუფალი დემოკრატიული პარტიის გარეთ მეგულებოდა. მე ეს ყოველთვის ასე მიმაჩნდა.

როცა 1982 წლის 1 ოქტომბერს გერმანიის პარლამენტში საქმე უნდობლობის ვოტუმის გამოცხადებამდე მივიდა, მე სიტყვა არ ამიღია. ფრაქციის უმრავლესობის სახელით ლაპარაკობდნენ ვოლფგანგ მიშნიკი, როგორც ფრაქციის თავმჯდომარე, ასევე ჰილდეგარდ ჰამ-ბრიუხერი, ხოლო უმცირესობის სახელით გერჰარტ ბუმი გამოვიდა. მე რომ უარი ვთქვი სიტყვით გამოსვლაზე, ამას ხმათა უმრავლესობა უნდა უზრუნველეყო კენჭისყრისას, თუმცა ეს უარი ჩემთვის ადვილი სათქმელი როდი იყო. ბოლოს და ბოლოს, მე სოციალ-დემოკრატიული პარტიის კრიტიკის ქარ-ცეცხლში აღმოვჩდი. თავისუფალი დემოკრატიული პარტიის მხრიდან, გარდა ვოლფგანგ მიშნიკის სიტყვებისა, რომელიც ჰორსტ ემკეს რეპლიკამ გამოიწვია — ჩემს დასაცავად სიტყვა არ მოიძებნა. ეს ძალიან გულსატკენი იყო. რაინერ ბარცელმა კი, რომელმაც უნდობლობის ვოტუმი დაასაბუთა, ჩემ სასარგებლოდ ილაპარაკა. ამას არასოდეს დავუვიწყებ მას.

როდესაც საკოალიციო მოლაპარაკებებზე გადაწყდა, რომ 1983 წლის 6 მარტს გერმანიის ბუნდესტაგის ახალი არჩევნები გაიმართებოდა, წამოიჭრა ახალი, მრავალჯერ დისკუსიის საგნად ქცეული საკითხი: შეეძლო თუ არა თავისუფალ დემოკრატიულ პარტიას სიცოცხლისუნარიანობა შეენარჩუნებინა? 1982 წლის ბოლომდე „ღალატის კამპანიის“ შედეგად საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვის შემდეგ ლიბერალები ორი-სამი პროცენტის ანაბარა დარჩნენ. მიუხედავად ამისა, დარწმუნებული ვიყავი, რომ არჩევნები ჩვენი

საქმიანი პოზიციების წყალობით ჩვენთვის წარმატებული იქნებოდა. ერთმნიშვნელოვანი დამოკიდებულება საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის მიმართ, ერთის მხრივ, ეკონომიკური და საფინანსო პოლიტიკის მიმართ, მეორეს მხრივ, ამასთან თანხმობა კოალიციის შიგნით გარემოს დაცვის აქტიური პოლიტიკის საწარმოებლად, ერთგვარი სამოქალაქო მშვიდობის ჩამოგდება სამართალდაცვითსა და საშინაო პოლიტიკის სფეროში — ყოველივე ეს ჩვენთვის სასიცოცხლო მნიშვნელობის არჩევნებში არაჩვეულებრივად მყარ პლატფორმას ქმნიდა.

სუფთა სინდისით შემეძლო კონსტატირება, რომ თავისუფალი დემოკრატიული პარტიისა და ქრისტიანულ-დემოკრატიული/ქრისტიანულ-სოციალური კავშირების ერთობლივი სამთავრობო პროგრამა გამოკვეთილად ლიბერალური ხელწერისა იყო. ჩვენს ლიბერალურ იდენტურობას ზიანი არ მისდგომია, მით უფრო, რომ ჰელმუთ კოლმა საქმიანი მოლაპარაკებების დროს აღიარა, თავისუფალი დემოკრატებისთვის ზედმეტი მოთხოვნების წაყენება ახალ უმრავლესობას საფრთხეს შეუქმნისო. უწყებათა გადანაწილების დროს მოხდა ცვლილება, რადგანაც ძალთა შეფარდება ახალ კოალიციაში სხვაგვარი იყო, ვიდრე ძველში. სოციალ-დემოკრატიულ პარტიასთან თანამშრომლობისას ჩვენ — გამონაკლისად უნდა ჩაითვალოს დრო 1972-დან 1976 წლამდე — ბუნდესტაგში სიძლიერით მეორე ფრაქციას შესაძლებლობა მივეცით, 1969, 1976 და 1980 წლებში ფედერალური კანცლერი დაესახელებინათ. ჰელმუთ კოლი კი ყველაზე ძლიერი ფრაქციის თავმჯდომარე იყო.

ჩვენ შევინარჩუნეთ საგარეო უწყება, ეკონომიკის, სოფლის მეურნეობის სამინისტროები; შინაგან საქმეთა სამინისტროს მაგივრად ჩვენს თავზე ავიღეთ იუსტიციის სამინისტროს ხელმძღვანელობა; ჩემი დარჩენა საგარეო საქმეთა სამინისტროში ისეთივე თავისთავად გასაგები ჩანდა, როგორც იოზეფ ერტლისა სოფლის მეურნეობის სამინისტროში და ოტო გრაფ ლამბსდორფისა — ეკონომიკის სამინისტროში. მაგრამ ვინ უნდა გამხდარიყო იუსტიციის მინისტრი? მე ვკითხე გერჰარტ ბაუმს, მანამდელ შინაგან საქმეთა მინისტრს, იყო თუ არა ის ჩვენს განკარგულებაში. მას უარი ჰქონდა ნათქვამი „გარდატეხაზე", მაგრამ ლოიალურად იყო განწყობილი უმრავლესობის გადაწყვეტილებისადმი. ბერლინის პარ-

ტიულ ყრილობაზე მე მის კანდიდატურას აგიტაცია გავუწიე პარტიის თავმჯდომარის მოადგილის პოსტზე, და მერე თავისუფალი დემოკრატიული პარტიის მისი რაიონული გაერთიანების კრებაზე გავემგზავრე კიოლნში, რათა მებრძოლა ბუნდესტაგის წევრობის კანდიდატად მისი წამოყენებისათვის. გერჰარტ ბაუმს მაინც ვერ გადაეწყვიტა ფედერალურ მთავრობაში შესვლა, რადგანაც არ იყო დარწმუნებული, რომ ამ საქმეს სათანადოდ გაუძღვებოდა. მე ამ საშიშროებას ვერ ვხედავდი: ჩემის აზრით, ეს მხოლოდ იმაზე იქნებოდა დამოკიდებული, თუ როგორ პოლიტიკას გაატარებდა იგი. დეპუტატობის კანდიდატად მის დასახელებას ცხადი უნდა გაეხადა, რომ საკოალიციო ცვლილება სინამდვილეში პოზიციების ცვლილებას არ ნიშნავდა. გერჰარტ ბაუმის უარის შემდეგ ვთხოვე ჰანს ენგელჰარდს, აღიარებულ და თვალსაჩინო ლიბერალ მემარჯვენე პოლიტიკოსს, მიეღო ეს პოსტი. როდესაც მან თანხმობა განმიცხადა, ვურჩიე ფედერალური საინფორმაციო სამსახურის პრეზიდენტი კლაუს კინკელი, რომელთანაც მე ადრე მჭიდროდ ვთანამშრომლობდი — სტატს-მდივნად დაენიშნა. ენგელჰარდი დამთანხმდა. გადაწყვეტილება სწორი აღმოჩნდა. მე და კინკელი კვლავ დავუახლოვდით ერთმანეთს, ჩვენი ერთობლივი გზის ახალი მონაკვეთი დაიწყო.

ამასობაში ვითარება სოციალ-დემოკრატიული პარტიის შიგნით უფრო და უფრო ბუნდოვანი ხდებოდა. თვითონ ჰელმუთ შმიდტი იყო ის პიროვნება, ვინც ნათელი მოჰფინა ვითარებას, როცა უარი თქვა, ხელმეორედ ეყარა კენჭი კანცლერის თანამდებობაზე. მას რომ თავისი კანდიდატურა წამოეყენებინა, საზოგადოებაში მისი მაღალი ავტორიტეტის გამო სოციალ-დემოკრატიული პარტიის შანსები უკეთესი იქნებოდა. მაგრამ მან უარი თქვა. მისმა მოტივაციამ თავიდან ბოლომდე დაადასტურა ყველაფერი, რაც მე მანამდე კოალიციის დაშლის მიზეზად დავასახელე. მან მოიხსენია შიდაპარტიული უთანხმოებანი ეკონომიკის, საფინანსო და სოციალური პოლიტიკის საკითხებში, ბირთვული ენერგიის გამოყენებასთან მიმართებაში, გარემოს დაცვის პრობლემებსა და ნატოს ორმაგ გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით და ამგვარად ნათელყო, რაოდენ ღრმა განხეთქილება არსებობდა სოციალ-დემოკრატიულ პარტიაში. შმიდტმა სიტყვასიტყვით ბრძანა: „ჩემთვისაც ცხადი გახდა, რომ ზოგიერთ ამხანაგს აქ ნახსენები უთანხმოებანი — და არა მარტო ესენი —

მხოლოდ დროებით სურს უკანა პლანზე გადასწიოს“. ასეც იყო.

უპირველესი კანდიდატურა გახდა ჰანს-იოხენ ფოგელი, რომელსაც მე დიდად ვაფასებდი და რომელმაც კანდიდატობის მძიმე ტვირთი თავის თავზე აიღო. რაოდენ მძიმე იყო ეს ტვირთი განსაკუთრებით ცხადი გახდა მაშინ, როცა ბოლო დიდ სატელევიზიო დებატებში ბუნდესტაგის არჩევნების წინ, ხუთშაბათს, 1983 წლის 3 მარტს, სამი სამთავრობო პარტიის თავმჯდომარე — კოლი, შტრაუსი და მე — ჩვენ-ჩვენი ნათლად გამოკვეთილი პოზიციებით გამოვედით. ჩვენ ვიცოდით, რომ ახალი ფედერალური მთავრობის უპირველესი ამოცანა 1983 წლის შემოდგომაზე ამერიკული პერშინგ 2-ისა და ფრთოსანი რაკეტების განლაგება იქნებოდა; ამომრჩევლებს უნდა გაეთვალისწინებინათ ეს თავიანთი არჩევანის გაკეთებისას. იმ ტელესაღამოს, არჩევნებამდე სამი დღით ადრე, ჩვენი განზრახვა, განგვეხორციელებინა ნატოს ორმაგი გადაწყვეტილება და განგველაგებინა რაკეტები, ბუნდესტაგის არჩევნებზე კენჭისყრისთვის დავაყენეთ: მერე აღარავის უნდა ეთქვა, რომ მმართველმა პარტიებმა თავიანთი განზრახვა გაასაიდუმლესო. ჩვენ სოციალ-დემოკრატიული პარტიის ყველაზე რეალურ კანდიდატსაც მოვუწოდეთ, გამოეთქვა თავისი მოსაზრება ამასთან დაკავშირებით, რაც მან ვერ შეძლო. ამრიგად, თემას განსაზღვრავდა არა პრეტენდენტი, რომელსაც ხელთათმანი უნდა გადმოეგდო, არამედ მმართველნი, თანაც აგრესიულად, და არა, როგორც მოსალოდნელი იყო, თავდაცვითი პოზიციიდან.

მაგრამ დავუბრუნდეთ 1982 წლის კოალიციურ ცვლილებას. ფედერალური კანცლერი ჰელმუთ შმიდტი ესწრებოდა ცერემონიას, როცა მინისტრები თავისუფალი დემოკრატიული პარტიიდან — ოტო გრაფი ლამბსდორფი, გერჰარტ ბაუმი, იოზეფ ერტლი და მე 1982 წლის 17 სექტემბერს 16 საათზე ფედერალური პრეზიდენტის ხელიდან განთავისუფლების საბუთს ვიღებდით. ფედერალური პრეზიდენტი და კანცლერი ხელის ჩამორთმევით მოგვესალმენ და დაგვემშვიდობნენ. ყველაფერი წესიერად და კორექტული ფორმით ჩატარდა.

საგარეო უწყებაში ჩემი ბიურო ჯერ კიდევ ჩემი განთავისუფლების დღეს დავტოვე. გამოვემშვიდობე ჩემს თანამშრომლებს, თუმცა ყველასთვის ცხადი იყო, რომ მე კვლავ დავბრუნდებოდი, როგორც საგარეო საქმეთა მინისტრი. ჰანს-იურგენ ვიშნევსკი, რომელ-

საც დავალება მიეღო, საგარეო უწყებაზე ზრუნვა თავის თავზე აეღო, ისევე, როგორც სახელმწიფო მინისტრი კორტერიე ჩემი კაბინეტით არ სარგებლობდნენ. ვოლფგანგ მიშნიკმა მაშინვე გასცა განკარგულება, ბუნდესტაგის შენობაში ჩემთვის ოფისი მოეწყოთ და მდივანი ქალი ეშოვათ, რათა ადგილი მქონოდა, სადაც მუშაობას გავაგრძელებდი. ამას გარდა, მე, როგორც პარტიის თავმჯდომარეს, სამუშაო ოთახი მქონდა თომას-დელერ-ჰაუსში, რომელსაც თითქმის არ ვიყენებდი.

### *ერთიანი საგარეო პოლიტიკის ბალანსი*

გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრი, რომელიც თავისუფალი დემოკრატიული პარტიის თავმჯდომარეც იყო, 1982 წლის სამთავრობო ცვლილებების დროს უპირველეს ყოვლისა დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა იმას, რომ გერმანული საგარეო პოლიტიკის უწყვეტობა ქრისტიანულ-დემოკრატიული/ქრისტიანულ-სოციალური კავშირებისა და თავისუფალი დემოკრატიული პარტიის ახალ კოალიციაში გარანტირებული ყოფილიყო. ამავე დროს ჩემთვის მნიშვნელოვანი იყო, შემეჯამებინა იმ რვა წლის შედეგები (1974 წლიდან 1982 წლამდე), როდესაც საგარეო პოლიტიკას მე ვაყალიბებდი და პასუხისმგებელი ვიყავი მასზე.

თუ 1969 წლიდან 1974 წლამდე აღმოსავლური ხელშეკრულებების პოლიტიკა დასავლეთ-აღმოსავლეთის დაპირისპირების დასაძლევად გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის საგარეო პოლიტიკის პრიორიტეტული მიმართულება იყო, 1974 წლიდან უკვე დადგა დრო ჩვენი ევროპული და საერთაშორისო პოლიტიკის მზარდი მულტილატერალიზაციისა. 1974-დან 1982 წლამდე გერმანიის საგარეო პოლიტიკამ შეძლო არამარტო ევროთათბირის ფარგლებში, არამედ სხვა მულტილატერალურ ორგანიზაციებში აზრის გამოთქმისას ლიდერის როლში გამოსულიყო. თუმცა ამის გამო ლიდერის როლზე ლაპარაკი იმდენადვე თავხედური იქნებოდა, რამდენადაც მცდარი: პრეტენზიები ლიდერობაზე ნაცისტური ეპოქის ძველებური აზროვნების დამახასიათებელია. ამის საპირისპიროდ ახლა ლაპარაკი უნდა ყოფილიყო პასუხისმგებლობისთვის მზადყ-



*1982 წლის 17 სექტემბერი: თავისუფალი დემოკრატიული პარტიის წარმომადგენელი ოთხი მინისტრი – გენშერი (საგარეო საქმეთა), ბაუმი (შინაგან საქმეთა), გრაფი ლამბსდორფი (ეკონომიკის) და ერტლი (სოფლის მეურნეობის) ფედერალური პრეზიდენტის კარლ კარსტენსისაგან დათხოვნის სიგელს ღებულობენ.*

ოფნაზე, პასუხისმგებლობის პოლიტიკაზე. თუ ლიდერობაზე ჩამოვარდებოდა ლაპარაკი, გერმანიას აქ ყველაზე ბოლოს უნდა აეღო სიტყვა. ისტორია ჩრდილს აყენებს ჩვენს ქმედებას; ეს გრძელი ჩრდილებია და ისინი კიდევ დიდხანს დარჩებიან. რაც უფრო მეტად გავიცნობიერებთ ამას, მით უკეთესი ევროპისთვის და თვითონ ჩვენთვის. მაგრამ სწორედ ამგვარი შეგნების და ჩვენი პასუხისმგებლობის პოლიტიკის წყალობით შეიძინა იმ წლებში წონა გერმანულმა სიტყვამ – სწორედ საერთოევროპულ პროცესში. სხვათა შორის ყველა ამ სფეროში ჩვენ მუდმივად ვეძებდით უმჭიდროესი თანამშრომლობის გზებს საფრანგეთთან.

განსაკუთრებულ ღირსებად მიმაჩნდა, რომ ჩვენ ევროგაერთიანების შიგნით და დასავლურ ალიანსში, ამ უკანასკნელში აშშ-სთან ერთად, ვცდილობდით გაგვევითარებინა პოზიციები ევროთათბირის განსამტკიცებლად, რომლებსაც ჰარმელის მოხსენების საფუძ-

ველზე დასავლეთის ერთობლივი სტრატეგიის შემუშავებამდე მივყავდით. ჩვენი ამოცანა იმაში მდგომარეობდა, რომ ის მიზნები, რომლებიც 1967 წლის ჰარმელის მოხსენებაში დასავლური ალიანსისთვის იყო ჩამოყალიბებული, ისევ და ისევ ერთობლივი პოლიტიკის ცენტრალურ საგნად გვექცია. მტკიცე უსაფრთხოების პოლიტიკა და თანამშრომლობისთვის მზადყოფნა გახლდათ ამ პოლიტიკის ელემენტები, ხოლო მისი მიზანი კი ევროპაში ხანგრძლივი, სამართლიანი წესრიგის დამყარება იყო — ევროპული სამშვიდობო წესრიგისა. ეს პროექტი შეესაბამებოდა იმ ფორმულას, რომელიც გერმანიის ერთიანობისადმი მიძღვნილ წერილში იყო მოცემული: საჭიროა — ასე ეწერა იქ — „ხელი შევუწყოთ მშვიდობის დასადგურებას ევროპაში", რომლის დროსაც გერმანელი ხალხი თვითგამორკვევის გზით კვლავ მოიპოვებდა ერთიანობას. ხოლო გერმანიის ერთიანობა კი ჰარმელის მოხსენების გულისგული გახლდათ. ამგვარად, ჰარმელის მოხსენება იყო და რჩება ტრანსატლანტიკური პასუხისმგებლობის პოლიტიკის დიდ ქარტიად, ხოლო ევროთათბირი კი სამოქმედო ჩარჩოა, რომლის ფარგლებშიც ეს პოლიტიკა ფორსირებულად შეიძლება განვითარდეს. ჩვენთვის — გერმანელებისათვის ჰარმელის მოხსენება ნიშნავდა დასავლური კავშირის კონცეპტუალურ ვალდებულებას, აღებულს გერმანიის გასაერთიანებლად.

ძალისხმევა ევროპის პოლიტიკური ურთიერთთანამშრომლობის ფარგლებში ერთობლივი საგარეო პოლიტიკის შესამუშავებლად ჩვენს ახლოაღმოსავლურ, სამხრეთაფრიკულ პოლიტიკასა და ევროთათბირის პროცესში წარმატებული აღმოჩნდა. ამას დაემატა რეგიონალური თანამშრომლობის პოლიტიკა ასეანის სახელმწიფოებთან, ცენტრალური ამერიკის სახელმწიფოებთან, მოგვიანებით კონტადორას ჯგუფთან და სპარსეთის ყურის ურთიერთთანამშრომლობის საბჭოს ქვეყნებთან.

მჭიდრო ურთიერთობამ გერმანიასა და საფრანგეთს შორის იმ დროისათვის ასევე დიდი წონა შეიძინა. შმიდტი და ჟისკარ დ'ესტენი მჭიდროდ თანამშრომლობდნენ ერთმანეთთან; ევროპის სავალუტო სისტემის შემოღება მხოლოდ ამ პიროვნული თანამშრომლობის წყალობით გახდა შესაძლებელი. მსოფლიო ეკონომიკური სამიტი, ჯერ „ხუთეულის", შემდეგ „შვიდეულის" შეხვედრები ასევე ჰელმუთ შმიდტისა და ვალერი ჟისკარ დ'ესტენის გერმანულ-ფრანგუ-

ლი ინიციატივით იმართებოდა. ევროპის გაერთიანების პროცესს გადამწყვეტი იმპულსი გენშერ-კოლომბოს ინიციატივამ მისცა.

დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ გერმანიის პოლიტიკამ 1 - წლამდე მესამე სამყაროს მიმართ ასევე დიდი მნიშვნელობა ,ეიძინა. ენერგიულად ვიმუშავეთ მულტილატერალური ჩარჩოპირობების გაუმჯობესებისთვის. ევროგაერთიანების ჩარჩოში მტკიცედ დავუჭირეთ მხარი ლომეს ხელშეკრულებებს. ასევე მნიშვნელოვანი გახლდათ უშიშროების საბჭოს ხუთეულის ინიციატივით შექმნილი საკონტაქტო ჯგუფის მუშაობაში ჩვენი მონაწილეობა ნამიბიის საკითხის გადაჭრასთან დაკავშირებით; ის, რომ ჩვენ არ ვიყავით უშიშროების საბჭოს მუდმივი წევრები, ამ შემთხვევაში არავის ჩაუვდია ანგარიშში, რადგანაც მხოლოდ ჩვენი პოლიტიკური წვლილის ხარისხი აღმოჩნდა გადამწყვეტი. იგივე ითქმის ირან-ერაყის ომის დასამთავრებლად გაწეულ მუშაობაში გერმანიის მონაწილეობის შესახებაც იმ პერიოდში, როცა მეორედ გავხდით უშიშროების საბჭოს წევრი.

ჩვენი მონაწილეობა ევროგაერთიანების ხმელთაშუა ზღვის პოლიტიკაში და ახლო აღმოსავლეთის კონფლიქტის გადაწყვეტაში არა მხოლოდ ვენეციაში მიღებული ევროგაერთიანების დეკლარაციიდან ჩანს; როგორც მაღრიბ-მაშრიყის ქვეყნებთან, ასევე ისრაელთან დადებული ხმელთაშუა ზღვის ხელშეკრულებების მომზადებაშიც მნიშვნელოვან როლს ვთამაშობდით. პალესტინელი ხალხის თვითგამორკვევის უფლების აღიარებით უკვე 1974 წელს როგორც ამ საქმის პიონერებმა დასავლურ სამყაროში მეტი წონა შევიძინეთ ისე, რომ ისრაელთან ჩვენი ურთიერთობები არ გაგვიფუჭებია. და ბოლოს, გერმანულმა პოლიტიკამ შეძლო გავლენა მოეპოვებინა ევროპის გაერთიანებისას ევროთათბირის საერთოევროპულ პროცესში მონაწილეობითა და თავისი წვლილით მესამე სამყაროს ქვეყნებთან ურთიერთობების სტაბილიზაციის საქმეში.

გარდა ამისა, ჩვენ მტკიცედ ვუჭერდით მხარს მიუმხრობელი ქვეყნების მოძრაობას, განსაკუთრებით ვაფასებდით იუგოსლავიის როლს ამ ჯგუფში, რომელშიც მსოფლიოს მრავალი სახელმწიფო შედიოდა. დასავლეთისა და მათ შორის გერმანელ პოლიტიკოსთა სახიფათო და მცდარ შეფასებათა რიცხვს განეკუთვნება შეხედ-

ულება, თითქოსდა მიუმხრობელი ქვეყნები საბჭოთა კავშირისთვის ერთგვარი დამხმარე რაზმი ყოფილიყო. სულაც არა: ეს ჯგუფი ანტიკოლონიალისტური მოძრაობის პროცესში ჩამოყალიბდა. საბჭოთა კავშირი მოხერხებულად ცდილობდა თავი ანტიკოლონიალიზმის დამცველად წარმოედგინა, თუმცა ის თავის ევროპულ გავლენის სფეროში სწორედ რომ კოლონიალისტურად იქცეოდა. გადამწყვეტი მაინც მიუმხრობელთა საიმისოდ გამოვლენილი ნება იყო, რ[illegible] დამოუკიდებელნი დარჩენილიყვნენ. რაც უფრო შორს დაიჭერ[illegible] თავს დასავლეთი თავისი ზოგიერთი წევრის კოლონიალური აზროვნებისაგან, მით უფრო მეტად შეძლებდა ის ახალი გამოწვევების დაძლევის გზით ამ ქვეყნების პარტნიორი გამხდარიყო. ამის საპირისპიროდ გარკვეული სიმპათია, რომლითაც დასავლეთის ბევრი მთავრობა და პოლიტიკოსი სამხრეთ აფრიკის რასისტული რეჟიმის მიმართ იჩენდა, ზრდიდა საბჭოთა კავშირის შანსებს, მიუმხრობელთა პარტნიორად წარმოეჩინა თავი. რადგანაც გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკას კოლონიები არ გააჩნდა და მე სამხრეთ აფრიკის რეჟიმისგან თავი შორს მეჭირა, სამოქმედო არეალი ჩვენთვის საგრძნობლად ფართოვდებოდა.

გერმანიამ დასავლური ალიანსის ფარგლებშიც მნიშვნელოვანი წონა შეიძინა. სწორედ აქ 1969-1982 წლებში ბონმა სასწორზე შემოდო თავისი წონა დასავლური ალიანსის განსამტკიცებლად. დაძაბულობის შენელების რეალური პოლიტიკიდან გამომდინარე ურთიერთობები აღმოსავლეთ ევროპის მიმართულებით ინტენსიური გახდა და გაფართოვდა, ამავდროულად კი ჩვენ ძალისხმევა თავდაცვის უნარიანობის განმტკიცებისათვის არ შეგვინელებია. პირიქით: სოციალ-დემოკრატიული პარტიისა და თავისუფალი დემოკრატიული პარტიის კოალიციამ ბუნდესვერის გრანდიოზულ გეგმებს ან უკვე შეასხა ხორცი, ან კიდევ შეუდგა მათ განხორციელებას. ამასთან ერთად ჩვენ ნატოს წევრ სახელმწიფოთა იმ მცირე წრეს ვეკუთვნოდით, ვინც ასრულებდა შეთანხმებას თავდაცვის ბიუჯეტის გაზრდის თაობაზე, ფაქტი, რომელსაც უპირველესად თავდაცვის მინისტრებს — ჰელმუთ შმიდტსა და გეორგ ლებერს — უნდა ვუმადლოდეთ, რომელთაც მე, როგორც შინაგან საქმეთა, ასევე საგარეო საქმეთა მინისტრი, მხარს ვუჭერდი. გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა ნატოს ორმაგი გადაწყვეტილებ-

ის მტკიცე მომხრე იყო — არამარტო ევროპის უსაფრთხოების გამო, არამედ საბჭოთა კავშირის ყველა უშუალო და არაუშუალო მეზობელი სახელმწიფოს ინტერესებიდან გამომდინარე. ამავე დროს ჩვენ ჰარმელის მოხსენების ფუძემდებლური მოთხოვნილებებიც თანამიმდევრულად შევასრულეთ: გაგვეტარებინა თავდაცვისუნარიანობის განსამტკიცებლი ღონისძიებები და ამავე დროს აქტიურად გვეღვაწა მოლაპარაკებების საწარმოებლად. სოციალ-დემოკრატიული პარტიისა და თავისუფალი დემოკრატიული პარტიის ამ ერთობლივი ძალისხმევის მნიშვნელობა იმ ფაქტითაც არ დამცრობილა, რომ სოციალ-დემოკრატებმა ნატოს ორმაგი გადაწყვეტილების იმ ნაწილს, რომელიც შეიარაღების ზრდას ითვალისწინებდა, მხარი არ დაუჭირეს, რამაც საბოლოოდ სამთავრობო კოალიციის დაშლა გამოიწვია.

ყოველივე ამის განხორციელებისას შმიდტი და მე იმ საგარეოპოლიტიკურ საფუძვლებს ვეყრდნობოდით, რომლებიც — დასავლური პოლიტიკის თვალსაზრისით — კონრად ადენაუერის, ხოლო აღმოსავლური პოლიტიკის თვალსაზრისით ვილი ბრანდტისა და ვალტერ შეელის სახელებთან არის დაკავშირებული. და ახლა კოლ-გენშერის მთავრობას თავის მხრივ შმიდტ-გენშერის მთავრობის მიერ ჩაყრილ ფუნდამენტზე შეეძლო განეგრძო მუშაობა. შმიდტ-გენშერის მთავრობის წარმატებული საბოლოო ბალანსი ნიშნავდა აგრეთვე კარგ სასტარტო ბალანსს კოლ-გენშერის მთავრობისათვის.

### *ახალ მთავრობაში*

1982 წლის 4 ოქტომბერს, ორშაბათს, 12 საათზე ფედერალური პრეზიდენტისაგან მივიღე საბუთი საგარეო უწყების ხელმძღვანელად ჩემი დანიშვნის შესახებ. ერთი საათის შემდეგ, უკვე ფიცს ვდებდი პლენარულ დარბაზში. მერე ვისადილე სახელმწიფო მინისტრებთან და სტატს-მდივნებთან ერთად. სახელმწიფო მინისტრებთან დაკავშირებით ცვლილებები იყო გათვალისწინებული: ვინაიდან სოციალ-დემოკრატიულმა პარტიამ თავისი რიგებიდან სახელმწიფო მინისტრი დაასახელა, ჰელმუთ კოლს სურდა, ერთი სახელმწიფო მინისტრი ქრისტიანულ-დემოკრატიული კავშირის

*1982 წლის 4 ოქტომბერს საგარეო საქმეთა მინისტრი და ფედერალური კანცლერის მოადგილე ჰანს-დიტრიხ გენშერი კელავ დაინიშნა ამ პოსტებზე. ერთი დღის შემდეგ იგი დანიშვნის სიგელებს გადასცემს თავის სახელმწიფო მინისტრებს დოქტორ ალოის მერტესს (ქრისტიანულ-დემოკრატიული კავშირი) და იურგენ ვ. მიოლემანს (თავისუფალი დემოკრატიული პარტია).*

რიგებიდან საგარეო უწყებისთვის შეერჩია. მე არ ვმალავდი, რომ ეს ამბავი მაინცა და მაინც გულზე არ მეხატებოდა, რადგანაც ეს წესი როგორც საგარეო საქმეთა მინისტრმა ჩემი წინამორბედი შეელისაგან გადავიღე. სამინისტროებში ეგრეთ წოდებული ჯვარედინი ურთიერთობები დიდად არასოდეს მომწონდა. ყოველ შემთხვევაში მე ვიმედოვნებდი, რომ შესაფერისი კაცი მოვიდოდა და კიდევაც მივანიშნე ამის თაობაზე. კოლი მიხვდა, რასაც ვგულისხმობდი და ალოის მერტესის კანდიდატურა შემომთავაზა.

ამ გადაწყვეტილებამ არაჩვეულებრივად გამახარა. მერტესთან დიდი ხნის კარგი პირადი ურთიერთობები მაკავშირებდა. მე მას დიდად ვაფასებდი. რადგანაც ჰილდეგარდ ჰამ-ბრიუხერმა, რომელ-

იც სამთავრობო ცვლილების თავგადაკლული მოწინააღმდეგე გახლდათ, დატოვა სახელმწიფო მდივნის პოსტი, მე ჩვენი წრიდან ამ თანამდებობაზე იურგენ მიოლემანი მოვიწვიე. მას ძალიან დიდი გამოცდილება ჰქონდა საგარეო და თავდაცვითი პოლიტიკის სფეროში. გარდატეხის პერიოდში მან თავი გამოიჩინა, როგორც ჩვენმა აქტიურმა მხარდამჭერმა.

ჩემი, როგორც „ახლად" დანიშნული მინისტრის, პირველი დღე 4 ოქტომბერს უწყების თანამშრომელთა კრებით დამთავრდა. ასეთივე კრებაზე გამოვემშვიდობე მათ პოსტის დატოვებისას, რათა არ შექმნილიყო შთაბეჭდილება, რომ ჩემ წასვლას მხოლოდ ფორმალობად მივიჩნევდი. ახლა მინდოდა მესარგებლა ვითარებით და დაბრუნების აღსანიშნავ შეკრებაზე ორივე ახალი სახელმწიფო მდივანი წარმედგინა პერსონალისთვის, რომელთაგან ალოის მერტესი უმეტესობისათვის ნაცნობი იყო, რადგანაც ის ადრე საგარეო უწყებაში კადრის დიპლომატად მსახურობდა.

კოალიციაში საუბრების დროს ჰელმუთ კოლს ვურჩიე, მისი ფედერალურ კანცლერად არჩევის შემდეგ დაუყოვნებლივ გამგზავრებულიყო პარიზში და ამ პოსტზე მოღვაწეობის დაწყებასთან დაკავშირებით მიტერანი მოენახულებინა. როდესაც მე როლან დიუმას 4 ოქტომბრისთვის განზრახული ვიზიტის შესახებ შევატყობინე, მან მითხრა, რომ პრეზიდენტი სწორედ ორშაბათს ოფიციალური ვიზიტით პარიზიდან გასვლას აპირებდა; მაგრამ თუ ფედერალური კანცლერი გერმანულ-ფრანგულ ურთიერთობებს ისეთ დიდ მნიშვნელობას ანიჭებს, რომ თავისი მთავრობის დამტკიცების დღესვე სურს პარიზში ჩამოსვლა, მაშინ მიტერანი ვიზიტს ნამდვილად გადადებსო. ასეც მოხდა. 19 საათზე პარიზში გავფრინდით. ელისეს სასახლეში ჩვენ ვიწრო წრეში ვივახშმეთ. ვახშამზე იყვნენ მიტერანი, ფედერალური კანცლერი, ორივე საგარეო საქმეთა მინისტრი, თითო მოხელე ორივე მხრიდან და ორივე ქვეყნის ელჩები.

საუბარში, რომელიც ვახშმობისას მიმდინარეობდა, ფედერალურმა კანცლერმა წარმოაჩინა, რა დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ის გერმანულ-ფრანგულ ურთიერთობებს. ვიზიტის მზადებისას მე მას ვუთხარი, მოსალოდნელია, რომ მიტერანი ნატოს ორმაგ გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით ორი მიმართულებით გაამახვილებს ყურადღებას: ერთის მხრივ, პარიზი ძალიან იყო მონდომებული,

რომ ამ შეთანხმებას ხორცი შესხმოდა, მეორეს მხრივ კი არ სურდა, ამერიკა-საბჭოთა კავშირის მოლაპარაკებებში ეგრეთწოდებული მესამე სახელმწიფოთა სისტემა* ჩართულიყო. მართლაც მიტერანმა წამოჭრა ეს საკითხები. ახალი ფედერალური კანცლერის ჰელმუთ კოლის ვიზიტი კარგი ჟესტი იყო, რომელიც შემდეგ ხანგრძლივი დროის განმავლობაში დადებითად და წარმატებულად მოქმედებდა ორმხრივ თანამშრომლობაზე. ნავახშმევს კანცლერი ბონში დაბრუნდა, მე კი შუაღამეს ცოტა გადაცილებული იყო, როცა პარიზიდან ნიუ-იორკში გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში გავფრინდი.

ჰელმუთ კოლი „ჩემი" მესამე ფედერალური კანცლერი გახდა. ვილი ბრანდტმა-კანცლერმა მთავრობაში აღიარებას მიაღწია, როგორც პირველმა თანასწორთა შორის; იგი მინისტრებს სრული თანასწორობის გრძნობას უნერგავდა, მაგრამ თავისი ადამიანურ-მორალური ავტორიტეტით დომინირებდა. ჰელმუთ შმიდტი პირიქით, კაბინეტს უფრო მკაცრად მართავდა, ხოლო სოციალ-დემოკრატიული პარტიის წევრი კოლეგების მიმართ ზოგჯერ მეტისმეტად მომთხოვნიც გახლდათ. ჰელმუთ კოლთან ბევრი რამ სულ სხვაგვარად იყო. მე მაწყობდა, რომ საგარეო პოლიტიკასთან დაკავშირებული საკითხები მინისტრთა წრეში არ განიხილებოდა, თუმცა მთავრობის ზოგიერთ წევრს განსხვავებული აზრი ჰქონდა. ჩემი საგარეო პოლიტიკა კავშირის პარტიათა მხრივ შენიშვნებს იმსახურებდა. მე მგონი, კოლს იმიტომაც არ სურდა დიდი დებატების გამართვა საგარეო პოლიტიკასთან დაკავშირებით, რომ ქრისტიანულ-სოციალური კავშირისთვის, განსაკუთრებით კი ფრანც იოზეფ შტრაუსისთვის — თუმცა შტრაუსი კაბინეტის წევრი არ ყოფილა — ვითარების გამწვავების საბაბი არ მიეცა. ის ფაქტი, რომ კავშირის პარტიებმა 70-იან წლებში აღმოსავლური ხელშეკრულებები და ჰელსინკის დასკვნითი დოკუმენტი უარყვეს, თუმცა რამდენადმე სუსტად, მაგრამ მაინც 80-იან წლებშიც განაგრძობდა მოქმედებას. ამიტომაც პოლონეთთან და ჩეხოსლოვაკიასთან ჩვენი ურთიერთობების განვითარებაც ისევე

* მესამე სახელმწიფოთა სისტემა — საფრანგეთის, დიდი ბრიტანეთის და ჩინეთის ბირთვული შეიარაღების სახელწოდება. (რედ.)

შეიცავდა კონფლიქტური პოტენციალის დაგროვების საშიშროებას, როგორც საერთოდ, დაძაბულობის შენელების პოლიტიკის ერთიანი კომპლექსი, რასაც ქრისტიანულ-დემოკრატიული/ქრისტიანულ-სოციალური კავშირები და განსაკუთრებით ფრანც იოზეფ შტრაუსი 70-იან წლებში კრიტიკის ქარცეცხლში ატარებდა. დაძაბულობის შენელების პოლიტიკასთან დაკავშირებული პრეტენზიები კავშირის პარტიებთან დაახლოებულ ფართო წრეებში იმის გამოც შერბილდა, რომ ჰელმუთ კოლი ოსტატურად ახერხებდა შტრაუსთან ურთიერთობების მოგვარებას.

კოლს ფრანც იოზეფ შტრაუსისაგან — განსაკუთრებით 70-იან წლებში — პოლიტიკურად ბევრი რამ უნდა შეეთვისებინა. 1980 წელს ის იძულებული გახდა, როგორც ქრისტიანულ-დემოკრატიული კავშირის თავმჯდომარე, დათანხმებოდა შტრაუსის კანდიდატურას ფედერალური კანცლერის პოსტზე, თუმცა ორივემ კარგად იცოდა, როგორ დამთავრდებოდა ეს ამბავი. შტრაუსს, ამგვარად, თავისი შანსი გაუჩნდა. მე მახსენდება სამი პარტიის თავმჯდომარეთა საუბარი, როცა ისინი სამი საათის განმავლობაში დავობდნენ იმის თაობაზე, თუ რატომ არ გამოეხმაურა კოლი მიუნხენიდან გამოგზავნილ ერთ წერილს, რომელიც ერთ-ერთი საავადმყოფოს დაფინანსებას ეხებოდა. კოლმა ეს კამათი სწორედ რომ კარგად „დაიგემოვნა", რადგანაც მან იცოდა, რომ ეს დისკუსია, როცა იქნებოდა, დამთავრდებოდა და ბევრად უფრო მწვავე საკითხებზე ასცდებოდა პასუხის გაცემა. კანცლერისთვის ყოველთვის ცხადი იყო, რომ შტრაუსი ჯერ კიდევ ძალიან დიდი კონფლიქტური მუხტის მატარებელი იყო, მაგრამ იგი თავს ნებას არ აძლევდა, ქანცგამწყვეტ ბრძოლაში ჩაბმულიყო, მით უმეტეს, რომ მის მეტოქეს საგარეო პოლიტიკის საკითხებში ქრისტიანულ-დემოკრატიული კავშირის კონსერვატიულ ძალთა მხარდაჭერის იმედი ჰქონდა.

მეც და ჩემი უწყებაც გამუდმებით ვხვდებოდით ფრანც იოზეფ შტრაუსის დაჟინებული ყურადღების არეში. იმისათვის, რომ 1982 წლის შემდეგ კოალიციაში ჩემთვის საგარეო პოლიტიკის ტვირთი შემემსუბუქებინა, ჩემს უცხოელ პარტნიორებს ყოველთვის ერთსა და იმავეს ვეუბნებოდი: „მიიღეთ ერთხელ მაინც ფრანც იოზეფ შტრაუსი. ნახავთ, რომ ის სულ სხვანაირია, ვიდრე თქვენ ფიქრობთ. მის გამოსვლებს სოფლური კილო დაჰკრავს — ასე უნდა თავისი

ბავარიული ძალისმიერი პოზიცია გაიტანოს“. ზოგიერთ პარტნიორს საზღვარგარეთ ლამის შტრაუს-უმცროსად წარმოვედგინე. სინამდვილეში მოჩვენებითი პორტრეტი და ნამდვილი სახე ქრისტიანულ-სოციალური კავშირის თავმჯდომარისა ერთმანეთისაგან სრულიად განსხვავდებოდა. მას შემდეგ, რაც თავისუფალმა დემოკრატიულმა პარტიამ 1982 წელს ქრისტიანულ-დემოკრატიულ/ქრისტიანულ-სოციალურ კავშირებთან ერთად კვლავაც ჩამოაყალიბა მთავრობა, ისევ გავემგზავრე მიუნხენში. როცა მე შტრაუსი ბავარიის სახელმწიფო კანცელარიაში ვინახულე, მან თავისი საუკეთესო თვისებები გამოავლინა.

მოლაპარაკებებისას პირად და პარტიული პოლიტიკის საკითხებსაც შევეხეთ. ის მიყვებოდა, რა სიძნელეებს ხვდებოდა ქრისტიანულ-დემოკრატიულ კავშირთან ურთიერთობისას. ერთხელ ვკითხე, ვინ გაუძღვებოდა ქრისტიანულ-სოციალურ კავშირს, თუ ის თავმჯდომარეობას მიატოვებდა. მე რამდენიმე პიროვნება დავასახელე. „ვერც ერთი მათგანი ვერ შეძლებს ამას“, — მიპასუხა მან და ყველანი შეუდარებელი არტისტულობით დაახასიათა.

ერთ საღამოს ერთობლივად ვახშმობის შემდეგ, „ბოგენჰაუზენერ ჰოფ“-ის წინ დავშორდით ერთმანეთს. ამ რესტორანს ორი გასასვლელი აქვს. ჩვენ მარცხენა გასასვლელით გავედით, სადაც შტრაუსს მანქანა ელოდა. როცა ჩვენ ერთმანეთს გამოვემშვიდობეთ, თერთმეტის ნახევარი იყო; მე პარიზში უნდა გავფრენილიყავი. კუთხეში ჩემი მანქანა იდგა. ის-ის იყო ჩაჯდომას ვაპირებდი, რომ მაქს შტრაიბლმა ჩამოიარა ავტომობილით. მან გაოგნებულმა მკითხა: „ბატონო გენშერ, რას აკეთებთ „ბოგენჰაუზენერ ჰოფში“?“ „ერთ ჩემ ძველ მეგობარს შევხვდი აქ“, — მივუგე მე. ჩემი დაცვის ბიჭებმა ძლივს შეიკავეს თავი, რომ არ გასცინებოდათ, მაგრამ შტრაიბლს მეტი შეკითხვა აღარ მოუცია. მოგვიანებით შტრაუსს მოვუყევი ეს და ბევრი იცინა.

ერთადერთხელ შევეჯახეთ მძაფრად ერთმანეთს, კერძოდ 1984 წლის ევროპული არჩევნებისადმი მიძღვნილი გადაცემის დამთავრების შემდეგ, საღამოხანს. ბონის კოალიციაში შემავალი სამი პარტიის თავმჯდომარე, კარგ გუნებაზე მყოფნი, ბავარიის სამხარეო წარმომადგენლობაში შესვენების ჟამს პურობდნენ და ლუდსა და არაყს მიირთმევდნენ. უკვე მოშუაღამევდა და წამოდგომას ვაპირებდით,

როცა საუბარი სამხრეთ აფრიკასა და ნამიბიაზე ჩამოვარდა; შტრაუსმა დაიცვა სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის პოლიტიკა, რომელიც მე რეაქციულად მიმაჩნდა. ამ წუთებში არ ვიცი, რა ბზიკმა მიკბინა, და ვთქვი: „ბატონო შტრაუს, ბოლოს და ბოლოს უნდა შეეჩვიოთ იმას, რომ მარტო „ბაიერნკურიერის" კითხვა არ გეყოფათ, თუ გნებავთ, რომ მსოფლიოს პოლიტიკურ მარაქაში გაერიოთ". უნდა ვაღიარო, რომ ეს საკმაოდ უადგილო შენიშვნა გახლდათ. იგი წამოხტა, მეც წამოვდექი. მუქარით იდგა ჩემ წინ. ფედერალურმა კანცლერმა კოლმა ჩიბუხი ჯიბეში ჩაიდო და თქვა: „თუ ასეა საქმე, ჯობს წავიდე. ნახვამდის", — თქვა და თვალს მიეფარა.

ამის მერე მე ვთქვი: „ბატონო შტრაუს, რატომღა გავაგრძელოთ კინკლაობა, თუ ის აღარ გვესწრება". შტრაუსი აღფრთოვანდა; მან გაიცინა და დამშვიდდა. ჩვენ თითო ლუდი და ჭიქა არაყი კიდევ მოვატანინეთ.

მეორე დღეს, სამსახურში რომ მივედი, გაისმა ჩემი საიდუმლო ტელეფონის ზარი, რომელსაც თითქოსდა ვერავინ მოისმენდა. რეკავდა ფედერალური კანცლერი. „რა მოხდა გუშინ, ჩემი წასვლის შემდეგ?" მე ვუპასუხე: „შენი წასვლის შემდეგ თითო ჭიქა კიდევ გადავკარით". შტრაუსის მიერ ჩემ ამოჩემებას და პერმანენტულ მტრობას ხელი არ შეუშლია ჩემთვის, რომ მასში ომისშემდგომი გერმანული პოლიტიკის ერთ-ერთი ყველაზე აღიარებული პიროვნება დამენახა. მისი დამსახურება ბუნდესვერის მიმართ, მისი მოღვაწეობა ფინანსთა მინისტრისა და ბავარიის პრემიერ-მინისტრის პოსტებზე ღირსეულად წარმოაჩენს მას ომისშემდგომი გერმანიის ისტორიაში.

კოლ-გეშერის კაბინეტის საგარეო პოლიტიკა ძირითადად კოლსა და ჩემს შორის გამართულ სატელეფონო ან პირისპირ საუბრებში ყალიბდებოდა. მე ხშირად ვურეკავდი მას ინფორმირების მიზნით ან კიდევ ცალკეული საკითხების შესათანხმებლად; ჩვენ ხშირად ვხვდებოდით ერთმანეთს კანცლერის აგარაკზე. ხადახან ის სახლშიც მაკითხავდა ხოლმე. ზოგჯერ ღამღამობით 10 საათზე, თერთმეტის ნახევარზე ვსხდებოდით ერთად, რადგან მანამდე სხვა მოვალეობები გვქონდა შესასრულებელი. საჭიროების შემთხვევაში მე წინა ღამის საუბრების შედეგებს მეორე დღეს ვინიშნავდი. ზოგ რამეს უბრალოდ დასამახსოვრებლად ვკარნახობდი მდივანს, ზოგსაც,

რომელიც სხვადასხვა გადაწყვეტილებებში უნდა ასახულიყო, სამინისტროს აპარატის ხელმძღვანელს გადავცემდი ხოლმე.

კანცლერი და მე ვსარგებლობდით საერთო ინტერესების მდიდარი მარაგით, რომელიც თანამშრომლობის პროცესში შევიძინეთ. ჩვენ ერთი თაობისანი ვიყავით მაშინ, როცა „ადრინდელი" ფედერალური კანცლერები შმიდტი (დაბ. 1918 წ.) და ბრანდტი (დაბ. 1913 წ) გაცილებით ასაკოვანნი იყვნენ. ამგვარი რამ ერთგვარად პირად ურთიერთობებსაც განსაზღვრავს ხოლმე. ამას გარდა, ჩვენ ორივენი იმ თაობას მივეკუთვნებოდით, ვინც ადრეულ ასაკში მძაფრად იგემა ომის მთელი საშინელებანი.

ჰელმუთ კოლმა და მე ჯერ კიდევ ადრეულ 60-იან წლებში გავიცანით ერთმანეთი. მაშინ მე მეორე გერმანული ტელევიზიის დაარსების ერთ-ერთი ინიციატორი ვიყავი, რომელმაც 1963 წლის აპრილში დაიწყო ეთერში გასვლა; ის რაინლანდ-პფალცის პარლამენტში ქრისტინ-დემოკრატიული კავშირის ფრაქციის თავმჯდომარე იყო, შემდეგ კი — მაინცის მხარის პრემიერ-მინისტრი. კოლს ახასიათებს სასიამოვნო მანერა პოლიტიკური ურთიერთობებისა; ამას ისიც დაემატა, რომ გერმანიის ერთიანობა ორივე ჩვენგანის სანუკვარი მიზანი იყო. ასე ჩამოყალიბდა წლების განმავლობაში მეგობრული ურთიერთობა, . რამაც შემდეგ უკვე გაგრძელება ფედერალური კანცლერისა და საგარეო საქმეთა მინისტრის თანამშრომლობაში პოვა. ჩემი ურთიერთობა კავშირის პარტიებთან საერთო ჯამში ჯახირით ვითარდებოდა.

ქრისტიანულ-დემოკრატიული/ქრისტიანულ-სოციალური კავშირების მიერ აღმოსავლური ხელშეკრულებების უარყოფა მცდარი იყო, მაგრამ 1975 წელს ევროთათბირის დასკვნით აქტზე უარის თქმას მართლაც რომ კაპიტალურ შეცდომად ვთვლიდი. ალოის მერტესთან, ჰელმუთ კოლთან და სხვებთან საუბრების მეშვეობით წლების განმავლობაში ვცდილობდი, საგარეო პოლიტიკის სფეროში კავშირის პარტიებზე ევროთათბირის სულისკვეთებით მომეხდინა გავლენა. ბოლოს და ბოლოს დავრწმუნებული ვიყავი, რომ მხოლოდ საერთოევროპული დაახლოება და დაძაბულობის შენელება გვაპოვნინებდა გერმანიის ერთიანობისკენ მიმავალ მეფურ გზას.

მე ადრევე მივანიშნე ჰელმუთ კოლს, რომ აფრიკულ პოლიტიკაში საკმაოდ დიდი კონფლიქტური პოტენციალი იყო ჩადებული

იმისათვის, რათა შემდგარიყო თანამშრომლობა ქრისტიანულ-დემოკრატიულ კავშირს, უფრო მეტად კი ქრისტიანულ სოციალურ კავშირსა და თავისუფალ დემოკრატიულ პარტიას შორის. აპარტეიდის საკითხებში ყველაზე მწვავედ ფრანც იოზეფ შტრაუსი გამოდიოდა ჩემი კურსის წინააღმდეგ. ის სამხრეთ აფრიკისთვის მცდარად მიიჩნევდა დევიზს „ერთი კაცი, ერთი ხმა". ის წინააღმდეგი იყო ჩემი კონტაქტებისა სამხრეთ-დასავლეთ აფრიკის განმათავისუფლებელ მოძრაობასთან (ნამიბია) და აფრიკის ნაციონალურ კონგრესთან (სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა); იგი აკრიტიკებდა აგრეთვე ჩემს გამოსვლებს ნელსონ მანდელას დასაცავად. მეორეს მხრივ ქრისტიანულ-დემოკრატიულ/ქრისტიანულ-სოციალურ კავშირებში მრავლად იყვნენ კოლეგები — თუნდაც პროფესორი კარლ-ჰაინც ჰორნ-ჰუესი, ფოლკმარ კიოლერი და ჯონი კლაინი —, რომლებიც სამხრეთ აფრიკის მიმართ ჩემ პოზიციას იზიარებდნენ.

## *რეალისტური საგარეო პოლიტიკის უწყვეტობა*

1982 წლის ოქტომბრის კოალიციურმა ცვლილებებმა საზოგადოებაში წამოჭრა კითხვა, შესწორდებოდა თუ არა აღმოსავლური პოლიტიკა. რა თქმა უნდა, ამ პოლიტიკის უწყვეტობის გარანტად ძველ და ამავდროულად ახალ საგარეო საქმეთა მინისტრს მიიჩნევდნენ. ჩვენი შიდაპოლიტიკური მოწინააღმდეგეები ახალ გამყინვარებას წინასწარმეტყველებდნენ აღმოსავლეთთან ურთიერთობებში, უპირატესად ნატოს ორმაგი გადაწყვეტილებისთვის ჩვენი მტკიცე მხარდაჭერის გამო.

ჯერ კიდევ შემოდგომაზე მომხდარ შიდაპოლიტიკურ გარდატეხამდე, 1982 წლის ზაფხულში გადავწყვიტე, ამერიკულ ჟურნალ „ფორინ აფერს"-ში გამოქვეყნებულ სტატიაში გერმანიის საგარეო პოლიტიკის მიზნები და შორეული პერსპექტივები წარმომეჩინა. ჩემი მთავარი საზრუნავი იყო: როგორ გაგრძელდებოდა დასავლურ-აღმოსავლური ურთიერთობები? ამერიკული და ევროპული თვალთახედვით, დაძაბულობის შენელების პოლიტიკაში ამერიკული და ევროპული პოზიციებიდან განსხვავებული აქცენტები კეთდებოდა: აშშ ფიქრობდა და მოქმედებდა, როგორც ზესახელმწიფო. ჩვენ,



*კოლ-გენშერის მთავრობის წევრები 1982 წლის 4 ოქტომბერს ვილა ჰამერშმიდტის წინ. პირველ რიგში მარცხნიდან მარჯვნივ: ჰანსდიტრიხ გენშერი, ფედერალური პრეზიდენტი კარსტენსი, ფედერალური კანცლერი ჰელმუთ კოლი. მეორე რიგში: ფრიდრიხ ციმერმანი, ვერნერ დოლინგერი, ჰაინერ გაისლერი, დოროთეე ვილმსი, რაინერ ბარცელი, ნორბერტ ბლიუმი, გერჰარდ შტოლტენბერგი. მესამე რიგში: ჰანს ენგელჰარდი, მანფრედ ვიორნერი, იურგენ ვარნკე, ოტო გრაფი ლამბსდორფი, ოსკარ შნაიდერი, იოზეფ ერტლი, ჰაინც რიზენჰუბერი, ქრისტიან შვარც-შილინგი.*

გერმანელები კი, მიუხედავად იმისა, რომ საზოგადოდ დაძაბულობის შენელების პოლიტიკის განუყოფლობას ვუჭერდით მხარს, უფრო დაძაბულობის შენელების რეგიონალური პოლიტიკით ვიყავით დაინტერესებული. მით უმეტეს, რომ აღმოსავლეთ-დასავლეთის დაპირისპირების ცენტრი ევროპაში მდებარეობდა, რაც კონტინენტის, გერმანიის და ბერლინის დაყოფაში მდგომარეობდა. გადამწყვეტი ის იყო, რომ ჩვენ ატლანტიკის ორივე მხარეს დასავლეთის საერთო ინტერესებში მოვიაზრებოდით, რათა შრომის დანაწილების მეოხებით სამომავლოდაც საერთო კონცეფცია გვქონოდა ერთობლივი

აღმოსავლური პოლიტიკისათვის.

ევროპული და მეტადრე გერმანული დაძაბულობის შენელების პოლიტიკის მიზანი 80-იანი წლების დამდეგისთვის ევროპის დაყოფით გამოწვეული შედეგების შერბილება და იმავდროულად ევროპასა და საბჭოთა კავშირში ხანგრძლივ პერიოდზე გათვლილი ევოლუციური პროცესების ხელშეწყობა იყო, რასაც აღმოსავლეთში ადამიანთათვის მეტი თავისუფლება უნდა მოეტანა, ხოლო შემდგომ ევროპაში ნამდვილ სამშვიდობო წესრიგამდე უნდა მივეყვანეთ. ამ ევროპულ სამშვიდობო პოლიტიკაში დიდი და გადამწყვეტი როლი ითამაშა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მიერ განხორციელებულმა აღმოსავლურმა პოლიტიკამ.

გერმანული და ევროპული დაძაბულობის შენელების პოლიტიკის არსი არავითარ შემთხვევაში უცხო არ ყოფილა ამერიკელებისათვის. პრეზიდენტმა კენედიმ 1963 წლის 10 ივნისს ვაშინგტონის უნივერსიტეტში წარმოთქმულ სიტყვაში პირველმა მოითხოვა ახალი პოლიტიკური სტრატეგიის შექმნა, რაც ოთხი წლის შემდეგ ჰარმელის მოხსენებაში ჩამოყალიბდა ორმაგი სტრატეგის სახით და დასავლური ალიანის პოლიტიკის საერთო საფუძვლად იქცა. როცა სამოცდაათიანი წლების მეორე ნახევარში საბჭოთა კავშირის გამალებული შეიარაღების, გეოპოლიტიკური აგრესიულობისა და ამერიკის საგარეო პოლიტიკის ნაკლოვანებათა სამწუხარო ურთიერთზემოქმედების წყალობით ვაშინგტონის პრესტიჟი მსოფლიოში დაეცა, საბჭოთა კავშირისა კი თითქოსდა ამაღლდა, გამოთქმამ „დაძაბულობის შენელება“ ამერიკაში ნეგატიური ელფერი შეიძინა.

ჯერ კიდევ 70-იანი წლების დამდეგისთვის ამერიკული და ევროპული დაძაბულობის შენელების პოლიტიკა ერთიმეორეს უწყებდა ხელს. ისიც კი შეიძლებოდა გვეთქვა, რომ სოციალ-დემოკრატიული პარტიისა და თავისუფალი დემოკრატიული პარტიის კოალიციის ბილატერალურმა აღმოსავლურმა პოლიტიკამ ზესახელმწიფოებს გაუადვილა დიალოგი დაძაბულობის შენელების საკითხზე; 1972 წლის მაისში ჩვენი აღმოსავლური ხელშეკრულებების რატიფიკაციამ ხელი შეუწყო იმავე თვეში ამერიკა-საბჭოთა კავშირის შეხვედრის გამართვას უმაღლეს დონეზე. და მაინც, მომდევნო წლებში დაძაბულობის შენელების პერსპექტივამ დროში გადაიწია: მაშინ, როცა ევროპული, მეტადრე გერმანული თვალთახედვით დაძაბ-

ულობის შენელების პოლიტიკაში პროგრესი შეიმჩნეოდა, ვაშინგ-ტონის თვალში ეს ყველაფერი სულ სხვანაირად აირეკლებოდა — მათი წარმოდგენით საბჭოები ახალი დიდი შეტევისთვის ემზადე-ბოდნენ. ისინი პირდაპირ თუ არაპირდაპირ წარმატებით უჭერდნენ მხარს გამანთავისუფლებელ მოძრაობას მესამე სამყაროს ქვეყნებში, იმავდროულად ცენტრალური ამერიკიდან აფრიკის გავლით ირანამ-დე წარმოიქმნებოდნენ ამერიკისადმი მტრულად განწყობილი რე-ჟიმები. ბევრი ამერიკელი ფიქრობდა, რომ 80-იანი წლების დასაწყ-ისისთვის დაძაბულობის შენელების პოლიტიკა ჩაიშალა. მათი შთა-ბეჭდილებით, დეტანტს არც პოლიტიკური თავშეკავება და არც შეიარაღების შემცირება არ მოუტანია. პირიქით: მიუხედავად შეი-არაღებაზე კონტროლის დაწესებასთან დაკავშირებული მოლაპარ-აკებებისა, საბჭოთა კავშირი გამალებით იარაღდებოდა ყველა დონ-ეზე და იმაზე მეტად, ვიდრე თავდაცვისთვის იყო საჭირო.

თუმცა ეს ამერიკული ანალიზი ზედმეტად თავდაცვითი ხა-სიათისა იყო, ამასთან მეტად ზედაპირულიც, მაინც საბჭოთა პოლი-ტიკის მზარდი აგრესიულობით გამოწვეული შეშფოთება დასაბუთე-ბული იყო. ამიტომ ვიცავდი მე ასეთი დაჟინებით დაძაბულობის შენელების რეალისტურ პოლიტიკას. „რეალისტურობა“ კი ნიშნავ-და: ატლანტიკურ ალიანსს მუდამ უნდა ხსომებოდა, რომ დასავ-ლეთსა და აღმოსავლეთს შორის კვლავაც არსებობდა წინააღმდე-გობა, რასაც საფუძვლად ედო განსხვავებული ღირებულებრივი წარმოდგენები, მიზნები და ინტერესები. დაძაბულობის შენელების პოლიტიკა მხოლოდ საკმარის თავდაცვისუნარიანობაზე შეიძლებო-და აგებულიყო.

ჩვენი საგარეოპოლიტიკური ქმედება შეესაბამებოდა ამ რე-ალიზმს დაძაბულობის შენელების პოლიტიკაში. სამოცდაათიან წლებში შეიარაღებაზე გაწეული ხარჯები წლითიწლობით სამი პროცენტით გავზარდეთ და ბუნდესვერი მსოფლიოში ერთ-ერთ ყვე-ლაზე უკეთ შეიარაღებულ და ყველაზე უკეთ გაწვრთნილ არმიად გადავაქციეთ — ის იყო და არის სავალდებულო სამსახურის პრინ-ციპზე შემნილი სამგალითო არმია. ხანდახან მისურვებია, სხვა ნატოელი პარტნიორებიც ასევე მოქცეულიყვნენ და სამოცდაათიანი წლების დაძაბულობის შენელების დეკადა უსაფრთხოების პოლი-ტიკის თვალსაზრისით სათანადოდ გამოეყენებინათ. ამას ვერ ვი-

ტყვით ყველა პარტნიორზე, ვერც თვით ალიანსის მეთაურ აშშ-ზე. არც დიდ ბრიტანეთში იყო უკეთესი მდგომარეობა. რადგანაც აშშ-ში თავდაცვისთვის გაწეული ხარჯები ნიადაგ მცირდებოდა, ოთხმოციანი წლების დასაწყისში იმით ვხელმძღვანელობდი, რომ ჩვენ დიდი ძალისხმევა გვმართებდა, თუკი გვსურდა ჰარმელის მოხსენების ორმაგი სტრატეგიის კურსი განგვეხორციელებინა. თუ ამან საბჭოთა ჰეგემონისტური პოლიტიკა წაახალისა, ამის მიზეზები გერმანიის მთავრობის ქმედებებში არ უნდა ვეძებოთ. ვაშინგტონის მიერ თავდაცვითი ძალისხმევის შესუსტება კი უეჭველად მცდარი სიგნალი იყო.

მე ნამდვილად უარს არ ვიტყოდი ხელი მომეწერა იმ სიტყვაზე, რითაც ჰელმუთ შმიდტი, როგორც ფედერალური კანცლერი, 1982 წელს დიპლომატიურ კორპუსს გამოემშვიდობა. ამ გამოსვლამ გვიჩვენა, რომ ორი კაცი იძულებული იყო კოალიციის პოლიტიკის გამო ერთმანეთს დაშორებოდა, თუმცა ისინი საგარეო პოლიტიკისა და უსაფრთხოების პოლიტიკის სფეროში კვლავინდებურად ერთ პოზიციაზე იდგნენ. ეს მტკივნეული იყო, გარკვეული თვალსაზრისით, ტრაგიკულიც კი, მაგრამ გარდაუვალი. ჰელმუთ შმიდტი საგარეო პოლიტიკის საკითხებში სულ უფრო და უფრო ნაკლებ მხარდაჭერას პოულობდა თავის პარტიაში, ხოლო ახალმა სამთავრობო კოალიციამ შეძლო ხორცი შეესხა იმ საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკისათვის, რომელზეც შმიდტი ოცნებობდა.

ამიტომაც ახალი სამთავრობო კოალიციის ჩამოყალიბებას საგარეოპოლიტიკური შედეგები მოჰყვა: მსოფლიო საზოგადოებრიობას შეეძლო დარწმუნებულიყო, რომ ძველ პრინციპს „pacta sunt servanda“* ახალი მთავრობაც იზიარებდა და მას პრაქტიკულ პოლიტიკაში კავშირის პარტიებიც ეთანხმებოდნენ — თუმცა წინააღმდეგობები და პრეტენზიები სხვა საკითხებში კვლავაც არსებობდა. კოალიციის შეცვლით ძველი ფრონტები გაუქმდა, მაგრამ მათ ნაცვლად ახალი გაჩნდა. მომდევნო წლებში შეიარაღებისა და განიარაღების სფეროში და გერმანულ საკითხთან დაკავშირებით ისეთი პარტიულ-პოლიტიკური ხასიათის დაპირისპირებები წარმოიშობოდა, რომლებიც ზოგისთვის მოულოდნელი იქნებოდა.

---

* „ხელშეკრულებანი უნდა სრულდებოდეს“ (ლათინ.). (რედ.)

ჯერჯერობით კი სოციალ-დემოკრატიული პარტია გერმანულ საგარეო პოლიტიკაში — განსაკუთრებით აღმოსავლურ პოლიტიკაში — „გამყინვარების პერიოდის“ დადგომას წინასწარმეტყველებდა, რაც არ გამართლდა, გამყინვარება არ დაწყებულა. დასავლეთსა და აღმოსავლეთში მოსალოდნელზე სწრაფად განეწყვნენ საიმისოდ, რომ ახალი სამთავრობო კოალიცია ფედერაციული რესპუბლიკის საგარეოპოლიტიკურ კურსს ხანგრძლივი ვადით განსაზღვრავდა. ჯერ კიდევ 1982 წლის ოქტომბერში გრომიკოსთან და საბჭოთა კავშირის სხვა წარმომადგენლებთან საუბრების დროს დამრჩა შთაბეჭდილება, რომ მიუხედავად ჩემი დამძიმებული შიდაპოლიტიკური მდგომარეობისა, ისინი მე პარტნიორად და კოლეგად მიმიჩნევდნენ, ვისთვისაც კიდევ დიდხანს იქნებოდა საჭირო ანგარიშის გაწევა. მნიშვნელოვანი გახლდათ ის, რომ გერმანულ საზოგადოებაში და — მეტიც — საერთაშორისო პოლიტიკაშიც იცნობიერებდნენ: იმ საგარეო საქმეთა მინისტრის მეშვეობით, რომელიც როგორც ძველ, ისე ახალ კოალიციაში შედიოდა, აღებული კურსის უწყვეტობა და პროგნოზირებადობა უდიდესი ალბათობით იქნებოდა შენარჩუნებული. ისინი დროის რთულ პერიოდებშიც კი უზრუნველყოფდნენ ფედერაციული რესპუბლიკის შეუზღუდავ საგარეოპოლიტიკურ ქმედითუნარიანობას.

ჩემი მუშაობა კანცლერის არჩევის შემდეგ საგარეო ურთიერთობების სფეროში დიდი პოლიტიკური აქტიურობით ხასიათდებოდა. მე ჯერ ნიუ-იორკში გაეროს გენერალურ ასამბლეაზე გავემგზავრე, რათა იქ 5-დან 7 ოქტომბრამდე როგორც ახლადფიცდადებულ, მაგრამ მაინც დიდი ხნის ნაცნობ საგარეო საქმეთა მინისტრს, ჩემი მოლაპარაკებები საზღვარგარეთელ კოლეგებთან და მთავრობების მეთაურებთან განმეახლებინა. წესით და რიგით, მე უკვე წინა კვირაში უნდა ჩამოვსულიყავი გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში, მაგრამ მაშინ ჯერ კიდევ არ ვიყავი ამ პოსტზე დანიშნული. ფედერალურ კანცლერ შმიდტს გადაწყვეტილი ჰქონდა, რომ შმიდტის უმცირესობის მთავრობას ყოველმიზეზგარეშე გაეროში სიტყვა უნდა წარმოეთქვა. ამ მოსაზრებას მე სრულიად კორექტულად მივიჩნევდი. ამიტომ მან სახელმწიფო მდივანს ვიშნევსკის დაავალა, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის სახელით სიტყვა წარმო-

ეთქვა გაეროში. რადგანაც ვიშნევსკის მოსაზრებებს ძირითად ვიზიარებდი, სიტყვით გამოსვლა აღარ ვისურვე. დიახ, ამ უარის თქმაში სწორედ რომ ჩვენი საგარეო პოლიტიკის უწყვეტობის დასტურს ვხედავდი.

მიუხედავად ამისა, არ მინდოდა ხელიდან გამეშვა შესაძლებლობა ნიუ-იორკში სხვადასხვა საგარეო საქმეთა მინისტრებს შევხვედროდი. ამგვარად, სამშაბათი და ოთხშაბათი მრავალრიცხოვანი საუბრებისათვის გამოვიყენე, რათა კოლ-გენშერის ახალი მთავრობის საგარეოპოლიტიკური პერსპექტივები და მიზნები განმემარტა. სამთავრობო ცვლილებებს საზღვარგარეთ ჭოჭმანი და მერყეობა არ უნდა გამოეწვია.

ხუთშაბათ დილას, 7 ოქტომბერს, ბონში დავბრუნდი. საგარეო საქმეთა სამინისტროში სახელმწიფო მინისტრებთან და სტატსმდივნებთან ხანმოკლე თათბირის შემდეგ ფედერალური კანცლერისაკენ გავემართე. ჩვენი გასაუბრების შემდეგ კაბინეტის სხდომა დაიწყო; ბევრი რამ იყო მოსაგვარებელი.

გვიან ნაშუადღევს მიუნხენში გავფრინდი, რადგანაც იქ საღამოს ბავარიის სამხარეო პარლამენტის არჩევნებთან დაკავშირებულ მიტინგში მინდოდა მიმეღო მონაწილეობა. თავყრილობა ბობოქარ ატმოსფეროში ჩატარდა. დარბაზში ბევრი იყო ისეთი, ვინც სამთავრობო ცვლილების მიმართ უარყოფითად იყო განწყობილი და თავიანთი აქტიურობით ხელს გვიშლიდნენ; პოლიცია იძულებული გახდა ხალხის მოზღვავების გამო დარბაზი დაეხურა. ასეთი ხალხმრავლობა ჩვენს ღონისძიებებზე ჯერ არ ყოფილა და ასეთი ცეცხლიც იშვიათად დანთებულა. ბოლოს, როგორც იქნა, შევძელი და სიტყვა ავიღე. მანამდე ცოტა ხნით ადრე მარიენპლაცზე შმიდტი გამოდიოდა სიტყვით და იქიდან სოციალ-დემოკრატიული პარტიის უამრავი მხარდამჭერი მოაწყდა ჩვენი შეკრების ადგილს, რომელიც მარიენპლაციდან შორს არ იყო. სოციალ-დემოკრატიული პარტიის მომხრეებმა ალყაში მოაქციეს დარბაზი. 1983 წლის 6 მარტის ფედერალურ არჩევნებამდე ეს იყო ჩემი ერთადერთი საარჩევნო ღონისძიება, რომელიც ჩაიშალა. სხვა შეხვედრებზე ამგვარი რამ აღარ განმეორებულა; მთავრობის ცვლილებასთან დაკავშირებულ პრობლემებზე უკვე ისინიც კი, ვინც გარდატეხას საკმაოდ კრიტიკულად უყურებდა, რაციონალურად მსჯელობდნენ და საკითხებს მშვიდ ატმოსფეროში განიხილავდნენ.

1982 წლის ნოემბრის პირველ კვირაში როგორც იქნა დაჰკრა ჟამმა. შემეძლო კარგა ხნის წინ დანიშნული პარტიის ფედერალური ყრილობის წინაშე წარვმდგარიყავი. იქ მინდოდა განმემარტა ის, რაც მანამდე არაერთხელ განმიცხადებია: საქმე პარტიის ახალი პოლიტიკური ორიენტაციის შემუშავებას, ესე იგი, კურსის შეცვლას კი არ ეხებოდა, არამედ იმას, რომ საარჩევნო პროგრამაში ჩამოყალიბებული პოლიტიკა ქრისტიანულ-დემოკრატიულ კავშირსა და ქრისტიანულ-სოციალურ კავშირთან კოალიციით განგვეხორციელებინა, რადგანაც სოციალ-დემოკრატიულ პარტიასთან ერთად ამის გაკეთება უკვე შეუძლებელი გახდა. ჩვენი მიზანი იყო არა პროგრამის შეცვლა, არამედ მისი ერთგულება — ეს იყო მიზანი, რომლის აღსრულება პარტიის თავმჯდომარედ ჩემი მოღვაწეობის შემდგომ წლებში უზრუნველყოფილი იქნებოდა.

ვოლფგანგ მიშნიკს, რომელიც კოალიციური ცვლილებისადმი ლოიალურად იყო განწყობილი და მხარს უჭერდა მას, ერთ პუნქტში არ ვეთანხმებოდი. თუკი ჩემთვის 1983 წლის დამდეგისთვის ახალი არჩევნები გარდაუვალი იყო (მე მას დემოკრატიული მორალის გამოვლინებად ვთვლიდი), ის კვლავ ორჭოფობდა. 1982 წლის 23 ოქტომბერს რადიოსადგურ „გერმანული ტალღისთვის“ მიცემულ ინტერვიუში მან თქვა: „ვიდრე პარლამენტს ასეთი სტაბილური უმრავლესობა ჰყავს, მან კანონმდებლობით გათვალისწინებული პერიოდის — ესე იგი, ოთხი წლის — განმავლობაში უნდა იმუშაოს“. ამ საჯარო განცხადებას ჩემთვის მაინცა და მაინც დიდი სიხარული არ მოუგვრია, რადგანაც ის საფუძველს უმაგრებდა სოციალ-დემოკრატიული პარტიის მტკიცებას, თითქოს ახალი არჩევნებისკენ მოწოდება ფუჭი სიტყვები და ამომრჩევლის გაცუცურაკება იყო.

პარტიის ფედერალური ყრილობა 1982 წლის 5 ნოემბრიდან 7 ნოემბრამდე ბერლინის კონგრესცენტრში მიმდინარეობდა, შენობაში, რომელიც მოკლებულია შინაურ მყუდროებას და ინტიმურობას. კოალიციური ცვლილების მოწინააღმდეგეებმა ჯგუფებად შემოუშვეს ხალხი, რომლებიც არამარტო მაყურებელთა ტრიბუნიდან, არამედ დარბაზიდანაც ხმამაღლა აპროტესტებდნენ ჩემს გამოსვლას. ამ დემონსტრაციის აზრი იმაში მდგომარეობდა, რომ დელეგატების

განწყობის თაობაზე მცდარი წარმოდგენა შექმნილიყო.

ჩემ გამოსვლაში გაცხარების გარეშე გადმოვეცი კოალიციური ცვლილების ობიექტური მიზეზები: ჯერ ერთი, საჭირო იყო გარდატეხა ეკონომიკურ და საფინანსო პოლიტიკაში; მეორეც: უარყოფილი უნდა ყოფილიყო კურსის შეცვლა საგარეო, უპირველეს ყოვლისა კი უსაფრთხოების პოლიტიკის სფეროში — იგულისხმებოდა ნატოს ორმაგი გადაწყვეტილება; სოციალ-დემოკრატიული პარტია კი კოალიციის დაშლის შემდეგ განვლილ დროის მცირე პერიოდში თავისი ქმედებით განამტკიცებს-მეთქი შეშფოთებას ამ პროექტის განხორციელების თაობაზე.

„მე თვითონ", — მივმართე დარბაზს, — „მზად ვარ ამ გზაზე თითოეული ჩემი ნაბიჯი და ჩემი მიზნები თქვენს გადაწყვეტილებას დავუმორჩილო. ეს ყველაფერი ერთ მთელს წარმოადგენს. სხვა გზა არ არსებობს. აქ საჭიროა ან ჰო ითქვას, ან არა; ან ასე, ან ისე. „არა ახლა და არა ამგვარად" — ეს არ იქნება სრული და ნათელი პასუხი იმაზე, რაც ახლაა მოსახდენი... რა აზრის იქნებოდით თქვენ, რა აზრის იქნებოდნენ ჩვენი წევრები, ჩვენი ამომრჩევლები, ჩვენი ქვეყნის მოქალაქეები ისეთ თავმჯდომარეზე, რომელსაც შიში აიტანდა აქ, პარტიის ყრილობაზე, თქვენი სამსჯავროს წინაშე წარმდგარიყო? მე არ შემიძლია და არც მსურს თქვენს გადაწყვეტილებას გვერდი ავუარო. გზას, რომელზედაც მე პასუხისმგებლობა ვიკისრე, არა მხოლოდ ჩვენი პარტიისთვის, არამედ მთელი ჩვენი ქვეყნისთვის აქვს მნიშვნელობა... მაგრამ მე ვერც მომავალში შევურიგდები იმას, რომ მხოლოდ უმცირესობის გადაწყვეტილება მიიჩნიონ ზნეობრივად, უმრავლესობისა კი ზნეობრივი თვალსაზრისით საეჭვოდ ჩაითვალოს... არავის უნდა ჰქონდეს იმის უფლება, რომ თვითნებურად დააკისროს ვინმეს მორალური პასუხისმგებლობა. და თუ ვინმე ამას მაინც აკეთებს, იმ ტოლერატობასაც ვეღარსად მოჩხრეკს, რითაც უნდა გამოირჩეოდეს ლიბერალი, თუ სურს საკუთარ მისწრაფებებში სამართლიანი იყოს... ჩვენთვის სოციალური საბაზრო ეკონომიკა მეტს ნიშნავს, ვიდრე უმაღლესი ეფექტურობის მქონე ეკონომიკურ მექანიზმს. ჩვენ ეს სოციალური საბაზრო ეკონომიკა გვესმის, როგორც თავისუფალი თვითგანვითარების, შემოქმედობითობის, მრავალფეროვანი ინიციატივების, ინოვაციის და პირადი პასუხისმგებლობის წესრიგი. ეს იდენტურობა ჩვენ არამარტო კოლექ-

ტიური წარმოდგენებისკენ სულ უფრო ძლიერად მიდრეკილი სოციალ-დემოკრატიულ პარტიის წინაშე უნდა შევინარჩუნოთ. ასევე უნდა ვუზრუნველყოთ მისი შენარჩუნება ქრისტიანულ-დემოკრატიულ კავშირთან მიმართებაშიც, სადაც კათოლიკური სოციალური მოძღვრება ეკონომიკის საბჭოს ინტერესებს ეჯვარედინება... სოციალ-დემოკრატიული პარტიის მიერ სოციალურ საბაზრო ეკონომიკაზე უარის თქმამ პირდაპირი გზით სოციალ-დემოკრატიული პარტიის მიუნხენურ პარტიულ ყრილობამდე მიგვიყვანა. იქ ეკონომიკური და სოციალურ-პოლიტიკური გადაწყვეტილებებით გასრულდა კიდეც დოკუმენტის მომზადება, რომელიც კოალიციის დაშლის მაუწყებელი გახდა. 1982 წლის 30 ივნისს მაშინდელმა ფედერალურმა კანცლერმა კიდევ ერთხელ მოიკრიბა ძალა, რათა თავისი პარტიის სამახსოვრო წიგნში ჩაეწერა, რაც სინამდვილეში ხდებოდა: „ზოგიერთებმა შენიშნეს, რომ ამ პაკეტით ცოტა თუ გაკეთდა უმუშევრობის დასაძლევად. მე მათ ვეუბნები: „სამწუხაროდ, ეს მართალია. ვისაც მეტის გაკეთება სურს, მან სოციალური გადასახადებიდან მეტი უნდა აიღოს, ვიდრე ეს ჩემ მიერ შემოთავაზებულ კომპრომისების პაკეტში იყო გათვალისწინებული. ამ ორი შესაძლებლობიდან ერთი — კერძოდ, დაფინანსება დიდი კრედიტების აღებით — ჩემ გამო ჩაიშალა". შემდეგ კი ჰელმუთ შმიდტმა განაგრძო: „მე არ შემიძლია ამაზე პასუხისმგებლობა ვიკისრო. მეორე შესაძლებლობა თქვენი მეოხებით ჩაიფუშება. ვისაც სურს, რომ სახელმწიფომ დასაქმების ხელშეწყობისთვის მეტი გაიღოს, მან მეტი, ბევრად უფრო მეტი უნდა აიღოს სოციალური გადასახადებიდან". მოგვიანებით, გარდატეხის შემდეგ, ჰელმუთ შმიდტი თავისი პარტიის მისამართით იტყვის: „ამიტომ ვერ წარმომიდგენია, რომ 6 მარტის შემდეგ ქრისტიანულ-დემოკრატიულ/ქრისტიანულ-სოციალურ კავშირებთან ან მწვანეებთან საკოალიციო მოლაპარაკებები გავმართო". ასე დაასაბუთა მან, თუ რატომ არ უნდოდა 1983 წელს კანცლერის არჩევნებში თავისი კანდიდატურა წამოეყენებინა.

სოციალ-დემოკრატიულმა პარტიამ აიღო ხელი სამთავრობო თანამშრომლობის არსებით საფუძვლებზე და არა ჩვენ — ჩვენს პარტნიორზე. სოციალ-დემოკრატიულმა პარტიამ მიატოვა თავისი პარტიის თავმჯდომარის მოადგილე შმიდტი გასაჭირში, რასაც ახლა ის უარყოფს, და არა ჩვენ — ყოფილი ფედერალური კან-

ცლერი. სიმართლე თუ გინდათ, ეს არის! ... ჩვენს იდენტურობას ჩვენ თავისუფალი აზრით ნაკვებ პრინციპულ პოზიციაში ვხედავთ. თავისუფალი დემოკრატიული პარტია, ლიბერალები: ეს არის ჩვენი რწმენა. ჩვენ არა ვართ სოციალ-ლიბერალები, როცა სოციალ-დემოკრატიულ პარტიასთან ერთად ვართ კოალიციაში და ჩვენ ვერ გავხდებით ქრისტიან-ლიბერალები, თუ ქრისტიანულ-დემოკრატიულ კავშირთან ერთად ჩამოვაყალიბებთ ახალ მთავრობას. ჩვენ უპირველეს ყოვლისა ვიყავით და ვართ ლიბერალური პარტია გერმანიაში და მხოლოდ ამას შემდეგ — საკოალიციო პარტია. ვისაც თავისუფალი დემოკრატიული პარტია მხოლოდ ერთ განსაზღვრულ კოალიციაში წარმოუდგენია, მათ უნდა მიიღონ გადაწყვეტილება — ვუნდივართ მათ ჩვენ თუ სხვები ურჩევნიათ. ჩვენთვის შეიძლება მხოლოდ ერთი ისტორიული კავშირი არსებობდეს: ეს არის ყველა ლიბერალის კავშირი ჩვენს თავისუფალ დემოკრატიულ პარტიაში... უპირველეს ყოვლისა უნდა უზრუნველვყოთ გერმანიის საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის უწყვეტობა. თუ ეს გვსურს, მაშინ ჩვენ თვითონვე მისი მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილები საჭოჭმანო არ უნდა გავხადოთ. ჩვენი ქვეყნისთვის — რომელიც დასავლეთისა და აღმოსავლეთის მიჯნაზე მდებარეობს — სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს, უარი ვთქვათ საგარეო პოლიტიკაში მერყეობაზე და ბუნდოვან, არაპროგნოზირებად მიზნებზე... შეერთებული შტატები სერიოზულად არის მოწადინებული განახორციელოს მოლაპარაკებათა ჩვენთან შეთანხმებული მიზანი, ორმხრივ ნულოვან ვარიანტთან დაკავშირებული. ეს შეესაბამება 1980 წლის ჩვენს საარჩევნო პროგრამას. აქ მიღწეული წარმატება შეიარაღების გაზრდას ჩვენი მხრიდან სრულიად ზედმეტს გახდის. მოლაპარაკებების კონკრეტულ შედეგებთან დაკავშირებული ჩემი იმედები უპირველეს ყოვლისა ეფუძნება მტკიცე პოზიციას, რომლის თანახმადაც ორმაგი ხელშეკრულების არც ერთ ნაწილში არანაირი ცვლილება არ უნდა მოხდეს. ესეც გერმანიის საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის პროგნოზირებადობისა და სანდოობის საკითხს განეკუთვნება. მხოლოდ მაშინ, თუ საბჭოთა კავშირი დარწმუნდება, რომ კონკრეტული შედეგის უქონლობის შემთხვევაში ორმაგი ხელშეკრულების შეიარაღებითი ნაწილი, როგორც დაგეგმილია, 1983 წლის ბოლოდან ხორცს შეისხამს, იგი მზად იქნება დაიწყოს მის არსენალში უკვე

*1982 წლის 5 ნოემბერს ბერლინში გაიმართა თავისუფალი დემოკრატიული პარტიის ყრილობა. ხელახლა არჩეული პარტიის თავმჯდომარე ჰანს-დიტრიხ გენშერი საუბრობს ახალ გენერალურ მდივანთან ირმგარდ ადამ-შვეცერთან. ამ დროისათვის მთავრობის შეცვლა უკვე გადაწყვეტილია.*

არსებული საშუალო სიშორის რაკეტების დემონტაჟი. ვისაც შეიარაღების გაზრდა არ უნდა, მან არავითარი ეჭვი არ უნდა დატოვოს იმის თაობაზე, რომ მტკიცედა აქვს გადაწყვეტილი, გაზარდოს შეიარაღება, თუ მოლაპარაკებები განიარაღების თაობაზე ჩიხში შევა... ჩემო პარტიულო მეგობრებო, ვერავინ აუვლის გვერდს უბრალო ფაქტს: ჩვენ არ გვემუქრება დასავლური საშუალო სიშორის რაკეტები, რომლებიც ჯერ არც კი არსებობს, მაგრამ ჩვენ გვემუქრება საბჭოთა კავშირის SS-20 ტიპის რაკეტები, რომლებიც უკვე დღეს ჩვენზეა დამიზნებული და რომელთა აცილებაც ჩვენ მოლაპარაკებების გზით უნდა შევძლოთ.

ძვირფასო პარტიულო მეგობრებო, არც ერთი ალაგი, არც ერთი ადგილი არ არის მოწოდებული ისე იმისათვის, აიღოს გერ-

მანიის წილი პასუხისმგებლობა მშვიდობის დამყარებაზე, ვიდრე ქალაქი ბერლინი, სადაც და ვისთვისაც ძგერს გერმანელთა გულები... ის, რომ გერმანიის მიწა-წყლიდან არასოდეს უნდა ამოვარდეს ომის ქარცეცხლი, ისტორიული პასუხისმგელობაა ყველა გერმანელისთვის — დასავლეთშიც და აღმოსავლეთშიც. ყოველ შემთხვევაში, ორივე გერმანულ სახელმწიფოს უნდა ეყოს პატივმოყვარეობა, რათა ჰელსინკის დასკვნითი დოკუმენტის ცხოვრებაში გატარებისას ერთიმეორესთან და მესამესთან ურთიერთობებში მიაღწიონ უმაღლეს დონეს და ეს უნდა გაკეთდეს გერმანიაში მცხოვრები ადამიანებისათვის, მშვიდობისათვის ევროპაში. ევროპული სამშვიდობო პოლიტიკა — ეს არის ისტორიული ამოცანა, რომელიც ჩვენი თაობის წინაშეა დასმული. ჩვენ ევროპაში უნდა გავკვალოთ გზა, რომელიც დაშინების მეოხებით ომის თავიდან აცილების პოლიტიკიდან ნდობაზე დაფუძნებულ მშვიდობამდე მიგვიყვანს... ამ სამშვიდობო პოლიტიკისთვის აგვირჩიეს ჩვენ 1980 წელს. მას უნდა დავუჭიროთ მხარი, და ჩვენ ის თანამიმდევრულად უნდა განვახორციელოთ. თუ ამის გამო ვინმე ცალმხრივად ჩვენი საკუთარი პოლიტიკის ელემენტებს ეჭვქვეშ აყენებს, იგი საფრთხეს უქმნის მას. ვინც ორმაგი გადაწყვეტილების შეიარაღებითს ნაწილს ეჭვით უყურებს, საფრთხეს უქმნის მოლაპარაკებებს... საქმე ის გახლავთ, რომ ჩვენი ლიბერალური მისწრაფებებისადმი ერთგულება უფრო მაღლა დგას, ვიდრე რომელიც გინდა კოალიცია. ეს თავისუფალი დემოკრატიული პარტია უფრო მეტია, ვიდრე გაერთიანება კანცლერის ასარჩევად. მისი უმაღლესი მიზანი — მთავრობაში თუ ოპოზიციაში ყოფნისას — ლიბერალური პოლიტიკის დამკვიდრება გახლავთ".

ვერ ვიტყვი, რომ ამ გამოსვლას ზემოქმედება არ მოუხდენია. და მაინც, გაიმართა მძაფრი, პიროვნების შეურაცხმყოფელი დებატები. პარტიულ მეგობრებზე თავდასხმებში მე მონაწილეობა არ მიმიღია და ჩემმა ალტერნატიულმა კანდიდატმა, უვე რონენბურგერმაც თავისი კანდიდატურა ღირსების გრძნობით და კეთილსინდისიერად წარადგინა. სხვათა შორის, ის ერთადერთია, რომელსაც თავისუფალ დემოკრატიულ პარტიაში შეუძლია თავის თავზე თქვას, რომ ჩემ წინააღმდეგ პოსტის გამო წავიდა. ბერლინის პარტიულ ყრილობამდე ჩვენ უფრო ცივად ვიყავით ერთმანეთის მიმართ განწყობილნი, მაგრამ მას შემდეგ ჩვენ გვაკავშირებს პირადი ურთიერ-

თობები, გამორჩეული ორმხრივი ყურადღებითა და ერთურთის დაფასებით. ასეთ უთანხმოებას, თუ ის ზნეობრივ ფარგლებს არ სცილდება, შეუძლია დაპირისპირებული მხარეები ადამიანურად დაახლოვოს. უვე რონენბურგერისა და ჩემს ურთიერთობაშიც ასე მოხდა; ორივე ჩვენგანს პარტიის კეთილდღეობა აინტერესებდა.

პარტიის ყრილობაზე გამართული დებატების დროს დრამატული სცენებიც გათამაშდა. იყო ცრემლების ღვარღვარიც, რასაც მარტინ ბანგემანი მოგვიანებით „ცრემლების ჭალად" მოიხსენიებს, რომელიც ჩვენ უნდა მიგვეტოვებინა. ზოგიერთები ამის გამო მას „ცრემლიან პარტიულ ყრილობასაც" უწოდებენ. ამ ყრილობამ ჩემშიც ღრმა კვალი დატოვა. ადამიანური კავშირები უფრო გაძლიერდა, მოულოდნელმა თანადგომამ ახალი კავშირ-ურთიერთობები ჩამოაყალიბა. ზედმეტმა თავდაჯერებულობამ, ორპირობამ და პიროვნულმა ლაძღვა-თათხვამ დაადასტურა ზოგიერთი შეფასება, ზოგ შემთხვევაში კი მოულოდნელი იმედგაცრუება გამოიწვია.

არც ბუნდესტაგში და არც შემდგომ პარტიულ ყრილობაზე მე გრძნობებს არ ავყოლილვარ. ბერლინის პარტიულ ყრილობაზე ჩემი გამოსვლის იქით მე თავს ვარიდებდი დამეწყო თავის მართლება ჩემი საქციელის გამო კოალიციური ცვლილებების დროს, თუმცა ხანდახან ძნელი ჩანდა თავის შეკავება — მეტადრე, როცა ოპორტუნისტულად და ფორმალურად დაგიწყებდნენ დარწმუნებას — ცვლილების წინააღმდეგი არავინ არის, მაგრამ „ამგვარი ფორმით...". როგორც თავმჯდომარე მხოლოდ ერთ რამეზე ვაგებდი პასუხს: არ დამეშვა პარტიის დაშლა, არ ავყოლოდი პირად გრძნობებს, გაგვეძლო ბოლომდე. არასოდეს დამავიწყდება, რომ იმ ძნელ დროს სხვებთან ერთად უპირველესად ბრძოლისთვის შემართული იურგენ მიოლემანი მედგა მხარში. ასეთი რამ აკავშირებს ადამიანებს. ზოგიერთმა, ვინც მოგვიანებით ახალი კოალიციიდან პირადი სარგებელი ნახა და ლიბერალური თვითუარყოფით, ასე ვთქვათ, გრაალის მცველის როლს ირგებდა, თავი შეიკავა გარდატეხის გარშემო ატეხილი დაპირისპირების დროს მანამ, სანამ გადაწყვეტილება ახალი კოალიციის შესახებ ჯერ 1982 წლის ნოემბერში ბერლინში გამართულ პარტიის ყრილობაზე, ხოლო შემდეგ კი ამომრჩევლების მიერ არ იქნა მიღებული 1983 წლის 3 მარტს.

1983 წლის 6 მარტს, საღამოს, ბუნდესტაგის წარმატებული არჩევნების დღეს, მე ჩემ კოლეგა ოტო გრაფ ლამბსდორფთან ერთად ბრუდერშაფტს ვსვამდი. მეტად თავაზიანი კოლეგიალური ურთიერთობიდან თავისუფალი დემოკრატიული პარტიის გადარჩენისათვის ერთობლივ ბრძოლაში ჯერ ამხანაგური ურთიერთობა ჩამოყალიბდა ჩვენს შორის, შემდეგ კი ის ნამდვილ მეგობრობაში გადაიზარდა. ჩვენ, მეგობრები, ერთმანეთს ,,შენ''-ობით მივმართავდით.

იმ ძნელი თვეების განმავლობაში უპირველესად ჩემი ოჯახი მედგა მხარში, ის მმატებდა ძალასა და მხნეობას. ჩემი მეუღლე იზიარებდა ჩემ შეხედულებას ჩემი გადაწყვეტილების აუცილებლობის, მისი მართებულობის თაობაზე; იგივე შეიძლება ითქვას დედაჩემზეც. როდესაც საუზმის დროს განვაცხადე, ზოგიერთი ჩემი პარტიული მეგობარი მიკიჟინებს, აღარ წამოვაყენო ჩემი კანდიდატურა პარტიის თავმჯდომარის პოსტზე, რისი დაშვებაც, ჩემი აზრით, არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება-მეთქი, დედაჩემმა გამამხნევა: ,,კაცი რომ გზას დაადგება, მან ის ბოლომდე უნდა გაიაროს''.

## შინაარსი

ყოფილი ფედერალური მინისტრის, ჰანს-დიტრიხ
გენშერის, წინასიტყვაობა ქართული გამოცემისათვის 9

საქართველოს პრეზიდენტის, ედუარდ შევარდნაძის,
წინასიტყვაობა ჰანს-დიტრიხ გენშერის
ავტობიოგრაფიული წიგნის ქართული გამოცემისათვის 11

მოგონებანი — ჩემი მოგონებანი 13

შესავლის ნაცვლად
წრე იკვრება 14

## ნაწილი I

*ჰალედან ბრემენის გავლით ბონისკენ*


თავი 1

ბავშვობა და სიჭაბუკე 1945 წლამდე 30

*ოჯახური ფესვები • ჰალე და ჰალეს შემოვარენი • თხუთმეტი წლის თანაშემწე საზენიტო არტილერიაში • ვენკის არმიაში • ჰალეში დაბრუნება*

თავი 2

ორიენტაციის წლები 67

*საბჭოთა საოკუპაციო ზონასა და გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში • გერმანიიდან გერმანიაში • ბრემენიდან ბონისკენ • პოლიტიკური იდეალები • ათ წელზე მეტი ხნის შემდეგ: განკურნება შვარცვალდში*

თავი 3

გადაწყვეტილებები 109

*საკუთარი საქმიანობის შუალედური შეჯამება • ლიბერალური ოპოზიცია • შტუტგარტში წარმოთქმული სიტყვა: გერმანულ საკითხთან დაკავშირებული ახალი პოლიტიკა • 1968-69 წწ. — ახალი დროება კარს აკაკუნებს, ის გერმანიაში იწყება • 1969 წლის ფედერალური საპრეზიდენტო არჩევნები — კურსის განსაზღვრა • 1969 წლის ბუნდესტაგის არჩევნები და ბრანდტ-შეელის ახალი მთავრობა*

თავი 4
შინაგან საქმეთა სამინისტრო'ში 149
*შინაგანი რეფორმები • საჯარო სამსახური • გარემოს დაცვა – ლიბერალური ინიციატივა • ლიბერალური სამართლებრივი სახელმწიფო ძლიერი სახელმწიფოა: ფედერალური სისხლის სამართლის სამძებრო სამსახური და კონსტიტუციის დაცვის ორგანო • 1972 წლის მიუნხენის ოლიმპიური თამაშების დრამატული მოვლენები – მძევლების აყვანა • ფიურსტენფელდბრუკის მოვლენათა შედეგი: სასაზღვრო დაცვის ჯგუფის შექმნა • ფედერალური სასაზღვრო დაცვის ახალი ამოცანები • სერიოზული „ჩავარდნა" • ფედერალურ სასაზღვრო დაცვაში: გადაწყვეტილებები ადამიანურობის სასარგებლოდ • 1972 წლის შედეგების შეჯამება • ფედერაციული რესპუბლიკის კულტურული პოლიტიკა • სამინისტროსა და მთავრობაში შეძენილი გამოცდილება • გიიომის სკანდალი და მისი შედეგები*

## ნაწილი II
*საგარეო საქმეთა სამინისტროში*


თავი 5
ძნელი დასაწყისი 275
*უწყვეტობა და ჩავარდნები • მსახიობი გუმბათქვეშ – ჰენრი კისინჯერი • პრეზიდენტი, რომელიც ასპარეზს ტოვებს და ახალი მოთხოვნები • პირველი საუბრები მოსკოვთან*

თავი 6
აღმოსავლეთი – ეს უფრო მეტია, ვიდრე მოსკოვი 330
*მძიმე დაახლოების სადგურები: პრაღა, სოფია, ბუდაპეშტი და ბუქარესტი • გერმანია და პოლონეთი: ძნელი მეზობლობა • ახალი სახელშეკრულებო შეთანხმებები ვარშავასთან 1975-76 წლებში • მზერა მომავლისკენ: გარდატეხის ხანა პოლონეთში და კოლ-გენშერის მთავრობის პოლიტიკა*

თავი 7
ურთიერთობა ვატიკანთან 377
*აქაც იგრძნობა გერმანიის გაყოფის შედეგები • დაძაბულობის შენელების პოლიტიკას ალტერნატივა არა აქვს • პაპი და ლიბერალი, რომელთაც ერთი სურვილი აერთიანებთ: ბოლო მოულონ კონფრონტაციას ევროპაში*

ნაწილი III
*გერმანიის პასუხისმგებლური პოლიტიკის სამი საყრდენი*

თავი 8
ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირის პროცესი – მულტილატერალური აღმოსავლური პოლიტიკა გერმანიის გაერთიანების გზაზე 393
*ჭიდილი „დასკვნითი აქტისათვის“ • ჰელსინკი 1975: ახალი ევროპის დაბადების დრო და ადგილი • პროცესი იწყება – ევროთათბირის მორიგი შეხვედრები და ფორუმები • ბერლინი 1991: ევროთათბირის ისტორიაში ახალი ეტაპი იწყება*

თავი 9
ფედერაციული რესპუბლიკა გაეროში 428
*შმიდტ-გენშერის მთავრობის დამტკიცება ბუნდესტაგის 1976 წლის არჩევნებში მათი საგარეო პოლიტიკის დამტკიცებასაც ნიშნავს • ადამიანის საკადრისი მსოფლიოსათვის • აქტიური პოლიტიკისათვის აფრიკასთან მიმართებაში: აპარტეიდის წინააღმდეგ • ურთიერთდამოკიდებულება მსოფლიო მასშტაბით – საერთაშორისო თანამშრომლობის ქსელი ფართოედება • დღეები ნიუ-იორკში: გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრის რანგში გაეროს გენერალურ ასამბლეაზე • გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის საერთაშორისო პასუხისმგებლობა*

თავი 10
ევროპული გაერთიანება: შტუტგარტიდან მაასტრიხტისაკენ 476
*სტაგნაცია გაერთიანების პროცესში • რაკეტა სტარტს იღებს: გენშერ-კოლომბოს ინიციატივა • ერთიანი ევროპული დოკუმენტი • ევროპის კვლევითი კოორდინაციის საგენტო – ევროპული თვითდამკვიდრების გამოხატულება • გერმანულ-ფრანგული თანამშრომლობის უწყვეტობა •*

ევროპული პოლიტიკა – კოლ-გენშერის მთავრობის საკვანძო პუნქტი • კულტურა. როგორც ევროპული იდენტურობის გამოხატულება. საკალუტო კავშირი – ევროპული ინტეგრაციის მიზანი • გდრ და ევროკავშირთიანება • კვანტური ნახტომი: მაასტრიხტი და მისი შედეგები

## ნაწილი IV
*ახალი გამოწვევები და კრიზისები*


თავი 11
ბონი და ზესახელმწიფოების გაოგნება 534
*ნეიტრონული ბომბი და მისი უსახელოდ დასამარება • ზესახელმწიფოს შეურაცხყოფა: მძვალთა აყვანა თეირანში • ნატოს ორმაგი გადაწყვეტილება • ფრონტებზე ვითარება იმპბება: ავღანეთი და მოსკოვის ოლიმპიური თამაშების ბოიკოტი • ჩვენ მოლაპარაკებები გვსურს • ნატოს ორმაგი გადაწყვეტილების შემდგომი ეტაპები – ორი ვიზიტი • უკანასკნელი მოწოდება გრომიკოს მიმართ რაკეტების განლაგებამდე.*

თავი 12
ცვლილების მომასწავებელი ნიშნები გერმანულსა და საერთაშორისო პოლიტიკაში 578
*შმიდტ-გენშერის კაბინეტის პოლო სამთავრობო განცხადება • ახალი აქტიორი საერთაშორისო სცენაზე: რონალდ რეიგანი კანკუნში*

თავი 13
გარდატეხა 591
*გერმანიის სოციალ-დემოკრატიულმა პარტიამ პირი იბრუნა • დასასრული • ერთიანი საგარეო პოლიტიკის ბალანსი • ახალ მთავრობაში • რეალისტური საგარეო პოლიტიკის უწყვეტობა • გადაწყვეტილება ბერლინში*

# ჰანს-დიტრიხ გენშერი

## *მოგონებანი*

# Hans-Dietrich Genscher

## *Erinnerungen*

წიგნი I

ტირაჟი 2000 ეგზ.

გამომცემლობა „თობალისი“
ИЗДАТЕЛЬСТВО «ТОБАЛИСИ»
PUBLISHING HOUSE «TOBALISI»